ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

IV საერთაშორისო სამეცნიერო
კონფერენცია

გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში

შრომების კრებული

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Economics and Business Faculty

IV INTERNATIONAL SCIENTIFIC
CONFERENCE

CHALLENGES of GLOBALIZATION in ECONOMICS and BUSINESS

PROCEEDINGS

გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში

Challenges of Globalization in Economics and Business

1-2/XI/2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში

საქართველო, თბილისი, 1-2 ნოემბერი 2019

შრომების კრებული

თბილისი 2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Economics and Business Faculty

The 4th International Scientific Conference

Challenges of Globalization in Economics and Business

Georgia, Tbilisi, November 1-2, 2019
Proceedings

Tbilisi 2019

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე უკვე მეოთხედ ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში". როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მეცნიერები და ახალგაზრდა მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ გლობალიზაციის პროცესის გამოწვევებზე, ასევე ეძებენ ახალი ეკონომიკური პრობლემების გაუმჯობესების ქმედითუნარიან მექანიზმებს. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებში აქტუალური და პრობლემური საკითხებია განხილული. გლობალური პროცესების თანამდევი მოვლენები სულ უფრო მე ასახვას პოვებს ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაზე, ამიტომ ისეთი საკითხები, როგორიცაა: განათლების სისტემის სრულყოფა, საქართველოს ეკონომიკური მოდელი, უმუშევრობის დაძლევის მექანიზმები, საქართველოს ეკონომიკაში ერთობლივ მოთხოვნაზე ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტების ზემოქმედების თავისებურებები, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, კლასტერული პოლიტიკის ფორმირებისა და სახელმწიფო საწარმოთა მართვის აქტუალური საკითხები, ინოვაციური პროცესების დანერგვის თავისებურებები სხვადასხვა სფეროში, ტურისტული პოტენციალის ათვისების პერსპექტივები, სოციო-კულტურული გამოწვევები და სხვა. არამხოლოდ თეორიულ ინტერესის სფეროს განეკუთვნება, არამედ წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების პრაქტიკული ასპექტების ანალიზს.

გიორგი ღაღანიძე - თსუ პროფესორი,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი

It is already the fourth year that TSU Faculty of Economics and Business hosts the international conference on the Challenges of Globalization in Economics and Business. Both local and foreign scientists, as well as young researchers focus on the challenges of globalization processes; in addition, they seek to identify effective mechanisms for solving new economic problems. The scientific papers presented at the international scientific conference deal with the pressing and problematic issues. The consequences of global processes are more and more reflected on the development of any country, therefore, the issues like the improvement of education system, the economic model of Georgia, the unemployment reduction mechanisms, the peculiarities of the impact of fiscal and monetary instruments on the aggregate demand of Georgia, the foreign direct investments implemented in Georgia, important issues of formation of cluster policy and management of state enterprises, peculiarities of the introduction of innovative processes in different areas, perspectives of utilization of tourism potential, socio-cultural challenges and others belong not only to the area of theoretical interest, but they represent the practical analysis of the aspects of economic development.

Giorgi Gaganidze **-** TSU Professor
Dean of the Faculty of Economics and Business, TSU

avtorTa stili daculia

The authors' style is retained

Стиль авторов сохранен

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, 2019

ISBN 978-9941-13-890-4 (pdf)

კონფერენციის სარედაქციო კოლეგია:

გიორგი ღაღანიძე – *თსუ-ის პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თავმჯდომარე;*
ვლადიმერ პაპავა – თსუ-ის პროფესორი, აკადემიკოსი;
ავთანდილ სილაგაძე – თსუ-ის პროფესორი, აკადემიკოსი, *საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი;*
ელგუჯა მექვაბიშვილი – თსუ-ის პროფესორი, თსუ თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი" მთავარი რედაქტორი;
რევაზ გოგოხია – ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი" მთავარი რედაქტორის მოადგილე;
რამაზ აბესაძე – ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი;
იური ანანიაშვილი – თსუ-ის პროფესორი, ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი;
თეიმურაზ ბერიძე – თსუ-ის პროფესორი;
სიმონ გელაშვილი – თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი;
რევაზ გველესიანი – თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი;
ნუგზარ თოდუა – თსუ-ის პროფესორი, მაკეტინგის კათედრის ხელმძღვანელი;
ირაკლი კოვზანაძე – თსუ-ის პროფესორი, ფინანსების და საბანკო საქმის კათედრის ხელმძღვანელი;
დავით ნარმანია – თსუ-ის პროფესორი, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი;
ელინა გაილე-სარკანე – დეკანი, პროფესორი, რიგის ტექნიკური უნივერსიტეტი, ლატვია;
ინტა ოსტროვსკა – პროფესორი, დაუგავპილსს უნივერსიტეტი, ლატვია;
ტალაიბეკ კოიჩუმანოვი – პროფესორი, სლავური უნივერსიტეტი, ყირგიზეთი;
ლევან საბაური – თსუ პროფესორი, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელი;
დემურ სიჭინავა – თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის ხელმძღვანელი;
ტატიანა სობოლიევა – ასოცირებული პროფესორი, ვადიმ გეტმანის სახელობის კიევის ეკონომიკის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
იაცეკ სტროინი – პროფესორი, რჟეცოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, პოლონეთი;
მირიან ტუხაშვილი – თსუ-ის პროფესორი;
თემურ შენგელია – თსუ-ის პროფესორი; საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელი;
ეთერ ხარაიშვილი – თსუ-ის პროფესორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
იოსებ ხელაშვილი – თსუ-ის პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი;
გუნტერ ჰოფბაუერი – პროფესორი, ინგლოშტადის ტექნიკური უნივერსიტეტი, გერმანია;
რაინერ ვენერი – პროფესორი, ვურცბურგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, გერმანია;
გურბანოვ ნატიგ ჰუსეინი – ასოცირებული პროფესორი, აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ნინო ფარესაშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
მარინა ჩავლეიშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
თამაზ ზუბიაშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი;
მანანა ლობჟანიძე – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახურის უფროსი.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

გიორგი ღაღანიძე – თსუ-ის პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თავმჯდომარე;
ნინო ფარესაშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ლობჟანიძე – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახურის უფროსი;
ლალი ჩიკვილაძე – თსუ-ის სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
უჩა გოგრიჭიანი – თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი;
აკაკი მიქაბერიძე – თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსური მენეჯერი;
ტარიელ ლომია – თსუ-ის დოქტორანტი;
ნინო ლობჟანიძე – თსუ-ის დოქტორანტი;
რუსუდან მაისურაძე – თსუ-ის დოქტორანტი;
ზვიად სიგუა – თსუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
დავით ნერგაძე – თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ბონდო კაკუბავა – თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რესურსების მართვის სამსახურის უფროსი

Editorial Board:

Giorgi Gaganidze – TSU Professor, Dean of the Faculty of Economics and Business;
Vladimer Papava – TSU Professor, Academician;
Avtandil Silagadze – TSU Professor, Academician, Head of the Department of International Economics and History of Economic Thought;
Elguja Mekvabishvili – TSU Professor, Head of the Department of Theoretical Economics, Chief Editor of the Faculty magazine "Economics and Business";
Rezo Gogokhia – TSU Professor, Deputy Chief Editor of the Faculty magazine "Economics and Business";
Ramaz Abesadze – Doctor of Economic Sciences, Director of the Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Iuri Ananiashvili – TSU Professor, Head of the Department of Econometrics;
Teimuraz Beridze – TSU Professor;
Simon Gelashvili – TSU Professor, Head of the Department of Economic and Social Statistics;
Revaz Gvelesiani – TSU Professor, Head of the Department of Economic Policy;
Nugzar Todua – TSU Professor, Head of the Department of Marketing;
Irakli Kovzanadze – TSU Professor, Head of the Department of Finance and Banking;
Davit Narmania – TSU Professor, Head of the Department of Management and Administration;
Elīna Gaile-Sarkane – Dean, Professor, Riga Technical University, Latvia;
Inta Ostrovska – Dr. paed., Daugavpils University, Institute of Humanities and Social Sciences, Republic of Latvia;
Talaibek Koichumanov – Professor, Kyrgyz-Russian Slavic University, Kyrgyzstan;
Levan Sabauri – TSU Professor, Head of the Department of Accounting and Auditing;
Demur Sitchinava – TSU Professor, Head of the Department of Information Technologies in Economics and Business;
Tetiana Sobolieva – Associate Professor, Kyiv National Economic University named after Vadym Hetman, Ukraine;
Jacek Strojny – Rzeszow University of Technology, Faculty of Management, Poland;
MirianTukhashvili – TSU Professor;
Temur Shengelia – TSU Professor, Head of the Department of International Business;
Eter Kharaishvili – TSU Professor, Head of the Department of Microeconomics;
Ioseb Khelashvili – TSU Professor, Head of the Department of Tourism and Hospitality Management;
Gunter Hofbauer – Professor, für Marketing und Technischer Vertrieb, Technische Hochschule Ingolstadt, Germany;
Rainer Wehner – Professor, University of Applied Sciences Würzburg-Schweinfurt, Germany;
Gurbanov Natig Huseyn– Associate Professor, Azerbaijan State Economic University (UNEC), Azerbaijan;
Nino Paresashvili – TSU Associate Professor, Deputy Dean of the Faculty of Economics and Business;
Marina Chavleishvili – TSU Associate Professor, Deputy Dean of the Faculty of Economics and Business;
Tamaz Zubiashvili – TSU Associate Professor;
Manana Lobzhanidze – TSU Associate Professor, Head of the Department for Scientific Research and Development.

Organizing Committee:

Giorgi Ghaghanidze – TSU Professor, Dean of the Faculty of Economics and Business, Chairman;
Nino Paresashvili – TSU Associate Professor, Deputy Dean of the Faculty of Economics and Business;
Manana Lobzhanidze – TSU Associate Professor, Head of the Department for Scientific Research and Development;
Lali Chikviladze – Chief Specialist of the Department for Scientific Research and Development;
Akaki Mikaberidze – Financial Managerat the Faculty of Economics and Business;
Ucha Gogrichiani – Head of Public Relations Service atthe Faculty of Economics and Business;
Tariel Lomia – Ph.D. student, TSU;
Nino Lobdzhanidze – Ph.D. student, TSU;
Rusudan Maisuradze – Ph.D. student, TSU;
Zviad Sigua – Chief Specialist of the Learning Process Management Department;
Davit Nergadze – Chief Specialist of Public Relations Service at the Faculty of Economics and Business
Bondo Kakubava – Head of Resource Management Service at the Faculty of Economics and Business

ფირმის ეკოლოგიური სტრატეგიის ფაქტორული კლასიფიკაცია

აბრალავა ანზორ
ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფოდიაშვილი დავით
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი

ეფექტიანი ეკოლოგიური სტრატეგიის შესამუშავებლად ფირმამ ყველა ეკოლოგიური ასპექტი უნდა ჩართოს საერთო დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამიტომაც კორპორაციული და ფუნქციონალური ეკოლოგიური სტრატეგიების ჩამოყალიბებამდე მიზანშეწონილია შიდა (ფირმის ძლიერი და სუსტი მხარეების) და გარე (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური) სტრატეგიული ფაქტორების გავლენის ანალიზი.

საწარმოს გარე გარემოს ანალიზისთვის სტატიაში შემოთავაზებულია ადაპტირებული PEST - ანალიზის გამოყენება. იგი წარმოადგენს ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზისა და სხვა პოლიტიკური ფაქტორების, ეკონომიკური ფაქტორების, სოციალური ფაქტორებისა და ტექნოლოგიური ფაქტორების ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: *ეკოლოგიური სტრატეგია, დაგეგმვა, ბუნებრივი გარემო, ეკონომიკური ასპექტი, ტექნოლოგიური ფაქტორი, ანალიზი, მენეჯმენტი, კორპორაციული პოლიტიკა.*

ეკოლოგიური სტრატეგიების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს გარე და შიდა ფაქტორები. ამ ფაქტორების შემადგენლობა წარმოდგენილია ნახაზზე 1.

გარე ფაქტორები ასახავს ბუნებრივი გარემოს მდგომარეობას (ეკოსისტემების მოშლა, წყლისა და ჰაერის რესურსების დაბინძურება, ბუნებრივი რესურსების გამოფიტვა და ა.შ.); ეკონომიკური ასპექტების გავლენას (ეკოლოგიური ინვესტიციების მოცულობა და სტრუქტურა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნილების ზრდა და საწარმოო პროცესები, კონკურენტების აქტიურობა ბაზარზე და ა.შ.); სოციალურ-კულტურული გარემოს მდგომარეობას (მომხმარებელთა ქცევის ცვლილება ეკოლოგიური პრობლემების მიმართულებით, მყიდველთა მზაობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე დამატებითი თანხის გადასახდელად, საკუთარი ეკოლოგიური პასუხისმგებლობის გაცნობიერება, მოთხოვნა ინფორმაციაზე ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით); ტექნოლოგიური გარემოს გავლენას (ტექნოლოგიების განვითარება ნარჩენების გადამუშავებისა და გარემოში მოხვედრილი გამონაბოლქვის გასუფთავების მიმართულებით, კვლევითი პროგრამები ეკოლოგიის, ნედლეულისა და მასალების გამოყენების, ენერგიის გადამუშავების სფეროში); პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედებას (ნომენკლატურა, ეროვნული და საერთაშორისო ეკოლოგიური კანონებისა თუ ნორმატივების დაცვა, ეფექტიან ეკოლოგიურ პოლიტიკაზე გადასვლადაა.შ.).[3,გვ.284]

ნახაზი 1

სტრატეგიული ეკოლოგიური ფაქტორების შემადგენლობა

გარე ფაქტორები				
ბუნებრივი გარემო	**ეკონომიკური გარემო**	**სოციალურ-კულტურული გარემო**	**ტექნოლოგიური გარემო**	**პოლიტიკური გარემო**
• ეკოსისტემების მოშლა • გარემოს დაბინძურება • რესურსების გამოფიტვა • მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება • ეკოსისტემების გადარჩენის პარამეტრების ცვლილება	• ეკოლოგიური ინვესტიციების მოცულობა და სტრუქტურა • ბაზრის გაჯერების ტენდენცია • ეკოპროდუქციასა და ეკონომიკური წარმოების პროცესებზე მოთხოვნის ზრდა • კონკურენტების ეკოლოგიური აქტიურობა	• ფასეულობების ცვლილება ეკო-ცნობიერების მიმართულებით • მომხმარებელთა ქცევის ცვლილებები • მყიდველების მზაობა ეკოპროდუქციის შეძენისთვის • საზოგადოებისა და ინდივიდუუმის ეკოლოგიური პასუხისმგებლობა • მოთხოვნილება ეკოლოგიურ ინფორმაციაზე	• ტექნოლოგიების განვითარება ნარჩენების გადამუშავების და გარემოში გამონაბოლქვის შემცირების მიმართულებით • ეკოლოგიური კვლევების პროგრამები • ენერგოდაზოგვა • რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია	• ეროვნული და საერთაშორისო მოთხოვნების შესრულება • ეფექტიან ეკოლოგიურ პოლიტიკაზე გადასვლა • საერთაშორისო კონსულტაციებისა და ეკოლოგიური ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება
↓	↓	↓	↓	↓
⇩				
შიდა ფაქტორები				
• მენეჯმენტის მოქნილობა და ხელმძღვანელობის მზაობა ეკოლოგიური ცვლილებებისთვის • საწარმოს მიერ ეკოლოგიური კორპორაციული პოლიტიკის ინსტრუმენტების (ეკოლოგიური აღრიცხვა, მასალებისა და ენერგიის გამოყენების ბალანსი, ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასება, პროცესების შეფასება, ეკოლოგიური მარკეტინგის შეფასება და ა.შ.) გამოყენება • ფინანსური რესურსების არსებობა ეკოლოგიურ საქმიანობაში დასაბანდებლად • ტექნოლოგიური და ტექნიკური ნოუ-ჰაუ • საწარმოს ეკოლოგიური საქმიანობის დახასიათება და შეფასება, ამ საქმიანობის შესაბამისობა ბაზარზე მიღებულ პარამეტრებთან				

საწარმოს შიდა ფაქტორები მოიცავს: მენეჯმენტის მოქნილობას და ხელმძღვანელობის მზაობას ეკოლოგიური ცვლილებების განსახორციელებლად, საწარმოს მიერ ეკოლოგიური კორპორაციული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებას (ეკოლოგიური აღრიცხვა, მასალებისა და ენერგიის გამოყენების ბალანსი, ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასება, არსებული ტექნოლოგიის შეფასება, პროდუქციის ანალიზი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციისა და პროცესების განვითარება, ეკოლოგიური მარკეტინგის შეფასება და ა.შ.), ფინანსური რესურსების არსებობას ეკოლოგიურ საქმიანობაში დასაბანდებლად, ტექნოლოგიურ და ტექნიკურ ნოუ-ჰაუს, საწარმოს ეკოლოგიური საქმიანობის მახასიათებლებსა და შეფასებას, ამ საქმიანობის შესაბამისობას სასურველ ან ბაზარზე მიღებულ პარამეტრებთან. კორპორაციული და ფუნქციონალური ეკოლოგიური სტრატეგიების ჩამოყალიბებამდე მიზანშეწონილია სიტუაციური ანალიზის ჩატარება (ნახ.2).

ნახაზი 2

საწარმოს სიტუაციური ანალიზის სქემა



სიტუაციური ანალიზი გვაძლევს იმ ფაქტორების შერჩევის შესაძლებლობას, რომლებიც მეტ გავლენას ახდენენ საწარმოს პრობლემების განსაზღვრაზე მისი საქმიანობის ეკოლოგიური მდგენელისა და ეკოლოგიური სტრატეგიის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

შიდა და გარე ფაქტორებად კლასიფიკაცია იძლევა სხვადასხვა ინსტრუმენტისა და მეთოდის გამოყენების შესაძლებლობას. ეკოლოგიური სტრატეგიების შესამუშავებელი ფაქტორების ანალიზისათვის გამოიყენება სტრატეგიული მენეჯმენტისა და მარკეტინგის მეთოდები და ინსტრუმენტები. იგი წარმოადგენს ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზისა და სხვა პოლიტიკური ფაქტორების ანალიზს; ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური ფაქტორების ანალიზს.[2, გვ.119]

PEST– მეთოდიკის თანახმად, გარე გარემოს ანალიზი მოიცავს:

- ბუნებრივი გარემოს ფაქტორების მდგომარეობას (ეკოსისტემების მოშლა, წყლის რესურსებისა და ჰაერის დაბინძურება, ბუნებრივი რესურსების გამოფიტვა და ა.შ.);
- ეკონომიკური ასპექტების გავლენას (ეკოლოგიური ინვესტიციების მოცულობა და სტრუქტურა), ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებსა და საწარმოო პროცესებზე მოთხოვნის ზრდა, კონკურენტების აქტიურობა ბაზარზე და ა.შ.);
- სოციალურ-კულტურული გარემოს მდგომარეობას (სამომხმარებლო ქცევის ცვლილება ეკოლოგიური პრობლემების მიმართულებით, მყიდველთა მზაობა ეკოპროდუქციაზე მეტის გადასახადელად, საკუთარი ეკოლოგიური პასუხისმგებლობის გაცნობიერება, ეკოლოგიურ საკითხებზე ინფორმაციის მოთხოვნილება);
- ტექნოლოგიური გარემოს გავლენას (ტექნოლოგიების განვითარება ნარჩენების გადასამუშავებლად და გამონაბოლქვისგან გარემოს გასასუფთავებლად, კვლევების პროგრამები ეკოლოგიის სფეროში, კვლევები ნედლეულისა და მასალების გამოყენების, ენერგიის გადამუშავების სფეროში);
- პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედებას (ნომენკლატურა და ეროვნული და საერთაშორისო ეკოლოგიური კანონებისა თუ ნორმატივების დაცვა, ეფექტიან ეკოლოგიურ პოლიტიკაზე გადასვლა და ა.შ.).

პოლიტიკური ფაქტორების ანალიზი

PEST-ანალიზის მეთოდიკის გამოყენებით ჩვენ უშუალოდ გადავდივართ როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ნორმატიულ-სამართლებრივი და საკანონმდებლო აქტების აღწერაზე, რაც უნდა გაითვალისწინონ საწარმოებმა თავიანთი გარე გარემოს ანალიზისას. მოცემულ ანალიზში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საერთაშორისო ნორმატივებსა და სტანდარტებზე, რადგან ჩვენ განვიხილავთ იმ საწარმოთა სტრატეგიებს, რომელთა საქმიანობა ორიენტირებულია საზღვარგარეთის ბაზრებზე.

საწარმოებმა, რომლებიც გეგმავენ საკუთარი ბიზნესის გაფართოებას დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე, უნდა გაითვალისწინონ, რომ ეს ქვეყანა ერთ-ერთი ლიდერია ეკონომიკური მენეჯმენტის განვითარების მხრივ. 1990 წელს აქ მიღებულ იქნა ახალი „ეკოლოგიური აქტი (Environmental Act), 1992 წელს კი მას მოჰყვა სტანდარტი ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემების სფეროში BC 7750. აღნიშნული სტანდარტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ქმნის განაწესებს და არ განსაზღვრავს მოთხოვნებს საწარმოს ბუნებადაცვითი საქმიანობის კუთხით, მაგრამ შეიცავს რეკომენდაციებს, რომლებიც სასარგებლოა ეკოლოგიური მენეჯმენტის ეფექტიანი სისტემის შესაქმნელად, ინიციატივიანი ეკოლოგიური აუდირების გასავითარებლად, რაც უნდა აისახოს მთლიანად ორგანიზაციის საქმიანობის ეკოლოგიური მახასიათებლების გაუმჯობესებაზე [1,გვ.187].

1993 წელს ევროპულ თანამეგობრობაში შემუშავდა რეკომენდაციები „ეკო-მენეჯმენტისა და ეკო-აუდირების სქემების“ დასანერგად. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია საწარმოების საქმიანობის შესაფასებლად ეკოლოგიური აუდირების ხერხების გამოყენებისათვის სტიმულების შექმნა. 1995 წლიდან ევროპულმა საწარმოებმა მიიღეს სერტიფიცირების შესაძლებლობა EMAS – „ეკო-მენეჯმენტისა და ეკო-აუდირების სქემების“ მოთხოვნების შესაბამისად.

და ბოლოს, მსოფლიო სავაჭრო შეთანხმებასთან დაკავშირებით ურუგვაიში გამართული მოლაპარაკებების, ასევე 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გარემოს დაცვისა და განვითარების საკითხებთან დაკავშირებით გამართული უმაღლესი დონის შეხვედრის რეზოლუციის საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ISO14000 სერიის საერთაშორისო სტანდარტების შესამუშავებლად, რისთვისაც შეიქმნა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სპეციალური ტექნიკური კომიტეტი 207 (TC 207). ISO-14000 – საწარმოებში ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემების საერთაშორისო სტანდარტების სერიის გაჩენას ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ბუნებადაცვით ინიციატივად ასახელებენ.

მეწარმეები ISO 14000 სტანდარტებს აღიქვამენ როგორც ნებაყოფლობით სტანდარტს, რომლის დაცვის გაცნობიერებულ აუცილებლობას ბაზრის პირობები კარნახობს. და მართლაც, მიუხედავად სტანდარტების ნებაყოფლობითობისა, სერტიფიცირებული ორგანიზაციების რიცხვი იზრდება ექსპონენციალურად და, ISO/TC-ს თავმჯდომარის თქმით, 10 წლის შემდეგ დიდი საწარმოების 90-დან 100 %-მდე, ტრანსნაციონალური კომპანიების ჩათვლით, სერტიფიცირებული იქნება ISO 14001-ის შესაბამისად, ანუ მიიღებს დამოუკიდებელი „მესამე მხარის მოწმობას იმის შესახებ, რომ მათი ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემები შეესაბამება აღნიშნულ სტანდარტს“. ორგანიზაციებისთვის ამ გადაწყვეტილებების მიღების მოტივს პირველ რიგში წარმოადგენს ის, რომ სერტიფიცირება იქნება საერთაშორისო ბაზრებზე პროდუქციის მარკეტინგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა (მაგალითად, ახლახან ევროპის ეკონომიკურმა თანამეგობრობამ გაავრცელა განცხადება, სადაც გაცხადებული იყო მათი განზრახვა – თანამეგობრობის ქვეყნების ბაზრებზე მხოლოდ ISO -სერტიფიცირებული საწარმოების დაშვების შესახებ). მთელ მსოფლიოში ISO სტანდარტების სერიის შესაბამისად უკვე მუშაობს 10697 საწარმო. თუმცა, საქართველოში მათი რიცხვი ერთეულებია.

ეკოლოგიური ნორმატიულ-სამართლებრივი და საკანონმდებლო აქტების ანალიზთან დაკავშირებული ინფორმაციის განზოგადებისას, საწარმოებმა უნდა გამოყონ სამიზნე ქვეყნის შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- საკანონმდებლო მოთხოვნები (ლოკალური ეკოლოგიური ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია);
- სხვა ნორმატიული მოთხოვნები (საწარმოს შიდა სპეციალური ეკოლოგიური კოდექსი; სტანდარტები სახელმწიფოებში, სადაც საწარმო ახდენს თავისი პროდუქციის რეალიზებას; საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) მდგრადი განვითარების სტანდარტები; სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სტანდარტები; სხვა მოთხოვნები, რომელთაც ორგანიზაცია ნებაყოფლობით ასრულებს).

ეკოლოგიური პასპორტი გახლავთ საინფორმაციო დოკუმენტი. იგი შეიცავს შემდეგ მონაცემებს: გარემოზე საწარმოს კომპლექსური ზემოქმედების შესახებ; საწარმოს მიერ ნედლეულის, სათბობის, ენერგეტიკული, წყლის, მიწის და სხვა რესურსების ეფექტიანად გამოყენების შესახებ; გამოყენებული ტექნოლოგიების შესახებ; მოხმარებული ნედლეულისა და გამოშვებული პროდუქციის მოცულობების ბალანსის შესახებ.

საწარმოს ეკოლოგიურ პასპორტში ასახულია მისი ეკონომიკური, ტექნოლოგიური მახასიათებლები, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოზე ზემოქმედების საკითხები.

ეკოლოგიური პასპორტის შედგენა მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების წყაროების ინვენტარიზაციას საწარმოს ტერიტორიაზე. წყაროების აღრიცხვის საფუძველზე ხდება კონტროლისა და ზემოქმედების ეტაპობრივად შემცირების ზომების შემუშავება.

სოციალური ფაქტორების ანალიზი

მოხმარებასა და მარკეტინგულ აქტიურობაზე მოქმედ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მკვლევარები მიიჩნევენ დემოგრაფიულ ცვლილებებს. ამიტომაც რეკომენდებულია საწარმომ ჩაატაროს მოსახლეობის რიცხოვნობის ანალიზი მიზნობრივ ბაზარზე, რადგან ეს ფაქტორი განსაზღვრავს ეკოლოგიურ ზემოქმედებას. ტრადიციულად, მარკეტოლოგები მოსახლეობის ზრდას პოზიტიურ ფაქტორად განიხილავენ, როგორც გასაღების ბაზრის გაფართოების შესაძლებლობას. თუმცა, მოსახლეობის ზრდა მეტყველებს მხოლოდ მოსახლეობის მოთხოვნილებების გადიდებაზე და არა კონკრეტული საწარმოს განვითარების შესაძლებლობაზე.

მოსახლეობის ზრდის გათვალისწინებას აზრი აქვს მხოლოდ კვების მრეწველობისა და პირველადი მოხმარების საგნების მწარმოებელი საწარმოების გარეშე ფაქტორების ანალიზისას. დანარჩენი პროდუქტების ჯგუფებისთვის კი უნდა გაანალიზდეს სხვა დემოგრაფიული ფაქტორები, მაგალითად, გვიანი ქორწინების ტენდენცია ან განქორწინებების რიცხვის ზრდა, რაც მიანიშნებს საოჯახო მეურნეობების ზრდაზე იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის დონე მუდმივია ან შეინიშნება კლების ტენდენცია. საოჯახო მეურნეობების რიცხვის ზრდა მეტყველებს ისეთი საქონლის მოხმარების გადიდებაზე, როგორიცაა საოჯახო საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მანქანები, ავეჯი, სათბობი, გაზეთები და ჟურნალები, საბანკო სესხები და ა.შ.

გარე ფაქტორების ანალიზისას ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს საზოგადოებრივი და ინდივიდუალური კულტურული ფასეულობების, წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, რელიგიური მრწამსის, გემოვნების, მოდის, ამა თუ იმ სფეროში პრიორიტეტების და სხვა ფაქტორების გავლენა სამომხმარებლო ქცევაზე.

ეკოლოგიური სტრატეგიების შემუშავებისას ასევე სასარგებლოა იმის შეფასებაც, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოცემულ ქვეყანაში, რეგიონში, ქალაქში კომუნიკაციის კონკრეტულ საშუალებებს, რადგან ეს დაგვეხმარება ბაზარზე საქონლის პრომოუშენის, რეკლამის (ტელევიზია, რადიო, ბეჭდური პროდუქცია და ა.შ.) და საზოგადოებასთან ურთიერთობის საშუალებებისა და მეთოდების შერჩევისას.

ეკონომიკური ფაქტორების ანალიზი

საერთაშორისო ბაზარზე გასვლისას ეკოლოგიური სტრატეგიების შემუშავებისას აუცილებელია სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედების გაანალიზება, როგორიცაა:

- ეკონომიკის საერთო მდგომარეობა ქვეყანაში, რეგიონში, მიზნობრივ ბაზარზე; ეკონომიკური პროცესების სტაბილურობა;
- უმუშევრობის, სამრეწველო წარმოებასა და ეკოლოგიური საქმიანობის სფეროში დასაქმების პროცენტული დონე;
- ინფლაციის პროცენტი;
- ეკოლოგიური ინვესტიციების მოცულობა და სტრუქტურა, ინვესტიციების გამოყენების ეფექტიანობა;
- ბუნებრივი რესურსების გამოყენება, ბუნებრივი სიმდიდრეების აღსადგენად ღონისძიებების ჩატარება;
- მოთხოვნის ანალიზი: ეკოლოგიურად სუფთა საქონელზე მოთხოვნის ზრდა/შემცირება, მოსახლეობის გადახდისუნარიანობა;
- ეკოლოგიურად სუფთა საწარმოო პროცესების გამოყენება.

საწარმოს საერთო ანალიზთან და ეკონომიკური ფაქტორების ანალიზთან ერთად რეკომენდებულია საწარმოს ხელმძღვანელებმა ჩაატარონ კონკურენტების ანალიზი საკუთარი კონკურენტული ზღურბლის განსასაზღვრად კონკურენტი საწარმოების საქმიანობასთან შედარებით. აღნიშნული ანალიზის ფარგლებში აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- რა სტრატეგიებს მიმართავენ კონკურენტები და მათგან რომელი სტრატეგია არის უფრო წარმატებული?
- რა ეკოლოგიური მიზნები და ფასეულობები აქვთ კონკურენტებს?
- რა სტრატეგიებს უნდა ველოდეთ კონკურენტებისგან მომავალში?
- რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს?
- რა პრინციპებს ეყრდნობა კონკურენტების სტრატეგიები?
- რა ძლიერი მხარეები გააჩნიათ კონკურენტებს?
- რა სუსტი მხარეები გააჩნიათ კონკურენტებს?

ტექნოლოგიური ფაქტორების ანალიზი

ტექნოლოგიური პროგრესი ორმხრივ გავლენას ახდენს გარემოზე: ერთი მხრივ, იზრდება მავნე ზემოქმედება სამრეწველო საწარმოების ზრდის გამო გამონაბოლქვის მოცულობის გადიდების ხარჯზე, მეორე მხრივ კი ნარჩენების გადამამუშავებელი და გამონაბოლქვის გასუფთავების ტექნოლოგიების განვითარება, ეკოლოგიურად სუფთა საწარმოო პროცესების შექმნა პოზიტიურ ფაქტორს წარმოადგენს და ხელს უწყობს გარემოს შენარჩუნებას და გასუფთავებას.

ტექნოლოგიური ფაქტორების ანალიზისას საჭიროა შევაფასოთ ინვესტიციების მოცულობა ეკოტექნოლოგიების სფეროში პროექტებსა და კვლევებზე, ასევე ინფორმაციასთან წვდომა და სხვა საწარმოებთან გამოცდილებისა თუ ტექნოლოგიების გაზიარების შესაძლებლობა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მრავალი საწარმო დიდ წინააღმდეგობებს აწყდება ეკოლოგიური ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვისას, რადგან:

- არ გააჩნიათ მოტივაცია სუსტი ეკოლოგიური პოლიტიკის გამო;
- ეკოლოგიური ტექნოლოგიების შემუშავება ძვირი, სარისკოა და არ უწყობს ხელს მიზნის მიღწევას მოოკლევადიან პერიოდში;
- პრობლემებია ინფორმაციასთან წვდომის და სხვა საწარმოებთან გამოცდილების თუ ტექნოლოგიების გაზიარების კუთხით, განსაკუთრებით მცირე საწარმოებისათვის;
- არასაკმარისია საწარმოს შიდა რესურსები ეკო-ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვის, პერსონალის მომზადების, წარმოების გადაიარაღებისთვის და ა.შ.[4,გვ. 23]

ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემა (ემს) გახლავთ სისტემა და ორგანიზაციული სტრუქტურაა, რომელიც შეუძლია გამოიყენოს საწარმომ გარემოზე პროდუქციის, მომსახურებების, საწარმოო პროცესების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გავლენის განსასაზღვრად. გარე გარემოსთან კავშირის ხასიათის მიხედვით (მაგალითად, საწარმოს საქმიანობის ეკოლოგიური ასპექტებით დაინტერესებულ ყველა პირთან თუ მხარესთან) ემს ღია სისტემას წარმოადგენს. ეკოლოგიური მართვის ტრადიციული სისტემა, პირიქით, უპირატესად წარმოადგენს დახურულ სისტემას. ემს-ს ფუნქციონორებას საფუძვლად უდევს სპირალი, განმეორებადი ციკლი, რომელიც მიმართულია მთლიანად მენეჯმენტის სისტემის თანმიმდევრულ სრულყოფაზე. ემს-სათვის დამახასიათებელია მკაფიოდ გამოხატული უკუკავშირი, რომელიც პრაქტიკულად არ არსებობს ფორმალურ ეკოლოგიურ მართვაში.

ლიტერატურა

1. Calenbach E., Capra F., Goldman L. P., Marburg S. Ecomenegement.-San-Francisco. Better Kochler publishers, 1993.-187 p.
2. Hilson G, Pollution prevention and cleaner production in the mining industry an analysis ofcurrent issues // Journal of Cleaner Production.200, №8. P.I 19-126.
3. Peattie R. Green Marketing. – London: Pitman Publishing, 1992. – 284 p.
4. Utting P. Busiiness Responsibility for Sustainable Development. UNRISD. 2000 P. 67.
5. Zadec S. Exploring the Business Case. Ethical Coфoration, May, 2002, P.23

FACTOR CLASSIFICATION OF THE FIRM'S ENVIRONMENTAL STRATEGY

Abralava Anzor
Doctor of Economic Sciences, Professor
Georgian Technical University

Podiashvili David
Doctoral Student.
Georgian Technical University

Summary

To develop an effective environmental strategy, the firm must incorporate all environmental aspects into the overall planning and decision-making process. That's why, before developing corporate and functional environmental strategies, it is advisable inside (The strengths and weaknesses of the firm) and outside (Political, economic, social and technological) analysis of the impact of strategic factors.
The article introduces the use of adaptive PEST analysis for enterprise external environment analysis. It represents analysis of normative legal base and other political factors. Economic factors analysis; Analysis of social factors; Technological Factor Analysis.

keywords: *Ecological strategy, planning, Natural environment, Economic aspect, Technological factor, Analysis, Management, Corporate Policy.*

ფულის ღირებულების გავლენა პროექტის განხორციელების პროცესზე

ალიბეგაშვილი მანანა
თსუ-ის დოქტორანტი

მრავალ ქვეყანაში ფულის ღირებულების მნიშვნელობას (VfM) სახელმწიფო ორგანოები იყენებენ, როგორც გადაწყვეტილების მიღების საშუალებას, საჯარო ინვესტიციის ჭრილით. ეს გადაწყვეტილებები მრავალფეროვანია და თითოეული პროექტის მიხედვით მიიღება. მისი ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით ხდება მიწოდების საუკეთესო ვარიანტის იდენტიფიცირება. VfM-ი ხელმძღვანელობს და მხარს უჭერს გადაწყვეტილებებს საჯარო ინ-ფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისას საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) თუ სახელმწიფო შესყიდვების ეტაპზე. შესაბამისად VfM–ის მთავარ მიზანს წარმოადგენს დაიცვას ბალანსი ფასსა და სარგებელს შორის, რომელშიც ღირებულების ელემენტი წარმოადგენს პროექტის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯებს როგორც მიწოდების, ასევე პროექტის ასოცირებული რისკების მართვის ხარჯების ჩათვლით; ხოლო სარგებელი მოიცავს იმავე პერიოდის განმავლობაში მომსახურების ხარისხს, რაოდენობასა და შესრულების დონეს.

საკვანძო სიტყვები: *ფულის ღირებულება (VfM), ღირებულება და სარგებელი, შესყიდვები*

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისათვის გარდამავალი ეკონომიკური სივრცე და პერიოდი გულისხმობს ცენტრალიზებული გეგმური ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესს. გარდამავალი ეკონომიკის ინდიკატორები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს სტაბილიზაციას. სწორედ ეს ინდიკატორები განიხილება განვითარებადი ქვეყნის მიერ დასაძლევ ეტაპებად. ცენტრალიზებული ეკონომიკიდან დეცენტალიზებულ ვაჭრობაზე გადასვლამ ქვეყანაში არსებული კონკურენტული გარემო რადიკალურად შეცვალა, რაც ნიშნავს, რომ მაღალკონკურენტულ გარემოში კომპანიები ცდილობენ ბაზარზე მოიპოვონ სტრატეგიული უპირატესობა ფასისა და ხარისხის თანაფარდობით. თუმცა, განაპირობებს თუ არა დაბალი ფასი დაბალ ხარისხსაც, აღნიშნული ხშირად განხილვის/დისკუსიის საგანია.

ნახაზი 1

ფულის ღირებულების ეფექტურობის განმსაზღვრელი ოთხი კომპონენტი



როგორც მრავალი დარგისათვის, ასევე შესყიდვების პროცესის ერთ-ერთ კრიტიკულ ასპექტს სწორედ სათანადო ხარისხით უზრუნველყოფა წარმოადგენს. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ყურადღების ცენტრში ხშირად ექცევა „Value for Money“ ანუ ფულის ღირებულება და მისი რელევანტურობა სარგებელთან მიმართებაში, შესაბამისად, პროცესი გამომდინარეობს ყველა შესყიდვიდან ან დახარჯული თანხიდან. ფულის ღირებულება (VfM) ემყარება არა მხოლოდ მინიმალური შესყიდვის ფასს, ანუ ეკონომიას, არამედ შესყიდვის მაქსიმალურ ეფექტურობას (5, გვ. 11). მიუხედავად აღნიშნულისა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან განსხვავებით, სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციების პრიორიტეტს მაინც მინიმალური დანახარჯები წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ სატენდერო დოკუმენტაციით შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია განსაზღვროს სასურველი მაღალხარისხიანი საქონლისა და

მომსახურების მიღების ინდიკატორები, თუმცა საყურადღებოა, რომ სწორედ ამ დროს, შესაძლოა, დაირღვეს არადისკრიმინაციული და კონკურენტული გარემოს ფორმირებისათვის საჭირო მახასიათებლები. შესაბამისად, აღნიშნული ტექნიკური დოკუმენტაციის გაწერის დროს შემსყიდველ ორგანიზაციას დიდი სიფრთხილის გამოჩენა უწევს, რათა სამომავლოდ მისი ზედმეტად დეტალიზებული მოთხოვნები პოტენციური მომწოდებლებისა და დაინტერესებული მხარის მიერ დავის საგანი არ გახდეს.

ფულის ღირებულების (VfM) განმსაზღვრელი საკვანძო კომპონენტებია ღირებულებისა და ხარისხის კომბინაცია. თუმცა, ის მხოლოდ ამ კრიტერიუმით არ შემოიფარგლება (4, გვ. 7). ასევე მნიშვნელოვანია რისკის გამტარობა და შესყიდვის ობიექტის მთლიანი სასიცოცხლო ციკლის ღირებულება. პროექტის განხორციელების დროს უნდა გავითვალისწინოთ რისკის ღირებულება, მისი დაშვების შემთხვევაში ეს პროექტის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ასევე საყურადღებოა მთლიანი პროექტის სასიცოცხლო ციკლის ღირებულების შეფასება. სწორედ აღნიშნული ოთხი კომპონენტი განსაზღვრავს ფულის ღირებულების მაქსიმალურ ეფექტურობას (2, გვ. 2).

ფულის ღირებულების (VfM) განსაზღვრა ეფუძნება შედარების კონცეფციას, შესაბამისად, ცალკე აღებული „ფულის ღირებულება" ვერ იქნება შეფასებული როგორც დადებითი ან უარყოფითი, ის აუცილებელია შედარდეს რაიმე სხვა ვარიანტთან. ფულის ღირებულება (VfM) არის მეთოდოლოგია და ჩვენ ამ მეთოდოლოგიას განსხვავებულ დროს საჭიროების მიხედვით ვიყენებთ. თავდაპირველად ჩვენ მას პროექტის საწყისი ეტაპზე მივმართავთ, როდესაც გვსურს იდენტიფიცირება მოვახდინოთ პროექტის იმ ვარიანტებისა, რომლთა განხორციელებასაც ვაპირებთ.

სარგებლისა და ფასის კონცეპტუალური ურთიერთკავშირი წარმოდგენილია მე-2 ნახაზზე, რომელშიც სხვადასხვა ვარიანტი აღნიშნავს სარგებლისა და ღირებულების კომბინაციებს.

ნახაზი 2

სარგებლისა და ღირებულების კონცეპტუალური ურთიერთკავშირი



ვინაიდან I და II ვარიანტებს შესრულების მაჩვენებელი ერთნაირი აქვთ, ბუნებრივია, რომ მათი შედარება უნდა განხორციელდეს ღირებულების ინდიკატორის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, შესრულების მაჩვენებლის მიხედვით, 1-ლი ვარიანტი შეიძლება წარმოადგენდეს უკეთეს VfM-ს (დაბალი ღირებულება შესრულების შესადარებელი დონისთვის). III შემთხვევა ყველაზე იაფია არსებული მისაღები ვარიანტებიდან, მაგრამ ამ ვარიანტთან დაკავშირებული დაბალი შესრულების დონე მიგვითითებს, რომ ამ შემთხვევაში VfM სავარაუდოდ უარესი იქნება, ვიდრე I ან IV ვარიანტის არჩევის შემთხვევაში. ეს ასახავს VfM–ის მნიშვნელოვან მახასიათებელს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, იაფი ვარიანტი შეიძლება არ იყოს საუკეთესო. ვარიანტი 4 ასახავს VfM–ის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს იმ გაგებით, რომ იგი იღებს პროპორციულობას სარგებელსა და ღირებულებას შორის. ამრიგად, ვარიანტი 4 წარმოადგენს როგორც შესრულების, ასევე ღირებულებით უფრო მაღალ დონეს, ვიდრე 1-ლი ვარიანტი, რომელიც ასევე წარმოადგენდეს VfM-ს მნიშვნელოვან მახასიათებლებს. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღებმა სუბიექტმა უნდა გაითვალისწინოს ისეთი საკითხები, როგორებიცაა ნებისმიერი ტიპის

სარგებელი, შესრულების ოპტიმალური და მაქსიმალური დონე. ჩვეულებრივ, შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნა ან შესრულების დონე პროექტის განხორციელებისთვის. ამრიგად, ვარიანტი, რომელიც ამ დონის ქვემოთაა (ნახ.2, ვარიანტი 5), არ განიხილება, რადგან იგი არ აკმაყოფილებს შესრულების მინიმალურ მოთხოვნებს (მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაზე იაფია ყველა ვარიანტიდან). ასევე, შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს საბიუჯეტო ლიმიტი იმ ოდენობისთვის, რომელიც მას შეუძლია დახარჯოს პროექტის და მომსახურების გაწევისთვის. ვარიანტი 6, რომლის ხარჯების დონე ამ ზღვარს ზემოთ არის, შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი განსახილველად, თუმცა მიმზიდველია მისი შესრულების თვალსაზრისით. ეს ასევე ცხადყოფს მნიშვნელოვან განსხვავებას VfM-ის ვარიანტების იდენტიფიცირებასა და მისი ხელმისაწვდომობის შეფასებას შორის (4, გვ. 8).

ამდენად, VfM-ის შეფასება შესყიდვის პროცესის განუყოფელი ნაწილია და ის უნდა შესრულდეს პროექტის სხვადასხვა ეტაპზე, როგორც უშუალოდ მისი მომზადების, ასევე – განხორციელების დროს. პროექტის სასიცოცხლო ციკლში VfM შეფასების დრო და სიხშირე განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, საფრანგეთში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა VfM–ის შეფასებას პროექტის მომზადების ეტაპზე. დიდ ბრიტანეთში კი VfM–ის შეფასება უწყვეტი პროცესის ნაწილია და ის პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში მიმდინარეობს.

განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე კი მნიშვნელოვანია, რომ ფულის ღირებულება პროექტის თითოეულ ეტაპზე, მის განუყოფელ და ეფექტურობაზე ორიენტირებულ ნაწილად განვიხილოთ. VfM–ის შეფასების არსია, რომ ხელი შეუწყოს განვითარების შედეგების გაუმჯობესებას (1, გვ 5). ის დაფუძნებულია ფინანსური მენეჯმენტის სისტემაზე (3, გვ 8), რათა აკონტროლოს დანახარჯები, გააძლიეროს მონიტორინგის შედეგები და პროექტის რეზულტატი გაზომვადი გახადოს. VfM უზრუნველყოფს მაქსიმალური სარგებლის მიღებას შეზღუდული რესურსების პირობებში და ასაბუთებს შედეგზე ორიენტირებული და ხარისობრივი მაჩვენებლებით განპირობებული გადაწყვეტილების სიზუსტეს, რაც, თავის მხრივ, პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში მეტ სარგებელს იწვევს.

ლიტერატურა

1. Heider C., VALUE FOR MONEY, Washington DC, August 2018., *http://documents.worldbank.org/curated/en/*750111535725511425*/Value-for-Money*
2. Value for Money Achieving VfM in Investment Projects Financed by the World Bank, Washington DC, July 2016., *http://pubdocs.worldbank.org/en/*274711479159288956*/Guidance-on-VfM-FINAL.pdf*
3. THE FUTURE OF VFM, A consideration of the challenges and potential solutions for improving its measurement and application, January 2017., *https://www.lampdevelopment.org/wp-content/uploads/*2017/01*/LAMP-VFM-Thought-Piece-FINAL.pdf*
4. European Investment Bank, Value for Money Assessment Review of approaches and key concepts, March 2015., *https://www.eib.org/en/publications/epec-value-for-money-assessment.htm*
5. Ministry of Finance, JAPAN, MULTILATERAL DEVELOPMENT BANKS' FINAL REPORT ON VALUE FOR MONEY, May 2018., *https://www.mof.go.jp/english/international_policy/convention/g*20*/annex*4-4*.pdf*

THE IMPACT OF VALUE FOR MONEY ON PROJECT IMPLEMENTATION PROCESS

Alibegashvili Manana
PhD student,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

In many countries the Value for Money (VfM) is used by public authorities as a decision making tool in the context of public investment. These solutions are varied and can be tailored to each project. Its technical characteristics identify the best delivery option. VfM guides and supports decisions on the implementation of a public infrastructure project at the stage of Public-Private Partnership (PPP) or Public Procurement. Accordingly, the VfM's primary goal is to maintain a balance between cost and benefit. Where the cost element represents the costs incurred during the project, including delivery and associated project risk management costs. And, the benefits include quality, quantity and level of performance over the same period.

Keywords: *Value for Money (VfM); Cost and benefit; Purchases.*

მონეტარული პოლიტიკა კვაზიწრფივ მაკროეკონომიკურ მოდელში

ანანიაშვილი იური
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პროფესორი
ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი

სტატიაში შემოთავაზებულია მაკროეკონომიკური წონასწორობის ორიგინალური მოდელი, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული 7 განტოლებისგან შედგება. მათგან 5 განტოლება აღწერს შუალედური პროდუქტის, საბოლოო პროდუქტის, შრომის, კაპიტალისა და ფულის აგრეგირებული ბაზრების წონასწორობას, ორი კი დაბალანსებული ფასების დონეების ფორმირების პროცესს გამოსახავს. ნაჩვენებია, რომ თუ საბოლოო პროდუქტზე მოთხოვნის ფუნქციაში ამხსნელ ცვლადად არ გაითვალისწინება საპროცენტო განაკვეთი, მაშინ ფული ეკონომიკაში აბსოლუტურად ნეიტრალურია; საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინების შემთხვევაში კი ფულის მასის ზრდა ხელს უწყობს როგორც ნომინალური, ასევე რეალური ცვლადების მნიშვნელობათა ზრდას.

საკვანძო სიტყვები: *შუალედური პროდუქტი, საბოლოო პროდუქტი, ფასების დონე, ნომინალური ხელფასი, ენდოგენური ცვლადები.*

1. მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელი სტრუქტურული ფორმით

თანამედროვე მაკროეკონომიკაში ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისთვის სხვადასხვა მოდელი გამოიყენება [1-9]. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ეკონომიკის სტრუქტურის აღწერის წესით, ენდოგენური და ეგზოგენური ცვლადების შემადგენლობით, დაშვებათა სისტემით, აგრეგირების ხარისხით, კონკრეტული მაკროეკონომიკური პრობლემის განხილვის სიღრმით და ა.შ. წინამდებარე სტატიაში შემოთავაზებული და გაანალიზებულია მოდელის ერთ-ერთი ასეთი ვარიანტი, რომლის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ აგრეგირებულ საბოლოო პროდუქტთან ერთად აღწერს შუალედური პროდუქტის წარმოებისა და განაწილების მაკროეკონომიკურ ასპექტებს.

მოდელი ერთმანეთთან დაკავშირებული ოთხი პირობითი ბლოკისგან შედგება. მათგან სამი სხვადასხვა ბაზრის (პროდუქტებისა და მომსახურების, შრომისა და კაპიტალის და ფულის) წონასწორობის განტოლებებით აღიწერება, ერთი ბლოკი კი მაკროეკონომიკური წონასწორობის შესაბამისი ფასების დონეების განსაზღვრისთვის გამოიყენება. მოკლედ დავახასიათოთ ეს ბლოკები. დავიწყოთ პირველი ბლოკის განხილვით, რომელიც აერთიანებს მთლიანი გამოშვების ორი აგრეგირებული შემადგენლის – შუალედური პროდუქტის და საბოლოო პროდუქტის _ აგრეგირებულ ბაზრებს. თუ Z-ითa და Y-ით აღვნიშნავთ შესაბამისად შუალედური და საბოლოო პროდუქტების წარმოების მოცულობებს, მაშინ თითოეული მათგანის წარმოება-განაწილების (მიწოდება-მოთხოვნის) წონასწორობის განტოლება შემდეგი სახით შეიძლება ჩავწეროთ:

$$Z = a_z Z + a_y Y, \ (1)$$

$$Y = \overline{Y}(P_y, r) + \widetilde{Y}, \ (2)$$

სადაც a_z და a_y კოეფიციენტები გამოსახავენ ინდექსის შესაბამისი პროდუქტის ერთეულის საწარმოებლად საჭირო შუალედური პროდუქტის რაოდენობას; r საპროცენტო განაკვეთია; P_y საბოლოო პროდუქტების ფასების დონეა.

მოყვანილი სისტემის თითოეული განტოლების მარცხენა მხარეში წარმოდგენილი ცვლადი აღნიშნავს შესაბამისი პროდუქტის მიწოდების სიდიდეს, მარჯვენა მხარე კი შეესაბამება ამ პროდუქტზე მოთხოვნას. როგორც (1) გვიჩვენებს, შუალედურ პროდუქტზე პირდაპირი მოთხოვნის სიდიდე დამოკიდებულია საბოლო (Y) და შუალედური(Z) პროდუქტების წარმოების მოცულობაზე. განსხვავებულად განისაზღვრება საბოლოო პროდუქტზე მოთხოვნა. ჩვენი ვუშვებთ, რომ მას ორი შემადგენელი აქვს. ერთი მათგანი ავტონომიურ მოთხოვნას წარმოადგენს და (2) განტოლებაში ეს შემადგენელი აღნიშნულია $\widetilde{Y}$ ცვლადით. შემდეგში $\widetilde{Y}$-ის ქვეშ ძირითადად ვიგულისხმებთ საბოლოო პროდუქტის რაოდენობას, რომელიც მიემართება სახელმწიფო ინვესტიციებსა და სახელმწიფო მოხმარებაზე. მოთხოვნის მეორე შემადგენელი (2)-ში წამოდგენილია

$\overline{Y}(P_y, r)$ ფუნქციის სახით. ეს უკანასკნელი ეფუძნება ეკონომიკურ თეორიაში ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საბოლოო პროდუქტზე მოთხონის მნიშვნელოვანი ნაწილი უარყოფითად არის დამოკიდებული ფასების შესაბამის P_y დონეზე და საპროცენტო განაკვეთზე, r-ზე [3, 4, 6,7].

მოდელის მეორე ბლოკი მოიცავს ფასების წონასწორული დონეების ფორმირების განტოლებებს. აქაც ორი განტოლებაა წარმოდგენილი – თითოეულ განხილულ აგრეგირებულ პროდუქტს თავისი ფასების დონე შეესაბამება, რომელიც შემდეგი სახით განისაზღვრება:

$$P_z = P_z a_z + l_z \omega + f_z \nu + \eta_z, \ (3)$$

$$P_y = P_z a_y + l_y \omega + f_y \nu + \eta_y. \ (4)$$

ამ სისტემაში P_z აღნიშნავს შუალედურ პროდუქტთა ფასების დონეს. $P_z a_z$ და $P_z a_y$ შესაბამისად არის შუალედურ და საბოლოო პროდუქტთა ერთეულებზე დახარჯულ შუალედურ პროდუქტთა ღირებულების სიდიდე; $l_j \omega$ არის $j(j = z, y)$ პროდუქტის ერთეულში შრომის ანაზღაურების სიდიდე (განისაზღვრება ნომინალური ხელფასის, ω -ს, პროდუქტის შრომატევადობაზე, l_j-ზე, გამრავლებით); $f_j \nu$ – jპროდუქტის ერთეულში კაპიტალის კუთვნილი ანაზღაურების სიდიდე (განისაზღვრება კაპიტალის გაქირავების ნომინალური ფასის, ν-ს, პროდუქტის კაპიტალტევადობაზე, f_j -ზე, გამრავლებით); η_j – j პროდუქტის ფასების დონეში დანარჩენი შემადგენელი ელემენტების ერთობლიობა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია არაპირდაპირი გადასახადების აგრეგირებული ნორმატივი. η_j -ს პირობითად არაპირდაპირი გადასახადების აგრეგირებულ ნორმატივს ვუწოდებთ.

(3)-(4)-ს ფასების დონეების სტრუქტურულ განტოლებათა სისტემა ეწოდება [10]. როგორც ამ სისტემიდან გამომდინარეობს, აგრეგირებული პროდუქტების ფასების დონეების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნომინალური ხელფასი, ω , და კაპიტალის გაქირავების ნომინალური ფასი, ν. თავის მხრივ, ამ მაჩვენებლების დადგენა, როგორც წესი, ხდება შრომისა და კაპიტალის ბაზრებზე. მოდელის მესამე ბლოკში ამ ბაზრების წონასწორობის დასახასიათებლად შემდეგი ორი განტოლება განიხილება:

$$l_z Z + l_y Y = L(\overline{\omega}), \ (5)$$

$$f_z Z + f_y Y = K(\overline{\nu}) \ . \ (6)$$

ზემოთ უკვე მივუთითეთ, რომ l_j აღნიშნავს პროდუქტის შრომატევადობას, ხოლო f_j _ კაპიტალტევადობას. ამ გარემოების გათვალისწინებთ ადვილად შევნიშნავთ, რომ მოყვანილი განტოლებებიდან (5) შეესაბამება შრომის ბაზარს, (6) _ კაპიტალის ბაზარს. ორივე მათგანის მარცხენა მხარე გამოსახავს მოთხოვნას შესაბამის ფაქტორზე, ამასთან იგულისხმება, რომ როგორც შრომაზე, ასევე კაპიტალზე მოთხოვნის სიდიდე პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული პროდუქტების გამოშვების მოცულობაზე.

განტოლებების მარჯვენა მხარეში მდგარი $L(\overline{\omega})$ -ით აღნიშნულია შრომის მიწოდების ფუნქცია, $\Phi(\overline{\nu})$ -ით – კაპიტალის მიწოდების ფუნქცია. ვგულისხმობთ, რომ ორივე ზრდადი ფუნქციაა, ოღონდ პირველი მათგანი რეალური ხელფასის, $\overline{\omega}$ -ს, მიმართ, მეორე კი კაპიტალის გაქირავების რეალური ფასის, $\overline{\nu}$-ს, მიმართ: $(\partial L/\partial \overline{\omega}) > 0$, $(\partial \Phi/\partial \overline{\nu}) > 0$. თავის მხრივ, $\overline{\omega}$ და $\overline{\nu}$ ჩვენს შემთხვევაში შემდეგი სახით განისაზღვრება: $\overline{\omega} = \omega/P_y$, $\overline{\nu} = \nu/P_y$.

მოდელის ბოლო, მეოთხე ბლოკი ეკონომიკის ზოგადი წონასწორობის ფორმირების პროცესში ფულის ბაზრის როლის შესწავლას ემსხურება. აღსანიშნავია, რომ მაკროეკონომიკურ მოდელებში ამ ბაზრის დასახასიათებლად ხშირად ფულის რაოდენობრივი განტოლება გამოიყენება, რომელიც, სიმარტივის მიუხედავად, საკმარისად რეალისტურ სურათს იძლევა . აქ წარმოდგენილ მოდელშიც ფულის ბაზარი ფულის რაოდენობრივი განტოლებით აღიწერება:

$$P_z Z + P_y Y = V(r) M, \ (7)$$

სადაც M აღნიშნავს მიმქცევაში არსებულ ფულის მასას; $V(r)$ ფულის ბრუნვის სიჩქარეა ეკონომიკის მთლიან შიგა ბრუნვაში. ჩანაწერი $V(r)$ ნიშნავს, რომ V დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთის, r-ის, სიდიდეზე და ამ უკანასკნელის ზრდადი ფუნქციაა: $(\partial V/\partial r) > 0$. (7)-ის თანახმად, ფულზე მთლიან ტრანზაქციული მოთხოვნას (განტოლების მარცხენა მხარე) სრულად შეესაბამება ფულის მიწოდება (მარჯვენა მხარე).

(1)-(7) მოდელი შეიცავს განტოლებათა და უცნობთა ერთი და იგივე რიცხვს _ 7-ს. ამასთან, მოდელის ენდოგენურ ცვლადებს წარმოადგენს $Z, Y, P_z, P_y, \omega, \nu, r$. როცა მოყვანილ განტოლებათა

სისტემას ეგზოგენური $\tilde{Y}$, η_z, η_y, M მახასიათებლებისა და L, K და V ფუნქციებისთვის არაუარყოფითი ამონახსნი გააჩნია, ვამბობთ, რომ ადგილი აქვს საერთო წონასწორობას. ეს ნიშნავს, რომ ხელფასის, ω-ს, კაპიტალის გაქირავების ფასის, ν-ს, და საპროცენტო განაკვეთის, r-ის, გარკვეული მნიშვნელობებისთვის ეკონომიკაში ყალიბდება ფასების დონის ისეთი სისტემა, რომლისთვისაც დაბალანსებულია როგორც შუალედური და საბოლოო მოხმარების საქონელთა ბაზრები, ასევე შრომის, კაპიტალისა და ფულის ბაზრები. საერთო წონასწორობის დარღვევა და ახალ წონასწორობაში გადასვლა შეიძლება გამოიწვიოს ეგზოგენური $\tilde{Y}$, η_z, η_y, M მახასიათებლებიდან ნებისმიერის ან ყველა მათგანის ცვლილებამ. როგორც წესი, $\tilde{Y}$, η_z, η_y მახასიათებლების მიზნმიმართული ცვლილება ხდება ფისკალური პოლიტიკის რეალიზაციისას, ხოლო M-ის ცვლილება მონეტარული პოლიტიკის გატარებას უკავშირდება. მოცემულ სტატიაში ჩვენ განვიხილავთ შემთხვევას, როდესაც ცენტრალური ბანკი მიზანმიმართულად ზრდის ან ამცირებს ფულის მასას, M-ს.

2. მაკროეკონომიკური მოდელი მოთხოვნისა და მიწოდების წრფივი ფუნქციებით

გარდავქმნათ (1)-(7) მოდელის კონსტრუქცია ისეთნაირად, რომ უფრო მეტად ხელმისაწვდომი გავხადოთ იგი თეორიული ანალიზისა და პრაქტიკული გაანგარიშების ჩატარებისათვის. ასეთი გარდაქმნა, პირველ რიგში, გულისხმობს მოდელში შემავალი $L(\bar{\omega})$, $K(\bar{\nu})$ და $\bar{Y}(P_y, r)$ ფუნქციების დაზუსტებას.

დავიწყოთ შრომისა და კაპიტალის მიწოდების $L(\bar{\omega})$ და $K(\bar{\nu})$ ფუნქციების განხილვით. დასაწყისში ვაჩვენოთ, რომ ეს ფუნქციები მთლიანად განისაზღვრება ω-სა და ν-ს მნიშვნელობებით. ამ მიზნით დავუბრუნდეთ ფასების დონეების (3)-(4) განტოლებებს და შემდეგი სახით გარდავქმნათ ისინი ((3) განტოლება ამოვხსენით P_z-ის მიმართ და მიღებული მნიშვნელობა ჩავსვათ (4) განტოლებაში):

$$P_z = \alpha_z\omega + \beta_z\nu + \gamma_z \quad (8)$$

$$P_y = \alpha_y\omega + \beta_y\nu + \gamma_y, \quad (9)$$

სადაც α_j, β_j, γ_j დადებითი სიდიდეებია, რომელთაგან პირველს შეიძლება ვუწოდოთ j $(j = z, y)$ სახეობის პროდუქტის ერთეულის წარმოებაზე შრომის სრული დანახარჯები, მეორეს – კაპიტალის სრული დანახარჯები, მესამეს – j სახეობის პროდუქტის ერთეულის წარმოებაზე დარიცხული სრული არაპირდაპირი გადასახადები. P_y-ის აქ მოყვანილი მნიშვნელობის გავითვალისწინებთ $L(\bar{\omega})$ და $K(\bar{\nu})$ ფუნქციები შეიძლება შემდეგი სახთ ჩავწეროთ:

$$L(\bar{\omega}) = L\left(\frac{\omega}{P_y}\right) = L\left(\frac{\omega}{\alpha_y\omega + \beta_y\nu + \gamma_y}\right), K(\bar{\nu}) = K\left(\frac{\nu}{P_y}\right) = K\left(\frac{\nu}{\alpha_y\omega + \beta_y\nu + \gamma_y}\right).$$

სტატიაში [11] ამ ფუნქციების თვისებების დახასიათებისას ნაჩვენებია, რომ ზოგადად L წარმოადგენს ნომინალური ხელფასის, ω-ს, ზრდად და კაპიტალის გაქირავების ნომინალური ფასის, ν-ს, კლებად ფუნქციას, ხოლო K პირიქით, ν-ს ზრდადი და ω-ს კლებადი ფუნქციაა. კერძო შემთხვევაში ამ თვისებებს აკმაყოფილებენ, მაგალითად, წრფივი ფუნქციები:

$$L(\bar{\omega}) = b_{L\omega}\omega - d_{L\nu}\nu + c_L, \quad (10)$$

$$K(\bar{\nu}) = -b_{K\omega}\omega + d_{K\nu}\nu + c_K, \quad (11)$$

რომლებშიც არაუარყოფითი c_L და c_K სიდიდეები, პირობითად, შეიძლება განვიხილოთ შესაბამისად შრომისა და კაპიტალის ავტონომიურ (ანუ ω-სა და ν-სგან დამოუკიდებულ) მიწოდების მნიშვნელობებად, ხოლო $b_{L\omega}$, $d_{L\nu}$, $b_{K\omega}$ და $d_{K\nu}$ დადებითი პარამეტრები გვიჩვენებენ თუ როგორ აისახება L-ისა და K-ს მნიშვნელობაზე ω-სა და ν-ს მცირე ერთეულით ცვლილებები.

წრფივი სახით წარმოვადგინოთ, აგრეთვე, (2) გამოსახულებაში შემავალი მოთხოვნის $\bar{Y}(P_y, r)$ ფუქცია:

$$\bar{Y}(P_y, r) = Y^0 - h_yP_y - s_yr, \quad (12)$$

სადაც Y^0 აღნიშნავს საბოლოო პროდუქტზე არაავტონომიური მოთხოვნის მაქსიმალურად დასაშვებ მნიშვნელობას; დადებითი h და s პარამეტრები გამოსახავენ საბოლოო პროდუქტზე არაავტონომიური მოთხოვნის ცვლილებას, რომელსაც განაპირობებს ფასების დონისა და საპროცენტო განაკვეთის მცირე ერთეულებით ზრდა.

(12) ფუნქციისა და ფასების დონეების (8)-(9) განტოლებების გათვალისწინებით შუალედურ და საბოლოო პროდუქტთა ბაზრების წონასწორობის (1)-(2) განტოლებები შეიძლება შემდეგი სახით ჩავწეროთ:

$$Z = \left(\tilde{Z} + Z^0\right) - \rho_z\omega - \mu_z\omega - s_z r - \xi_z, \ (13)$$

$$Y = \left(\tilde{Y} + Y^0\right) - \rho_y\omega - \mu_y\omega - s_y r - \xi_y, \ (14)$$

სადაც $\left(\tilde{Z} + Z^0\right) = (1 - a_z)a_y\left(\tilde{Y} + Y^0\right)$ გამოსახავს შუალედურ პროდუქტთა გამოშვების იმ აუცილებელ მნიშვნელობას, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ეკონომიკამ შესძლოს საბოლოო პროდუქტის $\left(\tilde{Y} + Y^0\right)$ რაოდენობით წარმოება. (13)-(14)-ში შემავალი დანარჩენი არაუარყოფითი პარამეტრები კი შემდეგნაირად განისაზღვრება: $\rho_y = h_y\alpha_y$, $\mu_y = h_y\beta_y$, $\xi_y = h_y\gamma_y$, $\rho_z = (1 - a_z)a_y\rho_y$, $\mu_z = (1 - a_z)a_y\mu_y$, $s_z = (1 - a_z)a_y s_y$, $\xi_z = (1 - a_z)a_y\xi_y$.

(8)-(9),(13)-(14), ფორმულებიდან გამომდინარეობს, რომ ω-ს, ν-სა და r-ის მნიშვნელობების მოცემულობისას უპრობლემოდ შეიძლება მივიღებთ P_z, P_y, Z, Y მახასიათებლები, რომელთაგანაც ფასების დონეები დადებითია ნებისმიერი დადებითი ω-სა და ν-სთვის, ხოლო Z, Y მოცულობები კი დადებითი შეიძლება იყოს ω-ს, ν-სა და r-ის მხოლოდ გარკვეული მნიშვნელობებისთვის. ცხადია, თუ ასეთი ω, ν და r არსებობს, მათი განსაზღვრისათვის შეიძლება ვისარგებლოთ შრომის, კაპიტალის და ფულის ბაზრების (5)-(7) განტოლებებით. ამ უკანასკნელთაგან შრომისა და კაპიტალის ბაზრების წონასწორობის (5)-(6) განტოლებებში თუ გავითვალისწინებთ $L(\bar{\omega})$ და $K(\bar{\nu})$ ფუნქციების მნიშვნელობებს (11)-(12)-დან, ასევე Z-ისა და Y-ის მნიშვნელობებს (13)-(14)-დან, და მოვახდენთ შესაბამის ფორმალურ გარდაქმნებს, ω-სა და ν მიმართ მივიღებთ შემდეგ მატრიცულ გამოსახულებას:

$$\begin{pmatrix}\omega\\ \nu\end{pmatrix} = \begin{pmatrix}(b_{L\omega} + \lambda_{L\omega}) & -(d_{L\nu} - \lambda_{L\nu})\\ -(b_{K\omega} - \lambda_{K\omega}) & (d_{K\nu} + \lambda_{K\nu})\end{pmatrix}^{-1}\left[\begin{pmatrix}\tilde{L} + L^0 - \lambda_{L\xi} - c_L\\ \tilde{K} + K^0 - \lambda_{K\xi} - c_K\end{pmatrix} - \begin{pmatrix}\lambda_{Lr}r\\ \lambda_{Kr}r\end{pmatrix}\right], \ (15)$$

სადაც $(\tilde{L} + L^0)$ არის შრომაზე, ხოლო $(\tilde{K} + K^0)$ – კაპიტალზე შესაძლო სრული მოთხოვნა, რომელიც იარსებებს იმ შემთხვევაში, თუკი შუალედურ და საბოლოო პროდუქტთა წარმოების მოცულობები განსაზღვრული იქნება $\left(\tilde{Z} + Z^0\right)$ და $\left(\tilde{Y} + Y^0\right)$ მნიშვნელობების დონეზე:

$$\left(\tilde{L} + L^0\right) = l_z\left(\tilde{Z} + Z^0\right) + l_y\left(\tilde{Y} + Y^0\right); \ \left(\tilde{K} + K^0\right) = f_z\left(\tilde{Z} + Z^0\right) + f_y\left(\tilde{Y} + Y^0\right).$$

რაც შეეხება არაუარყოფით λ_{Lj} და λ_{Kj} პარამეტრებს, ისინი, მაგალითად, შრომის ბაზრის შესაბამის L ინდექსისთვის შემდეგი სახით განისაზღვრება:

$$\lambda_{L\omega} = l_z\rho_z + l_y\rho_y; \ \lambda_{L\nu} = l_z\mu_z + l_y\mu_y; \ \lambda_{L\xi} = l_z\xi_z + l_y\xi_y; \ \lambda_{Lr} = l_z s_z + l_y s_y.$$

თუ ამ ფორმულებში შემავალ შრომატევადობის l კოეფიციენტებს ჩავანაცვლებთ კაპიტალ-ტევადობის შესაბამისი f კოეფიციენტებით, მივიღებთ λ_{Kj} პარამეტრებს.

შემოთავაზებული მოდელის სტრუქტურა და ზემოთ ჩატარებული გარდაქმნები საშუალებას იძ-ლევა ზოგადი წოასწორობის შესაბამისი ენდოგენური ცვლადების განსაზღვრის პროცედურა დავყოთ ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე საპროცენტო განაკვეთი r განვიხილოთ ნულის ტოლ მნიშვნელობად და ამ სიტუაციისთვის (15),(8)-(9),(13)-(14) განტოლებებიდან ω, ν, P_z, P_y, Z,Y ცვლადების მიღებული მნიშვნელობები აღვნიშნოთ როგორც ω^*, ν^*, P_z^*, P_y^*, Z^*,Y^*. პირობითად ამ მნიშვნელობებს ვუწოდოთ *გამარტივებული მოდელის ამონახსნი,* ხოლო მოდელს, რომელშიც $r = 0$-ს, ვუწოდოთ *გამარტივებული მოდელი.* მეორე ეტაპისთვის გამარტივებული მოდელის ამონახსნი ω^*, ν^*, P_z^*, P_y^*, Z^*,Y^* მოცემულად ჩავთვალოთ და თავიდან განვიხილოთ *მოდელის სრული ვარიანტი,* რომელის შემადგენლობაშიც გარდაქმნილ (15),(8)-(9),(13)-(14) განტოლებებთან ერთად შედის ფულის ბაზრის წონასწორობის (7) განტოლება. ადვილად შევნიშნავთ, რომ მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელის სრული ვარიანტის ყველა საძიებელი ω, ν, P_z, P_y, Z, Y ცვლადი შეიძლება გამოვსახეთ გამარტივებული ვარიანტის შესაბამისი ცვლადისა და საპროცენტო განაკვეთის საშუალებით. კერძოდ, მართებულია შემდეგი ფორმულები:

$$\omega = \omega^* - \pi_{\omega r}r, \ \nu = \nu^* - \pi_{\nu r}r; \ (16)$$

$$P_z = P_z^* - \delta_{zr}r, \ P_y = P_y^* - \delta_{yr}r; \ (17)$$

$$Z = Z^* - \sigma_{zr}r, \ Y = Y^* - \sigma_{yr}r, \ (18)$$

სადაც $\pi_{\omega r}$, $\pi_{\nu r}$, δ_{zr} , δ_{yr} , σ_{zr} , σ_{yr} დადებითი პარამეტრებია, რომლებიც მიიღება (15),(8)-(9),(13)-(14) განტოლებებში შემავალი პარამეტრებისა და კოფიციენტების გარკვეული კომბინაციით. მაგალითად, $\pi_{\omega r}$ და $\pi_{\nu r}$ პარამეტრების განსაზღვრა ხდება (15)-ში მოცემული შებრუნებული მატრიცის გამრავლებით λ_{Lr} და λ_{Kr} კოეფიციენტებისგან შემდგარ ვექ-ტორ-სვეტზე.

აქ მოყვანილი (16)-(17) ფორმულები ორ საინტერესო გარემოებაზე მიგვანიშნებს. პირველი, განხილული მოდელის თანახმად, როგორც გამოშვების Z, Y მოცულობები, ასევე ფასების P_z და P_y დონეები, ω -სა და ν-სთან ერთად, დამოკიდებული არიან საპროცენტო განაკვეთზე და მაქსიმალურ მნიშვნელობებს აღწევენ ნულოვანი r-ის შემთხვევაში: სხვა თანაბარ პირობებში r-ის ზრდა განაპირობებს ყველა ამ ცვლადის მნიშვნელობის შემცირებას. მეორე, (16)-(17) გვიჩვენებს, რომ თუ გვეცოდინება r-ის მნიშვნელობა, ადვილად დავადგენთ სრული მოდელის ყველა სხვა ენდოგენური ცვლადის მნიშვნელობას.

თავის მხრივ, საპროცენტო განაკვეთის, r-ის განსაზღვრისათვის საკმარისია განვიხილოთ ფულის ბაზრის წონასწორობის (7) განტოლება და გავითვალისწინოთ მასში P_z , P_y , Z , Y ცვლადების მნიშვნელობები (17) და (18) გამოსახულებებიდან. გვექნება:

$$(P_z^* - \delta_{zr}r)(Z^* - \sigma_{zr}r) + \left(P_y^* - \delta_{yr}r\right)(Y^* - \sigma_{yr}r) = V(r)M. \quad (19)$$

მარტივი გარდაქმნებით ეს განტოლება შემდეგ სახეზე დაიყვანება:

$$g_1r^2 - g_2r + g_3 = V(r)M, \quad (20)$$

სადაც g_1, g_2 და g_3 დადებითი რიცხვებია: $g_1 = \delta_{zr}\sigma_{zr} + \delta_{yr}\sigma_{yr}$; $g_2 = (P_z^*\sigma_{zr} + P_y^*\sigma_{yr}) + (Z^*\delta_{zr} + Y^*\delta_{yr})$; $g_3 = P_z^*Z^* + P_y^*Y^*$.

ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ფულის ბრუნვის სიჩქარის V(r) ფუნქცია, ეკონომიკური შინაარსიდან გამომდინარე, აკმაყოფილებს პირობებს: $V(r) > 0$ და $(\partial V/\partial r) > 0$ [7]. მაშასადამე, თუ მოცემული M-სთვის (20) განტოლებას ამონახსნი გააჩნია, იგი გრაფიკულად შეიძლება მოვძებნოთ ისე, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ.1-ზე. ამ ნახაზზე წარმოდგენილი ორი r_1 და r_2 ამონახსნიდან ეკონომიკურად დასაშვები და ნორმალური სიტუ-აციის შესაბამისია მხოლოდ ერთი, r_1. ამას ადვილად დავასაბუთებთ, თუ გავითვალისწინებთ ორ გარემოებას. ერთი რომ V(r)M ფუნქცია დამოკიდებულია M -ზე და ეს დამოკიდებულება მოყვანილ ნახაზზე M-ის ცვლილებისას გამოისახება V(r)M-ის გრაფიკის შესაბამის გადაად-გილებაში. მეორე, პრაქტიკაში და თეორიაში კარგად ცნობილია ის ფაქტი, რომ, ნორმალურ პირობებში საპროცენტო განაკვეთი ფულის მასის გადიდებისას მცირდება, ხოლო შემცირებისას იზრდება. თუ ჩვენს ნახაზს დავაკვირდებით შევნიშნავთ, რომ M-ის გადიდებისას r_2 ამონახსნი იზრდება, ხოლო r_1 კი მცირდება. მაშასადამე, r_2-ის და M-ის კავშირი არ შეესაბამება ემპირიუ-ლად და თეორიულად დასაბუთებულ ფაქტს, ამიტომ r_2 ამონახსნი ეკონომიკურად დასაშვებს არ წარმოადგენს.



ნახ. 1.

ნახ. 1 კიდევ ერთ საინტერესო მომენტზე მიგვანიშნებს. კერძოდ, (20) განტოლების ეკონომიკურად დასაშვები r_1 ამონახსნის არსებობისათვის აუცილებელია, რომ მოცემული

M-სთვის შესრულდეს უტოლობა $g_3 > V(0)M$.

შემდეგში ვიგულისხმებთ, რომ (20) განტოლებას გააჩნია r_1 -ის ტიპის ამონახსნი და მისი მიღება შესაძლებელია.

3. მონეტარული პოლიტიკა

შემოთავაზებული მოდელის პირობებში ეკონომიკაზე მონეტარული ზემოქმედების ღონისძიებათა სისტემა ძირითადად რეალიზდება ფულის მასის, M-ის, ცვლილებით. რომ დავადგინოთ ამ ცვლილების გავლენა მოდელის ენდოგენურ ცვლადებზე, საკმარისია განვსაზღვროთ დამოკიდებულება, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, ფულის მასას, M-სა და, მეორე მხრივ, ω -სა და ν-ს შორის.

ერთ-ერთი მთავარი შედეგი, რაც მოდელის ანალიზიდან გამომდინარეობს, არის ის, რომ ნულოვანი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში (მოდელის გამარტივებულ ვარიანტში) ω და ν სიდიდეები დამოკიდებული არ არიან არც ფულის მასაზე, M-ზე, და არც ფულის ბრუნვის სიჩქარეზე, V-ზე. თავის მხრივ, ეს ნიშნავს, რომ V-სა და M-ზე დამოკიდებული არ არიან, აგრეთვე, ფასების დონეებისა და შუალედურ და საბოლოო პროდუქტების ცვლადები. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. კერძოდ, თუ საბოლოო პროდუქტებზე მოთხოვნის (2) ფუნქციის არაავტონომიური ნაწილი განისაზღვრება მხოლოდ ფასების დონეზე დამოკიდებულებით, მაშინ ფული ეკონომიკაში აბსოლუტურად ნეიტრალურია და მონეტარულ პოლიტიკას არ შეუძლია გავლენა იქონიოს არც ფასების დონეზე და არც გამოშვების მოცულობაზე. როგორც (7) განტოლებიდან გამომდინარეობს, ასეთ სიტუაციაში ეკონომიკაში ფულის მასის სიჭარბე ან უკმარისობა აისახება მხოლოდ ფულის ბრუნვის სიჩქარეზე: სხვა თანაბარ პირობებში ფულის მასის სიჭარბე იწვევს V-ს შემცირებას, ხოლო ნაკლებობა — V-ს გადიდებას.

ზოგადი წონასწორობის მოდელის გაფართოვებული ვარიანტის განხილვამ გვიჩვენა, რომ ფასებისა და გამოშვების მნიშვნელობები, აგრეთვე, ფაქტორების ფასები დამოკიდებული არიან r -ის მნიშვნელობაზე. თავის მხრივ, r -ის სიდიდეზე გავლენას ახდენს M -ის მნიშვნელობა. მაშასადამე, მონეტარულმა პოლიტიკამ შეიძლება აქტიური როლი ითამაშოს ეკონომიკის წონასწორობის ერთი მდგომარეობიდან სხვა მდგომარეობაში გადასვლაში.

მართლაც, დავუშვათ, რომ ეკონომიკა ფულის მოცემული M მასისთვის იმყოფება წონასწორობაში და გაზარდა M-ის მნიშვნელობა რაიმე ΔM სიდიდით. ვნახოთ, თუ რა შედეგი მოჰყვება ასეთ ღონისძიებას. ამ მიზნით დავუბრუნდეთ ნახ. 1-ს. აშკარაა, რომ M-ის გადიდება გამოიწვევს $\psi_2 = V(r)M$ ფუნქციის მრუდის ზემოთ გადაადგილებას და მივიღებთ ფულის ბაზრის წონასწორობის განმსაზღვრელ ახალ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც საწყის მნიშვნელობაზე ნაკლები იქნება. და რადგანაც, (16)-(18)) ფორმულებიდან გამომდინარე, მოდელის ყველა სხვა დანარჩენი ω, ν, P_z, P_y, Z,Y ცვლადი უარყოფითადაა დამოკიდებული r-ზე, ამიტომ აღნიშნული ცვლილება გამოიწვევს ყველა მათგანის მნიშვნელობის გადიდებას. მაშასადამე, წარმოდგენილი მოდელის სრული ვარიანტის მიხედვით, ფულის მასის ზრდა ეკონომიკაში ხელს უწყობს როგორც ნომინალური ω, ν, P_z, P_y, ისევე რეალური Z,Y ცვლადების ზრდას. ერთადერთი ცვლადი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში r-თან ერთად შემცირდება, ეს არის ფულის ბრუნვის სიჩქარე $V(r)$.

ცხადია, რომ საწინააღმდეგო ცვლილებებს ექნება ადგილი ფულის მასის შემცირებისას.

ლიტერატურა

1. Welfe, W. Macroeconometric Models. Advanced Studies in Theoretical and Applied Econometrics. Berlin Heidelberg, Springer-Verlag. 2013.- 425.
2. Sergent, T. Macroeconomic Theory. New York:Academic Press. 1987. -404.
3. Turnovsky, S. Methods of Macroeconomic Dynamics. Cambridge, Mass.,The MIT Press, 1995.-687.
4. Смирнов А. Д. Лекции по макроэкономическому моделированию. Москва, ГУ ВШЭ, 2000.-351.
5. Уикенс, М. Макроэкономическая теория: подход динамического общего равновесия. (Перевод с английского). Москва, Дело, 2015. – 736.

6. Уильямсон, Стивен Д. Макроэкономика. (Перевод с английского). М. Дело. 2018. -960.
7. Сакс Джефри Д., Ларрен Фелипе Б. Макроэкономика.Глобальный подход. М. Дело. 1996.-848.
8. Romer, D. Advanced Macroeconomics. 4th ed. New York: McGraw-Hill, 2012. -716.
9. Ananiashvili, I. and Papava, V. Laffer-Keynesian Synthesis and Macroeconomic Equilibrum. New York: Nova Science Publishers, 2014.-106.
10. ანანიაშვილი ი., აჩელაშვილი კ., მესხია ი., პაპავა ვ., სილაგაძე ა., წერეთელი გ. მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები. თბილისი, მეცნიერება, 2003.-740.
11. Ananiashvili I. Dependence of Aggregate Supply on the Main Factors Prices of Production. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences. Vol. 12, no. 1, 2018.

MONETARY POLITICS IN QUASI- LINEAR MACROECONOMIC MODEL

Ananiashvili Iuri
Doctor of Economic Sciences, Professor
Head of Econometrics Department
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

In this article we introduce an original model of macroeconomic equilibrium that consists of 7 interconnected equations. The five equations out of the seven, describe equilibrium of aggregate markets of intermediate goods, final goods, labour, capital and money. The remaining two equations depict the process of formation of equilibrium price level. In the paper it is shown that if an interest rate is not accounted for as an explanatory variable in a demand function for final goods, then money is absolutely neutral in economy. When interest rate is accounted for, then growth of money supply contributes to the growth of the values of nominal as well as real variables.

Keywords: *intermediate goods; final goods; price level; nominal wage; endogenous variables.*

ინოვაციური მეწარმეობის როლი მცირე და საშუალო ბიზნესში და ალტერნატიული ენერგეტიკის პოტენციალი საქართველოში

ბაბუნაშვილი თეიმურაზ
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი პროფესორი

ნაშრომში განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციური მეწარმეობის როლი და მნიშვნელობა, ამ სეგმენტში საქართველოს ჩართულობა მისი ეკონომიკური პოტენციალიდან გამომდინარე, მოყვანილია შედარებები უცხოური გამოცდილებებისა და იქაური მეწარმე სუბიექტების მონაწილეობაზე მცირე და საშუალო ბიზნესში, ასევე ყურადღება გამახვილებულია საქართველოს მნიშვნელობაზე ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებზე და იმ ალტერნატიულ ენერგეტიკულ პოტენციალზე, რომელიც გააჩნია საქართველოს მისი ენერგორესურსების სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: *ინოვაცია, ალტერნატივა, ინვესტიცია, რეფორმა, ბიზნესგარემო.*

მსოფლიოში მიმდინარე ურთულესი გლობალიზაციის პირობებში რთულია ბიზნესის განხორციელება და შენარჩუნება სწორი მენეჯმენტის განხორციელების გარეშე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მუშაობს ხელშემშლელი ფაქტორები, განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ინოვაციურ პროცესებს, რომელმაც უდიდესი როლი უნდა შეასრულოს მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციური მეწარმეობის დამკვიდრებაზე, რამეთუ თანამედროვე ეკონომიკაში ამ პროცესის გარეშე, შეიძლება ითქვას, პრობლემები შეექმნება ბიზნესსექტორს.

ევროკავშირის შემადგენლობაში შემავალ განვითარებულ ქვეყნებში არსებულ მცირე და საშუალო საწარმოების მთლიან საწარმოო პოტენციალში მათ სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტი უკავიათ და ამასთან ერთად ასაქმებენ ყოველი 3 სამუშაო ადგილიდან 2-ს კერძო სექტორში, ასევე უზრუნველყოფენ სიახლეების რეალიზების თითქმის ნახევარს. აღსანიშნავია, რომ მცირე ფირმები სიახლეებს გაცილებით სწრაფად ნერგავენ, ვიდრე მსხვილი ორგანიზაციები, რასაც სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ჩვენს საწარმოებზე. 2014 წელს 4000-მდე მცირე საწარმოდან მხოლოდ 3% ეწეოდა ინოვაციურ საქმიანობას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და საშუალოდ ქმნიან მშპ-ის 2/3-ს [1].

განვითარებადი და გარდამავალი ტიპის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი წილი მშპ-ში ზოგადად საკმაოდ დაბალია _ ხშირ შემთხვევაში, 20%-ზე ნაკლები [1].

მსოფლიო ბანკის 2013 წლის ივნისში გამოქვეყნებული რეპორტის „ინოვაციების ხელშეწყობა საქართველოში“ თანახმად, საქართველოს კომპანიები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში აქტიურად გამოიყენებენ ინოვაციებს, უფრო სწრაფად ვითარდებიან და 30%-ით მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან, ვიდრე არაინოვაციური კომპანიები [2].

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, გაუმჯობესდა ქვეყნის საინვესტიციო და ბიზნესგარემო – მნიშვნელოვნად შემცირდა ადმინისტრაციული ბარიერები და გაუმჯობესდა სახელმწიფო სერვისები. ფორბსის „Tax Misery and Reform Index“-ის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში საგადასახადო ტვირთის სიმცირის მიხედვით მე-4 ქვეყანაა ყატარის, არაბთა გაერთიანებული საამიროების და ჰონგ-კონგის შემდეგ. ამჟამად, საქართველოში მოქმედებს 6 გადასახადი, ნაცვლად 2006 წლამდე არსებული 21-ისა. ასევე, საგარეო ვაჭრობის მიმართულებით იმპორტის ტარიფები გაუქმდა პროდუქტების დაახლოებით 85%-ზე და ამჟამად მოქმედებს მხოლოდ 3 სატარიფო განაკვეთი (12%, 5% და 0%), ნაცვლად ადრე მოქმედი 16-ისა. არ არსებობს იმპორტისა და ექსპორტის რაოდენობრივი შზღუდვები (ქვოტები). 2014 წლიდან ვაჭრობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხორციელდება ტარიფების გარეშე, აგრეთვე 2005 წლიდან ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა დაახლოებით 90%-ით შემცირდა და ამჟამად გამოიყენება მხოლოდ მაღალრისკიანი წარმოებისა და მომსახურების გაწევისას [3].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გაუმჯობესდა სამეწარმეო გარემო, მაინც რჩება რიგი პრობლემა. მაგალითად, საწარმოები აწყდებიან სირთულეებს ბიზნესის დახურვასთან დაკავ-

შირებით, რაც აღნიშნულია „ბიზნესის კეთების“ საერთაშორისო რეიტინგებშიც. საწარმოს ლიკვიდაციის მიხედვით, რომელიც აღნიშნული ინდექსის მე-10 პილარით არის გათვალისწინებული, საქართველო 106 პოზიციას იკავებს.

ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, საწარმოების ნაწილი, რომელიც აღარ ფუნქციონირებს, ფორმალურად ვერ ახერხებს საწარმოების დახურვას და წარმოდგენილია ბიზნესის რეესტრში. უფრო მარტივია ახალი საწარმოს დაფუძნება, ვიდრე არსებულის დახურვა, რაც არაზუსტს ხდის რეალურ სურათს, ვინაიდან მოქმედი საწარმოების რაოდენობა რეალურად არ ემთხვევა რეესტრში არსებული საწარმოების რაოდენობას.

2016 წელს მოქმედი საწარმოთა რიცხვი 70 760-ს შეადგენდა, საიდანაც 6170 იყო საშუალო, ხოლო 60 640 – მცირე. შესაბამისად, მოქმედი საწარმოების 94% (9% საშუალო, 85% მცირე) მცირე და საშუალო საწარმოები იყო [3]

2006-2016 წლებში, მცირე და საშუალო საწარმოების ბრუნვა 269%-ით გაიზარდა – 2,4 მლრდ ლარიდან 9 მლრდ ლარამდე. ამავე პერიოდში, გამოშვებამ 269,7%-ით მოიმატა – 1,4 მლრდ ლარიდან 5,2 მლრდ ლარამდე. თბილისზე მოდის ბრუნვის (71,8%) და გამოშვების (64,6%) უმსხვილესი წილი [3].

2006-2016 წლები მცირე და საშუალო საწარმოების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების წილი საწარმოთა მთლიან დამატებულ ღირებულებაში იცვლებოდა, თუმცა არ აღემატებოდა 20%-ს, გარდა 2011 და 2014 წლებისა, როდესაც ამ მაჩვენებელმა შეადგინა შესაბამისად 21,8% და 21,1%. დამატებული ღირებულების უდიდესი წილი (71,1%) შექმნილია თბილისში [3].

მცირე და საშუალო საწარმოების წილი მშპ-ში არის მცირე (18%), რითაც დასტურდება, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობა ჯერ კიდევ ვერ თამაშობს მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ეკონომიკაში [3].

2016 წელს, მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსში, საქართველო, აღმოსავლეთ პარტნიორობის (EAP) ქვეყნებთან ერთად (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, უკარინა), ევროპის მცირე ბიზნესის აქტის (SBA) საფუძველზე, შეფასდა 10 პრინციპის მიხედვით და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, 12 კომპონენტიდან 7-ში, უმაღლესი ქულა მიიღო, რაც განაპირობა გატარებულმა ცვილებებმა სხვადასხვა მიმართულებით (მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური პოლიტიკა და გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საკითხები [3].

საქართველოში, 2017 წლიდან, საგადასახადო რეფორმების განხორციელების მიზნით, დაინერგა მოგების გადასახადის „ესტონური მოდელი“ – მეწარმეები არ გადაიხდიან მოგების გადასახადს, თუ კომპანიის შემოსავლების რეინვესტირებას მოახდენენ.

საგადასახადო რეფორმის მიზანია ბიზნესის (განსაკუთრებით ინოვაციური საქმიანობის) დაწყებისა და განვითარების ხელშეწყობა, რაც გრძელვადიან პერიოდში ქყეყნის ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ ერთგვარი სრულყოფისა და შევსების მიზნით, საქართველოს მთავრობამ გაატარა დროული და უმნიშვნელოვანესი რეფორმა, რომლის მთავარი ამოცანა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მცირე და საშუალო ბიზნესის წილის ზრდაა.

რეფორმა ძალაში 2018 წლის ივლისიდან შევიდა, რომლის არსია შემდეგი – თუ რეფორმამდე მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭებოდა მეწარმეს, რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 100 000 ლარს არ აღემატებოდა, ხოლო შემოსავალი 5%-ით იბეგრებოდა, ცვლილების შედეგად მცირე ბიზნესის სტატუსი 500 000 ლარამდე ბრუნვის საწარმოსაც მიენიჭა, რომლის წლიური ბრნვა უკვე 1%-ით დაიბეგრება. ანუ დაგეგმილი რეფორმით 120 000-მდე მეწარმე ისარგებლებს, ნაცვლად საქართველოში დღესდღეობით დარეგისტრირებული 60 000 მეწარმისა.

მსოფლიოში არსებული ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენება ჯანსაღი გარემოს შენარჩუნების წინაპირობაა, ენერგოეფექტიანობა კი 21-ე საუკუნის განვითარებული საზოგადოების მთავარი ნიშანია, გზაა კომფორტისა და კეთილდღეობისაკენ.

XX საუკუნეში წიაღისეული რესურსების ამოწურვის საფრთხის გათვალისწინებით, სერიოზულად დაიწყეს ფიქრი ენერგიის ეფექტიანად გამოყენებაზე.

ენერგოეფექტიანობის 2 ძირითადი მიდგომა არსებობს – ენერგოდაზოგვა და ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიები. ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიები ისეთი მაღალეფექტიანი მოწყობილობებია, რომლებიც იგივე მომსახურების/პროდუქტის საწარმოებლად ნაკლებ ენერგიას მოიხმარს.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს კვლევები, ენერგიის დაზოგვის თუ რა პოტენციალი არსებობს ენერგოეფექტიანი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში. მაგალითად, აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის ცნობით, დაახლოებით, 90 მლრდ კვტ.სთ ენერგიის დაზოგვა არის შესაძლებელი მხოლოდ შენობებში, წლიურად, ხოლო სხვადასხვა სექტორებში, ენერგოეფექტიან

ღონისძიებებში 520 მლრდ დოლარის ინვესტიციის შემთხვევაში, 1,2 ტრლნ დოლარის ღირებულე-ბის ენერგიის დაზოგვა იქნება შესაძლებელი 2020 წლამდე [4].

საქართველოში საცხოვრებელი სახლის გათბობას 2-3-ჯერ მეტი ენერგია სჭირდება, ვიდრე ასეთივე კლიმატურ პირობებში მდგარი სახლის გათბობას დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. ეს იმიტომ, რომ არც ძველ და არც ახალ შენობებში არ არის გათვალისწინებული შენობების ენერგეტიკული მაჩვენებლები. შესაბამისად, საქართველოში ენერგიის დაზოგვის მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს, არა მარტო შენობებში არამედ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებშიც.

ევროკავშირის 2010 წელს მიღებული 2020 წლისათვის სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ენერგომოხმარების 20%-ით შემცირება 1990 წელთან შედარებით. ამ პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, თითოეული ოჯახის ფინანსური დანაზოგი 1000 ევროს შეადგენს წლიურად, გაიზრდება ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა, შეიქმნება დაახლოებით, 2 მლნ სამუშაო ადგილი და 740 მლნ ტონით შემცირდება ნახშირორჟანგის გაფრქვევა [4].

საქართველოში არსებული ალტერნატიული ენერგიის მდიდარი პოტენციალი ათვისების ხელშეწყობის მიზნით, ქვეყნის მთავრობამ შეიმუშავა საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის თანახმადაც, რეგულირდება ელექტროსადგურების მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის პროცედურები. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ამტკიცებს და ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხას. ინტერესთა გამოხატვა ცხადდება მხოლოდ ამ ნუსხაში შემავალ პროექტებზე.

საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის შესაბამისად სამინისტროს პრიორიტეტია განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის წყაროების უპირატესი ათვისებისა და ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. ამ მიზნით 2008 წელს შემუშვდა სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“, რომელიც წარმატებით ხორციელდება.

საქართველოში 13 წარმოების ლიცენზიანტი და 25 მცირე სიმძლავრის ჰესი ფუნქციონირებს. აქედან მხოლოდ შპს „ენგურჰესი“ და შპს „ვარდნილჰესი“ რჩება სახელმწიფო საკუთრებაში. ქვეყნის ჯამური დადგმული სიმძლავრე 3300 მგვტ-მდეა, ხოლო საშუალო წლიური გამომუშავება – 10 მლრდ კვტ/საათი. ელექტროენერგიაზე შიდა მოთხოვნის 90%-ის დაკმაყოფილება არსებული ჰესებით ხდება. ახალი ჰესების ექსპლუატაციაში შეყვანის შემდეგ ეს მაჩვენებელი 100%-მდე გაიზრდება [5].

საქართველოს გააჩნია ქარის ენერგიის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომლის საშუალო წლიური რაოდენობა 4 მლრდ კვტ.სთ-მდე არის შეფასებული.

ქარის ენერგეტიკული ბუნებრივი პოტენციალის მიხედვით, საქართველოს ტერიტორია დაყოფილია ოთხ ზონად [5].

1. მაღალი სიჩქარეების ზონა – სამხრეთ საქართველოს მთიანეთი, კახაბერის ვაკე და კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი. სამუშო პერიოდის ხანგრძლივობა 5000 სთ-ზე მეტია წელიწადში.
2. ნაწილობრივ მაღალსიჩქარიანი და დაბალსიჩქარიანი ზონა – მტკვრის ხეობა მცხეთიდან რუსთავამდე, ჯავახეთის სამხრეთი ნაწილი, შავი ზღვის სანაპირო ზოლი ფოთიდან კახაბერის ვაკემდე. სამუშაო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს წელიდაში 4500-5000 სთ-ს.
3. დაბალსიჩქარიანი ქედების ეფექტიანი ექსპლუატაციის ზონა – გაგრის ქედი, კოლხეთის დაბლობი და აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობები.
4. დაბალსიჩქარიანი ქედების შეზღუდული გამოყენების ზონა – იორის ზეგანი და სიონის წყალსაცავი.
5. ქვეყნის ტერიტორიის დანარჩენი ნაწილის ქედები ქარის ელექტროსადგურების ექსპლუა-ტაციისათვის არ გამოდგება.

ქარის ენერგეტიკას ამჟამად გააჩნია ყველაზე კონკურენტუნარიანი ენერგეტიკული ტექნო-ლოგია. მეცნიერთა შეფასებით, ქარის ელექტროსადგურების წილი მსოფლიო ენერგეტიკაში 2025 წლისათვის 10%-ს მიაღწევს.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს საქართველოში (ქართლში) ქარის პირველი ელექტროსადგური აშენდა, რომლის სიმძლავრე 20,7 მგვტ-ია. გამომუშავებული ენერგია 20 000 აბონენტს ეყოფა. წლიურად გამომუშავებული 88 მლნ. კვტ. საათი ენერგია მთლიანად საქართველოში დარჩება და ზამთარში შეამცირებს ელექტროენერგიის იმპორტს. ქარის ელ. სადგურების პოტენციალი საქართველოში 2 მგვტ-ია. მიმდინარეობს დამატებით 300 მეგავატის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოები. პროექტის ღირებულებამ 34 მლნ. დოლარი შეადგინა.

ქართლის ქარის ელექტროსადგური 2016 წლის განახლებადი ენერგიის პროექტების საუკეთესო გარიგებად დასახელდა EMEA Finance-ს მიერ.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, მზის ეფექტიანი და

ხანგრძლივი გამოსხივება საკმაოდ მაღალია. ქვეყნის უმეტეს რაიონებში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 250-დან 280 დღემდე მერყეობს, რაც წელიწადში დღის ხანგრძლივობის მიხედვით, დაახლოებით 1900-2200 საათია. საქართველოს ტერიტორიაზე მზის წლიური ჯამური რადიაცია რეგიონების მიხედვით მერყეობს 1250-1800 კვტ.სთ/მ2 დიაპაზონში, ხოლო მზის საშუალო რადიაცია უტოლდება 4,2 კვტ.სთ/მ2 დღეში. მზის ენერგიის სრული წლიური პოტენციალი საქართველოში შეფასებულია 108 მვტ-ით, რაც წლიურად 34 ათასი ტ. პირობითი სათბობის ეკვივალენტურია.

როგორც წესი, სიმძლავრეების ათვისება წარმოებს მდინარის ჩამონადენის რეჟიმით მომუშავე დერივაციული ტიპის ჰიდროენერგეტიკული დანადგარებით და საქართველოში მიღებული კლასიფიკაციით, მიეკუთვნება მცირე ჰიდროელექტროსადგურებს.

როგორც ქვეყნის მდინარეების ოროგრაფიული მახასიათებლების ანალიზი გვიჩვენებს, ბევრ დიდ და საშუალო მდინარის ცალკეულ უბანზე შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ჰიდროენერგეტიკული დანადგარის აგება, რომლის სიმძლავრე 10 მგვტ-ს არ აღემატება, ან პირიქით, ბევრ პატარა მდინარეზეა შესაძლებელი აიგოს ისეთი ჰიდროენერგეტიკული დანადგარი, რომლის სიმძლავრეც ბევრად გადააჭარბებს 10 მგვტ-ს. აქედან გამომდინარე, შესწავლილ უნდა იქნეს ნებისმიერი მდინარის ყველა ცალკეული უბანი და ქვეყნის მდინარეების მცირე ჰიდროენერგეტიკული ტექნიკური პოტენციალი დადგინდეს მხოლოდ 10 მგვტ-მდე სიმძლავრის მქონე უბნების სიმძლავრეების შეჯამებით [5].

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ თანამდეროვე საზოგადოებაში ენერგოეფექტიანობისა და ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარება მდგრადი ენერგეტიკული სისტემის საფუძველია. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მიმართულებით მაქსიმსლურად უნდა იქნეს ათვისებული საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალი და იმავდროულად ვიზრუნოთ წარმოების სხვადასხვა დარგში ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების ინტენსიურ გამოყენებაზე. რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო მეწარმეობაში ინოვაციური პროექტების შემოტანას და განხორციელებას.

ლიტერატურა

1. "ევროკომისია 2010"; დიალოგი „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკაზე", აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში;
2. *https://gita.gov.ge*
3. "საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლ."
4. *http://weg.ge/sites/default/files/energiisganaxlebadicqaroebi.pdf*
5. *http://www/energy.gov.ge/investor.php?idpages=15&lang=geo*

THE ROLE OF INNOVATIVE ENTREPRENEURSHIP IN SMALL AND MEDIUM-SIZED BUSINESS AND THE POTENTIAL OF ALTERNATIVE ENERGY IN GEORGIA

Babunashvili Teimuraz

Doctor of Economic Sciences,
professor

Summary

The article focuses on the role and importance of innovative entrepreneurship in SMEs, trade relations with EU countries, state support for business development and streamlining tax regulations.
In addition, the article discusses the development of energy efficiency measures and investment policies in Georgia.

Keywords*: innovation, alternative, investment, reform, business environment.*

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში

ბერიშვილი ხათუნა
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

სტატიაში გაანალიზებულია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება გლობალიზაციის ფაქტორების ზემოქმედებით. XX საუკუნეში მსოფლიო მეურნეობაში განვითარდა საერთაშორისო ვაჭრობის ტრადიციული ფორმა, რომელზეც არსებითი ზეგავლენა იქონია ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა: შრომის საერთაშორისო დანაწილება, ტნკ-ს საქმიანობა, ლიბერალიზაცია და სხვა.

თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის ფაქტორები სრულიად სხვაგვარად ახდენს გავლენას მსოფლიო ვაჭრობაზე, რაც გამოიხატა მის ვირტუალიზაციაზე. ჩნდება საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის სრულიად ახალი ტექნოლოგიები, რამაც საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებში გავლენა მოახდინა ახალი ვალუტის წარმოქმნაზე, ცვლილებები ხდება ღირებულებათა გლობალურ ჯაჭვში, ყალიბდება საერთაშორისო ვაჭრობის ახალი არქიტექტურა, რომელიც დაკავშირებულია ინტერნეტ-ვაჭრობასთან. უახლოეს მომავალში ყოველივე ეს მიგვიყვანს სავაჭრო პოლიტიკის ცვლილებამდე, მისი ახალი მიმართულების – „საერთაშორისო ვაჭრობის ინტერლიბერალიზაციის“ წარმოშობამდე.

საკვანძო სიტყვები: *საერთაშორისო ვაჭრობა, ინტერნეტვაჭრობა, გლობალიზაცია, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ინოვაციები, ინტერლიბერალიზაცია.*

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს გლობალიზაციის პროცესი, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ხასიათდება ახალი ტენდენციებით. იცვლება ამ ურთიერთობათა შინაარსი, გლობალიზაციის ფაქტორების გავლენით ჩნდება მათი ახალი ტენდენციები. ამ რეალობიდან გამომდინარე, საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა უნდა განიხილებოდეს მსოფლიოში ჩამოყალიბებული ახალი რეალობის გათვალისწინებით.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების საწყის ეტაპზე, მის მდგრად განვითარებაზე გავლენას ახდენდა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: შრომის საერთაშორისო დანაწილება, წარმოების ინტერნაციონალიზაცია, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაცია [5]. ამან, ხელი შეუწყო საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, მისი სასაქონლო და გეოგრაფიული სტრუქტურის ცვლილებას (ცხრილი 1).

ცხრილი 1

საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის დინამიკა, მლრდ. დოლ. [10]

რეგიონი	**წელი**							
	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
ექსპორტი								
მსოფლიო	2050,1	3495,7	6452,3	10502,5	15302,1	18496,7	18954,8	19003,7
განვითარებადი ქვეყნები	606,3	853,1	2069,5	3108,0	6538,4	8224,3	8434,2	8385,6
გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები	85,5	117,4	148,6	343,9	607,1	821,7	806,9	753,7
განვითარებული ქვეყნები	1355,3	2535,2	4233,2	6330,7	8254,6	9459,8	9712,8	9744,5

იმპორტი								
მსოფლიო	2081,0	3607,3	6654,6	10787,6	15440,5	18641,7	18949,5	18977,4
განვითარებადი ქვეყნები	501,4	799,6	1918,0	3424,3	6020,1	7673,9	7989,3	7953,7
გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები	83,6	140,2	91,8	240,2	453,6	614,6	626,1	562,9
განვითარებული ქვეყნები	1505,0	2679,5	4654,7	7113,2	8946,9	10333,3	10344,2	10470,8

როგორც ცხრილიდან ჩანს, საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა ცხრაჯერ. ამავე დროს განვითარებადი ქვეყნები ზრდიდნენ თავიანთ ხვედრით წილს მსოფლიო ვაჭრობაში. კერძოდ, მათი ექსპორტი გაიზარდა 13-ჯერ, ხოლო იმპორტი 15-ჯერ. წამყვანი ექსპორტიორების სიაში მტკიცე პოზიციები უკავიათ, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებს, ამ მხრივ გამორჩეულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

რაც შეეხება ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურას, აქ საერთაშორისო სავაჭრო კლასიფიკაციაში თავდაპირველად ცალკეული კომპონენტები და ნაწილები არ იყო გამოყოფილი სასაქონლო ჯგუფებად. 2017 წელს კლასიფიკაცია გადაიხედა, გაფართოვდა ნაკეთობების, ნაწილებისა და კომპონენტების სია. 2018 წელს ნახევარფაბრიკატების, ნაწილებისა და კომპონენტების წილმა შეადგინა მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 50%.

ამრიგად, აშკარაა საერთაშორისო ვაჭრობის სასაქონლო და გეოგრაფიული სტრუქტურების ცვლილების დინამიკა. ამასთან, მნიშვნელოვანია იმ ტრანსფორმაციის ანალიზი, რომელიც გლობალიზაციის შედეგად მიმდინარეობს საერთაშორისო ვაჭრობაში.

მეცნიერულ ლიტერატურაში ტერმინი „გლობალიზაცია“ პირველად მოხსენიებულია ტ. ლევიტის სტატიაში „ბაზრების გლობალიზაცია“, სადაც მან აღწერა საერთაშორისო კორპორაციების მიერ წარმოებული ცალკეული პროდუქტების ბაზრების შერწყმის ფენომენი [1, გვ. 45; 9]. ტერმინ „გლობალიზაციას“ იყენებდა რ. რობერტსონი. 1990 წელს ჰარვარდის ბიზნესის სკოლის კონსულტანტმა კენიჩი ომაემ გამოაქვეყნა წიგნი „მსოფლიო საზღვრებს გარეშე“, სადაც ის აღნიშნავს, რომ მსოფლიოში მიმდინარე ყველა ბიზნესპროცესი ემორჩილება გლობალურ საბაზრო სივრცეს, ხოლო ძირითადი სუბიექტების როლში გამოდიან ტნკ-ბი [1, გვ. 46; 9]. თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის ცნება გამოიყენება სხვადასხვა მეცნიერებაში. კერძოდ: სოციოლოგიაში, კულტუროლოგიაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში, ეკონომიკურ მეცნიერებებში და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც უცხოელი, ასევე სამამულო ავტორები გლობალიზაციას ახასიათებენ ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: კომუნიკაციების ერთიანი სისტემის განვითარება, საგარეო-ეკონომიკური კავშირების ლიბერალიზაცია, ტეკ-ების საქმიანობის აქტივაცია, კაპიტალის ტრანსეროვნული მოცულობისა და ინტენსივობის ზრდა და სხვა.

გლობალიზაციის შედეგად საერთაშორისო ვაჭრობის ტრანსფორმაცია

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება უნდა განიხილებოდეს ახალი – გლობალიზაციის პირობების შესაბამისად, რაც არსებითად ცვლის მის არსს. ეს უკვე არამარტო „ყიდვა-გაყიდვა“, არამედ მიკრო და მაკროდონის ყველა ელემენტის ხარისხობრივი ურთიერთქმედებაა, დაწყებული მიმწოდებლებით, მომხმარებლებით და დამთავრებული საერთაშორისო ორგანიზაციებით.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობაზე, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციაა. აღნიშნული ფაქტორის ზემოქმედებით განვიხილოთ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ზოგიერთი ტენდენცია.

სამეცნიერო – ტექნიკური რევოლუცია, როგორც გლობალიზაციის ობიექტური ფაქტორი, ვლინდება იმით, რომ იდეები, ინფორმაცია და ცოდნა ხდება ყიდვა-გაყიდვის საგანი. საქონლის ღირებულების დიდი ნაწილი დამოკიდებულია ინოვაციებისა და კვლევების მოცულობაზე. მეცნიერებატევადი პროდუქციის საერთაშორისო სავაჭრო ნაკადები მუდმივად იზრდება, მაგრამ ქვეყნების მიხედვით ასეთი პროდუქტებით ვაჭრობა არათანაბრად ნაწილდება. ზოგიერთი მათგანი დიდი მოცულობით ახდენს მაღალი და საშუალო ტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტს.

მეტი ყურადღება ეთმობა ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც ვლინდება საერთაშორისო საქმიანი ოპერაციების მონაცემების გადაცემისა და გაცვლის გლობალური ელექტრონული ქსელების გამოყენებაში. ინტერნეტი ხელს უწყობდა კომერციული ურთიერთობების დიაპაზონის გაფართოებას, ელექტრონული კომერცია საშუალებას აძლევს კომპანიებს უფრო ეფექტიანად და მოქნილად განახორციელონ ტრანსმოსაზღვრე ოპერაციები, უფრო სწრაფად მოახდინონ რეაგირება შემკვეთების მოთხოვნებსა და მოლოდინებზე [4, გვ 105].

საერთაშორისო ინტერნეტ-ვაჭრობაში გამოჩნდა და გამოიყენება მობილური დანართები. 2013 წელს მობილური დანართების ბაზრის მოცულობამ შეადგინა 25 მლრდ. დოლარი, ისინი შესაძლებლობას აძლევენ მომხმარებელს განახორციელონ შესყიდვები ადგილმდებარეობის, სოციალური სტატუსისაგან დამოუკიდებლად. მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა 37%-დან 2015 წელს, 42,1%-მდე 2018 წელს. ჩინეთში ინტერნეტმყიდველების რაოდენობა აღწევს 220 მლნ ადამიანს, ხოლო ბაზრის მოცულობა 186 მლრდ დოლარია, აშშ-ში – 186,2 მლრდ. დოლარია. პლანშეტების მფლობელების 45%, სმარტფონების 23%, ყიდვა-გაყიდვას ახორციელებს ინტერნეტით. ევროპის მოსახლეობის 43% ვაჭრობს ონლაინ აპლიკაციებით [6].

"See now, Buy now" ტექნოლოგიის დანერგვა საშუალებას აძლევს მომხმარებელს დანართი Instagram – ის საშუალებით შეიძინოს საქონელი. საიტ Instagram – ში შედის 600 მლნ. მომხმარებელი. იზრდება ინტერნეტ-დანართების საშუალებით მომსახურების გაყიდვების მოცულობა. შესაბამისად, იზრდება ინტერნეტ-დანართების: Airbnb, Aviasales მოგება.

საერთაშორისო ვაჭრობაში ტენდენციების განვითარება იწვევს ცვლილებებს საერთაშორისო ანგარიშსწორებაში. ასე, კომპანია Amazon – მა გამოუშვა საკუთარი ვალუტა, რომელიც გამოიყენება დანართებში Amazon App Store.

გლობალურ მასშტაბში „ბიტკოინების" სისტემა ხდება პოპულარული საგადასახადო საშუალება. ბიტკოინის უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ მათ აქვთ ანონიმურობის მაღალი დონე, რაც მიმზიდველია მომხმარებლისთვის. აგრეთვე, ბიტკოინის უპირატესობა – გარიგების დრო და ღირებულებაა. მისი გამოყენების საფასური გაცილებით დაბალია, ვიდრე ბანკების ან შუამავლების საშუალებით ფულადი და საბანკო გადარიცხვის შემთხვევაში.

თანამედროვე ინტერნეტი ცვლის ურთიერთობას მომხმარებელს, მწარმოებელსა და გამყიდველს შორის, გაჰყავს ისინი უფრო მაღალი ხარისხის დონეზე. თუ ადრე საქონლის რეალიზაციის მნიშვნელოვანი კრიტერიუმები იყო ფასი და ხარისხი, ამჟამად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის ელექტრონული ვაჭრობის ოპერაციების გლობალური მოცულობა (B2C) 2017 წელს ფასდებოდა 1,2 ტრლნ. დოლარად. თუმცა ის ჯერ კიდევ გაცილებით ნაკლებია B2B-ზე. სწრაფად იზრდება ელექტრონული ვაჭრობა B2C სეგმენტში განვითარებად ქვეყნებში, კერძოდ აზიასა და აფრიკაში. ჩინეთი უკვე გახდა B2C ელექტრონული ვაჭრობის უმსხვილესი გლობალური ბაზარი-როგორც ქსელური მყიდველების, ისე შემოსავლის ოდენობით. ოფლაინ-მაღაზიები მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად ცვლიან თავიანთ სერვისს უმსხვილესი ინტერნეტ-რიტეილერების სერვისის დონის შესაბამისად (Amazon, E-bay). უმსხვილეს საცალო რიტეილერს Walmart გააჩნია თავისი ინტერნეტ-მაღაზია, აგრეთვე საცალო მაღაზიების ქსელი მთელ მსოფლიოში. მსოფლიო ბაზრებზე გლობალური პოზიციების შესანარჩუნებლად ბიზნესი მიჰყვება ახალ ტენდენციებს, ქმნის მომხმარებლების მოლოდინის მაქსიმალურად შესაბამის მოთხოვნას. მსხვილი კომპანიები იყენებენ ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგიას.

ელექტრონული ვაჭრობა ახდენს ბაზრის ახლებურად ფორმატირებას. მაგალითად, ხდება არსებული მაღაზიების სულ უფრო მეტად ადაპტირება ფასების გამჭვირვალობისა და კონკურენციის ზრდისადმი, ინტერნეტით გასაღების ახალი არხების შეთავაზებით, ახალ მოწყობილობასა და მომსახურებაში ინვესტირებით, ახალი პროფესიების სპეციალისტების მოზიდვით და საკუთარი საქმიანი სტრატეგიების გადახედვით. ქსელურ გაყიდვებზე გადასვლა არ არის მარტივი ამოცანა, საცალო ვაჭრობის მსოფლიო წამყვანი კომპანიებიც აწყდებიან სიძნელეებს მთელი რიგი საკითხების გადაჭრაში [7, გვ.59].

ღირებულების გლობალურ ჯაჭვში კომპანიების ჩაბმის კონცეფცია

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია ღირებულების გლობალურ ჯაჭვში მრავალი კომპანიის ჩაბმის კონცეფცია. კონცეფციის არსია ის, რომ პროდუქტის წარმოებაში მონაწილეობს რამდენიმე ქვეყანა, საბოლოო ჯამში ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, ზრდის მის ხარისხს სპეციალიზაციის ხარჯზე. UNCTAD-ის მონაცემებით, მსოფლიოში დამატებითი ღირებულების 80% იქმნება კორპორაციების მიერ

კონტროლირებადი საწარმოო და სავაჭრო ჯაჭვის შიგნით, რომლებიც საქონლის შექმნის პროცესს შლიან სტადიებად და ახდენენ მათი სივრცითი განთავსების ფრაგმენტირებას. ქვეყნები შეიძლება ახდენდნენ კომპონენტების იმპორტირებას წარმოებისთვის ან ეროვნული პროდუქციის ნაწილის ექსპორტირებას სხვა ქვეყნების წარმოებაში შემდგომი გამოყენებისთვის [8, გვ. 67].

ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად უკვე აღარ არის საჭირო წარმოების გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არამედ აუცილებელია ტექნოლოგიური სერვისების გამოყენება, რათა მიიღონ ზუსტი ინფორმაცია საკუთარი საქონლის წარმოების საჭირო რაოდენობის შესახებ. ასე მაგალითად, კომპანია Levi-მ შეიმუშავა ტექნოლოგია, რომლის წყალობითაც ის უწყვეტად იღებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მოდელებისა და ზომების რეალიზაციას ახდენენ მისი უმსხვილესი გამყიდველები. შემდეგ ხორციელდება ელექტრონული შეკვეთა საჭირო ქსოვილების მიწოდებაზე მიმწოდებლისთვის, რომელიც, აგრეთვე, უკვეთავს ბოჭკოს სხვა ქარხნებში. ამრიგად, ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს შეამცირონ დანახარჯები, მოახდინონ მარაგების მოცულობების მინიმიზაცია და ოპერატიული რეაგირება საბოლოო მოთხოვნაზე [3]. მეორე მომენტი დაკავშირებულია ღირებულების შექმნასთან სხვადასხვა სტადიებზე. თუ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების ეტაპებზე შესაძლებელია ქვეყნების ურთიერთქმედება ტრადიციული საერთაშორისო ვაჭრობის მეშვეობით, დისტრიბუციის, მარკეტინგის, საცალო გაყიდვების სტადიებზე მნიშვ-ნელოვან როლს იძენს ინტერნეტურთიერთქმედება როგორც B2B, ისე B2C დონეზე.

ინტერლიბერალიზაციის შედეგად ცვლილებები საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკაში

დღეს უკვე სავსებით შესაძლებელია ინტერნეტ free trade ახალ კონცეფციასა და free inter-trade პოლიტიკაზე – ინტერლიბერალიზაციაზე გადასვლის შედეგად სავაჭრო პოლიტიკაში ცვლილებების პროგნოზირება, რომელიც მდგომარეობს ახალი წესების სტანდარტიზაციის სრულყოფის აუცილებლობაში. მოცემული პოლიტიკის ფორმირება განპირობებული იქნება საერთაშორისო ინტერნეტ-ვაჭრობის განვითარებით, რომლის გზაზე წარმოიქმნება მრავალი ბარიერი. თანამედროვე ეტაპზე ასეთი ბარიერები დაკავშირებულია გადასახადის განაკვეთების ზრდასთან, შეზღუდვებთან მიწოდების ვადებში, კიბერ-თაღლითობასთან, ინტერნეტ-მაღაზიების მხრიდან საქონლისა და მომსახურების გაყიდვების არაკეთილსინდისიერებასთან და სხვა. ინტერნეტით ვაჭრობამ მიგვიყვანა დანაშაულისა და თაღლითობის რაოდენობის ზრდასთან.

ეკონომიკური დაბრკოლებები მოიცავენ ინფრასტრუქტურის განუვითარებლობას, საკრედი-ტო ბარათებით სარგებლობის შეზღუდულობას, დაბალ მსყიდველობითუნარიანობას, ფინანსური სისტემების სუსტ განვითარებას. სოციალურ-პოლიტიკურ დაბრკოლებებს მიეკუთვნება ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განუვითარებლობა (რომელიც გავლენას ახდენს ქსელური ოპერაციებისადმი ადამიანებისა და საწარმოების ნდობის ხარისხზე), პირადი კონტაქტის უპირატესობა, საზოგადოებაში ნაღდი ფულის უპირატესი გამოყენების ტრადიციები და ბოლოს, კოგნიტური დაბრკოლებების რიცხვს მიეკუთვნება მომხმარებლებსა და საწარმოებს შორის ელექტრონულ ვაჭრობასთან დაკავშირებული ცოდნის დაბალი დონე.

„ელექტრონული ვაჭრობის ეკოსისტემის“ – ინსტიტუტებისა და ეფექტიანი გარემოს, ინ-ფრასტრუქტურის სისტემის ცვლილებების წყალობით ზოგიერთი აღნიშნული დაბრკოლება დღეს ადვილად დასაძლევია[8]. საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, კერძოდ მვო-სთვის; მსხვილი ინტერნეტ-რიტეილერებისთვის და სხვ. ეს შეიძლება ნიშნავდეს ახალი შეთანხმებების, ვირტუა-ლური საერთაშორისო ვაჭრობის ეთიკის კოდექსის შექმნას. ზემოთ დასახელებული მაგალითები მოწმობენ საერთაშორისო ვაჭრობის ახალ დონეზე, სადაც ტრადიციული ფორმები იცვლება ახალი – ვირტუალური საერთაშორისო ვაჭრობით.

საერთაშორისო დონეზე ფორმირებული ინტერნეტ-ეკონომიკა ხასიათდება ისეთი ნიშნების არსებობით, როგორიცაა: საკუთარი ტექნოლოგიური საფუძველი, რომელიც განსხვავდება სხვა ეკონომიკური სისტემების ტექნიკური ბაზისისაგან; მტკიცე უკუკავშირები; საკუთარი ინფრა-სტრუქტურა; სისტემაწარმომქმნელი ინსტიტუტების არსებობა და სხვა [2]. ეს არის სრულიად ახალი ეკონომიკური სისტემა, რომელიც მთლიანად ეფუძნება თანამედროვე ინფორმაციულ სისტემებს.

ლიტერატურა

1. თ.შენგელია, გლობალური ბიზნესი. თბილისი, 2018.
2. Kh.Berishvili.Dynamic Development and Stability of International Trade. III International Scientific Conference Challenges of Globalization in Economics and BusinessIvane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia October 26-27, 2018
3. Kh.Berishvili.LIBERALIZATION OF ECONOMY AND POSSIBILITIES OF DEVELOPMENT OF FOREIGN TRADE POTENTIAL IN GEORGIA. IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS. Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 70th Anniversary of the Foundation of the Institute ACTUAL PROBLEMS OF DEVELOPMENT OF ECONOMY AND ECONOMIC SCIENCE (27-28 June, 2014)
4. Воробьев К. Сущность электронной коммерции в системе международных торговых связей // Российский внешнеэкономический вестник. № 3. – 2015 С.
5. Глобализация мирового хозяйства [Текст]: учеб. пособие / Под. ред. д-ра экон. наук, проф. М. Осьмовой, д-ра экон. наук. Г. Глущенко. – 2-е изд. – М.: ИНФРА-М, 2014. 389 с.
6. Качуровский, Е. К31 Современная мировая экономика / Е.П. Качуровский. – Минск: Белпринт, 2012. – 582 с.
7. Красильников О. Интернетианство – новый этап в развитии политэкономикии // Общество и экономика. – № 10. С. 46-53.
8. Мировая экономика и международные экономические отношения. Ч. 2.
9. Коллектив авторов / под общ. ред. Т.В. Артеменко. РИЦ ХГАЭП. 2018. 160 с.
10. Theodore Levitt. The Globalization of Markets. Режим доступа:
11. https://hbr.org/1983/05/the-globalization-of-markets.
12. The UNCTAD Handbook of Statistics 2018. Режим доступа:
13. http://unctad.org/en/PublicationsLibrary/tdstat40_en.pdf.

INTERNATIONAL TRADE DEVELOPMENT TRENDS IN THECONDITIONS OF MODERN GLOBALIZATION

Berishvili Khatuna
Doctor of Economy,
Associate Professor of Ivane Javakhishvili
Tbilisi State University

Summary

International trade should be discussed in the context of new trends in globalization, which essentially changes its content. The most important factor, which influences international trade, is scientific-technical revolution. The single most important factor that affects trade is the scientific-technical revolution, which is also one of the causes of globalization. The scientific-technical revolution has also resulted in information & knowledge to become a matter of bargain and sale – as the major part of the product pricing is dependant on the volume of innovations and research. International trade flows of scientific products are constantly increasing. As a result of globalization, more emphasis is placed on the use of internet technologies in international trade, which is taking trade online. New trends in trade also causes changes in international payment systems. Bitcoin is becoming popular payment method globally; e-commerce is forming the market in a new ways. The development of „e-commerce ecosystem" will lead to the creation the code of ethics and new agreements for online trade – for international organizations, particularly for the World Trade Organization, and for large internet sellers. We should discuss international trade on new levels under these conditions, where its traditional forms are changing with new online trade.

Keywords: *International trade, Online shopping, Globalization, Scientific and technical progress, Innovations, Interliberalization.*

ადამიანთა ურთიერთქმედების შესახებ ეკონომიკის პრინციპები მართლმადიდებლური ასპექტით

გაგნიძე ინეზა – *ეად.*

თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

სტატია ეხება გ. მენქიუს ნაშრომში – „ეკონომიკის პრინციპები“, მოცემულ ადამიანთა ურთიერთქმედების შესახებ პრინციპების გააზრებას მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით. ამ სამ პრინციპში ხაზგასმული ვაჭრობის მნიშვნელობა და სამთავრობო ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი საკითხის არსი პარალელური თხრობით ახსნილია ძველი და ახალი აღთქმიდან მოცემული ციტატებითა და იგავებით.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკის პრინციპები, მართლმადიდებლური სწავლება, ათი მცნება, ადამიანთა ურთიერთგავლენა.*

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის გრეგორი მენქიუს ნაშრომი – „ეკონომიკის პრინციპები“ მსოფლიოშია ცნობილი, თარგმნილია ოც ენაზე და გაყიდულია მილიონზე მეტი ტირაჟით. იგი ეკონომიკის საფუძვლების შესწავლის თანამედროვე სტანდარტია და ერთ-ერთი აუცილებელი სასწავლო ლიტერატურაა ეკონომისტი-სტუდენტებისთვის მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც. ქართულ ენაზე ის ორჯერ გამოიცა.

„ეკონომიკის პრინციპების“ ავტორი გამოყოფს ეკონომიკაში მოქმედ **ათ ძირითად პრინციპს** და წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა მრავალწახნაგოვანია, მას რამდენიმე ცენტრალური იდეა აერთიანებს“[1, გვ. 4] „თვით ყველაზე რთული ეკონომიკური ანალიზიც კი ამ ათ პრინციპზეა აგებული“[1, გვ. 14]. **მათ შორის პირველი ოთხი მათგანი ეხება იმას, თუ როგორ იღებენ ადამიანები გადაწყვეტილებებს (#1-4), სამი მათაგნი ახასიათებს ადამიანების ურთიერთქმედებას (#5-7), ხოლო დანარჩენი სამი კი, იმას, თუ როგორ მუშაობს ეკონომიკა, როგორც მთლიანი სისტემა (#8-10).** აღნიშნული პრინციპებიდან პირველ ოთხი მათგანისა და მართლმადიდებლური სწავლების თანაკვეთაზე ადრე დავწერეთ [2, გვ. 21-41]. ამჯერად, მეორე ჯგუფზე, ანუ ადამიანების ურთიერთქმედების აღმწერი პრინციპების მართლმადიდებლური ასპექტით განხილვას შევეცდებით.

ათი *მცნება* ღმერთმა თავად ამოტვიფრა ქვის ორ ფილაზე და გადასცა წინასწარმეტყველ *მოსეს* სინას მთაზე. ბიბლიიდან ცნობილია, რომ „უთხრა უფალმა მოსეს: ამოდი ჩემთან მთაზე და აქ იყავი; მოგცემ ფიქალებს – რჯულსა და მცნებებს, მათ დასამოძღვრად, რომ დავწერე“ (გამ. 24; 12). ერთ ფილაზე ოთხი მცნება ეწერა, ხოლო მეორეზე – ექვსი. ეს გაყოფა შემთხვევითი არ იყო. პირველი ოთხი მცნება განსაზღვრავს ადამიანების ურთიერთობას ღმერთთან, ხოლო დანარჩენი ექვსი ეხება ადამიანებს შორის ურთიერთობებს, ესენია [3, გვ.106-110]:

1. *“შე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე;*
2. *არა იქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა და რაოდენი რაი არს წყალთა შინა, ქუეშე ქუეყანასა, არა თაყუანის-სცე მათ, არცა ჰმსახურებდე მათ;*
3. *არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა;*
4. *მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა-ყავ იგი;*
5. პატივ-ეც მამასა და დედასა შენსა, რაითა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვნე ქუეყანასა ზედა;
6. არა კაც-ჰკლა;
7. არა იმრუშო;
8. არა იპარო;
9. არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა წამებითა ცრუითა;
10. არა გული გითქუმიდეს ცოლისა მოყუასისა შენისა, არა გული გითქუმიდეს სახლისათვის მოყუასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყუასისა შენისა“.

ზემოაღნიშნულთან ერთად გვსურს, გავიხსენოთ, რომ უფალმა ფარისეველთა შეკითხვაზე, თუ რომელი მცნებაა უფრო მნიშვნელოვანი, უპასუხა: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნებაი. და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი. ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინასწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“ (მათე 22;37-40. ლუკა 10;27). ამგვარად, უფალმა 10 მცნება 2 ძირითად მცნებამდე დაიყვანა. ეს პასუხი გამომდინარეობს 10 მცნების „4-6“-ზე დაჯგუფების განზოგადებიდან, ანუ პირველ ფილაზე მოცემული მცნებები (#1-4) უფალთან დამოკიდებულებას განსაზღვრავს და შესაბამისად ორი მთავარი მცნებიდან, პირველი უფლის სიყვარულია, ხოლო მეორე, მოყვასის საკუთარი თავის მსგავსად შეყვარება, #5-10 მცნებების განზოგადებითაა მიღებული.

ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანების ურთიერთქმედებას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ სწავლებაში.

მსჯელობა გვსურს განვაგრძოთ ეკონომიკის პრინციპების ანალიზით. იმ სამ პრინციპს შორის, რომლებიც ახასიათებს ადამიანების ურთიერთქმედებას პირველია, #5: **„ვაჭრობას შეუძლია ყველას მდგომარეობის გაუმჯობესება“**[1, გვ. 8].

ამ პრინციპის ახსნისას გ. მენქიუ წერს „ქვეყნები, ისევე როგორც ოჯახები, ბევრს იგებენ ერთმანეთთან ვაჭრობით. ვაჭრობა ქვეყნებს საშუალებას აძლევს, აკეთონ ის, რაშიც საუკეთესონი არიან და მიიღონ უფრო მრავალფეროვანი საქონელი და მომსახურება“[1, გვ.9].

აღსანიშნავია, რომ ახალ აღთქმაში ადამიანებს შორის ვაჭრობის შესახებ მაგალითები მრავლად მოიპოვება, კერძოდ, ლუკას სახარებაში აღნიშნულია: „და იყო მოქცევასა მას მისა, მო-რაი-აქუნდა მეუფებაი თვისი, და ბრძანა მოწოდებაი მათ მონათაი, რომელთადა მიეცა ვერცხლი იგი, რაითა უწყოდეს, რაი-იგი ივაჭრეს“ (ლუკა 19, 15), ანუ, მფლობელი დაინტერესდა სავაჭროდ გაცემული ვერცხლის დაბანდების შედეგებით.

ასევე, მათეს სახარებაში მითითებულია, მონაგების სხვა ადამიანთათვის სავაჭროდ გაცემის შესახებ, კერძოდ, „ვითარცა-იგი რაჟამს წარვალნ კაცი და მოუწესის მონათა თვისთა და მისცის მათ მონაგები თვისი“ (მათე, 25, 14).

დაშვებულია ვაჭრობაში სარგებლის მიღებაც დამქირავებლის სასარგებლოდ, რაც ჩანს დამქირავებლის მოთხოვნაში დაქირავებულისთვის გაცემული ვერცხლის ვაჭრობაში დაბანდებისა და დამატებითი მოგების მიღებით „ჯერ-იყო შენდა დადებად ვერცხლი ჩემი სავაჭროსა, და მომცა-ვედ და მოვიღე ჩემი იგი აღნადგინებითურთ“ (მათე, 15, 27). ცნობილია, რომ ის დაქი-რავებული, ვინც მიღებული თანხა არ დააბანდა მოგების მისაღებად და იმავე მოცულობით დაუბრუნა მფლობელს, დაისაჯა და მისთვის განკუთვნილი თანხა იმას გადაეცა, ვინც ყველაზე მეტი სარგებელი მიიღო. წარმატებული მოვაჭრე კი დაჯილდოვდა მფლობელისგან დაწინაუ-რებითა და მეტი ნდობის გამოცხადებით: „ჰრქუა მას უფალმან მისმან: კეთილ მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა“ (მათე, 25, 21).

ლუკას სახარებაში მფლობელის ტონი გაცილებით მკაცრია იმ დაქირავებულისადმი, რომელმაც მიღებული ვერცხლი არ დააბანდა, კერძოდ, „და ჰრქუა მას: პირისა შენისაგან გსაჯო შენ, მონაო ბოროტო; იცოდე, რამეთუ მე კაცი ვარ სასტიკი: მოვიღი, სადა არა დავდვი, და მოვიმკი, სადა არა დავთესი. და რაისათვის არა დასდევ ვერცხლი ჩემი სავაჭროსა, მო-მცა-ვედ მე და ვახშითურთ ვქმენ იგი?“ (ლუკა 19, 22-23). მფლობელის საბოლოო გადაწყვეტილება ზუსტად ისეთივე იყო, როგორც მათეს სახარებაში, ანუ ვერცხლი გადაეცა მას, ვინც ყველაზე მეტი მოგება მიიღო.

“პრინციპი #6: ბაზრები, როგორც წესი, ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების კარგი საშუალებაა“[1, გვ. 8].

ამ პრინციპის ახსნისას გ. მენქიუ წერს, „საბაზრო ეკონომიკაში ცენტრალური მგეგმავის გადაწყვეტილებები შეცვლილია მილიონობით ფირმისა და საოჯახო მეურნეობის გადაწყვეტილებებით... ეს ფირმები და საოჯახო მეურნეობები ურთიერთქმედებენ ბაზრებზე, სადაც მათ გადაწყვეტილებებს ფასები და ***საკუთარი ინტერესები წარმართავს...*** ფასების მხედველობაში მიღებით გადაწყვეტილებების ეს ინდივიდუალური მიმღებები ისეთ შედეგებს აღწევენ, რომლებიც ხშირად ხელს უწყობს ***საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმიზაციას“*** [1, გვ.9].

აღნიშნულის მართლმადიდებლური ასპექტით გააზრებისას გვსურს გავიხსენოთ უფლის მოწოდებები საერო საქმეებში სათანადოდ ქცევის შესახებ, ასე მაგალითად: „სამართალი და წყალობა და სარწმუნოება; ესე ჯერ იყო საქმედ და იგი არა დატევებად“ (მათე 23;23), „ნუ სჯით თუალთ-ღებით, არამედ სამართალი სასჯელი საჯეთ“ (იოანე 7;24)). „მისცემდით უკუე ყოველთა თანანადებსა: სახარკოსა – ხარკი, საზუერესა – ზუერი, საშინელსა – შიში, პატივსა – პატივი“ (რომ. 13;7). ასევე, უფალი მიგვითითებს, რომ სამართლიანად უნდა მოვექცეთ ყველას, მათ შორის

იმათაც ვინც ჩვენს დაქვემდებარებაშია, ვინაიდან: „უფალი ეგე სამართალსა და სწორსა მისცემდით მონათა მათ; უწყოდეთ, რამეთუ თქუენცა უფალივე გივის ცათა შინა“ (კოლ. 4;1).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნის მოსახლეობის მხრიდან საკუთარი ინტერესების გატარებისას საუფლო სწავლების გათვალისწინება რეალურად გამოიწვევს საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმიზაციას.

„პრინციპი #7: მთავრობას ზოგჯერ შეუძლია ბაზრის ფუნქციონირების შედეგების გაუმ-ჯობესება“[1, გვ.10]

გ. მენქიუ წერს, რომ „სახელმწიფო პოლიტიკა, მაგალითად, *საშემოსავლო გადასახადი და კეთილდღეობის სისტემა*, მიზნად ისახავს ეკონომიკური კეთილდღეობის უფრო სამართლიან განაწილებას“[1, გვ.11]. ამ შინაარსით გვსურს გავიხსენოთ ფარაონის სიზმარი და მისი ახსნა იოსების მიერ. „ესიზმრა ფარაონს სიზმარი: აჰა, დგას იგი ნილოსის პირას. აჰა, ამოდის ნილოსიდან შვიდი კარგი შესახედავი და ხორცსავსე ძროხა და ლერწმიანში ბალახობს. აჰა, შვიდი სხვა ძროხა, შეუხედავი და ხორცდაყრილი, ამოჰყვება მათ ნილოსიდან და გვერდში დაუდგება იმ ძროხებს ნილოსის პირას. შეჭამეს შეუხედავმა და ხორცდაყრილმა ძროხებმა შვიდი კარგი შესახედავი და ხორცსავსე ძროხა – და გაეღვიძა ფარაონს. (დაბ. 41, 1-5). ანალოგიური შინაარსის იყო ეგვიპტის ფარაონის სიზმარი ხორბლის თავთავების შესახებაც (დაბ. 41, 1-7). იოსებმა ასე აუხსნა სიზმარი ფარაონს: „აჰა, მოვა შვიდი უხვმოსავლიანი წელიწადი მთელს ეგვიპტის ქვეყანაში. მას შემდეგ დადგება შვიდი მოუსავლიანი წელიწადი, გაქრება ბარაქა ეგვიპტეში და შიმშილი გააჩანაგებს ქვეყანას (დაბ. 41, 29-30)

შექმნილი სიტუაციიდან იოსების რჩევა იყო: „ასე ქნას ფარაონმა: ზედამხედველები განაწესოს ქვეყანაში, რათა მეხუთედი (20% – ი.გ.) ახდევინონ ეგვიპტის ქვეყანას შვიდი მოსავლიანი წლის მანძილზე. დააგროვონ ამ მომავალი ბედნიერი წლების მთელი საზრდო, დაახვავონ ხორბალი ფარაონის გამგებლობაში ქალაქთა საზრდოდ და შეინახონ. იყოს ეს საზრდო მარაგად ქვეყნისათვის შვიდი მოუსავლიანი წლის მანძილზე, ეგვიპტის ქვეყანაში რომ დადგება, რათა ქვეყანა შიმშილით არ ამოწყდეს (დაბ. 41, 34-36). აღწერილ შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადის დაწესებით რეზერვების შექმნამ და დანაზოგის სწორად განაწილებამ ქვეყანა შიმშილობისგან იხსნა. ამგვარად, სახელმწიფოს პოლიტიკა საშემოსავლო გადასახადის დაწესების შესახებ ჯერ კიდევ ბიბლიაშია აღნიშნული.

საზოგადოდ, საგადასახადო პოლიტიკა სამთავრობო პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედია, შესაბამისად, გადასახადის გადახდისადმი მოსახლეობის დამოკიდებულება მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხია. ალბათ, სწორედ ამიტომაც ახალ აღთქმაში, სამგან: მათეს (22;22), მარკოზის (12;17) და ლუკას (20;25) სახარებებში გადმოცემულია მაცხოვრის პასუხი ფარისეველთა კითხვაზე უნდა გადაუხადონ თუ არა კეისარს ხარკი: „მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთისა ღმერთს“. აქ გადასახადების გადახდის აუცილებლობაზე მიუთითებს მაცხოვარი.

სახარებიდან ჩანს, რომ კორუფციული აზროვნება ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ იყო პრობლემა მოსახლეობისთვის. ამაზე მეტყველებს იოანე ნათლისმცემლის პასუხები მებაჟეთა და სამხედროთა შეკითხვებზე: იგი არიგებს მათ, რომ „მათთვის დაწესებულზე მეტს ნუ აიღებენ“. აქვე უნდა გავიხსენოთ ასევე უფლის მე-8 მცნება – „არ იპარო“.

გ. მენქიუ წერს: „ის რომ მთავრობას ზოგჯერ შეუძლია ბაზრის ფუნქციონირების შედეგების გაუმჯობესება, სულაც არ ნიშნავს, რომ ამას ყოველთვის ახერხებს. სახელმწიფო პოლიტიკას ქმნიან არა ანგელოზები, არამედ პოლიტიკური პროცესები, რომლებიც შორსაა სრულყო-ფილებისგან. ზოგჯერ პოლიტიკა მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლების მქონეთა ინტერესების დასაცავადაა შექმნილი. ზოგჯერ კი, პოლიტიკას ქმნიან კარგი განზრახვის მქონე, მაგრამ ცუდად ინფორმირებული ლიდერები“ [1, გვ.11]. ამ პრობლემის გადასაჭრელად, ვფიქრობთ, საუკეთესო გამოსავალს გვთავაზობს უფალი, როდესაც გვარიგებს: „ყოველსავე რასაცა იქმოდით, გულითად იქმოდეთ, ვითარცა უფლისასა და ნუ ვითარცა კაცთასა“ (კოლ. 3; 24), ხოლო მათთვის, ვისაც კეთილი საქმის კეთება ეზარება, ამბობს: „რომელმან იცოდის კეთილისა საქმე და არა ქმნეს, ცოდვა არს მისა (იაკ. 4;17), ასევე, „რომელმან მოაქციოს ცოდვილი გზისაგან საცთურისა მისისა, იხსნეს სული თვისი სიკუდილისაგან და დაფაროს სიმრავლე ცოდვათაი“ (იაკ.5;20).

საზოგადოდ, ადამიანთა საქმიანობა მძიმე ტვირთია და უფალი მიგვითითებს: „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“ (გალ. 6;2). თუმცა, აქვე აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ტვირთის ტარება ყველას თავისი მოეთხოვება და არა სხვისთვის გადაბარება, „რამეთუ კაცად-კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს“ (გალ. 6;5).

ამგვარად, ადამიანთა ურთიერთქმედების შესახებ გ. მენქიუს ეკონომიკის პრინციპების მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით განხილვამ ნათლად გვიჩვენა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი საფუძველი მართლმადიდებლური მცნებებით ცხოვრებაში უნდა ვეძებოთ.

ლიტერატურა

1. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები. გამომც. „დიოგენე“, თბ., 2008, 835 გვ.
2. გაგნიძე ი., მართლმადიდებლობა და ეკონომიკა, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2013, 70 გვ. *http://eprints.tsu.ge/*580/
3. მართლმადიდებლური კატეხიზმო, მეორე გამოცემა, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემ-ლობა, თბ., 2001.

PRINCIPLES OF ECONOMICS RELATED TO HUMAN INTERACTION FROM THE PERSPECTIVE OF ORTHODOX TEACHING

Gagnidze Ineza
Associate Professor of Ivane Javakhishvili
Tbilisi State University

Summary

The paper deals with the understanding of the principles related to human interaction outlined by G. Mankiw in his Principles of Economics from the perspective of orthodox teaching. Through parallel narrative, the importance of trade and the essence of some of the issues of state economic policy emphasized in these three principles are explained by quotations and parables from the Old and New Testaments.

Keywords: *Principles of Economics, Orthodox Teaching, the Ten Commandments, Human Interactions.*

სახელმწიფო სტატისტიკის რეფორმირება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში XX საუკუნის ბოლოს

გელაშვილი სიმონ
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
თსუ-ის პროფესორი,
ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის ხელმძღვანელი

სტატიაში განხილულია სახელმწიფო სტატისტიკის რეფორმირების პროცესი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან. გამოვლენილია სახელმწიფო სტატისტიკის ინსტიტუციური ნაკლოვანებები, რაც დაკავშირებულია ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და სხვა ფაქტორებთან. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად სხვადასხვა სფეროში გატარებული მნიშვნელოვანი რეფორმებისა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მაღალია საზოგადოების ძლიერი ფრაგმენტაცია, რაც ოფიციალური სტატისტიკის განვითარების ნეგატიური ფაქტორია. ამ სიტუაციის ადეკვატური შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ობიექტური და ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემების წარმოებას, მათ განსაჯაროებას და სწორად გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: *სამხრეთ აფრიკა, მულტიუთანასწორობა, სტატისტიკის სისტემა, სტატისტიკური მონაცემები, ინფორმაციის ხარისხი.*

შესავალი

სამხრეთ აფრიკაში მრავალწლიანმა აპარტეიდის პოლიტიკამ (მოსახლეობის დაყოფა კანის ფერის მიხედვით) მისი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა სფეროების პრაქტიკულად მრავალმხრივ სეგმენტებად დაშლა განაპირობა. მართალია, საერთაშორისო თვალთახედვით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა აღმავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნად ითვლება, მაგრამ ფაქტობრივად, მას მემკვიდრეობით მხოლოდ ჩამორჩენილი ეკონომიკა და განსაკუთრებით ძლიერი სოციალური უთანასწორობები ხვდა წილად. აპარტეიდის პოლიტიკის ეს მემკვიდრეობა, რომელიც 1994 წლის პერიოდის წინა რეფრაგმენტაციის ინსტრუმენტი გახლდათ, განაგრძობს ქვეყანაში სოციალური ცვლილებების შეზღუდვას. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საზოგადოებაში ფართოდაა გავრცელებული სქესის, ასაკის, სარწმუნოების, ეთნიკურობის და გეოგრაფიული არეალების (მოსახლეობის ტერიტორიული განსახლების) ნიშნით მოსახლეობის ჯგუფებს შორის სხვადასხვა უთანასწორობა. აღნიშნული უთანასწორობა არა მხოლოდ შემოსავლების განაწილებაში გამოიხატება, არამედ სოციალური მომსახურებისა და ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობაშიც. იგი მოსახლეობის იმ ჯგუფების სიღარიბისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლებშიც აისახება, რომლებიც ისტორიულად უპოვარნი იყვნენ და ჯერ კიდევ აპარტეიდული მემკვიდრეობის საგნად რჩებიან. მულტიუთანასწორობა და სიღარიბე საფრთხეს უქმნის ქვეყნის სოციალურ სტაბილურობას, მის სოციალურ-ეკონომიკურ და დემოკრატიულ განვითარებას. საზოგადოების ძლიერი ფრაგმენტაცია კვლავ რჩება აპარტეიდის მთავარ მემკვიდრეობად, ვინაიდან მისი უარყოფითი შედეგები ისევ იჩენს თავს ბოლო 20 წლის დემოკრატიული ცვლილებების პროცესშიც.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა აფრიკის კონტინენტზე ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული და იმავდროულად ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც არ მიაკუთვნებენ მესამე სამყაროს ქვეყანათა ჯგუფს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2015 წელს მთლიანმა შიგა პროდუქტმა (მშპ) 313 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (33-ე ადგილი მსოფლიოში) [7]. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2000-2015 წლებში მსპ-ს მოცულობა თითქმის 3,5-ჯერ გაიზარდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ძლიერ მზარდი ეკონომიკის ქვეყანაა. მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჯერ კიდევ მაღალია უმუშევრობის დონე და ყოველი მე-5 შრომისუნარიანი ადამიანი დაუსაქმებელია.

XX საუკუნის 90-იან წლებამდე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოფიციალური სტატისტიკის სისტემა ძლიერ დეფორმირებული იყო. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში იყო სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკა. ზოგადად მოსახლეობა დაყოფილი იყო ოთხ ჯგუფად, რაც განისაზღვრებოდა კანის ფერის შესაბამისად, ანუ თეთრკანიანები, შავკანიანები, ფერადკანიანები და ინდიელთა ჯგუფები. სტატისტიკური მონაცემების შეგროვება ხდებოდა სამ მათგანზე – თეთრკანიანების, ფერადკანიანების და ინდიელთა ჯგუფებზე. შესაბამისად, ფართო დეტალური ანალიზის ჩატარება შესაძლებელი იყო მხოლოდ მათზე. მეტად მწირი მონაცემები არსებობდა შავკანიან აფრიკულ ჯგუფზე, რომელიც მოსახლეობის 70%-ზე მეტს შეადგენდა (1990 წლის

მიხედვით). როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტატისტიკური სისტემა ძლიერ ფრაგმენტირებული და დანაწევრებული იყო. ოთხ ნომინალურად „დამოუკიდებელ" ადმინისტრაციულ რეგიონს, ანუ ბანტუსტანს საკუთარი „ეროვნული" სტატისტიკური სამსახურების განყოფილებები გააჩნდათ, თუმცა მცირე სტატისტიკური შესაძლებლობებით და უფლება-მოვალეობებით. ისინი ძირითადად შეეხებოდა ისეთ სტატისტიკას, რომელიც მორგებული იყო შემოსავლებზე. ამ უკანასკნელში იგულისხმებოდა მხოლოდ ცენტრალიზებულად შეგროვილი საბაჟო შემოსავლები.

1994 წლამდე, ბანტუსტანების სამსახურების პარალელურად, არსებობდნენ სტატისტიკის სხვა მწარმოებლებიც. „თეთრი" – სამხრეთ აფრიკის საზღვრებში რამდენიმე დაწესებულება პასუხისმგებელი იყო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებასა და შედეგების მომზადებაზე, რომელიც ნაწილობრივ შეეხებოდა შავკანიანი აფრიკული მოსახლეობის კონკრეტულ ასპექტებს. ასეთი დაწესებულებები იყო:

1. ადამიანური მეცნიერებების კვლევების საბჭო (ახორციელებს დემოგრაფიულ ანალიზს);
2. სამხრეთ აფრიკის განვითარების ბანკი (ძირითადი ინტერესების სფეროა ფინანსური განვითარება);
3. სხვადასხვა ორგანიზაცია და კომპანიები, რომლებიც დაკავებულები არიან ბაზრების კვლევით, როგორიცაა მაგალითად, სამხრეთ აფრიკის უნივერსიტეტთან არსებული ბაზრის კვლევის ბიურო (ის ასევე იკვლევს შინამეურნეობების შემოსავლებსა და ხარჯებსაც).

დაწესებულებებისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით ფრაგმენტაციის გვერდით, სტატისტიკური სისტემა ხასიათდებოდა შეზღუდული დაფარვით როგორც მომხმარებლების მოთხოვნის, ასევე დიფერენციაციის თვალსაზრისით. მაგალითად, ცენტრალური სტატისტიკური სამსახური, რომელიც თანმიმდევრულად ითვისებს ყოფილი ბანტუსტანის სამსახურებს, აწარმოებს მხოლოდ ეკონომიკურ სტატისტიკას და მოსახლეობისა და საბინაო ფონდის აღწერას, ისიც მარტო თეთრი სამხრეთ აფრიკისთვის, გამორიცხავს რა მთელ რიგ სოციალურ სტატისტიკას. მთავრობას ხშირად სასწრაფოდ ესაჭიროება სოციალური პროცესების სტატისტიკა, რათა შეეძლოს სხვადასხვა ღონისძიებების (მაგალითად, მანიფესტაციების და სხვ.) დროს მოიხსენიოს სიღარიბისა და უთანასწორობის უზარმაზარი და მძიმე წნეხი. ხელმისაწვდომი სტატისტიკის უმეტესი ნაწილი შეუსაბამოა განვითარების პროგრამების, პროექტებისა და სახელმწიფოს ინტერვენციული ქმედებების წარმოდგენისათვის. ცენტრალური სტატისტიკური სამსახურის პროდუქტები ძირითადად მწარმოებლის თვალსაზრისზეა აგებული და ძალიან ხშირად შეუსაბამოა ინფორმაციის მომხმარებლების ინტერესებთან და საჭიროებებთან. ამის ძირითადი მიზეზია ინფორმაციის მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის პირდაპირი ინტერაქციის ნაკლებობა. ფოსტის, ტელეფონისა და ინტერნეტის გამოყენება კვლევებისთვის მონაცემების შეგროვების მთავარ საშუალებად სულ უფრო და უფრო შეუფერებელი ხდება, ვინაიდან აღნიშნული შესაძლებლობანი მიუწვდომელია უმეტესი შავი სამხრეთ აფრიკისთვის. ხელმისაწვდომი ინფორმაცია ყოველთვის განიცდიდა თანმიმდევრულობისა და მთლიანობის ნაკლებობას. ინფორმაციის მომწოდებლების მონაცემთა ბაზებს შორის თავსებადობა დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. დემოგრაფიული ანალიზისა და, შესაბამისად, დემოგრაფიული პოლიტიკის ყურადღება აპარტეიდულ მდგომარეობაში მიმართული იყო ვითომდა შავკანიანი მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპებით გამოწვეული საფრთხეების წინააღმდეგ, მაშინ როდესაც ფაქტობრივად, აღნიშნულ ეთნიკურ ჯგუფში შობადობის დონე ბოლო პერიოდში შემცირდა.

ოფიციალური სტატისტიკის სავალალო მდგომარეობა ჯერ კიდევ მწვავე იყო იმიტომ, რომ ცენტრალურ სტატისტიკურ სამსახურს და სტატისტიკის მწარმოებელ სხვა დაწესებულებებს ჰყავდა მესამე სამყაროს ქვეყნებისათვის დამახასიათებელი გამოუცდელი და დაბალკვალიფიციური პერსონალი, რომელიც ხასიათდებოდა შეზღუდული პროფესიული უნარ-ჩვევებით და სასურველი ცვლილებებისადმი ნელი ადაპტაციის უნარით. სტატისტიკური შესაძლებლობების განვითარება სერიოზულ გამოწვევად იქცა ასევე შავკანიანი აფრიკელი მოსახლეობის ჯგუფს შორის, რაც მრავალი ათწლეულების განმავლობაში კოლონიალიზმიდან და შემდგომ ბანტუსტანის შეზღუდული განათლების სისტემის არსებობიდან მომდინარეობდა.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ოფიციალური სტატისტიკის მდგომარეობა ხასიათდებოდა და ჯერ კიდევ ხასიათდება სამი მთავარი ნეგატიური ასპექტით, კერძოდ [1, გვ. 446]:

- არასრული სტატისტიკური ინფორმაცია (არ არის საკმარისი ინფორმაცია პოლიტიკის გამტარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის);
- დაბალი ხარისხისა და მცირე ნდობის მქონე სტატისტიკური ინფორმაცია (ის ინფორმაცია, რომელიც მუშავდება მიმდინარე ეტაპზე და ასევე ისიც, რომლის მიწოდებაც დაგეგმილია სამომავლოდ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ);
- ფართოდ გამოსაყენებლად ჯეროვანი სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების მცირე შესაძლებლობების არსებობა.

სტატისტიკის კომპეტენციაში არსებული ჩავარდნა შეეხება ორივეს, ადამიანურ რესურსებს და ინფრასტრუქტურას. ქვეყნის მასშტაბით არსებობდა ზოგადი ნაკლებობა ტექნიკური უნარებისა და უფრო მცირე სივრცეში კი, ასევე მენეჯერული უნარების, რაც სასიცოცხლო ფაქტორებია განვითარებისთვის. ამ მიმართულებით არც ოფიციალური სტატისტიკა წარმოადგენს გამონაკლისს. სტატისტიკური უნარების ნაკლებობა იგრძნობა ყველგან საჯარო სექტორში, მათ შორის სამხრეთ აფრიკის სტატისტიკის სამსახურში (Stats SA), რომელიც არის სახელმწიფოს მიერ კანონით დადგენილი, ოფიციალურ სტატისტიკაზე პასუხისმგებელი ორგანო. Stats SA-ს ფორმირება დაიწყო 1999 წლიდან, როდესაც მიღებული იქნა კანონი სტატისტიკის შესახებ. მისი ძირითადი მიზანი იყო საერთაშორისო სტანდარტებისა და კლასიფიკაციების შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების წარმოება და გავრცელება [5, Section 3(2)].

1994 წლამდე აპარტეიდის სისტემის ძალისხმევა მიმართული იყო უფრო კერძო, ვიდრე საჯარო სექტორის სტატისტიკების წარმოებისკენ, რომელიც შედარებით მწირი იყო. შედეგად, ამ მომენტისთვის ქვეყანაში არ არსებობდა ისეთი ინსტიტუცია, რომელიც განახორციელებდა სწავლებას ოფიციალურ სტატისტიკაში. ამგვარად, სტატისტიკური უნარების განვითარება გამოწვეულია აპარტეიდის სისტემის მიერ მოსახლეობის უმრავლეს ჯგუფებზე დაწესებული აკრძალვების ფონზე. მოკლედ, დღესდღეობით სამხრეთ აფ-რიკის რესპუბლიკაში იმ სტატისტიკური უნარ-ჩვევებისა და ინფრასტრუქტურის ძლიერი ნაკლებობაა, რომელიც აუცილებელია მაღალხარისხიანი სტატისტიკის წარმოებისათვის. მწარმოებლებს შორის ინტერაქციის დეფიციტზე, მონაცემთა ხარისხის შესახებ ინფორმაციის მდგომარეობაზე და აგრეთვე სტატისტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფის პრობლემებზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ნებისმიერ დონეზე შტატს შA-მ აწარმოა ეროვნული მასშტაბით მოთხოვნილი სტატისტიკის 10%-ზე ნაკლები და ნებისმიერ ქვეეროვნულ (რეგიონულ) დონეზე 2%-ზე ნაკლები. ასე მოხდა განვითარების პროგრამების შესრულების გადახედვისას, ასევე კომპილირებული მაჩვენებლებისთვის და ათასწლეულის განვითარების მიზნებისთვის.

1994 წელს ახალი პოლიტიკის გატარებასთან ერთად, მთავრობამ მიმართა გამოსასწორებელ ზომებს განვითარების პროგრამების მეშვეობით ადამიანური უნარების განვითარებისა და უთანასწორობის საკითხების გადაჭრის მიზნით. მათ განსხვავებული წარმატება ხვდათ წილად. ზოგადად, სოციალური ცვლილებები შედგება პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განზომილებისაგან. პოლიტიკურმა განზომილებამ მოიცვა აპარტეიდიდან დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნის პროცესი. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განზომილებამ კი მოიცვა ეკონომიკური ზრდის, სიღარიბის შემცირებისა და უთანასწორობის აღმოფხვრის ღონისძიებები. მაგრამ შედეგები ძლიერ განსხვავებული და ხშირად არასასურველიც აღმოჩნდა.

მომხმარებლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის არასაკმარისი მონაცემების არსებობამ წარმოაჩინა მნიშვნელოვანი მასშტაბის ინფორმაციული სიცარიელეები. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა სტატისტიკური ხასიათის მონაცემების მიმართ, რომლებიც მოთხოვნილი იქნა ბოლო 20 წლის დემოკრატიული განვითარების პროგრამებით მიღებული პროგრესის განსახილველად და შესაფასებლად, ასევე, ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად. განსაკუთრებით ეს შეეხება მილენიუმის განვითარების მიზნებს (MDG), სადაც 36 მაჩვენებლიდან მხოლოდ ნახევარი შეიძლება იყოს წარმოდგენილი მონაცემებთან ერთად, სამხრეთ აფრიკის პირველი ეტაპის მოხსენებაში MDG-სთვის.

ქვეყანაში დემოკრატიული თავისუფლების გაჩენამ შექმნა შერეული მამოძრავებელი ძალები სტატისტიკურ სისტემაში. 1994 წელს სტატისტიკის არაადეკვატურობამ წარმოშვა ახალ მთავრობაში ინფორმაციის აშკარა საჭიროება განვითარების გეგმების შესადგენად და საკუთარი პოლიტიკის, პროგრამებისა და პროექტების შესრულების შესაფასებლად. ცენტრალური სტატისტიკური სამსახური არ იყო ისეთ მდგომარეობაში და იმ დონეზე, რომ თავი გაერთმია გაფართოებული მოთხოვნებისთვის. იმავდროულად, იგი არის კანონით დადგენილი, ოფიციალურ სტატისტიკაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანო. საზოგადოების განსაკუთრებული უკმაყოფილება მიმართული იყო მოსახლეობისა და საბინაო ფონდების ორი აღწერის ჩატარებაზე დემოკრატიის პირველ ათწლეულში, რომლებიც დიდი ნაკლოვანებებით ჩატარდა. ეს აღწერები ნაწილობრივ შეივსო დამატებითი კვლევებით ქვეეროვნული დონეების, ანუ რეგიონების მიხედვით.

სტატისტიკური წარმოების სისტემაში ფრაგმენტაცია არის ინფორმაციული გარღვევისა და არასისტემურობის მთავარი მიზეზი, რადგან ეს შესაძლებლობას აძლევს მომხმარებლებისთვის საჭირო მონაცემების ნაწილს „ჩავარდეს სტატისტიკის წარმოების სისტემის ნაპრალებს შორის" [4]. ოფიციალური სტატისტიკისთვის ჯერ კიდევ არ არსებობს მოთხოვნის განსაზღვრისათვის გონივრული ჩარჩო; ასევე ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული იმ მაჩვენებლების ნაკრები, რომლებისთვისაც საჭირო იქნება სტატისტიკური მონაცემების შეგროვება. ასეთი მონაცემების

მწარმოებლებს არ გააჩნიათ სწორი და ერთიანი მეთოდოლოგია და კონკრეტული გზამკვლევი რელევანტური მონაცემების საწარმოებლად.Aამგვარად, წარმოიქმნება გარკვეული შეუსაბამობა სტატისტიკურ პროდუქტებსა და მომხმარებლების საჭიროებებს შორის, ვინაიდან არ არსებობს სისტემა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მომხმარებლებს, მკაფიოდ გამოხატონ თავისი საჭიროებები პირდაპირ მწარმოებლებთან, ანუ ოფიციალური სტატისტიკის ორგანოებში.

სხვადასხვა მწარმოებლის სტატისტიკა ან მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი მონაცემები, ხშირ შემთხვევაში გამოუსადეგარია და გამოსაყენებელი არ არის რიგი მიზეზის გამო. პირველ რიგში, მონაცემები, რომლებიც შეეხება ერთსა და იმავე მოვლენას და შეგროვილია ერთსა და იმავე პერიოდში და იმავე გეოგრაფიულ არეალში, ხშირად არ არის ურთიერთშესადარისი. შესადარისობის დაბალი ხარისხის შემთხვევებია ერთი და იგივე მწარმოებლის მონაცემთა სერიებშიც. საბოლოოდ, პრობლემა დაიყვანება საკითხამდე: ვისი მონაცემები უნდა გამოვიყენოთ? მეორეც, ხელმისაწვდომი მონაცემები ხშირად მორგებული არ არის მომხმარებლების საჭიროებებზე. მესამე, არ არსებობს მონაცემთა სიზუსტის შესახებ სწორი შეფასების გაკეთების შესაძლებლობა, რადგან აგრეგირებულ, ნაერთ მონაცემებს უნივერსალურად (თითქმის ყველას) აკლია თანმდევი მონაცემები, ისევე როგორც დეტალური და თანმიმდევრული დოკუმენტაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა მონაცემების შეგროვება. მეოთხე, მონაცემები არ მუშავდება ოპერატიულად და ხელმისაწვდომი არ არის ზუსტად იმ დროისთვის, როცა საჭიროა და ისინი კი, რომლებიც ხელმისაწვდომია, გამოსაყენებლად უკვე მოძველებულია.

სტატისტიკური პროდუქციის ხარისხი, თუ განსაზღვრულია როგორც „გამოყენებაზე (ან მიზნებზე) მორგებული სტატისტიკა", ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია სტატისტიკის კანონიერების საკითხისათვის [4]. მონაცემთა უმეტესობა საეჭვო ხარისხისაა, ვინაიდან არ არსებობს საერთო სტანდარტები სტატისტიკური ინფორმაციის მწარმოებლებისთვის. სტანდარტების ნაკლებობა შედეგია ფრაგმენტირებული სტატისტიკური სისტემის არსებობისა და ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, შედეგია კოორდინაციის ნაკლებობისა. სპეციალური სტანდარტები სტატისტიკური პროდუქტების ხარისხის უმნიშვნელოვანესი საწინდარია. კარგი ხარისხის სტატისტიკა სანდოა და უზრუნველყოფს მყარ პლატფორმას მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად. გარემოში, რომელიც ხასიათდება ფართო და მწარმოებლების არაერთგვაროვანი სპექტრით, საერთო სტანდარტების მიღება სტატისტიკურ პროდუქტებს უზარმაზარ ღირებულებას სძენს. მაგალითად, სტატისტიკის მწარმოებლებისთვის მნიშვნელოვანია ჰქონდეთ ერთნაირი გაგება დაკვირვებებისა და განვითარების კონცეფციებისა, როგორიცაა სხვადასხვა ტიპის ინდიკატორები, ტერმინების დეფინიციის ერთნაირი გაგება, საქმიანობების კლასიფიკაცია და მეთოდოლოგია. სტატისტიკის წარმოების სტანდარტიზაცია, როგორიცაა მაჩვენებლების იდენტიფიკაციის

საერთო ფორმატი, იქნებოდა „მეგობრული მომხმარებლის" თავისებური გზა თითოეული მწარმოებლისთვის. საერთო სტანდარტების ნაკლებობის ფონზე, სხვადასხვა მწარმოებლების მონაცემები მასშტაბურად არ არის ურთიერთშესადარისი. შედეგად, მომხმარებლები დგანან ინფორმაციის სხვადასხვა მწარმოებლების განცალკევებულ მონაცემთა ნაკრებებს შორის არჩევანის პრობლემის წინაშე, რაც ართულებს მათ გამოყენებას.

რა თქმა უნდა, გარკვეულ ინტერესს იწვევს საქართველოსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბ-ლიკას შორის ეკონომიკური და, კერძოდ კი, სავაჭრო ურთიერთობის ამსახველი ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები, რაც ცხრილშია წარმოდგენილი:

საქართველოსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას შორის სავაჭრო ურთიერთობების დინამიკა და სტრუქტურა [1]

	2000	%	2005	%	2010	%	2012	%	2018	%
სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობა (ათასი აშშ დოლარი)	858	100	1,972	100	3,083	100	30,898	100	26,028	100
მათ შორის: ექსპორტი	311	36,3	38	1,9	42	1,4	366	1,2	327	1,3
იმპორტი	547	63,7	1,934	98,1	3,041	98,6	30,532	98,8	25,701	98,7

[1] **წყარო:** ცხრილი შედგენილია ჩვენ მიერ საქსტატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

როგორც ცხრილიდან ჩანს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა გახდა. 2018 წელს 2010

წელთან შედარებით, სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობა საქართველოსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას შორის ძლიერ გაიზარდა, ანუ 8,4-ჯერ. თუმცა, ეს მოხდა იმპორტის ხარჯზე, რადგან მისმა აბსოლუტურმა მატებამ შეადგინა 22 მილიონზე მეტი, ხოლო ექსპორტის მატება კი უმნიშვნელო იყო – დაახლოებით 285 ათასი აშშ დოლარი. ამასთან, მისი ხვედრითი წილი სავაჭრო ბრუნვის მთლიან მოცულობაში 2018 წელს ძლიერ მცირე – სულ რაღაც 1,3 პროცენტი შეადგინა. მაშასადამე, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან საქართველოს ძლიერ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს.

1994 წლიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ განავითარა სხვადასხვა პოლიტიკა, სტრატეგიები და მექანიზმები ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნის მიზნით. იმისათვის, რომ ეფექტიანად განხორციელებულიყო ტრანსფორმაცია, მთავრობა პირდაპირ უნდა ჩარეულიყო, რათა სტიმული მიეცა ზრდისა და განვითარებისთვის, არსებული უთანასწორობისა და უსამართლობის აღმოფხვრისათვის. 1994 წელს მიღებულმა რეკონსტრუქციისა და განვითარების პროგრამამ (RDP) უზრუნველყო განვითარების ჩარჩოს ჩამოყალიბება სამხრეთ აფრიკის აპარტეიდიდან თავისუფალ, განვითარებულ საზოგადოებად გარდაქმნისათვის. 1996 წელს მიღებულმა ზრდის, დასაქმებისა და გადანაწილების პროგრამამ (GEAR) კი უფრო დახვეწა და განავითარა ზემოთ აღნიშნული პროგრამა (RDP) და კონკრეტულად განსაზღვრა ამ უკანასკნელის მიზნების მიღწევის საშუალებები. GEAR-ის ძირითად მიზანს შეადგენდა მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, სამთავრობო ვალისა და ინფლაციის მისაღებ დონემდე შემცირება. იმისათვის, რომ ეფექტიანად მოეხდინა მისი პოლიტიკის პრიორიტეტული სფეროების მონიტორინგი, მთავრობას სჭირდებოდა სხვადასხვა მაჩვენებელი ასეთი მონიტორინგისთვის. თუმცა, სტატისტიკური ინფორმაცია არასაკმარისი იყო მომხმარებელთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით მათი ინფორმირების დონის, დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღებისა და განვითარების პროგრამებზე მონიტორინგის განსახორციელებლად, ასევე მათი შესრულების შესაფასებლად. ყოველივე ამის მისაღწევად აუცილებელი იყო ოფიციალური სტატისტიკის რეფორმა, რაც ორ-დონიანი იყო. პირველი გულისხმობდა ცენტრალური სტატისტიკური სამსახურის გარდაქმნას აპარტეიდის ინსტიტუციიდან დემოკრატიული სახელმწიფოს სამსახურში მყოფ ინსტიტუციად; მეორე რეფორმას უნდა გარდაექმნა სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების სისტემა დანაწევრებული, არაკოორდინირებულიდან ერთიან ინტეგრირებულ სისტემად.

ოფიციალურ სტატისტიკის ინსტიტუციური და ფუნქციური გარდაქმნების უმეტესობა 1995-2000 წლებში განხორციელდა. 2000 წლამდე სტატისტიკის სამსახური არ იყო სრულად ჩამოყალიბებული ორგანიზაცია. 1999 წელს დამტკიცდა სტატისტიკის ახალი კანონი (Act No. 6 of 1999), რომლითაც გაფართოვდა სამხრეთ აფრიკის სტატისტიკის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და მას ანიჭებდა ასევე ქვეყანაში სტატისტიკური პროდუქციის წარმოების კოორდინირების უფლებამოსილებასაც, რაც ადრე არ ჰქონდა [1, გვ. 465]. სამხრეთ აფრიკის სტატისტიკის სამსახური (Stats SA) სრულად ჩამოყალიბებული ინსტიტუცია მხოლოდ 2000 წელს გახდა.

დასკვნა

XX საუკუნის 90-იან წლებამდე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოფიციალური სტატისტიკის სისტემა ძლიერ დეფორმირებული და ფრაგმენტირებული იყო. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში იყო სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკა როგორც სისრულის, ასევე ხარისხის მიხედვით. ნომინალურად „დამოუკიდებელ" ადმინისტრაციულ რეგიონებს, ანუ ბანტუსტანებს საკუთარი „ეროვნული" სტატისტიკური სამსახურები გააჩნდა, თუმცა მცირე სტატისტიკური შესაძლებლობებით და უფლება-მოვალეობებით. 1994 წლამდე აპარტეიდის სისტემის ძალისხმევა მიმართული იყო უფრო კერძო, ვიდრე საჯარო სექტორის სტატისტიკების წარმოებისკენ, რომელიც შედარებით მწირი იყო.

ოფიციალურ სტატისტიკის ინსტიტუციური და ფუნქციური გარდაქმნების უმეტესობა 1995-2000 წლებში განხორციელდა. 1994 წლიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ განავითარა სხვადასხვა პოლიტიკა, სტრატეგიები და მექანიზმები ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნის მიზნით. იმისათვის, რომ ეფექტიანად განხორციელებულიყო ტრანსფორმაცია, მთავრობა პირდაპირ უნდა ჩარეულიყო, რათა სტიმული მიეცა ზრდისა და განვითარებისთვის, არსებული უთანასწორობისა და უსამართლობის აღმოფხვრისათვის. 1994 წელს მიღებულმა სამხრეთ აფრიკის რეკონსტრუქციის პროგრამამ უზრუნველყო განვითარების ჩარჩოს ფორმირება აპარტეიდიდან თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებად გარდაქმნისათვის. 1996 წელს მიღებულმა ზრდის, დასაქმებისა და გადანაწილების პროგრამამ უფრო დახვეწა და განავითარა ზემოთ აღნიშნული პროგრამა და კონკრეტულად განსაზღვრა ამ უკანასკნელის მიზნის მიღწევის საშუალებები. ყოველივე ამის მისაღწევად კი აუცილებელი იყო ოფიციალური სტატისტიკის

რეფორმა, რომელიც ძირითადად 2000 წელს დასრულდა და ჩამოყალიბდა ერთიან ინტეგრირებულ სისტემად.

ლიტერატურა

1. გელაშვილი ს. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა. გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015.
2. Concepts and Definitions for Statistics South Africa. Version 3. Stats SA, Pretoria, 2010.
3. Data Quality Policy 001: Policy on Informing Users of Data Quality. Statistics SA, Pretoria, 2006.
4. South African Statistical Quality Assessment framework (SASQAF). Second edition. Published by Statistics SA, Pretoria, 2010.
5. Statistics Act (Act No. 6 of 1999). Stats SA, Pretoria, 2006.
6. Strategic Plan 2010-1015 Statistics South Africa. Published by Statistics SA, Pretoria, 2010.
7. www.britannica.com/place/South-Africa/Economy
8. www.statssa.gov.za
9. www.geostat.ge
10. www.nbg.gov.ge

REFORMING STATE STATISTICS IN THE REPUBLIC OF SOUTH AFRICA AT THE END OF THE 20TH CENTURY

Gelashvili Simon

Doct. of Econ. Sc., Professor

I. Javakhishvili Tbilitoduasi State University

Head of the Department of Economic and Social Statistics

Summary

The article discusses the process of reforming state statistics in South Africa since the early 1990s. Institutional deficiencies of state statistics related to political, social, economic, demographic and other factors of the country have been identified. The analysis showed that despite significant regressions in various fields, strong fragmentation of the public is still high in South Africa, which is a negative factor for the development of official statistics. The production of objective and high quality statistical data, their publication and proper use is of great importance for an adequate assessment of this situation.

Keywords: *South Africa, Multiinequality, System of Statistics, Statistical Data, Quality of Information.*

აუდიტორული პრაქტიკა და სტანდარტიზაციის თანამედროვე ერა

გვარამია ნაზი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში წარმოდგენილია აუდიტის სფეროში უკვე არსებული საერთაშორისო გამოცდილება და მსოფლიო განვითარების ტენდენციები. შესაბამისად, მოცემულია აუდიტორული საქმიანობის რეგულირების ისტორია, დახასიათებულია თუ რა ეტაპები უძღოდა წინ აუდიტის განვითარებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე. კერძოდ, განხილულია აუდიტის ჩამოყალიბების საფეხურები აშშ-ში, ევროპასა და აზიაში. კვლევაში წარმოდგენილია აუდიტის სტანდარტიზაციის თანამედროვე ერა. დასკვნით ნაწილში მოცემულია სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები.

საკვანძო სიტყვები: *აუდიტი, სტანდარტიზაცია, პრაქტიკა.*

აუდიტის დიდი გამოცდილება არსებობს ევროპასა და ამერიკაში, სადაც განვითარდა აუდიტის საერთაშორისო თეორია და პრაქტიკა. დღეს უკვე გვაქვს საერთაშორისო დონეზე ჩამოყალიბებული აუდიტის კანონიერი საფუძველი, რომლის საშუალებითაც ტარდება სხვადასხვა ქვეყანაში აუდიტი. რა თქმა უნდა, სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნაში აუდიტიც იზიარებს ამ თავისებურებებს.

ჯერ კიდევ ძველი დროის ჩინეთში, ჩჟოუს დინასტიის ეპოქაში (1122-256 წ. ჩვ. წ. აღ-მდე) აღრიცხვის სახელმწიფო სისტემა მოიცავდა საფუძვლიანად დამუშავებულ ბიუჯეტს და ყველა სახელმწიფო დაწესებულების კონტროლს (აუდიტს). ათენში, ძველი წელთაღრიცხვის V ს-ში, სახალხო კრება აკონტროლებდა სახელმწიფოს შემოსავალს და გასავალს, ხოლო ქვეყნის საფინანსო სისტემაში შედიოდნენ სამთავრობო აუდიტორები, რომლებიც ამოწმებდნენ თანამდებობის პირთა დოკუმენტებს მათი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ. კერძო სექტორში ქონების მეპატრონეები თვითონ ატარებდნენ თავიანთი ანგარიშგების აუდიტს. რომის რესპუბლიკაში სახელმწიფო ფინანსები სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარებოდა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს ხაზინადარის მეთვალყურეობით ამოწმებდა აუდიტორთა შტატი. რომაელებმა პრაქტიკაში დანერგეს მოვალეობათა დანაწილება, თანამდებობის პირთათვის განსხვავებული პასუხისმგებლობის დაკისრება: ზოგი მათგანი გადასახადებისა და დანახარჯების საქმეს უძღვებოდა, სხვები ამონაგებსა და ბეგარაზე აგებდნენ პასუხს.

ინგლისურენოვან ქვეყნებში ცნობა აუდიტის შესახებ და ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი სააღრიცხვო დოკუმენტი ეს არის ინგლისისა და შოტლანდიის „სახაზინო არქივი'', რომელიც დაარსებულია 1130 წელს. XIII ს-ში ცნობები აუდიტორთა და აუდიტის შესახებ გვხვდება როგორც ინგლისში, ასევე იტალიაში, ხოლო ამავე საუკუნეში საფრანგეთში დაწერილი თხზულება ქონების მართვის შესახებ მეპატრონეებს ურჩევდა ყოველწლიურად ჩაეტარებინათ აღრიცხვის აუდიტი დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. ლონდონის სიტიში აუდიტი დანერგილი იყო უკვე 1200 წლიდან, ხოლო XIV საუკუნის დასაწყისში თანამდებობის პირთა არჩევნებში აუდიტორის არჩევაც შედიოდა. იმ დროიდან მოყოლებული არქივებში დაგროვდა დიდძალი დოკუმენტაცია, რომელიც მოწმობს აუდიტის მნიშვნელობის ფართო აღიარებას და ადასტურებს, რომ რეგულარულად ტარდებოდა მუნიციპალიტეტების, კერძო მიწათმფლობელობისა და ხელოსანთა გილდიების ანგარიშგების აუდიტი.

ძველად დიდ ბრიტანეთში ორი ტიპის აუდიტს ატარდებდნენ. ქალაქებში აუდიტი საჯაროდ ტარდებოდა და მას მმართველი თანამდებობის პირები და მოქალაქეები ესწრებოდნენ. აუდიტი მთავრდებოდა აუდიტორის ანგარიშის მოსმენით, რომელსაც ხმამაღლა კითხულობდა ხაზინადარი (ანგარიშის მოსმენის პრაქტიკა დაინერგა იმასთან დაკავშირებით, რომ ძველ დროში მოსახლეობის უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. თვით ტერმინი „აუდიტი'' ლათინური სიტყვიდან მომდინარეობს და „მოსმენას'' ნიშნავს). ანალოგიური სახით ტარდებოდა გილდიების აუდიტის მოსმენა მისი წევრების თანდასწრებით. XVI საუკუნის დასაწყისისათვის ქალაქების აუდიტორებმა დაიწყეს თავიანთ ანგარიშებში ასეთი ტიპის შენიშვნების ჩართვა: „მოსმენილია ქვემორე ხელისმომწერი აუდიტორების მიერ''. [1 გვ. 14]. ასეთი იყო აუდიტორული დოკუმენტის პირველადი ფორმა. აუდიტის მეორე ტიპი წარმოადგენდა მსხვილი მამულების ფინანსურ მმართველთა საგადასახადო ანგარიშების დეტალურ შემოწმებას „დებეტისა და კრედიტის'' მიხედვით, რომელიც მთავრდებოდა „აუდიტორული დეკლარაციით'', ე.ი. ზეპირი ანგარიშგებით მამულის მეპატრონისა

და მმართველთა საბჭოს წინაშე. აუდიტორი, ჩვეულებრივ ამ საბჭოს წევრი იყო და, ამრიგად, თანამედროვე შიდა აუდიტორის წინამორბედად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა.

აუდიტის ორივე ტიპი, რომელიც ტარდებოდა დიდ ბრიტანეთში თითქმის XVIII საუკუნემდე, პირველ რიგში იქეთ იყო მიმართული, რომ უზრუნველეყო სახელმწიფო და კერძო თანამდებობის პირთა ანგარიშგება მათ გამგებლობაში არსებულ საშუალებებზე. ამ სახეობათა აუდიტის მიზანს არ წარმოადგენდა გაანგარიშებათა ხარისხის შემოწმება, თუ არ ჩავთვლით ისეთ შემთხვევებს, როცა უზუსტობები მოტყუების მცდელობას უკავშირდებოდა. ეკონომიკურმა ცვლილებებმა 1600 წლიდან 1800 წლამდე პერიოდში, როცა ინტენსიურად მიმდინარეობდა ქალაქების ზრდა, მრეწველობისა და ვაჭრობის გაფართოება, – ახალი მოთხოვნები წაუყენა სააღრიცხვო საქმეს. ყურადღების ცენტრში მოექცა ქონებაზე საკუთრების უფლება და მოგება-დანაკარგის კალკულაცია, ამ სიტყვის ეკონომიკური აზრით. აუდიტმაც თანდათან იცვალა სახე და მოსმენის პროცესიდან წერილობითი დოკუმენტაციის დაწვრილებით ანალიზად და დამამტკიცებელი მოწმობის კვლევად იქცა. XVII საუკუნის ბოლოს შოტლანდიაში მიღებულ იქნა პირველი კანონი ზოგიერთი თანამდებობის პირთათვის ქალაქის აუდიტორად მუშაობის აკრძალვის შესახებ. ამით დასავლეთის სამყაროში შემოღებულ იქნა თანამედროვე ცნება – აუდიტორის დამოუკიდებლობა.

აუდიტორული პრაქტიკის ასეთი პროგრესის მიუხედავად, მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში იქცა პროფესიონალი აუდიტორი საქმიანი სამყაროს ორგანულ ნაწილად. ეს დაკავშირებული იყო რკინიგზების მშენებლობასთან, სადაზღვევო კომპანიების, ბანკების და სააქციო საზოგადოებების მომრავლებასთან. სარკინიგზო ტრანსპორტი ერთ-ერთი პირველი დარგია აშშ-ში, რომელმაც შექმნა შიდა აუდიტორების სამსახური. XIX საუკუნის დასასრულს ე.წ. გამსვლელი აუდიტორები უკვე მუშაობდნენ მთელ ქვეყანაში გაფანტულ სატრანსპორტო საგენტოებში იმ მიზნით, რომ შეეფასებინათ ანგარიშგების სისტემა და ქონებაზე ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა.

XX საუკუნის მიჯნამდე გარე აუდიტი აშშ-ში ინგლისური მოდელის მიხედვით იყო აგებული. მასში იგულისხმებოდა საბალანსო მონაცემთა დეტალური გამოკვლევა. აუდიტორის სამუშაო დროის სამი მეოთხედი საბუღალტრო წიგნების შედგენასა და გაანგარიშებებზე იხარჯებოდა. ამერიკაში არ არსებობდა კანონით დადგენილი მოთხოვნები აუდიტორის მიმართ და შემოწმებას უმეტეს შემთხვევაში ახორციელებდნენ აშშ-ს ფირმებში ინგლისიდან ინგლისელი ინვესტორების მიერ გამოგზავნილი აუდიტორები, რის გამოც ეს პროფესია თავიდან ნელა ვითარდებოდა.

თანდათანობით ამერიკული აუდიტი „ტესტურ აუდიტში'' გადაიზარდა, როდესაც სწრაფად განვითარებადმა ამერიკულმა ბიზნესმა საკმარისად აითვისა აუდიტის პროცედურები, ამერიკელმა ბიზნესმენებმა ჩათვალეს, რომ შემოწმების ბრიტანული სტილი მეტისმეტად ბევრ დროსა და საშუალებებს მოითხოვდა. გარდა ტესტირების მეთოდისა, რომელიც სულ უფროდაუფრო ვრცელდებოდა, აუდიტორებმა დაიწყეს იმ ფორმათა და საქმიანობის ამსახველი ცნობების შეკრება, რომლებიც მონათესავე ბიზნესთან იყვნენ დაკავშირებული. პარტნიორთა საქმიანობის ანალიზი ეხმარებოდა მათ ოპერაციების შემოწმებაში. ინვესტორთა ინტერესების გათვალისწინებით ამერიკელმა აუდიტორებმა მეტი ყურადღება დაუთმეს აქტივებისა და პასივების შეფასებას. ყველა ეს სიახლე ასახავდა აუდიტის ამოცანათა გაფართოებას. აუდიტი უკვე აღარ იზღუდებოდა კანცელარიული სიზუსტეების შემოწმებით, აშშ-ში ვითარდებოდა დამოუკიდებელი აუდიტი. მისი აუცილებლობა მნიშვნელოვანწილად ნაკარნახევი იყო კრედიტორების, განსაკუთრებით ბანკების მოთხოვნილებით საიმედო ფინანსურ ინფორმაციაზე, რომლის საფუძველზეც ისინი შეძლებდნენ კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

აუდიტის სტანდარტიზაციის თანამედროვე ერა დაიწყო 1939 წლიდან, როდესაც ნაფიც ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტმა დააწესა აუდიტურ პროცედურათა კომიტეტი და ამ კომიტეტმა გამოსცა აუდიტორული პროცედურის პირველი დებულება (IAP). 1973 წლამდე გამოვიდა 54 დებულება, ხოლო კომიტეტმა ამასობაში ახალი სახელწოდება მიიღო: აუდიტორულ სტანდარტთა აღმასრულებელი კომიტეტი (შემდგომში აუდიტორული სტანდარტების საბჭო), რომელმაც მოახდინა ყველა დებულების კოდიფიცირება და თავი მოუყარა მათ „აუდიტორული პროცედურების დებულება №1''-ის სახით, რომელიც ამჟამად მოქმედებს.

აშშ-ში, საფრანგეთში, შვედეთში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში, სადაც განვითარებულია საბაზრო ურთიერთობები, ცდილობენ მოამზადონ მაღალკვალიფიცირებული აუდიტორები, აშშ-ში ბუღალტრის დიპლომის მისაღებად საჭიროა წელიწადში ორჯერ წერითი გამოცდის გამოცდის ჩაბარება, რომელიც შედგება ოთხი ნაწილისგან: აუდიტი, ბუღალტრული პრაქტიკა, ბუღალტრული აღრიცხვის თეორია და სამეურნეო საქმე, გამოცდა გრძელდება 2.5 დღე. გამოცდის მსვლელობაში ადამიანმა უნდა გამოავლინოს თავისი ცოდნა პროფესიულ ეთიკაში, აუდიტორის იურიდიულ პასუხისმგებლობაში, სახელმწიფო გადასახადებში, აგრეთე შემოსავლებსა და ბუღალტრული აღრიცხვის რაოდენობრივ მეთოდებში, ამიტომაც გამოცდას გადიან მხოლოდ ჩამბარებლების დაახლოებით 10%, ევროპაში კი აუდიტორად მუშაობის უფლება აქვს ადამიანს

უმაღლესი განათლებით, აგრეთვე უნდა ჰქონდეს ნამუშევარი ბუღალტრად ან აუდიტის ასისტენტად 10 წელი (საფრანგეთში-15 წელი), აუდიტორად მუშაობა ეკრძალება ნასამართლევ პირებს, ასევე იმათ, რომელთაც აქვთ პრობლემები ფინანსურ სფეროში. რაც შეეხება ჩვენ მეზობელ ქვეყანას რუსეთს, აქ სიტუაცია განსხვავდება, რადგან საბჭოთა კავშირის შემდეგ ახლად ჩამოყალიბებულ ქვეყანაში, აქ აუდიტორად მუშაობისთვის საჭიროა ატესტაციის გავლა და აუდიტორის კვალიფიცირიული ატესტატის მიღება, აუდიტორი შეიძლება გახდეს პირი როგორც უმაღლესი განათლებით, აგრეთვე საშუალო განათლებით. განათლება უნდა ჰქონდეს მიღებული იურიდიული ან ეკონომიკური განხრით, თან, აუდიტორად მუშაობის სტაჟი სამ წელზე ნაკლები არ უნდა იყოს. საქართველოს მიზანია გაიზიაროს სხვა ქვეყნების გამოცდილება და სრულყოს თავისი აუდიტორული საქმიანობა.

ლიტერატურა

1. მონტგომერი. აუდიტი.
2. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ. 2016 წლის 8 ივნისი.
3. http://rs.ge/
4. http://www.sao.ge/
5. https://matsne.gov.ge/

AUDIT PRACTICE AND THE MODERN ERA OF STANDARTIZATION

Gvaramia Nazi
Academic Doctor of Economics,
Associated Professor at Ivane Javakhishvili
Sokhumi State University

Summary

The scientific paper discusses the main idea, the goals and the role of the audit as well as its significance in the conditions of the market economy and the perspectives of the audit regulation and development in Georgia. Moreover, experience of the auditing business in the foreign countries. In the paper the significant attention is paid to the organizational matters of the audit performance and is presented the procedures of the audit conclusion composition, its structure, shape, content and status. Also, is reviewed the next stage after the audit accomplishment – the discussion of the audit conclusions and reports (Act, Statement); the process of its appeal, the forms of the responds and the legal aspects of the detected results.

In Georgia audit is held according to the International Standards on Audit (ISA). International standards on Audit (ISA) represent the standards approved by the audit and the International Auditing and Assurance Standards Board (IAASB) or its entitled body, which is contained in the international official Reference Book of the above-mentioned body or the assurance services.

Keywords: *Audit, standartization, practice.*

ეკონომიკური ინტერესების კონფლიქტი – ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების წინააღმდეგობრივი ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენის ფორმა

გველესიანი რევაზ
თსუ-ის პროფესორი,
ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღანელი,
ეკონომიკური პოლიტიკის
ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი

ძირითადი ღირებულებები (თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრთხოება და პროგრესი) ყოველთვის საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობას ეფუძნება. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების განვითარებისა და მისი თითოეული წევრის კეთილდღეობისათვის ეკონომიკური განვითარების არსებული დონე აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას წარმოადგენს. საზოგადოების ძირითადი ღირებულებები ხშირად კონფლიქტებით სავსე დემოკრატიული პროცესების შედეგად წარმოიქმნება. ამასთან, როდესაც საქმე ეხება ეკონომიკურ-პლიტიკური მიზნების დაკონკრეტებას (იდენტურობის, ჰარმონიის, ნეიტრალიტეტის, კონფლიქტის და ურთიერთგამორიცხვის მიმართულებით), სწორედ მაშინ იწყება პრობლემები, სიტუაცია უკიდურესად რთულდება და წარმოიქმნება ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტები. აღნიშნული კონფლიქტების პრევენცია სამართლებრივ-საკანონმდებლო ველის ინსტრუმენტებით მოკლევადიან პერიოდში დროებითი დადებითი ეფექტებით ხასიათდება, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია ძალზე გართულდეს და ანტაგონისტური ხასიათი მიიღოს. ეს პროცესი რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებული რისკების პრევენციის აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. ცხადია, მხოლოდ განვითარებულ საზოგადოებას ძალუძს გაიღოს ძვირადღირებული რესურსები თანმიმევრული, გრძელვადიანი და ფრთხილი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და მისი ეფექტიანი განხორციელებისათვის.

საკვანძო სიტყვები: *ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებები, სოციალური სახელმწიფო, ეკონომიკური წესრიგი, ეკონომიკური რისკები, ინტერესთა კონფლიქტი*

შესავალი. საზოგადოების რეგულირების პრობლემა ერთი ინსტრუმენტის – სამართლის/ კანონის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. ამ შემთხვევაში სამართლიანობის მიზანი ორი ქვემიზნის – ქცევისა და შედეგების განაწილების სამართლიანობის სახით წარმოგვიდგება. ეს საკითხი ადვილად მოგვარდებოდა თუ ამოსავალ პუნქტად მიზანდამოკიდებულებათა ემპირიულ ანალიზს მივიჩნევდით. ამ შემთხვევაში ეს ქვემიზნები ერთმანეთს შეავსებდნენ (მიზანთა ჰარმონია). თუ ინსტრუმენტს (კანონს) ერთ ქვემიზანს (მაგ., ქცევას) მივუყენებდით, იგი სამართლიანობის კრიტერიუმის თანახმად მეორე ქვემიზნის მისაღწევადაც გამოდგებოდა. პრობლემა მაშინ იჩენს თავს, როდესაც ერთ ქვემიზანზე ორიენტირება მეორეს გვაკარგვინებს და აუცილებელი ხდება კომპრომისის დაშვება. ემპირიული ანალიზის შედეგების გამოყენება გვიჩვენებს, რომ კომპრომისი ვერ იქნება გრძელვადიანი და ამიტომაც საბოლოოდ, მოგვიწევს სამართლიანობის მიღწევის ერთი ქვემიზნის დათმობა. ამ შემთხვევაში კომპრომისის გზით მოსაგვარებელი კონფლიქტი დილემად გადაიქცევა. სამივე შესაძლებლობა – ჰარმონია, კომპრომისის გზით მოსაგვარებელი კონფლიქტი და დილემა – ყოველთვის წარმოადგენს საზოგადოებრივი დისკუსიების საგანს, რომელიც, საბოლოოდ, თავისუფლებისა და სამართლიანობის ურთიერთდამოკიდებულებაზე დაიყვანება.

ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების წინააღმდეგობრივი ურთიერთდამოკიდებულება

მოქმედების თავისუფლების რეალიზება საზოგადოებაში პრობლემურია, რადგან მოცემული ინდივიდის მოქმედება ან უმოქმედობა ზეგავლენას ახდენს სხვა ინდივიდებზე. ერთი ინდივიდის თავისუფლება სხვათა თავისუფლების შეზღუდვად გვევლინება. საზოგადოების არსებობას საფრთხე ემუქრება, როდესაც ინდივიდებს მოქმედების აბსოლუტური თავისუფლება სურთ. ამ შემთხვევაში, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება თავისუფლების გარკვეულწილად შეზღუდვა. ჯონ სტიუარტ მილი (1859, გვ. 75) აღნიშნავდა: „ერთადერთი თავისუფლება იმსახურებს ჭეშმარიტი თავისუფლების სახელს, როცა ჩვენ ისე ვეძიებთ საკუთარ

კეთილდღეობას, რომ ამით სხვებს არ ვართმევთ იმის შესაძლებლობას, რათა ისინიც ეძიებდნენ თავიანთ კეთილდღეობას“.

მოქმედების თავისუფლება საშუალებას აძლევს ინდივიდს თავისი გეგმის მიხედვით განახორციელოს დასახული მიზნები. ამასთან, ინდივიდი (ან ეკონომიკური აგენტი) საკუთარი მოქმედების თავისუფლებაზე სხვა ინდივიდის ზეგავლენას თუ განიცდის, იმვაგვარად იწყებს მოქმედებას, რომ მისი მოქმედების შედეგები ზემოქმედების მომხდენი ინდივიდის მიზნებს მიესადაგებოდეს (მოხდეს ინტერესთა თანხვედრა). ზეგავლენის ასეთი შესაძლებლობები ზოგჯერ ზემოქმედების ქვეშ მყოფი ინდივიდის ფსიქიკაშია საძიებელი. ოღონდ მისი (შესაძლებლობის) სიდიდე იმით განისაზღვრება, თუ რა ზომით თმობს მოცემული ინდივიდი თავის ავტონომიურობას ჰეტერონომიურობის სასარგებლოდ. ასეთი ქცევა ზეგავლენის ქვეშ მყოფი ინდივიდისათვის შესაძლოა საზიანოც იყოს, მაგრამ იგი ითვალისწინებს კონფლიქტის მოგვარების ინტერესებს და ნებაყოფლობით თანხმდება ასეთ ზეწოლაზე.

ზეგავლენის ჩვეულებრივი შესაძლებლობები, არსებითად, ძალაუფლებას უკავშირდება. მნიშვნელოვანია და სასარგებლოც ძალაუფლების მაქს ვებერისეული (1921/2002, გვ. 28) განსაზღვრების გათვალისწინება: „ძალაუფლება სხვა არაფერია თუ არა ნებისმიერი შესაძლებლობა, რომ წინააღმდეგობის მიუხედავად განახორციელო საკუთარი ნება და მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რას ეფუძნება ასეთი შესაძლებლობა“. საზოგადოდ, ინდივიდთა ურთიერთობის სოციალური საზღვრები უნდა გავიგოთ, როგორც თავისუფლების შეზღუდვა. მაგრამ, მეორე მხრივ, ბუნდოვანია თუ რა ზომით არის შესაძლებელი საკუთარი ნების განხორციელება. ამის გასარკვევად საჭიროა ვებერისეულ განსაზღვრებაში ჩაწვდომა. ამ ასპექტით ძალაუფლება უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც კონტინუუმი ანუ მთლიანობა (მაგ., Dahl, 1963, გვ. 62), რომლის ერთ მხარეს უნდა მოვიაზროთ ავტონომიური ინდივიდი მოქმედების მთელი თავისი შეუზღუდავი თავისუფლებით, მეორე მხარეს კი – სრული ჰეტერონომია ან/და ბატონობა, რომელსაც სხვები ახორციელებენ.

საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩართული ინდივიდი შეიძლება სხვისი ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდეს. სწორედ ასეთი შესაძლებლობა რეალიზდება ძალადობად, რომელიც სხვა არაფერია თუ ძალაუფლების უკიდურესი ფორმა. ძალადობა წარმოიშობა მაშინ, როდესაც ინდივიდი ცდილობს თავისი შესაძლებლობა გამოიყენოს იმისათვის, რომ სხვა ინდივიდს მისთვის არასასურველი ქმედება ჩაადენინოს. თავის მიზანს მოძალადე აღწევს იმით, რომ ძალადობის პოტენციურ მსხვერპლს არწმუნებს იმაში, რომ თითქოს ის ამით თავს დააღწევს სხვა უფრო სახიფათო და საზიანო მოქმედების შესაძლებლობებს (Hayek, 1960, გვ.134). ძალაუფლება და ძალადობა ერთმანეთში გადადის და ერთობ ძნელია იმის დადგენა თუ სად იწყება ერთი და სად მეორე. ამის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოებრივ ურთიერთობებში (ინდივიდებს შორის) ძალადობის განხორციელება უსამართლობად ითვლება. ძალაუფლებასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: არსებობს თუ არა მისი გამოვლენის ისეთი ფორმები, რომლებიც სამართლიანად ჩაითვლება? საზოგადოებრივ ეკონომიკებში ძალაუფლებას განსხვავებული მიზეზები აქვს, ამიტომ სხვადასხვანაირად ფასდება ხოლმე მათ მიერ მოტანილი სარგებელი. სწორედ ამის დადასტურებაა ის მოვლენები – ბაზარზე თავისუფალი შესვლის შეზღუდვებს რომ უკავშირდება. ერთი მხრივ გვაქვს „პიონერული“ მოგება, მეორე მხრივ კი – მონოპოლიური რენტა. ეს კი ეკონომიკური ძალაუფლებისა და კონკურენციის პოლიტიკის ფარგლებში მისი მოგვარების პრობლემაა.

ძალაუფლების ბოროტად გამოყენება თავისუფლების შემზღუდავი კანონების მიღებით ხდება. სრულიად აშკარაა ის საფრთხე, რასაც შეუზღუდავი თვითნებობა უქმნის ინდივიდის თავისუფლებას და რაც ვლინდება ხოლმე „დემოკრატიაში“ დახელოვნებული დიქტატორის ან „ბრძენი“ ტირანის ილუზიების სახით. დემოკრატია, როგორც კანონშემოქმედების პროცედურების ერთობლიობა, გამოიყენება ინდივიდუალურ თავისუფლებასა და პოლიტიკურ ბატონობას შორის არსებული დაძაბულობის შესარბილებლად. მაგრამ უნდა ვითვალისწინებდეთ იმ საფრთხესაც „შეუზღუდავი“ დემოკრატიიდან რომ მომდინარეობს. კანონების მოზღვავებული რაოდენობაც საფრთხეს უქმნის დემოკრატიას.

ეკონომიკური თავისუფლება მოითხოვს ყველა ღონისძიების გატარებას, რათა მოქალაქეებმა შეძლონ პირადი პასუხისმგებლობის საფუძველზე ჩამოყალიბებული ეკონომიკური მისწრაფებების შეუზღუდავი განხორციელება. საბოლოო ჯამში კერძო ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა კოორდინაცია და კონტროლი ხორციელდება ორი პრინციპით:

- პირადი პასუხისმგებლობით და საბაზრო ურთიერთობათა საშუალებით მიმდინარეობს ეკონომიკურ სუბიექტთა კოორდინირება;
- კონკურენციის საფუძველზე წარმოქმნილი ეკონომიკური წნეხით ხორციელდება თვითკონტროლი. იგი განაპირობებს ინდივიდთა მისწრაფებების შესაბამისობას, როგორც განვითარების ხელშემწყობ, ისე შემზღუდავ პირობებთან.

სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფის კუთხით სწორედ ის არის, რომ იძულება განახორციელოს. ის ვალდებულია შექმნას და დაიცვას თვითრეგულირების სამართლებრივი პირობები. ამ ამოცანას ახორციელებს ის არასაბაზრო დაწესებულებები, რომლებიც საბაზრო ეკონომიკური სისტემის სტრუქტურას აყალიბებენ (Mestmaecker, 1975):

- სამართლებრივად თანასწორი მოქალაქეები და იურიდიული პირები კერძო, სუბიექტური ავტონომიის უზრუნველყოფის გზით ისე მოქმედებენ, რომ თავიანთი გადაწყვეტილებები სხვებთან თავსებადობაში მოჰყავთ და გაცვლის საშუალებით მათთან კოორდინაციას ახორციელებენ. ამ პროცესში მიმდინარეობს როგორც კერძო საკუთრებისა და ეკონომიკური თავისუფლების დაცვა, ისე პოზიციათა მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. სწორედ საკუთარი მიზნების რეალიზაციის ინტერესი უბიძგებს მათ (მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს) სხვა ინდივიდებთან კოოპერაციისაკენ.
- უსაფრთხოების სამართლებრივ ღონისძიებათა გატარებით კერძო ავტონომია არ ხორციელდება სხვების ავტონომიურობის ხელყოფის ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა, ხდება კონკურენციის დაცვა, ხელშეწყობა და ბაზარზე ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მოქმედების უზრუნველყოფა (რაც ეკონომიკური ძალაუფლების კონტროლის საშუალებაა).

„თავისუფალი და თანასწორი ინდივიდები ავტონომიურად რომ გეგმავენ თავინთ ცხოვრებას, ურთერთთანამშრომლობით „სოციალურ კოსმოსს“ ქმნიან, რომელსაც სამართლის არსებული ტიპის მიხედვით შესაძლებელია კერძო სამართლებრივი საზოგადოება ეწოდოს (Böhm, 1966, გვ. 80).

სამართლიანობისკენ სწრაფვა ხშირად განპირობებული იყო იმით, რომ:

- ადამიანები შედარებას ახდენდნენ და აფასებდნენ ცხოვრების ფაქტიურსა და სასურველ გარემოებებს. ამგვარ შეფასებებში ისინი ითვალისწინებდნენ, როგორც შემოსავლებსა და მოხმარების დონეს, ისე მოთხოვნილებებსა თუ საზოგადოებრივ მდგომარეობას;
- ასეთი სწრაფვა ემყარება ბოლომდე გაუცნობიერებელ წარმოდგენებს თანასწორობაზე (რომელიც ადამიანებს, როგორც საზოგადოების წევრებს შორის არსებობს);
- საზოგადოებრივ ღირებულებათა საფუძველზე არსებული ორიენტაციის სიღრმისეული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მასში საზოგადოებისთვის სასურველი მდგომარეობა მოიაზრება.იგი გაცილებით მეტ მდგრადობას უზრუნველყოფს, ვიდრე ევოლუტორული რეალობა;
- მისწრაფებები ხშირად გამომდინარეობს საზოგადოებრივი ურთიერთობების ყოვლისმომცველი ფორმებიდან. თუმცა აღნიშნული ფორმები გამიჯნულია ბედნიერების, ხვედრისა თუ ინდივიდთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ხელშემწყობი ან არახელსაყრელი გარემოებებისგან.

სამართლიანობის მიზნის მიღწევასთან დაკავშირებით ყოველთვის წარმოიშობა სიძნელე. ეს ასეა რადგან ადამიანები, როგორც სამართლიან დამოკიდებულებას, ისე მოქმედების შედეგთა სამართლიან განაწილებას კანონის საფუძველზე ცდილობენ. თანამედროვე ეპოქაში სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით არსებობს დისკრიმინაციის შემთხვევები, მაგრამ ამ ვარაუდის შესამოწმებლად აუცილებელია იმის დადგენა – მათ თვითრეგულირებადი ბაზარი წარმოშობს თუ ისინი სახელმწიფოს ინტერვენციის წარსულში მიღებული იმ პრაქტიკის შედეგია, რომელსაც სულაც არ ჰქონდა მიზნად სოციალური სამართლიანობა. რა თქმა უნდა, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის დამოკიდებულება იცვლება, როცა სახელმწიფო აფართოებს თავისი მოქმედების სფეროს და უფლებრივი გათანასწორების საფუძველზე შესაძლებლობებისა და შედეგების გამოთანაბრების მიზანს ისახავს. მოქმედების სფეროს ასეთ გაფართოებამდე სახელმწიფო არსებითად იძულების იარაღი იყო, რომელიც თვითჩამოყალიბებული საზოგადოების მიმართ გარანტის ფუნქციას ასრულებდა. ეს ვითარება არ გამორიცხავს იმას, რომ იგი საზოგადოების წევრებს მინიმალურად სოციალურადაც იცავდა. თანაბარი პირობების შექმნა, მისი გამოთანაბრება სოციალური სახელმწიფოებრიობის პრინციპთა პრინციპი და ის მექანიზმია, რითაც სახელმწიფო ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკურ წესრიგს აკონტროლებს.

„სოციალურ სამართლიანობას“ განსაზღვრული შინაარსი გააჩნია, იდეალს გამოხატავს და თანამედროვე საზოგადოებრივი წესრიგის ნაკლზე მიუთითებს, გადაუდებელ გამოსწორებას რომ საჭიროებს (Hayek, 2003, გვ.217). ეკონომიკურ წესრიგთან დაკავშირებული პრობლემები შეიძლება შემდეგნაირად დავაკონკრეტოთ: ან საბაზრო-ეკონომიკური წესრიგი და მისთვის დამახასიათებელი კერძო ავტონომია იარსებებს დიდხანს ანდა შესაძლოა სოციალური სახელმწიფო აღმოჩნდეს ისეთი წესრიგი, რომელიც უნებლიედ, მაგრამ სისტემურად უწყობს ხელს „დაკაბალებისაკენ სვლას“ (Hayek, 2004).

აშკარაა, რომ როცა საქმე ეხება თავისუფლებისა და სამართლიანობის, როგორც საზოგადოების ძირითადი ღირებულებების სოციალური სამართლიანობის კრიტერიუმად გამოყენებას, კანონი არ არის საკმარისი ინსტრუმენტი მათ შორის წარმოშობილი კონფლიქტის მოსაგვარებლად. ხშირად ცდილბენ ამ კონფლიქტის მნიშვნელობა იმით დააკნინონ, რომ პროცედურულ თუ ფორმალურ სამართლიანობასა და მის საფუძველზე უზრუნველყოფილ მოქმედების თავისუფლებას შორის განსხვავება თითქოსდა ქრებოდეს თავისუფლების მატერიალური შეფასების შესაძლებლობებში. აქედან გამომდინარე, ფორმალური სამართლიანობა (და თავისუფლება) იურიდიული ანდა ფორმალური თვალსაზრისით შეიძლება უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდეს, ვიდრე რეალური მოვლენები და სოციალური სამართლიანობა.

ასეთი არგუმენტაცია მეთოდური თვალსაზრისით ერთობ საეჭვო შედარებას ემყარება: ერთ მხარეზეა უფლებრივი გათანასწორება, მეორე მხარეზე კი – მის მიერ ნებადართული შესაძლო შედეგები ანუ სოციალურ-ეკონომიკურ პოზიციებს შორის არსებული განსხვავებები. ვარაუდობენ, რომ ეს უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა უფლებრივი გათანასწორების სრული ან ნაწილობრივი შედეგი. მაგრამ სოციალური სამართლიანობის კრიტერიუმად გამოყენებისას სუბიექტმა ერთი პროცედურული შედეგიც უნდა გაითვალსწინოს. ეს უკანასკნელი არ გულისხმობს ფორმალური თავისუფლების შეზღუდვას უფლებრივი უთანასწორობისა თუ დისკრიმინაციის გზით, არამედ საქმე ეხება მატერიალური თავისუფლების სახელმწიფოებრივად შეზღუდვას გეგმაზომიერი რედისტრიბუციის საფუძველზე რომ ხორციელდება.

დასავლური კეთილდღეობის სახელმწიფო მიზნად ისახავს თავისუფლებასა და სამართლიანობას შორის კომპრომისს. მაგრამ მეორე მხრივ, პოლიტიკური ნების ქმნადობის დემოკრატიული მეთოდები არ იძლევიან ამგვარი კომპრომისის შესახებ მყარი ვარაუდის შესაძლებლობას. პირიქით, პოლიტიკურ კონკურენციაში სოციალურად დაფუძნებული პრივილეგიების ინსტრუმენტად გამოყენება საფრთხეს უქმნის, როგორც მატერიალურ, ისე ფორმალურ სამართალს. როგორც ჩანს, თავისუფლებასა და სოციალურ სამართლიანობას შორის კომპრომისი მყიფეა. ამასთან, გამორიცხული არ არის, რომ საქმე დილემასთან გვქონდეს. მეორე მხრივ, უნდა შემოწმდეს შეიძლება თუ არა ისე შეიცვალოს ინსტიტუციური პირობები, რომლებშიც პოლიტიკური ნების ქმნადობის პროცესი მიმდინარეობს, რომ შესაძლებელი გახდეს გრძელვადიანი კომპრომისი. ამგვარი შემოწმების საგანი კი სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური სისტემა. მთავარი ვარაუდი ის იქნებოდა, რომ შეუზღუდავი დემოკრატიის პირობებში შეუძლებელია თავისუფლების დამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა (Hayek, 1979/2003, გვ. 128). სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს რეალიზაციის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ვარაუდი თავისუფლებასა და სოციალურ სამართლიანობას შორის კომპრომისზეც ვრცელდება. თუ მხოლოდ იმის იმედად არ ვიქნებით, რომ თავისუფლების განდევნა მძლავრ პოლიტიკურ პროტესტს გამოიწვევს, მაშინ სასურველი იქნებოდა ისიც შეგვემოწმებინა, შესაძლებელია თუ არა კომპრომისის მიღწევა ინსტიტუციონალური რეფორმების გზით.

ეკონომიკურ სფეროში კონფლიქტების დეპერსონალიზება ხორციელდება სოციალური ტექნიკის ან/და კონკურენციის საშუალებით. ამაში ვლინდება მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფუნქცია. მართალია, იგი ძალაუფლების კონტროლის მექანიზმია, მაგრამ როგორც კი ის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მექანიზმად იქცევა, საფრთხეს უქმნის სხვის თავისუფლებას. ამასთან, კონკურენცია მიღწევების (შედეგების) კონტროლის პროცესსაც წარმოადგენს, რადგან როცა ვინმეს ძალისხმევა სათანადოდ არ ფასდება ან ნეგატიურად ფასდება და მცირდება მისი მატერიალური შესაძლებლობები, ამაში დამნაშავეა არა კონკურენტი, არამედ „ბაზრის დიქტატი“.

საბაზრო კოორდინაციას შეუძლია პრობლემები ინდივიდუალურ უსაფრთხოებასაც შეუქმნას. ბაზრის მონაწილეთა ეკონომიკური უსაფრთხოების რისკებს წარმოშობს არამყარი განვითარება ცალკეულ ბაზრებზე, როგორც კონიუნქტურისა და ეკონომიკური განვითარების(ზრდა და სტრუქტურული ცვლილება) ფენომენი. ამ შემთხვევაში უსაფრთხოების რისკი ეფუძვნება:

- კონიუნქტურული და სტრუქტურული დასაქმების რისკებს;
- შემოსავლებისა და ქონების რისკებს, რომლებსაც იწვევს ფასთა დონის ცვლილება და შემოსავლების მიღების შესაძლებლობათა შემცირება.

არსებობს რისკის კიდევ ერთი კატეგორია, რომელიც დაკავშირებულია შემოსავლების არქონასთან, რისი მიზეზიცაა ავადმყოფობა და სიბერით გამოწვეული შრომისუუნარობა. ამავე კატეგორიაში შედის ის რისკებიც, რომლებიც შემოსავლების განაწილების შესახებ საზოგადოებრივ დაპირისპირებებს, დასაქმებისა და მსყიდველობითუნარიანობის დაკარგვის საფრთხეებს უკავშირდება. უსაფრთხოების ასეთი რისკების დასაძლევად, გარდა პირადი ძალისხმევისა, აუცილებელია სპეციფიკური განაწილების პოლიტიკის განხორციელება.

იმ რისკებიდან გამომდინარე, რომლებიც საბაზრო კოორდინაციას ახასიათებს, უსაფრთხოების ცოტად თუ ბევრად მასშტაბური მოთხოვნები ჩნდება. როცა ტოტალურ უსაფრთხოებას

ვესწრაფვით და ვცდილობთ, თავიდან ავიცილოთ ყველა ის რისკი, რომელიც ინდივიდუალურ შემოსავლებსა და მისი მიღების უნარებს უკავშირდება, განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ამ ვითარებასთან დაკავშირებული, მაგრამ სხვა მიზნებით განპირობებული კონფლიქტები. ტოტალური უსაფრთხოებისათვის საჭიროა ურყევი სისტემა, რომელიც თაობათა შორის თანამშრომლობის შედეგად მიიღწევა. არც შუასაუკუნეობრივი ამქრული ეკონომიკა და არც ცენტრალიზებულ – ბიუროკრატიული სოციალიზმის ფორმები არ გამოდგება იმის დასტურად, რომ კონკურენციისაგან თავისუფალი ეკონომიკური სისტემა უპირატესობის მქონეა. თუმცა, როგორც ერთი, ისე მეორე, როგორც ურყევი სისტემები ყველაზე მეტად აკმაყოფილებს ტოტალური უსაფრთხოების მოთხოვნებს. ამგვარი თვალსაჩინოების გარეშეც ცხადია, რომ უსაფრთხოება სხვა ინდივიდთა მიზნების რეალიზაციის ცოტად თუ ბევრად შეფერხებას გულისხმობს. ტოტალური უსაფრთხოება იმას ნიშნავს, რომ სოციალური სტატუსი ხელშეუხებელია და არც ერთ ინდივიდს არ აქვს უფლება სხვის მდგომარეობას საფრთხე შეუქმნას. დასაქმების ასპექტით ეს გულისხმობს უამრავი სამუშაო ადგილის არსებობას. თითოეულ ინდივიდს აქვს გარანტირებული ადგილი, რომელსაც ვერავინ შეუქმნის საფრთხეს ვერც კონკურენციის და ვერც სამეწარმეო დისპოზიციებიდან გამომდინარე. ამასთან შეუძლებელია ტოტალური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თავისუფლების ურთიერთშეთავსება.

ცოდნის სოციალიზაციის თვალსაზრისით პროგრესი სხვა არაფერია, თუ არა შრომის დანაწილებაზე რეაქციის შედეგი. ცნობილია, რომ მეცნიერული შრომის დანაწილება მზარდ სპეციალიზაციას უკავშირდება. კვლევის პროცესის უშუალო მონაწილენი აცნობიერებენ თუ როგორი მზარდი ტემპით ვიწროვდება მათი დისციპლინის სფერო. გარეშე დამკვირვებელს კი სულ უფრო მეტად უძნელდება ცოდნის ფრაგმენტულად მოპოვება, რომლის გამოყენება ყოველდღიურ პროცესებზეც ახდენს ზემოქმედებას. ამგვარად ჩნდება უფსკრული, რომელიც ახალ–ახალი პრეტენზიებისა და არაორდინარული აზროვნების წყარო ხდება (Jonas, 1979/2003, გვ. 294). სხვა მხრივ კი, კომპეტენტურ მეცნიერთა პუბლიკაციების კომერციალიზაციას უფრო დიდი საბაზრო შანსი არასოდეს მისცემიათ (Boulding, 1962), როგორიც მათ დღეს აქვთ.

ასეთი შანსების გამოყენება შეამცირებდა იმ შენიშვნების რაოდენობას – შრომის დანაწილების საფუძველზე – ცოდნის გაღრმავების მიმართ რომ გამოთქვამენ. მეცნიერული ურთიერთობების მრავალფეროვანი ფორმები არის ღია საზოგადოების სპონტანური რეაქცია მეცნიერული პროგრესის არასასურველ გვერდით მოვლენებზე.

ყველაზე ძნელია პროგრესის მიმართ ეთიკურ ეჭვებთან გამკლავება. იგი ამტკიცებს, რომ კაცობრიობის მეცნიერული წინსვლა არ იწვევს მის ზნეობრივ გაუმჯობესებას. ბუნებაზე გაბატონების დაუოკებელი სურვილი იმას მოასწავებს, რომ არ არსებობს ქმედითი ზნეობრივი შეზღუდვა. მაგალითად ყოველთვის მოჰყავთ ხოლმე ის ექსპერიმენტები (გენტექნიკური მანიპულაცია), რომლებიც მიზნად ისახავენ ადამიანის გენეტიკური სტრუქტურის ცვლილებას. ფილოსოფოსმა ჰანს იონასმა ამასთან დაკავშირებით წამოაყენა მოწოდება: „გავუფრთხილდეთ ღვთის ხატებას“. იგი გვთავაზობს, „მოწიწებით განვიმსჭვალოთ ადამიანისადმი, როგორიც იგი იყო და არის; მოვიცილოთ ფიქრი იმაზე თუ რად შეიძლება იქცეს იგი გამოგონილ მომავალში“ (Jonas, 1979/2003, გვ. 393).

დასკვნა. ჩვენთვის უკვე ცნობილია თუ რა დამოკიდებულება არსებობს პროგრესსა და მოქმედების თავისუფლებას შორის. შეუძლებელია ბუნების კანონების დარღვევა, რომლებიც შესაძლებელი მოვლენის ობიექტურ საზღვრებს წარმოადგენენ. მაგრამ მათი მეცნიერული აღმოჩენა და პრაქტიკული გამოყენება აფართოებს ადამიანური მოქმედების მანამდე არსებულ შესაძლებლობებს.

ეკონომიკურ პროგრესსა და სოციალურ სამართლიანობას შორის არსებული კონფლიქტების წარმოშობის სათავე შესაძლებელია იყოს კონკურენციის, როგორც განაწილების მეთოდის არასწორი გაგება. სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით მეცნიერული პროგრესის მიღწევათა საფუძველზე მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებული პოზიციები კორექტურას საჭიროებს. მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთი კორექტირება შეასუსტებდა ან გააუქმებდა ყოველგვარი ინოვაციის შექმნის სტიმულს. ამ შემთხვევაში საზოგადოება იმაზე ღარიბი იქნებოდა, ვიდრე უნდა ყოფილიყო. მეცნიერული პროგრესის შედეგების ამგვარ „სოციალიზებას“ მხედველობიდან რჩება, რომ მათი მიღწევის პროცესს სწორედ კონკურენცია აღძრავს და აძლიერებს.

ეკონომიკურ სისტემაში პროგრესი ინოვაციის სახით ვლინდება და სტრუქტურული ცვლილებების წყაროა. ერთი მხრივ, იგი წარმოშობს შემოსავლების მიღების ახალ შანსს, მეორე მხრივ კი, საფრთხეს უქმნის უკვე არსებულ შესაძლებლობებს. ინოვაცია ზეგავლენას ახდენს ინდივიდებზე, საფრთხეს უქმნის მათ ეკონომიკურ სტაბილურობას და ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს. ამ გამოწვევის დაუკმაყოფილებლობა იწვევს სტრუქტურულ უმუშევრობას ან/და სოციალურ დეგრადაციას (სტატუსის არანებაყოფლობითი შეცვლა).

ზოგადად პროგრესი ცვლილებების წყაროა. ცვლილებები კი რეორიენტაციისა და ახალ

სიტუაციებთან შესაბამისობას მოითხოვს. ეკონომიკური განვითარების პროცესებთან შესაბამისობის დაყოვნება კი კონფლიქტებს წარმოშობს. ეკონომიკაში არსებობს კოლიზიის შესაძლებლობა უსაფრთხოების მიზანთან მიმართებაში და სოციალური სამართლიანობის მიზანთან დამოკიდებულებაში, რადგან შესაბამისობის ტვირთი არათანაბრადაა გადანაწილებული და სრულიად არ არის გათვალისწინებული მეცნიერული პროგრესის სასარგებლო შედეგების განაწილება.

ლიტერატურა

1. BOEHM, E. (1966), Privatrechtsgesellschaft und Marktwrstchaft Ordo 17, S.75-151. გვ. 80
2. BOULDING, K.E. (1962), Knowledge as a Commodity; wiederabgedruckt in ders. (Hrsg.): Beyond Economics – Essays on Society, Religion, and Ethics, Ann Arbor 1968, გვ.141-150
3. DAHL, R.A. (1963), Die politische Analyse (Uebersetzung von „Modern Political Analysis,'' Englewood Cliffs), Muenchen 1973, გვ. 62.
4. HAYEK, F.A. (1960), The Constitution of Liberty, Neudruck, London u.a. Wiederabdruck in: BOSCH, A. und R. VEIT Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B3, Die Verfassung der Freiheit, Tuebingen 2005, გვ.134.
5. HAYEK, F.A. (1979), Law, Legislation and Liberty, Volume III – The Political Order of a Free People, Chicago, London, Wiederabdruck in: VANBERG, V. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B4, Recht, Gesetzgebung und Freiheit, Tuebingen 2003. გვ. 128.
6. HAYEK, F.A. (2003), Rechtsordnung und Handelnsordnung, in: STREIT, M. E. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. A4, Rechtsordnung und Handelnsordnung, Tuebingen. გვ.217
7. HAYEK, F.A. (2004), Der Weg zur Knechtschaft, in: STREIT, M. E. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B1, Tuebingen.
8. JONAS, H. (1979), Das Prinzip Verantwortung, Nachdruck, Frankfurt a. M, 2003. გვ. 294; 393.
9. MESTMAECKER, E.-J. (1975), Wirtschaftsordnung und Staatsverfassung; in ders. und H. SAUERMANN (Hrsg.): Wirtschaftsordnung und Staatsverfassung (Festschrift fuer Franz Boehm zum 80. Geburtstag), Tuebingen, გვ.383-419).
10. MILL, J.S. (1859), On Liberty; in ders.: Utilitarism, Liberty, Representative Government, neuausgabe, hrsg. v. H. B. ACTON, London 1972, გვ. 75.
11. WEBER, M. (1921), Wirstchaft und Gesellschaft, 5. rev. Aufl., Studienausg., Nachdruck, Tuebingen, 2002. გვ. 28.
12. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. (2018), გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგია ეკონომიკურ პოლიტიკაში, თბილისი, გვ. 11; 12; 43-44; 52.
13. გველესიანი რ., (2017), ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობათა შორის არსებული წინააღმდეგობები და მათი დაძლევის პრობლემა, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი," ტომი X, №1, თბილისი, გვ. 14-24.
14. გველესიანი რ., (2018), სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის დამოკიდებულება ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან, ჟურნ. „ეკონომისტი," №3, ტომი XIV, ISSN: 1987-6890, თბილისი, გვ.26-34.
15. გველესიანი რ., (2016), ეკონომიკური წესრიგის სპეციფიკური ჩარჩო პირობების ფორმირების პრობლემა, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში" მასალები, გამომცემლობა „უნივერსალი," თბილისი, გვ.163–166.

CONFLICT OF ECONOMIC INTERESTS – AN IDENTIFYING FORM OF CONTRADICTORY INTERRELATION OF THE BASIC PUBLIC VALUES

Gvelesiani Revaz
Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Head of Economic Policy Department
Director of Georgian-German Institute of Economic Policy

Summary

Core values (freedom, justice, security and progress) are always based on the economic well-being of society. However, it should be emphasized that the current level of economic development is a necessary but insufficient condition for the development of society and the well-being of each of its members. The core values of society often arise from conflict-ridden democratic processes. However, the problems start to arise exactly when it comes to specifying economic-political goals (in terms of identity, harmony, neutrality, conflict and mutuality), the situation becomes extremely difficult and conflicts of economic interest arise. Prevention of these conflicts by the instruments of the legislative field is characterized by temporary positive effects in the short-run period, and in the long-run period it can be very complicated and antagonistic. This process is a necessary and essential precondition for the prevention of risks associated with the implementation of rational economic policies. Clearly, only the developed society can afford the expensive resources for coherent, long-term and cautious economic policy-making and its effective implementation.

Keywords: *Basic social values, Social state, Economic order, Economic risks, Conflict of Interests.*

სოციალურ-ეკონომიკური საკითხები ქრისტიანობაში

გოგორიშვილი ირინა
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

ნაშრომში განხილულია თანამედროვე ქრისტიანული ეკლესიის მიერ დაკავებული პოზიცია იმ მწვავე საყვედურებზე, რომლებიც ანტიქრისტიანულ ლიტერატურასა და მარქსიზმში არის გაბატონებული.
კვლევის მიზანია ახალი აღთქმის ტექსტის გაანალიზების საფუძველზე გამოვლინდეს ქრისტიანობის დამოკიდებულება სოციალურ-პოლიტიკური საკითხებისადმი. ამ მხრივ ყურადღება აქცენტირებულია ქრისტიანული ეკლესიის მიერ სიმდიდრის, ქველმოქმედების, სახელმწიფოს ხელისუფალთა და ინსტიტუტების როლის შეფასებაზე.

საკვანძო სიტყვები: *პასუხისმგებლობა, ძალაუფლება, ეთიკა, მორალი*

შესავალი

ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენელთა მიმართ მწვავე საყვედურები დიდი ხნით ადრე დაიწყო. ანტიქრისტიანულ ლიტერატურაში, მარქსიზმში და მის საბჭოთა გამეორებებში დამოკიდებულება ქრისტიანობისა და მის მესვეურთა მიმართ უკიდურესად ნეგატიურია. ამ მხრივ განსაკუთრებით დომინირებდა ეკლესიის მსახურთა სიყვარული ფულისადმი(ამას ადასტურებს კათოლიკური ეკლესიის მიერ გამოცემული ინდულგენციებით ვაჭრობის ფაქტები). ამავე დროს მწვავე კრიტიკის თემას წარმოადგენდა ისიც, რომ ეკლესიის მსახურნი ყოველთვის და ყველგან იცავდნენ მდიდრების ინტერესებს, ცდილობდნენ ესიამოვნებინათ და კარგად ემსახურათ მათთვის, ხოლო ღატაკებსა და უქონელთ ურჩევდნენ მოთმინებასა და სიმშვიდეს. დიდი ხნის განმავლობაში, სასულიერო პირების დადანაშაულებას თან ახლდა ეკლესიის წარმომადგენელთა მხრიდანაც ბრალდებების წაყენება რაც აღსანიშნავია, რომ დღესაც გრძელდება(განსაკუთრებით კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებში). ამ ვითარების შესაბამისად მიმდინარეობდა თავად ქრისტიანული ეკლესის კრიტიკა, რომ იგი არასდროს უწყობდა ხელს საზოგადოებრივ წინსვლას, არ აპროტესტებდა მონობას, დაჩაგრულებს ურჩევდა, რომ მათ არაფერი შეეცვალათ და ყველაფერს მორჩილად შეგუებოდნენ. მდიდრებისა და ძალაუფლების მპყრობელთა მხარდასაჭერად, ეკლესიის წარმომადგენლები ანუგეშებდნენ დაჩაგრულებსა და მშივრებს, რომ ისინი თავიანთი მოთმინებისთვის მომავალში დაჯილდოვდებოდნენ. ყოველივე ამან აუტანელი ფარისევლობის ბეჭედი დაასვა ეკლესიის წარმომადგენლებს. სამწუხაროდ ათეისტებისა და ანტიქრისტიანების მხრიდან ამ ტიპის განცხადებების გასამტკიცებლად ისტორიაში, ახალ დრომდე და დღესაც საკმარისი ფაქტობრივი მასალა არსებობს.

ნაშრომის **მიზანია** შევეცადოთ შეძლებისდაგვარად გავერკვიოთ ქრისტიანული ეკლესიის დამოკიდებულებაში ისეთი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მიმართ როგორიცაა: ეკლესიის პასუხისმგებლობა, სიმდიდრე, ქველმოქმედება, საზოგადოებრივი ღირებულება თავისუფლება და ხელისუფალთა ქმედება.

კვლევის **მეთოდს** წარმოადგენს ლოგიკური ანალიზის გამხორციელება ახალი აღთქმის ტექსტის საფუძველზე.

ეკლესიის პასუხისმგებლობა არ არის კლირის[1] პასუხისმგებლობა

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ სასულიერო პირთა ნაკლოვანებები და ცოდვები, თავისთავად, არ იძლევა რაიმე უფლებას, რომ ყოველივე ეს ეკლესიას მიეკუთვნოს. შეიძლება თუ არა ეკლესიის სიწმინდე, მისი სიმართლე, მისი სწავლებები შეირყეს ეკლესიის მსახურთა უსამართლობის, ცოდვებისა და ნაკლოვანებებით? რა თქმა უნდა, არ შეიძლება უარვყოთ ფსიქოლოგიური კავშირი ეკლესიის წარმომადგენლთა წინააღმდეგ ბრალდებებსა და თავად ეკლესიის წინააღმდეგ განწყობას შორის: ყველაფერი, რაც ჩრდილს აყენებს ეკლესიის წარმომადგენლებს, თითქოს „თავისთავად“ გადაეცემა ეკლესიასაც, რომელის სიწმინდეზეც უპირველეს ყოვლისა სწორედ მისი მსახურები უნდა აუწყებდნენ ყველას. ამასთან, მარტივი სამართლიანობა მოითხოვს ეკლესიის განსჯას იმით, რასაც იგი თავად ასწავლის და რასაც მოითხოვს თავისი წარმომადგენლებიდან. ჩვენ არ ვაპირებთ კამათს იმ ფაქტების რეალობასთან

[1] კლირი -მღვდელმსახურთა, ეკლესიის მსახურთა, სასულიეროთა, მრევლის საერთო სახელი (17)

დაკავშირებით რასაც ანტიქრისტიანები აგროვებენ და მოუთითებენ. ცხადია, რომ არ შეიძლება გავათეთროდ ის რაც სინამდვილეში ბნელია და უღირსია. იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ, თუ როგორ ეხება ქრისტიანული ეკლესია ეკონომიკურ და სოციალურ თემას, უნდა მივმართოთ მის განცხადებებსა და მის მოძღვრებას.

დამოკიდებულება სოციალურ-ეკონომიკური საკითხებისადმი ახალ აღთქმაში

მოდით მივმართოთ წმინდა წერილს და, უპირველეს ყოვლისა, სახარებას. სიმდიდრისა და მის მიმართ დამოკიდებულების საკითხი ისე ხშირად და იმდენად მრავალფეროვნადაა გაშუქებული სახარებაში, რომ ჩვენ ყველა ადგილსაც კი არ დავასახელებთ, არამედ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანს შევეხებით. „მან (უფალმა) უთხრა: „დაუკვირდით და დაიცავით თავი ყოველი ანგარებისაგან, ვინაიდან ადამიანის სიცოცხლე მისი ქონების სიუხვეზე როდია დამოკიდებული“. (1)

უფლის ამ სიტყვების შემდეგ მნიშვნელოვანი იგავია იმ მდიდარ კაცზე, რომლის ქონებაც იზრდებოდა და ვინც ფიქრობდა მის შემდგომ ზრდაზე. მაგრამ ღმერთმა უთხრა მას: ,,უგუნურო ამაღამ სულს მოგთხოვენ და, რაც დაიმზადე ვიღას დარჩება?“(2)

ეს მოსდით მათ, ამბობს უფალი საბოლოო სიტყვებს: „ისიც ასევეა, ვინც თავისთვის იუნჯებს და ღმერთში არ მდიდრდება“. (3)

„სიმდიდრის მაცდუნებლობა“ ნახსენებია იგავში მთესველის შესახებ, საუბარში ღვთისმოსავ ახალგაზრდასთან, რომელიც ცდილობდა ,,მარადიული სიცოცხლის მემკვიდრეობას". უთხრა მას იესომ: ,,თუ გინდა,რომ სრულყოფილი იყო, წადი, შენი ქონება გაყიდე და მიეცი ღარიბებს და გექნება საუნჯე ზეცაში. მერე მოდი და გამომყევი“. (4)

ეს სიტყვა, რომ მოისმინა ჭაბუკმა დაღონებული განშორდა, ვინაიდან ბევრი ქონება ჰქონდა. იესომ კი უთხრა თავის მოწაფეებს: ,,ჭეშმარიტად გეუბნევით თქვენ.: ძნელია მდიდრისათვის ცათა სასუფეველში შესვლა“. (5)

ამის შემდეგ უფალმა უთხრა მოწაფეებს:,,კიდევ გეუბნებით თქვენ: უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში“.(6)

ეს არის რთული არა მხოლოდ მათთვის, ვინც უკვე ფლობს სიმდიდრეს, არამედ მათთვისაც, ვინც არ ფლობს, მაგრამ სურს რომ ფლობდეს მას. ,,...ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც“ ამბობს უფალი.(7)

როგორც ყველა ამ სიტყვიდან ირკვევა, ქრისტიანობა არამარტო არ მოუწოდებს სიმდიდრის დაგროვებისკენ, არამედ სიმდიდრეს სულიერ ცხოვრებაში გადამწყვეტ წინააღმდეგობად მიიჩნევს. სამოციქულო ეპისტოლეებში ეს დამოკიდებულება სიმდიდრეზე კიდევ უფრო განვრცობილია. ქრისტიანული ცნობიერების დამოკიდებულება სიმდიდრის მიმართ და მასთან დაკავშირებული ყველაფერი ალბათ ყველაზე მწვავედ, გამამტყუნებელად და გამაფრთხილებლად გამოხატულია პავლე მოციქულის 1 ეპისტოლეში ტიმოთესადმი: ,,ყველა ბოროტების საფუძველი არის ვერცხლთ მოყვარეობა(ფულის სიყვარული)". პავლე მოციქულის ეს მკაცრი სიტყვები მართალია არა მარტო იმ დროისთვის, როდესაც მან თქვა ეს არამედ, მართალია, რა თქმა უნდა, ჩვენი დროისთვისაც - აქ საქმე გვაქვს არა მხოლოდ ცოდვილ ქმედებათა „ფესვის“ გამოვლენასთან, არამედ იმისთანაც, რომ დავინახოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის სულისათვის სიმდიდრის ძიებას. (8)

პავლე მოციქული თავის გზავნილში გალატელებისადმი ახსენებს მათ, რომ ,,ატარონ ერთი მეორის ტვირთი“ ანუ იფიქრონ ღატაკებზე.

„ამ წუთისოფლის მდიდრებს ამცნე - წერდა პავლე მოციქული პირველ ეპისტოლეში ტიმოთესათვის - რომ არ გადიდგულდნენ, არ მიენდონ მაცდურ სიმდიდრეს, არამედ ცოცხალ ღმერთს, რომელიც ყველაფერს უხვად გვაძლევს მოსახმარად.“.(9)

კიდევ უფრო მეტად მკაცრია მოციქული იაკობის წერილი: ,, მოდით ახლა თქვენც იტირეთ, მდიდრებო, და ივაგლახეთ იმ უბედურებაზე თქვენზე რომ მოდის, თქვენი სიმდიდრე დალპა თქვენი სამოსელი კი ჩრჩილმა შეჭამა. თქვენი ოქრო და ვერცხლი დაჟანგდა. მათი ჟანგი იქნება მოწმობა თქვენს წინააღმდეგ და თქვენს ხორცს ცეცხლივით შეჭამს იგი. დაუნჯებული გაქვთ განძი უკანასკნელი დღეებისათვის. (10)

ყველგან სახარებაში და სამოციქულო ეპისტოლეებში ვხვდებით მოწყალების მოწოდებას, ყველასთვის დახმარების გაწევას და საკუთარი თავისგან განდგომას. მონობასთან დაკავშირებით კი, თითქოს ვერც ვპოულობთ მის განსჯას, - მაგრამ ეს ასე არ არის. არსად არ არსებობს მოწოდება ამბოხისათვის, ეს უდავოა. უფრო მეტიც მოციქულ პავლეს წერილში რომაელთა მიმართ ნათქვამია: ,,ყოველი სული დაემორჩილოს უმაღლეს ხელმწიფებას; ვინაიდან არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღვთისაგან, ხოლო არსებულნი ღვთის მიერ არიან დადგენილნი. ამიტომ

ხელმწიფება მოწინააღმდეგე ეწინააღმდეგება ღვთის დადგენილებას, ხოლო მოწინააღმდეგენი მსჯავრს დაიტეხენ თავს“.(11)

როგორც ვხედავთ მოციქული პავლე სიმდიდრის დაგროვებისა და მისი დაუნჯების მოწინააღმდეგეა, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფოს ძალაუფლებისა და სამეწარმეო წყობის განმტკიცებისკენ მოუწოდებს მორწმუნეებს. მეშვიდე და მერვე სტროფებში იგი ამბობს: ,,ამრიგად მიეცით ყველას, რაც ეკუთვნის: ვისაც ხარკი - ხარკი, ვისაც ბაჟი - ბაჟი, ვისაც შიში - შიში, ვისაც პატივი - პატივი. არავისი არაფერი დაგედოთ ვალად, გარდა ერთი მეორის სიყვარულისა, ვინაიდან სხვისი მოყვარული ასრულებს რჯულს“(ანუ კანონს). თუმცა I წერილში კორინთელებისადმი იგი აღნიშნავს: ,,დაე, თითოეული დარჩეს იმ მოწოდებით, რომლითაც მოუწოდეს. თუ მოწოდებული ხარ, როგორც მონა, ნუ ითაკილებ; მაგრამ თუ ძალგიძს გათავისუფლება, უმჯობესია ისარ-გებლო.“(12)

ამავე დროს პავლე მოციქული საკმაოდ მკაცრია ორთოდოქს ქრისტიანთა საზოგადოების მიმართაც იგი გვეუბნება: ,,ვინც ჭამს ნუ დაამცირებს იმას, ვინც არა ჭამს; და ვინც არაჭამს, ნუ განიკითხავს იმას, ვინც ჭამს. იმიტომ, რომ ღმერთმა მიიღო იგი.

ვინ ხარ შენ, სხვისი მონის განმკითხველო? თავისი უფლის წინაშე დგას იგი ან ეცემა; მაგრამ წამოყენებული იქნება, ვინაიდან ღმერთს ძალუძს მისი წამოყენება“ . (13)

შემდგომ 22-ე და 23-ე სტროფებში იგი არ აიგივებს რწმენას მორალთან და ეთიკურ ნორმებთან რადგან მიიჩნევს რომ: ,, გაქვს რწმენა? გქონდეს შენთვის ღვთის წინაშე. ნეტარია ის ვინც თავის თავს არ სდებს მსჯავრს იმის გამო რასაც ირჩევს. ვინც ეჭვობს ჭამისას, დამნაშავეა, ვინაიდან რწმენით არ იქცევა, ხოლო ყოველივე, რაც რწმენით არაა, ცოდვაა“. (14)

საოცრად თანამედროვეა მისი შეფასება და მოწოდება რომელიც მექრთამეობასა და დაუკვირვებად ეკონომიკაზე შეიძლება გავავრცელოთ: ,,ფასით ხართ ნაყიდნი, ნუ გახდებით ადამიანთა მონები“.(15)

ქრისტიანობაში მოწყალების აღთქმას საერთო ძალა აქვს. მოდით, ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ არსებობს მოწოდება, რომ არ მოხდეს „მოვალეობის“ მარტივად ზედაპირულად შესრულება: „მიეცი ყველას, - წერს პავლე მოციქული - გულის განწყობის მიხედვით, არა მწუხარებით და არა იძულებით, რადგან ღმერთს უყვარს ნებისყოფა.” ქრისტიანული ყურადღება ღარიბების მიმართ მდგომარეობს ზუსტად „კეთილგანწყობილ მიცემაზე“ - რომლის არსი არა ობიექტური დახმარებაა (მიუხედავად იმისა, რომ უფალმა მოუწოდა მოწყალებისკენ და განადიდნა მოწყალე: ,,კურთხეულ იყავნ მოწყალე; რამეთუ შეიწყალე"), არამედ სხვისი გულისცემის გაზიარება. (16)

დასკვნა

ასეთი გახლავთ ქრისტიანული ეკლესიისა და მოციქულების სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები. და, როგორც თესლი, რომელიც კარგ მიწაზე დაეცა, ისინი პირველი ქრისტიანული საზოგადოებიდან დაწყებული ქრისტიანების მომდევნო თაობებშიც ყვავის. ადრეული ქრისტიანული საზოგადოების ამ სისტემას ხშირად უწოდებენ ქრისტიანულ კომუნიზმს - მაგრამ მას შემდეგ, რაც ტერმინი კომუნიზმი სამუდამოდ დაადანაშაულეს მარქსის მიერ ძალადობის ქადაგებაში და საბჭოთა რეჟიმის საშინელ ტერორში, უსიამოვნოა ამ ტერმინის გამოყენება ადრეული ქრისტიანული საზოგადოების აღწერისას. ეს იყო მხოლოდ ერთი ოჯახი, ნამდვილი ძმობა.

დღევანდელ ქრისტიანობას სხვა პრობლემები აქვს, რომელთა შორის ყველაზე სახიფათოა ჩვენი ყოფიერების, ქრისტიანული ეთიკისა და მორალის გაიგივება უფალი იესო ქრისტეს რწმენასთან.

ლიტერატურა

1. ლუკას სახარება. თავ.12, 15. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი,1991. გვ. 142;
2. ლუკას სახარება. თავ. 12, 20. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი,1991. გვ. 143;
3. ლუკას სახარება. თავ. 12, 21. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი,1991. გვ. 143;
4. მათეს სახარება. თავ. 13, 22. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ. 28;
5. მათეს სახარება. თავ. 19, 16-23. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ.42 ;

6. მარკოზის სახარება. თავ. 10, 25. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ.91;
7. მათეს სახარება. თავ. 6, 24. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ.11 ;
8. მოციქულ პავლეს პირველი წერილი ტიმოთეს მიმართ. I ტიმ. თავ. 6, 10. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ.455;
9. მოციქულ პავლეს პირველი წერილი ტიმოთეს მიმართ. 1 ტიმ. თავ.6, 17. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ. 455;
10. მოციქულ იაკობის წერილი.იაკ. თავ. 5, 1–4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ. 300;
11. მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ. რომ. თავ.13, 1-8. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ. 349;
12. მოციქულ პავლეს წერილი პირველი წერილი კორინთელთა მიმართ. I კორ, თავ. 7; 20, 21.) ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ. 366;
13. მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ. რომ. თავ.14, 3-4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ. 350;
14. მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ. რომ. თავ.14, 22-23. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ. 351;
15. მოციქულ პავლეს პირველი წერილი კორინთელთა მიმართ. I კორ, თავ. 7, 23.) ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ. 366;
16. მოციქულ პავლეს მეორე წერილი კორინთელთა მიმართ. 2 კორ. თავ. 9, 7. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ.395;
17. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი : 3 ტომად. შემდგენელი ალექსანდრე ელერდაშვილი. - I გამოც. თბილისი. ფანტაზია, 2006; http://www.nplg.gov.ge/gwdict/index. php?a=term&d=14&t=112324

SOCIO-ECONOMIC ISSUES IN CHRISTIANITY

Gogorishvili Irina
Associated Professor at Ivane Javakhishvili
Tbilisi State University

Summary

The paper considers the position of the modern Christian church on the reproach prevailing in anti-Christian literature and Marxism.
The purpose of the study is to identify the relationship of Christianity to socio-political issues by analyzing the text of the New Testament. In this regard, the main emphasis is placed on the assessment by the Christian church of the role of wealth, charity, government officials and institutions.

***Keywords**: Responsibility, power, ethics, morality*

საქართველოს საერთაშორისო საბანკო ურთიერთობების რეგულირება ბაზელის შეთანხმების საფუძველზე

გოგოხია მაია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

მუდმივი ცვლილება – სრულყოფის პროცესში მყოფი ფინანსური სისტემა ახალ-ახალ გამოწვევებს უმზადებს მარეგულირებელ ორგანოებს. ბაზელ III-ის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვამ უნდა უზრუნველყოს საბანკო სისტემის მდგრადობა, მიუხედავად პრობლემებისა საქართველოს თანამედროვე ეკონომიკაში, ბაზელის შეთანხმებები ახდენს წმინდა ფორმალური მიდგომების რეალიზებას, თავისი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით, თუმცა ბევრი ქვეყნის პრაქტიკასა და საერთაშორისო დონეზე გვხვდება სხვადასხვა მეთოდის, ექსპერტული მიდგომისა და ინსტრუმენტის გამოყენება. საბანკო სექტორს აქვს შთამბეჭდავი მოცულობა ქართული ეკონომიკის მასშტაბით, რაც შესაძლებლობას აძლევს მას გაუძლოს საგარეო და საშინაო ფაქტორების ნეგატიურ ცვლილებებს.

საკვანძო სიტყვები: *კომერციული ბანკის ფინანსური სტაბილურობა, ბაზელი III, კაპიტალის საკმარისობის მართვა, ლიკვიდურობის მოთხოვნები.*

დინამიკურად ცვალებადი ფინანსური სისტემა ახალ-ახალ გამოწვევებს უმზადებს მარეგულირებელ ორგანოებს და მანამ, სანამ ეს უკანასკნელი არ მოახდენს რეაგირებას ცვლილებებზე, ისინი ვერ შეძლებენ შეაკავონ ფინანსური ინსტიტუტები ზღვარგადასული რისკის აღებისაგან [1, გვ. 344].

ბოლო ათწლეულების დამანგრეველ კრიზისებთან დაკავშირებით, რეგულატორები, საზოგადოება უპირატესობას ანიჭებენ ფინანსურ სტაბილურობას ეფექტიანობის საზიანოდ [2, გვ. 33].

კაპიტალის მართვისას ხარისხობრივი მახასიათებლები განსაზღვრულია საზედამხედველო ორგანოების მოთხოვნებით და მხოლოდ შემდგომ კონკრეტული ბანკის ამოცანებითა და მისი კლიენტების ინტერესებით, რაც უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

კომერციული ბანკის ფინანსური სტაბილურობის საინტერესო განმარტებას წარმოადგენს მისი განსაზღვრა, როგორც „მდგომარეობის დიაპაზონისა, რომელიც გულისხმობს ფინანსური პარამეტრების დაბალანსებულობას, ფინანსური მდგრადობის მარაგის შენარჩუნებას, რაც ბანკს შეძლებლობას აძლევს წინ აღუდგეს და გადალახოს ნეგატიური შიგა და გარე, მათ შორის გლობალური ფაქტორების გავლენა“.

ბაზელ III-ის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვამ ხელი უნდა შეუწყოს საბანკო სისტემის მდგარადობას მიუხედავად პრობლემებისა საქართველოს თანამედროვე ეკონომიკაში. საბაზრო რისკის სტრუქტურის რეგულირება დადასტურებულ იქნა ცენტრალური ბანკების მმართველებისა და საზედამხედველო ორგანოების მეთაურების (GHOS) მიერ. გადასინჯული სტანდარტები გახდის ბანკებს უფრო მოქნილს და აღადგენს რწმენას საბანკო სისტემებისადმი [3].

კაპიტალის საკმარისობის მართვის მიზანია საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების, საბანკო ზედამხედველობის მოთხოვნების შესრულება, ვინაიდან ბანკის კაპიტალის სიდიდის, მისი ცალკეული კომპონენტების ხვდრითი წონების დადგენა, კორექტირება და შენარჩუნება უზრუნველყოფს ბანკის მდგრად ფუნქციონირებას და საბანკო რისკების შემცირებას.

ბაზელ III-ის სიახლეა საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის ცვლილება, კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების გაზრდა, ხარისხის ამაღლება, კაპიტალის ბუფერების შექმნა. ერთ-ერთი ასეთი ბუფერია კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი – სარეზერვო კაპიტალი, რომელიც იქმნება კრიზისთან ბრძოლის შემთხვევისათვის 2,5%-ის ოდენობით. კონტრციკლურობის ბუფერის არსებობა კი განპირობებულია იმით, რომ ეკონომიკური ციკლის ფაზებში შეიძლება არსებითად გაიზარდოს მაკროეკონომიკური რისკები, რაც უპირველესად, ფიქტიურ კაპიტალთან არის დაკავშირებული (დერივატივებით სპეკულაციური ოპერაციების განხორციელება). ზოგიერთი ეკონომისტი გვთავაზობს კონტრციკლურობის კოეფიციენტის დადგენას, რათა გათვალისწინებულ იქნეს ფულადი კაპიტალის მოძრაობა – კოეფიციენტი $k_{countercycle}$, რომელიც გაიზრდება ეკონომიკური აღმავლობისას ან შემცირდება ეკონომიკური დაცემისას.

ბანკის კაპიტალისადმი ახალმა მოთხოვნებმა შესაძლოა ბანკებს ფინანსური პრობლემები შეუქმნას, თუ მათი შემოსავლიანობა მცირდება. კაპიტალის საკმარისობისადმი გაზრდილი მოთხოვნების პირობებში, ბანკები მომგებიანობის არსებული დონის შესანარჩუნებლად, ცდილობენ ბალანსში იქონიონ მეტად რისკიანი აქტივები. მოკლევადიანი იაფი პასივების მოზიდვითა და მისი განთავსებით გრძელვადიან და ძვირ აქტივებში, მათი ლიკვიდურობა მცირდება.

მეორე მხრივ, ბაზელ III-ის ლიკვიდურობის ნორმატივებმა (LCR, NSFR), შეიძლება გამოიწვიოს ბანკების საპროცენტო მარჟის შემცირება, მაღალლიკვიდური აქტივების ხვდრითი წონისა და გრძელვადიანი პასივების ღირებულების ზრდის გამო. ამასთან, შეიძლება შემცირდეს დაკრედიტების საშუალო ვადები, თუ ბანკებს არ ექნებათ აუცილებელი გრძელვადიანი რესურსები იმ მოთხოვნების შესასრულებლად, რომელსაც ითვალისიწნებს წმინდა სტაბილური დაფინანსების მაჩვენებელი [4, გვ. 168].

ბაზელ III-ში არის ზოგადი და კონკრეტული ხასიათის დამატებითი ღონისძიებები, რომლითაც უნდა იხელმძღავნელონ ბანკებმა, მათი კაპიტალის სიდიდისა და საქმიანობის დამოუკიდებლად, რაც გულისმობს ანგარიშის გაწევას რიგი ობიექტური მიზეზის არსებობისათვის და ადეკვატური ზომების მიღებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს:

- არაეფექტიანი კაპიტალის შემცირება;
- ლიკვიდობის ზრდა;
- ბალანსის რესტრუქტურირება კაპიტალის ხარისხის ასამაღლებლად და დამატებით კაპიტალზე მოთხოვნის შესამცირებლად (აღნიშნულის მიზანია შეზღუდული რესურსების ეფექტიანი მართვა);
- ბინზესგეგმებში კორექტივების შეტანა მოქნილი ოპერაციული სტრუქტურის მისაღწევად ხელმისაწვდომი (იაფი) საბანკო პროდუქტებით.

თუ კაპიტალის დონე დეფიციტურია, მიღებულ უნდა იქნეს კრიზისული მენეჯმენტის ზომები, როგორიცაა: აქციონერებისგან ან გარე წყაროებიდან ფინანსური მხარდაჭერის მოპოვება, ზოგიერთი აქტიური და პასიური ოპერაციის შეზღუდვა, ცვლილებები მენეჯმენტის შემადგენლობაში.

ბაზელის შეთანხმებებით რეალიზდება ფორმალური მიდგომები, საკუთარი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკაში, აგრეთვე საერთაშორისო მასშტაბით, გვხვდება ისეთი მეთოდების, ექსპერტული მიდგომისა თუ ინსტრუმენტის გამოყენება, როგორიცაა:

- ოპერაციები აქციებით ანუ გამოშვება, ანდერრაიტინგი, გამოსყიდვა – კოტირებების შენარჩუნებებისა და კაპიტალის სტრუქტურის კორექციისათვის, აქციების კონვერტაცია ობლიგაციებში და პირიქით;
- მოგების მართვა და დივიდენდების პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს გაუნაწილებელი მოგების ზრდას, მიმართულს კაპიტალიზაციაზე;
- კონტროლი აქტივებზე, ზარალის შესამცირებლად და დამატებითი ხარჯების ელიმინირებისათვის, რაც უზრუნველყოფს კაპიტალის საკმარისობას.

ამასთან ერთად, კაპიტალის შესავსებად, ბანკებმა შეიძლება მიმართონ ქონების ნაწილის გაყიდვას, დაბრუნებად ლიზინგს (Lease back). ასეთი ოპერაციები ეფექტიანია მაღალი ინფლაციის პირობებში.

ერთი შეხედვით, მსხვილ ბანკებს მეტის დახარჯვა შეუძლიათ კვალიფიციური პერსონალის მომზადებაზე, გამოცდილი კადრების მოზიდვაზე, უცხოელი სპეციალისტების მოწვევაზე, ბონუსებზე მენეჯერებისათვის. აქედან გამომდინარე, ბანკის მართვა უფრო ეფექტიანი იქნება, ბანკი კი – უფრო სტაბილური და საიმედო. თუმცა, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ზოგიერთი ძლიერი ბანკი კაპიტალის მოთხოვნის გაზრდისას ან იხურება ან შთაინთქმება. მსხვილმა ბანკებმა კი შესაძლოა იმდენად არ იზრუნონ მოსახლეობის, ფერმერების, ინდმეწარმეების, მცირე ბიზნესის ეფექტიან მომსახურებაზე, რაც მცირე და საშუალო ბანკების პრიო-რიტეტია.

ჰერფინალდ-ჰირშმანის ინდექსით, რაც კონცენტრაციის აკადემიური საზომია, საქართველოს საბანკო სისტემა საკმაოდ კონცენტრირებულად შეიძლება ჩაითვალოს (HHI=2178, მაშინ როცა HHI>1800 მაღალი კონცენტრაციის მაჩვენებელია. (იხ. ცხრილი).

საქართველოს კომერციული ბანკების კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბრისთვის (ათას ლარებში)[1]

საქართველოს ბანკი	1 481 919
თიბისი ბანკი	1 848 362
ლიბერთი ბანკი	217 333
ქართუ ბანკი	341 706
ვითიბი ბანკი ჯორჯია	227 805
პროკრედიტ ბანკი	198 101
ტერა ბანკი	130 420
ბაზის ბანკი	213 534
სილქ როუდ ბანკი	33 058
კრედო ბანკი	120 470
ხალიკ ბანკი საქართველო	71 270
ფინკა ბანკი საქართველო	41 054
იშ ბანკი საქართველო	36 863
პაშა ბანკი საქართველო	272 804
ზირაათ ბანკი საქართველო	30 837

ამგვარად, მთავარ გრძელვადიან რესურსს და ზარალის ბუფერს – საბანკო სექტორის კაპიტალს აქვს შთამბეჭდავი მოცულობა ქართული ეკონომიკის მასშტაბით. კაპიტალიზაციის მაღალი დონე შესაძლებლობას აძლევს მას გაუძლოს შესაძლო ნეგატიურ გარეგან გავლენებს, რაც აგრერიგად ჩვეულებრივია გლობალიზაციის კონტექსტით [5. გვ. 197].

საგარეო ფაქტორების ნეგატიური ცვლილებების გარდა, რაც დიდი პრობლემაა საქართველოს ეკონომიკისათვის, უნდა აღინიშნოს საშინაო ფაქტორებიც, რომელთა შორის პირველ ადგილზე შეიძლება დასახელდეს საფინანსო პირამიდების ჩამოყალიბება. ამ პროცესში, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოც იღებდა მონაწილეობას [6, გვ. 184].

წარმატებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია სტაბილური საბანკო სისტემა. ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების რეგულირებაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიმართულებად შეიძლება განვიხილოთ. საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის არათანაბარზომიერი განვითარებისა და ქართულ ფინანსურ სექტორზე გლობალიზაციის პროცესის არსებითი გავლენის გამო, მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ზღვარგადასულ გამოყენებას, კომერციული ბანკების საქმიანობაზე სათანადო ზედამხედველობის გარეშე, შეუძლია გამოწვიოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეალურ ეკონომიკაზე ზემოქმდების მექანიზმის დარღვევა.

უმეტესი ინდუსტრიული ქვეყნების ცენტრალური ბანკები ახორციელებს პოლიტიკას ფულად ბაზარზე ზემოქდების მეშვეობით, პროცენტის მოკლევადიანი განაკვეთის მიზნობრივი დონის უზრუნველსაყოფად [7, გვ. 456]. ეროვნული ბანკი დიდი მნიშვნელობას ანიჭებს კომერციული ბანკებისათვის მოქმედი საოპერაციო პროცედურების, მონეტარული პოლიტიკის გამოყენების თავისებურებების ახსნას. ასევე დიდი როლს შეასრულებს მათთან ერთად სებ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხილვა.

დასასრულ, გვინდა შევნიშნოთ, რომ საბანკო რისკების რეალიზება იწვევს ფინანსურ დანაკარგებს და ბანკის ბიზნესის ნეგატიურ ცვლილებებს. ბანკებისათვის რეკომენდებულია რევერსული სტრესტესტების ჩატარება, მიმართულს იმ სცენარების ნაკრების განსაზღვრაზე, რომელთა რეალიზებაც ბანკის მდგომარეობის სერიოზულ გაუარესებას გამოიწვევს.

ბანკები უნდა განიხილავდნენ კაპიტალის საკმარისობის აუცილებელი დონის შენარჩუნებისა და აღდგენის, მისი ხარისხის, ასევე ლიკვიდობის უზრუნველყოფის სხვადასხვა ვარიანტს. ასევე უნდა გაითვალისწინონ ლიკვიდობის წყაროების პოტენციური შემცირება.

ამგვარად, ქართული კომერციული ბანკები გადავიდნენ საბანკო რეგულირების ბაზელის პრინციპებზე (ბაზელ III). ბაზელ III-ის ძირითადი დებულებების დანერგვამდე მათ უნდა გადაეწყვიტათ რიგი კომპლექსური საკითხი დაკავშირებული საბანკო რისკების შემცირებასთან, საბანკო სესხებისა და ლიკვიდური აქტივების ხარისხის გაუმჯობესებასთან, საბანკო პერსონალისადმი მოთხოვნების ზრდასთან. სპეციალურად განიხილებოდა გაზრდილი მოთხოვნები IT-რისკებისადმი, საბანკო კომპიუტერული ტექნოლოგიების მუშობისა და დაცვისადმი.

[1] ცხრილი შედგენილია www. nbg.gov.ge მონაცემების საფუძველზე

საერთაშორისო საბანკო საქმიანობის რეგულირების სისტემის სრულყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად მიგვაჩნია სპეციალიზებული კომერციული ბანკების კომპეტენციის განსაზღვრა – მათი ფუნქციებისა და საქმიანობის კრიტერიუმების მკაფიო ფორმალური აღწერა, მკაცრი მოთხოვნების შემუშავება მათი მომსახურების სხვადასხვა სახეობის შეთავსებისადმი.

ლიტერატურა

1. Мишкин Фредерик С., Экономическая теория денег, банковского дела и финансовых рынков, седьмое издание: пер. с англ. Изд. Дом «Вильямс»; Москва – Санкт-Петербург – Киев, 2006, с. 880с.
2. Роджер Лерой Миллер, Девид Д. Ван-Хуз. Современные деньги и банковское дело, пер. с англ. Инфра М., 2000, 856с.
3. https:// www.bis.org/bsbs/basel 3. htm
4. გოგოხია მ. საბანკო სექტორის რეგულირების საკითხისათვის, „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XI, N1, 2019, გვ. 164-170.
5. Kovzanadze I. Global Economy: Post-crisis to Sustainable Development, Bloomington „Universe“, 2018, 248 p.
6. მექვაბიშვილი ე. გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა, თბ., „ინტელექტი“, 2018, 288 გვ.
7. Уолш Карл. Монетарная теория и монетарная политика, пер. с англ. Изд. Дом «Дело», 2014, 632 с.

REGULATION OF INTERNATIONAL BANKING RELATIONS OF GEORGIA BASED ON THE BASEL AGREEMENT

Gogokhia Maia
Academic Doctor of Economics,
Associated Professor at Ivane Javakhishvili
Tbilisi State University

Summary

The financial system that is changing dynamically, prepares new and new challenges to the regulation bodies. Implementation of the Basel III International Standards shell provide sustainability of the banking system despite the problems in the contemporary economics of Georgia; the Basel agreement makes pure formal condition realization with its advantages and disadvantages though in the practice of many country and in the international level, we meet application of instrument, different methods, experimental approach. The banking sector capital has impressive volume within the Georgian economics provides opportunity resist negative changes of foreign and domestic factors.

Keywords: *Financial Stability of the Commercial Bank, Basel III, Capital Adequacy Management, Liquidity Requirements.*

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში

გოგრიჭიანი ზეინაბ
თსუ-ის უფროსი მასწავლებელი

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები დაინტერესებული არიან სრული და ამომწურავი ინფორმაციით საწარმოების ეკონომიკური საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რაც საშუალებას მისცემს მათ მიიღონ დასაბუთებული ოპტიმალური გადაწყვეტილება. ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის შესაბამის და სამართლიან წარდგენას უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები. ერთ-ერთი პრინციპია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენების ასახვის მოთხოვნა.

ფინანსური ანგარიშგების შედგენასა და მისი ინფორმაციის მომხმარებლებისადმი წარდგენის თარიღამდე პერიოდში ხდება მოვლენები, რომელიც დამატებით ინფორმაციას იძლევა აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ. ამ მოვლენების შესწავლა, აღიარება და ასახვა არის ფინანსური ანგარიშგების საიმედო ინფორმაციის წარდგენის ერთ-ერთი პირობა.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) 10 *„საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენების“ შესაბამისად, აღნიშნული მოვლენები ორი სახისაა: მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი. მნიშვნელოვანია გარკვევა იმაში, თუ რომელი მოვლენებით კორექტირდება ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია, როგორია მათი ასახვის წესი, რომელი მოვლენები აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.*

საკვანძო სიტყვები: *საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები: მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები; არსებითი მოვლენები; ფუნქციონირებადობის დაშვება.*

უკანასკნელ წლებში მიმდინარე პროცესებმა საგრძნობლად აამაღლა მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების ხარისხისადმი, რადგან მისი მომხმარებლები დაინტერესებული არიან მიიღონ სრული და ამომწურავი ინფორმაცია საწარმოების ეკონომიკური საქმიანობის შედეგების, ფინანსური მდგომარეობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სწორედ ფინანსური ანგარიშგება ასახავს რა საწარმოს ქონებრივ და ფინანსურ მდგომარეობას საანგარიშგებო თარიღისათვის, იგი წარმოადგენს ინფორმაციის ძირითად წყაროს მომხმარებელთა მიერ დასაბუთებული, ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებისათვის [1].

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი საკმაოდ შრომატევადი და პასუხსაგებია. ის დიდი რაოდენობით ინფორმაციის დამუშავებას მოითხოვს. ამის გამო ფინანსური ანგარიშგების შედგენასა და მისი ინფორმაციის მომხმარებლებისადმი წარდგენის თარიღამდე ზოგჯერ საკმაოდ დიდი დროა საჭირო. ამ პერიოდში შეიძლება მოხდეს მოვლენები, რომელთა გამო წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება კარგავს აქტუალობას, ხდება ნაკლებ საიმედო, ხოლო რიგ შემთხვევებში მომხმარებლები მიყავს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების დროს შეცდომებამდე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები შეიძლება იძლეოდეს დამატებით ინფორმაციას, რაც იწვევს აქტივებისა და ვალდებულებების კორექტირების ან მათი აღიარების აუცილებლობას. ეს საშუალებას მისცემს მომხმარებლებს შეაფასონ წარსული, მიმდინარე ან მომავალი მოვლენები – დაადასტურონ ან დააზუსტონ ადრე გაკეთებული შენიშვნები. ამიტომ შესწავლილი უნდა იქნეს ის ფაქტები, რომლებიც შეიძლება აღიარდეს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოვლენებად და განისაზღვროს როგორ უნდა აისახოს ეს მოვლენები ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენების შესწავლას, მის აღიარება – ასახვისა და შეფასების საკითხებს განიხილავს ბასს 10 „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ [2]. ბასს 10-ით **საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოვლენებს** მიეკუთვნება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღიდან მისი წარდგენის ნებართვის თარიღამდე მომხდარი ყველა მოვლენა. ბასს 10 -ის მიზანი მდგომარეობს ამ მოვლენების პრინციპების განსაზღვრაში. ამისათვის უნდა დადგინდეს:

- როდის უნდა მოახდინოს საწარმომ ფინანსური ანგარიშგების კორექტირება იმ მოვლენების გათვალისწინებით, რომლებიც მოხდა საანგარიშგებო თარიღის შემდეგ; და
- რომელი ინფორმაცია უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში.

ბასს 10 შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები შეიძლება იყოს როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი. ამავე დროს შეიძლება გამოიყოს ორი ტიპის მოვლენა: მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი. ბასს 10 – ით განისაზღვრება რომელი მოვლენებით

უნდა მოხდეს ფინანსური ანგარიშგების კორექტირება და რომელი აისახება განმარტებით შენიშვნებში.

მაკორექტირებელია ისეთი მოვლენები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამატებითი მტკიცებულებების მიღებას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ პირობებთან შედარებით. ეს მოვლენები ადასტურებენ იმ პირობების არსებობას, რომლებიც საჭიროებენ ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლებში ცვლილებების შეტანას. მაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით აუცილებელია საწარმომ მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაში უკვე აღიარებული თანხების კორექტირება ან ისეთი მოვლენების აღიარება, რომლებიც მანამდე არ იყო აღიარებული.

ბასს 10 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენებს მიაკუთვნებს:

- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სასამართლო დავის გადაწყვეტა, რამდენადაც იგი ადასტურებს, რომ საწარმოს უკვე ჰქონდა მიმდინარე მოვალეობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ისეთი ინფორმაციის მიღება, რომელიც მიუთითებს, რომ აქტივი გაუფასურებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან მანამდე, მაგალითად:
  - კლიენტის გაკოტრება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადასტურებს, რომ ზარალი უკვე არსებობდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე და საწარმოს ესაჭიროება სავაჭრო მოთხოვნების **ანგარიშის საბალანსო ღირებულების კორექტირება [3];**
  - საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაყიდვამ შესაძლოა მოგვცეს მტკიცებულება მათ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს [4];
- საანგარიშგებო თარიღამდე შეძენილი აქტივების თვითღირებულების, ან აქტივების გაყიდვიდან ამონაგების განსაზღვრა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ;
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოგების განაწილების, ან საპრემიო გადახდების სიდიდის განსაზღვრა, თუ საწარმოს საანგარიშგებო თარიღამდე მომხდარი მოვლენების შედეგად ჰქონდა ამგვარი გადახდების განხორციელების იურიდიული ან კონსტრუქციული მიმდინარე მოვალეობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- თაღლითობის და შეცდომების აღმოჩენა, რაც ადასტურებს, რომ ფინანსური ანგარიშგება არაკორექტული იყო.

აღნიშნული მოვლენების კორექტირებით ფინანსური ანგარიშგება გახდება უფრო საიმედო, ამიტომ, საწარმომ აუცილებელია გაითვალისწინოს ბასს 10 – ის მოთხოვნები.

არამაკორექტირებელია მოვლენები, რომელიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რაც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შედგენის შემდეგ პერიოდში, მაგრამ გავლენას არ ახდენს ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღის დროს არსებული აქტივებისა და ვალდებულებების მდგომარეობაზე, ასევე მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლებზე. ბასს 10 – ის შესაბამისად, არამაკორექტირებელ მოვლენებს მიეკუთვნება:

- უმთავრეს საწარმოთა გაერთიანებები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ან უმთავრესი შვილობილი საწარმოს გასვლა;
- ოპერაციების შეწყვეტის გეგმის გამოცხადება;
- აქტივების უმთავრესი შენაძენები, შესაბამისად, აქტივების სხვა გაყიდვები ან სახელმწიფოს მიერ უმთავრესი აქტივების ექსპროპრიაცია;
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ძირითადი საწარმოო მოწყობილობების ხანძრის მიერ განადგურება;
- უმთავრესი რესტრუქტურიზაციის გამოცხადება ან დაწყება [5];
- უმთავრესი გარიგებები ჩვეულებრივ აქციებსა და პოტენციურ ჩვეულებრივ აქციებზე საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ;
- უჩვეულოდ დიდი ცვლილებები აქტივის ფასებსა ან სავალუტო კურსებში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ;
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ საგადასახადო განაკვეთებში ან საგადასახადო კანონმდებლობაში ძალაში შესული ან გამოცხადებული ცვლილებები, რომლებსაც მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს მიმდინარე და გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებზე;
- მნიშვნელოვანი ვალდებულებების ან პირობითი ვალდებულებების აღება, მაგალითად, მნიშვნელოვანი გარანტიების გამოშვება [5];
- მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენებიდან წარმოშობილი მნიშვნელოვანი სასამართლო დავის დაწყება.

ბასს 10 – ის შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენებიდან ერთ – ერთი მნიშვნელოვანია **ინვესტიციების საბაზრო ღირებულების დაცემა** საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად ნებართვის თარიღამდე. ინვესტიციების რეალური ღირებულების დაცემა ასახავს იმ გარემოებებს, რომლებიც წარმოიქმნა მომდევნო პერიოდში. ამიტომ საწარმო არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციებისათვის აღიარებული თანხების კორექტირებას. ასევე არ განაახლებს საანგარიშ-გებო პერიოდის ბოლოს განმარტებული ინვესტიციების თანხებს, მაგრამ შესაძლოა მას დასჭირ-დეს დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება განმარტებით შენიშვნებში [6].

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს მიეკუთვნება საწარმოს მიერ გასული ფინანსური წლისათვის **დივიდენდების გამოცხადება.**

ბასს 10 – ის თანახმად, თუ დივიდენდები წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელთათვის გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, საწარმომ ეს დივიდენდები ვალდებულების სახით არ უნდა აღიაროს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

თუ დივიდენდები გამოცხადდება საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, მაშინ ინფორმაცია დივიდენდების შესახებ უნდა აისახოს ფინა-ნსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საწარმოს მიერ აღიარებულია **არსებითად.** ამიტომ აუცილებელია საწარმოს ხელმძღვანელმა პროფესიული მსჯელობის საფუძველზე და კონკრეტული ეკონო-მიკური სიტუაციიდან გამომდინარე განსაზღვროს მოვლენის არსებითობა, რამდენადაც ერთი საწარმოსათვის არსებითი მოვლენა მეორისათვის შეიძლება არაარსებითი იყოს.

თუ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენების შედეგი არსებითია, მაშინ მისი დამა-ხინჯებულად ასახვის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ამ მოვლენების შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში. მაშასადამე, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით საწარმომ არ უნდა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირება, არამედ ისინი უნდა ასახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

Да, бизнес гонится за высокой прибыльностью. Однако, в целях регулирования уровней инфляции и ценовых скачков на товары и услуги в потребительском рынке, весьма важна практика применения государственных ограничительных инструментов и стимулирующих рычагов. В частности, целесообразно

было бы установление предельно возможных высоких уровней прибыльности страховым компаниям, а также некоторым разновидностям страхования. В соответствии с действующим законом Азербайджанской Республики, страховые компании не могут заниматься банковской деятельностью. Это значит, что денежно – валютные ресурсы, накопленные в страховых компаниях, не могут быть использованы как инвестиционный капитал и, вдобавок к этому, они не могут выдаваться кому – либо для применения под проценты [7].

Приведенное положение считаем спорным, т.к. согласно условиям капиталистической системы хозяйствования, деньги должны работать: оборачиваться и приносить прибыль. Если, это положение нашими и прочими законами игнорируется, тогда страховые компании должны создаваться в форме сообщества страхователей, как бы акционерные общества и товарные биржи, не преследующие поучение прибыли. В противном случае государство должно так регулировать деятельность страховых компаний, чтобы по истечении определенного времени, они не могли присваивать все оставшиеся страховые взносы как прибыль или соответствующие бонусы. Кроме этого, страховые компании, возможно, следует создавать, как отмечалось выше, на основе принципов товарных бирж. Последние, в соответствии с их уставами, формируются в виде структур, не преследующих коммерческие цели, т.е. получение прибыли. Причем, сотрудники подобных организаций получают только заработные платы и не имеют право вступать с учредителями или прочили субъектами рынка, в какие – либо не оговоренные в трудовом контракте между работодателями и наемными работниками торговые и экономические отношения. Например, биржевые клерки, являющиеся одними из подобных наемных работников в товарных и прочих биржах, выполняют работы, связанные с обеспечением деятельности биржевых продавцов и покупателей, а также брокеров, как посредников и контрагентов подающей или покупающей стороны, в зависимости от заключенных между ними договорами. Высшим органом таких структур являются общие собрания учредителей, которые утверждают состав исполнительных структур, в частности биржевых комитетов, избирают их сотрудников, хотя бы один раз в год слушают отчеты соответствующих ответственных руководителей. Общее же руководство, в частности биржами в течение текущих периодов осуществляется биржевыми комитетами, выбирающими своих президентов или исполнительных директоров бирж. Если бы страховые компании создавались и функционировали на подобии товарных бирж, тогда бы куда лучше учитывались демократические права и интересы страховщиков и государства.



Рисунок 3. **Графическое изображение тенденции страховых поступлений и расходов**

Анализируя финансово – экономическое состояние страховых компаний для наглядности можно графически изобразить в отдельности поступления и выплаты по обязательному и добровольному страхованиям, а также динамику роста или сокращения прибыли страховых компаний (рис.3).

Кроме того можно представить графики сбора страховых выплат до и после маркетинговых мероприятий (рекламы, различных презентаций, событий и т.д.). На основе собранной подобным образом информации будет относительно проще рассчитать коммуникативную и экономическую эффективность рекламных и прочих мероприятий.

Сборы страховых взносов на практике во времени опережают выплаты по страховым случаям. В целях эффективного управления этими процессами маркетинг предлагает изучать динамику прошлогодних финансово – экономических состояний как отдельных, так и всех страховых компаний. Страховые компании, исследуя собственные риски, должны изучать опыт прошлых лет и деятельность конкурирующих страховых компаний [3].

Для своевременной и правильной оценки рисков страховых компаний маркетинг рекомендует при каждом из них создать эффективную маркетинговую информационную систему (МИС). Эта система должна предусматривать формирование служб менеджмента и маркетинга, а также статистики, бухгал-

терского учета, организации аналитической работы, стратегического и текущего контроля, т.е. всего того, что необходимо для плодотворной деятельности страховой компании. При всем этом, все создаваемые структурные подразделения должны отвечать принципам научности, системности, оперативности, комплексности, объективности, выделения ведущих звеньев, рыночной адекватности, общекорпоративной приверженности, социальной ориентированности с учетом религиозных ценностей и постулатов стран, где развертывается деятельность страховых компаний.

В целях претворения в жизнь приведенных принципов и условий, связанных с организацией управления страховыми компаниями, следует соблюдать оправданный жесткий режим работы отдельных структурных подразделений. В частности, для формирования объективных выводов и предложений сотрудниками и руководителями страховой компании, информация об изменениях в окружающей среде должна накапливаться в непрерывном режиме с использованием возможностей современных информационных технологий. В этом деле большая ответственность и нагрузка ложится на сотрудников, наделенных учетными и аналитическими функциями. Поэтому, для достижения желаемых успехов, эти и другие сотрудники страховых компаний должны проходить специальные курсы подготовки и переподготовки не только в странах, где они работают, но и в зарубежных вузах и страховых компаниях, например в Англии, где функционирует всемирно известный страховой рынок и корпорация «Ллойд» [10].

Организации управления страховыми компаниями может также помочь изучение опыта работы товарных и прочих бирж. Это касается, как опыта ведения оперативной статистики и бухгалтерского учета по результатам проводимых биржевых торгов, а также организации биржевых исследований и ее научного аппарата, в частности, фундаментальных и технических анализов, позволяющих изучать состояния биржевых рынков и делать какие – либо прогнозы на счет их динамики. Подобная учетно – аналитическая работа ставит проблему разработки определенных таблиц, матиц, графиков и схем. Например, если представить графическое изображение страховых поступлений и расходов на одном рисунке, то смещая верхнюю часть графика с нижней, вернее как бы накладывая их друг на друга, можно получить наглядную картину соотношений доходов и затрат страховой компании.

В целом, в течение определенного периода времени, допустим, одного года, общая сумма поступлений от каждой разновидности страхования должна быть больше или равно сумме страховых выплат по этим же видам страхования, т.е.:

(1) $\sum_1^n \varepsilon_n \geq \sum_1^m b_m$, ***где***

n – *численность страхователей по тому или иному виду страхования в течение одного года;*

a – *сумма страхового взноса каждого страхователя по тому или иному виду страхования за этот же период;*

m – *число страховых выплат в течение одного года;*

b – *сумма страховых выплат по каждому официально оформленному страховому случаю.*

В то же время, совокупные страховые поступления по отдельным видам страхования, так же должны быть больше или равны всем совокупным страховым выплатам и расходам страховой компании, т.е.:

(2) $\sum_1^c x_c \geq \sum_1^d y_d$, ***где***

c – *общая численность клиентов, уплативших страховые взносы по всей страховой компании в течение одного года по всем видам страхования;*

x – *отдельные страховые взносы со всех разновидностей страхования в течение одного года;*

d – *численность страхователей, получивших страховые суммы по всем видам страхования в течение одного года;*

y – отдельные *страховые выплаты и расходы страховой компании за этот же период.*

Из приведенных формул следует, что сумма страховых выплат должно рассчитываться с такой вероятностью, чтобы страховая компания не только не сталкивалась с проблемами несостоятельности и банкротства, а могла бы, покрыв все расходы, накапливать некоторые средства на уровне не ниже уровня среднегодовой инфляции. Например, если инфляционное ожидание на предстоящий год составляет 5 % -ов, то доходы страховой компании в худшем случае также должны возрасти до уровня, способного покрыть все потери от этого разрушительного процесса обесценивания денежных средств.

Уточняя отмеченное, подчеркнем, что каждая страховая компания имеет уставной капитал и денежные средства, необходимые для обеспечения текущей деятельности. Инфляция также обесценивает часть этих средств. Тогда, страховая компания как же должна возмести эти свои потери? Если придер-

живаться Закона о страховании, приведенные и прочие потери страховой компании, в частности, от инфляции, должны возмещаться или за счет государственных субсидий, или путем проведения соответствующей ценовой политики по оказываемым страховым услугам.

(3) R = $(s + \sum x + \sum b) \times p + \sum z$**, где**

R *– расходы и потери страховой компании в результате наступления страховых случаев, инфляции и прочих явлений в течении исследуемого года (тыс. ман.);*

s – *величина уставного капитала страховой компании, которых инфляция не могла миновать (тыс. ман.);*

$\sum x$ – *совокупные страховые взносы со всех разновидностей страхования в течение одного года, подвергшиеся инфляции (тыс. ман.);*

$\sum b$ – *величина текущих оборотных средств (тыс. ман.);*

p – *уровень инфляции (%);*

$\sum z$ – *другие расходы страховой компании, в процессе ее текущей деятельности в течение исследуемого годичного периода (тыс. ман).*

Таким образом, страховая компания в процессе своей годовой деятельности должна придерживаться такой маркетинговой стратегии и тактики, чтобы смогла заработать денежных средств как минимум на уровне расчетного показателя R, чтобы покрыть свои потери в результате инфляции и прочих явлений в течении исследуемого годного периода. Хотя, в целях обеспечения дальнейшего развития и процветания страховой компании ее прибыль должна не только превышать текущий уровень инфляции, а дойти до среднегодового уровня прибыльности в данной сфере деятельности.

Для своевременного и эффективного разрешения этих и других проблем, сотрудники страховых компаний должны, как отмечалось ранее, проходить специальные курсы страхового маркетинга, менеджмента, статистики, бухгалтерского учета, анализа хозяйственно – экономической деятельности, аудита, организации работы персонала, управления поведением потенциальных клиентов и др.

В своей практической деятельности каждая страховая компания сталкивается с проблемами управления разнообразными рисками, Одним из этих рисков и, возможно, самым актуальным является управления прибыльными отношениями с клиентами. Последнее требует внимательного изучения психологии и покупательского страхового поведения различных групп населения, а также ведения вокруг них целенаправленной маркетинговой деятельности, призванной

Формировать менять устоявшиеся негативные отношения к управлению рисками и страхованию вообще, формируя в результате позитивное отношение к страховым компаниям и общую долговременную культуру страхования. Ведение подобной последовательной маркетинговой стратегической политики даст возможность страховым компаниям обеспечивать устойчивую прибыльность своей деятельности.

Планирование прибыли в страховом маркетинге, как и в других сферах деятельности, требует проведения определенных расчетов, а при необходимости построения соответствующего графического изображения, характеризующего нахождение некоей «мертвой точки», которую зачастую называют «точкой прибыльности», возможно «точкой рентабельности» или же «точкой безубыточности» (рис.2).

«Мертвая точка» находится на стыке лилий пересечения валовых поступлений страховых взносов от страхователей и общих затрат, включая текущие расходы страховой компании на содержание аппарата управления, офисные расходы, соответствующие государственные налоги, выплаты по страховым случаям, потери, связанные с инфляционными процессами и т.д. Как вытекает их представленного рисунка 4, до «точки безубыточности» вся прибыль страховой компании идет на покрытие встречающихся расходов. Поэтому, страховая компания должна как можно быстрее, в течение короткого времени покрыть все эти месячные и годовые расходы и потери, а в оставшееся время, т.е. до истечения намеченного планового периода работать исключительно на наращивание прибыли.



Рисунок 4. «Точка безубыточности» или «мертвая точка»

Минимальный оборот каждой страховой компании (S), обеспечивающий покрытие всех расходов и потерь можно рассчитать по формуле:

$$(4)\ S = \frac{F_n}{N\ R}, \text{ где}$$

F – общие условно – постоянные издержки страховой компании (тыс. ман.);

N – совокупные страховые взносы со всех разновидностей страхования в течение одного года (тыс. ман.);

R – расходы и потери страховой компании в результате наступления страховых случаев, инфляции и прочих явлений в течении исследуемого года (тыс. ман.).

Напомним, что **N =** $\sum_1^n a_n$, а $R = \sum_1^d y_d = (s + \sum x + \sum b) \times p + \sum z$

Выводы

1. Не смотря на истечение почти тридцати лет после распада бывшей русско –с оветской империи в новых государственных образованиях на ее территории на государственной уровне зачастую продолжают внедряться не цивильные системы организации управления экономическими и прочими процессами, а блатные и ковбойские методы, укрепляющие позиции чиновничьих аппаратов и олигархов. Все это находит свое негативное отражение и в системе страхования.
2. На основе информации о состоянии системы страхования в той или иной стране можно судить, как о степени экономического развития, так и об уровне жизни населения в этой стране.
3. Страховой маркетинг может применяться там, где существует страховой рынок. Последнее же предполагает наличие достаточно цивильно организованной и развитой не только экономики, но и рыночной страховой и прочей инфраструктуры. *В странах же, сформированных на бывшем постсоветском пространстве, в том в Азербайджане, Армении, Грузия и др. страховые рынки, не только пространственно ограничены, но и недостаточно развиты из- за наличия множества объективных и субъективных проблем.*
4. Рыночно ориентированная система хозяйствования имеет свой действенный механизм работы. Надо только создавать все условия, чтобы этот механизм мог сам регулироваться и самоуправляться. Последнее же ставит проблему формирования законов и порядков, характерных для капиталистической системы хозяйствования, создание всех необходимых компонентов рыночной инфраструктуры, формирование эффективной системы исполнительных и контролирующих органов. Все это формирует механизм конкурентных региональных и глобальных рынков, Нам нужно уметь приводить к власти кадры, которые умели бы все это реализовать.
5. Страховой маркетинг – представляет собой современную рыночно ориентированную систему организации и управления хозяйственно-экономическими, финансовыми и имущественными рисками субъектов рыночных отношений и населения. Значит, границы применения страхового маркетинга слагается из маркетинга самой страховой компании, маркетинга их страховых предложений – продукции и услуг в целом.
6. Система страхования хояйственно – экономических, финансовых и прочих рисков каждой страны является составной частью ее военно – стратегической, финансовой, экономической, продовольственной, экологической и прочих безопасностей. Эта же система формирует социальную защищенность и удовлетво-

ренность граждан. Поэтому проблемы страхования должны всегда находиться в центре внимания властных структур каждого государства.

7. Для бизнеса система страхования рассматривается, как некий объект вложения капитала и получения прибыли. Поэтому, важно уметь не допускать на этот рынок нежеланных структур и элементов.
8. В целях обеспечения удовлетворенности субъектов рыночной экономики и населения системой страхования необходимо последовательно совершенствовать и укреплять материально-техническую базу отраслей национальной экономики. Последнее же требует разработки:

а) долговременной государственной программы развития среднего и малого бизнеса;

б) последовательного совершенствования действующих законов и порядков, регулирующих рыночную экономику на основе экспертных оценок их соответствия изменяющейся маркетинговой среде.

9. Как показывает жизнь, интересы бизнеса и государства, населения и бизнеса, государства и населения не всегда совпадают и, часто, даже рознятся. Чтобы все это не работало против общегосударственных и общенациональных интересов нужно, принимая новые законы и внедряя свежие порядки, стремиться смягчать и устранять разногласия и разночтения между приведенными структурами и группами населения. целях регулирования уровней инфляции и ценовых скачков на товары и услуги в потребительском рынке, весьма важна практика применения государственных ограничительных инструментов и стимулирующих рычагов. Например, можно советовать устанавливать предельные уровни прибыльности страховым компаниям, а также некоторым разновидностям страхования.
10. В настоящее время страховые компании не имеют право заниматься банковской деятельностью, т.е. денежно – валютные ресурсы, концентрированные в структурах страхования, не могут куда – либо вкладываться и выдаваться под проценты. Хотя, по условиям рыночной экономики деньги оборачиваться и приносить прибыль. Иначе структуры страхования должны формироваться в виде сообщества страхователей, как общества, не преследующие поучение прибыли.
11. Страховые компании и их структурные подразделения должны отвечать принципам научности, системности, оперативности, комплексности, объективности, выделения ведущих звеньев, рыночной адекватности, общекорпоративной приверженности, социальной ориентированности и т.д., учитывать общепризнанные международные стандарты и условия общечеловеческих ценностей. Для достижения всего этого руководители и все сотрудники страховых компаний должны проходить специальные курсы подготовки и переподготовки не только в странах, где они работают, но и в зарубежных вузах и страховых компаниях, например в Англии, где функционирует всемирно известный страховой рынок и корпорация «Ллойд».
12. Научно- исследовательский аппарат страхового маркетинга требует изменений и совершенствования с учетом опыта, накопленного в различных областях науки и человеческой деятельности, например в организации управления деятельности товарных и прочих бирж.

Литература

1. Azərbaycanın Statistik Göstəriciləri 2018, с.
6. Архипов, А. П. Управление страховым бизнесом / А.П. Архипов. — Москва: Огни, 2017. — 320 с.
7. Ахвледиани, Ю. Т. Страхование внешнеэкономической деятельности / Ю.Т. Ахвледиани. — М.: Юнити-Дана, 2016. — 256 с.
8. Кревенс, Дэвид, В. Стратегический маркетинг, 6-е издание. :Пер. с англ. – М.: Издательский дом «Вильямс», 2008. -512 м.: ил. Стр.193-296.
9. Никулина, Н. Н. Страховой маркетинг / Н.Н. Никулина, Л.Ф. Суходоева, Н.Д. Эриашвили. — М.: Юнити-Дана, 2016. — 504 с..
10. Чанг, Ха-Джун. Как устроена экономика / Ха-Джун Чанг ; пер. с англ. Е. Ивченко ; [науч. ред. Э. Кондукова]. — М. : Манн, Иванов и Фербер, 2015. — 322
11. http://www.zewo.ru/laws/0436.html
12. https: //azersigorta. az/ru/page/sirketin-tarixi
13. http://www.azerbaijans.com/content_739_ru.html
14. *https://ru.wikipedia.org/wiki/Lloyd%E2%80%99s_of_London*

SOME PROBLEMS OF INSURANCE MARKETING

Qurdanov Natiq
Azerbaijan State Economic University (UNEC),
Russian School of Economics

Quliyev Eldar
Azerbaijan State Economic University (UNEC),
Russian School of Economics

Rauf Qushani
Azerbaijan State Economic University (UNEC),
Russian School of Economics

Summary

Insurance is related to providing of military-strategic safety and quality of life of population of every country. On the basis of analysis of the state of the system of insurance it is possible to give an estimation to both efficiency of state administration all resource potential and financially – the economic state and standard of living in the separate states. Further in the article talked about a necessity application of achievements of marketing and management in adjusting of market problems of the system of insurance, about perfection of the laws and orders, related to insurance. Except it, directions over of application of marketing are brought on insurance business, the model of the insurance marketing is given – management in control system рисками and profitable customer relations at the insurance market, methodology of planning of profit and calculation of "break-even of insurance companies point" is illuminated.

Keywords: *marketing, management, insurance marketing, insurance marketing is a management, insurance market, components of the insurance marketing, competition and competitive activity, insurance companies, law on insurance, insurance payments, insurance payments, planning of profit, being of "dead centre".*

საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალის – სატრანზიტო ფუნქციის ზოგიერთი ასპექტი

გუჩუა ანა
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი,
ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

შარაშიძე ხვიჩა
ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველოს, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ძირითადი მაკავშირებელი რგოლის ფუნქცია, თანამედროვე პირობებშიც მნიშვნელოვანია და მისი სატრანზიტო მიმართულებით განვითარება ქვეყნის სტრატეგიული განვითარების გეგმაში დღესაც აქტუალურია. ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის განხილვა საერთაშორისო ტრანზიტის მიმართულებით, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღნიშნული ფაქტორი ქვეყნისათვის შეიძლება გახდეს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების რეალური საშუალება.

სტატიაში განხილულია საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალის – სატრანზიტო ფუნქციის ზოგიერთი ასპექტი, მისი მნიშვნელობა და ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებული რეალობა, პრობლემები და მოსალოდნელი „სარგებელი“.

საკვანძო სიტყვები: *გეოეკონომიკა, სატრანსპორტო გარემო, საერთაშორისო ტრანზიტი, პრობლემები, პერსპექტივები*

თანამედროვე გეოეკონომიკა აგრეგირებულად იკვლევს გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, სამხედრო, ისტორიულ, პოლიტიკურ და სხვ. ურთიერთდამოკიდებულ ფაქტორებს, რომელსაც ძალუძს გავლენა იქონიოს ქვეყნის სტრატეგიულ პოტენციალზე. ის XX საუკუნის დასასრულს წარმოიშვა როგორც გეოპოლიტიკის ახალი მიმდინარეობა – გეოგრაფიის, ისტორიისა და ეკონომიკის სინთეზის შედეგად [10, გვ.86].

წარმოდგენილი სტატიის მიზანია გააზრებულ იქნეს საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალი სატრანზიტო მიმართულებით, ვინაიდან, საქართველოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ზღვისპირა და ცენტრალური მდებარეობა (სატრანსპორტო გზაჯვარედინი ჩრდილოეთის, სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის) შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან საშუალებად.

კავკასიის რეგიონი უძველესი დროიდან წარმოადგენდა ინტერესის სფეროს მისი უნიკალური მდებარეობის, ენობრივი თუ ეთნიკური მრავალფეროვნების და სხვა მიზეზთა გამო. ის დღესაც არ კარგავს აქტუალურობას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ძირითადი მაკავშირებელი როლის შესრულებაში. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის ბოლოდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განხორციელებული გეოეკონომიკური ცვლილებებით, ამ რეგიონის სახელმწიფოებმა და მათ შორის საქართველომ, შეიძინა ახალი ფუნქცია საერთაშორისო ტრანზიტის მიმართულებით.

კავკასიის რეგიონში საქართველოს გააჩნია უნიკალური ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, რაც მიმდინარე გლობალური პროცესების – საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოების ფონზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარების მიმართულებით, ვინაიდან, როგორც ცნობილია, დასავლეთის სახელმწიფოთა სამომხმარებლო ბაზარი და ბუნებრივი რესურსებით გამდიდრებული აღმოსავლეთის სახელმწიფოთა არსებობა ურთიერთშემავსებელი, ორივე მხარისათვის საჭირო და მნიშვნელოვანი ფაქტორია [6].

თანამედროვე ეპოქაში ყველა ქვეყანა ცდილობს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და გლობალურ სამყაროში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. აღნიშნული კი შეუძლებელია საერთაშორისო ბაზრების ათვისების, ვაჭრობის, ეკონომიკური კავშირების გაღრმავების გარეშე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს სწორედ საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალის განხილვა საერთაშორისო ტრანზიტის ჭრილით. ეს ფაქტორი ქვეყნისათვის შეიძლება იყოს როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური კეთილდღეობის მომტანი, ვინაიდან საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა კავკასიის რეგიონში წარმოადგენს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სატრანსპორტო დერეფნის არსებობის რეალურ ფაქტორს. ამდენად, მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს საქართველოს სატრანსპორტო

მიმართულებით არსებული ზოგიერთი ასპექტი, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს ქვეყნის საერთაშორისო სატრანზიტო როლის შესრულებაში.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია საქონლის ტრანზიტის, როგორც ერთ-ერთი საბაჟო რეჟიმის განხილვა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ტერიტორიის გავლით გადაადგილდება უცხოური საქონელი საბაჟო გადასახადების გადახდის გარეშე[2, გვ.4].

საქართველოს სატრანზიტო მარშრუტებიდან ძირითადია შემდეგი საავტომობილო და სარკინიგზო მიმართულებები[2, გვ.26]

- ფოთი – წითელი ხიდი (საავტომობილო) სატრანზიტო მარშრუტის მანძილი – 401კმ.
- სარფი – წითელი ხიდი (საავტომობილო) სატრანზიტო მარშრუტის მანძილი – 463კმ.
- ვალე – წითელი ხიდი (საავტომობილო) სატრანზიტო მარშრუტის მანძილი – 283კმ.
- ბათუმი – სადახლო (საავტომობილო) სატრანზიტო მარშრუტის მანძილი – 469კმ.
- ყაზბეგი – სადახლო (საავტომობილო) სატრანზიტო მარშრუტის მანძილი – 245კმ.
- ბათუმი – მარნეული/გარდაბანი (სარკინიგზო) სატრანზიტო მარშრუტის მანძილი – 396კმ.
- ფოთი – მარნეული/სადახლო (სარკინიგზო) სატრანზიტო მარშრუტის მანძილი – 396კმ.

საქართველოს სატრანზიტო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ზოგად სურათი კი ასეთია:

- რკინიგზა – საქართველოს რკინიგზის შემოსავლის ნახევარზე მეტი მოდის ნავთობისა და ნავთობ-პროდუქტების ტრანსპორტირებაზე (თურქმენეთიდან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან) ბათუმისა და ფოთის პორტებში. საქართველოს რკინიგზის მთავარი ხაზის საექსპლუატაციო სიგრძე 1329 კმ-ია, ის მოიცავს 1422 ხიდს, 32 გვირაბს, 22 სამგზავრო ფუნქციის მატარებელ სადგურს და 114 სატვირთო სადგურს.
- საავტომობილო გზები – საქართველოს საავტომობილო გზების ქსელი შედგება 1474 კმ საერთაშორისო მნიშვნელობის გზის, 3392კმ ეროვნული მნიშვნელობის და 15429კმ ადგილობრივი გზისაგან.

მნიშვნელოვანია ასევე საზღვაო და საჰაერო სატრანსპორტო მარშრუტები.

- პორტები – საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე სამი მთავარი პორტია – ბათუმი, ფოთი და სოხუმი. ბათუმისა და ფოთის (ფოთის პორტის წილი საკონტეინერო ბაზარზე დაახლოებით 83%-ია, რაც ნიშნავს რომ ძირითადად ერთი პორტი ფუნქციონირებს ამ მიმართულებით) ესენი ძირითადი პორტებია, საიდანაც გადაიზიდება ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მათზე მოდის ასევე ძირითადი სასაქონლო ბრუნვა, განსაკუთრებით აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის. ამ პორტების გარდა, ფოთთან ახლოს აშენდა სუფსის ნავთობ-ტერმინალი, რომელსაც ნავთობი ბაქო-სუფსის ნავთობსადენით მიეწოდება. 2008 წელს ამოქმედდა ყულევის ნავთობ-ტერმინალი, რომლის საცავების პარკის საერთო მოცულობა შეადგენს 320 ათას მ3-ს., ტერმინალს წელიწადში 10 მლნ ტონა ნავთობპროდუქტის გადატვირთვის შესაძლებლობა აქვს.

მნიშვნელოვანია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა (სიღრმე 20.5 მეტრი იქნება (ბათუმის 14 მეტრია, ფოთის – 8.5 მეტრი)). მისი დასრულება 2020 წელს იგეგმება და ის საშუალებას იძლევა საქართველომ მიიღოს დიდი მოცულობის გემები. მოსალოდნელია, რომ ახალი პორტი სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი ძირითადი ლოგისტიკური ცენტრი გახდება. პორტის პოტენციურმა მოცულობამ წელიწადში 100 მლნ ტონას უნდა მიაღწიოს [3].

- საჰაერო ტრანპორტი – ქვეყანაში მოქმედებს 3 საერთაშორისო (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი) და 3 ადგილობრივი (მესტია, ნატახტარი, თელავი) სააეროპორტო ქსელი [4, გვ.3].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს საერთაშორისო ტვირთების გატარებისა და გადამუშავების შესაძლებლობას, რაც ქმნის რეალურ შანსს ვაჭრობის, წარმოების განვითარების, ქვეყნის შემოსავლების გაზრდის, მეტი სამუშაო ადგილის შექმნის მიმართულებით. ამ კუთხით მნიშვნელოვანია განვიხილოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის სი ძინფინის მიერ 2013 წელს წამოყენებული გეოეკოპოლიტიკური პროექტი „ერთი სარტყელი, ერთი გზა", რომლის ამოქმედებით (მხოლოდ ჩინეთი-საქართველოს მიმართულება) საქართველოს შესაძლებლობა ექნება დამატებითი შემოსავლის სახით 120 მლნ დოლარი მიიღოს [5]. „ამ მიმართულებით განსახორციელებელი საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტების უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს ჩინეთისათვის ჩინური პროდუქციის გატანას მისთვის მიმზიდველ ბაზრებზე და უკუმიმართულებით ნედლეულისა და ენერგიაშემცველების ტრანსპორტორტირებას. ეს არის სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები – რკინიგზისა და საავტომობილო გზების, პორტების, საქონლის გადატვირთვისა და შენახვის ბაზების, მილსადენების მშენებლობა და მოდერნიზაციან [6]. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროექტი ჩინეთს აკავშირებს ევროპის, ცენტრალური აზიის, ახლო აღმოსავლეთის, ლათინური ამერიკის, აფრიკისა და ოკეანეთის ქვეყნებთან. ამის შედეგად, ჩინეთის გავლენის სფეროში ერთვება 4.4 მლრდი ადამიანი, რაც წარმოადგენს მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს [6]. საქართველოს ამით ეძლევა რეალური შანსი, რომ ახალი კავშირი დაამყაროს ევროპასთან, ახლო

აღმოსავლეთთან და შედეგადად განვითარდეს ეკონომიკა, ვაჭრობა, გაუმჯობესდეს ქვეყნის საინვესიტიციო გარემო [6].

რკინიგზის მიმართულებით მნიშვნელოვანია 2015 წლის 13 დეკემბერს საექსპლუატაციოდ შესული „აბრეშუმის რკინიგზა“, რომელიც ჩინეთიდან ყაზახეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გავლით ევროპის კონტინენტზე სატვირთო გადაზიდვებს ემსახურება. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ პროექტის ფარგლებში ჩინეთის უკიდურესი აღმოსავლეთ ნაწილიდან – პორტ ლინუნგანიდან წამოსული ტვირთი სტამბოლში 14-15 დღეში ჩადის, რაც დღეს არსებული საზღვაო მარშრუტის ტვირთების გადატანის ხანგრძლივობა 40-45 დღე) საუკეთესო ალტერნატივაა [7].

სატრანზიტო მომსახურების ეკონომიკურ მნიშვნელობაზე მეტყველებს ასევე ქვეყნის საექსპორტო ბაზრის სიმცირე. როგორც კვლევებით დადგინდა, TRACECA-ს პროექტი უზრუნველყოფს ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების სტაბილურ ზრდას. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედებით საქართველო მარტო სატრანზიტო მომსახურების ხარჯზე წელიწადში საშუალოდ 62,5 მლნ აშშ დოლარს მიიღებს. გარდა ამისა, ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის განკუთვნილი ტვირთების შემოტანით მნიშვნელოვან დამატებით შემოსავალს იღებს, რაც სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო და საავიაციო მომსახურეობით იქნება უზრუნველყოფილი. გარდა ამისა, ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენით გაზის ტრანზიტი საქართველოს ბიუჯეტს 175 მლნ. აშშ დოლარით გაზრდის წელიწადში“ [8]. უნდა აღვნიშნოთ, რომ სატრანზიტო კავშირების გაფართოებასთან ერთად მნიშვნელოვნად განვითარდება ტურისტული ინდუსტრია, რაც ქვეყნისათვის დამატებითი შემოსავლების მიღების ერთ-ერთი კარგი საშუალებაა.

საქართველოს გეოკონომიკური პოტენციალის (ტრანზიტის მიმართულებით) კონტექსტით მნიშვნელოვანია, ასევე, ყურადღება გავამახვილოთ საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 14 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების გავლენაზე, რომელსაც საქართველოს ტრანზიტის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს შემდეგი მიმართულებით: „ევროკავშირის ენერგეტიკის თანამშრომლობის“ წევრობა და ევროკავშირის ენერგეტიკულ რეგულაციებთან მიახლოება გადამწყვეტია საქართველოს ევროკავშირის ენერგეტიკულ ბაზარზე ინტეგრაციისათვის; ევროკავშირის დედაქალაქებში პირდაპირი ფრენების გააქტიურება, თურქეთის გავლით სარკინიგზო კავშირის გახსნა, საზღვაო სატრანსპორტო კავშირების შემდგომი გაუმჯობესება სხვა შავი ზღვის ქვეყნებთან და საქართველოს მასშტაბით ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა ასევე მნიშვნელოვანია ევროპასთან კავშირის გასაუმჯობესებლად [12, გვ.123]. ყოველივე ამის პარალელურად, ასოცირების ხელშეკრულების განხორციელება ასტიმულირებს ევროკავშირთან სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებს და ქმნის პირობებს, რომ ქართული კომპანიები მონაწილეობდნენ ევროკავშირის შიდა ბაზარზე [12, გვ.124].

სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების პარალელურად, მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს გარემოს დაცვითი ასპექტი. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება აუცილებლად მოითხოვს, რომ გარემოსდაცვითი სტანდარტები იყოს შესაბამისი. აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციონირების და განვითარების პროცესში, (TRACECA_ს დერეფნისაგან განსხვავებით) უკეთ ხდება გარემოს დაცვითი სტანდარტების გათვალისწინება. ამის ახსნა შემდეგი ფაქტორებით შეიძლება: ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენები ისევე, როგორც სამხრეთ-კავკასიური გაზსადენი, პრაქტიკულად ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურით აშენდა, უფრო მეტიც, საინვესტიციო ხარჯებში თავიდანვე იქნა გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნორმები და ბოლოს, მნიშვნელოვანია, რომ მართვის თანამედროვე ავტომატიზებულ სისტემის საშუალებით გარემოზე ზემოქმედების მოხდენის საფრთხე მინიმუმამდეა დაყვანილი [8].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო შესაძლებლობები, თუმცა, არ ხდება მისი სათანადოდ გამოყენება. მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსის მიზედვით, 2018 წელს საქართველო 160 ქვეყნიდან 119-ე ადგილზეა. მართალია, მისი მდგომარეობა 2016 წელთან შედარებით 6 პოზიციით გაუმჯობესდა, მაგრამ 2014 წელთან შედარებით ის – 3 პოზიციით, ხოლო 2012 წელთან შედარებით – 57 პოზიციით გაუარესდა [13]. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ „ბოლო წლებში საქართველოს გავლით ტრანზიტული ტვირთების გადაზიდვა მნიშვნელოვნად შემცირდა (50%-მდე ან მეტით), ნავთობტერმინალები იყენებენ მათი გამტარუნარიანობის თითქმის მეხუთედს, საქართველოს პორტებში, სატვირთო გადაზიდვის შემცირების ფონზე, გემთშემოსვლის რაოდენობა მცირდება, ბათუმისა და ყულევის ტერმინალები გამტარიანობის სიმძლავრის 18-25% იყენებს, სავაჭრო კომპანიები (ტრეიდერები) და ძირითადი მომწოდებლები პოულობენ ალტერნატიულ მარშრუტებს, რომლებიც უფრო იაფი, უსაფრთხო და სწრაფია“ [9]. ამდენად, არსებობს რეალური საფრთხე, რომ საქართველომ დაკარგოს მისი სატრანზიტო ფუნქცია რაც თავის მხრივ, განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით, როგორიცაა:

ცალმხრივი სატარიფო შეღავათები (რიგ შემთვხვევებში დასავლეთიდან აღმოსავლეთით ტვირთების გატარების ღირებულება 2-3 ჯერ აღემატება იმავე ტვირთების გადაზიდვის ღრებულებას აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით, რაც ართულებს ე.წ. რევერსული ტვირთების გადაზიდვას და იწვევს), დასახვეწი საგადასახადო კოდექსი (კომპანიებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სპეციალური დაბეგვრის გადასახადი, იბეგრებიან უფრო მაღალი მარჟით, ვიდრე სხვა, რეზიდენტი ქვეყნების წარმომადგენელი ფირმები), მოუწესრიგებელი შიდა სატრანსპორტო ტარიფები და ინფრასტრუქტურა (მოძველებული სარგინიგზო მაგისტრალი, მაგისტრალზე გამჭოლი ელექტრომომარაგების არასისტემური მიწოდება, სანავთობე რეზერვუარების ნაკლებობა, არსებულის გაუმართაობა და სხვა) [14, გვ.22]. ბუნებრივია, ამ ფაქტორების გავლენით ხდება ალტერნატიული, ზემოთ აღნიშნული უფრო მოწესრიგებული გზების ძიება, რაც იწვევს ქვეყნის სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის შესუსტებას. ყოველიმე ამის მოგვარება შეუძლებელია საკითხის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის და ამის შედეგად, არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო ღონისძიებების დაგეგმვისა და გატარების გარეშე.

ამრიგად, გეოეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით აშკარაა, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია გააჩნია, როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის. ეს ფაქტორი კი, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოფდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, თუმცა, არსებული პრობლემების გათვალისწინებით ამ პოტენციალის სრული გამოყენება არ ხდება, ამიტომ, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მოხდეს სწორი სტრატეგიული სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავება (ზემოთ აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით) და მისი შესაბამისად განხორციელება.

ლიტერატურა

1. ბაბუციძე მ., ფხაკაძე გ., საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია, 2015 http://intermedia.ge/სტატია/58734 (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 14.09.2019).
2. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, ტრანზიტი საქართველოს გავლით (გზამკვლევი), 2006, 52.
3. სტამბოლის სრუტის ახალი მარგალიტი იავუზ სულთან სელიმის სახელობის ხიდი http://www.trt.net.tr/-georgian/t-urk-et-i/2016/08/26/stambolis-srutis-axali-margaliti-iavuz-sult-an-selimis-saxelobis-xidi-560016 (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 14.09.2019).
4. მწვანე ალტერნატივა, საქართველოს სატრანზიტო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მისი განვითარების გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტები, თბილისი, 2007, 20.
5. მაისაია ვ., "აბრეშუმის გზის" გეოპოლიტიკური განვითარების ისტორიული და თანამედროვე ასპექტები: ხედვა საქართველოდან, 2017 https://www.kvirispalitra.ge/vakhtang-maisaias-blogi/38143-qabreshumis-gzisq-geopolitikuri-ganvitharebis-istoriuli-da-thanamedrove-aspeqtebi-khedva-saqarthvelodan.html_(ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 14.09.2019).
6. ყირღანაშვილი ლ., საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია ჩინეთის სარტყლისა და გზის ინიციატივის ჩარჩოში, – (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 14.09.2019). http://eprints.tsu.ge/1255/1/Georgia%E2%80%99s%20transit%20function%20in%20the%20framework%20of%20China%E2%80%99s%20belt%20and%20road%20initiative.pdf
7. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, „აბრეშუმის რკინიგზა“ – მარშრუტი, რომელიც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოს საერთაშორისო სატრანზიტო მნიშვნელობას – http://mfa.gov.ge/News (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 14.09.2019).
8. ტივაძე ა., საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია, 2014 (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 14.09.2019). http://education.ge/index.php?do=definition/view&id=2075
9. მესხია ი., და სხვ., ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო საქართველოში და ექსპორტის კონკურენტუნარიანობა, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2016, 210.
10. გორგილაძე ი., გეოპოლიტიკის საფუძვლები, თბილისი, 2009, 134
11. ზაქარაძე ე. კავკასიის რეგიონის ფუნქცია და აბრეშუმის გზის როლი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2018.
12. Kakachia K., Meister S., Fricke B., GEOPOLITICS AND SECURITY A NEW STRATEGY FOR THE SOUTH CAUCASUS, 2018, 305.
13. International LPI. Global Rankings https://lpi.worldbank.org/international/global/2018_(ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 14.09.2019).

SOME ASPECTS OF GEORGIA'S GEOECONOMIC POTENTIAL - THE FUNCTION OF TRANSIT

Guchua Ana
Master of Business Administration,
PhD Student at Kutaisi University

Sharashidze Khvicha
PhD Student at Kutaisi University

Summary

The function of Georgia as a connecting means between East and West is important for modern conditions and its development, in terms of transit, is still relevant to the country's strategic development plan. Consideration of the country's favorable geographical location, in terms of international transit, allows us to conclude that this factor could become a real means for improving socio-economic condition of the country.
The article discusses some aspects of Georgia's geoeconomic potential – function of transit, its importance, realities, problems and expected "benefits" in this regard.

Keywords: *Geoeconomic, transport environment, international transit, problems, perspectives.*

ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა რეციპიენტი ქვეყნების ეკონომიკაზე

დუდაური თამარ
ეკონომიკის დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა და სხვა საერთაშორისო კომპანიებმა კაპიტალისა და საწარმოო სტრუქტურების საზღვარგარეთ ექსპანსიის შედეგად მსოფლიო ეკონომიკა გადააქციეს საერთაშორისო წარმოებად, რითაც საფუძველი ჩაუყარეს მისი განვითარების ახალ ეტაპს – ბიზნესის ტრანსნაციონალიზაციას. ამ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტრანსნაციონალური კორპორაციების არაერთმნიშვნელოვან გავლენას მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, მის დადებით და უარყოფით ფაქტორებს.

საკვანძო სიტყვები: *ტრანსნაციონალური კორპორაციები, რეციპიენტი ქვეყანა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, გლობალიზაცია, ტრანსნაციონალური ბიზნესი.*

XXI საუკუნის დასაწყისში კაცობრიობა შევიდა მსოფლიო ეკონომიკის ინტენსიური გლობალიზაციის ეპოქაში. ის პირველ რიგში წარმოადგენს, ტრანსნაციონალური კორპორაციების ოპერაციების გავრცელების გზით, უფრო ინტეგრირებული გლობალური ეკონომიკური სისტემის ტენდენციების გამოვლინებას და მის რეალიზაციას მთელ მსოფლიოში. მართლაც, თანამედროვე მსოფლიოში ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ გლობალიზაციის მამოძრავებელ ძალას. მათი წარმოშობა,ერთის მხრივ, – მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების კანონზომიერი შედეგია, ხოლო მეორე მხრივ კი, გლობალური ეკონომიკის ფორმირების მძლავრი ფაქტორი. მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების უდიდესი უმრავლესობა ეროვნული კუთვნილების მიხედვით მიეკუთვნებიან „ტრიადას“– ჩვენი პლანეტის სამ ეკონომიკურ ცენტრს: აშშ-ს, ევროკავშირს და იაპონია-ჩინეთს. ბოლო წლებში აქტიურად ავითარებენ თავიანთ საქმიანობას მსოფლიო ბაზარზე ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ტრანსნაციონალური კორპორაციები.

იმისათვის, რომ შეფასებულ იქნეს ტრანსნაციონალური კორპორაციების ზეგავლენა მიმღები ქვეყნის საწარმოო და საგარეო სავაჭრო სტრატეგიაზე განვიხილოთ ტრანსნაციონალური ბიზნესის წარმოშობის მიზეზები, მათი ექსპანსიის ხერხები და გავლენა რეციპიენტი ქვეყანების ეკონომიკაზე.

ეკონომისტი მ. ვანგი თავის ნაშრომში [1. გვ. 991] ტრანსნაციონალურ კორპორაციებს და კაპიტალის მოძრაობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) ფორმით განიხილავს, როგორც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. ხოლო დ. ბრუკსი [2] ასკვნის, რომ მრავალი განვითარებული და განვითარებადი ქვეყანა განიხილავს პუი-ების შემოდინების გზით ტრანსნაციონალური კორპორაციების მოზიდვას, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში სტაგნაციის დაძლევისა და მისი ეკონომიკური განვითარების ახალ დონეზე გასვლის მნიშვნელოვან პირობად.

ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოიშვა, როგორც კომპანიების კონკურენტული უპირატესობების რეალიზაციის შედეგი და მათი საერთაშორისო საქმიანობის ტრანსნაციონალიზაციისაკენ მისწრაფება. ისინი ხდებიან საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტები და იკავებენ წამყვან ადგილს გლობალურ ეკონომიკაში.

როგორც ცნობილია თავდაპირველად ტრანსნაციონალური კორპორაციები უპირატესად იყვნენ ამერიკული წარმოშობის. თანამედროვე მსოფლიოში მთელი ძალით მოქმედებენ ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომელთა სათავო ოფისები იმყოფებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მათი ფორმირებისას საგარეო ექსპანსია ხასიათდება თავისებურებებით. ვინაიდან, დასავლეთ ევროპის ტრანსნაციონალური კორპორაციები ხასიათდებიან საექსპორტო აქტივობითა და უცხოური წარმოებით, აშშ-ის კი – უპირატესად საზღვარგარეთ წარმოებით, ხოლო იაპონური და ჩინური ტრანსნაციონალური კორპორაციები საექსპორტო აქტივობით.

ამერიკულმა ჟურნალმა Forbes-მა 2019 წლის 11 მაისს გამოაქვეყნა მსოფლიოს უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციების Forbes Global 2000-ის რეიტინგი (იხ. დიაგრამა 1). რეიტინგში შეყვანილი იქნა კორპორაციები, რომელთა შემოსავალი აჭარბებს 40 ტრილიონ დოლარს. სულ რეიტინგში მოხვდა 61 ქვეყანის ტრანსნაციონალური კორპორაცია.

ამ რეიტინგის მიხედვით 2000-ს ტრანსნაციონალურ კორპორაციას შორის ყველაზე მეტი 575 არის აშშ-ს ტრანსნაციონალური კორპორაცია, მას მოყვება ჩინეთი 309 და იაპონი 223 ტრანსნაციონალური კორპორაცია. ეს სამი ქვეყანა არის ლიდერი ტრანსნაციონალური კორპორაციების რაოდენობის მიხედვით.

დიაგრამა 1. Forbes Global 2000-ის რეიტინგში შესული ტრანსნაციონალური კორპორაციები ქვეყნების მიხედვით (2019 წლის 11 მაისის მდგომარეობით).[1]



წყარო: დიაგრამა შედგენილია Forbes Global 2000-ის რეიტინგის მიხედვით [3]

ამავე რეიტინგის მიხედვით, ამ კორპორაციების აქტივების მთლიანი მოცულობა შეადგენს 187 ტრლნ დოლარს. აქედან 89 ტრილიონზე მეტი აქტივი განთავსებულია საბანკო სისტემაში, რაც მოხვდა Forbes Global 2000-ის რეიტინგში. მათმა წლიურმა მოგებამ გადააჭარბა 6 ტრლნ დოლარს[3], ხოლო ტრანსნაციონალური კორპორაციების დაყოფა ძირითადი დარგების მიხედვით (მათი ტოპ 5-ეული), რომელშიც ისინი საქმიანობენ 2019 წლის Global 2000-ის მიხედვით მოცემულია დიაგრამაზე (2).

დიაგრამა 2. ტრანსნაციონალური კორპორაციების რაოდენობა ძირითადი დარგების მიხედვით Global 2000-ის რეიტინგით 2019 წლისათვის [3]



როგორც დიაგრამიდან ჩანს, Global 2000-ის რეიტინგში მოხვედრილი მსხვილი ტრანსნაციონა-

[1] Ponciano J. Hansen S. The World's Largest Public Companies 2019: Global 2000 By The Numbers. 2019. https://www.forbes.com/sites/jonathanponciano/2019/05/15/worlds-largest-companies-2019-global-2000/#4ce3fbe94ada

ლური კორპორაციებიდან 453 საქმიანობს საბანკო და საფინანსო სფეროში, 154 - მეცნიერებატე-ვად დარგებში, 123 - მშენებლობაში, 110- ნავთობისა და გაზის მოპოვებასა და რეალიზაციაში და 102 - სადაზღვევო დარგში. მესამე წელია რეიტინგში ლიდერობს ჩინეთის ტრანსნაციონალური ბანკი ICBC, ხოლო 2019 წლის ტოპ-10 მოცემულია ცხრილში (იხ. ცხრილი 1).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ტრანსნაციონალური კორპორაციების ტოპ 10-ში შედის 5 ჩინური, 4 აშშ-ის და ნიდერლანდების ერთი ტრანსნაციონალური კორპორაცია, ხოლო მომდევნო ათეულში კი უკვე შედის შვიდი აშშ-ის და თითო-თითო სამხრეთ კორეის, იაპონიისა და გერმანიის ტრანსნაციონალური კორპორაცია [4].

რაც უფრო დიდია ტრანსნაციონალური კორპორაცია, მით უფრო რთულია მისი შიდა სტრუქტურა და პირველ რიგში საკუთრების სტრუქტურა. თანამედროვე ეტაპზე UNCTAD-ის მონაცემების თანახმად მათ მიერ შედგენილი რეიტინგის ტოპ 100-ში შემავალი ტრანსნაციონალური კორპორაციების შემადგენლობაში შედის საშუალოდ 550 ფილიალი და შვილობილი კომპანია მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში. ისინი ხასიათდებიან საკუთრების სტრუქტურის საშუალოდ 7 იერარქიული დონით, გააჩნიათ 20 ჰოლდინგური კომპანია, რომლებიც აკონტროლებენ უცხოეთში არსებულ ფილიალებსა და შვილობილ კომპანიებს (იხ. ცხრილი 2).[5]

ცხრილი 1

ტნკ-ების ტოპ 10-ეული Global 2000-ის რეიტინგის მიხედვით 2019 წელს [4]

	ტნკ	ქვეყანა	ბრუნვა (მლრ. $)	მოგება (მლრ. $)	აქტივები (მლრ. $)	საბაზრო ღირებულ. (მლრ. $)
1.	ICBC	ჩინეთი	175.9	45.2	4,034.5	305.1
2.	JPMorgan Chase	აშშ	132.9	32.7	2,737.2	368.5
3.	China Construction Bank	ჩინეთი	150.3	38.8	3,382.4	225
4.	Agricultural Bank of China	ჩინეთი	137,5	30.9	3,293.1	197
5.	Bank of America	აშშ	111.9	28.5	2,377.2	287.3
6.	Apple	აშშ	261.7	59.4	373.7	961.3
7.	Ping An Insurance Group	ჩინეთი	151.8	16.3	1,038.3	220.2
8.	Bank of China	ჩინეთი	126.7	27.5	3,097.6	143
9.	Royal Dutch Shell	ნიდერლანდები	382.6	23.3	399.2	264.9
10.	Wells Fargo	აშშ	101.5	23.1	1,887.8	214.7

ცხრილი 2

ტოპ-100-ში შემავალი ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრუქტურა

მაჩვენებელი	საშუალო	მინიმუმი	მაქსიმუმი
ტნკ-ის ფილიალების რაოდენობა, სულ	549	118	2082
უცხოეთში არსებული ფილიალების რაოდენობა	370	41	1454
საკუთრების იერარქიული დონეების რაოდენობა	7	3	15
ქსელში არსებული ქვეყნების რაოდენობა	56	8	133
ფილიალების რაოდენობა ოფშორულ ზონებში	68	7	329
ჰოლდინგური კომპანიების რაოდენობა	19	0	155

წყარო: ცხრილი შედგენილია World Investment Report 2016 – Investor Nationality: Policy Challenges, United Nations (UNCTAD), New York and Geneva, 2016.-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

თანამედროვე ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ტრანსნაციონალური კორპორაციების რიცხვის ზრდა იწვევს კამათს რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაზე მათი საქმიანობის გავლენის შესახებ. როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნები ცდილობენ შეძლებისდაგვარად სრულად გამოიყენონ ის დადებითი ეფექტები, რომელიც შესაძლოა მოუტანოს მათ ბაზრებზე ტრანსნაციონალური კორპორაციების შესვლამ.

ასხვავებენ რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაზე ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის მიკროეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ ეფექტებს. ტრანსნაციონალური კორპორაციების პირდაპირი ინვესტიციების მაკროეკონომიკურ ეფექტებს მიეკუთვნება ეფექტები, რომლებიც ასახავენ მთლიანობაში ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობას და გამოსახულნი არიან აგრეგირებულ

ეკონომიკურ მაჩვენებლებში, ესენია: ეკონომიკური ზრდა, წარმოების ფაქტორების ეფექტიანი გამოყენება, დასაქმება და სიტუაცია შრომის ბაზარზე, სავაჭრო ბალანსის მდგომარეობა და ტექნოლოგიური განვითარების დონე. ხოლო, ტრანსნაციონალური კორპორაციების პირდაპირი ინვესტიციების მიკროეკონომიკურ ეფექტებს მიეკუთვნება ეფექტები, რომლებიც ახასიათებენ ეროვნული კომპანიების ურთიერთქმედებას ტრანსნაციონალური კორპორაციებთან მათი საწარმოო, განაწილების, სამომხმარებლო და გაცვლითი საქმიანობის პროცესში და ასახავენ კომპანიის ეფექტიანობის მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორიცაა: ეროვნული წარმოების განვითარების დონე, მართვის ხარისხი, ეროვნული საწარმოების მოდერნიზაცია, ტრანსნაციონალური კორპორაციების მხრიდან კონკურენციის დონე და ადგილობრივი კომპანიების უცხოურ ბაზრებზე ხელმისაწვდომობის პირობები.

იმ თეორიების საფუძველზე, რომელიც იძლევა საშუალებას აიხსნას წარმოებისა და კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციის მიზეზები, მოვახდინეთ ქვეყნის ეკონომიკაში ტრანსნაციონალური კორპორაციების მოზიდვის უპირატესობების დაჯგუფება (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

ტრანსნაციონალური კორპორაციების უპირატესობები

ტნკ-ების უპირატესობები	**დახასიათება**
1. **ტექნიკური უპირატესობები**	ტნკ-ები პროდუქტის, პროცესის ან მართვის სფეროში ფლობენ საკუთარ ნოუ-ჰაუ ტექნოლოგიებს. ტექნოლოგიების, ინფორმაციის, შენობების, ნოუ-ჰაუს ანდა სხვა მატერიალური აქტივების გამოყენება საშუალებას იძლევა აწარმოონ თვისებრივად ახალი პროდუქცია
2. **საწარმოო უპირატესობები**	
2.1. წარმოების მასშტაბის ეკონომია	დიდი მასშტაბის წარმოება ამცირებს ერთეული პროდუქციის თვითღირებულებას
2.2. წარმოების დიაპაზონი	დანახარჯები მცირდება რამდენიმე სახის წარმოების ერთი კომპანიის ჩარჩოებში გაერთიანების ხარჯზე
2.3. საწარმოო ოპერაციების დივერსიფიკაცია	წარმოებისა და ოპერაციების დივერსიფიკაცია საშუალებას აძლევს ტნკ-ებს შეამცირონ ბიზნესრისკები ოპერაციების სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელების ხარჯზე
2.4. წარმოების აგლომერაციის უპირატესობები	ტერიტორიულ-საწარმოო კოოპერაციის ხარჯზე სხვა კომპანიებთან მცირდება დანახარჯები
3. **მომარაგების უპირატესობები**	
3.1. მომარაგების წყაროები	ნედლეულთან, ნახევარფაბრიკატებთან და ა.შ. ხელმისაწვდომობა რამდენიმე ქვეყანაში ამცირებს დანახარჯებს მომარაგების ერთი წყაროს გამოყენებასთან შედარებით
3.2. შესყიდვების მასშტაბები	ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ღირებულების შემცირება ხდება შესყიდვების დიდი მოცულობის ხარჯზე
4. **მარკეტინგული უპირატესობები**	
4.1. რეპუტაცია	რეპუტაცია ხარისხის ბაზაზე, რომელიც მიიღწევა გამოცდილების ხარჯზე, იგი ხელს უწყობს პროდუქციის დივერსიფიკაციას მომხმარებელთათვის სუბიექტური განსხვავების შექმნის გზით
4.2. რეკლამა	გაყიდვები რამდენიმე ბაზარზე საშუალებას იძლევა გატარდეს განსაკუთრებული რეკლამის „ბაზართაშორისი“ სტანდარტიზაცია, რასაც მივყავართ ეკონომიას რეკლამის მასშტაბზე
4.3. რეალიზაცია	ტნკ-ები ფლობენ რეალიზაციის მასშტაბზე ეკონომიის უპირატესობას
4.4. ბაზარი	მარკეტინგის მულტიეროვნული შესაძლებლობები იძლევიან რამდენიმე ქვეყნის ბაზარზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას

5. ორგანიზაციულ- მმართველობითი უპირატესობები	
5.1. ტნკ-ების მმართველობითი პერსონალის უპირატესობა და მენეჯმენტის გამოცდილება რამდენიმე ქვეყანაში	ტნკ-ების უპირატესობა წარმოიშობა უფრო განათლებული პროფესიულად მომზადებული და დიდი გამოცდილების მქონე მენეჯერების თავის შემადგენლობაში ყოლის გამო. ტნკ-ების მენეჯმენტს აქვს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ფილიალების ერთდროულად მართვის გამოცდილება
5.2. შრომის მაღალი მწარმოებლურობის უპირატესობა	ტნკ-ები ამუშავებენ ჯგუფური საქმიანობის სტიმულირებისა და შრომის მწარმოებლურობის ოპტიმიზაციის ხერხებს
5.3. მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა	ამ უპირატესობას შეგვიძლია მივაკუთვნოთ კორპორაციის უფრო დახვეწილი მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის არსებობა
6. **მასშტაბის შიდა ეფექტის უპირატესობა**	არასაწარმოო საქმიანობის მასშტაბის ეფექტი, რაც ხელს უწყობს მას დანახარჯების შემცირებაში
7. ბაზარზე ხელმისაწვდომობის უპირატესობა	
7.1. რესურსების ბაზრებზე ხელმისაწვდომობა	კონკურენტებთან მიმართებით უპირატესობას იღებენ ის კომპანიები, რომლებსაც აქვთ რესურსებზე პრივილეგირებული ხელმისაწვდომობა
7.2. სახელმწიფოს მიერ რეგულირებად ბაზრებზე ხელმისაწვდომობა	ტნკ-ები ხშირად იღებენ თავისუფალ ან პრეფერენცირებულ ხელმისაწვდომობას ბაზრებზე, რომელსაც არეგულირებს სახელმწიფო

(Agarwal, S.; Qouyatahi, K.M.** 2017**)

This article focuses on the innovative HR concept 'Talent Management' (TM) and its application, especially in SMEs. To this end, we will present research results collected in the region of our university, the German federal state of Saxony. On this basis, we will demonstrate which expectations university graduates, i.e. potential young talents, have on their first job after graduation. This is the first step for SMEs to attract talented employees to the company in competition with large companies.

Characteristics of SMEs

Before the concept of TM is discussed, the special features of SMEs are presented in comparison to large companies, especially with regard to HRM. SMEs play a crucial role in the creation of jobs and local development in increasingly knowledge-based economies. As turbulence in globalized economies increases, SMEs will have to learn to sustain competitiveness in this new kind of environment by developing dynamic capabilities (North, K., Varvakis, G. 2016).

With regard to the size of enterprises, the European Commission (cf. European Commission 2003). distinguishes between microenterprises, small enterprises and medium-sized enterprises. Microenterprises have less than ten employees and an annual balance sheet with a maximum of two million Euro or a maximum annual turnover of two million Euro. Small enterprises have less than 50 employees plus an annual balanced sheet and an annual turnover with a maximum of ten million Euro. Medium-sized enterprise have less than 250 employees and an annual balance sheet with a maximum of 42 million Euro or a maximum turnover of 50 million Euro.

In terms of HRM, it is more important to look at the specific characteristics of SMEs compared to large enterprises. Prouska and Psychogios have pointed out that SMEs usually do not have a lot of internal HR expertise or skills and HRM is often performed by the owners or senior managers (cf: Prouska, R., & Psychogios, A. G. 2019, p. 21). Wapshott and Mallett emphasise three characteristics of SMEs that are essential for HR work (Wapshott, R. /Mallett, O., 2015):

- A high degree of informality
- Informality can exist in various ways when it comes to employment relationship and practices (e.g. an ad-hoc way of organising tasks).
- Spatial and social proximity
- Managers and employees may share a workspace and often there is a greater degree of familiarity.
- Resource poverty
- Considering that SMEs do not have the resources of large companies, "resource poverty" describes the challenges faced by SMEs in particular, and is a regular theme of understanding these companies.

We need 'to understand SMEs on their own terms [otherwise we will] have a distorted understanding of the employment relationships and practices that represent the everyday working lives of millions of people' (cf. Wapshott, R. /Mallett, O., 2015). However, as the size of the company increases, HRM becomes increasingly formalised and makes it necessary to establish a HR department. In terms of management, organisation and staff, the majority of SMEs share the qualitative characteristics displayed in Figure 2.

Criterion	Characteristics
Management	- Partial leadership of the owner - Less group decisions - Less strategic orientation and planning - Immediate participation in operational processes - Low compensation capabilities after wrong decisions
Organisation	- manageable, flat hierarchy - direct information channels - low level formalism
Employees	- presence of broad specialist knowledge - presence of interdisciplinary knowledge - less specialists are available - high job satisfaction as a result of manageable processes - close contact between employee and manager

***Figure** 2: The specific qualitative characteristics of SMEs compared to large companies*
(Bergman, L.; Crespo, I, 2009)

Subsequently, the concept of Talent Management as an essential HR function is presented and applied to SMEs using the example of Saxony.

Talent Management as an essential HR function

Talent Management is a relatively new concept that only emerged in the 2000s. Talent management is the process of ensuring that the organisation has the talented people it needs to reach its business goals. It involves the strategic management of the flow of talent through an organization by creating and maintaining a talent pipeline (cf. Armstrong, M., Taylor, S., 2014). But there is no common understanding of the term "talent". In the general and current understanding, talent is understood as a natural gift for outstanding performance in a certain area (e.g. music or art) given to a person at birth. It is assumed that talents can perform exceptionally due to their abilities under favourable conditions. The economic theory and HRM understand talents as all employees who have the potential to make a contribution to the company beyond their tasks. A talent is therefore a valuable employee for the organisation. (cf. Capelli, P. 2008). But it is not only the outstanding performance that characterises a talent. The continuous development of talents is also important. It is precisely this predicted performance (potential) that makes talents so valuable for companies and ultimately encourages them to actively promote talents as early as possible. If the terms talent and talent management are presented as equations, it becomes clear that different HR activities are necessary to develop valuable employees within the company. Ritz and Thom understand talent as the totality of the age-related abilities respectively asthe sum of personal dispositions (gift) plus learning processes plus professional experience in the Company. That is why the TM process has three stages (cf. Ritz, A., Thom, N. 2011):

- discovering and assigning the personal dispositions,
- developing and promoting talent through learning processes,
- using and changing the experience of the employee.

How can these processes be managed and what is TM in the scientific sense? Talent Management is the additional management processes and opportunities that are made available to people in an organisation who are considered as ‚talents' (cf. Blass, E. 2007, p. 2). Talent Management are concepts and measures, that look into the recruitment, retention and development of present and future employees who are considered as talents as a result of their important corporate key competences (cf. Ritz, A., Thom, N. 2011, p. 10). These definitions underscore the importance of recognising that it is not enough to attract only new individuals with high potential. The development, retention and preservation of these individuals in the system, as part of a planned talent strategy, are equally important. It also requires a systematic approach and a review of tools and processes to implement TM successfully. The problem with many companies is that they put a lot of effort into attracting employees to their companies, but spend little time internally retaining and developing talents.

All these reasons indicate that TM must be understood as a holistic approach (cf. Figure 3). It is an approach in which both line managers and HR managers are responsible for the development of talented employees. Figure 3 also shows the various activities of a holistic TM. Previously, TM was often customized for large organisations and, until now, medium-sized companies are underrepresented in the discussion about the approach. In the following, the holistic TM approach will be applied to SMEs using the example of the region of Saxony as a German federal state and proposals for its implementation will be shown.



***Figure** 3: Talent Management as a holistic approach (authors own graph, cf. Ritz, A. /Thom, N.,* 2011*)*

In the last few years it has become increasingly difficult to fill job vacancies with young specialists looking for attractive jobs. In Saxony, too, the seemingly paradoxical situation has arisen that companies are looking for specialists, while at the same time specialists are looking for attractive employment opportunities. In the past years, the state of Saxony has not only seen demographic changes, but also migration tendencies. The effects are declining population numbers with a simultaneously increasing proportion of older people has led to a change in the age structure of the large number of SMEs in Saxony: The proportion of younger workers has fallen substantially and the average age has risen (Freistaat Sachsen 2018). The ensuing vacancies can therefore only be filled with considerable personnel effort and costs. At the same time, student numbers have remained relatively stable in regional universities and other educational institutions in recent years and many graduates intend to work in the region after graduation. For example, an empirical survey among students at the University of applied Sciences in Zwickau/Germany (WHZ) shows that graduates are willing to choose their future employer predominantly in the region, if attractive employment opportunities are offered to them (Walter, A, Förster, S. 2015). The graph in figure 4 is based on my own empirical survey and shows university graduates' most important expectations on their first job.

We asked all the 5000 students at our university, 501 of the students responded from all faculties. The most important expectations of the students are the following: positive working atmosphere, training and development, feedback and a cooperative management style. I found out students look for attractive jobs in Saxony, also in SMEs, but many students leave the region after graduation for their first job. Job expectations of today's students differ from those of previous generations. On a 5-level scale, the students were able to evaluate which expectations are most important for them even when starting their career. We are currently carrying out this survey for our students again, the online questionnaire is still open. We are curious to see how the importance of the expectations on the first job after graduation has changed in the last five years.



Figure** 4**: The most important expectations of university students when they start their careers after graduation. (Walter, A., Förster, F.,** 2015**)

Changed preference structures of young professionals regarding their entry into professional life provide an important starting point for a contemporary and sustainable design of Human Resource Management processes, in particular the acquisition (recruiting), integration and commitment (retention) of graduates in companies. This subject is controversial because the urgent need to preserve the innovation capacity of SMEs in Saxony is currently dominated, and will continue to be so in the future by the adequate and rapid filling of vacant or newly created jobs with qualified young professionals. Already today, it is partly difficult to fill jobs in Saxony with suitable young applicants (Monitoring 2018). In comparison to large companies, the SME sector is particularly affected by this problem, as it is very difficult for SMEs to submit attractive offers to applicants in times of fluctuating order situations and tight liquidity constraints, e.g. with regard to remuneration and duration of employment (Psychogios, A., Prouska, R., 2019). Especially for SMEs in Saxony, an advantage may arise

from the fact that in the future the employer's attractiveness will not be evaluated solely by the level of wages. But increasingly by what a company offers as a whole in terms of its jobs and working conditions resp. by the extent it differs from other companies as an employer, initiates and implements market-oriented Human Resource Management through holistic HR concepts such as Talent Management and Employer Branding (Walter, A., 2018). We have scope to explore how mediators such as leadership style, company's climate and development activities influence the relationships between formal and informal HRM practices and between organizational and individual outcomes. (Nolan, C. T., Garavan, T.N., 2016).

On the basis of the characteristics of SMEs (cf. Figure 2), the current conditions of economic activity in Saxony and the five phase process mentioned in, the following proposals on how to implement an effective HRM with a focus on talent management can be formulated:

Phase: Recruitment of talents

The pool of employees and managers available to large firms may seldom be available to SMEs that tend to recruit in alternative labour markets (Dowling et al., 2013). SMEs have different options for their search for qualified applicants. On the one hand it is necessary to attract more young talents from their own region and on the other hand, in times of globalisation, it is essential to recruit them internationally too. For the recruitment of young talents from the region, it is necessary to strengthen local personnel marketing. SMEs and their vacancies are much less known to students and graduates of other regional educational institutions than that of large companies. If not even the name of the company is familiar to them, young, well-trained applicants will not find the vacancies in printed or online job portals, or will only find them after a long and time-consuming search. In addition, a target group-oriented approach to talent is necessary, i.e. young professionals today want to be addressed differently from older generations. In addition to remuneration, job offers must above all include information on the conditions expected by young people at the workplace (cf. Figure 4). Young suitable applicants are looking for companies that prefer e-recruiting (e.g. social media, recruiting portals) and look for companies that have a convincing concept of Corporate Social Responsibility. For a successful search for suitable applicants from the international labour market, it makes sense that the company is present at international trade fairs and job fairs. This activities should be expanded and the contact with educational institutions (such as universities!) should be intensified. Nevertheless, the development of the internal (older) employees is just as important for SMEs to have the necessary professional experience in the company. Professionally experienced employees have not only a higher professional competence, but also a much stronger social competence.

Phase: Assessment of talents

Once they have received a sufficient number of applications, SMEs need to select the most suitable candidates for internal jobs. As SMEs have much less personnel and financial resources than large enterprises, it is relatively easy to assess professional qualifications. Find out which of the candidates has the necessary methodological competencies for the job, e.g. applying project management or team leadership and the required social qualifications, e.g. for working in teams is much more difficult. The first step in this phase is to define the company-specific technical, methodological, social and intercultural requirements for talents. In most cases, the evaluation of the application documents is not enough and in some cases it is not possible to compare qualifications and university degrees from the applicants' home countries. In addition to the evaluation of the written application documents, structured job interviews or the simulation of small job exercises must be prepared and carried out. For SMEs, carrying out assessment centres as large companies do is often too expensive and too time-consuming. But SMEs can consider how to test their motivation and behaviour towards managers and colleagues, which is extremely important for a long-term integration of the new employee in times of globalisation.

Phase: Assignment and retention of talents:

In the workplace, the conditions expected by the newly hired employees have to be designed. Increasing importance is attached to the design of the work itself, i.e. the content of the work and the possibility of assuming responsibility, etc. SMEs have to offer appropriate incentive systems for intrinsic and extrinsic motivation. This includes adequate remuneration, but interesting and challenging work tasks and the opportunity to work in teams are more important. New expectations of employees and young managers include the ability to work on tasks on the computer from home or mobile. For young people it is very important to achieve a work-life balance, which means e.g. flexible working hours. During this phase, it is also an advantage for SMEs to create a talent pool from which vacant jobs can be quickly and easily filled internally. Figure 5 illustrates which individual aspects belong to it.

HR responsibility	Expectations of young talents
Recruitment	good presentation (internet, events) offering of internships possibility of extra-occupational master thesis consideration of individuals with various educational backgrounds
Employer attractiveness	Corporate image Corporate culture Business sites Working time models stays abroad adequate remuneration further training clear perspectives
Corporate Social Responsibility	exemplification of Corporate Social Responsibility acting ethically fairness/equal treatment respect, honesty ecological responsibility
Work-Life-Balance	sports facilities, leisure clubs, events balancing possibilities for intensive working phases
Development opportunities	personal development plan target agreements, employee assessments interdisciplinary teams receiving of responsibility

Figure 5: What are young talents expecting of their employer?
(authors own elaboaration, cf. Ritz, A., Thom, N. 2011)

Phase: Development of Talents:

Young talents consider their own professional development particularly important. They want to develop further while fulfilling their work tasks and expect additional training opportunities from the company. At the start of the talent's career, the company can offer a structured onboarding programme. Even SMEs can offer small trainee programs, whereby it is important that there is a timetable for completing the program in different departments of the company. For the development of the talent is very important to provide a mentor. Young employees want quick and personal feedback after completing work assignments. In addition, the assumption of project responsibility or the temporary gathering of experience in the international context can be made possible.

Phase: Departue and Contact Maintanance

If talents want to leave the company, for example because they find a greater professional challenge in another company, the SME should support their desire and not always prevent them from leaving. It is important to continue contact with the valuable employee beyond the employment relationship, because former employees can advertise the abandoned company in their circle of contacts and in the new company. In addition, there is a possibility that the employee who has left the company will return to the company after a few years with new professional experience. Maintaining contact with the former employee via social media is now very easy and inexpensive.

Given that the notion of Talent Management in SMEs is distinctively different from the large firm context, it is important to explore key conceptual questions, such as who is considered 'talent' in SMEs and what is emphasised in their selection (Krishnan, T. N., Scullion, H., 2017).The introduction of talent management in SMEs starts with the internal analysis of existing HR measures in the company, with the highest priority being the cooperation between HR, supervisors and the management. The implementation of TM in SMEs is possible as many successful examples show. A very important requirement is the development of the necessary skills in the HR field and providing the necessary financial and human resources for that.

SMEs until now underrepresented in the discussion about TM. In Saxony, medium-sized companies face a precarious situation: rising need for TM due to demografic situation vs. serious cost-restrictions. Potential instruments of TM for medium-sized companies in Saxony should adress especially the creating of job conditions (i.e. mobile working, flexible working time, home office), the use of regional networks (firms, universities, employment agencies, chambers of industry and commerce) and also the development of internal experiences employees. These processes have been started in Saxon SMEs successfully for some time and will be further intensified by all network partners .

Conclusion

In times of globalisation it is important for SMEs to deal with international issues of HRM and to provide the necessary human and financial resources in the company. Specialists can be recruited worldwide. That is why new HR tasks such as international recruitment, intercultural management and the management of different expectations on the conditions of work have to be managed. This is not only a matter of different values and norms of employees from different countries, but also increasingly of taking into account the values of the younger generation who expect different conditions. Using Saxony as an example, it was shown what these expectations are and how the HR approach Talent management can be used to design this issue. This provides a practice example for SMEs in other regions in Europe and around the world.

It should also be noted that SMEs can be very different in their sizes and in the characteristics of the value-added process. Due to the large differences in size and complexity of companies within the SME category, there may not be only one way to manage talent within them. Because of the high importance of the qualifications of employees for SME's business success, a dynamic contextual approach is proposed that incorporates the life stages of the company to describe the characteristics of talents for SMEs (Krishnan, T. N., Scullion, H.,2017) .

Referencies

1. Armstrong, M., Taylor, S. 2014. Armstrong's Handbook of Human Resource Practice. Thirteenth edition. Kogan Page. London
2. Atkinson, C., Mallett, O., Wapshott, R. (2016). 'You try to be a fair employer': Regulation and employment relationships in medium-sized firms. International Small Business Journal, 34(1), 16–33.
3. Agarwal, S.; Qouyatahi, K.M. (2017): HRM Challenges in the Age of Globalisation, International Research Journal of Business Studies, vol 10, No.2, 89-98
4. Bergman, L.; Crespo, I. (2009). Einfluss der Merkmale und Eigenschaften kleiner und mittlerer Unternehmen auf die Modernisierung. Springer Berlin.
5. Bradley, J. (2017). Effects of Globalization on Human Resources Management. Retrieved on September 7, 2019 from http://smallbusiness.chron.com: *http://smallbusiness.chron.com/effects-globalization-human-resources-management*-61611.*html*.
6. Dowling, P. J, Festing, M.; Engle, A. D. (2013) International human resource management, 6th edition. Cengage Learning, London.
7. Capelli, P. (2008), Talent on demand: Managing Talent in an Age of Uncertainty, Boston
8. European Commission (2003). Commission Recommendations 2003 concerning the definition of micro, small and medium sized enterprises, Official Journal of the European Union, No. L124, pp. 36–41.
9. Freistaat Sachsen (2018), SMWA: Location of Saxony – in comparison with other regions. Retrieved on August 28, 2019 from https://publikationen.sachsen.de/bdb/artikel/32059
10. Holman, D. (2013). Job types and job quality in Europe. Human Relations, 66, 475-502.
11. Kapoor, B. (n.d.). (2011) The Impact of globalization on human resource management. Journal of International Management Studies, 6 (1), 1-8.
12. Kaur, S. (2014). Key challenges and trends faced by human resource managers. International Journal of Management. 5(2), 36-41.
13. Krishnan, T. N., Scullion, H. (2017): Talent management and dynamic view of talent in small and medium enterprises. Human Resource Management Review 27 (2017) 431–441
14. Maršíková, K., Rajander, T., Clauß, A.-M., Medžiūnienė, I., Meschitti, V., Štichhauerová, E, Davies, J., Dulkė, D., Komulainen, R., Macháčková, V., Richter, M., Schumann, C.-A., Moš, O., & Forkel, E. (2019). People management challenges for SMEs in five European regions: Spotlighting the (in)visible and the (in)formal and embedding SME HR issues firmly in the business and knowledge environment. Huddersfield, UK: University of Huddersfield.
15. North, K., Varvakis, G. (2016): Competitive Strategies for Small and Medium Enterprises. Springer Cham Heidelberg New York Dordrecht London
16. Richter, M., Schumann, C.-A., Walter, A., Clauß, A.-M., Forkel, E. (2019): Personalmanagement in KMU im europäischen Vergleich. Auswertung der wissenschaftlichen Studie des ERASMUS-Projektes SHARPEN. Beiträge der Fakultät Wirtschaftswissenschaften der WHZ, Nr. 2/2019
17. Ritz, A., Thom, N. (Edit.) (2011): Talent Management. Springer
18. Scullion, H; Collings, D. (2011). Global Talent Management. Routledge, New York, London
19. Scholz, C, Müller, S. (2010): Human resource management in Europe: Looking again at the issue of convergence.

Paper presented at the 11th International Human Resource Management Conference in Birmingham, UK, 9–12 June 2010

20. Trivikram, S. (2017). International Human Resource Management (IHRM). Retrieved on September 7, 2019 from *https://myventurepad.com/international-human-resource-managementihrm/*
21. Walter, A. (2018): Employer Branding als Personalstrategie für Recruiting und Bindung von Fachkräften der Generation Y in kleinen und mittelständischen Unternehmen am Beispiel von Sachsen. In: Kolev, S./Seliger, B./Sepp, J./ Wrobel, R. (Hrsg.): Arbeitsmarktentwicklung und -regulierung. Zwischen Fachkräftemangel und Migration, Ordnungspolitische Dialoge, Band 6, Peter Lang Verlag
22. Walter, A.; Förster, S. (2015): Befragung von Studierenden der Westsächsischen Hochschule Zwickau. In: FOKUS print 04/2015 an der Technischen Universität Chemnitz. Retrieved on August 28, 2019 from https://www.tu-chemnitz.de/wirtschaft/bwl6/Materialien/WWW_Publikation/FOKUS-Print_04_15.pdf
23. Wapshott, R. /Mallett, O. (2016): Managing Human Resources in Small and Medium-Sized Enterprises. Abingdon and New York: Routledge.
24. Wilkie, D. (2015). Globalization Presents Complex Challenges for HR Managers. Society for Human Resource Management (SHRM). Retrieved on September 7, 2019 from *https://www.shrm.org/hr-today/news/hr-news/pages/globalization-presents-complex-challenges-for-hr-managers.aspx*

დასაქმება და ახალი სამუშაო ადგილები საქართველოს ეკონომიკის დილემა

ვირსალაძე ნაირა
აწსუ და ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ყიფიანი მავლინა
ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტ.პროფესორი

უმუშევრობა მნიშვნელოვანი სოციალურდეკონომიკური მოვლენაა და საქართველოში მისი გადაწყვეტა არც ისე ადვილია. შრომის ბაზარზე არსებული მძიმე ვითარების დაძლევის მიზნით საჭიროა სახელმწიფოს ახალი პოლიტიკა თავისი მიზნებით, ამოცანებით და იმ გზებით, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება დასახული მიზნის მიღწევა. სამუშაო ძალის ბაზარზე სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზანს კი დასაქმების სრულყოფა და უმუშევრობის შემცირება წარმოადგენს.

ჩვენს მიერ გაკეთებული ანალიზის საფუძველზე შესაძლოა ჩამოყალიბდეს შემდეგი დასკვნები:

საგულისხმოა, რომ ბოლო წლებში ადგილი აქვს მკვეთრ დემოგრაფიულ ცვლილებებს, რაც მკვეთრად აისახება სამუშაო ძალის შემცირებაში. ყოველივე ეს კი განპირობებულია ქვეყნიდან ადამიანების გადინებით და შობადობის არასტაბილური ცვლილებით. ბოლო პერიოდის მიგრაციის უარყოფითი სალდო შეიძლება განვიხილოთ, როგორც უარყოფითი, ასევე დადებით კონტექსტში. ერთის მხრივ „ტვინების გადინება“ მოკლევადიან პერიოდში აკარგვინებს ქვეყანას ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და მეორეს მხრივ, მიგრანტთა დაბრუნების შემთხვევაში ქვეყანას უბრუნდება უფრო მეტად კვალიფიციური კადრები და მათი ცოდნის ეფექტიანად გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისათვის. აღსანიშნავია, რომ ეტაპობრივად მიმდინარეობს საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაცია სერვისების ეკონომიკად, რაც ერთის მხრივ მოითხოვს სექტორში წარმოდგენილი დასაქმებულების კვალიფიკაციის დონის ამაღლებას პროდუქტიულობისა და ხარისხის ზრდისთვის, ხოლო მეორე მხრივ, მომვალში გაზრდის სამუშაო ადგილებს და დასაქმების პერსპექტივებს; მნიშვნელოვანია ღონისძიებები, რომელიც ტარდება საფინანსო სექტორის ისეთ მიმართულებაში, როგორიცაა საფინანსო შუამავლობა, კაპიტალის ბაზრისა და საპენსიო რეფორმა, ასევე დაზღვევის სფერო. ძალიან მაღალია მოთხოვნა მომსახურების სფეროს მუშაკებზე. აქ განსაკუთრებული შესაძლებლობა იკვეთება ახალგაზრდებისათვის (სასტუმროების მომსახურე პერსონალი, ქოლ ცენტრის ოპერატორები, მიმტანები, მზარეული, სარეკლამო აგენტი, დაცვის თანამშრომელი, კურიერი, IT სპეციალისტი, მაღალი მოთხოვნით ხასიათდება და ტურიზმის და მომსახურების სხვა სფეროების სწრაფი ზრდის პარალელურად).

დასაქმების პოლიტიკის მოდელი უნდა ემყარებოდეს ქვეყანაში შექმნილ სოციალურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ მდგომარეობას, მისი ტრადიციების თავისებურებებს. პროგრამა უნდა ატარებდეს კომპლექსურ ხასიათს. დასაქმების დონის ამაღლებასთან ერთად მასში უნდა იყოს გათვალისწინებული დასაქმების ეფექტურობა, პირობები, სტრუქტურა, ხასიათი და ა. შ.

საკვანძო სიტყვები: *უმუშევრობა, დასაქმება, სამუშაო ადგილების შემცირება, განათლება და დასაქმებულთა კვალიფიკაცია, პენსიონერთა ღირსეული ცხოვრება.*

ქვეყნის სოციალურ პოლიტიკაში საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მთავარ ორიენტირად ითვლება საზოგადოებრივ წარმოებაში შრომისუნარიანი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართვა. ცხადია, იგი არ გულისხმობს უმუშევრობის აბსოლიტურ არ არსებობას, მაგრამ შესაძლებლობას ქმნის მიღწეულ იქნას სრული დასაქმება საზოგადოებრივ წარმოებაში შრომისუნარიანი მოსახლეობის ჩაბმის ნებისმიერი დონისას. იმ შემთხვევაში, თუ იგი უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სამუშაო ადგილებზე, ხელს უწყობს მწარმოებლურობის ზრდას, ხოლო მიღებული ანაზღაურება უზრუნველყოფს როგორც დასაქმებულის, ისე მისი ოჯახის წევრების ღირსეულ არსებობას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოსახლეობის დასაქმება რეგულირდება შრომის ბაზრის საშუალებით, რომელიც მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე განაპირობებს სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, განაწილებასა და გამოყენებას. იგი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დინამიური სფეროა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი შედეგებისა და მისი წარმომქმნელი ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მოვლენების გამომხატველია. მასში უშუალოდ აისახება ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმის ძირითადი შედეგები.

შრომის ბაზარი ერთი მხრივ იძლევა შრომითი შესაძლებლობების განკარგვის უფლებას, აგრეთვე ახდენს ადმინისტრაციული ძალდატანების ლიკვიდაციას. მეორე მხრივ, ბაზარი, საშუალებას იძლევა სამართლიანად მოხდეს შრომის ანაზღაურება შრომითი რესურსების კვალიფიკაციის, ხარისხისა და შრომის ნაყოფიერების მიხედვით. ეს კი შრომის ბაზრის ყველა სუბიექტს უბიძგებს შეცვალოს თავისი დამოკიდებულება შრომის სფეროში, რაც განაპირობებს საკუთარ განათლებასა და პროფესიულ მომზადებაზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას.

გრაფიკი 1



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გამოვიყენეთ რა 2008-18 წლების ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია, მოვახდინეთ საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის შეფასება. ცნობილია, რომ დროის ამ მონაკვეთში კლების ტენდენციით ხასიათდება როგორც 15+ ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა, ისე ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა; დასაქმებულთა ხვედრითი წილი 82,1%-დან 87,3 %-მდე, ხოლო დასაქმებულ მოსახლეობაში დაქირავებულთა ხვედრითი წილი 38.9% -დან 50.7%-მდეა გაზრდილი. რაც შეეხება თვითდასაქმებულ მოსახლეობას მისი ხვედრითი წილი 61 %-დან 49.1%-მდეა შემცირებული.

დღეს საქართველოსთვის დასაქმება სერიოზულ და უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დემოგრაფიულად დაბერებული ქვეყანაა.

ეკონომიკური აქტიურობის, დასაქმებისა და უმუშევრობის დონე განვიხილეთ ასაკობრივ ჭრილში, იმისათვის, რომ ვიცოდეთ თუ რომელი ასაკობრივი ჯგუფი ხასიათდება მოცემული მაჩვენებლის მაღალი დონით (გრაფიკი 1).

როგორც მოცემული დიაგრამიდან ირკვევა, ყველაზე მაღალი ეკონომიკური აქტიურობის და დასაქმების დონე ყველაზე მაღალია 40-44, 45-49 და 50-54 წლის ასაკობრივ ჯგუფში. უმუშევრობის დონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 15-19 და 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფებში. მოცემული მდგომარეობა სავარაუდოდ განპირობებულია აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფებში სტუდენტების მაღალი ხვედრითი წილით, რომელთა ძირითად საქმიანობას უმაღლესი განათლების მიღება წარმოადგენს. მოცემული დონეებიდან აუცილებლად უნდა გამოვაცალკევით დასაქმების დონე თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის.

გრაფიკი 2



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც გრაფიკი 2 -დან ჩანს ყველაზე დაბალი დასაქმების დონე არის 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში და იგი 17.9%- ია, დასაქმების დონე შემდგომ ასაკობრივ ჯგუფებში მზარდია და ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 50-54 წლის ასაკობრივ ჯგუფებში 72.1% ფიქსირდება. შემგდომი ასაკობრივი ჯგუფებისთვის კი კლებადი ტენდენციით ხასიათდება და 65+ ასაკობრივ ჯგუფში დასაქმების დონე 38.0%-მდე მცირდება. რაც გამოწვეულია იმით, რომ მოცემული ჯგუფი საპენსიო ასაკის მოსახლეობას მოიცავს.

საქართველოში, თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების შედეგად მცირდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე სახელმწიფო სექტორში, მაგრამ ამავდროულად ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორის განვითარებას თან ახლავს ამ სექტორში სამუშაო ძალის გადადინება. ქვეყანაში ტარდება საზოგადოებრივი სამუშაო პროგრამები, მაგრამ, როგორც წესი, ისინი ნაკლებად წარმატებულია მუშაკთა დასაქმების თვალსაზრისით. დროებით სამუშაო ადგილები იქმნება მუნიციპალური ორგანოების ან კერძო ფირმების მიერ და გამიზნულია ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, საზოგადოებრივი ადგილების დასასუფთავებლად და სხვა საქმიანობისათვის, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა ძირითადად განისაზღვრება როგორც ადგილობრივი და რეგიონული მმართველობითი ორგანიზაციების, ასევე ეკონომიკის სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორის ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. მაგრამ მხოლოდ ასეთი ინფორმაცია არ არის საკმარისი, რადგან ისინი სრულყოფილად ვერ ახასიათებენ სიტუაციას შრომის ბაზარზე. ამიტომ უმჯობესია ვაკანტური სამუშაო ადგილების დონის ანალიზი განხორციელდეს როგორც ტერიტორიული, ისე მოსახლეობის ცალკეული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის მიხედვით.

დიდი შეუსაბამობაა სოფლისა და ქალაქის შრომის ბაზრებს შორის. ქართველი პენსიონრების საკმაოდ დიდი ნაწილი სოფელში ცხოვრობს. სოფლის მოსახლეობა თვითდასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ქალაქის სამუშაო ძალა კი უმთავრესად უმუშევარია. იზრდება იმ უმუშევართა რაოდენობა, რომლებიც აღარ ეძებენ სამუშაოს, ვინაიდან აღარ აქვთ მისი პოვნის იმედი. ქალაქში დასაქმებულთა უმრავლესობა მუშაობს სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციებში, ჯანდაცვის, განათლებისა და სახელმწიფო მმართველობის სფეროში.

ასევე შეუსაბამობას აქვს ადგილი მოსახლეობის ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებს შორის. საარსებო მინიმუმზე დაბალი პენსიების გამო 65 წელს გადაცილებული ქართველი ქალები და კაცები იძულებული არიან იყვნენ ეკონომიკურად აქტიურნი. მაშინ როდესაც ახალგაზრდობის ძირითადი ნაწილი უმუშევარია.

თუ სახელმწიფო უზრუნველყოფს პენსიონერთა ღირსეულ ცხოვრებას, დასაქმების ასაკობრივი სტრუქტურა შეიცვლება და მოხდება ახალგაზრდობის დასაქმების წილის გაზრდა, გამონთავისუფლდება რა 60+ და 65+ თაობის მიერ დაკავებული სამუშაო ადგილები

საინტერესოა უმუშევრობის განხილვა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში წლების მიხედვით იხ. გრაფიკი 3, სადაც ნათლად გამოიკვეთება შემდეგი ტენდენციები:

1. მამაკაცების უმუშევრობის დონე საგრძნობლად აღემატება ქალების უმუშევრობის დონეს, რაც სამუშაო ძალაში მამაკაცების მაღალი მონაწილეობით აიხსნება;
2. ქალებში უმუშევრობის დონე ხასიათდება კლებადი ტენდენციით, რაც იძლევა საპირისპირო სურათს მამაკაცების შემთხვევაში.

როგორც მონაცემები ადასტურებს ახალგაზრდობის რიცხოვნობა, რომელიც ავსებს შრომის ბაზარს, საკმაოდ მაღალია. ეს მაჩვენებელი შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალიზებულ და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მისაღები კონტიგენტის შემცირებით, სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა სამუშაო ადგილებზე განაწილების გართულებით, ახალგაზრდების საქართველოდან გადინებით.

გრაფიკი 3



	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
ქალები	17,6	16,9	15,5	15,3	16,1	14,6	12,3	12,4	10,9	12,7	11,2
კაცები	18,1	19,5	19,1	19,1	18,2	19,0	16,6	15,6	16,6	15,0	13,9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში სამოქალაქო და რუსეთ-საქართველოს ომებმა წარმოშვა ლტოლვილთა დიდი ნაკადები და საქართველოს მთელი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება. წარმოების დაცემის, არასტაბილური მდგომარეობის, ენერგორესურსების დეფიციტის და უმუშევრობის მკვეთრად გაზრდის გამო საქართველო დატოვა მოსახლეობის დიდმა ნაწილმა. უნდა ითქვას, რონ მიგრაციული ნაკადების შესახებ ზუსტი სარწმუნო სტატისტიკური ინფორმაცია არ არსებობს. დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასებით სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაცია მიგრანტების შესახებ არაზუსტი და გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სინამდვილეშია. მოსახლეობის კვლევის ეროვნული ცენტრის მონაცემებით გასულ ათწლეულში ემიგრაციამ საქართველოს მოსახლეობის 5-დან 20% -მდე შემცირება გამოიწვია. ქვეყნიდან გავიდა მაღალკვალიფიციური პოტენციური სამუშაო ძალა, რომელთა უმრავლესობა შრომის მიგრანტთა კატეგორიას მიეკუთვნება.

უმუშევართა საერთო რიცხოვნობაში ყველაზე მაღალია უმაღლესი განათლების სპეციალისტთა ხვედრითი წილი. აშკარაა, რომ საჭიროა დასაქმების ახალი პოლიტიკის შემუშავება. ახალგაზრდები უნდა დაეუფლონ ისეთ პროფესიებს, რომლებიც სარგებლობენ მაღალი მოთხოვნით. ამისათვის აუცილებელია არსებობდეს სანდო ინფორმაცია შრომის ბაზარზე არსებულ პროფესიებზე მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ ყველა დაინტერესებული მხარეებისათვის. საჭიროა სასწავლო დაწესებულებებში გათვალისწინებულ იქნას სხვდასხვა პროფესიების მიხედვით შრომის ბაზრის მოთხოვნები, რათა მოქნილად შევცვალოთ ჩვენი სასწავლო გეგმები, სწავლებისა და გადამზადების მეთოდები.

ბაზრის ნორმალური ფუნქციონირება ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და მაღალი შემოსავლების მიღებას. თუმცა იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს სოციალური თანასწორობა და სამუშაოთი უზრუნველყოფისათვის ყველა თანაბარი პირობები, საჭიროა ბაზრის გარკვეულწილად რეგულირება, რაც, როგორც წესი უნდა განხორციელდეს სათანადო სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების (ინსტიტუტების) მიერ. ისინი ამუშავებენ და ცხოვრებაში ატარებენ შრომის ბაზრის რეგულირების განსაზღვრულ სტრატეგიას. ასეთი სტრარეგია მოითხოვს შემუშავებულ იქნეს პრიორიტეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების ყველა წევრის ცხოვრებისეულ ინტერესებს საზოგადოებრივი წარმოების პროცესში და სამართლიანობას ამ პროცესის განაწილებისას.

საქართველოს მაკროეკონომიკურ პრობლემებს შორის უმუშევრობა ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. იგი მრავალი მიზეზით არის გამოწვეული, რომელთაგან ჩვენი აზრით შეიძლება გამოყოფილი იქნას რამდენიმე მთავარი ნიშანი: ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლამ საწარმოთა პრივატიზაციამ დღის წესრიგში დააყენა დასაქმების ოპტიმიზაციის საკითხი და შესაბამისად, დასაქმებულთა დიდი ნაწილი უმუშევარი აღმოჩნდა (გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ ეკონომიკაში საწარმოებში იყო ჭარბი პერსონალი, სწორედ იმ მოტივით, რომ აღნიშნულ სისტემას ახასიათებდა სრული დასაქმება); საწარმოთა ერთმა ნაწილმა ვერ გაუძლო საბაზრო მოთხოვნებს და გამოეთიშა ტრადიციულ საქმიანობას; ეკონომიკის სტრუქტურული ძვრები, რაც გამოიხატა ახალი ტექნოლოგიების დანერგვით და ჭარბი სამუშაო ძალის შემცირებით; ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი სალდო (მოხმარების სტრუქტურაში იმპორტირებული საქონლის და მომსახურების ხვედრითი წილის ზრდა).

უმუშევრობა საზოგადოებისათვის ქმნის როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ პრობლემებს, იგი ზარალს აყენებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. უმუშევრობის პირობებში თავს იჩენს ეკონომიკური არასტაბილურობის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ერთობლივი მოთხოვნის,

დანაზოგებისა და ინვესტიციური მოთხოვნის შემცირება, ერთობლივი მიწოდების კლება, წარმოების დაცემა და სხვა. ამგვარად, უმუშევრობის პირობებში შეუძლებელი ხდება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოყენება და ეროვნული სიმდიდრის შესაძლო დონემდე ზრდა. ვინაიდან ოუკენის კანონის თანახმად, ბუნებრივი დონის ზევით უმუშევრობის ყოველი 1%-იანი ზრდა მშპ-ს 2.5%-ით შემცირებას იწვევს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია უმუშევრობის სოციალური მხარეები. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო თავის თავზე იღებს შრომისუნარიანი მოსახლეობის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფას. უმუშევრობა მრავალი ნეგატიური მოვლენის საფუძველია. უმუშევრობის გამო იზრდება დანაშაულთა რიცხვი,თვითმკვლელობები, განქორწინების რიცხვი და ა. შ.

სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ უმუშევრობის 1%-ით ზრდა 7-8 პროცენტით ზრდის დანაშაულობებს. საერთო ჯამში, უმუშევრობა აძლიერებს ქვეყანაში სოციალურ დაძაბულობას და აღრმავებს პოლიტიკურ არასტაბილურობას.

უმუშევრობის პრობლემა საქართველოში უფრო რთულია, ვიდრე ეს ოფიციალური სტატისტიკიდან და რეალური ცხოვრებიდან ჩანს. დარეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობასთან შედარებით, ფაქტობრივ უმუშევართა რიცხვი 2-3-ჯერ მეტია. აქ საუბარია საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ შრომისუნარიან მოსახლეობაზე. სამუშაო ძალის საკმაოდ დიდი ნაწილი (თითქმის მილიონი ადამიანი), როგორც საქართველოს მოქალაქეები შრომით საქმიანობას ეწევიან უცხოეთში. თეორიულად თუ დავუშვებთ, რომ იმიგრირებული სამუშაო ძალა დაბრუნდება საქართველოში, ბუნებრივია, დასაქმების პრობლემები კიდევ უფრო გამწვავდება. დასაქმებისა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების საკითხებმა სათანადო ასახვა ვერ ჰპოვა სამთავრობო გრძელვადიან პრიორიტეტებში, რამაც თავის მხრივ, სოციალური დისბალანსი შეიტანა საზოგადოებაში. უმუშევრობის პრობლემის დარეგულირების მიზნით, ხელისუფლების მხრიდან გარკვეულ ინიციატივებს ჰქონდა ადგილი. კერძოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავდა უმუშევრობის დაძლევის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის ამოსავალი ინდიკატორებია: უმუშევრობის დონე -14%, უმუშევართა რაოდენობა 282 ათ. კაცი.

საქართველოს შრომის ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია: არ არის დაწესებული მინიმალური ხელფასის სავალდებულო ზღვარი, იოლია სამუშაოზე აყვანა-განთავისუფლება, არ არის უმუშევრობის დახმარება, სამუშაო საათების მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია, მაგრამ მკაცრად არ კონტროლდება. ამის გამო საქართველო ძალიან ბევრჯერ გამხდარა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების კრიტიკის საგანი, მაგრამ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით და დასაქმების მაჩვენებლის ამაღლებისათვის თავისუფალი შრომის ბაზარი უკეთესია. მინიმალური ხელფასის კანონით განსაზღვრა და სამუშაო საათების უფრო მკაცრი დარეგულირება სამუშაო ძალას აძვირებს, დამსაქმებელს უწევს მეტი ხელფასი გადაუხადოს დასაქმებულს, ვიდრე თავისუფალი გარიგების პირობებში გადაუხდიდა. ეს კი ბიზნესს აწვება ტვირთად და კონკურენტუნარიანობას უმცირებს, ვერ ფართოვდება (ან დაბალი ტემპით ფართოვდება) და დასაქმებას ვერ ზრდის. უმუშევრობის დახმარება კი მოტივაციას უკარგავს უმუშევარს, დახმარებაზე ნაკლებ თანხად იმუშაოს, რაც სერიოზულ პრობლემად ექცათ სამხრეთ ევროპის ქვეყნებში.

ბევრი ევროპული ქვეყნისათვის შრომის ბაზრის ლიბერალიზაცია ერთ-ერთი გზაა უმუშევრობის შესამცირებლად, საქართველოში კი მეტი ლიბერალიზება ფაქტობრივად შეუძლებელია და დასაქმების ამაღლების მხრივ მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება. საქართველოში უმუშევრობას (დიდწილად თვითდასაქმებასაც) ორი მნიშვნელოვანი მიზეზი- მცირე ეკონომიკა და სამუშაო ძალის არასასურველი კვალიფიკაცია.

დღეისათვის ფიზიკურად არ არსებობს საქართველოში იმდენი სამუშაო ადგილი, რამდენი სამუშაოს მსურველიც არის გარკვეული ხელფასის სანაცვლოდ. შესაბამისად, მოკლევადიან თუ გრძელვადიან პერიოდში, უმუშევრობის შემცირების ერთადერთი გზაა საქართველოს ეკონომიკის ზრდა და აქედან გამომდინარე, სამუშაო ადგილების მატება.

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ შრომითი ბაზრის ლიბერალიზაცია ისეთი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა, ძალზე ნაადრევია. გაუმართლებელია ის ფაქტიც, რომ დღემდე დადგენილი არაა მინიმალური ხელფასი. შრომის ანაზღაურების თავისუფალი გარიგების ფორმა კი „ამართლებს“ ჩვენთან შექმნილი მძიმე სოციალური ფონით – ოღონდ სამუშაოდ იქნას აყვანილი და თანახმაა მიიღოს მიზერული ხელფასი. არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა სამუშაოდან განთავისუფლებულთა თემა. არავინ არ იცავს მათ ინტერესებს, დადებითად არ წყდება კომპენსაციის საკითხი. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველოს შრომის ბაზრის ლიბერალიზაცია საქართველოსთვის ძალიან ნაადრევია და იგი დასაქმების პრობლების შერბილების მეთოდი უფრაა.

ქვეყანაში საშუალო და უმაღლესი განათლების არასასურველი ხარისხის გამო პრობლემაა საშუალო და მაღალკვალიფიციური კადრების მოძიება. ასიათასობით უმუშევარს არა აქვს კვალიფიცია და ცონდა, რაც ხშირად ამა თუ იმ ვაკანსიის დასაკავებლადაა საჭირო. 21-ე საუკუნეში კი გლობალიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიები გვაძლევს საშუალებას, მხოლოდ შენი ქვეყნის შიდა შრომის ბაზარზე არ ჩაიკეტო და ბევრ სხვა ქვეყანაში მოძებნო გაცილებით მაღალანაზღაურებადი სამსახური. სწორედ ამიტომ აუცილებელია განათლების სისტემაში გატარდეს ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები ამ მხრივ, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს დასაქმების გაზრდას.

მთავრობას უმუშევრობის პრობლემის თანდათანობით გადასაჭრელად ერთადერთი გზა რჩება: ხელი შეუწყოს ქვეყნის მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპის მიღწევას და პარალელურად იზრუნოს განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა კი მრავალ კომპონენტს გულისხმობს, როგორიცაა: პოლიტიკური სტაბილურობა, უსაფრთხოება, კერძო საკუთრების დაცვა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, საერთაშორისო სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების გაფართოება და ა.შ. მთავრობას არ შეუძლია უმუშევრობის პრობლემა გადაჭრას საჯარო სექტორში დასაქმების ზრდით, ეს მხოლოდ ბიუროკრატიული ხარჯების ზრდას გამოიწვევს და ისევ ეკონომიკას დააწვება ტვირთად.

მთავრობის დაპირება უმუშევრობის პრობლემის და დასაქმების ზრდის სწრაფად გადაჭრასთან დაკავშირებით, გააზრებულად თუ გაუაზრებლად გულისხმობს მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევას მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში. შესაბამისად, მოსახლეობა უნდა აქცევდეს ყურადღებას, თუ რა ტემპით ვითარდება მისი ქვეყნის ეკონომიკა, ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ უმუშევრობის პრობლემის სრულად გადაჭრა შეუძლებელია (თუ ადამიანებს არ აიძულებ, უფასოდ ან სასურველზე დაბალ ხელფასად იმუშაონ), ხოლო მნიშვნელოვანი შემცირება შესაძლებელია, ოღონდ არა მყისიერად ან 1-2 წელიწადში. მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებშიც კი (მაგალითად, ნორვეგია, სინგაპური) მოსახლეობის 2-3% უმუშევარია.

საქართველოში უმუშევრობის გამომწვევ უამრავ მიზეზს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რამდენიმე მათგანის ცალკე გამოყოფა: დასაქმების სააგენტოებისა და სამსახურების ნაკლებად სანდოობა, არაპროფესიონალიზმი და ხშირ შემთხვევაში არარეალური შემოთავაზებები; შრომითი ბაზრის მოწყობის არასწორი პოლიტიკა; პროფკავშირების არ არსებობა; მზარდი ურბანიზაცია და სხვა.

ვერ იქნა და ქვეყანა ვერ ეღირსა დასაქმებისა და სამუშაო ადგილების შექმნის რეალურ, გრძელვადიან ეფექტურ პროგრამას, რომლის მიზანიც უმუშევრობის დონის გარკვეულ ნიშნულამდე შემცირება იქნება. მიგვაჩნია, რომ განხორციელებული უნდა იქნას შემდეგი ღონისძიებები: ლიბერალური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება; პროფესიული კავშირების როლის ამაღლება და მნიშვნელობა შრომის ბაზრის დარეგულირების საქმეში. მართალია განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის ცხოვრების დონე მაღალია და უმუშევრები მატერიალურად დაცული არიან სახელმწიფოს მიერ, პროფკავშირების როლი თანდათანობით კლებულობს, მაგრამ ჩვენს პირობებში ასეთი მოდელი მიუღებელია. საქართველოს სინამდვილეში არსებობს მთელი რიგი სერიოზული პრობლემები დასაქმებასთან დაკავშირებით, რომელსაც აუცილებლად ესაჭიროება ინტერესების დაცვა (შრომის პირობების გაუმჯობესება, უსაფრთხოების დაცვა, ხელფასების ზრდა, უმუშევართა დასაქმების და საერთოდ დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის წარმოქმნილ უთანხმოებათა დარეგულირება); ინვესტირება დაბალმწარმოებლურ დარგებში; ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი საქართველოს შრომის კანონმდებლობაში. განვითარებული ქვეყნების მსგავსად, საკანონმდებლო წესით უნდა დარეგულირდეს საპენსიო ასაკს მიახლოებულ დასაქმებულთა პენსიაზე ნებაყოფლობით გაშვება შეღავათიანი პირობებით; ინვესტირება განათლების სფეროში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში; სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადასვლის მიზნით კერძო სექტორისა და პროფესიული სასწავლებლების თანამშრომლობის წახალისება; ახალგაზრდებში პროფესიული განათლების იმიჯისა და მიმზიდველობის გაუმჯობესება/პოპულარიზაცია; კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის ჩამოყალიბება; საპენსიო კანონმდებლობის სრულყოფა; უმუშევრთა სადაზღვეო სისტემის მოწესრიგება და სრულყოფა. სახელმწიფომ საკუთარ თავზე უნდა აიღოს უმუშევართა სოციალური დაცვა.

ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ერთად უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა ქვეყანაში შემცირდეს უმუშევრობის დონე და გაიზარდოს დასაქმების ზრდის პერსპექტივები. მთავრობის ვალია გაატაროს საჭირო რეფორმები, რათა ხელი შეუწყოს ეკონომიკის და ამ შემთხვევაში დასაქმების პოლიტიკის წარმატებას. საზოგადოებამ კი თავის მხრივ, უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, ისინი უნდა იყვნენ პატიოსნები და მომთხოვნები, როგორც მუშაკის ასევე დამსაქმებლის როლში.

ლიტერატურა

1. არნანია-კეპულაძე თ. ერთხელ კიდევ სამუშაო ძალის ბაზრის არსის შესახებ, ჟ. ეკონომიკა. № 9-10, 2004,გვ. 31-38.
2. ბაკურაძე ა., ვირსალაძე ნ, სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში (ნაწილი 1), ქსუ, ქუთაისი 2008
3. ვირსალაძე ნ. შრომის ბაზრის სტატისტიკური კვლევის მნიშვნელოვანი ასპექტები. ბიზნეს-ინჟინერინგი, # 3-4, 2018. გვ.119.
4. ვირსალაძე ნ. კუხიანიძე-ახვლედიანი ნ."უმუშევრობის სტატისტიკა და დემოგრაფიული პრობ-ლემები", თბ.,ჟ. ეკონომიკა №12, 2005.
5. კბილაძე დ. აბესაძე ნ. მეტრეველი შ., სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა, „უნივერსალი“ 2006.
6. პაიჭაძე ნ. შრომის ეკონომიკა, თსუ.,თბ., 2000.
7. ხმალაძე მ. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, თბ., 2011.
8. *www.statistics.ge*

EMPLOYMENT AND NEW JOBS – DILEMMA OF GEORGIAN ECONOMICS

Virsaladze Naira
Associated professor of ATSU and Kutaisi University

Kipiani Mavlina
Assistant professor of Kutaisi University

Summary

Unemployment is an important socio-economic phenomenon and it is not easy to solve in Georgia. In order to overcome the difficult situation in the labour market, a new public policy is needed with its goals, objectives and ways in which it can be achieved. The main goal of the public policy in the labour market is to improve employment and reduce unemployment.

The following conclusions can be made from our analysis: It is noteworthy that there has been a sharp demographic change in recent years, which is reflected in the reduction of work forces. All this is caused by the outflow of people from the country and the unstable change in the birth rate. All of this is caused by the outflow of people from the country and the unstable birth rate change.

The negative balance of recent migration can be seen in both negative and positive contexts. On the one hand, brain drain deprives the country of its intellectual capacity in the short term, and on the other hand, if migrants return, the country will return more qualified staff and the effective use of their knowledge is crucial to the country's economy. It is noteworthy that the Georgian economy is undergoing a transformation into a service economy, which requires, on the one hand, to raise the level of qualification of employees in the sector for productivity and quality growth, and on the other hand, to increase jobs and employment prospects in the future; Important measures are being taken in the financial sector, such as financial intermediation, capital market and pension reform, and insurance. Demand for service workers is very high. This is a special opportunity for young people (hotel staff, call center operators, waiters, cooks, advertisers, security guards, couriers, IT specialists) along with rapid growth of tourism and other services. The model of employment policy should be based on the social, economic, demographic situation of the country and the peculiarities of its traditions. The program should be of a complex nature. Along with raising the level of employment, it must take into account the efficiency, conditions, structure, nature of employment and etc.

Keywords: *unemployment, employment, job cuts, education and employee qualifications, decent retirement lives.*

CALCULATION OF THE BALANCE OF ECONOMIC BENEFITS AND LOSSES FROM THE MIGRATION OF WORKERS ABROAD

Vojtovič Sergej
Doctor of Sociology, Professor

Krajňáková Emília
Candidate of Philosophy, Docent

Tupá Magdaléna
Ph.D., Assistant Professor
Department of Management and Human Resource Development,
Faculty of Social and Economic Relations,
Alexander Dubcek University of Trencin, Slovakia

The study addresses the issue of evaluating economic losses and gains caused by the emigration of labour force. Based on the statistical data on the scope of emigration flows, approaches and methods suitable for the evaluation of economic losses and gains caused by the emigration of the labour force are searched for. A model calculation of the costs covered by the state in the process of preparing its citizens for employment, i.e. education and healthcare is conducted. Indirect losses are also included in this calculation, such as the loss of potential GDP, taxes and social insurance payments. Finally, the found results concerning the overall balance of losses and gains for the state are evaluated and discussed along with the proposed model itself.

Keywords: *emigration, labour force, GDP, losses and gains*

Introduction

One of the consequences of Baltic and Central European countries joining the European Union was the liberalization of labour markets in the old member states. As a result, the emigration of labour force is becoming a frequently discussed economic and social issue. The unemployment rate in these new member countries is often rather high and emigration for work as such sometimes tends to be perceived by public and mass media as a positive phenomenon – it contributes to gaining new working experience, knowledge and language skills [1, 2]. This is of course based on the assumption that after a few years of working abroad and consequent return these workers will use their newly gained experience while working in their home country.

As mentioned, the labour force emigration is an often discussed phenomenon, be it by the mass media or in the expert community. However, these analyses mostly focus on the reasons that led to the act of emigration, the overall intensity of emigration flows and also the scope of emigration to the individual Western European regions and countries [3-6].

Gaining employment abroad is in this specific period seen as a phenomenon beneficial for both countries [7]. Also, migration as such is perceived as a proof that the implementation of the free movement of workers broadens the possibilities on the European labour market [8, 9]. Negative social and economic effects of migration are only discussed with connotations to the so called „Brain Drain", i.e. the loss of young and alented workers [2, 7, 10]. This effect tends to be the prevalent reason for the rise of concerns about the possible losses for the country when it comes to migration [11].

In spite of, or perhaps because of this, expert and scientific community, general public, politicians, state institutions and mass media currently often work with or present information on migration of labour force that is many times mere guesses, assumptions, presuppositions or myths. Currently, only an idea of the overall scope of migratory flows to Western European countries can be made of the fragmented mosaic made up of national statistics, surveys and evaluations conducted in both countries of destination and Slovakia. An exact evaluation of migratory flows of labour force abroad, their scope and intensity in time and space, impact on employment in both home and destination countries, skills and practices acquired abroad and subsequently utilized at home in terms of gains and losses for economy, society, and emigrants themselves is not available for the time being; thus not part of any measures and policies of the Slovak government, local government authorities; as well as scientific and expert publications and research.

Therefore, the main purpose of the present study is twofold. First, it is to identify the basic principles for the evaluation of economic losses and gains caused by labour force emigration. In the study, rather a model for the evaluation of the balance than the real balance of gains and losses caused by emigration is proposed. To do so, a set of economic criteria is elaborated and mathematical calculations are selected in order to calculate economic losses and gains caused by emigration for economy and society. Statistical data available in Eurostat,

WTO, Statistical Office of the SR, Ministry of Labour, Social Affairs and Family of the SR, World Bank, International Monetary Fund, and research data published in scientific and expert publications are used to perform the calculations. General scientific and research methods are employed in the study, such as methods of induction, deduction, abstraction and comparison, analysis and synthesis of selected facts, phenomena and processes. Statistical and mathematical methods are used to make the calculations.

1. Principles applied in the evaluation of losses and gains caused by labour force emigration

The main category and subject matter of the analysis is the labour force as one of the important factors of production. Under market economy, labour force undergoes regular reproduction processes, such as purchase, sale and employment in the manufacturing process. Labour force refers to the ability of an adult person to regularly; and in line with the requirements related to the manufacturing process, do mental or physical work. The ability to work encompasses certain inborn and learned human qualities that are being formed and developed in the process of maturing.

In the process of forming and developing work abilities, purposeful education plays an important role; and naturally there are financial costs associated with education. As the education of persons is funded by the Slovak government, it is expected that the educated labour force will contribute to the economic growth of the country in the future. When moving abroad for employment purposes after the completion of study (secondary or higher education), the expense item related to the education of labour force is the loss-making item for the state. In addition, loss-making items include expenses paid by the government on health care, social security benefits, and social insurance for those in full time education. In the case of emigration, the lost (not generated) portion of Gross Domestic Product (GDP), unpaid taxes to national and local budgets as well as no payroll transfers to social insurance fund are also loss-making items for economy and society.

The issue of losses and gains caused by emigration is worth mentioning only when migratory flows are extensive in time and intensity (number of emigrants). The calculation of chi-square coefficient (χ^2) shows that with 2,329 employed persons and 242,000 emigrants, the difference of 1% in the indicators is statistically significant.

It is also worth noting that registering and monitoring the number of labour migrants are a complex process. There exists no reliable and regular registration as to migration data in Western EU countries as well as in Slovakia. Therefore, reliable sources of information on emigration appear to be labour force surveys (VZPS) produced by the Statistical Office of the SR. According to the UPSVAR, there were 270,600 Slovak workers employed abroad in 2008 [12].

During the years of the global economic recession, the number of labour migrants dropped slightly; and has been on the rise recently. There were approximately 220,000 – 230,000 Slovak citizens working legally and irregularly abroad before the recession [11, p, 24-287]. A recent study conducted by the Slovak Academy of Sciences says that 242,000 Slovak citizens worked abroad in 2013 [13]. This, however, appears to be only a rough estimate as the experts say there are more than 60,000 Slovak care workers employed in Austria [12]. That is why, the number of 242,000 Slovak citizens working abroad is a more accurate figure on emigration from Slovakia. The figure of 242,000 Slovak citizens working abroad represents 10 per cent to the overall number of persons employed in the economy of Slovakia and 8.9 per cent to the overall working age population.

The data on level of education of migrant workers are important for the calculation of direct costs spent on the workforce reproduction. Following the data produced by the Statistical Office of the SR regarding the educational attainment of the Slovak migrant workers, there are 61 per cent of emigrants with completed secondary education, 18 per cent with higher education and only 6 per cent with elementary education [12].

The calculation of losses and gains caused by emigration will be based on a situation model assuming that almost all migrant workers out of 242,000 were educated in Slovakia and found employment and worked abroad after completion of their studies. Besides indirect costs on the labour force reproduction, expenses from the government budget on elementary, secondary and higher education are the biggest items. Similarly, the biggest item on the side of economic losses caused by emigration is the lost (not generated) Gross Domestic Product. These are the two main items included in the balance of losses and gains caused by the emigration of labour force. The remaining direct and indirect expenses on the workforce reproduction, such as expenses on health care, expenses paid to Kindergartens, or on post-A-level studies are only complementary expenses to the overall costs. It is true that economic benefits, such as remittances, domestic consumption, qualifications gained and amount of knowledge accumulated abroad in case of moving back and finding employment home cannot compensate the home country for the losses in GDP caused by emigration. In the following section, a model balance of economic losses and gains caused by emigration will be designed.

2. Calculation model of economic losses and gains caused by the emigration of labour force

In the calculations of losses related to education, statistical data on the number of emigrants from Slovakia and their educational level are used. Out of total 242,000 emigrants from Slovakia, 61 per cent are with completed secondary education, 18 per cent with higher education, and only 6 per cent with elementary education. In 2009, the average expenditure per pupil was USD 4,433 in pre-school facilities, USD 5,099 in the first grade of elementary schools, USD 4,658 in the second grade of elementary schools, USD 4,658 in secondary schools and USD 6,758 in institutions of higher education (OECD, 2009). In the following years, expenditure on elementary and secondary education was slightly increasing, whereas the expenditure on higher education was decreasing. Thus, the average expenditure on education in 2013 can considered to be similar to that of 2009.

When taking into account the years of education, i.e. one year of preschool education, nine years of elementary education, four years of secondary education and five years of higher education, then the total expenditure per elementary school student amounts to USD 48,119, per secondary school student USD 66,758 and per student in higher education USD 10,0548. It follows that these costs in relation to the level of education (number of years of education) of 242,000 emigrants from Slovakia make the total expenditure on education amount to USD 17,568,200. Thus, when all emigrants completed their studies and training in Slovakia, and worked abroad during their entire working age, the amount of USD 17.5 million spent on education and training would represent the direct loss for society and economy. The same would apply to costs on health care. The expenditure spent on health care for 242,000 persons during their education and training would amount to approximately €5 billion according to expenditure made in 2013 [14]. It follows that the total costs expended on education in the amount of €13.4 billion (USD 17.5 billion) and costs spent on health care would be the direct economic loss of the state amounting to €18.4 billion.

No confirmed data, however, exist as for the actual duration of stay abroad for work-related reasons. According to a survey conducted by the Institute of Sociology of the Slovak Academy of Sciences, 36 per cent of respondents in the 18-24 year-old age group and 7 per cent of respondents in the 55-59 year-old age group expressed their intention to stay abroad permanently, yet their answers cannot be taken as definite decisions [15]. In order to do the analysis, it would be sufficient to calculate how many years a person should approximately work in Slovakia to generate the amount of gross domestic product comparable to his/her costs of education paid by the government.

In 2013, the Slovak gross domestic product at constant prices was €71.13 billion, and 2,329,000 persons worked in the Slovak industry (Tab.1). GDP per person employed was €30,541. It follows that an emigrant with elementary education would generate GDP comparable to his/her education costs (USD 48,000) in one year and a half when employed in Slovakia. Similarly, it would take more than two years of employment in Slovakia for an emigrant with secondary education to generate GDP comparable to his/her education costs (USD 66,000), and to generate GDP comparable to additional costs related to his/her training would take approximately 3 years. Finally, an emigrant with higher education should be employed in Slovakia for more than three years.

Tab. 1 GDP, the number of unemployed and the number of emigrants

Years	2000	2004	2008	2012	2014	2016	2017	2018
GDP EUR billion	31,1	37,1	64,8	72,7	76,1	81,2	81,2	88,6
Jobless (in thousands)	536,8	474,2	251,8	284,3	402,1	293,4	247,2	187,8
Emmigrants (in thousands)	49,3	103 6	270,6	309,7	312,7	297,5	301,3	300,0

Source: Euroekonóm [16]; VZPS, Statistical Office of the SR. [12].

If 242,000 persons working abroad in 2013 were employed in Slovakia, they would generate GDP amounting to €7.4 billion in one year which would represent 10.4 per cent of Slovak GDP in 2013. The direct expenditure on their training amounted to €13.4 billion. Similarly as with per-emigrant calculations, all those who received education and training in Slovakia and left Slovakia for employment-related reasons in 2013, should find and maintain employment in Slovakia for 2 years on average in order to generate GDP comparable to their education and training costs (7.4 x 2 = € 14.8 billion, education costs €13.4 billion).

Losses caused by emigration from Slovakia could also include unpaid income tax and excise tax. Based on the average wage amounting to €824 in 2013, 242,000 emigrants should have paid the income tax of €304 million on average. According to the survey by Sberbank Slovensko, the average spending per capita on food, clothing, utilities, etc. amounted to €1,921 in 2013 [17]. Out of this amount, VAT payments to the national

budget amounted to €318. Value added tax paid by 242,000 Slovak citizens working in their home country would make additional €77.1 million.

Unpaid social and health insurance contributions can also be regarded as losses caused by the emigration of labour force. Health insurance for 242,000 workers would approximately amount to €95.7 million and the amount paid by their employers in Slovakia would amount to €239.3 million [14]. Similarly, the Social Insurance Company would not receive social security payments from 242,000 prospective workers totalling to €224.9 million and €603 million from their employers in 2013 [18].

When the direct government expenditure in the amount of €18.4 billion on education and health care for 242,000 emigrants during the years in education and training were added to potential losses caused by unpaid taxes, no payroll transfers to health care and social insurance systems in the amount of €21.7 billion, the total losses would total to €40.1 billion. In order to generate GDP comparable to these direct and indirect costs, each Slovak citizen working abroad would have to work in Slovakia at least for 5 years and half after the completion of his/her studies and training.

Economic benefits from labour migration would be, on condition that each person works at least 5 years and half in Slovakia, the skills and practices workers acquire abroad and subsequently use after their return to their home country. It is, however, not viable to calculate exactly the economic benefits caused by emigration mainly due to incomplete or missing statistical data.

Short-term economic benefits of emigration are remittances – transfers of goods and funds to individuals in Slovakia by migrant labourers working at least for one year abroad. According to the World Bank estimates, the overall volume of funds transferred by Slovak foreign workers was almost USD 2 billion (€1.5 billion) in 2013 [19]. These remittances, however, accounted for only 2.1 per cent of the Slovak GDP and 20.3 per cent of the amount that could have been generated by them in a one year employment in Slovakia in 2013.

3. Discussion and results

As confirmed by the calculations, the resulting balance from workforce emigration is loss-making for economy and society. Currently, it is not known (except for estimates) how many years the labour migrants will live and work abroad. Any period of time of employment before moving abroad or after moving back home is beneficial for the economy of the home country. Equally, every additional year working abroad would be detrimental for both the economy and society if there were job opportunities in Slovakia.

Even balanced economic losses and gains caused by emigration, i.e. when direct and indirect costs spent on education and training equal to years worked and GDP generated in Slovakia cannot be regarded as a positive phenomenon. It is mainly due to the fact that the exclusion of some portion (volume) of the important factor of production, i.e. the labour force from the manufacturing process, not only its economic value in a purely monetary expression is being lost. Much more is being lost – primarily the development potential of economy and society whose essence lies in human labour.

This is mainly to be attributed to the characteristics of labour force. While other factors of production, such as for instance raw materials or energy lose their amount of value under some circumstances, machinery and tools lose their amount of value over time, the value of labour force in the manufacturing process, however, is increasing over time.

Moreover, emigration of labour force reduces the welfare development potential of the society. Labour migrants do not contribute their fair share to the government-funded education and health systems, thus widening the gap between those who pay the pension contributions into the national pension system and pension beneficiaries. It should be born in mind that in principle highly skilled and well-educated workforce with attendant language skills ready to live in a different cultural and social environment are leaving Slovakia for work-related reasons. Losses caused by „brain drain", however are irreversible and lead to a reduced genetic fund of the nation. Moreover, emigration of labour has a detrimental impact on family relations, friends, children's education, cohesion of social associations and groups. In addition, detrimental effects of emigration are apparent in demographic processes, birth rate, population ageing, etc.

Emigration in the short run and under certain economic and social circumstances, can, however, have advantages for economy and society. This is especially true for the social and economic conditions of Slovakia as well as other Central European countries. Despite the fact that 242,000 Slovak citizens (9 per cent of the working age population) worked abroad, 14 per cent of Slovaks were registered jobless with employment offices in 2013. It follows that the Slovak economic system cannot fully utilize this factor of production. Obviously, some labour force is idle and with no development potential for economy and society.

Under the above mentioned conditions, emigration of labour force brings certain economic benefits for both the economy and society. It is more advantageous for the economy and migrant labourers themselves

from economic, social and psychological point of view to work abroad than to sit idly at home. In the case of employment abroad, sustenance problem of workers is removed and the state budget is not burdened by paying unemployment benefits. Additionally, emigrants often increase their qualifications, accumulate a certain amount of knowledge, new skills and practices. In addition, they do not experience the negative psychological, social and economic consequences of unemployment.

Summary

It was shown that accurate statistical data on the extent and intensity of migratory flows, motives and intentions for migration, social and demographic characteristics of migrants are not available for constructing properly the model approach for the evaluation and calculation of economic losses and gains caused by emigration of labour force. Moreover, evaluation of losses and gains in purely economic terms is insufficient as to not providing a comprehensive and wider picture of the phenomenon within the system of economic and social processes, and simultaneously not reflecting long-range goals of the economic and social development of the society.

Model evaluation of economic losses and gains caused by the emigration of labour force indicates losses for economy and society. Under certain conditions, however, economic losses can be minimized or replenished. In addition to losses in economic terms, the loss of an adequate part of the development potential of the economy and society is considered to have much more damaging effects. Therefore, emigration of labour force is an undesirable phenomenon in economy and society from both economic and social points of view.

Nonetheless, the evaluation of merely economic losses and gains does not provide an inclusive view on actual losses and gains for economy and society. Additionally, a purely economic approach distorts the actual understanding of the importance of emigration in terms of social progress and economic development of the society. That is why an exhaustive evaluation of losses and gains for economy and society caused by emigration cannot be performed without taking into account social goals of the society as well as other related factors, such as psychological, cultural and demographic ones as part of the evaluation.

Acknowledgement

This publication was created within the frame of projects funded by VEGA, project title „Balance of economic gains and losses from labour migration" (č. 1/0679/17).

References

1. Adepoju, A., Van Noorloos, F., Zoomers, A. Europe's Migration Agreements with Migrant-Sending Countries in the Global South: A Critical Review. Journal of International Migration, 2010. (48) 3, p. 42-75.
15. Kazlauskienė, A., Rinkevičius L. The Role of Social Capital in the Highly-Skilled Migration from Lithuania. Engineering Economics, 4, 2006, p. 69-75.
16. Zwysen, W. Different Patterns of Labor Market Integration by Migration Motivation in Europe: The Role of Host Country Human Capital. International Migration Review, 2018, vol. 53, 1: pp. 59-89.
17. Rosenow, K. The Europeanisation of Integration Policies. Journal of International Migration. (47) 1, 2009, p. 133-159.
18. Schaeffer, P. Refugees: On the Economics of Political Migration. Journal of International Migration. (48) 1, 2010, p. 1-22.
19. Kordoš, M. Role of innovations in the EU industrial policy and competitiveness enhancement. Proceedings of the 2nd international conference on European integration, 2014. Ostrava: VŠB, p. 335-342.
20. Daugeliene, R. The position of knowledge workers in knowledge-based economy: migration aspect. European Integration Studies, 1, 2007, p. 103-112.
21. Dagiliene, L., Leitoniene, S., Grenčíková, A. Increasing business transparency by corporate social reporting: development and problems in Lithuania. Engineering economics. (25) 1, 2014, p. 54-61.
22. Havierniková, K., Srovnalíková, P. The immunity of family business in the conditions of economic crisis. Problems of social and economic development of business. Vol. I. Montreal: Breeze,2014, p. 179-183.
23. Carmona, C.; Fluixá, F. M.; Hernaiz-Agreda, N.; Saurin, A. A. N. Educated for migration? Blind spots around labor market conditions, competence building, and international mobility. European Educational Research Journal, 2018, Vol. 17, 6, pp. 809-824.

24. Divinský, B. Labor market – migration nexus in Slovakia: time to act in a comprehensive way. Bratislava: IOM, 2007. 145 s.
25. Štatistický Úrad SK. VZPS. Avialable at: https://www.google.com/search?q=VZPS%2C+%C5%A0%C3%9A+SR&oq=VZPS%2C+%C5%A0%C3%9A+SR&aqs=chrome..69i57.3417j0j8&sourceid=chrome&ie=UTF-8 [Accessed 2014.12.18].
26. Spravodajstvo. Available at: http://voyo.markiza.sk/produkt/ spravodajst-vo/15473-prezidentske-volby-16-03-2014 [Accessed 2014.03.16].
27. Všeobecná zdravotná poisťovňa. Available at: http://www.vszp.sk/ platitelia/platenie-poistneho/preddavky-poistne/preddavky-poistne-predchadzajuce-obdobia.html [Accessed 2015.06.18].
28. Slovensko na ceste k rodovej rovnosti.. SÚ SAV. Available at: http://www.sociologia.sav.sk/cms/uploaded/1147_attach_equal_rovnost_sk.pdf [Accessed 2014.10.27].
29. Euroekonóm. Avialable at: https://www.euroekonom.sk/ekonomika/ekonomika-sr/
30. Sberbank Slovenska. Available at: http://www.sberbank.sk/servlet/ sberbank?MT=/Apps/Sberbank/WEB/main.nsf/ [Accessed 2015.04.17].
31. Sociálna poisťovňa.. Available at: http://www.socpoist.sk/tabulka-platenia-poistneho-od-1-januara-2013-wta/56200s [Accessed 2015.06.18].
32. Worldbank. Available at: http://econ.worldbank.org/wbsite/ external/extdec/extdecprospects/ [Accessed 2015.06.18].

საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი

ზურაშვილი ნინო
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ნიუ უნივერსითი – მოწვეული ლექტორი

სამშენებლო ინდუსტრია ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დარგია მთელ მსოფლიოში. მას დიდი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკაზე. განვითარებად ქვეყნებში სამშენებლო ბიზნესის განვითარება მხოლოდ მომიჯნავე ინდუსტრიების განვითარებას კი არ უწყობს ხელს, არამედ დადებითად მოქმედებს ქვეყნის სოფლის მეურნეობაზე, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, სამუშაო ადგილების რაოდენობაზე და ა.შ. საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია საცხოვრებელი უძრავი ქონება, რომელზე მოთხოვნაც სულ უფრო მზარდია. საცხოვრებელ ბინებს ყიდულობენ არა მხოლოდ რეზიდენტი, არამედ არარეზიდენტებიც. საცხოვრებელი უძრავი ქონება განსაკუთრებული მოთხოვნით ხასიათდება დედაქალაქ თბილისში. მიუხედავად მზარდი ტენდენციებისა, შეინიშნება მოთხოვნისა და მიწოდების შემცირება, რაც განპირობებულია ახალი რეგულაციებითა და ინფლაციის დონის ზრდით.

საკვანძო სიტყვები: *მშენებლობა, საცხოვრებელი უძრავი ქონება, თბილისი, ახალაშენებული ბინები.*

საქართველოში 2013 წლიდან ძალზე გააქტიურებულია სამშენებლო ინდუსტრია [1, გვ.7]. სამშენებლო ბიზნესი უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. სამშენებლო ინდუსტრიის საშუალებით იქმნება მრავალი სამუშაო ადგილი, ქვეყნის ბიუჯეტში შედის გადასახადები, ამასთანავე სამშენებლო ინდუსტრია წარმოადგენს ბიზნესის დარგს, რომელიც იზიდავს უცხოურ ინვესტიციებს.

საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი ასპექტია სამშენებლო ინდუსტრია, ვინაიდან ის მთლიანი გამოშვების 13%-ს შეადგენს [3].

დიაგრამა 1

მთლიანი გამოშვების სტრუქტურა 2018, %



წყარო: *www.geostat.ge*

სამშენებლო პროდუქტი საქართველოში ძალზე მოთხოვნადია, ამაზე მეტყველებს იმ კომპანიათა რაოდენობა, რომლებიც სამშენებლო სექტორში საქმიანობენ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 17740 სუბიექტი არის დარეგისტრირებული სამშენებლო ბიზნესრეგისტრში. მათგან აქტიურ საქმიანობას ახორციელებს 6 892 კომპანია.

2019 წლის პირველ ნახევარში გაყიდულ ბინათა რაოდენობა არის 16 296 ერთეული, რომელიც მოიცავს 1 119 000 კვადრატულ მეტრს. აღსანიშნავია, რომ ასეთი მაჩვენებელი და მოთხოვნა სამშენებლო პროდუქტზე უტოლდება 2018 წლის პირველ ნახევარში არსებულ მოთხოვნას და 28%-ით აღემატება 2017 წლის პირველი ნახევარის მონაცემებს. გაყიდული ბინების რაოდენობის მსგავსების მიუხედავად, გაზრდილია 2019 წლის პირველ ნახევარში გაყიდულ ბინათა მოცულობა [2 გვ. 3].

დიაგრამა 2



წყარო: თიბისი კაპიტალის კვლევა

2019 წელს შენარჩუნებულია წინა წლების ტენდენცია, რომელიც გულისხმობდა ახალაშენებულ ბინებზე მეტ მოთხოვნას ძველ აშენებულებთან შედარებით. 2017 წლის მეორე ნახევრიდან შეინიშნება სულ უფრო მზარდი მოთხოვნა ახალ აშენებულ ბინებზე. 2018 წლის პირველ ნახევარში გაყიდული ბინების 63% წარმოადგენდა ახალაშენებულებს, 2018 წლის მეორე ნახევარში კი გაყიდვების 65% მოდიოდა ახალაშენებულ ბინებზე. 2019 წლის პირველ ნახევარში გაყიდული ბინების 64% წარმოადგენს ახალაშენებულ კორპუსებს [6].

აღსანიშნავია, რომ ბინებზე მოთხოვნა აქტიურდება წლის პირველ და მეოთხე კვარტლებში. 2019 წელიც იმეორებს წინა წლების ტენდენციებს და მისი პირველი კვარტალი იყო საკმაოდ აქტიური ახალაშენებული ბინების მოთხოვნის თვალსაზრისით [5].

დიაგრამა 3



წყარო: NAPR.gov.ge

რაოდენობრივად ყველაზე მეტი ბინა გაიყიდა საბურთალოზე, გლდანსა და დიდ დიღომში. აღნიშნული ეხება როგორც ახალაშენებულ, ასევე მეორად ბინებსაც. ახალაშენებული ბინების გაყიდვების სიმცირით გამოირჩევა ჩუღურეთის, მთაწმინდისა და კრწანისის რაიონები. აღ-ნიშნული განპირობებულია იმ ფაქტორით რომ ამ უბნებში თითქმის არ ხდება ახალი კორპუსების აშენება, უბნების მაღალი სიმჭიდროვიდან გამომდინარე.

დიაგრამა 4



წყარო: napr.gov.ge

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მონაცემებით, 2018 წელთან შედარებით, გაზრდილია როგორც ახალი, ასევე ძველი ბინების გაყიდვების რაოდენობა საბურთალოზე, დიდ დიღომში, გლდანში, სამგორში, ისანსა და ნაძალადევში. შეინიშნება გაყიდვების კლდებადობა ვაკეში, დიდუბეში, კრწანისში, ჩუღურეთსა და მთაწმინდაზე.

გაყიდვების მიხედვით ლიდერობენ საცხოვრებლები რომელთა ფართობი ნაკლებია 50 კვ.მ-ზე. მას მოჰყვება ბინები 50-70 კვადრატულობით. გაყიდული საცხოვრებელი უძრავი ქონების მხოლოდ 1%-ს წარმოადგენს 150 კვ.მ-ზე მეტი ფართის მქონე ბინები.

აღსანიშნავია, რომ 150 კვ.მ-ზე მეტი ფართის მქონე საცხოვრებლების უმეტესობა გაყიდულია ვაკისა და საბურთალოს რაიონებში, ხოლო 50 კვ.მ-მდე ბინები კი სამგროში, გლდანსა და დიდ დიღომში.

დიაგრამა 5



წყარო: napr.gov.ge თიბისი კაპიტალი

ერთი კვადრატული მეტრის ფასი ყველაზე მაღალია ვაკესა, მთაწმინდასა და საბურთალოზე. მათ მოჰყვება კრწანისი, ჩუღურეთი და დიდუბე. ყველაზე ხელმისაწვდომი რაიონების ფასების თვალსაზრისით, არის გლდანი, დიდი დიღომი და სამგორი. 2019 წლის პირველ ნახევარში არ აღინიშნება ფასების განსაკუთრებული ზრდა.

ჩუღურეთი, ისანი და დიდუბე რაიონებია, სადაც ძველი ბინების ფასი აღემატება ახალაშენებული ბინების ფასს. თბილისში ბინების უმეტესობას ყიდულობენ საქართველოს მოქალაქეები. აღსანიშნავია ამ ტრენდის კლება: 2015 წელს გაყიდული საცხოვრებელი ბინების 97% იყიდეს საქართველოს მოქალაქეებმა, 2018 წელს კი- ბინების 87%. მთლიანი პერიოდის მიხედვით თბილისში გაყიდული საცხოვრებლების 93% იყიდეს საქართველოს მოქალაქეებმა. დარჩენილი 7% კი მოდის უცხოელებზე.

არარეზიდენტი მყიდველებიდან ყველაზე მეტი ბინა შეიძინეს ირანელებმა, მას მოჰყვება რუსეთი და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეები. შეინიშნება დაინტერესება ისრაელის მოქალაქეების მხრიდან. ბოლო პერიოდში არსებული პოლიტიკური კრიზისის გამო, რუსეთის მოქალაქეების მოთხოვნა შემცირდა ბინებზე თბილისში, რამაც 80 მლნ აშშ დოლარის ზარალი მიაყენა სამშენებლო ბიზნესს.

დიაგრამა 6



წყარო: www.napr.gov.ge

2019 წლის პირველ ნახევარში გაიცა 91 ახალი სამშენებლო ნებართვა, რომელიც მოიცას 417000 კვადრატულ მეტრს. აღნიშნული 56%-ით მეტია წინა წლის ამავე პერიოდში გაცემულ ნებართვებთან შედარებით, თუმცა 7%-ით ნაკლებია 2017 წლის ამავე პერიოდთან მიმართებით [4].

დიაგრამა 7



წყარო: თბილისის მერია, თიბისი კაპიტალი

2019 წლის პირველ ნახევარში გაცემული სამშენებლო ნებართვების რაოდენობის მიხედვით კვლავაც ლიდერობას ინარჩუნებს დიდი დიღომი და საბურთალო. ასეთივე ტენდენცია იყო წინა წლებში, სადაც სამშენებლო ნებართვების უმეტესობის გაცემა ხდებოდა დიდ დიღომსა და საბურთალოზე. მათ მოჰყვება სამგორი, კრწანისი, ნაძალადევი და ვაკე. სამშენებლო ნებართვების მცირე რაოდენობით გამოირჩევა დიდუბე და ჩუღურეთი.

დიაგრამა 8



წყარო: თბილისის მერია, თიბისი კაპიტალი

სამშენებლო სექტორის განვითარების ტენდენცია უფრო და უფრო ნელდება, რაც განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ თითქმის ამოიწურა ის თავისუფალი ტერიტორიები, სადაც შესაძლოა თავისუფლად განხორციელდეს საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. აღნიშნულს ხელი შეუწყო 2019 წლის 3 მარტს, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებამ. გენ. გეგმაში შეტანილია რეკრეაციული ზონები, რომლებზე სამშენებლო ნებართვა არ გაიცემა. სამშენებლო ბიზნესის განვითარება შესაძლოა მოხდეს თბილისის შემოგარენის გაფართოვების ხარჯზე, რაც, ვფიქრობთ, ბევრად ოპტიმალური იქნება, როგორც სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისთვის, ასევე ქალაქის ზრდისთვის.

ლიტერატურა

1. ზურაშვილი ნ. „დეველოპერული კომპანიების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების გზები საქართველოში“, დისერტაცია, თბილისი, 2019 232
2. TBC Capital „Residential real estate sector analysis”, Tbilisi, 2019 12
3. *www.geostat.ge*
4. *www.tbilisi.gov.ge*
5. *www.napr.gov.ge*
6. *www.tbccapital.ge*

RESIDENTIAL REAL ESTATE MARKET ANALYSIS

Zurashvili Nino
Doctor of Business Administration
New University – Invited Lecturer

Summary

The construction industry is one of the most active businesses in the world. It has a big impact on the country's economy. Building businesses in developing countries does not only promote the development of neighboring industries, but also has a positive impact on the country's agriculture, transport infrastructure, jobs, etc. In Georgia, residential real estate is very active, and demand is on the rise. Not only residents but also non-residents buy residential apartments. Residential real estate is especially demanding in the capital of Georgia, Tbilisi. Despite growing trends, demand and supply declines, driven by new regulations and rising inflation.

Keywords: *construction, residential real estate, Tbilisi, newly built flats*.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის გამოწვევების გადაწყვეტის გზები

ვერულავა თენგიზ
მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი

ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მოსახლეობის დაცვა ჯანდაცვის დანახარჯებით გამოწვეული ფინანსური რისკებისაგან, ანუ ქვეყანაში უნდა იყოს ისეთი ჯანდაცვის სისტემა, რომ საჭირო სამედიცინო მომსახურების მოსალოდნელმა ხარჯებმა არ განაპირობოს ინდივიდების ან მათი ოჯახების გაღატაკება. ეს მიზანი შეადგენდა საქართველოში 2013 *წლიდან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შემოღების საფუძველს. რეფორმის შედეგად გაიზარდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობის მიმართ, რამაც დადებითად იმოქმედა სამედიცინო მომსახურების ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე. თუმცა, საქართველოში ჯანდაცვაზე მნიშვნელოვანი ხარჯების* (65-70%) *გაღება თავად მოსახლეობას უწევს. ამ მხრივ საჭიროა ჯანდაცვაზე სახელმწიფო ინვესტიციების გაზრდა. სახელმწიფო დაფინანსების ზრდა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ ეფექტური ჯანდაცვის სისტემის შემთხვევაში, რომლის ერთ-ერთი მექანიზმია ქვეყანაში გამართული პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარება. საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემა ვერ ასრულებს ე.წ. „მეკარიბჭის“ როლს; ოჯახის ექიმის ინსტიტუტი და საერთოდ პირველადი ჯანდაცვა ჩვენს ქვეყანაში ვერ განვითარდა იმ სტანდარტებით, რაც უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია არსებობს ბევრ ქვეყნებში. მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ჯანდაცვის დასაფინანსებლად საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამასთან ერთად კერძო სამედიცინო დაზღვევის შევსებითი და ჩანაცვლებითი ფორმების გამოყენება და ამით სადაზღვევო სისტემაში კონკურენტული გარემოს ხელშეწყობა. ამოსავალი წერტილი უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო პროგრამების ეფექტური თანაარსებობა, რაც ხელს შეუწყობს კერძო სადაზღვევო ბაზარზე სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციას. საქართველოში უმთავრესად გავრცელებულია სამედიცინო ორგანიზაციების კერძო მესაკუთრეობა, საავადმყოფოთა* 88.6% *კერძო, მომგებიანი ორგანიზაციებია, ხოლო* 8% – *სახელმწიფოს საკუთრებაში. ამ მხრივ, საქართველოში საჭიროა მესაკუთრეობის სხვადასხვა ფორმის, კერძოდ, არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების და კერძო-სახელმწიფო პარტნიორობის მოდელის განვითარების ხელშეწყობა. ამით, გაიზრდება სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ფორმებს შორის ჯანსაღი კონკურენცია. ჯანდაცვის ხარჯების შეკავებაზე გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების ანაზღაურების შედეგზე დაფუძნებული დაფინანსების მეთოდების დანერგვა: გლობალური ბიუჯეტი, დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფები (DRG). ამ დროს მცირდება სამედიცინო დაწესებულებისა და პერსონალის უარყოფითი სტიმული დაუსაბუთებელი ჰოსპიტალიზაციისა და ძვირადღირებული პროცედურების დანიშვნის ხარჯზე გაზარდოს თავისი შემოსავლები. ხარისხიანი და ხარჯეფექტური სერვისის მიღების ერთ-ერთი მექანიზმია ქვეყანაში აქტიური შესყიდვისა და სამედიცინო დაწესებულებების სელექციური, ანუ შერჩევითი კონტრაქტირების მექანიზმების დანერგვა. ის გულისხმობს, რომ სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამის განსახორციელებლად კონტრაქტი იდება იმ სამედიცინო დაწესებულებებთან, რომლებიც ფუნქციონირებენ განსაზღვრული სტანდარტებით. ბოლო ორი ათწლეულის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა ხარჯთ-ეფექტიან ამბულატორიულ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ამ მხრივ,* 2017 *წლის ივლისიდან ამოქმედდა სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთათვის სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა. სასურველია პროგრამის კიდევ უფრო მეტი გაფართოება ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებზე. ადამიანური რესურსების კუთხით უმთავრესი პრობლემაა სამედიცინო პერსონალის არათანაბარი განაწილება, კერძოდ, ექიმების ჭარბი რაოდენობა, არათანაბარი გეოგრაფიული განაწილება. საქართველოში აღინიშნება ექიმებისა და ექთნების არაბალანსირებული თანაფარდობა (*1 *ექიმზე მოდის* 0,7 *ექთანი, მაშინ როდესაც* 1:3*-თან მაინც უნდა იყოს). ფაქტიურად უგულებელყოფილია ექთნების როლი, ფუნქციები და საჭიროებები. მედდების რაოდენობის დეფიციტი უარყოფით გავლენას ახდენს ჯანდაცვის სისტემაზე და პაციენტზე გაწეული სამედიცინო მომსახურების შედეგებზე. პრობლემატური საკითხია ჯანდაცვის სფეროს მუშაკთა დაბალი ანაზღაურება და მათი უფლებების დაუცველობა, განსაკუთრებით კი რეგიონებში. არასრულყოფილია შრომითი და სოციალური დაცვის მექანიზმები. აქტუალურია პერსონალის არასათანადო კვალიფიკაცია.*

საკვანძო სიტყვები: *ჯანდაცვის რეფორმა, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, პირველადი ჯანდაცვა.*

ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მოსახლეობის დაცვა ჯანდაცვის დანახარჯებით გამოწვეული ფინანსური რისკებისაგან, ანუ ქვეყანაში უნდა იყოს ისეთი ჯანდაცვის სისტემა, რომ საჭირო სამედიცინო მომსახურების მოსალოდნელმა ხარჯებმა არ განაპირობონ ინდივიდების ან მათი ოჯახების გაღატაკება. ეს მიზანი შეადგენდა საქართველოში 2013 წლიდან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შემოღების საფუძველს[1]. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დანერგვის შემდეგ რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველოს ჯანდაცვის სისტემა.

დღეისათვის საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია საბაზისო სამედიცინო მომსახურებით საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვისა თუ სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო პროგრამებით[2]. რეფორმის შედეგად გაიზარდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობის მიმართ, რამაც დადებითად იმოქმედა სამედიცინო მომსახურების ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე. ამის მტკიცებულებაა ჯანდაცვაზე მოსახლეობის კერძო დანახარჯების შემცირება 77.9%-დან (2011 წ.) 62%-მდე (2015 წ.)[3], რითაც თითქმის მიუახლოვდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით გათვალისწინებულ ზღვარს, რომლის მიხედვით ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში კერძო დანახარჯების წილი არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს[4]. ქვეყნებში, სადაც აღნიშნული რეკომენდაცია არ სრულდება არ არის განვითარებული წინასწარი გადახდის სისტემები (დაზღვევა, სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამები), შესაბამისად, მოსახლეობა არ არის გარანტირებული აუცილებელი სამედიცინო მომსახურებით, არ არის დაცული კატასტროფული დანახარჯებისაგან და იძულებულია უარი თქვას საჭირო სერვისებზე.

სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდაზე ასევე მიუთითებს საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის კეთილდღეობის 2017 წლის კვლევა, რომლის მიხედვით, 2015-2017 წლებში იმ შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომლებსაც ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა არ ჰქონდათ, 43.1%-დან 22.3%-მდე შემცირდა[5].

სერვისების დაფინანსების გაზრდის მიუხედავად, სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვაზე კვლავ დაბალია საქართველოში და ამით ჯერ ისევ ჩამორჩება არამარტო განვითარებულ, არამედ ბევრი დაბალშემოსავლიანი ქვეყნის მაჩვენებლებსაც. შესაბამისად, დიდია განსხვავება ჯანდაცვაზე არსებულ და საჭირო ბიუჯეტს შორის. აქვე აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში სახელმწიფო ხარჯების 40%-იანი ზღვარი უკვე გადალახეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა: სომხეთი (41.7%), ყაზახეთი (53.1%), უკრაინა (54.5%), ყირგიზეთი (59%). ხოლო ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: ჩინეთი, ლიტვა, თურქეთი, გერმანია, იაპონია, აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს შესაბამისად 55.8%, 66.6%, 77.4%, 76.8%, 82.1%-ს. ყოველივე აღნიშნულის გამო, საქართველოში ჯანდაცვაზე მნიშვნელოვანი ხარჯების (დაახლოებით 65-70%) გაღება თავად მოსახლეობას უწევს. ამ მხრივ საჭიროა ჯანდაცვაზე სახელმწიფო ინვესტიციების გაზრდა.

ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ზრდა არ არის ჯანდაცვის დაფინანსების პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა. სახელმწიფო დაფინანსების ზრდა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ ჯანდაცვის სისტემის მიერ ამოცანების უფრო ეფექტიანად მიღწევის, არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენების შემთხვევაში. რესურსების ხარჯთეფექტიანად გამოყენების მრავალი მექანიზმი არსებობს, რომელთაგან უმთავრესია ქვეყანაში ***გამართული პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარება და ამ სერვისებზე მოთხოვნილების გაზრდა,*** რადგან ასეთ სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრევენციული სერვისების მიწოდებას. პრევენციული ღონისძიებები უფრო ნაკლებხარჯიანია, ვიდრე დაავადებათა მკურნალობა, რადგან გაცილებით იაფია დაავადებათა თავიდან არიდება ან მისი განვითარების ადრეულ ეტაპზე აღმოფხვრა, ვიდრე უკვე ჩამოყალიბებული დაავადებების მკურნალობა. ამ მხრივ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარებას, რადგან პრევენციული ღონისძიებები ტარდება პირველადი ჯანდაცვის დონეზე.

საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემის ნაკლებად განვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე 3.5-ს შეადგენს (ევროპის ქვეყნებში 7.5-მდე აღწევს). კვლევის მიხედვით, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები ჯანდაცვის სისტემასთან პირველი კონტაქტის ადგილის სახით აირჩია იმ პირთა ნახევარმა (50.9%), რომელმაც საკუთარი სამედიცინო პრობლემის გამო მიმართა სამედიცინო დაწესებულებას[6]. აღნიშნული გვიჩვენებს, რომ პირველადი ჯანდაცვის სისტემა ვერ ასრულებს ე.წ. „მეკარიბჭის“ როლს; ოჯახის ექიმის ინსტიტუტი და საერთოდ პირველადი ჯანდაცვა ჩვენს ქვეყანაში ვერ განვითარდა იმ სტანდარტებით, რაც უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია არსებობს ბევრ ქვეყნებში[7].

პაციენტები პირველადი ჯანდაცვის რგოლის გვერდის ავლით, ექიმის დანიშნულების გარეშე ყიდულობენ მედიკამენტებს და ეწევიან თვითმკურნალობას. შედეგად, კატასტროფულად მაღალია ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში მედიკამენტების ხარჯების წილი (დაახლოებით 40%, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებში იგი 10-15%-ს აღწევს)[8].

მედიკამენტებზე არსებული მაღალი დანახარჯები აიხსნება წამლების არარაციონალური დანიშვნის პრაქტიკით, მოსახლეობაში თვითმკურნალობის მაღალი მაჩვენებლით და გენერიული მედიკამენტების ნაკლებად გამოყენებით. ფარმაცევტული პოლიტიკის უმთავრესი მიზანი უნდა გახდეს ***გენერიული მედიკამენტების დანიშვნის წახალისება*** და საინფორმაციო კამპანიის ჩატარება გენერიულ მედიკამენტებზე მოთხოვნის ასამაღლებლად.

ჯანდაცვის ხარჯების შეკავების ერთ-ერთი მექანიზმია ***პაციენტის თანამონაწილეობა (თანაგადახდა)*** სამედიცინო მომსახურების გარკვეულ ნაწილის ხარჯების დასაფარად. მისი უმთავრესი მიზანია სამედიცინო მომსახურების მოთხოვნის ლიმიტირება და მისი მიღების სტიმულის შემცირება. საქართველოში საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით გარკვეულ სერვისებზე გათვალისწინებულია პაციენტის თანაგადახდა. თუმცა, მიზანშეწონილია, მისი უფრო ფართოდ გამოყენება[9]. ამასთან გასათვალისწინებელია თანაგადახდებისადმი მოსახლეობის სხვადასხვა ფენების დიფერენცირებული მიდგომა.

მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ჯანდაცვის დასაფინანსებლად საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამასთან ერთად ***კერძო სამედიცინო დაზღვევის შევსებითი და ჩანაცვლებითი ფორმების გამოყენება*** და ამით სადაზღვევო სისტემაში კონკურენტული გარემოს ხელშეწყობა[10]. ამოსავალი წერტილი უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო პროგრამების ეფექტური თანაარსებობა, რაც ხელს შეუწყობს კერძო სადაზღვევო ბაზარზე სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციას. ამ მხრივ, საინტერესოა, რომ 2017 წლის მაისიდან საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში შეტანილ იქნა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ პაკეტებს მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიების მიმართ და კერძო დაზღვევის გამოყენებას როგორც შევსებითი, ასევე ჩანაცვლებითი ფორმით.

უნივერსალური, საყოველთაო ჯანდაცვის თუ სოციალური დაზღვევის სისტემის ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება კერძო სამედიცინო დაზღვევა. მისი როლი დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა (მათ შორის მაღალგანვითარებულ ქვეყნებიც), სადაც სახელმწიფო სრულად აფინანსებდეს ჯანდაცვის ყველა სერვისს. სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ ბაზისურ პაკეტში ჯანდაცვის გარკვეული სერვისები შეიძლება საერთოდ არ შედიოდეს, ან შესაძლებელია ფინანსდებოდეს ნაწილობრივ (მაგ., სერვისი, სადაც გათვალისწინებულია ბენეფიციარის მხრიდან თანაგადახდა). ასეთი მოუცველი ან ნაწილობრივ მოცული სერვისების დაფინანსების უზრუნველყოფა ხდება კერძო სამედიცინო დაზღვევით.

ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები (მაგ., მაღალშემოსავლიანი პირები ან სახელმწიფო მოხელეები) არ არიან მოცულნი უნივერსალური, საყოველთაო ჯანდაცვით. ასეთი ადამიანებისათვის უნივერსალური, საყოველთაო ჯანდაცვა მთლიანად ჩანაცვლებულია კერძო სამედიცინო დაზღვევით. ამრიგად, კერძო სამედიცინო დაზღვევის ჩანაცვლებითი ფორმა მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისათვის წარმოადგენს ქვეყანაში არსებული უნივერსალური, საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ალტერნატიულ (ჩანაცვლებით) ფორმას. კერძო სამედიცინო დაზღვევის ჩანაცვლებითი ფორმა გამოიყენება ნიდერლანდებში, გერმანიაში (მაღალშემოსავლიანი პირებისათვის), ესპანეთში (სახელმწიფო მოხელეებისათვის).

ჩანაცვლებითი კერძო სამედიცინო დაზღვევის შემთხვევაში მოსახლეობის ამ ჯგუფებისათვის განსაზღვრულია სამედიცინო დახმარების ისეთივე სახეები, რაც უნივერსალური, საყოველთაო ჯანდაცვითაა გათვალისწინებული. მაგალითად, გერმანიაში პირებს, რომელთა შემოსავალი აღემატება 40 000 ევროს, შეუძლიათ გამოვიდნენ საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის სისტემიდან ან დარჩნენ იმავე სისტემაში. ფაქტიურად, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მაღალშემოსავლიანი პირების უმრავლესობა ისევ სამედიცინო დაზღვევის სისტემაში ამჯობინებენ დარჩენას. ამასთან კერძო დაზღვევის სისტემის არჩევის შემდეგ კანონით მათ ეკრძალებათ უნივერსალურ, საყოველთაო დაზღვევის სისტემაში დაბრუნება.

უფრო მეტად გამოიყენებენ შევსებით კერძო სამედიცინო დაზღვევას. ამ შემთხვევაში ქვეყანაში არსებობს სახელმწიფოს მიერ დადგენილი უნივერსალური ბაზისური პაკეტი, რომელიც საყოველთაოა მთელი მოსახლეობისათვის. მისი მეშვეობით შესაძლებელია სამედიცინო მომსახურების იმ სახეების ნაწილობრივი, ან მთლიანი დაფინანსება, რომლებსაც საერთოდ არ მოიცავს (მაგ., სტომატოლოგიური სერვისები), ან ნაწილობრივ მოიცავს (მაგ., თანაგადახდა) საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა. მაგალითად, საყოველთაო ჯანდაცვის (ან საყოველთაო დაზღვევის) სისტემაში თანაგადახდის არსებობისას, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ცდილობს დამატებით დაეზღვიოს კერძო სამედიცინო დაზღვევის ფონდში, რითაც ავადმყოფობის შემთხვევის დადგომისას თანაგადახდისაგან თავისუფლდება. საფრანგეთში შევსებითი კერძო სამედიცინო დაზღვევით მოცულია მოსახლეობის 86%, სლოვენიაში – 70%, კანადაში – 60%, ავსტრალიაში – 40 %, ირლანდიაში – 40 %, ფინეთშიი – 40 % (OECD. 2004ა; 51).

შედარებით უფრო მცირედ გამოიყენება დამატებითი კერძო სამედიცინო დაზღვევა. ის გულისხმობს სამედიცინო დახმარების იმ სახეების დაფინანსებას, რომლებიც საერთოდ არ შედიან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, ან შედის მაგრამ დამატებითი დაზღვევით პაციენტს სამედიცინო დახმარების მიმწოდებლების თავისუფალი არჩევანის უფლება აქვს, რაც ზრდის სერვისების სწრაფ ხელმისაწვდომობას (მაგალითად, გეგმიური სამედიცინო დახმარების ან სპეციალისტთან კონსულტაციის რიგგარეშე ჩატარება). ამ დროს, კერძო სამედიცინო დაზღვევის კომპანიები დაზღვეულებს სთავაზობენ როგორც მაღალი ხარისხით მომსახურებას, აგრეთვე მომსახურების განსაკუთრებულ პირობებს (ცალკე, კეთილმოწყობილ პალატაში მკურნალობა, რომელსაც აქვს საკუთარი აბაზანა, ტელევიზორი, მაცივარი და სხვ.). ჩვეულებრივ, სპეციალისტებთან კონსულტაციების ჩასატარებლად საჭიროა ზოგადი პრაქტიკის ექიმების მიმართვა და ხანგრძლივი რიგის გავლა, დამატებითი კერძო სამედიცინო დაზღვევის მქონე პირთათვის ასეთი შეზღუდვები არ ვრცელდება. პაციენტს უფლება აქვს საჭირო სამედიცინო დახმარება მისთვის სასურველ დროს ჩაიტაროს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ჯანმრთელობის დამატებითი დაზღვევის მქონე პაციენტები თავისუფლდებიან ექიმთან ხანგრძლივი რიგებიდან, რაც უზრუნველყოფს სერვისებზე სწრაფ ხელმისაწვდომობას, მაღალი ხარისხით მომსახურებას.

მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ქვეყანაში კერძო სამედიცინო დაზღვევის სამივე ფორმის გამოყენება. საყოველთაო ჯანდაცვაში ადამიანების გაწევრიანება უნდა განისაზღროს არა იმის მიხედვით, მათ აქვთ თუ არა კერძო სამედიცინო დაზღვევა, არამედ მათი ქონებრივი და შემოსავლების მიხედვით. პირები, რომელთა შემოსავალი აღემატება გარკვეულ ზღვარს შესაძლებელია გამოირიცხონ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან და დაეზღვიონ კერძო სამედიცინო დაზღვევით (კერძო სამედიცინო დაზღვევის ჩანაცვლებითი ფორმა). ამით გამონთავისუფლებული თანხებით უნდა გაფართოვდეს მოწყვლადი ფენების სადაზღვევო პაკეტი (მედიკამენტებით უზრუნველყოფა. იმ პირებს, რომლებიც არც ძალიან ღარიბები არიან და არც ძალიან შეძლებული, ჩართულნი არიან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში, უნდა მიეცეთ სახელმწიფო პროგრამით მოუცველ ან ნაწილობრივ მოცულ სერვისებზე კერძო სამედიცინო დაზღვევით სარგებლობის შესაძლებლობა (კერძო სამედიცინო დაზღვევის შევსებითი ფორმა). ამრიგად, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო პროგრამების ეფექტური თანაარსებობა.

ჯანდაცვის დანახარჯების შესაკავებლად გამოიყენება სერვისებზე ***ფასთა კონტროლი.*** ევროპის ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო არეგულირებს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების ანაზღაურებას ან სერვისების ფასებზე შეთანხმება ხდება დამფინანსებელსა და პროფესიულ ორგანიზაციებს შორის მოლაპარაკებების შედეგად. საქართველოში საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განისაზღვრა ტარიფები. თუმცა, კლინიკებმა შესაძლოა ჩათვალონ, რომ სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ტარიფები მცირეა და უარი განაცხადონ სახელმწიფო პროგრამით მომსახურების გაწევაზე[11]. შესაბამისად, გაუგებარია, რა უნდა მოიმოქმედოს სახელმწიფომ იმ შემთხვევაში, თუ კერძო კლინიკები ერთმანეთში შეთანხმდებიან და ერთხმად უარს იტყვიან მომსახურების გაწევაზე. ამ და სამედიცინო ბაზრისთვის დამახასიათებელი სხვა თავისებურებების გამო, ბევრ განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის რამდენიმე ფორმაა გავრცელებული: არაკომერციული, მომგებიანი, სახელმწიფო, სახელმწიფო-კერძო პარტნიორული. ***მესაკუთრეობის ფორმების მრავალფეროვნება*** განაპირობებს მათ შორის ჯანსაღ კონკურენციას. კონკურენტულ გარემოში კლინიკების გარკვეული ნაწილი მომსახურებას გასწევს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ფასის მიხედვით. აქ მთავარია, რომ კონკურენტულ გარემოში პაციენტს ყოველთვის რჩება მისთვის სასურველი, ფინანსურად ხელმისაწვდომი სამედიცინო დაწესებულების არჩევის შესაძლებლობა[12].

საქართველოში უმთავრესად გავრცელებულია სამედიცინო ორგანიზაციების კერძო მესაკუთრეობა, საავადმყოფოთა 88.6% კერძო, მომგებიანი ორგანიზაციებია (მათ შორის 42% სადაზღვევო კომპანიებს ეკუთვნის, ფიზიკურ პირებს – 29 %, სხვა ტიპის კომპანიებს – 18.4%), ხოლო 8% – სახელმწიფოს საკუთრებაში[13,14]. არაკომერციული საავადმყოფოების უპირატესი განვითარება აღინიშნება როგორც ევროპის ქვეყნებში, ასევე აშშ-ი. ევროპის ქვეყნებში არაკომერციული სამედიცინო ორგანიზაციები შეადგენენ 70-80%-ზე მეტს, ხოლო აშშ-ში – 57%-ს[15].

სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ყველაზე გავრცელებული ფორმა არაკომერციული (არამომგებიანი) ორგანიზაციებია. ხშირად სიტყვა „არამომგებიანის“ არასწორ ინტერპრეტაციას ახდენენ და წარმოგვიდგენენ ისეთ ორგანიზაციად, რომელიც არ ეწევა მომგებიან საქმიანობას. სინამდვილეში კი არამომგებიან, ისევე როგორც მომგებიან, ან სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებში ცდილობენ მიიღონ მოგება. კერძო მომგებიანი და არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მიღებული მოგების განაწილების მექანიზმით[16]. კერძოდ, არამომგებიან საავადმყოფოებში, მომგებიან საავადმყოფოებისგან განსხვავებით, მოგების განაწილება არ ხდება მესაკუთრეებზე ან აქციონერებზე. არაკომერციულ საავად-

მყოფოებს მართავენ საბჭოები, რომლებიც წარმოდგენილია ექიმებით, საზოგადოების წარმომადგენლებით. მათი საქმიანობით მიღებული მოგება კი ნაწილდება სამედიცინო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ახალი სადიაგნოსტიკო მოწყობილობა-დანადგარების შეძენაზე, სამედიცინო პერსონალის ხელფასის გაზრდაზე[17,18].

ამ მხრივ, საქართველოში საჭიროა მესაკუთრეობის სხვადასხვა ფორმის, კერძოდ, არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების და კერძო-სახელმწიფო პარტნიორობის მოდელის განვითარების ხელშეწყობა. ამით, გაიზრდება სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ფორმებს შორის კონკურენცია, რაც ხელს შეუწყობს ჯანდაცვის ხარჯების ზრდას.

ჯანდაცვის ხარჯების შეკავებაზე გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების ***ანაზღაურების შედეგზე დაფუძნებული დაფინანსების მეთოდების დანერგვა:*** გლობალური ბიუჯეტი[19], დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფები (DRG)[20]. ამ დროს მცირდება სამედიცინო დაწესებულებისა და პერსონალის უარყოფითი სტიმული დაუსაბუთებელი ჰოსპიტალიზაციისა და ძვირადღირებული პროცედურების დანიშვნის ხარჯზე გაზარდოს თავისი შემოსავლები[21].

ხარისხიანი და ხარჯეფექტური სერვისის მიღების ერთ-ერთი მექანიზმია ქვეყანაში აქტიური შესყიდვისა და სამედიცინო დაწესებულებების ***სელექციური, ანუ შერჩევითი კონტრაქტირების*** მექანიზმების დანერგვა. იგი გულისხმობს, რომ სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამის განსახორციელებლად კონტრაქტი იდება იმ სამედიცინო დაწესებულებებთან, რომლებიც ფუნქციონირებენ განსაზღვრული სტანდარტებით. საქართველოში სამედიცინო დაწესებულებების სელექციური კონტრაქტირება სამშობიარო სახლებიდან დაიწყო. განზრახულია უახლოეს პერიოდში სელექციური კონტრაქტირება სხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში დაწყება.

ბოლო ორი ათწლეულის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა ხარჯთ-ეფექტიან ამბულატორიულ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ამ მხრივ, 2017 წლის ივლისიდან ამოქმედდა სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთათვის სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა[22,23]. 2018 წლის სექტემბრიდან პროგრამა გაფართოვდა და ის ასაკით პენსიონერებზე და შშმ სტატუსის მქონე პირებზეც გავრცელდა[24], ხოლო დეკემბრიდან პარკინსონის დაავადება და ეპილეფსია დაემატა[25]. იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წელს პროგრამის ბიუჯეტის 76% იქნა ათვისებული[26], ასევე, მედიკამენტების ვერშეძენის მაჩვენებელი დიდად არ შემცირებულა,[27] სასურველი იქნებოდა, პროგრამის კიდევ უფრო მეტი გაფართოება ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებზე[28].

ადამიანური რესურსების კუთხით უმთავრესი პრობლემაა სამედიცინო პერსონალის უთანაბარი განაწილება, კერძოდ, ექიმების ჭარბი რაოდენობა, უთანაბარი გეოგრაფიული განაწილება, ფართო პროფილის ექიმების ნაკლებობა. საქართველოში აღინიშნება ექიმებისა და ექთნების არაბალანსირებული თანაფარდობა (1 ექიმზე მოდის 0,7 ექთანი, მაშინ როდესაც 1:3-თან მაინც უნდა იყოს). ფაქტობრივად უგულებელყოფილია ექთნების როლი, ფუნქციები და საჭიროებები[29]. მედდების რაოდენობის დეფიციტი უარყოფით გავლენას ახდენს ჯანდაცვის სისტემას და პაციენტზე გაწეული სამედიცინო მომსახურების შედეგებზე[30]. პრობლემატური საკითხია ჯანდაცვის სფეროს მუშაკთა დაბალი ანაზღაურება და მათი უფლებების დაუცველობა, განსაკუთრებით – რეგიონებში[31]. არასრულყოფილია შრომითი და სოციალური დაცვის მექანიზმები. აქტუალურია პერსონალის არასათანადო კვალიფიკაცია.

უნდა ითქვას, რომ ჯანდაცვაზე დანახარჯების შეკავების ყველაზე საუკეთესო მეთოდია ის, რომლითაც მიიღწევა ჯანმრთელობის საერთო მაჩვენებლების გაუმჯობესება არსებული რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების მეშვეობით.

ლიტერატურა

1. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (2014). წლის ანგარიში ჯანდაცვაში მოლოდინები ყოველთვის ჭარბობს რეალობას
2. https://www.moh.gov.ge/uploads/publicinformation/2017/04/04/9a97ce1e712132ce5ec6cd817c9e61b5.pdf
3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013-2014 წლების ანგარიში.
   http://gov.ge/files/288_46485_730625_%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%90.pdf
4. თენგიზ ვერულავა. ჯანდაცვის დანახარჯები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებით და საქართველოს ჯანდაცვის დაფინანსება. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). 2015
5. https://idfi.ge/ge/health-care-expenditure-who-recommendations-georgia

6. თენგიზ ვერულავა. ჯანდაცვის პოლიტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2016.

7. გაეროს ბავშვთა ფონდი (2018). „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ მოკლე მიმოხილვის ანგარიში. http://unicef.ge/uploads/WMS_brochure_unicef_geo_web.pdf

8. ჯანდაცვის ეფექტურობის შეფასება (2013). შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. თბილისი

9. თენგიზ ვერულავა (2015). პირველადი ჯანდაცვის რეფორმისთვის გასატარებელი პოლიტიკის პირველი ნაბიჯები. სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020. თბილისი. 2015. https://idfi.ge/ge/georgia-2020s-blogpost-on-healthcare-reform

10. გოცაძე, თ., რუხაძე, ნ., ტურძელაძე, თ. საქართველოში საქართველოში მედიკამენტების ფასები, ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობა. საერთაშორისო ფონდი "კურაციო". 2010 წ. http://68.169.62.2/ge/publications/prices-availability-and-affordability-of-medicines.page

11. კუკავა მ. მოქალაქეთა დამოკიდებულება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიმართ. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო. 2015. http://www.transparency.ge/en/node/5480

12. თენგიზ ვერულავა (2016) საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ცვლილებები და მასში კერძო სამედიცინო დაზღვევის როლი. ლიბერალი. [Link]

13. რაიონულმა კლინიკებმა შესაძლოა გადაუდებელი პაციენტების მომსახურებაზე უარი თქვან. 01-04-2015. http://rustavi2.com/ka/news/13115

14. Verulava T., Jorbenadze R. Dangadze B. (2018) The Role of Non-Profit Organizations in Healthcare System: World Practice and Georgia. Georgian Medical News. 278(1):178-182. [Link] [Google Scholar]

15. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო (სგ-ს). (2012). საქართველოს ჰოსპიტალური სექტორი. თბილისი.

16. თენგიზ ვერულავა. შეზღუდული კონკურენცია ჯანდაცვის ბაზარზე: გადაწყვეტის გზები. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები, გამოწვევები" შრომების კრებული. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 72-78.

17. AHA, 2007. American Hospital Association. Hospital Statistics. Chicago: AHA.

18. თენგიზ ვერულავა. არამომგებიანი საავადმყოფოების როლი ჯანდაცვის სისტემაში: მსოფლიო გამოცდილება და საქართველო. ეკონომიკა და ბიზნესი. 10 (3), გვ. 100-110.

19. თენგიზ ვერულავა, ნინო ბესიაშვილი, მირიან თოდრია, ზვიად ლობჟანიძე (2018). არამომგებიანი საავადმყოფოების განვითარების პრობლემები საქართველოში. ეკონომისტი; 14(3):60-71 [Link]

20. Tengiz Verulava, Ana Lordkipanidze, Nino Besiashvili, Mirian Todria, Zviad Lobjanidze, Revaz Jorbenadze, Ekaterine Eliava. Obstacles in the Development of Nonprofit Hospitals in Georgia. Hospital Topics, 2019;97(2):39-45. DOI: 10.1080/00185868.2019.1571875. [Crossref] [Google Scholar]

21. თენგიზ ვერულავა, რევაზ ჯორბენაძე (2017). სიახლე საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში: საავადმყოფოების გლობალური ბიუჯეტით დაფინანსება. *ეკონომიკა და ბიზნესი.* 10 (1), გვ. 137-143. [Link]

22. ვერულავა, თენგიზ (2016) მსგავსი დიაგნოზების ჯგუფებით (DRG) დაფინანსების მეთოდი და საქართველო. ლიბერალი. [Link]

23. Rice TH. Containing health care costs. In: Andersen RM, Rice TH, Kominski GF, eds. Changing the U.S. Health Care System. San Francisco, CA: Jossey-Bass; 1996.

24. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N01-177/ო, 8 აგვისტო 2017 წელი. „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში დაავადებათა ჩამონათვალისა და მედიკამენტების გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ. http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1291

25. თენგიზ ვერულავა. (2018). ამბულატორიული მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობა ხანდაზმულთათვის. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, No 5. ჯანდაცვის პოლიტიკისა და დაზღვევის ცენტრი. https://heconomic.wordpress.com/2018/08/05/verulava/

26. ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა. სოციალური მომსახურების სააგენტო. http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1291

27. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N01-1328/ო, 2018 წლის 9 დეკემბერი. „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის" ფარგლებში დაავადებათა ჩამონათვალისა და მედიკამენტების გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 8 აგვისტოს N01-177/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

http://ssa.gov.ge/files//01_GEO/JAN_PROG/qronikuli-daavadebebi/brdzaneba_9.12.2018_(ICD-10).pdf

28. *https://factcheck.ge/storage/media/other/2019-01-31/b430d1b0-2521-11e9-8256-7f85697f8bb2.pdf*
29. 2010 წელს მედიკამენტების ვერშეძენის მაჩვენებელი 13% იყო, 2017 წელს 9.6%. commersant.ge. 25.12.2018. https://commersant.ge/ge/post/2010-wels-medikamentebis-vershedzenis-machvenebeli-13-iyo-2017-wels-96
30. Verulava T., Jorbenadze, R., Dagadze B., Eliava E. Access to Ambulatory Medicines for the Elderly in Georgia. Home Health Care Management & Practice, 2018; http://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/1084822318806316
31. Verulava, T., Jorbenadze, R., Dangadze, B., Karimi L. (2018). Nurses' Work Environment Characteristics and Job Satisfaction: Evidence from Georgia. Gazi Medical Journal, 29 (1): 1-5.
32. http://medicaljournal.gazi.edu.tr/index.php/GMJ/article/view/1452
33. თენგიზ ვერულავა. (2015). მედდების საქმიანობის გარემოს მახასიათებლები და სამუშაოთი კმაყოფილება. ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა, 1 (1):33-48
34. https://heconomic.wordpress.com/2019/02/11/nurse/
35. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო. ჰოსპიტალური სექტორი. თბილისი 2012. https://www.transparency.ge/ge/post/press-release/hospitaluri-seqtoris-kvleva

CHALLENGES AND CHALLENGES OF THE GEORGIAN HEALTH SYSTEM

Verulava Tengiz
Doctor of Medicine, Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Institute of Health Policy

Since 2013, Georgia enacted Universal Healthcare (UHC) program. Inclusion of uninsured population in the UHC program will have a positive impact on their financial accessibility to the health services. Enactment of the UHC programs significantly raised the population refferal to the family physicians, and the specialists. Insignificantly, but also increased the frequency of laboratory and diagnostic services. Despite the serious positive changes caused by UHC program implementation there still remain the problems in the healthcare system. Also, it is desirable to raise the financial availability of those medical services, which may cause catastrophic costs. In this respect, such medical services must be involved in the universal healthcare program and been expanded their scale. For the purpose of effective usage of the limited funds allocated for health care services provision, the private health insurance companies should be involved in UHC programs. This, together with the reduction of health care costs will increase a competition in the medical market, and enhance the quality of health service.

Keywords: *Universal healthcare, Georgia*

დესტინაციების იმიჯის გავლენა ტურისტების მყიდველობით ქცევაზე

თოდუა ნუგზარ
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის პროფესორი,
მარკეტინგის კათედრის ხელმძღვანელი

ნაშრომში ნაჩვენებია დესტინაციების ბრენდინგის როლი ტურისტულ ბიზნესში. მარკეტინგული კვლევის საფუძველზე შესწავლილია დესტინაციების იმიჯის ცალკეული ფაქტორებისადმი ქართველი ტურისტების დამოკიდებულება. დისპერსიული ანალიზის გამოყენებით მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავს ქართველი ტურისტების მიერ დესტინაციების იმიჯის აღქმაზე დესტინაციების იმიჯის ცალკეული ფაქტორების (სამოგზაურო გარემო, ღირსშესანიშნაობა, მისადგომობა, ინფრასტრუქტურა, რეკრეაცია, რელაქსაცია და ფასი) გავლენას. აქვე მოცემულია აგრეთვე ქართველი ტურისტების მყიდველობით ქცევაზე დესტინაციების აღქმის გავლენა.

საკვანძო სიტყვები: *დესტინაციების იმიჯი, ქართველი ტურისტები, მყიდველობითი ქცევა, მარკეტინგული კვლევა*

პრობლემის აქტუალობა და შესწავლის დონე. **21-ე საუკუნეში, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის გავლენით, ტურიზმის განვითარებისათვის დამახასიათებელ ძირითად მარკეტინგულ კონცეფციას წარმოადგენს ის, რომ სულ უფრო მეტად იზრდება ტურისტული დესტინაციების ბრენდინგის როლი და მნიშვნელობა. ეს კი განპირობებულია იმით, რომ პრინციპულად იცვლება ტურისტების სამომხმარებლო ქცევა [1]. ამიტომ ტურისტული დესტინაციები მომხმარებლებს სთავაზობენ მათი ცხოვრების სტილისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა ბრენდულ ელემენტს [2]. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიები ისევე ექვემდებარება ბრენდინგს, როგორც საქონელი და მომსახურება [3]. ტერიტორიების ბრენდირება მათ შესახებ ადამიანების გათვითცნობიერებას ზრდის და ტურისტებში სასურველ ასოციაციებს იწვევს [4].** ტერიტორიები მოიცავს უამრავ კომპონენტს, რომელთაგან, მარკეტინგული კუთხით, უმნიშვნელოვანესია დასახელება, სიმბოლო, ე.წ. შეფუთვა და რეპუტაცია [5]**. მაგალითად, ინგლისის 12 ქალაქის ბრენდინგის კვლევამ აჩვენა, რომ ტერიტორიების ბრენდინგი არა თუ შესაძლებელია, არამედ აქტუალურია, თუმცა, ეს კონცეფცია ყოველთვის ეფექტიანად არ გამოიყენება [6].**

დესტინაციის ბრენდინგი წარმოადგენს ტურისტული ორგანიზაციების პრაქტიკულ მარკეტინგულ ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მოქმედების კოორდინაციას და დესტინაციების მიერ შემოთავაზებული ფასეულობების მხარდაჭერას [7]. დესტინაციის ბრენდი ასრულებს ყოვლისმომცველ როლს, რომელიც უზრუნველყოფს დესტინაციების იდენტურობას და მასთან დაკავშირებული ასოციაციების ერთიანობას [8]. დესტინაციის ბრენდინგი საშუალებას იძლევა, უფრო ეფექტიანად ვმართოთ ტურისტული პროდუქტის არამატერიალურობა [9]. ამასთან, დესტინაციის ბრენდინგი უფრო მეტია, ვიდრე ადვილად დასამახსოვრებელი რეკლამის, სლოგანის ან ლოგოს შექმნა [10]. წარმატებული დესტინაციები სხვებისგან გამოირჩევა იმით, რომ მათი მენეჯერები ადვილად შეიცნობენ ტურისტების ფასეულობებს და მათთან ღრმა ურთიერთობებს ამყარებენ [11]. დესტინაციის ბრენდინგი, ერთი მხრივ, წარმოადგენს ინფორმირების საშუალებას მოსალოდნელი ტურისტული გამოცდილების შესახებ, რომელიც კონკრეტულ დესტინაციასთან ასოცირდება. მეორე მხრივ, ესაა გზა, რომელიც უზრუნველყოფს დესტინაციების უნიკალურობას და კონკურენტებისაგან დიფერენცირებას [12].

დესტინაციების ბრენდინგში წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ დ. ააკერის მოდელი, რომელშიც გამოიყოფა ბრენდის ორი პრინციპული მახასიათებელი: ბრენდის იდენტურობა და ბრენდის იმიჯი [13]. ბრენდის იდენტურობა ესაა უნიკალური ფასეულობები და ასოციაციები, რომლებიც ბრენდის შემქნელებს სურთ, დაუკავშირონ პროდუქტს. ბრენდის იმიჯი კი ესაა მომხმარებელთა გონებაში ბრენდის აღქმა [13]. შესაბამისად, დესტინაციის იდენტურობა წარმოადგენს იმ მახასიათებლების ერთობლიობას, რომლითაც ერთი ტერიტორია განსხვავდება მეორისაგან, ხოლო დესტინაციის იმიჯი ბრენდინგის სუბიექტური შედეგია [14]. შეიძლება გამოვყოთ ატრიბუტები, რომლებიც საფუძვლად უდევს დესტინაციის ბრენდის იდენტურობას და, შესაბამისად, გავლენას ახდენს მის იმიჯზე. ესენია: ბუნებრივი რესურსები; კულტურა, ისტორია და ხელოვნება; ტურისტული ატრაქციები (ღირსშესანიშნაობები); ტურისტული ინფრასტრუქტურა; გარემომცველი სამყაროს პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები; ზოგადი ინფრასტრუქტურა და დესტინაციის ატმოსფერო [15]. ვფიქრობთ, საკმაოდ საინტერესოა აგრეთვე ბრენდის იმიჯის ატრიბუტების შემ-

დეგი კლასიფიკაცია: სამოგზაურო გარემო, ბუნებრივი ატრაქციები, გართობები და ივენთები, ისტორიული ატრაქციები, ინფრასტრუქტურა, მისადგომობა, რელაქსაცია, გარე აქტიურობა, ფასები და ფასეულობები [16].

მომხმარებლებთან ბრენდის ურთიერთობისას ძირითადი ყურადღება ექცევა ისეთ ცნებას, როგორიცაა ბრენდის ფასეულობა, რომელშიც გამოიყოფა 4 საკვანძო მომენტი: ბრენდისადმი ლოიალურობა, ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება, აღქმული ხარისხი და ბრენდის ასოციაციები [13]. დესტინაციის შემთხვევაში ბრენდისადმი ლოიალურობა განისაზღვრება განმეორებითი სტუმრობის განზრახვით და დესტინაციისათვის რეკომენდაციის გაწევით, რომელშიც მთავარი აქცენტი კეთდება ვიზიტორთა ხანგრძლივვადიან ქცევაზე [17-18]. დესტინაციის ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება კი ახასიათებს ტურისტების გონებაში ბრენდის არსებობას. იგი უზრუნველყოფს არა მარტო დესტინაციის ბრენდის დამახსოვრებას, არამედ ტურისტებში ძლიერი ასოციაციური წარმოდგენების შექმნას. აღქმული ხარისხი კი ასახავს მოცემულ სასაქონლო კატეგორიაში დესტინაციის სტატუსის შესახებ ტურისტების მოსაზრებებს.

მომხმარებელთა ქცევის შესწავლას განსაკუთრებული როლი ენიჭება საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში, რომელიც ხელს უწყობს დარგში მარკეტინგული სტრატეგიების ჩამოყალიბებას. მართალია, უკანასკნელ ხანებში საქართველოში მომხმარებელთა ქცევის მიმართულებით შესრულებულია გარკვეული სამუშაოები [19-34], მაგრამ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი საქართველოს ტურისტულ ბაზარზე მომხმარებელთა მყიდველობით ქცევაზე დესტინაციების იმიჯის გავლენის საკითხები, რაც სათანადო მეცნიერულ დამუშავებას მოითხოვს. ამიტომ წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ტურისტული დესტინაციების იმიჯის მიმართ ქართველი ტურისტების დამოკიდებულების დადგენა, რისთვისაც ჩავატარეთ მარკეტინგული კვლევა.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა განხორციელდა ორ ეტაპად, რომელიც თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს დაეფუძნა. პირველ ეტაპზე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რომელიც მოიცავდა ფოკუს ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდებს [35]. თვისებრივი კვლევის მონაწილეები შეირჩა ისე, რომ მოგვეცვა მიზნობრივი ბაზრის ყველა კატეგორია. ამ ეტაპზე მოხდა ჰიპოთეზების ფორმულირება და შემდგომი კვლევისათვის პრიორიტეტების დადგენა. მეორე ეტაპზე ვისარგებლეთ მომხმარებელთა გამოკითხვის მეთოდით, ხოლო კვლევის ინსტრუმენტად შევარჩიეთ ანკეტა, რომელიც რამდენიმე სტრუქტურიზებული კითხვისგან შედგებოდა. ანკეტა მოიცავდა ინფორმაციას რესპონდენტის თანხმობისა და კონფიდენციალობის შესახებ, აგრეთვე კვლევის განმარტებებს და შევსების ინსტრუქციებს. ანკეტაში გამოყენებულია ლიკერტის ხუთბალიანი სკალა. გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული და პირისპირ ინტერვიუს მეთოდებით. კვლევაში გამოვიყენეთ თვითადმინისტრირებადი გამოკითხვის მეთოდი, რათა თავიდან აგვეცილებინა ინტერვიუერის სუბიექტურობით გამოწვეული შეცდომები. შერჩევის ფორმირება მოხდა საალბათო მეთოდის საფუძველზე. კვლევის არეს წარმოადგენდა ქალაქი თბილისი. 95%-იანი სანდო ალბათობისა და 4%-იანი ცდომილების გათვალისწინებით, სულ გამოიკითხა 18 წელზე მეტი ასაკის 600 რესპონდენტი (მათ შორის მამაკაცი იყო 43%, ქალი – 57%). მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის საშუალებით. კვლევაში ჩამოყალიბებულია რამდენიმე ჰიპოთეზა (H), რომლებშიც ძირითადი ყურადღება გამახვილებულია დესტინაციების იმიჯის შესახებ ტურისტების გათვითცნობიერებასა და შესაბამის მყიდველობით ქცევაზე.

H1: სამოგზაურო გარემო დადებით გავლენას ახდენს ქართველი მომხმარებლების მიერ ტურისტული დესტინაციების იმიჯის აღქმაზე;

H2: ღირსშესანიშნაობა დადებით გავლენას ახდენს ქართველი მომხმარებლების მიერ ტურისტული დესტინაციების იმიჯის აღქმაზე;

H3: მისადგომობა დადებით გავლენას ახდენს ქართველი მომხმარებლების მიერ ტურისტული დესტინაციების იმიჯის აღქმაზე;

H4: ინფრასტრუქტურა დადებით გავლენას ახდენს ქართველი მომხმარებლების მიერ ტურისტული დესტინაციების იმიჯის აღქმაზე;

H5: რეკრეაცია დადებით გავლენას ახდენს ქართველი მომხმარებლების მიერ ტურისტული დესტინაციების იმიჯის აღქმაზე;

H6: რელაქსაცია დადებით გავლენას ახდენს ქართველი მომხმარებლების მიერ ტურისტული დესტინაციების იმიჯის აღქმაზე;

H7: ფასი დადებით გავლენას ახდენს ქართველი მომხმარებლების მიერ ტურისტული დესტინაციების იმიჯის აღქმაზე;

H8: ტურისტული დესტინაციების იმიჯის აღქმა დაადებით გავლენას ახდენს ქართველი მომხმარებლების მყიდველობით ქცევაზე.

კვლევის შედეგები. ტურისტული მომხმარებლების მიერ დესტინაციების იმიჯის შეფასება ეფუძნება მათ გამოცდილებას და ინფორმირებულობას. თავის მხრივ, რესპონდენტების გამოცდილების დონის დადგენაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინფორმაციის ის წყაროები, რომლებიც გავლენას ახდენენ ტურისტების მიერ ამა თუ იმ დესტინაციის არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. კვლევამ აჩვენა, რომ ვიზიტის დაწყებამდე რესპონდენტებმა საქართველოს ბაზარზე დესტინაციის შესახებ ინფორმაციის მოძიებისათვის სხვადასხვა წყარო გამოიყენეს (იხ. ნახ. 1). უმეტესობამ (37,2%-მა) ასეთ ინფორმაციის ძირითად წყაროდ დაასახელა ინტერნეტი, 32,3%-მა – ტურისტული სააგენტოები, 11,4%-მა – მეგობრები და ახლობლები, 9,6%-მა – ბიზნესპარტნიორები, 5,3%-მა – გზამკვლევები, ხოლო 4,2%-მა – მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. როგორც ვხედავთ, ქართველი ტურისტები დესტინაციების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროდ ინტერნეტს და ტურისტული სააგენტოების რეკომენდაციებს მიიჩნევენ. ამ ფაქტს ისინი ხსნიან იმით, რომ დასახელებული წყაროების მეშვეობით კონკრეტულ ტურისტულ მომსახურებაზე უფრო მეტს გებულობენ, ვიდრე სხვა საშუალებებისგან. კერძოდ, ტურისტები თვლიან, რომ მათ თავისუფლად შეუძლიათ გაეცნონ კონკრეტულ ტურისტულ შემოთავაზებებს, უკვე გამოცდილი მომხმარებლების მიერ გაკეთებულ შეფასებებს და რეიტინგს და, შესაბამისად, არჩევანის გაკეთებაც უადვილდებათ. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხულთა თითქმის მეხუთედის გაცნობიერებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოზიტიური თუ ნეგატიური „WORD-OF-MOUTH" და ბიზნესპარტნიორების მიერ გაწეული რეკომენდაციები. რაც შეეხება დასახელებული ინფორმაციის წყაროების სანდოობას, განსხვავებული სიტუაცია შეიმჩნევა. კერძოდ, რესპონდენტთა უმეტესობა (27,4%) ყველაზე უფრო მეტად ენდობა მეგობრებისა და ახლობლების მოსაზრებებს, 25,2% – ბიზნეს პარტნიორებს, 18,2%- ტურისტულ სააგენტოებს, 13,1%- ინტერნეტს, 11,8% – მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, 4,3% – გზამკვლევებს.

ნახაზი 1

დესტინაციის შესახებ ინფორმირების წყაროების მიმართ ტურისტების დაინტერესებისა და სანდოობის სიხშირეები (%-ით)



დისპერსიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ დესტინაციების შესახებ ტურისტების გამოცდილებაზე დადებით გავლენას ახდენს რესპონდენტთა ასაკი (F=31.131, P=0.002), ყოველთვიური საშუალო შემოსავლები (F=2.074, P=0.001), განათლება (F=25.192, P=0.001) და ოჯახური მდგომარეობა (დასაოჯახებელი მომხმარებლებისათვის: F=327.72, P=0.005; დაოჯახებული მომხმარებლებისათვის: F=353.46, P=0.003). ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დესტინაციების შესახებ ტურისტების გამოცდილებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს შემდეგი ასაკობრივი ჯგუფები: 18 – 24 წელი (F=342.45, P=0.001) და 25 – 34 წელი (F=187.22, P=0.011). რაც შეეხება სქესს, იგი გავლენას არ ადენს დესტინაციების შესახებ ტურისტების გამოცდილებაზე (მდედრობითი მომხმარებლებისათვის: F=557.12, P=0.095; მამრობითი მომხმარებლებისათვის: F=464.31, P=0.083).

ჩვენ მიერ ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტურისტული დესტინაციის იმიჯის შეფასებაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფაქტორებს მიეკუთვნება სამოგზაურო გარემო, ღირსშესანიშნაობა, მისადგომობა, ინფრასტრუქტურა, რეკრეაცია, რელაქსაცია და ფასი. რესპონდენტებს ვთხოვეთ, დასახელებული ფაქტორები შეფასებინათ 1-დან 5-მდე სკალით, მნიშვნელობის ზრდადობის მიხედვით (იხ. ნახ. 2). როგორც ანალიზი გვიჩვენებს, რესპონდენტები მაღალ შეფასებას აძლევენ ფასს, ინფრასტრუქტურას, რეკრეაციას და რელაქსაციას. რაც შეეხება დესტინაციების ღირსშესანიშნაობას და მისადგომობას, აგრეთვე სამოგზაურო გარემოს, რესპონდენტები, ძირითადად, საშუალო შეფასებებს აძლევენ. ამასთან, დისპერსიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტურისტების მიერ დესტინაციების იმიჯის აღქმაზე გავლენას ახდენს რესპონდენტთა

ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი (F=3.547, P=0.011) და განათლება (F=2.198, P=0.014), ხოლო ასაკი ასეთ გავლენას არ ახდენს (F=12.379, P=0.797).

ნახაზი 2

ქართველი მომხმარებლების მიერ ტურისტული დესტინაციების იმიჯის განმსაზღვრელი ფაქტორების შეფასების სიხშირეები



ზემოთ ჩამოყალიბებული H1 – H7 ჰიპოთეზების დასამტკიცებლად გამოვიყენეთ One Way ANOVA F-Test. პირველ რიგში დავადგინეთ, თუ რამდენად მოქმედებს სამოგზაურო გარემო, ღირსშესანიშნაობა, მისადგომობა, ინფრასტრუქტურა, რეკრეაცია და რელაქსაცია ქართველი მომხმარებლების მიერ დესტინაციების იმიჯის აღქმაზე. დისპერსიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ დასახელებული მაჩვენებლების გავლენა ქართველი მომხმარებლების მიერ დესტინაციების იმიჯის აღქმაზე საკმაოდ მნიშვნელოვანია (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

ქართველი მომხმარებლების მიერ დესტინაციების იმიჯის აღქმაზე სამოგზაურო გარემოს, ღირსშესანიშნაობის, მისადგომობის, ინფრასტრუქტურის, რეკრეაციის, რელაქსაციისა და ფასის გავლენის დისპერსიული ანალიზი

დამოკიდებული ცვლადი: დესტინაციების იმიჯის აღქმა					
	კვადრატების ჯამი	df	საშუალო კვადრატი	F	p
სამოგზაურო გარემო	32.243	4	7.312	5.232	.000
ღირსშესანიშნაობა	27.278	5	6.315	4.237	.001
მისადგომობა	28.256	4	6.378	4.397	.001
ინფრასტრუქტურა	18.179	4	5.231	3.789	.002
რეკრეაცია	33.167	7	7.235	5.679	.001
რელაქსაცია	39.278	6	8.298	5.372	.000
ფასი	29.589	4	5.599	4.193	.000
ცდომილება	1592.915	1057	1.575		

დისპერსიულმა ანალიზმა ასევე გვიჩვენა, რომ დესტინაციების იმიჯის აღქმა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართველი ტურისტების მყიდველობით ქცევაში (F=5.031, p=0. 001) (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

ქართველი ტურისტების მყიდველობით ქცევაზე დესტინაციების იმიჯის აღქმის გავლენის დისპერსიული ანალიზი

დამოკიდებული ცვლადი: მყიდველობითი ქცევა					
	კვადრატების ჯამი	df	საშუალო კვადრატი	F	p
დესტინაციების იმიჯის აღქმა	18.892	4	4.223	5.031	.001
ცდომილება	823.677	815	1.039		

ვინაიდან ზემოთ განხილულ ყველა შემთხვევაში სტატისტიკური მნიშვნელოვანობის დონე $p<0.005$, ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული რვავე ჰიპოთეზა დამტკიცდა.

დასკვნები. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები, რომლებიც ტურისტული დესტინაციების იმიჯის მიმართ ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულებას გამოხატავს.

- ტურისტული დესტინაციების შესახებ ინფორმირების ძირითად წყაროდ ქართველი მომხმარებლები ინტერნეტს და ტურისტული სააგენტოების რეკომენდაციებს მიიჩნევენ, რაც მათ არჩევანის გაკეთებას უადვილებს. ამასთან, ტურისტული მომსახურების შესახებ მყიდველობითი გადაწყვეტილების მიღებისას ქართველი მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვან კრიტერიუმებს ფასი და გაწეული რეკომენდაციები წარმოადგენს.
- ტურისტული დესტინაციების იმიჯის განმსაზღვრელი ფაქტორებიდან ქართველი მომხმარებლები მაღალ დონეზე აფასებენ მომსახურების ფასს, ინფრასტრუქტურას, რეკრეაციას და რელაქსაციას. რაც შეეხება ტურისტული დესტინაციების ღირსშესანიშნაობებს, მისადგომობას და სამოგზაურო გარემოს, რესპონდენტები მას მთლიანობაში (კომპლექსურად) დაბალ ან საშუალო შეფასებას აძლევენ.
- კვლევის შედეგების გაანალიზების საფუძველზე მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავს ტურისტების მყიდველობით ქცევაზე დესტინაციის იმიჯის ცალკეული მახასიათებლების გავლენას.

ჩატარებული კვლევა წარმოადგენს საფუძველს საქართველოს ტურისტულ ბაზარზე დესტინაციების მიერ ახალი პროდუქტების შემუშავებისა და გაუმჯობესების მიზნით ობიექტური მონაცემების მიღების, აგრეთვე შესაბამისი სამომხმარებლო მოთხოვნის შემდგომი შესწავლისათვის. კვლევის შედეგები სასარგებლოა საქართველოს ტურისტულ ბიზნესში დასაქმებული ადამიანებისათვის დესტინაციების იმიჯისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების შესახებ გლობალური ხედვის ჩამოყალიბებისათვის, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, გაიგონ და განჭვრიტონ ადგილობრივი ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები.

მადლობა. ავტორი მადლობას უხდის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარკეტინგული კვლევის ცენტრს მარკეტინგული კვლევის ჩატარებაში გაწეული მხარდაჭერისთვის.

ლიტერატურა

1. Page, S., and Connell, J. (2006). Tourism: A Modern Synthesis. Boston: Cengage Learning.
2. Morgan, N. and Pritchard, A. (2004). Meeting the Destination Branding Challenge. In: Morgan, N., Pritchard, A. and Pride, R., Eds., Destination Branding: Creating the Unique Destination Proposition. Oxford: Elsevier, 59-78.
3. Kotler, P., Haider, D., and Rein, I. (1993). Marketing places: attracting investment, industry, and tourism to cities, states, and nations. New York: Free Press.
4. Keller, K.L. (2013). Strategic Brand Management: Building, Measuring, and Managing Brand Equity, 4th Edition. New Jersey: Pearson
5. **Andrews, J., and Shimp, T. (**2017**).** Advertising, Promotion, and other aspects of Integrated Marketing Communications, 10th Edition, Boston: Cengage Learning.
6. Hankinson, G. (2001). Location branding: A study of the branding practices of 12 English cities. *Journal of Brand Management*. Vol. 9, No.2, pp. 127-142.
7. Ritchie, B., and Ritchie, R. (1998). The branding of tourism destination: Past achievements and future trends. In Destination Marketing: Scope and Limitations, Reports of 48th Congress (pp. 89–116). St. Gallen: AIEST
8. Hankinson, G. (2010). Place branding research: A cross-disciplinary agenda and the views of practitioners. Place Branding and Public Diplomacy, Vol. 6, No. 4, pp. 300–315.
9. Pike S. (2008) *Destination marketing. An integrated marketing communication approach*, Elsevier, Oxford.
10. Ekinci, Y., Sirakaya-turk, E., and Baloglu, S. (2007). Host image and destination personality. *Tourism Analysis*, Vol. 12, No. 5-6, pp. 433–446.

11. Ekinci, Y., and Hosany, S. (2006). Destination personality: An application of brand personality to tourism destinations. *Journal of Travel Research*, Vol. 45, No. 2, pp. 127–139.
12. Qu, H., Kim, L. H., and Im, H. H. (2011). A model of destination branding; integrating the concepts of the branding and destination image. Tourism Management, Vol.32, No 3, pp. 465–476.
13. Aaker, D. Building Strong Brands. (1996). New York: Free Press.
14. Blain, C., Levy, S., and Ritchie, J.R.B. (2005). Destination branding: insight and practices from destination management organisations. *Journal of Travel Research*, Vol. 43, No.4, pp.328-338.
15. Beerli, A. and Martin, J. D. (2004). Factors influencing destination image. *Annals of Tourism Research*, Vol. 31, No. 3, pp. 657–681
16. Chi, C., Qing, G., and Qu, H. (2008). Examining the structural relationships of destination image, tourist satisfaction and destination loyalty: An integrated approach. *Journal of Tourism Management*, Vol. 29, pp. 624-636.
17. Oppermann, M. (2000). Tourism destination loyalty. *Journal of travel research*, Vol. 39, No. 1, pp. 78-84.
18. Wu, C.-W. (2016). Destination loyalty modeling of the global tourism. *Journal of Business Research,* Vol. 69, No. 6, pp. 2213–2219.
19. Apil, A. R., Kaynak, E., and Todua, N. (2009). Product Preference Differences of High and Low Ethnocentric Consumers in Georgia. In *Proceedings of the* 18*th World Business Congress „Management Challenges in an Environment of Increasing Regional and Global Concerns".* International Management Development Association, pp. 531-539.
20. Todua, N. (2012). *Marketing Research of Consumer Behavior in Georgian Market.* Publishing House Universal, Tbilisi.
21. Jashi, C., and Todua, N. (2013**).** Behavior Changing through of Social marketing (Georgian Case). In *Proceedings of third World Social Marketing Conference*. Toronto (Canada). pp. 95-97.
22. Todua, N., Babilua, P., and Dochviri, T. (2013). On the Multiple Linear Regression in Marketing Research. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 7, No. 3, pp. 135-139.
23. Todua, N., and Dotchviri, T. (2015). On the Marketing Research of consumer prices and inflation process. *British Journal of Marketing Studies*. Vol. 3, No. 2, pp. 48-57.
24. Todua, N., and Jashi, Ch. (2015). Some Aspects of Social Media Marketing (Georgian Case). *International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic and Management Engineering,* Vol. 9, No. 4, pp. 1160-1163.
25. Todua, N., Gogitidze, T., and Phutkaradze, J. (2015). Georgian consumer attitudes towards genetically modified products. *International Journal of Management and Economics*, Vol. 46, No. 1, pp. 120-136.
26. Todua, N. (2016). Main Aspects of Service Quality in the Hotel Industry of Georgia. In *Proceedings of* 4th International Conference on Contemporary Marketing Issues, 22-24 June 2016, Heraklion, Greece. pp. 431-435.
27. Todua, N., and Jashi, Ch. (2016). Conceptual and Practical Aspects of Peace Marketing in Tourism (Georgian Case). In Book: „Peace Marketing" (chapter XXVII), Publisher „Editura universitara" (Bucharest), 2016, pp. 346-356.
28. Todua, N., Mghebrishvili, B., and Urotadze, E. (2016). Main aspects of formation of legal environment on the Georgian food market. In *Proceedings of International Scientific-Practical Conference „Challenges of Globalization in Economics and Business". Universal, Tbilisi,* pp. 250-256.
29. Mghebrishvili, B., and Urotadze, E. (2016). Functions of Retailing. In *Proceedings of* 23*rd International Academic Conference,* Venice, Italy, pp. 356-360.
30. Todua, N., Gogitidze, T., and Phutkaradze, B. (2017). Georgian Farmers Attitudes towards Genetically Modified Crops. *Economics World*, Vol. 5, No. 4, pp. 362-369.
31. Todua, N. (2017). Influence of Food Labeling Awereness on healthy behavior of Georgian Consumers. *Ecoforum Journal*, Vol. 6, No. 2.
32. Todua, N. (2017). Social Media Marketing for Promoting Tourism Industry in Georgia. In *Proceedings of* 22*nd International Conference on Corporate and Marketing Communications: Challenges of Marketing Communications in a Globalized World.* Zaragoza, Spain, pp. 168-171.
33. Seturi, M., and Urotadze, E. (2017). About Marketing Process Model and Relationship Marketing. In *Proceedings of International Workshop „Model-Based Governance for Smart Organizational Future",* Sapienza University of Rome, Italy, pp. 169-171.
34. Todua, N. (2019). Using social media marketing for attracting foreign tourists to Georgian destinations. *Globalization and business.* Vol. 7, pp. 39-48.
35. Malhotra, N. K. (2004). *Marketing research: An applied orientation,* 4th ed., Pearson Education, Inc, New Jersey.

THE IMPACT OF DESTINATIONS IMAGE ON TOURISTS BUYING BEHAVIOR

Todua Nugzar
D.Sc. Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Head of the Department of Marketing

Summary

The article shows the role of destinations in the tourism business. Based on marketing research, the attitude of Georgian tourists to separate factors of the destinations image was studied. Using analysis of variance were obtained statistically significant values that reflect the influence of individual factors of destinations image (travel environment, attractions, accessibility, infrastructure, recreation, recreations and price) on the perception of the destination image by Georgian tourists. Here also given the influence of destination image on the buying behavior of Georgian tourists.

Keywords: *destinations image, Georgian tourists, buying behavior, marketing research*.

ადამიან-კაპიტალი და მისი გაზომვის მიდგომები

თოთლაძე ლია
ეკონომიკის დოქტორი, თსუ

ხუსკივაძე მამუკა
ეკონომიკის დოქტორი,
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინტიტუტი

ადამიან-კაპიტალი წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ფაქტორს მდგრადი და ინკლუზიური ზრდის უზრუნველყოფისათვის. მის გარეშე წარმოუდგენელია მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, ისევე, როგორც კვალიფიციურ მუშაკთა კონტინგენტის ფორმირება და მსოფლიო ეკონომიკურ არენაზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება. ამიტომ, მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს ადამიან-კაპიტალის პოტენციალი.

ნაშრომში განხილულია ადამიან-კაპიტალის გაზომვის მეთოდოლოგიური ასპექტები. ყურადღება გამახვილებულია ადამიან-კაპიტალის ინდექსის, როგორც ადამიან-კაპიტალის ახალი საზომის არსზე. ეს ინდექსი წარმოადგენს მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ თანამედროვე საზომს, რომელიც ფოკუსირებულია მომავალი თაობის მწარმოებლურობასა და პროდუქტიულობაზე.

საკვანძო სიტყვები: *ადამიან-კაპიტალი, ადამიან-კაპიტალის ინდექსი, ეკონომიკური ზრდა.*

დღეისათვის ქვეყნების განვითარების სტრატეგია ფოკუსირებულია მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე, რომლის მიღწევაც შეუძლებელია ადამიან-კაპიტალის წვლილის გარეშე. ეკონომიკურ ლიტერატურაში როგორც თეორიული, ასევე ემპირიული კვლევები ადასტურებს რომ ადამიან-კაპიტალი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ეკონომიკური ზრდისათვის (Becker (1964, Arrow (1962), Mincer (1962), Romer (1986)).

ადამიან-კაპიტალი მოიცავს რა ადამიანების ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და მოტივაციას, გააჩნია ეკონომიკური ღირებულება. იგი შედგება ცოდნის, უნარების და ჯანმრთელობისაგან, რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევს, მოახდინონ საკუთარი თავის, როგორც საზოგადოების პროდუქტიული წევრის, რეალიზაცია.

მენქიუს, რომერისა და უეილის (Mankiw, Romer და Weil (1992)) მიერ აგებულ სოლოუს ენდოგენური ზრდის მოდელის გაფართოებული მოდელში ადამიან-კაპიტალი წარმოდგენილია ცალკე ცვლადად. ამერიკელი ეკონომისტის „Journal of Human Capital" მთავარი რედაქტორის ისააკ ელრიხის (Isaac Ehlrich) მოსაზრებით აუცილებელია ეფექტიანი პოლიტიკის გატარება ადამიან-კაპიტალის განვითარებისათვის, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს. აუცილებელია ინსტიტუციური პირობების შექმნა მის ინოვაციურ ტექნოლოგიად გარდასაქმნელად. ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების ისტორიის მაგალითზე ელრიხმა აჩვენა ადამიან--კაპიტალის როლი ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაში (Ehrlich I., Dunli Li, Zhiqiang Lui. (2017). ადამიან-კაპიტალის ფორმირების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და ამავდროულად ინერციულია და განიცდის მრავალი ფაქტორის ზემოქმედებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიან-კაპიტალის გაზომვა უაღრესად რთული პრობლემაა. გაზომვა მრავალ მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს. იგი გვეხმარება უკეთ გავიგოთ რა განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას, ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას და განათლების სექტორის პროდუქტიულობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუ რომელი ობიქტური მაჩვენებელი უნდა იქნეს გამოყენებული მის შესაფასებლად..

ადამიან-კაპიტალის გაზომვისათვის შემუშავებულია სხვადასხვა მიდგომა. ეკონომიკურ ლიტერატურაში ძირითადად განიხილება ორი მიდგომა. ერთი ეყრდნობა ინდიკატორების მიხედვით ამ მაჩვენებლის შეფასებას. მეორე კი დაფუძნებულია ადამიან-კაპიტალის მონეტარული ასპექტების ასახვაზე (როგორც იმ დანახარჯების, რომელიც მიმართულია ადამიან-კაპიტალის განვითარებაზე, ასევე შემოსავლების, რომელთა ზრდაზეც შეუძლია გავლენა იქონიოს ადამიან-კაპიტალმა) (ნახ.1.) [3].

ნახ. 1. ადამიან-კაპიტალის გაზომვის მეთოდოლოგიების კლასიფიკაცია



ინდიკატორებზე დაფუძნებული მიდგომა ფართოდაა გავრცელებული რიგი მიზეზების გამო. ინდიკატორები ცხად, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ადამიან-კაპიტალის შესახებ და შესაძლებელია გამოყენებული იყოს ქვეყნებს შორის შედარებისთვისაც. გაეროს მიერ შემუშავებული *ადამიანის განვითარების ინდექსი HDI (Human Development Index)* ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მახასიათებელია. მისი გაანგარიშება ემყარება სამ მაჩვენებელს: მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა, მოსახლეობის განათლების დონე (რომელიც დამოკიდებულია სწავლების საშუალო ხანგრძლივობზე) და ცხოვრების დონე (როგორც წესი გამოიყენება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული მთლიანი სამამულო პროდუქტი). აღნიშნული ინდიკატორი რეგულარულად გაიანგარიშება და ქვეყნდება 1990 წლიდან.

2017 წლიდან მსოფლიო ბანკის პროექტის „ადამიან-კაპიტალი" ფარგლებში კი გამოქვეყნდა მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული ახალი საზომი – *ადამიან- კაპიტალის ინდექსი (Human Capital Index)*. ადამიან-კაპიტალის ინდექსი ფართოდ ცნობილი ადამიანის განვითარების ინდექსისგან განსხვავებით, უმეტესწილად ფოკუსირებულია მომავალი თაობის მწარმოებლურობასა და პროდუქტიულობაზე.

მსოფლიო ბანკის ანგარიშში ნათქვამია, რომ „ადამიან-კაპიტალი არის მთავარი მამოძრავებელი მდგრადი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისათვის. ინვესტიციები განათლებასა და ჯანდაცვაში მნიშვნელოვანია. ამავდროულად, უმნიშვნელოვანესია რომ ეს ინდექსი ასახავს პირდაპირ კავშირს ჯანდაცვასა და განათლებაში ინვესტირების შედეგებს, პროდუქტიულობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის" [4].

ადამიან-კაპიტალის ინდექსი ზომავს იმ ადამიან-კაპიტალის მოცულობას, რომელსაც ბავშვი, რომელიც დღეს დაიბადა, მიაღწევს საშუალო სკოლის დამთავრებისას, იმ რისკების გათვალსწინებით, რომლებიც დაკავშირებულია განათლებას, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვასთან იმ ქვეყანაში, სადაც ის დაიბადა. ამგვარად, ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს ახალი თაობის მწარმოებლურობას სრული განათლებისა და სრულყოფილი ჯანმრთელობის პირობებით უზრუნველყოფილი ეტალონურ დონესთან შედარებით. დღეისათვის ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება 157 ქვეყნისათვის.

ეს ინდექსი საშუალებას იძლევა რაოდენობრივად შევაფასოთ ჯანდაცვისა და განათლების წვლილი მომავალი თაობის შემოსავლების დონესა და მწარმოებლურობაში. ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ ის იმის განსაზღვრისათვის, თუ შემოსავლების რა ნაწილს კარგავენ ადამიან-კაპიტალის დეფიციტის გამო, და რამდენად სწრაფად შეუძლიათ მათ ეს დანაკარგები აქციონ მოგებად, თუ იმოქმედებენ დაუყოვნებლივ. ინდექსის არსი დაწვრილებითაა გადმოცემული მსოფლიო ბანკის განვითარების 2019 წლის ანგარიშშიც.

განათლებისა და ჯანდაცვის სფეროს განვითარების შესახებ საიმედო ინფორმაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ და მსოფლიო დონეზე. ეს ინფორმაცია

არსებითია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთათვის. ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასება ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი სასურველი შედეგის მისაღწევად. ხოლო მსოფლიო დონეზე შედეგების კომპლექსური გაზომვა და შეფასება ნათელს ფენს ქვეყნებს შორის განსხვავებას და ააქტიურებს ადამიან-კაპიტალში ინვესტირებას.

მსოფლიო ბანკის ამ პროექტის მიზანსაც სწორედ ადამიან-კაპიტალის განვითარებისათვის საზოგადოების ძალისხმევის მობილიზაცია წარმოადგენს. კვლევის პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ ადამიან-კაპიტალი წარმოადგენს ძირითად ფაქტორს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის უზრუნველსაყოფად. კვლევა ადასტურებს აგრეთვე პოზიტიურ დამოკიდებულებას ინდექსის სიდიდესა და მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებულ მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP per capita) სიდიდეს შორის.

უაღრესად საინტერესოა რა მახასიათებლებს ეყრდნობა მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული ეს ინდიკატორი. ადამიან-კაპიტალის ინდექსი თავის თავში მოიცავს ხუთ მაჩვენებელს: 5 წლამდე ასაკის ბავშვთა გადარჩენის ალბათობა; ზრდასრულთა გადარჩენის ალბათობა; ბავშვთა სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა; სწავლის ხარისხი (ერთიანი გამოცდების შედეგები ჰარმონიზდება ქვეყნებს შორის შედარების თვალსაზრისით); ბავშვთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც არ აქვთ ჩამორჩენა განვითარებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინდექსი საშუალებას იძლევა გაიზომოს დისტანცია, რომელიც თითოეულ ქვეყანას აშორებს ზღვრული დონისაგან – ასე ვთქვათ იდეალურ ჯანმრთელობასა და სრულფასოვან განათლებასთან დღეს დაბადებული ბავშვისათვის.

ინდექსი აღწერს ქვეყნის მდგომარეობას მუშაკთა მომავალი თაობების მწარმოებლურობის თვალსაზრისით. თავდაპირველად ამ პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა 28 ქვეყანა (მათ შორის საქართველო) სხვადასხვა რეგიონის და სხვადასხვა შემოსავლების მქონე. დღეისათვის ინდექსი მუშავდება 157 ქვეყნისათვის და ამ პროექტში ჩართული ქვეყნების მიერ წარმოებს არა მხოლოდ გაანგარიშებები, არამედ ეროვნული პრიორიტეტების განსაზღვრა ადამიანისეული კაპიტალის ზრდის უზრუნველსაყოფად.

ინდექსი იღებს მნიშვნელობებს 0-დან 1-მდე. თუ, ვთქვათ, ინდექსის მნიშვნელობა ტოლია 0,5-ის – ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეები და მთლიანად ქვეყანა კარგავს თავისი მომავალი ეკონომიკური პოტენციალის ნახევარს. ამ გაანგარიშების შედეგების ექსტრაპოლაცია 50 წლიან პერიოდზე კი ნიშნავს მასშტაბურ ეკონომიკურ დანაკარგებს – მშპ-ს ზრდის წლიური ტემპის 1,4%-ით შემცირებას. ქვეყნისათვის სადაც ახალშობილი უზრუნველყოფილია განათლებისა და ჯანდაცვის იდეალური დონით ეს მაჩვენებელი იქნება 1-ის ტოლი. შედარებისათვის, ეს მაჩვენებელი აშშ-სათვის შეადგენს 0,76%-ს, კანადაში – 0,80, გერმანიაში 0,79, ფინეთში 0,81, HCI მსოფლიოში ყველაზე მაღალი აქვს სინგაპურს და მისი მნიშვნელობა ტოლია 0,88-ს უტოლდება (Worldbank.org).

მეორე ადგილზე ევროპის განვითარებად ქვეყნებში (მე-14 გლობალური) უკავია ჩეხეთის რესპუბლიკას, რომლისათვისაც ამ ინდექსის მნიშვნელობა 0.78, სერბეთი 27-ე ადგილზეა, 0.76 მნიშვნელობით, ესტონეთი და პოლონეთი კი 30-ე ადგილზე ინდექსით – 0,75. ევროპის ქვეყნების სტატისტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სლოვენიასათვის ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი ((HCI) 0,79 შეადგენს რაც ყველაზე მაღალია ევროპის განვითარებად ეკონომიკებს შორის (გლობალური თვალსაზრისით მე-13 ადგილი). ევროკავშირის ქვეყნებში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს რუმინეთს, რომელიც ტოლია 0,60. 2012 დან 2017 წლამდე პერიოდში HCI მნიშვნელობა რუმინეთისათვის შემცირდა 0,63-დან 0,60-მდე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსათვის ეს მაჩვენებელი 0,61-ის ტოლია, რაც არც თუ სახარბიელოა და რაც ცხადია გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოში ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესახებ (თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ.2019).

ნახ. 2. ადამიან-კაპიტალის ინდექსი (HCI) 2018 წლისათვის

Rank	Economy	HCI score	Rank	Economy	HCI score	Rank	Economy	HCI score
157	Chad	0.29	104	Egypt, Arab Rep.	0.49	51	Mongolia	0.63
156	South Sudan	0.30	103	Honduras	0.49	50	Ukraine	0.65
155	Niger	0.32	102	Nepal	0.49	49	United Arab Emirates	0.66
154	Mali	0.32	101	Dominican Republic	0.49	48	Vietnam	0.67
153	Liberia	0.32	100	Cambodia	0.49	47	Bahrain	0.67
152	Nigeria	0.34	99	Guyana	0.49	46	China	0.67
151	Sierra Leone	0.35	98	Morocco	0.50	45	Chile	0.67
150	Mauritania	0.35	97	El Salvador	0.50	44	Bulgaria	0.68
149	Côte d'Ivoire	0.35	96	Tunisia	0.51	43	Seychelles	0.68
148	Mozambique	0.36	95	Tonga	0.51	42	Greece	0.68
147	Angola	0.36	94	Kenya	0.52	41	Luxembourg	0.69
146	Congo, Dem. Rep.	0.37	93	Algeria	0.52	40	Slovak Republic	0.69
145	Yemen, Rep.	0.37	92	Nicaragua	0.53	39	Malta	0.70
144	Burkina Faso	0.37	91	Panama	0.53	38	Hungary	0.70
143	Lesotho	0.37	90	Paraguay	0.53	37	Lithuania	0.71
142	Rwanda	0.37	89	Tajikistan	0.53	36	Croatia	0.72
141	Guinea	0.37	88	Macedonia, FYR	0.53	35	Latvia	0.72
140	Madagascar	0.37	87	Indonesia	0.53	34	Russian Federation	0.73
139	Sudan	0.38	86	Lebanon	0.54	33	Iceland	0.74
138	Burundi	0.38	85	Jamaica	0.54	32	Spain	0.74
137	Uganda	0.38	84	Philippines	0.55	31	Kazakhstan	0.75
136	Papua New Guinea	0.38	83	Tuvalu	0.55	30	Poland	0.75
135	Ethiopia	0.38	82	West Bank and Gaza	0.55	29	Estonia	0.75
134	Pakistan	0.39	81	Brazil	0.56	28	Cyprus	0.75
133	Afghanistan	0.39	80	Kosovo	0.56	27	Serbia	0.76
132	Cameroon	0.39	79	Jordan	0.56	26	Belgium	0.76
131	Zambia	0.40	78	Armenia	0.57	25	Macao SAR, China	0.76
130	Gambia, The	0.40	77	Kuwait	0.58	24	United States	0.76
129	Iraq	0.40	76	Kyrgyz Republic	0.58	23	Israel	0.76
128	Tanzania	0.40	75	Moldova	0.58	22	France	0.76
127	Benin	0.41	74	Sri Lanka	0.58	21	New Zealand	0.77
126	South Africa	0.41	73	Saudi Arabia	0.58	20	Switzerland	0.77
125	Malawi	0.41	72	Peru	0.59	19	Italy	0.77
124	eSwatini	0.41	71	Iran, Islamic Rep.	0.59	18	Norway	0.77
123	Comoros	0.41	70	Colombia	0.59	17	Denmark	0.77
122	Togo	0.41	69	Azerbaijan	0.60	16	Portugal	0.78
121	Senegal	0.42	68	Uruguay	0.60	15	United Kingdom	0.78
120	Congo, Rep.	0.42	67	Romania	0.60	14	Czech Republic	0.78
119	Botswana	0.42	66	Ecuador	0.60	13	Slovenia	0.79
118	Timor-Leste	0.43	65	Thailand	0.60	12	Austria	0.79
117	Namibia	0.43	64	Mexico	0.61	11	Germany	0.79
116	Ghana	0.44	63	Argentina	0.61	10	Canada	0.80
115	India	0.44	62	Trinidad and Tobago	0.61	9	Netherlands	0.80
114	Zimbabwe	0.44	61	Georgia	0.61	8	Sweden	0.80
113	Solomon Islands	0.44	60	Qatar	0.61	7	Australia	0.80
112	Haiti	0.45	59	Montenegro	0.62	6	Ireland	0.81
111	Lao PDR	0.45	58	Bosnia and Herzegovina	0.62	5	Finland	0.81
110	Gabon	0.45	57	Costa Rica	0.62	4	Hong Kong SAR, China	0.82
109	Guatemala	0.46	56	Albania	0.62	3	Japan	0.84
108	Vanuatu	0.47	55	Malaysia	0.62	2	Korea, Rep.	0.84
107	Myanmar	0.47	54	Oman	0.62	1	Singapore	0.88
106	Bangladesh	0.48	53	Turkey	0.63			
105	Kiribati	0.48	52	Mauritius	0.63			

წყარო: WDR.2019

მსოლიო ბანკისა და გაეროს მიერ შემუშავებული ზემოთ განხილული ინდიკატორების გარდა საკმაოდ პოპულარულ ინდიკატორს წარმოადგენს მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებელი, ანუ მოსწავლეთა (როგორც სკოლის საფეხურის, ასევე უმაღლეს სასწავლო დაწესებულების) რაოდენობის შეფარდება ამ ასაკობრივი ჯგუფის ადამიანთა რაოდენობასთან (Barro, 1991, Romer, 1990). ამგვარი თანაფარდობის გაანგარიშების მიზანია შეფასდეს ადამიან-კაპიტალის მარაგი ეროვნულ ეკონომიკაში. ადამიანისეული კაპიტალის საზომად იყენებენ აგრეთვე ისეთ მაჩვენებლებს როგორიცაა: განათლების დონე და სწავლის საშუალო ხანგრძლივობა, ადამიანისეული კაპიტალის აგრეგირებული ინდექსი, მაჩვენებლები, რომლებიც აკავშირებს ადამიანისეულ კაპიტალს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან და ინოვაციებთან (მაგ, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების რაოდენობა, ციტირების ინდექსები, პატენტების რაოდენობა და ა.შ.).

რაც შეეხება ***მონეტარულ საზომებს,*** განიხილება ორი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი თავის მხრივ მოიცავს დანახარჯების მიხედვით და შემოსავლების მიხედვით გაზომვას. დანახარჯების მიხედვით ადამიან-კაპიტალის გაზომვა ეფუძნება იმ ინვესტიციების გაზომვას, რომელიც მიმართულია ადამიან-კაპიტალის განვითარებაზე. ამ მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რომელი დანახარჯები განიხილება ინვესტიციების როლში. აქაც განიხილება ორი მიდგომა: ერთის მიხედვით ესაა დანახარჯები, რაც აუცილებელია ადამიანის ნორმალური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის, ხოლო მეორეს მიხედვით კი მიმართულია ფორმალურ განათლებაზე – HCI (Human Capital Investment). მსოფლიო ქვეყნებს შორის განსხვავება ადამიან-კაპიტალში ინვესტიციებში საკმაოდ დიდია. ადამიან-კაპიტალის ინდექსი HCI წარმოადგენს საზომს, რომელიც ზომავს ქვეყნებს შორის განსხვავებას ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიციების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მაღალია კორელაცია ინვესტიციებს ადამიან-კაპიტალში და მოსახლეობის ერთ სულ გაანგარიშებულ მთლიან სამამულო პროდუქტს (GDP per capita) შორის. ამასთან, ეს კავშირი არაა ცალმხრივი. საუბარია მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების მიმართულებაზე: ადამიან-კაპიტალს შეაქვს წვლილი შემოსავლების დინამიკაში – გამოშვების ზრდაში და თავის მხრივ მდიდარ ქვეყნებს შეუძლიათ მეტი ინვესტიცია განახორციელონ თავიანთ ბავშვებში. ძლიერი კორელაცია განპირობებულია აგრეთვე ისეთი ძლიერმოქმედი ფაქტორების არსებობით, როგორიცაა ინსტიტუციების ხარისხი, რომელიც გავლენას ახდენს როგორც შემოსავლების მოცულობაზე, ასევე ინვესტიციებზე ადამიანისეულ კაპიტალში.

შემოსავლებზე დაფუძნებული მიდგომა ზომავს ადამიან-კაპიტალს იმ ანაზღაურების მიხედვით, რომელსაც ინდივიდი იღებს შრომის ბაზრიდან, განათლებაში ინვესტიციის შემდგომ. ამ მიდგომიდან გამომდინარე ადამიან-კაპიტალი შესაძლოა გაიზომოს უკუგების მიხედვით და ემყარება დაშვებას, რომ სხვაობა ანაზღაურებაში დამოკიდებულია განათლებაზე, მაგრამ ამგვარი მიდგომა წინააღმდეგობრივი შეიძლება აღმოჩნდეს. ჯონ მინსერის (Mincer, 1997) მიერ აგებული მოდელის მიხედვით, მუშაკთა შემოსავლების ლოგარითმი მათი განათლების ხანგრძლივობის წრფივი ფუნქციაა, ანუ განათლების ყოველი დამატებითი წელი შემოსავლებს ზრდის გარკვეული პროცენტით – შემოსავლის ნორმით. ადამიან-კაპიტალის ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის შეფასებისათვის ძირითადად გამოიყენება კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქცია ან მისი მოდიფიკაცია, ხოლო შემოსავლების მიხედვით ადამიან-კაპიტალის გაზომვისათვის ემპირიული კვლევების უმრავლესობა ეყრდნობა ლოგარითმული ფუნქციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიან-კაპიტალის გაზომვის მეთოდები მრავალფეროვანია და ასახავს ამ მახასიათებლის სიღრმისეულ ბუნებას. ადამიან-კაპიტალის გარეშე შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, ისევე როგორც კვალიფიციურ მუშაკთა კონტინგენტის ფორმირება და მსოფლიო ეკონომიკურ არენაზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება. ამიტომ, მნიშვნელოვანია აუცილებელი პირობების შექმნა ადამიან-კაპიტალის განვითარებისათვის, სახელმწიფოს კი ყურადღების ფოკუსირება მართებს სწორედ ამ ფაქტორზე, მომავალში შედეგების მისაღებად.

ლიტერატურა

1. თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ. ადამიანისეული კაპიტალის როლი ინკლუზიური მწვანე ზრდის უზრუნველყოფაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების თანამედროვე პრობლემები. თბილისი, 2019;
2. Advancing Green Human Capital. A FRAMEWORK FOR POLICY ANALYSIS AND GUIDANCE. ILO, 2017.
3. Barro, R. J. (1991). Economic Growth in a Cross Section of Countries. The Quarterly Journal of Economics, 106(2), 407-419. http://dx.doi.org/10.2307/2937943
4. Gang Liu and Barbara M. Fraumeni. Human capital measurement: country experiences and international initiatives. Cambridge University Press. Available at: https://www.cambridge.org/core/books/world-economy/measuring-human-capital-country-experiences-and-international-initiatives/906D913D0AC014F1CB61C768AB510B96
5. Ehrlich I., Dunli Li, Zhiqiang Lui. (2017). The Role of Entrepreneurial Human Capital as a Driver of Endogenous Economic Growth. Journal of Human Capital, vol 11(3), p. 310-351.
6. Ivo Šlaus and Garry Jacobs. Human Capital and Sustainability. „Sustainability" 2011, #3, 97-154; doi:10.3390/su3010097.
7. Inclusive Wealth Report 2018. Measuring Progress Towards Sustainability. Taylor and Francis Group. New York, 2018.
8. Mankiw, N. G., Romer, D., & Weil, D. R. (1992). A contribution to the empirics of economic growth. Quarterly Journal of Economics, 107, 407–438.
9. Mincer, J. J. (1997). The Production of Human Capital and the Life Cycle of Earnings: Variations on a Theme.

Journal of Labor Economics, 15 (1), S26-S47. http://dx.doi.org/10.1086/209855

10. Mincer J, 1995, Economic Development, Growth of Human Capital, and the Dynamics of the Wage Structure, 1994-95 Discussion Paper Series No. 744, (September), Columbia University, p.38.
11. Romer, P. M. (1990). Human capital and growth: theory and evidence. National Bureau of Economic Research Working Paper No. 3173.
12. www. Worldbank.org

HUMAN CAPITAL AND IT'S MEASUREMENT APPROACHES

Totladze Lia
Doctor of Economics,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Khuskivadze Mamuka
Doctor of Economics,
Paata Gugushvili Institute of Economics

Summary

Human capital is one of the fundamental factor for sustainable and inclusive growth. In this paper highlighted that without human capital it is impossible to achieve sustainable economic growth, as well as the formation of qualified workers controllers and maintain competitiveness on the world economic arena. Therefore measurement of human capital is undisputed.

This study aims at providing a theoretical concept of human capital and its measurement that have been continually developed and empirically testing for decades. The paper discusses about human capital measuring methodologies. There are three general approaches to human capital measurement; The article deals with the essence of the human capital index as the new measure of human capital. Human capital index is developed by the World Bank and focuses on the productivity of next generation.

Keywords: *Human Capital, Human Capital Index, Economic Growth.*

თურქი მეწარმეების სოციალური კაპიტალი საქართველოში

თოქმაზიშვილი მიხეილ
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი,
თბილისის ღია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ
და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

ნაშრომში დახასიათებულია თურქი ბიზნესმენების სოციალური კაპიტალი საქართველოში. კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება კონცეპტუალურ მიდგომას, რომლის თანახმად, ბიზნესის განხორციელება სამ ძირითად პილარზე – ადამიანური კაპიტალის, სოციალური კაპიტალის და ბიზნესის მხარდამჭერ მექანიზმებზე არის დაფუძნებული. ადამიანური კაპიტალის ძირითადი განზომილებებად მიჩნეულია ენის ცოდნა და განათლება; სოციალური კაპიტალის – ინფორმაციული ქსელი, ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, ხოლო ბიზნესის მახასიათებლები და მხარდამჭერი ფაქტორებია ბიზნესის ზომა, გამოცდილება, საწყისი კაპიტალი, კანონმდებლობა, რისკები და მისი თავიდან აცილების სტრატეგია. ამ კონცეფციის საფუძველზე შემუშავებული იქნა კითხვარი და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების გზით გამოიკითხა საქართველოში 45 საწარმოს დამფუძნებელი თურქეთის რეზიდენტი.
როგორც ჩვენი კვლევა ადასტურებს, საქართველოში დაფუძნებულ თურქულ საწარმოებს არ გააჩნიათ საკმარისი და საჭირო რესურსები წარმოების მასშტაბების გასაზრდელად. მეწარმეები ცდილობენ იპოვონ მხარდაჭერა, დაამყარონ კონტაქტები ქსელების საშუალებით, რათა უზრუნველყონ წარმოება რესურსებით. ამით ისინი აქცენტს სოციალური კაპიტალის ფლობაზე აკეთებენ. სოციალური კაპიტალის ფლობა მნიშვნელოვანია მიგრანტი ბიზნესმენებისათვის, რადგან ის არის ინსტრუმენტი, რომელიც ემიგრანტთა ჯგუფს საშუალებას აძლევს განავითაროს ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობები ფართო მასშტაბით
გამოვლენილია, რომ საქართველოში თურქი ბიზნესმენების საქმიანობა არის დაფუძნებული საქართველოში არსებულ მიმზიდველ გარემოზე და მათი მოლოდინი ემყარება საქმიანობის ხანგრძლივი ვადით გაგრძელების სურვილს. მათი გამოცდილების და განათლების გამოყენებამ შეიძლება პოზიტიურად ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე
მათი ბიზნესის მხარდაჭერაში მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის და მეგობრებთან ურთიერთობები, რომლის ძირითად ბარიერს შეადგენს ენობრივი განსხვავებები, კულტურული მრავალფეროვნება (განსაკუთრებით რესტორნების სფეროში) და ინფორმაციული სიმცირე. ურთიერთდახმარებები მეგობრების და ნათესავების ქსელების მეშვეობით არის სამართლებრივ და საგადასახადო საკითხებში სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობების და სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის გზა, ასევე ეს ურთიერთობები არის სხვადასხვა წინააღმდეგობების გადალახვის და მდგრადობის უზრუნველყოფის ძირითადი სტრატეგია.
თურქი ბიზნესმენების ბიზნესის კეთების და საქართველოს გარემოსთან ინტეგრაციის ძირითადი ფაქტორებია ქართული ენის ცოდნა, სოციალური ქსელების არსებობა და ხელმისაწვდომობა სახელმწიფო ინსტიტუტებთან. ქართული ენის შესწავლა არის მოთხოვნადი თურქ ბიზნესმენებში და ამ მიმართულებით პროგრამების დანერგვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათ ინტეგრაციას საქართველოში. ენის გარდა, რომელიც მნიშვნელოვანი ფაქტორია ბიზნესის გასაკეთებლად და სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობების დამყარებაში, სოციალური ქსელები არის თურქი ბიზნესმენების არსებითი რესურსი, რომელიც აძლიერებს მათ. პერსონალური ურთიერთობების გზით ისინი ახდენენ ინტეგრაციას ქართულ ბიზნეს გარემოსთან. იგი დაფუძნებულია როგორც თურქი ბიზნესმენების არაფორმალურ კავშირებზე, ასევე ადგილობრივ ბიზნეს ასოციაციებთან და ადგილობრივ თემებთან ურთიერთობაზე. ეს კავშირები მნიშვნელოვნად ამცირებს კულტურულ წინააღმდეგობებს და სხვა ფაქტორების ნეგატიურ გავლენას. იგი მათთვის ინფორმაციის მიღების წყაროებია. ამ თვალსაზრისით თურქი მეწარმეების სოციალურ კაპიტალი ეფუძნება არაფორმალური კავშირებიდან გაწეულ დახმარებებს. ადგილობრივ თემებს და ბიზნესმენებთან თურქი მეწარმეების დამოკიდებულება არის ლოიალური და მეგობრული. ისინი მხოლოდ გარკვეული ზომით ახდენენ ამ ურთიერთობების გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური კაპიტალი, მეწარმეობა, თურქეთი, საქართველო.*

კონცეფცია და მეთოდოლოგია. მეწარმეებს საკუთარი ბიზნესის განვითარებისთვის სჭირდებათ ისეთი რესურსები, როგორიცაა შრომა და კაპიტალი. შრომა და კაპიტალი არის ბიზნესის ძირითადი მამოძრავებელი ძალები. თუმცა, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, საქართველოშო დაფუძნებულ საწარმოებს, როგორც ჩვენი კვლევა ადასტურებს, არ გააჩნიათ საკმარისი და საჭირო

რესურსები წარმოების მასშტაბების გასაზრდელად. მეწარმეები ცდილობენ იპოვონ მხარდაჭერა, დაამყარონ კონტაქტები ქსელების საშუალებით, რათა უზრუნველყონ წარმოება რესურსებით. ამით ისინი აქცენტს სოციალური კაპიტალის ფლობაზე აკეთებენ. სოციალური კაპიტალის ფლობა მნიშვნელოვანია მიგრანტი ბიზნესმენებისათვის, რადგან იგი არის ინსტრუმენტი, რომელიც ემიგრანტთა ჯგუფს საშუალებას აძლევს განავითაროს ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობები ფართო მასშტაბით (1, გვ. 213-219; 2, გვ 301-331; 4, გვ 294-309).

ბიზნეს საქმიანობებზე ზემოქმედება სხვადასხვა გზებით ხდება სოციალური კაპიტალის ბუნებიდან გამომდინარე. სოციალური კაპიტალი როგორც შემაკავშირებელი ძალა, კარგი გზაა ეთნიკური ჯგუფების ან ოჯახების სოლიდარობისათვის. იგი უზრუნველყოფს ინფორმაციულად, ფინანსურად და სხვა საშულებებით სოციალური ჯგუფებს სოციალური ქსელების ფარგლებში. სოციალური ქსელები არის სოციალური კაპიტალის უზრუნველყოფის ხიდი, როდესაც სოციალურ ჯგუფებსა და უმცირესობებს წარმოეშვებათ განსაკუთრებით, ფიზიკური კაპიტალის ნაკლებობა. (5; 4, გვ. 294-309).

სოციალური კაპიტალი არის კონკრეტული დახმარება და რესურსები, რომელიც ქსსელებიდან იქმნება (6, გვ. 5). მისი ფლობა არის მრავალფეროვანი და რთული, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ძლიერი სოციალური კაპიტალით სარგებლობს ძირითადად იმიგრანტული ან მინორების ბიზნესი (3, გვ. 307-325; 4, გვ. 294-309).

ბიზნესმენების უმცირესობა დაინტერესებულია დაეყრდნოს ოჯახურ და ეთნიკურ რესურსებსა და სოციალურ ქსელებს. თუმცა, კვლევები ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბიზნესის მფლობელთა უმცირესობათა სამეწარმეო საქმიანობა შესაძლოა განხორციელდეს შეზღუდული მობილურობთაც, შეზღუდული ხელმისაწვდომობით ფინანსებზე ან შეზღუდული ადამიანური კაპიტალით. უფრო მეტიც, სოციალური კაპიტალის სარგებელი ღრმა კავშირშია ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტთან (4, გვ. 294-309).

სოციალურ კაპიტალის შესახებ მრავალი ნაშრომი არსებობს. უმცირესობათა ბიზნესის შესახებ კვლევები ინტენსიურად დასავლეთის ქვეყნებში ტარდება, ძირითადად აშშ-ში, რადგან მას აქვს იმიგრაციის ხანგრძლივი ისტორია.

თურქეთში საქართველოს ბიზნეს რეზიდენტების და საქართველოში თურქი ბიზესმენების საკითხი შესწავლილი ჯერ არ ყოფილა. საქართველოს ბაზარი ბოლო დროს თურქი ბიზნესმენებისთვის მნიშვნელოვანი ბიზნეს-მიმართულება გახდა. საქართველოში მრავალია თურქული წარმოება, რომელიც ხანგრძლივი პერიოდით ფუქნციონირებს.

საქართველოში თურქი ბიზნესმენების ძლიერი ბიზნეს კომუნიკაცია ჩამოყალიბდა. ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში თურქი ბიზნესმენების სოციალური კაპიტალის როლის გარკვევას, სოციალური კაპიტალის ფლობის ბარიერებისა და ნაკლოვანებების გამავლინებას. კვლევის მთავარი კითხვაა, თუ რა ფაქტორები მოქმედებს ბიზნესის მფლობელების სოციალური კაპიტალის ფორმირებაზე? [1]

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება კონცეპტუალურ მიდგომას, რომლის თანახმად, ბიზნესის განხორციელება სამ ძირითად პილარზეა არის დაფუძნებული: ადამიანური კაპიტალის, სოციალური კაპიტალის და ბიზნესის მხარდამჭერ მექანიზმებზე. ადამიანური კაპიტალის ძირითადი განზომილებებია ენის ცოდნა და განათლება; სოციალური კაპიტალის – ინფორმაციული ქსელი, ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, ინფორმაციის და კონსულტაციების მიღების კოლექტიური ქსელის არსებობა, ხოლო ბიზნესის მახასიათებლები და მხარდამჭერი ფაქტორებია ბიზნესის ზომა, გამოცდილება, საწყისი კაპიტალი, კანონმდებლობა, რისკები და მისი თავიდან აცილების სტრატეგია (იხ სქემა 1),

[1] კვლევის ეს მიმართულება თავიდან შემოთავაზებული იყო ანკარის ევრაზიის უნივერსიტეტის პროფესორის, Burkak Hevruner მიერ. კვლევა ასევე ითვალისწინებდა თურქეთში საქართველოს რეზიდენტი ბიზნესმენების სოციალური კაპიტალის გარკვევას, მაგრამ ქართველების მიერ დაფუძნებული საწარმოები თურქეთში ვერ იქნა მოძიებული.

სქემა 1

თეორიული კონცეფციის სქემა



ამ კონცეფციის საფუძველზე ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების გზით გამოიკითხა საქართველოში 45 საწარმოს დამფუძნებელი თურქეთის რეზიდენტი, რომლებსაც ჰქონდათ მოქმედი ბიზნესი საქართველოში. გამოკითხულთა 45 % შეადგენდა ვაჭრობის სფეროს, 25 % – რესტორნების სფეროს, ხოლო დანარჩენი კი – ტრანსპორტის, მშენებლობის, ტურიზმის და სხვადასხვა მომსახურების (სილამაზის სალონი, ფინანსური შუამავლობა, კვების კონტროლი და სხვ) სფეროს. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა იყო კაცი (82 %), სამი მეოთხედი – 35-54 წლის ასაკის და ნახევარზე მეტს ჰქონდა აქვს უმაღლესი განათლება მიღებული.

გამოკითხულთა მხოლოდ 18 % იყო საშუალო ზომის საწარმოს დამფუძნებელი, სადაც დასაქმებულია 50-ზე ნაკლები ადამიანი, ხოლო -50 % იყო მცირე საწარმოს მფლობელი 10-ზე ნაკლები დასაქმებულით. 30 % კი – მიეკუთვნება მიკროსაწარმოს. საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა (68%) 1-10 წელია, რაც საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებს. მათ ნახევარს საქმიანობის 6-10 წლის გამოცდილება გააჩნდათ.

კვლევის შედეგები. რესპონდენტებს დაუსვეს კითხვა, თუ რატომ დაიწყეს მათ ბიზნესსაქმიანობა საქართველოს ბაზარზე. გამოკითხულთა ერთი მესამედი საქართველოს ბაზარზე საქმიანობის ძირითად მიზეზად ასახელებს მაღალი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას, ერთი მეოთხედი კი ისეთ მიზეზებს, როგორიცაა ოჯახთან სიახლოვე და საქართველო როგორც მიმზიდველი ქვეყანა, 22 % – დამოუკიდებლობას, ხოლო – 13 % – თურქეთში სამუშაოს ნაკლებობას. საქართველოში ბიზნესის დაწყება საქართველოში არსებულ კეთილგანწყობილ კლიმატს უკავშირდება. დიდია სოციალური ქსელის მნიშვნელობა.

გამოკითხულთა 27 % ბიზნესი დაიწყო ქართველი მეგობრების ხელშეწყობით, 18 % – თურქი მეგობრების მეშვეობით, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ. ამასთან, მათმა მესამედმა დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება, ხოლო მეორე მესამედმა კი – საქართველოში ბიზნეს ასოციაციების რჩევით. ამდენად, თურქული კომპანიების დაფუძნებაში და თურქული კაპიტალის მოზიდვაში ადგილობრივი მოსახლეობა და ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. თურქი მეწარმეების სამმა მეოთხედმა გამოიყენა სოციალური კაპიტალი ბიზნესის დასაწყებად საქართველოში.

კითხვაზე, თუ რა არის საქართველოში ბიზნესის კეთების ყველაზე დიდი ბარიერი, გამოკითხულთა 25 % ენას მიჩნევს. სხვა დანარჩენი ფაქტორები კი შედარებით უმნიშვნელოა და ნაწილდება ისეთ გარემოებებზე, როგორიცაა ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობა, უძრავი ქონების შეძენის სირთულეები, ბიზნეს რეგულაციები, ბიუროკრატია, ბიზნესის კეთების გამოცდილების არქონა საქართველოში და სხვ.

ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობის პრობლემის გადაჭრის ძირითად გზად რესპონდენტები ასახელებენ საკუთარი დანაზოგების შექმნას (72 %). მათი მხოლოდ მცირე რაოდენობას აქვს ბანკის სესხები ან ნათესავების და მეგობრებისგან აღებულ სესხები. ფინანსების მოძიებაში ადგილობრივი ბანკები და ნაცნობებისაგან აღებული სესხები არ არის მათი ბიზნესის მამოძრავებელი ძალა.

თურქი ბიზნესმენები დიდი როს ანიჭებენ ინსტიტუციურ მხარდაჭერას ბიზნესში. გამოკითხულთა 23 % მიზანშეწონილად მიიჩნევს ისეთი მხარდაჭერას, როგორიცაა მარკეტინგის სფეროში რჩევები და ტრეინინგები, კონსულტაციები იურიდიულ საკითხებში და ფინანსებში (18 %). მათი პრობლემაა ადგილობრივ ბაზართან ადაპტაცია. ამისათვის კი რესპონდენტთა ნახევარი, ძირითადად მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, ირჩევს დამატებითი ინფორმაციის და კონსულტაციების მიღებას ადგილობრივი სახელმწიფო და კერძო ინსტიტუტებისაგან.

თურქი მეწარმეების საქართველოს ბიზნეს სპექტრში ინტეგრაციის მაჩვენებელია მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში. მეწარმეების ნახევარზე მეტს არ აქვს მიღებული მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში. რომლის მიზეზებიცაა რწმენა მათი ბიზნესის დაბალი კონკურენციის შესახებ (27 %), ინფორმაციის უქონლობა (35 %) ან ინტერესის არარსებობა (20 %).

გამოკითხულთა ნახევარს ჰყავს ადგილობრივი პარტნიორი ან ერთობლივად საქმიანობენ ადგილობრივ ბიზნესმენებთან, ხოლო ვისაც არ აქვს ასეთი საპარტნიორო ქსელი, ძირითად მიზეზად ასახელებენ ენობრივ ბარიერს ან ნდობის დეფიციტს (36-36 %). კულტურული განსხვავებები არის ბარიერი გამოკითხულთა მხოლოდ 4%-ისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ თურქი ბიზნესმენები სოციალურ გარემოს ანიჭებენ პოზიტიურ მნიშვნელობას, გამოკითხულთ ნახევარზე მეტი არ არის ჩართული პარტნიორული ქსელში. ისინი ინდივიდუალურად საქმიანობენ ბაზრებზე. გამოკითხულთა 47 % არის კმაყოფილი თავიანთი ბიზნესით უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში, ხოლო 22 % კი მიიჩნევს, რომ მათი ბიზნესი არის სუსტი. მათ 40 % მიაჩნია, რომ მომავალში ბიზნესი გაიზრდება, ხოლო 43 % კი მიიჩნევს, რომ ბიზნესი სტაბილური იქნება. მხოლოდ 18 % აღიარებს, რომ ბიზნესი გაუარესდება. ეს შეფასებები ასახვს თურქული ბიზნესის პერსპექტივებს საქართველოში თურქი მეწარმეების აღქმით.

მრადამჭერ სერვისებთან დამოკიდებულების შესახებ, თურქი მეწარმეების 52 % ასახელებს, რომ მათ არ აქვთ პრობლემები, ხოლო 18-18 % კი მიაჩნია, რომ არსებობს ისეთ პრობლემები, როგორიცაა სამედიცინო დაზღვევა და საცხოვრისი. მხოლოდ 6-6 % ამახვილებს ყურადღებას ტრეინინგებსა და სამართლებრივ მომსახურებაზე. ამ პრობლემების ძირითადი მიზეზია ენობრივი ბარიერი (11 %), დოკუმენტაციის ნაკლებობა (7 %), სამართლებრივი შეზღუდვები (9 %) და დისკრიმინაციული მოდგომა (13 %). რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ დისკრიმინაციულ მიდგომაზე, არის რესტორნის მეპატრონე. კულტურული და რელიგიური განსხვავებები, რომლის შესაბამისად საზოგადოება ირჩევს რესტორნების ტიპს, ზემოთ აღნიშნული რესპონდენტები დისკრიმინაციულ მიდგომად აღიქვამენ. საქართველოში საკმაოდ დიდია თურქეთის მოქალაქეების რაოდენობა და ისინი ირჩევენ თურქულ რესტორანს, მაშინ როდესაც ქართველები – ძირითადად ქართულ რესტორანში ატარებენ თავისუფალ დროს.

თურქი მეწარმეები, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისათვის მიმართავენ როგორც ოჯახის წევრებს, რომლებიც ცხოვრებენ თურქეთში (22 %), ასევე საქართველოში მეგობრების წრეს (22 %). ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ვაჭრობის სფეროში. ყოველი ხუთი შემთხვევიდან ერთ შეთხვევაში ქართველებსა და თურქებს შორის პარტნიორული ურთიერთობები ერთმანეთის მხარდაჭერაშიც ვლინდება. შედარებით დაბალია ნათესავების მიერ გაწეული დახმარებების (11 %) მაჩვენებელი. მხოლოდ 13 % არის სახელმწიფოს მხარდაჭერის იმედად და 2 % კი – ბანკის.

მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორული ურთიერთობები ქმნიან ერთმანეთის მხარდაჭერის შესაძლებლობებს, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა თავის თემთან ურთიერთობას მიიჩნევს ყველაზე მნიშვნელოვნად (27 %), ხოლო 15 % კი ადგილობრივ მოსახლეობასთან აქვს ყოველდღიური ახლო საქმიანობა და ურთიერთობა, ისეთი ნდობა, რომ ისინი საკუთარ სახლსაც ანდობენ ერთმანეთს. მხოლოდ 13 %-ს არ აქვს ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან და 4 % კი აქვს ასეთი ურთიერთობა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში.

ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციაში პერსონალურ ურთიერთობებს აღიარებს გამოკითხულთა ერთი მესამედი, 20 % მიიჩნევს ქართული ენის ცოდნას აუცილებლად, ხოლო 22 % კი – უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ეს უკანასკნელი, განსაკუთრებით ვაჭრობის სფეროში, საწარმოების მფლობელებისათვის არის მნიშვნელოვანი, რომელთა განცდაც ვაჭრობაში სამართლებრივი საკითხებისადმი არის მგრძნობიარე. რესტორნების სფეროში კი გამოკითხულთა ერთი მესამედი აღიარებს, რომ ისინი არ მიიჩნევენ თავს ინტეგრირებულად და ვერ გრძობენ თავს როგორც საკუთარ სახლში დისკრიმინაციის გამო.

ამდენად, კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში თურქი ბიზნესმენების საქმიანობა არის დაფუძნებული საქართველოში არსებულ მიმზიდველ გარემოზე და მათი მოლოდინი ემყარება საქმიანობის ხანგრძლივი ვადით გაგრძელების სურვილს. მათი გამოცდილების და განათლების გამოყენებამ შეიძლება პოზიტიურად ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე მათი ბიზნესის მხარდაჭერაში მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის და მეგობრებთან

ურთიერთობები, რომლის ძირითად ბარიერს შეადგენს ენობრივი განსხვავებები, კულტურული მრავალფეროვნება, განსაკუთრებით რესტორნების სფეროში და ინფორმაციული სიმცირე. ურთიერთდახმარებები მეგობრების და ნათესავების ქსელების მეშვეობით არის სამართლებრივ და საგადასახადო საკითხებში სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობების და სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის გზა, სხვადასხვა წინააღმდეგობების გადალახვის და მდგრადობის უზრუნველყოფის ძირითადი სტრატეგია.

თურქი ბიზნესმენების ბიზნესის კეთების და ინტეგრაციის ძირითადი ფაქტორებია ქართული ენის ცოდნა, სოციალური ქსელების არსებობა და ხელმისაწვდომობა სახელმწიფო ინსტიტუტებთან (იხ. სქემა 2).

სქემა 2

ინტეგრაციის ფაქტორები



ქართული ენის შესწავლა არის მოთხოვნადი თურქ ბიზნესმენებში და ამ მიმართულებით პროგრამების დანერგვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათ ინტეგრაციას საქართველოში. ენის გარდა, რომელიც მნიშვნელოვანი ფაქტორია ბიზნესის გასაკეთებლად და სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობების დამყარებაში, სოციალური ქსელები არის თურქი ბიზნესმენების არსებითი რესურსი, რომელიც აძლიერებს მათ. პერსონალური ურთიერთობების გზით ისინი ახდენენ ინტეგრაციას ქართულ ბიზნესგარემოსთან. ის დაფუძნებულია როგორც თურქი ბიზნესმენების არაფორმალურ კავშირებზე, ასევე ადგილობრივ ბიზნესასოციაციებთან და ადგილობრივ თემებთან ურთიერთობაზე. ეს კავშირები მნიშვნელოვნად ამცირებს კულტურულ წინააღმდეგობებს და სხვა ფაქტორების ნეგატიურ გავლენას. იგი მათთვის ინფორმაციის მიღების წყაროებია. ამ თვალსაზრისით სოციალურ კაპიტალს შეადგენს არაფორმალური კავშირებიდან გაწეული დახმარებები. ადგილობრივ თემებსა და ბიზნესმენებთან თურქი მეწარმეების დამოკიდებულება არის ლოიალური და მეგობრული. ისინი მხოლოდ გარკვეული ზომით იყენებენ ამ ურთიერთობებს.

ლიტერატურა

1. Cope, J., Jack, S., & Rose, M. B. (2007). Social capital and entrepreneurship: An introduction. International Small Business Journal, 25(3), 213-219;
2. Davidsson P and Honig B (2003) The role of social and human capital among nascent entrepreneurs. Journal of Business Venturing 18(3): 301–331;
3. Deakins, D., Ishaq, M., Smallbone, D., Whittam, G., & Wyper, J. (2007). Ethnic minority businesses in Scotland and the role of social capital. International Small Business Journal, 25(3), 307-326;
4. Katila, S., & Wahlbeck, Ö. (2012). The role of (transnational) social capital in the start-up processes of immigrant businesses: The case of Chinese and Turkish restaurant businesses in Finland. International Small Business Journal, 30(3), 294-309.
5. Putnam RD (2000) Bowling Alone. The Collapse and Revival of American Community. New York: Simon and Schuster.
6. Sin Yi Cheung, Jenny Phillimore, Social networks, social capital and refugee integration. Research Report for Nuffield Foundation, 2013.p.5.

SOCIAL CAPITAL OF TURKISH ENTREPRENEURS IN GEORGIA

Tokmazishvili Mikheil
Doctor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Open University, School of Humanitarian and Social Sciences

Summary

The paper describes the social capital of Turkish businessmen in Georgia. The research methodology is based on a conceptual approach, in which doing business is based on three main pillars – human capital, social capital and business support mechanisms. The basic dimensions of human capital are language skills and education; Social capital – information network, relationship with local people; and dimensions of business characteristics and supporting factors are business size, experience, start-up capital, legislation, risks and strategies for risk avoidance. Based on this concept, a questionnaire was developed and semi-structured interviews were conducted with a Turkish residents founders of 45 enterprises in Georgia.

As our research shows, Turkish-based companies in Georgia do not have the necessary and sufficient resources to scale up production. Entrepreneurs strive to find support, and establish contacts through networks to acquire production resources. In doing so, they focus on owning social capital. Owning social capital is important for migrant businessmen as it is a tool that enables immigrants to develop economic and social relationships on a wider scale.

It has revealed that the businesses of Turkish businessmen in Georgia are based on the existing attractive environment in Georgia and their expect to continue their business in the long run. Using of their experience and education can have a positive impact on the development of the Georgian economy.

Relationships with local people and friends are important in supporting their businesses, but it is hampered by the key barriers such as language differences, cultural diversity (especially in the restaurant sector), and lack of information. Mutual assistance through networks of friends and relatives is a way of reaching state institutions on legal and tax matters and is a tactic for participating in public procurement, as well as a key strategy to overcome various obstacles and ensure sustainability.

Key factors for Turkish businessmen to do business and integrate with Georgian environment are knowledge of the Georgian language, availability of social networks and access to state institutions. Learning the Georgian language is a requirement of Turkish businessmen, and the introduction of programs in this area will significantly facilitate their integration into Georgia. In addition to language, which is an important factor for doing business and building relationships with state institutions, social networks are essential resources for Turkish businessmen to empower them. Through personal relationships, they integrate with Georgian business environment. It is based on both – informal relationships of Turkish businessmen with each other and on their relationships with local business associations and local communities. These networks greatly reduce cultural differences and the negative impact of other factors. Networks are their sources of information. In this respect, social capital of Turkish businessmen relies on assistance from informal networks. The attitude of Turkish entrepreneurs to local communities and businesses is loyal and friendly. They use this relationship only to some extent.

Keywords: *Social Capital, Entrepreneurship, Turkey, Georgia*

MILLENNIALS VERSUS NON-MILLENNIALS: THE CONTEXT OF ENGAGEMENT LEVELS ON INSTAGRAM STORIES

Israfilzade Khalil
Faculty of Economics and Management
Vytautas Magnus University

Babayev Najaf
Faculty of Economics and Management
Vytautas Magnus University

Ephemeral social media platforms, which displays rich media, primarily images and videos, are only accessible for a short-term period. It has lately got the attention of researchers in order to understand better, how ephemeral social media platforms are affecting social media users. We design quantitative survey study that sampling data collected over two weeks (N= 149*) to understand engagement differences (consuming, participating, producing) between Millennials and Non-millennials, on one of the leading ephemeral mobile platforms – on Instagram Stories. Our quantitative data demonstrated that Millennials show statistically significant differences by engaging Instagram Stories than Non-millennials. However, results unexpectedly demonstrate that non-millennials show the same engagement level in watching and reading ephemeral content as Millennials.*

Keywords: *Instagram Stories, Customer Engagement, Ephemeral Social Media, User-generated content, Millennials*

1. Introduction

Advanced technology has changed individuals living style in the 21st century, where social media has become the most significant action that additions more experience. It is because of the steady growth in the number of users around the world, which has additionally expanded the frequency from millions to billions regarding Social Media Platforms. Social media has become ubiquitous, and monthly active users are expected to reach 3.02 billion active users by 2021 (Chen and Cheung, 2019). Social media continues to grow and adds new features, replacing and improving old ones during its existence.

One of the latest trends and new user experience that getting popularity each day by adding millions of users is ephemeral social media platforms, has lately got the attention of researchers (Bayer et al., 2016; Piwek & Joinson, 2016; Billings et al., 2017; Belanche et al., 2019; Chen and Cheung, 2019). Modest definition of the ephemeral social media that allows the user to share post images and videos, that are only accessible for a short-term period (Bayer et al., 2016). In contrast of social media platforms that provide permanent archiving posts, ephemeral social media platforms like Snapchat, Instagram, Facebook, YouTube, WhatsApp allow an individual user to share content for a limited time with auto-deletion.

Ephemeral content is easy to create that unlike permanent content (Chen and Cheung, 2019), there is no need for careful planning, staging, and editing. That is great for users because it means they can maintain engagement and stay on their audience's radar while they are preparing more time-consuming and demanding permanent content. Using filters, GIFs, music or masks makes presenting of content much more attractive and less intrusive than classic old school contents that consumers used to.

Snapchat is one of the pioneer ephemeral social media platform that has launched in 2011 (Monteiro & Mazzilli, 2016; Bayer et al., 2016; Xu et al., 2016) and soon became a popular and very useful tool for sharing moments in a short period for the social media users. Thanks to its benefits after „Snapchat", giants like „Facebook", „Instagram", „YouTube" also added this feature. As the most popular ephemeral content which is used nowadays in social media is Instagram stories with 500 million daily active users (Statista, 2019b). Instagram Stories With the launch in August 2016, Instagram Stories are perhaps the most notable and innovative social network novelty of late (Belanche et al., 2019). Thanks to its styling, structure and presence and different from most of the social networks, where users need to scroll their timeline, Instagram stories appearing to the full screen for 15s. Then the user may follow a different story, and the user can move back and forth to previous and following stories in chronological order (Belanche et al., 2019).

Approximately two out of every three adults aged 18-29 use Instagram (Statista, 2019a) and this percentage has increased from 59% to 64% that demonstrates just how popular Instagram is within younger generations. The latest studies demonstrate that new social media platforms are perfect tools for boosting brand reputation as well as to reach younger audiences (Sasha et al., 2016; Barry et al., 2016). Millennials are the most active users of the Ephemeral social media that this generation grew up in a period of economic rise, the severe growth of online

social media and online streaming services (Parment, 2013). However, scholars as Cavalcanti et al. (Cavalcanti et al., 2017) and Xu et al. (Xu et al., 2016) describe that it is essential to enlarge more researches in order to understand better how ephemeral social media platforms are affecting social media users.

A variety of researchers have proposed classifications of engagement in the social media that conclude plenty of online activities in a restricted number of categories. One of the comprehensive researches made by Shao in 2009; his classification of user engagement includes consumption, participation and production (Shao, 2009). Furthermore, its dimensional kind of online behaviour that lets us distinguish between actions according to the user's engagement levels with content.

Based on the previous researches (Bayer et al., 2016; Israfilzade, 2017; Belanche et al., 2019), our aim of the study is to determine the differences between Millennials and Non-millennials in terms of their engagement classification (Shao, 2009) by consumption, participation and production in the case of Instagram Stories.

2. Related works

Ephemeral social media

Users are likely to spend more time on social networks rather than to watch TV; in mediocre 50% of the population use Facebook daily, and just about 39% watch TV (Cooper, 2018). Moreover, 40% of the users admit that they monitor the favourite brands on social networks (Global Index, 2018). One of the main revolutionary features for social media was ephemeral contents in the ephemeral social media platforms (Snapchat, Instagram stories, etc.). Being aware of that content vanishes, also decreases self-awareness in communication: no need to worry about unintended consumers and long-term content showcases, users are more confident to „let their guard down" and share hilarious, even the content that they could be hesitant to share on other social networks (Xu et al., 2016). There are plenty of causes why consumers love ephemeral content: the perfect fit for mobile devices; gives a feeling of authenticity; avoids clogging up the main feed with content (Bayer et al., 2016; Belanche et al., 2019).

Snapchat and Instagram create a sense of urgency for their subscribers to continually check the platform in hopes of not missing the content (VanDerslice, 2016). Snapchat – was the innovator for new norms in communication (several words; short, visual memes). It is also new standard in how „I define the relations with other people" (inclusion against the relations; acquaintances against friends/relatives; now against later; direct value against long-term value) (Sashittal et al., 2016). Instead of relying on the earlier large-format format of advertising which people see, holding the mobile devices vertically, Snapchat asks advertisers to develop content which can be browsed when the mobile device keeps in the vertical position (i.e. In its natural position). This step signals: "We have the correct technology. We bring the audience. You, the advertiser, should change." (Sashittal et al., 2016). As a native mobile app, Snapchat is built on sharing images "on the go" and consequently depends on mobile phone mobility (Schrock, 2015). This mobility allows people to post their pictures regardless of time and place, that is essential given Snapchat 's "modern" limitation.

Based on the research, which was done between college students, results were the followings: The sweet spot relates to the feeling of relativity, inclusivity and ease and has the potential promoting expansion of opportunities (Sashittal et al., 2016). In oral protocols of students of colleges, it is supposed that Snapchat is a perfect social network for development of brands of acquaintances: brands which aim to become a part of inclusive, nice on the touch experience or acquaintances to great extent of communication.

Ephemerality on Instagram Story

Bypassing the number of more than 800 million active users worldwide, Instagram takes the lead with the most considerable growth in Western countries (Statista, 2018), and over a million advertisers. It is not only one of the most popular virtual places, but also a social media where users likely to spend time (Sheldon and Bryant, 2016); as numbers show users stay on Instagram more than other leading social media platforms: 45% more than on Facebook, and 40 % more than on Twitter (Alter, 2018). The aim of Instagram differs from other social media platforms. Instagram is using the logic of individual self-promotion (Marcus, 2015) and pleasure (Casalo et al., 2017) in the social sphere. Instagram Stories allows users to get an ephemeral relationship in a strictly consumer-controlled environment (Sheldon and Bryant, 2016), in a place where users advertise themselves as individual brands. Instagram's story feature styled around the logic of „sharing a moment" during a short period, on just24 hours. Story feature creates a need and desire to check their Instagram more often to be aware of the content uploaded by the users they subscribe until the content totally disappears (Belanche et al. 2019). Stories are disappearing contents that combine videos and photos and create a slideshow gallery that tells a story. The content users chose for their Story will now be a series that their followers can swipe like a mini slide show on their devices for 24 hours until it disappears. For getting notified about the stories, content consumers will see a colourful circle next to their photos. Which means, their subscribers feed Instagram with new stories. All is needed to be done is a tap on the profile photo to see persons story.

The Stories feature on Instagram works differently. Even Snapchat was launched already presenting "Stories," this specification had not been launched on Instagram until August 2016 (Instagram Blog, 2017), and it completely changed the visual elements of the software. For example, Instagram shared statistics for January 2019; it reached 500 million daily active story users of its platform per day worldwide in comparison with 100 million for 2016 (Statista, 2019a). Also, most of the users (more than a half) are likely to be 34 years old and younger.

As Belanche's (2019) recent study results show, Instagram stories not only improve consumer attitudes toward advertisements but at the same time, changes perceived obsessions positively in compare to Facebook 's wall. Millennials are more concerned about advertising on Facebook rather than non-millennial users. Non-millennial is more loyal to Facebook advertisements when millennial people of both sexes and women from non-millennial are more loyal to Instagram Stories advertisements (Belanche et al., 2019). Due to that, the same research results demonstrate that it is more goal-oriented to focus on Instagram stories when organisations target millennial and non-millennial women, and on the Facebook wall when organisations target non-millennial men.

Development of hypotheses

Social media promotes interaction, collaboration and content sharing (Palmer, 2009). In young generations, such as Millennials, the use of ephemeral content promotes more communication (Saschittal et al., 2016). Millennials are the first generation to spend their life in a digital environment cause our age of information technology has a significant effect on how they live and work (Bennett et al., 2008; Wesner and Miller, 2008). Many scientists have established classifications for adding different online operations in a short number of categories.

It was found that Shao 's classification (2009) by consumption, participation and production was particularly useful. In particular, its dimensional nature from passive to more active forms of online behaviour allow us to distinguish between actions according to the required user effort and to confirm the triple classification using elements from other classifications.

Instagram Story statistics have the highest attendance among Millennials (59%). Still, while Gen Z users watch more stories (72% of users from Gen Z) watch "Stories" on Snapchat, in compare to (70% of users from Gen Z) on Instagram (VidMob, 2018). Besides, according to the same report (VidMob, 2018), the percentage of Instagram users who create content on Instagram is significantly lower than those who consume the network 's content -31% from Millennials and 39% among Gen Z.

The content of the Ephemeral social media platforms is user-generated content (UGC) (Bayer et al., 2016). The definition of the UGC, widely known in 2005, is usually associated with a description of different types of media content that are publicly available and produced by end-users (Kaplan & Haenlein, 2010). In the Organisation for Economic Co-operation and Development (OECD, 2007), user content (UGC) is defined as:

a) content made publicly available over the Internet,

b) which reflects a „certain amount of creative effort", and

c) which is „created outside of professional routines and practices".

Consuming is considered to be the most passive level of Instagram usage, and engages the entirely passive consumption of online content for information search and in the aim of entertainment, what is close to watching TV or reading magazines (Jansz et al., 2015). Yoo and Gretzel (2011) also have mentioned in their study that the most dominant method of involvement is surfing and consuming UGCs but not contributing. By consuming it, they can express their care, be updated latest information, find new trends (Israfilzade, 2017). Buying goods from websites, watching photos or videos, playing an online game- all of these show the activities we consider as a consumption.

H1: There is a statistically significant difference between Millennials and Non-Millennials' consuming on the Instagram Stories.

Shao (2009) states that people who exhibit "participating behaviour" share, evaluate, or comment only on existing content, whereas those who exhibit "producing behaviour" in creating new content. Fuchs (2013) mentioned in his book that a person who takes advantage of social media when evaluating and commenting could be recognized as a semi-active user. They may participate actively; However, they do not create any new and creative content in media. Participation includes actions that require more effort and engagement than consuming; nevertheless, that does not make it more challenging to perform in the actions, such as "tagging" a photo or assigning video stars. Shao (2009) argues that participation is often aimed at establishing and maintaining social relationships.

H2: There is a statistically significant difference between Millennials and Non-Millennials' participating in the Instagram Stories.

Shao, also (2009) suggests that the user-generated content is motivated by the need of self-estimation. The production demonstrates one of the most intense stages of Shao's categories and refers to users' new content to distribute on the given social media. Another way of involvement of UGC – creation and the publication of content (video, a photo, a podcast, music, the blog and the platform of social networks) created by itself (Shao, 2009).

Also, Chu and Kim (2011) have explored eWoM (an electronic word from the mouth) on social media, and production can be classified as an opinion giving that opinion when an individual provides information to others and influences them through that information.

H3: There is a statistically significant difference between Millennials and Non-Millennials' producing on the Instagram Stories.

3. Methods

SPSS statistic program was chosen to do data analysis and test hypotheses. As a primary data collection, the survey questionnaire was accurate in order to get overall outcomes. For collecting the responses for the survey was used Google Forums for creating the questionnaire. The questionnaire consisted of 12 questions which were formulated based on the related literature and divided into three groups of engagement level – consuming, participating and producing. Seven-point Likert scale question was chosen to collect more complete responses. Seven-point Likert scales are sensitive enough to gather a more precise assessment of the respondents and are more suitable for electronic distribution (Finstad, 2010). Each of the stated questions was responded on a seven-point Likert scale from Strongly Agree to Strongly disagree (Strongly Agree, Agree, Somehow Agree, Neutral, Somehow Disagree, Disagree, and Strongly Disagree).

Respondents were registered by using social media and email list after reaching through the online link for the questionnaire, which was posted on the university website, online platforms, shared with students, colleagues during May 2019. For each respondent, a single survey was allowed that was accessible only one week. After rejecting 11 responses that did not meet criteria (Age), the final sample consists of 149 individual results (Millennials (*n)*=91*;* Non-millennials (*n)*=58). Distribution of the gender was consequently Millennial female *(n)*=52 and male *(n)*=39; Non-millennials female *(n)*=37 and male *(n)*=21.

Measurement

For the questionnaire, measuring scales were constructed from Shao's (2009) research on the theoretical content of respectively variable. Table 1. illustrates the measure which was used to analyse each construction and the foundation. First three questions (QC1, QC2, QC3) designed to evaluate the consuming level of the engagement by watching, reading and following in the Instagram Stories. Next part consists of the questions (QPA1, QPA2, QPA3) regarding the participating level of the engagement. The final part purpose was to collect data for the producing level of the engagement.

Table 1. Constructs, scale items and source.

Construct	Item coding	Measurement	Adapted from
Consuming*	QC1.	Watching Story	*Shao (2009)*
	QC2.	Reading Story	
	QC3.	Exploring new hashtags and accounts	
Participating*	QPA1.	Answering Polls/ Questions	
	QPA2.	Sending message (commenting story)	
	QPA3.	Sharing other stories	
Producing*	QPR1.	Taking photo/ recording video	
	QPR2.	Uploading photo/video	
	QPR3.	Creating Polls/ Questions	
	QPR4.	Stories Highlights (archiving)	

Notes: *seven-point Likert scale

For testing the validity of the collected data (Table 2), it was also decided to test reliability and discriminant validity. By measuring Cronbach's alpha, was checked construct and composite reliability, and it was higher than 0.65 indexes as it is recommended (Steenkamp and Geyskens, 2006). Also, it was noted that the average variance extracted (AVE) are higher than 0.5 (Fornell and Larcker, 1981). The sections of each measure were positively correlated. Furthermore, thanks to the corroborating, it was proved that the ratio among constructs was lesser than the square root of the AVE for respectively construct. (Foreland Larcker, 1981). As well,

for distribution normality and the absence of multicollinearity problems, some tests were also done as it describes in Table 3. Skewness and Kurtosis values of ±2, which means it matches the distribution normality (Garson, 2012). All the kurtosis values are in the acceptable range of ±10 (Kline, 2011).

Table 2. Reliability tests.

	Cronbach's alpha	Average variance extracted (AVE)	Composite reliability (CR)
Consuming	0.81	0.73	0.89
Participating	0.69	0.82	0.60
Producing	0.72	0.83	0.72

Correlations values, which are above 0.70 or 0.90, considered as multicollinearity problems. Furthermore, according to Hair (1998) that the variance inflation factor for each item was under the recognised limit of 10.

Table 3. Normality and multicollinearity tests.

Item	Skewness	Kurtosis	VIF
QC1.	-0.54	1.37	2.40
QC2.	-0.47	0.51	1.74
QC3.	-0.37	0.05	2.26
QPA1.	-0.52	0.27	1.53
QPA2.	-0.18	0.03	1.68
QPA3.	-0.37	-0.06	1.65
QPR1.	-0.39	-0.21	1.49
QPR2.	-0.60	0.11	1.35
QPR3.	-0.19	-0.41	2.10
QPR4.	-0.16	-0.47	1.69

Note: VIF = Variance inflation factor

4. Results

For testing the effect on each dependent variable, it was decided to use ANOVA (analysis of variance) method, taking into account all the different conditions. As it is shown in Table 4. The results of the ANOVA analysis show that p-value is lower than 0.05, as it is recommended for the items. Only two dependents exceeded given boarder. One of them is „Watching story" (QC1) with the p-value greater than 0.05 (p =0.12). „Reading story" (QC2) surpassed the border of 0.05 and demonstrated 0.41 at last. That means there is no significant difference for „Reading story" between Millennials and Non-Millennials in the questioner. For Millennials the standard deviation varies between on the table 0.90-1.27, for Non-Millennials these numbers vary between 0.83-1.21.

For testing the hypotheses, each of the collected data was grouped for each hypothesis and analysed with ANOVA method. P-value was lower than recommended 0.05, and two from the three hypotheses gave a final result of 0.00 in the table. Standard deviation numbers did not exceed 0.92. The minimal standard deviation number for both Millennials and Non-Millennials was 0.65. Table 5 illustrates the result of hypotheses analyses.

Table 4. ANOVA analysis of items.

Item	Age				ANOVA	
	Millennials		Non-Millennials			
	Mean	SD	Mean	SD	*F(1, 147)*	*p-value*
QC1.	5.08	1.27	4.76	0.96	2.48	0.12
QC2.	5.03	0.90	5.19	0.83	0.71	0.41
QC3.	4.68	1.10	4.21	1.12	6.47	0.01
QPA1.	5.40	0.96	5.02	0.76	6.39	0.01
QPA2.	5.35	0.90	4.31	0.92	46.60	0.00
QPA3.	4.81	1.06	3.95	1.21	21.09	0.00
QPR1.	5.70	1.02	4.53	0.96	48.92	0.00
QPR2.	5.51	1.18	4.83	0.96	13.52	0.00
QPR3.	5.36	0.94	4.17	0.98	55.33	0.00
QPR4.	5.46	0.91	4.17	1.01	65.12	0.00

Results of the hypotheses testing (Table 5) shows that the hypothesis of supporting the significant difference between millennials and non-millennials consuming Instagram stories was not accepted.

Table* 5. *Results of the hypotheses testing.

Hypothesis	Age				ANOVA		Results
	Millennials		Non-Millennials				
	Mean	SD	Mean	SD	*F(1, 147)*	*p-value*	
H1 (Consuming)	4.94	0.92	4.72	0.76	2.28	0.13	Not Supported
H2 (Participating)	5.19	0.72	4.43	0.69	41.05	0.00	Supported
H3 (Producing)	5.51	0.64	4.12	0.86	98.54	0.00	Supported

ANOVA test gave the P-value of 0.13, which is not enough for supporting the hypothesis. Then, it as well supports the stated hypothesis of participation in Instagram Stories- the noticeable distinction between Millennials and Non-Millennials exists. The third hypothesis about the substantial difference between independent's participation in Instagram stories was confirmed and supported by the collected data and analyses as well.

5. Discussion and conclusions

The results on the fourth question which was about training system in the hotel show that 94.1% from respondents supported the idea that they did not have training courses. Only 5.9% was referred to the answer (Once in a month). Since the highest score 94.1% got the answer (None of them) we can conclude that there is not training courses in the hotels from the employee's point of view. Linkage research suggests that "the best service providers make sure that training provides employees with the skills and abilities to serve the customer." The results on the fifth and sixth questions which were addressed to the reward and recognition system of the resort hotels located outside the city of Georgia

100% from respondents answered that there were neither reward nor recognition system in the hotel. According to linkage research in a successful organizations management provides feedback, recognition, and rewards for excellent service delivery.

The results on the seventh question which was addressed to managers support of team working show that 54.9% from respondents were not sure whether their organization supported team working or not . 45.1% answered (no). So the results show that managers do not support team working in a hotel.

The results on the eighth question which was addressed to support system in the hotel

The highest score got answer (I am not sure) 74.5%. This result shows that either employee do not know what is support system in a hotel which is managers' duty to explain them or simply there is not support system in the hotels

The results on the ninth question which was about customer feedback in an organization. (100%) from respondents answered that hotel did not use customer feedback in order to improve service delivery.

According to linkage research management actively seeks and uses customer feedback to improve service delivery.

Estimation of the Extra Questions.

Table No 3: Distribution of the frequency and the percentage of the answers to the question about service climate in the organization

What is your opinion about your organization's service climate	**Frequency**	**Percent**	**Cum Percent**
Bad	41	80.4%	80.4%
I do not care	10	19.6%	100.0%
Total	51	100.0%	100.0%

According to the results in the (Table No 3). the highest percentage of the answer scored (Bad) was 80.4 %(n=41) and the least percent is related to the (I do not care) 19.6%(n=10).

Table No 4. Distribution of the frequency and the percentage of the answers to the question about demand of organization towards its employee expressing positive expressions in particular smile while providing service.

Does your organization demand from you expressing positive expressions in particular smile while providing service?	Frequency	Percent	Cum Percent
Yes	51	100.0%	100.0%
Total			

According to the results in the (Table No 4), the highest percentage of the answers scored (Yes) was 100% (51) .Other proposed answers was got 0% so we did not include them in the (Table No 4)

Table No 5: Distribution of the frequency and the percentage of the answers to the question related to employee's feeling after expressing smile

What do you feel after expressing smile?	Frequency	Percent	Cum Percent
I am exhausted	51	100.0%	100.0%
Total			

According to the results in the (Table No 5), the highest percentage of the answers scored (I am exhausted), was 100.0% (n=51). From all respondents which consisted with women (n=36) and men (n=15) employees there was not difference between gender on this question, 100% from them answered that after expressing false smile they were exhausted.

Table No 6: Distribution of the frequency and the percentage of the answers to the question about the reason of employees working in the present hotel

The reason for working in this hotel:	Frequency	Percent	Cum Percent
Working with nice co-workers	11	21.6%	21.6%
Salary	40	78.4%	100.0%
Total	51	100.0%	100.0%



According to the results in the (Table No 6), the highest percentage of the answers scored (Salary), was 78.4% (n=40). The least percent is related to the (working with nice co-workers), 21.6% (n=11). The other answer such as were (For self-realization) got 0% so we did not include in the (Table No 6)

Graph 1 The results of the reason employees' working for the hotel

Table No 7: Distribution of the frequency and the percentage of the answers to the question related to how long employees are going to stay and work for the hotel.

How long are you going to stay and work for this hotel	Frequency	Percent	Cum Percent
I will change my work as soon I find new job	40	78.4%	78.4%
Less then on year	11	21.6%	100.0%
Total	51	100.0%	100.0%

According to the results in the (Table No 7), the highest percentage of the answers scored (I will change my work as soon as i find new job), was 78 %(n=40). The least percent is related to the(Less than one year), 21.6 %(n=11).

Graph 2. The results of employee's answer to the question how



long they are going to stay and work for the hotel

DISCUSSIONS, CONCLUSIONS AND IMPLICATIONS. In this chapter, first the discussions and the conclusions drawn from the research will be presented and the research questions will be answered based on the findings of the research. Afterwards, the implications

What kind of link exists between employee dissatisfaction from service climate and their false expression, in particular smile?

In order to answer first research question, we distributed questioners among the employees working in "Bazaleti Lake"; ''Sairme Resort '' and ''Kvareli Lake'' hotels, the main purpose of those questioners were to investigate existed service climate in the hotels Our questioners were based on eight dimensions of service climate by Linkage research. The answers on the first question from the questioner clearly showed that the hotels were oriented neither on customer nor on quality of service; They were oriented only on short term profit from the employees' point of view.

After that we tried to find out employees' opinion about management support in the mentioned hotels, here we also got negative answers from employees. So we have recorded employees' judgment about the rest dimensions of service climate and we got overall negative results, obviously employees were not satisfied from existed service climate in working place and the only reason why they were still continuing working in the hotel was salary , but they hoped to change their working place as soon as found new one. If we compare these findings with literature in psychology investigations by Deci (1971) which have shown that when people received tangible extrinsic rewards (e.g.,money) they were less interesting in activity than those who had intrinsic motivations feeling of competence, relatedness and autonomy within an organization.

So to compare our findings with the findings in psychology we can conclude that employees in these hotels had only extrinsic goals (e.g., salary, money) and they were not interested in their work as long as they did not get satisfaction from it.

On the question, whether managers were demanding from employees expressing of positive expressions in particular smile 100% (n=51) answered yes .

From literature review we have gained knowledge that there is big difference between genuine and false smile. False smile which is known as response focused emotion regulation refers to transform behavior once emotions are experienced by suppressing, faking emotional response (Grandy, 2000), leads job strain, such as emotional exhaustion (Gradey,2000; Hochschild,1983; Morris& Feldman,1996).

So we can conclude that since findings have shown that employees were dissatisfied from service climate but still managers required from them expression of smile, employees were trying to suppress initial dissatisfied feelings and express false smile , which lead to their exhaustion.

Comparing findings with theory we can conclude that (hypothesis 1): Strong link exists between employee dissatisfaction from service and their false expression in particular smile which leads to their exhaustion is proved.

Conclusions

The purpose of this research was to gain a better understanding of how employee dissatisfaction from service climate led to their false expression in particular smile and exhaustion, changing of working place .

The research has proved the fact, that for the success of the organization the core issue should be (internal customers) well-being and in this process existing good service climate plays motivational role for employees' satisfaction.

Implications for Theory. The contribution that this research has made to existing research is to provide insight into how negative service climate of hospitality institutions makes influence on employee dissatisfaction and their false expression in particular smile which leads their exhaustion and turnover.

The purpose and the research questions of this thesis are based on the theories selected in the frame of reference of the study .The author has come to the conclusions that theory is quiet in line with empirical findings .

Implications for Management. The conclusion drawn from this study indicates that there are core issues those managers need to take into account when planning their organizations profit.

- Managers should investigate service climate in the organization.
- Managers should take into consideration employees opinion about service climate in the organization
- Managers should satisfy employees' basic needs and stress more value on extrinsic goals such as competence, relatedness, and autonomy.
- Managers should create positive working environment, positive service climate which will lead employees satisfaction and genuine feelings.
- Managers should know their employees very well, their feelings and attitudes toward work before asking them expressing smile.
- Managers should have leadership skills and motivate their employees, take their opinion into consideration and respect their ideas.
- Managers should improve working environment, since negative working climate will be cause of low quality service provided by the dissatisfied employees.

References:

1. Barger, B. P ., & Grandey, A.A.(2006). Service With A Smile And Encounter Satisfaction: Emotional Contagion And Appraisal Mechanisms. Academy of Management Journal .Vol. 49, No. 6, 1229-1238;
2. Baumeister, R., Bratslavsky,E., Muraven,M.,& Tice ,D.(1998). Ego depletion: Is the active self a limited resource? Journal of Personality and Social Psychology;
3. Brotheridge, C.,& Lee, R.T. (2002). Testing a conservation of resources model of the the dynamics of emotional labor. Journal of Occupational Health Psychology;
4. Carnegie, D. (2005). How to win friends and influence people. Sent Petersburg . 104-113;
5. Deci, E. L. (1971). Effects of externally mediated rewards on intrinsic motivation. Journal of Personality and Social Psychology,18 ,105-115;
6. Duchenne, B. (in press). The mechanism of human facial expression or an electro-physiological analysis of the expression of the emotions (A. Cuthbertson, Trans.). New York: Cambridge University Press. (Original work published 1862);
7. Ekman, P., Friesen, W. V., & O'Sullivan, M. (1988). Smiles when lying. Journal of Personality and Social Psychology, 54, 414-420;

8. Forgas, J. P. (1995). Mood and judgment: The affect infusion model (AIM). Psychological Bulletin,117:39-66;
9. Grandey, A. (2000). Emotion regulation in the workplace: A new way to conceptualize emotional labor. Journal of Occupational Health Psychology;
10. Grandey, A. (2003). When “the show must go on”: Surface and deep acting as predictors of emotional exhaustion and service delivery. Academy of Management Journal ,46, 86-96;
11. Grandey, A., Fisk, G., Mattila, A., Jansen, K. J., & Sideman, L (.2005) Is service with a smile enough? Authenticity of positive displays during service encounters. Organizational Behavior & Human Decision Processes, 96: 38-55;
12. Gountas, S., Ewing, M., & Gountas, J. (2007). Testing airline passengers' responses to flight attendants' expressive displays: The effects of positive affect. Journal of Business Research, Vol. 60, issue 1;
13. Hochschild , A.R. (1983).The managed heart : Commercialization of human feeling. Berkeley : University of California Press;
14. Morris, J. A., & Feldman, D. C. (1996). The dimensions, antecedents, and consequences of emotional labor. Academy of Management Review,21,986-1010;
15. Pugh, S., Douglas, Dietz., Joerg, Wiley , Jack, W., Brooks, Scott, M. (2002). Driving service effectiveness trough employee-customer linkages. Journal Of Academy Management , 10795545, Vol.16, issue 4;
16. Richards, J.M ., & Gross, J.J (1999) .Composure at any cost? The cognitive consequences of emotion suppression. Journal of Personality and Social Psychology Bulletin ,25,1033-1044.
17. Robson, C. (2002). Real world research: a resource for social scientists and practioner-researchers, 2nd edition. Oxford: Blackwell;
18. Saunders, M., Lewis, P. & Thornhill, A.(2007). Research methods for business students, 4th edition. Harlow: Financial Times/Prentice Hall.

ინკლუზიური ბიზნესმოდელი, როგორც სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი ფინანსური ასპექტი

კახნიაშვილი ნათია
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური შედეგები განიხილება ისეთ მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემებთან ერთად, როგორიცაა სიღარიბე და სოციალური სტაბილურობა. შედარებით ადვილად ხორციელდება უმუშევრობის ეკონომიკური შედეგების შეფასება, ხოლო სოციალური შედეგები, რომელიც რთული გასამიჯნია და ატარებს კომპლექსურ ხასიათს, სრულყოფილად ვერ ფასდება.

უმუშევრობის და სიღარიბის ქართულმა სინამდვილემ დაგვანახა, რომ ქართული სიღარიბე მყარია და მას მარტო პროგრამების შედგენა ვერ უშველის. საჭიროა უფრო ქმედითი და უფრო რადიკალური ღონისძიებების გატარება. საქართველოსმაგვარი ან უფრო ღარიბი ქვეყნების სიღარიბის დაძლევის პროგრამების განხილვამ, (მაგალითად, აფრიკის და აზიის ქვეყნები), ანალიზმა და შეფასებამ, გამოკვეთა სიღარიბის ფინანსური ასპექტები და მისი ეტაპობრივი დაძლევის კონცეპტუალური ხედვა.

საკვანძო სიტყვები: *სიღარიბე, ინკლუზიური ბიზნესი, მიკროფრანჩაიზინგი, კონკურენცია, ადამიან-კაპიტალის განვითარება.*

სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი ღონისძიებაა ბიზნესში ღარიბი მოსახლეობის ჩართვა, ანუ **ინკლუზიური ბიზნესმოდელის შექმნა-დანერგვა**.

საქართველოს მთავრობა და მისი დავალებით „საქსტატი" გვისაბუთებს, რომ საქართველოს ეკონომიკა იზრდება, თუ საქართველოს ეკონომიკური ზრდა უტყუარი ფაქტია, ხოლო სიღარიბე ქვეყანაში მკვეთრად არ მცირდება, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ღარიბი მოსახლეობის პოტენციალი გამოუყენებელია. *Unicef-ის კვლევის მიხედვითრსაქართველოში მოსახლეობის* 69% *ღარიბია,* 24% *სიღარიბის ზღვართან ახლოს, საშუალო კლასს მხოლოდ* 7% *წარმოადგენს [*1*.გვ.*1*].*

UNDP 2008 წლის მოხსენებაში ხაზგასმულია, თუ ბიზნესს როგორ შეუძლია დაეხმაროს ღარიბებს, ბიზნესში მათი როგორც კლიენტებისა და მყიდველების მოზიდვის გზით, აგრეთვე ითანამშრომლოს მათთან მწარმოებლის, მომუშავეების და მეწარმეთა სახით.

მოხსენებაში მოყვანილია იმ კომპანიების მაგალითი, რომლებიც ღარიბების ბიზნესში ჩართვით იღებენ მოგებას, ქმნიან ზრდის ახალ პოტენციალს და ამაღლებენ ღარიბი მოსახლოების ცხოვრების დონეს. მოხსენების საკვანძო აზრია: „ბიზნესი ღარიბების მონაწილეობით – ყველასთვის მომგებიანიაო [2, გვ 8].

ხსენებული მოხსენება დაფუძნებულია 50 წარმატებული კომპანიის მაგალითზე, რომლებიც ბიზნესს ახორციელებენ ღარიბ მოსახლეობასთან თანამშრომლობით. განხილული მაგალითები გვთავაზობენ იდეების ფართო ნაკრებს საქართველოში ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის შესაქმნელად. ამ მოდელში ღარიბები ჩართული იქნებიან მომხმარებლის სახით; როგორც კლიენტების და მყიდველების, ასევე ღირებულების შექმნის ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე თანამშრომლების, მწარმოებლებისა და მეწარმეთა სახით. იგი უზრუნველყოფს ბიზნესის ურთიერთხელსაყრელ განვითარებას ღარიბთა მონაწილეობით. ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის უპირატესობა მხოლოდ უშუალო მოგების მიღებასა და შემოსავლის ამაღლებაში არ გამოიხატება. ბიზნესისთვის ეს იქნება ინოვაციური მიდგომების განვითარება, ბაზრების გაფართოება და მომარაგების სისტემის განმტკიცება.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოხსენებაში ინკლუზიური ბიზნესის კონცეფცია დაფუძნებულია მყარი განვითარების შესახებ მეწარმეთა მსოფლიო საბჭოს და ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციების გამოკვლევებზე – შესაძლებლობა ყველასთვის. ღარიბებთან ბიზნესის წარმართვა მოსახლეობის ამ ჯგუფს ბაზარზე გასვლის შესაძლებლობას აძლევს. ეს სიღარიბის გადალახვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. თავის მხრივ, მეწარმეების და კომპანიებისათვის იგი არის ინოვაციური გადაწყვეტილება – ბაზრების შექმნა, ეკონომიკური ზრდის ახალი სფეროების მოძიება. ინკლუზიური ბიზნეს-მოდელები ქმნიან და სარგებლობენ ადამიანისეული განვითარების უპირატესობით.

ღარიბი მოსახლეობა კერძო სექტორის მონაწილეა. ყველა ითვლება მომხმარებლად. მათი უმრავლესობა დაქირავებული მუშაკები ან კერძო მეწარმეებია. ამასთან, ფრაგმენტირებული და

არაორგანიზებული ბაზრები არ იძლევა აუცილებელი რესურსების მიღებისა და მათი პროდუქტიულად (ეფექტიანად) გამოყენების შესაძლებლობას. ღარიბთა ბიზნესი, როგორც წესი, დაფუძნებულია არაფორმალურ შეთანხმებებზე: ოჯახი ან მეგობრები აწოდებენ საშუალებებს, რის გამოც კონკურენცია სუსტია, ფასები საქონელსა და მომსახურებაზე კი – ზრდადი.

ღარიბთა ბიზნესს შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს გრძელვადიან ზრდას ახალი ბაზრების განვითარების, ინოვაციის, სამუშაო ძალის რეზერვის გაფართოებისა და წარმოებით-გამსაღებელი ჯაჭვის გამყარების ხარჯზე. ღარიბებთან ერთად ბიზნესის წარმართვას უფრო მაღალი მოგების მოტანა შეუძლია, ვიდრე ბიზნესს განვითარებულ ბაზრებზე. რიგმა ორგანიზაციამ მიკროკრედიტების სფეროში შეძლეს 23%-ზე მეტი მოგების მიღება. მაგალითად, კომპანიამ Smart Communication, რომელიც ფილიპინებში დაბალი შემოსავლის დონის მომხმარებლების სატელეფონო კავშირს ემსახურება, მიაღწია ქვეყანაში ფუნქციონირებულ 5000 მსხვილ კომპანიას შორის ყველაზე მაღალ მოგების დონეს, ინდოეთის კომპანიამ Sulabb, რომელიც სანიტარულ-ჰიგიენურ მომსახურებას დაბალ ფასში ახორციელებდა, 2005 წელს 5 მლნ დოლარის მოგება მიიღო.

ინკლუზიური ბიზნესმოდელის შექმნას შეუძლია ხელი შეუწყოს ინოვაციური გადაწყვეტილების მიღებას კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, მაგალითად, ღარიბების საჭიროებისა და მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად კომპანიებმა უნდა მოახერხონ ხარისხისა და ფასის შეხამება. მათ უნდა შეძლონ ღარიბებთან თანამშრომლობის სიტუაციაში ბიზნესმოდელის ახალი პროდუქტების და მომსახურების დამუშავება, რომლებიც შემდგომ შეიძლება გამოყენებულ იქნას ღარიბთა ბაზრებზე კომპანიის კონკურენტული უპირატესობის უზრუნველსაყოფად.

ღარიბი მოსახლეობა სამუშაო ძალის შევსების მძლავრი წყაროა. ღარიბთა დაქირავების უპირატესობა ცილდება დანახარჯის შემცირების ჩარჩოს. შესაბამისი სწავლებისა და ეფექტური მარკეტინგის დროს მათ (ღარიბებს) შეუძლიათ უზრუნველყონ პროდუქტებისა და მომსახურების მაღალი ხარისხი, ხოლო ადგილობრივი ბაზრისა და კავშირების ცოდნის გამოყენება შეიძლება გამოყენებულ იქნას რეგიონის ღარიბი მოსახლეობის, როგორც მყიდველთა რაოდენობის გასაფართოებლად.

ღარიბთა ინტეგრაცია წარმოებით-საგამსაღებლოთა ჯაჭვში მწარმოებლის, მომწოდებლის, დისტრიბუტორთა, საცალო გამყიდველთა, ფრანშიზის მფლობელთა სახით, როგორც აღვნიშნეთ, დაეხმარება, კომპანიას რომელიც მუშაობს ადგილობრივ ბაზრებზე, გააფართოვოს მყიდველთა წრე და შეამციროს რისკი.

ბიზნესმა შეიძლება ხელი შეუწყოს ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას, ანუ გაეროს ტერმინოლოგიით – ადამიანისეული პოტენციალის განვითარებას, რომელიც ღირსეული ცხოვრების მიღწევაში აისახება:

- **ძირითადი მოთხოვნილების უზრუნველყოფა.** საზრდო, სუფთა წყალი, ელექტროობა და სამედიცინო მომსახურება ითვლება ადამიანთა ძირითად მოთხოვნილებად (ასევე, ბინა და ტანსაცმელი). ფილიპინებში კომპანია RiteMed სამკურნალო პრეპარატებს 20 მლნ-ზე მეტნაკლებად უზრუნველ ადამიანზე ყიდის წამყვანი მწარმოებლების ფასის დაბლა (20-75% ფარგლებში);
- **ღარიბთა მწარმოებლურობის ამაღლების შესაძლებლობა.** საქონელსა და მომსახურებაზე დაშვება (დაწყებული ელექტროობით და მობილური კავშირით, დამთავრებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, კრედიტებითა და დაზღვევით) ხელს უწყობს მწარმოებლურობის ამაღლებას;
- **შემოსავლის ამაღლება.** წარმოებით-საგამსაღებლო ჯაჭვში კლიენტების, მომუშავეთა, მწარმოებელთა და მეწარმეების როლში ღარიბების ჩართვამ შეიძლება გამოიწვიოს მათი შემოსავლის ამაღლება. მექსიკაში კომპანია Amanco-ს მაგალითზე, მწარმოებელთა ზრდამ გაასამმაგა ფერმერთა შემოსავალი. ტანზანიაში კომპანიამ AtoZtextiles სამუშაო ადგილებით უზრუნველყო 3200 ადამიანი (მათგან 90% ქალი), რომლებიც საწოლებისათვის აწარმოებენ ინსეკტიციდით დამუშავებულ მწერდამცავბადეებს და მათ, კონკურენტ კომპანიებთან შედარებით 20-30%- ზე მეტს უხდის;
- **ღარიბთა შესაძლებლობის გაფართოება.** ეს საქმიანობა ხელს უწყობს ღარიბთა (როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად) შესაძლებლობის გაფართოებას, ეხმარება მათ თავიანთ თავზე აიღონ თავიანთ ცხოვრებაზე კონტროლი. ეს მიიღწევა ინფორმაციისა და განათლების ამაღლების, მოსახლეობის მარჟინალური ჯგუფების ინტეგრაციის გზით. ინკლუზიური ბიზნეს-მოდელები ღარიბებს ეხმარებიან იმედების აღორძინებაზე და აღმოაჩენენ სიღარიბის დამოუკიდებლად გადალახვის ძალების ახალ წყაროებს.

მაგრამ, ღარიბებთან ბიზნესის წარმართვა კომპანიებისთვის ძნელია, სარისკოა, იქ სადაც სიღარიბეა, ბაზრის ფუნქციონირების საფუძველი – მოგება, როგორც წესი, არ არსებობს. ამიტომ, კომპანიები მაინცდამაინც არ მიისწრაფვიან ღარიბებთან თანამშრომლობაში. ასეა საქართველოშიც.

UNDP-ს მოხსენებაში მოყვანილი მაგალითები ასახავენ ამ სფეროში არსებულ ხუთ ძირითად პრობლემას:

1. **ბაზრებზე ინფორმაციის შეზღუდულობა.** ბიზნესმა ძალზე ცოტა იცის ღარიბებზე. მათთვის მიუწვდომელია ინფორმაცია ღარიბთა ინტერესების შესახებ.
2. **არაეფექტური რეგულირება.** ღარიბთა ბაზრებზე არ არსებობს მარეგულირებელი მექანიზმები, რომელიც აუცილებელია ბიზნესის საქმიანობის ნორმალურად უზრუნველსაყოფად.
3. **განუვითარებელი ინფრასტრუქტურა.** აქ იგულისხმება განუვითარებელი სატრანსპორტო სტრუქტურა, გზების და დამხმარე ობიექტების უქონლობა, წყალმომარაგების, ელექტრო მომარაგების სისტემების, ასევე კანალიზაციისა და ტელეკომუნიკაციის სისტემების არარსებობა. მაგალითად, კომპიუტერების მწარმოებელი კომპანია Tsinghua Tongfang, რომელიც დაინტერესებული იყო ჩინეთის სასოფლო რაიონებში თავისი საქონლის გავრცელებით, ამ სფეროში წააწყდა ტელეკომუნიკაციური ინფრასტრუქტურის და ინტერნეტპროვაიდერების უქონლობას.
4. **ცოდნისა და კვალიფიკაციის უკმარისობა.** ღარიბი მოსახლეობის მომხმარებლებმა შეიძლება არ იცოდნენ ტექნიკის გამოყენება ან სხვა საქონლის უპირატესობა.
5. **შეზღუდული დაშვება ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებაზე.** კრედიტის მიღების შესაძლებლობის უქონლობის გამო, ღარიბ მწარმოებლებსა და მომხმარებლებს არ შეუძლიათ ინვესტიციის ან მსხვილი შესყიდვის ფინანსირება.

საქართველოს პრაქტიკიდან გამომდინარე ემატება კიდევ სხვა პრობლემები და სხვა ბარიერები. ერთ-ერთი დაკავშირებულია ბინადრობის ადგილთან. ღარიბთა უმრავლესობა საქართველოს დეპრესიულ რაიონებში – სამცხე-ჯავახეთი, მთა-თუშეთი, ხევსურეთი, მთიულეთი, ზემო სვანეთი და ა.შ. ცხოვრობენ. ეს ადგილები ნაკლებდასახლებული და მიუდგომელია. ბიზნესს ვერ აიძულებ ამ ადგილებში მისვლას, მანამ იქ არ შეიქმნება ბიზნესისთვის საჭირო პრეფერენციები.

სიღარიბესთან ბრძოლა არაა ბიზნესის ამოცანა, მისი ძირითადი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია, რომელიც ობიექტურად იწვევს დასაქმებულთა რიცხოვნების ზრდასა და მათი რეალური შემოსავლის დონის ამაღლებას. მაგრამ, თუ ბიზნესი არ მიდის ღარიბი მოსახლეობის კონცენტრაციის ზონებში, ეს იმას ნიშნავს, რომ მისთვის არახელსაყრელია ამ დეპრესიულ რეგიონებში საქმიანობა, ან მისთვის არსებობს ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული ბარიერები, მაგალითად, მსოფლიოში სასურსათო ფასების ამჟამინდელი ზრდა ქმნის ქართული სასოფლო წარმოების განვითარების წინაპირობას. პრობლემა ამ შემთხვევაში სახელმწიფო მხარდაჭერას ეხება. თუ ეს საკითხი (ინფრასტრუქტურის შექმნა) დადებითად გადაწყდა, ამ პროცესში ჩართული სუბიექტი (ღარიბი მოსახლეობა, ბიზნესი და სახელმწიფო) მოიგებს. აქედან დასკვნა: თუ სიღარიბის დაძლევის ეს სტრუქტურა არ ამუშავდა, მაშინ დეპრესიულ რაიონებს, ასეთები კი საქართველოში რაიონების დიდი უმრავლესობა, ნელი, მაგრამ აუცილებელი კვდომა ემუქრება.

არსებობს ღარიბი მოსახლეობის კატეგორია, რომელიც ოჯახური მდგომარეობის გამო (ბავშვების აღზრდა, ოჯახში ხანდაზმულთა და ინვალიდების მოვლა) შრომის ბაზარზე არაკონკურენტულნი არიან. მომსახურების სექტორის უქონლობა, რომელსაც შეეძლება ამ სტრუქტურაში საოჯახო მეურნეობის მხარდაჭერა (საბავშვო ბაგები და ბაღები, მოხუცებულთა თავშესაფარი, ინვალიდთა სახლები, მშობელთა ჯგუფები, სოციალური მუშაკები...) იქნებოდა მათი შესაძლებლობის რეალიზაციის სერიოზული წინაპირობა. არასტანდარტული დასაქმების შექმნა (მაგალითად, სახლში მუშაობა კომპიუტერის არსებობისა და ინტერნეტში დაშვება) აგრეთვე იძლევა მათი პოტენციალის რეალიზაციის შესაძლებლობას. სახელმწიფოს მხარდაჭერა კი მოსახლეობის ამ კატეგორიისათვის აბსოლუტურად აუცილებელია. არსებობს მოსახლეობის დიდი კატეგორია, რომელიც თუმცა მუშაობს, მაგრამ მათი ხელფასი არასაკმარისია თავისი და კმაყოფაზე მყოფთა გამოსაკვებად. ღარიბი მოსახლეობის კიდევ ერთი კატეგორიაა ძალზე დაბალი პოტენციალის მქონე პირები. მეტწილად მარგინალური ჯგუფები (ნარკომანები, ალკოჰოლიკები...), რომელთა ჩართვა შრომის ბაზარზე ძალზე რთულია. მოსახლეობის ეს კატეგორია საქართველოში ფართოვდება და მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს. ჯერჯერობით სახელმწიფოს როლი ამ სფეროში მხოლოდ სასჯელით ამოიწურება, რომელიც, რა თქმა უნდა, პრობლემას ვერ წყვეტს. ის, მხოლოდ მათი ოჯახის შემოსავლის და აქტივის დაკარგვას ემუქრება, ანუ კიდევ უფრო აფართოებს ღარიბთა რიცხოვნებას. მოსახლეობის ეს კატეგორიაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდისგან უკუგებას ვერ იღებს.

ღარიბებზე ინფორმაციის უქონლობა მიჩნეულია ინკლუზიური ბიზნესმოდელების შექმნის ერთ-ერთ სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორად. რა სახის საქონელი და მოხმარება არის ღარიბებისთვის აუცილებელი? რამდენს გადაიხდიან მათზე? უეჭველია, რომ ღარიბების მომსახურება და მათთვის საქონელის მიწოდება შეიძლება გახდეს პერსპექტიული ახალი ბიზნესის განვითარებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვა მიმართულებები უკვე ამოწურულია. ამ ასპექტში განვითარებული ბიზნესსტრუქტურის გასვლა ღარიბების ბაზარზე ახალი საქონლის წარმოების – რეალური მოდელია. მაგალითად, პოლონეთი, სადაც ტრანსნაციონალურმა სასურსათო კორპორაციამ, გააერთიანა ძალისხმევა ბავშვთა ჯანმრთელობასა და კვების საკითხებზე სახელმწიფოებრივ ორგანიზაციასთან. სწრაფი მომზადების პროდუქტების უმსხვილესმა კორპორაციამ მომხმარე-

ბელს შესთავაზა იაფ ბურღულთან რძის ნარევი (ვიტამინებითა და მინერალებით გამდიდრებული) ბავშვებისათვის.

2006 წლის ბოლოს ამ პროდუქტებზე დანახარჯი გამოისყიდა და პოლონეთის მასშტაბით მისით სარგებლობს დაახლოებით 33 ათასი ოჯახი. საქონლისა და მომსახურების სეგრეგაცია სხვადასხვა შემოსავლის მქონე მოსახლეობისათვის ის მოდელია, რომელსაც უკვე მრავალი მეწარმე იყენებს.

საქართველოშიც ამის დიდი შესაძლებლობებია, თუმცა ბიზნესს თვითონ ღარიბები ვერ დაიწყებენ. ეს საქმეები ან ქართულმა მსხვილმა საწარმოებმა უნდა ითავონ თავიანთი პატრიოტიზმიდან გამომდინარე (რადგან თავდაპირველად მათ ამ საქმეებში მოგება არ ექნებათ), ან და სახელმწიფო ხელისუფლებამ. მითუმეტეს რომ მსოფლიო ბანკმა ბიზნესის კეთების 2018 წლის რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც საქართველო მე-6 ადგილზეა 83.28 ქულით. [3. გვ 1]

სიძნელეების მიუხედავად, კომპანიების რიცხვი, რომლებიც ღარიბთა ბაზრებზე მუშაობენ, მსოფლიოში მუდმივად იზრდება. [4. გვ.5] თითოეულმა კომპანიამ, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, დაამუშავა გადაწყვეტილებათა ნაკრები, რომელმაც მათ წარმატება მოუტანა ადგილობრივ პირობებში:

1. **საქონლისა და პროცესების ინვესტიციის ადაპტაცია.**

2. **ინვესტიცია ბაზარზე სიძნელეების გადალახვაზე.** მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე შეზღუდულობის გადალახვა, როგორც წესი, ითვლება სამთავრობო საქმიანობის სფეროდ, არც თუ იშვიათად კომპანიები, რომლებიც მუშაობენ ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის საფუძველზე, თვითონ წყვეტენ ამ ამოცანებს. მაგალითად, გაიანა-ში საფეიქრო კომპანია Denmor-ის ყველა თანამშრომლისათვის ტარდება კროს-ტრენინგი. ამრიგად, თითოეულ თანამშრომელს შეუძლია იმუშაოს წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, რაც შესაძლებლობას იძლევა დაცული იქნას ვადები დიდი რაოდენობის დაკვეთების პერიოდებში.

3. **ღარიბთა ძლიერი მხარის გამოყენება.** ღარიბები, რომლებიც მუშაობენ ინკლუზიური ბიზნესმოდელის საფუძველზე, ითვლებიან კომპანიის საკვანძო პარტნიორებად. ღარიბების მოზიდვისა და მათი სოციალური ქსელის ხარჯზე კომპანიებს შეუძლიათ გააფართოონ ბაზრებზე დაშვება, ნდობისა და გამჭვირვალობის ამაღლება. ეს თვისებები კომპანიებს ბაზრის გაფართოების შესაძლებლობას აძლევს და ადიდებს მონაწილეობას ღირებულების შექმნის ჯაჭვში. გასაღების სფეროში ღარიბთა ჩართვის ერთ-ერთი მოდელია **მიკროფრანჩაიზინგი.** ასეთი მოდელის გამოყენების მაგალითია კომპანია CFW კენიაში. იგი არის კლინიკისა და აფთიაქის მიკროფრანჩაიზინგის სისტემა. კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ ადგილობრივი ბაზრის ცოდნა და ნდობა ღარიბთა საზოგადოებებში. თვით ღარიბები ხშირად სთავაზობენ უკეთეს იდეებს ღარიბთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ახალი პროდუქტებისა და მომსახურების დასამუშავებლად. მთლიანობაში ღარიბთა მოზიდვა ამცირებს ბიზნესის დანახარჯს.

4. **რესურსებისა და შესაძლებლობის შეხამება სხვა ორგანიზაციებთან.** ისევე როგორც სხვა ბიზნეს-მოდელი, ინკლუზიური მოდელები წარმატებას აღწევენ სხვა ბიზნესებთან ურთიერთხელსაყრელი პარტნიორების შექმნით, აგრეთვე არატრადიციული პარტნიორობით. ეს უკანასკნელი მოიცავს არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციებს.

5. **მთავრობასთან დიალოგი პოლიტიკის დამუშავების საკითხებზე.** პოლიტიკის დამუშავების სფეროში დიალოგი ღარიბ მოსახლეობასთან ბიზნესის წარმართვის მნიშვნელოვანი ელემენტია. ამ შემთხვევაში კომპანია თავისთავზე ლიდერის როლს იღებს, რამდენადაც ასეთ ბაზრებზე ბიზნესის წარმართვის პირობები ჯერ კიდევ შეუქმნელია.

ყველა ხუთი პრობლემა, რომელსაც ბიზნესი ღარიბთა ბაზრებზე აწყდება, სხვადასხვა ზომით დაკავშირებულია სამთავრობო პოლიტიკასთან. მრავალ შემთხვევაში კომპანიები პოულობენ ბაზარზე არსებულ სიძნელეების გადალახვის შემოქმედებით გზას, მაგრამ სასურველია ამ საქმეში მთავრობის ჩართვაც.

მთავრობას შეუძლია პრობლემებზე, რომელსაც ბიზნესი აწყდება, სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება და ამ პრობლემების შესაძლებელი გადაჭრის გზების შეთავაზება.

ინკლუზიურ ბიზნესს, როგორც წესი, განსაზღვრული ამოცანები აქვს, რომელთა შორის გამოიყოფა სახელმწიფოს მხრივ საქონლისა და მომსახურების უზრუნველყოფის სტიმულირება, რომელიც აუცილებელია რომელიმე რაიონში ბიზნესის გასაძღოლად. ზოგჯერ ცალკეულ ინდივიდის ან კომპანიის საქმიანობას შეიძლება ფართო შედეგი მოყვეს (ბაზრის სტრუქტურის ცვლილება ან ახალი ბაზრების გახსნა). მაგალითად, Tiviski-ს (აქლემური რძის ფერმა მავრიტანიაში) ფერმის დამფუძნებელთა საქმიანობის წყალობით, ევროკავშირმა ახალი რძის პროდუქტებისათვის ბაზარი შექმნა. ასე შეიძლება შეიქმნას ქართული ბაზრები ევროპაში, თუ კი რომელიმე ქართული კომპანია წამოიწყებს მათ წარმოებას ღარიბების ჩართვით.

ლიტერატურა

1. "ქვეყნაში ღარიბები რომ არსებობენ ეს ყველამ ვიცით, მთავარი მუშაობაა ამ კუთხით" rttp://www.commersant.ge, 2018;
2. Доклад о развитии человека 2008, изд. "Весь мир", 2008;
3. "საქართველო: მე-6 ადგილი ბიზნესის კეთების რეიტინგში, forbes Georgia, 2018;
4. "ბიზნესის მონაწილეობა სიღარიბის პრობლემის გადაწყვეტაში", UNDP, 2010;
5. *http://www.commersant.ge*;
6. *http://www.worldbank.org*;
7. *http://www.clicktop*10*.com/*2013*/*05*/top*-10*-richest-countries-in-the-world-in*-2013*/*;
8. *http://www.numbeo.com/quality-of-life/rankings_by-country.jsp*

INCLUSIVE BUSINESS MODEL AS ONE OF THE FINANCIAL ASPECTS OF POVERTY REDUCTION

Kakhniashvili Natia
Doctor of business administration
Tbilisi state university

Summary

The economic and social consequences of unemployment in any country is closely linked to such global problems as poverty and social stability. It is relatively easy to assess the economic consequences of unemployment. However, conducting a social impact assessment is more complicated due to its complexity.
The stark reality of unemployment and poverty hes shown us Georgias poverty is steady, and it cannot help writing programs alone. More effective and more redical measures are needed. A review of poverty alleviation programs in Georgias poorer or poorer countries, sach as Africa and Asia, their analysis and evaluation, highlighted the financial aspects of poverty and a conceptual view of its gradual reduction.

Keywords: *Poverty, Inclusive bisiness, Microfranching, Competition, Human Development.*

კულტურული ტურიზმის გამოწვევები გლობალიზაციის კონტექსტით

კვარაცხელია ნიკო
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

დამენია ნინო
ბიზნესის მართვის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი საქართველოს
საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია: კულტურული ტურიზმი, როგორც ტურიზმის მნიშვნელოვანი ფორმა; გლობალიზაცია და ტურიზმის ეკონომიკა; გლობალიზაციის სიკეთე და საფრთხეები კულტურული ტურიზმმისათვის; ევროსაბჭოს მიერ აღიარებული საქართველოს კულტურული მარშრუტები; ღირებულების გაზიარება, ლანდშაფტის დაცვა; კულტურული ტურის შინაარსის ტრანსფორმაცია. კულტურული ტურიზმი არის და მომავალშიც დარჩება საქართველოსთვის ტურისტული ბაზრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტად. კულტურული ფენომენის მრავალფეროვანი სპექტრი, განსაკუთრებით, მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის უბადლო ნიმუშები, რაც იზიდავს ტურისტებს, არის ტურისტების მოზიდვის ძირითადი საფუძველი. ამასთანავე ეფექტური პოლიტიკის შესამუშავებლად საჭიროა მეტი ინფორმაცია კულტურული ტურისტების შესახებ, განსაკუთრებით მათ სამოგზაურო მოტივაციებსა და მოთხოვნილებებზე. ეს კი, თავის მხრივ, საჭიროებს უფრო დეტალურ კვლევას, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ქვეყნის ტურისტული პოლიტიკის მიზნებთან.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, ტურიზმის ეკონომიკა, კულტურული ტურიზმი, კულტურული ტური.*

კულტურული ტურიზმი, როგორც ტურიზმის მნიშვნელოვანი ფორმა. გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (UNWTO) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კულტურული ტურიზმის კვლევას. მტო-ს გენერალური ასამბლეის 22-ე სესიაზე ჩინეთში (2017 წლის 11-16 სექტემბერი, ჩენდუ) დაზუსტებულ იქნა „კულტურული ტურიზმის“ შემდეგი განმარტება: „კულტურული ტურიზმი არის ტურისტული საქმიანობის ისეთი სახე, რომელშიც ტურისტის მთავარი მოტივაციაა ტურისტული დანიშნულების ადგილების მატერიალური და არამატერიალური კულტურული ღირსშესანიშნაობების/ატრაქციების/პროდუქტების შესწავლა, აღმოჩენა, განცდა და გამოყენება. ეს ატრაქციები/პროდუქტები დაკავშირებულია საზოგადოების განსხვავებული მატერიალური, ინტელექტუალური, სულიერი და ემოციური თავისებურებების ნაერთთან, რომელიც მოიცავს ხელოვნებასა და არქიტექტურას, ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობას, კულინარიას, ლიტერატურას, მუსიკას, შემოქმედებით ინდუსტრიასა და საყოფაცხოვრებო კულტურას თავისი ცხოვრების წესით, ფასეულობებით, რწმენითა და ტრადიციებით“ [1, გვ.93].

აღსანიშნავია, რომ ამ კოლექტიურ კვლევაში მონაწილეობა მიიღო კულტურული ტურიზმის 61 ექსპერტმა, მტო-ს წევრი ქვეყნების ტურიზმის ადმინისტრაციებმა. სამწუხაროდ, საქართველოს კვლევაში მონაწილეობა არ მიუღია. თუმცა ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ საქართველოში კულტურული არის ტრადიციული და კარგად განვითარებული ფორმა, რაც განპირობებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიმრავლით. კვლევამ აჩვენა, რომ ქვეყნებში, სადაც ზომავენ კულტურულ ტურიზმს, შემომსვლელი საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ამას არ აკეთებენ, (იხ. მტოს კვლევის დიაგრამა 1) როგორც წესი, მათ ასევე აქვთ უფრო განვითარებული ტურისტული ეკონომიკა.

დიაგრამა 1



წყარო: Tourism and Culture Synergies. World Tourism Organization (2018)

გლობალიზაცია და ტურიზმის ეკონომიკა. გლობალიზაცია მსოფლიოს სხვადასხვა ერების კულტურის ერთიანობასაც მოიცავს. შესაბამისად, გლობალიზაციის შესაძლებლობებმა ხელი შეუწყო ტურიზმის განვითარებას. იგი განსაკუთრებით შეეხო ელექტრონულ ტექნიკას, საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ტექნოლოგიებს. მსოფლიოში მომსახურების მოწოდება კომპიუტერული ინფორმაციით და დაჯავშნის სისტემებით გახდა უფრო მოქნილი და ეფექტიანი. შემცირდა ხარჯები საჰაერო მოგზაურობაზე და ადვილი ხელმისაწვდომი გახდა საჰაერო მოგზაურობა მსოფლიოს სხვადასხვა მიმართულებით, ტურიზმის ინდუსტრიაში გაუმჯობესდა ინფორმაციის სწრფი გავრცელების ტექნოლოგია, დაჯავშნის ონლაინ-სისტემების მომსახურების მაღალი ხარისხი, დანიშნულების ადგილის მარკეტინგში ინტერნეტის გამოყენება ტურისტულ ბაზრებზე პირდაპირი გაყიდვების და შეკვეთების მიცემის შესაძლებლობას იძლევა, რაც წარმოშობს ელექტრონულ – ტურისტულ ბაზრებს. ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია ტურისტული პროდუქტის გაცილებით დაბალ ფასად გლობალურად შეძენა. აქედან გამომდინარე, მომხმარებლის მოთხოვნა გახდა ორიენტირებული ახალ ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე. ფაქტია, რომ ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია დაიჯავშნოს სასტუმრო ოთახი, ბილეთები, ინფორმაცია გასართობი ცენტრების შესახებ, რამაც შეამცირა მგზავრობის შუამავლების ფუნქცია. [6, გვ.127]

საერთაშორისო მოგზაურობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2018 წელს ამ დარგის პირდაპირმა კონტრიბუციამ მსოფლიოს მთლიან მშპ-ში 2.8 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (3.2%) და ხელი შეუწყო 123 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 10.4%, ერთი ადგილი ყოველი 10 სამუშაო ადგილიდან, 4.4% მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებსა და 6.5% მსოფლიოს მთლიან ექსპორტში. [7]

2009 წლიდან დღემდე საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში: საერთაშორისო მოგზაურების მთლიანი რაოდენობა ზრდადია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მოხედვით, 2019 წლის 1 კვარტალში, 1.6 მლნ-ს გადააჭარბა. დიაგრამა 2-ზე წარმოდგენილია საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტები ბოლო 10 წლის განმავლობაში. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით, საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელდა.

დიაგრამა 2

გლობალიზაციის სიკეთე და საფრთხეები კულტურული ტურიზმმისათვის. გლობალიზაცია, ერთის მხრივ, ხელს უწყობს ზოგადად ტურიზმის, ასევე კერძოდ მოგზაურობის ინდუსტრიის განვითარებას, იძლევა მოგზაურობის შეუზღუდავ შანსს და თავისუფალი გადაადგილების საშუალებას, ხოლო მეორე მხრივ გლობალიზაციის შედეგად მცირდება ისეთი ტურისტული მიმზიდველობები, როგორიცაა ტრადიციები და მასთან დაკავშირებული არამატერიალური (ღირებულებები, ნორმები, ეთიკის ცნებები და ა.შ.), წარმოუდგენელი სისწრაფით იცვლება საზოგადოებრივი ჯგუფების სოციალური ქცევა (ცხოვრების წესი). ეს უკანასკნელი კი არის კულტურულ ტურიზმში მოგზაურთა მთავარი მოტივაცია, რომ საკუთარი თვალით ნახონ და განიცადონ სამოგზაურო ქვეყნის სულიერი ღირებულებები და ცხოვრების წესი. უფრო გასაგებად რომ ავხსნათ, ტურისტს, განსაკუთრებით უცხოელ ტურისტს აინტერესებს ჩვენი ქვეყნის ტრადიციები და ცხოვრების წესი, რომელიც დიდი სისწრაფით იცვლება, რითაც ჩვენ, ქართველები სულ უფრო ვემსგავსებით უცხოელებს, ხოლო ტურისტები კი ეძებენ განსაკუთრებულს და განსხვავებულს საქართველოში. გამოდის, რომ ჩვენ მათთვის საინტერესო ვიქნებით მანამ, სანამ ცოცხლად იარსებებს ჩვენი ტრადიციები და ცხოვრების წესი.

საქართველოს კულტურული მარშრუტები. 2016 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, საქართველო გახდა ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების გაფართოებული წილობრივი შეთანხმების (Enlarged Partial Agreement) 27-ე წევრი სახელმწიფო. აღნიშნული შეთანხმება გულისხმობს წევრი სახელმწიფოების მონაწილეობას ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების პროგრამაში და შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების ეროვნულ დონეზე განხორციელებას. ბუნებრივია, რომ ამით უნდა ესარგებლათ ტუროპერატორებსა და ტურისტულ სააგენტოებს. საქართველოში ეს ასე არ მოხდა. ევროპის საბჭოს მიერ უკვე სერტიფიცირებულია ექვსი კულტურული მარშრუტი:

9. **გერმანული დასახლებების მარშრუტი, რომელიც მოწოდებულია ქართული-გერმანული ურთიერთობების პოპულარიზაციისთვის, განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი უახლეს ისტორიაში გერმანელების მიერ შეტანილი წვლილი საქართველოს მეცნიერული კვლევის, მისი პოპულარიზაციისა თუ განვითარების საქმეში. გერმანული კულტურული მემკვიდრეობა საქართველოში განსაკუთრებით შესამჩნევია როგორც ურბანული, ისე გერმანული ტრადიციული დასახლებების სოფლის არქიტექტურის თვალსაზრისით. კერძოდ, ადგილობრივი გერმანელი არქიტექტორები: ლეოპოლდ ბილფელდი, იოჰან დიცმანი, ალბერტ ზალცმანი, ვიქტორ შრეტერი, ოტო იაკობ სიმონსონი და პაულ შტერნი თბილისის მრავალ ღირსშესანიშნავი პროექტის ავტორებად გვევლინებიან. კოლონიებში კი აშენებულ საცხოვრებელ სახლებში ორგანულადაა შერწყმული შვაბური და ქართული ტრადიციები.**
10. "ალექსანდრე დიუმას კვალდაკვალ". ეს მარშრუტი ხელმძღვანელობს დიუმას წიგნით-„კავკასია“, რომელიც ცნობილმა მწერალმა ჩვენს რეგიონში მოგზაურობისას დაწერა. ის, ვინც დიუმას გზას გაჰყვება, მისი თვალით დაინახავს საქართველოს, გაეცნობა რა ადგილობრივ

ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს და კულტურულ მემკვიდრეობას. მარშრუტი ასევე გულისხმობს მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობას. ვიზიტორები სწორედ აზერბაიჯანიდან დაიწყებენ თავისი მოგზაურობის ათვლას და მხოლოდ შემდეგ, რაც ძველ ბაქოს, შემახასა და ნუხს დაათვალიერებენ, ეწვევიან საქართველოსაც. მარშრუტში საქართველოს ოთხი ისტორიული რეგიონი შედის თავისი კულტურულ-ისტორიული ძეგლებითა და გასტრონომიული და ღვინის ტურიზმით. მარშრუტს, რომელიც ევროპული პერსპექტივით დაანახვებს დამთვალიერებელს საქართველოს, დიდი პოტენციალი გააჩნია.

11. ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში. ებრაული დიასპორა საქართველოში ერთ-ერთი უძველესია. ებრაელები ჩამოვიდნენ საქართველოში ნაბუქოდონოსორის მიერ ძვ.წ. 586 წელს იერუსალიმის დარბევისა
და პირველი ტაძრის დანგრევის შემდეგ. ქართლელი, ლეჩხუმელი, რაჭველი და ახალციხელი ქართველი ებრაელების მეტყველება არაფრით განსხვავდებოდა ადგილობრივი ქართული დიალექტებისაგან. ებრაული კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტი მოგვითხრობს საქართველოში მცხოვრები ებრაელების შესახებ, კერძოდ, მარშრუტი გადის 21 ქალაქსა და 43 პუნქტს, სადაც გამოვლენილია ებრაული კულტურული მემკვიდრეობა. მთელი ქვეყნის მასშტაბით ებრაულ კულტურულ მემკვიდრეობაში მოქცეულია სინაგოგები, ებრაული მემკვიდრეობის სტატუსის მქონდე ძეგლები, მუზეუმები, საფლავები და არქეოლოგიური ნიმუშები.

12. **მარშრუტში – "პრეისტორიული კლდის ხელოვნება", პირველ ეტაპზე საქართველო თრიალეთის (პატარა ხრამი) პეტროგლიფების კომპლექსით იქნება წარდგენილი, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი უკვე აქვს მინიჭებული.**
ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების „პრეისტორიული კლდის ხელოვნების“ მარშრუტში გაწევრიანებით, საქართველო საერთაშორისო ტურიზმის ინტერესთა სფეროში კიდევ უფრო მეტი შინაარსობრიობით წარმოჩინდება, რაც შედეგად ტურისტული ნაკადების მნიშვნელოვან ზრდას გამოიწვევს. თრიალეთის პეტროგლიფები მდებარეობს ქვემო ქართლში, დაბა წალკასთან. ფსევდოტერასების მეოთხე ლავური ნაკადის ფუძეში წარმოქმნილია მღვიმეები, რომელთა შორის მოქცეულ კლდის გაშიშვლებულ ზედაპირზე, ანდეზიტ-ბაზალტის არათანაბარ გლუვ მონაკვეთებზე, ხავსისა და მღიერების ქვეშ აღმოჩნდა გეომეტრიული, ზოომორფული და ანთროპომორფული გრავირებული გამოსახულებები – პეტროგლიფები.

13. **2017 წლის 2-5 ოქტომბერს, საბერძნეთის ქ. ლუტრაკი-პერაჩორაში გამართულ ევროპის საბჭოს ერთ-ერთი სერტიფიცირებული მარშრუტის „ევროპის ისტორიული თერმული ქალაქების“ ასოციაციის გენერალურ ასამბლეაზე იმერეთის რეგიონს მიენიჭა ასოცირებული წევრის სტატუსი. იმერეთი პირველი რეგიონია საქართველოდან, რომელიც აღნიშნულ ორგანიზაციაში იქნა მიღებული. იმერეთი წარმოდგენილია წყალტუბოსა და საირმის სპა კურორტების სახით, რომლებიც ცნობილია როგორც ბალნეოლოგიური, ასევე მინერალური წყლებით. „ევროპის ისტორიული თერმული ქალაქების“ ასოციაცია დაფუძნდა 2009 წელს ქ. ბრიუსელში, ერთი წლის შემდეგ კი ევროპის საბჭომ მიანიჭა კულტურული მარშრუტის სტატუსი. ასოციაციის წევრები არიან ისეთი ცნობილი კურორტები, როგორიცაა ვიში, კარლოვი ვარი, ბადენ-ბადენი და სხვა.**

14. “საქართველოს ღვინის მარშრუტი“. საქართველო აღიარებულია როგორც მსოფლიოს უძველესი ღვინის მწარმოებელი ქვეყანა. მეცნიერული კვლევები მოწმობს, რომ მეღვინეობას ადგილობრივები ძვ. წ. VI ათასწლეულიდან ეწეოდნენ. დასავლეთ აზიის და აღმოსავლეთ ევროპის გზაჯვარედინზე საქართველოს განიხილავენ მევენახეობა-მეღვინეობის სამშობლოდ. შეუძლებელია ქართული ღვინის წარმოების შესახებ საუბარი ქვევრის გარეშე. ქვევრი ხელნაკეთი, კვერცხის ფორმის თიხის საღვინე ჭურჭელია, რომელიც მიწაშია დამარხული ყელამდე. ქვევრში ღვინის დაყენება ტრადიციული მეთოდით თარიღდება 6 000 წლით და დღემდე გამოიყენება პრაქტიკაში. ეს უძველესი მეთოდი საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ მიღწევად და საგანძურად ითვლება. ღვინო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართველების სოციალურ ცხოვრებაშიც. ეს სტუმართმოყვარეობის და ქართული სუფრის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, ასევე კეთილგანწყობისა და მეგობრობის წახალისებას ემსახურებოდა.**[3]

ზემოაღნიშნული ინფორმაცია უნდა განვიხილოთ, როგორც ქართული კულტურული ტურიზმის აღიარება. თუმცა ქვეყანას არა აქვს თემატური კულტურული ტურები მიძღვნილი გამოჩენილი ადამიანების, ისტორიული მოვლენებისა და ეპოქებისადმი. ასე მაგალითად, ქართველი ერის საამაყო შვილების, მათ შორის ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი თემატური ტური, რომელიც მოზარდებსა და დიდებს გააცნობს ილიას შემოქმედებას და ღვაწლს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტურისტული ფირმები არ აჩვენებენ მის სახლ-მუზეუმებს ყვარელში, საგურამოსა თუ თბილისში, ან არ ატარებენ ექსკურსიებს მთაწმინდის პანთეონში. ჩვენ არ გვაქვს რამდენიმე ობიექტისაგან შედგენილი თემატური ტური კონკრეტულ მნიშვნელოვან საზოგადო მოღვაწეებზე. ასევე არა გვაქვს ეპოქებისა და მოვლენების ამსახველი ტურები, როგორც ეს უცხოეთშია.

ღირებულების გაზიარება, ლანდშაფტის დაცვა. ტუორო სულ ტრაზიმენო პატარა ტბისპირა სოფელია იტალიაში, სადაც ძვ. წ. 217 წლის 21 ივნისს მოხდა გმირული ბრძოლა რომისა და კართაგენის ჯარებს შორის ტრაზიმენის ტბასთან. არაფერი ხელშესახები დარჩენილა ამ ისტორიული მოვლენიდან გარდა ლანდშაფტისა. ბოლო 30 წლის განმავლობაში შორსმჭვრეტელმა ადმინისტრაციამ ხელუხლებლად დატოვა ბრძოლის ველი და შემოინახა კონკრეტული ლანდშაფტი, რითიც საშუალებას აძლევს მნახველს დღეს მიიღოს უძველესი ისტორიის განცდა მოგონებებისა და ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური ინსტრუმენტების მეშვეობით. ტუოროს გარშემო დაბლობებზე შესაძლებელია ეწვიოთ ბრძოლის ველს და გააცოცხლოთ ბრძოლის სხვადასხვა ფაზები პალაზო კაპრას დოკუმენტური ცენტრისა და ვირტუალური რეკონსტრუქციის საშუალებით. ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდები თამაშობენ რომაელი ან კართაგენელი ჯარისკაცების როლს ამ მოვლენის გასახსენებლად, ხოლო იდენტიფიკაციის პროცესი ისეთი ძლიერია, რომ ზოგმა მათგანმა დაიწყო ლათინური ენის შესწავლა რათა კომუნიკაცია დაამყაროს წარმოდგენების დროს. [4]

კულტურული მარშრუტები შეიძლება სივრცულად გაიზარდოს სხვადასხვა დონეზე _ ადგილობრივიდან ტრანსკონტინტენტურამდე. მათი მთავარი სიძლიერე ტერიტორიების ქსელში ჩართვაა. გზები იყოფა ქვე-ქსელებად და ადგილობრივ ქსელებად, რომელთაც თანმიმდევრული პოლიტიკა გააჩნიათ. ამ ერთობლიობის და უწყვეტობის ამოცნობა მნიშვნელოვანია მარშრუტისთვის და, ასევე, მისი კუთვნილი დანიშნულების ადგილების სახისა და ხილულობის თვალსაზრისით. თემატური მარშრუტები ფოკუსირებულია ტურისტული მიზიდვის ადგილებზე, რომლებიც გეოგრაფიული სივრცის ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ და ხაზს უსვამენ უნიკალურობასა და ინდივიდუალობას, რომელიც ტერიტორიიდან და მსგავსი ელემენტების მქონე მაკავშირებელი ობიექტებიდან მომდინარეობს. ეს კატეგორია მემკვიდრეობის ახალ მოდელს უღებს კარს. [2. გვ. 53]

მნიშვნელოვან პრობლემად ქართული ტურიზმისათვის რჩება საკითხი, თუ როგორ მივაწოდოთ უცხოელ ტურისტებს კულტურული მემკვიდრეობა, განსაკუთრებით კი, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა. ურბანული ექსპერტებისა და სოციოლოგიების მიერ 1970-იანი წლებიდან ჩატარებული თანმიმდევრული კვლევა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი კავშირი არსებობს კულტურულ მემკვიდრეობას, სიმბოლოებს, რომელთა მეშვეობითაც ის თავის ღირებულებებს გამოხატავს, თუ როგორ მიმდინარეობს კულტურული იდენტობის განვითარების დინამიური პროცესი და საზოგადოების ცხოვრების ხარისხის აღქმას შორის. სამწუხაროდ, ქართველი ტუროპერატორების მიერ ტურის შედგენის ტექნიკა მნიშვნელოვნად ჩამორჩება უცხოელ ანალოგებს. მაგალითვისთვის შეადარეთ „შტუდიოსუს"-ის 2020 წლის სააღდგომო ტურის პროგრამა მის ქართულ ანალოგებს. იხ. პროგრამის ვებ.გვერდი. [5] გლობალიზაცია მოითხოვს, რომ ეროვნული პოლიტიკა ორიენტირებული იყოს საერთაშორისო თანამშრომლობისგან მაქსიმალური სარგებლის მიღებაზე. საერთაშორისო ტურიზმის მნიშვნელობა პოლიტიკურ დისკურსში ხაზგასმულია როგორც ტურისტული ორგანიზაციების სხვადასხვა დონეზე, ისე ტურიზმის ინდუსტრიის მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. [2, გვ. 57]

კულტურული ტურიზმი არის და მომავალშიც დარჩება საქართველოსთვის ტურისტული ბაზრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტად. კულტურული ფენომენის მრავალფეროვანი სპექტრი, განსაკუთრებით, მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის უბადლო ნიმუშები, რაც აინტერესებს ტურისტებს, არის ტურისტების მოზიდვის ძირითადი საფუძველი. ამასთანავე ეფექტური პოლიტიკის შესამუშავებლად საჭიროა მეტი ინფორმაცია კულტურული ტურიზმის შესახებ, განსაკუთრებით ტურისტთა სამოგზაურო მოტივაციებსა და მოთხოვნილებებზე. ეს კი, თავის მხრივ, საჭიროებს უფრო დეტალურ კვლევას, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ქვეყნის ტურისტული პოლიტიკის მიზნებთან.

ლიტერატურა

1. Tourism and Culture Synergies. World Tourism Organization (2018) Madrid
2. კულტურული მარშრუტების მართვა: თეორიიდან პრაქტიკამდე. ევროსაბჭოს კულტურული მარშრუტების თანმიმდევრული გზამკვლევი. თბ. 2017
3. *http://culturalroutes.gov.ge/Routes/saqartvelos-kulturuli-marshrutebi.aspx* ნანახია 2019 5 სექტემბერს
4. www.rottadeifenici.it და www.comune.tuoro-sul-trasimeno.pg.it, ნანახია 2018 წლის 16 ნოემბერს
5. *https://www.studiosus.com/pdf/48A3--Orthodoxe-Ostern-in-Georgien--Fluganreise.pdf?&opsid=v*2596953 ნანახია 2019 5 სექტემბერს
6. მ.ალადაშვილი „ტურიზმი, გლობალიზაცია და მდგრადი განვითარება" ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი #3, 2017
7. Economic Impact of Travel and Turism 2019, Annual Update, WTTC

CHALLENGES OF CULTURAL TOURISM IN THE CONTEXT OF GLOBALIZATION

Kvaratskhelia Niko
Doctor of History, Professor
St. Andrew the First-Called Georgian
University of the Patriarchate of Georgia

Damenia Nino
Doctor of Business Management, Associated Professor
St. Andrew the First-Called Georgian
University of the Patriarchate of Georgia

Summary

The article discusses the following issues: Cultural tourism as an important form of tourism; Globalization and tourism economy; The benefits and dangers of globalization for cultural tourism; Georgian cultural routes recognized by the Council of Europe; Sharing of value, conservation of landscape; The transformation of the content of a cultural tour. Cultural tourism is and will remain one of the most important segments of Georgia's tourism market in the future. The diverse range of cultural phenomena, especially the unparalleled patterns of tangible and intangible heritage that draw tourists, are in fact the main basis for tourist attraction. In addition, in order to develop an effective policy it is vital to have more information about cultural tourists, especially their travel motives and needs. This, in turn, requires more detailed research closely in connection with the country's tourism policy goals.

Keywords: *Globalization; Tourism economy; Cultural tourism; Cultural Tour.*

ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების აღრიცხვის საკითხები

კვატაშიძე ნადეჟდა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

საბაური ლევან
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თსუ-ის პროფესორი,
ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათადრის ხელმძღვანელი

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებს აინტერესებთ, არსებობს თუ არა ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების რისკი – რამდენად სავარაუდოა საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობით ზარალის წარმოქმნა. ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის მომხმარებლებისათვის სამართლიანი ინფორმაციის წარსადგენად ფასს 9 *„ფინანსური ინსტრუმენტებით“ მოითხოვება მათი ტესტირება გაუფასურებაზე.* ***გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია,*** *ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე* ***მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის*** *აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით.*

ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასებას ფასს 9 *მოითხოვს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“, ე.წ.* ECL (Expected Credit Loss) *მოდელით – ფინანსური აქტივების გაუფასურება აღიარდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიდიდის ოდენობით. ამ* ***მოდელის მიზანია*** *ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს ფულადი ნაკადების მოცულობის, ვადებისა და მომავალი განუსაზღვრელობების შესახებ. ამიტომ, ამ მოდელის მიხედვით კომპანიამ არ უნდა გადაავადოს საკრედიტო ზარალის აღიარება იმ დრომდე, ვიდრე არ იქნება გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. პირიქით, ეს მოდელი მოითხოვს საკრედიტო ზარალის აღიარებას ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე და ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის მოსალოდნელი ზარალით განახლებას, რათა დროულად მიწოდებულ იქნეს დაინტერესებულ მხარეებისათვის შესაბამისი ინფორმაცია.*

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური ინსტრუმენტები, საკრედიტო რისკი, საკრედიტო ზარალი, გაუფასურების მოდელი, დეფოლტის განაკვეთი.*

I. გაუფასურებული ფინანსური აქტივების და საკრედიტო ზარალის ცნება

ფინანსური აქტივი მიიჩნევა (საკრედიტო რისკით) **გაუფასურებულ ფინანსურ აქტივად,** თუ მომხდარია ერთი ან მეტი ისეთი მოვლენა, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია ამ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების მტკიცებულებებს განეკუთვნება, მაგალითად დაკვირვებადი (ემპირიული) მონაცემები შემდეგი მოვლენების შესახებ:

ა) ემიტენტის ან მსესხებელი საწარმოს მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;

ბ) სახელშეკრულებო პირობების დარღვევა, როგორიცაა, მაგალითად ძირი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა, ან გადახდის ვადაგადაცილება;

გ) როდესაც კრედიტორი, თავისი მსესხებლის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან სახელშეკრულებო მიზეზების გამო, მსესხებელს ისეთ დათმობებს სთავაზობს, რასაც სხვა შემთხვევაში არ გაითვალისწინებდა;

დ) მოსალოდნელი ხდება, რომ მსესხებელი დაიწყებს გაკოტრების პროცედურას, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესს;

ე) მოცემული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სიძნელეების გამო; ან

ვ) ფინანსური აქტივის შეძენა ან შექმნა დიდი ფასდათმობით, რაც განცდილ საკრედიტო ზარალს ასახავს.

ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელი არ არის ერთი განცალკევებული მოვლენის იდენტიფიკაცია – პირიქით, ფინანსური აქტივის (საკრედიტო რისკით) გაუფასურება შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე მოვლენის ერთობლივი ზემოქმედებით.

გაუფასურება გამოიყენება შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ:

- სასესხო ინსტრუმენტები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით;
- სასესხო ინსტრუმენტები შეფასებული რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით;
- მოთხოვნები წარმოქმნილი სახელშეკრულებო აქტივებიდან (განეკუთვნება ფასს 15 მოქმედების სფეროს);
- საიჯარო მოთხოვნები (განეკუთვნება ფასს 16 მოქმედების სფეროს);
- სახელშეკრულებო ფინანსური გარანტიები, რომელიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

შემოწმებას გაუფასურებაზე არ ექვემდებარება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და წილობრივი ინსტრუმენტები.

საკრედიტო ზარალი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად საწარმოს მიერ მისაღებ ყველა სახელშეკრულებო ფულად ნაკადსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც საწარმო ვარაუდობს. **ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საკრედიტო ზარალი არის** შემდეგ თანხებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულება [1, ბ5.5.29]:

ა) სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც ხელშეკრულების შესაბამისად არის გადასახდელი საწარმოსათვის; და

ბ) ფულადი ნაკადები, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის.

აუთვისებელი სესხის გაცემის ვალდებულებებისთვის საკრედიტო ზარალი არის შემდეგ თანხებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულება [1, ბ.5.5.30]:

ა) სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც საწარმოსთვის იქნება გადასახდელი, თუ სესხის გაცემის ვალდებულების მფლობელი სესხს აითვისებს; და

ბ) ფულადი ნაკადები, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის, თუ მფლობელი აითვისებს სესხს.

2. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტესტირების მოდელები

ფასს 9 მოითხოვს ფინანსური აქტივებისათვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრას, რისთვისაც შემუშავებული აქვს გაუფასურების მოდელი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ მიდგომებს:

- **საერთო მიდგომას**, რომელიც გამოიყენება კრედიტების უდიდესი ნაწილისა და სასესხო ფასიანი ქაღალდებისათვის;
- **გამარტივებული მიდგომას**, რომელიც გამოიყენება სავაჭრო და საიჯარო დებიტორული დავალიანებისა და საკონტრაქტო აქტივებისათვის;
- **მიდგომა იმ შეძენილი ან შექმნილი ფინანსური აქტივებისათვის, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას საკრედიტო რისკით არის გაუფასურებული.**

ასეთი ფინანსური აქტივებისათვის გაუფასურების რეზერვი არ აღიარდება, არამედ მისი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ჩაირთვება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში. შედეგად მიიღება **საკრედიტო რისკით კორექტირებული საპროცენტო განაკვეთი**, რომლითაც ის შემდგომში ამორტიზდება. შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ თავდაპირველი აღიარების დროს რეალურ ღირებულებაში უკვე აისახება ის საკრედიტო ზარალი, რომელიც მოსალოდნელია აქტივების არსებობის მანძილზე.

1. საკრედიტო ზარალის ტესტირების ზოგადი მოდელი

ამ მოდელით გაუფასურების ზარალი უნდა შეფასდეს ფინანსური ინსტრუმენტებისათვის საანგარიშგებო თარიღიდან ან 12-თვიანი პერიოდისათვის, ან მითი არსებობის პერიოდისათვის [2,26] პრაისი . კერძოდ:

- საწარმომ ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის თითოეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის, **რომლის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა** თავდაპირველი აღიარების შემდეგ, უნდა განსაზღვროს ზარალის რეზერვი ისეთი ოდენობით, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის **არსებობის მანძილზე** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია [1,.5.5.3];
- როდესაც საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი **მნიშვნელოვნად გაზრდილი არ არის** თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ მოცემული ფინანსური ინსტრუმენტისთვის ზარალის რეზერვი უნდა შეაფასოს ისეთი ოდენობით, რომელიც 12**- თვიანი საკრედიტო ზარალის** ტოლია [1,.5.5].

ფასს 9 განასხვავებს ფინანსური აქტივების სამ კატეგორიას, გაუფასურების ზარალის აღიარება და შეფასება ხდება იმის მიხედვით, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნება განსახილველი ფინანსური აქტივი.

კატეგორია 1 – ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

ამ კატეგორიის ფინანსური აქტივების აღრიცხვის თავისებურებებია:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა;
- საპროცენტო შემოსავლის განსაზღვრა მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან[1], ანუ ზარალის რეზერვის გამოკლებამდე.

კატეგორია 2 – ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაც დაბალი საკრედიტო რისკი გააჩნიათ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით.

ამ კეტეგორიის ფინანსური აქტივების აღრიცხვის თავისებურებებია:

- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა ფინანსური აქტივების არსებობის პერიოდისათვის;
- საპროცენტო შემოსავლის განსაზღვრა მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან, ანუ ზარალის რეზერვის გამოკლებამდე.

კატეგორია 3 – ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაც მაღალი საკრედიტო რისკი გააჩნიათ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით.

ამ კეტეგორიის ფინანსური აქტივების აღრიცხვის თავისებურებებია:

- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე;
- საპროცენტო შემოსავლის განსაზღვრა ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზებული ღირებულებიდან (ზარალის რეზერვის გამოკლების შემდეგ და არა მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან).

12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის **ნაწილი**, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევების შედეგად. **არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი** არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ყველა შესაძლო შემთხვევის შედეგად.

ამდენად, თავდაპირველად ფინანსური აქტივების **აღიარებისთანავე** იქმნება 12-თვიანი პერიოდის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი – მხოლოდ ნაწილი მოსალოდნელი ზარალის. მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზრდება თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ე.წ. საბოლოო ზარალი.

ამავდროულად, ფასს 9 აღიარებს, რომ ამ მოდელს ახლავს გარკვეული სირთულეები, მაგალითად, როგორიცაა შემდეგი განსაზღვრებები:

- კატეგორია, რომელსაც მიეკითვნება აქტივი;
- საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა;
- 12-თვიანი ან მთლიანი სახელშეკრულებო პერიოდის მანძილზე ECL (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი);
- ECL-ზე (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) მოქმედი საკრედიტო რისკის ფაქტორები.

ამ სირთულეების გათვალისწინებით, ფასს 9-ით ნებადართულია ზოგიერთი ფინანსური აქტივებისადმი ალტერნატიული მიდგომა – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა გამარტივებული მიდგომით.

2. საკრედიტო ზარალის ტესტირების გამარტივებული მოდელი

გამარტივებული მიდგომის დროს არ არის საჭირო ფინანსური აქტივის კატეგორიის განსაზღვრა, რადგან გაუფასურების ზარალი განისაზღვრება როგორც ყველა ფინანსური ინსტრუმენტების ECL (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) მთლიანი სახელშეკრულებო პერიოდის არსებობის მანძილზე (იხ.სქემა 1).

1 ამორტიზებული ღირებულება, გაუფასურების რეზერვის თანხით კორექტირებამდე

სქემა 1



3. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება როგორც საკრედიტო ზარალის (დანაკარგების) საშუალო შეწონილი სიდიდე, სადაც წონებად გამოიყენება **ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკები.** საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო **ზარალი ისეთი მეთოდით უნდა შეაფასოს,** რომელიც ასახავს [3, 10 დელოიტე]:

ა) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;

ბ) ფულის დროით ღირებულებას; და

გ) გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვების შექმნისა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის წესი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორ აღირიცხება ფინანსური აქტივი – ამორტიზებული ღირებულებით თუ რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავლში ასახვით.

თუ ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სავარაუდო რეზერვი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და ამცირებს ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.** რეზერვის შექმნა აისახება ხარჯების დებეტში (მოგება-ზარალი) და მოსალოდნელი ზარალის რეზერვის კრედიტში (ბალანსი). რეზერვი ფინანსური მადგომარეობის ანგარიშგებაში აისახება აქტივების შემადგენლობაში, რითაც ამცირებს ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას.

თუ ფინანსური აქტივი აღირიცხება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სავარაუდო რეზერვი ასევე აღიარდება ხარჯად, მაგრამ „სხვა სრული შემოსავლის“ მეშვეობით აისახება კაპიტალში. ამასთან, ზემოაღნიშნული ზარალის რეზერვი უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში და მან **არ უნდა შეამციროს მოცემული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში** [4, 11]; [1,5.5.2] – იხ.სქემა 2.

სქემა 2



4. საეჭვო მოთხოვნების დანაკარგების რეზერვი

დებიტორული დავალიანების პორტფელის ფარგლებში უნდა შეიქმნას მოსალოდნელი ზარალის შეფასებითი რეზერვი „საეჭვო მოთხოვნების რეზერვის“ სახელწოდებით.

პრაქტიკაში ამ რეზერვის შეფასება შემდეგნაირად ხდება:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მისაღები მოთხოვნების ანალიზი, დაჯგუფება და დახარისხება დაფარვის ვადების მიხედვით;
2. ზარალის გარკვეული კოეფიციენტების გამოყენება მოთხოვნების ცალკეული ჯგუფებისათვის (რაც უფრო მეტია ვადის გადაცილება, მით უფრო მაღალია კოეფიციენტი).

როგორც წესი, რეზერვის შეფასება ხდება მთლიანი (და არა ვადაგადაცილებული) დებიტორული დავალიანების 2%-ს ოდენობით, ვადის 30 დღით გადაცილების შემთხვევაში – 10% და ასე შემდეგ, ხოლო 360 დღეზე მეტით გადაცილების შემთხვევაში – 100%-ით. ფასს 9 შეცვალა ეს მიდგომა და მოითხოვს სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის ზარალის (დანაკარგების) რეზერვის განსაზღვრას ე.წ. ECL – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით.

ფასს 9-ის მიერ შემოთავაზებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა **„რეზერვების მატრიცის“** გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს [1,პ.ბ5.5.35]:

1. ფინანსური აქტივების ჯგუფის **გაუფასურების ზარალის კოეფიციენტების განსაზღვრას;**
2. ზარალის კოეფიციენტის **კორექტირებას საპროგნოზო ინფორმაციით.**

რეზერვების მატრიცა ეფუძნება დეფლოტის განაკვეთის ისტორიულ დაკვირვებას, რომელიც კორექტირდება საპროგნოზო მონაცემების გათვალისწინებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უნდა მოხდეს დეფლოტის ისტორიული კოექფიციენტის და საპროგნოზო მონაცემების განახლება [5,48].

საწარმო საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს გამოიყენებს სავაჭრო მოთხოვნებისათვის 12-თვიანი ან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. მაგალითად, რეზერვების მატრიცაში შეიძლება მითითებული იყოს რეზერვის ფიქსირებული განაკვეთები, იმისდა მიხედვით, რამდენი დღით არის სავაჭრო მოთხოვნა ვადაგადაცილებული (მაგალითად, 1%, თუ ვადაგადაცილებული არ არის; 2%, თუ 30 დღეზე ნაკლები ხნით არის ვადაგადაცილებული; 3%, თუ 30 დღეზე მეტი, მაგრამ 90 დღეზე ნაკლები ხნით არის ვადაგადაცილებული; 20 პროცენტი, თუ 90-180 დღით არის ვადაგადაცილებული და ა.შ.).

მომხმარებლების ბაზის მრავალფეროვნებაზე დაყრდნობით საწარმო აქტივებს დააჯგუფებს შესაფერის ჯგუფებად, თუ საკრედიტო ზარალის მიღების წარსული გამოცდილება ზარალის ხასიათის მნიშვნელოვან განსხვავებებს აჩვენებს მომხმარებელთა განსხვავებული სეგმენტებისთვის. მაგალითად, აქტივების დასაჯგუფებლად შესაძლებელია შემდეგი კრიტერიუმების გამოყენება: გეოგრაფიული რეგიონი, პროდუქტის ტიპი, მომხმარებლის რეიტინგი, უზრუნველყოფა ან სა-

ვაჭრო საკრედიტო რისკების დაზღვევა და მომხმარებლის ტიპი, მაგალითად, ბიზნეს-კლიენტები (იურიდიული პირები) და საცალოდ მოვაჭრეები (ფიზიკური პირები).

სხვაგვარად, დაჯგუფება მოხდება იმ ნიშნების (ფაქტორების) გათვლისწინებით, რომელიც მოქმედებს დებიტორული დავალიანების დაფარვაზე. დაჯგუფებისას მთავარია ის, რომ ერთ ჯგუფში შემავალ დებიტორებს ჰქონდეთ ზარალის ერთნაირი ან მსგავსი შაბლონი [6,7].

წარსულის მონაცემებით განსაზღვრული ზარალის კოეფიციენტები კორექტირდება საპროგნოზო ინფორმაციით. **საპროგნოზო ინფორმაცია** არის ყველა ფაქტორი, რომელსაც შეუძლია მომავალში გავლენის მოხდენა საკრედიტო ზარალზე, მაგალითად, უმუშევრობის, ფასების და სხვა მაკროეკონომიკური პროგნოზები. ამისათვის გამოყენებული უნდა იქნეს **გონივრული და ღირებული ინფორმაცია** – ინფორმაცია, რომელიც საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, გონივრულ ფარგლებში, ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე, მათ შორის ინფორმაცია წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური პირობების პროგნოზების შესახებ. ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, მიიჩნევა, რომ **ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.**

დასკვნა:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებთან, განსაკუთრებით სავაჭრო მოთხოვნებთან, დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენა არ საჭიროებს დიდ შრომითი და დროითი დანახარჯების გაწევას. კომპანიებს, როგორ წესი, აქვთ ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი და სტანდარტული ოპერაციები, რომელიც წარმოქმნის მეტ-ნაკლებად სტაბილურ კლიენტთა ბაზას. შედეგად, კომპანიებს არ გაუჭირდებათ კლიენტთა ბაზის ანალიზი და დეფოლტის ისტორიული განაკვეთის განსაზღვრა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენა.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენას ახლავს გარკვეული სირთულეები, რაც დაკავშირებულია ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების მოძიებასთან. ამდენად, საჭირო გახდება არამხოლოდ ფასს 9-ის, არამედ ფასს 13 „რეალური ღირებულების შეფასებით“ განსაზღვრული რეალური ღირებულების იერარქიის გამოყენებაც.

ლიტერატურა

1. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები. თარგმანი. London. IASB. 2015. 146 გვ. www.saras.gov.ge
2. IFRS 9. Financial Instruments Understanding the basics. PWC. London. 2017. 41 p. https://www.pwc.com/gx/en/audit-services/ifrs/publications/ifrs-9/ifrs-9-understanding-the-.
3. IFRS 9: Financial Instruments – high level summary. Deloitte. London. 2016. 18 p. https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/ru/Documents/audit/ifrs-9-financial-instrume .
4. IFRS 9 – Financial Instruments – IAS Plus. London, 2018. 22 p. https://www.iasplus.com/en/standards/ifrs/ifrs9
5. IFRS in practice 2018. IFRS 9 Financial Instruments. BDO. London. 2018. 108 p. https://www.bdo.global/getattachment/Services/Audit-Assurance/IFRS/IFRS-in-Practice/IFRS-9-
6. Bad debt provision under IFRS. "Silvia, IFRSbox". New York. 2019. 22 p. https://www.ifrsbox.com/how-to-calculate-bad-debt-provision-under-ifrs-9/

ISSUES OF ACCOUNTING FOR THE IMPAIRMENT OF FINANCIAL INSTRUMENTS

Kvatashidze Nadejda
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Sabauri Levan
Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
Head of the Department of Accounting and Auditing

Summary

Users of financial reporting information are interested in whether there is a risk of impairment of financial instruments – the likelihood of emerging a loss due to non-compliance with contractual obligations. To provide the users with a fair information on the financial instrument, IAS 9 „Financial Instruments" requires their testing on impairment . A purpose of impairment-related requirements is to recognize the expected credit loss for all financial instruments in the financial statements.

IAS 9 requires to measure an impairment of the financial instruments by the Expected Credit Loss (ECL) model – to recognize the financial assets by amount of the ECL. A purpose of this model is to provide users of financial reporting information with the relevant information on the volume, timing and future uncertainties of a reporting entity. Therefore, under this model, a company should not postpone the recognition of credit losses until there is objective evidence of impairment. Rather, this model requires the recognition of credit losses throughout the existence of a financial asset and the updating of expected losses at each reporting date in order to provide timely a relevant information to stakeholders.

Keywords: *Financial Instruments, Credit risk, Credit loss, Impairment model, Default rate.*

მოსაზრებები მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ თაობაზე

კოზმანაშვილი ლია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ-ის ასისტენტ პროფესორი

სტატიაში განხილულია მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესის შემოღებასთან დაკავშირებული ცალკეული საგადასახადო და სააღრიცხვო საკითხები, ასევე მოგების გადასახადის გაანგარიშების მეთოდიკა. მოყვანილია მოგების გადასახადის გაანგარიშების პრაქტიკული მაგალითები.

საკვანძო სიტყვები: *მოგების გადასახადი, მოგების გადასახადის განაკვეთი, სააღრიცხვო მოგება, დივიდენდის განაწილება მესაკუთრეებზე.*

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესის, ანუ ე.წ. „ესტონური მოდელის“ შემოღება განპირობებული იყო სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის სტიმულირებისა და ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით. მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესი ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვარიდან.

აღნიშნული წესის შემოღებით ფინანსური ანუ სააღრიცხვო მოგების გაანგარიშების წესი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა, ხოლო საგადასახადო მიზნებისთვის მოგების გადასახადით დაბეგვრას დაექვემდებარა საქართველოს საგადასახადო კოდექსით (შემდგომში – სსკ) განსაზღვრული გარკვეული ტიპის ხარჯები და განაწილებული მოგების თანხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელი საწარმო მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესის პირობებში არ გადაიხდის აღნიშნულ გადასახადს იმ შემთხვევაში, თუ არ გაანაწილებს მოგებას და არ გასწევს ისეთ ხარჯს, რომელიც არ არის დაკავშირებული მის ეკონომიკურ საქმიანობასთან. აქვე გასათვალისწინებელია: თუ რეზიდენტი საწარმო დივიდენდს გაანაწილებს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის მიხედვით გადასახდელი თანხისა; აღნიშნული შემთხვევისთვის მოგების გადასახადის ჩასათვლელი თანხა გაიანგარიშება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი ფორმულით (სსკ მ.309, პ.92,93).

მოგების გადასახადის გაანგარიშების ზოგადი წესი

საგულისხმოა, რომ ძველი – 2017 წლის 1 იანვრმდე მოქმედი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადი გამოითვლებოდა საგადასახადო დეკლარაციით გაანგარიშებული მოგების დასაბეგრი ბაზის მიმართ 15%-ით, ხოლო მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესის პირობებში – მოგების გადასახადის განაკვეთი დარჩა ისევ 15%, მაგრამ შეიცვალა გადასახადის გაანგარიშების წესი, კერძოდ ის იანგარიშება მოგების გადასახადით დასაბეგრი ობიექტის გაყოფით 0,85-ზე და შედეგად მიღებული თანხის 15%-ით ანუ შემდეგი ფორმულით:

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი/0,85*15%

თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს მიერ ხდება მოგების განაწილება მესაკუთრეებზე (გაუნაწილებელი მოგებიდან თანხის დივიდენდის ფონდში გადატანის გზით), დაბეგვრის წესი იქნება სტანდარტული, ანუ ისეთივე, როგორც ხდებოდა მოგების გადასახადის ძველი მოდელის დროს – დასაბეგრი თანხის მიმართ 15 %-იანი განაკვეთით. აღნიშნულის შესაბამისი მაგალითები ქვემოთ იქნება განხილული.

მოგების გადასახადით დასაბეგრი ობიექტი

საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის შესაბამისად, მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესის მიხედვით დაბეგვრის ობიექტი არის:

1. **განაწილებული მოგება;**
2. **გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;**

3. **უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;**

4. **საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.**

განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება (სსკ მუხლი 981).

მოგების განაწილებად ითვლება:

ა) საწარმოს მიერ ურთიერთდამოკიდებულ პირთან (რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან და მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს გარიგების შედეგზე;

ბ) კონტროლირებული ოპერაციის განხორციელება, თუ ამ ოპერაციის დადგენილი პირობები არ შეესაბამება საბაზრო პრინციპს;

გ) საწარმოს მიერ საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა, საჯარო სამართლის იურიდიული პირისა – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსი და საქართველოს ეროვნული ბანკისა) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან.

გაწეულ ხარჯს ან სხვა გადახდას, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, მიეკუთვნება (სსკ მუხლი 982)**:**

- დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი;
- ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება;
- მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი;
- ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისაგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის ფარგლების ზემოთ კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი პროცენტი;
- პირის (გარდა სპეციალური სავაჭრო კომპანიისა) მიერ სპეციალური სავაჭრო კომპანიისაგან უცხოური საქონლის შესაძენად ამ საქონლის საბაჟო ღირებულებაზე მეტი ოდენობით გაწეული ხარჯი, გარდა იმ ხარჯისა, რომელიც აღნიშნული სპეციალური სავაჭრო კომპანიისათვის გადახდებს არ უკავშირდება.

მოგების გადასახადის დროებითი სხვაობები

როგორც ცნობილია, მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესის მიხედვით, საგადასახადო მიზნებისთვის დაბეგვრას დაექვემდებარა საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გარკვეული ტიპის ხარჯები და განაწილებული მოგების თანხები, რომელთა შესახებაც ზემოთ აღინიშნა. პრაქტიკაში არის სხვადასხვა შემთხვევა, როდესაც მოგების გადასახადის დარიცხვა-გადახდით საწარმოს წარმოექმნება საგადასახადო და საბუღალტრო (სააღრიცხვო) ბაზას შორის დროებითი სხვაობა ან გადავადებული საგადასახადო აქტივი, ისევე, როგორც არის შემთხვევები, როდესაც მოგების გადასახადის ნაწილში ე.წ. მუდმივ სხვაობას აქვს ადგილი ანუ მოგების გადასახადი ექვემდებარება დარიცხვას და გადახდას ჩათვლის (უკან დაბრუნების) გარეშე. განვიხილოთ ზემოაღნიშნული შემთხვევების შესაბამისი მაგალითები:

მაგალითი 1.

საწარმომ სხვა საწარმოსაგან ისესხა 100,000 ლარი წლიური 28%-იანი განაკვეთით; ერთი წლის შემდეგ საწარმომ კრედიტორს გადაუხადა სესხის ძირითადი თანხა 100, 000 ლარი და დარიცხული პროცენტი 28,000 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობით – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ კრედიტისთვის (სესხისთვის) გადასახდელი წლიური პროცენტის ზღვარი დადგენილი არის 24%, ანუ ჩვენი მაგალითის შემთხვევაში გამოსაქვითი პროცენტის თანხა შეადგენს 24,000 ლარს, შესაბამისად, 28,000 – 24,000 = 4,000 ლარი დაიბეგრება მოგების გადასახადით:

4,000/0.85*15% = 705,88 ლარი იქნება საწარმოს მიერ გადასახდელი მოგების გადასახადი.

აღნიშნული მაგალითის შემთხვევაში საწარმოს საგადასახადო და საბუღალტრო (სააღრიცხვო) ბაზას შორის დროებითი სხვაობა ან გადავადებული საგადასახადო აქტივი არ წარმოექმნება, შესაბამისად, გაანგარიშებული მოგების გადასახადი – 4000 ლარი ექვემდებარება დარიცხვას და გადახდას ჩათვლის (უკან დაბრუნების) გარეშე.

მოგების გადასახადის დარიცხვისა და გადახდის ბუღალტრულ გატარებებს ექნება შემდეგი სახე:

#	ანგარიშის დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი
1	მოგების გადასახადის ხარჯი	9210	
	დარიცხული/გადასახდელი მოგების გადასახადი		3310
	მოგების გადასახადის დარიცხვა		
2	დარიცხული/გადასახდელი მოგების გადასახადი	3310	
	ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში		1210
	მოგების გადასახადის თანხის გადარიცხვა		

ფიზიკური პირისთვის ან არარეზიდენტისათვის გაცემული სესხის ძირითადი თანხა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესის მიხედვით არის აგრეთვე მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი (სსკ მუხლი 982, პუქტი 3, ქვეპუნქტი ზ)).

მაგალითი 2.

საწარმომ 2018 წლის მაისის თვეში ფიზიკურ პირზე გასცა სესხი 10,000 ლარის ოდენობით წლიური 20%-იანი განაკვეთით. სესხის ძირითადი თანხა 10,000 ლარი მაისის თვის მიხედვით წარდგენილ დეკლარაციაში საწარმოს მიერ დაიბეგრა მოგების გადასახადით, რომელიც იანგარიშება და შეადგენს:

10,000 / 0.85 **x** 0.15 **=** 1,764 **ლარს**

2018 წლის სექტემბრის თვეში ფიზიკურმა პირმა საწარმოს უკან დაუბრუნა 10,000 ლარი სესხის ძირითადი თანხა და შესაბამისი პროცენტი. ამ ოპერაციის შედეგად სექტემბრის თვის მიხედვით წარდგენილ დეკლარაციაში საწარმო სრულად იბრუნებს (ჩაითვლის) დაბრუნებული სესხის მიხედვით მაისის თვის დეკლარაციის შესაბამისად გადახდილ მოგების გადასახადის თანხას – 1,764 ლარს.

აღნიშნული მაგალითის შემთხვევაში საწარმოს წარმოექმნა გადავადებული საგადასახადო აქტივი, შესაბამისად, გაანგარიშებული მოგების გადასახადი – 1,764 ლარი ექვემდებარება დარიცხვას და გადახდას მაისის თვის დეკლარაციის მიხედვით, ხოლო დაბრუნებას (ჩათვლას) სექტემბრის თვის დეკლარაციის მიხედვით. ანუ ფიზიკურ პირზე სესხის გაცემის ოპერაციით საწარმოს წარმოექმნა გადავადებული საგადასახადო აქტივი – გამოსაქვითი დროებითი სხვაობა, ვინაიდან აქტივის (მოთხოვნის) საბალანსო ღირებულება არის 10,000 ლარი, ხოლო მისი საგადასახადო ბაზა ნულის ტოლია.

გადავადებული საგადასახადო აქტივისა და მოგების გადასახადის დარიცხვის, გადახდისა და ჩათვლის ბუღალტრულ გატარებებს ექნება შემდეგი სახე:

#	ანგარიშის დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი
1	გადავადებული საგადასახადო აქტივი	2340	
	დარიცხული/გადასახდელი მოგების გადასახადი		3310
	მოგების გადასახადის თანხის დარიცხვა		
2	დარიცხული/გადასახდელი მოგების გადასახადი	3310	
	ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში		1210
	მოგების გადასახადის თანხის გადარიცხვა		

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალების დანაკლისი ითვლება მისი გამოვლენის მომენტში ამ საქონლის **უსასყიდლოდ მიწოდებად** და იბეგრება მოგების გადასახადით, რაც საწარმოს არ წარმოუქმნის გადავადებულ საგადასახადო აქტივს – გამოსაქვით დროებით სხვაობას და პირველ მაგალითში განხილული შემთხვევის მსგავსად დანაკლისის მიხედვით გაანგარიშებული მოგების გადასახადი სავალდებულო წესით დაექვემდებარება დარიცხვას და გადახდას ჩათვლის (უკან დაბრუნების) გარეშე.

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც საწარმოს მიერ ხდება მოგების განაწილება მესაკუთრეებზე ე.წ. პირდაპირი გზით (გაუნაწილებელი მოგებიდან თანხის დივიდენდის ფონდში გადატანა), ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაბეგვრის წესი იქნება სტანდარტული ანუ ისეთივე, როგორც ეს ხდებოდა მოგების გადასახადის ძველი მოდელის დროს – დასაბეგრი თანხის მიმართ 15 პროცენტიანი განაკვეთით.

მაგალითი 3.

საწარმომ დამფუძნებელ-პარტნიორთა სათანადო გადაწყვეტილების საფუძველზე 2017-2018 წლების გაუნაწილებელი მოგებიდან 100,000 ლარი უნდა მიმართოს დივიდენდის ფონდში. თუმცა, იმისათვის, რომ თანხამ მიიღოს დივიდენდის ფონდის სტატუსი, ის ჯერ უნდა დაიბეგროს მოგების გადასახადით:

100,000 ლარი *15%=15,000 ლარი

1) მოგების გადასახადის დარიცხვის შესაბამისი ბუღალტრული გატარება იქნება:
   დებეტი „მოგების გადასახადის ხარჯი“ 9210 15,000
   კრედიტი „მოგების გადასახადი“ 3310 15,000
2) 100,000 ლარიდან მოგების გადასახადის თანხის გამოკლების (100,000-15,000=85,000) შემდეგ დარჩენილი თანხა 85,000 ლარი გადატანილი იქნება „გადასახდელი დივიდენდები“-ს (3420) ბუღალტრულ ანგარიშზე:
   დებეტი „გაუნაწილებელი მოგება“ 5310 85,000
   კრედიტი „გადასახდელი დივიდენდები“ 3420 85,000
3) შემდეგ ეტაპზე, იმისათვის, რომ დივიდენდის ფონდიდან თანხა განაწილდეს მესაკუთრეებზე, იგი ჯერ უნდა დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადის 5 პროცენტიანი განაკვეთით (85,000 ლარი *5%=4,250 ლარი):
   დებეტი „გადასახდელი დივიდენდები“ 3420 4,250
   კრედიტი „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“ 3320 4,250
4) 85,000 ლარიდან საშემოსავლო გადასახადის თანხის (4250 ლარი) გამოკლების (85,000-4,250=80,750) შემდეგ დარჩენილი ხელზე გასაცემი დივიდენდის თანხა 80,750 ლარი გაიცემა მესაკუთრეებზე (დავუშვათ, გაცემა მოხდა პირობითად სალაროდან), შესაბამის ბუღალტრულ გატარებას ექნება შემდეგი სახე:
   დებეტი „გადასახდელი დივიდენდები“ 3420 80,750
   კრედიტი „ნაღდი ფული სალაროში ლარებში“ 1110 80,750.

ამრიგად, 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და აღრიცხვის წესები მნიშვნელოვნად შეიცვალა. აქვე, აუცილებლად ექვემდებარება აღნიშვნას ის ფაქტი, რომ საწარ-მოებისთვის საკმაოდ დიდ შეღავათს წარმოადგენს მოგების გადასახადისა და მოგების საავანსო (მიმდინარე) გადასახადისაგან განთავისუფლება, რომელსაც საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ადგილი აქვს მანამდე, სანამ საწარმოთა მიერ არ მოხდება მოგების განაწილება მესაკუთრეებზე ან ისეთი ხარჯების გაწევა, რომელიც კოდექსის მიხედვით უთანაბრდება მოგების განაწილებას.

ლიტერატურა

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 3591-IIს, 17.09.2010 (2019წ. 28 ივნისის ცვლილებების გათვალისწინებით).
2. *https://matsne.gov.ge/ka/document/view/*1043717*?publication*=150

OPINIONS ON THE “ESTONIAN MODEL” OF INCOME TAXATION

Kozmanashvili Lia

Academic Doctor in Economics, Assistant-Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

The article discusses some of the tax and accounting aspects of introducing a new rule on income tax. The methodology for calculating profit tax is discussed. Practical examples of profit tax calculation are given.

Keywords: *Profit tax, Profit tax rate, Accounting profit, Dividend distribution to owners.*

ВЫЗОВЫ ЭКОНОМИЧЕСКОГО ПОЯСА ШЕЛКОВОГО ПУТИ ДЛЯ СТРАН ЦЕНТРАЛЬНОЙ АЗИИ

Койчуманов Талайбек
Джумашевич, доктор экономических наук, профессор
Кыргызско-Российский Славянский университет, город Бишкек

Динамичный экономический рост КНР в последние десятилетия втягивает страну в обстряющуюся конкуренцию на глобальном уровне, прежде всего в доступе ее к мировым источникам энергии и к мировым рынкам сбыта. Попытки сдерживать крупнейшими державами китайскую экспансию во внешней торговле вынуждают Китай искать ответы на вызовы через новые инициативы.
Такой инициативой стала объявленная в 2013 году председателем КНР Си Цзиньпин инициатива «Один пояс – один путь», которая предполагает объединение двух проектов – «Экономического пояса Шелкового пути» (в дальнейшем ЭПШП) и «Морского Шелкового Пути XXI века" [1]. Для стран Центральной Азии (в дальнейшем ЦА) этот проект может помочь использовать выгодное географическое положение. Если учесть, что такие центральноазиатские страны как Казахстан и Кыргызская Республика являются членами ЕАЭС, то также как и для других членов ЕАЭС и прежде всего для Российской Федерации вопрос сопряжения китайской инициативы с ЕАЭС также становится важной в повестке развития ЭПШП.

Концепция ЭПШП – интерес для стран ЦА

Несомненно, Великий Шелковый путь сыграл важную роль в развитии экономических и культурных связей народов Азии, Кавказа, Центральной Азии и Китая и попытка возродить эту идею и придать ей новое значение весьма притягательна [2]. Экономический пояс Шелкового пути планирует объединить страны Азии, Европы и Африки с населением более 3 миллиардов человек для расширения обмена не только товарами и технологиями, но и для содействия культурному обмену. Страны Шелкового пути в современных условиях привлекают Китай наличием богатых природных ресурсов и возможностью высокоскоростных транзитных перевозок в Европу для расширения рынков сбыта китайских товаров.

Совместное строительство ЭПШП декларирует содействие свободному движению капитала, трудовых ресурсов, технологии. Перед партнерами по ЭПШП стоят задачи по созданию условий для эффективного распределения ресурсов по всей сети, углубления рыночной интеграции, координации экономической политики стран по маршрутам нового Шелкового пути [3].

Среди комплекса задач, которые обозначены в концепции, можно выделить задачи, которые представляют особый интерес у стран ЦА. Это, например, такие задачи, как:

- устранение многочисленных барьеров и ограничений в международной и взаимной торговле;

- строительство Евразийской трансконтинентальной сети железных и автомобильных дорог, позволяющих гибко использовать различные международные транспортные коридоры;

- комплексное укрепление торгово-экономических и логистических связей Китая со странами Шелкового пути, прежде всего со странами Центральной Азии;

- подключение всех звеньев Великого Шелкового пути с помощью передовых транспортно-инфраструктурных и коммуникационных сетей, а также развитие трубопроводной системы.

Основным доказательством серьезности намерения реализовать стратегию экономического пояса Шелкового пути является введение основательной финансовой базы. Три мощных финансовых учреждения, которые были созданы в короткие сроки (2014-2015), – это фонд шелка, Азиатский Банк инвестиций в инфраструктуру (АВІА) и Банк Развития БРИКС, который в некоторой степени присоединяется к ним.

В рамках проекта "Один пояс-один путь", который объединил концепции ЭПШП и МШП, основными маршрутами определяются следующие:

- из Китая через Центральную Азию, Россию в Европу (к Балтийскому морю);

- из Китая через Центральную Азию и Западную Азию в Персидский залив и Средиземное море;

- из Китая в Юго-Восточную Азию, Южную Азию, в Индийский океан.



Рис.1. Концепция «Один пояс – один путь»

Автор не ставит целью рассмотрение политической составляющей концепции, ее стратегических целей, направленных на "достижение **глобального лидерства в экономике и международных отношениях" с использованием так называемой "мягкой силы" [**4**]. Здесь будет рассматриваться только экономический аспект концепции, взаимовыгодные** направления сотрудничества, которые могут помочь решению проблем стран Центральной Азии в целом обеспечивая рост экономики стран ЭПШП.

Ни в коем случае не игнорируется и такой эффект от реализации концепции, как **развитие гуманитарного сотрудничества – укрепление дружбы между народами и сотрудничество в сфере культуры, повышение уровня безопасности между странами Евразии. Но это тема отдельного исследования.**

Интеграция стран ЦА в проект "Один пояс-один путь"

Странам ЦА, в частности Казахстану, Кыргызстану, Таджикистану, Узбекистану и Туркменистану в концепции "Один пояс-один путь" отводится особая роль – передового края для реализации идеи по расширению торгово-экономических связей КНР с Европой, Россией, Турцией и Ираном [5]. Этому способствует как геостратегическое положение этих стран в Центральной Евразии, так и значительные запасы драгоценных металлов, рудных и цветных металлов, энергоресурсов.

На счет потенциала сотрудничества стран ЦА в рамках ЭПШП, на мой взгляд, экспертами недостаточно внимания уделяется различиям стран ЦА. Я имею в виду различия не только в наличии природных ресурсов, таких нефть, газ, но и различий в степени открытости экономик, экономических моделей, участия в различных интеграционных объединениях. Эти различия следует учитывать на этапе идентификации интересов при решении вопросов интеграции в рамках инициативы "Один пояс-один путь".

Нынешний этап реализации проекта "Один пояс – один путь" характеризуется особой динамикой и продвижением проекта со стороны КНР, подписаны двусторонние осглашения об углублении партнерства со всеми центральазиатскими странами.

В настоящее время Центральная Азия занимает первое место по объему китайских инвестиций – около 101,8 миллиарда долларов. Эти соглашения, например с Туркменией, включают такие направления сотрудничества как китайские инвестиции на увеличение поставок газа из Туркмении в Китай за счет строительства газопровода общей протяженностью 1840 км из Туркмении в провинции Синьцзян.

Несомненно, что создание современной инфраструктуры предполагает прежде всего создание транспортной инфраструктуры, на которую сейчас делается фокус в инвестиционных проектах Китая и созданных международных финансовых институтов. Касательно Туркмении, это начавшееся в 2014 году строительство железной дороги Казахстан-Туркменистан-Иран, грузовой поток которой составит 10 млн тонн в год, а также железной дороги Туркменистан-Афганистан-Таджикистан [6].

Что касается Казахстана, то КНР, естественно, считает его своим основным партнером в регионе, учитывая богатейшие энергетические ресурсы страны и центральное положение на всем Шелковом пути, что предполагает, что важнейшие транспортные магистрали так или иначе будут проходить через Казахстан. Участие Казахстана в проекте преполагает естественно взаимовыгодность. Реализация проекта прежде всего для страны это – создание единого комплекса развитых международных центров само-

го разнообразного направления, от финансовых, торгово-логистических до инновационных и технологических. Это и развитие экономической инфраструктуры в отдаленных регионах Казахстана. Кроме того, появляется возможность пополнить государственный бюджет через дополнительный приток финансовых средств за счет введения тарифов на проезд по новым магистралям.

Оценивая возможности участия КР в проекте министерство экономики КР отмечает, что «Кыргызстан идеально вписывается в проект, имея статус ВСП+ и у него есть возможности реализовать проекты в рамках экономического пояса Шелкового пути. В рамках проекта мы можем также экспортировать услуги и создавать рабочие места» [7]. Это означает что у Кыргызстана, получившего дополнительные преференции для торговли со странами Евросоюза, гарантирующие полную ликвидацию тарифов по более чем шести тысячам товарных позиций, появляются дополнительные стимулы для увеличения и диверсификации экспорта кыргызских товаропроизводителей на рынки Европы в рамках уже участия в проектах ЭПШП. С такой точки зрения статус ВСП+ также стимул и для иностранных инвестров для инвестиций в различные отрасли экономики Кыргызстана.

Как и для Кыргызстана, для Таджикистана, не имеющего таких ресурсов и потенциала как у Казахстана, расширение транспортных и экономических отношений имеет критическое значение. В последнее десятилетие китайские инвестиции в экономики двух стран стали наиболее превалирующими в общем объеме инвестиций. И в Кыргызстане и в Таджикистане это проекты в энергетическом секторе, строительство высоковольтных линий, ГЭС, модернизация ТЭЦ, строительство дорог.

Узбекистан, может быть несколько позднее, чем соседи, но очень активно включился в реализацию проекта. Тем не менее Китай лидирует в Узбекской экономике по объему капиталовложений. Китай является не только одним из крупнейших торговых партнеров Узбекистанаю

В настоящее время запущен автодорожный коридор Китай – Кыргызстан – Узбекистан. Готовится к реализации транспортный коридор Китай – Центральная Азия – Западная Азия для ускорения обеспечения стабильной и бесперебойной работы автодорожных перевозок.

Идет разработка строительства железной дороги проходящей через Кыргызстан и Узбекистан, соединяющий Китай и Европу.

При рассмотрении вопросов взаимоотношений стран Центральной Азии и КНР следует учесть, что индивидуальность подхода Китая к государствам ЦА строится на учете интересов Китая в отношении каждого из государств и их значимости для практической реализации проекта. Это отражено в двусторонних соглашениях между странами ЦА и КНР.

Что касается стран ЦА, то все они понимают, что может дать реализация проекта для развития их экономик, многие из которых находятся в стагнации. Это не только новые рабочие места, инфраструктурные проекты, инвестции, но и расширение доступа к новейшим технологиям, торговли, доходов от туризма и транзита, развитие отсталых регионов. Оживление экономики, новые перспективы являются главным стимулом для стран ЦА в их заинтересованности в реализации проекта "Один пояс-один путь". И что немаловажно, инициатива ЭПШП является объединяющим выгодным фактором в культурной и цивилизационной жизни стран ЦА.

Особенности сопряжения ЕАЭС и ЭПШП

Не будем останавливаться на мотивации и политических причинах интеграций стран в рамках инициативы ЭПШП и ЕАЭС, они хорошо известны в контексте обострения отношений между Китаем и США, Россией и странами Запада. Рассмотрим экономические особенности сопряжения этих инициатив и возможные последствия для стран ЦА. Здесь под сопряжением, эксперты понимают поиск формата, при котором концепция ЭПШП могла бы вписаться в инициативу ЕАЭС, характеризующуюся более детальными очертаниями регионального интеграционного объединения. При этом отмечается, что китайская ииицатива, скорее всего останется инструментом экономического, инвестиционного, транспортного и гуманитарного развития евразийского пространства, не претендуя на большее. В то время как ЕАЭС фокусируется на укреплении институциональной базы. В этом, как считают эксперты, концептуальная асимметрия двух проектов. В принципе, политическая воля лидеров стран по сопряжению ЕАЭС и ЭПШП как раз и выразилась в подписании соглашений прежде всего по таким вопросам, как таможенные процедуры, содействие развитию торговли, прав интеллектуальной собственности, межведомственного сотрудничества, государственных контрактов, электронной торговли, то есть вопросов, не затрагивающих более глубокого уровня интеграции (так называемое "функциональное сотрудничество" по известному экономисту Джозефу Наю[8], главным признаком которого является создание региональных банков и координация валютной политики).

Сейчас для КНР достаточной пусковой задачей инициативы "один пояс-один путь" является развитие транспортной и сопутствующей инфраструктуры евразийского континента, которая может обеспечить надежное снабжение ресурсами и расширение экспортных возможностей китайской экономики. Это также важно и для других стран на новом Шелковом пути, так как качественное обновление транспортно-логистической инфраструктуры соединит крупнейшие рынки Евразии, Китай и Европейский Союз, обеспечив процесс объединения трансконтинентальной важности. Поэтому вполне логично, что именно этот вопрос сегодня выходит на первый план при объединении ЭПШП и ЕАЭС.

Важным, на мой взгляд, условием успешного сопряжения ЭПШП и ЕАЭС, является четкая идентификация интересов этих проектов и затем уже попытка гармонизации отношений по взаимовыгодным направлениям.

Гармонизация будет служить интересам как Китая, так и стран ЕАЭС, и как считают эксперты, в конечном счет сопряжение будет предполагать разработку практических правил и процедур сотрудничества.

Литература

1. Ван Ш., Вань Ц. На пути к взаимовыгодному сотрудничеству. «Экономический пояс Шелкового пути» и ЕАЭС – конкуренты или партнеры? // Свободная мысль. 2014. № 4 (1646).
2. The new trade routes: Silk Road Corridor // Financial Times Special Report. 2016.10.05.
3. Лю Цзея. Стратегии развития нового Шелкового пути в XXI веке // Молодой ученый. — 2015. — No15.
4. *https://cyberleninka.ru/article/n/myagkaya-sila-ponyatie-i-podhody*
5. Лузянин С. Г., Сазонов С. Л. Экономический пояс Шелкового пути: модель 2015 года // Научно-аналитический журнал Обозреватель – Observer. 2015. № 5 (304).
6. Лукин А. В. Идея «экономического пояса Шелкового пути» и евразийская интеграция // Международная жизнь. 2017. № 7.
7. *http://www.tazabek.kg/news:*1550453*?from=portal&place=last&b=*2
8. Nye J. Power and Interdependence: World Politics in Transition, co-authored with Robert O. Keohane (Boston: Little Brown and Company, 1977; 3d edition with additional material, New York: Longman, 2000).

Challenges of the Silk Road Economic Belt for Central Asian countries.

KoichumanovTalaibekDjumashevich, Doctor of Economic Science, Professor.

ОЦЕНКА МЕР ПО УЛУЧШЕНИЮ БИЗНЕС-СРЕДЫ НА СООТВЕТСТВИЕ ПРИНЦИПАМ «ОТКРЫТОГО ПРАВИТЕЛЬСТВА» (ОП-ОЦЕНКА)

Койчуманов Талайбек
Аширкулов Кубан

В данной статье авторами предлагается методология оценки мер по улучшению бизнес-среды, а также проверка этих мер на соответствие принципам прозрачности, открытости и вовлеченности бизнес-сообщества в процесс принятия решений (в дальнейшем ОП-оценка).

ОП-оценка – это анализ проектов нормативных правовых актов, решений и действий Правительства, а также предложений бизнес-сообщества по улучшению бизнес-среды на основе критериев соответствия принципам ОП. Такая оценка позволяет на основе количественных и качественных показателей отбирать из множества мер наиболее значимые для улучшения бизнес-среды меры для последующего их включения в национальные программы действий, стратегии по устойчивому развитию экономики. Исполнение национальных программ, контролируется как правительством, так и гражданским сообществом и международными партнерами, поэтому включение мер по улучшению бизнес-среды в такие национальные программы, будет играть важное значение для улучшения бизнес-среды и в целом развития бизнеса в стране.

В результате внедрения ОП-оценки ожидается сокращение непосредственных контактов предпринимателей и инвесторов с государственными чиновниками по вопросам ведения бизнеса через введение единых окон, электронных видов отчетности, электронной цифровой подписи, подключение бизнеса к государственным сетям обмена данных. Кроме того ожидается реализация мер по усилению прозрачности действий государственных структур и расширение полноты данных в общедоступной сети, предоставляемой государственными органами. Также ожидается повышение эффективности подготовки анализов регулятивного воздействия (АРВ)министерствами и ведомствами, и повышение прозрачности работы системы государственных закупок, и прочее.

Вначале остановимся на основных определениях и понятиях, используемых в данной статье.

Партнерство «Открытое правительство». Партнерство «Открытое правительство» (в дальнейшем ОП) – многосторонняя инициатива, объединяющая 74 государства и 15 региональных правительств, направленная на реализацию обязательств правительств по обеспечению прозрачности, расширению прав и возможностей граждан, борьбе с коррупцией и использованию новых технологий для усиления управления [1-5]

Основные принципы Партнерства «Открытое правительство» – это повышение прозрачности государственных органов, улучшение подотчетности государственных органов, вовлечение гражданского общества в принятие решений. Все эти принципы реализуются через использование новых технологий улучшения управления.

В 2017 году Кыргызская Республика присоединилась к международной инициативе Партнерство «Открытое Правительство» [6]. В рамках обязательств международной инициативы был разработан Национальный план действий и утвержден постановлением Правительства КР. В разработке плана принимали участие представители гражданского сектора, бизнеса и государственных органов. Однако, по мнению бизнес-сообщества страны, в Национальный план действий попадают не самые значимые решения по улучшению бизнес-среды, что связано не только с процедурами отбора и включения предложений, широтой охвата представителей бизнес-сообщества, но и отсутствием приоритезации предложений по их значимости для бизнеса.

Процесс ОП-оценки состоит из нескольких этапов, на которых оцениваются предложения бизнеса и решения правительства по улучшению бизнес-среды как на соответствие принципам "Открытого правительства", так и степени их влияния на основные параметры ведения бизнеса, такие как регистрация и закрытие предприятия, получение лицензионно-разрешительной документации, персонал и трудовое законодательство, доступ к финансированию, налоговое бремя и администрирование, гарантии прав частной собственности. Влияние на параметры ведения бизнеса определяется через такие критерии как сокращение временных затрат на процедуры взаимодействия государства и бизнеса, сокращение финансовых затрат на процедуры взаимодействия государства и бизнеса, сокращение административных процедур ведения бизнеса, наличие компонентов усиления прав собственности и защиты инвестиций.

По результатам ОП-оценки предложений бизнеса и решений правительства создается перечень наиболее значимых рекомендаций в соответствии с перечисленными выше критериями для включения в национальные программы или планы ОП. Предложения, не прошедшие ОП-оценку и приоритезацию снимаются с повестки или направляются на рассмотрение других платформ государственно-частного диалога.

Итак, **целью ОП-оценки** является улучшение бизнес-среды через подготовку и реализацию программы мероприятий, разработанную на основе анализа соответствияпредложений частного сектора и решений правительства принципам ОП.

Ожидаемые результаты:

- сокращение непосредственных контактов предпринимателей и инвесторов с государственными чиновниками по вопросам ведения бизнеса (введение единых окон, электронных видов отчетности, ЭЦП, подключение бизнеса к государственным сетям обмена данных и др.);
- расширение открытых данных в общедоступной сети, полнота предоставляемой на сайтах министерств и ведомств данных;
- меры по усилению прозрачности действий государственных структур (простые и понятные бизнес-процессы, выставление конечных продуктов министерств и ведомств на общедоступных сайтах);
- информация о динамике перехода министерств и ведомств на программное бюджетирование с электронной распечаткой бюджетов на сайтах ведомств;
- Расширение возможностей Центра электронного взаимодействия "Тундук" для бизнеса;
- Повышение эффективности подготовки АРВ министерствами и ведомствами;
- Повышение прозрачности работы системы государственных закупок;
- другие действия правительства, направленные на повышение прозрачности и открытости правительства в отношении ведения бизнеса.

Этапы оценки. Первым этапом предложения бизнеса и решения правительства будут оцениваться на соответствие принципам инициативы Открытое Правительство:

მოების რისკებს და ართულებს პროდუქტის რეალიზაციას. ფერმერების დაბალ მწარმოებლურობას განაპირობებს მათი ღირებულების მოკლე ჯაჭვი, რაც აფერხებს ინვესტიციების მიღების შესაძლებლობებს. აგრარულ სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრას, ასევე აფერხებს ფერმერთა შეზღუდული შემოსავლები. დივერსიფიკაცია დამატებითი შემოსავლების მიღებისა და მათი გადარჩენის მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა, აღნიშნული არ არის ყველა პრობლემის დაძლევის საკმარისი პირობა. დივერსიფიკაციის შესაძლებლობები შეზღუდულია იმ მეურნეობებისათვის, რომლებიც ძირითადად კაპიტალინტენსიურ აქტივობებს ანხორციელებენ და ამავდროულად აქვთ საბანკო დავალიანება ან/და დანაზოგების სიმცირეს განიცდიან **(ე. ხარაიშვილი,** 2017**).** ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია, რომ აგროსასურსათო სექტორში ინვესტიციებმა სტიმული მისცეს დივერსიფიკაციის პროცესს, როგორც წარმოების პროცესში ინოვაციების დანერგვას, ასევე, სტრატეგიული ინფორმაციებისა და ცოდნის მიწოდებას. თანამედროვე პირობებში ინვესტიციების შემოდინების სტიმულირების ძირითად მიმართულებას სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესება წარმოადგენს. შეღავათებით სარგებლობს როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორი. შეღავათებში იგულისხმება ფისკალური, ფინანსური და სხვა შეღავათები. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინვესტორის გადაწყვეტილება ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელების შესახებ დამოკიდებულია რიგ ფაქტორზე და სხვადასხვა სახის შეღავათები არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას, ინფრასტრუქტურას, საფინანსო ინსტიტუტების გამართულ მუშაობას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციას და სხვ. ამ კრიტერიუმების მიხედვით დგინდება მსოფლიოს ყველა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური რეიტინგები, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ უცხოელი ინვესტორები ინვესტიციების მიმართულების მიცემის დროს **(გ. ერქომაიშვილი, მ. კობალავა, თ. ლაზარიაშვილი, მ. საღარეიშვილი,** 2017**)**. აგრარული წარმოების შედეგები კვლავაც არაპროგნოზირებადია: გვალვა, წყალდიდობა, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებები და მავნებლები აგრარულ სექტორს კაპიტალის ჩადებისათვის შედარებით მაღალრისკიან სფეროდ აქცევს **(თ. ლაზარიაშვილი,** 2018**).** სასურველია სახელმწიფოს მხრიდან შემუშავდეს შესაბამისი პროექტები, წახალისდეს აგრობიზნესის სფეროს საქმიანობები, შეიქმნას სასაწყობო მეურნეობები. აგრარული სექტორის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარებაა. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს აგროსფეროში არსებულ რისკებს და ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის დაკრედიტების მოცულობის ზრდას **(თ. ლაზარიაშვილი,** 2015**).** რაც სამწუხაროა, რადგან ექსპორტის გასაძლიერებლად ერთ ერთი მნიშვნელოვანი სწორედ სოფლის მეურნეობაში შექმნილი პროდუქტებია.

საქართველოს მსგავსი ქვეყნებისათვის სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების მდგრადი განვითარება აუცილებელია ეკონომიკური ზრდისთვის. ამასთან, მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის მისაღწევად აუცილებელია ამ პრობლემის არამარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მხარდაჭერის გამოწვევების შესწავლაც **(**KPMG International**,** 2013**).** საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში დღეს რიგი გამოწვევებია. მთავარ გამოწვევად რჩება დარგში მწარმოებლურობის დაბალი დონე. მაგალითად, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი ქვეყნის მთლიან მიწის ფონდში შეადგენს 49%-ს, ისრაელში 20%-ს. მიუხედავად ამისა, მიწის ფონდის ასეთი შეზღუდული რესურსის პირობებში ისრაელში ფერმერთა 3,7% თითქმის 95%-ით აკმაყოფილებს საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნებს. საქართველოში დაბალია ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები (საშუალოდ 35-60%-ის ფარგლებში) და სასურსათო უსაფრთხოების მხრივ პრობლემებია **(ე. ხარაიშვილი,** 2018**).**

ამასთან ერთად, რიგი ექსპერტები თანხმდებიან, რომ მწარმოებლურობის ამაღლებისთვის აუცილებელია დანაწევრებული ფერმერული მეურნეობების გამსხვილება. სოფლად მაცხოვრებელთა დიდ ნაწილს არ უღირს თავისი მცირე ზომის მიწის დამუშავება, არარენტაბელურია მანქანა-დანადგარების შეძენაც, რაც მწარმოებლურობას აამაღლებდა. რიგ შემთხვევაში, სოფლად მოსახლეობის მიწა დაუმუშავებელი რჩება, რადგან ადგილი აქვს სამსახურის საშოვნელად სოფლიდან ურბანულ დასახლებებში გადასვლას.

ზოგადად, ინვესტიციების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე დამოკიდებულია მის ეკონომიკურ პოტენციალზე, საბაზრო მექანიზმის განვითარების დონეზე, ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო ნორმებსა და სხვა მნიშვნელოვან პარამეტრებზე. მეორე მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს ინვესტორის ინტერესებს, თავისებურებებსა და მოლოდინებს. მიმღები ქვეყანა, როგორც წესი, ელოდება ინვესტიციების შედეგად ეკონომიკურ ზრდას, ტექნოლოგიური და საექსპორტო პოტენციალის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, გლობალურ პროცესებში მეტად ჩართულობას.

დიაგრამა 1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები(პუი) სოფლის მეურნეობასა და მეთევზეობაში (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019

თუკი დარგობრივი ჭრილით განვიხილავთ განხორციელებულ პუი-ებს, მისი ყველაზე დიდი წილი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე მოდის, ასევე, მნიშვნელოვანი ინვესტიციებია განხორციელებული ენერგეტიკისა და საფინანსო სექტორებში, თუმცა, განხორციელებული ინვესტიციების ყველაზე სწრაფი ზრდის ტემპი სამშენებლო სექტორს აქვს.

დიაგრამა 2

საქართველოში პუი-ს გადანაწილება სექტორების მიხედვით 2018 წელს (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019

აგრარულ სექტორში განხორციელებული ინვესტიციები გავლენას ახდენს არა მარტო ამ სექტორის წარმოების მოცულობაზე, არამედ იმ სექტორებზეც, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტს თავიანთ წარმოებაში იყენებენ. სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციები აგროპროდუქტის წარმოებას 31%-ით ზრდის, რაც ამცირებს აგროპროდუქტების ფასს და დადებითად აისახება მოსახლეობის რეალურ შემოსავალზე. „ძირითად სასოფლო-სამეურნეო და მეთევზეობის პროდუქციაზე, ბიოსაწვავზე ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და გაერთიანებული ერების საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 2024 წლის პროგნოზის მიხედვით მოსალოდნელია ფასების კლება ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მომავალი 10 წლის განმავლობაში. პროდუქციის ზრდა, სავარაუდოდ, განპირობებული იქნება პროდუქტიულობის ზრდითა და ფაქტორებზე ფასების კლებით. ადგილი ექნება მოთხოვნის ზრდის შენელებას სასოფლო სამეურნეო წარმოების ზრდის მაღალი დონის პირობებში. ამასთან ერთად, განვითარებად ქვეყნებში მოსალოდნელია მოთხოვნის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები **(ი. ნაცვლიშვილი,** 2016**).** სოფლის მეურნეობას გაცილებით მჭიდრო კავშირი აქვს სხვა დარგებთან, ვიდრე დანარჩენ დარგებს ერთმანეთთან, რაც განპირობებულია იმით, რომ აგროპროდუქტი უპირატესად იყიდება ადგილობრივ ბაზარზე, აგრარულ მეურნეობაში გამოყენებული შუალედური რესურსები, რომელსაც

სხვა დარგები აწარმოებენ, ნაკლებად იმპორტირებადია. ასევე, სხვა დარგებიც აქტიურად იყენებენ აგროპროდუქტებს შუალედურ რესურსებად. სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტსა და ექსპორტს შეაქვს თავისი კორექტივები, თუმცა ვერ ამცირებს აგრარული სექტორის როლსა და კავშირს სხვა დარგებთან. იმისათვის, რომ საქართველოს ეროვნული ეკონომიკა ინტეგრირებული იქნეს მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, აუცილებელია შეიქმნას გარკვეული პირობები, რათა საშუალება მიეცეს აგრარულ სექტორში წარმოებულ სასურსათო პროდუქტებს მსოფლიო ბაზარზე გასვლისათვის. ქვეყანაში უნდა იწარმოებოდეს ისეთი პროდუქტები, რომლებიც იქნება იაფი, მაღალხარისხიანი და გაუწევს კონკურენციას მსოფლიო ბაზარზე წარმოდგენილ პროდუქტებს. უცხოელი ექსპერტებისა და ქართველი სპეციალისტების აზრით, საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყნების ჯგუფს, რომელსაც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საექსპორტო პროდუქციის წარმოების უდიდესი პოტენციალი გააჩნია. აგრარული წარმოების სფეროში მიღწეული შედეგები საკმარისად არ არის მიჩნეული კონკურენტუნარიანი წარმოების უზრუნველსაყოფად **(ე. ხარაიშვილი,** 2018**).** ამ სფეროში ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სტაბილურობის მისაღწევად, აგრარული სექტორის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების დასაძლევად მნიშვნელოვანია ფინანსური ინსტრუმენტების, მათ შორის ინვესტიციების ეფექტიანი გამოყენება. საინვესტიციო გარემოს რეგულირების პირდაპირი გზაა ამ საქმიანობაში ჩართულ პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, ამასთან მათი პასუხისმგებლობის განსაზღვრა კანონის დარღვევის შემთხვევაში. აღსანიშნავია, საინვესტიციო პროექტების შემუშავება რეგიონული ან დარგობრივი საინვესტიციო პროგრამების ჩამოყალიბება და სხვა. ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ საქართველოს აგრარულ სფეროში ფორმირებული არ არის ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვი, რაც რიგ პრობლემას ქმნის და დიდი დანაკარგებს იწვევს. შესაბამისად, დასახელებული პრობლემის მოგვარებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მიწოდების ჯაჭვის ინვესტირება **(ე. ხარაიშვილი,** 2017**).** ინვესტიციების განხორციელება ყოველთვის კავშირშია ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან. იმისთვის, რომ ქვეყანაში მოხდეს გარკვეული სახის ინვესტირება, საჭიროა მოქალაქეებმა შექმნან გარკვეული დანაზოგები და შემდგომ მოახდინონ სხვადასხვა სფეროში ინვესტირება, მაგრამ თუ ეს დანაზოგები არის მცირე ან საერთოდ არ არის, მაშინ აღნიშნული უკმარისობა უნდა შეივსოს ინვესტიციებით **(ლაზარიაშვილი,** 2015**).**

ქვეყანა ჯერ კიდევ დგას მრავალი პრობლემის წინაშე და მათი მოგვარება პრიორიტეტულია ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის. საჭიროა ისეთი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემდეგ გარემოებებს:

- მაკროეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა,
- მარეგულირებელი კანონებისა და ნორმატივების დახვეწა,
- ძლიერი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება,
- განათლების დარგის ხელშეწყობა,
- სტრატეგიული დარგების განვითარება,
- კონკურენტუნარიანი პროდუქტისა და
- მომსახურების წარმოების ხელშეწყობა,
- ადგილობრივი და მდგრადი ინვესტიციების მოძიება.

დღეს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ინოვაციის და ტექნოლოგიური განვითარების დონის ასამაღლებელ მიმართულებებზე. ამ თვალსაზრისით საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა საკუთრების უფლების დაცვის გაძლიერება. აგრარული სექტორისთვის გადამწყვეტია მიწაზე საკუთრების უფლებების აღიარება და დაცვა. სახელმწიფო საკანონმდებლო რეგულაციებით ხელს უწყობს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ინვესტორებისათვის დამაბრკოლებელი ფაქტორია ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა. ხშირად იქმნება კონფლიქტური სიტუაციები ინვესტორსა და მოსახლეობას შორის, რამაც შესაძლოა ინვესტორების უკმაყოფილება და ცალკეულ შემთხვევაში ამა თუ იმ პროექტის ჩავარდნაც კი გამოიწვიოს. საქართველოს აგრარული სექტორისთვის მნიშვნელოვანია ექსპორტის მასტიმულირებელი პოლიტიკის გატარება და ამით საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა, პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის გაზრდა და აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტის შემცირება არა იმპორტშემზღუდველი პოლიტიკით, არამედ ადგილობრივი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობით. აგრარული სექტორის დარგებმა უნდა შექმნას ქვეყნის ძირითადი საექსპორტო პოტენციალი. მნიშვნელოვანია ბაზარზე შეღწევის სტრატეგიების დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ., რაც ქვეყნის პოპულარიზაციისა და შემოსავლების ზრდის საფუძველია.

ლიტერატურა

1. ლაზარიაშვილი, თ., „აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები საქართველოში“. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 10-11 ივლისი, 2015.
2. ლაზარიაშვილი, თ., „ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები და პოლიტიკის მექანიზმები აგრარულ სექტორში „, ბათუმი, 2019 წლის 13 სექტემბერი, II ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების თანამედროვე გამოწვევები
3. ლაზარიაშვილი, თ., „კონკურენტული რისკები აგრობიზნესში და მათი შემცირებისგზები“; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, 26-27 ოქტომბერი, 2018. 275-279გვ.
4. ხარაიშვილი, ე., სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები საქართველოსა და ისრაელში: ინოვაციური მიდგომები და მოდელები, ჟურნალი „სტუდენტური კვლევები და პროექტები“, #1-2, 2018.
5. ხარაიშვილი, ე., „ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში“, თბილისი, 2017. გვ. 43.
6. Erkomaishvili, G., Kobalava, M., Lazariashvili, T., Saghareishvili M., „Consumer Market of Agricultural Products and Agricultural Policy in Georgia”; World Academy of Science, Engineering and Technology, International Science Index 130; International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering, 11(10), 2017. გვ.225-229.
7. Natsvlishvili I., (2016). European Models of Farms Diversification and Current Challenges. International Journal of Business and Management Studies, 05(02):31–38 (2016). UniversityPublications.ne. Available at http://universitypublications.net/ijbms/0502/html/B6R219.xml
8. Kharaishvili E., DIRECTIONS FOR IMPROVING THE SUPPLY CHAIN IN THE AGRO-FOOD SECTOR OF GEORGIA. Materials I International Scientific and Practical Conference „Forsight-Management: Best World Practice of Development and Integration of Education, Science and Business”, 2017.
9. Kharaishvili, E., The Impact of Preferential Agro Credit on the Development of Agribusiness in Georgia, 2018. ECOFORUM. Volume 7, Issue 1(14), 2018.
10. KPMG International. 2013. The agricultural and food value chain: Entering a new era of cooperation. www.kpmg.com

THE ROLE OF INVESTMENTS IN STIMULATING AGRICULTURAL PRODUCTION

Lazarashvili Tamar

Ivane Javakhishvili Tbilisi state university
Faculty of Economics and Business
Assistant Professor

Summary

The paper analyzes the investments in the agrarian sector, shows its role in the growth of production, substantiates the need of attracting investments in agricultural sector, analyzes positive and negative factors that affect attracting foreign investments and discusses the impact of the investments in agricultural sector on the development of other sectors.

The paper concludes that the agricultural sector can significantly contribute to economic development. However, due to certain problems in the sector, this area is not attractive to investors. The low level of investment in the agrarian sector can be explained by several basic problems. Investments in the agrarian sector affect the development of other sectors which use agricultural products in their activities. The agrarian policy that encourages attraction of financial resources in the sector should be developed. For this purpose, active cooperation with private sector, insurance companies and microfinance organizations, specialized funds, international financial institutions and donor countries is needed; in addition, innovative, sustainable and effective models that stimulate attraction of investments in the agricultural sector should be developed.

Keywords: *Investment, Agricultural Sector, Productivity, Investment Environment, Farming.*

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის პროფესიული განვითარების შესწავლის საკითხისთვის

ლეკაშვილი ეკა
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი,
ტურიზმის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

დოდაშვილი ვეკო
თსუ-ის დოქტორანტი,
ტურიზმის კვლევითი ცენტრის წევრი

საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმი ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა. შესამჩნევი წარმატებული შედეგები გამოვლინდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ იგი პრიორიტეტულ დარგად აღიარა და მისი მასტიმულირებელი პოლიტიკა გაატარა.

ტურიზმის მიმართულებებს შორის მოწინავე ადგილი კულტურულ ტურიზმს უკავია, რადგანაც ყველა ტურისტული პროდუქტი, პირდაპირ თუ ირიბად, უკავშირდება ქვეყნის სპეციფიკურ და ავთენტურ კულტურულ ძეგლებს. მათ შესახებ წარუშლელი შთაბეჭდილების შექმნა კი კარგად დახელოვნებულ კულტურული მემკვიდრეობის გიდებს შეუძლიათ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით, ადეკვატური ხერხებით.

ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის პროფესიული განვითარების წინაშე არსებული გამოწვევების შესწავლის და შესაძლებლობების გამოვლენის მიზნებიდან გამომდინარე. კვლეის შედეგები დაეხმარება „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის" მოდულური პროფესიული და სხვა აღნიშნულ პროფესიის განვითარებაზე მიმართული მოკლევადიანი პროგრამების სრულყოფას.

საკვანძო სიტყვები: *საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი, გიდის ბიზნესი*

პრობლემის აქტუალურობა: ტურიზმი შთაბეჭდილებების ეკონომიკაა, რადგანაც ტურისტები ეძებენ მოცემული ადგილისთვის ავთენტურ და შინაარსობრივად დატვირთულ შთაბეჭდილებებს. ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია მატერიალური და არამატერიალური კულტურისა და მემკვიდრეობის გაცნობას უკავშირდება, რაც კულტურული ტურიზმის პროდუქტზე მოთხოვნას ზრდის. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ „ახალი" და „განსხვავებული", ან „დამახასიათებელი", „სპეციფიკური" და „ავთენტური" ინფორმაციის მიწოდება და წარუშლელი შთაბეჭდილების შექმნა კი კულტურული მემკვიდრეობის გიდის მაღალკვალიფიციურობაზე მეტყველებს.

საქართველოში, კულტურული ტურიზმის განვითარების საჭიროებებიდან გამომდინარე, შემუშავდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის დიპლომირებული პროგრამა. აღმოჩნდა, რომ ბაზარზე უამრავი გიდი ეწევა საქმიანობას, რომელთაც არ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და უნარები, რაც აფერხებს მაღალხარისხიანი მომსახურების გაწევას და ტურისტთა კმაყოფილების ზრდას.

კვალიფიციური კადრების მომზადების და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით საქართველოში მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვა საპილოტე რეჟიმით 2016 წლიდან დაიწყო, პროფესიული უნარების განვითარების საფუძველზე თვითდასაქმებისა და მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით. პროგრამებს შორის წარმოდგენილია „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის" მოდულური პროფესიული პროგრამა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვალიფიციური გიდის მომზადება საჭირო თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარ–ჩვევებით, რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმება. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ ტურისტებისათვის შემუშავებული ტურისტული მარშრუტისა და შესაბამისი პროგრამის განხორციელება; საექსკურსიო მომსახურება მთელი საქართველოს ან/და კონკრეტული რეგიონის მასშტაბით; ტურისტული ჯგუფის მართვა; ტურის საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელება; პრობლემური სიტუაციების მართვა; ექსკურსიის მომზადება და ჩატარება.

კვლევის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის პროფესიული განვითარების წინაშე არსებული გამოწვევების შესწავლა და შესაძლებლობების გამოვლენა.

აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, შევისწავლეთ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის" პროფესიული სტანდარტი, ასევე, „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის

გიდის“ მოდულური პროფესიული პროგრამა და „საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ (20 სექტემბერი 2018; N 3442-Iს), პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი“ – სახელმძღვანელო და აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებული ქართველი და უცხოელი მეცნიერების შრომები, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები; ანკეტური გამოკითხვისათვის კითხვარის ფორმირების პროცესში გვქონდა დარგის ექსპერტებთან კონსულტაციები. ასევე, კვლევა ეფუძნება საკვლევ თემაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლას, ექსპერტულ და დაკვირვების მეთოდებს.

კვლევის მეთოდოლოგია კვლევის ჩასატარებლად ვისარგებლეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდით – ელექტრონული ფორმით ანკეტური გამოკითხვის ინსტრუმენტით. კვლევა განხორციელდა 2018 წლის დეკემბერში.

გამოკითხვის ჩასატარებლად გამოვიყენეთ დეტერმინირებული მეთოდი, კონკრეტულად კი ზედაპირული შერჩევის (Judgmental Sampling) და შერჩევა „თოვლის გუნდის” პრინციპით (Snowball Sampling) მეთოდების კომბინაცია (წულაძე, 2006). პირველ ეტაპზე მიზნობრივად შევარჩიეთ რესპოდენტების კანდიდატურები, გამოკითხვის შემდგომ კი ისინი დაგვეხმარნენ სხვა რესპოდენტების მოძიებაში და გამოკითხვაში. რადგან კვლევის მიზანი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის პროფესიული განვითარების საკითხებს ეხება, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ უშუალოდ მოქმედი გიდების გამოკითხვა – როგორც თვითშეფასების ინსტრუმენტი – და მათ წინაშე არსებული გამოწვევების შესწავლა. ამრიგად, მიზნობრივ აუდიტორიაზე მორგებული კვლევა უფრო ეფექტურად მიგვაჩნია კვლევის ამოცანების გადასაწყვეტად. ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე გამოვიკითხეთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მოდულური პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულები, რომელთაც აქვთ გიდის პროფესიული კვალიფიკაცია, ასევე მოქმედი გიდები პროფესიული გამოცდილებით, რომლებიც საქმიანობენ კულტურული ტურიზმის სფეროში (სულ 69 ადამიანი).

კითხვარი შედგება 19 კითხვისგან, სადაც თითოეულს აქვს სავარაუდო პასუხები და ღია პასუხის ვარიანტიც, რაც რესპოდენტს საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობას აძლევს.

კვლევის შედეგად დადგინდა გიდების პროფილი:

დიაგრამა 1.



გამოკითხული 69 რესპოდენტიდან 80,8 %-ს 25-55 წლამდე ასაკის გიდები შეადგენენ, რაც გამორიცხავს „დაბერების“ პრობლემას და მათან დაკავშირებულ საფრთხეებს და უარყოფით მოლოდინებს. ამასთან, გამოკითხულთა 63,8% მდედრობითი სქესის წარმომადგენელია.

დიაგრამა 2.



გამოკითხულთა 46,4 %-ს 3-10 წლამდე სამუშაო გამოცდილება აქვს, თუმცა მნიშვნელოვანი ნაწილი (39,1%) დამწყებია და მხოლოდ 3 წლიანი პროფესიული საქმიანობის სტაჟი აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ტურიზმის ბაზარზე მზარდი მოთხოვნის შესაბამისად მოხდა პროფესიით დაინტერესება და დასაქმება.

გამოკითხულთა 53,6%-ს არ აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის პროფესიული კვალიფიკაცია, თუმცა მათ აქვთ კვალიფიკაცია ეკონომიკის, პედაგოგიკის, ტურიზმის, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებით და ასევე არაფორმალური განათლება გიდის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით.

დიაგრამა 3.



გამოკითხულთა 50 %-მდე თვითდასაქმებულია, 7, 2% – შტატგარეშე მომუშავე, რაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის პროფესიული პროგრამის ერთ-ერთ მთავარ მიზან – თვითდასაქმებისთვის ხელშეწყობას გამოხატავს. 18,8 % ტურისტულ სააგენტოში მუშაობს, 8,7% ტუროპერატორ კომპანიაში, დარჩენილი 26 % სხვადასხვა ტურისტული მომსახურების საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციებში მუშაობენ.

დიაგრამა 4.



გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავის საქმიანობას ეწევა კახეთის, მცხეთა – მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, აჭარის და იმერეთის რეგიონებში.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 87% ფლობს ქართულ ენას, 73,9% რუსულ და 58 % ინგლისურ ენებს. 5,8 % იტალიურის, 4,3% თურქულის და გერმანულის მცოდნეა. ძირითადად მომსახურებას ახორციელებენ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ამასთან, მშობლიურ ენაზე ტურისტული მომსახურების მიახლოებითი დღიური სრული განაკვეთის ანაზღაურება 50 -100 ლარამდეა 50,7 %-სთვის, 101-150 ლარამდეა 26,1%-სთვის. 14,5 %-სთვის ეს მაჩვენებელი 50 ლარამდეა, ხოლო 10% იღებს 151 ლარის ზემოთ დღიურ ანაზღაურებას. უცხო ენაზე ტურისტული მომსახურების მიახლოებითი დღიური სრული განაკვეთის ანაზღაურება უფრო მაღალია და 46,4% სთვის 101-150 ლარს შეადგენს. თუმცა, 26 % -სთვის ანაზღაურების მაჩვენებელი 100 ლარამდეა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდებს მუშაობა ძირითადად მცირე ჯგუფებთან უწევთ: გამოკითხულთა 66,7 % მომსახურებას უწევს მცირე ჯგუფებს (10 კაცამდე), 13 % დიდ ჯგუფებს, მხოლოდ 13%-ია ინდივიდუალური მომსახურების წილი.

აღნიშნულთან ერთად, დავინტერესდით გამოგვეკვლია ის პრობლემებიც, რაც თავს იჩენს ადგილობრივ და უცხოელ ტურიტებთან მომსახურების გაწევისას. გამოკითხულები ადგილობრივ ტურისტებთან ურთიერთობის მთავარ პრობლემებში მიანიშნებენ დროსი მენეჯმენტის, ჯგუფის მართვის, ეთიკის და კვებასთან, ღამისთევასთან და ტრანსპორტთან დაკავშირებულ პრობლემებს. უცხოელ ტურისტებთან ძირითადად თავს იჩენს კულტურული განსხვავებების, კვებასთან, ღამისთევასა და ტრანსპორტთან დაკავშირებული, დროის მენეჯმენტის და კომუნიკაციის პრობლემები. ნათელია, რომ პრობლემები ძირითადად ერთი და იგივეა და უკავშირდება ტურიზმის მენეჯმენტის საკითხებს. შესაბამისად, ტურისტული პროდუქტის ხარისხის ამაღლების მიზნით მეტი აქცენტირება უნა გაკეთდეს ტურის დაგეგმვისა და ორგანიზების საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულები გიდის ბიზნესის წარმატებისთვის მნიშვნელოვან ცოდნა-უნარებად თვლიან გიდის ბიზნესთან დაკავშირებულ ყველა ორგანიზაციულ საკითხს, თუმცა მხოლოდ 1% თვლის ბიზნეს განათლებას წარმატების ფაქტორად. შეუსაბამო პასუხებიდნ ჩანს, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდები ნაკლებად არიან გათვით-ცნობიერებულნი ბიზნესის მენეჯმენტის საკითხებში. ბიზნესშ წარმატის მიღწევა შეუძლებელია დაგეგმვის, მენეჯმენტისა და ორგანიზაციის საკითხების ცოდნისა და უნარ-ჩვევების გარეშე.

კვლევის პროცესში გვსურდა გაგვერკვია სპეციალიზებული ტურების განვითარების შესაძლებლობები საქართველოსთვის. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულებს საქართველოსთვის პერ-სპექტიულ სპეციალიზებულ ტურებად მიაჩნიათ ღვინის, კულტურული, მომლოცველთა, გასტრონომიული და ეკოლოგიური ტურები. ნაკლებ აქცენტს აკეთებენ სამედიცინო, საფეხ-მავლო, საკრუიზო და MICE ტურებზე.

დიაგრამა 5.



ამასთან, კულტურული მემკვიდრეობის გიდების თვითშეფასების და განვითარების საჭიროებების გამოვლენის მიზნით კითხვარში წარმოდგენილი იყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და უნარ-ჩვევები.

დიაგრამა 6.



გამოკითხვაში ჩართული გიდები, საკუთარი რესურსის თვითშეფასების საფუძველზე, მიზანშეწონილად მიიჩნევენ უცხო ენის, პირველადი სამედიცინო დახმარების, ბიზნესის მართვის, და სტრესული სიტუაციების მართვის უნარების განვითარებას. თუმცა ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სოციალურ-ემოციური, საკომუნიკაციო და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, რაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2019 წლის ანგარიშით მომავალი 10 წლის განმავლობაში ყველაზე მოთხოვნადი უნარები იქნება.

ამრიგად, გამოკითხულთა მნიშვნელოვან ნაწილს სხვა კვალიფიკაციის მატარებელია, თუმცა მოახდინეს პროფესიის მოდიფიცირება ტურიზმის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე; ყველა გამოკითხული მშობლიურ ენასთან ერთად ფლობს ორ უცხო ენას. მათი სამუშაო დატვირთვა სეზონურია. შემოსავლები მერყეობს საათობრივად 40 – 200 ლარის ზემოთ ფარგლებში. გიდების პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ისეთი სასწავლო თემების წინ წამოწევა და გაღრმავება, როგორიცაა: გასტრონომიური კულტურა საქართველოში, საქართველოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, საქართველო პოლიტიკურ რუქაზე, ეთნოლოგია, ეკოლოგია და ა.შ. უნარ – ჩვევების განვითარების მიზნით საჭიროა აქცენტი გაკეთდეს უცხო ენის, პირველადი სამედიცინო დახმარების, ბიზნესის მართვის, და სტრესული სიტუაციების მართვის უნარების განვითარებაზე. კვლევის შედეგებმა, გვიჩვენა, რომ პროცესის შემდგომი გაღრმავებისთვის მნიშვნელოვანია შევისწავლოთ კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და შემოსავლების კორელაცია, შემოსავლების გეოგრაფიული სტრუქტურა, მოცულობა და დინამიკა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის ბიზნესის განვითარებზე დაკვირვების მიზნით.

ლიტერატურა

1. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის პროფესიული მოდულური პროგრამა, 2016
2. ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის“ პროფესიული სტანდარტი,
3. ,,საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ (20 სექტემბერი 2018; N 3442-Iს);
4. პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი“ – სახელმძღვანელო.
5. 2015 Skills Toward Employment and Productivity, STEP.
6. Georgia's Labor Market and Educational System, Prepared by Francois Painchaud (IMF), Lire Ersado (World Bank), and Jouko Sarvi (Asian Development Bank); http://apcz.umk.pl/czasopisma/index.php/CJFA/issue/view/1140/showToc; ISSN 2300-1240 (print); ISSN 2300-3065 (online);
7. Lekashvili E., Vodashvili V., Legal Regulation of Tourism Business in Georgia, Copernican Journal of Finance and Accounting, Vol.6, No 1. (2017). pp. 67-76;
8. Lekashvili Eka, Dodashvili Veko, Professional Development Challenges and Opportunities of the Georgian Cultural Heritage Guides, IMC Art & Science 2019: Innovative Methodologies: International Art & Science Conference, 2-11 April, 2019, University of Zagrebi, Croatia, pp.60-62.
9. World Tourism Organization (2015), Affiliate Members Global Reports, Volume twelve – Cultural Routes and Itineraries, UNWTO, Madrid.

FOR THE STUDY OF PROFESSIONALDEVELOPMENT ISSUE OF THE GEORGIAN CULTURAL HERITAGE GUIDES

Lekashvili Eka
Associate Professor at Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
head of Tourism Research Center

Dodashvili Veko
Doctoral student at Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
member of Tourism Research Center

Summary

Tourism is the fastest growing industry in Georgian Economy. Significant success has been demonstrated after the government recognized it as a priority industry and implemented a stimulating policy.
The leading sector in tourism is cultural tourism, because every touristic product, directly or indirectly, is connected to the specific and authentic cultural monuments of the country. While creating long-lasting impressions is connected to the well-trained cultural heritage guides, by providing relevant information, with adequate means.
The work presents the results of the research for the purpose of exploring the challenges and opportunities facing the professional development of Georgian cultural heritage guides. The results of the research will help to improve modular vocational program of „the Georgia

Keywords: *Georgian cultural heritage guide; Business of Guiding.*

ბუღალტრული ბალანსის ანალიზის აქტუალური საკითხები
(სს „თელასის“ მაგალითზე)

მაისურაძე მარინა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

ვარდიაშვილი მარიამ
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

საქართველოში, საბუღალტრო აღრიცხვის სფეროში განხორციელებული რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფასების მიხედვით და მის საჯაროდ გამოქვეყნებას, ანალიტიკოსებს მისცემს ფინანსური ანალიზის ჩატარების საშუალებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინფორმაციის გამჭვირვალობას და ბიზნესის მეცნიერული კვლევების განვითარებას.

ფინანსური ანგარიშგებისადმი ახალი მოთხოვნები, რომელიც განპირობებულია საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციით, გულისხმობს საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების მომზადების და ფინანსური მდგომარეობის შეფასების ერთიანი მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებას.

სტატიის მიზანია სს „თელასის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსის) მაგალითზე კოეფიციენტების ანალიზი და საანალიზო საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ხარისხის შეფასება.

სტატიაში, საანალიზო საწარმოს მაგლითზე, განხილულია ბალანსის ანალიზის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გადმოცემულია ბალანსის კოეფიციენტების ანალიზური მნიშვნელობა, აგრეთვე ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის შედეგები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: *ბუღალტრული ბალანსი, ვერტიკალური ანალიზი, კოეფიციენტების ანალიზი, ფინანსური სტაბილურობა.*

საწარმოს ბალანსის ანალიზი საკმაოდ შრომატევადი პროცესია, რომლის დროსაც, პირველ რიგში, უნდა მოხდეს ფინანსური ანგარიშგების წინასწარი შეფასება, კერძოდ, უნდა დადგინდეს და შეფასდეს:

1. საწარმოს არადამაკმაყოფილებელი საქმიანობა საანგარიშო პერიოდში და შედეგად წარმოშობილი არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა (გაურკვეველი ზარალი, ვადაგადაცილებული სესხები და სესხები და გადასახდელები და ა.შ.);
2. საწარმოში არსებული გარკვეული ნაკლოვანებების მტკიცებულება, რომელთა, რეგულარულად გამეორება მიმდინარე პერიოდში, მნიშვნელოვნად იმოქმედებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე (ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების თანხები, ფინანსურ შედეგებზე ჩამოწერილი დავალიანებები, ჯარიმები, გირაოები, უარყოფითი წმინდა ფულადი სახსრები ნაკადი და ა.შ.).

ბალანსის ანალიზი შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე ეტაპად, კერძოდ:

პირველი ეტაპი: ბალანსის დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზი

ანალიზის დროს მიზანშეწონილია დადგინდეს ბალანსის ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლების (ჯგუფების) ზრდის ტემპი და მოხდეს შედეგების შედარება შემოსავლის ზრდის ტემპთან. ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულებაა **ვერტიკალური ანალიზი,** რომლის დროსაც ფასდება აქტივის ინდივიდუალური ჯგუფების სტრუქტურული დინამიკა და აქტივების და ვალდებულებების ბალანსი.

პირობითად "კარგი" ბალანსი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბალანსის ვალუტა იზრდება პერიოდის დასაწყისთან შედარებით, ხოლო მისი ზრდის ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე ინფლაციის მაჩვენებელი, მაგრამ არა უფრო მაღალი ვიდრე შემოსავლის ზრდის ტემპი;

ბ) მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე გრძელვადიანი აქტივებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდის ტემპი;

გ) დაფინანსების გრძელვადიანი წყაროების (კაპიტალი და გრძელვადიანი ნასესხები კაპიტალი) სიდიდე და ზრდის ტემპი აღემატება შესაბამის მაჩვენებლებს მიმდინარე აქტივებისთვის;

დ) საკუთარი კაპიტალის წილი ბალანსის ვალუტის 50% - ზე ნაკლები არაა;

ენა) დებიტორული და კრედიტორული დავალიანების სიდიდე, წილი და ზრდის ტემპი დაახლოებით იგივეა;

ვ) ბალანსში არ არის ზარალი.

ბალანსის ანალიზის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიასა და საგადასახადო კანონმდებლობაში, აგრეთვე, საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა.

ცხრილი 1

სს „თელასის“ ბალანსის ვერტიკალური ანალიზი 2017 წლის

საწარმოს საშუალებები	წლის დასაწყისში		წლის ბოლოს		გადახრა	
	ათასი ლარი	ხვედრითი წონა %	ათასი ლარი	ხვედრითი წონა %	ათასი ლარი	ხვედრითი წონა %
გრძელვადიანი აქტივები	205,385	71.06	236,631	74,21	31,246	3,15
მიმდინარე აქტივები	83,656	28.94	82,253	25,79	(1,403)	(3,15)
სულ აქტივები	289,041	100	318,884	100	29,843	
კაპიტალი და რეზერვები	151,259	52,33	153,446	48,12	2,187	(4.210)
გრძელვადიანი ვალდებულებები	22,124	7,66	42,748	13,41	20,624	5.75
მოკლევადიანი ვალდებულებები	115,658	40,01	122,690	38,47	7,032	(1,54)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	289,041	100	318,884	100	29,843	

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2017 წლის ბოლოს სს „თელასის“ აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 318 884 ათასი ლარი. საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე გაიზარდა 10,3%-ით. აქტივების სიდიდის ზრდა ძირითადად გამოწვეულია გრძელვადიანი აქტივების ზრდის ხარჯზე. 2017 წ. ბოლოს გრძელვადიანი აქტივების წილი გაიზარდა ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე და შეადგინა 236, 631 ათასი ლარი.

მიმდინარე აქტივები შემცირდა 1 403 ათასი ლარით და შეადგინა 82 253 ათასი ლარი, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირების შედეგად.

მეორე ეტაპი: საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზი

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მისი ფინანსური დამოუკიდებლობის და ფინანსური მდგრადობის ხარისხის განსაზღვრა.

საწარმო ანგარიშობს ფინანსური მდგრადობის როგორც **აბსოლუტურ,** ასევე **შეფარდებით** მაჩვენებლებს.

აბსოლუტური მაჩვენებლებია: საკუთარი კაპიტალის (წმინდა აქტივები) სიდიდე ; საკუთარი საბრუნავი სახსრების და წმინდა საბრუნავი კაპიტალის სიდიდე.

ფინანსური მდგრადობის ფარდობითი მაჩვენებლებია ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტები (კაპიტალის ფინანსური სტრუქტურა).

ფინანსური მდგრადობის ანალიზის ძირითადი მაჩვენებლებია:

ა) საკუთარი საბრუნავი კაპიტალი:

საკუთარი კაპიტალი - მიმდინარე აქტივები + დებიტორული დავალიანება

ბ) წმინდა სამუშაო კაპიტალი:

საკუთარი კაპიტალი + საწარმოს მიერ გამოყენებული გრძელვადიანი ნასესხები კაპიტალის ოდენობა (მისი გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების ჯამი) - მიმდინარე აქტივები

გ) **კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი:** (ფინანსური დამოუკიდებლობა)

K= საკუთარი კაპიტალი/ აქტივების ჯამი

დ) **ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი** (ნასესხები კაპიტალის კონცენტრაცია): ნასესხები კაპიტალი / აქტივები, სადაც, ნასესხები კაპიტალი = მოკლევადიანი ვალდებულებები + გრძელვადიანი ვალდებულებები.

ე) **ნასესხები და საკუთარი სახსრების თანაფარდობა** (ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი):

ნასესხები კაპიტალი/საკუთარი კაპიტალი

ვ) **კაპიტალის უსაფრთხოების კოეფიციენტი:** საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს/საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში

ზ) **კაპიტალის მანევრირების** (მობილობის) კოეფიციენტი:

საკუთარი საბრუნავი კაპიტალი / საკუთარ კაპიტალთან

თ) საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა (წმინდა კაპიტალი): საკუთარი საბრუნავი კაპიტალი/საბრუნავი აქტივების საერთო თანხა

ცხრილი 2

სს „თელასის“ ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტები

მაჩვენებლები	2017	2016
კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	0,48	0,52
ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	0,52	0,48
ნასესხები და საკუთარი სახსრების თანაფარდობა	1,08	0,91
კაპიტალის უსაფრთხოების კოეფიციენტი:	1.12	
კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი	-0,27	-0,22

2017 წელს ბალანსის მთლიან აქტივებში საკუთარი კაპიტალის წილი (ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი) შემცირდა და შეადგინა 0,48.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ახასიათებს საკუთარი კაპიტალის ხვედრით წონას მთლიან აქტივებში, იგი გვიჩვენებს საკუთარი კაპიტალის ხარჯზე შეძენილი აქტივების სიდიდეს.

საერთაშორისო პრაქტიკით კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის დასაშვები სიდიდე ≥ 0,5 ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტის რეკომენდირებული სიდიდე ≤2,0, სს „თელასის“ ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი 2017 წელს, 2016 -თან შედარებით გაზრდილია , თუმცა დასაშვებ ნორმაზე ნაკლებია.

მესამე ეტაპი: საწარმოს ბალანსის ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის ანალიზი

ბალანსის ლიკვიდობა ნიშნავს სამუშაო კაპიტალის ხელმისაწვდომობას იმ ოდენობით, რომელიც პოტენციურად საკმარისია მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვისთვის. ლიკვიდური ბალანსი ორგანიზაციის გადახდისუნარიანობის საფუძველია. ბალანსის ლიკვიდურობის შეფასება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის ლიკვიდობის კოეფიციენტების გაანგარიშების საფუძველზე.

თითოეული კოეფიციენტის გაანგარიშება მოიცავს მიმდინარე აქტივების გარკვეულ ჯგუფებს, რომლებიც განსხვავდება ლიკვიდობის ხარისხით (ე.ი. წარმოებისა და კომერციული ციკლის განმავლობაში ფულადი სახსრების გადაქცევის უნარი). გაიანგარიშებენ ლიკვიდობის შემდეგ კოეფიციენტებს:

10. აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი:

K = ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები/მიმდინარე ვალდებულებები; ≥2

3. სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი:

K= ფულადი საშუალებები + მოკლევადიანი ფინანსური დაფანდებები + დებიტორული დავალიანება/მოკლევადიანი ვალდებულებები, ≥1

4. მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი:

K= მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები,≥2

ცხრილი 3

სს „თელასის“ ლიკვიდობის კოეფიციენტები

კოეფიციენტები	2017	2016
აბსოლუტური ლიკვიდობა	0,14	0,16
სწრაფი ლიკვიდობა	0,56	0,61
მიმდინარე ლიკვიდობა	0,67	0,72

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2017 წელს ლიკვიდობის ყველა კოეფიციენტი 2016 წელთან შედარებით, არის გაუარესებული და მნიშვნელოვნად ნაკლებია დასაშვებ ნორმასთან შედარებით, რაც ნიშნავს იმას, რომ სს „თელასი“ ვერ ფარავს მიმდინარე ვალდებულებებს საკუთარი სახსრებით.

საწარმოს ბალანსის ლიკვიდურობის ანალიზი იწყება აქტივების და ვალდებულებების დაჯგუფებით, აქტივების ლიკვიდურობის, ე.ი ფულად საშუალებად გადაქცევის სისწრაფის და ვალდებულებების დაფარვის სისწრაფის მიხედვით. გამოყოფენ აქტივების და ვალდებულებების ოთხ ჯგუფს:

აქტივების ჯგუფებია:

A1 - მაღალლიკვიდური აქტივები (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები);

A2 - საშუალო გაყიდვების სიჩქარის აქტივები (სხვა მოკლევადიანი ფინანსური ინვესტიციები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები (12 თვემდე);

A3 - ნელა რეალიზებადი აქტივები (აქციები, გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები (12 თვის შემდეგ), დღგ შეძენილ ფასეულობებზე, მიმდინარე აქტივები);

A4 - ძნელად რეალიზებადი აქტივები ვალდებულებების(პასივების) ჯგუფებია:

P 1- კრედიტორული დავალიანებები;

P 2 - სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები;

P 3 - გრძელვადიანი ვალდებულებები;

P 4 - საკუთარი კაპიტალი.

აქტივებისა და ვალდებულებების დაწყვილებული ჯგუფების რეკომენდებული თანაფარდობები, რომლებიც ახასიათებს აბსოლუტურად, ანუ 100% ლიკვიდურ ბალანსს, შემდეგია:

$$A_1 \geq P_1,\ A_2 \geq P_2,\ A_3 \geq P_3,\ A_4 \leq P_4.$$

ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის მთავარი მახასიათებელია მისი გადახდისუნარიანობა, რაც ნიშნავს საწარმოს უნარს დროულად დაფაროს ყველა ვალდებულება (გრძელვადიანი და მოკლევადიანი).

საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია გადახდისუნარიანობის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები:

ა)საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი:

აქტივების ჯამის და სასესხო კაპიტალის თანაფარდობა;

ბ) ინვესტირების კოეფიციენტი:

საკუთარი კაპიტალის და არასაბრუნავი აქტივების თანაფარდობა;

ცხრილი 4

სს „თელასის“ გადახდისუნარიანობის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები:

მაჩვენებლები	2017	2016
საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი	1,9	2,9
ინვესტირების კოეფიციენტი	0,64	0,74

მეოთხე ეტაპი: აქტივების შემადგენლობის ანალიზი

როგორც ბალანსის ანალიზის ნაწილი, აუცილებელია ჩატარდეს მიმდინარე და ძირითადი აქტივების გამოყენების, შემადგენლობის, სტრუქტურის და ეფექტიანობის ანალიზი. მიმდინარე აქტივების ეფექტიანობის შესაფასებლად გამოიყენება მომგებიანობის და ბრუნვის მაჩვენებლები.

ზოგადად, სამუშაო კაპიტალის ბრუნვის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

სამუშაო კაპიტალის ბრუნვის კოეფიციენტი:

1. შემოსავალი რეალიზაციიდან / მიმდინარე აქტივების საშუალო ღირებულება

2. სამუშაო კაპიტალის ბრუნვის პერიოდი:
3. მიმდინარე აქტივების საშუალო ღირებულება/ საანალიზო პერიოდის დღეების რაოდენობა.

ბალანსზე არსებული მიმდინარე აქტივების დინამიკის, შემადგენლობისა და სტრუქტურის ანალიზს უნდა დაემატოს ძირითადი საშუალებების ანალიზი .

მეხუთე ეტაპი: ბიზნესის საქმიანობის ანალიზი (საქმიანი აქტივობის ანალიზი)

ბიზნესის საქმიანობის შეფასება შესაძლებელია შემდეგ სფეროებში:

- რესურსების გამოყენების ეფექტურობის თვალსაზრისით (კაპიტალის პროდუქტიულობის დონე და დინამიკა, შრომის ნაყოფიერება, მომგებიანობა და სხვა ინდიკატორები). ამ ჯგუფში ყველაზე მნიშვნელოვანია აქტივების და კაპიტალის ბრუნვის მაჩვენებლები;
- მოგების ზრდის ტემპის , და საბრუნავი კაპიტალის თანაფარდობით.

ბიზნესის საქმიანობა დადებითადბა დახასიათდეს შემდეგი თანაფარდობის დაცვით:

წლიური მოგების ზრდის ტემპი გადასახადამდე > რეალიზაციიდან შემოსავლების ზრდის ტემპი> ბალანსის აქტივის ზრდის ტემპი>100%

ამ თანაფარდობის დაცვა ნიშნავს: იზრდება საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი (იზრდება საქმიანობის მასშტაბები); გაყიდვების მოცულობა იზრდება უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე ბალანსის ჯამი, ე.ი. საწარმოს რესურსები უფრო ეფექტურად გამოიყენება; მოგება იზრდება უფრო სწრაფი ტემპით, რაც მიუთითებს ხარჯების შედარებით შემცირებაზე. ამ თანაფარდობას უწოდებენ „**საწარმოს ეკონომიკის ოქროს წესს".**

მეექვსე ეტაპი: საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დიაგნოზი

ფინანსური მდგომარეობის დიაგნოზისადმი ყველაზე გავრცელებული მიდგომებია: გადახდისუუნარობის შესაძლებლობის შეფასება და გაკოტრების ალბათობის დისკრიმინაციული მათემატიკური მოდელების გამოყენება.

ლიტერატურა

1. ფასს, ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. თბ.2018
2. ჯიქია მ., ეკონომიკური ანალიზი,თბ. 2018. გვ.340
3. ჯიქია მ., ფნანსური ანალიზი, ლექციების კურსი. თბ. 2011. გვ.283
4. ჭილაძი ი., ფინანსური ანალიზი თბ. 2018. გვ.393
5. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ.,ბუღალტრული აღრიცხვა.თეორია, ფინანსური აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით. თბ. 2017.გვ.605
6. Барйленко В.И. АНАЛИЗ ФИНАНСОВОЙ ОТЧЕТНОСТИЮ М.,2016. 234
7. Крылов С. И. ФИНАНСОВЫЙ АНАЛИЗ., 2016. ст.162
8. Зонова А.В. **Анализ финансового состояния предприятия**http://afdanalyse.ru/publ/finansovyj_analiz/analiz_balansa/shest_ehtapov/10-1-0-70

ACTUAL ISSUES OF ACCOUNTING BALANCE ANALYSIS (ON THE EXAMPLE OF JSC „TELASI")

Maisuradze Marina
Academic Doctor of Economics,
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Vardiashvili Mariam
Academic Doctor of Economics,
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

Thus, the present article deals with the structural and ratios analysis of financial statements (Balance sheets) of JSC Telasi. As a result of the analysis, it is revealed that the company's financial position is unstable, namely, the ratios are below the permissible rate, in 2017 the equity share of assets is below 50%. In our view, in order to improve the situation, it is necessary to reduce the balance of accounts receivable and increase the share of equity.
Key words: *Accounting Balance; Vertical Analysis; Indicators of Financial Sustainability; Solvency*

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის ეკონომიკური პროცესები და საექსპორტო პოტენციალის ამაღლების პერსპექტივები

მელიქიძე მარიამ
თსუ-ის დოქტორანტი

საქართველო, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, მიისწრაფვის ევროპის ერთიან ოჯახში ადგილის დამკვიდრებისაკენ. ის, 1991 წლიდან, ხასიათდება სერიოზული სტრუქტურული გარდაქმნებით წარმოების ყველა დარგში, რაც განპირობებულია საბჭოურ ეკონომიკაზე უარის თქმითა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით.

ასოცირების შესახებ შეთანხმება გულისხმობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ამოქმედებას, რაც სრულიად ახალ შესაძლებლობებს ქმნის ქართული კომპანიებისათვის, რათა თავი დაიმკვიდრონ ევროკავშირის ბაზარზე. ასევე, შეთანხმება გულისხმობს ქართული კომპანიების ხელშეწყობას ექსპორტის დივერსიფიკაციის თვალსაზრისით, როგორც გეოგრაფიულ, ისე სასაქონლო ნიშნით.

საჭიროა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ბაზრების იდენტიფიცირება, ასევე, ინტერნაციონალიზაციის პროცესის, დივერსიფიკაციის ანალიზი ასოცირების შეთანხმების კონტექსტით.

არსებული შეთანხმება გვაძლევს შესაძლებლობას გავხდეთ მოდერნიზებული ქვეყანა, განვახორციელოთ რეფორმები, განვვითარდეთ და ვისარგებლოთ იმ პრივილეგიებით, რაც ევროკავშირთან თანამშრომლობას მოაქვს. დროთა განმავლობაში, საქართველო, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად განხორციელებული რეფორმების საფუძველზე ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური განვითარების კუთხით ევროპულ ქვეყნად ჩამოყალიბდება.

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ საქართველო-ევროკავშირს შორის თანამშრომლობით მიღწეული შედეგები, რის შემდეგაც გამოვავლენთ ძირითად ტენდენციებს, შევაფასებთ თანამშრომლობის შედეგებს და დავსახავთ სამომავლო გეგმებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების თეორიები სხვადასხვაა და მათი პრობლემური საკითხების ფართო სპექტრს ასახავს, რომელთა სრულმასშტაბიანი გამოკვლევა ძალიან რთულია. მოცემულ საკითხზე მუშაობისას გამოიკვეთა საკითხები, როგორიცაა: უცხოური ეკონომიკური ოპერაციების ეფექტიანი შეფასება, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და საექსპორტო პოტენციალის განსაზღვრა გლობალიზაციის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: *ასოცირების შესახებ შეთანხმება, ინტერნაციონალიზაცია, საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები, მიღწეული შედეგები.*

საქართველომ მიზნად დაისახა ევროკავშირში გაწევრიანება.წლების განმავლობაში გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა შედეგად მოგვიტანა საქართველოს დაახლოება ევროპულ ღირებულებებთან. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისებაში.

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება მოიცავს კომპონენტს, რომელსაც ეწოდება DCFTA- Deep and Comprehensive Free Trade Area და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს. ამ შეთანხმების მე-4 თავი, რომელიც მოიცავს ვაჭრობას და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

მსოფლიოს 500 ყველაზე მომგებიანი და მსხვილი კომპანიიდან 161 სათავო ოფისი ევროპის კავშირში მდებარეობს. კავშირში შექმნილია ერთიანი ბაზარი და უზრუნველყოფილია ადამიანების, კაპიტალის, მომსახურების და საქონლის თავისუფალი გადაადგილება. ქვეყნებს შორის გადაადგილება უვიზოა. მათ შორის არაწევრი ქვეყნებისთვისაც (ნორვეგია,შვეიცარია, ისლანდია, ლიხტენშტეინი, მოლდოვა).

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის ზრდას. იგი არ აწესებს რაიმე შეზღუდვებს. კომპანიებს ექნებათ შესაძლებლობა ნაკლებ ფასად აწარმოონ იმპორტ-ექსპორტი. გარდა ამისა, შეთანხმება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას. ამ შემთხვევაში ქართველი მომხმარებლები უსაფრთხო, უვნებელ და ნაკლებად გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს მიიღებენ.

სავაჭრო ბარიერები და ევროკავშირის ბაზარზე პოზიციონირების პერსპექტივები

ევროპულ ბაზრებზე ინტეგრაციისა და საქართველოში წარმოებული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის მთავრობამ უნდა იზრუნოს ვაჭრობაში ჯერ კიდევ არსებული ტექნიკური ბარიერების შემცირებაზე, რაც საქართველოს კანონმდებლობას ევროპულ ნორმებთან დაახლოებს. ეს გამოიწვევს ხარისხის ეროვნული ინსტიტუტების ინტეგრაციას საერთაშორისო და ევროპულ სისტემებში.

საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს მიერ „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების" ფარგლებში აღებული ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულება, მათ შორის, მეტროლოგიის, სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგულირებისა და ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სისტემების ევროპულთან შესაბამისობაში მოყვანა.

საქართველოს მთავრობამ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს რეგიონის ქვეყნებსა და არსებულ სავაჭრო პარტნიორებთან ქართველი მეწარმეების მეზობელი ქვეყნების ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად. ამ მიზნით შექმნილია ექსპორტიორთა ცენტრი, რომელიც მოიძიებს ინფორმაციას საერთაშორისო ვაჭრობაში ექსპორტზე ორიენტირებული ქართველი მეწარმეების პრობლემების შესახებ.

ჩაკეტილი ბაზარი აკნინებს კონკურენტულ გარემოს და არ აძლევს ეროვნულ წარმოებას სწრაფი განვითარების სტიმულს. თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკურ-სტატისტიკური კუთხით მიმდინარე პროცესების გაანალიზება და რეალური ტენდენციების გამოვლენა. საგარეო ვაჭრობის შესახებ დროული და ხარისხიანი სტატისტიკური ანალიზი აუცილებელი პირობაა წარმოების, მოხმარების, დასაქმების, შემოსავლებისა და ზოგადად კეთილდღეობის მრავალმხრივი ანალიზისთვის, როგორც ქვეყნის, ისე გლობალურ დონეზე.

საგარეო ვაჭრობა, როგორც საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სწრაფად მზარდი სეგმენტი, ყოველთვის არის სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული ინტერესის ობიექტი. ჩემი პრაქტიკული ინტერესი კი იწვევს მოცემული სფეროს მეცნიერული შესწავლის, არსებული ტენდენციების გამოვლენის, უპირატესობებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენის, მათი გაუმჯობესების გზების ძიების, მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების გამოტანისა და მდგომარეობის გამაუმჯობესებელი პრაგმატული ღონისძიებების შემუშავების აუცილებლობას.

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის კვლევა ევროკავშირის ბაზარზე

იმისათვის, რომ კომპანიამ ბაზარზე დაიმკვიდროს ჯეროვანი, საჭიროა საქონლის მყიდველთა მოძიება, რის საშუალებასაც ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება იძლევა. მომხმარებელზე ორიენტაცია, მათი სურვილების, შეხედულებების, საქონლის მიმართ დამოკიდებულების შესწავლის საფუძველზეა შესაძლებელი. გამომდინარე ზემოხსენებულისა, ვფიქრობ, რომ ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები დაფუძნებული უნდა იყოს სწორი მიზნების მიღწევაზე, რაც ქვეყნის ექსპორტის განვითარების ხელშემწყობი იქნება.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის სატარიფო ლიბერალიზაცია ბევრ პროდუქტზე მოქმედებს. ჩვენ დიდი ხანია ვსარგებლობთ პრეფერენცირების სისტემით (GSP), რაც ნულოვან საბაჟო ტარიფებს გულისხმობს პროდუქციის ვრცელი ჩამონათვლისას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამოსავალი წერტილია მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მოთხოვნათა დაფიქსირება და მუშაობის წარმართვა მათი დაკმაყოფილებისათვის. სისტემურად უნდა ტარდებოდეს მომხმარებელთა ანკეტური გამოკითხვები, შედეგების განზოგადება, მოსახლეობის ტიპოლოგია და ბაზრის ცალკეული სეგმენტის მოცულობის განსაზღვრა. ანკეტური გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის ხარისხი და ოპერატიულობა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბაზარზე ფირმის წარმატებასა და წარუმატებლობას.

საქართველოში არსებული მდგომარეობა და ევროპის მცირე ქვეყნების გამოცდილება გვკარნახობს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიულ ამოცანად აღიარებულ უნდა იქნეს წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება საინოვაციო საქმიანობის პრინციპული გაუმჯობესებით.

საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კონკურენციის კანონმდებლობა არ ქმნიდეს ხელოვნურ ბარიერებს კომპანიების ზრდისა და განვითარებისათვის. ქვეყანაში კონკურენტული გარემოს შესაქმნელად ხელი უნდა შეეწყოს სასამართლოს შემდგომ გაძლიერებას კონკურენციასთან დაკავშირებული დავის სამართლიანად გადაწყვეტისა და შესაბამის საკითხებზე მოსამართლეთა ცოდნის გაღრმავების მიზნით.

ევროკავშირი საქართველოს მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევს (მათ შორის საერთაშორისო საალუტო ფონდთან ერთად) მაკროეკონომიკური სესხებისა და საბიუჯეტო გრანტების სახით.

ევროპის საინვესტიციო ბანკის ინვესტიციებისა და სესხების საერთო მოცულობამ 473 მლნ ევრო შეადგინა. EBRD საქართველოში ძალზე დიდი მოცულობის ინვესტიციებს ახორციელებს. ამჟამად გამოყოფილია 1.8 მლრდ ევრო 157 პროექტის დასაფინანსებლად. მათი მთლიანი ღირებულება 5.1 მლრდ ევროს შეადგენს. ზემოხსენებული რესურსების ყველაზე დიდი წილი ენერგეტიკისა და საფინანსო სექტორზე მოდის.

ჩვენ ვალდებულები ვართ, დავიცვათ ევროკავშირის კანონმდებლობაში გაწერილი პრინციპები და მეთოდები. ევროკავშირისა და საქართველოს საკანონმდებლო ბაზების ურთიერთდაახლოების პროცესში უნდა განისაზღვროს ეკონომიკისა და ბიზნესის პრიორიტეტული სექტორები. ეს მოხდება მეწარმეებსა და ექსპორტიორებთან კონსულტაციების გზით.

ევროპულ ბაზრებზე ქართული პროდუქციის პოზიციის დამკვიდრება პირდაპირ კავშირშია ის მიმართ წაყენებული სანიტარული და ფიტო-სანიტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან.

ევროპული ინტეგრაციის წარმატებული განხორციელება პირდაპირ უკავშირდება საზოგადოების განწყობებს, მათ დამოკიდებულებებს. შესაბამისად, ამ მხრივ, ეფექტურ საინფორმაციო პოლიტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. აუცილებელია დაინერგოს სამრეწველო პროდუქციის შესაბამისობის განსაზღვრის ევროპული მოდელები, რაც უზრუნველყოფს დაბალი რისკების მატარებელი საქონლისა და მომსახურების კიდევ უფრო დიდ წარმატებას.

საქართველოს განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის დიდი პოტენციალი აქვს. ეს მიიღწევა კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების დაძლევითა და განვითარების იმ პერსპექტივების გათვალისწინებით, რაც საქართველოს ამ ეტაპზე აქვს.

საქართველოს ექსპორტის გეოგრაფიაზე, განაკუთრებით კი ექსპორტის ზრდაზე, მწვავედ აისახება მსოფლიო ბაზრებზე ფიქსირებული სავალუტო, მაკროეკონომიკური თუ სხვა ტიპის შოკები. საქართველოს ეკონომიკა ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. ამ ტემპის მიღწევა შესაძლებელი გახდა ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არსებული სირთულეები აუარესებს სამეწარმეო გარემოს, ამცირებს ინვესტორთა ნდობას და ნაკლებად ეფექტიანს ხდის სხვა სფეროებში ჩამოყალიბებულ ქმედით მექანიზმებს, თუნდაც იმას, რომ მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების ანგარიშში (Doing Business 2014) საქართველო პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოში ქონების რეგისტრაციის სიმარტივის თვალსაზრისით.

ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა სწორი გააზრება და პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებს, შემდგომში კი, ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციას, რაც კიდევ უფრო გააფართოვებს საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს.

საქართველო ისწრაფვის იმისკენ, რომ გააფართოვოს კავშირები მსოფლიოს ქვეყნებთან, მათთან ორმხრივი ხელშეკრულებების დადების გზით. ხელშეკრულებები ითალისწინებს მაქსიმალურად ლიბერალური პირობების შენარჩუნებას, ხელისშემშლელი სავაჭრო ბარიერების მოხსნას, რათა მათი უზარმაზარი ბაზარი და სანედლეულო რესურსები ხელმისაწვდომი გახდეს, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური კაპიტალისთვის.

ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები არი არის მხოლოდ საქართველოსთვის აქტუალური. ის ენათესავება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებულ ვითარებას, რაც, ვფიქრობთ, მომავალში შეიძლება ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კვლევის კომპონენტადაც იქცეს.

ლიტერატურა

1. შენგელია თ. საერთაშორისო ბიზნესი (ლექციების კურსი). თსუ, თბ., 2011 გამ. „უნივერსალი'', თბ., 2011. 382 გვ.
2. გოცაძე, ე., მედულაშვილი, თ., „NATO და ევროკავშირი – საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები" – 2015 წ. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ.
3. "ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა", გვ. 67, ვებგვერდი.
4. ძებისაური ლ., „საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა".
5. ბიძინაშვილი თ,. „საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები მსოფლიო მეურნეობრივი კავშირების გლობალიზაციის პირობებში".
6. McCormick, J. (2017). Understanding the European Union: A Concise Introduction. 7th edition. Basingstoke: Palgrave Macmillan.

7. infocenter.gov.ge, http://infocenter.gov.ge/euinfo-expansion-eu/#1
8. www.geostat.ge სტატისტიკის ეროვნული სამსახური
9. http://www.ombudsman.ge/ge/projects/ganxorcielebuli-proeqtebi/evrokavshiris-mier-dafinansebuli-proeqti.page საქართველოს სახალხო დამცველი, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები.
10. https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/countries/detailed-country-information/croatia_en European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations, EC, Membership Status of Croatia. Last uptadet in 2016.

EUROPEAN INTEGRATION ECONOMIC PROCESSES ANDTHE PROSPECTS FOR INCREASING EXPORT POTENTIAL OF GEORGIA

Melikidze Mariam
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Phd student

Summary

The European Union and Georgia enjoy an excellent relationship. Relations are based on the EU Georgia Association Agreement including a Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA), which entered into force in July 2016 and strives for political association and economic integration.
At the present stage when the development of the world economy is characterized by quick rates of globalization the International-economical relations experience the continuous changes. In conditions of market economy of special importance acquires the perfection of economical contacts against the background of international integration processes which, mainly is achieved as a result of efficiency of international trade. For development of these processes a powerful level of improvement of economy is the assessment of efficiency of the theories of international trade and foreign economy operations, deep and fundamental analysis of export production potential on the basis of marketing research and possibility.
Obtaining the promise of a European perspective remains Georgia's main goal in the short and medium Term. The EU is an important partner for Georgia not only for trade-economic but also from political point of view. Therefore, it is important to know how useful this cooperation is for Georgia in the development of European civilization.
Keywords: *Association Agreement, Internationalization, Ways to Increase Export Potential, Achievements.*

სტუდენტების სოციალ-დემოგრაფიული მახასიათებლების სტატისტიკური ანალიზი

მინდორაშვილი მარინე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

აბესაძე ნინო
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

გიორგობიანი მაია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

დემოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებზე პირდაპირი ზემოქმედება შეზღუდულია. ამიტომ, რთულია საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის მისაღები საზოგადოების რეპროდუქციული განწყობის ჩამოყალიბება და მისი შესაბამისი დემოგრაფიული ქცევის განსაზღვრა. საკითხი უფრო სენსიტიური ხდება, როდესაც საქმე სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიულ განწყობას ეხება არსებული არცთუ სახარბიელო დემოგრაფიული ვითარების ფონზე. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია არამარტო ახალგაზრდების შეხედულებების მრავალგვარობა მოსალოდნელ დემოგრაფიულ ქცევაზე, არამედ მათი დემოგრაფიული განწყობის განმსაზღვრელი ოჯახური, ეროვნული, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების, რელიგიური ტრადიციების მრავალფეროვნება და სხვა ცხოვრებისეულ ფასეულობათა ორიენტაცია. სტუდენტების დემოგრაფიული განწყობის სტატისტიკური შეფასება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებში. სწორედ ამ ინფორმაციული ბაზის ფორმირებას ემსახურება ჩვენ მიერ გამოკვლეული სტუდენტების სოციალ-დემოგრაფიული მახასიათებლები.

საკვანძო სიტყვები: *სტუდენტი, დემოგრაფიული ქცევა, დემოგრაფიული განწყობა, სოციალ-დემოგრაფიული მახასიათებლები.*

მიზნობრივი კვლევითი პროექტის - „საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა", ფარგლებში განხორციელდა სტუდენტების სოციალ-დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ანკეტური მეთოდით და მისი სტატისტიკური ანალიზი. კითხვარის დიზაინმა საშუალება მოგვცა ამომწურავი ინფორმაცია მიგვეღო როგორც რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლების, (როგორიცაა- სქესი, ასაკი, დაბადების ადგილი, უმაღლესი სასწავლებელი, სწავლის საფეხური, ქორწინებითი სტატუსი, ეროვნება), ასევე სოციალური სტატუსების შესახებ (შემოსავლის დონე, შეხედულებები და მოლოდინები საზოგადოებისთვის საჭირბოროტო სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით).

კვლევაში მონაწილე 2452 რესპონდენტიდან, რომელთა შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევით, გუგლის ელექტრონული აპლიკაციით მონაწილეობდა 1732 ქალი (ვალიდური პროცენტი 70.9) და 710 კაცი (ვალიდური პროცენტი 29.1). კვლევაში მონაწილე რესპონდენტების სქესობრივი თანაფარდობა არ არის პროპორციული და სავარაუდოდ, პასუხები უმეტესწილად ქალების პოზიციით არის განპირობებული, რადგან მათი რაოდენობა თითქმის 2.5-ჯერ აჭარბებს მამაკაცებისას. ზოგადად, ელექტრონული ანკეტური გამოკითხვების სიმარტივეს, რომელიც საგრძნობლად ამსუბუქებს რესპონდენტის ტვირთს, თან ახლავს სქესთა შორის არაპროპორციული გადანაწილება, რაც ჩვენ შემთხვევაში, მამაკაცთა აბსოლუტურ და შეფარდებით სიმცირეში გამოიხატა, თუმცა ეს არ მეტყველებს შერჩევის არარეპრეზენტატულობაზე.

ასაკობრივი ნიშნით რესპონდენტების დაჯგუფება მოხდა ოთხ ჯგუფად, მათ შორის: 19 წლამდე, 20 – 24; 25 - 29 და 30 წლისა და ზევით. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა 20 – 24 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფი, ხოლო უმცირესობაში აღმოჩნდა 30 წელზე მაღალი ასაკის რესპონდენტები. რესპონდენტი ქალების საშუალო ასაკია 21,3 წელი, ხოლო მამაკაცების - 20,9.

ნახაზი 1. რესპონდენტების განაწილება ასაკის მიხედვით[4], %



სქესის მიხედვით ასაკობრივმა გადანაწილებამ გვიჩვენა, რომ მდედრობითი სქესის რესპონდენტების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (0.26; 0,64; 0.08; 0.02) მკვეთრად განსხვავდება მამაკაცებისგან, სადაც ასაკობრივ ჯგუფებში გადანაწილება შედარებით თანაბარზომიერია (0.32; 0.59; 0.27; 0.1). ორივე სქესის შემთხვევაში მაღალია რესპონდენტთა თავმოყრა 20 – 24 წლიანთა ჯგუფში, თუმცა საერთო ჯამში, 19 – 24 წლიანთა გამსხვილებულ ინტერვალში თავმოყრილია როგორც ქალების, ისე მამაკაცების 90%.

დაბადების ადგილის მიხედვით რესპონდენტების დაჯგუფებამ დაგვანახა, რომ მათი უმეტესობა ქალაქად არის დაბადებული, თუმცა სოფლად დაბადებულთაგან შეიძლება ბევრი მათგანი ქალაქად აგრძელებს ცხოვრებას. ამასთან, ქალაქად დაბადებული გოგონები 3-ჯერ აღემატებიან სოფლად დაბადებულების რიცხოვნობას, ხოლო ვაჟები - 2.5-ჯერ.

ასაკისა და დაბადების ადგილის კროსტაბულაციამ აჩვენა, რომ ქალაქად დაბადებულთა ხვედითი წილები შედარებით მაღალია 25 და მეტი ასაკის რესპონდენტთა შორის, ვიდრე დაბალ ასაკებში.

კვლევაში ძირითადად მონაწილეობდნენ ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტები (რესპონდენტების 81,7%), ხოლო 18.3%-ს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები შეადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ ბაკალავრიატის სტუდენტთა შორის 70% ქალია, მაგისტრატურის საფეხურზე - 69, ხოლო დოქტორანტურაში მათი წილი 80%-ია. როგორც მოსალოდნელი იყო, უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით რესპონდენტები არათანაბრად გადანაწილდნენ, დიდი აქტივობა გამოიჩინეს თსუ-სა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, ყველაზე ნაკლები კი - თელავისა და ბათუმის უნივერსიტეტების სტუდენტებმა. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს კერძო უნივერსიტეტების სტუდენტებმაც (კატეგორიაში „სხვა“).

სტუდენტების სტატუსი ქორწინებაში შესწავლილ იქნა სამი კატეგორიით - დაუქორწინებელი, დაქორწინებული და განქორწინებული. დაუქორწინებელი სტუდენტები რესპონდენტთა უმრავლესობას შეადგენენ. დაქორწინებულ სტუდენთა შორის უმეტესობა ქალია (94%).

თუ დაბადების ადგილის მიხედვით დავაჯგუფებთ რესპონდენტებს, ვნახავთ, რომ დაუქორწინებელთა და დაქორწინებულთა უმეტესობა ქალაქად არის დაბადებული, ხოლო განქორწინებულები თანაბრად არიან განაწილებული დაბადების ადგილების მიხედვით.

უმაღლესი განათლების საფეხურის მიხედვით განაწილებულ რესპონდენტთა შორის, დაუქორწინებელთა ხვედრითი წილი მაღალია ბაკალავრთა შორის (94.7%), დაქორწინებულთა კი - დოქტორანტთა შორის (41.7%). განქორწინებულთა ხვედრითი წილი უმნიშვნელოა, თუმცა მაინც გვხვდება მხოლოდ ბაკალავრთა შორის (0.5%).

გამოკითხულ სტუდენტთა შორის უმრავლესობა იყო ქართველი (93.2%), დანარჩენი ეროვნებები წარმოდგენილი იყო კლებადი თანმიმდევრობით: სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი და იეზიდი. როგორც ქართველ, ისე სომეხ და აზერბაიჯანელ რესპონდენტთა შორის ქალები 2-ჯერ და მეტჯერ სჭარბობენ მამაკაცებს.

[4] ყველა ნახაზი აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

ნახაზი 2. სქესის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილება შემოსავლების დონის მიხედვით, %



გამოკითხულ სტუდენტთა 2/3 მიიჩნევს, რომ მისი ოჯახი საშუალოშემოსავლიანია, 22.6 პროცენტი დაბალშემოსავლიანად აღიქვამს თავს, ხოლო 2.3 პროცენტი აფიქსირებს მაღალ შემოსავლებს. აღსანიშნავია, რომ ქალებთან შედარებით, გამოკითხულ მამაკაცთა მეტი რაოდენობა აკუთვნებს თავს დაბალშემოსავლიან (+3.9%) და მაღალშემოსავლიან (0.8%) კატეგორიებს, ხოლო ქალების უფრო მეტი რაოდენობა მიიჩნევს თავს საშუალო შემოსავლის მქონედ (+4.6%).

ასაკის მიხედვით, 20 – 24 წლიან ასაკობრივ ინტერვალში ყველაზე მეტი რესპონდენტი აიდენტიფიცირებს თავს საშუალო, დაბალ და მაღალშემოსავლიან ჯგუფებთან, მას მოსდევს 25 - 29 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი. დაბადების ადგილის მიხედვით ყველაზე დიდი დისპროპორცია შეიმჩნევა მაღალშემოსავლიანთა ჯგუფში (ქალაქად დაბადებულთა ხვედრითი წილი ამ ჯგუფში 4.5-ჯერ აჭარბებს სოფლად დაბადებულთა წილს). უმაღლესი სასწავლებლის საფეხურის მიხედვით, დოქტორანტურისა 91.7% და ბაკალავრიატის 75.8% საფეხურებზე ძალიან მაღალია საშუალოშემოსავლიანთა წილი, ხოლო მაგისტრატურაში შედარებით მაღალია დაბალშემოსავლიანთა წილი 27.1%.

ქორწინებითი სტატუსის მიხედვით დაჯგუფებულ რესპონდენტთა შორის შემოსავლის ყველა კატეგორიაში სჭარბობს დაუქორწინებელი სტუდენტობა, რომელთა 75% საშუალოშემოსავლიანია, 23% დაბალშემოსავლიანი, ხოლო 2% მაღალშემოსავლიანი.

დაბალშემოსავლიანთა შორის 94.5% დაუქორწინებელია, საშუალოშემოსავლიანთა შორის 92.6%, ხოლო მაღალშემოსავლიანებში 54.5%. დაქორწინებულთა ყველაზე მაღალი სიხშირე მაღალშემოსავლიანებშია (36.4%), ასევეა განქორწინების შემთხვევაში - ეს კატეგორია სჭარბობს კვლავ მაღალშემოსავლიან ჯგუფში (9.1%).

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხული სტუდენტების დიდი უმრავლესობა რელიგიურად მიიჩნევს თავს, ყოველი მეხუთე თვლის თავს არარელიგიურ პიროვნებად. ამასთან, სტუდენტ ქალებს შორის 15%-ით მეტი მორწმუნეა მამაკაცებთან შედარებით. ასაკის მიხედვით, მორწმუნეთა ყველაზე მაღალი წილი - 81.3% დაფიქსირდა 20-24 წლიანთა ინტერვალში, ხოლო ყველაზე ნაკლებად რელიგიური აღმოჩნდა 25-29 წლიანთა ჯგუფი - 31.6%. დაბადების ადგილის მიხედვით, სოფლად დაბადებულები უფრო მაღალი რელიგიურობით გამოირჩევიან (84.6%), ხოლო არარელიგიურობით - ქალაქად დაბადებულები (23.3%). სწავლის საფეხურის მიხედვით რელიგიურობის შესწავლამ დაგვანახა, რომ ის იკლებს სწავლების საფეხურის მატებასთან ერთად და დოქტორანტურის საფეხურზე არარელიგიურ რესპონდენტთა წილი 41.7%-მდე იზრდება. ქორწინებითი სტატუსის მიხედვით დაჯგუფებულ რესპონდენტთა შორის რელიგიურობა საინტერესო ვარიაციით ხასიათდება. კერძოდ, სტატუსი „რელიგიური“ მიუთითა განქორწინებულთა 100%-მა, დაქორწინებულთა 86.1% და დაუქორწინებელთა 78.0%-მა.

საინტერესო იყო ახალგაზრდების მოსაზრება გენდერული თანასწორობის შესახებ. კერძოდ, კითხვაზე, ემხრობით თუ არა ქალისა და მამაკაცის გენდერულ თანასწორობას, 62.7 %-მა გასცა დადებითი პასუხი, ნაწილობრივ 35.4 %-მა, ხოლო სტუდენტების უმნიშვნელო ნაწილმა, 1.8 %-მა, დააფიქსირა ამ საკითხისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ გენდერული თანასწორობის იდეა სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის მისაღებია (98.2 %). ამასთანავე, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი ვარიაციები დაფიქსირდა სქესთა შორის. განსაკუთრებით დიდი განსხვავებაა ქალებსა და მამაკაცებს შორის გენდერული თანასწორობის სრულიად გაზიარებასთან დაკავშირებით. ქალების 2/3 და მამაკაცების 1/3-ზე ნაკლები სრულიად ემხრობა გენდერული თანასწორობის იდეას, ხოლო ნაწილობრივ - 63

და 37 პროცენტი. გენდერული თანასწორობის მოწინააღმდეგეები პროცენტულად უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, შესაბამისად, ქალების 55.6 % და მამაკაცების 44.4 %:

ნახაზი 3. გენდერული თანასწორობის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილება სქესის მიხედვით, %



გენდერული თანასწორობის საკითხის შესწავლამ ასაკების მიხედვით მნიშვნელოვანი სხვაობა გამოავლინა სტუდენტების შეხედულებებში. სახელდობრ, სამივე კატეგორიის მიხედვით ყველაზე მაღალი აქტივობა 20-24 წლიანთა ჯგუფში გამოიკვეთა. როგორც მომხრეების, ისე ნაწილობრივ მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების უმრავლესობა ამ ჯგუფში იყრის თავს (62.1; 63.6; 66.7). უფრო მეტიც, ამ ასაკობრივ ჯგუფში მოწინააღმდეგეების ხვედრითი წილი წინა ორ კატეგორიას 2.9 პროცენტული პუნქტით აჭარბებს. ნაკლები დისპროპორციაა ყველა ასაკობრივ ჯგუფში სამივე პასუხის განაწილებებს შორის, თუმცა აღსანიშნავია, რომ 19 წლამდე სტუდენტებში გაცილებით ნაკლებია მოწინააღმდეგეთა წილი (22.2% VS 28.3 და 27.4), ხოლო მეტია 20-24 (66.7%) და 25-29 წლიან(11.1%) ჯგუფებში, 30 და ზევით ჯგუფში გენდერულ თანასწორობას მოწინააღმდეგე არ გამოუჩნდა.

თუ სამივე კატეგორიის მიხედვით რესპონდენტთა კონცენტრაცია 20-24 წლიანთა ჯგუფში გამოიკვეთა, ასაკების მიხედვით კატეგორიებში განაწილებამ დაგვანახა, რომ გენდერული თანასწორობის იდეას ცალსახად მხარს უჭერს მხოლოდ 30 წლის და ზევით ასაკობრივი ჯგუფი, დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში ეს მაჩვენებელი 60 %-ის ფარგლებშია, ხოლო ნაწილობრივი მხარდაჭერა 34-36 პროცენტს არ სცდება. მოწინააღმდეგეთა ბანაკში 2 %-ზე მეტს მხოლოდ 25-29 წლიანთა ჯგუფის წარმომადგენლები შეადგენენ. როგორც ჩანს, გენდერული თანასწორობის იდეას უფრო მეტი მხარდაჭერა აქვს დაბალშემოსავლიან და საშუალოშემოსავლიან რესპონდენტებში. ამ შემთხვევაში, ნაწილობრივ მომხრეები თითქმის მათ ნახევარს შეადგენენ, რასაც ვერ ვიტყვით მაღალშემოსავლიან კატეგორიაზე, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მათი ნახევარზე მეტი გენდერული თანასწორობის მომხრეა, საკმაო მხარდაჭერას უცხადებენ „ნაწილობრივ“ კატეგორიას (36.4%) და შემოსავლის დანარჩენ კატეგორიებთან შედარებით, გარკვეულ ჯგუფსაც კი ქმნიან „მოწინააღმდეგეთა“ სახით (9.1%).

მიუხედავად იმისა, რომ დაბალშემოსავლიან და მაღალშემოსავლიან ჯგუფებში საშუალოშემოსავლიანთან შედარებით მაღალია გენდერული თანასწორობის მოწინააღმდეგეთა ხვედრითი წილი, საბოლოო ჯამში, გენდერული თანასწორობის იდეის ფორმირებაში ყველაზე მნიშვნელოვან წილი საშუალოშემოსავლიან ჯგუფს შეაქვს.

ნახაზი 4. შემოსავლების მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილება გენდერული თანასწორობის მომხრეთა/მოწინააღმდეგეთა ჯგუფებში, %



გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით რესპონდენტთა შეხედულებები სამივე კატეგორიაში განაწილებულია ქართველებსა და სომხებში, რასაც ვერ ვაკვირდებით რუს და იეზიდ რესპონდენტთა შორის და ნაწილობრივ აზერბაიჯანელებში. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ აზერბაიჯანელთა შორის მაღალია ნაწილობრივი მხარდაჭერის წილი, რუსები მხოლოდ ამ კატეგორიას უჭერენ მხარს, ხოლო იეზიდები აბსოლუტურად სრულ მხარდაჭერას აფიქსირებენ. რელიგიურ რესპონდენტთა შორის 59.3 პროცენტი ემხრობა სრულიად გენდერულ თანასწორობას, ხოლო არარელიგიურებს შორის - 75 პროცენტი. რელიგიურ სტუდენტებს შორის არარელიგიურებთან შედარებით მაღალია ნაწილობრივ მომხრეების წილი. როგორც დაქორწინებულებში, ისე განქორწინებულებში მორწმუნეთა წილი უფრო მაღალია, თუმცა არარელიგიურ პირებში დაუქორწინებლები სჭარბობენ.

რაც შეეხება რესპონდენტების დამოკიდებულებას „ლგბტქ" თემის მიმართ, შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხულთა მხოლოდ მეოთხედია ტოლერანტული, 17 პროცენტამდე არატოლერანტული, ხოლო ნეიტრალურ შეხედულებას იზიარებს ნახევარზე მეტი, დაახლოებით 58 პროცენტი. ეს კითხვა ერთგვარი ლაკმუსის როლს ასრულებს იმის დასადასტურებლად, რომ სტუდენტი ახალგაზრდობა, ისევე როგორც საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, სტერეოტიპების გავლენას განიცდიან. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ახალგაზრდობის უმრავლესობის დამოკიდებულება ამ მარგინალური ჯგუფის მიმართ ნეიტრალური ან მკვეთრად უარყოფითია.

ყველაზე არატოლერანტულები ლგბტქ თემის მიმართ აღმოჩნდნენ რუსები, ქართველთა და სომეხთა შორის მათი წილი შესაბამისად 16 და 25.9 %-ია, ხოლო აზერბაიჯანელი და იეზიდი რესპონდენტები აბსოლუტურ ნეიტრალიტეტს აფიქსირებენ. ქართველებში ტოლერანტობის წილი უფრო მაღალია სომხებთან შედარებით, ხოლო ნეიტრალურობის მიხედვით მათი წილები თითქმის ერთნაირია (57.4 და 55.6). ტოლერანტულ, არატოლერანტულ და ნეიტრალურ რესპონდენტებს შორის უმეტესობა საშუალოშემოსავლიანია, ნეიტრალურ ჯგუფში შედარებით მაღალი წილით (24.8) არის წარმოდგენილი დაბალშემოსავლიანი ჯგუფი.

როგორც კვლევიდან გამოვლინდა, რელიგიურ სტუდენტთა შორის ტოლერანტულების წილი ნეიტრალურებთან შედარებით 3-ჯერ დაბალია, ხოლო არარელიგიურებს შორის განსხვავება ნეიტრალურებსა და ტოლერატულებს შორის მხოლოდ 3.9 %-ია; რელიგიურ რესპონდენტთა შორის არატოლერანტულების წილი 2.5-ჯერ მეტია. ტოლერანტულ სტუდენტთა შორის არარელიგიურები 2-ჯერ სჭარბობენ მორწმუნეებს, არატოლერანტურებში 90 %-ზე მეტი მორწმუნეები არიან, ხოლო ნეიტრალურთა შორის დისპროპორცია ძალიან მაღალი არ არის, თუმცა მორწმუნეები 1.2-ჯერ მეტნი არიან. ტოლერანტობისა და გენდერული თანასწორობის კროსტაბულაციიდან ირკვევა, რომ ლგბტქ თემის მიმართ ტოლერანტულებს შორის 83.3 პროცენტი სრულიად ემხრობა გენდერულ თანასწორობას, არატოლერატულებს შორის 35.8, ხოლო ნეიტრალურებს შორის 61.1 %. ლგბტქ თემის მიმართ არატოლერანტულებს შორის 56.8 პროცენტი ნაწილობრივ, ხოლო 35.8 % სრულიად ემხრობა გენდერულ თანასწორობას. გენდერულ თანასწორობას არ ემხრობა ტოლერანტულთა 0.8, არატოლერანტულთა 7.4 და ნეიტრალურთა 0.7 %.

საინტერესო იყო სტუდენტთა შეხედულების შესწავლა მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციაზე. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი დარწმუნებულია, რომ მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაცია შეამცირებს შვილიანობას. საკმაოდ დიდ ნაწილს, 36 %-მდე, არ გააჩნია მყარი პოზიცია ამ საკითხისადმი და მხოლოდ 13 %-ს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებით პირდაპირ არ გამოიწვევს შვილიანობის შემცირებას.

ლგბტქ თემის მიმართ ტოლერანტულ რესპონდენტთა შორის 65.6% თვლის, რომ დეკრიმინალიზაცია გავლენას არ მოახდენს შვილიანობაზე, ხოლო არატოლერანტული სტუდენტების 72.8 %-ის აზრით - შეამცირებს. ლგბტქ თემის მიმართ ნეიტრალური სტუდენტებიდან 53.6 %-ის აზრით შეამცირებს, ხოლო თითქმის 40 %-ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მოსაზრებები საქართველოსთვის უმთავრეს გამოწვევებთან მიმართებაში. შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა - 57%-მა, უმთავრეს პრობლემებად მიიჩნია უმუშევრობა და სიღარიბე, ტერიტორიული მთლიანობა - 49%-მა, ეკოლოგია - 32%-მა, დემოგრაფიული პრობლემები დაასახელა რესპონდენტთა 22.7%-მა, კრიმინოგენური სიტუაცია - 22%-მა, ხოლო სხვა - 25.4%-მა.

დასკვნა

სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევის შესწავლაში აქტიურობით გამოირჩეოდნენ ქალები, რომელთა საშუალო ასაკია 21.3 წელი, ხოლო მამაკაცებისა - 20.9 წელი, ამასთან, ორივე სქესის მიხედვით, რესპონდენტებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა 20 – 24 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფი. ბაკალავრიატის სტუდენტთა შორის 70% ქალი აღმოჩნდა, მაგისტრატურის საფეხურზე - 69, ხოლო დოქტორანტურაში - 80%. უმაღლესი განათლების საფეხურის მიხედ-

ვით განაწილებულ რესპონდენტთა შორის დაუქორწინებელთა ხვედრითი წილი მაღალია ბაკალავრებში, დაქორწინებულთა კი - დოქტორანტთა შორის. განქორწინებულთა ხვედრითი წილი უმნიშვნელოა. გამოკითხულ სტუდენტთა 2/3 მიიჩნევს, რომ მისი ოჯახი საშუალოშემოსავლიანია, 22.6 % დაბალშემოსავლიანად მიიჩნევს თავს, ხოლო 2.3 % აფიქსირებს მაღალ შემოსავლებს. ამასთან, დოქტორანტურისა და ბაკალავრიატის საფეხურებზე ძალიან მაღალია საშუალოშემოსავლიანთა წილი, ხოლო მაგისტრატურაში შედარებით მაღალია დაბალშემოსავლიანთა წილი. ქორწინებითი სტატუსის მიხედვით დაჯგუფებულ რესპონდენტთა შორის შემოსავლის ყველა კატეგორიაში სჭარბობს დაუქორწინებელი სტუდენტობა, რომელთა 75% საშუალოშემოსავლიანია. 23% დაბალშემოსავლიანი, ხოლო 2% მაღალშემოსავლიანი. გამოკითხული სტუდენტების დიდი უმრავლესობა რელიგიურად მიიჩნევს თავს, ყოველი მეხუთე თავს თვლის არარელიგიურ პიროვნებად. სტუდენტ ქალებს შორის 15%-ით მეტი მორწმუნეა მამაკაცებთან შედარებით. ასაკის მიხედვით, მორწმუნეთა ყველაზე მაღალი წილი - 81.3% დაფიქსირდა 20-24 წლიანთა ინტერვალში, ხოლო ყველაზე ნაკლებად რელიგიური აღმოჩნდა 25-29 წლიანთა ჯგუფი - 31.6%. დაბადების ადგილის მიხედვით, სოფლად დაბადებულები უფრო მაღალი რელიგიურობით გამოირჩევიან. სტუდენტთა გადამწყვეტი უმრავლესობა ემხრობა გენდერული თანასწორობის იდეას. ქალების 2/3 და მამაკაცების 1/3-ზე ნაკლები სრულიად ემხრობა გენდერული თანასწორობის იდეას. გენდერული თანასწორობის იდეას უფრო მეტი მხარდაჭერა აქვს დაბალშემოსავლიან და საშუალოშემოსავლიან რესპონდენტებში. ლგბტქ თემის მიმართ გამოკითხულთა მხოლოდ მეოთხედია ტოლერანტული, 17 %-მდე არატოლერანტული, ხოლო ნეიტრალურ შეხედულებას იზიარებს ნახევარზე მეტი, დაახლოებით 58%. რესპონდენტთა ნახევარზე მეტი დარწმუნებულია, რომ მარიხუანას დეკრიმინალიზაცია შეამცირებს შვილიანობას, ამ საკითხისადმი მყარი პოზიცია არ გააჩნია 36 %-ს და მხოლოდ 13 %-ს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებით, პირდაპირ არ გამოიწვევს შვილიანობის შემცირებას. რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა საქართველოსთვის უმთავრეს პრობლემებად მიიჩნია (კლებადი თანმიმდევრობით) უმუშევრობა და სიღარიბე, ტერიტორიული მთლიანობა, ეკოლოგია, დემოგრაფია, სხვა პრობლემები და ბოლოს, კრიმინოგენური სიტუაცია.

STATISTICAL ANALYSIS OF STUDENTS SOCIO-DEMOGRAPHIC CHARACTERISTICS

Mindorashvili Marine
Academic Doctor in Economics, Associated professor

Abesadze Nino
Academic Doctor in Economics, Associated professor

Giorgobiani Maia
Academic Doctor in Economics, Assistant-Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

Direct impacts on demographic events and processes are limited. Therefore, it is difficult to establish the acceptable reproductive attitude of society, for the current stage and to determine its corresponding demographic behavior. The problem becomes more acute when it comes to demographic behavior of young people when background is not very favorable. In this case, of course, one should take into account not only the diversity of young people's ideas about the expected demographic behavior, but also the variety of family, national, economic and social factors, religious traditions and other life values that determine their demographic mood. The socio-demographic characteristics of the students we surveyed, serve to form the database for statistical assessment of the demographic mood of students in Georgia.
Key words: *Student, demographic behavior, demographic mood, socio-demographic characteristics.*

შენიშვნა: *სტატია ეფუძნება თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის სამეცნიერო მიზნობრივი გრანტის ფარგლებში ავტორების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს.*

საგადასახადო ურთიერთობების ფორმები ბიბლიაში

მიქელაშვილი მერაბ
უმაღლესი სასწავლებელი „ჯორჯიას“ პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

საგადასახადო ურთიერთობებს ეკონომიკური და სამართლებრივი შინაარსის გარდა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე გააჩნია - ეს ურთიერთობები მორალური შინაარსის მატარებელია. ძველი აღთქმის წიგნებში გადასახადები თავი შინაარსით შემოწირულობებთანაა გაიგივებული. ახალ აღთქმაში იესოს მიერ არსებული საგადასახადო სისტემის კრიტიკის არსი აღემატება მისი დროინდელი საზოგადოების წევრების მიერ ამ სისტემის აღქმის ხარისხს. ნაწილი მხარს უჭერს რომის მიერ დაწესებულ საეკლესიო გადასახადს, სხვებს ეჭვი ეპარებათ ამ გადასახადის კანონიერებაში, მაგრამ არავინ აღიქვამს ამ სისტემას მთლიანობაში, ღმერთის მიერ დანახულს - გადასახადის გადახდა უნდა ხდებოდეს ნებაყოფლობით და არა ძალდატანებით. იესო თავისი სიტყვებითა და მოქმედებით ანგრევს რომის საგადასახადო სისტემის არსს და ეს კარგად ჩანს კამათში კეისრისთვის გადასახადის გადახდის და ზაქეს ცოდვების მიტევების დროს. ორი ათასწლეულის გასვლის მიუხედავად, ეს პრინციპები ვერ დამკვიდრდა საგადასახადო პოლიტიკაში. თანამედროვე საზოგადოებაში გვერდზე მდგომის მიმართ მზრუნველობისა და დახმარების ნაცვლად, ხშირად ვხვდებით ეგოიზმისა და უნდობლობის ფაქტებს. ვივიწყებთ რა დახმარების აუცილებლობას მათ მიმართ, ვინც ამას საჭიროებს, ხშირად გადასახადების საშუალებით ვცდილობთ საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრას იესოს თანამედროვეების მსგავსად, არ გვესმის, როგორ უნდა მივაღწიოთ თანაფარდობას ღმერთისა და გვერდზე მდგომის სიყვარულსა და გადასახადებს შორის. ამიტომ, გადასახადები ჩვენთვის უფრო მძიმე ტვირთად რჩება, ვიდრე სიყვარულის გამოხატულებად.

საკვანძო სიტყვები: *გადასახადი, მეათედი, შემოწირულობა, საეკლესიო გადასახადი*

საგადასახადო ურთიერთობების ისტორიის მრავალი მკვლევარი ფიქრობს, რომ პირველი გადასახადები წარმოდგენილი იყო შემოწირულობის სახით, რომელიც ეფუძნებოდა არა ნებაყოფლობით, არამედ საზოგადოების მიერ აღიარებულ საყოველთაო სავალდებულო მორალურ მოთხოვნებს. სწორედ, გადასახადის პირველ სახეში ჩანს მისი მნიშვნელოვანი ნიშანი - სავალდებულობა.

მოსეს რჯულის მიხედვით, ძველი აღთქმის ტრადიცია გულისხმობდა როგორც ნებაყოფლობით, ასევე სავალდებულო შემოწირულობას, როგორც ღმერთისთვის, ასევე ეკლესიისა და სახელმწიფოსთვის.

შემოწირულობა ძალიან მნიშვნელოვან მასშტაბებს აღწევდა:

(მესამე მეფეთა თავი მეხუთე 11-16)

11. ხოლო სოლომონი უგზავნიდა ხირამს ოცი ათას ქორ ხორბალს მის სახლის სარჩოდ და ოც ქორ გაწმენდილ ზეთს. ამას უგზავნიდა სოლომონი ხირამს წლიდან წლამდე.

12 მიჰმადლა უფალმა სიბრძნე სოლომონს დაპირებისამებრ. მშვიდობა იყო ხირამსა და სოლომონს შორის და კავშირი ჰქონდათ შეკრული ერთმანეთთან.

13 დაბეგრა სოლომონმა მთელი ისრაელი: ოცდაათი ათასი კაცი გაჰყავდა ბეგარაზე.

14 გზავნიდა მათ ლიბანში, თვეში ათი ათას კაცს მორიგეობით. ერთ თვეს ლიბანში იყვნენ, ორ თვეს თავთავის სახლებში. ადონირამი განაგებდა ბეგარას.

15 სოლომონს ჰყავდა სამოცდაათი ათასი მტვირთავი და ოთხმოცი ათასი ქვისმჭრელი მთაში,

16 გარდა სამი ათას სამასი თავკაცისა, რომელნიც სამუშაოებზე ჰყავდა მიჩენილი სოლომონს და მომუშავეებს ზედამხედველობდნენ.

(მესამე მეფეთა თავი მერვე 62-63)

62. შესწირეს მსხვერპლი უფალს მეფემ და მთელმა ისრაელმა მასთან ერთად.

63 დაკლა სოლომონმა ოცდაორი ათასი ხარი და ასოცი ათასი ცხვარი და სამადლობელ მსხვერპლად შესწირა უფალს. აკურთხეს უფლის სახლი მეფემ და მთელმა ისრაელმა.

(მეორე ნეშტთა თავი მეხუთე 6)

6. *მეფე სოლომონი და მასთან შეკრებილი მთელი ისრაელის საზოგადოება იდგნენ კიდობნის წინ და მსხვერპლად სწირავდნენ ცხვარ-ძროხას, რომლის დათვლა და აღრიცხვა შეუძლებელი იყო სიმრავლის გამო.*

შემოწირულობა ხდებოდა არამხოლოდ მარცვლეულისა და
პირუტყვის შეწირვის ფორმით:

(გამოსვლა თავი ოცდამეხუთე 1-7)

1. ასე უთხრა უფალმა მოსეს:

2 უთხარი ისრაელიანებს, შესაწირავი ამიკრიფონ. ყველასგან, ვისაც გული უთქვამს, ამიკრიფეთ შესაწირავი.

3 აი, შესაწირავი, რომელიც უნდა აკრიფოთ მათგან: ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო.

4 ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი მატყლი, სელი და თხისური.

5 დათრიმლული ცხვრის ტყავები და თახაშის ტყავები და ურთხელის ძელები.

6 გასანათებელი ზეთი და სურნელებანი მირონისათვის და საკმევლისათვის.

7 სარდიონის თვლები და ეფოდისა და სამკერდულის მოსაოჭავი თვლები.

(გამოსვლა თავი ოცდამეთხუთმეტე 4-9)

4. ასე უთხრა მოსემ ისრაელიანთა მთელს საზოგადოებას: ეს არის, რაც მიბრძანა უფალმა თქვენთვის სათქმელად:

5 გაიღეთ ძღვენი უფლისათვის; ყველამ თავისი გულუხვობით მიიტანოს საუფლო ძღვენი - ოქრო, ვერცხლი და სპილენძი,

6 ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი ქსოვილი, სელი და თხისური,

7 დათრიმლული ტყავები, თახაშის ტყავები და ურთხელის ძელები,

8 ზეთი გასანათებლად, სურნელებანი მირონისთვის და საკმევლისთვის,

9 ონიქსის თვლები და ეფოდისა და სამკერდულის მოსაოჭავი თვლები.

შემოწირულობა ხდებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივი საჭიროებისთვის:

(გამოსვლა თავი ოცდამეთხუთმეტე 21)

21. *მივიდნენ სათითაოდ, ვისაც კი გულმა გაუწია და ვინც კი სულით აღიძრა, და მიიტანეს საუფლო ძღვენი სადღესასწაულო კარვის მოსაწყობად, მისი ყოველი საჭიროებისათვის და წმიდა შესამოსელისთვის*

შემოწირულობა უნდა მომხდარიყო დადგენილ და განსაზღვრულ დროს:

(რიცხვნი თავი ოცდამერვე 1-10)

ასე ელაპარაკა უფალი მოსეს:

1 ასე ელაპარაკა უფალი მოსეს:

2 უბრძანე ისრაელიანებს და უთხარი მათ: გახსოვდეთ, თავის დროზე შემომწიროთ საჩემო შესაწირავი, საჩემო პური, ჩემი საცეცხლო მსხვერპლისთვის, საჩემო კეთილსურნელება.

3 უთხარი მათ: აი, საცეცხლო მსხვერპლი, რომელიც უნდა შესწიროთ უფალს: ორი წელგამოვლილი საღი ცხვარი დღეში, მუდმივი აღსავლენი მსხვერპლი.

4 ერთი ცხვარი დილით შესწირე, მეორე ცხვარი საღამოხანს შესწირე.

5 საძღვნოდ - ეფის მეათედი გამტკიცული ფქვილი, ჰინის მეოთხედ სუფთა ზეთში აზელილი.

6 მუდმივი აღსავლენი მსხვერპლი, რომელიც შეწირული იყო სინაის მთაზე კეთილსურნელებისთვის, საცეცხლო მსხვერპლი უფლისათვის.

7 საღვრელად ჰინის მეოთხედი თითო ცხვარზე, განწმედილ ადგილზე დაუღვარე უფალს საღვრელი ზედაშე.

8 მეორე ცხვარი საღამოხანს შესწირე: დილანდელი ძღვენითა და საღვრელითურთ შესწირე საცეცხლო მსხვერპლი, კეთილსურნელებად უფალს.

9 შაბათ დღეს ორი წელგამოვლილი საღი ცხვარი და საძღვნოდ ეფის მეათედი გამტკიცული ფქვილი, ზეთში აზელილი, და მისი საღვრელი.

10 ეს არის საშაბათო აღსავლენი შაბათობით მუდმივი აღსავლენისა და მისი საღვრელის გარდა.

შემოწირულობით უნდა ესარგებლათ მღვდლებს და მათ დამხმარეებს – ლევიანებს:

(მეორე რჯული თავი მეთვრამეტე 1-5)

1. არ ექნებათ ლევიან მღვდლებს, ლევიანთა მთელს შტოს, წილი და სამკვიდრო ისრაელთან; საუფლო მსხვერპლი და მისი სამკვიდრო უნდა ჭამონ.

2 სამკვიდრო არ ექნება თავის მოძმეთა წიაღში; თავად უფალია მისი სამკვიდრო, როგორც ნათქვამი აქვს მისთვის.

3 ეს იყოს დაწესებული მღვდლებისათვის ხალხისაგან, იმათგან, ვინც კლავს საკლავს - ხარს ან ცხვარს: მისცენ მღვდელს ბეჭი, ყბა და კუჭი,

4 პირველმოწეული ხორბალი, ღვინო და ზეთი. ცხვრის პირველგანაპარსი მას მიეცი.

5 რადგან ის აირჩია უფალმა, შენმა ღმერთმა, ყველა შტოდან, რათა იდგნენ და მსახურებდნენ უფლის სახელით ის და მისი შვილები სამუდამოდ

(მეორე ნეშტთა თავი ოცდამეთხუთმეტე 13-14)

13. მოხარშეს პასექი ცეცხლზე წესის მიხედვით; ქვაბებში, კოჭობებში და კარდალებში მოხარშეს წმიდა საკლავი და მარჯვედ ჩამოურიგეს ყველა ერის შვილს. 13 და შეწვეს პასექი ცეცხლითა მსგავსად და წმიდად, შეაგბეს ქვაბებითა და სიავებითა, და წარემართა და წარდგენ ყოველნი ძენი ერისანი.

14 შემდეგ თავისთვის და მღვდლებისთვის მოამზადეს, რადგან მღვდლები, აარონიანები, მწუხრამდე სწირავდნენ აღსავლენს და ლურთებს. ამიტომაც მოამზადეს ლევიანებმა თავისთვის და მღვდლებისთვის - აარონიანთათვის.

(მეორე ეზრა თავი პირველი 12-14)

12. და მოდგმათა რიგის მიხედვით, რათა მსხვერპლი შეეწირათ უფლისათვის, როგორც განწესებულია მოსეს წიგნში. და იყო დილის ჟამი.

13 შეწვეს პასექი ცეცხლზე, როგორც ეგებოდა, და მოხარშეს მსხვერპლნი სპილენძის ქვაბებში და სხვა ჭურჭელში სურნელოვანი საკმაზითურთ, და დაურიგეს ყველას, ვინც კი იყო ერისაგანი.

14 ამის შემდგომ კი მოამზადეს თავისთვის და მღვდლებისთვის, თავისი ძმებისთვის - აარონიანთათვის, რადგან მღვდლებს გვიანობამდე მოჰქონდათ ლურთები, და ლევიანებმა მოამზადეს თავისთვისაც და მღვდლებისთვისაც, თავიანთი ძმებისთვის - აარონიანთათვის.

შემოწურულობის ნაწილი ხმარდებოდა ტაძრების მშენებლობას, რემონტს და შენახვას:

(მეოთხე მეფეთა თავი ოცდამეორე 3-7)

3. მეფე იოშიას მეთვრამეტე წელს გაგზავნა მეფემ უფლის სახლში შაფან მწერალი, მეშულამის ძის, აცალიას ძე და დააბარა:

4 ადი ხილკიასთან, მღვდელმთავართან და შეაგროვებინე უფლის სახლში შემოსული მთელი ვერცხლი, რომელიც ზღურბლის მცველებმა აკრიფეს ხალხისგან;

5 ხელში ჩააბარონ სამუშაოთა შემსრულებლებს, რომლებიც უფლის სახლში არიან განწესებულნი; ამათ კი უფლის სახლში მომუშავეებს დაურიგონ სახლის ბზარების შესაკეთებლად -

6 დურგლებს, მშენებლებს, ქვითხუროებს, იყიდონ ხე და თლილი ქვები სახლის შესაკეთებლად.

7 ოღონდ ნუ მოეთხოვებათ ჩაბარებული ვერცხლის ანგარიში, რადგან პატიოსნად იქცევიან.

(მეორე ნეშტთა თავი ოცდამეოთხე 8-14)

8 ბრძანა მეფემ და გააკეთეს ერთი კიდობანი. დადგეს იგი უფლის სახლის შესასვლელთან, გარეთ.

9 გამოაცხადეს იუდაში და იერუსალიმში, რომ უფლისთვის მოეტანათ ის შესაწირავი, რომელიც მოსემ, ღვთის მორჩილმა, დაუწესა ისრაელს უდაბნოში.

10 გაიხარა ყველა მთავარმა და მთელმა ერმა. მოდიოდნენ და ყრიდნენ კიდობანში, ვიდრე არ გაივსო.

11 როდესაც ლევიანთა ხელით კიდობანს მეფის მოხელეებს წაუღებდნენ და ნახავდნენ რომ იგი სავსე იყო ვერცხლით, მოვიდოდნენ მეფის მწერალი და მღვდელმთავრის სანდო კაცი და გადმოაპირქვავებდნენ კიდობანს. მერე ისევ წაიღებდნენ და თავის ადგილზე დააბრუნებდნენ. ასე იქცეოდნენ დღიდან დღემდე და დიდძალი ვერცხლი დააგროვეს.

12 ჩააბარებდნენ ამას მეფე და იეჰოიადაყი უფლის სახლის სამუშაოთა შემსრულებლებს. ისინი კი დაიქირავებდნენ ქვისმთლელებსა და დურგლებს, უფლის სახლის გასაახლებლად, რკინა-სპილენძის მჭედლებს უფლის სახლის გასამაგრებლად.

13 იშრომეს სამუშაოს შემსრულებლებმა და მოამთავრეს შეკეთება მათი ხელით. აღადგინეს ღვთის სახლი თავისი წესის და რიგის მიხედვით და გაამაგრეს.

14 როცა მორჩნენ, მეფესა და იეჰოიადაყს მიუტანეს დარჩენილი ვერცხლი. დაამზადეს მისგან უფლის სახლისთვის ჭურჭლეული - სამსახურებელი და აღსავლენისთვის საჭირო ჭურჭელი, თასები, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი. იეჰოიადაყის მთელი სიცოცხლის მანძილზე მუდამ აღავლენდნენ აღსავლენს უფლის სახლში.

შემოწირულობის ოდენობა დგინდებოდა კანონით:

(ნეემია თავი მეათე 32-33)

32. წესად დავიდეთ, რომ წელიწადში სამი შეკელი გავიღოთ ჩვენი ღმერთის სახლის სამსახურისათვის -

33 საწირი პურისათვის, ყოველდღიური ძღვენისთვის, ყოველდღიური აღსავლენი მსხვერპლისათვის, შაბათებისათვის, ახალმთვარობებისთვის, დღესასწაულებისათვის, წმიდა საგნებისათვის, ისრაე-

ლის ცოდვებისგან განსაწმედი მსხვერპლისათვის და ჩვენი ღმერთის სახლის ყველანაირი საქმისთვის.

ძველებრაულ სახელმწიფოში ღმერთის მსახურების სოციალური ფენის და მასთან ერთად რეგულარული ღმერთისმსახურების გაჩენასთან ერთად დადგა საეკლესიო გადასახადის შემოღების აუცილებლობა. მის პირველსახედ მიჩნეულია სამხედრო ნადავლის მეათედი, რომელიც აბრამმა გადასცა პირველ ღვთისმსახურსა და მეფეს მელქისედეკს. მეათედის ინსტიტუტი ისტორიულად ბევრ ადგილას გვხვდება - მას იყენებდნენ ფინიკიელები, კართაგენელები, ბერძნები და რომაელები ძველ ებრაელებს, მეათედი მოსეს რჯულის მიხედვით ჰქონდათ დადგენილი:

30 ყოველი მეათედი მიწისა, მიწის ნათესისა, ხის ნაყოფისა უფლისაა, უფლის წმიდაა.

31 თუ ვინმე თავისი მეათედის გამოსყიდვას დააპირებს, მისი მეხუთედი დაუმატოს.

32 ყოველი მეათედი ხარ-ძროხისა და ცხვრისა, ყოველი მეათე კომბლის ქვეშ გამავალთა შორის, უფლის წმიდაა.

(ლევიანნი თავი ოცდამეშვიდე 30-32).

მიღებული მეათედიდან ლევიანები თავის მხრივ, მიღებულის მეათედს იხდიდნენ ღვთისმსახურების შესანახად.

21 ლევიანებს კი, აჰა, მივეცი სამკვიდროდ ყველაფრის მეათედი, რაც ისრაელშია, მათი სამსახურის სანაცვლოდ, რასაც სადღესასწაულო კარავთან ასრულებენ.

24 რადგან ლევიანებს სამკვიდროდ ისრაელიანთა მეათედი მივეცი, რომელსაც ღალად უხდიან უფალს; ამიტომ ვუთხარი მათ: ისრაელიანთა შორის ვერ დაიმკვიდრებთ-მეთქი სამკვიდროს

26 დაელაპარაკე ლევიანებს, უთხარი: როცა ისრაელიანთაგან აიღებთ მეათედს, რომელიც თქვენთვის მაქვს მათგან მოცემული თქვენს სამკვიდროდ, უფალს გადაუხადეთ მისგან ღალა - მეათედი მეათედიდან.

27 კალოს პურად და საწნახელის წვენად ჩაგეთვლებათ თქვენი ღალა.

28 ასე, თქვენც გადაუხდით ღალას უფალს იმ მეათედიდან, რასაც ისრაელიანები მოგცემენ; მისგან გადაუხდით საუფლო ღალას აარონ მღვდელს.

29 ყველაფრიდან, რასაც მოგიძღვნიან, უნდა გადაიხადოთ საუფლო ღალა, ყოველივე საუკეთესოდან ურჩეულესი ნაწილი.

30 ყოველთაგან მოცემულთა თქუენდა შესწირეთ შესაწირავად უფლისა ყოველთაგან ნაყოფთა განწმედილთა მათგან.

(რიცხვნი თავი მეთვრამეტე 21,24, 26-30).

კანონის მიხედვით, ნატურალური მეათედი, შეიძლება შეცვლილიყო ფულადი ფორმით, მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა დამატებოდა თანხის 1/5. ამას ერქვა მეათედის გამოსყიდვა (ლევიანი 27 : 31). შვიდწლიან ციკლში, რომლის მეშვიდე წელს მოსავალი არ უნდა აეღოთ და მეათედი არ უნდა გადაეხადათ, ორი წელი ექვსიდან იმით გამოირჩეოდა, რომ მეათედი ტაძარში კი არ უნდა მიეტანათ, არამედ ლევიანელებისთვის ან ღარიბებისთვის, ქვრივებისთვის, მოხელეებისთვის და ობლებისთვის უნდა მიეცათ.

29 მოვიდეს ლევიანი, რომელსაც არა აქვს წილი და სამკვიდრო შენთან, მოვიდნენ მდგმური და ქვრივ-ობლები, რომლებიც შენს ქალაქში არიან, შეჭამონ და გაძღენ, რათა გაკურთხოს უფალმა, შენმა ღმერთმა, ყოველ საქმეში, რასაც გააკეთებ.

(მეორე რჯული თავი მეთოთხმეტე 29).

ძველი აღთქმის ისტორიული წიგნები გვაუწყებენ იმის შესახებ, რომ მეათედის დადგენილი კანონი ისტორიული პერიოდების განმავლობაში ან არ სრულდებოდა, ან სრულდებოდა ნაწილობრივ. იუდეველთა მეფეები ან მმართველები, მაგალითად, იეხიზკიაჰუ, ნეემია არაერთხელ აღადგენდნენ მეათედების აკრეფას, ხოლო წინასწარმეტყველი მალაქია საყვედურობდა ებრაელებს იმისთვის, რომ ისინი მეათედს ნაწილობრივ იხდიდნენ.

4 უბრძანა იერუსალიმში მცხოვრებ ხალხს, რომ თავიანთი წილი გასამრჯელო მიეცათ მღვდლებისთვის და ლევიანებისთვის, რათა მტკიცედ დაეცვათ უფლის რჯული.

5 როგორც კი ეს ბრძანება გავრცელდა, უხვად მოიტანეს ისრაელიანებმა ფქვილის, ღვინის, ზეთის, თაფლისა და მინდვრის ყველა მოსავლის პირველი ნაყოფი. სხვა ყველაფრის მეათედიც უხვად მოიტანეს.

6 ისრაელიანებს და იუდიანებს, იუდას ქალაქების მკვიდრთ, მოჰქონდათ მეათედი ხარ-ძროხიდან და ცხვრიდან, მეათედი - შენაწირიდან, რომელიც უფლისთვის, თავიანთი ღმერთისთვის ჰქონდათ შეწირული. მოიტანეს და გროვად დაახვავეს.

7 მესამე თვეში დაიწყეს გროვების დახვავება და მეშვიდე თვეში მოამთავრეს.

8 მოვიდნენ იეხიზკიაჰუ და მთავრები, დაინახეს გროვები და აკურთხეს უფალი და მისი ერი - ისრაელი.

(მეორე ნეშტთა თავი ოცდამეთერთმეტე 4-8)

8 განა ადამიანი მოატყუებს ღმერთს, რომ მატყუებთ მე და ამბობთ: რაში გატყუებთო? მეათედში და შესაწირავში.

9 წყევლითა ხართ დაწყევლილნი და მაინც მატყუებთ მთელი ხალხი.

10 მოიტანეთ მთელი მეათედი საგანძურში და იყოს საზრდო ჩემს სახლში. აბა, გამომცადეთ ამით, ამბობს ცაბაოთ უფალი, თუ არ გაგიხსნათ ცის საქანელნი და არ გადმოგიცალოთ კურთხევა აუწყველად.

(მალაქია წინასწარმეტყველი თავი მესამე 8-10)

38. აარონიანი მღვდელი იქნება ლევიანებთან, როცა ისინი ლევიანთა მეათედს აიღებენ. ლევიანები ამ მეათედიდან მეათედს ჩვენი ღმერთის სახლის საგანძურის ოთახებში აიტანენ;

44 იმავე დღეს კაცები მიუჩინეს შესაწირავისთვის, პირველმოწეული ნაყოფებისთვის და მეათედისთვის განკუთვნილ საგანძურის ოთახებს! რათა ქალაქების ბაღებიდან იქ შეეგროვებინათ მღვდლებისთვის და ლევიანებისთვის რჯულით დაწესებული წილი; რადგან ხარობდა იუდა, სამსახურად მდგომი მღვდლებისა და ლევიანების შემყურე;

15 ტობიას ის დიდი ოთახი მოუწყო, სადაც ადრე წესისამებრ საძღვნო, საკმეველი, ჭურჭლეული, ხორბლის მეათედი, მაჭარი და ზეითუნის ზეთი ინახებოდა ლევიანთათვის, მგალობელთათვის და კარისმცველთათვის, სამღვდლო შესაწირავთან ერთად.

(ნეემია თავი მეათე, მეთორმეტე, მეცამეტე 38,44,15).

საეკლესიო გადასახადის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა უპოვართათვის გაღებული შემოწირულობა.

9 როცა სამკალი გექნებათ თქვენს მიწაზე, ერთიანად ნუ მომკი შენს ყანას; სამკალში დაცვენილს ნუ აკრეფ.

10 ვენახსაც ნუ მოიმცვრვვ, ყურძნის ბიმბილებს ნუ აკრებ ძირიდან; ღარიბ-ღატაკსა და მდგმურს დაუტოვე ისინი. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი!

(ლევიანნი თავი მეცხრამეტე 9-10).

სამეფო ხელისუფლების შემოღებასთან ერთად ძველ ისრაელში წარმოიშვა სახელმწიფო გადასახადების დაწესების აუცილებლობა. პირველ მეფეთა წიგნში აღწერილია თეოკრატიის გადასვლა სამეფო ხელისუფლებაში. სამუელი, წინასწარმეტყველი და ისრაელელთა უკანასკნელი მსაჯული, ჩამოთვლის რა სამეფო ხელისუფლების ხარჯებს, ახსენებს რეგულარულ გადასახადს, როგორც დანამატს მოსავლისა და საქონლის ნამატის მეათედზე . ძველ აღთქმაში მოხსენიებულია როგორც რეგულარული გადასახადები, ასევე ირიბი (მოსაკრებლები) და საგანგებო გადასახადები. უკანასკნელნი ატარებდნენ მიზნობრივ ხასიათს და მათი შეგროვება ხდებოდა, მაგალითად, სოლომონის ტაძრის აშენების დროს, აშურის მეფისთვის ფულისთვის 1000 ტალანტი ვერცხლის გადახდისას და გამარჯვებული ფარაონის ნეჰაოსთვის ალაფის გადახდის დროს.

15 ეს არის სოლომონ მეფისგან დაწესებული ბეგარა უფლის სახლისა და თავისი სახლის, მილოს, იერუსალიმის კედლის, ხაცორის, მეგიდოს და გეზერის ასაშენებლად.

მესამე მეფეთა თავი მეცხრე 15

19 წამოვიდა ფული, აშურის მეფე, ქვეყნისაკენ და მისცა მენახემმა ფულს ათასი ქანქარი ვერცხლი, რომ ყოფილიყო მისი შემწეობის ქვეშ და მტკიცედ სჭეროდა ხელში მეფობა.

20 დააკისრა მენახემმა ეს ვერცხლი ისრაელს, ყველა შეძლებულ კაცს - კაცზე ორმოცდაათი შეკელი აშურის მეფისთვის მისაცემად. უკან გაბრუნდა აშურის მეფე, არ გაჩერებულა იქ, ქვეყანაში.

(მეოთხე მეფეთა თავი მეთხუთმეტე 19-20)

ძველი აღთქმის წიგნების მიხედვით, ხშირი იყო მეფეთა მხრიდან ზომიერების დაკარგვა ქვეშევდრომებისთვის საგადასახადო ტვირთის დაწესების დროს და მეორეს მხრივ, ქვეშევრდომების მხრიდან ზნეობრივი პრინციპების უგულვებელყოფა გადასახადების გადახდის დროს. საგადასახადო ტვირთის ზრდა გახდა მიზეზი ერთიანი სამეფოს გაყოფისა და მის ადგილზე ორი სახელმწიფოს - ისრაელისა და იუდეველების სახელმწიფოს წარმოქმნისა. მეფე რობოამმა, უწიფარი მრჩევლების რჩევა გაითვალისწინა და შეეცადა გადასახადების განაკვეთების გაზრდას:

9 უთხრა მათ: რას მირჩევთ, რა ვუპასუხო მაგ ხალხს, რომ მეუბნებიან, შეგვიმსუბუქეო მამაშენის დაკისრებული უღელი?

10 ელაპარაკნენ მოყმენი, მასთან რომ იყვნენ შეზრდილნი, და ურჩიეს: ასე უთხარი იმ ხალხს, რომელიც გეუბნება, უღელი დაგვიმძიმა მამაშენმა და ახლა შენ უნდა შეგვიმსუბუქოო, ასე უთხარი მათ: მამაჩემის წელზე მსხვილია-თქო ჩემი ნეკათითი.

11 ხომ დაგადგათ მამაჩემმა მძიმე უღელი, მე კიდევ უფრო დაგიმძიმებთ უღელს! ხომ გსჯიდათ შოლტებით მამაჩემი, მე მორიელებით დაგსჯით!

12 მოვიდნენ იერობოამი და მთელი ხალხი მესამე დღეს რობოამთან, როგორც ნაბრძანები ჰქონდა მეფეს, სამი დღის შემდეგ მოდით ჩემთან.

13 მკაცრად უპასუხა მეფემ ხალხს, ყური არ ათხოვა უხუცესთა რჩევას, რაც ურჩიეს.

14 მოყმეთა რჩევის თანახმად ელაპარაკა და უთხრა მათ: ხომ დაგიმძიმათ მამაჩემმა უღელი, მე

კიდევ უარესად დაგიმძიმებთ უღელს! ხომ შოლტებით გსჯიდათ მამაჩემი, მე მორიელებით დაგსჯით!

16. როცა დაინახა მთელმა ისრაელმა, რომ არ უსმინა მათ მეფემ, მაშინ სიტყვა შეუბრუნა ხალხმა მეფეს და უთხრა: რა წილი გვიდევს დავითში? რა მემკვიდრეობა გვაქვს იესეს ძისგან? შენ-შენი კარვებისკენ, ისრაელო! ახლა შენ მიხედე შენს სახელს, დავით! და თავთავის კარვებში წავიდ-წამოვიდა ისრაელი.

17 მხოლოდ იუდას ქალაქებში მცხოვრებ ისრაელიანებზე შერჩა მეფობა რობოამს.

18 გაგზავნა მეფე რობოამმა ადორამი, ხარკის ამკრეფი, მაგრამ ქვებით ჩაქოლა ხალხმა, და მოკვდა იგი. მაშინ სასწრაფოდ ახდა ეტლზე მეფე რობოამი და იერუსალიმში გაიქცა.

19 განუდგა ისრაელი დავითის სახლს და ასეა ეს დღემდე.

(მესამე მეფეთა თავი მეთორმეტე 9-19).

ძველი აღთქმის ისტორია ადასტურებს იმ ფაქტსაც, რომ ისრაელიანებს არ სურდათ არა მხოლოდ სახელმწიფო გადასახადების გადახდა, არამედ მეათედების გადახდასაც არიდებდნენ თავს, რაც ადასტურებს იმ პერიოდის საზოგადოების სულიერ ჩავარდნას.

3 დაჯდება ვერცხლის გამომდნობელი და განმწმედელი; განწმედს ლევიანებს და გაასუფთავებს მათ, როგორც ოქროსა და ვერცხლს, რომ სიმართლით მიუძღვნიან უფალს შესაწირავი.

4 მაშინ საამო იქნება უფლისათვის იუდას და იერუსალიმის შესაწირავი, როგორც ძველ დროში და გარსულ წელიწადებში.

5 მოვალ თქვენთან განსაკითხავად და ვიქნები ფიცხელი მოწმე ჯადოქართა და მემრუშეთა წინააღმდეგ ცრუმოფიცართაა მოჯამაგირეთა და ქვრივ-ობლების მჩაგვრელთა წინააღმდეგ, ხიზნის გამგდებელთა და ჩემს უშიშთა წინააღმდეგ, ამბობს ცაბაოთ უფალი.

6 რადგან მე, უფალი, არ ვიცვლები, თქვენც არ დაილევით იაკობის ძენო.

7 თქვენი მამა-პაპის დღეებიდან მოყოლებული გადადიოდით ჩემს წესებს და არ იცავდით მათ. ახლა მოიქეცი ჩემკენ და მეც მოვიქცევი თქვენკენ, ამბობს ცაბაოთ უფალი. თქვენ კი ამბობთ: რისთვის მოვიქცეთო?

8 განა ადამიანი მოატყუებს ღმერთს, რომ მატყუებთ მე და ამბობთ: რაში გატყუებთო? მეათედში და შესაწირავში.

9 წყევლითა ხართ დაწყევლილნი და მაინც მატყუებთ მთელი ხალხი.

10 მოიტანეთ მთელი მეათედი საგანძურში და იყოს საზრდო ჩემს სახლში. აბა, გამომცადეთ ამით, ამბობს ცაბაოთ უფალი, თუ არ გაგიხსნათ ცის საქანელნი და არ გადმოგიცალოთ კურთხევა აუწყველად.

11 შენთვის დავაკავებ მჭამელს, რომ არ წაგიხდინოთ მიწის ნაყოფი და არ გაგიპარტახდეთ მინდორში ვაზი, ამბობს ცაბაოთ უფალი.

12 ნეტარად ჩაგთვლით ყოველი ხალხი, რადგან სანუკვარ ქვეყანაში იცხოვრებთ, ამბობს ცაბაოთ უფალი.

(მალაქია წინასწარმეტყველი თავი მესამე 3-12)

იმ დროს არსებული ტრადიციის მიხედვით, ყველანაირი გადასახადისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ ღვთისმსახურები, ლევიანელები, მგალობლები და სხვები, რომლებიც შემოწირულობისა და მეათედების ხარჯზე ცხოვრობდნენ.

26 *გაცნობებთ, რომ არცერთ მღვდელს და ლევიანს, არც მგალობელს და შეწირულ კარისკაცს, ამ ღვთის სახლში მომსახურეს, არ დაეკისროს არც ხარკი, არც გადასახადი და არც ბეგარა.*

(პირველი ეზრა თავი მეშვიდე 26).

ტრადიციამ შექმნა ორი პრინციპი: არ დაიბეგროს შემოწირულობა და თავიდან იქნას აცილებული ორმაგი დაბეგვრა.

ახალი აღთქმის წიგნებში იესოს სიტყვებში სახელმწიფო გადასახადებთან, საეკლესიო გადასახადთან და ნებაყოფლობით შემოწირულობებთან მიმართებაში ასახულია ახალი აღქმის სწავლების შინაარსი საგადასახადო ურთიერთობებთან მიმართებაში.

გადასახადი, რომელიც დადგენილია მიწიერი ხელისუფალის მიერ, გადახდილი უნდა იქნეს ყოველგვარი ყოყმანისა და ფიქრის გარეშე, მაშინაც კი, თუ ეს ხელისუფალი აღიქმება როგორც მიუღებული და უცხო. ფარისევლების მოწაფეები ეკითხებიან მოძღვარს, მართებთ თუ არა იუდეას ხარკი ვაძლიოთ კეისარს?

16 ჰეროდელებთან ერთად მიუგზავნეს თავიანთი მოწაფეები და უთხრეს: მოძღვარო, ვიცით, რომ მართალი ხარ, სიმართლით გვასწავლი ღმრთის გზასაც და არც არავის არჩევ, ვინაიდან არ უყურებ სახეს კაცისა.

17 მაშ, გვითხარი: როგორ გგონია, გვმართებს თუ არა ხარკი ვაძლიოთ კეისარს?

18 ხოლო იესო მიუხვდა მათ მზაკვრობას და თქვა: რატომ მაცდუნებთ, თვალთმაქცნო?

19 მიჩვენეთ ფული, რომლითაც იხდით ხარკს. და მიართვეს მას დინარი.

20 და უთხრა მათ: ვისია ეს ხატი და ეს წარწერა?

21 მიუგეს: კეისრისა. მაშინ უთხრა მათ: მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს - ღმრთისა.

22 ეს რომ გაიგონეს, განცვიფრდნენ ისინი, მიატოვეს ის და წავიდნენ.

(მათეს სახარება თავი ოცდამეორე 16-22).

„მიაგეთ კეისარს კეისრისა“ არსია ის, რომ უნდა მიაგო პატივი რომის იმპერატორს, რომელიც მართალია, წარმართი და დამპყრობელია, მაგრამ აღებული აქვს ვალდებულება (როგორც ყველა ხელისუფალს) უსაფრთხოებაზე, წესრიგზე, სამართლიან სასამართლოზე და ა.შ. იოანე ოქროპირის სიტყვებით „ხარკის გადახდა არ ნიშნავს მიცემას, მაგრამ აღნიშნავს პატივის მიგებას. ადამიანებსაც უნდა მივაგოთ პატივი და ღმერთსაც, რომლის მიმართაც ვალდებული ვართ [2] პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ, უფრო ფართოდ აყალიბებს ამ აზრს.

1 დაე, ყოველი სული უზენაეს ხელმწიფებას დაემორჩილოს, რადგანაც არ არსებობს ხელმწიფება თუ არა ღვთისაგან; ყოველი ხელმწიფება ღვთის მიერ დადგენილია.

2 ამიტომ, ვინც ეწინააღმდეგება ხელმწიფებას, ღვთის განჩინებას ეწინააღმდეგება; ხოლო წინააღმდგომნი თავიანთ თავზე თვითონვე მოიწევენ სასჯელს.

3 ვინაიდან მთავარნი კეთილის მოქმედთათვის კი არა, ბოროტმოქმედთათვის არიან საშიშნი. შენ გინდა, არ გეშინოდეს ხელმწიფებისა? კეთილი აკეთე და ნაქები იქნები მისგან.

4 რადგანაც ის ღვთის მსახურია შენდა სასიკეთოდ. მაგრამ თუ ბოროტს სჩადიხარ, გეშინოდეს, ვინაიდან ტყუილად როდი არტყია ხმალი, არამედ იმიტომ, რომ ღვთის მსახურია, რისხვით შურისმგებელი ბოროტმოქმედთა მიმართ.

5 ამიტომაც გვმართებს მორჩილება, არა მარტო სასჯელის შიშით, არამედ სინიდისითაც.

6 სწორედ იმიტომ იხდით ხარკს, რომ ღვთის მსახურნი არიან ამ საქმეზე გადაგებულნი.

7 ამრიგად, ყველას მიაგეთ მისი კუთვნილი: ვისაც ხარკი ეგება - ხარკი, ვისაც ბაჟი - ბაჟი, საშიშარს - შიში, პატივსაცემს - პატივისცემა.

(პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ თავი მეცამეტე 1-7).

ამომწურავია მხსნელის სიტყვები საეკლესიო გადასახადზე. მისი ერთ-ერთი სახეა - მეათედი. ფარისევლები განსაკუთრებული კანონმორჩილებითა და სკურპულოზურობით ანგარიშობდნენ და იხდიდნენ თავიანთი შემოსავლების მეათედს. ამასთან, ისინი არღვევდნენ სხვა უფრო მნიშვნელოვან მცნებებს, მათ შორის უპირველეს - მცნებას სიყვარულის შესახებ იესოს სიტყვებით, მეათედის გადახდა აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისია უბიწოებისთვის.

42. მაგრამ ვაი თქვენდა, ფარისეველნო, რომელნიც იხდით მეათედს პიტნისას, ტეგანისას და ყოველი მწვანილისას, ღმრთის სამართალს და სიყვარულს კი უგულებელყოფთ. ეს უნდა გექნათ და არც ის მიგეტოვებინათ.

(ლუკას სახარება თავი მეთერთმეტე 42)

ძალიან მნიშვნელოვანია მისი სიტყვები ზოგადად გადასახადის და კერძოდ, საეკლესიო გადასახადის გადახდის თაობაზე, რომლითაც ის პასუხობს პეტრეს, გადასახადის გადახდასთან დაკავშირებულ შეკითხვას, როდესაც მასთან მივიდნენ დიდრაქმის ამკრებნი და ჰკითხეს, გადაიხდიდა თუ არა მოძღვარი დიდრაქმს.

24. ხოლო როდესაც მიადგნენ კაპერნაუმს, მივიდნენ პეტრესთან დიდრაქმის ამკრებნი და უთხრეს: თქვენი მოძღვარი არ გადაიხდის დიდრაქმას?

25 მან მიუგო: დიახ. და როდესაც შევიდა სახლში, იესომ დაასწრო და ჰკითხა: როგორ გგონია, სიმონ? ვისგან კრებენ მიწიერი მეფენი ხარკს და ბეგარას: თავიანთ შვილთაგან თუ უცხოთაგან?

26 პეტრემ მიუგო: უცხოთაგან. ხოლო იესომ უთხრა მას: ასე რომ, შვილები თავისუფალნი არიან.

27 მაგრამ რათა არ ვაცდუნოთ ისინი, წადი ზღვის პირას, ჩააგდე ანკესი, აიღე პირველივე თევზი, რომელსაც დაიჭერ, გაუღე პირი, და შიგ ჰპოვებ სტატირს: მიიტანე და მიეცი მათ ჩემი და შენი სახელით.

(მათეს სახარება თავი მეჩვიდმეტე 24-27)

საეკლესიო გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ ყოველწლიურად 20 წელს მიღწეული მამაკაცები, დადგენილი იყო ბაბილონის დროიდან. აკრეფილი თანხა ხმარდებოდა ტაძრებში მიმდინარე ღვთისმსახურებას. იესოს, როგორც ღვთის შვილს, შეეძლო არ გადაეხადა საეკლესიო გადასახადი, მაგრამ ის მოწაფეებს აძლევს კანონმორჩილების მშვენიერ მაგალითს. გადასახადზე უარის თქმით მას შეეძლო ეცდუნებინა გადასახადის ამკრეფნი, რომლებიც მასში ხედავდნენ მხოლოდ წინასწარმეტყველსა და მოძღვარს და შეეძლოთ მისი უარი ჩაეთვალათ როგორც ვერცხლისმოყვარეობა და ეკლესიისადმი უპატივცემულობა. საყურადღებოა ისიც, თუ როგორ მოიპოვებენ ფულს გადასახადის გადასახდელად. იესო ავალებს პეტრეს, რომ გაისარჯოს სტატირის მოსაპოვებლად და ამისთვის მას თევზის დაჭერა მოუწევს.

ამგვარად, დიდრაქმა არ იქნა გადახდილი იმ ფულიდან, რომელიც მოწაფეებთან ინახებოდა შემოწირულობის სახით. შესაბამისად, ძველი აღთქმის წესი, რომლის მიხედვითაც შემოწირულობა არ უნდა გამოყენებულიყო გადასახადის გადასახდელად არ დარღვეულა.

ახალი აღთქმის ზოგადი აზრი ნებაყოფლობით შემოწირულობასთან დაკავშირებით, იმაში მდგომარეობს, რომ ის უნდა ხდებოდეს შინაგანი განზრახულობის მიხედვით. რაც შეეხება შენაწი-

რის მოცულობას, იგი განისაზღვრება ქრისტიანული სრულყოფილების ხარისხით.

42 და ვინც მოწაფის სახელით მიაწვდის ცივ წყალს ერთს ამ მცირეთაგანს, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, არ დაეკარგება თავისი საზღაური

(მათეს სახარება თავი მეათე 42)

მით უმეტეს, ეს ეხება მათ, ვინც ყველაფერი შეწირა ქრისტეს გულისთვის.

29 და ყველა, ვინც მიატოვებს თავის სახლს, ან თავის და-ძმას, თავის ცოლ-შვილს თუ დედ-მამას, ანდა თავის ადგილ-მამულს ჩემი სახელის გულისთვის, ასმაგად მიიღებს საზღაურს და საუკუნო სიცოცხლეს დაიმკვიდრებს.

(მათეს სახარება თავი მეცხრამეტე 29)

შეწირვისთვის მზადყოფნა წარმოადგენს ქრისტიანული სრულყოფილების მნიშვნელოვან კრიტერიუმს. პასუხობს რა მდიდარ ჭაბუკს შეკითხვაზე, თუ რა აკლია მას სრულყოფილებისთვის, იესო სთავაზობს დაურიგოს ქონება ღარიბებს და ამით შესწიროს მატერიალური სიკეთეები მომავალი სრულყოფილებისთვის. განაწყენებული და დაღონებული ახალგაზრდა მიხვდება, რომ ის ამისთვის ჯერ მზად არ არის.

16 და, აჰა, ვიღაც მიუახლოვდა და უთხრა: კეთილო მოძღვარო, რა სიკეთე ვქნა, რომ საუკუნო სიცოცხლე მქონდეს?

17 ხოლო მან მიუგო: რად მეკითხები სიკეთის გამო? არავინაა კეთილი, გარდა ერთის - ღმერთისა, ხოლო თუ გსურს შეხვიდე სიცოცხლეში, დაიცავი მცნებანი.

18 უთხრა მას: რომელნი? ხოლო იესომ მიუგო მას: არა კაც-ჰკლა; არა იმრუშო; არა იპარო; არა ცილი სწამო;

19 პატივი ეცი მამას შენსას და დედას; და შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი.

20 უთხრა მას ჭაბუკმა: ეს ყოველივე დამიცავს ჩემი სიყრმიდან; რაღა მაკლია კიდევ?

21 იესომ მიუგო მას: თუ გინდა, რომ სრულქმნილი იყო, წადი, გაყიდე, რაც გაბადია, მიეცი გლახაკთ, და გექნება საუნჯე ცაში; მერე მოდი და გამომყევ მე.

22 ეს სიტყვა რომ მოისმინა, ჭაბუკი დაღონებული წავიდა, რადგანაც ძალიან მდიდარი იყო.

23 ხოლო იესომ თავის მოწაფეებს უთხრა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მდიდარი ძნელად თუ შევა ცათა სასუფეველში.

24 ამასაც გეუბნებით თქვენ: აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში.

25 ეს რომ მოისმინეს, მოწაფეები ძალზე განცვიფრდნენ და თქვეს: კი მაგრამ, ვინღა ცხონდება.

26 შეხედა იესომ და უთხრა მათ: ეს შეუძლებელია კაცთათვის, ღმერთისთვის კი ყველაფერი შესაძლებელია.

(მათეს სახარება თავი მეცხრამეტე 16-26).

ნებაყოფლობით შემოწულობების ფასი განისაზღვრება არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი საზომით, მდიდარსა და ღარიბს ამ კუთხით ერთნაირი შესაძლებლობები აქვთ, მიუხედავად მათი მატერიალური მდგომარეობისა. ამ აზრით, უმნიშვნელოვანესია იესოს სიტყვები, რომელიც მან მოწაფეებს უთხრა ქვრივ ქალთან მიმართებაში, რომელმაც ტაძარს ორი ლეპტა შესწირა.

41 დაჯდა იესო საგანძურის წინ და უყურებდა, როგორ ყრიდა ხალხი ფულს საგანძურში. ხოლო ბევრი მდიდარი ბლომად ყრიდა.

42 მოვიდა ერთი საწყალი ქვრივი ქალი და ჩააგდო ორი ლეპტა, რაც შეადგენს კოდრანტს.

43 მოუხმო თავის მოწაფეებს და უთხრა მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ ამ საწყალმა ქვრივმა ყველაზე მეტი ჩააგდო საგანძურში.

44 ვინაიდან ყველა აგდებდა იმას, რაც ზედმეტი ჰქონდა, ხოლო მან ჩააგდო მთელი თავისი სასაწყლე, მთელი თავისი საბადებელი.

(მარკოზის სახარება თავი მეთორმეტე 41-44)

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ გადასახადი გარდა იმისა, რომ არის იურიდიული და ეკონომიკური კატეგორია, იმავდროულად ის მორალური (ზნეობრივი) კატეგორიის მატარებელია. ამიტომ გადასახადის არ გადახდა, არა მარტო სამართლებრივი, არამედ არაზნეობრივია ქრისტიანული თვალსაზრისით.

1 დაე, ყოველი სული უზენაეს ხელმწიფებას დაემორჩილოს, რადგანაც არ არსებობს ხელმწიფება თუ არა ღვთისაგან; ყოველი ხელმწიფება ღვთის მიერ დადგენილია.

2 ამიტომ, ვინც ეწინააღმდეგება ხელმწიფებას, ღვთის განჩინებას ეწინააღმდეგება; ხოლო წინააღმდგომნი თავიანთ თავზე თვითონვე მოიწევენ სასჯელს.

3 ვინაიდან მთავარნი კეთილის მოქმედთათვის კი არა, ბოროტმოქმედთათვის არიან საშიშნი. შენ გინდა, არ გეშინოდეს ხელმწიფებისა? კეთილი აკეთე და ნაქები იქნები მისგან.

4 რადგანაც ის ღვთის მსახურია შენდა სასიკეთოდ. მაგრამ თუ ბოროტს სჩადიხარ, გეშინოდეს, ვინაიდან ტყუილად როდი არტყია ხმალი, არამედ იმიტომ, რომ ღვთის მსახურია, რისხვით შურისმგებელი ბოროტმოქმედთა მიმართ.

5 ამიტომაც გვმართებს მორჩილება, არა მარტო სასჯელის შიშით, არამედ სინიდისითაც.
6 სწორედ იმიტომ იხდით ხარკს, რომ ღვთის მსახურნი არიან ამ საქმეზე გადაგებულნი.
7 ამრიგად, ყველას მიაგეთ მისი კუთვნილი: ვისაც ხარკი ეგება - ხარკი, ვისაც ბაჟი - ბაჟი, საშიშარს - შიში, პატივსაცემს - პატივისცემა.

(პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ თავი მეცამეტე 1-7)

ლიტერატურა

1. http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/dzveli/1ezra/1ezra-7.htm
2. http://www.wco.ru/biblio/books/ioannz7_2/main.htm

FORMS OF TAX RELATIONS IN THE BIBLE

Mikelashvili Merab
Professor of High School Georgia
Academic Doctor of Economics

Summary

Tax relations,in addition to the economic and legal content, have another important aspect - these relations bear moral content. In the books of the Old Testament, taxes,according to its nature,are equated with contributions. The essence of Jesus' criticism of the tax system in the New Testament is greater than the degree to which members of the community at that time perceived it. Some support the church tax imposed by Rome, others doubt the legality of this tax, but no one perceives this system as a whole, as seen by the God - the tax should be voluntary rather than coercive.Jesus, by his words and actions, destroys the essence of the Roman tax system, and this is evident in the debate over Caesar's payment of taxes and Zacchaeus' forgiveness of sins.Although two millennia have passed, these principles have not been established in tax policy. Instead of caring for and helping, we often find facts of selfishness and mistrust in modern society. Forgetting the need to help those who need it, we often try to solve public problems through taxes, like Jesus' contemporaries,we do not understand how to balance betweenthe love of the God and close people and taxes. For this reason, taxes remain a burden for us rather than an expression of love.

Key words: *tax, a tenth, donation, church tax*

საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე

მუჩიაშვილი მარინა
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

გიორგობიანი მაია
თსუ-ის ასისტენტ პროფესორი

შონია ზამირა
თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი

2012 წლის შემდგომი პერიოდი საქართველოში შედარებით დაბალი ეკონომიკური ზრდის ტემპებით, ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზომის, პერმანენტული დეფიციტებითა და სახელმწიფო ვალის (როგორც საგარეო, ისე საშინაო) მოცულობის ზრდით ხასიათდებოდა. ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საშუალოვადიან პერიოდში (2019-2029 წწ-ში) საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის შეფასების მიზნით გამოყენებული თითქმის ყველა ინდიკატორი, ზომიერი რისკების ზემოქმედების შემთხვევებში, ე.წ. „დასაშვები ჭერების" ქვემოთ რჩება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სახის შოკის (მათგან გამოიყოფა ვალუტის მკვეთრი დაცემისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელების შოკები) ზემოქმედების შედეგად, სახელმწიფო ვალის სტრუქტურაში საგარეო ვალის მაღალი ხვედრითი წილის (80%-ზე მეტი) გამო, ქვეყნის ფისკალურ მდგრადობა შესაძლოა სერიოზული საფრთხის წინაშე დადგეს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება მოწმობს, რომ სავალო ინდიკატორების გაუმჯობესება/ან გაუარესება პირდაპირპროპორციულად ზემოქმედებს ქვეყნის საკრედიტო რეიტინგების ცვლილებაზე. შესაბამისად, საქართველოში ეკონომიკური ზრდის სასურველი დონის მიღწევა მოითხოვს სახელმწიფო ვალის მდგრადობის შენარჩუნებას და რისკების მართვას გრძელვადიან პერიოდში.

***საკვანძო სიტყვები**: ფისკალური მდგრადობა, ეკონომიკური ზრდა, ქვეყნის რეიტინგები, ფისკალური რისკების გამოვლენა და მართვა*

ბოლო წლებში საქართველოში ბიზნესკლიმატის გაუმჯობესების თვალსაზრისით მიღწეული პროგრესი აისახა მთელ რიგ საერთაშორისო რეიტინგში (ინდექსში), 2018 წელს მნიშვნელოვანი სარეიტინგო კომპანიების მიერ საქართველო განხილულია, როგორც პოლიტიკურად სტაბილური, კორუფციისაგან თავისუფალი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყანა, რომელიც ამავე დროს ხასიათდება დაბალი ბიზნეს დანახარჯებით. კერძოდ, ჰერიტეიჯ ფაუნდეისენის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მე-16 ადგილზეა, შვედეთსა და ნიდერლანდებს შორის, ბიზნესის კეთების სიმარტივით-მე-6 ადგილზეა (სამხრეთ კორეასა და ნორვეგიას შორის), გლობალური კონკურენციის ინდექსის მიხედვით, 67-ე ადგილზეა (140 ქვეყანას შორის), საერთაშორისო საკუთრების ინდექსის მიხედვით, 74 -ე ადგილზე (125 ქვეყანას შორის), ხოლო გლობალური კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით-46-ე ადგილზე (1). ამ ინდექსებთან ერთად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ზრდისათვის, რაც მდგრადი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ხელსემწყობ ფაქტორად განიხილება, მნიშვნელოვანია ქვეყნის ფისკალური მდგრადობის შენარჩუნება, რისთვისაც საჭიროა ფისკალური რისკების დროული გამოვლენა და სახელმწიფო ვალის გონივრული მართვა.

2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მნშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ბევრი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტების დეფიციტების სიდიდეებისა და სახელმწიფო ვალის მოცულობის ზრდაზე. ეს პროცესი კიდევ უფრო გაღმავდა 2012 წლის შემდგომ პერიოდში, როცა არსებითად შეიცვალა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ორიენტაცია, ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურაში სოციალური სფეროს დარგების ხვედრითი წონის ზრდისა და ბიუჯეტიდან სხვადასხვა დარგისათვის (მ. შ. სოფლის მეურნეობისათვის) გამოყოფილი სუბსიდიების ზრდის სახით. ფისკალურ პოლიტიკაში ამ არსებითი ხასიათის ცვლილებებმა, რასაც თან დაერთო ძლიერი საგარეო შოკებიც, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა 2013 წლის შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებაზე.

დღეისათვის, სახელმწიფო ვალის მიღწეული დონიდან (რაც 17, 8 მლრდ ლარს აღემატება), მისი სტრუქტურის თავისებურებებიდან (საგარეო ვალის წილი 80 %-ს აღემატება) გამომდინარე, ფისკალური მდგრადობის შეფასება, ფისკალურ მდგრადობაზე მოქმედი რისკების გამოვლენა და მართვა ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგრადობის განმსაზღვრელ ფაქტორად განიხილება.

ფისკალური მდგრადობის შეფასება და ფისკალური რისკების მართვა საქართველოში

ბევრი ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ წარსულში სახელმწიფო ვალის პერმანენტულ ზრდასთან დაკავშირებული საფრთხეებისა და რისკების არასათანადოდ შეფასებამ და ვალის პოლიტიკის არეფეტურად წარმართვამ, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა მწვავე სავალო კრიზისამდე არაერთხელ მიიყვანა.

სახელმწიფო ვალის ტვირთის შესაფასებლად მრავალი ინდიკატორი განიხილება, თუმცა, მათ შორის ერთ-ერთი ძირითადია სახელმწიფო ვალი/მსპ-თან შეფარდების მაჩვენებელი. (საქართველოში სახელმწიფო ვალში მთავრობის ვალის წილი 99%-ს აღემატება). ქვემოთ დიაგრამიდან ჩანს, რომ თუ 2003 წლის შემდგომ პერიოდში მთავრობის ვალი/მსპ-თან შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, ეს მაჩვენებელი 2012 წლის შემდგომ პერიოდში უწყვეტი ზრდით ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ვალის მოცულობამ დღეისათვის ისტორიულ მაქსიმუმს (17, 8 მლრდ ლარს) მიაღწია , რაც მაგალითად, 2014 წლის მაჩვენებელს (55%-ით) აღემატება.

სახელმწიფო ვალის პორტფელის ზრდა გამოწვეულია როგორც საგარეო, ასევე, საშინაო ვალის მოცულობების ზრდით. თუმცა, სახელმწიფო ვალის ნაზრდში საგარეო ვალის წილი გაცილებით მაღალია. რის გამოც, კიდევ უფრო იზრდება სესხის ამ წყაროს წილი მთლიან ვალში.

დიაგრამა 1

მთავრობის ვალის ინდიკატორების დინამიკა 2002-2018 წწ-ში



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები

ვალის ტვირთის ზრდის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ვალის ეფექტიანი მართვა ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვან სფეროდ განიხილება. სახელმწიფო ვალის აღებით ბიუჯეტის სხვადასხვა პროგრამის დაფინანსება წარმოადგენს მთავრობის ერთ-ერთ ფისკალურ ინსტრუმენტს. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის დეფიციტის შევსების სხვა ალტერნატიულ წყაროებთან- საგადასახადო განაკვეთების ზრდასა და ფულის ბეჭდვასთან შედარებით ამ ინსტრუმენტს გარკვეული უპირატესობა გააჩნია, მაგრამ, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამ ბერკეტის მეშვეობით მოზიდული ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას.

დიაგრამა 2

სახელმწიფო ვალის სტრუქტურა 2018 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები

დღეისათვის, საქართველოს სახელმწიფო ვალის სტრუქტურის თავისებურებებიდან გამომდინარე, 2015-2018 წლების მსგავსად, სავალურო რისკი რჩება სახელმწიფო ვალის მდგრადობის შენარჩუნებისათვის მთავარ რისკფაქტორად. გასათვალისწინებელია, რომ ლარის კურსის მკვეთრი დაცემა მოქმედებს როგორც სახელმწიფო ვალის ნაშთზე, ასევე, საბიუჯეტო წლის განმავლობაში საგარეო ვალის მომსახურების ხარჯების (ძირითად თანხას პლუს პროცენტი) სიდიდეზეც. სახელმწიფო ვალის მოცულობის ზრდის პარალელუად მნიშვნელოვნად იზრდება ვალის მომსახურების ხარჯებიც. 2018 წლის გეგმის მიხედვით, სახელმწიფო ვალის მომსახურების ხარჯები, 2015 წლის 1,2 მლრდ ლარიდან 2,4 მლრდ ლარამდე (200%-ით) იყო გაზრდა. ფინანსთა სამინისტროს საბაზისო სცენარის მიხედვით შემუშავებული პროგნოზების შესაბამისად, ეს მაჩვენებელი 2021 წელს 2,7 მლრდ ლარს მიაღწევს, თუმცა, შემდგომ პერიოდში გათვალისწინებული მისი მოცულობების თანდათანობითი შემცირება და 2025 წლის პროგნოზით ის 1 მლრდ ლარს გაუტოლდება.

2012 წლის შემდგომ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ვალის პერმანენტული ზრდა აისახა სავალე ინდიკატორების ზრდაშიც. კერძოდ, 2018 წლის ბოლოს (გეგმის მიხედვით) სახელმწიფო ვალი/მსპ-ში 46,4%-ს აჭარბებს, სახელმწიფო ვალი/ექსპორტთან - 99%-ს, სახელმწიფო ვალი/ ბიუჯეტის შემოსავლებთან-183%-ს, ხოლო საგარეო ვალის მომსახურება /ბიუჯეტის შემოსავლებთან-10,5%-ს, საგარეო ვალის მომსახურება/ ექსპორტთან -5,2%-ს აჭარბებს (2017 წლის 3,6%-თან შედარებით).

საქართველოს სავალე პოლიტიკის შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს სავალუტო ფონდის მოთხოვნა (2), რომლის მიხედვითაც ვალუტის კურსის რყევების უარყოფითი ზემოქმედების ზომის შემცირების მიზნით, საგარეო ვალი/მთლიან ვალში არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს (ეს მაჩვენებელი საქართველოში მნიშვნელოვნად აღემატება დადგენილ ჭერს და 80 %-ს აჭარბებს). სახელმწიფო ვალის წილის შემცირებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში საშინაო განვითარებული საკრედიტო ბაზრის ფორმირებისათვის ხელშეწყობას (3).

გრძელვადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის მდგრადობის უზრუნველსაყოფად საქართველოში მიღებულია ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ". თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2014-2018 წლებში საქართველოში დარღვეული იქნა ამ კანონით დადგენილი ე. წ. „ჭგადასახდელებისა" და „ბიუჯეტის ბალანსის" წესებით დადგენილი ზღვრული ნორმები. ასევე, დღეისათვის დარღვეულია „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020-ით" განსაზღვრული სახელმწიფო ვალი/მშპ-თან თანაფარდობის მაჩვენებელიც (რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ვალი/მსპ-თან < 40).

„2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით განსაზღვრული იყო საგარეო წყაროებიდან მისაღები ფინანსური რესურსების 80 %-მდე საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისაკენ წარმართვა. თუმცა, წლის ბოლომდე დარჩენილ მოკლე პერიოდში აუთვისებელი დარჩა ამ სფეროსათვის გამოყოფილი კრედიტებიდ მნიშვნელოვანი ნაწილი. რამაც გამოიწვია სესხის მომსახურების ხარჯების ზრდა. ცნობილია, რომ კონტრაქტების ნაწილი ითვალისწინებს ვალდებულების გადასახადის დაკისრებას სესხის აუთვისბელ ნაწილზე, აღნიშნულის გამო გაუარესდა ლიკვიდობის რისკის-სახელმწიფო ვალის მომსახურების ხარჯი/ ბიუჯეტის შემოსავლებში-ინდიკატორი (5), რომელიც 2018 წლის ბოლოსათვის (წინასწარი შეფასებებით) წინა წლის 20%-დან 25%-მდეა გაზრდილი, რაც სავალუტო ფონდის დადგენილ ლიმიტს (22%-ს) 3%-ით აღემატება.

აღნიშნული ვალის მდგრადობის თვალსაზრისით არასაურველ ცვლილებად შეიძლება შეფასდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საჯარო ფინანსების მართვისა და ფისკალური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ფისკალური რისკების დროული გამოვლენისა და მართვა. საერთასორისო საფინანსო ორგანიზაციების მოთხოვნების შესაბამისად ბოლო წლებში საქართველოს ფინანსთა მიერ შესწავლილია და შეფასებულია სხვადასხვა სახის ფისკალური რისკის ზეგავლენა ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებელებზე. რის საფუძველზეც შემუშავებულია კ ფისკალური პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტები უარყოფითი რისკების ზეგავლენის შესუსტების მიზნით, რაც დადებითად უნდა შეფასდეს (5, 7)).

2019-2028 წწ. პერიოდისათვის (MAC DSA- (6)) მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩატარებული სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი- გვიჩვენებს, რომ საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის თითქმის ყველა ინდიკატორი საშუალოვადიან პერიოდში ზომიერი რისკების ზემოქმედების შემთხვევაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილ ე.წ. „ჭერებს“ ქვემოთ დარჩება.

დიაგრამა 3

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის დიაგრამები (მთავრობის ვალი %-ად მსპ-თან)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი 2019-2028 წლებისთვის

თუმცა, სავალუტო რისკის პიროებში მდგრადობის ინდიკატორი უახლოვდება დასაშვებ კრიტიკულ ზღვარს. გამოთვლები აჩვენებს, რომ სახელმწიფო ვალის სტრუქტურაში საგარეო ვალის მაღალი ხვედრითი წონის შენარჩუნება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ფისკალურ მდგრადობას გრძელვადიან პერიოდში. შესაბამისად, ქვეყნის ფისკალური არამდგრადობის მწვავე პრობლემის თავიდან ასაცილებლად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბიუჯეტის ხარჯვითი პოლიტიკის, კერძოდ, პირველადი დეფიციტის მნიშვნელოვანი ზომით კორექტირებას სასუალოვადიან პერიოდში.

ჩატარებული ანალიზი (8,9,10) გვიჩვენებს, რომ გრძელვადიან პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის უზრუნველყოფა მოითხოვს სახელმწიფო ვალი/ მსპ ტრენდის შეცვლასაც, კერძოდ, სახელმწიფო ვალის მოცულობების ე.წ. „ზრდადი ბილიკიდან“ ვალის შემცირების ბილიკზე თანდათანობით გადასვლას. რაც გულისხმობს ამ თანაფარდობის არამარტო შემცირებას, არამედ- დაყვანას გონივრულ, რაც შეიძლება დაბალ დონემდე. აღნიშნული მიზნის მიღწევა მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მნიშვნელოვანი ზომით კორექტირებას. კერძოდ, საჭიროა სხვა ქვეყნებთან შედარებით მმართველობითი აპარატის მაღალი ხარჯებისა და „სხვა ხარჯების“ წილის შემცირება. ასევე, სსიპ-ისათვის გამოყოფილი თანხების ოპტიმიზაცია

(შემცირების მიმართულებით). განსაკუთრებით **მნიშვნელოვანია სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური რესურსების უპირატესად ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული სფეროების (განათლება, მეცნიერება, ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურურის სფეოების) დაფინანებისაკენ წარმართვა.** გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2014 წლიდან დღემდე ქვეყნის ფისკალურ მდგრადობას სერიოზულ პრობლემას უქმნის საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტის დეფიციტის არათანაბარზომიერი განაწილებაც. რაც საბიუჯეტო წლის ბოლოს ლარის კურსის დაცემის ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზად განიხილება. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 2012 წლიდან დაინერგა პროგრამული ბიუჯეტირების საწყისი ფორმა, დღეისათვის, ის მოითხოვს მნიშვნელოვან სრულყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ეფექტიანობის ზრდისთვის, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პროგრამული ბიუჯეტირების უფრო სრულყოფილ ფორმებზე გადასვლას.

დასკვნა

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტების ანალიზიდან ირკვევა, რომ 2012 წლის შემდგომ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ძირიდადად სოციალური ორიენტაციის სფეროების დაფინანსებისაკენ წარიმართებოდა. შესაბამისად, შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო, არასაკმარისი სახსრები გამოიყოფოდა ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული - განათლების, მეცნიერების, ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურის სფეროების - დაფინანსებაზე.

2012-2-1018 წწ-ში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებში სახელმწიფო ვალის მაღალი წილის გამო გაიზარდა მისი მომსახურების ხარჯების წილი ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში. სახელმწიფო ვალის მოცულობების „ზრდად ბილიკზე" დადგომის თავიდან ასაცილებლად და შესაბამისად, ქვეყნის ფისკალური მდგრადობისა და კრედიტუნარიანობის შესანარჩუნებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩია საშუალოვადიან პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მნიშვნელოვანი ზომით კორექტირება (კერძოდ, მმართველობითი აპარატის ხარჯების, სსიპ-ს და სხვა ხარჯების შემცირება) და ბიუჯეტის ფინანსური რესურსების უპირატესი წარმართვა ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული სფეროების დაფინანებისაკენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2012 წლიდან დაინერგა პროგრამული ბიუჯეტირების საწყისი ფორმა. დღეისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ეფექტიანობის ზრდისთვის, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პროგრამული ბიუჯეტირების უფრო სრულყოფილ ფორმებზე გადასვლას. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ 2014 წლიდან დღემდე, ქვეყნის ფისკალურ მდგრადობის შენარჩუნებას პრობლემას უქმნის ბიუჯეტის დეფიციტის პერმანენტული ზრდა და საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტის ხარჯების არათანაბარზომიერი განაწილებაც. გრძელვადიან პერიოდში ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, უარყოფითი შოკების ზეგავლენის შესუსტებისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის ფისკალური რისკის დროული გამოვლენა, მისი განსაჯაროება და მართვა.

ლიტერატურა

1. Georgia Forbes, #12, 2019, pp. 10-13.
2. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, „სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი", თბილისი 2015.
3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში", თბილისი, 2015.
4. საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ". თბილისი, 2011.
5. სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „დასკვნა 2018 წლის სახელმწიო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე,თბილისი, 2018, გვ. 36.
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი", (თანდართული დოკუნტი),თბილისი, 2017 წელი.
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი 2019-2028 წლებისთვის; Staff guidance note for public debt sustainability analysis for MAC (MAC DSA), IMF, 2013.
8. მ. მუჩიაშვილი, მ. გიორგობიანი, ზ. შონია „ფისკალური მდგრადობის შეფასება და ფისკალური რისკების მართვა საქართველოში" ჟ. „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა", 2018 წ., #3, გვ. 178-181.
9. მ. მუჩიაშვილი, საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის შეფასება „სტატისტიკური სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში" გამომცემლობა უნივერსალი, 2019, გვ. 145-151.
10. M. Muchiashvili, Z. Shonia, M.Giorgobiani „ Fiscal sustainability Analysis (Republic of Georgia). J. Economist, #1,Tbilisi, 2016, pp. 79-88.

IMFECT OF PUBLIC DEBT SUSTAINABILITY ON THE ECONOMIC GROWTH OF GEORGIA

Muchiashvili Marina
Assoc. Professor Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Giorgobiani Maia
Assist. Prof. Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shonia Zamira
Assist. Prof. Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

The analysis evidenced that by 2018, the marginal indicators of public debt sustainability (public debt/ GDP, state debt/budget revenue and public debt/export) of Georgia remained below the thresholds. Despite this, the fiscal sustainability of Georgia may be threatened in the long-term perspective due to the different shocks (severe currency devaluation being an important factor among them), significant growth of the future social liabilities, growing scales of subsidies for different branches of economy and increasing gross external debt of Georgia (which already exceeds 100% of GDP). Without urgent adjustments in the fiscal policy, disclosures and management of fiscal risks, in the long term, the government of Georgia may find it necessary to drastically cut the budgetary expenses.

The article emphasizes that the macroeconomic stability and stable economic growth of Georgia in the long-term perspective needs gradual adjustments of the fiscal policy.

Key words: *Fiscal Sustainability, Economic Growth, Countries Ratings, Desclosure and Management of Fiscal Risks.*

ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვის ბიბლიური გაგება და მდგრადი განვითარება

მღებრიშვილი ბაბულია
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი,

სტატიის ავტორი ჯანმრთელობას განიხილავს საზოგადოების წინსვლისა და მდგრადი განვითარების აუცილებელ პირობად. ადამიანთა ჯანმრთელობის შენარჩუნება და, საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობის აუცილებლობა სტატიაში განხილულია ბიბლიის მიხედვით. ავტორის აზრით, ჯანმრთელობის შენარჩუნებაში ადამიანს ქრისტიანული სარწმუნოება ეხმარება. ქრისტიანული ცნებების შესრულება ადამიანის გონებას „აჯანსაღებს", გაჯანსაღებული გონება კი მისი სულისა და ხორცისთვის, და საერთოდ მთელი საზოგადოებისთვის, სწორი გადაწყვეტილებების მიღებას განაპირობებს.

საკვანძო სიტყვები: *ჯანმრთელობა, ბიბლია, მდგრადი განვითარება.*

ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა და საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევა მდგრადი განვითარების კონცეფციის ერთ-ერთი მიზანია. მდგრადი განვითარების ამ მიზანზეა უშუალოდ დამოკიდებული დანარჩენი მიზნების შესრულება, რადგან „მხოლოდ ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია, სათანადოდ, იბრძოლოს ქვეყანაში მდგრადი განვითარების მისაღწევად" [Mghebrishvili B, (2019)]. ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა არ არის ახალი მიდგომა საზოგადოების განვითარების მიღწევის უზრუნველყოფაში. ხელისუფლების და საზოგადოების სხვა ფენების წარმომადგენლები, გარკვეული ზომით, ყოველთვის აქცევდნენ ყურადღებას ადამიანების ჯანმრთელობას, რასაც, ხშირად, საკუთარი ინტერესები განაპირობებდა. ამასთან, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულება სრულიად განსხვავებული იყო. მსოფლიო საზოგადოების მიერ ადამიანთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საკითხის წინ წამოწევა და მდგრადი განვითარების მიზნებში შეტანა იმის მაჩვენებელია, რომ თანამედროვე ადამიანთა დიდი ნაწილი კარგად აცნობიერებს ჯანმრთელობის მნიშვნელობას დასახული მიზნების მიღწევაში, პირველ რიგში, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ქვეყანა, მისი ეკონომიკა, სათანადოდ, ვერ განვითარდება, თუ საზოგადოების წევრები „ვნებების ტყვეობაში" იქნებიან. ადამიანების „ვნებების ტყვეობიდან" გათავისუფლებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია ქრისტიანულ სარწმუნოებას, პირველ რიგში, მართლმადიდებლობას. ამიტომ საჭიროა, ამ მიმართულებით, საზოგადოების ფართო ფენების ცნობიერების ამაღლება. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა მოცემული სტატიის მომზადება.

ბიბლია ადამიანს ღვთის ტაძრად სთვლის და ხაზგასმით მიუთითებს მისი დაცვის აუცილებლობაზე. პავლე მოციქულის ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ ადამიანს ასე მიმართავენ „ნუთუ არ იცით, რომ ღმერთის ტაძარი ხართ, და სული ღმრთისა დამკვიდრებულია თქვენში. ვინც ღმერთის ტაძარს დააქცევს, დააქცევს მას ღმერთი. ვინაიდან ღმერთის ტაძარი წმიდაა, ხოლო ესა ხართ თქვენ" [პავლე მოციქულის ეპისტოლენი, პირველი კორინთელთა მიმართ, თავი 3: 16,17]. ადამიანის დაცვა, ცხადია, მისი სულისა და ხორცის, მისი ჯანმრთელობის დაცვაა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი უფლის ტაძარია და მას უფალი იცავს, თავისი ქმედებების გამო მის სულსა და გულს ზიანი მაინც მიადგება ხოლმე და საჭირო ხდება მკურნალობა, რაშიც ეკლესია, ექიმებთან ერთად, თავის როლს საუკუნეების განმავლობაში ასრულებდა, დღესაც ასრულებს და მომავალშიც შეასრულებს.

ეკლესია სთვლის, რომ „ქრისტიანობა, უპირველეს ყოვლისა, მკურნალი მეცნიერებაა" [ვლახოსი იეროთეოს. (2008)]. უფალი დედამიწაზე ცოდვილთა სინანულად და სამკურნალოდ მოვიდა, რადგან, როგორც უფალი ამბობს „კარგად მყოფთ კი არ სჭირდებათ მკურნალი, არამედ ავადმყოფთ" [სახარება ლუკასი, თავი 5: 31-32]. ეკლესიური ცნებების შესრულება გონებას „აჯანსაღებს" და ასეთი ადამიანი თავის როლს ქვეყნის განვითარებაში კარგად ასრულებს. ეს იმიტომ ხდება, რომ „გაჯანსაღებული" გონება ადამიანის ვნებებისგან განთავისუფლების მაჩვენებელია. ადამიანები, რომელთა გონება დაცემულია, მთელ სამყაროს ურევენ. ასე, რომ ბევრი პრობლემა, რაც გვაწუხებს, შინაგანი უძლურებიდან მოდის [ვლახოსი იეროთეოს. (2008)]. რაც უფრო მაღალი თანამდებობა უკავია გონებადაცემულ ადამიანს, მით მეტია ბუნებისა და საზოგადოებისთვის მისგან მიყენებული ზიანი. სულითა და გონებით დასნეულებული ადამიანის აზროვნება დამახინჯებულია, რაც მის მიერ მიღებულ არასწორ გადაწყვეტილებებში ვლინდება.

სულისა და გონების მკურნალობის, მათი გაწმენდის შესახებ ბიბლიაში არაერთგან არის ყუ-

რადღება გამახვილებული. იესო ქრისტე ფარისევლებს, რომლებიც მხოლოდ გარეგნული პრობ-ლემის მოგვარებაზე ზრუნავდნენ და შინაგანს ყურადღებას არ აქცევდნენ, მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „ვაი თქვენდა მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომელნიც გარედან წმენდთ სასმისსა თუ ჯამს, შიგნით კი სავსენი არიან ნაძარცვითა და ნაოხრით. თვალდავსილო ფარისეველო, ჯერ შიგნიდან გაწმინდე სასმისი თუ ჯამი, რათა წმინდა იყოს გარეთაც“ [სახარება მათესი, თავი 23: 25-26]. მაშასადამე, თუ ადამიანი გარეგნულად „ჯანმრთელად“ გამოიყურება, სინამდვილეში კი დასნეულებული სული და გონება აქვს, არაჯანსაღად იაზროვნებს და საზო-გადოების საკეთილდღეოდ ვერ მოიქცევა.

სულის მკურნალობაში ეკლესიის მნიშვნელობაზე ყურადღება გამახვილებულია „მოციქულთა საქმეში“. ბიბლიის ამ ნაწილში ნათქვამია შემდეგი: „და ღმერთი მრავალ უჩვეულო სასწაულს იქმოდა პავლეს ხელით. . . და იკურნებოდნენ, და უწმინდური სულები გამოდიოდნენ მათგან“ [მოციქულთა საქმე, თავი 19: 11, 12]. ბიბლია ხაზგასმით მიუთითებს, რომ ადამიანის სულის გან-კურნება ყველას არ შეუძლია. უფლის ნების გარეშე სულის განკურნება შეუძლებელია. უკეთურ სულს მხოლოდ უფლის და მისგან ხელდასხმული ადამიანების ეშინიათ. ამასთან დაკავშირებით ბიბლიაში ნათქვამია: „და ზოგიერთმა იუდეველმა მოხეტიალე შემლოცველმაც დაიწყო უკეთური სულებით შეპყრობილთა მიმართ უფლის იესოს სახელის ხმობა, და ამბობდნენ: გაფიცებთ თქვენ იესოს, რომელსაც ქადაგებს პავლე. ასე იქცეოდა იუდეველი მღვდელთმოძღვრის სკევას შვიდი ძე. მიუგო სულმა უკეთურმა და უთხრა მათ: იესო ვიცი, და პავლესაც ვიცნობ, მაგრამ ვინა ხართ თქვენ? და ეცა მათ უკეთური სულით შეპყრობილი კაცი, სძლია მათ და იმძლავრა მათზე, ისე რომ შიშველნი და ნაცემ-ნაგვემნი გამოვარდნენ იმ სახლიდან [მოციქულთა საქმე, თავი 19: 13-16].

როგორც წესი, „ადამიანის აზროვნება აცხადებს იმას, რასაც გრძნობს და განიცდის გონება“ [ვლახოსი იეროთეოს. (2008)]. ხშირად ადამიანებს აზრი გულიდან მომავალი ჰგონიათ. ეს იმიტომ ხდება, რომ გონება აზრებს გულს გადასცემს. „. . . გულიდან გამოდიან უკეთური ზრახვანი, კაცის კვლანი, მრუშობანი, სიძვანი, პარვანი, ცილისწამებანი, გმობანი [სახარება მათესი, თავი 15: 19]. თუმცა, მათი წარმოშობის თავდაპირველი წყარო არის გონება. ამიტომ, ადამიანმა რომ ბუნებისა და საზოგადოებისთვის, ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის, არასწორი გადაწყვეტილებები არ მიიღოს, უნდა იმკურნალოს და, პირველ რიგში, გონება განიკურნოს. განკურნებისთვის კი რწმენაა საჭირო. თუ სნეულს მკურნალობის სურვილი და განკურნების რწმენა არ ექნება, ის ვერ განიკურ-ნება. რწმენის ძალაზე ბიბლიაში არერთგან არის მითითებული. მათეს სახარებაში ნაჩვენებია, თუ როგორ განკურნა უფალმა უსინათლონი, რომელთაც სურდათ განკურნება და სწამდათ უფლის. სახარებაში ნათქვამია, რომ უფალი „როდესაც მივიდა სახლში, მიეხალნენ უსინათლონი და უთხრა მათ იესომ: გწამთ თუ არა, რომ შემიძლია ამისი ქმნა! ხოლო მათ თქვეს: დიახ უფალო. მაშინ თვალებზე შეეხო ბრმებს, და უთხრა მათ: თქვენი რწმენისაებრ მოგეგოთ თქვენ და აეხილათ თვალები [სახარება მათესი, თავი 9: 27-30]. მკურნალობის პროცესში რწმენის მნიშვნელობასა და როლზე სახარება ბევრჯერ ამახვილებს ყურადღებას. განკურნების რწმენა მარტო სნეულს კი არა, იმ ადამიანსაც უნდა ჰქონდეს, ვინც სხვას მკურნალობს. მკურნალსაც უნდა სწამდეს, რომ მისი ძალისხმევა დადებით შედეგს მოიტანს. თუ არ სჯერა მკურნალს სნეულის განკურნების, ის მას ვერ განკურნავს.

უფალმა, თავდაპირველად, თავის თავზე აიღო ადამიანების განკურნება, ესაია წინასწარ-მეტყველის სიტყვებით რომ ვთქვათ, მან „. . . თავს იდო ჩვენი უძლურებანი და იტვირთა ჩვენი სნებანი“ [სახარება მათესი, თავი 8: 17]. მაგრამ, შემდგომში, უფალმა ადამიანთა განკურნების ფუნქცია დააკისრა თავის 12 მოწაფეს, რომელთაც ზოგჯერ სნეულთა განკურნების სათანადო რწმენა არ ჰქონდათ და დადებით შედეგსაც ვერ იღებდნენ. უფალს ერთხელ ერთმა კაცმა სთხოვა თავისი მთვარეული შვილის განკურნება და უთხრა: „მივუყვანე შენს მოწაფეებს, მაგრამ ვერ განკურნეს იგი“ [სახარება მათესი, თავი 17: 16]. უფალმა განკურნა სნეული და თავის მოწაფეებს ამასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე, თუ მათ რატომ ვერ შეძლეს ეს, უპასუხა -თქვენი ურწმუნოების გამო [სახარება მათესი, თავი 17: 19,20]. მაშასადამე, ავადმყოფსა და მის მკურნალს, განკურნების რწმენა, აუცილებლად, უნდა ჰქონდეთ.

წმინდა წერილის შესაბამისად ეკლესია ყოველთვის მონაწილერობდა ხალხის განკურნებაში. „მართლმადიდებლური ტრადიციებიდან ცნობილია, რომ მონასტრები, იმავდროულად, „საავად-მყოფოებიც“ იყო. უფრო სწორი იქნება, თუ მათ სამედიცინო დაწესებულებებს დავარქმევთ [ვლა-ხოსი იეროთეოს. (2008)]. მონასტრებში ადამიანები არამარტო სულიერად, არამედ ხორციელადაც ინკურნებოდნენ. აღსარება და ზიარება სულის განკურნებას უზრუნველყოფდა, ხორცის განსა-კურნებლად კი ბუნებრივია, პირველ რიგში, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის საშუალებები გამოიყენებოდა. ასე ჩაეყარა საფუძველი ფიტოთერაპიის განვითარებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში.

ქართული ეკლესია-მონასტრების როლზე სნეულთა მკურნალობასა და და ფიტოთერაპიის განვითარებაში, სხვა წყაროებთან ერთად, მათი მოხატულობაც ადასტურებს. საქართველოს ბევრ

ეკლესია-მონასტერში შემორჩენილია უძველესი ფრესკები, რომლებიც ადამიანთა მკურნალობაში მცენარეული საშუალებების გამოყენებაზე მიუთითებენ. ამის საუკეთესო მაგალითია დავით-გარეჯის ფრესკა - „ღვთიშობლის ვედრების კომპოზიცია“. არსებულ მასალებზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ „ქართული ეკლესია-მონასტრები, უძველესი დროიდან მოყოლებული, აქტიურად იყვნენ ჩართული, ქვეყნის ცხოვრების სხვა სფეროებთან ერთად, სამედიცინო საქმეშიც და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე დიდ როლს ასრულებდნენ ადამიანების მკურნალობაში, რაც, პირველ რიგში, ფიტოთერაპიას ემყარებოდა [მღებრიშვილი ბ. (2015), გვ.104]. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. მონასტრებში დამზადებული სხვადასხვა სახის მალამო აქტიურად გამოიყენება სამკურნალოდ. ასეთია, მაგალითად, დირბის ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტერში დამზადებული მალამოები, რომლებიც ფართო სპექტრის შინაგანი და გარეგანი დავაადებების სამკურნალოდ გამოიყენება.

საქართველოში საეკლესიო-სამონასტრო და საერო მედიცინა ერთმანეთს ავსებდა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ცხოვრებაში. ადამიანების მკურნალობასთან ერთად ეკლესია-მონასტრები სამედიცინო წიგნების შექმნაშიც იღებდანენ მონაწილეობას. ეკლესია ყოველთვის პატივს სცემდა ადამიანებს, რომლებიც ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნავდნენ, მიაჩნდა რა, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ღმერთის ნებაა. პავლე მოციქულის ეპისტოლეში პირველი თესალონიკელთა მიმართ ნათქვამია: „.. . თვით ღმერთმა მშვიდობისა, დაე, წმინდა გყოთ თქვენ მთელი სისრულით, და თქვენი სული და სამშვინველი და სხეული უბიწოდ დაცული იქნეს მთელი სავსებით უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მოსვლისას [პავლე მოციქულის ეპისტოლენი, პირველი თესალონიკელთა მიმართ, თავი 5: 23].

დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი:

ბიბლია აღიარებს ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვასა და ადამიანის მკურნალობას, რადგან მხოლოდ სულითა და ხორცით ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია, იაზროვნოს ისე, რომ დაიცვას გარემო და მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ხელი არ შეუშალოს;

ყველა ადამიანმა უნდა ირწმუნოს, რომ ის „ღვთის“ ტაძარია და ვალდებულია, გარემოსა და სხვა ადამიანებზე ზრუნვასთან ერთად, საკუთარ ჯანმრთელობაზე იფიქროს;

ყველამ უნდა გაიაზროს ბიბლიური სწავლება იმის შესახებ, რომ განკურნების სურვილის გარეშე მკურნალობა შედეგს არ იძლევა;

ყველამ უნდა გაიგოს, რომ განკურნებისთვის აუცილებელია რწმენა იმისა, რომ განიკურნება;

ადამიანის განკურნებისთვის საჭიროა მკურნალის რწმენაც, რომ ის ავადმყოფს განკურნავს;

ყველამ უნდა ირწმუნოს, რომ ქრისტიანული მორალის მიხედვით ცხოვრება უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად განვითარებას და საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ლიტერატურა

1. ვლახოსი იეროთეოს. (2008). მართმადიდებლური ფსიქოთერაპია. გამომცემლობა „ახალი ევერიონი“. „საეკლესიო ბიბლიოთეკა“, ტომი IX. თარგმანი ახალი ბერძნულიდან ქართულ ენაზე, ელექტრონული ვერსია, http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=-514%3A2012-05-30-16-43-48&catid=48%3A2010-12-12-19-54-08&Itemid=68&lang=ka
2. პავლე მოციქულის ეპისტოლენი, პირველი კორინთელთა მიმართ. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი 1989, გვ.1134-1147
3. პავლე მოციქულის ეპისტოლენი, პირველი თესალონიკელთა მიმართ. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი 1989, გვ.1172-1175
4. მოციქულთა საქმე. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი 1989, გვ.1071-1101
5. მღებრიშვილი ბ. (2015). ქრისტიანობა და ფიტოთერაპიის განვითარება საქართველოში. IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის -ქრისტიანობა და ეკონომიკა მოხსენებათა კრებული. ივანე ჯავაიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი -ქუთაისი.
6. სახარება მათესი. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი 1989. გვ.959-990
7. სახარება ლუკასი. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი 1989. გვ.1011-1044
8. Mghebrishvili B, (2019). Situation of Health and Welfare in Georgia in the Context of Sustainable Development and Sustainable Marketing. http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/910

BIBLICAL SENSE OF HUMAN HEALTH CARE AND SUSTAINABLE DEVELOPMENT

Mghebrishvili Babulia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

The author regards human health as a necessary condition for society progress and sustainable development. Maintenance of human health and necessity of treatment, as required, is considered based on the Bible. In the author's opinion, Christian religion helps people to maintain their health. Ten Commandments make human mind „healthier" and healthy mind results in proper decisions for both, his/her soul and body, as well as for the entire society.

Key Words: *Health, the Bible, sustainable development.*

ილია ჭავჭავაძე საგარეო ვაჭრობის შესახებ და თანამედროვეობა

მჭედლიშვილი ზურაბ
თსუ-ის დოქტორანტი

XIX საუკუნის უდიდესი ქართველი საზოგადო მოღვაწის - ილია ჭავჭავაძის შემოქმედება დღეს-აც აქტუალურია, რაც მისი გენიალურობის დამსახურებაა.

სტატიაში განხილულია ილია ჭავჭავაძის შეხედულებები საერთაშორისო ვაჭრობისა და ვაჭრობის პოლიტიკის შესახებ. ილიამ გამოიკვლია ვაჭრობის პოლიტიკის მიმართულებები - ლიბერალური და პროტექციონისტული. დასაბუთებული მსჯელობით, საზოგადოების კეთილდღეობიდან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძე მხარს ლიბერალური ვაჭრობის პოლიტიკას უჭერდა.

საკვანძო სიტყვები: *ვაჭრობის პოლიტიკა, ლიბერალიზმი, პროტექციონიზმი.*

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. ილიას მრავალპროფილური მოღვაწეობის გამო, იგი სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა ასპექტითაა განხილული: როგორც ბანკირი, მწერალი, პუბლიცისტი, იურისტი და ა.შ.

ამჯერად ჩვენი მიზანია ილიას, როგორც ეკონომისტის შემოქმედების განხილვა, კერძოდ - საერთაშორისო ვაჭრობისა და ვაჭრობის პოლიტიკის შესახებ მისი შეხედულებების განხილვა-გაანალიზების საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

ილია ჭავჭავაძემ გამოიკვლია საერთაშორისო ვაჭრობისა და ვაჭრობის პოლიტიკის არსი, მიზეზები, მიმართულებები და შედეგები, რასაც 1887 წელს მიუძღვნა სტატიების კრებული სახელწოდებით ***„სატამოქნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა“.***

ილიას აზრით, ეკონომიკა და ეკონომიკური საქმიანობა წარმოუდგენელია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გარეშე. მისი ერთ-ერთი სახეობა კი არის საერთაშორისო ვაჭრობა, რომლის გარეშეც შეუძლებელია შრომის საერთაშორისო დანაწილება, ანუ ეკონომიკური სპეციალიზაცია. ის შესაძლებელს ხდის ქვეყანამ გაყიდოს თავისი ნამეტი პროდუქცია და შეიძინოს სხვა ქვეყნისგან ის პროდუქცია, რომლის წარმოებაც არ შეუძლია, ან გაცილებით ძვირი უჯდება. შრომის საერთაშორისო დანაწილების შედეგად, როდესაც ქვეყანა სპეციალიზდება ერთი კონკრეტული პროდუქტის წარმოებაზე, მცირდება დანახარჯები ამ პროდუქტის ერთი ერთეულის საწარმოებლად, რაც აიაფებს მას მოცემულ ქვეყანაში. სამაგიეროდ, ის ძვირდება სხვა ქვეყანაში, რომელიც სხვა პროდუქტის წარმოებაზეა სპეციალიზებული. *„ქვეყანა ისეა განლაგებული და განწყობილი, რომ რაც ერთს ბევრი აქვს, ის მეორეს ნაკლები და ეს მეტნაკლებობა იძულებულ ჰყოფს ყოველს ცალკე სახელმწიფოს თავისი მეტი გაიტანოს სხვაგან გასასყიდად და რაც აკლია შემოიტანოს სხვისაგან სყიდვითვე. ამ მეტნაკლებობის გამო თვითეული სახელმწიფო სხვისი მუშტარიც არის და თავის საქონლის გამსყიდველიცა, ესე იგი ამღებიც არის და გამცემიცა. აქედამ არის წარმომდგარი ერთაშორისი აღებ-მიცემობა, ვაჭრობა“* [4, 314].

ეკონომიკური სპეციალიზაციის საფუძველზე დამყარებული საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად ქვეყნები იღებენ ორმაგ სარგებელს. ეს ორმაგი სარგებელი გამოიხატება იმაში, რომ ვაჭრობის დაწყების შემდეგ სამამულო პროდუქტის საერთაშორისო ფასი იზრდება მოთხოვნის ზრდის გამო, რაც აუმჯობესებს ამ პროდუქტის მწარმოებელთა მდგომარეობას, ამავდროულად კი იაფდება ის პროდუქტი, რომლის წარმოებაზეც სპეციალიზდება უცხო ქვეყანა, რის შედეგადაც სარგებელს იღებენ მომხმარებლები. ილია სარგებლის შესახებ წერდა: *„ერთი ესა, რომ ჩვენი სასყიდელი უფრო იეფად დაგვიჯდებოდა და მერე ჩვენი გასასყიდი უფრო მეტს ხეირს მოგვცემდა, უფრო მეტს ამოიღებდა“* [4, 65].

ილია ჭავჭავაძე საერთაშორისო ვაჭრობით მიღებულ მოგებას აიგივებს ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობასთან. აქვე იგი განსაზღვრავს ქვეყნის ფუნქციას საერთაშორისო ვაჭრობაში. *„რა თქმა უნდა, რომ იგი სახელმწიფო არის მოგებაში ხოლმე, რომელიც თავის მეტსა ბლომად ასაღებს და სხვისას ნაკლებ ჰსაჭიროებს, რომელიც თავის მეტს ბლომად ჰყიდის და სხვისას-კი ცოტას ჰყიდულობს. ამ ბევრის გაყიდულისაგან ცოტას ნასყიდის ფასი რომ გამოითვალოს, დანარჩენი იმ ნატამალს შეადგენს, რომელიც წმინდა მოგებაა სახელმწიფოსი. ეგრეთწოდებული სავაჭრო ბალანსი იგი სასწორია, რომელიც ამ ნატამალის მეტნაკლებობას აჩვენებს და როცა ამ სასწორზედ გაყიდულის ფასი მეტია ნასყიდისაზედ, მაშინ იტყვიან ხოლმე: სავაჭრო ბალანსი ჩვენი სასარგებლოა, და როცა არა, საზიანოაო. აქედამ აშკარადა სჩანს, რაზედ უნდა მიქცეული იყოს მეცადინეობა ყოველის სახელმწიფოსი საერთაშორისო აღებ-მიცემობის საქმეში: უნდა ყოველი ღონე იღონოს, რომ თვითონ რაც შეიძლება ნაკლებ გაუწიოს მუშტრობა სხვის საქონელსა და სხვა-კი თავის საქონლისათვის დიდ მუშტრად აიჩინოსნ* [4, 314-315].

საერთაშორისო ვაჭრობა დამოკიდებულია ვაჭრობის პოლიტიკაზე. ქვეყნის ვაჭრობის პოლიტიკა არის სამამულო ბაზარზე უცხოური პროდუქციისა და უცხოურ ბაზრებზე ადგილობრივი პროდუქციის შეღწევის რეგულირებაზე მიზანმიმართული მოქმედება. გამოყოფენ ვაჭრობის ორ პოლარულად საპირისპირო პოლიტიკას - ლიბერალურსა (ფრიტრედერობა, ფრიტრეიდერიზმი) და პროტექციონისტულს. *„ამ საგანზედ ორგვარი წყობაა აზრისა, ერთმანეთის მოპირისპირე: ერთს ფრიტრედერობას ეძახიან, და მეორეს პროტექციონობას“* [4, 316-317].

ვაჭრობის ნებისმიერი პოლიტიკის ძირითადი მიზანია ქვეყნის ეკონომიკის ზრდა და დამატებითი გასაღების ბაზრების ათვისება, რამაც უნდა უზრუნველყოს დასაქმების მაღალი დონე, უცხოური ვალუტის შემოდინება, ადგილობრივი ვალუტის სიმყარე-სტაბილურობა და საბოლოო ანგარიშით, კეთილდღეობის უფრო მაღალი დონე. *„დღევანდელი ტოკვა თვითეულის სახელმწიფოსი, შიგნეული რომ კარგად გავუსინჯოთ, სხვა არა არის რა, თუ არ ის, რომ საპოლიტიკო ეკონომიის ბრძოლის მოედანზედ რაც შეიძლება მომეტებული ადგილი დაიჭიროს, ფართო გზა გაიკაფოს, დიდი არხები გასჭრას სიმდიდრის მოსადინებლად, სხვისი იეფად და ცოტა იყიდოს და თავისი ძვირად და ბლომად გაასაღოს“* [4, 311].

ვაჭრობის ლიბერალური პოლიტიკა- ფრიტრედერობა გულისხმობს ყველანაირი, სატარიფო თუ არასატარიფო ბარიერების გაუქმებას, სამამულო ბაზარზე უცხოური პროდუქციის უპრობლემოდ შეტანასა და თავისუფალ ვაჭრობას. *„ფრიტრედერობა წარმომდგარია ინგლისურის სიტყვისაგან* **free trade** *და სიტყვა-სიტყვით რომ ითარგმნოს, ჰნიშნავს: აღებ-მიცემობის თავისუფლებას. მოძღვრება მეცნიერობისა, რომელიც ჰქადაგებს აღებ-მიცემობის თავისუფლებასა, იმაში მდგომარეობს, რომ საააღებ-მისაცემო საქონელი, შინაური თუ გარედამ შემოსული, ყოველის ბაჟისა და გადასახადისაგან დახსნილი იყოს და არა რომელისამე კანონმდებლობისაგან შეხუთული არ უნდა იქმნას“* [4, 317-318].

პროტექციონისტული პოლიტიკა კი მიმართულია სამამულო ბაზარზე უცხოური პროდუქციის შეზღუდვისაკენ, უცხოელი კონკურენტებისა და კონკურენციისაგან ეროვნული წარმოების დაცვის მიზნით. *„იგი* (პროტექციონიზმი) *იქიდამ არის წარმომდინარი, რომ შინაურს მრეწველობას მოპირისპირე მოაცალოს შინაურს ბაზარში და მით თვით ამ ცილობისაგან განთავისუფლებულს მრეწველობას ფეხი აადგმევინოს და თავის ერს ერთი წყარო სარჩო-საბადებლის შოვნისა მოუმატოს“* [4, 320].

პროტექციონისტული პოლიტიკის გასატარებლად გამოიყენება სხვადასხვა ბარიერი:

- სატარიფო ბარიერები - იმპორტზე საბაჟო ტარიფის დაწესება;
- არასატარიფო ბარიერები - აკრძალვა, კვიტირება, ლიცენზირება:
- შერეული ბარიერები - სატარიფო და არასატარიფო ბარიერების ერთდროული გამოყენება.

ილია გარკვეულწილად იზიარებს პროტექციონიზმის მომხრეთა მოსაზრებებსა და არგუმენტებს. რომ, ადგილობრივი წარმოების დაცვა, მისი განვითარების მიზნით, შეამცირებს ერის სიმდიდრის გადინებას. *„რა ვუყოთ, რომ პირველ ხანებში ჩვენი ახლად ფეხადგმული მრეწველობა იმისთანა კარგს და იეფს საქონელს ვერ მოგვაწვდი, როგორსაც ეხლა სხვა ქვეყანა გვაწვდისო. თავი შევიმაგროთ, მოვითმინოთ; ამ პირველ ხანების უკეთურებას და სიძვირეს ჩვენისავე სიკეთისათვის როგორმე გავუძლოთ და დრო მოვა და შინაური ცილობა საქონელსაც გაგვიკარგებს და იეფობასაც ჩამოგვიგდებსო. განკარგებულის და გაძლიერებულის მრეწველობისაგან ჩვენი ერი სიმდიდრის წყაროს გაიჩენს, და თვითონ ქონება ჩვენი, რომელიც ეხლა სხვის საქონლის სყიდვის გამო გარეთ გადის და სხვას მიაქვს, ჩვენვე და ჩვენშივე დარჩებაო“* [4, 322].

აქ აუცილებლად აღსანიშნავია ერთი ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება, რაზეც ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს მიუთითებდა, რომ ეკონომიკური პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში ეკონომიკურ რაციონალიზმზე არ არის დამოკიდებული და ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს შესაძლოა სულ სხვა მოტივები ამოძრავებდეთ: *„საქმე ის არის, რომ ხშირად ამ სისტემას (პროტექციონიზმს) სხვა განზრახვითაც სჭიდებენ ხელსა და თავს-კი იმ საბუთებით ჰმართულობენ, რაც ზევით მოვიხსენიეთ“* [4, 322-323].

რაც შეეხება თავისუფალი ვაჭრობის მომხრეთა არგუმენტებს, ილია მათ სრულად იზიარებდა. *„თავისუფლად მოარული საქონელი, არ-შეხუთული არც ბაჟისა და არც რაიმე ფორმალობისაგან, ყველასათვის ადვილად მოსაპოვებელია და მისაწვდენი, - ჯერ იმის გამო, რომ გახშირებულია, და მერე იეფია, რადგანაც ბაჟისა და ან რაიმე შევიწროებისაგან განგებ ფასაწეული არ არის. მართალიც არის. ბაჟი, დიდია თუ მცირე, განგებ ზედშეკეცილი გადასახადია, და რამოდენადაც იგი დიდია, იმოდენად განგებ აძვირებს საქონელსა“* [4, 318]. აქედან გამომდინარე, ილიამ ნათლად ჩამოაყალიბა სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი და ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება - თავისუფალი ვაჭრობა: *„სახელმწიფო, რომლის მიზეზი და საბუთი არსებობისა სხვა არა არის რა, თუ არ მკვიდრთა კეთილდღეობისათვის მზრუნველობა, უნდა იმასა ჰცდილობდესო, ამბობენ ფრიტრედერობის მომხრენი, რომ ცხოვრებისათვის საჭირო საქონელი ადვილად და იეფად მოსაპოებელი იყოს ყო-*

ველის მკვიდრთათვისო, რადგანაც მკვიდრი კაცი მით უფრო ბედნიერია, რამოდენადაც უფრო სავსედ, უფრო მრთლად ჰშოულობს სარჩო-საბადებელსა და რამოდენადაც უფრო ბევრს საჭიროებას ცხოვრებისას იკმაყოფილებს ადვილად და გაუჭირებლადო“ [4, 311].

კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ ყურადღება ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს მიაქცია, შემდეგია: მას კარგად ესმოდა შრომის დანაწილებითა (სპეციალიზაციით) და შემდგომ უკვე საერთაშორისო ვაჭრობით სარგებლის მიღების შესაძლებლობა, თუმცა, იგი გარკვეული სიფრთხილით ეკიდებოდა ამ საკითხებს. 1882 წლის დეკემბრის შინაურ მიმოხილვაში *„ბ-ნ მეისნერის პროექტი“* ილია მიუთითებს, რომ ქვეყანა უცხოელ (ხშირ შემთხვევაში მონოპოლისტ) მიმწოდებლებზე ხდება დამოკიდებული და მეორე, გასაღების ბაზრის მხრივაც იგი უცხო ქვეყნის ბაზარზეა დამოკიდებული *„და როცა ის შორი ბაზარი რომელისამე გარემოებით ჩვენთვის დაიკეტება, მშივრები ამოვწყდებით“* [5, 324].

ის ფაქტი, რომ ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური (მათ შორის ვაჭრობის) ურთიერთობების დაწყება დიდ სიფრთხილესა და ყურადღებას მოითხოვს და რომელზეც ილია ჭავჭავაძეც მიუთითებდა, სამწუხაროდ, შესაძლებელია ითქვას, რომ არ, ან ვერ იქნა სათანადოდ გააზრებული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდშიც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაცია გახდა დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთი უმთავრესი პარტნიორი. საქართველოს ექსპორტის დიდი ნაწილი (1995 წლიდან 2005 წლის ჩათვლით საშუალოდ 22,8%)[1] სწორედ რუსეთზე მოდიოდა. 2006 წლის 27 მარტს, რუსეთმა, უფროსი სანიტარული ინსპექტორის - გენადი ონიშენკოს ინიცირების საფუძველზე აკრძალა ქართული და მოლდოვური ღვინოების იმპორტი (იმავე წლის მაისში ასევე აიკრძალა ქართული მინერალური წყლების იმპორტიც). ოფიციალურ მიზეზად დასახელდა ის, რომ ქართული ღვინო არ შეესაბამებოდა სანიტარულ მოთხოვნებს. არაოფიციალურ მიზეზად კი ჟღერდებოდა ის, რომ ამ გზით, ვაჭრობის ბერკეტების გამოყენებით კრემლი ახდენდა პოლიტიკურ ანგარიშსწორებას [6]. აღნიშნულმა აკრძალვამ ძალზე უარყოფითი გავლენა იქონია როგორც ქართულ ექსპორტზე, ასევე მევენახეობა-მეღვინეობაზეც. 2005 წლისთვის ქართული ღვინის ექსპორტი 81.328 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, 2006 და 2007 წლებში კი შესაბამისად, 41.050 და 29.197 მლნ აშშ დოლარს.[2]

თანამედროვე მსოფლიოში საბედნიეროდ, შესაძლებელია საქართველოს ექსპორტის დივერსიფიცირება. ამას ასტიმულირებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს დადებული ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც ასევე მოიცავს მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის თავისუფალი სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) ჩამოყალიბებას. აღნიშნული შეთანხმება გზას უხსნის ქართულ პროდუქციას ევროკავშირის ბაზრისკენ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე საქართველოსა და ჩინეთს შორის 2017 წელს დადებულ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას. უკანასკნელი წლებში განუხრელად იზრდება საქართველოს ექსპორტი ჩინეთში და შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთი იქცა საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ვაჭრობის პარტნიორად.

დაბოლოს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ილია ჭავჭავაძე კარგად ერკვეოდა ვაჭრობის პოლიტიკის არსსა და მიმართულებებში, მას კარგად ესმოდა, რომ ქვეყნისთვის, მისი ეკონომიკური გაძლიერებისათვის, ძალზე მნიშვნელოვანია ლოგიკური ეკონომიკური პოლიტიკის შერჩევა; საფუძვლიანად მსჯელობდა ორივე მიმართულების, პროტექციონისტულისა და ფრიტრედერულის თვისებების, დადებითი და უარყოფითი მხარეების, ქვეყნის ეკონომიკაზე მათი შესაძლო გავლენის შედეგების შესახებ; დასაბუთებული მსჯელობითა და არგუმენტირებით ილია ფრიტრედერობის, თავისუფალი ვაჭრობის მომხრეა, რამეთუ *„ქვეყნისათვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია. იმიტომ რომ ყოველის კაცისათვის ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იეფი ჩემ-შენაობის გაურჩევლად“* [4, გვ.322]; ვაჭრობის პროტექციონისტულ პოლიტიკას ორპირ მახვილს უწოდებდა, რომელიც ერთი პირით სხვა ქვეყნებს ვნებს, ხოლო მეორეთი კი საკუთარ თავს.

[1] წყარო - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
[2] წყარო - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

ლიტერატურა

1. ვეშაპიძე, შ.(2016). *ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებები ღია ეკონომიკის ორიენტირების შესახებ: „ფრიტრედერობა და პროტექციონობა“,* თბილისი: მეცნიერება და ცხოვრება N1 (13), გვ. 47-52.
2. კრუგმანი, პ.(2000). *საერთაშორისო ეკონომიკა : თეორია და პოლიტიკა,* თბილისი: „ცისარტყელა“.
3. სილაგაძე, ა. (2010). *ეკონომიკური დოქტრინები,* თბილისი: „ინოვაცია“.
4. ჭავჭავაძე, ილ. (1956). *თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად.* ტომი 7,თბილისი : „სახელგამი“.
5. ჭავჭავაძე, ილ. (2012). *ექვსტომეული*, ტომი 5, თბილისი: „პალიტრა L“.
6. Chivers, C. J. (2006). *A Russian 'Wine Blockade' Against Georgia and Moldova,* The New York Times, APRIL 6.
7. *http://www.geostat.ge/*
8. *https://ka.wikipedia.org*

ILIA CHAVCHAVADZE ABOUT EXTERNAL TRADE AND MODERNITY

Mtchedlisvili Zurab
PhD student
Ivane Javakhishvili
Tbilisi State University

Summary

The works of Ilia Chavchavadze - the great Georgian public figure of the 19th century are still relevant today. This is the merit of his genius.
The article discusses Ilia Chavchavadze's views about international trade and trade policy. Ilia studied trade policy directions - liberal and protective and published several articles about them in 1887. Based on the reasoned arguments (principle of society well-being) Ilia Chavchavadze supported liberal trade policy.

Keywords: *trade policy; liberalism; protectionism.*

THE MAIN STRUCTURE AND DIRECTIONS OF DIVERSIFICATION OF THE ECONOMY OF AZERBAIJAN

Zumrud Nadjafova
The lecturer of „Economy" department
Azerbaijan State Economic University (UNEC)

The economy of the Republic of Azerbaijan relies heavily on its natural resources, the main resource, it should be noted, is oil. The economic crisis that began in recent years, the fall in oil prices and the devaluation of the manat affected the economic processes in Azerbaijan. In 2012, the head of state signed a decree approving the Azerbaijan 2020: A Look into the Future Development Concept. After conducting a brief SWOT analysis of the economy of Azerbaijan, we understand that a deliberate policy to strengthen the oil sector for the development of the non-oil sector is a priority and direction for diversifying the national economy.
The main strategic view of the further development of the economy of Azerbaijan is the effective use of existing resources to achieve sustainable economic growth and high social well-being, creating conditions for the protection and defense of human rights and freedoms, and their active civic participation in the public life of the country.
Introduction
Purpose of the article:
***Research methodology**:*
Findings
Conclusions

***Key words:** GDP diversification, world market, development of production and services, innovative goods, Azerbaijan*

Introduction

The economy of the Republic of Azerbaijan relies heavily on its natural resources, the main resource, it should be noted, is oil. The economic crisis that began in recent years, the fall in oil prices and the devaluation of the manat affected the economic processes in Azerbaijan. The second devaluation of the national currency - manat by 47.6% at the end of 2015, President of the Republic of Azerbaijan Ilham Aliyev referred to the program step, noting the main tasks facing the structures responsible for the development of a number of sectors of the Azerbaijani economy[www.president.az, 2018]. Considering the current state of the country's economy, it is worth noting that several years ago Azerbaijan began to form a single plan for the development of the non-oil sector, which will reduce the country's dependence on hydrocarbon resources.

In 2012, the head of state signed a decree approving the Azerbaijan 2020: A Look into the Future Development Concept [Концепция развития «Азербайджан 2020: взгляд в будущее», 2012]. The concept, which covers the period up to 2020, envisages strengthening the development of economic processes in the country's regions, improving competitiveness, improving transport infrastructure, logistics, transit, transition to an information society, developing human capital, developing culture, institutional reforms and environmental protection. After conducting a brief SWOT analysis of the economy of Azerbaijan, we understand that a deliberate policy to strengthen the oil sector for the development of the non-oil sector is a priority and direction for diversifying the national economy.

According to this analysis, the prospects for the development of the Azerbaijani economy for its further development should be identified 6 main reasons that form the structure and action plan for their successful implementation.

1) Macroeconomic and political stability in the country;
2) Acceptable investment climate;
3) Availability of foreign exchange reserves to ensure financial independence in the country;
4) The presence of its own socio-economic model for the development of the non-oil sector;
5) The ability to expand the transit of Azerbaijani products to the world market;
6) Recognition of Azerbaijan as a reliable partner among the leading economic powers

SWOT Analysis of Azerbaijan's economy



These conditions allow us to develop an appropriate structure and further action plan for their effective use and functioning of the entire structure. The diversification of the economy of Azerbaijan has 5 main dimensions[Mehdiyev, 2005]:

- GDP diversification will mainly focus on the non-oil sector;
- Export diversification will be based on updating the share of innovative goods and services;
- Diversification of partners, based on the economies of developed countries;
- Diversification of institutional security, including natural capital, physical capital, human and institutional;
- Diversification of the regional economy;

According to the Concept „Azerbaijan 2020: A Look into the Future", the main directions of economic diversification were formed.

The main strategic view of the further development of the economy of Azerbaijan is the effective use of existing resources to achieve sustainable economic growth and high social well-being, creating conditions for the protection and defense of human rights and freedoms, and their active civic participation in the public life of the country.

The main goal of diversification of the national economy, as the head of state Ilham Aliyev noted, is the entry of Azerbaijan by 2020 into the number of countries with „high average income", eliminating dependence on hydrocarbon exports, strengthening its position and further progress among the countries with „high human development" classifications of the United Nations Development Program for Human Development.

Regarding economic development, the main goal is to preserve the status of Azerbaijan as a leader in the region and turn it into a country with a high competitiveness of the participant in the system of international economic relations. The Development Concept „Azerbaijan - 2020: A Look into the Future" is based on the economic model of export orientation and provides that increasing competitiveness and improving the structure of the economy will contribute to the growth of non-oil exports. The promotion and expansion of innovation, along with the rapid development of the non-oil industry, will create a fertile ground for the formation of a knowledge-based economy in the country.

The formation of a highly competitive economy is a priority for diversifying the economy of Azerbaijan. As noted earlier, the socio-economic model of Azerbaijan has a specific character. Azerbaijan seeks to form an economic model based on effective government regulation and mature market relations.

As experience shows, an effective economic system with global competitiveness can exist only in the con-

ditions of market relations based on free competition and entrepreneurial activity. As noted in the concept, in the conditions of completion of the transition period and the formation of mature market relations in Azerbaijan, the functions of state regulation and management will be carried out mainly in the field of maintaining macroeconomic stability, improving the business atmosphere and ensuring free competition in the country, creating favorable conditions for local and foreign investment, improving the structure of the economy, the implementation of investment and large-scale infrastructure projects, effective organization of social protection of the population. In order to further increase the competitiveness of the economic system, a gradual transition from passive to active tax policy will be ensured, and measures taken to optimize tax rates will help create a favorable environment for business activities.

The improvement of the existing structure of oil production and the development of the non-oil sector is characterized as a direction in the construction, reconstruction and modernization of the systems for the production, transportation and processing of oil and gas. As part of the development of the economy, on the basis of the respective entities, it is also planned to build a complex consisting of oil, gas and petrochemical plants. The formation of the complex will make it possible to attract the necessary investments, comply with environmental standards, establish a technological chain before the production of final products, increase the competitiveness of finished products, and expand the volume and range of exports in this area.

In the period covered by the concept, in order to accelerate the use of alternative energy sources, it is planned to carry out work aimed at implementing incentive measures, developing the institutional environment, strengthening scientific and technological potential, continuing training of specialists and educating energy consumers. In 2009, the State Agency for Alternative and Renewable Energy Sources of Azerbaijan was created, which was actively engaged in the project on „Promoting the development of sustainable energy in Azerbaijan" in cooperation with UNDP. According to this agency, Azerbaijan has a wind power potential of about 4.5 thousand megawatts, biomass - 1.5 thousand megawatts, geothermal and geothermal energy - 800 megawatts, small hydroelectric power stations - 350 megawatts.[www.stat.gov.az]

The development of regions through the creation of industrial enterprises, characterized by production based on local raw materials, the offer is not completed. There is a great potential for the development and construction of enterprises for the production of steel, oil and gas processing and petrochemical complexes. The main feature of the development of innovative technologies in industrial enterprises is the creation of industrial towns in the regions. From this point of view, the period covered by the concept sets the goal of creating a special economic zone, and organizing industrial towns for each economic region, taking into account their economic potential (including industrial towns for processing petrochemical products in Sumgait, recycling household waste in Balakhani and producing metal (aluminum) products in Ganja).

The formation of transport infrastructure will allow Azerbaijan to build trade relations with many countries both in the region and with distant countries.

Effective use of the strategic geographical location of the country allows you to create logistics in the regions of the Republic. The developed transport network and services make it possible to increase the attractiveness of the country as an industrial and investment center. The basis of this direction is the formation of the structure of the mechanism of management of local and foreign transportation. In this regard, it is planned to implement generalized measures reflecting a unified strategic approach for road, rail, water, air and metro. In order to increase the competitiveness of the country in the international transport corridors Europe-Caucasus-Asia and North-South, measures will be taken to reduce the costs associated with cargo transportation through Azerbaijan, reduce the time spent on export-import operations and transit, simplify procedures. Discussion in Baku in January 2016 on the creation of the North-South project will allow to increase cargo transportation and passenger transportation from Russia to India through Azerbaijan. North-South is a multi-modal route for transporting passengers and cargo, with a total length of 7,200 kilometers from St. Petersburg to the port of Mumbai (Bombay). It was created to attract transit cargo flows from India, Iran and other countries of the Persian Gulf to the Russian territory (through the Caspian Sea) and further to Northern and Western Europe. The significance and possibilities of the corridor can be judged by the commodity market, which it can cover. According to forecasts, this figure is estimated at more than 20 million tons per year. In 2016, it is planned to complete the first phase of construction work, which provides for the construction of a railway eight kilometers long from Azerbaijani Astara to Iran's border, where a bridge across the Astara River will also be built.

In the coming years, the construction of the International Sea Trade Port in Alat will be completed, the fleet will be renewed and expanded, the transport and logistics center will be built, the Baku-BeyukKesik and Baku-Yalama railways will be restored and modernized, and the railway will be put into operation Baku-Tbilisi-Kars. At the same time, the necessary reconstruction will be carried out on the main ways of railway transport, the transportation fleet will be updated, the transition to the thrust system with alternating current will be provided on all routes.

The third, one of the important directions, is the use of information and communication technologies for the transition to an information society. The transition to the information community, through the development of ICT, the development of electronic services, the development of the activities of the National Center for Electronic Security, are the main ways to regulate this area. Using the capabilities of an artificial satellite allows you to increase annual income, thereby developing the non-oil sector. According to the data of the Ministry of Communications and High Technologies, starting from 2007 the income growth of the information and communication sector reaches 25-30% per year.

The fourth direction of diversification of the national economy is the development of human capital and social spheres. The main aspects of this direction are health issues, the formation of a modern education system and the improvement of the social protection system. The dynamic increase in the share of allocated[Abbasov,2005]

- on health care funds in gross domestic product and formation
- mechanisms to ensure rational and targeted use
- allocated funds

To enhance the material and technical base health are carried out construction, overhaul and reconstruction of medical institutions, equipping them with modern medical equipment, at the same time systematically continuing health care reforms. In accordance with the sustainable course of President IlhamAliyev, from the 2015 budget, 708.0 million manat were allocated to health care spending or 6.4 percent more compared to 2014, 161.0 was spent on financing 13 state programs and activities in the health sector million manat. As a result of the approved „State Program on Improving Maternal and Child Health for 2014–2020," maternal and infant mortality rates in the republic have decreased. So, if the coefficient of maternal death for every 100 thousand live births in 2006 was 34.2, then in 2013 this figure was 14.5. And the infant mortality rate per 1,000 live births in the respective years decreased from 11.9 to 10.8. Great work is underway on social protection and improving the living conditions of refugees. As the Minister of Finance Samir Sharifov noted at a meeting of the Cabinet of Ministers dedicated to the results of socio-economic development in 2015, 378.0 million manat was spent from the consolidated and state budgets as a whole to enhance social protection and improve the living conditions of refugees and internally displaced persons The number of current and capital expenditures of the state budget - 228.0 million manat, from the budget of the State Oil Fund - 150.0 million manat.

Despite the economic and financial difficulties that our country faced in 2015, Azerbaijan is not going to curtail projects in the development of the economic potential of the country's regions, in particular, the agricultural sector of the economy, the use of human capital and intellectual property.

To achieve the above directions, Azerbaijan is developing and considering mechanisms for the effective regulation and functioning of this structure. These mechanisms include the following:

- Improvement and formation of tax and customs mechanisms;
- Use of export support system;
- Increasing the capacity of the agricultural sector;
- Support for small and medium-sized businesses, through lending and the active participation of commercial banks;
- Stimulation of venture production;
- Development of production and services.

Thus, it should be noted that Azerbaijan is trying to create a structure to strengthen the economy by using oil and gas fields, exporting oil and improving petrochemical products to transform and transform the country from a raw material exporter to an exporter of finished petrochemical products, transportation services. Technology information and communication sector to create a strong, competitive economy.

Reference

11. Концепция развития «Азербайджан 2020: взгляд в будущее», 2012
1. Официальный сайт Президента Азербайджанской Республики (www.president.az)
2. Государственный Комитет Статистики Азербайджанской Республики (www.stat.gov.az)
3. Министерство Финансов Азербайджанской Республики (www.maliyye.gov.az)
4. "EU-Azerbaijan Partnership and Co-operation Agreement", Baku, 2002.
5. "A Strategy for EU Foreign Policy". EU Institute for Security Studies, Report June 2010.
6. Mehdiyev R. Azərbaycan: Qloballaşma dövrünün tələbləri. Bakı, 2005
7. Abbasov Ç.M. Azərbaycanın dünyaiqtisadiyyatına inteqrasiy ayolları. Bakı. Elm, 2005.

დაგროვებითი საპენსიო სისტემა და მართვის გამოწვევები საქართველოში

ნარმანია დავით
თსუ-ის პროფესორი,
მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი

ჩოხელი ეკა
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

ქეშელაშვილი გიული
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

ხარხელი მანანა
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

სარდლიშვილი ნინო
თსუ-ის დოქტორანტი

თოფურია ბექა
თსუ-ის დოქტორანტი

ილურიძე გვანცა
მაგისტრანტი

ნაშრომში განხილულია საქართველოში დაგროვებითი საპენსიო რეფორმის მიმდინარეობის პროცესი. კერძოდ, შესწავლილია არსებული სოციალური საპენსიო სისტემის მოდიფიკაციისა და დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი, საპენსიო სისტემების რეფორმირების მსოფლიო გამოცდილება და დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბების მოსალოდნელი საფრთხეები. გაანალიზებულია დაგროვებითი პენსიის მართვის პროცესი და საზოგადოების დამოკიდებულება ამ პროცესების მიმართ.

საკვანძო სიტყვები: *საპენსიო რეფორმა, საპენსიო სააგენტო, აქტივების მართვა, მართვის პროცესი, მონიტორინგი.*

შესავალი. 2018 წლის წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა და ნაწილობრივ ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ [1], რომლის მიხედვით დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ყველა დასაქმებულ, ან თვითდასაქმებულ მოქალაქეს და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. კანონის საფუძველზე საპენსიო სქემის განხორციელების, მართვისა და ადმინისტრირებისათვის შეიქმნა საპენსიო სააგენტო. მართალია, ზემოაღნიშნული კანონი მკაფიოდ განსაზღვრავს დაგროვებითი საპენსიო სქემის ადმინისტრირების პროცესს, საპენსიო სააგენტოს ფუნქციებს, ეროვნული ბანკის უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, მაგრამ საქართველოში ამ მიმართულებით გამოცდილება მწირია, შეზღუდულია ფინანსური შესაძლებლობები, არსებობს სხვადასხვა კვლევის შედეგები, რომლებიც რეფორმის ეფექტიანობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, ავლენს სხვადასხვა გამოწვევებს, რომლის წინაშეც რეფორმის განმახორციელებლები დგას [2].

რეფორმის განხორციელების ბოლო ეტაპი გათვალისწინებულია 2021 წლის 1 იანვრისათვის. ზემოაღნიშნული კანონის მიზანია უზრუნველყოს დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში საპენსიო აქტივების მართვა მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად. საპენსიო რეფორმა გულისხმობს წლების განმავლობაში გამომუშავებული ხელფასის პროპორციული თანხების დაგროვებას ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე და მის გაცემას მოქალაქისათვის საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ში ხაზგასმულია საპენსიო რეფორმის განხორციელების მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებას. აღნიშნულმა რეფორმამ სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად უნდა შექმნას ინვესტირების დამატებითი წყარო [3, გვ.59-60].

საქართველოში არსებული საპენსიო სისტემის რეფორმის განხორციელების აუცილებლობა განაპირობა მრავალმა ფაქტორმა: დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესებამ, ეროვნული ვალუტის არასტაბილურმა მდგომარეობამ, ეკონომიკურმა კრიზისებმა, სახელმწიფოს მხრიდან პენსიონერთა წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებისას წარმოქმნილმა ხარვეზებმა, არსებული საპენსიო განაკვეთის შეუსაბამობამ იმ სტანდარტებთან, რომელიც ხანდაზმული ადამიანების ნორმალური სიბერის უზრუნველყოფისათვისაა საჭირო.

ჯერ კიდევ 2014 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიქმნა საპენსიო რეფორმის სამსახური, რომელსაც დაეკისრა პასუხისმგებლობა დაგროვებითი საპენსიო სისტემის შექმნასა და რეფორმის გატარებაზე. თუ საქართველოში დღემდე მოქმედი საბაზისო საპენსიო სისტემა მხოლოდ ორი მონაწილის-_ სახელმწიფოს და პენსიონერის, მონაწილეობას გულისხმობდა, ამჟამად ახალი დაგროვებითი საპენსიო რეფორმის სისტემაში სამი მხარე მონაწილეობს: დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო. მათგან თითოეული ყოველთვიურად მოქალაქის დაუბეგრავი შემოსავლის 2-2 %-ს უნდა რიცხავდეს საპენსიო ფონდში, ანუ ყველა ერთად უნდა რიცხავდეს 6 %-ს. ამასთან, ამას უნდა დაემატოს ის სარგებელიც, რომელსაც საპენსიო სააგენტო თანხის ფასიან ქაღალდებში დაბანდების შედეგად მიიღებს. ახალი საპენსიო სისტემა თვითდასაქმებულებს ამ სისტემაში ჩართვას არ ავალდებულებს, თუმცა მათი მხრიდან ამ პროცესში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში თვითდასაქმებულებს ყოველთვიურად დაუბეგრავი შემოსავლის 4%-ის გადახდა მოუწევთ, სახელმწიფოს კი_ 2%-ის. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პროგრამაში მონაწილეობის ვალდებულება ნებაყოფლობითია 40 წლის ასაკის ზემოთ მყოფი მოქალაქეებისათვის და მხოლოდ დასაქმებულის სურვილის შემთხვევაშია დამსაქმებელი ვალდებული, რომ შეასრულოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნები. დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, წლების განმავლობაში დაგროვილი თანხის გაცემა უნდა მოხდეს საპენსიო ასაკის დადგომისას სახელმწიფო პენსიასთან ერთად. პენსიაზე გასვლისას ამ პროგრამის მონაწილეს უფლება აქვს, რომ დაგროვილი თანხა ან მთლიანად გამოიტანოს, ან გადაანაწილოს საპენსიო წლებზე.

ზემოაღნიშნულმა რეფორმამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი გამოხმაურება გამოიწვია. დაწყებულ რეფორმას ჰყავს როგორც მხარდამჭერები, ისე მოწინააღმდეგები. ამიტომ მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ამ მიმართულებით რიგი პრობლემების გაანალიზება.

1. საპენსიო სისტემის მართვის უცხოური გამოცდილება. თანამედროვე მსოფლიოს განვითარებულმა სახელმწიფოებმა დიდი ხანია წარმატებით განახორციელეს საპენსიო სისტემის რეფორმა და დღეისათვის თითოეულ ქვეყანას უკვე მისთვის ეფექტიანი საპენსიო სისტემა აქვს.

თუ შევადარებთ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების პენსიონერთა ცხოვრების სტილს, მათ შორის აშკარაა განსხვავება, რაც განპირობებულია ამა თუ იმ ქვეყანაში სოციალური პროგრამების განხორციელების დონით. განვითარებული ქვეყნების საპენსიო პროგრამაში ჩართული ადამიანები ორიენტირებულნი არიან მაქსიმალურად მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება და მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება, რომლის დაგროვების შედეგად უზრუნველყოფენ საკუთარ მომავალს. ასეთი ადამიანები მთლიანად ორიენტირებულნი არიან სამუშაოს ეფექტიან შესრულებაზე, კარიერულ წინსვლაზე და სჯერათ, რომ საპენსიო ასაკის დადგომისას უზრუნველყოფილნი იქნებიან საკუთარი შრომის შედეგით. ცხადია, რომ ისინი ენდობიან დაგროვებითი პენსიის სისტემას და ამავე დროს ნდობა აქვთ სახელმწიფოს მიმართაც, რომელიც მათთვის სტაბილურობის გარანტია.

ბოლო წლებში ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა: დიდმა ბრიტანეთმა, შვედეთმა, გერმანიამ და იტალიამ მოახდინეს საკუთარი საპენსიო სისტემების ნაწილობრივი პრივატიზება. საფრანგეთმა მთელი რიგი ცვლილებები განახორციელა სოლიდარული, ანუ სახელმწიფო პენსიის სექტორში. საბერძნეთმა მნიშვნელოვნად შეამცირა სახელმწიფო ვალის აღება საპენსიო უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად. ჰიბრიდული სისტემა იქნა დანერგილი უნგრეთსა და პოლონეთში, რომელიც ითვალისწინებს ტრადიციული საპენსიო სქემის ეტაპობრივ გაუქმებასა და მის ჩანაცვლებას სავალდებულო, დაგროვებითი შენატანებით.

ევროპული ქვეყნების საპენსიო სისტემა ეყრდნობა ე.წ. სვეტებიან სისტემას [4], [5]. ამ სისტემაში პირველი სვეტ**ი** აერთიანებს სოლიდარულ (სახელმწიფო) პრინციპზე დაფუძნებულ საპენსიო მოდელს, რომლითაც ხდება სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის გარკვეული სოციალური ჯგუფის პენსიით უზრუნველყოფა, მაგალითად, ფერმერების, საჯარო მოხელეების, ექიმების და სხვ. ეს არის საბაზისო, ანუ მინიმალური საპენსიო გარანტი. მეორე სვეტში ერთიანდება საპენსიო შენატანი დამსაქმებლის მხრიდან. მესამე სვეტი კი მოიცავს ინდივიდუალურ შენატანებს.

ევროპის ქვეყნების საპენსიო სისტემებში საპენსიო დაზღვევის აუცილებლობა განსაზღვრულია კანონით. პენსიის ოდენობა ინდივიდუალურია ყველა დაზღვეულისთვის და დამოკიდებულია ხელფასის ოდენობასა და სისტემაში დაზღვეულად ყოფნის ხანგრძლივობაზე. ევროპული საპენ-

სიო სისტემები ითვალისწინებს დამატებით სახელმწიფო დაფინანსებასაც დაახლოებით მთელი საპენსიო შენატანების 20%-ის ოდენობით. ამ დახმარებების მოცულობა იზრდება ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პერიოდში. [5], [6], [9], [10], [11] წყაროებზე დაყრდნობით ნაშრომში გაანალიზებულია ევროპის ქვეყნების საპენსიო სისტემები.

მაგალითად, შვედეთში პენსია სამი კომპონენტისგან შედგება: პირობით-დაგროვებითი, დაგროვებითი და გარანტირებული (სავალდებულო მინიმუმი). პირობით-დაგროვებითი ყალიბდება მუშაკთა შენატანებით, რაც ხელფასის 16%-ია. ეს თანხა ანგარიშზე ირიცხება სახელმწიფო ვალდებულების სახით და იცვლება ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული და ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით. დაგროვებითი ნაწილი დამოკიდებულია მუშაკის ხელფასზე. შვედეთში საშუალო პენსია 830 აშშ დოლარია. ფინეთში პენსიების გამანაწილებელი სისტემა მოქმედებს, რომლის ბაზისური ნაწილი უზრუნველყოფს სახელმწიფო პენსიის მინიმალურ ოდენობას, სადაზღვევო ნაწილი კი ყალიბდება შენატანებით სადაზვეევო კომპანიაში ან საპენსიო ფონდში. ფინეთში მინიმალური პენსია 600 ევროს შეადგენს, საშუალო კი 1 200 ევროს. საპენსიო ასაკი ფინეთში 63 წელია როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის. ნორვეგიაში პენსია შედგება მინიმუმისგან, რომელსაც სახელმწიფო ყველა პენსიონერს ფიქსირებულად უხდის და დანამატისგან, რომელიც დამოკიდებულია შრომით სტაჟსა და ხელფასზე. ნორვეგიაში საშუალო პენსია 1 500 აშშ დოლარია. დიდი ბრიტანეთის საპენსიო სისტემა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია. ბრიტანელი პენსიონერები იღებენ როგორც საბაზისო პენსიას სახელმწიფოსგან, ისე პენსიას სადაზღვევო სისტემიდან, რომელიც მათ ხელფასსა და სტაჟზეა დამოკიდებული. ბრიტანეთში საბაზისო სახელმწიფო პენსიას იღებენ 65 წელს მიღწეული მამაკაცები და 60 წელს მიღწეული ქალები. პენსიის დონე და რაოდენობა განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ ინფლაციის დონის გათვალისწინებით. არსებობს კერძო პენსიების დაგროვების სხვადასხვა სისტემაც, მათ შორის, საწარმოებში არსებული კორპორატიული პროგრამები და ნებაყოფილობითი საპენსიო დაგროვების სისტემა. ბრიტანეთში საშუალო სახელმწიფო პენსია 600 ევროს შეადგენს.

გერმანიის საპენსიო სისტემა „თაობათა სოლიდარობის" პრინციპს ეფუძნება. დასაქმებული მოქალაქეები პენსიონერებისთვის განკუთვნილ თანხას სახელმწიფო ფონდში რიცხავენ, ხოლო საპენსიო ასაკის მიღწევისას, მათთვის პენსიას უკვე ახალი თაობა იხდის. საშუალო შენატანი საპენსიო ფონდში ყოველთვიური ხელფასის დაახლოებით 20%-ს შეადგენს, აქედან ნახევარს იხდის დამსაქმებელი. მოქალაქის არმიაში გაწვევის ან დეკრეტში გასვლის შემთხვევაში, აღნიშნული შენატანი შეაქვს სახელმწიფოს. სახელმწიფო პენსიის გარდა, გერმანიაში პენსიებს კომპანიებიც იხდიან, ბევრი დამსაქმებელი კერძო საპენსიო ფონდშია გაწევრიანებული. გერმანიაში საშუალო პენსია 1 200 აშშ დოლარს შეადგენს. დღეისათვის პოლონეთის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა ყველაზე უფრო მდგრად მოდელადაა მიჩნეული ევროპაში, რომელიც აერთიანებს III სხვადასხვა დონეს. სახელმწიფო პენსიები, ანუ I დონე, რომელიც სავალდებულო სოლიდარულ შენატანებს მოიცავს და სახელმწიფოს კუთვნილი სოციალური დაზღვევის ინსტიტუტის მფლობელობაში იმყოფება. საპენსიო ფონდში შეიტანება დასაბეგრი შემოსავლის 19.5%, რომელიც თანაბრად ნაწილდება დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. დასაქმებულის მიერ გადახდილი 9.75% -დან 2.3% ირიცხება მის პირად დაგროვებით ანგარიშზე, დანარჩენი ირიცხება სახელმწიფო პენსიის უზრუნველყოფისათვის განკუთვნილ სოლიდარულ ფონდში. თუ სისტემაში მოხვედრილი პენსიონერის პენსია საშუალოზე დაბალია, სახელმწიფო მას უზრუნველყოფს მინიმალური პენსიით. II დონედ ითვლება სავალდებულო ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშები და მას აქვს ღია საპენსიო ფონდის მსგავსი სტრუქტურა, რომელშიც სოციალური დაზღვევის ინსტიტუტიდან ირიცხება ბენეფიციარის დაბეგრილი შემოსავლის 2.3%. ღია ფონდი დამოუკიდებელი იურიდიული პირია, რომელიც შექმნილია სააქციო საზოგადოების ფორმით. *III დონედ ითვლებარნებაყოფლობითი პროფესიული პენსიები.* თუ დამსაქმებელი ჩამოაყალიბებს ნებაყოფლობით პროფესიულ სისტემას, ის ვალდებულია გადაიხადოს გადასახადი თავისი თანამშრომლებისათვის, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დასაქმებულის შემოსავლის 7%-ს. ღია საპენსიო ფონდებისაგან განსხვავებით, ნებაყოფლობითი პროფესიული საპენსიო სისტემა სარგებლობს ინვესტირების უფლებით. ამასთან,რპოლონეთში კერძო საპენსიო ფონდების მიერ ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციები მკაცრად კონტროლდება სახელმწიფოს მიერ,

ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში საპენსიო რეფორმებმა გაამართლა და სასურველი შედეგები მოიტანა. მაგრამ არც ერთი ევროპული ქვეყნის საპენსიო მოდელის უცვლელად გადმოტანა და ქართულ რეალობაზე მორგება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის საჭიროებები.

2. დაგროვებითი საპენსიო სისტემის მართვის თავისებურებები საქართველოში. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - „საქართველო 2020“, აღნიშნულია: „იმის გათვალისწინებით, რომ პენსიონერთა რაოდენობა მზარდია, გაეროს მონაცემებით, პენსიონერთა რაოდენობა 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის 25% იქნება, ადგილი ექნება სოციალური დანახარჯების მუდმივ ზრდას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ეტაპობრივად დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა. ეს თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბაზისო პენსიის არამდგრადი ზრდისგან გამოწვეული წნეხის შემსუბუქებას. ასევე მნიშვნელოვანია საბაზისო პენსიის ინფლაციასთან მიბმის პრინციპის შემოღება და პენსიის ზრდის ორიენტირება ყველაზე ღარიბ პენსიონერებზე, რაც დაიცავს პენსიის მსყიდველობით უნარიანობას და მოლოდინებს მისაღებ დონეზე შეინარჩუნებს” [3].

საპენსიო რეფორმის როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ეტაპებზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საპენსიო დანაზოგების დაგროვება ნებაყოფლობითი უნდა იყოს თუ სავალდებულო? რომელი სადაზღვევო ფონდი უნდა იყოს შექმნილი: სახელმწიფო, თუ კერძო? საპენსიო შენატანების წარმოქმნა ხელს ხომ არ შეუშლის ბიზნესის განვითარებას, ან პრობლემებს ხომ არ წარმოქმნის ფინანსური ანგარიშგებისას შესაბამის უწყებებთან?

დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საპენსიო სისტემის მართვასა და ადმინისტრირებას ანხორციელებს „საპენსიო სააგენტო“. მისი სტრუქტურა, უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და სხვა ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება საპენსიო სააგენტოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. „საპენსიო სააგენტოს'' მართვის უმაღლესი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 3 წევრითა და საინვესტიციო საბჭოს თავჯდომარით. სამეთვალყურეო საბჭო კონკურსის წესით ნიშნავს სააგენტოს დირექტორს, რომელიც პასუხისმგებელია სააგენტოს ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებაზე, ბიუჯეტის დაგეგმვასა და მესამე მხარეებთან ურთიერთობაზე. საპენსიო სააგენტოს საქმიანობის ზედამხედველობას, გარდა საინვესტიციო საქმიანობისა, ანხორციელებს სამეთვალყურეო საბჭო.

საპენსიო აქტივების ინვესტირების მიზნით სააგენტოში იქმნება საინვესტიციო საბჭო, რომელიც განსაზღვრავს საინვესტიციო პოლიტიკას. იგი შედგება 5 წევრისგან. საინვესტიციო საბჭო პასუხისმგებელია როგორც საინვესტიციო სამსახურის საქმიანობაზე, ასევე აქტივების მმართველი კომპანიების საქმიანობის მონიტორინგზე, რომელიც გულისხმობს „დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვას საპენსიო აქტივების მართვასთან დაკავშირებით.

საპენსიო სააგენტო ექვემდებარება ზედამხედველობას. სააგენტოს საქმიანობის ზედამხედველობას, საინვესტიციო საქმიანობის გარდა, ანხორციელებს სამეთვალყურეო საბჭო. საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის ზედამხედველობას ანხორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს საპენსიო სქემის განხორციელებასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია სსიპ „საპენსიო სააგენტო“, ხოლო საპენსიო აქტივების ინვესტირებაზე პასუხისმგებელია საინვესტიციო საბჭო, რომლის გადაწყვეტილებითაც საპენსიო აქტივები სხვადასხვა დონის რისკიანობის ფინანსურ აქტივებში უნდა განთავსდეს.

3. საზოგადოების დამოკიდებულება ახალ საპენსიო სისტემასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი, რომელიც ეხება დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების შეფასებას.

ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, გამოიკითხა 200 აპლიკანტი. გამოკითხვა ჩატარდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. კითხვარი შედგებოდა 12 კითხვისაგან, აქედან 3 კითხვის გარდა, ყველა იყო დახურული. პასუხები იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი ახალი საპენსიო სისტემის შესახებ. კვლევა მოიცავდა კითხვებს საზოგადოების ინფორმირებულობაზე, რესპოდენტთა შეფასებებს სისტემის სამართლიანობასა და გამართულობაზე, პერსონალურ კითხვებს, ასევე რესპოდენტების რეკომენდაციებს და წინადადებებს ახალ საპენსიო სისტემასთან დაკავშირებით.

კვლევამ გვიჩვენა, რომ საკმაოდ დაბალია საზოგადოების ინფორმირების დონე. კერძოდ, გამოკითხულ რესპოდენტთა მხოლოდ 24% იყო სრულად ინფორმირებული ახალი საპენსიო სისტემის შესახებ, 56%-ს ნაწილობრივ ჰქონდათ ინფორმაცია, ხოლო 20% საერთოდ არ ფლობდა ინფორმაციას რეფორმის შესახებ. ამასთან, ახალი საპენსიო სისტემის შესახებ ინფორმაცია მარტივად მხოლოდ საზოგადოების 15%-მა მიიღო, დანარჩენი 85%-სთვის ინფორმაციის მოპოვების პროცესი არც ისეთ მარტივი აღმოჩნდა. განისაზღვრა ინფორმაციის მოძიების რამდენიმე წყარო: საპენსიო სააგენტო, მედია საშუალებები, ახლობელი ადამიანები და ინფორმაციის სხვა არხები, საიდანაც მიღებული ინფორმაცია პროცენტულად შემდეგნაირად განაწილდა: საპენსიო

სააგენტო-13%, მედია საშუალებები- 38%, ახლობელი ადამიანები-27%, ინფორმაციის მოპოვების სხვა არხები-22%. ცხადია, რომ საზოგადოება არ ფლობს საჭირო ინფორმაციას და სათანადოდ ვერ აანალიზებს იმას, თუ რა შეიძლება შეცვალოს ახალმა სისტემამ უკეთესობისაკენ.

ახალი საპენსიო სისტემა სამართლიანად რესპონდენტთა მხოლოდ 15% - მა მიიჩნია, დანარჩენი 85% - თვის სისტემა სამართლიანი არ არის. ამასთან, გამოკითხულთა 92% თვლის, რომ საქართველოს მოქალაქეები საპენსიო სისტემაში ნებაყოფლობით უნდა მონაწილეობდნენ. რესპონდენტთა 8%-ს მიაჩნია, რომ საპენსიო სისტემაში სავალდებულო მონაწილეობის მოდელი სწორია.

საზოგადოება სრულიად არ არის მზად საპენსიო სისტემაში მონაწილეობისათვის გამოკითხულთა მხოლოდ 4% - ისთვის, ნაწილობრივ მზად მიაჩნია 41% - ს, ხოლო 55% თვლის, რომ ამ ეტაპზე საზოგადოება არ არის მზად სისტემაში მონაწილეობისათვის.

რაც შეეხება საზოგადოების მხრიდან ნდობის ფაქტორს, ეს საკმაოდ პრობლემატური საკითხია. კვლავ მაღალია მოსახლეობის უნდობლობის ხარისხი. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ საპენსიო სისტემაში ჩართვა უნდა იყოს ნებაყოფლობითი. რესპონდენტთა მხოლოდ 21% ჩაერთვებოდა სისტემაში ნებაყოფლობით, დანარჩენი 79% კი სისტემაში ჩართვისგან თავს შეიკავებდა.

ის რესპონდენტები, რომლებიც სისტემაში ნებაყოფლობით მონაწილეობაზე თანახმანი არიან, თავის გადაწყვეტილებას იმით ამყარებენ, რომ ისინი საკუთარი მომავლის დაგეგმვასა და უკეთესი სიბერის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობენ. ხოლო ისინი, რომლებიც სისტემაში მონაწილეობაზე უარს აცხადებენ, თავიანთი ნაგატიური დამოკიდებულების რამდენიმე მიზეზზე საუბრობენ: 64% არ ენდობა ხელისუფლებას, სისტემას გაუმართავად და დასახვეწად მიიჩნევს 20,9%, მომავალს უიმედოდ უყურებს 9,3%, ხოლო სხვა მიზეზს ასახელებს 5,8%.

გამოკითხულთა უმეტესმა ნაწილმა აღნიშნა, რომ დაგროვებით საპენსიო მოდელთან დაკავშირებით საზოგადოებაში პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის საჭიროა მეტი კომუნიკაცია საზოგადოებასთან, უფრო მეტად ინფორმირება და ახსნა იმისა, თუ როგორ მუშაობს დაგროვებითი საპენსიო სისტემა და რაში მდგომარეობს მისი უპირატესობა აქამდე არსებულ სისტემასთან შედარებით.

დასკვნები და რეკომენდაციები. დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესწავლამ და მართვის პროცესის გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ:

საქართველოში არსებული სოციალური საპენსიო სისტემიდან დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა გამოიწვევს ბიუჯეტიდან პენსიების ტვირთის გადანაწილებას დასაქმებულებზე და გადასახადის გადამხდელებს მომავალში გაცილებით მძიმედ დააწვებათ პენსიების ტვირთი;

საეჭვოდ მიგვაჩნია საქართველოში დღეს არსებული ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების, გაზრდილი უმუშევრობისა და დაბალი ხელფასების პირობებში, საპენსიო ფონდში გადარიცხული 2%-დან „ღირსეული პენსიის“ მიღება მომავალში;

საპენსიო სისტემის ეფექტიანობა მწირია, პენსიის ზრდასთან ერთად (ნომინალურ მაჩვენებლებში) მნიშვნელოვნად იზრდება სამომხმარებლო კალათის ნომინალური ღირებულება;

განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში საპენსიო რეფორმებმა გაამართლა და სასურველი შედეგები მოიტანა. თუმცა, არც ერთი ევროპული ქვეყნის საპენსიო მოდელის უცვლელად გადმოტანა ქართულ რეალობაში არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად;

საქართველოს მთავრობამ, კერძო საპენსიო ფონდების მიერ განხორციელებულ ინვესტიციებზე ისეთივე მკაცრი კონტროლი უნდა დააწესოს, როგორც ამას პოლონეთის მთავრობა ანხორციელებს;

საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე ძალიან დაბალია საზოგადოების ინფორმირების დონე, საკმაოდ მაღალია მოსახლეობის უნდობლობა ხელისუფლების მიმართ - გამოკითხულთა 85% ახალ საპენსიო სისტემას უსამართლოდ მიიჩნევს;

მიგვაჩნია, რომ დაგროვებითი საპენსიო რეფორმა საქართველოში აუცილებლად უნდა განხორციელდეს, მაგრამ ხელისუფლებას უფრო მეტი კომუნიკაცია უნდა ჰქონდეს საზოგადოებასთან რეფორმის აუცილებლობისა და მისი დადებითი მხარეების შესახებ.

ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ,
2. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4280127?publication=0
3. საპენსიო სისტემის რეფორმის მიმდინარეობის ანალიზი, IDFI,
4. https://idfi.ge/ge/analysis-of-pension-system-reform
5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020; http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf
6. დევდარიანი დ., საპენსიო სისტემათა მსოფლიო მოდელები საქართველოს კონტექსტში, https://idfi.ge/ge/world-models-pension-schemes-georgia
7. Pension System In Poland, https://www.pensionfundsonline.co.uk/content/country-profiles/poland/81
8. Pension System In Germany, https://www.pensionfundsonline.co.uk/content/country-profiles/germany
9. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი,*
10. https://www.geostat.ge/ka
11. David Amaglobeli, Hua Chai, Era Dabla-Norris, Kamil Dybczak, Mauricio Soto, and Alexander F. Tieman; The Future of Saving: The Role of Pension System Design in an Aging World; IMF staff discussion note, January, 2019
12. Werner Eichhorst, Connie Nielsen, Maarten Gerard, Gerhard Rünstler, Michael J. Kendzia, Thomas Url, Christine Mayrhuber; Pension Systems in the EU – Contingent Liabilities and Assets in the Public and Private Sector, IZA Research Report No. 42, European Parliament, December, 2011, http://ftp.iza.org/report_ pdfs/iza_-report_42.pdf
13. European Union pension systems: Adequate and sustainable? Briefing, European Parliament, November, 2015
14. http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2015/571327/EPRS_BRI%282015%29571327_EN.pdf
15. Reforming the German Public Pension System, Axel H. Borsch-Supan and Christina B. Wilke, December, 2005
16. https://www.rand.org/content/dam/rand/www/external/labor/aging/rsi/rsi_papers/2006_axel1.pdf

DEFINED CONTRIBUTION PENSION SYSTEM AND MANAGEMENT CHALLENGES IN GEORGIA

Narmania Davit
professor, Doctor of Economics
Head of the Department of Management and Administration

Chokheli Eka
Associated professor, Doctor of Economics

Keshelashvili Giuli
Associated professor, Doctor of Economics

Kharkheli Manana
Associated professor, Doctor of Economics

Sardlishvili Nino
Doctoral student

Topuria Beka
Doctoral student

Iluridze Gvanca
Master student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

The work provides discussion of the defined contribution pension reform process. In particular, it studies the process of modification of the existing social pension system and formation of the defined contribution pension system, as well as the European experience of pension systems reformation and expected risks of defined contribution pension system. It analyses the process of defined contribution pension system management and public attitude towards these processes.

Keywords: *pension reform, Pension Agency, assets management, management process, monitoring.*

აუდიტის შესახებ კანონთან ადაპტაციის ზოგიერთი პრობლემა

ნარსია მურად

აუდიტორი, ეკონომიკის დოქტორი, სეუ-ს პროფესორი,
აუდიტორული კომპანია „პრიმა აუდიტი“

სტატიაში საქართველოში 2016 წელს მიღებული „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე, აუდიტორულ ბაზარზე განვითარებული გამოწვევების გათვალისწინებით, ავტორს შესწავლილი აქვს აუდიტორული შემოწმების მომსახურების სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ტენდერების მასალები, გამოვლენილი და იდენტიფიცირებული აქვს აღნიშნული ახალი კანონის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამობის ფაქტები, სისტემურად აქვს შეფასებული ამ ფაქტების აუდიტორული შემოწმების ხარისხზე ზეგავლენისა და ამ მომსახურების მიმწოდებელ აუდიტორულ კომპანიათა შერჩევისას დისკრიმინაციის, კონკურენციის შეზღუდვის პირობების შექმნის გარემოებები და შესაძლო შედეგები. ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისათვის შეთავაზებულია მათ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, ხოლო სახელმწიფო შემსყიდველებისათვის - მათი საქმიანობის ახალ პირობებთან ადაპტაციის უზრუნველმყოფელი რიგი რეკომენდაცია.

საკვანძო სიტყვები: *აუდიტი და დემპინგური ფასი, ზედამხედველობის სამსახური, აუდიტორული კომპანია „პრიმა აუდიტი“, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, „საშემფასებლო საქმიანობის შესახებ“ კანონპროექტი, არაუფლებამოსილი პირები, დემპინგური ფასი*

2016 წელს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ ახალი კანონის მიღებამ და მისმა პრაქტიკაში განხორციელებამ, საქართველოს აუდიტორულ ბაზარზე შექმნა ახალი გამოწვევები. ამ კანონის, პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსის, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) მოთხოვნებმა წარმოშვა ამ ბაზარზე დასაქმებული აუდიტორების, აუდიტორული კომპანიების, აუდიტორული შემოწმების მომსახურების შემსყიდველების მოქმედების ამ მოთხოვნებთან ადაპტირების აუცილებლობა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ 3 წელი გავიდა კანონის ამოქმედებიდან, საკმაოდ პრობლემატური აღმოჩნდა არა მარტო აუდიტორებისა და აუდიტორული კომპანიებისათვის, არამედ განსაკუთრებით აუდიტორული შემოწმების მომსახურების შესყიდვის განზრახვის მქონე სახელმწიფო შემსყიდველებისათვის. ამიტომ საკმაოდ ხშირია ფაქტი, როცა სახელმწიფო შემსყიდველებს აქვთ განზრახვა აუდიტორული შემოწმების მომსახურებაზე შესყიდვის პირობები ჩამოაყალიბონ „ძველებურად“, რომელიც ქმნის აუდიტორული შემოწმების მომსახურების მიმწოდებლებისათვის (აუდიტორებისა და აუდიტორული კომპანიებისათვის) დისკრიმინაციულ, არაპროპორციულ, კონკურენციის შემზღუდველ, ამ ახალი კანონის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დარღვევის წინაპირობებს.

აუდიტორული კომპანია - „პრიმა აუდიტი“ ჩემი ხელმძღვანელობით, იკვლევდა ზემოაღნიშნული კანონის ამოქმედების შემდეგ აუდიტორული შემოწმების მომსახურების მიღების მიზნით სახელმწიფო შემსყიდველების მიერ გამოცხადებულ ტენდერებს, რომლის შედეგად იდენტიფიცირებულია ამ კანონის, აგრეთვე, ქვეყანაში მოქმედი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან შეუთავსებელი შემდეგი ტიპური ხარვეზები:

1. სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციები აუდიტორული შემოწმების მომსახურებაზე ტენდერის ტექნიკური დავალებისა და აუდიტორული კომპანიის შერჩევის კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას (ისეთ პირობებში, როცა 33 აუდიტორულ კომპანიას, საკმაოდ მკაცრ პირობებში ჩატარებული აუდიტის ხარისხის კონტროლის მონიტორინგის შედეგად მიღებული აქვს რა აუდიტორული საქმიანობაზე ხარისხის შესაბამისი კატეგორია), ასეთი მოქმედებით უნდობლობას უცხადებს რა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტორული კომპანიის აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლის მონიტორინგის შედეგებს, აწესებს ისეთ არაადეკვატურ კრიტერიუმებს, რომელიც ზღუდავს კონკურენციას და არ ემსახურება შემსყიდველის კანონმდებლობით განსაზღვრულ მიზანს, ხოლო ზოგჯერ ქმნის შედგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების (კრიტერიუმების) ერთ აუდიტორულ კომპანიაზე მორგების განზრახვის შთაბეჭდილებას. ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთი შემსყიდველის მიერ 06.09.2019 წ. გამოცხადებულმა (NAT190017693; NAT190017694; NAT190017697 და

NAT1900176932) ტენდერებმა, რომელიც გასაჩივრებულ იქნა ა(ა)იპ აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის მიერ. ვფიქრობ ამ ტენდერების მიმართ განვითარებული მოვლენები საკმაოდ ბევრი ასპექტით არის საყურადღებო. ამ ტენდერების საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შემსყიდველის მიერ განივთებული კრიტერიუმები იმას ნიშნავს, რომ შემსყიდველებს საკმაოდ ცუდად აქვთ გაცნობიერებული ახალი კანონის მოქმედებით ამ სფეროში განვითარებული ახალი გამოწვევები.

2. აუდიტორული შემოწმების მომსახურების სახელმწიფო შემსყიდველების ტენდერების კითხვა-პასუხის მოდულში, სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის სერტიფიკატის მქონე აუდიტორები არც თუ ისე იშვიათად აპროტესტებენ ტექნიკური დავალების მოთხოვნას იმის შესახებ, რომ შემსყიდველის მიერ მოთხოვნილია www.saras.gov.ge-ზე რეგისტრირებული აუდიტორული კომპანიის მონაწილეობა. ისინი თვლიან, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ „ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის ნორმის გამო სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებს თითქოს არ აქვთ ამ მოთხოვნის უფლება. მომსახურების სახელმწიფო შემსყიდველების ტენდერების კითხვა-პასუხის მოდულში მსგავს ჩანაწერებს ძირითადად იგნორირებას უკეთებენ შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციები და ასეთ შემთხვევებში, ვფიქრობთ ისინი სწორად იქცევიან , მაგრამ ხშირად არ იციან თუ რატომ.

3. რატომაა მიუღებელი ინტერესთა კონფლიქტის პირობებში აუდიტორულმა კომპანიამ, რომელიც, ვთქვათ, ბიზნესკომპანიას (ან სხვა შემსყიდველს), რომელსაც 2018 წლის განმავლობაში უწევდა საკონსულტაციო მომსახურებას ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსურ და საგადასახადო კანონმდებლობის საკითხებზე, ახორციელებდეს ამ კომპანიის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტს? იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტი დოკუმენტურად დადასტურებულია. პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსი, ასს სტანდარტები, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონი უკრძალავს აუდიტორულ კომპანიებს/აუდიტორებს, იმ კომპანიების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურების გაწევას, რომლებსაც იმავე პერიოდში უწევდნენ საკონსულტაციო მომსახურებას, რადგან ამ შემთხვევაში გამოდის, რომ აუდიტის განმახორციელებელი კომპანია ამოწმებს და აფასებს მისი კონსულტირების საფუძველზე შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებას. აღნიშნულთან დაკავშირებით საკმაოდ კვალიფიციურად არის მოსაზრება გამოხატული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემულ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საიტზე განთავსებულ რეკომენდაციებში (იხ.https://saras.gov.ge/ka/News/Detail/1168).

4. ზოგიერთი სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაცია, მათ შორის სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო (სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობა) თვლის, რომ სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა. ეს ასე არ არის. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სსიპ-ის/ა(ა)იპ-ის წლის ბალანსი დადასტურებული უნდა იყოს ზედამხედველი ორგანოს მიერ არჩეული დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის მიერ, ვრცელდება ა(ა)იპ-ზეც. აღნიშნული დადასტურებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“, რომლის მიხედვით სსიპ და ა(ა)იპ გათანაბრებულია. მიღებული ინფორმაციის მიხედვით ცნობილი გახდა, რომ ზოგიერთი სამინისტრო და ადგილობრივი თვითმმართველობის მენეჯმენტი თვლის, რომ რადგან მათთან შიდა აუდიტი ფუნქციონირებს, სულაც არ არის სავალდებულო და აუცილებელი მათ ზედამხედველობაში არსებულმა სსიპ-ის/ა(ა)იპ-ის წლის ბალანსი დადასტურებული იყოს დამოუკიდებელი აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ. ასეთი მოსაზრება უსაფუძვლოა იმის გამო, რომ შიდა აუდიტის მიზანი და ფუნქციები განსხვავებულია გარე, დამოუკიდებელი აუდიტის მიზნებისა და ფუნქციებისაგან. გარდა ამისა, ამ კატეგორიის საჯარო დაწესებულებათა მენეჯმენტი უგულებელყოფს, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა იმპერატიულია და სავალდებულოდ შესასრულებელი;

5. რატომ ხდება, რომ აუდიტორული შემოწმების მომსახურებაზე მთელი რიგი სახელმწიფო შემსყიდველების მიერ გამოცხადებული ტენდერები მთავრდება სტატუსით - „არ შემდგარი“ ან „შეწყვეტილია“? აუდიტორული შემოწმების მომსახურების სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციები (რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია), მათი შესაბამისი მენეჯმენტი არ იცნობს ამ მომსახურებათა სპეციფიკას, არ აქვთ ინფორმაცია ამ სფეროში მოქმედ ახალ კანონმდებლობაზე, მათ შორის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ ახალი კანონით აუდიტორულ ბაზარზე შექმნილ ახალ რეალობებსა და გამოწვევებზე, რეალურად არ სწავლობენ ამ ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს, არ ასრულებენ სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით ყოველი ტენდერისათვის

განსაზღვრულ აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოებს ან მას ატარებენ ფორმალურად, არ აწყობენ (თავს არიდებენ) „ღია კარის“ დღეებს პოტენციური მიმწოდებლების მონაწილეობით, კონსულტაციებისათვის არ მიმართავენ ამ სფეროებში დასაქმებულ ცნობილ და მაღალი რეპუტაციის პროფესიულ ორგანიზაციებს, უფლებამოსილ კომპანიებს, არ ასრულებენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სპეციალურად შემუშავებულ ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებს, ხშირად ეზარებათ და ამის გამო ფორმალურად ასრულებენ ტენდერის მომზადების პროცედურებს, მხოლოდ მათთვის ნაცნობი, საეჭვო რეპუტაციისა და კვალიფიკაციის, დაბალი თვითშეფასების მქონე პრეტენდენტებს უგზავნიან (ზოგიერთი არც ამ პროცედურას ასრულებს) წერილებს ფასთა გამოკითხვებში მონაწილეობაზე და სთხოვენ მხოლოდ ინვოისებს (ერთ ციფრს) და არა დეტალურ კალკულაციას (იმ მიზნით რათა ჰქონდეთ შესაძლებლობა განსაზღვრონ მოწოდებული ღირებულების რეალობა), არ ეცნობიან და არ სწავლობენ ანალოგიური მომსახურებებზე გასაჩივრებული ტენდერების შედეგებს, არ აფასებენ მათ, არ ითვალისწინებენ სხვა შემსყიდველების მიერ დაშვებულ შეცდომებს, არასწორად და არაადექვატურად აყალიბებენ პრეტენდენტების შერჩევის კრიტერიუმებს, დაუსაბუთებლად დაბალ საწყის ფასს აცხადებენ, ზოგჯერ კი ტენდერებს არაუფლებამოსილი სახელმწიფო შემსყიდველები აცხადებენ. ეს ყველაფერი კი ქმნის რიგი ტენდერის უშედეგოდ, კერძოდ - „არ შედგა“-ს და „შეწყვეტილია“-ს სტატუსით დამთავრების პირობებს. აღნიშნული გამო, იკარგება დრო, ყოვნდება სახელმწიფო შემსყიდველების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, სხვა აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა ანუ ფერხდება ყველა პროცესი, თუმცა არ ფერხდება ასეთი სიტუაციების „შემოქმედი“ საჯარო მოხელეებისათვის შრომის ანაზღაურების გაცემის საკითხი. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელ რიგი სახელმწიფო შემსყიდველების შესაბამის თანამშრომლებს, ზოგჯერ მაღალი რანგის მენეჯერებსაც კი არ ჰყოფნით კვალიფიკაცია, ადექვატური ინფორმაციის მოპოვების შესაბამისი უნარები და განიცდიან ამ არსებითი საკითხის მიმართ პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების დეფიციტს, საქმიანობენ ქაოტურად, წინასწარ განსაზღვრული გეგმისა და პროგრამის გარეშე. უფრო მეტიც, ამ მომსახურების სახეებზე ტენდერის მომზადების მიზნით მაღალი რეპუტაციისა და გამოცდილი კომპანიების მიერ გაგზავნილ ინფორმაციასა და რეკომენდაციებს იგნორირებას უკეთებენ, ზოგჯერ კითხვა-პასუხის მოდულში ავლენენ უსაფუძვლო სიხისტესა და სიჯიუტეს, ზოგჯერ ამ საჯარო სივრცეში ტყუილებსაც კი კადრულობენ მათ მიერ დაშვებული უხეში, პრეტენდენტების მიერ იდენტიფიცირებული შეცდომების გაბათილების მიზნით. ვფიქრობთ აღნიშნულ შეფასებებს ადასტურებს უარყოფითი შედეგით დამთავრებული და არშემდგარი/შეწყვეტილი სახელმწიფო შემსყიდველების მიერ აუდიტორული შემოწმებისა მომსახურების მიღების მიზნით გამოცხადებული შემდეგი ტენდერები: SPA190000981; NAT190000858; NAT180018665; NAT180011650; NAT180001480; NAT190003537; SPA180005892; SPA19000255 და სხვ. ამ თვალსაზრისით ვფიქრობთ საყურადღებოა 06.09.2019 წ. გამოცხადებული (NAT190017693; NAT190017694; NAT190017697 და NAT1900176932) ტენდერები და მათ გარშემო განვითარებული მოვლენები;

6. აუდიტორული შემოწმების მომსახურებაზე ფასი არ შეიძლება იყოს დემპინგური (დემპინგური ფასი - ეს არის დისკრიმინაცია ფართო ფორმატით) იმიტომ, რომ: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ ახალი კანონის, აგრეთვე საერთაშორისო ბუღალტერთა ფედერაციის მიერ დამტკიცებული პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსის (რომელიც კანონმა აუდიტორებისათვის აღიარა სახელმძღვანელო დოკუმენტად), აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) მოთხოვნებიდან გამომდინარე აუდიტორული შემოწმების განმახორციელებელი კომპანიისათვის დემპინგური ფასი ქმნის დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის (შესაბამისად შემოწმების შედეგების შეფასებისას პროფესიული აზრის თავისუფლად გამოხატვისას) და აუდიტორული შემოწმების ხარისხის შემცირება/გაუარესების, აუდიტორული შემოწმების ფორმალურად/ზერელედ, რისკების იდენტიფიცირების გარეშე მომსახურების განხორციელების პირობებს, რომელიც საბოლოო ჯამში აუდიტორულ კომპანიას აიძულებს აუდიტორული საქმიანობა განახორციელოს პატიოსნებისა და სკეპტიციზმის პრინციპის არსებითი დარღვევით (დეტალურად ეს ასპექტები შეგიძლით იხილოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტორული ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული შესაბამისი რეკომენდაციებში (იხ.https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/1168), რომლებსაც, როგორც ჩანს, არ იცნობენ სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი ორგანიზაციის შესაბამისი სპეციალისტები და მენეჯმენტი იმის გამო, რომ ფორმალურად ეკიდებიან მსგავს ტენდერებს). აღნიშნული კი ამცირებს აუდიტორული დასკვნის მომხმარებელთა ნდობას, ასეთ პირობებში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოცემული, აუდიტორული დასკვნისადმი.

7. კვლევისას დადგენილია ფაქტები, როდესაც ტენდერს აცხადებენ არაუფლებამოსილი პირები. ახალი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის, აგრეთვე ასს-ის (აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები) მოთხოვნების მიხედვით აუდიტორულ კომპანიებს აქვთ ვალდებულება აუდიტორული შემოწმების მომსახურებაზე ხელშეკრულებები გააფორმონ უფლებამოსილი პირების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ასეთი უფლებამოსილება სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებულ შპს-ებს (თუმცა არა მარტო მათ არამედ ყველა შპს-ს და სს-ის შემთხვევაში) აქვთ პარტნიორს/პარტნიორებს (იხ. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9′ მუხლის მე-5 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით შპს-ს პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას აუდიტორის არჩევაზე). ეს ნორმა სპეციალურად გაითვალისწინა კანონმდებელმა . ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელმა დააშორისშორა აუდიტორული კომპანია და ფინანსური ანგარიშგების შედგენაზე პასუხისმგებელი მენეჯმენტი, ე.ი. აუდიტორული კომპანია დამოკიდებული არ გახადა კომპანიის აღმასრულებელ მენეჯმენტზე. აღნიშნული მოსაზრების მართებულობას ადასტურებს შემდეგი ტენდერების (მათ შორის ზოგიერთი გასაჩივრებულია და დამდგარი შედეგი) მონაცემები: NAT 19000858; NAT 1800018665; SPA180006810; NAT180011650; NAT170012891; NAT190016564).

გვაქვს რა განზრახვა ამ ბაზარზე ვსაქმიანობდეთ თვითშეფასების დეფიციტის გარეშე და გვქონდა რა პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი სისტემურად შეფასება/გააზრების შესაძლებლობა, დიდი სურვილი გვაქვს კოლეგა აუდიტორებმა და აუდიტორული ბაზრის სხვა მონაწილეებმა, განსაკუთრებით სახელმწიფო შემსყიდველებმა განახორციელონ ადეკვატური აქტივობა. ეს სჭირდება აუდიტორული მომსახურების ბაზრის განვითარებას, ინვესტორებს, ბიზნესსტრუქტურებს, ხელისუფლებას ადექვატური გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

ზემოაღნიშნული პრობლემების, მათი მოქმედების ხარისხის მნიშვნელოვნად შემცირების მიზნით მიზანშეწონილად ვთვლით შემდეგი რეკომენდაციების განხორციელებას:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა გააძლიერონ ზედამხედველობა აუდიტორული შემოწმების მომსახურების სახელმწიფო შემსყიდველების მოქმედების ადეკვატურობაზე და განახორციელონ მათ კომპეტენციის შესაბამისი ზომები (თემატური სემინარების ორგანიზება, სარეკომენდაციო ინსტრუქციების გამოცემა/განახლება; სისტემატურად დამრღვევი შემსყიდველების გამოვლენა ადმინისტრაციული ზომების მიღების მიზნით და სხვ).
2. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა მონიტორინგს დაუქვემდებაროს აუდიტორული კომპანიების მიერ აუდიტორული შემოწმების მომსახურებაზე სახელმწიფო შემსყიდველებისათვის ტენდერით გაცხადებულზე გაცილებით ნაკლებ ფასად (დემპინგურ ფასად) შეთავაზების ფაქტები. ამ მიზნით გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N6-9 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესი“-ს (დანართიN1) მე-17 მუხლის „გ“ და „დ“პუნქტები, მიზანშეწონილობისას განიხილოს ამ ნორმების დაზუსტების საკითხი;
3. იმის გამო, რომ ამ საკითხებში საკმაოდ დიდია სახელმწიფო შემსყიდველების მხრიდან სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის იგნორირების ფაქტები, მიზანშეწონილია გამოცემულ იქნეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის შესაბამისი განკარგულება, რომელიც მიაპყრობს სამინისტროების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სხვა სახელმწიფო შემსყიდველების ხელმძღვანელთა ყურადღებას ადეკვატური ღონისძიებების განხორციელებაზე;
4. მიზანშეწონილია აუდიტორული შემოწმების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების კითხვა-პასუხის მოდულში აუდიტორულმა კომპანიებმა შესაბამისი ეთიკური კოდექსის ნორმების დაცვით, თამამად გამოხატონ პროფესიული აზრი სახელმწიფო შემსყიდველების მიერ დაშვებულ/გამოვლინებულ დისკრიმინაციის, კონკურენციის შემზღუდვის, არაპროპორციულობის, აშკარად დემპინგური ფასის ფორმირების ფაქტებზე, რომლებიც დისკრიმინაციულ გარემოს უქმნიან ამ პროფესიაში დასაქმებულ პრეტენდენტ აუდიტორულ კომპანიებს;
5. შეიცვალოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები, რომელშიც უნდა განიმარტოს ისეთი არსებითი ტერმინები, როგორიცაა პროპორციულობა, დისკრიმინაცია, არაკონკურენტული გარემო, დემპინგური ფასი (შესაბამისი მექანიზმებით) და სხვა; გამკაცრდეს შემსყიდველის პასუხისმგებლობა შესყიდვის ობიექტის (აუდიტორული შემოწმების და ქონების შეფასების მომსახურების) საწყისი სავარაუდო ღირებულების რეალურად განსაზღვრაზე და ამ მიზნით მათ წინაშე წარმოიშვას ვალდებულე-

ბა ფასთა გამოკითხვის პროცედურებში მონაწილეობდეს არანაკლებ 10-15 უფლებამოსილი კომპანია, რომლებთაც ჰქონდეთ ვალდებულება შემსყიდველს წარუდგინონ არა ინვოისები (რომელითაც ინიღბება დემპინგური ფასის ფორმირების ფაქტი), არამედ წარმოეშვათ ვალდებულება მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯების დეტალური კალკულაციის შედგენისა და შემსყიდველისათვის წარდგენის;

6. ვფიქრობთ, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა უნდა დაამუშაონ და პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს დროის მოთხოვნების ადეკვატური „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, სადაც, ბევრ სხვა საკითხთან ერთად, უნდა დაზუსტდეს სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ გაცემული საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის ნებართვის მქონე აუდიტორის სტატუსი, ვალდებულებები და უფლებები. ეს პროცესი არ უნდა შეაფერხოს ახალ ორგანული კანონის მიღების კვალობაზე ამ ორგანოს უმაღლეს მენეჯმენტში შესაძლო ცვლილებებით განპირობებულმა შიშმა.

7. კვლავ არსებობს გარდაუვალი აუცილებლობა ხელისუფლებამ დააჩქაროს ადეკვატური, პროფესიულ ორგანიზაციებსა და შესაბამის ექსპერტებთან შეჯერებული „საშემფასებლო საქმიანობის შესახებ“ კანონპროექტის შედგენა და საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენა, რადგან საშემფასებლო საქმიანობის ბაზარზე შექმნილი სიტუაცია საკმაოდ რთულია, რომელიც განპირობებულია დაბალი ხარისხის და მაღალი რისკების შემცველი მომსახურებით, რომელსაც დემპინგურ ფასად ახორციელებენ პასუხისმგებლობისაგან დაცლილი ქონების შემფასებლები.

8. მთელ ამ პროცესში რეკომენდებულია ჩაირთოს აუდიტის სფეროს პროფესიული ორგანიზაციები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ პროფესიულ წრეში შესაბამისი სემინარებისა და დისკუსიების ორგანიზება იმ მიზნით, რათა აუდიტორებსა და აუდიტორულ კომპანიებს ჩამოუყალიბდეთ ადეკვატური ხედვები ამ საკითხების მიმართ.

დასკვნა

სტატიაში, საქართველოში 2016 წელს მიღებული „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე, აუდიტორულ ბაზარზე განვითარებული გამოწვევების გათვალისწინებით, შესწავლილია აუდიტორული შემოწმების მომსახურების სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული, მათ შორის გასაჩივრებული ტენდერების მასალები, გამოვლენილი და იდენტიფიცირებულია აღნიშნული ახალი კანონის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამობის ფაქტები, სისტემურადაა შეფასებული ამ ფაქტების აუდიტორული შემოწმების ხარისხზე ზეგავლენისა და ამ მომსახურების მიმწოდებელ აუდიტორულ კომპანიათა შერჩევისას დისკრიმინაციის, კონკურენციის შეზღუდვის პირობების შექმნის გარემოებები და შესაძლო შედეგები. სტატიაში ხაზგასმულია რიგი სახელმწიფო შემსყიდველების მიერ აუდიტორული შემოწმების მომსახურების მიღების განზრახვისას დემპინგური ფასის ფორმირების მოტივები, მისი შესაძლო შედეგები. აღნიშნული პარალელურად იდენტიფიცირებული და გაანალიზებულია ამ მომსახურების მიმწოდებელი ზოგიერთი აუდიტორული კომპანიის მხრიდან შემსყიდველებისათვის დემპინგური ფასის შეთავაზებები, ასეთი მოქმედების მოტივები და შესაძლო შედეგები. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისათვის შეთავაზებულია მათ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, ხოლო სახელმწიფო შემსყიდველებისათვის- მათი საქმიანობის ახალ პირობებთან ადაპტაციის უზრუნველმყოფელი რიგი რეკომენდაცია.

ლიტერატურა

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საიტზე (https://tenders.procurement.gov.ge) სახელმწიფო შემსყიდველების მიერ გამოცხადებული ტენდერებზე განთავსებული ინფორმაცია;
2. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტორული ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული და შესყიდვების სააგენტოს საიტზე განთავსებული რეკომენდაციები (იხ.https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/1168);
4. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N 6-9 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესი“

5. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“საქართველოს კანონი
6. “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი

PROBLEMS WITH ADAPTATION TO THE LAW ON AUDIT (AUDITPROCUREMENT)

Narsia Murad
Doctor of Economic Sciences, Professor

Summary

In the mentioned article author compares the results of survey of information related to the service procurement of audit examination carried out by procurers at State Procurement Agency of Georgia to the requirements of new regulation „about accountancy registration, reporting and audit” and makes relevant assessments. On the basis of mentioned we have identified the terms of tenders developed by state procurers have identified with new terms, including the non compatibility of selection criteria, their reasons, have developed the recommendations to be executed for the purpose of better adaptation of state purchasers in new terms.

Key words: *Audit and damping price, Audit Company „Prima Audit.”, State Audit Service, State procurement Agency, Bill „about assessing activity”, The wrong and non adequate establishment of criteria for selecting claimers*

სიმართლით ნაშოვნი სიკეთეში დახარჯული

ნიკოლაიშვილი ერმალო
დეკანოზი, გელათის სასულიერო აკადემიის ასოც.პროფ,
გელათის სასულიერო აკადემია

ბაბუნაშვილი ეკატერინა
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოც.პროფ,
(ქუთაისის უნივერსიტეტი

თანამედროვე ეკონომიკაში აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ დოვლათი რომელსაც ასე „რუდუნებით“ აგროვებს მსოფლიო და პარალელურად ცდილობს მის „ლიბერალური“ მეთოდებით გადანაწილებას, მაშინ არის პრობლემური, თუკი ის სიმართლით, ანუ მადლით არ იქნა ნაშოვნი და სწორად, ანუ სიკეთეში არ იქნა დახარჯული. რამეთუ უფალმა ეს ყველაფერი სიყვარულითა და კეთილად შექმნა და შეუქმნა ადამს (კაცობრიობას), რათა მას მოეხდინა გამდიდრება ღმერთსა და მოყვასში.

საკვანძო სიტყვები: *უფალი, სიმართლე, სიკეთე, მსოფლიო და ეკონომიკა.*

ყოველ დრო ჟამს თავისი სირთულეები ახლავს. არ არსებობს ისეთი ჟამი, რომელსაც არანაირი სირთულე არ სდევს. კაცობრიობის ისტორია გარკვეულად მსგავს ციკლებს გადის და მოვლენები, რაც დღეს მიმდინარეობს და ხვალაცაა მოსალოდნელი, ერთგვარად ჰგავს იმას, რაც გუშინ, წარსულში იყო. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება ის სრული მსგავსება-გამეორება, ანუ მეთოდოლოგიური აზროვნებისთვის ერთობ დამახასიათებელი ჩაკეტილი წრეები, სადაც მომავალი სრულად დაკარგულია, რადგან იგი გაგებულია როგორც დაბრუნება წარსულთან. სხვა რამის თქმა გვსურს. ის ელემენტები, დღევანდელსა და ხვალინდელსაც რომ ახლავს, შესაძლოა წარსულშიც იყო, იქნებ სხვანაირი კომბინაციით, მაგრამ იყო მაინც. სწორედ უფალი სახარებაში ბრძანებს, რომ კაცობრიობის სულიერი ყოფა წარღვნამდე და ამ სოფლის დასასრულს ერთმანეთს ემგვანებიანო. ისიც კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველი საუკუნისათვის, ყოველი ათასწლეულისათვის და ყოველი წელიწადისათვის მკვეთრად გამოკვეთილი ნიშნების სრულ სახეცვლილებას, მცდელობის მიუხედავად, მაინც ვერ შევძლებთ. ნათქვამია, დრონი მეფობენ და არა მეფენიო, მაგრამ, როგორმე უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დროებითმა განცდებმა მარადიულობა არ დაგვავიწყოს და ამასთანავე, მარადიული ყოველთვის განსაზღვრავდეს დროებითს.

დღეს, ისე როგორც არასდროს, ჭეშმარიტად შემაშფოთებელია არაჯანსაღი მეთოდების ინტენსიური გამოყენების სტატისტიკური დინამიკის გაზრდილი ნიშნული მთელ მსოფლიოში, დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ ასეთ დამოკიდებულებას სხვადასხვა ფორმით მთელი კაცობრიობა ავლენს, ფაქტობრივად მისი გარეგნული გამოხატულება გლობალურ მასშტაბებს იძენს. მაგრამ, ამ საკითხის ძირითადი პრობლემატურობა ის კი არ არის, რომ ასე გაბატონებულად ბობოქრობს აღნიშნული დილემა, არამედ მისი ონტოლოგიურ ფესვთა ძიების დროულ და სწორად დაწყების აუცილებლობაშია.

პრობლემის მასშტაბურობიდან გამომდინარე, საჭიროა გაერთიანდეს ერი და ბერი. რა თქმა უნდა, ეს არ არის ახალი ტენდენციური პრობლემა, არც მისი სრული იგნორი შეიძლება. ის უნდა გვესმოდეს და გვაწუხებდეს როგორც ეკონომიკური არაჯანსაღი ტონალობითი მოვლენა, მაგრამ მისი თანამონაწილე არ უნდა გავხდეთ.

ყველა ეპოქა, ყველა საზოგადოება თავისებურად ცდილობს დასძლიოს მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე გლობალური პრობლემები, მაგრამ როგორ?

ფაქტია, პრობლემა არსებობს, ე.ი. არსებობს მისი გამომწვევი მიზეზები და ამავე დროს შესაძლებელია მოიძებნოს მისი რეალური ჯანსაღი დაძლევის გზები.

კაცობრიობა თავისი არსებობის დღიდან იბრძვის და ომობს. ჩვენი მსხვრევადი მყიფე სამყარო გამუდმებით საფრთხის ქვეშაა. იქნებ დადგა დრო, ვკითხოთ საკუთარ თავს, თავად ხომ არ ვაკეთებთ ყოველდღე ისეთ რამეს, რასაც მუდმივი ეკონომიკური, თუ პოლიტიკური კონფლიქტებისაკენ მივყავართ.

არადა, მეცნიერებათა და მეცნიერთა უმთავრეს მიზანს ოდითგანვე და თანადროულობაშიდაც წარმოადგენს ზრუნვა კაცობრიობის გადასარჩენად. მათი ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად.

ეკონომისტები ჩვეულებრივი ჭრილით ვუყურებთ და აღვიქვამთ ცხოვრების ამ პრობლემის გადაჭრის მეთოდების დანერგვას. ჩვენი აზრით, ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა განაპირო-

ბებს კაცობრიობის გადარჩენას. მათ კეთილდღეობას. ეკონომიკური ტრიადისა, რომლის ძირითადი არსი სუფთა მატერიალური მოგების მიღების ხედვაზე და მათ განაწილებაზეა გათვლილი. იმ მატერიალური შემოსავლების ზრდაზე, რომელზედაც სამწუხაროდ, ბოლომდე დამოკიდებული ხდება ადამიანი წუთისოფელში თავისი გემოვნების პრეფერენციებით. არადა, მთავარი გვავიწყდება, რომ ეს მოგება, ანუ სიმდიდრე სიმართლით უნდა იყოს ნაშოვნი და შემდეგ სიკეთით გადანაწილებული, რომელიც აშკარად ცდება სიბრტყობრივ განზომილებას და სივრცობრივი ჭრილისკენ მიგვანიშნებს.

ცხადია, თანამედროვე ეკონომიკა ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში დიდ როლს ანიჭებს მარკეტინგს და მთლიანად მის სფეროს, კერძოდ, ბაზარს თავისი მექანიზმებითა და შემადგენელი ელემენტებით, სადაც ძირითადად დომინირებს ორი მხარე: მიმწოდებლები (**კაცობრიობის** ერთი ნაწილი), რომელიც იმ იშვიათ, თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების შედეგად მიღებულ პროდუქტს მიაწოდებს მომხმარებელს (**კაცობრიობის** მეორე ნაწილს), რათა საბოლოოდ ორივე მოგებული დარჩეს.

თანამედროვე მსოფლიო ბაზარი კი მიმწოდებლებისა და მომხმარებლების საკმაოდ მრავალფეროვნებით გამოირჩევა. რაც ხისტი მიზნის მიღწევის კუთხით იწვევს მძაფრ კონკურენციას ერთმანეთში. ადგილი აქვს ბაზრის სეგმენტირებას, რომელიც უმეტესწილად არაჯანსაღი მეთოდებით ფუნქციონირებს. ქვეყნები ერთმანეთის ექსპანსიის ხარჯზე ინარჩუნებენ გაბატონებულ მონოპოლიურ მდგომარეობას, რომელიც ოლიგოპოლიასა და მეგაპოლიაში გადაიზრდება და ეს უკანასკნელი კი იწვევს მოგების არათანაბარ და არაკანონზომიერ გადანაწილებას, როგორც მიმწოდებლებზე, ასევე მომხმარებლებზე, რაც ქაოსური სიტუაციის გამომწვევი მიზეზი ხდება. ამასთანავე, მრავალ სხვა პრობლემასთან ერთად, თავს იჩენს სასურსათო, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და უმუშევრობის პრობლემები.

ამიტომაც გვამცნობს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II იმ მწარე ჭეშმარიტებას, რომ მეცნიერებათა, ხელოვნებათა, განათლებისა და ადამიანთა საქმიანობის სხვა დარგთა უმაღლესი განვითარების დრო ემთხვევა კაცობრიობის ზნეობრივი დაცემის დროს[1,გვ 54]. მაშ რა ხდება? აღნიშნული მექანიზმებით დარჩა კაცობრიობის უმეტესი ნაწილი მოგებული? დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნების დონე? ხომ არ ხდება ისე, რომ მეცნიერებათა და მეცნიერების ძირითადი ნაწილი რაღაც მთავარს და ძირითადს ივიწყებს და არ ან ვერ სწავლობს, რომელზედაც დამოკიდებულია ყველა დანარჩენი სხვა და რომელთა დამოკიდებულებაც განსაზღვრავს სწორედ ჯანსაღი, ანუ სიმართლის მოგების მიღებას (**სიმდიდრის** დაგროვებას), რასაც დადებითი შედეგი, სრული ბედნიერება ქვია, როცა სიკეთეში დაიხარჯება.

ამიტომ, დროა თითოეულმა ჩვენთაგანმა დავიწყოთ ფიქრი იმაზე, თუ სად ვეძებოთ პრობლემის ონტოლოგიური ფესვები, რა იქნება ჩვენი მარადიული ხვედრი? კარგად უნდა გვესმოდეს და განვიცდიდეთ, რომ ღმერთმა, რომელმაც შექმნა სამყარო, თავის ხატად დაბადებულისათვის შექმნა ის და სწორედ ადამიანია ამ სამყაროს არა რიგითი წევრი, არამედ მისი გვირგვინი და სისავსის აღმქმელი. ადამიანის შექმნით განცხადდა სამყაროს მოწყობის წესი, უმდაბლესიდან უმაღლესისაკენ განვითარების იდეა. თავდაპირველად ადამიანს დაეკისრა უდიდესი პასუხისმგებლობა. იგი უმნიშვნელოვანესი მისიის განსახორციელებლად შეიქმნა. მას უნდა მოეხდინა ხილული სამყაროს ინტეგრაცია და შეეერთებინა უხილავ სამყაროსთან, ე.ი. ადამიანის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო მთელი ხილული სამყაროს ფერისცვალება-განსულიერება.

ადამიანი, უპირველესად, სხეულით შემოსილი სული, ფიზიკური გარსის, ფორმის მქონე სულიერი მონადაა. იგი თავადაა მთელი სამყარო, რომელიც შემოიფარგლება გარკვეული სივრცით და ამ სივრცის შევსება მხოლოდ ღმერთს შეუძლია. ამიტომ, აუცილებელია, ღმერთის ჩვენთან მყოფობა მასთან მყოფობად ვაქციოთ.

ადამიანი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მისი სომატური ნაწილი, კიდევ უფრო მეტი, ვიდრე მისი სამშვინელი და ყოველივე ეს ავალდებულებს მას მოახდინოს საკუთარი თავის იდენტიფიცირება, რამეთუ არასწორი ცხოვრების წესი გადაიზრდება არაჯანსაღ ქმედებაში, არაჯანსაღი ქმედება არასწორ ყოფიერებაში, არასწორ ყოფაში და ამ ყოველივეს თანამონაწილე უკვე ძალაუნებურად ხდება ადამიანი, რომლის პასუხისმგებლობასა და თავისუფალი ნების ნებელობაზეა ყოველივე ნეგატიური გამოყენებული იქნეს ისე, რომ იშვას პოზიტივი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შორდება ღმერთს და ზიანდება მისი ბუნება. ასეთი ადამიანი აზიანებს მის სულიერ სამყაროს, ეს უკანასკნელი - საზოგადოებას და დაზიანებული საზოგადოება ადეკვატურ ურთიერთობებს.

“ღმერთმა შექმნა ადამიანი იმ ცხოველად, რომელმაც მიიღო ბრძანება გახდეს ღმერთი.“ - აი, მკაცრი სიტყვა ბასილი დიდისა, რომელსაც იმოწმებს გრიგოლ ღვთისმეტყველი. ადამიანი მხოლოდ ღვთის ნებით შეიქმნა, მაგრამ, ამ ერთი ნებით მისი განღმრთობა არ ხდება, ერთი ნებაა შექმნაში, ორი-განღმრთობაში. ერთი ნებაა „ხატის“ შესაქმნელად, ხოლო ორი იმისთვის, რომ იგი „მსგავსად“ იქცეს“[2, გვ 57].

თანამედროვე მსოფლიო გამოწვევები გვავალდებულებს, რომ თითოეულმა ჩვენთაგანმა და განსაკუთრებით კი ეკონომისტებმა, უპირველესად ვიფიქროთ არსებული ნეგატიური მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებზე და შემდეგ მათ დაძლევის გზებზე.

რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა მოგეჩვენოთ, აუცილებელია პრობლემა აღვიქვათ არა კონკრეტულიდან გამომდინარე, არამედ უფრო ფართო სპექტრით. დავფიქრდეთ, თუ რატომ ხდება ეს ყოველივე, მაშინ როდესაც მეცნიერულ-ტექნიკური პროცესები ამხელა ინოვაციურ მწვერვალებს იპყრობს.

დრო დადგა მივეჩვიოთ ჯანსაღ კრიტიკას და ვისწავლოთ განსჯითი ანალიზი. მართალია, მეცნიერება წინ მიდის განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ არის კი საკმარისი მისი სწორხაზოვანი პროგრესი? ამიტომ, აქსიომაა შექმნილი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები და მათი დაძლევის გზები ვეძებოთ სრულ მეცნიერებაში. რამეთუ სრულ მეცნიერებას შეუძლია ღვრომელთა მაგალითები მრავლად არის წმინდა წერილში.

მაგალითად: „ადამის გაძევება სამოთხიდან“. ამ ერთ-ერთ უმთავრეს ბიბლიურ ამბავში ადამის სახით წარმოდგენილია მთლიანად კაცთა მოდგმის - კაცობრიობის დაცემა.

ბიბლიის პირველი წიგნის დასაწყისში ნათქვამია: „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა.“(დაბ.1.1)[3] . ანგელოზთა სამყარო შექმნა მეყსეულად, მატერიალური, ნივთიერი სამყარო კი - ეტაპობრივად. წმინდა მამები ჭვრეტდნენ სამყაროს მოწყობის წესში უმდაბლესიდან უმაღლესისაკენ განვითარების იდეას. კოსმოსის შექმნის მეექვსე დღეს ღმერთმა შექმნა ადამიანი - ხილული სამყაროს გვირგვინი. მაქსიმე აღმსარებლის განმარტებით, ადამიანი არის ორი სამყაროს - სულიერისა და მატერიალურის, ხილულისა და უხილავის ჰიპოსტასი, მასშია ერთდროულად ცა და მიწა.

ღმერთმა ადამი ქვეყნის მფლობელად დაადგინა. ბიბლიაში სიტყვა „მიწა“ ხშირად აღნიშნავს არამხოლოდ ჩვენს პლანეტას, არამედ მთელ ნივთიერ-ხილულ სამყაროს. იოანე ოქროპირის განმარტებით, აღთქმა - „ფლობდეს მიწას“ წარმოადგენს ერთ-ერთ ნიშანს ღვთის მსგავსებისას. ღვთიური თვისებებია უკვდავება, სულიერება, გონიერება, სიყვარულის გრძნობა და ა.შ. ღმერთთან მსგავსება-ესაა თავისუფალი ნება, შესაძლებლობა მოტივის არჩევისა, შინაგანი ავტონომია. ესაა ის, რაც ქმნის ადამიანის პიროვნების ურღვევ სულიერ მონადას. მაგრამ ადამი გადავიდა უფლის მცნებას, შეჭამა აკრძალული ხის ნაყოფი, რისთვისაც ღმერთმა დასაჯა და სამოთხიდან განდევნა. რეალურად ადამის ცხოვრება კაცობრიობის ყოფის განსახიერებაა და მისი ცხოვრების ყოველ დეტალს უდიდესი მნიშვნელობა და სიმბოლური დატვირთვა აქვს. ანუ მან ვერ შეძლო სწორად სამოთხეზე ბატონობა, მიწის დამუშავება, სიმდიდრის შექმნა, მოვლა და გამრავლება.

„შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი....აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს..“(დაბ.1.27-28) „[3].

ასევე სამაგალითოა იგავი უგუნური მდიდრის შესახებ, რომელსაც ღმერთმა მიმადლა დიდი წყალობა და იგი გახდა საოცარი სიმდიდრის მფლობელი, რომლის დატევაც თავის ბეღელში ვერ შეძლო, გადაწყვიტა დაენგრია ის და უფრო დიდი აეშენებინა. მდიდარი საკუთარ თავს არწმუნებს იმაში, რომ მას ძალიან ბევრი სიკეთე ჰქონდა გაკეთებული და დაუდგა დრო დანარჩენი ცხოვრების წლები განცხრომაში გაეტარებინა, ანუ მან ღმერთისგან ბოძებული სიმდიდრე ჩათვალა თავის დამსახურებად და გადაწყვიტა მხოლოდ საკუთარი თავისთვის მიეძღვნა ის. წმინდა წერილის სწავლებით იმ ღამეს მას ეცხადება უფლის ანგელოზი და აუწყებს, რომ მისგან მის სულს მიიღებდა უფალი და ეკითხება თუ ვის უტოვებდა „მის მიერ“ დაგროვებულ ქონებას.

„და უთხრა მათ იგავი: ერთი მდიდარი კაცის ყანაში ზღვა მოსავალი მოვიდა; და საგონებელში ჩავარდნილმა თქვა: რა ვქნა, სად წავიღო ამდენი მოსავალი? და გადაწყვიტა: აი, რას ვიზამ: დავშლი ჩემს ბეღელებს და უფრო დიდებს ავაგებ, შევინახავ იქ მთლ ჩემს მოსავალს და სარჩო-საბადებელს. და ვეტყვი ჩემს სულს: სულო, მრავალი სიკეთე გაქვს დაგროვილი და მრავალი წლის სამყოფი: განისვენე, ჭამე, სვი და იმხიარულე. უთხრა მას ღმერთმა: უგუნურო, ამაღამვე ამოგართმევენ სულს; ვისღა დარჩება შენი სარჩო-საბადებელი?“(ლუკა.12.16-20)[3].

მსგავს ყურადღებას იმსახურებს ადგილი წმინდა წერილიდან, სადაც მსჯელობაა უფლისა და მდიდარი ჭაბუკის დიალოგზე, რომელიც საოცარი სიმდიდრის პატრონი იყო და ცხონების სურვილიც ქონდა. უფალთან საუბრის დროს მან აღიარა, რომ მცნებებს ბავშვობიდანვე იცავდა, მაგრამ როდესაც უფალმა უთხრა ის, რომ საფასეს დაგროვების სურვილის მოსაპოვებლად საჭირო იქნებოდა განეყიდა ყოველივე და შედგომოდა მას.

მისი ქმედებიდან გამოიკვეთა ის, რომ ჭაბუკმა ეს ვერ შეძლო. რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი მცნებებს იცავდა საკუთარი სიმდიდრის დაცვის მიზნით.

“ და აჰა, ვიღაც მიუახლოვდა და უთხრა მას: კეთილო მოძღვარო, რა სიკეთე ვქნა, რომ საუკუნო სიცოცხლე მქონდეს? ხოლო მან მიაგო: რად მიწოდებ კეთილს? არავინაა კეთილი, გარდა ერთის - ღმერთისა. ხოლო თუ გსურს შეხვიდე სიცოცხლეში, დაიცავი მცნებანი...უთხრა მას

ჭაბუკმა: ეს ყოველივე დამიცავს ჩემი სიყრმიდან; რაღა მაკლია კიდე? იესომ მიუგო მას: თუ გინდა, რომ სრულქმნილი იყო, წადი, გაყიდე, რაც გაბადია, მიეცი გლახაკთ, და გექნება საუნჯე ცაში; და მოდი და გამომყევი მე. ეს სიტყვა რომ მოისმინა, ჭაბუკი დაღონებული წავიდა, რადგანაც ძალიან მდიდარი იყო. ხოლო იესომ თავის მოწაფეებს უთხრა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მდიდარი ძნელად თუ შევა ცათა სასუფეველში. ამასაც გეუბნებით თქვენ: აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში“ (მათე.19.16-24)[3].

ამრიგად, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ დოვლათი, რომელსაც ასე „რუდუნებით“ აგროვებს მსოფლიო და პარალელურად ცდილობს მის „ლიბერალური“ მეთოდებით გადანაწილებას, მაშინ არის პრობლემური, თუკი ის სიმართლით ანუ მადლით არ იქნა ნაშოვნი და სწორად, ანუ სიკეთეში არ იქნა დახარჯული, რამეთუ, უფალმა ეს ყველაფერი სიყვარულითა და კეთილად შექმნა და შეუქმნა ადამს(კაცობრიობას), რათა მას მოეხდინა გამდიდრება ღმერთსა და მოყვასში.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. თბ. 2004, გვ 54;
2. ვლადიმერ ლოსკი დოგმატური ღვთისმეტყველება, თბ.2007, გვ 67;
3. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი 1989;
4. მღვდელი ბასილ ახვლედიანი, შიხაშვილი გ., ბაკაშვილი ნ., მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. თბ., „მერიდიანი“, 2009;
5. საქართველოს ეროვნული აკადემია, გელათის სასულიერო აკადემია, თბ,2006;
6. წმ.ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩანინოვი, რჩეული თხზულებები, თბ,2004.

OBTAINED WITH TRUTH SPENT IN KINDNESS

Nikolaishvili Ermalo
Archpriest, Associate Professor of Gelati Theological Academy

Babunashvili Ekaterina
Doctor of Economic Science
Associate Professor of Kutaisi University

Summary

In modern economics it is necessary to bear in mind, that wealth, the world is collecting „with trouble” and simultaneously seeks to distribute it through its "liberal" methods, is problematic if it is not obtained with truth, or in other words, with grace and is not spent properly, or in other words, in kindness. Because, the Lord created all these with love and kindness and created it for Adam (mankind) in order to enrich in the Lord and his neighbor.

Key words: *The Lord, truth, kindness, the world and economics*

შიდაორგანიზაციული კომუნიკაცია და მისი ძირითადი მახასიათებლები

ნიკოლიშვილი ნუნუ
თსუ-ის დოქტორანტი

ორგანზაციის ტიპის, ზომისა თუ საქმიანობის მიუხედავად, კომუნიკაციები ის აუცილებელი ელემენტია, რომელიც განაპირობებს მის მუშაობას. ორგანიზაციულ სისტემაში, ნებისმიერი კომუნიკაცია გავლენას ახდენს მთლიანად ორგანიზაციაზე - თანამშრომლების, მენეჯერებისა და ხელქვეითების თუ განყოფილებათაშორისი კონტაქტი მნიშვნელოვნად ცვლის კომპანიის ეფექტიანი მუშაობის, თანამშრომლების კმაყოფილებისა და შრომის ხარისხს.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ორგანიზაციული კომუნიკაციების არსი თანამედროვე ბიზნესსამყაროში, მისი როლი, ფორმები, თავისებურებები და ასევე ძირითადი ფუნქციები და მიზნები.

***საკვანძო სიტყვები**: ორგანიზაციული კომუნიკაციები, ორგანიზაცია, ორგანიზაციული კულტურა, ორგანიზაციული კომუნიკაციების ფუნქციები*

ორგანიზაციის წარმატებულ საქმიანობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის ერთ-ერთი ორგანიზაციის წევრებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციაა. ორგანიზაციაში კომუნიკაციები ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დავყოთ, ესაა კომუნიკაცია ორგანიზაციისა გარემოსთან და შიდაორგანიზაციული კომუნიკაციები, რომლებიც ორგანიზაციის შიგნით, მის წევრებსა და შემადგენელ ნაწილებს შორის ურთიერთობებს გულისხმობს. სტატიაში ყურადღებას სწორედ ამ უკანასკნელზე გავამახვილებთ.

კომუნიკაციის მრავალი განმარტება არსებობს. ის აღიწერება, როგორც პროცესი, რომლითაც გადავცემთ ინფორმაციას-სიგნალს [1, გვ 3]. ჯერ კიდევ 1951 წელს დაიწერა, რომ კომუნიკაცია ის ფუნდამენტალური აქტივობაა ორგანიზაციაში, რომელიც ყველა სხვა ფუნქციის საწყისში დევს [2, გვ 253]. კომუნიკაცია შეიძლება მივაკუთვნოთ იმ უმნიშვნელოვანეს უნარებს, რომლებიც ადამიანს გააჩნია, რადგან სწორედ მისი წყალობით ახერხებს ის სოციალიზაციას [3, გვ 1] .

უნდა ითქვას, რომ ორგანიზაციის ფუნქციონირება შეუძლებელია სხვადასხვა განყოფილებებსა და დაქირავებულებს შორის თუნდაც მინიმალური კომუნიკაციის გარეშე. ამიტომ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ კომუნიკაცია ორგანიზაციათა ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა [7, გვ 57]

ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, როგორც ორგანიზაციული, ასევე სხვა, შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც პროცესი, სადაც ადამიანი(ან ადამიანთა ჯგუფი) ცდილობს, გადასცეს რაიმეს აზრი და შინაარსი სხვა ადამიანის(ადამიანთა ჯგუფის) გონებას, ვერბალური, არავერბალური ან მედიაციური ფორმით [8, გვ 27] ეს განმარტება გვეხმარება დავინახოთ, რომ კომუნიკაციის პროცესი შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან[6, გვ 22]:

1. წყარო არის ის ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფი, ან მთლიანად ორგანიზაცია, რომელიც აფორმირებს გადასაცემ ინფორმაციას. ეს შეიძლება იყოს მენეჯერების ჯგუფი, რომლებიც გეგმავენ განაცხადონ ახალი გადაწყვეტილების ან სტრატეგიის ცვლილების შესახებ, ან ერთი რომელიმე რიგითი თანამშრომელი, რომელიც კოლეგას რომელიმე ოპერაციის შერულების თავისებურებებს აუხსნის. წყაროს აქვს სამი ფუნქცია, 1. გადაწყვეტილება კომუნიკაციის საჭიროების შესახებ, 2. გადასაცემი ინფორმაციის მომზადება(ფორმირება), 3. უშუალო კომუნიკაცია. ეს ნაბიჯები შეიძლება შესრულდეს როგორც ერთი ადამიანის მიერ, ასევე შეიძლება განაწილდეს რამდენიმეზე. მაგალითად, მენეჯერი დაავალებს თავის თანაშემწეს, გააცნოს მისი გადაწყვეტილება თანამშრომლებს.
2. შინაარსი(მესიჯი) - ინფორმაცია, რის გამოც ხდება კომუნიკაცია. ის შეიძლება იყოს ვერბალური, არავერბალური ან ორივე ერთად. ეს დამოკიდებულია გადაცემის ფორმაზე.
3. არხი(საშუალება) - ის ხერხი, ფორმა და გამტარი, რომლითაც ხდება ინფორმაციის მიტანა მიმღებამდე. პირისპირ საუბრისას ეს არის მეტყველებისა და სხვა აღქმის ორგანოების კომბინაცია. მესიჯი შეიძლება გადაიცეს სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენებით, ტელევიზიით, რადიოთი, მეილით, ტელეფონით, სოც. ქსელით და ა. შ. აღსანიშნავია, რომ დღევანდელ გარემოში ტექნოლოგიურმა განვითარებამ გაცილებით უფრო გააფართოვა, აასწრაფა და გაამარტივა ინფორმაციის გადაცემის პროცესი.
4. მიმღები - წყაროს მსგავსად, მიმღებიც შეიძლება იყოს ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, ან მთელი ორგანიზაცია. მიმღები არის ის, ვინც იღებს და რეაგირებას ახდენს წყაროს მიერ გადმოცემულ ინფორმაციაზე. მასაც სამი ფუნქცია აქვს. ესენია 1. მიიღოს ინფორმაცია; 2.

მოახდინოს მისი ინტერპრეტაცია, 3. უპასუხოს/ჰქონდეს შესაბამისი რეაგირება. სამივე ფუნქცია შეილება შეითავსოს როგორც ერთმა პირმა, ისე რამდენიმემ.

5. მიმღების უკუკავშირი უკიდურესად მნიშვნელოვანია თითქმის ყოველთვის, თუმცა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე მენეჯერისა და ხელქვეითის ურთიერთობას ეხება. რაც შეეხება თავად უკუკავშირს, ის შეიძლება გამოიხატოს ვერბალურად ან არავერბალურად(მიმიკა, თავის/ხელის მოძრაობა, საპასუხო წერილი და ა. შ.) [6, გვ 23].
6. ორგანიზაციაში კომუნიკაციების ეფექტიანობის ასამაღლებლად სასურველია, რომ მენეჯერებსა და დაქირავებულებს ჰქონდეთ უნარი, დააყენონ თავი ერთმანეთის ადგილას. ერთმანეთის ხასიათისა და კომუნიკაციის შეხების ცოდნა გაცილებით აადვილებს ინფორმაციის დინებას და ამარტივებს მუშაობის პროცესს [6, გვ 23].

ორგანიზაციული კომუნიკაციების სამ ძირითად მიზანს განიხილავენ. ესენია[6, გვ.24]

1. ინტერპერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბება;

2.თანხმობის მიღწევა;

3. ინფორმაციის მიღება.

შევხედოთ თითოეულ მათგანს და გავაანალიზოთ, რა გავლენა აქვთ მათ ორგანიზაციაზე.

ყველას სჭირდება კარგი ურთიერთობები კოლეგებთან, და სწორედ ესაა ადამიანის საწყისი მოლოდინი ნებისმიერ გარემოში, იქნება ეს ორგანიზაცია თუ სხვა - ჰქონდეს კარგი ურთერთობები ადამიანებთან, კოლეგებთან და შეეძლება თავისუფლად საუბარი როგორც სამუშაო, ასევე არასამუშაო თემებზე.

გარდა ამისა, ურთიერთობების ჩამოყალიბებით ადამიანები ცდილობენ ურთიერთგაგების მიღწევას. ეს უმეტესად გულისხმობს იმას, რომ გარკვეულ პირობებში მათ შეეძლებათ მოახდინონ გავლენა სხვების შეხედულებებსა და ქმედებებზე. ორგანიზაციაში მსგავსი შემთხვევის მაგალითად გამოდგება თანამშრომლის სურვილი, შეცვალოს შვებულების პერიოდი. ამისათვის ის ცდილობს ისე ესაუბროს მენეჯერს, რომ მან თხოვნა დაუკმაყოფილოს. მას შეიძლება მისი დარწმუნება მოუწიოს, სანაცვლოდ დამატებით სამუშაო შესთავაზოს და ა.შ.

დაბოლოს, დასაქმებულებს აქვთ კომუნიკაციები, რათა იცოდნენ, რა ხდება მათ გარშემო, რა პროცესები მიმდინარეობს ორგანიზაციაში, როგორ სრულდება ეს თუ ის ოპერაცია და ა. შ. ორგანიზაციაში კონტაქტების უმეტესობას სწორედ ეს დატვირთვა აქვს.

მიზნები დაყოფასთან ერთად, როგორც წესი, რაიმე მიზნის მიღწევა ორგანიზაციაში მოითხოვს მათ კომბინაციას.

1. კონტექსტი - მასში, როგორც წესი, იმ სიტუაციის მახასიათებლები იგულისხმება, სადაც კომუნიკაციის პროცესს აქვს ადგილი. ეს ერთ-ერთი კრიტიკული საკითხია ორგანიზაციაში, რადგან ადამიანები სხვდასხვა პირობებში, სხვადასხვა ადამიანებთან ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვანაირად საუბრობენ ან რეაგირებენ. მაგალითად, ხელქვეითები შეიძლება მოერიდონ გარკვეული საკითხების განხილვას მენეჯერთან (სხვადასხვა მიზეზთა გამო), მაშინ როდესაც ვრცლად გაარჩევენ მას სხვა თანამშრომელთან. [6, გვ 25].

კომუნიკაციებს მრავალი ფუნქცია აქვთ ორგანიზაციაში. თუმცა შეიძლება გამოვყოთ ექვსი ძირითადი. ესენია: ინფორმირება, რეგულირება, ინტეგრირება, მენეჯმენტი, დარწმუნება და სოციალიზაცია. [6 გვ 26].

ინფორმაციული ფუნქცია გულისხმობს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ყოველგვარი ინფორმაციის ეფექტიანი ფორმით გადაცემას პერსონალისათვის. ეს მოიცავს როგორც საწყის სამუშაოს თუ პროცედურების აღწერებს, ასევე ყოველგვარ ცვლილებასა და სიახლეს, დაკავშირებულს კონკრეტული სამუშაოს შესრულებასთან. ამ ინფორმაციის უმეტესი ნაწილი გაიცემა წერილობითი სახით.

რეგულაციური ფუნქცია გულისხმობს ყოველგვარ კონტაქტს დაკავშირებულს ორგანიზაციულ პოლიტიკასთან, წესებსა და შინაგანაწესთან. მაგალითად, მენეჯერმა შეიძლება მიუთითოს თანამშრომელს, რომ მან რაიმე წესი დაარღვია და შემდგომში მსგავს ქმედებას თავი უნდა აარიდოს. ასეთი ფორმის კომუნიკაცია ხშირად უსიამოვნოა, თუმცა, აუცილებელი ორგანიზაციის გამართული ფუნქციონირებისათვის.

ინტეგრაციული ფუნქცია გულისხმობს კომუნიკაციებს პროცესების კოორდინაციის მიზნით - დავალებების, ჯგუფების, პროცედურათა მიმდევრობის და ა. შ. კონტაქტები, რომლებიც ემსახურება პერსონალის საქმიანობების კოორდინირებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული საქმიანობის დუბლირება ან პირიქით, გამორჩენა.

ორგანიზაციული კომუნიკაციის მენეჯმენტის ფუნქცია მიმართულია იმისკენ, რომ დაქირავებულებმა შეასრულონ დაკისრებული ვალდებულება ასევე მმართველმა რგოლებმა დაამყარონ კონტაქტი პერსონალთან, გაიცნონ ისინი უკეთესად და, თუ ზემოთჩამოთვლილ მიზნებთან დავაკავშირებთ, იცოდნენ, როგორ „მართონ“ უკეთესად.

დარწმუნების ფუნქცია აღმოცენდება მენეჯმენტის ფუნქციიდან. მაგ. უშუალო მენეჯერი ცდილობს რაიმე კონკრეტული შეასრულებინოს თანამშრომელს. მიუხედავად იმისა, რომ ამის მოგვარება მარტივად ბრძანების გაცემით შეიძლება, დარწმუნების ხერხი გაცილებით უკეთესი შედეგებისა და ურთიერთობების გარანტორია.

დაბოლოს, ორგანიზაციული კომუნიკაციების სოციალიზაციის ფუნქცია, რომელიც ხშირად ყურადღების მიღმა რჩება ხოლმე, განსხვავებით დანარჩენებისაგან. თუმცა სწორედ ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი. სწორედ ის გვიჩვენებს, შეუძლია თუ არა ინდივიდს, კარგად მოერგოს, შეეგუოს ან, ასე ვთქვათ, „ვერ გადარჩეს“ ორგანიზაციაში. სოციალიზაცია არ ნიშნავს ყველასთან დამეგობრებას. ის გულისხმობს ორგანიზაციის კომუნიკაციურ სისტემაში ინტეგრირებულობას. ნიშნავს იმას, რომ თანამშრომელს გადაეცა ინფორმაცია იმის შესახებ, ვისთან როგორ, რაზე და როდის ისაუბროს, ან არ ისაუბროს, როგორია წერის, ჩაცმის წესი, ოფიციალური და არაოფიციალური შეხვედრების ეტიკეტი და ა. შ. მოკლედ რომ ვთქვათ, მოიცავს ორგანიზაციაში „გადარჩენისათვის“ საჭირო თამაშის წესებს.

დღესდღეობით ბევრი ორგანიზაცია აანალიზებს სოციალიზაციის ფუნქციის მნიშვნელობას და ეხმარება ახალ კადრებს ორგანიზაციაში ადვილად დამკვიდრებაში - უმეტესად გამოცდილ კადრზე მიმაგრებით, რომელიც მათ ყველა საჭირო ინფორმაციას მიაწვდის.

კომუნიკაცია შეიძლება იყოს ვერბალური, არავერბალური და ე. წ. „მედიაციური“, რაც გულისხმობს კომუნიკაციის პროცესში რამე სახის ტექნოლოგიის გამოყენებას[5, გვ 29]. როგორც წესი, ეს იყო წერილები და საერთო განცხადებები, დღეისათვის კი სხვადასხვა საშუალებების მთელი რიგი გამოიყენება, დაწყებული მეილებით, დასრულებული სოციალური მედიით.

კომუნიკაციები ორგანიზაციაში შეიძლება განხორციელდეს სამი ძირითადი მიმართულებით: აღმავალი, დაღმავალი და ჰორიზონტალური [4, გვ 576].

დაღმავალი კომუნიკაციები არის ინფორმაციის გადაცემა იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი პოზიციებიდან ქვევით და, როგორც წესი, კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ის მოიცავს ისეთი სახის ინფორმაციას, როგორიცაა, მაგალითად, სამუშოს აღწერილობა, ინსტრუქციები, ბიუჯეტის დასტური, ან პირიქით, უარყოფა, სხვადასხვა სტანდარტული ოპერაციის აღწერები, განცხადებები დაგეგმილი ცვლილებების, მისიის, ლოკალური გეგმებისა და სხვა მენეჯერული გადაწყვეტილებების შესახებ. ეს ინფორმაცია შეიძლება გავრცელდეს წერილების, განცხადებების, ვერბალური და ა. შ. ფორმით. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის გადაცემისას არსებობს მისი საწყისი ფორმის შეცვლის, შემცირების, ახსნისა თუ დაზიანების ალბათობა.

აღმავალი კომუნიკაცია, გარკვეულ პირობებში შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე დაღმავალია. მენეჯერული რგოლებისაკენ მიმავალი ინფორმაცია ხშირად მოიცავს ინფორმაციას გაყიდვების, მომხმარებლების, წარმოების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების შესახებ - ყველაფერი, რაც ორგანიზაციაში სწრაფ რეაგირებას მოითხოვს და ასევე საჭიროა მმართველობითი გადაწყვეტილებებისთვის. სწორედ ამ დროს ხდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ორგანიზაციის მენეჯერებში არსებობდეს სწორი მოსმენის კულტურა. ეს უკანასკნელი გულისხმობს უნარს, მენეჯერებს შეეძლოთ დაბალი რგოლების წარმომადგენლების მოსმენა, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი რეაგირება. ასევე მნიშვნელოვანია იყოს ნდობის მაღალი ხარისხი მენეჯერების მიმართ. როგორც წესი, სწორედ დაბალი რგოლის მენეჯერებისა და სპეციალისტებისაგან მოდის ინფორმაცია მოსალოდნელი კრიზისებისა და პრობლემების შესახებ. რაც უფრო ადრე მიეწოდება ცნობები მენეჯმენტს, მით უფრო მეტია პრობლემის არიდების ან/და უმტკივნეულოდ მოგვარების ალბათობა. თუმცა ცუდი ამბის მოყოლა არავის უყვარს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მენეჯერებს არ უნდათ მათი მოსმენა და რეაგირების ნაცვლად, დასჯის საფრთხე არსებობს.

აღმავალი კომუნიკაცია შეიძლება აღმოჩნდეს ახალი იდეების, პრობლემის კრეატიული გადაწყვეტისა და სიახლეების წყარო.

ჰორიზოტალური კომუნიკაცია, როგორც წესი, ერთი რგოლის წარმომადგენლებს, ერთ ჯგუფს ან ერთი სამუშაოს შემსრულებლებს შორის ხდება. უმეტესად, ინფორმაცია აუფრო სწრაფად და ეფექტურად მოძრაობს ჰორიზონტალურად, ვიდრე სხვა შემთხვევებში. თუმცაღა, კარგი ჰორიზონტალური კომუნიკაცია ქვეითდება მეტოქეობით, არაეფექტური კომუნიკაციების გზებით, სხვადასხვა ბარიერებით [4, გვ 576].

ზემოთ ჩამოთვლილი ფორმალური კომუნიკაციის სახეების გარდა, ორგანიზაციებში გვხვდება არაფორმალური კომუნიკაციების სახეებიც, ეს უკანასკნელი გაცილებით სწრაფად ვრცელდება, თუმცა არაზუსტი ინფორმაციის რეპუტაცია აქვთ. თუმცაღა, კვლევები ადასტურებს, რომ ისინი ხშირად ზუსტ ინფორმაციას გადასცემენ [7, გვ 58].

არაფორმალური კომუნიკაციების სისტემა საკმაოდ განსხვავდება ფორმალური კომუნიკაციური სისტემისაგან (ცხრილი) [4, გვ 576]

1. ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციების სისტემები [4, გვ 576]

	ფორმალური ორგანიზაცია	არაფორმალური ორგანიზაცია
კომუნიკაციის ტემპი	ნელი	სწრაფი
კომუნიკაციის ფოკუსი	დაგეგმილი	სპონტანური
საკომუნიკაციო არხი	უმეტესად წერილობითი	უმეტესად ვერბალური
კომუნიკაციის სტატუსი	ოქმით დოკუმენტირებული	არადოკუმენტირეული
კომუნიკაციის მიმართულება	ორიენტაცია საგნებსა და მიზნებზე	ორიენტაცია ადამიანებზე
კომუნიკაციის მაკონტროლებელი	მენეჯმენტი	ხელქვეითები
გავლენის წყაროები კომუნიკაციაში	ლეგიტიმური, იძულებითი, დაჯილდოებით, ექსპერტული	ექპერტული, საინფორმაციო, დამაკავშირებელი
სახე	ფორმალური	არაფორმალური

ორგანიზაციაში კომუნიკაციების ასამაღლებლად საჭიროა საკომუნიკაციო სისტემაში ხარვეზებისა და სირთულეების გამოვლენა და აღმოფხვრა. ინფორმაციის გაცვლა სამი ძირითადი მიზეზით ბრკოლდება:

1. ცნობების დამახინჯება - ინფორმაცია შეიძლება დამახინჯდეს სპეციალურად ან პიროვნებათშორისი კონტაქტების დამყარების სიძნელეებით. ინფორმაციის ხშირდ მახინჯდება ვერტიკალურად მოძრაობისას, როცა ხელქვეითებს აქვთ დასჯის შიში, ამიტომ გადასცემენ მხოლოდ დადებით ინფორმაციას, ან უჩნდებათ მის მიერ გადაცემული ინფორმაციის გამოუყენებლობის შეგრძნება;
2. საინფორმაციო ქსელის გადატვირთვა - მეტისმეტად დიდი მოცულობის ინფორმაციის გადამუშავება რთულდება, პროცესი ნელდება, ხელმძღვანელები კი იძულებულნი ხდებიან ყურადღების გარეშე დატოვონ, მათი აზრით, ნაკლებად მნიშვნელოვანი ცნობები.
3. ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი სტრუქტურა - არაეფექტიანი სისტემა ასევე ამახინჯებს ინფორმაციას. ეს ძირითადად დაკავშირებულია მართვის ცალკეული დონის მიერ ინფორმაციის გაფილტვრისა და კორექტირების შესაძლებლობებთან [7, გვ 61].

სრულყოფილი კომუნიკაციის სისტემა ორგანიზაციაში არ არსებობს, პროცესი დინამიკურია, მუდმივად იცვლება შესაბამისად ყოველთვის საჭიროებს მორგებასა და ცვლილებებს. თუმცა არსებობს ხერხები, რომლებიც მის გაუმჯობესებასა და ხარვეზების აღმოფხვრაში დაგვეხმარება. მაგალითად, ინფორმაციული ნაკადის რეგულირება, მმართველობითი საქმიანობის სრულყოფა, უკუკავშირის მოწესრიგება, წინადადებების შეგროვება, საინფორმაციო ბიულეტენებისა და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება [7, გვ 62].

ინფორმაციის ნაკადის ოპტიმალური დონის დასადგენად ხელმძღვანელობამ ინფორმაციაზე მოთხოვნის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი უნდა გააკეთოს როგორც მუშაკების, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან და მიღებული შედეგების მიხედვით, ეცადოს ინფორმაციის ნაკადის სასურველი „ზომის“ განსაზღვრას.

თავად ინფორმაციის ხარისხი და ხასიათი არანაკლებ მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის თავისებურებები ორგანიზაციის ტიპსა და საქმიანობაზეა დამოკიდებული, შეიძლება გამოვყოთ ისეთი საერთო კრიტერიუმები, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციური სისტემის მუშაობას არ „გადატვირთავს“ და შეაფერხებს - ინფორმაცია უნდა იყოს, გასაგები, დროული, სანდო და ა. შ.

ინფორმაციის გაცვლის საუკეთესო არხების გამოყენება, ღია და გამარტივებული კომუნიკაციების ფორმები, ასევე ნდობის მაღალი დონე თანამშრომლებში და კარგად აგებული ორგანიზაციული სტრუქტურა, ხელს უწყობს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების უფრო სწრაფ, ეფექტიან წარმართვას, დაქირავებულთა ჩართულობის დონის ამაღლებას და, შესაბამისად, უფრო წარმატებულ საქმიანობას.

ლიტერატურა

1. Beattie, G., & Ellis, A. (2014) The psychology of language and communication, Psychology Press, 312
2. Bavelas, A. & Barrett, D. (1951) An Experimental Approach to Organisational Communication, American Management Association Personnel, Vol. 27, pp. 253, 366-371.
3. Cacciattolo K., D.Soc.Sci.(Leic.), M.Sc. (Trng& HRM) (Leic.); Defining organisational communication; European Scientific Journal July 2015 edition vol.11, No.20 ISSN: 1857 – 7881, 9
4. Eunson B. (2015), Communicating in the 21st Century, Wiley 4th edition, 688

5. Hellriegel, D. & Slocum, J. (2002) Organisational Behaviour, West Publishing, 10th Edition
6. Richmond, V. P, McCroskey J. C., & McCroskey L. L. (2005). Organizational Communication for Survival: Making Work, Work. Allyn & Bacon; 3rd edition, 224
7. შუბლაძე გ, მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ; მენეჯმენტის საფუძვლები; თბილისი, უნივერსალი, 2008, 195
7. Wrench, J. S. , Punyanunt-Carter N., and Ward M. Sr. (2015) Organizational Communication: Theory, Research, and Practice . FlatWorld. 518 *(textbook)*

INTRAORGANIZATIONAL COMMUNICATION AND IT'S MAIN CHARACTERISTICS

Nikolishvili Nunu
Doctoral student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

Regardless the occupation, size or type of the organization, communications are the crucial element which maintains them viable. In the organizational system, any kind of communication has an impact on the whole organization – nature of relationships between co-workers, managers and employees or between the departments significantly changes effectiveness of the institution, satisfaction and productivity of the workers.
It will be interesting to discuss how organizational communications are understood in the modern business world, what is main it's role, forms and characteristics, what are the goals and obstacles in maintaining effective and flawless communication system in organization.

Key words: *organizational communications, organization, communications, functions of the organizational communications*

ახალგაზრდების უმუშევრობა და მისი შემცირების გზები საქართველოში

ოქრუაშვილი ნანული
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფარესაშვილი ნინო
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემა ერთ-ერთი მწვავე ეკონომიკური და სოციალური პრობლემაა, რომელიც კაცობრიობას დიდი ხანია აწუხებს. იგი აქტუალურია XXI საუკუნეშიც. უმუშევრობა არამარტო ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის სიღარიბეს, არამედ ადამიანების სულიერ, ზნეობრივ და მორალურ დეგრადაციასაც იწვევს; შესაბამისად, მოსახლეობის დასაქმების პრობლემის მოგვარება ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. 1948 წელს მიღებულ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში", ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ადამიანებს აქვთ მუშაობისა და სამუშაოს თავისუფლად არჩევის, სამართლიანი და ხელსაყრელი სამუშაო პირობების, ასევე, უმუშევრობისგან დაცვის მოთხოვნის უფლება. სამწუხაროდ, საქართველოში დღეისათვის მეტად შეზღუდულია შრომისუნარიანი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდების, ღირსეული შრომის უფლებები და შესაძლებლობები, მაღალია ახალგაზრდების უმუშევრობის დონე. ახალგაზრდობის უმუშევრობის შედეგები ყველაზე უფრო საშიშია თავისი ეკონომიკური და სოციალური შედეგებით არამხოლოდ თვით ახალგაზრდების, არამედ მთელი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. ახლგაზრდების უმუშევრობის შემცირება, გადაუჭარბებლად შეიძლება შევაფასოთ, როგორც საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი და მდგრადი განვითარების საფუძველი. შესაბამისად, ძალზე აქტუალურია ახალგაზრდების უმუშევრობის სახელწიფო რეგულირების, ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების გაზრდის ღონისძიებათა სისტემის შემუშავების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების კვლევა.

საკვანძო სიტყვები: *შრომის ბაზარი, ახალგაზრდების უმუშევრობა, ახალგაზრდების დასაქმების პოლიტიკა, პროფესიული სწავლება*

დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემის გამწვავებამ კაცობრიობის წინაშე მასთან დაკავშირებული ყველა საკითხის სისტემურად შესწავლისა და მასზე ქმედითი რეაგირების აუცილებლობა წარმოშვა. უმუშევრობა, მსოფლიოში ყველაზე სერიოზული გამოწვევაა მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობისათვის, მაგრამ განსაკუთრებით ნეგატიურად ზემოქმედებს ის ახალგაზრდებზე. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელის გაი რაიდერის შეფასებით - „ახალგაზრდებში უმუშევრობის ალბათობა ორ-სამჯერ მეტია, ვიდრე შრომის ბაზარზე მყოფი სხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანებისთვის"[1]. სწორედ ამიტომ, ქვეყნის განვითარებისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფო რეგულირება, რომელიც უმუშევრობის მწვავე პრობლემის გადაჭრასთან ერთად მათი ღირსეული ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფაზე იქნება ორიენტირებული.

საქართველოს მთავრობა ქვეყნის სამომავლო განვითარებას ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას უკავშირებს, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ადამიანური რესურსების განვითარება და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენებაა. ამ მიზნის მისაღწევად, როგორც აღნიშნულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - „საქართველო 2020", საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020 [2], აუცილებელია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარებაზე ძალისხმევის გაძლიერება, რადგან სიღარიბის დასაძლევად სოციალურ დახმარებებზე დიდად ეფექტიანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და ინკლუზიურ ზრდაში სამუშაო ძალის სრულფასოვანი ჩართულობა. საქართველოს სამთავრობო დოკუმენტის - ,,ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისათვის" - მიხედვით [3], ქვეყნის განვითარების ფუძემდებლურ პრინციპად მიჩნეულია ადამიანი და მასზე ზრუნვა, რომელიც მთავარი ფასეულობა იქნება მომავალშიც. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც საქართველოს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე ქვეყანად გადააქცევს.

დიაგრამა 1

ახალგაზრდების რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით
(ათასი კაცი) 2002-2018 წწ.



წყარო: დამუშავებულია საქსტატის 2002-2018 წწ. მასალების საფუძვლებზე

ახალგაზრდების დასაქმების და უმუშევრობის მდგომარეობის დასახასიათებლად, განვიხილეთ 2002, 2010, 2014 და 2018 წლების სტატისტიკური მონაცემები, რომელიც თვალსაჩინოს ხდის ახალგაზრდების წინაშე არსებულ მწვავე პრობლემებს და შესაბამისად, დღის წესრიგში აყენებს მათი სახელმწიფოებრივ დონეზე დაუყოვნებლივ გადაჭრის აუცილებლობას. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მეტად არასახარბიელო მდგომარეობა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის რაოდენობის შემცირებით გამოიხატა. ძალზე სამწუხაროა, რომ საქართველოში, ბოლო პერიოდში, ჩამოყალიბდა ახალგაზრდთა რიცხოვნობის შეუქცევადი კლების ტენდენცია. თუ 2002 წელს, 15-29 ასაკის შრომისუნარიანი ახალგაზრდების რაოდენობა 821.6 ათას შეადგენდა, 2010 წელს ის 815.2, 2014 წელს - 739.8, ხოლო 2018 წელს - 687.5 ათასამდე შემცირდა.

შრომისუნარიანი ახალგაზრდების რაოდენობის შემცირება, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა გარემიგრაციულმა პროცესებმა. საქართველოსათვის მეტად მწვავე პრობლემა ქვეყნიდან ახლგაზრდობის ინტენსიური ემიგრაციაა. სამწუხაროა, რომ ქვეყანას უფრო მეტად 25–29 წლის ასაკის ახალგაზრდები ტოვებენ. მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში ამ ასაკის ახალგაზრდების შემცირება, დეპოპულაციის ზღვარზე მყოფი ქვეყნისათვის უდიდესი დანაკარგია. არანაკლებ საყურადღებოა, რომ აღნიშნულ მოქალაქეთა უდიდეს უმრავლესობას მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება, საზღვარგარეთ კი ისინი, ძირითადად არასპეციალობით მუშაობენ და დაბალკვალიფიციურ სამუშაოებს ასრულებენ. ეს კი, მათ სამომავლო დეკვალიფიკაციასა და გრძელვადიან პერსპექტივაში შრომის ბაზარზე არაკონკურენტუნარიანობას განაპირობებს.

დიაგრამა 2

ახალგაზრდა დასაქმებულთა რაოდენობა (ათასი)
ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2002-2018 წწ.



წყარო: დამუშავებულია საქსტატის 2002-2018 წწ. მასალების საფუძვლებზე

ისევე როგორც ქვეყანაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში, დასაქმებულ ახალგაზრდებშიც მაღალია თვითდასაქმებულთა წილი. ამასთან, მათი უმრავლესობა მიზერული შემოსავლის მიღებასაც ვერ ახერხებს.

დიაგრამა 3

ახალგაზრდა თვითდასაქმებულთა რაოდენობა (ათასი) ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2002-2018 წწ.



წყარო: დამუშავებულია საქსტატის 2002-2018 წწ. მასალების საფუძვლებზე

ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ თვითდასაქმებულთა აბსოლუტური თუ არა, უდიდესი უმრავლესობა არასრულად დასაქმებული ან ფარული უმუშევარია. განსაკუთებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ უმუშევართა დიდი ნაწილი სამუშაოს დიდი ხნის განმავლობაში ვერ პოულობს, რაც კიდევ უფრო ამწვავებს ახალგაზრდების უმუშევრობის ისედაც მძიმე მდგომარეობას /დიაგრამა 4./

დიაგრამა 4

უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%) 2002-2018 წწ.



წყარო: დამუშავებულია საქსტატის 2002-2018 წწ. მასალების საფუძვლებზე

საქართველოში, ახალგაზრდების მაღალი უმუშევრობით, სამწუხაროდ, მსოფლიოში ,,ლიდერული“ პოზიციები გვიკავია. 15-19, 20-24, 25-29 წლების ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდებში, 2018 წელს უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე 20-24 წლების მქონე ასაკობრივ კატეგორიის ახალგაზრდებში დაფიქსირდა - 30,8%. მართალია, 15-19 წლების მქონე ასაკობრივ კატეგორიის ახალგაზრდებში 2018 წელს გამოხატული იყო მნიშვნელოვანი პროგრესი უმუშევრობის შემცირების მიმართულებით, კერძოდ კი, უმუშევრობის დონე, 2014 წელს არსებული 37.0%- დან 26,6 %- მდე შემცირდა, თუმცა, მდგომარეობა კვლავ სავალალოა. ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლები ასახავს ახალგაზრდების მიერ სამუშაო ადგილების ძებნისას არსებულ სირთულეებს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს. ახალგაზრდების უმუშევრობის დონე საქართველოში მნიშვნელოვნად აღემატება არამხოლოდ განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს /იხ.

14. Pilelienė, L., Grigaliūnaitė, V. Lithuanian Tourist Satisfaction with European Summer Holiday Destinations. 4th International Conference EATSA 2018: Challenges of tourism development in Asia & Europe, France, Dijon, June 18 22, 2018.
15. Famiyeh, S., Asante-Darko, D., Kwarteng, A. Service quality, customer satisfaction, and loyalty in the banking sector. International Journal of Quality & Reliability Management, 2018, Vol. 35, No. 8, pp. 1546-1567.
16. Ali, R., Leifu, G., Yasirrafiq, M., Hassan, M. Role of perceived value, customer expectation, corporate image and perceived service quality on the customer satisfaction. The Journal of Applied Business Research, 2015, Vol. 31, No. 4, pp.1425-1437.
17. Minh, N.H., Ha, N.T., Anh, P.C. and Matsui, Y. Service quality and customer satisfaction: A case study of hotel industry in Vietnam. Asian Social Science, 2015, Vol. 11, No. 10, pp. 73-85.
18. Aulia, S. A., Sukati, I., Sulaiman, Z. A review: Customer perceived value and its dimension. Asian Journal of Social Sciences and Management Studies, 2016, Vol. 3, No. 2, 150-162.
19. Demirgüneş, B. K. Relative Importance of Perceived Value, Satisfaction and Perceived Risk on Willingness to Pay More. International Review of Management and Marketing, 2015, Vol. 5, No. 4, pp. 211-220.
20. Yang, Zh., Peterson, R. T. Customer Perceived Value, Satisfaction, and Loyalty: The Role of Switching Costs. Psychology & Marketing, Vol. 21, No. 10, pp. 799-822.
21. Negricea, C., Edu, T. Characteristics of the buying decision process for Japanese products – a European customer's market perspective. Romanian Economic and Business Review, 2016, Vol. 10, No. 4, pp. 187-198.
22. Johnson, M. D., Gustafsson, A., Andreassen, T. W., Lervik, L., Cha, J. (2001). The evolution and future of national customer satisfaction index models. Journal of Economic Psychology, 2001,Vol. 22, 217-245.
23. Cassel, C., Eklöf, J. A. Modelling customer satisfaction and loyalty on aggregate levels: Experience from the ECSI

pilot study. Total Quality Management, 2001, Vol. 12, No. 7-8, pp. 834-841.
24. Monther, W., Mahadevan, A. The Impact of Service Quality on Customer Satisfaction: A Study of Arab restaurants in Malaysia. International Journal of Accounting & Business Management, 2019, Vol. 7, No.1, pp. 103-120.
25. Eshuis, J., Klijn, E.-H., Braun, E. Place marketing and citizen participation: branding as strategy to address the emotional dimension of policy making? International Journal of Administrative Science, 2014, Vol. 80, No. 1, pp. 151-171.
26. Goovaerts, P., Van Biesbroeck, H., Van Tilt, T. Measuring the effect and efficiency of city marketing. Procedia Economics and Finance, 2014, Vol. 12, pp. 191-198.
27. Zenker, S., Rütter, N. Is satisfaction the key? The role of citizen satisfaction, place attachment and place brand attitude on positive citizenship behavior. Cities, 2014, Vol. 38, pp. 11-17.
28. Zenker, S., Petersen, S., Aholt, A. The Citizen Satisfaction Index (CSI): Evidence for a four basic factor model in a German sample. Cities, 2013, Vol. 31, pp. 156-164.
29. Nigro, H. O., González Císaro, S. E. The citizen satisfaction index: Adapting the model in Argentine cities. Cities, 2016, Vol. 56, pp. 85-90.
30. Van de Walle, S. Explaining Citizen Satisfaction and Dissatisfaction with Public Services. In: Ongaro, E. & Van Thiel, S. (eds). The Palgrave Handbook of Public Administration and Management in Europe. London: Palgrave Macmillan, 2018, pp. 227-241.
31. Bueno, Ch. F. Citizen Satisfaction Index System (CSIS)-Candon City. Utilization Conference on the Results of the CY 2013, DOI: 10.13140/2.1.3938.2084.
32. Carinugan, J. T., Reario, R. A., Lim, M. E., Anog, M. E. Citizen Satisfaction Index System (CSIS) Implementation in Santiago City, Isabela. Asian Review of Public Administration, 2015, Vol. 26, Nos. 1 & 2, pp. 32-38.
33. Noda, Y. Nonlinear Effects on Citizen Satisfaction and Different Levels of Governments in Japan. Asian Review of Public Administration, 2014, Vol. 25, No 1, pp. 74-91.

კაპიტალისტური ურთიერთობების ტრანსფორმაციის საკითხისათვის – ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა საქართველოში

რუსიაშვილი გიორგი
ე.მ.დ., პროფესორი
სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური
აღორძინებისა და E-განათლების განვითარების
საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე

„საქართველოში მაღალია სიღარიბისა და უთანასწორობის, მაჩვენებლები. ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის წილი 20%-ს არ აღემატება. მძიმეა უმუშევრობის მაჩვენებლები, ხოლო დასაქმებულთა შორის არაპროპორციულად მაღალია საჯარო სექტორში მომუშავეთა წილი. შეზღუდული რესურსების ფონზე ბუნებრივად გაიზრდება კონკურენცია ქვეყნებს შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ“[1].

საქართველოს შემდგომი ეკონომიკური განვითარების მიზანი 90–იანი წლების შოკური თერაპიით[2] *გამოწვეული კაპიტალისტური ურთიერთობებიდან გამოსვლა უნდა იყოს, როდესაც ალეგორიულად „ბუტკები ყველა ნაბიჯზე“ პრინციპით, ზოგადად დაშვებული გახდა ყველაფერი, რაც არ არის კონკრეტულად აკრძალული მრავალწლიანი ეკონომიკური და პოლიტიკური აკრძალვების და შეზღუდვების საბჭოთა ერის შემდეგ. ტრანსფორმაცია უნდა მოხდეს კორპორაციული კაპიტალიზმის განვითარების კუთხით, რომელიც თანამედროვე ცხოვრების რეალობას და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ ხერხემალს წარმოადგენს.*

საკვანძო სიტყვები: *90-იანი წლების შოკური თერაპია, ეკონომიკური პოლიტიკა, საგადასახადო ლიბერალიზაცია, ინოვაციური ზრდა, ჯინი ინდექსი, საფონდო ბაზარი, კვლევა და განვითარება, მწვანე ეკონომიკა, ფინანსური კაბალა, ეკონომიკური განვითარება, პროგრესული დაბეგვრა, აკადემიური თავისუფლება*

საგადასახადო ლიბერალიზაციის მიდგომის შეზღუდვები ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების მოცემულ ეტაპზე

კორპორაციული კაპიტალიზმი დაფუძნებულია, მათ შორის, დინამიური კონკურენციის ცნებაზე[3], ანუ კონკურენცია ინოვაციის შემძლე და განმახორციელებელ სტრუქტურებს შორის „მასშტაბის ეკონომიკის“ დაშვებებიდან გამომდინარე, ნაცვლად „ველური კაპიტალიზმისა“, როდესაც ლიბერტარიანული მოდელის საფუძველზე არ არის საჭირო, მაგალითად, კვების პროდუქტების უსაფრთხოების რეგულირება, რადგან „გონიერმა“ მომხმარებელმა თვითონ უნდა განსაზღვროს თუ რითი იკვებოს“.[4]

სწორედ ამ პოსტულატის დამსახურებაა, რომ ზოგადად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქვეყანა „პაპუასებით“ დასახლებული ტერიტორიაა, სადაც ბიზნესს აქვს აპრიორი მინიჭებული უფლება ნებისმიერი საქმიანობა განახორციელოს მოგების მიღების მიზნით. კერძოდ, სადაც სამარშრუტო ტაქსებს შეუძლიათ მძიმე ლითონების და განსაკუთრებით ტყვიით დაბინძურებული დიზელის საწვავი გამოაბოლქვონ, ხოლო სახელმწიფომ კი რატომღაც უნდა იზრუნოს კერძო ტაქსების გარეცხვასა და შეღებვაზე[5][6].

ამ მიმართულებით შეიძლება ფილოსოფიური დისკურსის გაშლა, მაგრამ ოკამ–რაზორის[7] მარტივი მეცნიერული პრინციპის საფუძველზე ჩვენ ვიყენებთ და ვეყრდნობით ევროკავშირის ქვეყნებში მიღებულ საუკეთესო პრაქტიკას და ახალი ველოსიპედის გამოგონება არ მიგვაჩნია უპრიანი.

შესაბამისად საჭიროა შეიქმნას ან უფრო ეფექტიანად ამუშავდეს მომხმარებელთა უფლებების

---

[1] საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი (2013-2018)

[2] როდესაც ცხოვრების უკეთესი პირობების მიღწევის გზაზე ადამიანთა გარკვეული ნაწილი შეიძლება საერთოდ არ გადარჩეს, როგორც ებრაელი ერის გამოსვლისას ეგვიპტიდან.

[3] http://www.nber.org/papers/w23829

[4] აღსანიშნავია ის გახშირებული ფაქტები, რაც ბაგა-ბაღებში ფალსიფიცირებული რძის პროდუქტის შეტანას უკავშირება (რძე, ყველი, კარაქი და სხვ). სავარაუდოდ ამას ტოტალური ხასიათი აქვს ქვეყანაში, უბრალოდ ბაგა-ბაღებში, როგორც ჩანს, უფრო კარგადაა მონიტორინგის საქმე აწყობილი

[5] tps://www.kvirispalitra.ge/economic/40094-ratom-ithkhovs-mamuka-khazaradze-arakondiciuri-satsvavis-math-shoris-dizelis-shemotanis-akrdzalvas.html

[6] https://1tv.ge/news/kakha-kaladze-taqsebis-sheghebvastan-dakavshirebit-dzalian-saintereso-gegma-gvaqvs-shemushavebuli/

[7] https://science.howstuffworks.com/innovation/scientific-experiments/occams-razor.htm

დაცვის და კონტროლის სააგენტო, რომლის ფუნქციაში იქნება რამდენიმე მომენტი: 1) მონიტორინგი გაუწიოს არაკეთილსინდისიერ რეკლამას, ანუ მართებულად რეკლამირებული უნდა იყოს მხოლოდ შესაბამისი საქონელი და მომსახურება; 2) საქონელი უნდა იყოს სათანადოდ სახელდებული (არ შეიძლება სპრედს ერქვას კარაქი და ა.შ.); 3) ევროკავშირის რეგულაციებით მითითებული უნდა იყოს ეტიკეტზე შესაბამისი შემადგენლობა ზედმიწევნით, დამალვის გარეშე[8].

ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას უნდა გააჩნდეს რამდენიმე პრიორიტეტი, მაგ.:

– ინფლაციის შეჩერება-შენარჩუნება

– დასაქმების ზრდა

– ჯინი ინდექსის შემცირება (გაუმჯობესება)

ასეთ პრიორიტეტებს პოპულისტურ საზოგადოებებში მშპ-ის ზრდის ტემპი წარმოადგენს, რაც ხშირად არა ინტენსიური (ინოვაციური), არამედ ექსტენსიური ზრდის ხარჯზე მიიღწევა მხოლოდ.

საბოლოო ჯამში არ არსებობს ისეთი დეფინიცია, როგორც იაფი ან ძვირი საქონელი, არამედ თუ მას გადავიტანთ სამუშაო საათების კატეგორიაში: საქონელი, რომელზეც უფრო მეტი შრომაა დახარჯული, თუ საქონელი, რომელზეც უფრო ნაკლები შრომაა დახარჯული.

ყველა სხვა თანაბარ პირობებში, რა თქმა უნდა, ჯობია მეორე მიდგომა, თუ საუბარია ერთ დახურულ ეკონომიკაზე. მაგრამ თუ საუბარია ექსპორტის და იმპორტის თანაფარდობაზე, მაშინ თავისუფალი ვაჭრობის (free-trade)[9] მომხრეები ქადაგებენ, რომ "ქართველი" ადამიანის ნებისმიერი სახით მეტ შრომას, მათ ურჩევნიათ უცხოელის ნაკლები შრომა, რაც აბსურდია.

ასევე აბსურდულია ის პოსტულატი, რომ თუ საზოგადოებამ მოინდომა ის შეინარჩუნებს სახელმწიფოებრიობას გლობალიზაციის პირობებში ერებს შორის არსებული კონკურენციის პირობებში, მათ შორის დასაქმების კუთხით.

მოგების ზრდა აბსოლუტურად შეიძლება გამოწვეული იქნეს ან გაყიდვების და ფასის ზრდით, ან ხარჯების შემცირებით. უკანასკნელი ზოგადად ეკონომიკისთვის არსებობს მხოლოდ თეორიულად, რადგან ერთის დანახარჯი, მეორის გასაყიდი ფასია და ეკონომიკა კი ციკლური სისტემაა. ფასის ზრდა კი ნორმალურ პირობებში არსებობს როგორც შედეგი მოთხოვნის ზრდისა არსებული სიმძლავრეების გამოყენების პირობებში.

იმ შემთხვევაში თუ დავუშვებთ, რომ ბაზარი ფუნქციონირებს ეფექტიანად, მაშინ მოთხოვნის ზრდასა და მიწოდებას შორის დეფიციტის წარმოქმნის პირობებში ვაწყდებით შემდეგ კანონზომიერებას:

1. ფასის ზრდა იწვევს
2. სიმძლავრეების დამატებას (ექსტენსიური განვითარება), რაც იწვევს
3. ინოვაციას (ინტენსიური განვითარება) კონკურენციის პირობებში და შედეგად
4. ახალი მოთამაშეების შემოსვლას ბაზარზე.

გადასახადების საშუალებით მოგების დონის ხელოვნური შემცირება ხელს უწყობს ინტენსიური ზრდის მიღწევას (რომელიც აუცილებელია ქვეყნის მშპ-ის 4%-ზე ნაკლები ყოველწლიური ტემპით ზრდის პირობებში) იმ დროს, როდესაც მოგების დონის ზრდა ბიზნესში ხელს უნდა უწყობდეს პირიქით საწარმოო სიმძლავრეების მოცულობის ზრდას (ექსტენსიური განვითარება)[10].

შესაბამისად ინტენსიური ზრდა ხელს უწყობს დანახარჯების შემცირებას, მაგრამ უფრო ძვირია საზოგადოებისათვის და მოითხოვს R&D დახარჯების გამოქვითვას (IFRS შესაბამისად[11]) და გაწევის სტიმულირებას სხვადასხვა ინსენტივების შეთავაზების ხარჯზე სახელმწიფოს მხრიდან (როდესაც სახელმწიფოს გააჩნია ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების 70-80% თანადაფინანსების რესურსი, ეროვნულმა სახელმწიფომ (პროფ. უგო პაგანოს მიხედვით[12]) ამაზეც უნდა იფიქროს). ექსტენსიური განვითარება არ უწყობს ხელს დანახარჯების შემცირებას, თუმცა უფრო იაფია და შესაბამისად არ უნდა საჭიროებდეს რაიმე განსაკუთრებულ ყურადღებას ეროვნული სახელმწი-

---

[8] ამასვე ადასტურებს ბოლო დროს ამოქმედებული ნორმა, რომლის მიხედვით ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას ექვემდებარება საქმიანობათა ის სახეები, რომელიც კანონმდებლობით არის განსაზღვრული. მათ შორის სავალდებულო სარეგისტრაციო საქმიანობის კატეგორიას განეკუთვნება „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით" გათვალისწინებული საქმიანობა, რომელიც უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას; ვეტერინალური პრეპარატის წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას; პესტიციდის წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას; აგროქიმიკატის წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას; პირველად წარმოებას, რომელიც მოიცავს (მცენარის მოყვანას (მოსავლის აღების, ნაყოფის კრეფის ჩათვლით); ცხოველის გაზრდას, მოშენებას დაკვლამდე, აგრეთვე რძის წველას. პირველადი წარმოება ასევე მოიცავს ნადირობას, თევზჭერას და ველური მცენარეების შეგროვებას); ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მომსახურებას.

[9] https://www.investopedia.com/terms/f/free-trade.asp

[10] http://factcheck.ge/article/girchi-bolo-sam-tselitsadshi-saqarthveloshi-ekonomikuri-mdgomareoba-gauaresda/

[11] https://www.ifrs.org/

[12] http://www.ugopagano.info/

ფოს მხრიდან საგადასახადო მექანიზმების გამოყენების ფორმით. აქედან გამომდინარე, რადგან მცირე ზომის ეკონომიკის (small open economy) შემთხვევაში მასშტაბის ეკონომიკის დაშვებიდან (economy of scale)[13][14] მეწარმეებს არ გააჩნიათ დამატებითი ინსენტივი გააფართოვონ წარმოება და მიიღონ დამატებითი მოგება, გადასახადების შემცირება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს 1) ინტენსიური (ინოვაციური) ზრდის მიღწევას ან 2) ფასების შემცირებას ეკონომიკაში.

შესაბამისად, ინოვაციის წახალისების მიზნით დასანერგია მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს კვლევის და განვითარების ხარჯების თანადაფინანსების ფონდის შექმნას სახელმწიფოს და კერძო ბიზნესის თანამონაწილეობის საფუძველზე (PPP თანამშრომლობის ფორმით)[15].

ნობელის პრემიის ლაურეატის, ამერიკელი მეცნიერის პოლ კრუგმანის[16] მიხედვით პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში საგადასახადო წნეხი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 14%-ს. ამასთან, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოში საგადასახადო წნეხი შეადგენს 24-25%-ს[17] (2017 წელს საბიუჯეტო საგადასახადო შემოსავლები 8,991,300 ლარი : მშპ-ს მოცულობაზე 38,042,200 ლარზე), რაც თუმცა შესაბამისობაშია რანის[18] (გაუმჯობესებული ლაფერის[19]) თეორიის პარამეტრებთან (20-21%), მაინც არამართლზომიერად მიგვაჩნია გარდამავლი ტიპის ეკონომიკისათვის სახელმწიფო სექტორის თანდაყოლილი არაეფექტიანობის და კაპიტალისტური წესით წარმოებული ბიზნესის დაზოგვით ხასიათთან წინააღმდეგობაში მყოფი მხარჯველობითი მიდრეკილების გამო: „ხარჯვის კულტი“ ქოუზის თეორიით[20].

აქედან გამომდინარე ნათელია, შემდგომი საგადასახადო ლიბერალიზაციის მოთხოვნა ე.წ. „ესტონური მოდელის“[21] შემოღების შემდეგ, რასაც ახალი პოლიტიკური რეალიებიც უწყობს ხელს, წარსულში სახელმწიფოსგან ფართომასშტაბიანად დატერორებული ბიზნესის ფონზე, რომელიც საბოლოოდ განთავისუფლდა „ქართული ოცნების“ ახალი ხელისუფლების პირობებში.

თუმცა, ქვეყნის სამეცნიერო წრეებში ბოლო დროს ფართოდ დისკუსირებული საგადასახადო ლიბერალიზაციის მიდგომის ობიექტური შეზღუდვები შემდეგი სახისაა:

- მძიმე სოციალურ - ეკონომიკურ ფონზე, როდესაც სახელმწიფოს უპირველესი მიზანია სოციალური ვალდებულებებისათვის ბიუჯეტის შევსების მიზნით სახელმწიფო გადასახადების აკრეფა და პენსიების და დახმარებების გაცემა, მთავრობა ალბათ ძნელად დათანხმდება საგადასახადო ლიბერალიზაციას.
- აგრეთვე, ქვეყნის განვითარების კრიტერიუმად არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ეკონომიკური ზრდა (რაც თავისუფლად შეიძლება მიღწეულ იქნეს საგადასახადო ლიბერალიზაციით), არამედ ასევე ჯინი ინდექსის მიხედვით მოსახლეობის შემოსავლების გამოთანაბრება, რაც მხოლოდ საგადახადო ლიბერალიზაციით ვერ მიიღწევა, რადგან 1) საფონდო ბირჟების განუვითარებლობისა და 2) მცირე ზომის, "ექსპორტ განუვითარებელი" და შეზღუდული ადგილობრივი მოხმარების მქონე ეკონომიკის პირობებში, მეწარმეები არ მიისწრაფვიან მოგების მაქსიმიზაციისკენ, რაც როგორც წესი ქმნის არა მარტო დამატებით დოვლათს, არამედ დამატებით სამუშაო ადგილებსაც და დამატებით შემოსავალს, არამედ ხელს უწყობენ ეკონომიკურ სტაგნაციას, რადგან ნებისმიერი ახალი ინვესტიცია/რეინვესტიცია რისკია კაპიტალის მფლობელისათვის.
- აქედან გამომდინარე სახელმწიფოსგან ეკონომიკაში დაბრუნებული ნებისმიერი ლარი წარმოადგენს მხოლოდ კაპიტალისტის დამატებით შემოსავლის წყაროს, რაც საბოლოო ჯამში მართალია აისახება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში მოგების ზრდის სახით, სხვა თანაბარ პირობებში, მაგრამ ამით არაფერ სარგებელს და შვებას მიიღებს ჩვეულებრივი მოქალაქე, რომლის კეთილდღეობასაც ყველაზე უპრიანად სწორედ ჯინი ინდექსის დონე ზომავს და არა მშპ-ის ზრდის დინამიკა.
- ამასთან კლასიკური ეკონომიკური მიდგომით მოგების გადასახადის დამატებითი წნეხი ყოველთვის ხელს უწყობს ინოვაციურ განვითარებას და საზოგადოებრივ პროგრესს, რადგანაც ბიზნესს აყენებს ისეთი მდგომარეობაში, რომ დაზოგოს გამოგონების და ტექნიკური პროგრესის ხარჯზე[22].
- შესაბამისად ჯინი ინდექსის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია არა საგადასახადო წნეხის შესუსტება, არამედ მისი გარკვეული დოზით გაძლიერებაც კი იმისათვის, რომ სახელმწიფომ ამოიღოს ბიზნესიდან რაც შეიძლება მეტი ჯინი ინდექსის გამოთანაბრების მიზნებისთვის,

---

[13] https://www.investopedia.com/terms/e/economiesofscale.asp
[14] https://www.economicsnetwork.ac.uk/slides/Macro1_Small_Open_Economy_lob.ppt
[15] https://www.investopedia.com/terms/p/public-private-partnerships.asp
[16] https://krugman.blogs.nytimes.com/
[17] http://www.geostat.ge/
[18] https://www.slideshare.net/NurlanJahangirli/rahn-curve
[19] https://www.investopedia.com/terms/l/laffercurve.asp
[20] https://www.investopedia.com/terms/c/coase-theorem.asp
[21] http://www.amcham.ge/diary/rtable_2016-03-09/estonian-model.pdf
[22] გიორგი ბაქრაძის ლექცია - მსოფლიო ეკონომიკური ისტორიის მიმოხილვა https://www.youtube.com/watch?v=XFDdWBYg4II

მაგრამ ამავდროულად კი დამატებით მაქსიმალურად წაახალისოს ბიზნესი შექმნას ინოვაცია, რაც განპირობებული იქნება არა მარტო მოგების დონის შენარჩუნება/ზრდის ისედაც არსებული მოტივაციით, არამედ სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი სტიმულებით.

ინოვაციური ზრდის პერსპექტივები საქართველოში.

კლასიკური რეკომენდაციების თანახმად, თუ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპი არ აღემატება 4%-ს წლიურად, მაშინ ქვეყანამ უნდა მიმართოს ეკონომიკის მკვეთრ ინოვაციურ განვითარებას თუ არადა მისი ჩამორჩენა მოწინავე ქვეყნებისგან უფრო და უფრო გაღრმადება და ტექნოლოგიური თვალსაზრისით მათი დაწევის შესაძლებლობა სრულად უპერსპექტივო აღმოჩნდება ახლო პროგნოზირებად მომავალში.

როგორ შეიძლება განიმარტოს ინოვაციური განვითარება - ეს რა თქმა უნდა არის ინტენსიური განვითარება, ანუ უფრო მწარმოებლური, პროდუქტიული და ეფექტიანი განვითარება, როდესაც ერთი და იგივე რესურსის დაბანდებისას უფრო მეტი სარგებელი, შედეგი მიიღება, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოებრივ - ტექნიკურ პროგრესს გვაძლევს.

ზოგადად მიჩნეულია, რომ ეროვნული სახელმწიფოები ხელს უწყობენ ინოვაციის გა-ნვითარებას, რისი განხორციელებაც სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება აღიწეროს:

1. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მკაცრი საკანონმდებლო დაცვა, რომ ფირმებს გაუჩნდეთ მოტივაცია შექმნან ინოვაციური პროდუქტი, რაც ამავდროულად უბიძგებს დინამიურ კონკურენციას ანუ კონკურენციას არა ყველა სუბიექტს შორის ვისაც ამის სურვილი აქვს, არამედ მათ შორის ვინც ქმნის ინოვაციურ პროდუქტს. რაც ოპტიმალურ დონემდე შეამცირებს „კონკურენცია - ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა“ დიალექ-ტიკური წინააღმდეგობის საზოგადოებრივ ხარჯს.
2. ანტი-მონოპოლიური რეგულირება, რომელიც გულისხმობს მონო/ოლიგოპოლისტი ფირმების, კომპანიების მიერ (იმ შემთხვევაში თუ ფლობენ ბაზრის 25%-ზე მეტს), გადასახადის გადახდას თითოეულ ფლობილ ზენორმატიულ წილის პროცენტზე საზოგადოებრივი დანახარჯის შესამცირებლად (პარ-პინდელ-პარშმანის [23] თეორიული ინდექსის და ევროკავშირის პრაქტიკული რეკომენდაციების საფუძველზე; ცხრილი 1).
3. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ბასს სტანდარტი 38) კვლევის და განვითარების კრიტერიუმების დადგენა (ცხრილი 2)[24].
4. დადგენილი კრიტერიუმების თანახმად *მხოლოდ* განვითარების ხარჯების კომპენსირება (მაგალითად 70%/30% თანაფარდობით, ანუ განვითარების ხარჯის 70% ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ, ხოლო ხარჯის 30% წარმოადგენს კომპანიის სუფთა დანახარჯს, რაც ამავე დროს საგადასახადო მიზნებისათვის მაინც ჩამოიწერება მოგება-ზარალში)[25].
5. ამასთან კვლევის ხარჯი, რომელიც ამავდროულად ხარჯებში ჩამოსანერი მუხლია, არ უნდა ექვემდებარებოდეს ანაზღაურებას, რადგან წარმოადგენს ფირმის ე.ნ. „ინოვაციურ რისკს“ წინასწარ გაწეული ხარჯის სახით, რადგან არა ყველა კვლევის ხარჯი მოგვცემს განვითარების საფეხურზე გადასვლის საშუალებას და აქედან გამომდინარე დაუშვებელია სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ეტაპზე.

ცხრილი 1

K -ს სიდიდეს და კომპანიებს შორის კორელაცია K= 10000 (V2 + 1) /N

K – ს სიდიდე	კომპანიების მაქსიმალური რაოდენობა (N)	ბაზრის მაქსიმალური წილი (%)			
		1 კომპანია	2 კომპანია	3 კომპანია	4 კომპანია
		უმსხვილესი კომპანიები			
1000	10	**31**	44	54	63
1800	6	42	60	72	85
3000	4	54	75	95	100
5000	2	70	100	100	100
10000(*)	1	100	100	100	100

შენიშვნა*: როდესაც K უდრის 10 000, მაშინ ბაზარზე არის მხოლოდ 1 მონოპოლისტი.

[23] გიორგი რუსიაშვილი, Social – economic consequences of Intellectual property rights protection & competition law; HESP RESET Publications; Odessa, 2008

[24] https://www.ifrs.org/issued-standards/list-of-standards/ias-38-intangible-assets/

[25] ის რომ საქართველოს ბიუჯეტს აქვს ამის უნარი, ამას საქართველოს ბიუჯეტის სოციალურად ორიენტირებული სტრუქტურაც მოწმობს, როდესაც ხარჯების დაახლოებით 50% მიმართულია სხვადასხვა სახის შემწეობებზე და სუბსიდიებზე (იხ. დანართი 1), ასე რომ ინვესტიციური მდგენელი ბიუჯეტს არ დააზარალებს, პირიქით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტიმული იქნება.

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, 1 კომპანიისათვის ბაზრის მაქსიმალური წილის ზომა უნდა შეადგენდეს არა უმეტეს 31%-სა, რაც თუმცა თეორიული პოსტულატია, მაგრამ ახლოსაა ევროკავშირის პრაქტიკულ რეგულაციებთან, რომელიც განისაზღვრება 25% ოდენობით[26].

საქართველოში, რომ გადავავლოთ თვალი ეროვნულ ბაზარს ვნახავთ, რომ ბევრია ისეთი სეგმენტი სადაც მხოლოდ 2 ან უკეთეს შემთხვევაში 3 კომპანიაა და არა სავალდებულო 4, რაც თავისთავად აფერხებს ქვეყნის განვითარებას, მაგ.: ნავთობის სფერო: (ლუკოილი, სოკარი, გალფი, ვისოლი), მობილური კომუნიკაცია (ბილაინი, ჯეოსელი, მაგთი), ინტერნეტ კომუნიკაცია (სილქნეტი, კავკაზუსი), ლუდი (ნატახტარი, მთიელი, ყაზბეგი, კასტელი), ძეხვეული (ნიკორა, ვაკე, ლლოიდლი, მითანა), ხორცის წარმოება (იბერულა), შოკოლადის წარმოება (ბარამბო), რძის პროდუქტების წარმოება (სანტე, სანტინო, ეკოფუდი), კვერცხის და ქათმის წარმოება (მუხრანი, კოდა, დილა, ნოზაძე), ლიმონათის წარმოება (ნატახტარი, ყაზბეგი, ზანდუკელი) და სხვები.

ცხრილი 2: განვითარების ხარჯების კომპენსირების მიზნით კრიტერიუმის განსაზღვრა, რაც უნდა გულისხმობდეს ქვემოთ მოცემული ყველა ინდიკატორის მიღწევის ზედმიწევნით დაცვას, რადგან ერთ-ერთის არ არსებობა იწვევს შემთხვევის მთლიანად გაბათილებას:

- **მოსალოდნელიარმომავალი** ეკონომიკური სარგებლისრმიღებარარამატერიალური აქტივისგან;
- არამატერიალური აქტივის ღირებულებარშეიძლებარსაიმედოდრშეფასდეს;
- **შესაძლებელიარარამატერიალური** აქტივის დამუშავების ტექნიკური თვალსაზრისითრდასრულებარ(და შესაბამისად იგი იქნება ხელმისაწვდომი გასაყიდად ან შიდა მიზნებისათვის გამოსაყენებლად);
- **არსებობსრდასრულების** და შესაბამისად შემდგომი გაყიდვის ან გამოყენებისრმზადყოფნა/სურვილი დარშესაძლებლობა/უნარი ორგანიზაციაში;
- **არსებობსრან** ფართორბაზარი, ან თუ შიდა გამოყენებისათვისაა - სარგებლიანობარ(მარგი *ქმედება);*
- შესაბამისი ადექვატური ტექნიკური, ფინანსური და სხვა რესურსების გამოყენებისრხელმისაწვდომობარარამატერიალური აქტივისრდასრულებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ინდიკატორები უნდა ხასიათდებოდნენ შემდეგი თვისებებით: უნდა იყვნენ მკაფიოდ რაოდენობრივად განსაზღვრული, უნდა იყვნენ ობიექტურად მიღწევადი მარტო სუბიექტის დამოუკიდებელი ძალისხმევით, უნდა წარმოადგენდნენ მიზანს და არა საშუალებას და არ უნდა ხდებოდეს კრიტერიუმის დუბლირება[27].

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიდგომის განხორციელება ქვეყნის საგანმანათლებლო სფეროს ფართომასშტაბიანი მოდერნიზაცია-რეფორმირების გარეშე აზრს მოკლებულია.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კვლევების[28] დასკვნით პოსტ - საბჭოთა ქვეყნებში ახლო მომავალში შეუძლებელი იქნება მსოფლიო მასშტაბის სამაგისტრო პროგრამების განვითარება და ამიტომ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ზრუნვის საგანს მხოლოდ საბაკალავრო დონის საგანმანთლებლო საფეხური უნდა წარმოადგენდეს.

უნდა ხდებოდეს წარმატებული სტუდენტების მსოფლიოში ფართოდ აპრობირებული მეთოდებით წახალისება და სტიმულირება, მაგ.: მაღალი სტიპენდიების და შეღავათების დანიშვნა, საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებში ინტერნშიპები, ეროვნული ბიზნესის მოწინავე კომპანიებში სტაჟირება, დასაქმების ხელისშეწყობა, სხვ[29].

დასკვნა

ჩვენი მსჯელობების არგუმენტულობას ისიც ადასტურებს, რომ თანამედროვე საქართველოში ნაცვლად მეწარმეობის უნარებისა უფრო განვითარებულია ბიზნესის და საჯარო ადმინისტრირების სპეციალობები, რომლებიც მენეჯერებს და სახელმწიფო მოხელეებს ამზადებენ, ნაცვლად „ახალგაზრდა მეწარმეებისა". სწორედ ეს ორი პროფესიაა ყველაზე წარმატებული და მოთხოვნადი საქართველოს შრომის ბაზარზე.

[26] http://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=113

[27] https://www.accaglobal.com/middle-east/en/student/exam-support-resources/fundamentals-exams-study-resources/f7/technical-articles/rd.html

[28] Economics Education and Research Consortium, Moscow, Russia

[29] თუმცა აღსანიშნავია, რომ უცხოეთში სწავლა-განათლება მიღებული ახაგაზრდებიც ვერ შოულობენ საქართველოში შესაფერის სამსახურს იმ დროს, როდესაც ისინი ვერ ნახავენ თავის რელევანტურ სამსახურს უცხოურ ფირმებში საზღვარგარეთ, ხოლო ქართულ ბანკებში მათ შეუძლიათ პრეტენზია გაანჩდეთ მხოლოდ 300–400 ლარიან სამსახურზე. აღნიშნული სწორედ ინოვაციური ეკონომიკური ზრდის აუცილებლობაზე მეტყველებს, რომ არაფერი ვთქვათ ყოველწლიურად უმუშევართა ბაზარს შემატებულ დაახლოებით 30 000 ადამიანზე, რომლებიც სწავლას იწყებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

90-იან წლებში გამოვიდა პროფ. ნუგზარ სანთელაძის[30] ბროშურა „ეკონომიკური მოდელები“, რომელშიც ავტორი მსჯელობდა თუ რომელი მოდელი იქნებოდა საქართველოსთვის ყველაზე მისაღები. როგორც აღმოჩნდა ეს მიდგომა ძალიან ნაივური იყო. რეალურად ცხოვრებამ მოიტანა საბაზრო ეკონომიკის ისეთი მოდელი საქართველოში, რომლის მიხედვით ამერიკული კაპიტალიზმის მიხედვით არაპროგნოზირებად საბაზრო ურთიერთობებზე დამყარებულ სტრუქტურებში მომუშავე ადამიანები რეალურად „უმუშევრები“ არიან, რადგან მათ არ შეუძლიათ, მაგალითად, მიიღონ საბანკო სესხი ხელფასის არასტაბილურობის, არაპროგნოზირებადობის და წყვეტადობის გამო.

საბოლოო ჯამში, ჩვენი აზრით, საქართველოსთვის ყველაზე ახლოს შორეულ აზიური (იაპონურ – კორეული) მოდელი აღმოჩნდა კორპორაციული ეკონომიკის ფორმით, რისი გაძლიერება და ინოვაციური ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს მთავარ ამოცანას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოცემულ ეტაპზე. ამ მიდგომის ლოგიკური გაგრძელება იქნება საქართველოში წამყვანი, ცნობილი და ლიდერი ბრენდების წარმოებების შემოყვანა, რაც უზრუნველყოფს როგორც მოსახლეობის დასაქმებას, ისე თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების შემოტანას ქვეყანაში. სწორედ ეს გზა განვლეს მსოფლიოს წამყვანმა აზიურმა ქვეყნებმა ეკონომიკური აღმავლობისა და განვითარების პროცესში.

ლიტერატურა

1. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo
2. https://www.facebook.com/diegordon12/posts/10154076288180146
3. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567
4. http://factcheck.ge/article/girchi-bolo-sam-tselitsadshi-saqarthveloshi-ekonomikuri-mdgomareoba-gauaresda/
5. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo
6. გიორგი ბაქრაძის ლექცია - მსოფლიო ეკონომიკური ისტორიის მიმოხილვა https://www.youtube.com/watch?v=XFDdWBYg4II
7. გიორგი რუსიაშვილი, Evolution of human behaviour from Private Property to Corporate Governance in the Western States; გვ. 34-42; Jurnali saqarTvelos ekonomika, samecniero – praqtikuli Jurnali; E-ISSN 1512-2980; #12; Tbilisi, 2006
8. http://www.thepowerofthepoor.com/concepts/c6.php
9. საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი (2013-2018)
10. https://www.ifrs.org/issued-standards/list-of-standards/ias-38-intangible-assets/
11. https://www.climatebonds.net/
12. Management and Cost Accounting Paperback – December 17, 2007 by Colin Drury (Author)
13. https://www.hofstede-insights.com/models/national-culture/
14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 389
15. https://www.nbg.gov.ge
16. http://www.geostat.ge/
17. https://krugman.blogs.nytimes.com/
18. https://www.slideshare.net/NurlanJahangirli/rahn-curve
19. MER Business Travel
20. http://www.nber.org/papers/w23829
21. https://unm.ge/
22. https://www.investopedia.com/terms/e/economiesofscale.asp
23. https://bpn.ge/persona/39256-themur-tcyonia-mkholod-komarovis-ganathleba-sakmarisi-ar-aris.html?lang=ka-GE
24. http://www.worldbank.org/en/programs/rosc
25. https://www.investopedia.com/terms/c/capitalgain.asp
26. გიორგი რუსიაშვილი, Social – economic consequences of Intellectual property rights protection & competition law; HESP RESET Publications; Odessa, 2008
27. http://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=113
28. "25 წელია ვერ შევრიგდით, დავიშალოთ ახლა და სხვა სახელი დავარქვათ" - თემურ ჭყონია ოკუპირებულ ტერიტორიებთან ურთიერთობაზე "კოკა-კოლას" პრეზიდენტმა თემურ ჭყონიამ "ბიზნესპრესნიუსს" ვრცელი ინტერვიუ მისცა 25-01-2016
29. პროფ. ნუგზარ სანთელაძე „ეკონომიკური მოდელები“, თბილისი, 1993.
30. *https://science.howstuffworks.com/innovation/scientific-experiments/occams-razor.htm*
31. *https://www.investopedia.com/terms/f/free-trade.asp*

[30] პროფ. ნუგზარ სანთელაძე „ეკონომიკური მოდელები“, თბილისი, 1993.

32. *https://www.investopedia.com/terms/p/public-private-partnerships.asp*
33. *Economics Education and Research Consortium, Moscow, Russia*
34. *"Does the ownership matters?", Yudaeva, 2003*
35. გიორგი რუსიაშვილი, Academic Freedom, 2015
36. ეკონომიკის ექპერტ დავით მირცხულავას კვლევა
37. *https://www.accaglobal.com/middle-east/en/student/exam-support-resources/fundamentals-exams-study-resources/f7/technical-articles/rd.html*
38. *https://www.investopedia.com/terms/c/coase-theorem.asp*
39. *https://www.economicsnetwork.ac.uk/slides/Macro1_Small_Open_Economy_lob.ppt*
40. *http://www.ugopagano.info/*
41. *https://www.ifrs.org/*
42. *http://www.amcham.ge/diary/rtable_2016-03-09/estonian-model.pdf*
43. *https://www.teletrade.ru/analytics/currency/stages*
44. *https://www.carbontax.org/whats-a-carbon-tax/*
45. კარლ მარქსის „კაპიტალი"
46. *http://www.skymark.com/resources/leaders/taylor.asp*
47. "სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი"
48. "შრომითი მიგრაციის შესახებ" კანონი
49. "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" კანონი
50. "შრომის უსაფრთხოების შესახებ" კანონი
51. *http://rustavi2.ge/ka/news/97522*
52. *http://rustavi2.ge/ka/news/79392*
53. *http://rustavi2.ge/ka/news/42896*
54. https://www.kvirispalitra.ge/economic/40094-ratom-ithkhovs-mamuka-khazaradze-arakondiciuri-satsvavis-math-shoris-dizelis-shemotanis-akrdzalvas.html
55. https://1tv.ge/news/kakha-kaladze-taqsebis-sheghebvastan-dakavshirebit-dzalian-saintereso-gegma-gvaqvs-shemushavebuli/

TO THE ISSUE OF TRANSFORMING CAPITALIST RELATIONS TO ECONOMICS OF KNOWLEDGE-BASED IN GEORGIA

Rusiashvili Giorgi
Doctor of Economic Sciences, Professor,
Chairman of the Board, Society for Economic
Renaissance and E-Learning Development in South Caucasus

Summary

In Georgia there is high level of poverty and disequilibrium among the members of the society, the role of small and medium business in the national economy does not exceed 20%, the indicators of employment are terribly disadvantageous, and within those who are employed there is unproportionally high number of those employed in the governmental sector. It's anticipated that within the limited financial resources around the globe, the competition between the nations and countries will increase to attract more foreign direct investments. The next stage of economic development of Georgia will be to escape from the conditions of 90-ies of last century, when it was managed introduction of the capitalism by shock therapy (when someone will not survive as the Jewish after the Egyptian exodus aiming to reach better life conditions), literally called „Boutiques opened on every corner of the streets", when after years of economic and political slavery in the Soviet system, everything became allowed, which was not particularly prohibited. This assumes that it shall become necessary the corporate capitalism strengthening which is the evidence of the modern life and which is the system to be the backbone of the developed world countries around the globe.

Key words: *90s shock therapy, economic policy, fiscal liberalization, innovative growth, Gini index, stock market, research and development, green economy, financial slavery, economic development, progressive taxation, academic freedom*

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დინამიკა და შეზღუდულობის მიზეზები საქართველოში

სამადაშვილი უშანგი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

წინამდებარე ნაშრომში, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შეზღუდულობის მიზეზების გამოვლენისა და მათი აღმოფხვრისათვის, ახალი და ძველი მეთოდოლოგიით, სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაანალიზებულია ბიზნეს-სექტორი, ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება და დასაქმება საწარმოთა ზომის მიხედვით; ასევე, რეგისტრირებული და აქტიური მეწარმე სუბიექტები, რეგიონების, საქმიანობის სახეებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: *მცირე და საშუალო ბიზნესი; ბიზნეს-სექტორი; აქტიური მეწარმე სუბიექტები, ბრუნვა; პროდუქციის გამოშვება; დასაქმება; საწარმოთა ზომა.*

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემშლელი მიზეზ-ფაქტორები და მათი აღმოფხვრა-მინიმიზების გზების ჯეროვანი მეცნიერული შეუსწავლელობა იწვევს ეკონომიკური ზრდის შეფერხებას, უმუშევრობას, არაეფექტიან დასაქმებას, სიღარიბეს, შემოსავლებრივ უთანაბრობას, საქონლის დეფიციტს, სავაჭრო დეფიციტს, ბიუჯეტის დეფიციტს და სხვას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შემოთავაზებული კვლევის მიზანია ქვეყანაში ახალი მეთოდოლოგიით განსაზღვრული მცირე და საშუალო ბიზნესის არსებული მდგომარეობისა და დინამიკის ღრმა და სისტემური ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი იქნას განვითარების შემაფერხებელი მიზეზ-ფაქტორები და საერთაშორისო გამოცდილებისა და საკუთარი ხედვების საფუძველზე შემუშავებული იქნას მათი აღმოფხვრის გზები და მიმართულებები.

დასახული მიზნის მიღწევის გზაზე საინტერესოა როგორ გამოიყურება ძველი მეთოდოლოგიით სხვადასხვა ზომის საწარმოთა წილი საწარმოთა მთლიან რაოდენობაში და დინამიკაში რა გავლენა მოახდინა ახალმა მეთოდოლოგიამ თითოეულის წილის ცვალებადობაზე.

როგორც ცნობილია, 2017 წლის აპრილიდან ამოქმედდა „საქსტატის" მიერ საწარმოთა კლასიფიკაცია ახალი მეთოდოლოგიით, რომელიც ევროსტანარტებთან არის შესაბამისობაში და რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების წილი მთლიანად საწარმოთა რაოდენობაში, პროდუქციის საერთო გამოშვებაში და დასაქმებში. ასე მაგალითად, **სტატისტიკის ძველი მეთოდოლოგიით** საწარმოთა 95% იყო მცირე და საშუალო, 5% (ანუ 5780) კი მსხვილი. მცირე და საშუალო საწარმოების წილი ბიზნეს-სექტორის **ბრუნვაში** შეადგენდა 18%-ს, ხოლო მსხვილი საწარმოებისა-82%-ს. მცირე და საშუალო სექტორში შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 43 პროცენტი იყო დასაქმებული.

2018 წლის ბოლოს მონაცემებით, ახალი მეთოდოლოგიით საწარმოთა 99,7% არის მცირე და საშუალო, ხოლო 0,3% (ანუ 526 საწარმო) მსხვილი. მცირე და საშუალო საწარმოების წილმა ბიზნეს-სექტორის ბრუნვაში შეადგინა დაახლოებით 59.1%, ხოლო მსხვილი ბიზნესის წილმა-40.9%. დასაქმებულთა 64% მოდის მცირე და საშუალო ბიზნესზე და 36% მსხვილ საწარმოებზე. მცირე ბიზნესის დომინირება ეკონომიკაში უნდა აიხსნას იმით, რომ არ საჭიროებს დიდ კაპიტალსა და სხვა ეკონომიკურ რესურსებს **[1].**

ანალოგიური მაჩვენებლები ევროკავშირში შემდეგნაირად გამოიყურება: მსბ-ი მთლიანი ბიზნესის 99,8 პროცენტს შეადგენს, მათზე მოდის დასაქმებულთა 67 პროცენტი და გამოშვების დაახლოებით 58 პროცენტი **[4].**

მოხმობილი ციფრები მეტყველებენ იმაზე, რომ, ჯერ ერთი, საქართველომ ამ ეტაპზე, ეკონომიკის ოპტიმალური წონასწორობისაკენ სწრაფვისას, გადაწყვიტა უმთავრესი ამოცანა-უზრუნველყო მცირე საწარმოების რაოდენობის ზრდა კრიტიკულ დონეზე ზევით. ვინაიდან, **მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებით, კრიტიკული დონის გადამეტება ხდება მაშინ, როდესაც ოფიციალურად დარეგისტრირებული მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს ოფიციალურად რეგისტრირებული მშპ-ის 40%-ს[5].** ეს ნიშნავს, რომ მცირე ბიზნესი გადადის სახელმწიფო ეკონომიკის რანგში, ანუ მეწარმეები გაცილებით ძლიერები ხდებიან. და მეორე, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პარამეტრები დაუახლოვდა ევროკავშირისას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის მიერ არჩეული სტრატეგიული კურსის რეალიზაციისათვის.

ცნობილია, რომ წლიური ბრუნვის ჯამური მაჩვენებელი საწარმოთა ზომის მიხედვით კლასიფიკაციის ერთ-ერთი კრიტერიუმია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა როგორ გამოიყურება ახალი მეთოდოლოგიით საწარმოთა ზომის მიხედვით ბრუნვა დინამიკაში.

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს 2007-2018 წლებში ახალი მეთოდოლოგიით საწარმოთა საშუალო **წლიური ბრუნვის** ჯამური მაჩვენებელი გაიზარდა 487%-ით (17.544.4-დან 85.500.0 მლრდ. ლარამდე). ამავდროულად გაზრდილია, როგორც მსხვილი (471%-ით. 7,423.7-დან 34,969.0 მლრდ. ლარამდე) საშუალო (403%-ით. 5,259.3-დან 21,223.0 მლრდ. ლარამდე), ისე მცირე ზომის საწარმოების (602%-ით.4,861.4-დან 29,308.0 მლრდ. ლარამდე) წლიური ბრუნვაც. **აღსანიშნავია ისიც, რომ მცირე და საშუალო საწარმოების ჯამური ბრუნვის წილმა ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით პირველად გადაამეტა საანალიზო პერიოდში 2007 წლის ზრდის მაჩვენებელს (58%-ს) და შეადგინა 59.1%. ეს მაშინ, როცა ძველი მეთოდოლოგიით აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა დაახლოებით 18%-ს.**

ცხრილი 1

საწარმოთა ზომის მიხედვით ბრუნვა მლრდ ლარი 2007-2018 წლებში ახალი მეთოდოლოგიით

წელი	სულ	მსხვილი	%	საშუალო	მცირე	მცირე და საშუალო	%
2007	17,544.4	7,423.7	42%	5,259.3	4,861.4	10,120.7	58%
2008	19,650.7	9,550.9	49%	5,365.2	4,734.7	10,099.9	51%
2009	20,302.2	8,869.0	44%	5,563.1	5,870.1	11,433.2	56%
2010	24,400.7	11,703.2	48%	5,969.5	6,728.0	12,697.5	52 %
2011	36,726.2	15,752.3	43%	8,172.7	12,801.0	20,973.7	57%
2012	42,048.0	18,577.9	44%	9,971.0	13,499.2	23,4770.2	56%
2013	44,327.9	18,596.2	42%	19,362.8	15,368.9	25,731.7	58 %
2014	50,064.7	21,278.3	43%	11,477.8	17,308.6	28,786.4	57 %
2015	56,984.8	24,671.6	43%	13,294.6	19,018.7	32,313.3	57 %
2016	64,081.8	28,256.3	44%	14,039.1	21,786.4	35,825.5	56 %
2017	71,740.1	32,201.1	45%	16,568.3	22,970.7	39,539.0	55.1 %
2018	85,500.0	34,969.0	40.9.%	21,223.0	29,308.0	50,531.0	59.1
ზრდა	487%	471%		403%	602%	497%	

წყარო: ბიზნესის რეგისტრი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www. geostat.ge

ამრიგად, ახალმა განსაზღვრებამ და მეთოდოლოგიამ სახელმწიფოს შესაძლებლობა მისცა შეექმნა უფრო რეალისტური ნარმოდგენა მსხვილი საწარმოების წილის შესახებ საქართველოს ეკონომიკაში. თუ რეალობას ახალი განსაზღვრების ფონზე შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ ქვეყანაში მხოლოდ 526 მსხვილი საწარმოა, ეს მაშინ, როცა წინათ მათი რაოდენობა 5,780 იყო. ძველი განმარტებით და მეთოდოლოგიით, 2017 წელს მსხვილ საწარმოებზე მოდიოდა მთლიანი ბრუნვის 82% და შექმნილი ღირებულების 78%. ახალი განსაზღვრებითა და მეთოდოლოგიით კი მათი წილი ბრუნვაში არის 44%, ხოლო შექმნილ ღირებულებაში - 42%.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საშუალებას გაკეთდეს ოპტიმისტურ-პესიმისტური დასკვნა: ახალი განსაზღვრებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს ჯერ კიდევ ჩამორჩება. ამიტომ საჭიროა მათი გამოცდილების შესწავლა და გაზიარება საქართველოს პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

ბრუნვასთან ერთად მნიშვნელოვანია როგორ გამოიყურება გამოშვებული პროდუქცის, დასაქმებულთა რაოდენობის და დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების დინამიკა 2016-2019 წლებში (იხ.ცხრილი 2)

ცხრილი 2

საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები

	2016	2017	2018 1	2018 2	2018 3	2018 4	2019 1
ბრუნვა, მილიარდი ლარი	64.1	71.7	18.0	19.9	21.8	25.8	22.9
გამოშვებული პროდუქცია, მილიარდი ლარი	34.2	38.2	8.7	10.0	10.7	11.5	9.5
დამატებული ღირებულება, მილიარდი ლარი	16.8	19.0					
შუალედური მოხმარება, მილიარდი ლარი	17.4	17.4	...	...	...	...	...
ფიქსირებული აქტივები, მილიარდი ლარი	28.2	34.9	...	...	...	...	...
დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი კაცი	666.8	708.2	637.0	656.5	665.5	684.5	663.8
დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი	938.3	1 019.7	1 106.4	1 150.4	1 186.7	1 318.7	1 151.9

წყარო: ბიზნესის რეგისტრი საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები;საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www. geostat.ge

მოხმობილი ცხრილის მიხედვით, ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2017 წელს შეადგენდა 64.1 მილიარდ ლარს, ხოლო 2018 წელს გაიზარდა 85.5 მილიარდ ლარამდე; გამოშვებული პროდუქცია 2017 წელს ტოლი იყო 38.2 მილიარდი ლარის, 2018 წელს გაიზარდა 40.9 მილიარდ ლარამდე, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 2017 წელს შეადგენდა 666.8 ათას კაცს, 2018 წელს კი გაუტოლდა 684.5 ათას კაცს.

საანალიზო მაჩვენებლები ზრდის ტენდენციით ხასიათდებიან 2019 წლის პირველ კვარტალშიც. კერძოდ, ბიზნეს სექტორის **ბრუნვის მოცულობა 2019 წლის I კვარტალში,** გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 27.5 პროცენტით გაიზარდა და 22.9 მილიარდი ლარი შეადგინა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება **ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც.** 2019 წლის I კვარტალში მისი მოცულობა 9.5 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 9.0 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. 2019 წლის I კვარტალში მთლიანი ბრუნვის 54.5 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 17.4 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 28.1 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება. მცირედით განსხვავებული **მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში:** მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 41.3 პროცენტი, საშუალოზე - 24.8 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 33.9 პროცენტი. 2019 წლის I კვარტალში **დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა** 663.8 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 4.2 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 42.3 პროცენტი ქალია, ხოლო 57.7 პროცენტი - კაცი.

საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2 183.5 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8.3 პროცენტით მეტი). 2019 წლის I კვარტალში **საშუალო თვიური ხელფასი** ბიზნეს სექტორში 1 151.9 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 45.5 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 934.2 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 93.1 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია: მსხვილი ბიზნესი – 1 205.6 ლარი, საშუალო ბიზნესი – 1 291.2 ლარი, მცირე ბიზნესი – 1 017.0ლარი **[1].**

ბიზნეს-სექტორის ანალიზისა და დინამიკის ობიექტური შეფასებისთავის ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაცია რეგისტრირებულ და აქტიურ ბიზნეს სუბიეტების რაოდენობის შესახებ, ასევე, ის თუ თითოეულში რა წილით არის წარმოდგენილი საქართველოს კანონით განსაზღვრული თითოეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა **(იხ. ცხრილი 3)**

ცხრილი 3

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით

1 თებერვალი 2019

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	რეგისტრირებული სუბიექტი	აქტიური სუბიექტი
სულ	**726 449**	**180 618**
კომერციული იურიდიული პირები	254 445	76 212
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)	2 759	231
კომანდიტური საზოგადოება	188	21
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)	243 659	74 856
სააქციო საზოგადოება	2 578	876
კოოპერატივი	5 261	228
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები	26 785	3 716
ინდივიდუალური მეწარმე	433 689	96 866
სხვა	8 460	1 417
საჯარო სამართლის სუბიექტები	3 070	2 407

წყარო: ბიზნესის რეგისტრი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
- www. geostat.ge

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს 2019 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია 726 449 ბიზნეს-სუბიექტი, თუმცა, მათგან 180 618-ია აქტიური, ანუ რეალურად მხოლოდ 25% ფუნქციონირებს. ასეთი უარყოფითი სტატისტიკა უნდა აიხსნას იმით, რომ საქართველოში ამჟამად ბიზნესის წამოწყება ბევრად იოლია, ვიდრე პროფესიის მიხედვით სამუშაო ძალის გაქირავება და დასაქმება. ეს განაპირობა იმან, რომ ბოლო დროს ბიზნესის რეგისტრირება ერთობ გამარტივდა და მოხდა მისი ელექტრონულ რეჟიმში გადაყვანა. ამან შესამჩნევად გაზარდა ბიზნესის წამომწყებთა რაოდენობრივი მაჩვენებლი, მაგრამ ამავდროულად ხელი შეუწყო ბიზნესში ბევრი შემთხვევით ადამიანის მოსვლას, რომელსაც მოგების მიღების სურვილი კი აქვს, მაგრამ ბიზნესის მომგებიანი გაძღოლის ელემეტარული ცოდნა არ გააჩნია. ამის გამოა, რომ ახალი ფირმების თითქმის 70% იხურება ერთი წლის განმავლობაში. ამ ფონზე მოსახლეობაში ბიზნეს ცოდნის გავრცელება ერთობ აქტუალურია. უარყოფითი სტატისტიკის შემდეგი მიზეზია ის, რომ მეწარმეები ზოგჯერ მიმართავენ ეშმაკურ ხერხს, რეგისტრაციაში ატარებენ რამდენიმე კომპანიას, რათა არ გადაიხადონ დღგ. უარყოფითი სტატისტიკის კიდევ ერთი მიზეზია ის, რომ საქართველოში გაკოტრების საქმეთა მართვის პროცედურა ერთობ გართულებულია. გაკოტრების პროცედურას 225 დღე სჭირდება. ჩვეულებრივ, საწარმოს ლიკვიდაცია საგადასახდო სამსახურის გარეშე არ ხდება, რომელიც ობიექტზე შედის 225-ე დღეს. არავინ იცის საგადასახადო „თავისი ვიზიტისას“ რა ნაკლს, რა ხარვეზს აღმოაჩენს. ამიტომ შეშინებული კომპანიები საერთოდ თავს ანებებენ გაკოტრების პროცედურას და რჩებიან რეგისტრირებულ საწარმოდ, რაზეც მათ არანაირი სანქცია არ ეკისრებათ. შედეგად ვღებულობთ იმას, რომ რეგისტრირებული მთლიანი საწარმოებიდან მხოლოდ 25%-ია აქტიური. ხაზგასასმელია, რომ გაკოტრების საქმეთა ინდიკატორით საქართველო მსოფლიო ბანკის რეიტინგში 122-ე ადგილზეა [2].

ამგვარად, დღეს საქართველოში ბიზნესის გახსნა ძალიან მარტივია და ეს შესაძლებელია რამდენიმე საათის განმვალობაში, მაგრამ ბიზნესის დახურვა რთულ პროცედურებთანაა დაკავშირებული, რომელიც დამატებით დროსა და ხარჯებს მოითხოვს. შესაბამისად, ეს არის ბარიერები იმ ადამიანებისთვის, ვისაც ერთი ბიზნესიდან მეორე ბიზნესში გადასვლა სურს. რთული პროცედურებია გაკოტრების გამოცხადების შემთხვევაშიც, რაც ასევე კომპანიების გაკოტრების საქმეთა მართვის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს.

საანალიზო ცხრილით საქართველოში მეწარმეობის ორგანიზაციულ ფორმებს შორის ყველაზე მოთხოვნადი და პოპულარულია ინდივიდუალური მეწარმე (იმ), რომლის წილი საერთო რაოდენობაში 53.6%-აღწევს. თანაც ეს ციფრი დინამიკაში ყოველწლიურად ზრდადია და არა კლებადი. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ (იმ)-ის ფორმით საქმის დაწყება: მარტივია, არ არის საჭირო წესდება და სხვა იურიდიული დოკუმენტების შედგენა; სრულიად დამოუკიდებელია საქმიანობის განხორციელების პროცესში; მთელი მოგება მფლობელს ეკუთვნის.

პოპულარობით შემდეგია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). საშუალო ზო-

მის საწარმოთა უმეტესობა რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლიბის საზოგადოება (დაახლოებით 41.4%). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების უპირატესობებია: მესაკუთრეების პასუხისმგებლობა შეზღუდულია მათი შენატანებით. მათი სხვა ქონება ხელშეუხებელია; კლიენტებისთვის და პარტნიორებისთვის უფრო სანდოა, ვიდრე „ინდმეწარმე"; უფრო ადვილად შეუძლია საბანკო კრედიტის აღება, ვიდრე „ინდმეწარმეს"; ფირმის ფუნქციონირების ხარჯები ნაკლებია, ვიდრე „სააქციო საზოგადოების" შემთხვევაში. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 95% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. 0.48%-იანი წილით მესამე ადგილზეა სააქციო საზოგადოება (სს). შემდეგ, 0. 13%-იანი წილით მოდის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს). ხაზგასასმელია, რომ (იმ) არის ფიზიკური, ხოლო (შპს) იურიდიული პირი. (იმ) წარმოადგენენ მცირე საწარმოებს, ხოლო (სს) წარმოადგენენ მსხვილ საწარმოებს. კომერციული იურიდიული პირების წილი შეადგენს 42%-ს, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული სუბიექტების - 2.0%-ს.

არსებობს სტატისტიკა, რომლის თანახმადაც ყველაზე მსხვილ 50 კომპანიას შორის მხოლოდ 8 მწარმოებელია, 10 ყველაზე მსხვილ კომპანიას შორის მხოლოდ ერთია მწარმოებელი, 3 ტოტალიზატორი, დანარჩენი იმპორტიორი [3]. მოკლედ, მსხვილი საწარმოთაგან უმრავლესობა იმპორტზე მომუშავე საწარმოები და კაზინოებია. მათგან უმნიშვნელოა გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმოები. ამიტომ მათი რეინვესტირებული მოგების გადასახადისაგან განთავისუფლება ნიშნავს იმპორტის ზრდის ხელშეწყობას, ანუ მომხმარებლური ეკონომიკის წახალისებას. ჩვენი აზრით, ესტონური მოდელისადმი საჭირო იყო სელექციური მიდგომა, ანუ რეინვესტირებული მოგების გადასახადისაგან უნდა განთავისუფებულიყო არა ყველა მსხვილი, არამედ მხოლოდ ექსპორტზე მომუშავე და ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსხვილი საწარმოების 80% შპს-ა, რაც ხელს უშლის კაპიტალის ბაზრის განვითარებას, სადაც ბანკების გარდა ჩაერთვება ბიზნესიც და მოსახლეობაც.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებული განვითარების ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მსხვილი წარმოება არ უპირისპირდება მცირეს. განვითარებულ ქვეყნებში პრევალირებს მსხვილი და მცირე საწარმოების კოოპერირების პრინციპი, ამასთან მსხვილი გაერთიანებები კი არ წნეხავენ მცირეს, არამედ ერთმანეთს ავსებენ, განსაკუთრებით ცალკეული საწარმოების სპეციალიზაციის სფეროში და ინოვაციურ საქმიანობაში. მაგალითად, აშშ-ი 10 ტექნოლოგიური იდეიდან 9 იბადება მცირე საწარმოში. თუ მსხვილი ბიზნესი მასშტაბის ეფექტით ხელს უწყობს საერთო ეფექტიანობის ამაღლებას, მცირე ბიზნესი, კლიენტებთან უშუალო კონტაქტიდან გამომდინარე, მეურნეობას ანიჭებს მოქნილობას, მობილურობასა და უნარს სწრაფად განახორციელოს სტრუქტურული და ტექნიკური გარდაქმნები, რათა მოერგოს მუდმივად ცვალებად საბაზრო გარემოს.

საქართველოში ბიზნესის განვითარებას აფერხებს მისი ასიმეტრიული განვითარება რეგიონულ ჭრილში (იხ. ცხრილი 4)

ცხრილი 4

ბიზნესის რეგისტრი რეგიონების მიხედვით

(1 თებერვალი 2019)

რეგიონები	**რეგისტრირებული სუბიექტი**	**აქტიური სუბიექტი**
სულ	**726 449**	**180 618**
ქ. თბილისი	318 439	76 738
აფხაზეთის ა.რ.	163	12
აჭარის ა.რ.	63 755	18 179
გურია	17 516	4 718
იმერეთი	98 831	24 425
კახეთი	44 616	11 080
მცხეთა-მთიანეთი	13 488	3 234
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6 102	1 312
სამეგრელო-ზემო სვანეთი	56 113	13 153
სამცხე-ჯავახეთი	21 759	5 473
ქვემო ქართლი	53 821	13 557
შიდა ქართლი	31 846	8 737

წყარო: ბიზნესის რეგისტრი რეგიონების მიხედვით; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www. geostat.ge

2019 წლის 1 თებერვლის მონაცემებით საქართველოში 726 449 საწარმო იყო რეგისტრირებული. საწარმოთა უდიდესი ნაწილი რეგისტრირებულია ქ. თბილისში, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო-სვანეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. რაც შეეხება ახლად რეგისტრირებულ საწარმოებს, აქაც ანალოგიური ტენდენციები ფიქსირდება ისევე როგორც მთლიანი რეგისტრაციის მაჩვენებლების შემთხვევაში.

წარმოადგენილი ციფრები ნათელყოფენ იმ მნიშვნელოვან უთანაბრობებს, რაც დამახასიათებელია რეგისტრირებულ საწარმოთა რეგიონული გადანაწილების კუთხით საქართველოში: თბილისში რეგისტრიებულია საწარმოების დაახლოებით 46%. ამ მაჩვენებლით თბილისი უპირობო ლიდერია ქვეყნის მასშტაბით და იგი მანიშნებელია იმ დომინინტური როლისა, რაც დედაქალაქს გააჩნია ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში. 2019 წელს აქტიური საწარმოების რიცხვი 180 618-ს უდრიდა რომელთა 96% მსს-ზე მოდიოდა.

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით: ქ. თბილისი – 77.4 პროცენტი, აჭარის ა.რ. – 6.0 პროცენტი, ქვემო ქართლი – 5.1 პროცენტი, იმერეთი – 3.6 პროცენტი, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.6 პროცენტი

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით: ქ. თბილისი – 65.1 პროცენტი, აჭარის ა.რ. – 8.4 პროცენტი, ქვემო ქართლი – 9.2 პროცენტი, იმერეთი – 5.0 პროცენტი, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.8 პროცენტი

რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება: ქ. თბილისი – 64.6 პროცენტი, აჭარის ა.რ. – 9.9 პროცენტი, იმერეთი – 6.8 პროცენტი, ქვემო ქართლი – 5.5 პროცენტი, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.0 პროცენტი.

ზემოთ მოხმობილი ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ არათანაბარი რეგიონალური განვითარება საქართველოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელი პრობლემაა. ანალოგიური ტენდენციები გვხვდება მცირე ბიზნესის სექტორშიც, რაც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მსხვილ მასშტაბებს იძენს და მატულობს სხვაობები ლიდერ და ჩამორჩენილ რეგიონებს შორის. შესაბამისად, შეინიშნება სულ უფრო მზარდი სხვაობები პოტენციურ „ზრდის პოლუსებს“ (თბილისი, აჭარა, ა.შ.) და „სტაგნაციურ ეკონომიკურ სივრცეებს” (რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო-სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი) შორის.

ამგვარად, საქართველოში რეგიონალური ეკონომიკური პოლარიზაციის ტენდენციები მნიშვნელოვნად მატულობს პერიფერიული ეკონომიკური სივრცის განვითარების შეფერხების ფონზე, რაც ანალოგიურ ასახვას ჰპოვებს მცირე ბიზნესის სეგმენტის არათანაბარ სივრცობრივ კონცენტრაციაშიც.

ჩვენი აზრით ამას ხელი შეუწყო ნაცმოძრაობის მიერ განხორციელებულმა არასწორმა ლიბერალურმა და აგრარულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომლის მიხედევით მცირე ბიზნესი და სოფლის მეუნეობა თავისით, სახელმწიფოს დახმარების გარეშე უნდა განვითარებულიყო. ფაქტობრივად მივიღეთ ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურა, სადაც საქართველოს ეკონომიკის 2/3 არის კონცენტრირებული რამდენიმე ქალაქში.

რეგინულ ჭრილში ბიზნესის ასიმეტრიულობის დაძლევისათვის, ვფიქრობ, უწინარეს ყოვლისა უნდა დაიმსხვრეს სტერეოტიპი, რომლის მიხედვით სოფლის ქვეშ მოიაზრება მხოლოდ სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. სოფელში, რეგიონში ხელი უნდა შეეწყოს არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის, არამედ ყველა იმ საწარმოო, თუ არასაწარმოო დარგის ეკონომიკის განვითარებას, რომლის პოტენციალიც არსებობს, რათა ადგილზე დასაქმდეს სამუშაო ძალა და შეიზღუდოს შიდა და გარე მიგრაცია თავისი უარყოფითი ეფექტებით.

სწორედ ამიტომ რეგიონებში, სადაც ბიზნესის წარმოებისათვის არახელსაყრელი, არაკომფორტული ბიზნეს-გარემოა სახელმწიფოს მხრიდან უპირატესი ხელშეწყობის ღონისძიებებია საჭირო, რათა ადგილობრივ მოსახლეობას ბიზნესის წარმოების აპეტიტი გაეხსნას, განხორციელდეს მეწარმეობის სიმეტრიული განვითარება და ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრება.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ „ვარდების რევოლუცია“ გამოვლილი საქართველო არა მხოლოდ პოსტსაბჭოური, არამედ პოსტრევოლუციური ქვეყანაა. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ „ვარდების რევოლუციის“ უმთავრესი მიზეზი პოლარული საზოგადოება ანუ ერთი მუჭა მდიდრებისა და ღარიბთა უდიდესი მასისაგან შემდგარი საზოგადოება იყო. საკუთარი და მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე კი, ქვეყანა, რომელიც მხოლოდ მდიდრებითა და ღარიბებით არის წარმოდეგენილი ყოველთვის რევოლუციური საშიშროების წინაშე დგას. სწორედ ამიტომ, საჭიროა ქვეყანაში წესრიგისა და სტაბილურობის გარანტის, საშუალო კლასის ფორმირება. საშუალო კლასის ჩამოყალიბების ერთ-ერთი კარგი საშუალება კი მცირე ბიზნესისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება-განვითარებაა. გასათვალისწინებელია

ისიც, რომ კომპანიები შედიან არა იმ ქვეყანაში და რეგიონში, სადაც ბაზარს ღარიბები წარმოადგენენ, არამედ იქ, სადაც ბაზარზე საშუალო ფენა დომინირებს. მოკლედ, რეგიონების განვითარება, არის ერთერთი გზა, რომ საქართველოში განხორციელდეს ინკლიუზიური ეკონომიკური ზრდა, ჩამოყალიბდეს მყარი და ფართო საშუალოთა ფენა, დამკვიდრდეს საყოველთაო და დიფერენციული კეთილდღეობა, რათა ეკონომიკური საფუძველი გამოეცალოს მორიგ, მაგრამ უკვე „ეკლიან ვარდების რევოლუციას"!!!

საქართველოში ბიზნესის განვითარებას აფერხებს მის ასიმეტრიული განვითარება დარგობრივ ჭრილში (იხ. ცხრილი **5**)

ცხრილი 5

ბიზნესი საქმიანობის სახეების მიხედვით

1 თებერვალი 2019 წ

საქმიანობის სახე	**რეგისტრირებული სუბიექტი**	**აქტიური სუბიექტი**
სულ	**726 449**	**180 618**
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	6 884	1 537
თევზჭერა, მეთევზეობა	386	102
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1 569	739
დამამუშავებელი მრეწველობა	31 569	12 526
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	482	137
მშენებლობა	18 175	7 472
ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	138 172	61 571
სასტუმროები და რესტორნები	14 446	6 521
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	20 002	9 859
საფინანსო საქმიანობა	4 313	2 035
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	28 168	14 318
სახელმწიფო მმართველობა	1 829	407
განათლება	6 805	4 290
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	5 680	2 987
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	19 844	5 499
საქმიანობა უცნობია	428 125	50 618

წყარო: ბიზნესის რეგისტრი საქმიანობის სახეების მიხედვით; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge

საანალიზო ცხრილიდან გამომდინარე, საქართველოში მცირე და საშუალო კომპანიების მოქმედების ძირითადი სეგმენტებია პრიორიტეტულობის მიხედვით: ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი - 35%; ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა - 8% და დამამუშავებელი მრეწველობა -7%. შემდეგ მოდის: სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; სასტუმროები და რესტორნები; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება; განათლება; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა და ა.შ

არადა, დარგების მიხედვით ბიზნესის სახეობებს შორის მთავარია საწარმოო ბიზნესი, ვინაიდან მის გარეშე სავაჭრო (კომერციული) ბიზნესი მატერიალურ საფუძველს კარგავს და მხოლოდ იმპორტული საქონლის ვაჭრობით შემოიფარგლება. სამწუხაროდ, საანალიზო ცხრილიდან გამომდინარე დაახლოებით ამდაგვარი ვითარებაა დღეს საქართველოში, რადგან იმპორტი ექსპორტს სამნახევარჯერ სჭარბობს. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საწარმოო ბიზნესი, მისი მნიშვნელობიდან, რისკიანობიდან და არც ისე მაღალი რენტაბელობიდან (არა უმეტეს 10-12%) გამომდინარე, თავისი წარმატებული განვითარებისათვის საჭიროებს სერიოზულ მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან.

მიმდინარე წლის 1-ელ კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამა-

მუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 26.6 პროცენტი, 12.6 პროცენტი და 10.6 პროცენტიანი წილებით). თუმცა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის მშენებლობის (9.0 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.3 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (5.6 პროცენტი). **[წყარო: „საქსტატი“]**

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დინამიკის ანალიზისა და შეზღუდულობის მიზეზების გამოვლენაში, ასევე, მნიშვნელოვანია დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით 2013-2018 წლებში. (იხ. ცხრილი **6**)

ცხრილი 6

დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით 2013-2018 წლებში

წელი	სულ	მსხვილი საწარმოები		საშუალო საწარმოები		მცირე საწარმოები	
		აბს. მნიშვნ.	% %	აბს. მნიშვნ.	% %	აბს. მნიშვნ.	% %
2013	550,885	178,422	32,4%	125,295	22,8%	246,538	44,8%
2014	592,147	186,510	31,5%	126,432	21,3%	278,205	47,2%
2015	626,739	198,586	31,7%	137,171	21,9%	290,982	46,4%
2016	666,790	217,800	32,7%	142,447	21,4 %	306,543	45,9%
2017	660,059	235,742	35,7%	147,624	22,4%	276,693	41,9%
2018	684,000	247,866;	36,2%	147,835	21,6%	288,816	42,2%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური *http://geostat.ge*

მოხმობილი ცხრილიდან ირკვევა, რომ მსხვილ საწარმოებში დასაქმებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში იზრდებოდა 2013 წლიდან 2014 წლამდე, სამაგიეროდ ამ პერიოდში მცირდებოდა დასაქმებულთა წილი მცირე და საშუალო საწარმოებში. 2014 წელს დაფიქსირდა მცირე საწარმოში დასაქმებულთა წილი 47,2 %, რაც მაქსიმალურია 2013-2018 წლების მაჩვენებლების მიხედვით. 2015 წლიდან კი იწყება მცირე საწარმოებში დასაქმებულთა წილის შემცირების ტენდენცია და გრძელდება 2017 წლამდე. 2018 წელს კი ფიქსირდება მცირე საწარმოში დასაქმებულთა წილის ზრდა 0,3%-ით, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ სახელმწიფო პროგრამებმა მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით შედეგი მაინც გამოიღო, მაგრამ ცოტა მოგვიანებით.

ცხრილიდან ჩანს ისიც, **რომ 2018 წლის მდგომარეობით** გაზრდილია საწარმოებში მთლიანად დასაქმებულთა აბსოლუტური ოდენობა 660,059-დან 684,000-მდე. მათ შორის, მსხვილ და მცირე ზომის საწარმოებში დასაქმებულთა ოდენობა, შესაბამისად გაზრდილია 12 124 და 12 123 ადამიანით, ხოლო საშუალო ზომის საწარმოებში შემცირებულია 211 ადამიანით. **2016 წლის მდგომარეობით,** საწარმოებში დასაქმებულთა ჯამური ოდენობა 666,790 ადამიანს შეადგენდა, რომელთა 45,9% (306,543) მცირე ზომის საწარმოებში იყო დასაქმებული. **2017 წლის მდგომარეობით,** შემცირებულია საწარმოებში მთლიანად დასაქმებულთა აბსოლუტური ოდენობა, მათ შორის, მცირე ზომის საწარმოებში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი. მსხვილ და საშუალო ზომის საწარმოებში დასაქმებულთა ოდენობა, შესაბამისად - 17 942 და 5 177 ადამიანით არის გაზრდილი. ჯამური დასაქმების შემცირება მცირე საწარმოებში დასაქმებულთა ოდენობის 30 ათასით შემცირებითა არის განპირობებული, რაც შესაბამისად აისახა დასაქმებულთა ოდენობაში, მცირე საწარმოში დასაქმებულთა წილობრივ მონაცემზე და 4 პროცენტული პუნქტით, 41.9%-მდე შემცირდა. **საშუალო და მსხვილ საწარმოებში დასაქმების ზრდის პარალელურად, მცირე საწარმოებში დასაქმებულთა ოდენობის შემცირების განმაპირობებელი ფაქტორების ცალსახად იდენტიფიცირება შეუძლებელია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე საწარმოში პროდუქციის გამოშვების ზრდასა და დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას შორის ყოველთვის მკაცრი კორელაცია არ არსებობს, რამეთუ შრომის კაპიტალაღჭურვილობის ზრდის კვალობაზე გამოშვებული პროდუქციის ზრდა შესაძლებელია დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების ხარჯზეც.**

ზემოთქმულთან კონტექსტში ვიტყვით იმასაც, რომ საქართველოს სამეუნეო პრაქტიკიდან გამომდინარე, ფულადი შემწეობის მიმღებ სოციალურად დაუცველ ადამიანთა მასაში, ბევრია შრომისუნარიანი და შრომისუნარიან ასაკში, მაგრამ მუშაობის დაწყებას არ აპირებს, რადგან არაა დარწმუნებული იმაში, რომ ეს სამუშაო მისთვის იქნება სტაბილური და ხაგრძლივი. სოციალური შემწეობა კი, თუ 3-4 წლის განმავლობაში არაფერი შეიცვალა მეთოდოლოგიაში, მას გარანტირებული ექნება. **გამოდის, რომ ამგვარი სოციალური დახმარების სისტემა მოსახლეობის აღნიშნულ ნაწილს აზარმაცებს და აპარაზიტებს. სხვათა შორის, 7500 უმუშევარს დასაქმებისათვის უშუამდგომლეს ოფიციალურ დამსაქმებლებთან, მაგრამ უმუშევრების მხრიდან უარი მიიღეს. იმიტომ, რომ ისინი თვითდასაქმებულები არიან არალეგალურად, იღებენ საკმაოდ ნორ-**

მალურ ანაზრაურებას, არ იხდიან მასზე საშემოსავლო გადასახადს და თანაც, როგორც ოფიციალურად დაუსაქმებლები ხშირად იღებენ სოციალურ დახმარებასაც.

ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www. geostat.ge
2. ქვეყნის დახასიათება მცირე ბიზნესის აქტის მიხედვით: საქართველო მსს პოლიტიკის ინდექსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები 2016 ევროპის მცირე ბიზნესის აქტის განხორციელების შეფასება. გვ.9.
3. *https://www.interpressnews.ge*
4. eugeorgia.info/ka/article/501/
5. Горфинкель В.Я. «Малый бизнес»: учебное пособие – М.: КНОРУС, 2009, 336 с., стр. 219-220.

THE DYNAMICS OF DEVELOPMENT OF SMALL AND MEDIUM-SIZED BUSINESSES AND THE REASONS FOR RESTRICTIONS IN GEORGIA

Samadashvili Ushangi
Associate Professor,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Summary

In the work on the basis of statistical data, a new and old methodology for identifying the reasons for limiting the development of small and medium-sized businesses and for their elimination, the business sector, turnover, production and employment by size of enterprises are analyzed; Also, registered and existing business entities by region, type of activity and legal form.

Key words: *Small and medium businesses; Business sector; Active business entities, turnover; Production of products; Employment; The size of enterprises.*

ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში

სამჭკუაშვილი ნინო
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ფაქტია, რომ საფინანსო სექტორი თანამედროვე მაღალგანვითარებულ ქვეყნების ერთ-ერთ ურთულეს და საინტერესო სფეროს წარმოადგენს, რომელიც ტრანსფორმირებად ეკონომიკის პირობებში განვითარების რიგი თავისებურებით ხასიათდება და მის გამართულ მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობა.

ფინანსური მომსახურების ინდუსტრია წარმოადგენს ეკონომიკაში ფინანსების გამოყენების კონკრეტული ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას და ქვეყანაში მოქმედი ეკონომიკური მოდელი დიდწილად დამოკიდებულია მასზე.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური მომსახურება, ინდუსტრია, განვითარება, ეკონომიკა.*

საქართველოს ეკონომიკაზე სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს საფინანსო მომსახურების ბაზრის ეფექტიანი ორგანიზება, რომელსაც უნარი შესწევს უზრუნველყოს ეკონომიკის მოთხოვნილებები ინვესტიციებზე, თავისუფალი ფინანსური სახსრების აკუმულირების გზით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის ფინანსური მომსახურების ბაზარი ფორმირდება ტრანსფორმაციული პროცესების პირობებში, ის მოითხოვს დაწვრილებით ანალიზსა და კვლევას. თუ გავითვალისწინებთ ფუნქციონირების მცირე პერიოდს, განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს ფინანსური მომსახურების ბაზარს გააჩნია რიგი ნაკლოვანებები, რომელთა აღმოფხვრა არის აუცილებელი, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის ტენდენციების და მნიშვნელობის ანალიზი.

ფინანსური მომსახურების ბაზარი ითვლება ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად. მისი სეგმენტების ყოველმხრივი ანალიზი და კვლევა წარმოადგენს მნიშვნელოვან სამეცნიერო ამოცანას, ვინაიდან ქვეყნის სავალუტო, საფონდო, ფულად - საკრედიტო ბაზრები წარმოადგენენ საქართველოს ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ინდიკატორებს. ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის ანალიზი წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვანს იმ დისპროპორციების გამოვლენის თვალსაზრისითაც, რაც ხელს უშლის სამამულო ეკონომიკის ფინანსური მომსახურების სფეროს ეფექტიან საქმიანობას. ასევე, სულ უფრო მნიშნელოვანი ხდება მსოფლიო ფინანსური რესურსების, მათ შორის - პირდაპირი ინვესტიციების, გამოყენება, რასაც პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის[9].

საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი უკეთესის არსებობის სურვილს ტოვებს. თუმცა, ბოლო ათწლეულს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ნელი ტემპით, მაგრამ სტაბილურად იზრდება. მიუხედავად, ამისა მსპ-ის ზრდისგან მიღებული სარგებელი საზოგადოების ფართო ფენებზე არ აისახება. აქედან გამომდინარე, იბადება კითხვა თუ რომელი სექტორების ხარჯზე არის შესაძლებელი იზრდებოდეს ეკონომიკა და სად შეიძლება მიდიოდეს მსპ-ს ზრდისგან მიღებული შემოსავალი.

2006-2016 წლებში საქართველოს ეკონომიკის საშუალო წლიურმა ზრდამ 4,4% შეადგინა. „ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება“-ზე,ამ პერიოდში წლიური საშუალო ზრდა არის 16,4%-იანი. ანუ ფინანსური მომსახურების არაპირდაპირი შეფასება საფინანსო დაწესებულებების მიერ კლიენტისთვის გაწეული მომსახურებაა, რომელშიც ადგილზე ფულის გადახდა არ უწევდათ მომხმარებლებს, მაგრამ მისი ასახვა ხდება ანაბრებზე სარგებლის შემცირების კუთხით და სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდაში.მაგალითად, კოლ-ცენტრის მომსახურება,ბანკის ფილიალის თანამშრომლების მომსახურება, და ა.შ. ანუ, მომსახურების საფასური, რომელსაც საფინანსო სექტორი კლიენტებისგან იღებს. მას შემდეგ მოსდევს საფინანსო საქმიანობა საშუალო წლიური ზრდის 11%-იანი მაჩვენებლით. მესამე, მეოთხე ადგილებს ბოლო 10 წელიწადში საშუალო წლიური ზრდის მიხედვით”ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“ 8,1% წლიური საშუალო და „სამთომოპოვებითი მრეწველობა“ 8,2% საშუალო ზრდით.

გასულ 10 წელს რაც შეეხება ყველაზე ნაკლებად განვითარებულ სფეროებს, მათ შორის დიდი დისტანციით სოფლის მეურნეობა ლიდერობს, რომლის წლიური ზრდის ტემპი ვერ აღწევს 1%-საც კი. მაგალითად: 2006-2016 წლებში თევზჭერა, მეთევზეობა“ „სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და ნადირობა; წლიურად საშუალოდ იზრდებოდა 0,7%-ით. ამის შემდეგ მოდის „საკუთარი

საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა“ საშუალოდ იზრდებოდა 2,8%-ით, „ელექტრო-ენერგიის,წყლისა და აირის განაწილება და წარმოება“; „შინამოსამსახურის საქმიანობა და შინა-მეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის“ და „პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ“ ყველა ეს წლიურად 3,6%-იანი ზრდით არის ნაჩვენები.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის მონაცემებით, დასაქმებულთა 48% მოდის სოფლის მეუბნეობაზე, სფეროზე, სადაც ამავე წლის მაჩვენებლების თანახმად, საშუალო ხელფასი 578 ლარია. მაშინ, რო-დესაც ჩვენს ქვეყანაში საშუალო ხელფასი 900 ლარს შეადგენს. მათ შორის ყველაზე მაღალი ხელ-ფასი საფინანსო საქმიანობაშია დაფიქსირებული - 1 691 ლარის ოდენობით. მაშინ როდესაც საფი-ნანსო სფეროში ყველა დასაქმებულების მხოლოდ 4,95% მოდის.

მოკლედ, რომ გავაკეთოთ შეფასება ყველაზე მეტად ბოლო 10 წლის განმავლობაში საფინანსო სფეროს ზრდა შეიმჩნევა, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა მხოლოდ 5%-ია. ხოლო მთლიანი დასაქ-მებულის 48%-ია, რომელიც სოფლის მეურნეობაზე მოდის 2006-2016 წლებში მხოლოდ 0,7%-ით ზრდა არის მოცემული. ამის შემდეგ შეგიძლია ვთქვათ,რომ საფინანსო სექტორიში დასამქმებულთა საშუა-ლო ხელფასი 2007-2015 წლებში 1 014-დან 1 691 ლარამდე გაიზარდა, ხოლო რაც შეეხება სოფლის მე-ურნეობას მასში დასაქმებულთა შემთხვევაში ეს ციფრი 184 ლარიდან 578-მდე გაიზარდა. სოფლის მე-ურნეობაში დასაქმებულების საშუალო ხელფასი ბოლო 9 წელიწადის განმავლობაში უფრო მეტად და მეტად გაიზარდა პროცენტული რაოდენობით ვიდრე საფინანსო სექტორის მუშაკებისთვის. მიუხედა-ვად ამისა ამ ორ სფეროში დასაქმებულ ადამიანთა ხელფასებს შორის სხვაობა კიდევ უფრო გაღრმავ-და.მაგალითად, თუ 2007 წლის მონაცემებს გადავხედავთ ვნახავთ, რომ საფინანსო სექტორში დასაქ-მებულები დაახლოებით 830 ლარით მეტს იღებდა, ვიდრე სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებუ-ლი ადამიანი, 2015 წლის მონაცემებით ეს სხვაობა 1 113 ლარამდე გაიზარდა.

ქვეყანაში უმუშევრობის და სიღარიბის მაღალ დონეს ეკონომიკის ზრდის შედეგად მიღებული სარგებლის არათანაბარი გადანაწილება ინარჩუნებს. „საქსტატის“ მონაცემებით 2016 წელს, ჩვენს ქვეყანაში სიღარიბის ზღვარს მიღმა არსებული მოსახლეობის წილი 0,5%–ით გაიზარდა და 21,3% შეადგენდა. 2010 წლიდან 2015 წლამდე კი ეს მაჩვენებელი 36,1%–დან 20,8%–მდე მცირდება. როგორც რეგიონებში ასევე თბილისში გაიზარდა სიღარიბის ზღვარს მიღმა არსებული მოსახლეობის წილი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური მონაცემებით,თბილისში გაიზარდა 19,7%–დან 16,9%–მდე, რეგიონებში კი 24,7%–დან 25,5%–მდე გაიზარდა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური მომსახურე-ბის ინდუსტრიის როლს საქართველოში ინვესტიციების, დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის მი-საღწევად, იმის მიუხედავად, რომ ფინანსური სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კერძო სექ-ტორის დაფინანსებაში, საჭიროა ფინანსური მომსახურების სექტორის ყოვლისმომცველი სტრატე-გიის დასახვა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა ფინანსური მომსახურების ინდუსტრია უფრო მეტად უწყობდეს ხელს კაპიტალდაბანდებასა და გრძელვადიანი დანაზოგების ზრდას.

ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს არასა-ბანკო საფინანსო სექტორს. მისი როლი უნდა გამოიკვეთოს,როგორც საშუალო ასევე მცირე ბიზნე-სის დასაფინანსებლად. ამასთან, არის კიდევ ერთი პრობლემა - საკმაოდ ბევრია ფინანსური მომსა-ხურების მომწოდებელი.

ნაშრომის მომდევნო ნაწილში ყურადღებას გავამახვილებთ საქართველოში მდებარე ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის კონმპანიებზე, საქმიანობის ანალიზსა და შეფასებაზე.

საქართველო იყო პირველი ქვეყანა ყოფილი საბჭოთა კავშირში, რომელმაც საბანკო (და, ზოგა-დად, ფულად-საკრედიტო სისტემის) რეფორმა განახორციელა და ეს რეფორმა აღმოჩნდა ყველაზე უფრო წარმატებული. საქართველოს ეკონომიკაში არის შეზღუდული ფუნქციონირების კაპიტალის ბაზარი, ამიტომ კომრციული ბანკები ძირითადი ფინანსური შუამავლის როლს ასრულებენ. კომერ-ციული ბანკები მოქმედებენ საქართველოს კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახე'', აღნიშნული კანონი განსაზღვრავს იმ ოპერაციებს, რომელი ოპერაციებიც უნდა განახორცილეოს საქართველოს ბანკებმა.

კანონში შეტანილი ბოლო შესწორებებით გაფართოვდა საბანკო საქმიანობა, ბანკებს მიეცათ უფლება რომ განახორციელონ შემდეგი საქმიანობა: ცენტრალური დეპოზიტარის ფუნქცია, ქონების იჯარით გაცემა, საგადასახადო მომსახურება, საგადასახადო სისტემის ოპერირება. მათ ასევე შეუძლიათ შექმნან ახალი საბანკო პროდუქტები ან მოიპოვონ დამატებითი შემოსავლის წყაროები. თუმცა ახალი შემოსავლის წყაროების დამატება რისკებთან არის დააკავშირებული.

საქართველოს საბანკო სექტორი წლიდან წლამდე ვითარდება. თუ 2008 წელს ჩვენს ქვეყანაში ოპერირებდა 20 კომერციული ბანკი, დღეს დღეობით საქართველოში 16 ლიცენზირებული საბანკო დაწესებულება არსებობს (იხ. ცხრილი 1). შედარებით სუსტი კომერციული ბანკები „საქართველოს ბანკმა“და „თიბისი ბანკმა“ შეისყიდა,როდესაც ბანკები გაერთიანდნენ.

2018 წლის პირველი აპრილის მონაცამებით საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო

დეპოზიტების მოცულობამ 19.6 მლრდ ლარს გადააჭარბა, რაც 459.1 მლნ ლარით, ანუ 2.4 პროცენტით გაიზარდა პირველი მარტის მონაცემებთან შედარებით.(გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 4.1 პროცენტით მეტი). მარტში, წინა თვესთან შედარებით, ამავე წელს გაიზარდა ვადიანი დეპოზიტები 461.3 მლნ ლარით, ანუ 4.0 პროცენტით,ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები შემცირდა 2.2 მლნ ლარით, ანუ 0.03 პროცენტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე გაიზარდა 1.5 პროცენტით).

რაც შეეხება საბანკო სექტორის წმინდა მოგებას, ბოლო წლების ტენდენციების მიხედვით,შეგვიძლია ვთქვათ,რომ ქართული საბანკო სექტორი ყოველწლიურად რეკორდულ მოგებაზე გადის. 2016 წ. კომერციულმა ბანკებმა 631 815ნ 000 ლარის წმინდა მოგება მიიღეს, 2015 წელს – 537 394 000 ლარის. 2014 წელს – 474 808 000 ლარის მოგებით დასრულდა, 2013 წელი – 389 132 000 ლარით, 2012 წელი - 134 231 000 ლარით და ა. შ. ხოლო დაზუსტებული მონაცემებით კი საქართველოს კომერციული ბანკების მოგებამ 2017 წელს 869 მლნ. ლარი შეადგინა. როგორც ვხედავთ (იხ. დიაგრამა 1), წინა წლებთან შედარებით, კომერციული ბანკების წმინდა მოგება ყოველ მომდევნო წელს მატულობს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების ბოლო მონაცამებით,ჩვენი ქვეყანა მსოფლიო ათეულშია საბანკო სექტორი მომგებიანობის მიხედვით.[5]

ეროვნული ბანკის მონაცემები გვიჩვენებს რომ, 2018 წლის მარტში კომერციულ ბანკების წმინდა მოგება, 2017 წელთან შედარებით, 39,5 მილიონი ლარით შემცირდა. 2018 წლის მარტში კომერციული ბანკების წმინდა მოგება 75,6 მილიონი ლარი იყო. 2017 წლის მარტში კი 115.1 მილიონი ლარს შეადგენდა.

საპროცენტო შემოსავალი არის ბანკების მთავარი შემოსავალი, რომელმაც 269 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის,158 მილიონი ლარი იყო ფიზიკური პირების სესხებუდან, ხოლო 79 მლნ ლარი იურიდიული პირების ვალდებულებებიდან.67 მილიონი ლარია არასაპროცენტო შემოსავალი. ამას გარდა, 2018 წლის მარტში კომერციული ბანკების მიერ მიღებულმა შემოსავალმა რომელიც ჯარიმებიდან/საურავებიდან იყო შემოსული 6 მილიონი ლარი შეადგინა; საკონვერსიო ოპერაციებიდან-,რაც გულისხმობს ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან მიღებულმა წმინდა მოგება/ზარალმა 15 მილიონი ლარი შეადგინა. გაწეული მომსახურებებიდან და საკომისიოებიდან მიმდინარე წლის მარტში ბანკებმა 35,8ლარი მიიღეს შემოსავლის სახით.ხარჯებს რაც შეეხება, 2018 წლის მარტში, კომერციული ბანკების ხარჯებმა 253 მილიონი ლარი შეადგინა. ეროვნული ბანკის მონაცემებით,ამავე წლის მარტში8 მილიონი ლარის მოგების გადასახადი გადაიხადეს კომერციულმა ბანკებმა.

ეროვნული ბანკის მონაცემები გვიჩვენებს რომ, 2018 წლის მარტში კომერციულ ბანკების წმინდა მოგება, 2017 წელთან შედარებით, 39,5 მილიონი ლარით შემცირდა. 2018 წლის მარტში კომერციული ბანკების წმინდა მოგება 75,6 მილიონი ლარი იყო. 2017 წლის მარტში კი 115.1 მილიონი ლარს შეადგენდა.

დიაგრამა 1

საქართველოს კომერციული ბანკების მოგება 2012-2017 წლებში (მლნ. ლარებში)



წყარო: დიაგრამა შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით.

საპროცენტო შემოსავალი არის ბანკების მთავარი შემოსავალი, რომელმაც 269 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის,158 მილიონი ლარი იყო ფიზიკური პირების სესხებუდან, ხოლო 79 მლნ ლარი

იურიდიული პირების ვალდებულებებიდან.67 მილიონი ლარია არასაპროცენტო შემოსავალი. ამას გარდა, 2018 წლის მარტში კომერციული ბანკების მიერ მიღებულმა შემოსავალმა რომელიც ჯარიმებიდან/საურავებიდან იყო შემოსული 6 მილიონი ლარი შეადგინა; საკონვერსიო ოპერაციებიდან-,რაც გულისხმობს ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან მიღებულმა წმინდა მოგება/ზარალმა 15 მილიონი ლარი შეადგინა. გაწეული მომსახურებებიდან და საკომისიოებიდან მიმდინარე წლის მარტში ბანკებმა 35,8ლარი მიიღეს შემოსავლის სახით.ხარჯებს რაც შეეხება, 2018 წლის მარტში, კომერციული ბანკების ხარჯებმა 253 მილიონი ლარი შეადგინა. ეროვნული ბანკის მონაცემებით,ამავე წლის მარტში8 მილიონი ლარის მოგების გადასახადი გადაიხადეს კომერცილმა ბანკებმა. [6]

ზოგადად,ნებისმიერ ქვეყანაში ერთი რომელიმე ეკონომიკური სექტორი მომგებიანი უნდა იყოს ეკონომიკისთვის, მაგრამ, როდესაც საბანკო სექტორზე ვიწყებთ საუბარს,ადამიანები ძალიან ბევრ კითხვარს სხვავენ და საკითხი რთულდება.ეკონომიკურ ზრდას და ბანკების მომგებიანობას შორის კავშირი საკითხს უფრო და უფრო მნიშვნელოვანს ხდის როგორც ქვეყნის ეროვნულ ბანკებში ისე აკადემიურ წრეებში. ორი ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტი არსებობს, თუ როგორ მოქმედებს ბაკების მომგებიანობა ეკონომიკურ ზრდაზე. მაღალი მომგებიანობა ნიშნავს დაბალ კონკურენციას ან მაღალს რაც კრედიტებზე წვდომის შეზღუდვას იწვევს და, შესაბამისად, ანელებს ზოგად ეკონომიკურ ზრდას. ან ბანკების მომგებიანობამ შესაძლებელია დადებითად იმოქმედოს ეკონომიკურ ზრდაზე ან შეიძლება დააჩქაროს ფინანსური სტაბილურობა და მეტიც, ბანკების მაღალი მომგებიანობა ამცირებს საბანკო ჩავარდნის ალბათობა.

საქართველოში ძლიან ბევრი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გამოჩნდადა ამ ორგანიზაციების კრედიტებზე წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთები 500%-დან 1100%-მდე არის. ასეთი საპროცენტო განაკვეთის,მიუხედავად მიკროსაფინანსო ორანიზაციებს კლიენტი ყოველთვის ჰყავთ და მათი სიმცირე არ შეინიშნება. ამ ფაქტის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ,რომ ეს არამხოლოს მოსახლეობის გაუნათლებლობაზე მიუთითებს,არამედ იმაზე,რომ დღევანდელობაში მოსახლეობა იმდენად გაჭირვებულია,რომ საკვების საყიდლად ყველაფერზე მიდიან.ბანკი და ხელისუფლება კიარ იმჩნევს საქართველოში საკრედიტო ორგანიზაციების ველური წესებით თამაშს.

ეკონომიკის და ბიზნესის ცენტრის (BEC) გვერდში დგომით, Smart Campaing-ის და Bankable Frotier Associates (BFA)-ის მიერ ჩატარებული კვლევაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და კლიენტთა ურთიერთობის პერიოდში არასასიამოვნო საკითხები გამოიკვეთა, თუმცა, მსგავსი პრობლემები არსებობს ყველა სახის საკრედიტო ინსტიტუტში, მათ შორის ბანკებში.

პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: ის მომხმარებლები ვინც იენებენ ონლაინ სესხებს ისინი ბოლომდე ვერ იაზრებენ სესხის პირობებს და ვადებს.მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომხმარებელთა 97%-ს მიღებული აქვს ვალის დაფარვის გრაფიკი, მაგრამ აქედან ამომხმარებელთა 28%-მა არ იცის თავისი სესხი რამდენ პროცენტში აქვს აღებული, 22%-ი კი ვერ იხსენებს საერთო ჯამში რამდენი გადაიხადა სესხის დასაფარავად.

საქართველოში სწრაფ სესხებზე მოთხოვნის გაზრდა მოსახლეობაში არსებულ ფინანსურ პრობლემებს უკავშირდება. მომხმარებელლთა დიდი ნაწილი უმიზნოდ იღებს ვალს ზოგი კი სახარჯო დეფიციტის გადაფარვის გამო, სესხზე მოთხოვნა იზრდება ხშირად იმ მიზეზით, რომ მოსახლეობას სოციალური პრობლემა აქვს. როდესაც სესხს იღებს მომხმარებელი მისთვვის არანაირი მნიშვნლობა არ აქვს თვის ბოლოს ან წლის ბოლოს რამდენს გადაიხდის, მთავარია იმ დროს არსებული ფინანსური პრობლემა მოგვარდეს სწრაფად.[8]

ხშირად მოსახლეობის დიდი ნაწილი იმიტომ იღებს სწრაფ სესხს როდესაც სხვა სესხის გადაფარვა სურს და ასე გრძელდება სულ. სწრაფი სესხების მომრავლება მოსახლეობის მხრიდან „'-†•'—' ფულისნ მოთხოვნამ განაპირობა.

მთელ მსოფლიოში, კაპიტალის ბაზარზე,სადაზღვევო ორგანიზაციებიცაა წარმოდგენილი ძირითად მოთამაშე ინსტიტუციურ ინვესტორებთან ერთად. მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სადაზღვევო კომპანიები ახდენენ ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან აკუმულირებას. ამდენად, სადაზღვევო ინდუსტრია ერთ-ერთი წამყვანი სექტორია ეკონომიკური განვითარებისთვის. აქტუალურია ქართული სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო შესაძლებლობების გაუმჯობესება. ყველაზე მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ,საერთაშორისო გამოცდილებაზე,სადაც ერთ-ერთ მთავარ წყაროს შეადგენენ საინვესტიციო საქმიანობის სადაზღვევო კომპანიები.

თუ გვინდა,რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ინვესტირებაზე სადაზღვევო კომპანიების გავლენის ფაქტორს დადებითი შეფასება ჰქონდეს ის უნდა იყოს მდგრადი და სწრაფად მზარდი, მაგრამ ჩვენი ქვეყნის სადაზღვევო სექტორს პრემიების დაბალი მოცულობა აქვს – 471 150 341 ლარი, რაც მშპ-ის 1,76 %-ს შეადგენს, ქვეყნის ინდუსტრიის განვითარების პარამეტრს არ ესაბამება ამ ბაზრის მიერ მიღწეული მოცულობის დონე – მშპ-ს 5%-ს (განვითარებულ ქვეყნებში) და ვერ აღწევს საბჭოთა პერიოდის დონემდეც – 3,3%-ს.

დიაგრამა 2

სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემია (მილიონ ლარებში)



წყარო: სსიპ საქართველოს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

საკრედიტო დაწესებულებებს (ბანკებს), საქართველოს სადაზღვევო სექტორთან, შედარებით უფრო მაღალი კაპიტალიზაცია გააჩნია,რომელთა საშუალო მაჩვენებელი, კვლევის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შესაბამისად ტოლია. ერთი სადაზღვევო კომპანია – საშუალოდ, 6 მლნ. ერთი კომერციულ ბანკს რაც შეეხება – საშუალოდ, 2 015 მლნ. ლარი სააქციო კაპიტალი.აქტივების მოცულობა კი 2008-2013 წლებში, საშუალოდ, სადაზღვევო კომპანიის აქტივები 45-ჯერ ნაკლებია-,ერთი კომერცული ბანკის აქტივების მაჩვენებლის. [2]

საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის ფინანსური მონაცემების მიხედვით, კვლევის საანგარიშგებო პერიოდში (2008-2013 წ.), სადაზღვევო კომპანიების მიერ განხორციელებული საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა 129,99 მლნ. ლარი შეადგინა. სადაზღვევო საინვესტიციო ინსტრუმენტების ყველაზე დიდი ნაწილი (57 %) საბანკო ანგარიშებზე დეპოზიტებშია მიმართული. 26%-ს წარმოადგენს შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციები და სადაზღვევო აქტივებში საინვესტიციო ინსტრუმენტების განთავსების კუთხით, რომელიც იკავებს მე-2 პოზიციას.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით, განხორციელდა საპენსიო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შესწავლა, რომლის საფუძველზეც გამოვლინდა, რომ მას განვითარების არასტაბილური ტენდენცია ახასიათებს.საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, 2008 წლიდან დღემდე საპენსიო სქემებში განხორციელებული შენატანები შემცირებულია 37%-ით, ამასთანავე, საპენსიო შენატანების წილი მშპ-ში ძალიან დაბალია, რომლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2008 წელს — 0,02%, რის შემდეგაც, 2009-2013 წლებში მხოლოდ 0,01%-ს შეადგენს. [7]

საქართველოს საფონდო ბაზარზე, ამ დროისთვის, არც ერთი სადაზღვევო კომპანია არ არის წარმოდგენილი. მათი საინვესტიციო პოტენციალიც, ამ მომენტისთვის, ძალიან მცირეა იმისათვის, რომ შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი და ხელი შეუწყონ კორპორატიული ობლიგაციების ბაზრის და საფონდო განვითარებას და სტაბილიზაციას. აღნიშნულის ძირითადი მიზეზი მოზიდული პრემიის სიმცირე აღინიშნება.

ჩვენს ქვეყანაში სადაზღვევო ინვესტიციების მთავარი რესურსები წარმოადგენს ,საპენსიო და სიცოცხლის დაზღვევას, რაც პრაქტიკულად განუვითარებელია. მათი ზრდა არის მოსალოდნელი, რაც უფრო მეტად გაჯანსაღდება ქვეყნის ეკონომიკური კლიმატი, უფრო ამაღლდება საქართველოში ცხოვრების დონე და მოსახლეობისთვის სადაზღვევო პროდუქტების (სიცოცხლის დაზღვევა, საპანსიო დაზღვევა) როლი გადაიქცევა საჭირო და აუცილებელ საგნად.

2017 წლის ბოლო მონაცემებით დარეგისტრირდა 16 სადაზღვევო კომპანია, და აქედან მხოლოდ ერთს აქვს არასასიცოცხლო დაზღვევის უფლება დანარჩენს 15 კომპანიას აქვს სიცოცხლის და არასასიცოხლო დაზღვევის ლიცენზი.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით 2017 წლის განმავლობაში მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან

441,40 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო რაც შეეხება წმინდა მოგებას მისი მაჩვენებელი 20,34 მილიონი ლარი იყო, აქტივები შეადგენს 580,22 მილიონ ლარს, ხოლო კაპიტალი 154,25 მილიონ ლარს.

დასკვნა

ფინანსური ინსტრუმენტების ნაკლებობა, ლიკვიდურობის დავალი დონე, ინვესტორთა სიმცირე, ვაჭრობის მცირე მოცულობები, და ფინანსური განათლების დაბალი დონე არის საფონდო ბირჟის და მთლიანად ბირჟის ძირითადი გამოწვევები.

აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს საგადასახადო გარემოს დახვეწის მიმართულებით მუშაობა-,ასევე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით, და ასევე მუშაობენ საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონის პროექტზე და რეგულარულად ტარდება ტრენინგები რაც ითვალისწინებს ბაზრის მონაწილეთა ცოდნის ამაღლებას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ მოსახლეობას არ აქვს ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ფასიან ქაღალდებში ინვესტიციის ჩადება ბევრად რისკიანია ვიდრე საბანკო დეპოზიტებში და შესაბამისად ამის ცოდნა უფრო მნიშვნელოვანია. ყოველივე ამის გათვალისწინებამ და შესწავლამ უნდა უზრუნველყოს ბაზრის ბრუნვების ზრდა.

დღევანდელ დღეს, როდესაც ბიზნესი გამუდმებით ფართოვდეა და გლობალურ მასშტაბებს იძენს, ბიზნეს პროცესებიც უფრო რთული და მრავალფეროვანი ხდება, ასეთ პირობებში კი ბუნებრივად მატულობს თითოეული საქმიანობის ზუსტი და მართლზომიერი აღრიცხვის მოთხოვნილება, ამიტომაც საშუამავლო ბიზნესი საქართველოში ხდება აქტუალური სპეციალობა. გარდა შუამავლების, რომლებიც მოღვაწეობენ საქართველოს საფონდო ბირჟებზე, არსებობენ სხვა სახის შუამავლები.

დღესდღეობით უფრო მეტი ხალხი აქცევს ყურადღებას საერთო ფინანსებს და საშუამავლო სფეროს. ამ საქმის პოპულარიზაცია გვაძლევს მის განვითარების გარანტიას. ვარშავის საფონდო ბირჟსთან დაიწყო სერიოზული საქმიანი ურთიერთობა სსბ-მ,იმიტომ,რომ მათი გამოცდილების გაზიარება დიდ გავლენას მაოხდენს სსბ-ს განივითარებაში. რადგან ვარშავა ძალიან მალე გახდა ლიდერი აღმოსავლეთ ევროპაში საფონდო ბირჟის განვითარების კუთხით.ჩვენ თუ გვინდა,რომ ჩვენი ქვეყანა გადავიდეს ეკონომიკის განვიარების ახალ ეტაპზე,მაშინ უნდა შეიქმნას ფასიანი ქაღალდების ბაზარი,რადგან ეს ნაბიჯი საქართველოს დაეხმარება,რომ უფრო გაძლიერდეს ქვეყნის ეკონომიკა და საფონდო ბირჟა.

ლიტერატურა

1. გვალია ტ. საპენსიო რეფორმა და კორპორაციული მმართველობა. Forbes. *http://forbes.ge/blog/226/-sapensio-reforma-da-korporaciuli-mmarTveloba*
2. დანელია ბ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემცირება გაგრძელდება. For. ge. 2018. *http://www.for.ge/view.php?for_id=51987&bloger_id=22&cat=12*
3. ნამჩავაზე ბ. როგორ ვითარდება ქართული საბანკო სისტემა. Forbes Banker. *http://forbes.ge/news/1674/rogor-viTardeba-qarTuli-sabanko-sistema*
4. საქართველოს საფონდო ბირჟის საიტი. *http://www.gse.ge/about-gse*
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *http://www.geostat.ge/*
6. საქართველოს ეროვნული ბანკი. *https://www.nbg.gov.ge/index.php?m=130*
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი. 2017 წლის მე-3 კვარტალი.
8. *http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/GDP%20Q3%202017_Press%20release%20Geo.pdf*
9. Smart Campaign-ის და Bankable Frontier Associates (BFA)-ის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიში - „მომხმარებელთა დაცვა და მიკროსაფინანსო სექტორი საქართველოში: განვითარების შესაძლებლობის მქონე პასუხისმგებლიანი ბაზარი'' პრეზენტაცია. საქართველოს პარლამენტი. 2016
10. Levin R. Finance and Growth: Theory and Evidence// working Paper 10766. September 2004. National Bureau of economic research. *http://www.nber.org/papers/w10766.pdf*

THE ROLE AND IMPORTANCE OF FINANCIAL SERVICES INDUSTRY IN THE DEVELOPMENT OF THE COUNTRY'S ECONOMY

Samchkuashvili Nino
PhD of Economics, Associated Professor, Georgian National University

Summary

The fact is that the financial sector is one of the most difficult and exciting areas of modern highly developed countries, characterized by a number of peculiarities of development in the conditions of a transformative economy, and the efficiency of the whole economic system is largely dependent on its performance.
The financial services industry is a combination of specific forms and methods of using finance in the economy, and the economic model in place in the country largely depends on it.

Key Words: *financial services, industry, development, economy.*

პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული ქმედებები საჯარო სამსახურში

სარდლიშვილი ნინო
თსუ-ის დოქტორანტი

საჯარო სამსახურის რეფორმა მიმდინარე პროცესია, რომელიც სხვადასხვა მნიშნელოვანი ეტაპისგან შედგება. ერთ-ერთი ასეთი ეტაპი საჯარო მოხელეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება და ამ ამ მიზნით განხორციელებული ქმედებებია. მიმდინარე წელი პირველია, როდესაც საჯარო უწყებები ვალდებულები არიან წლის დასაწყისში წარადგინონ თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა და შესაბამისად მიყვნენ აღნიშნულ გეგმას. ყოველივე ეს მიზნად ისახავს პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ტრენინგების სისტემატიზებას და საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ძირითადი მიმართულებების გამოვლენას.

საკვანძო სიტყვები: *საჯარო სამსახური, საჯარო მოხელე, პროფესიული განვითარება, კვალიფიკაციის ამაღლება.*

საქართველოს საჯარო სამსახურის რეფორმა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. რეფორმის ბოლო ტალღა შეიძლება ერთ-ერთ ყველაზე მაშტაბურადაც ჩაითვალოს, მის ფარგლებში შეიცვალა თვითონ კანონი საჯარო სამსხურის შესახებ და მოხდა მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტების მიღება, რომელთა მიზანიც საჯარო სამსახურის სხვადასხვა მიმართულების უკეთესად განვითარებაა.

რეფორმის თითოეული ნაწილი ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა, თუმცა ამჯერად რეფორმის იმ ცვლილებებს განვიხილავთ რომელიც საჯარო მოხელის პროფესიულ განვითარებაზეა ორიენტირებული.

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 54 მუხლის შესაბამისად, საჯარო მოხელე ვალდებულია სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინებით იზრუნოს საკუთარ პროფესიული განვითარებაზე. თავის მხრივ თითოეული საჯარო სამსახური ასევე ვალდებულია იზრუნოს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდაზე. დამსაქმებლისთვის, ანუ ჩვენს შემთხვევაში საჯარო სამსახურისთვის დასაქმებულის, ანუ საჯარო მოხელის პროფესიული ზრდაზე ზრუნვა მიზნად უბრალოდ ამ კონკრეტული ინდივიდის ცოდნის ამაღლებას არ ისახავს, საჯარო სამსახურსთვის მთავარი კონკრეტული საჯარო უწყევის ეფექტიანობის ზრდაა, სწორედ ამისთვის მიმდინარე წლიდან თითოეული უწყება ყოველი წლის დასაწყისში ვალდებულია წარადგინოს გეგმა რომლის მიხედვითაც ის წლის განმავლობაში გადაამზადებს თავის თაბამშრომლებს და მათი კვალიფიკაციის ზრდის ხარჯზე გაზრდის უწყების ეფექტიანობას.[1]

საინტერესო და მნიშვნელოვანია ისიც, რომ კანონი ავალდებულებს საჯარო სამსახურს დატრეინინგებული თანამშრომლების შენარჩუნებას, დამსაქმებელ და დასაქმებულს შორის იდება ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოხელე იღებს ვალდებულებას, რომ დატრენინგების შემდეგ მუშობას გააგრძელებს საჯარო სამსახურში, ხოლო დამსაქმებელი თავის მხრივ იღებს გარანტიებს, რომ თანამშრომლის სწავლისთვის გაწეული ხარჯი გამართლებული იქნება.[2]

2015 წლის „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონმა პირველად შექმნა სამართლებრივი საფუძველი ერთიანი პროფესიული განვითარების სისტემის შექმნისა და განვითარებისათვის. 2015 წლამდე საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარებისთვის დაგეგმილი ტრენინგები არასისტემურობით ხასიათდებოდა და არ ითვალისწინებდა, როგორც საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების, ასევე, საჯარო დაწესებულების საჭიროებებს. ამასთან, არ არსებობდა ხედვა რომლის თანახმადაც, საჯარო დაწესებულება დაგეგმავდა მოხელეთა სწავლების ციკლს საერთაშორისო გამოცდილებისა და მმართველობის ევროპული პრინციპების გათვალისწინებით[3]. მიღებულმა კანონმა არსებული ხარვეზის ამოვსება და საჯრო მოხელეთე ტრეინინგების ქაოტორობის სისტემატიზაცია სცადა.

საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარებისთვის, ტრეინინგების სისმეტატიზებისთვის და მოწესრიგებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი 2018 წლის მთავრობის დადგენილებაა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ. დადგენილების

[1] კანონი საჯარო სამსახურის შესახებ მუხლი 54
[2] კანონი საჯარო სამსახურის შესახებ მუხლი 54
[3] საჯარო სამსახურის ანგარიში გვ. 3

საფუძველზე საჯარო სამსახურში მყოფი პასუხისმგებელი სუბიექტი, ძირითადად ეს არის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სამსახური ან პირი, განსაზღვრავს მოხელეთა შეფასებებზე დაყრდონით იმ პროგრამებს და თანამშრომელთა რაოდენობას რომელთა გადამზადებაც, კვალიფიკაციის ამაღლებაც საჭიროა კონკრეტული საჯარო სამსახუსი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისთვის.[4]

საჯარო სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის სუბიექტი ვალდებულია ყოველი წლის 1 მარტამდე წარადგინოს საჯარო სამსახურის ბიუროში პროგრამები და საჯარო მოხელეთა რაოდენობა რომელიც ამ პროგრამების საშუალებით გაიღრმავებენ ცოდნას და აიმაღლებს კვალიფიკაციას.[5]

მოხელეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჯარო სამსახური სთავაზობს ორი სახის პროგრამას- ძირითადს, ანუ საბაზისოს და დამატებითს. საბაზისო პროგრამის გავლა სავალდებულოა ხოლო დამატებითი პროგრამის საჭიროებებს თითოეული საჯარო სამსახური თავად განსაზღვრავს. საბაზისო და დამატებითი კურსის გავლა შესაძლებელია დისტანციურად, საკლასო მეცადინეობით, მასტერკლასებით და ადგილზე სწავლებით.[6] საჯარო სამსახური თავად განსაზღვრავს თავისი თანამშრომლებისთვის სწავლების რომელი მეთოდია უფრო მისაღები და ეფექტიანი.

2019 წელი საინტერესოა იმ მხრივაც რომ წელს საჯარო სამსახურებმა პირველად წარადგინეს საჯარო სამსახურის ბიუროში თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმა. წელსვე პირველად საჯარო სამსახურებმა დაგეგმეს და სისტემური სახე მისცეს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროცესს.

საჯარო სამსახურის ბიურომ გამოაქვეყნა იმ საჯარო დაწესებულებათა სია, რომლებმაც კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების გეგმა წარადგინა ბიუროში. ესენია საქართველოს პარლამენტი, სამინისტროები, ადგილობრივი თვითმმართველობის როგორც წარმომადგენლობითი, ასევე აღმასრულებელი ორგანოები, სასამართლოები, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგელები, სხვადსხვა საქვეუწყებო დაწესებულებები, საერთო ჯამში 208 საჯარო დაწესებულება[7]. საჯარო სამსხურის ბიუროს 2018 წლის ანგარიშის მიხედვით საჯარო სამსხურში დასაქმებულთა რაოდენობა 38 000-ს სცდება[8] ხოლო იმ მოხელეთა რაოდენობა რომელმაც 2019 წელს უნდა კვალიფიკაცია აიმაღლოს 6202-ია[9], რაც სექტორში დასაქმებულთა დაახლოებით 16%-ს შეადგენს.

საქართველოს მთავრობის 8 სამინისტრომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 5-მა სამინისტრომ, აფხაზეთის ავტონომიურე რესპუბლიკის 3 სამინისტრომ, 57-მა მუნიციპალიტეტის საკრებულომ, 57-მა მუნიციპალიტეტის მერიამ, 13-მა გამგეობამ, 23-მა სასამართლომ, 2-მა გუბერნატორის ადმინისტრაციამ, 39-მა სხვადასხვა დაწესებულებებმა, მაგალითან სახალხო დამცველის აპარატმა, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და სხვა, საქართველოს პარლამენტმა გადაწყვიტა რომ 2019 წელს დაეტრენინგებინათ და გაეუმჯობესებინათ საკუთარი თანამშრომლების კვალიფიკაცია.

მთავრობის დადგენილების საფუძველზე განისაზღვრა, რომ კვალიფიკაციის ამაღლება შესაძლებელია საბაზისო ან დამატებითი კურსის საშუალებით. 2019 წლისთვის პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების და მოხელის მენეჯერული უნარების განვითარების კურსი საბაზისო პროგრამად გაიწერა. დამატებითი პროგრამა უფრო მრავალფეროვანია, მის ფარგლებში გვხვდება როგორც პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული კურსები, როგორიცაა ეთიკა საჯარო სამსახურში, საზოგადოებასთან ურთიერთობა და დროის მართვა, ისე მოხელის პროფესიული უნარების გასაუმჯობესებელი პროგრამები, მაგალითად ბიუჯეტის შედგენა, ბუღალტრული აღრიცხვა და სხვა.

საქართველოს სხვადასხვა სამინისტროდან 2019 წელს ორივე საბაზისო და 100-ზე მეტ დამატებით პროგრამაზე 1900-ზე ოდნავ მეტი საჯარო მოხელე ისწავლის. ყველაზე მეტი მოხელის კვალიფიკაციის ამაღლებაზე საგარეო საქმეთა სამინისტრო ზრუნავს - 564 ადამიანი, მეორე ადგილზე იუსტიციის სამინისტროა 316 ადამიანით, ხოლო საპატიო მესამე ადგილს 300 ადამიანით ფინანსთა სამინისტრო იკავებს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამონისტრომ 2019 წელს მხოლოდ 9 თანამშრომლის პროფესიულ ზრდაზე იზრუნებს. მთავრობის ადმინისტრაციის 12 მოხელე გაივლის 2 კურსს. საერთო ჯამში 2019 წელს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების 1930 მოხელე აიმაღლებს კვალიფიკაციას.[10] რაც შეეხება საქართველოს პარლამენს, ის მიმდინარე წელს 9 პროგრამით მხოლოდ 60 საჯარო მოხელის გადამზადებას გეგმავს.

---

[4] მთავრობის დადგენილება 242. მუხლი 4
[5] იქვე
[6] მთავრობის დადგენილება 242. მუხლი 5
[7] 2019 წლის პროფესიული განვითარების გეგმები
[8] ანგარიში 2018. გვ29
[9] 2019 წლის პროფესიული განვითარების გეგმები
[10] 2019 წლის პროფესიული განვითარების გეგმები

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა 2019 წელს 764 საჯარო მოხელის გადამზადება გადაწყვიტეს. ამ 764-იდან 411 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დასაქმებული ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეაები არიან,[11] რაც ლოგიკურიცაა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ყველაზე დიდია ქვეყანაში, შესაბამისად დედაქალაქის აღმასრულებელ ორგანოში უფრო მეტი ადამიანია დასაქმებული და თავისთავად უფრო მეტი მოხელის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაა საჭირო. უკვე აღვნიშნეთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ უწყებათა გარდა, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული არაერთი ორგანიზაცია გეგმავს მიმდინარე წელს. საერთო ჯამში ასეთი უწყებების 3400-ზე მეტი თანამშრომლემელი გაივლის კვალიფიკაციის ასამაღლებელ როგორც საბაზისო ისე დამატებით კურსებს[12].

2019 წელი პირველი წელია, როდესაც საჯარო სამსახურებს დაევალათ წინასწარ დაეგეგმათ თავიანთი თანამშრომლების პროფესიული განვითარება, საინტერესო იქნება 2019 წლის საჯარო სამსახურის ანგარიში. ის, რომ 6000 ადამიანის დატრენინგება დაიგეგმა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საბოლოოდ ყველა მათგანი გაივლის სასწავლო კურსს. წლევანდელი პროგრამები, როგორც საბაზისო, ასევე დამატებითი, შეგვიძლია აღვიქვათ საპილოტედ, სწორედ მიმდინარე წლის შედეგების ანალიზის საფუძველზე უნდა დაგეგმოს თითოეულმა საჯარო სამსახურმა მომავალი წლის პროგრამები, საჯარო სამსახურმა უნდა შეადაროს გადამზადებული, უკვე დატრეინინგებული მოხელეების მუშაობის ეფექტიანობა, შეადაროს არსებული მდგომარეობა ტრეინინგების გავლამდელს და ამ ყველაფრის საფუძველზე განსაზღვროს რომელი პროგრამა უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა და რომელი არა. 2019 წლის შედეგების ანალიზი ძალზე მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურის მომავალი განვითარებისა და უფრო მეტი მაღალკვალიფიციური საჯარო მოხელედ ჩამოყალიბებისთვის.

ლიტერატურა

1 კანონი საჯარო სამსახურის შესახებ: საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. 2015 წელი ქუთაისი, საქართველო

2 მთავრობის დადგენილება 242: საქართველოს მთავრობის დადგენილება 242. პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესი, პროფესიული განვითარების სტანდარტი და წესი. 2018 წელი, თბილისი საქართველო.

3 საჯარო სამსახურის ანგარიში: პროფესიული განვითარების სისტემა საქართველოს საჯარო სამსახურში. ანგარიში. 15.01.2019 წელი. საჯარო სამსახურის ბიურო. თბილისი, საქართველო.

4 ანგარიში 2018: საჯარო სამსახურის ბიუროს საქმიანობის 2018 წლის ანგარიში. საჯარო სამსახურის იურო, თბილისი, საქართველო

5 2019 წლის პროფესიული განვითარების გეგმები: პროფესიული საჯარო მოხელეების 2019 წლის პროფესიული განვითარების გეგმები (03.04.2019 მდგომარეობით).

ACTIONS FOR THE PROFESSIONAL DEVELOPMENT OF STAFF IN THE PUBLIC SERVICE

Sardlishvili Nino

Faculty of Economics and Business. Ph.D.

Ivane Javakhishvili st. Tbilisi state university

Public Service Reform is an ongoing process, comprised of various important milestones. One of these stages is the professional development of civil servants. This year is the first in which public agencies are required to submit a plan for staff qualification upgrading at the beginning of the year and follow suit. All of this aims to systematize the training required for professional development and accordingly follow that plan.

Key words: *public service, Public servant, Professional Development, Qualification upgrading.*

[11] იქვე

[12] იქვე

ინოვაციისა და კრეატივის მნიშვნელობა რეგიონული ეკონომიკის განვითარებაში

სირბილაძე რუსუდან
თსუ-ის მოწვეული პროფესორი

ოქროშიძე ლალი
თსუ-ის დოქტორანტი

ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინოვაციური პროცესების განვითარებაზე. ტურიზმი არ წარმოადგენს გამონაკლისს. საქართველო, მისი განვითარებადი ეკონომიკის პირობებში, ცდილობს ფეხი აუწყოს ინდუსტრიის განვითარებას და შეძლოს შედეგებს დაჩქარებულად მიაღწიოს. ამისთვის, მიგვაჩნია, სასიკეთო იქნება იტალიის გამოცდილების გაანალიზება.

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმი, ბაზარი, ექსპორტი, მთლიანი სამამულო პროდუქტი (მსპ), ინოვაცია, კრეატივი.*

მომხმარებელთა მხრიდან ტურიზმზე მოთხოვნა განუწყვეტლად იცვლება, რაც ქმნის მეტად სეგმენტირებულ და სპეციალიზებულ ბაზრებს. ასევე, იცვლება მოთხოვნილებებიც, რომელთა დაკმაყოფილება სულ უფრო რთულია. საქართველოში, სადაც საბაზრო ეკონომიკა ჯერ განვითარების ეტაპზეა, ზემოთ ხსენებულ საკითხებთან ერთად, ტურისტული დანიშნულების ადგილებს შორის კონკურენციის შესწავლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების გზაზე მსოფლიო ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება ეკონომიკური განვითარებისა და პროგრესის წინაპირობაა.

ჩვენი სტატიის მიზანია განვიხილოთ იტალიის ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული რამდენიმე ასპექტი საქართველოსთან დავაკავშირებთ და ამით, შევძლებთ რეკომენდაციების შემუშავებას.

იტალიის ეკონომიკა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის სიდიდით მესამე ეროვნული ეკონომიკაა, მაშინ როცა, საქართველო 1991 წლის, ანუ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლის შემდეგ, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებას ცდილობს. მსოფლიო ბანკი 2019 წელს საქართველოში 5%-იან ეკონომიკურ ზრდას ვარაუდობს, ასეთივე ზრდაა მოსალოდნელი 2020 და 2021 წლებშიც (The World Bank). აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2018 წელს საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ, დადებითად შეაფასა და სტრუქტურული რეფორმების ხარჯზე, მომავალ წლებში, უფრო სწრაფი ზრდის შესაძლებლობა დაუშვა (International Monetary Fund). გასული დეკადის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა, მიუხედავად მრავალი შოკისა (მაგალითად, 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი, 2008 წლის კონფლიქტის გამწვავება რუსეთის ფედერაციასთან) წლიურად 4.5%-ით იზრდებოდა(The World Bank).

ეკონომიკური განვითარების კუთხით იტალიასა და საქართველოს შორის განსხვავება ცალსახაა, ამასთან, საქართველოს ეკონომიკაში სხვადასხვა სახის პრობლემის არსებობაც შესამჩნევია. ვგულისხმობთ იმას, რომ რიგი ინსტიტუციების არსებობის მიუხედავად, მათი მუშაობა ყოველთვის დამაკმაყოფილებელი შედეგების მომტანი არაა. ასეთივე სურათია ტურიზმშიც.

ბოლოდროინდელმა კვლევებმა (nasdaq.com) ხუთი ყველაზე სწრაფად მზარდი ქვეყნის ეკონომიკა გამოავლინა, ესენია: გაიანა, ეთიოპია, რუანდა, ბანგლადეში და ინდოეთი. საყურადღებოა, რომ ზოგჯერ განვითარებად ქვეყნებს კონვერგენცია ახასიათებთ. შესაძლოა, საქართველომაც, თუ პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისა და სხვადასხვა სოციალური და გარემო ფაქტორების მოწესრიგების გზით მოიზიდა უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციები, დროის მოკლე პერიოდში ეკონომიკის სწრაფი განვითარება შეძლოს.

საქართველოში ყოველწლიურად ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა იზრდება, რაც ტურიზმის სექტორის ზრდაზე მიუთითებს. ეს ხდება მიუხედავად მიმდინარე წელს განვითარებული მოვლენებისა, რუსეთიდან თვითმფრინავების პირდაპირი რეისების აკრძალვისა (ტურისტული ნაკადების ზრდა, ბოლო მონაცემებით, ივლისის თვეში წარმოადგენდა 1%-ს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური). ზრდას აუცილებლად სჭირდება ინდუსტრიისთვის განვითარების უზრუნველმყოფელი გარემოს შექმნა. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ტიპის განვითარება სასურველია მიმდინარეობდეს კონკრეტული, სტრატეგიულად გათვლილი, წინასწარ დასახული გზებით, რათა სხვადასხვა ხელოვნურად შექმნილი რთული ან გამოუვალი სიტუაციები თავიდან იქნეს აცილებული. თუ განვითარება მიმდინარეობს ქაოტურად, საერთაშორისო გამოცდილების ნაწილობრივმა გადმოღებამ და არასიღრმისეულმა გააზრებამ, რასაც ხშირად ვხვდებით დღევანდელი საქართვე-

ლოს ტურისტულ ინდუსტრიაში, მოსალოდნელია გარკვეული პრობლემები წარმოქმნას. თითოეული ქვეყანა უნიკალურია, რაც მუშაობს ერთ ქვეყანაში, შესაძლოა არ იმუშაოს მეორეში. სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში, ხანდახან უცხოური გამოცდილების გადმოღება წინასწარი კვლევების გარეშე ხდება, რაც სასურველ შედეგებს არ იძლევა.

ტურიზმის მრავალ ფუნქციათაგან, ერთ-ერთია მოსახლეობის ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. გარდა ამისა, ტურიზმი ასრულებს, ან შეუძლია შეასრულოს, სხვა ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ფუნქციებიც, რომლებიც ქვეყნის ან რეგიონის განვითარების ცალკეულ ეტაპებზე, ზოგჯერ მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პირობებში, სასურველია ისეთი გზების ძიება, რომლებიც ერთდროულად მოიცავენ მრავალ საკითხთა კომპლექსს. საქართველოს სერვისის ექსპორტის შემოსავლებიდან დაახლოებით 71.8% ტურიზმზე მოდის (საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2018). ტურიზმი სეზონური და მრავალ ფაქტორზე დამოკიდებული ინდუსტრიაა, რომელიც ეკონომიკისთვის უფრო დამხმარეს წარმოადგენს და არა პრიორიტეტს. შესაბამისად, არამიზანშეწონილად მიგვაჩნია ეკონომიკის უმეტესი ნაწილის დამოკიდებულება ტურიზმზე.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით (გრაფიკი 1), 2015 წელს საქართველოს 5,256 მლნ 15 წლის და უფროსი ასაკის უცხოელი ვიზიტორი ესტუმრა; 2016 წელს - 5,393 მლნ; 2017 წელს - 5,923 მლნ და 2018 წელს - 7,204 მლნ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური). მონაცემებიდან ვასკვნით, რომ საქართველოში საერთაშორისო შემოსვლების რაოდენობის ზრდის ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.



ჩვენთვის საინტერესო გახდა გაგვეგო რა რაოდენობის ტურისტთა მიღება მოუწევს საქართველოს 2021 წლისთვის უცვლელი ზრდის ტენდენციის საფუძველზე. ჩვენი გამოთვლებისა და პროგნოზის მიხედვით დადგინდა, რომ საქართველოში 2021 წლისთვის ვიზიტორთა რიცხვი 8,1 მლნ-ს გადააჭარბებს. გამოვიყენეთ ორი მეთოდი: ზრდის საშუალო ტემპისა და საშუალო აბსოლუტური მატების კოეფიციენტები. პროგნოზი მიუთითებს იმაზე, რომ თუ ტურიზმის მოცულობა გაიზრდება, მაგრამ არ მოხდება განვითარების საჭირო დონის მიღწევა, შესაძლოა მივიღოთ არასასურველი შედეგები. ტურისტთა რაოდენობის ზრდას თან უნდა სდევდეს შესაბამისი სიმძლავრეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა-განვითარება, რათა შესაძლებელი იყოს ტურისტთა ნაკადებთან გამკლავება.

ტურიზმის ინდუსტრია წარმოადგენს ეკონომიკის შემადგენელ ნაწილს და თავის მხრივ, როგორც ცნობილია, მოიცავს მრავალ დარგს, ესენია: სატრანსპორტო ქსელები (სახმელეთო, საჰაერო, წყლის), კავშირგაბმულობა, გზების ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი, განთავსება, კვების ობიექტები და სხვა. ტურიზმის განვითარებისა და მარკეტინგის შესწავლისას, ბოლო წლებში, უდიდესია ტურიზმისა და კულტურის სინერგიის როლი.უკანასკნელი სამი დეკადის მანძილზე გლობალური ტურიზმისთვის „კულტურული ტურიზმი“ ძირითადი ტრენდი გახდა და მისი მნიშვნელობა ჯერ კიდევ აგრძელებს ზრდას (European Travel Commission/World Tourism Organization 2005). აღსანიშნავია, რომ დესტინაციებისთვის სტრატეგიის შემუშავებისას, აქცენტი

მხოლოდ კულტურულ რესურსებზე აღარ კმარა და საჭირო ხდება კრეატიული განვითარების გზების ძიება. საქართველოს გააჩნია ოთხი არამატერიალური (ქართული მრავალხმიანობა, ქართული ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი, ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა, ქართული ჭიდაობა) და სამი კულუტურული (მცხეთის ისტორიული ძეგლები, გელათის სამონასტრო კომპლექსი, ზემო სვანეთი) იუნესკოს მიერ აღიარებული მემკვიდრეობა, რაც დიდ კონკურენტულ უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთანავე, იუნესკო ანახლებს კულტურული მემკვიდრეობის სიას და ამატებს ახალ ღირსშესანიშნაობებს. მაგალითისთვის, 2019 წლის ივლისში მან არსებულ სიას დაამატა ორი ბუნებრივი (საფრანგეთი და ისლანდია), ერთი ბუნებრივ-კულტურული (ბრაზილია) და ორი კულტურული ღირსშესანიშნაობა (ბურკინა ფასო და ერაყი). გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული კონკრეტული ღირსშესანიშნაობა კონკურენციაშია მსოფლიოს ყველა ღირსშესანიშნაობასთან, საჭიროა საკითხისადმი ინოვაციური მიდგომა ტურისტული დანიშნულების ადგილების მიმზიდველობის გასაზრდელად.

მიუხედავად იმისა, რომ ტურისტული პროდუქტების უმეტესობა, ტრადიციულად, იქმნება არსებული მოცემულობების საფუძველზე (მზე, ზღვა და ქვიშა), ბოლო წლებში პროდუქტის შექმნისას კრეატიულობისა და ინოვაციურობის დანერგვის მცდელობები შეიმჩნევა. ეს დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ წინა პერიოდში ტურისტი იყო მზად მოეხმარა მზა ტურისტული პროდუქტი, ახლა კი - ის პროდუქტის შექმნაში აქტიურად მონაწილეობს. ეს აძლევს მომხმარებელს საშუალებას უფრო კრეატიულად მიუდგეს პროდუქტის შექმნას და თავის მხრივ, მიმწოდებელსაც აძლევს სიგნალს თავის საქმეს მსგავსი აზროვნებით მიუდგეს.

საკითხებისადმი კრეატიული მიდგომა ხელს უწყობს არამხოლოდ ტურიზმთან დაკავშირებული, არამედ მონათესავე, მასთან დაკავშირებული სექტორების განვითარებას, მათ შორის დასაქმების დონის ზრდას. ამასთან, კრეატიულ განვითარებაში, ხშირად, ქალების როლი წამყვანია, რაც მისცემდა საშუალებას დასაქმებაში ქალთა წილის ზრდას. ის იწვევს ცვლილელებს, სტანდარტულ პროდუქტში მრავალფეროვნების შეტანას და ხელს უშლის სტაგნაციას.

კრეატიულობა გულისხმობს ნაცნობი საკითხების ახლებური გზებით ერთმანეთთან დაკავშირებას, მაშინ როცა, ინოვაცია გულისხმობს საზოგადოებისთვის ახალი ქმნილების შეთავაზებას. ტურიზმისთვის, სადაც პროდუქტი, მის მოხმარებამდე, დამოკიდებულია წარმოსახვაზე, ინოვაციისა და კრეატიულობის როლი ცხადი ხდება.

მაგალითისთვის, ტურისტული დანიშნულების ადგილის მიმზიდველობა იზრდება, როცა პოტენციური ტურისტი დაინახავს ამ ადგილს რომელიმე ფილმში, ან წაიკითხავს მის შესახებ პოპულარული ავტორის წიგნში. ეს, შესაძლოა, განხილულ იყოს, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის კრეატიული, ირიბი რეკლამირება.

ინოვაციური მიდგომის მიზანია შექმნას ახალი პროდუქტი, მოიზიდოს ინვესტიციები, უზრუნველყოს სრულყოფილი მარკეტინგული მხარდაჭერა, დანერგოს უახლესი ტექნოლოგიები და სხვა. გარდა ამისა, ინოვაცია ბაზარზე ახალი შესაძლებლობების გამოვლენას უწყობს ხელს, რაც ყოველთვის არ გულისხმობს მხოლოდ ახალ ტექნოლოგიებთან მუშაობას. ის უფრო ახლებური აზროვნების ფორმის ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული.

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის ინოვაციური მიდგომის გამოყენება რთულია, მათთვის სხვადასხვა ავტორი ინოვაციის სხვადასხვა ელემენტს განიხილავს, თუმცა შეგვიძლია გამოვყოთ საწარმოს შემდეგი მახასიათებელი: კავშირები, ტექნოლოგიური გავითარება და გარემო. მცირე კომპანიებში, სადაც დასაქმებულთა რიცხვი მცირეა და ერთი თანამშრომელი რამდენიმე ფუნქციას ითავსებს, ამასთან, დიდია შანსი, რომ კომპანიის თანამშრომელთა უმეტესობას არ გააჩნდეს საკმარისი დონის კვალიფიკაცია, ინოვაციური და კრეატიული აზროვნებისა და მიდგომის ჩამოყალიბება კიდევ უფრო ძნელ ამოცანას წარმოადგენს[10, გვ. 2]. საქართველოში ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბება, კვლევებისა და განვითარების სტიმულირება შესაძლოა მოხდეს „გადმოტანის“ ან „სესხების“ გზით.

მაგალითისთვის, იტალიის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის სამინისტრო რამდენიმე წელი აქტიურ საქმიანობას ეწევა. სამინისტრომ სხვადასხვა ტურისტულ მიმართულებაზე მოახდინა ფოკუსირება, 2016 წელი იყო ეროვნული ბილიკების წელი, სოფლების წელი - 2017-ში და იტალიური საკვების წელი - 2018-ში (Travel trends in 2019: boom in experiential tourism). იტალიის მრავალი ტურისტული სააგენტო ტურისტებს თავაზობს გამოცდილებით ტურებს, რომლებიც მოიცავს: კულინარიას, ღვინის სმას, ინგრედიენტების ძიებასა და ადგილობრივ ბაზრების გაცნობას. საქართველოში არის ტურები, რომლებიც მოიცავს ქართული ტრადიციული საკვების მომზადების მასტერკლასებს,

ასევე რთველის პროცესში მონაწილეობის მიღებას, ღვინის დეგუსტაციას და სხვა, თუმცა, არ გვაქვს ადგილობრივი ბაზრებისა და კონკრეტული საკვების მომზადებისთვის საჭირო ინგრედიენტების ძიებასთან დაკავშირებული ტურები, რომელთა დამკვიდრება გაამრავალფეროვნებდა ქართულ ტურიზმს. გარდა ამისა, ეს იქნებოდა ბიძგი ადგილობრივი ბაზრებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.

ტუროპერატორული კომპანიები სულ უფრო ხშირად აღნიშნავენ, რომ მოგზაურებს აღარ სურთ იყვნენ უბრალოდ „ტურისტები" მათ სურთ ყოველივე გამოსცადონ როგორც ადგილობრივებმა, საქართველოში კი ტურისტული სერვისის მიწოდება ამ კუთხით ნაკლებად დახვეწილია. ამ საკითხს სჭირდება ინოვაციური და კრეატიული მიდგომა, რითიც შესაძლებელი გახდება ტურისტული პროდუქტის და მისი შეთავაზების დახვეწა.

აღსანიშნავია, რომ კრეატიულობაც და ინოვაციაც დაკავშირებულია განათლების პრობლემასთან, ვინაიდან მხოლოდ მეცნიერების განვითარების გზითაა შესაძლებელი ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, მწარმოებელთა აზროვნების დახვეწა და ახალი იდეების შემუშავება/დანერგვა.

დასკვნა

ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მრავალი სხვადასხვა სფეროსა და დარგის მოწესრიგება. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ეკონომიკა განვითარებადია, სასურველია საზღვარგარეთული გამოცდილების გაზიარება. მოსალოდნელია ვაჭრობის ინტეგრირება და პირობების გაუმჯობესება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების დამსახურებით. უფრო მეტიც, ენერგეტიკამ, ტურიზმმა და აგრობიზნესმა, მოსალოდნელია, ქვეყნის ეკონომიკას რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკაში ჩასაბმელად დახმარება გაუწიოს (The World Bank). საკითხებისადმი ინოვაციური და კრეატიული მიდგომა, პრობლემებთან გამკლავების უნიკალურ საშუალებაა. ინოვაციური სისტემის განვითარება, სწორი მართვა, შესაფერისად დაგეგმილი პოლიტიკური სისტემა და ეკონომიკის გახსნილობა ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად დაეხმარება.

ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა. 2018
3. Bajpai P., The 5 Fastest Growing Economies In The World. 2019 *https://www.nasdaq.com/article/the--5-fastest-growing-economies-in-the-world-cm1169784*
4. *United Nations Educational, Scientific and Cultural Organization https://whc.unesco.org/; https://ich.unesco.org/*
5. An insight on Incoming Tourism in Italy in 2018. *https://www.findyouritaly.com/incoming-tourism-in-italy-in-2018/*
6. Travel trends in 2019: boom in experiential tourism. *https://www.artes.travel/travel-trends-2019-experiential-tourism/*
7. The World Bank *https://www.worldbank.org/en/country/georgia/overview*
8. NASDAQ *https://www.nasdaq.com/*
9. International Monetary Fund, Country Report No. 18/198. June, 2018 *http://www.economy.ge/uploads/files/2017/imf_monetary_found/cr18198_3.pdf*
10. *Omerzel G. O., 2014.* Innovativeness in Tourism: Model Development. *2nd Global Conference on Business, Economics, Management andTourism, 30-31 October 2014, Prague, Czech Republichttps://www.sciencedirect.com*

IMPORTANCE OF INNOVATION AND CREATIVITY

Sirbiladze Rusudan
Doctor of Economics, Professor,
IvaneJavakhishvili Tbilisi State University

Okroshidze Lali
Doctorate at Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Economics and Business Faculty

Summary

The economic development of the country depends on the development of innovations. In Georgia, where the fast-growing tourism industry receives large incomes, it is trying to keep up with world progress in the field and get quick results in development.
Tour operators say that more and more tourists prefer not just to be "tourists," but to be able to experience everything as local residents, and the delivery of this kind of service in Georgia is still at the development level. This aspect requires an innovative and creative approach, which will improve the products that are already available and develop new ones.

Key words: *Tourism, market, exports, GDP, innovations, creativity*

დეცენტრალიზაციის ეკონომიკური სტრატეგია და ფისკალური პოლიტიკის თავისებურებები

ტაბატაძე მარინა

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი

ფისკალური დეცენტრალიზაციის მიზანი ხელისუფლების დონეებს შორის ფუნქციების განაწილება და შემოსავლის წყაროსთან მისი დაკავშირებაა. ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის, მისი სტრუქტურის და ფორმირების ძირითადი პრინციპების შესწავლა, საბიუჯეტო დონეებს შორის ფუნქციური და ფინანსური დამოკიდებულებების განსაზღვრა უაღრესად აქტუალური და თანამედროვე კვლევებში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მოხსენების მიზანი ფისკალური დეცენტრალიზაციის როლის დასაბუთება, ამ კუთხით საქართველოში გატარებული რეფორმების შესწავლა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაზე მათი გავლენის შეფასებაა.

თვითმმართველობის გაძლიერების და დეცენტრალიზაციის გაღრმავების შედეგი დემოკრატიული პროცესების განვითარება და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევა უნდა იყოს, რაც საქართველოს გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის, - „საქართველო 2020"-ის ფუნდამენტური პრიმციპია. მოხსენებაში განხილულია დეცენტრალიზაციის ხარისხის მაჩვენებლები, ფისკალური დეცენტრალიზაციის ეფექტიანი განხორციელების შემზღუდველი მაკროეკონომიკური პრობლემები და მისი დაძლევის გზები. დღგ-ის წესი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ფისკალური დეცენტრალიზაციისაკენ, თუმცა დღგ წესთან ერთად აუცილებლად უნდა დაინერგოს ეკონომიკური აქტივობის მასტიმულირებელი რეფორმები და ხელი შეეწყოს მუნიციპალური თანამშრომლობის განვითარებას. ეს საკითხებია ასახული წარმოდგენილ მოხსენებაში.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო მართვის სისტემა, ფისკალური დეცენტრალიზაცია, საბიუჯეტო რეფორმა, ფისკალური დეცენტრალიზაციის ხარისხი, მუნიციპალური ბიუჯეტი*

ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობა ეფექტიანი საჯარო მმართველობაა, რაც სახელისუფლებო დონეების მუშაობის სწორ კოორდინირებას ემყარება. ამ სისტემის ყველაზე აქტუალური სეგმენტი, ფინანსური სფეროა, ფისკალური დეცენტრალიზაციის მიზანი, სწორედ, ხელისუფლების დონეებს შორის ფუნქციების ოპტიმალური განაწილება და მათი ფინანსური უზრუნველყოფაა. ფისკალური დეცენტრალიზაცია ბოლო ათწლეულების განმავლობაში გახდა აქტუალური, მნიშვნელოვანი კვლევებია ჩატარებული უცხოელი მეცნიერების მიერ, მათ შორის აღსანიშნავია ოტესი, ტიბეოტი, მუსგრეივი /"ტომის მოდელი"/, ბენეტი, როდინელი და სხვა. საქართველოში ფისკალური დეცენტრალიზაციის საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლო წლებში შეიძინა, რამდენადაც მისი განხორციელების აუცილებელი წინაპირობა ადმინისტრაციული და პოლიტიკური დეცენტრალიზაციის გარკვეული დონის მიღწევა და სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის მომზადებაა.

ფისკალური დეცენტრალიზაცია უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის საბიუჯეტო მოწყობის, ცენტრისა და რეგიონების ფინანსური ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს. ბიუჯეტის მასშტაბი და სტრუქტურა განვითარების დონის ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორი, ქვეყნის ერთიანი მმართველობით სისტემის და ცხოვრების დონის მახასიათებელია, ამდენად, საბიუჯეტო სისტემის, მისი სტრუქტურის და ფორმირების ძირითადი პრინციპების შესწავლა, საბიუჯეტო დონეებს შორის ფუნქციური და ფინანსური დამოკიდებულებების განსაზღვრა აქტუალური და თანამედროვე კვლევებს შორის ერთ-ერთი პრიორიტეტულია.

მმართველობითი დეცენტრალიზაცია სახელმწიფოებრიობის თანამედროვე ისტორიული ნიშანი და სოციალური თავისუფლების პირობაა. დეცენტრალიზაცია საზოგადოების დემოკრატიული ორგანიზების ფორმაა, დემოკრატია მმართველობის დეცენტრალიზაციის ამოსავალი პრინციპია, რომელიც პიროვნული თავისუფლების და, შესაბამისად, საზოგადოებრივი განვითარების საზომია. დემოკრატია სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობის სოციალურ-პოლიტიკური ფორმა და ხელისუფლების სუვერენობის პოლიტიკური ატრიბუტია, დემოკრატია ხელისუფლების მიერ ქვეყნის მართვის ინსტრუმენტების საზოგადებისათვის დელეგირების ხარისხი და კანონის წინაშე ყველა სუბიექტის უფლება-მოვალეობრივი თანასწორობაა. ამ თვალსაზრისით, დეცენტრალიზაცია თანამედროვე პროგრესული პოლიტიკური სისტემის და თავისუფალი სოციალური ურთიერთობების აუცილებელი მახასიათებელია.

დეცენტრალიზაცია უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის, უფლებამოსილებათა გამიჯვნის, დარგობრივიდან რეგიონულ მართვაზე გადასვლის და მისი პროგრამული უზრუნველყოფის საკითხებს. დეცენტრალიზაცია, როგორც მმართველობის დემოკრატიული მოდელის მთავარი ფორმა, თანამედროვე რეგიონალისტიკის საფუძვლად განიხილება, ამდენად, ქვეყნის სივრცობრივი სტრუქტურირება და სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების ოპტიმალური განაწილება, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის იერარქიული პრინციპები და უფლებამოსილებათა რეალიზების ფინანსური ბერკეტები, კვლავ რჩება მაკროეკონომიკური კვლევების აქტუალურ მიმართულებად. ფისკალური დეცენტრალიზაციის პროცესში საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებაში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის ფუნქციების გამიჯვნის დროს ეკონომისტები, როგორც წესი, აქცენტს სამართლიანობასა და ეფექტიანობიაზე აკეთებენ, თუმცა პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენლები, ძირითადად, ყურადღებას ძალაუფლების გადანაწილებასა და პასუხისმგებლობაზე ამახვილებენ. ზოგადად, დეცენტრალიზაცია ემყარება ფუნქციების გადანაწილებას სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც დაცულია საქართველოს კონსტიტუციით **[1].**

მმართველობის დეცენტრალიზაციის დადებითი ეფექტი, უპირველესად, დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებაში, ხელისუფლების მოსახლეობასთან დაახლოებასა და მართვის პროცესში მისი სამოქალაქო აქტივობის ზრდაში გამოიხატება. წარმატებული დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და სიღარიბის დაძლევას, რამდენადაც მისი მეშვეობით იზრდება საჯარო მომსახურების ხარისხი, მაქსიმალურად ხდება ტერიტორიული ერთეულების სპეციფიკის გათვალისწინება, უმჯობესდება საერთო საბიუჯეტო შემოსულობების მობილიზება, იზრდება მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი ინსტიტუციების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც ამაღლებს დემოკრატიის ხარისხს ქვეყანაში.

დეცენტრალიზაციის პროცესს შემზღუდველი მხარეებიც გააჩნია, ეს ეხება ადგილობრივი საჯარო მოხელეების შედარებით დაბალ კვალიფიკაციას, ნაკლებ კომპეტენტურობას და ობიექტურობის პრობლემას, ამასთან, მუნიციპალიტეტებს შორის სოციალურ-ეკონომიკურმა უთანასწორობამ, შესაძლოა არასასურველი მიგრაციული ნაკადები და დემოგრაფიული ცვლილებებიც გამოიწვიოს, შეზღუდულია ცენტრალური ხელისუფლების ფისკალური მექანიზმები, რაც, პირველ რიგში, საბიუჯეტო დისბალანსის დაძლევას აფერხებს. პრაქტიკულად, შეუძლებელია ფისკალური დეცენტრალიზაციის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა, რთულია ადგილობრივი ორგანოებისათვის ცენტრალური ხელისუფლების მიერ დელეგირებული ფუნქციების ფინანსური რესურსებით სრული უზრუნველყოფა, არსებობს მუნიციპალიტეტებს შორის სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის გაღრმავების საფრთხე, გარდა ამისა, ქვეყნებში, სადაც ბევრია ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური დასახლებები, ხისტმა დეცენტრალიზაციამ შეიძლება კონფლიქტების პროვოცირება მოახდინოს.

ძალაუფლების განაწილების ოპტიმალური სისტემა სხვადასხვა მმართველობით ერთეულს შორის ვერტიკალური და ჰორიზონტალური კოორდინაციის არსებობას გულისხმობს. ვერტიკალური კოორდინაცია ახასიათებს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებს შორის ურთიერთობას, ჰორიზონტალური კი, ადგილობრივ ადმინისტრციულ ერთეულებს შორის კავშირს. მმართველობის სხვადასხვა დონეს შორის ძალაუფლების განაწილების რამოდენიმე მიმართულება არსებობს **[2,3];**

1. **დეცენტრალიზაცია,** ის გულისხმობს ძალაუფლების გადაცემას მოქალაქეების ან მათ მიერ არჩეული წარმომადგენლებისათვის ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად. დეცენტრალიზაციის ცნება განსხვავებულად განიმარტება სახელისუფლებო და სამეცნიერო წრეებში, რამდენადაც არ არსებობს მისი განხორციელების უნივერსალური ეკონომიკური მოდელი, რისი მიზეზიც ის არის, რომ დანახარჯების განაწილება სხვადასხვაგვარად აისახება ქვეყნის მოსახლეობაზე, ამასთან, არ არსებობს ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების ოპტიმალური ზომის საყოველთაო სტანდარტიც. ქვეყნის სპეციფიურობის გათვალისწინებით, დეცენტრალიზაცია სხვადასხვა სფეროში განსხვავებული ფორმით შეიძლება განხორციელდეს, თუმცა ყველა მათგანს დემოკრატიის ძირითადი პრინციპების აუცილებლობა აერთიანებს. შეუძლებელია ეფექტიანი დეცენტრალიზაცია, თუ ადგილობრივი ხელისუფლება პასუხისმგებელია ძალაუფლების გადამცემი ორგანოს და არა ამომრჩევლის წინაშე. მეცნიერები დეცენტრალიზაციის რამოდენიმე სახეს განიხილავენ:

- **სახელისუფლებო დეცენტრალიზია (intergovernmental decentralization)**, ის გულისხმობს ხელისუფლების ზედა დონიდან ქვედა ეშელონებისათვის პასუხისმგებლობის, ძალაუფლებისა და რესურსების ოპტიმალურ გადაცემას;
- **პოლიტიკური დეცენტრალიზაცია (Political decentralization),** ამ დროს ძალაუფლება გადაეცემა მოსახლეობის მიერ არჩეულ ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებს, ადგილობრივი პო-

ლიტიკოსები პასუხისმგებელი არიან ამომრჩევლების და არა პარტიის ლიდერების წინაშე;

- **ეკონომიკური დეცენტრალიზაცია (market-based decentralization),** იგი დეცენტრალიზაციის ყველაზე სრულყოფილი ფორმაა ემყარება რა, კანონმდებლობის მაქსიმალურ ლიბერალიზაციას და ითვალისწინებს პასუხისმგებლობის, ძალაუფლებისა და რესურსების ხელისუფლებიდან კერძო სექტორზე გადაცემას;
- **ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია (administrative decentralization),** ის გულისხმობს სახელმწიფო საქმეების და საჯარო სერვისების გაწევის მიზნით, თვითმმართველობებისათვის გარკვეული ძალაუფლების, პასუხისმგებლობისა და ფინანსების გადაცემას;
- **ფისკალური დეცენტრალიზაცია (fiscal decentralization**), ის გულისხმობს ცენტრალური მმართველობითი ორგანოების მიერ ფინანსების განკარგვის უფლების გადაცემას ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, მათი ავტონომიურობის გაზრდას შემოსავლებისა და ხარჯების მონიტორინგში. ამ ფორმის დროს მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რომელი გადასახადისა და მოსაკრებლის ადმინისტრირება შეუძლია თვითმმართველობას, რამდენადაა შესაძლებელი ფინანსური გამოთანაბრების ბერკეტების გამოყენება და სხვა.

2. დეკონცენტრაცია, ის დეცენტრალიზაციის ყველაზე სუსტი ფორმაა, რომელსაც მიმართავენ უნიტარული სახელმწიფოები. დეკონცენტრაცია გულისხმობს კონტროლის მექანიზმების გადაცემას ადგილობრივ მმართველობით ერთეულებში ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, რაც ნაკლებად ეფექტიანია, რადგანაც ისინი, როგორც წესი, უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებს ატარებენ ადგილებზე. დეკონცენტრაციის დროს თვითმმართველობების კომპეტენციაში არ შედის გადაწყვეტილების მიღება და ისინი პასუხისმგებელი არიან ცენტრალური ხელისუფლების წინაშე.

3. **დევოლვირება,** ის ცენტრალური ხელისუფლებიდან ხალხის მიერ არჩეული, დამოუკიდებელი ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისათვის გარკვეული საჯარო ფუნქციების გადაცემას გულისხმობს. მნიშვნელოვანია, რომ ეს ორგანოები ანგარიშვალდებული არიან არა ეროვნული ხელისუფლების, არამედ ამომრჩეველთა წინაშე. დევოლვირების დროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სრულიად დამოუკიდებელი არიან მომსახურების ფორმების და მოცულობის დადგენაში, ისინი ორგანიზებას უწევენ მომსახურების სრულ პროცესს, დამოუკიდებლად განკარგავენ ფინანსურ რესურსებს და ა.შ.

მსოფლიო ბანკის ექსპერტთა განმარტებით, დეცენტრალიზაცია არის ცენტრალური ხელისუფლების მიერ ქვედა დონის ხელისუფლებაზე ან კერძო სექტორზე საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებული ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის გადაცემა, ამ მიზნით მსოფლიო ბანკი განიხილავს დეცენტრალიზაციის სამ სახეს: პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და ფისკალურ დეცენტრალიზაციას **[4].**

სისტემური ტრანსფორმაციის პროცესში სახელმწიფო რეგულატორების შესწავლა ფისკალური პოლიტიკის თავისებურებების, დეცენტრალიზაციის ფინანსური ეფექტის და შემოსავლების გადანაწილების თანამედროვე სისტემების კვლევებს უნდა დაემყაროს, განსაკუთრებულად უნდა გაესვას ხაზი დეცენტრალიზაციის ფისკალური ფუნქციის და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაში მისი როლის საკითხების შეფასებას.

ფისკალური დეცენტრალიზაციის საკითხის შესწავლა აუცილებლად მოითხოვს სხვადასხვა პოლიტიკური წყობის ქვეყნებისათვის (უნიტარული, რეგიონალისტური, ფედერალური) დიფერენცირებულ მიდგომას, ეს კი საბიუჯეტო სისტემების ინდივიდუალურ შეფასებას, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის დონეებზე საბიუჯეტო ინდიკატორების დიფერენცირებულ განსაზღვრას, სხვადასხვა ბიუჯეტების აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლების დადგენას ითვალისწინებს.

საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა რეფორმებმა რადიკალურად შეცვალა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირების წყაროები, მასშტაბები და ხარჯვის პარამეტრები, რამაც თვითმმართველი ერთეულების დაფინანსების ახალი ფორმულირება მოითხოვა. 2019 წლიდან ბიუჯეტში დეცენტრალიზაციის გასაღრმავებლად შეიცვალა მუნიციპალიტეტთა დაფინანსების სისტემა, რომლის მიხედვითაც გათანაბრებითი ტრანსფერის ნაცვლად, ადგილობრივი ერთეულების ბიუჯეტის ფორმირების წყარო გახდა დამატებული ღირებულების გადასახადის 19%. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის შემოსავლების წყარო იქნება ადგილობრივი გადასახადი (ქონების) და მოსაკრებელი, დღგ, საერთაშორისო ორგანიზაციების და უცხო ქვეყნის მთავრობების გრანტები, სახელმწიფო მიზნობრივი, კაპიტალური, სპეციალური ტრანსფერები და სხვა შემოსავლები.

აუცილებელი გახდა მუნიციპალიტეტების მიხედვით შემოსავლების ცვლილების ურთიერთშედარება ძველი და ახალი მეთოდების გამოყენებით. ძველი წესით დაფინანსების შემთხვევაში, 2018 წელს მუნიციპალიტეტების დაფინანსებამ 838,7 მლნ. შეადგინა, ხოლო 2019 წლისათვის - 900,6 მლნ. ლარი საშემოსავლო გადასახადებიდან და გათანაბრებითი ტრანსფერიდან. ახალი მოდელით დაფინანსებისას კი, 2019 წელს მუნიციპალური ბიუჯეტებისათვის გადასაცემი სახსრები შეადგენს

958,1 მლნ. ლარს, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი - 11,5 მლნ. ლარს, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადიდან - 946,6 მლნ. ლარს, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 107,9 მლნ ლარით აღემატება, ხოლო ძველი მოდელით დაფინანსების შემთხვევაში მიღებულ მაჩვენებელს - 46 მლნ ლარით. **[5]** ასეთი გამოთვლების მიზანი შემოსავლების ახალი წყაროების მოძიება, ადგილობრივი ბიუჯეტების სტაბილურობის პირობების განსაზღვრა და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტების დამოუკიდებლობის ამაღლებაა, რასაც თვითმმართველობის ევროპული ქარტია ფისკალური დეცენტრალიზაციის აუცილებელ პირობად განიხილავს. აღნიშნული ცვლილებები ასევე ეხმიანება „საქართველო 2020"-ის სტრატეგიულ მიზანს, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური ზრდის ეფექტი ყველა სუბიექტისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს **[6].**

აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობების შემოსულობებს მნიშვნელოვნად ამცირებს მათთვის ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გადაცემის საკითხის პრობლემურობა. „საქართველოში ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტებისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ ვერ იქცა მიწა, წყალი, ბუნებრივი სიმდიდრეები, რამდენადაც ჯერ კიდევ დასახვეწია თვითმმართველი ერთულებისათვის ამ ქონების საკუთრებაში გადაცემის სამართლებრივი საფუძვლები" **[8].** ფისკალური დეცენტრალიზაციის ხარისხს მნიშვნელოვნად ამცირებს კაპიტალის ბაზრებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, რამდენადაც არ არსებობს მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღების ქმედითი მექანიზმი, საკუთარი შემოსულობებით კი მას არ შეუძლია მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება და კაპიტალური ხარჯების დაფინანსება.

ფისკალური დეცენტრალიზაციის ხარისხის შესაფასებლად სხვადასხვა მაჩვენებელი და კრიტერიუმი გამოიყენება, მსოფლიო ბანკი შემდეგ კრიტერიუმებს განიხილავს:

1. თვითმმართველი ერთეულების ხარჯების პროცენტული შეფარდება ნაერთი ბიუჯეტის იმავე პარამეტრთან. ამ მაჩვენებლის სიდიდე, - 17% ამჟამად საქართველოში ფისკალური დეცენტრალიზაციის საშუალო ხარისხზე მიუთითებს, აღსანიშნავია, რომ ეს სიდიდე კლებადი ტენდენციით ხასიათდება;
2. თვითმმართველი ერთეულების შემოსულობების პროცენტული შეფარდება ნაერთი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებთან, ამ მაჩვენებებლის მიხედვითაც საქართველოში დეცენტრალიზაციის საშუალო ხარისხია (10-17%), თუმცა აღსანიშნავია, რომ 2019 წ. რეფორმის შედეგად ეს პარამეტრი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, რადგან გათანაბრებითი ტრანსფერი გრანტის სახით მიდიოდა თვითმმართველი ერთეულების შემოსულობებში და მისი ფორმირების ძირითადი წყარო იყო (27%);
3. „ვერტიკალური დისბალანსი" - სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტების პროცენტული ფარდობა თვითმმართველი ერთეულების საერთო ხარჯებთან. 2018 წელს ეს სიდიდე საკმაოდ მაღალი იყო, - 60%, თუმცა 2019წ. რეფორმის შედეგად იგი მნიშვნელოვნად შემცირდება;
4. თვითმმართველი ერთეულების ხარჯების ფარდობა მსპ-ის მოცულობასთან (4-7%), თუმცა ხარჯების კლებადი ტენდენციის გამო, მოსალოდნელია ამ მაჩვენებლის გაუარესება;
5. თვითმმართველი ერთეულების საგადასახადო შემოსულობების პროცენტული ფარდობა მსპ-თან (2018 წ. - 3,6%). ეს მაჩვენებელი საკმაოდ სტაბილურია და გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება;
6. თვითმმართველი ერთეულების საგადასახადო შემოსულობების პროცენტული ფარდობა საერთო შემოსულობებთან. ადგილობრივი გადასახადები არ იძლევა დიდ ფისკალურ ეფექტს და მუნიციპალური აქტივობა კვლავ სახელმწიფო გრანტებზე რჩება დამოკიდებული. მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა სახის შეღავათის არსებობა, ასევე ამცირებს გადამხდელთა რაოდენობას და, შესაბამისად, ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებსაც;
7. ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებული გრანტების პროცენტული ფარდობა თვითმმართველი ერთეულების მთელ შემოსულობებთან. ის მნიშვნელოვნად შემცირდა 2015 წლის შემდეგ, ეს სიდიდე აადვილებს ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გრანტების სახით მიღებული თანხის პროგნოზირებას, რაც დადებითად აისახება მათ მიერ ბიუჯეტის დაგეგმვის სიზუსტეზე.

ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, საქართველოს ფისკალური დეცენტრალიზაციის ხარისხი 2018 წ. ხარჯვით ნაწილში 17%, შემოსულობების ნაწილში 10%, საგადასახადო შემოსულობების ნაწილში კი, - 33% იყო, სრულყოფილი დემოკრატიის ქვეყნებში ფისკალური დეცენტრალიზაციის ხარისხი მნიშვნელოვნად მაღალია (მაგ. შვედეთში, - შესაბამისად, 44%, 32%, 71%).

მუნიციპალური განვითარების სახელწნიფო პოლიტიკის ძირითადი სტრატეგია დეცენტრალიზაციის შემდგომ სრულყოფას და ადგილობრივი ერთეულების სამეურნეო აქტივობის ამაღლებას ისახავს მიზნად. საკანონმდებლო დონეზე ეს ასახულია 2025 წლის საშუალოვადიან

სტრატეგიაში. ფისკალური დეცენტრალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი ეფექტი უნდა ჰქონდეს გათანაბრებითი ტრანსფერის დღგ-ის წესით ჩანაცვლებას, რადგანაც იმის მიუხედავად, თუ როგორი იქნება ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკური აქტივობა, ახალი წესი უზრუნველყოფს სტაბილურ შემოსულობებს რეგიონებისათვის, ამასთან, ამ წესის ეფექტი დიდად იქნება დამოკიდებული ეკნომიკური აქტივობის მასტიმულირებელი ღონისძიებების გატარებაზე. მნიშვნელოვანია, რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებისა და პროექტების ინიცირების დროს, მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მოსახლეობის პრეფერენციები და სწორად იყოს ეს პროგრამები ადაპტირებული მუნიციპალიტეტის დემოგრაფიულ თუ სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებთან.

ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 7. ტერიტორიული მოწყობის საფუძვლები, პუნქტი 4
2. Agrawal &Ribbot, „Accountability in Decentralization“, https://www.jstor.org/stable/4192885?seq=1#page_scan_tab_contents
3. http://www.fao.org/3/ad697e/ad697e03.htm
4. https://www.worldbank.org/en/topic/communitydrivendevelopment/bribr/Decentralization
5. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი
6. საქართველოს ხელისუფლების პროგრამა „საქართველო 2020“, თბილისი, 2017
7. http://pbo.parliament.ge/ge/budget/diagrams
8. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/14638?publication=20
9. ტაბატაძე მ., - რეგიონული განვითარების რეგულირების თანამედროვე ტენდენციები საქართველოში. I საერთაშ. კონფერენცია: „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევევი“, თბილისი, 2017

THE ECONOMIC STRATEGY OF DECENTRALIZATION AND THE FEATURES OF FISCAL POLICY

Tabatadze Marina

P&D Economics, Assistant- Professor, Tbilisi State University

Summary

The purpose of fiscal decentralization is to divide functions and responsibilities between levels of government and link them to the source of income.Studying the basic principles of the country's budget system, its structure and formation, identifying the functional and financial dependencies between the budget levels, is one of the top priorities in contemporary research. The purpose of this paper is to justify the role of fiscal decentralization, to study the reforms implemented in Georgia in this direction and to assess their impact on the development of local self-government, to analyze the situation in the municipalities of Georgia.

Strengthening local government and increasing the level of decentralization is a challenge that will develop the democratic process and the inclusive economic growth that is the fundamental goal of Georgia's long-term social-economic development strategy "Georgia 2020". The purpose of this paper is to prove the need of fiscal decentralization, assessment of the quality, seek for new ways to improve the current situation, analysis of resource allocation and other recent reforms and its impact on different municipalities of Georgia. The subject of this study is the various macroeconomic problems that prevent the effective implementation of fiscal decentralization. The main results of this study can be summarized as follows: the level of fiscal decentralization revenue-wise is the lowest, while tax-wise its characterized by the highest estimates, VAT rules is an important step towards the fiscal decentralization, but along with the VAT rules it’s important to implement reforms that stimulate the economic activities and support the cooperation between municipalities.

Key words: *Public administration system, Fiscal decentralization, Budget reform, Degree of fiscal decentralization, Municipal budget.*

გარემოს დაცვის სფეროში არსებული სახელმწიფო პროექტების ანალიზი და შეფასება

ტაბატაძე სესილი
თსუ-ის დოქტორანტი

მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა გარემოს დაცვის მიმართულებით არსებული პროექტების მნიშვნელობა. რის უზრუნველსაყოფადაც აუცილებელია პროექტის მართვის პრინციპების დაცვა და ეფექტიანი მენეჯმენტი. კვლევით შეფასდა სახელმწიფო უწყების მიერ განხორციელებული პროექტების თავსებადობა საერთაშორისოდ აღიარებულ პროექტის მართვის სასიცოცხლო ციკლთან და გამოვლინდა არსებული ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორება მნიშვნელოვნად აამაღლებს წარმატებით დასრულებული პროექტების რაოდენობას და გაუმჯობესებს მისაღწევ შედეგებს.

საკვანძო სიტყვები: *პროექტების მართვა, სახელმწიფო პროექტები, მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა.*

გარემოსდაცვითი პოლიტიკის მთავარი მიზანია ქვეყნის მდგრადი და დაბალანსებული განვითარება, რომლის დროსაც გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები თანაბრად მნიშვნელოვანია. გარემოს დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გარემოზე სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება, უკვე არსებული უარყოფითი ზემოქმედების მისაღებ დონემდე შემცირება და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც გრძელვადიან პერიოდში მომავალ თაობებს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების საშუალებას მისცემს. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია წარმატებით განხორციელდეს გარემოს დაცვის მიმართულებით დაგეგმილი პროექტები.

კვლევის მიზანია შეფასდეს *რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს გარემოს დაცვის პროექტების განხორციელება.* აღნიშნულის გასაანალიზებლად - შესწავლილ იქნა 2018 წელს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული გარემოს დაცვის 5 პროექტი, მათ ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები, პროექტის მონიტორინგის ანგარიშები და დასკვნები. რაც შედარდა საერთაშორისოდ აღიარებულ პროექტის მართვის სასიცოცხლო ციკლის ეტაპების სტანდარტებს.

გარემოს დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია[1] და შესაბამისად, წლების განმავლობაში იზრდება ამ მიმართულებით გამოყოფილი საბიუჯეტო რესურსი, რაც ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე:(1).

დიაგრამა 1

გარემოს დაცვის პროექტებისთვის დაგეგმილ ბიუჯეტსა და ფაქტობრივ ხარჯს შორის თანაფარდობა



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ფაქტობრივი ხარჯი 2015-2017 წლებში აღემატება დამტკიცებულ გეგმას. განსხვავებული მდგომარეობაა 2018 წელს, კერძოდ, გარემოს დაცვის პროექტებისთვის გამოყოფილი თანხების ათვისება ვერ მოხდა, რაც მნიშვნელოვან ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ვერ შესრულდა პროექტით დაგეგმილი მიზნები.

პროგრამული ბიუჯეტის მიხედვით გარემოს დაცვის პროექტებისთვის გამოყოფილი სახსრები განაწილებულია ქვემოთ მოცემულ მიმართულებებზე: (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2

[1] კანონი საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, მ.15, პ. 12

2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები მიმართულებების მიხედვით



დიაგრამაზე მოცემული მიმართულებები იყოფა პროექტებად, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მთავარი მიზნის მიღწევას: *გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებას*. თავის მხრივ, აღნიშნული მიზნების მიღწევისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია პროექტის სასიცოცხლო ციკლის ეტაპების ეფექტიანი მართვა.

იმის გამოსავლენად თუ რა იყო 2018 წელს (დიაგრამა 1) პროექტების მიზნების ნაწილობრივ-/ვერ მიღწევის მიზეზები, შერჩეულ იქნა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული 5 დასრულებული პროექტი. მათი ანალიზით გამოვლინდა პროექტის მართვის ფაზებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.

დიაგრამა 3

პროექტის სასიცოცხლო ციკლი[2]

დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო უწყებებში მიღებული სასიცოცხლო ციკლის ეტაპები, რომლებიც დანერგილია და აქტიურად გამოიყენება განვითარებად ქვეყნებში. ქვემოთ მოცემულია შერჩეულ პროექტებში არსებული ნაკლოვანებების ანალიზი პროექტის სასიცოცხლო ციკლის ეტაპების მიხედვით:

პროექტის პირველადი შერჩევის მიზანს წარმოადგენს მისი საჭიროების განსაზღვრა, რაც გულისხმობს პროექტის თავსებადობას ქვეყნის ძირითად მიმართულებებთან, რომელიც განისაზღვრება BDD[3]-ში. შერჩეული 5 პროექტიდან არცერთი პროექტისთვის არ არის შესრულებული სასიცოცხლო ციკლის ეს ეტაპი, რაც ძირითადად გამოწვეულია საჯარო სექტორში პროექტის შერჩევის სტანდარტული კრიტერიუმების არარსებობით.

პროექტის წინასწარი შეფასების ეტაპზე კორექტირდება პროექტისათვის საჭირო ხარჯები და მოსალოდნელი სარგებელი, განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და პროექტის განხორციელების ალტერნატიული გზები[4]. აღნიშნული ეტაპის სწორად წარმართვა უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის თავიდან აცილებას. საქართველოში, მხოლოდ დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტები გადის წინასწარი შეფასების ეტაპს, რადგან აღნიშნულს თავად დამფინანსებელი ორგანოები უზრუნველყოფენ.

წინასწარი შეფასების ეტაპის უგულებელყოფის მთავარი მიზეზია პროექტების მართვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ პროექტის სასიცოცხლო ციკლის აღნიშნული ეტაპისთვის შესაბამისი მნიშვნელობის არმინიჭება, რაც შეიძლება იყოს იმ ფაქტით გამოწვეული, რომ შესაძლოა მმართველ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ ადამიანები, რომლებსაც პროექტის მართვის კუთხით არ აქვთ განათლება მიღებული ან არ გააჩნიათ ამ მიმართულებით რაიმე პრაქტიკული გამოცდილება.

[2] სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში - კაპიტალური პროექტების მართვა
[3] ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტი
[4] The World Bank, (2011): Strengthening Public Investment Management, Indicator Framework; pg. 45-46

ბიუჯეტირების პროცესი განსხვავებულად მიმდინარეობს საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკასთან შედარებით.

თავდაპირველად ბიუჯეტის კანონით მტკიცდება ის პროგრამები/პროექტები, რომლებიც დაფინანსდება ბიუჯეტით, თუმცა შემდგომ, წლის განმავლობაში, დამტკიცებული ასიგნებები ნაწილდება ისეთ პროექტებზე, რომლებიც არ იყო ბიუჯეტით გათვალისწინებული. მაგალითად: შერჩეული 5 პროექტიდან, მხოლოდ ერთი - „ნარჩენების მართვის სფეროში ჩართული სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლებლობის განვითარება" - იყო დაგეგმილი, ხოლო დანარჩენი - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტომ ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ, ფისკალური წლის მიმდინარეობის დროს განსაზღვრა.

ზემოაღნიშნული პირველი სამი ეტაპის წარმატებით შესრულება უზრუნველყოფს პროექტების თავსებადობას ქვეყნის ძირითად სტრატეგიებთან, წინასწარ შეფასებას და იმ პროექტების დაფინანსებას, რომლებიც *საბოლოოდ უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების ეფექტიან მართვას.*

დეტალური დაგეგმვის ეტაპზე განისაზღვრება პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობა, პროექტის ტექნიკური მახასიათებლები და ზუსტდება წინასწარი შეფასების ეტაპზე განსაზღვრული პროექტისათვის საჭირო ბიუჯეტი, დრო და ადამიანური რესურსი[5]. აღნიშნული საფეხური ფაქტიურად პირველი ეტაპია საჯარო პროექტებისთვის.

დეტალურ დაგეგმვის ეტაპს გადის სახელმწიფო უწყების ყველა პროექტი და მათ შორის შესწავლილი ხუთივე პროექტიც, კერძოდ განისაზღვრა საჭირო ბიუჯეტი, დრო და რესურსები. თუმცა, ხშირ შემთხვევებში დაზუსტდა სხვადასხვა პარამეტრი: დრო, პასუხისმგებელი პირები, ბიუჯეტი და სხვა.

შერჩეული პროექტების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ **განხორციელების ეტაპზე** პროექტების გეგმები ხშირად იცვლება. უმეტეს შემთხვევაში, მნიშვნელოვნად იცვლება პროექტის ღირებულება, განსაზღვრული ვადები და სამუშაოების სპეციფიკაციები. ზოგჯერ კი ადგილი აქვს პროექტის შეწყვეტას. ცვლილებების ან პროექტის შეწყვეტის გამომწვევი მიზეზები შეიძლება უკავშირდებოდეს დეტალური დაგეგმვის ეტაპზე დაშვებულ ხარვეზებს, კონტრაქტორი კომპანიის მიზეზით გამოწვეულ პრობლემებს და/ან სხვა გაუთვალისწინებელ პირობებს. *შედეგად, საზოგადოება ან დაგვიანებით ან საერთოდ ვერ იღებს პროექტით გათვალისწინებულ სარგებელს.*

საქართველოში საჯარო უწყებების მიერ არ ხორციელდება სახელმწიფო რესურსებით დაფინანსებული პროექტების **დასრულების შემდგომი შეფასება.** თუმცა, აღსანიშნავია, რომ დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების შემთხვევაში, არსებობს პროექტების დასრულების შემდგომი შეფასების პრაქტიკა.

პროექტების დასრულების შემდგომი შეფასების პრაქტიკის არარსებობა აფერხებს დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას შემდგომი პერიოდის პროექტებში, მათი დაგეგმვისა და განხორციელების გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული გარემოების შედეგად ვერ ხერხდება რიგი სისტემური პრობლემების იდენტიფიცირება და დროული აღმოფხვრა.

მაგალითად, შერჩეული პროექტებიდან პირველად განხორციელებულ პროექტში გარემოს დაცვის მიმართულების ექსპერტის ჩართვის საჭიროება იყო, თუმცა, ექსპერტის ჩართვა დროში გაიწელა და შედეგად პროექტი დაგვიანებით დასრულდა. ამის შემდგომ მსგავსი პრობლემა შეიქმნა ორ შემთხვევაში. პირველივე პროექტის შემთხვევაში რომ არ გამოტოვებულიყო „შემდგომი ეტაპი", აღნიშნული პრობლემის წინაშე სხვა, იგივე ტიპის პროექტი აღარ ჩავარდებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების გაუთვალისწინებლობა იწვევს როგორც საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიან და არაეკონომიურ განკარგვას, ასევე, გარემოს დაცვის პროექტების დროულად დასრულების შეფერხებას.

საჯარო უწყებებში არსებული პროექტის მართვის ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადება, რომელშიც განსაზღვრული იქნება პროექტის უკეთესი საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით განხორციელების წინაპირობები, პროექტის სასიცოცხლო ციკლის ყოველი ეტაპის შესრულება გახდება სავალდებულო და პროექტები დაფინანსდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი თავსებადია ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნებსა და ამოცანებთან.

[5] Ireland, Department of Finance,(2005): Guidelines for the Appraisal and Management of Capital Expenditure Proposals in the Public Sector, pg.11

ლიტერატურა

1. გიორგი შიხაშვილი, მარინა გედევანიშვილი, კახაბერ რუსიძე - პროექტების მენეჯმენტი, თბილისი 2012, მეორე გამოცემა
2. სახელმწიფო აუდიტის სამსახური - კაპიტალური პროექტების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, თბილისი 2016
3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური - მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მზად-ყოფნის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, თბილისი 2019
4. Ireland, Department of Finance,(2005): Guidelines for the Appraisal and Management of Capital Expenditure Proposals in the Public Sector
5. The World Bank, (2011): Strengthening Public Investment Management, Indicator Framework
6. Department for business Innovation and skills - GUIDELINES FOR MANAGING PROJECTS – London 2010
7. *https://budgetmonitor.ge/ka*
8. *https://mepa.gov.ge/*

THE ANALYSIS AND EVALUATION OF STATE PROJECTS IN THESPHERE OF ENVIRONMENTAL PROTECTION

Tabatadze Sesili
PhD student at TSU

Summary

Depending on the 17 goals of sustainable development, projects have become important which are related to environmental protection. To achieve this goals, it is important to follow the principles of project management. The study assessed the compliance of projects, whiche are implemented the state agency to the internationally recognized project management life cycle. And there are identified weaknesses. To correct the these weaknesses increase the number of successfully completed projects and improve the results of achieved goals.

Key words: *sustainable development, project management, environmental issues, state agencies.*

წყალი – ღვთის საჩუქარი და ეკონომიკის განუყოფელი ატრიბუტი

ტუკვაძე ოთარ
თეოლოგიის მაგისტრი, ქუთაისის უნივერსიტეტის
„ეკონომიკის“ პროგრამის დოქტორანტი

წყალი ეს ის ფენომენია, რომელიც ყველაფერს მოიცავს სამყაროში და ამავდროულად წარმოადგენს მაცოცხლებელს და მასულდგუმელებს ყოველივე ცოცხალისა. ის მიეცა კაცობრიობას არა რაიმე დამსახურების გამო, არამედ ღვთის უზომო კაცთმოყვარეობიდან გამომდინარე, მისი გამოყენებისა და შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამისად, სტატიაში განიხილულია წყალი, როგორც ღვთის საჩუქარი და ეკონომიკის განუყოფელი ატრიბუტს. მსოფლიოში წყლის მიმართულებით არსებული ზოგადი ტენდენციების (დეფიციტის) ფონზე, გაანალიზებულია საქართველოში არსებული წყლის რესურსის სიუხვე, მრავალფეროვნება და მისი ეკონომიკური კუთხით გამოყენების არაეფექტურობა.

საკვანძო სიტყვები: *ბიბლია, წყალი, ეკონომიკა, ეკონომიკური რესურსები.*

მრავალი მოსაზრება არსებობს სამყაროს შექმნის შესახებ (სამყაროს შექმნაში, რა თქმა უნდა, იგულისხმება წლის შექმნაც). ყველაფერი ხილული თუ უხილავი, რაც კი რაიმე არსებობს, ღვთის მიერ შეიქმნა. მის გარეშე არაფერი არ შექმნილა, როგორც ამას წმინდა იოანე მოციქული და მახარებელი გვასწავლის: „ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თჳნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა”[2, გვ. 225].

წყალი როგორც სტიქია უნიკალურია. მას შესაძლოა ვუწოდოთ საფუძველი, საწყისი ყოველივე ცოცხალი არსებისა. წყალი და მასთან ერთად ყველაფერი ხილული თუ უხილავი, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ღმერთმა შექმნა და განაწესა, მაგრამ ამით შემოქმედებითი პროცესი არ დაუსრულებია უფალს, არამედ მარადჟამს აცოცხლებს და ზრუნავს მასზე. სამყაროს შექმნა მოთხრობილია ბიბლიაში, კერძოდ კი მოსეს ხუთწიგნეულის პირველი წიგნის პირველივე თავში: „თავდაპირველად ღმერთმა შექმნდა ცა და მიწა. მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ“[1, გვ. 13].

დასაწყისშივე, ყველაფერზე ადრე, პირველივე დღეს ღმერთმა შექმნა რა „ცა და ქვეყანა“, ქვეყანაში იგულისხმება „პირველსაწყისი“ ხილული სამყაროსი და რათქმაუნდა წყალიც (როგორც ამას წმინდა მამები განმარტავენ), ხოლო უკვე შემდეგ, წყალთან მიმართებით და შესაბამისობაში შექმნა მთელი სამყარო, როგორც ამის შესახებ „დაბადებაში“(მოსეს პირველი წიგნი იწოდება როგორც „დაბადება“) თხრობას აგრძელებს წმინდა მოსე წინასწარმეტყველი: „თქვა ღმერთმა იყოს წყალთა შორის მყარი და გაჰყაროს წყლები. გააჩინა ღმერთმა მყარი და გაჰყარა ერთმანეთისგან წყალი, რომელიც არის მყარს ქვემოთ, და წყალი, რომელიც არის მყარს ზემოთ, და იქმნა ასე. მყარს ღმერთმა უწოდა ცა. იყო საღამო, იყო დილა - მეორე დღე. თქვა ღმერთმა: შეგროვდეს ერთგან ცისქვეშეთის წყალი და გამოჩნდეს ხმელეთი. და იქმნა ასე. ხმელეთს ღმერთმა უწოდა მიწა და შეგროვილ წყალს უწოდა ზღვა“ [1, გვ. 13].

წმინდა ბასილი დიდი, რომელიც იწოდება როგორც ქრიატიანული ეკლესიის დიდ მოღვაწე მამად, თეოლოგად, მქადაგებლად და მწერლად, მის ნაშრომში „ჰომილიები ექვსი დღისათვის“ სამყაროს შექმის შესახებ გვსწავლის შემდეგს: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა **-** მიანიჭა რა უხუცესი დაბადება, ხოლო დედამიწაზე თქვა რა, რომ იგი არსით მეორეა, სამყაროს არსი ორი უკიდურესობით ცხადყო. უეჭველია, რომ ყოველივე, რაც მათ შორისაა, ამ საზღვრებთან ერთად დაიბადა. თუმცა ცეცხლის, წყლისა და ჰაერის სტიქიებზე არაფერია ნათქვამი, შენ შენი გონებით მოიაზრე, რომ პირველ რიგში ყოველივე ყოველივეშია აღრეული და რომ მიწაში წყალსაც იპოვი, ჰაერსაც და ცეცხლსაც; ცეცხლი ქვისგანაც ჩნდება და რკინისგანაც, რომელიც მიწისგან იბადება და რომელთა ერთმანეთზე დაკვესებით უშრეტი ცეცხლი გამობრწყინდება. გაკვირვების ღირსია, როგორ იფარება სხეულებში უვნებლად ცეცხლი, მაშინ, როცა, როგორც კი გარეთ გამოიხმობა, მყისვე ანადგურებს იმ სხეულებს, რომელნიც მანამდე ინახავდნენ. იმას, რომ წყლის ბუნება მიწაშიცაა, ჭის მთხრელნი გვიჩვენებენ, ხოლო მასში ჰაერის ბუნების არსებობას მოწმობს ორთქლი, რომელიც ნესტიანი მიწიდან მზის სიმხურვალის წყალობით ამოდის. შემდეგ: რადგანაც ბუნებით ზეცას მაღალი ადგილი უპყრია, დედამიწას კი – უდაბლესი, რის გამოც მსუბუქნი ზეცისაკენ აღმაღლდებიან, ხოლო მძიმენი მიწისაკენ მიდრკებიან, ამასთან, ზე და ქვე ერთმანეთის წინააღმდგომნი არიან, ვინც ბუნებით ერთმანეთისგან ასე ფრიად დაშორებულნი მოიხსენა, რა თქმა უნდა, მათ შორის აღმავსებელნიც იგულისხმა, ამიტომ თითოეულ სტიქიაზე თხრობას ნუკი ეძებ, არამედ ის რაზეც დუმან, განცხადებულით მოიაზრე”[3].

მართლმადიდებლურ ეკლესიაში წყლის როლი და მნიშვნელობა ძალიან დიდია. წმინდა ეკლესიაში არსებულ შვიდ დიდ საიდუმლოთა შორის პირველი არის ნათლისღება, რომელიც იწოდება როგორც კარი, რომლითაც შესაძლებელა შესვლა მადლმოსილ სამეფოში - ტაძარში. მხოლოდ ამ საიდუმლოში მონაწილების შემდეგ ეძლევათ საშუალება მორწმუნეებს ეზიარონ სხვა საიდუმლოებებს. ნათლისღების საიდუმლოს მნიშვნელოზე მიუთითებს თავად უფალი იესო ქრისტე ნიკოდიმოსთან საუბარში: „...ამენ, ამენ, გეტყვი შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ხელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათაი“ [2, გვ. 230].

როდესაც ნიკოდიმოსი გაუგებრობაში აღმოჩნდა, რაც გამოიხატა მისი შეკითხვით: „...ვითარ ხელ-ეწიფების კაცსა ბერსა შობად?...“ [2, გვ. 230], მაცხოვარმა მიუგო რომ მეორედ შობა შესაძ-ლებელი არის წყლით და სულით: „...ამენ, ამენ, გეტყვი შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელ-ეწიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა. შობილი იგი ხორცთაგან ხორცი არს, და შობილი იგი სულისაგან სული არს“ [2, გვ. 230].

ნათლისღების დროს სასულიერო პირი აკურთხევს წყალს და ნაკურთხ წყალში უკვე აღესრულება კათაკმეველის (მოსანათლად მომზადებული) მონათვლა [4, გვ. 183].

შვიდი მთავარი საიდუმლოს გარდა, ეკლესიაში არსებობს მცირე საიდუმლოებანიც, რომლე-ბიც ღვთის შეწევნით არანაკლებ ძალმოსილნი არიან. ასეთია, მაგალითად, დიდი აიაზმის (ნაკურ-თხი წყალი) წესით წყლის კურთხევის აღსრულება, რომელიც აღესრულება ტაძარში ნათლისღების დღესასწაულის მწუხრზე. ამ დროს უხილავად აღესრულება სასწაული: უბრალო წყალი სასულიე-რო პირის ლოცვით განიწმინდება და სასწაულებრივ ძალას იძენს (ხდება უხრწნელი და ამავდრო-ულად მაკურნებელი თვისებების მატარებელი). მისდამი ქრისტიანებს განსაკუთრებული დამოკი-დებულება აქვთ. ყოველ დილით (თუკი უფლის სისხლსა და ხორცს არ ეზიარებიან) დიდი აიაზმის წყალს სვამენ, რათა სულიერად არ მოუძლურდენ და რომელიც საეკლესიო სწავლებისა და ტრა-დიციის მიხედვით წლიდან-წლამდე უნდა შეინახონ (გამოიზოგონ) [5].

ზემოთ ხსენებულის გარდა, ეკლესიაში არსებობს აგრეთვე მცირე აიაზმის (ნაკურთი წყალი) წესით წყლის კურთხევა, რომელიც ნებისმიერ დროს შეუძლია შეასრულოს სასულიერო პირმა და იქაც, შედეგად, უბრალო წყლისაგან ღვთის მადლით მიიღება ნაკურთხი, განწმენდილი წყალი.

უპრიანია ითქვას, რომ წყალი ჩვენი პლანეტის საფუძველთა-საფუძველია. წყალი უნიკალურია და უდიდეს გეოგრაფიულ პროცესებზე ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობით, აღემატება ყველა ბუნებრივ სხეულს. მისი უნიკალური თვისება - ერთდროულად (სამყროს სხვადასხვა ადგი-ლას) იყოს რა თხევად, მყარ და აირად მდგომარეობაში, ნამდვილად საოცარი და გამაოგნებელია. აღსანიშნავია, რომ წყალს აქვს მეხსიერება და აგრეთვე მის მოლეკულებს შეუძლიათ რეაგირება მოახდინოს და სტრუქტურა შეიცვალოს გარემო ფაქტორების ზეგავლენით (რაც დამტკიცებულია სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით).

გეოფიზიკოსების მტკიცებით, წყალზეა დამოკიდებული პლანეტის კლიმატი, ვინაიდან მას გააჩნია დიდი სითფოტევადობის შესაძლებლობა. როდესაც დედამიწაზე ცხელა, ის შთანთქავს სითბოს, ხოლო როდესაც აცივდება, ის გასცემს მას. სწორედ ამიტომ წყალი „აწონასწორებს“ კლიმატს დედამიწაზე. უფრო მეტიც, მათი მტკიცებით, რომ არა წყალი, დედამიწა გადაიქცეოდა უსიცოცხლო სხეულად. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კოსმოსში არსებული სიცივისა და მზის სხივების მცხუნვარებისაგან დედამიწას იცავს წყლის ის მოლეკულები, რომლებიც არის გაბნეული ატმოსფეროში ორთქლისა და ღრუბლების სახით.

დედამიწის ორი მესამედი დაფარულია წყლით. ბუნებრივი სხეულების უდიდესი ნაწილი (თუ ყველა არა) შეიცავს წყალს. მცენარეთა სამყარო შეიცავს 70-95% წყალს, ქვებიც კი შეიცავს წყალს (ნესტს). წყალი მიჩნეულია ერთადერთ ნივთიერებად, რომელიც სამყაროში ერთდროულად არსებობს სამ მდგომარეობაში: მყარი, თხევადი და აირადი (ორთქლი).

მეცნიერთა დიდი ინტერესი ყოველთვის არსებობდა წყლისადმი, მაგრამ 1932 წელს, შეიძლება ითქვას, მოხდა სენსაციური აღმოჩენა. დადგინდა, რომ ბუნებაში ჩვეულებრივი წყლის გარდა, აგრეთვე არსებობს „მძიმე წყალი“.

თანამედროვე ეპოქაშიც გრძელდება წყლის კვლევა მეცნიერთა მიერ. დამტკიცდა, რომ წყალს გააჩნია ინფორმაციული მეხსიერება. ადამიანის ორგანიზმისათვის წყალი ჟანგბადის შემდეგ წარმოადგენს უმთავრეს ნივთიერებას და მას სასიცოცხლოდ უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია. მეცნიერთა ნაწილის მიერ დადგენილია, რომ ადამიანის ორგანიზმის 2/3 შეადგენს წყალს და წყლის გარეშე იგი 7 დღეზე მეტს ვერ ძლებს, ხოლო საკვების გარეშე კი მას შეუძლია იცოცხლოს 4 კვირა.

ადამიანს წყალზე მოთხოვნილება ჩადებული აქვს ღვთისაგან ქვეცნობიერ დონეზე. მისი რაოდენობა დამოკიდებულია შინაგანი გარემოს პირობებსა და ადამიანის მიერ შესრულებული სამუშაოების ხასიათზე.

წყლის ბალანსის შესანარჩუნებად ზრდასრულ ადამიანს ყოველდღიურად 2-3 ლიტრი სითხის მიღება მოეთხოვება (ნორმალურ პირობებში). აღსანიშნავია, რომ მშრალი საკვებიც შეიცავს

50-60% წყალს. ამიტომ, დღის განმავლობაში ადამიანი სასმელისა და საკვების საშუალებით უნდა ცდლილობდეს ზემოთ აღნიშნული ნორმის (2-3 ლიტრი) მიღებას ჯამში.

ცნობილია, რომ დედამიწაზე წყლის მოცულობა გაცილებით დიდია ვიდრე ხმელეთი. მასში მტკნარი წყლის რესურსები მილიონობით კუბომეტრ კილომეტრებს ითვლის, მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, მსოფლიო განიცდის სასმელი წყალის დეფიციტს (დედამიწის ზედაპირზე განლაგებული ზონების დაახლოებით 60%). განსაკუთრებით კი ეს დეფიციტი შეიმჩნევა განვითარებად ქვეყნებში, სადაც წყლის რესურსები პრაქტიკულად ამოწურულია. მიზეზი არის ის, რომ ყველა მტკანრი წყალი არ არის სასმელად ვარგისი და სასარგებლო ადამიანისათვის. აგრეთვე რაციონალურად არ ხდება არსებული რესურსის გამოყენება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მილიონობით ადამიანი ავადდება. რაც გამოწვეულია სასმელი წყლის დეფიციტით ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი წყლის მოხმარებით [6], ამიტომ, ისეთ ქვეყნებს, რომლებსაც ღვთის მადლითა და კურთხევით ბუნებისაგან ეძლევათ აღნიშნული რესურსი, საჭიროებს რაციონალურ გამოყენებას. ასეთი ქვეყნების რიგში მოიაზრება საქართველოც. მას აქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ გახდეს სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მისი მსოფლიო ბაზარზე მიწოდების ქვეყანა.[7] ის განსაკუთრებით მდიდარია წყლის სიუხვითა და მოცულობით. საქართველოში 26060-მდე მდინარეა, ხოლო ქვეყნის მტკნარი მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი მარაგი დაახლოებით 18000 მლნ $მ^3$-ს შეადგენს. საერთო საპროგნოზო-საექსპლუატაციო მარაგები დაახლოებით 10600 მლნ. $მ^3$ -ია [8].

წყლის რესურსის როლი და მნიშვნელობა ძალიან დიდია ეკონომიკურ პროცესებში. ცნობილია, რომ „ეკონომიკა არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს შეზღუდული რესურსების პირობებში მატერიალური დოვლათისა და მომსახურების წარმოების, განაწილებისა და მოხმარების პროცესში ადამიანთა ქცევას“ [10. გვ.3]. ეკონომიკური რესურსები, თავის მხრივ, შემდეგ ჯგუფებად იყოფა: შრომა, მიწა, კაპიტალი და სამეწრმეო უნარი. შრომა - აღნიშნავს ადამიანთა როგორც ფიზიკურ, ასევე გონებრივ შესაძლებლებებს; მიწა - მოიცავს ღვთისაგან ნაბოძებ ყველა ბუნებრივ რესურსს (მიწა, ტყე, წყალი, ნავთობი, წიაღისეული და ა.შ); კაპიტალი - ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება წარმოების ისეთი საშუალებები როგორებიცაა: საქარხნო, საფაბრიკო, სატრანსპორტო თუ სასაწყობო მოწყობილობები; სამეწარმეო უნარი - ადამიანთა შესაძლებლობა სათანადოდ გამოიყენოს ზემოთ მოცემული რესურსები [10, გვ.12]. თუ დავუბრუნდებით წყლის მნიშვნელობას ეკონომიკაში (ზემოთ მოყვანილი ეკონომიკური რესურსების ფონზე) დავასკვნით თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია წყლის რესურსი და თუ როგორი განუყოფელია იგი ეკონომიკისაგან. ამიტომაც, მისი რაციონალური გამოყენება, მითუმეტეს წყლის რესურსებით მდიდარი ქვეყნისათვის (როგორიც საქართველოა), უნდა გვესახებოდეს პრიორიტეტულ მიმართულებად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასმელი წყალი პირველ რიგში აუცილებელია კაცობრიობის არსებობისათვის. ის წარმოადგენს დეფიციტს მთელს მსოფლიოში, ამიტომ მასზე მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე ძალიან დიდია. წყლის გამოყენება ხდება მრავალი მიმართულებით. ის გამოიყენება როგორც საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, აგრეთვე მისი ფართოდ გამოყენება ხდება: როგორც მიწის სავარგულების მორწყვა-განწყლოვანებისათვის, საწარმოების ფუნქციონირებისათვის, ელექტროენერგიის მისაღებად, ნაოსნობისა და ხე-ტყის დაცურებისათვის, თევზის მეურნეობის განვითარებისათბის, წყლის ფრინველის მოსაშენებლად, სამკურნალო და სპორტული მიზნებისათვის [9].

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოში წყლის რესურსების ეკონომიკური კუთხით გამოყენებას, მისი მოხმარება ძირითადად სამი მიმართულებით ხდება: ენერგორესურსად, სარწყავად და სათევზაოდ [11, გვ.23].

- საქართველოში ჰიდრორესურსების მხოლოდ 20%-ია გამოყენებული [11, გვ.25], რომლის უმეტესი წილი ენერგეტიკაზე მოდის, მაშინ როცა დანარჩენი 80%-ის ათვისება (სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, ტურიზმის სფეროში და ა.შ.) ქვეყნისათვის წარმოადგენს რეალურ საშუალებას, რომ შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, მიღებულ იქნეს დამატებითი შემოსავლები და საბოლოო ანგარიშით, ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.
- აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საქართველოში ტურისტთა ნაკადი იზრდება, რასაც ქვეყნისათვის დამატებითი შემოსავლების მოაქვს. ამ მაჩვენებლების ზრდა შესაძლებელია (სხვა ღონისძიებებთან ერთად) წყლის რესურსების გამოყენებით. კერძოდ, ბოლო წლების სტატისტიკური ინფორმაციით დიდი ინტერესი ფიქსირდება ტურიზმის ექსტრემალურ სახეებზე (დაივინგი, კანიონგი, რაფტინგი), რომლის განვითარების რეალური შესაძლებლობაც საქართველოს გააჩნია ამ ტერიტორიაზე არსებული მდინარეეების, ტბების, კანიონების შესაბამისად ათვისებით.
- გარდა ამისა, საქართველოში გვხვდება მსოფლიო მნიშვნელობის, მიწისქვეშა მტკნარი მინერალური წყლის მარაგები, თუმცა, მათი გამოყენება სრულიად უმნიშვნელოა (0.01%-ზე ნაკლები) [12]. უფრო მეტიც, წყალმომარაგების პრობლემა მოუგვარებელია სტრატეგიული მარაგების მქონე წყლის არტეზიული აუზების სიახლოვეს მყოფ ქალაქებში, მაგალითად, ბათუმი, ქუთაისი, თელავი და სხვ.,

- ბოლო პერიოდში საქართველოში კერძო ფირმები ეწევიან ბუტილირებული წყლის ბიზნესს და ისხმება ისეთი წყლები, როგორიცაა „ბორჯომი“, „ბაკურიანი“, „ბახმარო“, „ნატახტარი“ და სხვ., თუმცა, ამ კომპანიების შეზღუდული სიმძლაავრეები უზრუნველყოფენ მხოლოდ თავიანთი საპროექტო მწარმოებლურობის მხოლოდ 20%-ს [12]. ამდენად, მნიშვნელოვანია ამ ბიზნესის განვითარების მიმართულებით არსებობდეს განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ფირმების ხელშეწყობას.
- გაეროს მონაცემებით ცნობილია, რომ ტკნარი სასმელი წყალი უახლოეს მომავალში ყველაზე ძვირი და დეფიციტური ნედლეული იქნება, ვინაიდან კარგი ხარისხის სასმელ წყალს მოკლებულია დაახლოებით 2.8 მლრდ ადამიანი, ამასთან, აღნიშნულ პრობლემას აწყდება ევროპაც და 2025 წლისთვის ნავარაუდევია, რომ ეს პრობელმა მთელს ევროპას მოიცავს. ყოველივე ამის ფონზე კი საქართველოს გააჩნია ევროპაში უმსხვილესი მიწისქვეშა მტკნარი მინერალური წყლის მარაგები რომლებიც ხასიათდება არაჩვეულებრივი ქიმიური შედგენილობით (ბიკარბონატულ-ქლორიდული წყლები მაგნიუმის დეფიციტის ფონზე) და ბაქტერიოლოგიური სისუფთავით, არ შეიცავს მეტალებს, ხოლო მათი ქიმიური თვისებები აკმაყოფილებს ევროკავშირისა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის უმკაცრეს მოთხოვნებს. თუმცა, ამ უნიკალური მარაგების მხოლოდ 8%-ია ათვისებული, მაშინ როცა არსებული ინფორმაციით, ევროპას სასმელი წყლის მწვავე დეფიციტის დასაფარად წელიწადში დასჭირდება 120 მლნ მ3 მტკნარი წყალი, რაც საქართველოში არსებული მარაგების მხოლოდ 5%-ია [12] დასკვნა მარტივია, საქართველოს წყლის რესურსი და მისი გამოყენება ნამდვილად შეუფასებელია და მისი შესაბამისად ათვისება სახელმწიფოსათვის უნდა გახდეს პრიორიტეტულ მიმართულებათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი.
- ამდენად, წყალი და მასთან ერთად ყველაფერი რაც კი არსებობს, კაცობრიობას მიეცა ღვთისაგან არსებობისა და განვითარებისათვის. თუკი ადამიანი აღნიშნულ ბუნებრივ რესურსს რაციონალურად გამოიყენებს, ის არამარტო გახდება ერთ-ერთი გარანტი მისი ეკონომიკური განვითარებისა და წარმატებისათვის, არამედ კაცობრიობის სიცოცხლის - უნარიანობის ზრდისა და ჯანმრთელობის დონის ამაღლების საუკეთესო საშუალებად შეიძლება იქცეს.

ლიტერატურა

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 1989 წელი, 1216;
2. ახალი აღთქმა - მეცნიერულად დადგენილი ტექსტი მწინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციით, 2006 წელი, 647.
3. წმიდა ბასილი დიდი „ჰომილიები ექვსი დღისათვის” http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=521 (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 14/09/2019).
4. დოგმატური ღვთისმეტყველება - პროტოპრესვიტელი მიხეილ პომაზანსკი, თბილისი, 2006 წელი, სრ N110, 272.
5. http://www.orthodoxy.ge/sakhli/aiazma.htm (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 14/09/2019).
6. https://www.aura.ge/3-statiebi/3570-tskali-da-misi-mnishvneloba.html (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 14/09/2019).
7. https://sputnik-georgia.com/economy/20170428/235780090/wyali-rogorc-saqarTvelos-ekonomikuri-ganviTarebis-katalizatori.html (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 14/09/2019).
8. https://www.tsu.ge/data/file_db/library/trapaidze_resursebi.pdf (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 14/09/2019).
9. http://gtu.ge/Library/Pdf/El_wignebi/ekonom_kn_2.pdf (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 14/09/2019).
10. ჩიხლაძე ნ., ზოგადი ეკონომიკსი, ქუთაისი, ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი, 2008.
11. დავითულიანი ც., საქართველოს წყლის რესურსები და მათი რაციონალური გამოყენება, ჟ. „ეკონომიკური პროფილი“, ISSN 1512-3901 N16, 2016 - http://economicprofile.org/wp-content/uploads/sxbabzwxhew-cebiwyw-%C2%B816-2016.pdf (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 14/09/2019)
12. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, სასმელი წლის ბიზნესი http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.2&d=HASH611428d35ab6e96ac30284.9.4&x=1 (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 14/09/2019)

WATER – THE LORD'S GIFT AND AN INDIVISIBLE ATTRIBUTE OF ECONOMICS

Tukvadze Otar
Master of Theology
PHD student of Economics' program
Kutaisi University

Summary

Water is a phenomenon that encompasses everything in the universe and at the same time represents life-giving of all living things. It was given to mankind not for any merit, but because of the Lord's supreme human love for its use and further development.
This article discusses water as a gift from the lord and an indivisible attribute of economics. Against the background of general trends (deficit) in regard with water, the abundance, diversity of water and its inefficient use in Georgia are analyzed.

Key words: *Bible, water, economics, economic resources*

აღრიცხვის მოწესრიგება დასაქმებისა და უმუშევრობის ეფექტიანი მართვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა

ტუღუში მირონ
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

სტატიაში განხილულია საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის მდგომარეობა, ყურადღება გამახვილებულია მათი აღრიცხვის ნაკლოვანებებზე. უმუშევრობის დონის შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მონაცემებს შორის საქართველოს საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი აქვს, მაგრამ ის, ავტორის აზრით, სარწმუნო არ უნდა იყოს. ექსპერტების გაანგარიშებით საქართველოში უმუშევრობის დონე ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ამას „საქსტატი" გვთავაზობს. მითითებულია მისი განმაპირობებელი მიზეზები. ავტორი მიიჩნევს, რომ ოფიციალური სტატისტიკის მიერ შემოთავაზებული დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების არარეალურობა, ძირითადად, მათ აღრიცხვაში არსებული პრობლემებითაა განპირობებული. მოცემულია დასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვის სრულყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: *დასაქმება, უმუშევრობა, დასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვის მეთოდოლოგია, დასაქმების დონე, არასრული დასაქმება.*

უმუშევრობა ურთულესი და უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური და პოლიტიკური პრობლემაა, რომელსაც თან ახლავს უკიდურესად ნეგატიური შედეგები. მკვლევარების უმეტესობა, ძირითადად, ყურადღებას აღნიშნული პრობლემის სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ასპექტებზე ამახვილებს, თუმცა, მისი ფსიქოლოგიური და პოლიტიკური მხარეებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

კვლევებით დადასტურებულია, რომ უმუშევრობით გამოწვეულ ეკონომიკურ ზარალთან ერთად, აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული ის უმძიმესი ფსიქოლოგიური განწყობა, რომელიც უმუშევარსა და მისი ოჯახის წევრებს ხანგრძლივი დაუსაქმებლობის გამო ეუფლება. დიდი ხნის განმავლობაში სამუშაოს წარუმატებელი ძიების პროცესი უმუშევარზე მძიმე კვალს ტოვებს, არასრულფასოვნების შეგრძნებასთან ერთად მას უმწვავდება დეპრესია, კარჩაკეტილი ხდება, თავს საზოგადოებისაგან გარიყულად გრძნობს, უქვეითდება ნებისყოფა, რაც, ზოგჯერ, სუიციდითაც კი მთავრდება.

გასათვალისწინებელია უმუშევრობის პოლიტიკური ასპექტიც. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის სფეროში უმაღლესი ხელისუფლების არაეფექტიანი საქმიანობა, მწვავე რეაგირების გარეშე არ რჩება. ცნობილია არაერთი ფაქტი, როცა უმუშევრობის მაჩვენებლის გაუარესება, ამა თუ იმ ქვეყანაში, მთავრობის გადადგომის (გადაყენების, ან არჩევნებში დამარცხების) მთავარი მიზეზი გახდა.

ამიტომ, უმუშევრობის მართვა-რეგულირება, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა. პრობლემის სირთულეზე ისიც მიუთითებს რომ მისი ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა შეუძლებელია, მას მუდმივი და მრავალმხრივი ძალისხმევა სჭირდება. უმუშევრობის დასაძლევად ქვეყნები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ეფექტიანად გამოიყენონ არსებული რესურსული პოტენციალი (ადამიანური, ფინანსური, მატერიალური, ინფორმაციული), განახორციელონ ადეკვატური საინვესტიციო, საგადასახადო, საგანმანათლებლო პოლიტიკა და ა.შ., რათა შესაძლებელი გახდეს უმუშევრობის რეგულირება, თუმცა, ყველა ქვეყანა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ამას ვერ ახერხებს და სოციალური აფეთქების ზღვარზე იმყოფება.

საქართველო, ოფიციალურად გაცხადებული უმუშევრობის დონით ასეთი საშიშროების წინაშე არ დგას, მაგრამ არც დამშვიდების უფლება გვაქვს, რადგან ექსპერტების აზრით, ქვეყანაში, ფაქტიურად, უმუშევრობის მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ამას „საქსტატი" აფიქსირებს.

საქართველოს მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები 1998-2017 წლებში (ათასი კაცი,%)

	1998 წ.	2000 წ.	2005 წ.	2010 წ.	2015წ.	2018წ.
15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა	3016,8	3141,6	3160.3	3114.8	3019,1	3012,3
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	1972,8	2049,2	1982,7	1970,9	2018,0	1939,9
დასაქმებულია სულ	1728,5	1837,2	1683,0	1627,8	1733,8	1694,2
აქედან დაქირავებული	724,4	683,9	632,2	668,8	798,3	860,2
თვითდასაქმებული	987,1	1041,2	1050,0	956,6	928,0	833,4
უმუშევარი	244,2	212,0	299,7	343,1	284,2	245,7
უმუშევრობის დონე (%)	12,4	10,3	15.1	17,4	14,1	12,7

წყარო: „საქსტატი“, დასაქმება და უმუშევრობა. 2015 წლის ჩათვლით შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, 2018 წელი - სამუშაო ძალის გამოკვლევა.

შენიშვნა: 1998-2000 წლების მონაცემები არ გადაანგარიშებულა, 2002-2016 წლის მონაცემები გადაანგარიშებულია 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, 2017 წლის შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

ამას მოსახლეობის გამოკითხვებიც ადასტურებს. კერძოდ, „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI-ის) მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2018 წელს, საქართველოში გამოკითხული მოსახლეობის 40 პროცენტი თვლიდა, რომ „მთავარი პრობლემა, რომლის წინაშეც ამჟამად საქართველო დგას - არის უმუშევრობა, მეორე ადგილზეა ეკონომიკა, 23%-ით“. სამწუხაროდ, ამ მხრივ, დღესაც იგივე მდგომარეობაა (3).

ცხრილიდან ჩანს, რომ 1998-2018 წლებში დასაქმებისა და უმუშევრობის სფეროში თითქმის ყველა მაჩვენებელი გაუარესდა (გარდა დაქირავებით დასაქმებულებისა), რაც მრავალი ფაქტორის ერთობლივი ზემოქმედების შედეგია. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ პერიოდში შემცირდა 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხვი, რომელიც ბუნებრივი მატების მაჩვენებლის კლებასთან ერთად, გარემიგრაციის უარყოფითმა სალდომაც განაპირობა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების ჯერ კიდევ გადაუჭრელმა პრობლემებმა კი დასაქმებულთა რიცხვის შემცირება და უმუშევართა უმნიშვნელოდ ზრდა გამოიწვია. ერთადერთი პროგრესული ტენდენცია, რაც ამ პერიოდში გამოიკვეთა, როგორც აღვნიშნეთ, დაქირავებით დასაქმებულთა ზრდა და თვიდასაქმებულთა რიცხვის შემცირებაა. სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ამჟამად, თითოეული ამ მაჩვენებლის ცვლილების გამომწვევი მიზეზების დეტალური ანალიზისაგან თავს შევიკავებთ[1] და ყურადღებას გავამახვილებთ დასაქმებისა და უმუშევრობის აღრიცხვის პრობლემაზე, რომლის გადაჭრა, ჩვენი აზრით, დღემდე ვერ მოხერხდა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმება და უმუშევრობა ერთი პრობლემის ორი მხარეა. დასაქმების სფეროში მიღწეული პროგრესი, მნიშვნელოვანწილად, უმუშევრობის შემცირებასაც გულისხმობს და პირიქით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თუ სწორად არ აღვრიცხავთ დასაქმებულებს, არც უმუშევართა აღრიცხვა იქნება ზუსტი და პირიქით. მაგალითად, თუ უმუშევრებს, დაუსაბუთებელი მიდგომის ან მეთოდიკის გამოყენებით დასაქმებულებს მივაკუთვნებთ, ამით ხელოვნურად შევამცირებთ უმუშევართა რიცხვს, რითაც მნიშვნელოვნად დავამახინჯებთ რეალურად არსებულ სინამდვილეს, რაც მიუღებელია. ფაქტია, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის აღრიცხვაში არსებული პრობლემები, რომლებიც საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველივე წლებში წარმოიშვა, დღემდე შენარჩუნებულია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში უმუშევრობის აღრიცხვის პრობლემის სიმწვავეზე მიუთითებს ექსპერტული გაანგარიშებებიც, რომელთა მიხედვით, საქართველოში, უმუშევრობის საშუალო დონე 32.0-36.0%-ის ფარგლებშია. პროფესორ ი. არჩვაძის გათვლებით კი საქართველოში უმუშევრობის დონე უფრო მაღალია და ის 39-40 პროცენტს შეადგენს. ის აღნიშნავს: „საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნის რეალური შრომითი რესურსების დასაქმების შესაძლებლობა (პოტენციალი, რესურსი, დონე) შეადგენს მხოლოდ 60.3%-ს, ხოლო უმუშევრობის დონე 39.7%-ს“... „უმუშევართა რაოდენობა საქართველოში 0.3 მლნ. კი არა, თითქმის 0.8 მლნ. კაცი იქნება. ეს კი საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 39.1%-ია.“ (5, გვ. 111-115). ტრადიციულად, უმუშევრობის დონე ბევრად უფრო მაღალი იყო თბილისში, 2009 წელს, ექსპერტული შეფასებით (ლ. ვაშაკიძე) ის შეადგენდა 46,9 პროცენტს (6).

[1] ამ თემაზე იხილეთ სტატიები (8,9,10, 11, 12, 13, 14, 15, 16 და სხვ.)

დიდი ხანია, დასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვის მოწესრიგების აუცილებლობაზე მიუთითებენ პროფესორები მურმან ცარციძე და ნათელა ლაცაბიძე, ისინი თვითდასაქმებულების შესახებ ჯერ კიდევ 2012 წელს აღნიშნავდნენ: „აშკარაა, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი რეალურად არაა დასაქმებული და მათთვის დასაქმებულის სტატუსის მინიჭება ხელოვნურად ამცირებს უმუშევრობის დონის მაჩვენებელს“ (12, გვ.85). დასაქმებისა და უმუშევრობის აღრიცხვაში არსებულ პრობლემებზე მიუთითებს პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე - „ჩვენ ძირითადად ვეთანხმებით იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომელთაც მიაჩნიათ, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დაფიქსირებული დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები სწორად ვერ ასახავს არსებულ ვითარებას, ეს კი განაპირობებს მოსახლეობის დასაქმების დონის მოჩვენებით გადიდებას და, შესაბამისად, უმუშევრობის დონის მაჩვენებლის შემცირებას. (7, გვ. 15) პროფესორების ქეთევან ჩიტალაძისა და რუსუდან ქინქლაძის აზრით „სადავო არაა ის გარემოება, რომ დარეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობასთან შედარებით, ფაქტობრივ უმუშევართა რიცხვი მნიშვნელოვნად მეტია“ (15, გვ.570) და სხვები.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საკითხი, საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის აღრიცხვის მოწესრიგების აუცილებლობის შესახებ, ძალიან დიდი ხნის წინათ დაისვა. მასზე, ექსპერტებმა, მათ შორის ჩვენც, არაერთხელ გავამახვილეთ ყურადღება. მაგალითად, ჯერ კიდევ 2000 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „დასაქმების პოლიტიკა და შრომის ბაზრის ფორმირების პრობლემები საქართველოში“ ჩვენ, მეცნიერთანამშრომელ ც. ორთოიძესთან ერთად ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ „ოფიციალურად რეგისტრირებულთან შედარებით ბევრად უფრო მაღალი იყო ფაქტიური უმუშევრობის დონე“ მოვიტანეთ შესაბამისი მონაცემებიც (11, გვ. 234), რასაც ექსპერტთა უმეტესობა დაეთანხმა. მას შემდეგ ჩვენც და სხვებმაც არაერთი ნაშრომი გამოვაქვეყნეთ და მივუთითეთ დასაქმებისა და უმუშევრობის აღრიცხვის ნაკლოვანებებსა და მისი აღმოფხვრის აუცილებლობის შესახებ.

ამ ფონზე გაუგებარია სულ ახლახან „ინტერპრესნიუსისადმი“ მიცემულ ინტერვიუში (2019 წლის 9 სექტემბერი) ილიას სახელმწიფოს უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ხელმძღვანელის გიორგი აბაშიშვილის განცხადება. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ „ილიაუნის ბიზნესის სკოლის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, უმუშევრობის ოფიციალური მონაცემები არარეალისტურ სურათს აჩვენებს. რეალურად საქართველოში უმუშევარი ადამიანების რაოდენობა იმაზე მეტია, ვიდრე ამას სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ასახავს“ (4).

გ. აბაშიშვილის განცხადების თაობაზე უნდა ვთქვათ შემდეგი: 1) კარგია, რომ ილიაუნის ბიზნესის სკოლა დაინტერესდა უმუშევრობის აღრიცხვის საკითხით და კვლევის შედეგად კიდევ ერთხელ შეაფასა, ამ მხრივ, საქართველოში არსებული „არარეალისტური“ მდგომარეობა. ამასთან ერთად, ვფიქრობთ, ბიზნესის სკოლის ხელმძღვანელს უნდა აღენიშნა, რომ საქართველოში ამ მიმართულებით არაერთი კვლევა არსებობს და ილიაუნის ბიზნესის სკოლის მიერ ჩატარებული კვლევა პირველი არ არის, რის ილუზიასაც ეს განცხადება ნამდვილად ქმნის; 2) სასურველი იქნებოდა, ამავე ინტერვიუში, ავტორს მოკლედ გადმოეცა ზემოხსენებული კვლევის შედეგები, რითაც ცხადი გახდებოდა თუ რამდენად განსხვავდება მათ მიერ აღრიცხული უმუშევრობის მაჩვენებელი „საქსტატის“ მიერ შემოთავაზებული მონაცემებისაგან.

ამასთან, მთლიანად ვიზიარებთ ბატონ გიორგის მოსაზრებას - „ვთვლი, რომ თუ ჩვენ რეალობას თვალს არ გავუსწორებთ და არ ვიტყვით, საქართველოში რამდენი ადამიანია უმუშევარი, მაშინ ვერასოდეს ამ თემას ვერ მოვაგვარებთ და წლიდან წლამდე სტატისტიკური მანიპულირებით მოგვიწევს ყოფნა. ასეთი ტიპის სტატისტიკური მონაცემები რეალობას აგვაცდენს. რეალობას თუ ავცდებით, ცხადია, პრობლემის გადაჭრის გზებსაც ვერ ვნახავთ“(4).

საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ „საქსტატისა“ და ექსპერტების გაანგარიშებებს შორის არსებითი განსხვავება გამოწვეულია რიგი მიზეზებით:

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის შეფასება ხორციელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მეთოდოლოგიის მიხედვით და ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები და განმარტებები არ არის დადგენილი „საქსტატის“ მიერ. შსო-ს მეთოდოლოგიის შესაბამისად **დასაქმებულად ითვლება** (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, **ეხმარებოდა უსასყიდლოდ** შინამეურნეობის სხვა წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

თვითდასაქმებულია მესაკუთრე, რომელიც საქმიანობა მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, ასევე ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი.

უმუშევარია 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირა და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის შესაბამისად, იმისათვის, რომ ადამიანი ჩაითვალოს დასაქმებულად, არ არის აუცილებელი რომ მას ჰქონდეს ხანგრძლივვადიანი შრომითი ხელშეკრულება ან დაქირავებული იყოს ვინმეს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ თვითდასაქმებულთა გარკვეული ნაწილის სოციალური მდგომარეობა სახარბიელო არ არის და შესაძლოა ისინი ეძებდნენ დამატებით სხვა სამსახურს, ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, თუ ადამიანი საკუთარი შრომით შემოსავალს იღებს ის დასაქმებულად უნდა ჩაითვალოს. თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია სოფლად, საკუთარ ფერმერულ (გლეხურ) **მეურნეობაში. მაგალითად, აქვს მიწის ნაკვეთი ან ჰყავს პირუტყვი, რომლიდან მიღებულ პროდუქციას იყენებს როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე გასაყიდად.**

აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით თუ, მაგალითად, ადამიანს დიდი სამუშაო დატვირთვა არ აქვს, ან საწარმოს ფინანსური მდგომარეობა მძიმეა, შესაძლებელია დასაქმებულის თვიური შემოსავალი დაქირავებული შრომიდან შეადგენდეს 50 ან 100 ლარს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად დასაქმებულად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას მოგების, შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების **მიზნით, მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა, საქმიანობის ტიპისა და ხანგრძლივობისა.** სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, რეპეტიტორები, კერძო ტაქსების მეპატრონეები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები და ა.შ. თუ გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში ერთი საათით მაინც მუშაობდნენ შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად დასაქმებულად ითვლებიან.“ (2).

სწორედ ასეთი მეთოდოლოგიის გამოყენების საფუძველზე, დასაქმებულისა და უმუშევრის მაჩვენებლების გაანგარიშების შედეგად, მივიღეთ ის სურათი, რომელიც რეალობას არსებითად სცილდება. მსჯელობა უფრო გასაგები რომ იყოს, საჭიროა კონკრეტულად მივუთითოთ თუ რაში მდგომარეობს დასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვის პრობლემა.

დავიწყოთ დასაქმებულის განმარტებით. ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით საქართველოში დასაქმებულად ითვლება პირი, რომელიც კვირაში ერთი საათით მაინც მუშაობს, ასევე, სოფლად ფლობს მიწის ნაკვეთს. ასეთი მიდგომით ხელოვნურად იზრდება დასაქმების დონე და შესაბამისად მცირდება უმუშევრობის მაჩვენებელი. გარდა ამისა, ყველასათვის ნათელი და გასაგებია, რომ საქართველოში კვირაში ერთ საათიანი, ანუ თვეში 4 და წელიწადში 48 საათიანი დასაქმებით ადამიანი ბევრს ვერაფერს გამოიმუშავებს და ამ თანხით, ის, მინიმალურადაც ვერ დაიკმაყოფილებს თუნდაც საკვებზე მოთხოვნილებას, მის განათლებაზე, ან ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის შეძენაზე, ან კიდევ კომუნალური გადასახადების გადახდაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში 2020 წლის ბოლოდან უმუშევრობის მაჩვენებლის დათვლა, მოსალოდნელია ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე მოხდეს. რაც იმას გულისხმობს, რომ **თვითდასაქმებულებში** (რომელთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში მაღალია), **აღარ ჩაითვლებიან პირები, რომლებიც თავიანთ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მიღებულ პროდუქციას უმთავრესად საკუთარი მოხმარებისთვის იყენებენ..** იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში, თვითდასაქმებულთა უმეტესობა მიწის ნაკვეთებში საქმიანობით მიღებულ პროდუქციას საკუთარი მოხმარებისათვის იყენებს, ასეთი მეთოდოლოგიური ცვლილების შედეგად, დასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვა, ბუნებრივია, არსებულთან შედარებით უფრო ზუსტი გახდება, მაგრამ ეს საკმარისი არაა.

თუ ჩვენ ვიზიარებთ საყოველთაოდ აღიარებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვით დასაქმება არის მოსახლეობის სოციალური დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტი, მაშინ, მართებული იქნება **საქართველოში დასაქმებულად ჩაითვალოს მხოლოდ ის პირები, რომლებიც დასაბუთებული მეთოდიკის (და არა ისეთის, როგორიც ამჟამად გამოიყენება) საფუძველზე გაანგარიშებული საარსებო მინიმუმის ტოლ თანხას მაინც გამოიმუშავებენ, მათ კი, რომლებიც ნაკლებს გამოიმუშავებენ, უნდა მიენიჭოთ ნაწილობრივ დასაქმებულთა სტატუსი.**

შსო-ს მონაცემებით, 2017 წელს, უმუშევრობის დონის მიხედვით საქართველოს ბევრად უკეთესი (დაბალი) მაჩვენებლები ჰქონდა ვიდრე მაკედონიას, საბერძნეთს, ესპანეთს, რაც, რბილად რომ ვთქვათ, ძალზე საეჭვოა. კიდევ უფრო მეტ კითხვებს ბადებს შსო-ს მეთოდოლოგიის საფუძველზე გაანგარიშებული უმუშევრობის მაჩვენებლები საქართველოს რეგიონების მიხედვით. კერძოდ, გურიაში პარადოქსული სიტუაცია ჩამოყალიბდა - იქ, 2018 წელს, უმუშევრობის მხრივ, მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებელი (ყველაზე დაბალი) 1,8% დაფიქსირდა, (1, უმუშევრობა რეგიონების მიხედვით) რაც ღიმილის მომგვრელია.

ერთი სიტყვით, დასაქმებისა და უმუშევრობის დონის გაანგარიშების მეთოდოლოგია და მეთოდიკა სრულყოფასა და ქვეყნის განვითარების სპეციფიკაზე მორგებას საჭიროებს. იმისათვის, რომ ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის აღრიცხვა მოწესრიგდეს საჭიროა:

1. საქართველოში დაზუსტდეს დასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვის მეთოდოლოგია. როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად, „საქსტატი" დასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვის მიზნით შსო-ს მეთოდოლოგიას იყენებს. მაგრამ, უმჯობესია, ქვეყანას ჰქონდეს მისი ნაციონალური კულტურის, განითარების დონისა და სპეციფიკური თავისებურებების შესაფერისი მეთოდოლოგია, ანუ ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც შსო-ს რეკომენდაციებს ქვეყანაში არსებულ სიტუაციას მიუსადაგებს. ამგვარი მეთოდოლოგიური მიდგომების ამსახველი დოკუმენტი - კანონი „დასაქმების შესახებ" საქართველოში, ყოვლად დაუსაბუთებლად, 2006 წელს, „შრომის კოდექსის" მიღებისას, ძალადაკარგულად გამოცხადდა (არადა, ამ კანონებს სხვადასხვა დანიშნულება აქვთ, ისინი ერთმანეთს ავსებენ)[2]. აუცილებელია, საქართველოში შემუშავდეს და ამოქმედებულ იქნეს „დასაქმების შესახებ" კანონის ახალი რედაქცია, რომელშიც, სხვა ნორმებთან ერთად, განმარტებული იქნება „დასაქმებულის", „დაუსაქმებლის", „უმუშევრის", „დასაქმების სამსახურის" ცნებები და მათი გააანგარიშების ძირითადი მეთოდოლოგიური საკითხები;

2. „დასაქმებულის" ცნების განსაზღვრისას, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს, რომ სწორედ დასაქმებაა მოსახლეობის სოციალური დაცვის გარანტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა ნორმალური ცხოვრება და განვითარება. აქედან გამომდინარე, თუ შრომაში ჩაბმულთა შემოსავალი სრულად ვერ უზრუნველყოფს დასაბუთებული მეთოდიკის საფუძველზე გაანგარიშებულ საარსებო მინიმუმს, მაშინ ისინი მხოლოდ ნაწილობრივ დასაქმებულად უნდა ჩაითვალონ და არა დასაქმებულად;

3. არსებითად შესაცვლელია საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდიკა, მისი სტრუქტურული თანაფარდობა. ფაქტია, რომ, ამჟამად, მისი ოდენობა არ შეესაბამება არსებულ საბაზრო ფასებს, ხელოვნურადაა შემცირებული. კალორიულობის გაზრდის მიზნით დასაზუსტებელია კვების რაციონიც;

4. საქართველოში, განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ანაზღაურების მეტად დაბალი დონის გამო, კვირაში ერთი საათით (თვეში 4 და წელიწადში 48 საათით) მომუშავეთა დასაქმებულად ჩათვლა თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. ისინიც მხოლოდ ნაწილობრივ დასაქმებულად უნდა ჩაითვალონ;

5. უახლოეს მომავალში (2020 წლის ბოლოსათვის) გათვალისწინებულია თვითდასაქმებულების ცნების დაზუსტება. კერძოდ, დასაქმებულად აღარ ჩაითვლებიან პირები, რომლებიც თავიანთ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მიღებულ პროდუქციას უმთავრესად საკუთარი მოხმარებისთვის იყენებენ. სასურველია აღნიშნული მეთოდოლოგიური ცვლილების პრაქტიკული რეალიზება დაჩქარდეს, უკიდურეს შემთხვევაში არ უნდა გადავადდეს, რადგან იგი დასაქმებისა და უმუშევრობის აღრიცხვას გარკვეულწილად მაინც გააუმჯობესებს.

ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმება და უმუშევრობა, 2018; *https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba*;
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამუშაო ძალის გამოკვლევა (მეთოდოლოგია), 2018; https://www.geostat.ge/media/20612/samushao-dzalis-gamokvleva-%28geo%29.pdf
3. "საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის" (IRI-ის) მიერ 2019 წლის 20 მაისი-11 ივნისის და 2018 წლის 10-22 აპრილის გამოკითხვის შედეგები;
4. აბაშიშვილი გ. - „როგორ მოვიტყუოთ თავი" ინტერვიუ „ინტერპრესნიუსთან" 2019 წლის 9 სექტემბერი; *https://www.interpressnews.ge/ka/article/562939-giorgi-abashishvili-metods-romlis-mixedvitac-sakstati-umushevrobis-dones-itvlis-hkvia-rogor-movitquot-tavi-radgan*;
5. არჩვაძე ი. შრომითი მიგრაციის გავლენა შრომის ბაზრის მდგომარეობის მახასიათებელ ინდიკატორებზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „უნივერსალი", თბ., 2013;
6. ვაშაკიძე ლ. „უმუშევრობის მდგომარეობა თბილისში, 2009 წელი (სამაგისტრო ნაშრომი, საქართველოს უნივერსიტეტის ფონდი);

[2] უფრო დეტალურად იხილეთ (10) .

7. პაიჭაძე ნ.- უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი დაძლევის გზები ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი, #1, 2016; *http://eb.tsu.ge/doc/jurnali1_jan_fab_2016.pdf*
8. ტუღუში მ., უშევრობის დონის ცვლილების ტენდენციები საქართველოში და მისი რეგულირების მიმართულებები სტატია საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტი კულ ჟურნალში „გლობალიზაცია და ბიზნესი“, #5, 2018;
9. ტუღუში მ. დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფოებრივი რეგულირებისათვის, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №2. 2013; *http://eb.tsu.ge/doc/jurnali2_mart_apr_2013.pdf*
10. ტუღუში მ., კანონი „დასაქმების შესახებ“ ადამიანური რესურსების მართვის საკანონმდებლო ბაზის მნიშვნელოვანი კომპონენტი. პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 95-ე წლისთა-ვისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული: ''ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები'' თბ., 2018 (6-7 ივლისი) *http://pgie.tsu.ge/contentimage/konferenciebi/2018_konferenciakrebuli.pdf*
11. ტუღუში მ., ორთოიძე ც., „დასაქმების პოლიტიკა და შრომის ბაზრის ფორმირების პრობლემები საქართველოში“, სტატია საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებულში, ტომი V, Tb., 2000;
12. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., შრომის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ #1, 2012; http://eb.tsu.ge/doc/jurnali1_ianv_teb_2012.pdf
13. ცარციძე მ., საქართველოში შრომის ბაზრის ფორმირებისა და განვითარების სტრატეგია, უმუშევრობის და სიღარიბის ნაწილი (*https://www.tsu.ge/data/file_db/economist.../murman.pdf*);
14. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ. (2017).უმუშევრობა და დასაქმების აქტიური პოლიტიკა შრომის ბაზრის ფორმირების მიმდინარე ეტაპზე საქართველოში. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", 2017 წლის 3-4 ნოემბერი, თსუ–ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. შრომების კრებული. თბილისი. ISBN 978-3-9941-13-650-4.https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf
15. ჩიტალაძე ქ., ქინქლაძე რ., უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში, „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", თსუ–ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. შრომების კრებული. თბ., 2017 წლის 3-4 ნოემბერი, გვ. 570; https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf

REGISTRATION REGULATION IS AN ESSENTIAL PREREQUISITE OF EMPLOYMENT AND UNEMPLOYMENT EFFECTIVE MANAGEMENT

Tugushi Miron
Doctor of Economics, Associate Professor Tbilisi State University

Summary

The problem of unemployment registration in Georgia has been existed for a long time. The data calculated by «Geostat « and experts on this issue dramatically varies from each other. According to the official statistical data at present the level of unemployement in Georgia is 12.7 percent; By the assessment of the experts, by the author of this article, Mr. M. Tugushi, among them, in fact , it is 3 times more at least. The main reason for this difference are the shortcomings in the sphere of registration of employed and unemployed persons. By the Author“s opiunion, in Georgia, due to its economic development and jobs remuneration, it is inappropriate to consider a person as employed in case, if he is employed during one hour per week (or 4 hours per month, 48 hours per year), as well as those, who own land in rural areas. According to such an approach the number of employees would be artificially increased and y the number of unemployed would be consequently reduced. If we do not properly account (register) the number of employed and unemployed people, then we cannot develop effective measures to reduce unemployment in the country, which is not in the best interests for the country or for its population.
According to the author“s opinion, employment should be a guarantee of social protection for the population and their income should at least provide a living wage calculated on a justified basis. People with low incomes should be considered as the part-time employees.

Key words: *: employement, unemployement, methods of reigstration of employed and unemployed people, employement level, part-time employement.*

ADGILOBRIVI EKONOMIKURI GANVITAREBIS (AEG) – ACHALI STRATEGIIS MNISHVNELOBA „MDGRADI GANVITAREBISTVIS“.

უგლავა ქრისტინე
თსუ-ის დოქტორანტი

გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ მთავრობები, თვითმმართველი ერთეულები და სხვა აქტორები განვითარების პოლიტიკის გატარებისას სულ უფრო მეტად მიმართავენ ტრადიციული მიდგომისაგან განსხვავებულ, ალტერნატიულ მიდგომას, რომელსაც წარმოადგენს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება (აეგ). ის უზრუნველყოფს ისეთი პლატფორმის არსებობას, რომელიც გულისხმობს ადგილზე განვითარების ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ინსტიტუციური ასპექტების ინტეგრირებას. აეგ არის მონაწილეობაზე დაფუძნებული განვითარების პროცესი, სადაც წახალისებულია პარტნიორობა მთავარ მოქმედ პირებს შორის. აეგ-ის მიდგომა უზრუნველყოფს ეკონომიკური აქტივობის ზრდასა და მდგრადობას, ინკლუზიურობას, ადგილობრივი რესურსების სწორად, მდგრადად და ეფექტიანად გამოყენებას, ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებას და ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: *ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, ადგილობრივი ეკონომიკური ზრდა, მდგრადი განვითარება, ინკლუზიური ზრდა.*

მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაზრდილია ტენდენცია, როდესაც მთავრობები, თვითმმართველი ერთეულები და სხვა დაინტერესებული მხარეები მიმართავენ ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას (აეგ), როგორც განვითარების ტრადიციული სტრატეგიისგან განხსვავებულ ალტერნატიულ სტრატეგიას, მიდგომასა და მექანიზმს გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ. თვითმმართველი ერთეულები, ქალაქები თუ რეგიონები ინტენსიურად მუშაობენ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე, რადგან ის უზრუნველყოფს სათანადო ჩარჩოსა და მეთოდებს, რომლითაც შესაძლებელია ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმიზება ადგილზე კონკურენტული გარემოს შექმნის, ინვესტიციებისა და სამიზნე ჯგუფების მოზიდვის, ცოდნის ტრანსფერის, დასაქმების ღირსეული სამუშაო გარემოს განვითარების მიზნით, რათა მიაღწიონ ადგილობრივი ცხოვრების მაღალ დონეს.

აეგ დაკავშირებულია საზოგადოების განვითარებისკენ მიმართულ პოლიტიკასა და ყველა პროგრამასთან, რაც მიზნად ისახავს ინკლუზიურ ზრდას, ინფრასტრუქტურის, სოციალური კაპიტალის, მომსახურებების და მდგრადი გარემოს განვითარებას. ყოველივე ეს მონაწილეობს აეგ-ში და ამავდროულად გავლენას ახდენს მასზე.

აეგ-ის პროცესებს შეიძლება სხვადასხვა მიზანი ჰქონდეს, მათ შორის: ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, ახალი ბიზნესის შექმნა, ინოვაციური სისტემების დანერგვა, დასაქმების ხელშეწყობა და სხვა. ამ პროცესებში კი ყველაზე მთავარი არის კერძო-საჯარო პარტნიორობის განვითარება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, კერძო ბიზნესის, ბიზნეს ასოციაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებული პირებს შორის თანამშრომლობა და კოლაბორაცია.

აეგ-ის უნივერსალური განმარტება არ არსებობს, თუმცა ის წარმოადგენს მიდგომას და იმ პროცესების შედეგს, როდესაც საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციები, განვითარების პარტნიორები, სამოქალაქო საზოგადოება და მისი წარმომადგენელი ორგანიზაციები თანამშრომლობის ფარგლებში ერთად, კოორდინირებულად მუშაობს კონკრეტული ტერიტორიისთვის ან რეგიონისთვის უკეთესი ეკონომიკური პირობების შექმნის მიზნით, რისთვისაც იყენებენ ადგილზე კონცენტრირებულ ადამიანურ, ფინანსურ, ფიზიკურ და ბუნებრივ რესურსებს.

ექსპერტების აზრით, აეგ უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ „ეკონომიკური ზრდა და განვითარება ადგილობრივ დონეზე“. აეგ არის ეკონომიკური განვითარების განსაკუთრებული და განსხვავებული მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს განვითარებისკენ მიმართული ძალების ურთიერთობების რეგულირებას თანამშრომლობის ფორმატში, ადგილობრივი დიალოგის განვითარებას, მონაწილეობის წახალისებას, ადამიანებისა და მათი რესურსების დაკავშირებას უკეთესი დასაქმების პირობების შექმნისთვის და ზოგადად რესურსების ეფექტიანად გამოყენების ხელშეწყობას, ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფას და ცხოვრების დონის ამაღლებას.

ეკონომიკური მოქნილობის საჭიროებამ გლობალურ ბაზარზე მნიშვნელოვნად გააძლიერა ის აზრი, რომ ზემოდან -ქვემოთ, ცენტრალურად დაგეგმილი პოლიტიკა უკვე ვეღარ უზრუნველყოფს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მიზნების მიღწევას. შესაბამისად, მას აეგ-ის მიდგომისგან განსხვავებით, მნიშვნელოვანი შეზღუდვები აქვს. კერძოდ:

- ზემოდან-ქვემოთ, ცენტრალურად დაგეგმილი პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს კეთილდღეობის სწორად განაწილებას და საზოგადოების სოციალურად მოწყვლად ფენებამდე მიტანას;
- ტერიტორიაზე კრიზისის დროს ან პოსტკრიზისულ სიტუაციაში ვერ ხორციელდება სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება და პრობლემების მოგვარების მიზნით პოლიტიკის დროულად იმპლემენტაცია, რაც რიგ შემთხვევაში უკვე არსებული პრობლემების კიდევ უფრო გაზრდასაც იწვევს;
- პრიორიტეტი მხლოდ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე კეთდება და სათანადო ყურადღება არ ექცევა ადგილის, ტერიტორიის საჭიროებებს, თავისებურებებს, შედარებით და აბსოლუტურ უპირატესობებს;
- ძალისხმევა უფრო მეტად ფიზიკური ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე არის მიმართული და სათანადოდ არ ვითარდება „სოფთ“ ინფრასტრუქტურა, რაც გულისხმობს ინსტიტუციური, ბიზნესს და კომერციული სერვისების განვითარებას;
- გადაჭარბებულად არის შეფასებული ტრადიციული ეკონომიკური სექტორების და დიდი ფირმების არსებობის მნიშვნელობა, მაშინ როდესაც მცირე და საშუალო მეწარმეობის წახალისების პირობებში უფრო მეტად არის შესაძლებელი მდგრადი განვითარება;
- სოციალური ინტერაქტიულობის და ჩართულობის ნაკლებობა;
- დაბალი შემოსავლები, კვალიფიკაციური კადრების გადინება;
- ადგილზე ინვესტიციების ნაკლებობა;

მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს შორის ურთიერთობების ნაკლებობა;

თანამშრომლობისა და კოორდინაციის ნაკლებობა.

განვითარების ტრადიციული მიდგომისგან განსხვავებით აეგ-ის მიდგომა უზრუნველყოფს ისეთი პლატფორმის არსებობას, რომელიც გულისხმობს ადგილზე განვითარების ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ინსტიტუციური ასპექტების ინტეგრირებას. აეგ არის მონაწილეობაზე დაფუძნებული განვითარების პროცესი, სადაც წახალისებულია პარტნიორობა მთავარ მოქმედ პირებს შორის.

აეგ-ის მიდგომა ხელს უწყობს ეკონომიკურ აქტორებს შორის ურთიერთობების განვითარებას, რადგან ის დაფუძნებულია მონაწილეობაზე და ქმნის ფორმატს, სადაც ადგილობრივ ხელისუფლებას, კერძო სექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვა კერძო დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ კოლექტიურად იმუშაონ ადგილობრივი სოციალური და ეკონომიკური გარემოს განვითარებისთვის, რის შედეგადაც პროცესის მონაწილეებს შორის ვითარდება ნდობა, ხდება მონაცემთა ბაზების განვითარება და ინფორმაციის გაცვლა, ახალი ინიციატივების და რეფორმების ხელშეწყობა, ადამიანებისა და რესურსების დაკავშირება.

აეგ-ის პროცესების მართვასა და პრომოუშენში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელსაც აქვს შესაბამისი ინსტრუმენტები, რათა სწორად მართოს ეკონომიკური განვითარების პროცესები, რაც გულისხმობს ადგილობრივი ეკონომიკური გარემოს შესწავლას, ტერიტორიის აბსოლუტური და შედარებითი უპირატესობების იდენტიფიცირების ხელშეწყობას, მონაცემთა ბაზების განვითარებას, ეკონომიკურ აქტორებზე დაკვირვების შედეგად მათი საჭიროებების და პრობლემების კვლევასა და აქტივობების სწორად კოორდინაციას, აგრეთვე აეგ-ის სტრატეგიის შექმნასა და მის იმპლემენტაციას.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს და საჯარო სექტორის სხვა აქტორებს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებათ ადგილზე სამართლიანი ბიზნეს გარემოს პირობების შექმნაში, დამკვიდრებაში, განვითარებასა და შენარჩუნებაში, რათა ადგილზე არსებულმა ფირმებმა წარმატებით გაუწიონ კონკურენცია სხვა ტერიტორიებზე/რეგიონებში არსებულ ფირმებს. ზოგადად ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკაში ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა კერძო ბიზნესია. ის ქმნის სიმდიდრეს და სამუშაო ადგილებს, რომელიც ვერ განვითარდება და ვერ იქნება წარმატებული ხელსაყრელი ბიზნეს გარემოსა და პირობების გარეშე, რასაც ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ადგილობრივ ეკონომიკებზე ფოკუსირების შედეგად ქვეყანაში შესაძლებელია მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებების მოხდენა, რასაც შედეგად მოჰყვება მდგრადი ზრდა, სიღარიბის შემცირება და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება.

აეგ-ის მიდგომის მიხედვით მდგრადი განვითარება შესაძლებელია მიღწეული იქნეს თუ განვითარების ინიციატივებში გათვალისწინებული იქნება ისეთი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები, როგორიცაა: სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა, ადგილზე არსებული სოციალური ინსტიტუციების ინტერესების და რესურსების გათვალისწინება, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობა, სოციალური დიალოგისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა, ინსტიტუციონალიზაციის პროცესების ხელშეწყობა, კერძო-საჯარო პარტნიორობის განვითარება, სოციალური ინკლუზიურობის უზრუნველყოფა, სიღარიბის შემცირება, ინოვაციების სისტემების დანერგვა, მოსახლეობასთან, დაინტერესებულ პირებთან და იმ აქტო-

რებთან (სტეიქჰოლდერებთან) ურთიერთობების გაღრმავება, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ აეგ-ის პროცესებზე.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება მიღწეულად ითვლება მაშინ, როდესაც ეკონომიკური აქტივობების ზრდა არის მდგრადი და კეთილდღეობა სამართლიანად არის გადანაწილებული საზოგადოების ფენებზე და ადგილობრივ მოსახლეობაზე; ხორციელდება ადგილობრივი რესურსების სწორად, მდგრადად და ეფექტიანად გამოიყენება; შენარჩუნებულია ეკოლოგიური გარემო და დაცულია ეკონომიკური აგენტების უფლებები.

აეგ-ის პროცესების ხელშეწყობას, წახალისებასა და პოპულარიზაციას შეუძლია უნივერსიტეტების, სასწავლო და კვლევითი დაწესებულებების და სხვა განვითარების პარტნიორების თანამშრომლობის გაღრმავება ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებთან, რის შედეგადაც მიიღწევა ადამიანური რესურსების განვითარება და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეკონომიკური აქტივობა უფრო და უფრო მეტად ხდება ცოდნაზე დაფუძნებული, ამიტომაც უნივერსიტეტებს და სასწავლო დაწესებულებებს მნიშვნელოვნად შეუძლიათ აეგ-ის პროცესების მხარდაჭერა ადგილობრივი ინდუსტრიული ინოვაციების განვითარების მიმართულებით. მათ აქვთ შესაძლებლობა მოიზიდონ ცოდნა, იდეები, ახალი ადამიანური და ფინანსური რესურსები, მოახდინონ ტექნოლოგიების ტრანსფერი, აწარმოონ კვლევები ტერიტორიის მდგომარეობისა და პოტენციალის შესახებ და აგრეთვე მსოფლიოში აეგ-ის მაგალითების შესწავლის საფუძველზე უზრუნველყონ ამ გამოცდილების ადგილობრივ მდგომარეობასთან და საჭიროებებთან შესაბამისობა და ინტეგრირება.

აეგ-ის პროცესებში მნიშვნელოვანია განხორციელდეს ადგილობრივი ეკონომიკური ციკლის განვითარება, რაც გულისხმობს ტერიტორიაზე ფულის ნაკადებზე დაკვირვებას, რათა ფულის ცირკულირება მინიმუმ სამჯერ მაინც მოხდეს იმ ტერიტორიაზე, სანამ ის გარეთ გადაინაცვლებს.

აეგ-ის ხელშეწყობის პროცესები დადებითად აისახება ადგილზე ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებაზე, კლასტერების განვითარებაზე და ისეთი ეკონომიკის განვითარებაზე, რომელიც გულისხმობს რესურსდამზოგველი მეწარმეობის განვითარებას, რეციკლირებას და ნარჩენების მინიმიზაციას.

საქართველოში სხვადასხვა წლებში შემუშავებულია ქალაქ თბილისის, აჭარის რეგიონის (ბათუმის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს), გორის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, თელავის, ბაღდათის, წყალტუბოს, სამტრედიის, ჩოხატაურის, მარტვილის, დმანისის და სხვ. მუნიციპილიტეტების აეგ-ის გეგმები.

ქალაქ თბილისის აეგ-ის გეგმით გათვალისწინებული პროექტების განხორციელებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო-კერძო თანამშრომლობის წახალისება და ღამის ეკონომიკის კონცეფციის ხორცშესხმა, რომელიც უზრუნველყოფს ცალკეული უბნებისთვის ახალი ფუნქციების მინიჭებას, მიტოვებული სივრცეების ათვისებას, ინვესტორების მოზიდვასა და თბილისის ტურისტული პოტენციალის გაუმჯობესებას. მთავარი მიზანია თბილისის მოქალაქეებს მიეცეს დამატებითი შესაძლებლობები, ხელი შეუწყონ მდგრადი ეკონომიკური გარემოს შექმნას, უმუშევრობის დონის შემცირებას, რის მთავარ წინაპირობას სწორედ ადგილობრივი ეკონომიკის გაჯანსაღება წარმოადგენს.

აჭარის აეგ-ის გეგმის შემუშავება განხორციელდა ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოების, არასამთავრობო სექტორისა და ბიზნესის წარმომადგენლების პირდაპირი მონაწილეობით. გეგმაში ასახულია საზოგადოების პრობლემები და საჭიროებები, ჩამოყალიბებულია ადგილობრივი საზოგადოების საერთო ხედვა, განსაზღვრულია კონკრეტული მიზნები და ამოცანები რეგიონში არსებული პრიორიტეტების შესაბამისად, მითითებულია დაფინანსების წყაროები თითოეული კონკრეტული საქმიანობისთვის.

გორის მუნიციპალიტეტის აეგ-ის გეგმა ორიენტირებულია მხოლოდ ეკონომიკის სექტორზე და წარმოადგენს მოკლე, ლაკონურ დოკუმენტს, სადაც ნათლადაა გაწერილი თითოეული ასპექტი და მოიცავს ორ წლიან სამოქმედო გეგმას. გეგმის შემუშავების პროცესში განხორციელდა მუნიციპალიტეტის განვითარების პოტენციალის სიღრმისეული კვლევა, რომელმაც გამოავლინა განვითარების ყველაზე დიდი შესაძლებლობის მქონე ორი სექტორი: ტურიზმი და სოფლის მეურნეობა.

ამგვარად, აეგ-ის სტრატეგია მნიშვნელოვნად ეხმარება თვითმმართველ ერთეულს ტერიტორიული უპირატესობების, ერთგვარი ნიშის და იდენტობის გამოვლენაში და განვითარებაში. აგრეთვე, აეგ ხელს უწყობს დეცენტრალიზაციისკენ მიმართულ პოლიტიკას და პირიქით, დეცენტრალიზაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს აეგ-ის პროცესების ხელშეწყობაში.

ზემოთ აღნიშნული არგუმენტების ანალიზზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თანამედროვე გლობალური გამოწვევების საპასუხოდ სხვა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, განვითარების პოლიტიკის გატარებისას, საქართველომაც უნდა მიმართოს აეგ-ის მიდგომას, განახორციელოს სწორი სტრატეგიული დაგეგმარება, შეიმუშაოს აეგ-ის პრო-

ცესების წახალისებისა და მართვის შესაბამისი დიზაინი და მოახდინოს სათანადო ღონისძიებების იმპლემენტაცია, რაც საბოლოოდ, საქართველოს მუნიციპალიტეტების, რეგიონების და მთლიანად ქვეყნის მდგარდი და ინკლუზიური ზრდის საწინდარი იქნება.

ლიტერატურა

1. Local Economic Development in Post-Crises Situations (Operational Guide) , International Labour Organization (ILO), *https://www.ilo.org/empent/Publications/WCMS_112267/lang--en/index.htm*
2. Local Economic Development and its Potential, Dr. Karl Birkhölzer, Interdisciplinary Research Group Local Economy at the Technical University of Berlin, 2005, *http://base.socioeco.org/docs/local_economic_development_and_its_potential.pdf*
3. The Hexagon of Local Economic Development, Dr Jörg Meyer-Stamer, 2005, *https://www.mesopartner.com/fileadmin/media_center/Working_papers/mp-wp03_01.pdf*
4. The Role of Local Economic Development Agencies (LEDAs) in Supporting Local Innovation, By Ornet James Nene, March 2015, *http://wiredspace.wits.ac.za/jspui/bitstream/10539/20936/1/THE%20ROLE%20OF%20LOCAL%20ECONOMIC%20DEVELOPMENT%20AGENCIES%20IN%20SUPPORTING%20LOCAL%20INNOVATION%20-%20FINAL%20DOC%20-%202015.pdf*
5. Universities, Innovation and the Competitiveness of Local Economics, Richard K. Lester, Industrial Performance Center Massachusetts Institute of Technology, 13 December 2005 *https://www.files.ethz.ch/isn/28509/LIS05-005.pdf*
6. http://www.tbilisi.gov.ge/img/original/2019/2/6/ADGILOBRIVI_EKONOMIKURI_GANVITAREBIS_GEGMA.pdf
7. http://aplr.org/?lang=geo&id=53&pid=368
8. http://gori.gov.ge/evrokavshiri-saqartvelostvis/571-goris-municipalitetis-adgilobrivi--ekonomikuri-ganvitarebis-gegma.html

THE IMPORTANCE OF LOCAL ECONOMIC DEVELOPMENT (LED)

Uglava Kristine
PhD student at TSU

Summary

In response to the contemporary challenges of globalization, governments, self-governments and other actors in the implementation process of development policy are increasingly adopting Local Economic Development (LED) as an alternative approach which is different from traditional economic development. LED provides a comprehensive platform that integrates the economic, social, political and institutional aspects at the local level. LED is a participatory-based development process where partnerships between key stakeholders are encouraged. The LED approach ensures growth and sustainability of economic activities, inclusiveness, proper, sustainable and effective utilization of local resources, environmental protection and value chain development.

Key words: *Local Economic Development, Local economic growth, Sustainable development, Inclusive growth.*

სოციალური მედია მარკეტინგის გავლენა ტურიზმის ინდუსტრიაში მომხმარებელთა კმაყოფილებაზე

ურუტაძე ეკატერინე
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ-ის ასისტენტ პროფესორი

ნაშრომში ნაჩვენებია სოციალური ქსელების როლი ტურისტულ ბიზნესში. ხაზგასმულია საქართველოს ტურისტულ ინდუსტრიაში კომპანიებისათვის სწორი მედია მარკეტინგული პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების მნიშვნელობა. ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლენილია სოციალურ მედიაში ტურისტებული კომპანიების აქტივობებით მომხმარებელთა კმაყოფილების დონეები. დისპერსიული ანალიზის გამოყენებით მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც გამოხატავს ტურისტული კომპანიების მიერ სოციალურ მედიაში განხორციელებული აქტივობების მიმართ ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულებას. სტატიაში მოცემულია აგრეთვე სოციალურ მედიაში ტურისტული კომპანიების მიერ განხორციელებული კამპანიებით მომხმარებელთა კმაყოფილების გავლენა მათ მყიდველობით ქცევაზე.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური მედია მარკეტინგი, საქართველოს ტურიზმის ბაზარი, მომხმარებელთა კმაყოფილება, მარკეტინგული კვლევა.*

პრობლემის აქტუალობა და შესწავლის დონე. თანამედროვე კომპანიები თავიანთ საქმიანობაში აქტიურად მისდევენ სოციალური ქსელების გამოყენებას. ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დღეისათვის მომხმარებლები სულ უფრო მეტ დროს ხარჯავენ სოციალურ ქსელებში, საიდანაც ღებულობენ მათთვის საინტერესო და მრავალფეროვან ინფორმაციებს [1]. შესაბამისად, ბიზნეს კომპანიებისათვის სოციალური ქსელები გადაიქცა მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, რომელიც უზრუნველყოფს მიზნობრივი მომხმარებლების მოზიდვას და მათთან ხანგრძლივვადიანი ურთიერთობების დამყარებას [2]. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მედიის მარკეტინგული პოტენციალი ფართოდაა შესწავლილი [1, 3]. სოციალურ ქსელებთან დაკავშირებული საკითხები გამოკვლეულია ტურიზმის მარკეტინგის კონტექსტში, რომელშიც აქცენტი გაკეთებულია როგორც ორგანიზაციებზე, ასევე მომოხმარებლებზე. ამასთან, ცხადია, რომ სოციალური მედია მარკეტინგის ძირითადი სუბიექტი არის მომხმარებელი. ამიტომ სოციალური მედიის წარმატებული კომუნიკაციური სტრატეგიის შემუშავებაში მკვლევარები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მომხმარებელთა მოსმენას, გათვითცნობიერებას, დაინტერესებას და მათთან ურთიერთობას [4].

სოციალური ქსელებით საკმაოდ წარმატებით სარგებლობენ ტურისტული კომპანიები [3, 5]. კომუნიკაციების სფეროში მიმდინარე ინოვაციური ცვლილებები ხელს უწყობს ტურიზმის ბიზნესში ინფორმაციის სწრაფად დაყვანას მიზნობრივ აუდიტორიამდე [6]. თავის მხრივ, ტურისტული კომპანიების საქმიანობაში სოციალური ქსელების გონივრული გამოყენება მოითხოვს შესაბამის მარკეტინგულ მიდგომებს, რომლებიც განაპირობებს მომხმარებელთა მაქსიმალურ მოცვას [3]. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ქსელების ვებ გვერდები გადაიქცა ტურისტული კომპანიებისათვის ინფორმაციის მოძიების უმთავრეს წყაროდ [7]. დღეისათვის ტურისტები, ჩვეულებრივ, ენდობიან ონლაინ მიმოხილვებს, ხოლო მოგზაურობის დაწყებამდე ეცნობიან ტურიზმთან დაკავშირებულ ონლაინ ფორუმებს და სპეციალიზებულ ბლოგებს [5]. შესაბამისად, არსებობს მჭიდრო კავშირი ტურისტების სოციალური ქსელის საიტებში ჩართულობასა და მათი ქცევის ცვლილებას შორის [8]. ტურისტულ კომპანიებს სჭირდებათ შემოქმედებითი და დამაჯერებელი მარკეტინგულისტრატეგიები სოციალურ ქსელებში, რათა ადვილად მიიზიდონ პოტენციური მყიდველები [9]. სოციალური ქსელები ხელს უწყობს ტურისტულ კომპანიებს, დაუკავშირდნენ მომხმარებლებს შედარებით იაფად და ეფექტიანად, ვიდრე ეს შესაძლებელია ტრადიციული მარკეტინგული კომუნიკაციების მეშვეობით [10]. სოციალური ქსელები, როგორც სტიმულირების ისტრუმენტი, სულ უფრო ხშირად გამოიყენება ტურისტული კომპანიების მიერ ინტერაქტიული მარკეტინგული ამოცანების გადასაჭრელად. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებში საკმაოდ იზრდება იმ ტურისტების რაოდენობა, რომლებიც მუდმივად იყენებენ სოციალურ ქსელებს, რაც ტურისტული კომპანიების წინაშე ახალ გამოწვევებს წარმოქმნის [11, 12, 13].

სოციალური მედია მარკეტინგული სტრატეგიების რეალიზაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში. უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმი საქართველოში სწრაფადმზარდი დარგია, რომელიც გადამწყვეტი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

უკანასკნელ ხანებში საქართველოში ტურისტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. საქართველომ მიაღწია ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ზრდის ტემპებს მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიაში. კერძოდ, 2018 წელს საქართველოს ესტუმრა 8,7 მლნ-ზე მეტი საერთაშორისო მოგზაური, რაც 9,8%-ით მეტია წინა წელთან შედარებით [14]. აქედან გამომდინარე, ტურიზმი გახდა საქართველოს ეკონომიკის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სექტორი. 2018 წელს საქართველოს სერვისის ექსპორტის შემოსავლებიდან დაახლოებით 71,8% ტურიზმზე მოდიოდა. ამავე წელს ტურიზმმა შეადგინა საქართველოს მთლიანი ეროვნული პროდუქტის 7,6% [15]. მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის შესახებ ანგარიშის თანახმად, რომელსაც აქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2018 წელს საქართველო მაქსიმალური 7 ქულიდან შეფასდა 3,9 ქულით. ამასთან, წინა წელთან შედარებით ზრდამ შეადგინა 0,7%. შესაბამისად, საქართველომ 140 ქვეყანას შორის 68-ე ადგილი დაიკავა [16]. ზემოაღნიშნული დადებითი ძვრების მიუხედავად, საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი არასაკმარისია. ამიტომ საქართველოს მთავრობა ცდილობს, ხელი შეუწყოს ტურიზმის მდგრად განვითარებას, რაც ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020“ [17]. საქართველოს მთავრობამ 2016 წელს შეიმუშავა „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, რომლის მიზანია ქვეყანაში არსებული მდიდარი ბუნებრივი და კულტურული რესურსების გადაქცევა მსოფლიო დონის ტურისტულ პროდუქტად [18]. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ არსებობს უამრავი ფაქტორი, რომლებიც ხელს უშლის საქართველოში ტურიზმის ბიზნესის განვითარებას. **განსაკუთრებით** აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული ტურისტული კომპანიების უმეტესობა სოციალური მედია მარკეტინგის არასწორ პოლიტიკას ახორციელებს, რაც მათ განვითარებას აბრკოლებს. ყოველივე ამის მიზეზია ის, რომ საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში მომხმარებელთა ქცევის შესწავლა დაბალ დონეზეა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში საქართველოში მომხმარებელთა ქცევის მიმართულებით შესრულებულია გარკვეული სამუშაოები [19-31], დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი საქართველოს ტურისტულ ბაზარზე სოციალური მედია მარკეტინგის ზემოქმედებით მომხმარებელთა ქცევის ცვლილების საკითხები, რაც სათანადო მეცნიერულ დამუშავებას მოითხოვს. ამიტომ წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში მომხმარებელთა კმაყოფილებაზე სოციალური მედია მარკეტინგის გავლენის დადგენა, რისთვისაც ჩატარებულია მარკეტინგული კვლევა. ლიტერატურული მასალების ანალიზის საფუძველზე შეიძლება შევიმუშავოთ კვლევის კონცეპტუალური მოდელი, რომელიც საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში მომხმარებელთა კმაყოფილებაზე სოციალური მედია მარკეტინგის გავლენას ასახავს (იხ. ნახ. 1).

ნახატი 1

კვლევის კონცეპტუალური მოდელი



კონცეპტუალური მოდელისა და ზემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ჰიპოთეზები:

H1: სოციალურ მედიაში ტურისტული კომპანიების მიერ სასარგებლო კამპანიების განხორციელება დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა კმაყოფილებაზე;

H2: სოციალურ მედიაში ტურისტული კომპანიების მიერ რელევანტური კამპანიების

განხორციელება დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა კმაყოფილებაზე;

H3 სოციალურ მედიაში ტურისტული კომპანიების მიერ განხორციელებული სანდო კამპანიები დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა კმაყოფილებაზე;

H4 ტურისტული კომპანიების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგის მიმართ კმაყოფილება დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა მყიდველობით ქცევაზე.

კვლევის მეთოდოლოგია. პირველადი მონაცემების შესაგროვებლად კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ ანკეტა, რომელიც რამდენიმე სტრუქტურირებული კითხვისგან შედგებოდა. ვინაიდან კვლევა არ ითვალისწინებდა რომელიმე კონკრეტული ტურისტული კომპანიის შესწავლას, ანკეტა ზოგადი ხასიათის კითხვებით დაკომპლექტდა, რაც არსებული საერთო სიტუაციის აღწერის საშუალებას იძლეოდა. კვლევა ეფუძნება გამოკითხვის მეთოდს [32], რომელიც ჩატარდა როგორც პირდაპირი ინტერვიუს, ასევე ინტერნეტის მეშვეობით. გამოკითხვის არეს წარმოადგენდა ქალაქი თბილისი, სადაც რესპონდენტები საალბათო პრინციპით შეირჩა. კვლევაში მოვახდინეთ მოსახლეობის დაჯგუფება და შერჩევის ფორმირება ისეთნაირად, რომ იგი რეპრეზენტაციული ყოფილიყო. 95%-იანი სანდო ალბათობისა და 4%-იანი ცდომილების გათვალისწინებით, შერჩევის მოცულობამ ჩვენ მიერ ჩატარებულ მარკეტინგულ კვლევაში შეადგინა 650 რესპონდენტი, რომლებიც ტურისტული მომსახურების აქტიური მომხმარებლები არიან. ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედი ფაქტორების შესაფასებლად რესპონდენტებმა გამოიყენეს ლიკერტის ხუთბალიანი სკალა (1-დან 5-მდე, მნიშვნელობების ზრდადობის მიხედვით). მიღებული მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამით. კვლევის უტყუარობისა და სანდოობისათვის გამოვთვალეთ კრონბახის ალფა, რომლის საშუალო მნიშვნელობა აღმოჩნდა 0,84, რაც ამტკიცებს იმას, რომ შედეგები მისაღებია.

კვლევის შედეგები. გამოკითხულთა 61%-ს შეადგენდნენ მამაკაცები, ხოლო 39%-ს -ქალები. რესპონდენტთა უმეტესობას წარმოადგენდა ახალგაზრდა ასაკის, უმაღლესი განათლების, დასაქმებული ადამიანები, რომლებიც, ძირითადად, კერძო სექტორში მუშაობენ. კვლევა აჩვენებს, რომ გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა (67%) თავისი მოგზაურობის დაგეგმვისას მიმართავს ტურისტულ კომპანიებს. ამიტომ საინტერესოა, ასეთი კომპანიების მიმართ მათი დამოკიდებულება. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების უმეტესობა (51,2%) ტურისტული მომსახურების ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ძირითადად ეყრდნობა სოციალურ ქსელებში განთავსებულ ინფორმაციას, 24,5% - მეგობრების და ახლობლების რჩევებს, 16,8% - კომპანიის კლიენტების გამოხმაურებებს და მხოლოდ 7,5% - საკუთარ გამოცდილებას. რაც შეეხება ტურისტული კომპანიების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რესპონდენტების 44%-სათვის ასეთი ინფორმაცია სრულიად მისაწვდომია, 30%-სათვის - უმეტესად მისაწვდომი, 18% - სათვის - მეტ-ნაკლებად მისაწვდომი, 5%-სათვის - უმეტესად არაა მისაწვდომი, ხოლო 3% - სათვის საერთოდ მისაწვდომი არაა. ტურისტული კომპანიების არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას რესპონდენტთა 37,7% ძირითად კრიტერიუმად ასახელებს კომპანიის იმიჯს (რეპუტაციას), 31,5% - მომსახურების ფასს, 18,2% - კომპანიის შესახებ რეკომენდაციებს, 6,9% - მომსახურების მრავალფეროვნებას და 5,7% - პერსონალურ გამოცდილებას.

ცხადია, ქართული ტურისტული კომპანიები თავიანთი საქმიანობის პოპულარიზაციისათვის უამრავ მარკეტინგულ ხერხს მიმართავენ, მაგრამ, როგორც კვლევა გვიჩვენებს, რესპონდენტების 93% ქართული ტურისტული კომპანიების მიერ განხორციელებული მარკეტინგული ღონისძიებებიდან ასახელებს მათ აქტივობას სოციალურ ქსელებში. მხოლოდ 7% ასახელებს დანარჩენ აქტივობებს (რეკლამა, სპონსორობა, ვებ-გვერდების გააქტიურება და სხვა). ამასთან, გამოკითხულთა უმეტესობა (73,4%) ასეთ აქტივობებს აფასებს საშუალო დონეზე, 16,8% - მაღალ დონეზე და 9,8% დაბალ დონეზე. ტურისტული კომპანიების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ტიპებიდან რესპონდენტთა 57,3% იყენებს სრულ პაკეტს, 31,4% - განთავსების საშუალებების დაჯავშნას, 7,8% - ექსკურსიებს და 3,5% - სატრანსპორტო მომსახურებას.

ტურისტული კომპანიების შეფასებაში საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მათი მომსახურებით სარგებლობის სიმარტივე. ამიტომ რესპონდენტებს ვთხოვეთ, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში თავიანთი მოსაზრებები დაეფიქსირებინათ. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტების უმეტესობა (58,3%) ასეთ მომსახურებას მიიჩნევს საშუალოდ, 18,4%- ძალიან მარტივად, 15,9%- მარტივად, 4,6% - რთულად და 2,8% - ძალიან რთულად. ცხადია, ყოველივე ეს მოქმედებს ტურის-

ტული კომპანიების მიერ გაწეული მომსახურებით ტურისტების კმაყოფილების დონეზე.

კვლევამ გამოავლინა სოციალურ მედიაში ტურისტული კომპანიების მიერ განხორციელებული სასარგებლო, რელევანტური და სანდო კამპანიების მიმართ ქართველი მომხმარებლების შეფასების დონეები (იხ. ნახ. 2). აღმოჩნდა, რომ ასეთ აქტივობებს ქართველი მომხმარებლები, უმეტესწილად, საშუალო დონეზე აფასებენ.

ნახაზი 2

ტურისტული კომპანიების მიერ სოციალურ მედიაში განხორციელებული სასარგებლო, რელევანტური და სანდო აქტივობების სამომხმარებლო შეფასების სიხშირეები



კვლევიდან გამომდინარე, ქართული ტურისტული კომპანიების მომსახურებით ძალიან კმაყოფილია რესპონდენტების 12,1%, კმაყოფილია 34,1%, მეტ-ნაკლებად კმაყოფილია 42,3%, უკმაყოფილოა 9,4% და ძალიან უკმაყოფილოა 2,1%. ბუნებრივია, ტურისტების კმაყოფილების დონე მათ ლოიალურობაშიც აისახება. ამიტომ უკვე ნაცნობი ტურისტული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებით სარგებლობას კვლავ აპირებს გამოკითხულთა 61,4%. რესპონდენტების 15,3% მომავალში ასეთი კომპანიის მომსახურებაზე უარს აცხადებს, ხოლო 23,3%-ს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი შეხედულება საბოლოოდ არ აქვს ჩამოყალიბებული და, შესაბამისად, პასუხის გაცემაც უჭირს. უკმაყოფილობის ძირითად მიზეზებად რესპონდენტებმა დაასახელეს მიწოდებული ინფორმაციის არასიზუსტე, არასათანადო მომსახურება, სასტუმროების გადატვირთვა, არაკომფორტული მგზავრობა, გიდების დაბალი კვალიფიკაცია და სხვა, რომლებიც, მათი აზრით, ტურისტული კომპანიების რეპუტაციაზე გავლენას ახდენს. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოს ტურისტულ ბაზარზე კომპანიებს შორის არსებობს ძლიერი კონკურენცია, რაც მომხმარებლებს მეტი არჩევანის საშუალებას აძლევს და მათ ლოიალურობაზეც მოქმედებს.

ზემოთ ჩამოყალიბებული H1 – H3 ჰიპოთეზების დასამტკიცებლად გამოვიყენეთ One Way ANOVA F-Test. ამისათვის დავადგინეთ, თუ როგორ მოქმედებს სოციალურ მედიაში ტურისტული კომპანიების მიერ განხორციელებული სასარგებლო, რელევანტური და სანდო კამპანიები მომხმარებელთა კმაყოფილებაზე. აღმოჩნდა, რომ სოციალურ მედიაში ტურისტული კომპანიების მიერ განხორციელებული სასარგებლო, რელევანტური და სანდო კამპანიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომხმარებელთა კმაყოფილებაზე (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

ქართველი მომხმარებლების კმაყოფილებაზე სოციალურ მედიაში ტურისტული კომპანიების მიერ განხორციელებული სასარგებლო, რელევანტური და სანდო კამპანიების გავლენის დისპერსიული ანალიზი

დამოკიდებული ცვლადი: მომხმარებელთა კმაყოფილება					
	კვადრატების ჯამი	df	საშუალო კვადრატი	F	p
კამპანიების სარგებლიანობა	23.451	5	4.179	6.284	.001
კამპანიების რელევანტურობა	18.789	4	3.473	5.684	.001
კამპანიების სანდოობა	13.294	4	2.415	2.873	.001
ცდომილება	987.977	769	1.234		

დისპერსიულმა ანალიზმა ასევე გვიჩვენა, რომ სოციალურ მედიაში ტურისტული კომპანიების მიერ განხორციელებული კამპანიებით კმაყოფილება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მომხმარებლების მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

ქართველი მომხმარებლების კმაყოფილებაზე სოციალურ მედიაში ტურისტული კომპანიების მიერ განხორციელებული სასარგებლო, რელევანტური და სანდო კამპანიების გავლენის დისპერსიული ანალიზი

დამოკიდებული ცვლადი: ყიდვის შესახებ გადაწყვეტილება					
	კვადრატების ჯამი	df	საშუალო კვადრატი	F	p
სოციალური მედია მარკეტინგის მიმართ კმაყოფილება	33.761	5	7.1819	7.294	.001
ცდომილება	977.923	649	1.247		

როგორც ჩატარებული ანალიზიდან ჩანს, ზემოთ განხილულ ოთხივე შმთხვევაში სტატისტიკური მნიშვნელოვანების დონე P არ აღემატება 0.005-ს. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული ყველა ჰიპოთეზა დამტკიცდა.

დასკვნები. ჩატარებული მარკეტინგული კვლევის შედეგად შესაძლებელია, გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ქართველი მომხმარებლები მგძნობიარენი არიან ტურისტული კომპანიების მიერ სოციალურ ქსელებში განხორციელებული მედია აქტივობების მიმართ. ამასთან, ასეთ აქტივობებს ისინი, ძირითადად, საშუალო დონეზე აფასებენ.
- ტურისტული კომპანიების შესახებ ინფორმაციას ქართველი მომხმარებლები, ძირითადად, სოციალური ქსელებიდან ღებულობენ, რაც მათთვის, უმეტესწილად, ხელმისაწვდომია.
- კვლევის შედეგების გაანალიზების საფუძველზე მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავს ტურისტული კომპანიების მიერ სოციალურ მედიაში განხორციელებული აქტივობების გავლენას მომხმარებელთა მყიდველობით ქცევაზე.

ამრიგად, საქართველოს ტურისტულ ბაზარზე მიმდინარე კომუნიკაციური და ტექნოლოგიური პროცესების გავლენის შედეგად მომხმარებელთა ქცევა ცვლილებებს განიცდის. ვფიქრობთ, მათი გათვალისწინება სასარგებლო იქნება ტურისტული კომპანიებისათვის, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ შესაბამისი მარკეტინგული ინსტრუმენტები, რათა მომხმარებელთა ინტერესები შეიცნონ და მათი კეთილგანწყობა მოიპოვონ.

მადლობა. ავტორი მადლობას უხდის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარკეტინგული კვლევის ცენტრს ჩატარებულ კვლევაში გაწეული მხარდაჭერისთვის.

ლიტერატურა

1. Khan, M. F., and Jan, A. (2015). Social Media and Social Media Marketing: A Literature Review. IOSR Journal of Business and Management, Vol. 17, No. 11, pp. 12-15.
2. Safko, Lon. (2010). The social media bible: Tactics, tools, and strategies for business success. John Wiley & Sons.
3. Zeng, B., and R. Geristen. (2014). What do We know about Social media in Tourism. Tourism Management Perspectives. Vol. 10, pp. 27-36.
4. Sweeney, S., and Craig, R. (2011). Social Media for Business: 101 Ways to Grow Your Business Without Wasting Your Time. Maximum Press, Toronto.
5. Evangelos, Chr. (2012). Social Media in Travel, Tourism and Hospitality: Theory, Practice and Cases. Routledge, Abingdon.
6. Zarella, D. (2013). The Science of Marketing: When to Tweet, What to Post, How to Blog, and Other Proven Strategies. Hoboken: John Wiley & Songs Inc.
7. Jalilvand, M., Samiei, N., Dini, B., and Manzari, P. (2012). Examining the structural relationships of electronic word of mouth, destination image, tourist attitude toward destination and travel intention; An integrated approach. Journal of Destination Marketing and Management, Vol. 1, pp. 134–143.
8. Minazzi, R. (2015). Social Media Marketing in Tourism and Hospitality. Springer International Publishing, New York.
9. Hays, S., Page, S.J., and Buhalis, D. (2013). Social media as a destination marketing tool: its use by national tourism organizations", Current Issues in Tourism, Vol. 16, No. 3, pp. 211-239
10. Kaplan, A. M., and Haenlein, M. (2010). Users of the world, unite! The challenges and opportunities of Social Media. Business Horizons, Vol. 53, pp. 59-68.
11. Schmalleger, D., and Carson, D. (2008). Blogs in tourism: Changing approaches to information exchange. Journal of Vacation Marketing, Vol. 14, No. 2, pp. 99-110.
12. Heinonen, K. (2011). Consumer activity in social media: Managerial approaches to consumers' social media behavior. Journal of Consumer Behavior, Vol. 10, No. 6, pp. 356-364.
13. Carr, C. T., and Hayes, R. A. (2015). Social media: Defining, developing, and divining. Atlantic Journal of Communication, Vol. 23, No.1, pp. 46-65.
14. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2018. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თბილისი, 2019. https://gnta.ge/ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/ (წვდომა 25 სექტემბერი, 2019 წ).
15. ტურიზმის სტატისტიკა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2019. *https://www.geostat.ge/ka/modules/categories/100/turizmis-statistika* (წვდომა 25 სექტემბერი, 2019 წ).
16. World Economic Forum. (2019). The Travel and Tourism Competitiveness Report. Available from: *http://www3.weforum.org/docs/WEF_TTCR_2019.pdf* (წვდომა 25 სექტემბერი, 2019 წ).
17. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020". საქართველოს მთავრობა, თბილისი, 2014 *http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf* (წვდომა 25 სექტემბერი, 2019 წ).
18. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თბილისი, 2015. *https://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01/* (წვდომა 25 სექტემბერი, 2019 წ).
19. Jashi, C., and Todua, N. (2013). Behavior Changing through of Social marketing (Georgian Case). In Proceedings of third World Social Marketing Conference. Toronto (Canada). pp. 95-97.
20. Todua, N., Babilua, P., and Dochviri, T. (2013). On the Multiple Linear Regression in Marketing Research. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 7, No. 3, pp. 135-139.
21. Todua, N., and Dotchviri, T. (2015). On the Marketing Research of consumer prices and inflation process. British Journal of Marketing Studies. Vol. 3, No. 2, pp. 48-57.
22. Todua, N., and Jashi, Ch. (2015). Some Aspects of Social Media Marketing (Georgian Case). International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic and Management Engineering, Vol. 9, No. 4, pp. 1160-1163.
23. Todua, N., Gogitidze, T., and Phutkaradze, J. (2015). Georgian consumer attitudes towards genetically modified products. International Journal of Management and Economics, Vol. 46, No. 1, pp. 120-136.
24. Todua, N. (2016). Main Aspects of Service Quality in the Hotel Industry of Georgia. In Proceedings of 4th International Conference on Contemporary Marketing Issues, 22-24 June 2016, Heraklion, Greece. pp. 431-435.
25. Todua, N., and Jashi, Ch. (2016). Conceptual and Practical Aspects of Peace Marketing in Tourism (Georgian

Case). In Book: „Peace Marketing“ (chapter XXVII), Publisher „Editura universitara“ (Bucharest), 2016, pp. 346-356.

26. Todua, N., Mghebrishvili, B., and Urotadze, E. (2016). Main aspects of formation of legal environment on the Georgian food market. In Proceedings of International Scientific-Practical Conference „Challenges of Globalization in Economics and Business”. Universal, Tbilisi, pp. 250-256.
27. Mghebrishvili, B., and Urotadze, E. (2016). Functions of Retailing. In Proceedings of 23rd International Academic Conference, Venice, Italy, pp. 356-360.
28. Todua, N. (2017). Influence of Food Labeling Awereness on healthy behavior of Georgian Consumers. Ecoforum Journal, Vol. 6, No. 2.
29. Todua, N. (2017). Social Media Marketing for Promoting Tourism Industry in Georgia. In Proceedings of 22nd International Conference on Corporate and Marketing Communications: Challenges of Marketing Communications in a Globalized World. Zaragoza, Spain, pp. 168-171.
30. Seturi, M., and Urotadze, E. (2017). About Marketing Process Model and Relationship Marketing. In Proceedings of International Workshop „Model-Based Governance for Smart Organizational Future“, Sapienza University of Rome, Italy, pp. 169-171.
31. Todua, N. (2019). Using social media marketing for attracting foreign tourists to Georgian destinations. Globalization and business. Vol. 7, pp. 39-48.
32. Черчилль Г. А., Браун Т. Маркетинговые исследования. Учебник. Пер. с англ. _ СПб.: Издательство ”Питер”, 2007.

THE INFLUENCE OF SOCIAL MEDIA MARKETING ON CONSUMER SATISFACTION IN TOURISM INDUSTRY

Urotadze Ekaterine
Ph.D, Assistant Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

The article shows the role of social networks in the tourism business. There is Emphasized the importance of developing and implementing the right media marketing policy for companies in the Georgian tourism industry. Based on the study, were identified levels of consumers satisfaction with the activities of travel companies in social networks. Analysis of variance gives statistically significant values that reflect the attitude of Georgian consumers to the actions of social media by tourists companies. The article illustrates also the impact of consumer satisfaction about activity on social networks provided by tourist companies on their purchasing behavior.

Key words: *Social media marketing, Georgian tourism market, consumer satisfaction, marketing research*

მეცნიერება, ტექნოლოგიები და ინოვაციები გლობალიზებულ სამყაროში

ფიცხელაური ელენე
თსუ-ის დოქტორანტი

გლობალიზებულ სამყაროში მეცნიერება, ტექნოლოგიები და ინოვაციები ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. სტატიაში ავტორი მიმოიხილავს საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ხედვას. ასევე გაანალიზებულია საქართველოში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშეწყობის ღონისძიებები და მიღწეული შედეგები.

საკვანძო სიტყვები: *მეცნიერება, ტექნოლოგიები და ინოვაციები, ეკონომიკური ზრდა, განვითარებადი ქვეყნები.*

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტში გამოთქმულია ვარაუდი, რომ „მთავრობებს გაუჭირდებათ ცხოვრების დონის ზრდის მდგრადობის შენაჩუნება, რაოდენობრივად მზარდი პოპულაციის შენახვა, მომავალი თაობების ჯანმრთელობის შენარჩუნება და გარემოს დაცვა, თუ ისინი ვერ შეძლებენ საქონლის წარმოების და ბაზარზე გატანის უკეთესი, იაფი და უფრო ჭკვიანური გზების მოძიებას '' (UN, 2012). ამ გამოწვევების ფონზე მეცნიერებას, ტექნოლოგიებს და ინოვაციებს საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება და მათი შესაძლებლობების გაძლიერება გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს. ყოველივე ეს უკავშირდება მეცნიერებისა და ინოვაციების გრძელვადიან ინვესტირებას მეტად ფართო სპექტრით, მათ შორის საბაზო კვლევების, განათლების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გათვალისწინებით (EC, 2018). ჩრდილოეთ კაროლინის სავაჭრო პალატის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების საბჭოს აღმასრულებელი დირექტორის ჯონ ჰარდინის განმარტებით: „ინოვაცია მეცნიერებიდან მოდის, რომელსაც სისტემური ცოდნა აქვს და პრაქტიკაში ტექნოლოგიებში გამოიყენება, სისტემის ასამუშავებლად კი ინოვაციური ეკოსისტემაა საჭირო'' (Hardin, 2017).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2018 წლის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მეცნიერებამ, ტექნოლოგიებმა და ინოვაციებმა მდგრადი განვითარების სამივე განზომილებაზე (ეკონომიკური, სოციალური და გარემო) უნდა იმოქმედოს. ამასთანავე, ხაზგასმულია, რომ 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მიღწევა შეუძლებელი იქნება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მიმართულებით არსებული უთანასწორობის აღმოფხვრისა და სამოქალაქო საზოგადოების საჭიროებებსა და ინოვაციებს შორის კავშირის გაძლიერების გარეშე (UN, 2018; OECD, 2018).

ევროკომისიის კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ 2001 წელს ამოქმედდა პროგრამა „საზოგადოება და მეცნიერება'', რომელშიც ასახული იქნა სტრატეგიები მეცნიერებასა და მოქალაქეებს შორის კავშირის გასაძლიერებლად, ხოლო 2007 წელს კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მეშვიდე ჩარჩო პროგრამის ფარგლებში კონცეფცია "მეცნიერება და საზოგადოება" გადაიზარდა ხედვაში „მეცნიერება საზოგადოებაში'', რაც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საზოგადოების ჩართულობას და მეცნიერებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ორმხრივი დიალოგის გაძლიერებას (European Parliament, 2006).

ანალოგიური ძალისხმევა ხორციელდება ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების პროგრამის „ჰორიზონტი 2020"-ის ფარგლებშიც. 2010 წლიდან აქცენტი კონცეფციიდან „მეცნიერება საზოგადოებაში'' გადატანილია ევროპის მოქალაქეების და კვლევებსა და ინოვაციებში ჩართული სხვა მონაწილეების მისწრაფებების შეჯერების კონცეფციაზე. მიჩნეულია, რომ თანამედროვე ეტაპზე არსებულ გამოწვევებზე ეფექტური რეაგირება უფრო მარტივია, თუ საზოგადოების ყველა წევრი აქტიურად არის ჩართული ინოვაციური გადაწყვეტილებების, პროდუქტებისა და მომსახურების შექმნაში. ეს კი მოითხოვს, რომ კვლევებისა და ინოვაციების პროცესში ჩართული იყოს საზოგადოება, რათა უზრუნველყოფილი იქნას საწყის ეტაპზევე უკეთესი კავშირი, ერთის მხრივ, კვლევის პროცესსა და შედეგებს და, მეორეს მხრივ, ევროპის მოქალაქეების ღირებულებებს, საჭიროებებსა და მოლოდინს შორის.

პროგრამა „ჰორიზონტი 2020" ახალი კონცეფცია „კვლევა და ინოვაცია პასუხისმგებლობით'', ამბიციური გამოწვევაა კვლევებისა და ინოვაციების ისეთი პოლიტიკის შემუშავებისათვის, რომლის მამოძრავებელ ძალას ინკლუზიური მონაწილეობით მიდგომაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩართულობა წარმოადგენს. კონცეფციას, თავის მხრივ, ექვსი განზომილება აქვს. ესენია:

12. მულტიმონაწილეობა და საზოგადოების ჩართულობა;

13. გენდერული თანასწორობა;
14. მეცნიერების სწავლება;
15. ეთიკა;
16. თავისუფალი ხელმისაწვდომობიდან გადასვლა ხელმისაწვდომ მეცნიერებაზე;
17. მეცნიერების დიზაინი საზოგადოებასთან ერთად საზოგადოებისთვის.

მიმდინარე პროცესებში განსაკუთრებული მნიშვნელობა საერთაშორისო თანამშრომლობას ენიჭება (EC, 2018a). ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს თანამშრომლობის გაღრმავებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზებასა და ევროპული სტანდარტების დანერგვას განათლებაში, კვლევასა და ტექნოლოგიებში და ა. შ. ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბებას და ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას (EU, 2014).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ 1994 წელს იქნა მიღებული კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ, რომლის თანახმად „სახელმწიფო აღიარებს, რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი საზოგადოების განვითარების, კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სულიერი აღმავლობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია და ხელშემწყობ პირობებს უქმნის ქვეყნის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გამოვლენას და ეკონომიკის წინსვლას''. მომდევნო წლებში საკანონმდებლო ბაზამ მნიშვნელოვანი სრულყოფა განიცადა და დღეისათვის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფერო რეგულირდება შემდეგი კანონებით: მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონი, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, ინოვაციების შესახებ საქართველოს კანონი, გრანტების შესახებ საქართველოს კანონი და განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონი.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში სისტემური რეფორმების მცდელობა 2004 წლიდან დაიწყო. 2010-2011 წლებში განხორციელდა 70-მდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ე.წ. ინტეგრაცია უნივერსიტეტებთან. მიუხედავად ზოგიერთი მიღწევებისა, 10-წლიანი პერიოდის შემდეგ ექსპერტთა შეფასებით „კვლავინდებურად აქტუალური დარჩა უმაღლესი განათლების რეფორმის საკითხი'' (EPPM, 2013).

2006 წლის ნოემბერში, საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება, რომლის მიხედვით საქართველოში განისაზღვრა კვლევისა და ინოვაციების სფეროს განვითარება, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის მდგრად~~ი~~ და თანაბარ~~ი~~ ეკონომიკურ განვითარებას. აღნიშნული გეგმა 2014 წელს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების სამოქმედო გეგმამ ჩაანაცვლა.

საქართველოსთვის რთული აღმოჩნდა დასახული მიზნის მიღწევა. დარგის ექსპერტების მიერ დაბალ დონეზე იქნა შეფასებული მიმდინარე ინოვაციური საქმიანობა: „უკიდურესად სუსტია ორიენტაცია ინოვაციური პოტენციალის, მეცნიერების მიღწევების წარმოებაში და საქმიანობის სხვა სფეროებში რეალიზაციისკენ'' (ა. თვალჭრელიძე და სხვ, 2011)

2010 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის 2011 წლის სამოქმედო გეგმა, რომლითაც ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა განისაზღვრა როგორც სტრატეგიული მიმართულება, რეგიონული საინოვაციო სისტემის დანერგვა - სტრატეგიულ ამოცანად და ამასთან ერთად დასახული იქნა ეროვნული საინოვაციო კონცეფციის შემუშავება. შესრულების ვადად განისაზღვრა 2011 წელი. 2012 წელს ასევე საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა „საქართველოს საინოვაციო კონცეფცია".

საქართველოს მთავრობის 2013 წლის სოციალური-ეკონომიკურ სტრატეგიაში, საქართველო 2020, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ხოლო ამ მიზნის მიღწევის მნიშვნელოვან ფაქტორად-განსაზღვრულია ინოვაცია და ტექნოლოგიები. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში პოლიტიკის მთავარ მიმართულებებად განისაზღვრა:

- კვლევისა და განვითარებისათვის საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და მათი კომერციალიზაციის ხელშეწყობა;
- ინოვაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის გაძლიერება;
- ეკონომიკაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა;

- თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტი და აღწერილია კონკრეტული მიმართულებები, რომელსაც საქართველოს მთავრობა განახორციელებს. მათ შორისაა: თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურით და ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა; სწავლისა და კვლევის ეფექტიან ინტეგრირებას და კვლევის კულტურის განვითარების ხელშეწყობა და უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების მოდელის დახვეწა.

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის მე-12 თავი ითვალისწინებს თანამშრომლობას კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში.

2014 წელს შეიქმნა „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, რომელიც შევიდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში და

რომლის მიზანია ქვეყანაში ამ სფეროს ხელშეწყობა და ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა. აღნიშნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, 2016 წელს განხორციელებული იქნა შემდეგი აქტივობები:

- სამართლებრივი რეფორმის განხორციელება ინოვაციების სფეროში
- ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება
- ინოვაციების და მეწარმეობის მხარდამჭერი საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება
- ინოვაციების და მეწარმეობის ტექნიკური მხარდაჭერა
- ფინანსებთან წვდომის მხარდაჭერა
- კვლევებისა და განვითარების სექტორის გაძლიერების ხელშეწყობა
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარება ინოვაციების, ტექნოლოგიების და კვლევების განვითარებისათვის.

2014 წელს გამოქვეყნდა განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, რომლის მიხედვით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიზნად განისაზღვრა კვლევითი პოტენციალის გაძლიერება ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მნიშვნელოვან ინტერვენციად საერთაშორისო თანამშრომლობა დასახელდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, 2015 წლიდან საფუძველი ჩაეყარა მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალს. 2016 წელს საქართველო ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების პროგრამის „ჰორიზონტი2020“ ასოცირებული წევრი გახდა. **განათლებისა და მეცნიერების** 2017-2021 წლების **ახალ სტრატეგიაში** მეცნიერება, ტექნოლოგიები და ინოვაციები პრიორიტეტულ მიმართულებად, ხოლო სპეციფიურ მიზნად განისაზღვრა ''მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის მოდერნიზაცია და ინტერნაციონალიზაციაა ხალი ცოდნის შექმნისათვის და ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის''. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „გლობალიზაციამდა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა წარმოქმნა ახალი შესაძლებლობები განათლებისა და დასაქმების სფეროში. ციფრულმა ტრანსფორმაციამ შეცვალა შრომის ბაზარი და შექმნა ახალი უნარების განვითარების საჭიროება. შესაბამისად, განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდები შესაბამისი კომპეტენციით, ცოდნითა და უნარ-ჩვევებით.'' არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია სუსტი მხარეები, მათ შორის: ტექნოლოგიური ტრანსფერისა და კვლევის კომერციალიზაციის უზრუნველყოფა; სუსტი თანამშრომლობა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებსა და კვლევით უნივერსიტეტებს, მეცნიერებს შორის; სამეცნიერო აპარატურისა და აღჭურვილობის, პროგრამული უზრუნველყოფის განახლება, შენახვის, ოპერირებისა და გამოყენების საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებისა და მიდგომების დანერგვა. სტრატეგიაში განისაზღვრა სამი მთავარი ამოცანა:

1. მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ეკოსისტემის განვითარება.

2.ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების როლის, სტატუსისა და ღირებულების გაძლიერება და მისი, როგორც ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ეროვნული პრიორიტეტის პოზიციონირება.

3.მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის ინტერნაციონალიზაცია და დაფინანსების რესურსების დივერსიფიცირება.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევებისა და ინოვაციების სისტემამ მნიშვნელოვანი რესტრუქტურიზაცია განიცადა, ევროკომისიის სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების გენერალური დირექტორატის მიერ ჩატარებული შეფასების თანახმად, რიგი პრობლემებისა ამ მიმართულებით კვლავ აქტუალურია, მათ შორის: „ფრაგმენტაცია, ბიუროკრატიზმი, ინოვაციური სამეცნიერო

კვლევების დაფინანსების ნაკლებობა, არასაკმარისად განვითარებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა ან სუსტი კავშირები სამეცნიერო და ბიზნეს სფეროებს შორის, რაც ზღუდავს საქართველოს მეცნიერულ და ინოვაციურ პოტენციალს და მის კავშირს ეკონომიკასთან.'' (EU, 2018).

მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებად მიგვაჩნია მთავრობის გრძელვადიანი სტრატეგია, მათ შორის **განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია,** რეგულაციების არსებობა, განვითარებული სატელეკომუნიკაციო სფერო, ინტერნეტის მაღალი წვდომა, ბიზნესის წამოწყების და გადასახადების გადახდის სიმარტივე, თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსებობა.

საქართველოს მიერ მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში პროგრესის შესაფასებლად გამოვიყენეთ საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიით განსაზღვრული 2017 წლის პარამეტრები და მიღწეული შედეგი. აღმოჩნდა, რომ საქართველომ სამიზნე ნიშნულს 2016 წელს მიაღწია (გლობალური ინოვაციების ინდექსი 2016 წლისათვის განსაზღვრული იყო 73; ფაქტობრივად 2016 წელს - 64). თუმცა, მომდევნო წელს მაჩვენებელი გაუარესდა 4 პოზიციით და 2017 წელს გლობალური ინოვაციების ინდექსი გახდა 68 (სამიზნე ნიშნული 65) სულ 127 შეფასებული ქვეყნიდან. თუმცა, ჯერ კიდევ დაბალია დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორის მხრიდან. 2016 წელს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის სახელმწიფო დაფინანსებამ შეადგინა 72 მლნ ლარი, რაც მთლიანი სამამულო პროდუქტის 0.3%-ია. შესაბამისად, უშუალოდ კვლევასა და განვითარებაზე კომპანიების დანახარჯების მიხედვით საქართველოს სხვა ქვეყნებს შორის რანჟირებაში არასახარბიელო პოზიცია უკავია.

დასკვნა. გლობალურ სამყაროში საქართველოში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნისათვის, პროდუქტიულობის ამაღლებისა და ეკონომიკური ზრდისთვის, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარება. ამ სფეროში გარკვეული პროგრესი აღინიშნება, თუმცა, არსებული პრობლემები ევროკავშირის ნორმებისა და მიდგომების შესაბამისად სისტემის მოდერნიზების გადაუდებელ აუცილებლობაზე მიუთითებს და მეცნიერება, ტექნოლოგიები და ინოვაციები ქვეყნის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

ლიტერატურა

1. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2016.
2. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებეი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2014.
3. ევროკავშირი (2018). საქართველოს კვლევებისა და ინოვაციების სისტემის ეფექტიანობის ამაღლება პრიორიტეტების განსაზღვრის, დაფინანსების შერჩევისა და სამეცნიერო და ბიზნეს სფეროების დაკავშირების გზით.
4. ევროპის სამეზობლოპოლიტიკა, სამოქმედო გეგმა, ევროკავშირი-საქართველო, 2016.
5. ა.თვალჭრელიძე, ა.სილაგაძე, გ.ქეშელაშვილი, დ.გეგია. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. მდგრადი განვითარების საერთაშორისო ფონდი, საქართველო, 2011.
6. კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიებისადა მათი განვითარების შესახებ, 1994.
7. სამოქმედო გეგმა,საქართველოსმთავრობის 2011 წლის 10 სექტემბრის N 1722 განკარგულება 2011.
8. "საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების" გზამკვლევი, 2014.
9. საქართველოს მთავრობის სოციალური-ეკონომიკურ სტრატეგია, საქართველო 2020. თბილისი, 2013.
10. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 სექტემბრის N 1722 განკარგულება. საქართველოს საინოვაციო კონცეფცია.
11. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N 172 დადგენილება, დანართი N1. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია.
12. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა დამართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2013.
13. Effectively harnessing science, technology and innovation to achieve the Sustainable Development Goals.UN, 2018.
14. European Parliament. Council Commission. Inter institutional Agreement. Official Journal of the European Union, 14.6.2006. C 139/1.
15. Science, Research and Innovation Performance of the EU 2018. EC, 2018.

16. Science, technology and innovation for sustainable development in the global partnership for development beyond 2015. Thematic Think Piece of the UN system task team on the post-2015 development agenda. UN,2011.
17. Science, technology and innovation in Europe and Joint activities with south Korea. EC, 2018.
18. Science, technology and innovation outlook 2018: Adapting to Technology and Societal disruption, OECD Publishing, Paris, 2018.
19. https://gita.gov.ge/geo/ecosystem (ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ვებ-გვერდი)
20. https://www.nceda.org/wp-content/uploads/2017/12/Hardin-John.pdf მოხსენება: INNOVATION-BASED ECONOMIC DEVELOPMENT ACROSS NORTH CAROLINA

SCIENCE, TECHNOLOGY AND INNOVATION IN A GLOBALIZED WORLD

Pitskhelauri Elene
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Faculty of Economics and Business
PhD candidate

Summary

In a globalized world, science, technology and innovations are one of the crucial sources for economic growth. In the article the author examines the vision of science, technology and innovations at international as well as national level; the supporting events for science, technology and innovations as well as targets achieved through these measured have been analyzed.

Key words: *science; technology and innovations; economic grows; developing countries.*

რუმინეთი ევროპულ ინტეგრაციულ პროცესებში
(12 წელი ევროკავშირში)

ფუტკარაძე რამაზ
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

სტატიაში გაანალიზეულია ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის რუმინეთის ეკონომიკური განვითარების თავისებურებები და ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი. სტატიაში წარმოდგენილი რუმინეთის შესახებ ისტორიული და თანამედროვე ასპექტები. რუმინეთი მხარს უჭერს საქართველოს სწრაფვას ევროკავშირისაკენ და ნატოსთან ინტეგრაციას.

გაკეთებულია დასკვნა, რომ რუმინეთის ეკონომიკური მდომარეობა და ეკონომიკური მაჩვენებლები ბოლო 12 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მთლიანობაში ქვეყანამ განიცადა მნიშვნელოვანი პროგრესი. ქვეყნის შემდგომი მიზნებია: შენგენის ზონაში და ევროზონაში გაწევრიანება.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური ინტეგრაცია, რუმინეთი, ევროკავშირი.*

ევროპის ტერიტორიული შემადგენლობა 1789 წლიდან დღემდე გამუდმებით იცვლებოდა. ძალიან მცირეა ისეთი ქვეყნები, რომელთაც ტერიტორიული ცვლილებები არ განუცდია [1. გვ. 13]. ევროპაში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, ქვეყნებს საშუალება მიეცათ მოეპოვებინათ დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რუმინეთში ეკონომიკური რეფორმების განხორციელება და კორუფციის წინააღმდეგ მასშტაბური ბრძოლა დაიწყო. ქვეყნის საგარეო პრიორიტეტი ევროკავშირში გაწევრიანება გახდა. რუმინეთი გახდა ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (1997), ნატოს (2004) და ევროკავშირის (2007) წევრი. ამრიგად, რუმინეთმა იპოვა საკუთარი ადგილი ევროპის სახელმწიფოების გვერდით და ევროკავშირის ერთიან ოჯახს შეუერთდა.

საქართველო, ერთ-ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანაა, რომელიც დგას ევროპული ინტეგრაციის გზაზე. ქვეყანამ წარმატებით განახორციელა არაერთი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმა და მტკიცედ ადგას დემოკრატიისა და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გზას. თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი ვექტორია ევროკავშირთან დაახლოება და სავაჭრო–ეკონომიკური ინტეგრაცია [2, 3, 4, 5]. შესაბამისად ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკური ინტრგრაციის კვლევა ფრიად აქტუალურია.

ცნობილია, რომ მიმდინარე წელს 12 წელი გავიდა მას შემდეგ რაც ბულგარეთი და რუმინეთი ევროკავშირი წევრი ქვეყნებია. რიცხვი 12 ევროკავშირისათვის საინტერესო და მოსაწონ რიცხვად ითვლება. ცნობილია, რომ ევროკავშირისრდროშარწარმოადგენს ლურჯ ფონზე წრიულად განლაგებული 12 ოქროსფერი ვარსკვლავის ერთობლიობას. ვარსკვლავების რაოდენობას არავითარი კავშირი არ აქვს გაერთიანების წევრთა რიცხვთან. ვარსკვლავები სრულყოფილებას და სისრულეს აღნიშნავს, ხოლო რიცხვი 12 ტრადიციულია ევროპული კულტურისა და ცივილიზაციისათვის, კერძოდ: 12 - ზოდიაქოს ნიშანი, 12 - წლის თვე და სხვ.

ევროკავშირი დღეისათვის 28 სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას 512 მლნ-ზე მეტი მოქალაქისთვის.

რუმინელები, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, უჭერდნენ მხარს ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციას და სჯეროდათ, რომ ევროკავშირში გაერთიანება მასშტაბურად შეცვლიდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და გამოიწვევდა მნიშვნელოვან პროგრესს [6]. თავის მხრივ, ისინი მოუთმენლად ელოდნენ ევროკავშირში გაწევრიანებას და აკავშირებდნენ უკეთეს ეკონომიკასთან, მეტ უცხოურ ინვესტიციასთან, გადაადგილების თავისუფლებასთან, მუშაობის შესაძლებლობებთან, ნაკლებ კორუფციასთან და სხვ.

ხაზგასასმელია, რომ ქვეყნისათვის ევროკავშირში გაერთიანება ნამდვილად არაა გზის დასასრული, პირიქით, ის სწორედ დასაწყისია განვითარების ახალი ეტაპის და ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. ერთად 12-მა წელმა აჩვენა, რომ ეს დრო სულაც არ იყო საკმარისი ისეთი დემოკრატიის აშენებისთვის, რისთვისაც სხვა მოწინავე ევროპულ სახელმწიფოებს (ასე, მაგალითად, ავსტრია, ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ესპანეთი, შვედეთი) დიდი დრო დასჭირდათ. რუმინელების დიდი ნაწილი უფრო ბედნიერია და კმაყოფილი თავიანთი ცხოვრების დონით წინა წლებთან შედარებით.

ბოლო წლებია რუმინეთის მიმართ დიდია ევროპის წამყვანი კომპანიების დაინტერესება. უამრავ კომპანიას გადააქვს სათავო ოფისი ან ხსნის ფილიალს რუმინეთში, სადაც მათ შეუძლიათ და-

იქირავონ მუშახელი გაცილებით ნაკლები დანახარჯების ფასად, ვიდრე ამას განახორციელებდნენ საკუთარ ქვეყნებში. ნამდვილად კარგია, რადგან ბევრი უცხოური კომპანია ქმნის ამ ქვეყანებში მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს ადგილოვრივ ბიზნესთან შედარებით, რაც კარგია რუმინელებისთვის, რათა დარჩნენ თავიანთ ქვეყანებში. მაგრამ ბევრი რუმინელი მუშაობს საზღვარგარეთ. ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რუმინეთში სამუშაო ძალა იაფია, ვიდრე ევროპის მოწინავე ქვეყნებში.

რუმინეთი იმყოფება განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის [7, გვ.4]. რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანებას მოჰქვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური წინსვლა. ასე, მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, რუმინეთის მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ) [8] მოცულობამ 2007 წელს არსებული 174,6 მლრდ აშშ დოლარიდან 2018 წელს, 239,5 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა (იხ. ცხრილი 1), ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე - 836 აშშ დოლარიდან, 12302 აშშ დოლარამდე. ასევე გაიზარდა რუმინეთის სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის 28 ქვეყანას შორის რუმინეთი ტერიტორიით წარმოდგენილია მე-9 ადგილზე, მოსახლეობის რიცხოვნობით მე-7, მსპ-ის მიხედვით მე-15 ადგილზე. მოსახლეობის ერთ სულზე მსპ-ის მოცულობა რუმინეთის მნიშვნელოვნად ჩამორჩევა ევროკავშირის წამყვან ქვეყნებს. რუმინეთზე მოდის ევროკავშირის მსპ-ის მხოლოდ 1,28% და მსოფლიო მშპ-ის 0,282%. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით მსოფლიოში 48-ე ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ რუმინეთში ევროკავშირის წევრ ქვეყნეიდან ერთ-ერთი დაბალია უმუშევრობის დონე (3,9%). 2017 წელს რუმინეთის ეკონომიკის ზრდამ 7% შეადგინა, რაც მე-2 მზარდი ეკონომიკაა ევროკავშირში.

ცხრილი 1

რუმინეთის ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი [8-15]

მოსახლეობის რიცხოვნობა (მლნ კაცი)2018	19,5
ფართობი (კვ კმ)	238390
მთლიანი სამამულო პროდუქტი, 2007 (მიმდინარე ფასებით) მლრდ აშშ დოლარი [8]	174,6
მსპ, 2018 (მიმდინარე ფასებით) მლრდ აშშ დოლარი	239,5
მსპ, მოსახლეობის ერთ სულზე, 2007	8360
მსპ, მოსახლეობის ერთ სულზე, 2018	12302
გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) 2018 (ადგილი და ქულა)	52 (63,5)
ჰუმანური განვითარების ინდექსი, 2018 (ადგილი და ქულა)	52 (0,811)
კანონის უზენაესობის ინდექსი (2019) (ადგილი და ქულა)	31 (0,64)
ეკონომიკის თავისუფლების ინდექსი (2018) (ადგილი და ქულა)	42 (68,6)
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა	75
უმუშევრობის დონე % (2018)	4

რუმინეთის ეკონომიკა ევროკავშირისა და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი ბაზარია. როგორც ფართობით ყველაზე დიდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და სიდიდით მეორე ქვეყანა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, რუმინეთი ხასიათდება მზარდი მსპ-თი, მაღალი ზრდითა და ინვესტიციებით. ეს არის რეგიონი, რომელიც მდიდარია მიწისა და ენერგორესურსების სახით, ისევე, როგორც ძლიერი საწარმოო ბაზით და დაბალი ღირებულების მქონე სამუშაო ძალით.

რუმინეთი გეოგრაფიულად ევროკავშირის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ახლო აღმოსავლეთის ბაზრების გზაჯვარედინზე მდებარეობით, რუმინეთში ბიზნესის კეთება ნიშნავს ერთდროულად სამ ცენტრში ყოფნას.

ქვეყანას ბუნებრივი რესურსების გამო დიდ პერსპექტიულ სფეროებს მიეკუთვნება ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა და მომსახურება. აღნიშნულის გარდა, ნავთობი და გაზი, ფარმაცევტული მრეწველობა, კვების პროდუქტების წარმოება, ტრანსპორტი, საბანკო სექტორი,

დაზღვევა და სხვა ასევე ძალზე დინამიური სექტორებია. რუმინეთში ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ სექტორს წარმოადგენს სწორედ ტურიზმი. ქვეყანა არაჩვეულებრივი ბუნებრივი სილამაზით გამოირჩევა. მაგალითად, მაშინ, როდესაც ხორვატიის, საბერძნეთსა და ბულგარეთში ტურიზმის წილი მშპ-ში გაცილებით მაღალია ვიდრე რუმინეთში.

2014 წელს რუმინეთი უმაღლესი ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლით გახდა მსოფლიოში 62-ე ყველაზე თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, ხოლო 29-ე - ევროპაში. 2019 წელს მსოფლიოში 42-ე ყველაზე თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, პროგრესი მნიშვნელოვანია. ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ რუმინეთის ეკონომიკა იზრდება მნიშვნელოვნად. ქვეყანაში მსპ-ისა და მოსახლეობის ერთ სულზე მსპ-ის ზრდის შესახებ მონაცემები 2006-2018 წლებში წარმოდგენილია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

რუმინეთში მსპ-ისა და მოსახლეობის ერთ სულზე მისი ზრდის დინამიკა (2006-2018 წწ)

წელი	GDP (მლნ აშშ $)	GDP ზრდა (%)	GDP per capita აშშ $	GDP per capita ზრდა
2018	239551	4.1	12302	14.2
2017	211407	7.3	10762	12.8
2016	188495	4.8	9539	6.6
2015	177895	3.9	8950	-10.5
2014	199628	3.4	10005	4.9
2013	190948	3.5	9538	12.0
2012	171196	2.1	8519	-6.2
2011	183443	2.0	9082	10.9
2010	166225	-3.9	8191	-3.8
2009	174102	-5.5	8518	-18.0
2008	214317	9.3	10386	25.7
2007	174589	7.2	8360	42.2
2006	123534	8.0	5811	24.6

დასკვნა

სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ევროინტეგრაციის გზით აქტიური მოძრაობა დაიწყეს და მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს.

რუმინეთის მთავარი მიზანია ევროკავშირის წევრობით უზრუნველყოს თავისი ეკონომიკის დაახლოება და ინტეგრაცია ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკასთან, პარალელურად ქვეყანაში შენარჩუნებული იყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა [16, გვ. 103]. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ძველ ქვეყნებსა და რუმინეთის ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის დღესაც განსხვავებაა, მაგრამ ტენდენციაა მათი განვითარების დონეებში დიდი სხვაობის შემცირება. მიუხედავად ამისა, ევროკავშირში გაწევრიანებამ მასშტაბური გავლენა მოახდინა რუმინეთის ეკონომიკებზე, მათი ცხოვრების დონეზე და რადიკალურად გაუმჯობესდა ქვეყნის არაერთი ეკონომიკური მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ კორუფციის დონე ქვეყანაში იყო მაღალი, თუმცა, 12 წლის განმავლობაში ქვეყნებმა მიაღწიეს მნიშვნელოვან პროგრესს.

რუმინეთის საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების წილი, რაც კიდევ უფრო ზრდის მხარეებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას.

ევროკავშირში გაწევრიანებას, რა თქმა უნდა, მოჰყვა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგებიც. ერთ-ერთ პრობლემად, ქვეყანაში რჩება სამუშაო ძალის დაბალი ანაზღაურება ევრო-

კავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ბულგარეთსა და რუმინეთში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს და თავის მხრივ, ხელს უწყობს ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას და უმუშევრობის შემცირებას.

ამრიგად, ევროკავშირის წევრობა მომგებიანია რუმინეთის ეკონომიკისთვის. თუმცა, კონკურენციამ რუმინეთში ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები გააჩინა. ქვყანაში შემცირდება უმუშევრობა, გაჩნდა ახალი სამუშაო ადგილები და ჩქარდება ეკონომიკური ზრდის ტემპები, გაიზარდა ქვეყნის მსპ და სხვ. ამრიგად, რუმინეთის ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგები ასე გამოიყურება: გაიზარდა მსპ და ექსპორტის მოცულობა (განსაკუთრებით ევროკავშირში); ასევე გაიზარდა იმპორტი, პუი-ების მოცულობა. გაიზარდა რუმინეთსა და ევროკავშირის სავაჭროდეკონომიკური თანამშრომლობის მასშტაბები, რუმინეთში უცხოური, განსაკუთრებით ევროკავშირის კომპანიების ფილიალების რაოდენობა, ქვყანაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და სხვ. რუმინეთი წარმატებით აგრძელებს ეკონომიკის განვითარებას და მსოფლიო ეკონომიკაში შემდგომ ინტეგრაციას. მისი მიზანია ევროზონაში და შენგენის ზონაში გაწევრიანება.

საქართველოსა და რუმინეთს შორის შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები დინამიკურად ვითარდება. ქვეყანა აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ევროპულ და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესებს. რუმინეთი, ევროკავშირის წევრი პირველი სახელმწიფოა, რომელმაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებების რატიფიცირება მოახდინა.

ლიტერატურა

1. ტისიე ი. ევროპის ლექსიკონი. გამქრალი დათანამედროვე სახელმწიფოები 1789 წლიდან დღემდე. გამომცემლობა „ჯისიაი'', თბილისი, 2008.
2. ფუტკარაძე რ. საქართველო–ევროკავშირის სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები. თბილისი, „უნივერსალი'', 2010.
3. Chania M. Putkaradze R. The Priorities of Georgian Economic Development in Conditions of Globalization. European Journal of Marketing and Economics. v. 1, n. 1, p. 63-66, july. 2018
4. Putkaradze R. Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. ZeszytyNaukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: Administracjai-Zarządzanie. Scientific Journal, Nr 107, 2015.
5. Putkaradze R. Georgia in the European Union's Eastern Partnership Countries: Historical Aspects and Challenges. Ecoforum Journal. Volume 8, Issue 1(18). 2019.
6. European Commission. Panorama N60. Bulgaria and Romania celebrate 10 years in the EU. Luxembourg: Publications Office of the European Union. 2017.
7. Artimova P. WORLD IN 2050, Case Study – ROMANIA. UNIVERSITY OF WARSAW. 2016.
8. პაპავა ვ., სილაგაძე ა. (2018) ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის – „Gross Domestic Product"-ის ქართული სახელწოდების შესახებ. „ეკონომიკა და ბიზნესი", ტ. 11, N1.
9. Heritage Foundation (2019). https://www.heritage.org/index/ranking. http://www.geostat.ge.
10. The Global Competitiveness Report 2018. http://www3.weforum.org/docs/GCR2018/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2018.pdf.
11. https://europa.eu/european-union/about-eu/countries_en.
12. United Nations Development Programme. UNDP. (2018). Human Development Indices and Indicators 2018 Statistical Update. http://hdr.undp.org/sites/default/files/2018_human_development_statistical_update.pdf.
13. World Bank in Romania.http://data.worldbank.org/country/Romania
14. World Bank Statistics (2018): GDP, GDP per capita.
15. World Justice Project. Rule of Law Index 2019. Washington.
16. https://worldjusticeproject.org/sites/default/files/documents/WJP-ROLI-2019-Single%20Page%20View-Reduced_0.pdf. /ბოლო ნახვა 19 აგვისტო, 2019/
17. Pintilescu C. POLITICAL CHANGES AND ECONOMIC DEVELOPMENT IN ROMANIA. EAST-WEST Journal of ECONOMICS AND BUSINESS. Vol. XV, No 1-2. 2012. pp. 89-105.

ROMANIA IN EUROPEAN INTEGRATION PROCESS (12 YEARS IN THE EU)

Putkaradze Ramaz
Doctor of Economics, Associate Professor at
the Department of International Economics
and the History of Economic Thought,
Faculty of Economics and Business,
Tbilisi State University, Georgia

Summary

The paper analyzes economic indicators and some of the peculiarities of Romania's, one of the EU member states, economic development. Historical and contemporary aspects of Romania are presented in the paper. It is concluded that Romania's economic performance and economic situation have significantly improved over the past 12 years. Overall, the country has made significant progress. The further goals of the country are to join the Shengen zone and the eurozone.

After the collapse of the socialist system, economic reforms and a large-scale fight against corruption began in Romania. Joining the European Union became the country's top foreign priority. Romania became a member of the Central European Free Trade Association (1997), NATO (2004) and the European Union (2007). Thus, Romania found its place alongside the European states and joined the EU single family.

It is worth mentioning that there is still a difference between the economic indicators of old European Union countries and of Bulgaria and Romania; however, the tendency is that the gap between their development levels is decreasing. Romania's GDP increased from $ 174.6 billion in 2007 to $ 239.5 billion in 2018 and GDP per capita increased from $ 836 to $ 12,302. Other economic performance indicators of Romania have also improved. Romania accounts for 1.28% of EU GDP.

It should be noted that trade and economic relations between Georgia and Romania are dynamically developing. Romania strongly supports Georgia's European and Euro-Atlantic integration processes. Romania is the first EU member state which ratified the Association Agreements between Georgia and the EU.

Keywords: *Economic integration, Romania, European Union.*

ქართული ღვინის მსოფლიო ბაზარზე წარმატებისა და პერსპექტივის შესახებ

ქადაგიშვილი ლეილა
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი

მაისურაძე რუსუდან
თსუ-ის დოქტორანტი

ღვინის ინდუსტრია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში. უკანასკნელ წლებში იზრდება ვენახის პლანტაციები, შექმნილია ახალი და გაფართოებულია ღვინის ძველი საწარმოები, ინერგება ხარისხის მართვისა და ღვინის წარმოების საერთაშორისო სტანდარტები, იზრდება მევენახეების შემოსავლები, თითქმის ყველა მიმართულებით იზრდება ქართული ღვინის ექსპორტი, განსაკუთრებით - აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ჩინეთში, პოლონეთში, საფრანგეთში, მონღოლეთში, იაპონიაში, თუმცა ექსპორტის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე მოდის. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალი, შეფასებულია ღვინის ექსპორტის ძირითადი გამოწვევები და შემუშავებულია რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს ქართული ღვინის მსოფლიო ბაზრებზე სულ უფრო მეტად დამკვიდრებას.

საკვანძო სიტყვები: *მევენახეობა, მეღვინეობა, ექსპორტი, ბაზარი.*

საქართველოში მეღვინეობის ტრადიცია 8 000 წელზე მეტს ითვლის. „ღვინის სამშობლო“ - ასე საუბრობენ საქართველოზე, როგორც ღვინის უძველეს კერაზე. ქართული მეღვინეობის დიდი ისტორია საერთაშორისო მასშტაბითაა აღიარებული. საყურადღებოა, რომ 2012 წლის ივლისიდან, საქართველოს აქვს ექსკლუზიური უფლება ქართული წარმოების ღვინოს პოპულარიზაცია გაუწიოს ევროკავშირის ქვეყნებში დევიზით - „საქართველო ღვინის აკვანია“. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში სხვადასხვა ქვეყნის,ბევრმა მკვლევარმა აღიარა, რომ მეღვინეობის უძველესი კვალი სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი, საიდანაც ის მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ამ აღიარებამ საქართველოს საშუალება მისცა, ბორდოში - ღვინის ცივილიზაციის ცენტრში აღნიშნული სტატუსით წარმდგარიყო [1.გვ.3].

თანამედროვე მსოფლიოში ქართული ღვინის კულტურის უნიკალურობა, პირველ რიგში, განპირობებულია იმით, რომ საქართველო გამოირჩევა ყურძნის ენდოგენური ჯიშების სიუხვით. ქვეყანაში ხარობს 500 ენდოგენურ ჯიშზე მეტი, რაც მსოფლიოში არსებული ყურძნის ჯიშების 20%-ია და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართული წარმოშობისაა ვაზის ბევრი ჯიში, რომელიც დღეს ევროპასა და აზიაში მოჰყავთ. მეორეც, უძველესი დროიდან დღემდე საქართველოში ღვინოს აყენებენ თიხის ჭურჭელში (ქვევრში), რომელიც მიწაში ინახება. ქვევრის დანიშნულება ქართული ღვინის წარმოებაში უდიდესია. ამ მეთოდით ღვინის დაყენება ჩვენს ქვეყანაში დღემდე გრძელდება. ღვინის დამზადება ეს არის ტრადიცია, რომელიც ქართველებს გენში აქვთ და რომელიც საუკუნეების მანძილზე მომავალ თაობებს შემოუნახეს [ხანიშვილი გელა, 2018] ქვევრის გამოყენებით ღვინის დაყენება დიდი პოპულარობით სარგებლობს იმ მეღვინეებს შორის, რომლებიც ღვინის დაყენების ნატურალურ და ორგანულ მეთოდს ანიჭებენ უპირატესობას. ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს, ქართულ ტრადიციულ მეთოდს, 2013 წელს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც ამ მეთოდის უნიკალურობაზე მიუთითებს და გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია. ამასთან, ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიცია, ტურისტული ინდუსტრიის სხვა ელემენტებთან ერთად, საქართველოს აძლევს შესაძლებლობას მთავარი ტურისტული მიმართულება გახდეს.

საქართველოს დღევანდელი მთავრობის პირობებში ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარება გახდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მთავრობის მიერ განხორციელებული ბოლოდროინდელი რეფორმების შედეგად, ღვინის ბიზნესი თანდათანობით იკრებს ძალას და სწორ ნიშნულზე დგება. 2018 წელი იყო პირველი წელი ბოლო ათი წლის მანძილზე, როდესაც სახელწიფო სრულად გამოვიდა ყურძნის სუბსიდირების რეჟიმიდან, რთველი სრულად საბაზრო ფასების პირობებზე დაფუძნდა და მეწარმე და ფერმერი დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, თავად შეთანხმდნენ ყურძნის ფასებზე [ხანიშვილი გელა, 2018]. 2018 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რეკორდული რაოდენობის - 230 ათასი ტონა ყურძენი

გადამუშავდა და მევენახეების შემოსავლებმა 300 მლნ ლარს გადააჭარბა (2012 წელს გადამუშავდა 52 ათასი ტონა). ღვინის საწარმოებს ყურძენი 22 ათასმა მევენახემ ჩააბარა, რაც ასევე რეკორდული მაჩვენებელია და ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში იმატა ვენახების რაოდენობამ, გაჩნდნენ ახალი მევენახეები და რომ სახელმწიფოს მიერ ბოლო წლებში მევენახეობა-მეღვინეობის დარგში სწორი პოლიტიკა და რეფორმები გატარდა [დავითაშვილი ლ., 2018].

მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისათის ხელსაყრელი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ყურძნის ენდემური ჯიშების მრავალფეროვნება, ნედლეულის მაღალი ხარისხი, ღვინის წარმოების ისტორია და ტრადიციები, ქართული ღვინის ცნობადობა, კონკურენტული ფასები განაპირობებს ქართულ ღვინოზე მოთხოვნის ზრდის სტიმულირებას და ზრდადი მოთხოვნის შესაბამისი მიწოდების უზრუნველყოფას [ხარაიშვილი ეთერი, 2016]. ღვინის გლობალურ ბაზარზე გასვლის შემდეგ, ქართული ღვინის კომპანიები მოტივირებული გახდნენ, მოეხდინათ საწარმოების ტექნიკური გადაიარაღება, დაენერგათ ხარისხის მართვისა თუ წარმოების საერთაშორისო სტანდარტები, მოეწვიათ ენოლოგები ევროპიდან და დაეწყოთ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. შესაბამისად, თავის დროზე რუსული ბაზრისთვის განკუთვნილი იაფფასიანი, ხშირად ფალსიფიცირებული და ე. წ. ჩვეულებრივი ნახევრადტკბილი ღვინოების ნაცვლად, გამოჩნდა ინდივიდუალური ღირსებების მქონე, ახალი სტილის, ჯანსაღი და ხარისხიანი ქართული ღვინოები, რომელთა ხასიათშიც უკვე არა მანქანა-დანადგარების, არამედ მეღვინეების ხელწერა ჩანს [5]. 90-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული ღვინის ექსპორტი განუხრელად იზრდებოდა და ამ თვალსაზრისით პიკი 2006 წელი იყო. რუსულ ემბარგომდე რამდენიმე თვით ადრე, 100-მდე ღვინის კომპანიამ გაიტანა ღვინო ქვეყნის ფარგლებს გარეთ. რუსული ემბარგოს დაწესების შემდეგ შემცირდა ღვინის ექსპორტი და ღვინის ექსპორტიორთა რიცხვიც. მიუხედავად ამისა, დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბოლო წლებში ქართული ღვინო გაცილებით მრავალფეროვანი გახდა და ის მზად აღმოჩნდა, ყველაზე გემოვნებიანი და სიახლის მაძიებელი მყიდველიც კი დააინტერესოს. დღეს სულ უფრო მეტი უცხოელი მომხმარებელი და ღვინით მოვაჭრე ყიდულობს ქართულ ღვინოს. ეს, პირველ რიგში, ტრადიციული ტექნოლოგიით, ქვევრში დაყენებულ ღვინოს ეხება, თუმცა, გაყიდვების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე და ღვინის იმ სახეობებზე მოდის, რომელიც საბჭოთა პერიოდში იყო გავრცელებული [5] .

საქართველოს ღვინის ბაზარი მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში თანდათანობით აქტიურად ინტეგრირდება. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ყოველწლიურად აქვეყნებს მეღვინეობის დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის მიხედვით ქვეყნების სიას. 2016 წელს ასეთი სიის ათეულში შევიდა: საფრანგეთი (4,2 მლნ ტონა), იტალია (4,1 მლნ ტონა), აშშ (3,2 მლნ ტონა), ესპანეთი (3,2 მლნ ტონა), ჩილე (1,8 მლნ ტონა), ჩინეთი (1,7 მლნ ტონა), არგენტინა (1,5 მლნ ტონა), ავსტრალია (1,2 მლნ ტონა), სამხრეთი აფრიკა (1,1 მლნ ტონა) და გერმანია (0,8 მლნ ტონა). საქართველო კი ოცდამეორე ადგილს იკავებს (0,1 მლნ ტონა) და მისი წილი მსოფლიო ბაზრის 0,4 % -ს შეადგენს [უროტაძე ეკა, 2017]. თუმცა, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, იუნესკოს მხრიდან ქვევრის ღვინის აღიარებაც კი საკმაოდ დიდი მიღწევაა და დროთა განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკაში ქართული ღვინის წარმოება დიდ მნიშვნელობას შეიძენს.



თანამედროვე საქართველოსთვის ღვინო ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საექსპორტო პროდუქციაა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2018 წელს სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 284-მა კომპანიამ განახორციელა. 2018 წელს საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში 86,2 მლნ ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული, რაც ბოლო, თითქმის 30 წლის მანძილზე, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ზრდამ, 2017 წელთან შედარებით, 13%-ს მიაღწია. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 203 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 20%-ითაა გაზრდილი. ექსპორტი გაზრდილია ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: იაპონია - 37% , პოლონეთი - 31%, დიდი ბრიტანეთი - 33% და აშშ - 2% ; ასევე, ექსპორტი გაზრდილია ევროპის მიმართულებით, ტრადიციულ ბაზრებსა და აზიის მიმართულებით. ექსპორტიორი კომპანიების რიცხვი, გასულ წელთან შედარებით, 34-ით გაიზარდა. მსოფლიოს 26 ქვეყანაში ექსპორტირებულია 422 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 47% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 1,2 მლნ აშშ დოლარს შეადგენს; ზრდამ, 2017 წელთან შედარებით, 44%-ს მიაღწია. მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ჩამოსასხმელი ბრენდის და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები 306,5 მლნ აშშ დოლარს შეადგენს - ზრდამ, 2017 წელთან შედარებით, 7%-ს მიაღწია [7]. 2019 წლის პირველ ნახევარში საქართველოდან მსოფლიოს 44 ქვეყანაში 40,5 მლნ-მდე ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული, რაც 2018 წლის ამავე მაჩვენებელს 6%-ით აღემატება. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 98 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს, რაც 2018 წლის ანალოგიურ მონაცემზე 9%-ით მეტია. ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: აშშ - 88%, ჩინეთი -19% და პოლონეთი - 16%. ადგილწარმოშობის დასახელებებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტირებულია „ქინძმარაული“, შემდეგ კი „მუკუზანი“, „წინანდალი““ახაშენი“, „ხვანჭკარა“, „ტვიში“, „ყვარელი“, „ვაზისუბანი“ და სხვ. [7].

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბაზრებზე საქართველოს ყველაზე ძლიერ კონკურენციას მოლდავეთი უწევს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მოლდავეთის უპირატესობა ბელორუსის და ყაზახეთის ბაზრებზე, სადაც ბაზრის ნახევარზე მეტი მოლდავეთს უჭირავს. ბელორუსში ქართული ღვინის ექსპორტი მოლდავურს 6-ჯერ ჩამორჩება, ხოლო რუსეთსა და ყაზახეთში - 2-ჯერ. ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის ერთ-ერთ შესაძლებლობად სპეციალისტები მოლდოვას წარმატების მაგალითის შესწავლის აუცილებლობას მიიჩნევენ. როგორც ირკვევა, მოლდავური წარმოების ღვინო გამოირჩევა ალკოჰოლის შედარებით მაღალი შემცველობით და უმეტესწილად ტკბილი ან/და ნახევრად ტკბილი ღვინოების კატეგორიაში გადის. საქართველოში კი პირიქით, ძირითადად მშრალი ღვინო იწარმოება, რომელიც უპირატესად რქაწითელის ჯიშის ყურძნისგან მზადდება [8].

დღეისათვის, საქართველოდან ღვინის ექსპორტირებული ქვეყნების ათეულში პირველ ადგილს რუსეთი იკავებს. 2018 წლის მონაცემებით ასეთი ქვეყნების ათეული ასე გამოიყურება (ბოთლი): რუსეთი - 53 682 627, უკრაინა - 10 687 835, ჩინეთი - 6 951 019, ყაზახეთი - 3 599 143, პოლონეთი - 3 508 122, ლატვია - 1 711 078, ბელორუსი - 1 606 002, ესტონეთი - 581 190, ლიეტუვა - 488 154 გერმანია - 483 791. ეს აშკარად აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქართული ღვინის წარმოების ინდუსტრია რუსულ ბაზარზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ღვინის კონკურენტუნარიან პროდუქტად ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ბაზრების დივერსიფიკაცია. პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციები, რომელსაც რუსეთი საქართველოს მიმართ ხშირად ახორციელებს, ქართული ღვინის რუსულ ბაზრებზე ექსპორტის მდგრადობას ვერ უზრუნველყოფს. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ღვინის წარმოების რაოდენობრივ ზრდას თავისი ბუნებრივი ლიმიტები აქვს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ღვინის ბაზრების დივერსიფიცირებასთან ერთად, პროფესიონალთა მოსაზრებით, ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, საჭიროა, ქართულმა ღვინომ შეიცვალოს პოზიცია მსოფლიო ბაზარზე და გადავიდეს უფრო მაღალი დონის სეგმენტში - მცირე რაოდენობით, მაგრამ მაღალი ფასით [ღაღანიძე გიორგი, 2015; 10]. თუკი ეს ტენდენცია მართლაც განხორციელდება, სამომავლოდ ჩვენი ძირითადი ბაზარი რუსეთი კი აღარ იქნება, არამედ ევროკავშირი, ჩინეთი, აშშ, იაპონია და სხვ. აქვე უნდა ითქვას, რომ ქართულმა ღვინომ არ უნდა დათმოს უკვე დამკვიდრებული ადგილი მეგობარი ქვეყნების ბაზრებზე, იქნება ეს უკრაინა, ბელარუსი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი და ა.შ. და, რა თქმა უნდა, შეინარჩუნოს პროგრესი რუსეთთან არსებულ სავაჭრო ურთიერთობებში. ცხადია, ხარისხისა და, შესაბამისად, ფასის ზრდის, ისევე, როგორც მიმზიდველ, მაგრამ რისკიან ბაზარზე დამოკიდებულების შემცირების სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და განხორციელების პროცესი ფრთხილად და თანმიმდევრულად უნდა წარიმართოს [10].

საქართველო მეოთხეა (პორტუგალიის, ჩილეს და იტალიის შემდეგ) სასოფლო-სამეურნეო მიწების წილით (8%), რომელიც გამოიყენება ვაზის კულტივირებისათის. დღეის მდგომარეობით, საქართველოში 60 ათას ჰა ვენახია გაშენებული, რაც იმ ფართობის მხოლოდ ნახევარია, რაც 1980-იანების დასაწყისამდე იყო [7]. კლება ძირითადად 90-იან წლებზე მოდის, თუმცა, როგორც ზე-

მოთ აღვნიშნეთ, უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში შეინიშნება ახალ ფართობებზე ვენახების გაშენება და განსაკუთრებული ჯიშების გავრცელების ტენდენციაც. შეიძლება ითქვას, რომ ექსპორტის კიდევ უფრო გაზრდა შესაძლებელია ვენახების ახალ ფართობებზე გაშენებით, ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთი პროცედურების დაცვაზე, როგორიცაა ყურძნის კრეფა, ტრანსპორტირება, გადამუშავება და სხვ., რაც აუცილებელია მაღალხარისხიანი ღვინის დამზადებისთვის.

ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვანია, გაიზარდოს ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლების მიზნით განხორციელებული მარკეტინგული კამპანიების ეფექტურობა. საჭიროა, კარგად იქნეს შესწავლილი სხვადასხვა ქვეყნის ბაზრები, მისი ყველა მნიშვნელოვანი ასპექტით, გაიმიჯნოს ის საკითხები, რა შეიძლება გააკეთონ ცალ-ცალკე სახელმწიფომ და კერძო სექტორმა და როდის შეიძლება სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთობლივი თანამშრომლობა. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქვეყნის ბაზარზე შესვლისთვის, აუცილებელია შეიქმნას ღვინის ახალი ბრენდები, რომელშიც ამა თუ იმ ქვეყნის მომხმარებლის გემოვნება იქნება გათვალისწინებული. თუმცა, ახალი ბრენდების შექმნა დიდი პრობლემაა, რადგან მისი პოპულარიზაცია კომპანიისთვის დიდ დანახარჯად ითვლება, არადა, ახალი ბრენდების შექმნის თვალსაზრისით ძალიან დიდი პოტენციალი გვაქვს [11].

ღვინის ექსპორტიორი არაევროპული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, არსებობს ექსპერტთა მოსაზრებაც, რომ კონკრეტული ბრენდის რეკლამირებასთან შედარებით, გაცილებით ეფექტურია მწარმოებელი ქვეყნის რეკლამირება. წარმოების ქვეყანას დიდი გავლენა აქვს ღვინის მომხმარებლის ქცევაზე. ქართული ღვინის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია კიდევ უფრო მეტად გამახვილდეს ყურადღება ღვინის წარმოების ძველთაძველ ტრადიციებზე და ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ საქართველო ვაზის სამშობლოა და ქართველებმა ვენახები და მიწები საუკუნეების მანძილზე შემოინახეს. ვინაიდან ღვინო ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია, კარგი იქნება თუ ქართული ღვინის მიწოდება განხორციელდება ქართულ კულტურასთან ერთად. ეს ხელს შეუწყობს არამხოლოდ ღვინის , არამედ მინერალური წყლების, ხილის, რძის და სხვა პროდუქტების რეკლამირებასაც.

ქართული ღვინის მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრების განსაკუთრებულ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ქართული ღვინოების ფალსიფიცირება, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების, ქართული ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნების უნებართვო გამოყენება, რის გამოც ქვეითდება ქართული ღვინის პრესტიჟი, იკარგება ტრადიციული ბაზრები, ზარალდება ქართული ღვინის მილიონობით მომხმარებელი, ეს კი ნეგატიურად აისახება არამარტო მეღვინეობის, არამედ მისი საფუძვლის _ მევენახეობის განვითარებაზეც. ფალსიფიცირების უარყოფითი მხარეა ისიც, რომ მთლიანობაში მომხმარებელი იხდის უფრო ძვირს, ვიდრე ღირს პროდუქტი. გარდა ამისა, პროდუქტი შეიძლება საშიში იყოს ჯანმრთელობისთვის და, რაც ყველაზე ცუდია, მომხმარებელი კარგავს ნდობას პროდუქტისადმი, რითაც ზარალდება პატიოსანი მწარმოებელი [12]. საქართველოს მეღვინეობის დარგის მარეგულირებელი ორგანოს - ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ქართული ღვინის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა და მისი კონტროლია. ამ მიზნით, 2017 წელს, „ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში“ შესული ცვლილებებით, 2018 წლის 1 იანვრიდან სავალდებულო დეგუსტაციას დაექვემდებარა ყველა კატეგორიის საექსპორტო ღვინო. ღვინის ეროვნულ სააგენტოში ხარისხის კონტროლი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით ბოლო წლებში მუშაობა გაძლიერებულია, რათა არ მოხდეს ქვეყნის გარეთ ღვინის ფალსიფიცირება და, საქართველოში წარმოებული ათეულ მილიონობით ბოთლი ღვინო აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტს. ამ სამუშაოს საფრანგეთსა და ესპანეთში გადამზადებული ექსპერტები ახორციელებენ. გარდა ამისა, ფალსიფიცირების თავიდან აცილების მიზნით, ფერმერები ვალდებულნი არიან ღვინის სააგენტოს ჩააბარონ მონაცემები ყურძნის მოსავლის ოდენობის შესახებ. ეს მონაცემები შესაძლებლობას იძლევა მოხდეს ღვინის გაყიდვების კონტროლი და თავიდან იქნეს აცილებული ღვინის გაყალბება ან სპეციალური ფხვნილებისგან დამზადება.

მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფარგლებში მათი ურთიერთინტეგრაცია წარმოადგენს. ამ მიზნით საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა [13]. პროგრამის ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენს მევენახეობის განვითარებისა და წარმოებული ყურძნის გადამუშავების ხელშეწყობა, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ყურძნის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირება, ღვინის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ზრდა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს გრანტის სახით 100 ტონა ყურძნის გადამუშავებისათვის საჭირო აღჭურვილობის სა-

სოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის გადაცემას და ასევე, ტექნიკურ დახმარებას, რომლიც მოიცავს მოკლევადიან სწავლებას და კონსულტაციებს შემდეგი მიმართულებით: ვენახის მოვლა, ღვინის პირველადი გადამუშავება და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი რეგულაციები.

მევენახეობა-მეღვინეობაში კოოპერატივებს შემდეგი უპირატესობები შეიძლება გააჩნდეთ: მცირე მასშტაბის ფერმერები და ღვინის მწარმოებლები კოოპერატივებად გაერთიანების შემთხვევაში შეძლებენ მასშტაბიდან ზრდადი უკუგების მიღებას; კოოპერატივში გაწევრიანება გამოიწვევს საბითუმო ბაზრებზე ხელმისაწვომობის გაზრდას, რითაც შემცირდება რესურსების შესყიდვაზე გაწეული დანახარჯები; მიწისა და ტექნიკური საშუალებების გაერთიანება მნიშვნელოვნად გაზრდის მწარმოებლურობას; გაუმჯობესდება კრედიტებზე ხელმისაწვდომობა და კრედიტუნარიანობის დონე; გაფართოვდება ყურძნისა და ღვინის წარმოების დივერსიფიკაციის პროცესი [ხარაიშვილი ეთერი, 2017]; მევენახეებს მიეცემათ შესაძლებლობა სარგებელი არა მხოლოდ ყურძნიდან, არამედ უკვე ღვინიდანაც მიიღონ; კოოპერატივში გაწევრიანებულებს შესაძლებლობა ექნებათ შეისწავლონ როგორც ღვინის საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ტექნიკური და მეთოდოლოგიური საკითხები, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა სპეციფიკური მოთხოვნები [1. გვ.5].

ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალზე მსჯელობისას არ უნდა გამოგვრჩეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი - ღვინის ინდუსტრიაში დასაქმებულ მუშაკთა პროფესიული ცოდნის დონე. პროფესიონალთა რჩევით გვჭირდება მეღვინე, რომელმაც იცის ენოლოგიის თეორიული საფუძვლები და აცნობიერებს ღვინის წარმოების პროცესში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებს, შეძენილი აქვს პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ტრადიციების გათვალისწინებით ქმნის თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პროდუქციას [12].

მსოფლიოში მიმდინარე ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღების ფონზე, საქართველო განიცდის არამხოლოდ მაღალკვალიფიციური აგრონომების, არამედ ტექნიკური (ტრაქტორისტები, კომბაინერები და ა.შ.) სპეციალისტების დეფიციტსაც [ქადაგიშვილი ლეილა, შაბურიშვილი შოთა, 2013]. საერთაშორისო ორგანიზაცია ოქსფამის (Oxfam) შეფასებით, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მძიმეა მევენახეობა-მეღვინეობის დარგში დასაქმებული წვრილი ფერმერების მდგომარეობა, რადგან მათ საჭირო კაპიტალზე, ცოდნასა და ინფორმაციაზე საკმარისი წვდომა და გარკვეულ შემთხვევებში არც მზაობა და მიმღებლობა არ გააჩნიათ, რაც მათ კონკურენტუნარიანობის ამაღლების, შემოსავლების გაზრდისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების შესაძლებლობას მისცემდათ [16] .

დოკუმენტში - „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020-წწ.“ აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ბიზნესისა და მარკეტინგისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ნაკლებობა და წარმოების შესაძლებლობების განვითარების დაბალი დონეა (17. გვ. 56). ასეთი კადრების დეფიციტის არსებობაა ასახული დღეს ბაზარზე წარმოდგენილ პროდუქციაზე. ქვეყანას ესაჭიროება უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობის თანამედროვე გამოწვევებს უპასუხებენ. ეს კი განათლების, მეცნიერების და ბიზნესს შორის ეფექტიანი კავშირის გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია [Kadagishvili Leila, 2018; KadagiSvili Leila, 2016; Shaburishvili Shota, Kadagishvili Leila, 2018]. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ადამიანთა რესურსების, განსაკუთრებით ახალგაზრდების შესაძლებლობის ამაღლებაზე. თანამედროვე შრომის ბაზარი მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური და ტექნიკური სამუშაო ძალის მომზადებას. „აღსანიშნავია, რომ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დებულებით (2014 წლის 19 თებერვალი) მისი მთავარი მიზანია დამხმარე მექანიზმების შემოღება, რომელიც დამწყებ ბიზნესმენებს და საწარმოებს გაუადვილებს წვდომას ინფორმაციაზე ფინანსებსა და განათლებაზე და ხელს შეუწყობს მათში მაღალი სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბებას. ღვინის იდუსტრიაში მაღალი სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბება გულისხმობს მუშაკთა განათლების ხელშეწყობას მევენახეობის, მეღვინეობის, მარკეტინგისა დარღვინის ტურიზმის სფეროში, ქართული სახელმძღვანელოების შექმნას, უცხოური ლიტერატურის თარგმნას, ღვინის შესახებ ხელმისაწვდომ მონაცემთა ბაზის შექმნას, საუნივერსიტეტო კვლევითი და საგანმანათლებლო ცენტრების დაარსებას, ხელშეწყობას ვაზისა და ღვინის კვლევისათვის და სხვ. ბიზნესის, უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლობა საგრძნობლად შეუწყობს ხელს ქვეყანაში მეწარმეთა ახალი თაობის აღზრდას.

ამრიგად, ბოლო პერიოდში შესამჩნევია საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის ექსპორტის გაზრდა და აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით. წარმატებული ეკონომიკური რეფორმები იძლევა იმის საშუალებას, რომ გაიზარდოს ქართული ღვინის ექსპორტი მსოფლიოში და საქართველო იყოს ერთდერთი აქტიური მოთამაშე ღვინის გლობალურ ბაზარზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველო არსებითად არ იყოს რომელიმე კონკრეტულ ბაზარზე დამოკიდებული და მოხდეს ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაცია.

ლიტერატურა

1 ჩვენი სოფელი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა. თბილისი 2017. #10 (25). 16 გვ. file:///D:/Installs/User/Desktop/25%20small.pdf.

2 ხანიშვილი გ. ბიზნესი უბრუნდება სწორ ნიშნულს, მეწარმე და ფერმერი თავად შეთანხმდებიან ფასებზე; 13.08. 2018 *https://agora.ge/new/24454-giorgi-khanishvili-biznesi-ubrundeba-stsor-nishnuls-metsarme-da-fermeri-tavad-shetankhmdebian-fasebze*

3 დავითაშვილი ლ . 2018 წლის რთველზე საქართველოში 230 ათას ტონაზე მეტი ყურძენი გადამუშავდა; 22.10.2018 *https://allwine.ge/ka/blog/2018-wlis-rtvelze-saqartvelosi-230-atas-tonaze-meti-yurzeni-gadamusavda_2092/*

4 ხარაიშვილი ე. მოთხოვნა ქართულ ღვინოზე და მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის კონკურენტული უპირატესობის ფაქტორების შეფასება. ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი; თბილისი, 2016. #4. 260 გვ.

5 *http://vinoge.com/mevenaxeoba/qarTuli-Rvino-dRes-2018*

6 უროტაძე ე. საქართველოს ღვინის ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა. თსუ, საერთაშოროსო სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში; თბილისი 2017. 680 გვ.

7 http://georgianwine.gov.ge

8 http://www.ttimes.ge/archives/28892

9 ღაღანიძე გ. საქართველოს 2015 წლის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი: შესაძლებლობები და გამოწვევები. თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში; თბილისი, 2016. 647 გვ.

10 https://www.gfsis.org/ge/blog/view/776

11 .https://allwine.ge/ka/blog/ra-aferxebs-qartul-rvinis-bizness_0/

12 http://agronews.ge/mevenakheoba-meghvineobis-gamotsvevebi-da-ganvitharebis-perspeqtivebi/.

13 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4053667?publication=0

14 ხარაიშვილი ე. ღვინის ბაზარი და მევენახეობა მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში. თბილისი, 2017. გამომც.უნივერსალი. 203გვ.

15 ქადაგიშვილი ლ., შაბურიშვილი შ., სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და განვითარების ორიენტირები საქართველოში. თსუ II საერთაშორისო სამეცნიერო -პრაქტიკული კონფერენცია, ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. თბილისი, 2013. 592გვ

16 http://enpard.ge/ge/evrokavshiris-mkhardatcher-16/.

17 საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020. http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/საქართველოს-სოფლის-განვითარების-სტრატეგია-2017-2020.pdf . 66 გვ.

18 Kadagishvili, L. Challenges of the Priority Sectors of Entrepreneurship in Georgia. Governing Business Systems. Theories and Challenges for Systems, Thinking in Practice. Springer Proceedings in Business and Economics, 2018. 176 pp.

19 https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-319-66036-3_4

20 Kadagishvili, L. Systematic approach to develop small and medium-sized businesses in Georgia. Third International Scientific and Practical Conference on Strategic Imperatives of Contemporary Management, Kiev, 2016. 307 pp.

21 http://ir.kneu.edu.ua/bitstream/handle/2010/20960/209-218.pdf?sequence=1&isAllowed=y

22 Shaburishvili S. T., Kadagishvili L. V. Challenges to the Development of Small and Medium Business in Georgia . Scientific journal HERALD of Khmelnytskyi National University Economic sciences 2018, Issue 5, Part 1. 282 pp.

23 file:///C:/Users/user/Downloads/Vchnu_ekon_2018_5(1)__5%20(1).pdf

REGARDING THE SUCCESS AND PROSPECT OF GEORGIAN WINE ON THE WORLD MARKET

Kadagishvili Leila
Doctor of Economics,
Assistant Professor at TSU

Maisuradze Rusudan
PhD student at TSU

The wine industry plays an important role in Georgia's economic development. Vineyard areas have increased in recent years, new wineries have been established and the old ones have been expanded, international standards of quality management and wine production are introduced, grape growers' income is increasing, export of Georgian wine is increasing in almost every direction, especially in the US, UK, China, Poland, France, Mongolia and Japan; however, the post-Soviet countries still account for a large share of wine export. The present paper analyzes the export potential of Georgian wines, assesses the main challenges of exporting Georgian wines and elaborates recommendations that will help the growth of Georgian wine in the world market.

Key words: *Viticulture, winemaking, export, market.*

ცოდნა და მისი როლი მომხმარებელთა ქცევაში

ქარქაშაძე ნარგიზა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

გუგეშაშვილი თინათინ
ეკონომიკის აკადემირი დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ცოდნის არსზე და მის მნიშვნელობაზე მომხმარებელთა ქცევაში, მის როლზე ეკონომიკური განვითარებაში თანამედროვე ეტაპზე. ასევე გადმოცემულია, თუ რა როლი აკისრია ცოდნას საქონლის შესახებ.

სტატიაში განხილულია კვლევის შედეგები, რაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს აქვს მომხმარებელთა ცოდნის მნიშვნელობაზე. ყურადღება გამახვილებულია, ინფორმაციის მოპოვების თანამედროვე წყაროებზე მომხმარებლების მხრიდან, რათა თავიდან იქნეს აცილებული რისკის დონე, რომელიც წარმოეშობათ მომხმარებლებს საქონლის ყიდვისას.

საკვანძო სიტყვები:, *მომხმარებელთა ცოდნა, საქონელი, ცოდნის წყაროები, სამომხმარებლო გადაწყვეტილება.*

ეპოქისა და სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციისაგან დამოუკიდებლად, ცოდნა ყოველთვის და ყველგან თამაშობდა უდიდეს როლს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. „ცოდნა ძალაა“ - ეს აფორიზმი, დათარიღებული ჯერ კიდევ XVII საუკუნეში, მიეკუთვნება ცნობილ ამერიკელ ფილოსოფოს და პოლიტიკურ მოღვაწეს ფ.ბეკონს [1]. ხოლო უდიდეს ქართველ მწარალს ილია ჭავჭავაძეს ცოდნაზე ასეთი მოსაზრება გააჩნია:” ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზნებზედაც უფრო ძლიერია“ [2 გვ.604]. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად გაზრდილია ყურადღება ადამიან - კაპიტალის ფასეულობისადმი და ცოდნის როლი ეკონომიკურ პროცესებში. უფრო მეტიც, ცოდნა ხდება, განმსაზღვრელი ფაქტორი ბაზარზე კომპანიის კონკურენტული უპირატესობისა ბაზარზე. შესაბამისად, შეიძლება მსჯელობა ეკონომკური განვითარების დამდეგ ახალ ეტაპზე - ეკონომიკაზე, ბაზირებული ცოდნაზე [1]. კერძოდ, ცნება „ცოდნა“ გაგივებულია ისეთ ტერმინებთან, როგორიცაა „მონაცემები“ და „ინფორმაცია“. თავის მხრივ, ინფორმაცია მონაცემების იერარქიული ერთობლიობაა, დატვირთული აზრობრივად და განხილული ამ ან სხვა მოვლენების კონტექსტით. რაც შეეხება მონაცემებს, ეს არის წარმოდგენილი ინფორმაციების, სხვადასხვა ფაქტების ერთობლიობა, გამოსადეგი გადაცემის, დამუშავებისა და შენახვისათვის.

ცოდნის მნიშვნელობის თაობაზე ბევრ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერს აქვს საინტერესო მოსაზრება გამოთქმული. მაგალითად, ფილოსოფიის პროფესორი მ. მამარდაშვილი წერდა: „როცა ვამბობ ცოდნა ძალაა, ვგულისხმობ აზროვნების ისეთ პოტენციას, რისი წყალობითაც მას ძალუძს, ან ღონე ერჩის საიმისოდ, რომ საკუთარი თავი შესაძლებლიდან ნამდვილ მდგომარეობაში გადაიყვანოს. პრაქტიკულად ჩვენი აქსიომა ამბობს: მხოლოდ ის არის ცოდნა, რაც არის ძალა“. იაკობ გოგებაშვილი კი ცოდნის შესახებ ასეთ მოსაზრებას გვთავაზობს: „მხოლოდ უვიცობა, უკულტურობა, თავის თავზე დიდი წარმოდგენა და სიზარმაცეა ჩვენი შეურიგებელი და დამაბტკოლებელი მტერი ცოდნისაკენ მიმავალ ფართო შარაგზაზე“. ძველ ბერძენ დრამატურგ სოფოკლეს ცოდნაზე ასეთი შეხედულება აქვს: „ღრმა ცოდნა-ბედნიიერების პირველი პირობაა“. ცნობილი ფრანგი ზოოლოგი ჟოფრუა ვალას ცოდნის მნიშვნელობაზე წერს: „სიხარულს, სიმშვიდეს, ნეტარებას, ნუგეშსა და კეთილდღეობას პოულობს ადამიანი მხოლოდ ცოდნაში, რომელსაც გონება და შეცნება შობს“ [2 გვ.607, 608]. ასეთი შეხედულებები მრავლადაა.

მომხმარებლის მეხსიერებაში შენახულ ინფორმაციას განსაზღვრული სტრუქტურა და ორგანიზაცია გააჩნია. ასოციური ქსელები არსებობს სხვადასხვა ობიექტისათვის –მატერიალური პროდუქტები, მომსახურება, ორგანიზაციები, ქალაქები, ქვეყნები, ცხოველები. ასოცირებული ქსელები საქონლისათვის განიხილება საქონლის კლასის (ტელეფონი), საქონლის სახის (მობილური ტელეფონი) და საქონლის მარკის (მაგ.Samsung) [4].

ცოდნის მნიშვნელობასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ ორი მიმართულება:

1. კომპანიების მიერ მომხმარებლების ცოდნა (შესწავლა);
2. მომხმარებლების ცოდნა საქონლის შესახებ.

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მომხმარებლის ცოდნაზე საქონლის შესახებ, რადგანაც მნიშვნელოვანია მომხმარებლისათვის რისკის დონის შესამცირებლად ყიდვის დროს, რათა მომხმარებელმა მატერიალურად იზარალოს. ამასთან დამოკიდებულებით ჩატარებული კვლევაში გამოკითხული 80 რესპონენტიდან 75% აღნიშნა, რომ მაღალია, ხოლო 25%–მა საშუალო. ხოლო თუ როგორია რისკის დონე საქონლის შესახებ ქონის შემთხვევაში შედეგები ასე განაწილდა: დაბალია 70%, მაღალია 15%, ნულის ტოლია 15% [5].

როგორც აღვნიშნეთ, ცოდნა ესაა ინფორმაცია, რომელიც ინახება მეხსიერებაში. ინფორმაციის ნაწილი, რომელიც ეხება მომხმარებელთა ქცევას ბაზარზე – ესაა მომხმარებელთა ცოდნა. მომხმარებელთა ცოდნის ანალიზი მოიცავს სამ ძირითად ასპექტს:

1. რა იციან მომხმარებლებმა საქონლის შესახებ (მომხმარებელთა ცოდნის შინაარსი);
2. როგორაა ცოდნა ორგანიზებული მეხსიერებაში (ინფორმაციის ორგანიზაცია მეხსიერებაში);
3. როგორ შეიძლება გავზომოთ ცოდნა.

პირველ ასპექტის შესახებ ჩატარებულ კვლევაში - კითხვაზე აქვთ თუ არა ინფორმაცია საქონლის შესახებ, რომლის ყიდვასაც აპირებენ, რესპონდენტები პასუხები ასე განაწილდა (იხ. დიაგრამა 1) [5].



ფსიქოლოგების აზრით, არსებობს ცოდნის ორი სახე: დეკლარაციული და პროცედურული. დეკლარატიული მოიცავს სუბიექტურ და ცნობილ ფაქტებს, ხოლო პროცედურული – ინფორმაციის ფლობას იმის შესახებ, როგორ მუშაობს ეს ან სხვა მოწყობილობა. რაც შეეხება ცოდნის შინაარსს, მისი შესწავლა ხდება სამი კატეგორიის მიხედვით:

1. ცოდნა პროდუქციის შესახებ;
2. ცოდნა ყიდვის ადგილისა და დროის შესახებ;
3. ცოდნა პროდუქტის გამოყენების შესახებ[6].

სამივე ამ კატეგორიის ცოდნა მნიშვნელოვანია მომხმარებლისათვის, რათა მიიღოს სწორი გადაწყვეტილება ყიდვისას და სწორად გამოიყენოს ნაყიდი საქონელი. ამ მიმართებით სახელმწიფოს მხრიდან ბევრი რამ გაკეთდა, კერძოდ იმპორტირებულ საქონელზე მოხდა ქართულ ენაზე გამოყენების წესისა და შემადგენლობის დატანა, რამაც მომხმარებელს გაუადვილა საქონლის არჩევის შესაძლებლობა და შეამცირა რისკი ყიდვისას.

მცოდნე მომხმარებელს გააჩნია ძალაუფლება, ანუ ის, რასაც შეუძლია უბრალოდ ბაზრიდან გააქროს ესა თუ ის კონკრეტული კომპანია, გააკოტროს ან უკეთეს შემთხვევაში, აიძულოს დაჰყვეს მომხმარებლის ნებას, გააკეთოს, გაყიდოს ის, რაც მომხმარებელს უნდა და როგორც მომხმარებელს უნდა. კომპანიების უმეტესობა დიდ თანხებს ხარჯავს სწორედ იმაზე, გაიგოს რა სურთ მომხმარებლებს და რა იციან მათ საქონლის შესახებ, რომელსაც ყიდულობენ, რათა თავისი პროდუქცია თუ მომსახურება მოარგონ, მიუსადაგონ მათ მოთხოვნებს. მომხმარებლის ძალაუფლება ყოველთვის მუშაობს იქ, სადაც მომხმარებელებს გააჩნიათ შესაბამისი უფლებები და ამავდროულად მათ აქვთ ნება, იცოდნენ და იყენებდნენ საკუთარ უფლებებს [7]. ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში გამოკითხული 80 რესპოდენტიდან მომხმარებელთა უფლებების შესახებ იცის 50% - მა, ხოლო ნაწილობრივ იცის 50% - მა[5]. აქ მნიშვნელოვანია ჩატარდეს სხვადასხვა ღონისძი-

ებები, რათა მომხმარებელთა უმეტესობა გაერკვეს მის უფლებებში. რადგან საქართველოს რეალობაში ბევრი გაუგებრობა იყო და არის იმის გამო, რომ არ იციან თავიანთი უფლებები და არ ჰქონდათ ინფორმაცია კომპანიების ან ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ მომსახურებებსა და საქონელზე სრულყოფილად. განსაკუთრებით ეს ეხება საფინანსო (ჯარიმების ამოქმედების შესახებ), საამშენებლო, ფარმაცევტულ და სხვა ბაზარს, სადაც დაირღვა მომხმარებლის უფლებები.

აღნიშნულთან ერთად, საინტერესოა ვიცოდეთ, რომელი წყაროებიდან ღებულობენ მომხმარებელები უფრო ხშირად ინფორმაციას. ამ თვალსაზრისით მოგვყავს კვლევის შედეგები, სადაც გამოკითხული რესპოდენტების ხმები ასე განაწილდა (იხ.დიაგრამა 2).



როგორც დიაგრამა 2-დან ჩანს, ყველაზე (70%) მომხმარებელები ინფორმაციას ირებენ ინტერნეტიდან, 60% - რეკლამიდან, ხოლო 55% - ნაცნობდმეგობრებიდან. ყველაზე დაბალი (15%) ეკუთვნის ჟურნალ-გაზეთებს, რადგან ბოლო ათწლეულში თანდათანობით გაიზარდა ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი [5]. 2019 წლის გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ინტერნეტით უზრუნველყოფილია საქართველოს შინამეურნეობების 79,3%, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3,5%-ით აღემატება [8]. ამიტომ, შესაბამისად მკვეთრად დაეცა ჟურნალდგაზეთების მომხმარებელთა რიცხვი.

უდიდესია ცოდნის როლი საწარმოს ურთიერთდამოკიდებულებაში მომხმარებელთან. ცოდნას მიტანილს საჭირო სახით მომხმარებლამდე და სწორად გაგებულს მის მიერ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფირმისათვის. ნაკლებ საიმედოა, რომ კლიენტები განიხილავენ შესაძლებლობას იმ საქონლის ყიდვისა, რომლის შესახებ მათ არა აქვთ არანაირი ინფორმაცია. მომხმარებელთა ცოდნა ყიდვის შესახებ მოიცავს ყველა სახის ინფორმაციას, დაკავშირებული საქონლის შეძენასთან, რომელთაგან მთავარს წარმოადგენს ინფორმაცია გაყიდვის ადგილების, ფასისა და განსაზღვრული საქონლის ყიდვის დროის შესახებ კონკრეტული სასაქონლო კატეგორიის ჩარჩოებში [9].

გათვითცნობიერება მარკის არსებობის შესახებ წარმოადგენს საწყის ნაბიჯს კომპანიის იმიჯის ფორმირებისათვის. ზუსტად გათვითცნობიერება წარმოადგენს იმ ფუნდამენტს, რომელიც საფუძველს დებს მომხმარებელთა არჩევანში.

უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელთა ნდობა სხვადასხვა წყაროს მიმართ არსებითად არაერთგვაროვანია. ჰერმან რიკელმეს კვლევის თანახმად ყველაზე დიდ ნდობას მომხმარებელი ანიჭებს ზეპირ კომუნიკაციებს (64%), [8].

აქვე აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში, კითხვაზე ზოგადად როგორი მნიშვნელობა აქვს ცოდნას საქონლის შესახებ, რესპონდენტების 100%-მა უპასუხა – ძალიან დიდი. ამასთან მნიშვნელოვანია მომხმარებელთა ცოდნაში უპირატესობა მივანიჭოთ არა ინფორმაციის რაოდენობას, არამედ მის ხარისხს. ამის შესახებ ცნობილი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი ამბობს: „მთავარია ცოდნის არა რაოდენობა, არამედ ხარისხი. შეიძლება ძალიან ბევრი იცოდე, მაგრამ მთავარი არ იცოდე“.

დაბოლოს, „ღონიერი და ჭირთამძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია“ (ილია ჭავჭავაძე)[2 გვ.608]. და კიდევ, ''ცოდნა განძია, რომელიც თან დაჰყვება მის მქონეს“ (ჩინური ანდაზა)[2 გვ.609].

ლიტერატურა

1. Каленов Олег Евгеньевич. «Зщд знаний на предприятии: определение, содержание, значение, журнал «Вестник РЭУ» 2012 №2 стр. 27-32. https://cyberleninka.ru/article/v/rol-znaniy-na-predpriyatii-opredelenie-soderzhanie-znachenie
2. გივი კალანდაძე, თეა ბარამაშვილი, სიბრძნის ენციკლოპედია–ბრძნული აზრების საგანძური, გამომცემლობა პალიტრა L თბილისი 2015, გვ.735
3. https://www.geostat.ge
4. https://studref.com/632857/
5. კვლევის შედეგები
6. https://www.google.com/search?q=%20%DO
7. https://bag.ge/ge/blog?n=246
8. https://www.geostat.ge/ka/single-news/1663/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi-2019-tseli
9. https://www.marketologi.ru/publikatsi

KNOWLEDGE AND ITS ROLE IN CONSUMER BEHAVIOR

Karkashadze Nargiza
Associate Professor

Gugeshashvili Tinatin
Associate Professor
Georgia, Kutaisi, Akaki Tsereteli State University

Summary

The article in the "knowledge and the role of consumer behavior in" the knowledge of the essence and importance of consumer behavior and its role in economic development at the modern stage. It also sets out the role of knowledge of goods.
The article discusses the Research Results, which gives us a clear idea of the importance of customer knowledge. The focus is on information from sources in the modern part of users, in order to avoid the risk level, which is the purchase of goods tsarmoeshobat users.

Key words: *knowledge, customer knowledge, customer knowledge about goods*

უცხოელი სტუდენტები საქართველოში და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

ქინქლაძე რუსუდან
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ჩიტალაძე ქეთევან
თსუ-ის ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „საგანმანათლებლო მიგრაცია“ დღეისათვის საკმარისად ხშირად გვხვდება, რადგან იგი მიგრაციის ერთერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სახეა. ამიტომ, მისი შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია. იუნესკო-ს სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით, მსოფლიოში საერთაშორისო მობილური სტუდენტების რაოდენობა 2016 წლისთვის 4,85 მლნ-ზე მეტი იყო. მნიშვნელოვნად იზარდება მათი რიცხვი საქართველოშიც - 2008/20009 სასწავლო წელს- 499, ხოლო 2018/2019 სასწავლო წელს კი 12 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს (წინა წელთან შედარებით 21%-ით, ხოლო 2008/2009 სასწავლო წელთან შედარებით 23,5-ჯერ გაიზარდა). მათი 90% აზერბაიჯანის, ინდოეთის, ერაყის, ნიგერიის, თურქეთის და რუსეთის მოქალაქეა, უმრავლესობა (95%) თბილისში, 2.2% - ქუთაისში, ხოლო 1.8% - ბათუმში სწავლობს. ყველაზე ძვირადღირებული და გამორჩეულად პოპულარულია სამედიცინო განათლება (50%). ერთი უცხოელი სტუდენტის ხარჯი საშუალოდ 7,733 დოლარი (სწავლის საფასური ცხოვრების, დასვენების, მოგზაურობის და სხვა ხარჯები), ანუ 195 მლნ ლარია წელიწადში (დოლარი-2.7 ლარი), რაც საქართველოს მსპ-ის 0.6%, ხოლო მომსახურების ექსპორტის 6%-ია. 2020 წლისთვის სტუდენტთა რიცხვი 20 ათასი და შემოსავლები 0,5 მლნ ლარი იქნება. მიღებული ეკონომიკური სარგებელი კიდევ უფრო გაიზრდება სწავლების ხარისხისა და მომსახურების გაუმჯობესებით.

საკვანძო სიტყვები: *განათლება, საგანმანათლებლო მიგრაცია, უცხოელი სტუდენტების რიცხოვნობა და დინამიკა, ეკონომიკური სარგებელი.*

განათლება სისტემურ ქმედებათა პროცესი და ის საკვანძო მომენტია, რომელიც განაპირობებს ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებას. თანამედროვე მსოფლიოში განათლების მდგომარეობა რთული და წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, განათლება XX საუკუნეში ადამიანის საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი და ამ სფეროში ჩამოყალიბებული უზარმაზარი მიღწევები გასული საუკუნისთვის დამახასიათებელი გრანდიოზული სოციალური, სამეცნიერო და ტექნოლოგიური გარდაქმნების საფუძველი გახდა. მეორე მხრივ, განათლების ფარგლების გაფართოებასა და მისი სტატუსის ცვლილებას თან ახლავს ამ სფეროს პრობლემების გამწვავება, რაც განათლების კრიზისზე მიუთითებს. და ბოლოს, ამ კრიზისის დაძლევის საშუალებების ძიების პროცესში მიმდინარეობს მისი რადიკალური ცვლილებები და ახალი საგანმანათლებლო სისტემების ფორმირება.

განათლების განვითარების მნიშვნელოვანი თვისება მისი გლობალური ბუნებაა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში ინტეგრაციის პროცესების არსებობას, საზოგა-დოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სახელწიფოთა შორის ინტენსიურ ურთი-ერთობებს ასახავს. განათლება მაღალგანვითარებული ქვეყნების ეროვნული პრიო-რიტეტების კატეგორიიდან მსოფლიოს პრიორიტეტების კატეგორიაში გადავიდა.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებული განათლების სისტემა ადეკვატურად ვერ პასუხობს ცოდნისა და ტექნოლოგიების სწრაფ ცვლილებას, რაც ახალგაზრდებს აიძულებს განათლება საზთვარგარეთ მიიღონ. სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „საგან-მანათლებლო მიგრაცია“ დღეისათვის საკმარისად ხშირად გვხვდება, რადგან იგი მიგრაციის ერთერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სახე გახდა. ამიტომ მისი შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია.

საგანმანათლებლო მიგრაციის წარმოშობის ძირითადი მიზეზი თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის განვითარებისა და შესაბამისად, შრომის ბაზარზე წარმოქნილი კონკურენციის ადეკვატური განათლების მიღებაა. საგანმანათლებლო მიგრაცია წარმოადგენს მიგრაციის განსაკუთრებულ სახეს, რომლის განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ იგი არის განათლების მისაღებად საზღვარგარეთ განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფის ნებაყოფლობითი, მოკლევადიანი, წინასწარ დადგენილი დროით გამგზავრება და ცხოვრება. დღეისათვის, ახალგაზრდების საკმაოდ დიდი რიცხვი ირჩევს თავისი ქვეყნის გარეთ განათლების მიღებას.

საზღვარგარეთ განათლების მიღების მზარდი მოთხოვნის შესაბამისად, ე.წ. „მობილობის სტუდენტები“ იწყებენ ქვეყნის საზღვარებს გარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად ახალი მიმართულებების ძებნას. საზღვარგარეთ სწავლის მსურველთა რიცხვი ყოველწლიურად ზრდასთან

ერთად, უნივერსიტეტები მთელს მსოფლიოში აძლიერებენ ბრძოლას საუკეთესო და ნიჭიერი ადამიანების მოზიდვისათვის. მაგრამ ასევე მძაფრდება უფრო ხელმისაწვდომ და სათანადო სასწავლო პროგრამებზე სწავლის კუთხით განვითარებადი ქვეყნების სტუდენტებს შორის მზარდი კონკურენცია. საერთაშორისო მობილობის სტუდენტების სეგმენტში ზრდას მსოფლიოს უნივერსიტეტებში სწავლის მსურველთა განაცხადებისა და სტუდენტთა ჩარიცხვის რაოდენობის ზრდა ასახავს.

დღეს უკვე შეიძლება იმის მტკიცება, რომ მსოფლიო საგანმანათლებლო მომსა-ხურების ბაზარი ჩამოყალიბდა და ყველაზე დიდი მოცულობის მომსახურებას ამ კუთხით, უმაღლესი სასწავლო ორგანიზაციები აწარმოებენ. სწორედ ისინი უწყობენ ხელს საგანმანათლებლო მიგრაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკადების ფორმირებას. მრავალი სახელმწიფო და სასწავლო დაწესებულება ცდილობს უცხოელი სტუდენტების მოზიდვას საკუთარი პროგრამების რეკლამირების, სწავლისათვის გარკვეული პირობების შექმნისა და მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში სასწავლო გამოფენების ორგანიზების გზით. კონკუ-რენცია ამ მიმართულებით სულ უფრო მძაფრდება და ამ ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს უნივერსიტეტების საერთაშორისო რეიტინგი ასრულებს. თუმცა მხოლოდ ეს არ განაპირობებს ახალგაზრდების არჩევანს. გარდა ამისა ძალზედ მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორებიც, როგორიცაა სასწავლო ენა; განათლების ხარისხი; სწავლის საფასური; მიმღები ქვეყნის საემიგრაციო პოლიტიკა; სასწავლო პროგრამების მოქნილობა; ქვეყნებს შორის ისტორიული, გეგრაფიული, კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები; შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთათვის პროფესიული პერსპექტივები და სხვ.

როგორც ცნობილია, საგანმანათლებლო მიგრაცია წარმოადგენს ადამიანთა გადაადგილებას თავისი ქვეყნის გარეთ განათლების მიღების მიზნით. მიგრააციის ეს სახე ახალგაზრდებს ახალი შესაძლებლობების, უახლესი ტექნოლოგიების, მსოფლიო კულ-ტურის, ხარისხიანი განათლებლის, საერთაშორისო შრომის ბაზარების აღმოჩენის საშუ-ალებას აძლევს. ეს კი ახალგაზრდისათვის, რომლებიც არსებული შესაძლებლობების შესაბამისად თავისი გზის არჩევას და ცხოვრებასაც კი ახლა იწყებენ, ხშირად ძალზედ მნიშვნელოვანია. უცხოელი სტუდენტები - ეს დროებითი მიგრანტებია, რომლებიც საზ-ღვარგარეთ იღებენ უმაღლეს, წინასადიპლომო, საშუალო და სხვ. სახის განათლებას. გავრცელებული მოსაზრების შესაბამისად, ადამიანებს განათლების მიღება საზღვარგარეთ იმის გამო ურჩევნიათ, რომ მათი გარემო სასურველი განათლების მიღების საშუალებას არ იძლევა. ისინი ირჩევენ განათლების მისაღებად ისეთ ქვეყნებს, სადაც მათი სასურველი სასწავლო დაწესებულება არის.

იუნესკო-ს სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით[1], მსოფლიოში საერთაშორისო მობილური სტუდენტების რაოდენობა ბოლო 10 წლის განმავლობაში თითქმის 70%-ით გაიზარდა და 2016 წლისთვის 4,85 მლნ-ს გადააჭარბა (იხ. ნახ.1). უცხოელი სტუდენ-ტების რაოდენობის სტაბილურ ზრდასთან ერთად, განათლების ინტერნაციონალიზაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამედროვე განათლების სისტემებში.

ნახაზი 1

უცხოელი სტუდენტების რიცხოვნობა (მლნ) 2011-2017 წწ.



წყარო იუნესკო-ს მონაცემები

[1] *https://publications.iom.int/system/files/pdf/global_migration_indicators_2018.pdf*

საქართველოში, რომელსაც განათლების დონის რეიტინგის მიხედვით 2018 წელს მსოფლიოს 189 ქვეყანას შორის 26-ე ადგილი უკავია[2], ბოლო წლებში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (იხ. ნახ. 2)[3].

ნახაზი 2

უცხოელი სტუდენტების რიცხოვნობა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2008/2009-2018/20019 სასწავლო წლებში



წყარო: საქსტატი

როგორც გრაფიკიდან ჩანს, თუ 2008/20009 სასწავლო წელს საქართველო 499 უცხოელ სტუ-დენტს მასპინძლობდა, 2018/2019 სასწავლო წლის მდგომარეობით ქვეყანაში 12 ათასზე მეტი სტუ-დენტი სწავლობს და წინა წელთან შედარებით 21%-ით, ხოლო 2008/2009 სასწავლო წლებთან შედა-რებით 23,5-ჯერ გაიზარდა. ამ წლების განმავლობაში საშუალოდ მათი რიცხოვნობა 1173 სტუდენ-ტით გაიზარდა.

საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტების 90%-ს შეადგენენ აზერბაიჯანის, ინდოეთის, ერაყის, ნიგერიის, თურქეთის და რუსეთის მოქალაქეები. ამასთან, აზერბაიჯანის, ერაყის, ინდოე-თის და ნიგერიის მოქალაქე სტუდენტების რაოდენობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო თურქეთის და რუსეთის მოქალაქეების რაოდენობა შედარებით სტაბილურია (იხ. ცხრილი).

[2] United Nations Development Programme: Education Index 2018.
https://gtmarket.ru/ratings/education-index/education-index-info

[3] ინფორმაციის ძირითად წყაროს ამ მიმართულებით საქსტატი წარმოადგენს, თუმცა უფრო დეტაური კვლევისთვის საჭიროა განათლების სამინისტრომ ყოველკვარტლურად გამოქვეყნოს ანგარიში საერთა-შორისო სტუდენტების რაოდენობის შესახებ

საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტები ქვეყნების მიხედვით 2008/2009 -2018/2019 სასწავლო წლებში.

	2008/ 2009	2009/ 2010	2010/ 2011	2011/ 2012	2012/ 2013	2013/ 2014	2014/ 2015	2015/ 2016	2016/ 2017	2017/ 2018	2018/ 2019
აზერბაიჯანი	86	229	135	280	583	860	1372	2388	2650	2702	2124
თურქეთი	106	140	227	330	384	373	492	484	360	224	229
ინდოეთი	129	248	409	585	825	911	1104	1435	2507	3834	5830
ერაყი	8	3	1	1	65	304	657	793	974	821	759
ნიგერია	..	..	...	49	486	305	478	587	441	439	366
რუსეთი	84	77	232	124	191	167	157	253	249	257	306

წყარო: საქსტატი

საქსტატის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 2017/2018 სასწავლო წელს 10074 უცხოელი სტუდენტი სწავლობდა. მათგან 3 650 სახელმწიფო, ხოლო 6 413 კერძო სასწავლებლებში სწავლობს. უცხოელ სტუდენტებს შორის ყველაზე მეტი - 3 834 სტუდენტი ინდოეთიდანაა, 2 702 - აზერბაიჯანიდან, ხოლო 821 სტუდენტი ერაყიდანაა. რაც შეეხება 2018-2019 სასწავლო წელს, საქართველოში 12234 უცხოელი სტუდენტი სწავლობს და მათგან ყველაზე მეტი 5830 სტუდენტი, კვლავ ინდოეთიდანაა და წინა წელთან შედარებით ზრდამ 52%-ი შეადგინა. ხოლო შემცირდა სტუდენტების რიცხვი ერაყიდან და აზერბაიჯანიდან, შესაბაისად 8% და 21%-ით. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 2011/2012 სასწავლო წელს ნიგერიიდან საქართველოში 49 სტუდენტი სწავლობდა, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება და 2018/2019 სასწავლო წლისთვის 6,5-ჯერ გაიზარდა (366 სტუდენტი). უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა უკვე წლებია თბილისის სახელმწიფო სა-მედიცინო უნივერსიტეტს ირჩევს. თუმცა, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოელი სტუდენტების რაოდენობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საქართველოს უნივერსი-ტეტსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსი-ტეტშიც. მათი უმრავლესობა თვლის, რომ საქარ-თველოში სწავლა იმიტომ გადაწყვიტეს, რომ უსაფრთხო ქვეყანაა და ცხოვრებაც სხვა ქვეყნებთან შედარებით იაფია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტების აბსოლიტური უმრავლესობა (95%) თბილისში სწავლობს, 2.2% - ქუთაისში, ხოლო 1.8% - ბათუმში. სამედიცინო განათლება, რომელიც ყველაზე ძვირადღირებული-ა, გამორჩეულად პოპულარულია უცხოელ სტუდენტებში, რომელთა ნახევარი განათლებას მედი-ცინის, ჯანდაცვის, ფარმაცევტიკის ან სტომატოლოგიის მიმართულებით იღებს, თითქმის მეოთხ-ედი ბიზნესის, ეკონომიკის ან სამართლის ფაკულტეტზე სწავლობს. ევროპელი სტუდენტები კი ძირითადად შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებისა და ისტორიის შესწავლის მიმართ იჩენენ ინ-ტერესს.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის 2017 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ერთი უცხოელი სტუდენტი საშუალოდ 7 733 დოლარს (სწავლის საფასურის, დამატებული ცხოვრების, დასვენების, მოგზაურობის და სხვა ხარჯები) ანუ 195 მილიონი ლარს ხარჯავს წელიწადში (კვლე-ვის გამოქვეყნებისას, 2017 წლის ნოემბერში, დოლარის კურსი 2.7 ლარი იყო), რაც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.6%, ხოლო მომსახურების ექსპორტის 6%-ს შეადგენდა[4]. როგორც ზე-მოთ აღინიშნა, საქართველოში სწავლის მსურველთა რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა, 2020 წლისთვის უცხოელ სტუდენტთა რიცხვმა შე-საძლოა 20 ათასსაც მიაღწიოს, რაც ავტომატურად ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასაც ნიშნავს. იგივე კურსით რომ განვსაზღვროთ, იგი ნახევარი მილიონი ლარი იქნება. მარტივ გათ-ვლებზე დაყრდნობით, შესაძლებელია, რომ საქართველოს განათლების სისტემაში, უცხოელი სტუდენტების მიერ საქართველოში სწავლის მისაღების მიზნით გადახდილმა თანხებმა მასზე ჯა-მურად გაწეული ხარჯებიც კი დაფაროს.

ფრიად საინტერესო კვლევა ჩაატარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლამ (ISET) მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს დაკვეთით და ევროკავშირის დაფინანსებითა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო

[4] „მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი უცხოელი სტუდენტები საქართველოში“. *http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_a5_geo.pdf*

ცენტრის (ICMPD) მართული პროექტით - „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ (ENIGMMA), რომლის მიზანი საქართველოს ეკონომიკაზე უცხოელი სტუდენტების გავლენის შეფასება იყო[5]. კვლევის მიხედვით საქართველოში უცხოელი სტუდენტების მოზიდვაში გადამწყვეტ როლს საქართველოს, როგორც უსაფრთხო ქვეყნის რეპუტაცია და სწავლის დაბალი საფასური ასრულებს, კონკრეტული უნივერსიტეტის არჩევისას კი ინგლისურენოვანი კურსების ხელმისაწვდო-მობას, აკადემიური პერსონალის კვალიფიციურობას და სწავლების საფასურს აქცევენ ყურადღებას. გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა (89%) აცხადებს, რომ ფინანსურად სამშობლოში დარჩენილ საკუთარ ოჯახებზე არიან დამოკიდებულნი. ყველაზე მცირე დაფინანსება აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტებს აქვთ, ხოლო ყველაზე დიდი - ერაყის (წლიურაად, შესაბამისად, 2157 და 9985 აშშ დოლარი). სტუდენტების დანახარჯებში ყველაზე დიდი წილი სწავლის საფასურს (მთელი ხარჯების 38.88%) უკავია, საშუალოდ იგი ყველა უნივერსიტეტის მიხედვით 4777 აშშ დოლარს შეადგენს[6].

ეკონომიკური სარგებლის გარდა, განათლების ინტერნაციონალიზაცია ზრდის ქვეყნის ცნობადობას. ასევე, მას შემდეგ, რაც სტუდენდები დაბრუნდებიან თავიანთ ქვეყნებში, კვლავ გააგრძელებენ კავშირს იმ სახელმწიფოსთან, სადაც განათლებას იღებდნენ.რამასთან, ერთგვარ რეკლამასაც გაუწევენ საქართველოში სწავლის გაგრძე-ლებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ უცხოელი სტუდენტების დიდი უმრავლესობა გეგმავს საქართველოში განათლების მიღებას და შემდეგ ქვეყნის დატოვებას, რითაც მათი სამომავლო გავლენა საქართველოს შრომის ბაზარზე დიდწილად უმნიშვნელო იქნება. უცხოელ სტუდენტთა 65% სწავლის დასრულების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს, მათ შორის 8% - საქართველოში. 30%-ზე ნაკლები ფიქრობს სწავლის შემდეგ დასაქმებაზე, მათ შორის მხოლოდ 5% აპირებს სამუშაოს ძებნას საქართველოში[7]. ეს უკანასკნელი კი იმაზე მიუთითებს, რომ უცხოელი სტუდენტების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე დიდწილად მოკლევადიანია და იმ პერიოდით შემოიფარგლება, რასაც სტუდენტები სწავლისთვის ქვეყანაში ატარებენ. ეს კი, რა თქმა უნდა, ამცირებს უცხოელ სტუდენტთა პოტენციურ გრძელვადიან ეფექტს ქვეყნის ეკონომიკაზე. საქართველოში სწავლის ან მუშაობის გაგრძელების მიზნით დარჩენა, რასაც ასევე მონაცემები მიუთითებს, კიდევ უფრო გაზრდის უცხოელი სტუდენტებისგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ამას კი ხელს შეუწყობს უნივერსიტეტებში სწავლების ხარისხისა და მომსახურების გაუმჯობესება. უნდა შეიცვალოს საკანონმდებლო ჩარჩო, გაიზარდოს უნივერსიტეტების ავტონომიურობა და გაიზარდოსრაკადემიური პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, ასევე უნდა შეიქმნას უფრო მეტი უცხოენოვანი პროგრამები[8]. გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ხელშეწყობაც, თუნდაც სტუდენტური ვიზების გაცემის კუთხით. სახელმწიფოს ერთიანი მიდგომის ფარეშე ვერ შეიქმნება ისეთი გარემოპირობები და ინფრასტრუქტურა, რომელიც საერთაშორისო სტუდენტების ჩამოსვლასა და სწავლას მარტივსა და მიმზიდველს გახდის. საჭიროა საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მიმართულებით შეიქმნას სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ასევე, პლატფორმა Study in Georgia, რომელიც საერთაშორისო და საქართველოს უნივერსიტეტებს, სტუდენტებს ერთმანეთთან დაკავშირებაში დაეხმარება.

ლიტერტურა

1. Global Migration Data Analysis Centre (GMDAC) International Organization for Migration (2018) *https://publications.iom.int/system/files/pdf/global_migration_indicators_2018.pdf*
2. “მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი უცხოელი სტუდენტები საქართველოში“ (2017). *http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_a5_geo.pdf*
3. *www.geostat.ge*

[5] გამოკითხვა ჩატარდა ონლაინ კითხვარის საშუალებით, 2016 წლის 8 დეკემბრიდან 2017 წლის 22 იანვრამდე. კვლევის ფარგლებში გამოიკითხულ იქნა 277 უცხოელი სტუდენტი საქართველოს სხვადასხვა 8 უნივერსი-ტეტიდან (უცხოელი სტუდენტების 60%) და 10 უნივერსიტეტის ადმინისტრაციის 12 წარმომადგენელი სიღრმისეული ინტერვიუთი (უცხოელი სტუდენტების 45%).

[6] ISET-ის ონლაინ გამოკითხვა, 2016

[7] ISET-ის ონლაინ გამოკითხვა, 2016

[8] უნივერსიტეტები, რომლებიც უცხო ქვეყნის სტუდენტებს მასპინძლობენ, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს ქმნიან. მაგ., ჰოლანდიის უმაღლესი განათლების პროგრამების 79% ინგლისურ ენაზეა, ესტონეთი 100-ზე მეტ აკრედიტებულ პროგრამას სთავაზობს სტუდენტებს.

FOREIGN STUDENTS IN GEORGIA AND THEIR IMPACT OF THE COUNTRY'S ECONOMICS

Kinkladze Rusudan
Georgian Technical University,
Associate Professor

Chitaladze Ketevan
Iv Javakhishvili State University
Tbilisi State University University,
Academic Doctor of Economics

Summary

The term „Student Migration" is very prevalent these days in scientific literature, while it's one of the growing types of migration.
According to UNESCO statistical data, there were more than 4.85 million international mobile students as of 2016. Their number grows rapidly also in Goergia – 499 in the years 2008/09 in contrast to more than 12 thousand in the years of 2018/19 (21% more than the last year, and 23.5 times more than the year of 2008/09). 90% percent of them are citizens of Azerbaijan, India, Iraq, Nigeria, Turkey, and Russia, most of them living in Tbilisi (95%), Kutaisi (2.2%), and Batumi (1.8%). The most expensive and popular is medical education (50%).
The mean expenses of one foreign student is up to 7,733 USD (University fee, everyday expenses, travel expenses and so on), with the total number of students spending up to 195 million GEL a year (1 USD – 2.7 GEL), which is 0.6% of Georgia's GDP, and 6% of service export. The number of students in 2020 is estimated to be up to 20 thousand and the income is estimated to grow up to 0.5 million GEL. The economic profit will grow when the quality of education and the service improves.
Key words: *Education, educational migration, number and dynamics of foreign students, economic benefits.*

ორგანიზაციული კულტურის ფორმირებისა და უსაფრთხოების ტენდენციები

ღამბაშიძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

ორგანიზაციული კულტურა ეს არის გაზიარებული ცოდნა და ფასეულობები კითხვაზე - „რა არის“ და „რატომ არის“ , ამ მოსაზრების მიხედვით, ორგანიზაციული კულტურა არის „ისტორია“, რომლის შემქმნელები და მონაწილეები ორგანიზაციის წევრები არიან, ხოლო ფასე-ულობები და რიტუალები ნარატივის გასაძლიერებლად გამოიყენება. იმისათვის რომ გავიგოთ, როგორია ორგანიზაციული კულტურა, საჭიროა ყველა ნიუანსის ცოდნა, მაგალითად, თანამშრომლებში არსებული სიმბოლოების, ორგანიზაციაში მიღებული სლენგის და ასე შემდეგ. ეს განსაზღვრება აღწერს იმას, თუ როგორ ქმნის ორგანიზაციის განვითარება საკუთარ კულტურას.

საკვანძო სიტყვები: *წახალისება, იმუნური სისტემა, უსაფრთხოების მექანიზმი, საერთო ფასეულობები, ორგანიზაციის ტოლერანტობა*

ყველა ერთმნიშვნელოვნად თანხმდება, რომ ორგანიზაციული კულტურა გავლენას ახდენს და მართავს გუნდის წევრების ქცევას, თუმცა, მისი განმარტება საკმაოდ რთულია და არ არსებობს კონსენსუსი, თუ რას გულისხმობს და რა არის კორპორატიული კულტურა.

პრობლემა ისაა, რომ კორპორატიული კულტურის სწორი განმარტების გარეშე, ვერ შევძლებთ გავიგოთ თუ რა კავშირშია ის, ორგანიზაციის მართვის ისეთ მნიშვნელოვან სისტემებთან, როგორიცაა სტრუქტურა, ორგანიზაციის წევრების წახალისების სისტემა და სხვა. ასევე, გაგვიჭირდება ორგანიზაციაში არსებული პრობლემის იდენტიფიცირება და უკეთესი კულტურის შექმნა, განვითარება.

„კულტურა არის ის, თუ „როგორ აკეთებს საქმეს“ ორგანიზაცია“. – რობი კატანგა

კულტურა თანმიმდევრულია და მისი გაგება შესაძლებელია, იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევიან თანამშრომლები ორგანიზაციაში. არისტოტელე წერდა: „ის ვართ, რასაც მუდმივად, ვაკეთებთ“. ეს ამტკიცებს მოსაზრებას, რომ კულტურა მუდმივად განმეორებადი ქცევა ან ურ-თიერთობის ჩვევებია, ხოლო ადამიანების გრძნობები, რას ფიქრობენ ისინი და რისი სჯერათ, ნაკლებად მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ის ფაქტორები, რომელიც ქმნის ქცევით ჩვევებს ორგანიზაციაში და კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებენ შეკითხვაზე: ზეგავლენის მქონე ფაქტორებია კულტურა, თუ ზეგავლენით გამოწვეული ქცევის შედეგები?

„დიდწილად, კულტურა კომპენსაციის შედეგია“ – ალეკ ჰავერტიკი

კულტურას მეტწილად წამახალისებელი ფაქტორები ქმნის. ადამიანების ქცევის საუკეთესო განმსაზღვრელია შესაძლო წახალისება, ჯილდო ქცევისთვის. წახალისებაში ვგულისხმობთ, სრულ ჩამონათვალს – მატერიალურ ჯილდოს, არამატერიალურ ჯილდოს, მაგალითად სტატუსს, აღიარებას და წინსვლას, ასევე საყვედურს – რომელსაც იღებენ ორგანიზაციის თანამშრომლები, არასასურველი ქცევისთვის. მაგრამ საიდან მოდის მოტივაციის ფაქტორები? წინა განმარტებიდან გამომდინარე, კვერცხისა და ქათმის მსგავს, მუდმივად სადავო შეკითხვამდე მივდივართ. ქცევის კულტურა ქცევის წახალისებით იქმნება, თუ წახალისება იქმნება, ისეთი ფუნდამენტალური ცნებებისგან, როგორიცაა ხედვა და ფასეულობები, რაც შემდგომ ქმნის კულტურას?

„ორგანიზაციული კულტურას განსაზღვრავს ორგანიზაციის წევრების მიერ გაზიარე-ბული ცოდნა ორგანიზაციაში“. – ბრუს პერონი.

კულტურა არის, ის თუ როგორ ხდება აზრის შექმნა და ჩამოყალიბება ორგანიზაციაში. აზრის ჩამოყალიბება განიზაღვრება, როგორც „ თანამშრომლობის შედეგად შექმნილი საერთო აზრი, რომელსაც იზიარებენ სხვადასხვა ინტერესისა და შეხედულების მქონე ინდივიდები“. აღსანიშნავია, რომ ამ განმარტებას ორგანიზაციული კულტურა ქცევითი კონტქსტიდან , საერთო ღირებუ-ლებების კონტექსტში გადაჰყავს, ანუ ვვარაუდობთ, რომ კულტურა არის საერთო და ერთნაირი ხედვები და ფასეულობები, რომელიც ეხმარება მის წევრებს ორგანიზაციაში არსებული რეალობის აღქმაში.

„ორგანიზაციული კულტურა არის ფასეულობებისა და რიტუალების ერთობლიობა, ის ორგანიზაციის წევრების „წებოა“ – რიჩარდ პერინი

ორგანიზაციული კულტურა ეს არის გაზიარებული ცოდნა და ფასეულობები კითხვაზე „რა არის“ და „რატომ არის“ , ამ მოსაზრების მიხედვით, ორგანიზაციული კულტურა არის „ისტორია“, რომლის შემქმნელები და მონაწილეები ორგანიზაციის წევრები არიან, ხოლო ფასეულობები და რიტუალები ნარატივის გასაძლიერებლად გამოიყენება. იმისათვის რომ გავიგოთ, როგორია

ორგანიზაციული კულტურა, საჭიროა ყველა ნიუანსის ცოდნა, მაგალითად, თანამშრომლებში არსებული სიმბოლოების, ორგანიზაციაში მიღებული სლენგის და ასე შემდეგ. ეს განსაზღვრება აღწერს, იმას თუ როგორ ქმნის ორგანიზაციის განვითარება საკუთარ კულტურას.

„ორგანიზაციული კულტურა სამუშაოს ცივილიზაციაა". – ალან ადლერი

კულტურა სოციალური კონტროლის სისტემაა. ამ განსაზღვრებაში ძირითადი აქცენტი კეთდება კულტურის, „სწორი აზროვნების „ შემქნელ როლზე . მოცემული მოსაზრებით კულტურა მიღებული ნორმებია, რომელიც ვერ შეეგუება ნორმების დარღვევას. ამავე მოსაზრებით, ორგანიზაციულ კულტურა ქმნის ორგანიზაციის განვითარებასაც, რადგან აღწერს, თუ რა გავლენა იქონია წარსულში ორგანიზაციის შენარჩუნაბაზე არსებულმა ნორმებმა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ შენიშვნა: განვითარების თეორიის იდეაა და გარე ფაქტორებით გამოწვეული ცვლილებების გატარებისას, სწორედ ორგანიზაციული კულტურაა გადარჩენის და ცვლილებებზე მორგების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი.

„კულტურა არის ორგანიზაციის იმუნური სისტემა". – მიხეილ ვატკინსი

კულტურა არის თავდაცვის ფორმა, რომელიც სიტუაციური ზეწოლის შედეგად განვითარდა . ის პრევენციას უკეთებს აზროვნების „არასწორ" მიმართულებას და ასევე „არასწორ" ადამიანებს ორგანიზაციაში. ამ განსაზღვრებით, ორგანიზაციული კულტურის მოქმედება ადამიანის იმუნიტეტის მსგავსია, ის იცავს ორგანიზმს ვირუსებისა და ინფექციისგან, რომელიც მრავლად არის გარემოში და აზიანებს სხეულს. პრობლემა ისაა, რომ იმუნურმა სისტემამ შეიძლება ორგანიზაცია საჭირო ცვლილებებისგანაც „დაიცვას".

არის სხვა საინტერესო მოსაზრებები, რომლებიც უარყოფს შეხედულებებს, რომ კულტურა არის უნივერსალური და სტატიკური, ასევე, მრავალფეროვანი და დინამიკური.

„ორგანიზაციულ კულტურას ქმნის სოციუმი, საზოგადოება, რომელშიც ვცხოვრობთ". – ელისაბედ სკირგარი

ორგანიზაციული კულტურა შიდა ორგანიზაციული და საზოგადოების კულტურათა თანხვედრის შედეგად იქმნება, ანუ მნიშვნელოვანია იმ სოციუმის ან საზოგადოების კულტურა , სადაც ორგანიზაცია არსებობს, ფუნქციონირებს. ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ გვახსენებს იმ პრობლემებს, რომელსაც მულტინაციონალური ორგანიზაცია, საერთო კულტურის ჩამოყალიბებისა და შექმნისას აწყდება სხვადასხვა ქვეყანაში.

„არსებობს კულტურა და სუბკულტურები". – როლდ ვინკლერი

ორგანიზაციული კულტურა არასოდეს არ არის მონოლითური. არსებობს კულტურების სხვაობა ბიზნესის ფუნქციების მიხედვით. მაგალითად: ფინანსები მარკეტინგის წინაამღდეგ, კომპანიების შერწყმა ან კომპანიებში ფუნქიების შერწყმა – გაერთიანება დიდ გვალენას ახდენს კულტურის ერთიანობასა და სუბკულტურის ჩამოყალიბებაზე.

„ორგანიზაცია არის არსებობის კულტურა.... რომელიც რაც შესაძლებელია სწრაფად ახდენს ადაპტაციას რეალობასთან". – აბდი ოსმა ჯამა

კულტურა მუდმივად დინამიკურია. იგი იცვლება, შიდა და გარე ფაქტორების მოქმედების ან გავლენის შედეგად. შეგვიძლია რომ კულტურა ვმართოთ და ვცვალოთ მუდმივად, რაც უფრო ამტკიცებს მოსაზრებას, რომ კულტურისთვის სტაბილური „ადგილმდებარეობა" არ არსებობს და მისი მიღწევა შეუძლებელია, ამიტომ ორგანიზაციის კულტურაში მუდმივად უნდა იყოს სწრაფვა განვითარებისკენ.

კორპორატიული კულტურა ყველა ორგანიზაციაში არსებობს და ის იმ ღირებულებებს, დამოკიდებულებებს, სტანდარტებსა და რწმენებს გულისხმობს,რრაცრორგანიზაციას ახასიათებს და მის ბუნებას განსაზღვრავს.

კულტურა ორგანიზაციის მიზნებში, სტრატეგიებში, სტრუქტურაში, თანამშრომლების, მომხმარებლებისა და ინვესტორების მიმართ დამოკიდებულებაში გამოიხატება, შესაბამისად, მას ბიზნესის წარმატებასა თუ წარუმატებლობაში დიდი წვლილი მიუძღვის: კვლევებისრთანახმად, ინოვაციების დანერგვაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა სწორედ მას ენიჭება.

კარგი კორპორატიული კულტურა ნებისმიერი ორგანიზაციის გამართულად მუშაობისთვისაა აუცილებელი: ჯანსაღ კორპორატიულ გარემოს თანამშრომლების პროდუქტიულობის ზრდა შეუძლია, მაშინ, როდესაც არაჯანსაღმა გარემომ შეიძლება კომპანიის ზრდა შეაჩეროს ან ბიზნესის წარუმატებლობაც გამოიწვიოს.

ჯანსაღია კულტურა, რომელშიც თანამშრომლები საკუთარ თავს გუნდის ნაწილად აღიქვამენ და სიამოვნებას მთლიანი კომპანიის წარმატება ანიჭებთ. არაჯანსაღი კულტურის პირობებში კი თანამშრომლები საკუთარ თავს ინდივიდუალურად, კომპანიისგან დამოუკიდებლად განიხილავენ და ისინი არა კომპანიის, არამედ თავიანთ დამოუკიდებელ საჭიროებებზე კონცენტრირდებიან. ასეთ დროს, თანამშრომლები ასრულებენ თავიანთი სამუშაოს მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნებს და მათი ერთადერთი მოტივატორი ხელფასია.

იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ორგანიზაცია განსხვავებულია, ბევრნაირი „ -” კულტურა შეიძლება არსებობდეს, თუმცა, არსებობს რამდენიმე ფუნდამენტური საკითხი, რომელიც ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს ჯანსაღი კორპორატიული კულტურის შესაქმნელად.

1. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არისრნდობა. ის ძალიან რთულად მოპოვებადია, მაგრამ აბსოლუტურად აუცილებელი. თუ გსურთ თქვენი თანამშრომლები თავიანთ საქმეებში ჩართულები იყვნენ, ისინი თავიანთ მენეჯერსა და ორგანიზაციას უნდა ენდობოდნენ. თანამშრომლებს სჭირდებათ ნდობა იმათ მიმართ, ვისთან თანამშრომლობაც უწევთ.
2. მეორე საკითხირთავისუფლებაა: თანამშრომლებს სჭირდებათ თავისუფლება მოქმედებისთვის, მცდელობებისთვის და შეცდომების უსაფრთხოდ დასაშვებად. თავისუფლება გადაჯაჭვულია ნდობის კომპონენტთან. მათ უნდა შეეძლოთ ილაპარაკონ თავიანთ სამუშაოზე ყველანაირი შიშის და უარყოფითი მოლოდინების გარეშე.
3. ასევე მნიშვნელოვანიარადამიანები: ვერცერთი კომპანია ვერ შექმნის და შეინარჩუნებს კულტურას იმ ადამიანების გარეშე, რომლებიც იზიარებენ კომპანიის ღირებულებებს. სწორედ ამიტომაა, რომ მსოფლიოში საუკეთესო კომპანიებს რეკრუტინგში ყველაზე მკაცრი პოლიტიკა აქვთ.რანუ, რეკრუტინგის დროს, კანდიდატის არა მხოლოდ კონკრეტულ საქმესთან, არამედ კორპორატიულ კულტურასთან შესაბამისობასაც უნდა მივანიჭოთ მნიშვნელობა. კვლევებისრთანახმად, კულტურულად შესაბამისი თანამშრომლები 7%-ით ნაკლებ ხელფასზე თანხმდებიან და მათ შემთხვევაში დენადობაც სხვებთან შედარებით 30%-ით ნაკლებია. გამოდის, რომრადამიანები უფრო დიდხანს ჩერდებიან კომპანიაში, რომლის კულტურაც მოსწონთ.
4. ბოლო საკითხირსიახლეა: კომპანიები, რომლებიც არ ცდილობენ კულტურის მუდმივ განახლებას, აღმოაჩენენ, რომ მათი კულტურა მოძველებულია. თანამედროვე სამყაროში ორგანიზაციებს ეს ძალიან მოკლე პერიოდში შეიძლება დაემართოთ. კარგი ამბავი ისაა, რომ ცვლილებები აუცილებელი არაა გრანდიოზული და ძვირიანი იყოს. არც ისაა სავალდებულო, რომ ყველა განახლება თანამშრომლების მოტივაციის, პროდუქტიულობის, ჩართულობის ან თანამშრომლობის გაზრდაზე იყოს ორიენტირებული.

რა თქმა უნდა, მხოლოდ კულტურას არ შეუძლია ბიზნესის წარმატების მოტანა. ასევე ბუნებრივია, რომ კულტურის ნაწილი ისეთი საკითხებიც შეიძლება იყოს, რომლებიც ბიზნეს პროცესებზე პირდაპირ არ აისახება, მაგრამ ის მაინც აუცილებელია თუ გვსურს, რომ ჩვენი ბიზნესი დადებითად აღიქმებოდეს, თანამშრომლებს უხაროდეთ ჩვენთან მუშაობა და ჰქონდეთ სურვილი, მათი იდენტობის ნაწილი ორგანიზაციაში მუშაობაც იყოს.

ძალზედ აქტუალური გახდა პრობლემა დღეს ორგანიზაციულ კულტურებში შეჭრის და გარკვეულწილად „პარტიზანული“ ქმედებებისა.

ჰაკერები მნიშვნელოვან ინფორმაციებს ხშირ შემთხვევაში ტექნოლოგიური სისუსტეების გამოყენებით იპარავენ, დანაშაულის ადგილი კი IT ქსელია. მისი მუშაობის შესახებ რიგით მომხმარებელს მეტად მწირი ინფორმაცია გააჩნია და შესაბამისად, ეჭვით უყურებს ინფორმაციულ უსაფრთხოებას.

გადამწყვეტი ფაქტორი ისაა, თუ როგორ უყურებს ორგანიზაცია ინფორმაციულ უსაფრთხოებას. მოსაზრება, რომ თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ მოწყობილობებს შეუძლიათ ორგანიზაციის უსაფრთხოება დაიცვან შესაბამისი ადამიანური რესურსის გარეშე, არის სწორედ იმის მიზეზი, რომ ყოველდღიურად ასობით ორგანიზაცია „ტყდება“. გარდა ამისა, ეს მიდგომა აიგნორებს ინფორმაციული უსაფრთხოების რისკის მთავარ მამოძრავებელ ძალებს: ორგანიზაციულ კულტურასა და ამ კულტურიდან გამომდინარე თანამშრომელთა ქცევას.

ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე უდიდესი გავლენა აქვს ორგანიზაციული კულტურის ორ ასპექტს: ორგანიზაციის ტოლერანტობა უსაფრთხოების წესების დარღვევის მიმართ და ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი როგორც ბიზნეს დანაყოფებს, ისე ცალკეულ თანამშრომლებს შორის.

უსაფრთხოება და კომფორტი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებია – რაც მეტია კონტროლი, მით ნაკლებად კომფორტულია ის ორგანიზაციაში მომუშავე ინდივიდებისთვის. მაგალითად, პაროლის კომპლექსურობის მოთხოვნა საჭიროებს დამატებითი სიმბოლოების დამახსოვრებას და შედარებით მეტი სიმბოლოების აკრეფას ყოველ ჯერზე. ორგანიზაციის ტოლერანტობა ამ და სხვა ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის მიმართ პირდაპირ კავშირშია ორგანიზაციაში არსებულ უსაფრთხოების რეალურ დონესთან. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ზედა მმართველი რგოლის თანამშრომლები – ორგანიზაციის ლიდერები – ყველაზე მეტად უგულებელყოფენ უსაფრთხოების მოთხოვნებს.

კიბერ უსაფრთხოების პრიორიტეტულობის პრობლემა განსაკუთრებით დგას შედეგზე ორიენტირებულ ორგანიზაციებში. ის აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მიზნის მიღწევას ავტომატურად ხდება პრიორიტეტული ისე, რომ უსაფრთხოება უკანა პლანზე იწევს და არა-რელევანტურად აღიქმება. მსგავსი მიდგომა ქმნის კულტურას, რომელიც პირდაპირ თუ არა-პირდაპირ იწონებს თანამშრომელთა მიერ მიზნის მისაღწევად ინფორმაციული მართვის ყველაზე ხელსაყრელი სისტემების დანერგვას და უარს ამბობს ბევრად უსაფრთხო, მაგრამ ნაკლებად კომ-ფორტულ გადაწყვეტილებებზე. ამ კომპანიების წარმატების მთავარი მიზეზი – მიზანზე ორიენ-ტირებულობა – ამავდროულად აყენებს მათ მაღალი რისკის ქვეშ.

ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემა დგას იმ ორგანი-ზაციებში, რომლებიც ოპერირებენ როგორც დამოუკიდებელი ბიზნეს დანაყოფები. ასეთი დანა-ყოფების წარმოშობა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვა ორგანიზაციის შერწყმით, განსხვავებული ბიზნეს მოდელების არსებობით და ა.შ. პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ ერთიანი სტან-დარტების დამყარება რთულია სხვადასხვა კულტურის მქონე დანაყოფებში და შედეგად წარ-მოიშობა დანაწევრებული უსაფრთხოების გადაწყვეტილებები დანაყოფების მიხედვით, რომელთა მართვა საკმაოდ რთულია და ზრდის კიბერუსაფრთხოების რისკებს.

მაღალგანვითარებული ტექნოლოგიური კომპანიებიც მიდრეკილნი არიან უსაფრთხოების მაღალი რისკის მიმართ, რისი მიზეზიც ისაა, რომ ახალგაზრდული კულტურები შეზღუდვებს ძნელად ეგუებიან.

ჰაკერების მიერ სისტემაში შეღწევის დროს, როგორც წესი IT დეპარტამენტზე გადატყდება ხოლმე ჯოხი, რადგან სათანადოდ ვერ დაიცვეს ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაშინ როდესაც ამის მთავარი მიზეზი ორგანიზაციაში გაბატონებული ის კულტურაა, რომელიც უგულებელყოფს IT დეპარტამენტის მიერ რისკზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების შესრულებას. ამის გარდა არსებობს სტრუქტურული პრობლემაც: IT დეპარტამენტი უმეტესად პასუხისმგებელია როგორც ტექნოლოგიების იმპლემენტაციაზე, ისე უსაფრთხოების მართვაზე, რაც IT პერსონალს შორის წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს.

როგორ შეუძლია ორგანიზაციას სიტუაციის გამოსწორება?

ორგანიზაციული კულტურის შეცვლა საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს კულ-ტურა წლების განმავლობაში ორგანიზაციის წარმატების გარანტი იყო. პასუხი შემდეგში მდგომა-რეობს: ის კი არ უნდა დაინგრეს, არამედ ინფორმაციული უსაფრთხოება და რისკის მიმართ თანა-მედროვე მიდგომები მასში უნდა ჩაინერგოს. გარდა ამისა, საჭიროა მმართველი რგოლი გვერდში დაუდგეს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პერსონალს, რათა ადვილად დაიძლიოს ჩვევაში გადა-სული კულტურის საფრთხის შემცველი ელემენტები. მესიჯი უნდა მოდიოდეს უმაღლესი რგოლი-დან. მმართველმა რგოლმა პირადი მაგალითი უნდა მისცეს ხელქვეითებს და პრაქტიკულად თა-ვადვე დაიწყონ უსაფრთხოების წესების შესრულება და დაცვა.

ლიტერატურა

1. Bruce Perone Hotel General Manager with a Love of Creative Catering Metairie, Louisiana 2018
2. Richard Perini Past President Southern California Security Association Southern California February 2013 – February 2016
3. alan adler-Text is available under *the Creative Commons Attribution-ShareAlike License*;
4. House, R.J.Hanges, R.J.Javidan, M.Dorfman, P.W.Gupta, V.(Eds), Culture, Leadership and Organizations: The Globe Study of 62 Societies. Copyright 2004, SAGE publications, INC, Reprinted wuth permission;
5. Robert J House et al – Project GLOBE Professor at Wharton since 1988; 161
6. John P.Kotter „The General Managers“ NEW YORK, 2004;
7. Child J.Warner M. Culture and managmant in China Warner M(ed) Culture and Managmant in asia-London: routleadge, 2003;
8. https://nataliesun.wordpress.com/2010/05/24/motivaciis_zal/ http://gipanewscafe.net/_gipajsprma2015/_gipajsprma2

ORGANIZATIONAL CULTURE FORMATION AND SECURITYTRENDS

Ghambashidze Tamar
Associated professor
of Georgian Technical University

Summary

The importance of company culture. Company culture is important for 3 fundamental reasons: It influences the type of employees in the organization and whether they stay or leave. It establishes a set of norms that govern the efficiency of the workplace. Organizational culture is a system of shared assumptions, values, and beliefs that governs how people behave in organizations. The culture of an organization provides guidelines for how people in the organization behave in the course of performing their jobs. Corporate culture refers to the shared values, attitudes, standards, and beliefs that characterize members of an organization and define its nature. Corporate culture is rooted in an organization's goals, strategies, structure, and approaches to labor, customers, investors, and the greater community. An good IT support company is integral to the success of your business. ... They'll be able to supply you with, and install, high quality telecoms, IT systems, network and DSL services which will maximise the efficiency of your business and eliminate any IT issues before they become massive problems. A corporate identity or corporate image is the manner which a corporation, firm or business presents themselves to the public (such as customers and investors as well as employees).

Key words: *encouragement, motivation the immune system, safety mechanism/mechanism of safety general.*

INNOVATIVE TECHNOLOGIES - TO ENSURE THE QUALITY OF EDUCATION

Kurashvili Guguli
GTU, Associate Professor

Beridze Tamari
GTU, Professor

Chelidze Medea
GTU, Associate Professor

Innovative technologies are key tools in competition with other social institutions. The current socio-economic situation is important not only for content, but also for the form and technology of teaching young people to have a positive attitude to education. Modern technology is a direct path to educational and scientific integration. This is a key tool to improve the quality of learning.
Keywords: Innovative technologies, education, development.

The innovative nature of education is becoming an essential tool in its competition with other social institutions. In the current socio-economic situation, not only content, but also forms, learning technologies are important for creating a positive orientation of young people towards education.

The concept of "education" in the modern world is associated with the interpretation of such terms as "training", "education", "development". In a broad sense, creating new is innovation.

The concept of "education" in the modern world is associated with the interpretation of such terms as "training", "education", "development". In a broad sense, creating new is innovation.

Thus, education at its core is already an innovation [1]. The current concept of reform and modernization of education places all the difficulties in its implementation on the state and, first of all, on educational institutions, giving them the opportunity not only to independently conduct financial and economic activities in the field of education, but also responsibility. The implementation of the national educational project, improving the quality of education, introducing specialized and distance learning, new information and communication technologies in the educational process and the management process, providing the material base, new principles of financing and independent management - this is not a complete list of tasks that will fall on the shoulders of managers and managers of educational institutions.

The development of new methods and channels of education is becoming an urgent need. Improving the quality, accessibility, effectiveness of education, its continuous and innovative nature, the growth of social mobility and youth activity, its inclusion in various educational environments make the education system an important factor in ensuring the national security of Georgia and Azerbaijan, and the growth of the well-being of their citizens.

Innovations in education, first of all, should be aimed at creating a personality that is set up for success in any field of application of its capabilities. Pedagogical innovations should mean a purposeful, meaningful, definite change in pedagogical activity (and the management of this activity) through the development and introduction of educational and managerial innovations in educational institutions (new content of training, education, management; new ways of working, new organizational forms, etc.) Accordingly, the development of innovative processes is a way to ensure the modernization of education, improve its quality, efficiency and accessibility.

Innovation in education is understood as the process of improving pedagogical technologies, a set of methods, techniques and teaching aids. Currently, innovative pedagogical activity is one of the essential components of the educational activity of any educational institution. And this is no coincidence. It is innovation activity that not only creates the basis for creating the competitiveness of an institution in the educational services market, but also determines the direction of the teacher's professional growth, his creative search, really contributes to the personal growth of students. Therefore, innovative activity is inextricably linked with the scientific and methodological activity of teachers and educational research pupils.

Innovations in education are introduced directly into the organization of the educational process, in programs and methods. Changes may affect pedagogical activity, financing system and education quality assessment. In modern society, education is objectively of great importance. Hence - the next stage in the search for promising areas of its development. And this is even more relevant, since the education system currently survives mainly due to the internal margin of safety created in former times.

Innovation is an implemented innovation with high efficiency. It is the end result of human intellectual activity, his imagination, creative process, discoveries, inventions and rationalization in the form of new or dif-

ferent from previous objects. They are characterized by the introduction on the market of completely new (improved) products (services) of human intellectual activity, which have higher scientific and technical potential, new consumer qualities, which over time, in turn, become an object for improvement. Innovative methods - methods based on the use of modern achievements of science and information technology in education. They are aimed at improving the quality of training by developing students 'creative abilities and independence (methods of problem and projective teaching, research methods, training forms that provide for the updating of students' creative potential and independence). Innovative methods can be implemented both in traditional and in distance learning technology.

Intra-subject innovation: that is, innovations implemented within the subject, due to the specifics of its teaching. An example is the transition to new educational and methodological complexes and the development of proprietary methodological technologies.

General methodological innovations: these include the introduction into pedagogical practice of non-traditional pedagogical technologies that are universal in nature, since their use is possible in any subject area. For example, the development of creative assignments for students, project activities, etc. Administrative innovations: these are decisions made by managers at various levels, which ultimately contribute to the effective functioning of all subjects of educational activity. Ideological innovations: these innovations are caused by the renewal of consciousness, the trends of the time, are the foundation of all other innovations, since without awareness of the need and importance of priority updates it is impossible to proceed directly to the update [2].

The problem of the effectiveness of innovative activity existing in modern pedagogical science is largely a consequence of misunderstanding and distortion of the essence of the term "innovation" itself. Innovation is a new one, designed to ensure the gradual development, improvement of the system, its transition to a qualitatively new state in the existing conditions. Innovations are implemented at the expense of the resources of the system itself and are aimed at its complete change - this is their fundamental importance. They are not limited only to the negation of the old, generally accepted, conservative, suggesting a focused nature of innovations and their orientation towards stability.

Method Portfolio (Performance Portfolio or Portfolio Assessment) is a modern educational technology, which is based on the method of authentic assessment of the results of educational and professional activities. This method is most often correlated with the field of education, although in the broad sense of the concept it is applicable to any practice-effective activity. Translated from Italian "portfolio" - portfolio. The portfolio method arose in the West from problem-based learning. The basis of this method is the technology of collecting and analyzing information about the learning process and the results of educational activities. A portfolio is a systematic and specially organized collection of evidence that serves as a way of systemic reflection on one's own activity and presentation of its results in one or more areas for the current assessment of competencies or competitive entry into the labor market. The types of practical and productive activities at the university distinguish between educational and professional portfolios [3].

The method of problem presentation is a method in which the teacher, using a variety of sources and means, poses a problem, formulates a cognitive task before setting out the material, and then, revealing a system of evidence, comparing points of view, various approaches, shows a way to solve the problem. Students, as it were, become witnesses and accomplices of scientific research.

The project method is a learning system in which students acquire knowledge and skills in the process of planning and completing gradually complicated practical tasks-projects. Problem-search teaching methods (assimilation of knowledge, development of skills) are carried out in the process of partially search or research activities of students; It is realized through verbal, visual and practical teaching methods, interpreted in the key of setting and resolving a problem situation. Research work of students, built into the educational process - such work is carried out in accordance with the curriculum and curriculum programs without fail; this type of research activity of students includes independent performance of classroom and homework with elements of scientific research under the guidance of a teacher (preparation of essays, essays, analytical works, translations of articles, etc .; preparation of reports on educational and practical practices, implementation of term papers and final qualification works); the results of all types of research activities of students, built into the educational process, are subject to monitoring and evaluation by the teacher.

Problem-based learning - 1) a technology aimed primarily at "stimulating interest". Training consists in creating problem situations, in recognizing and resolving these situations during the joint activities of students and the teacher with optimal student independence and under the general guidance of the teacher; 2) active developmental training based on the organization of search activities of students, on the identification and resolution by them of real life or educational contradictions. The foundation of problem-based learning is the advancement and substantiation of a problem (a complex cognitive task of theoretical or practical interest). There are three levels of problematicness in the educational process: problematic presentation, partial search and research levels.

Practice-oriented projects - a feature of this type of project is the preliminary formulation of a clear, meaningful, practical student result expressed in material form: preparation of a magazine, newspaper, reader, video, computer program, multimedia products, etc. The development and implementation of this type of project requires detail in the study of the structure, in determining the functions of the participants, intermediate and final results. This type of project is characterized by tight control by the coordinator and the author of the project.

Creative projects - their feature is that they do not have a predefined and detailed structure. In a creative project, the teacher (coordinator) defines only general parameters and indicates the optimal ways to solve problems. A prerequisite for creative projects is a clear statement of the planned result, significant for students. The specifics of such a project involves intensive work of students with primary sources, with documents and materials, often contradictory, not containing ready-made answers. Creative projects stimulate the maximum activation of cognitive activity of students, contribute to the effective development of skills and abilities to work with documents and materials, the ability to analyze them, draw conclusions and generalize.

Lecture-visualization - when reading a lecture-visualization, the principle of visibility is respected; A lecture is information transformed into a visual form. The video sequence, being perceived and conscious, can serve as a support for adequate thoughts and practical actions. The video sequence should not only illustrate oral information, but also be a carrier of meaningful information. In preparation for the lecture, the content should be transcoded into a visual form. Visibility can be expressed in different forms: natural materials, visual (slides, drawings, photos), symbolic (diagrams, tables). It is important to observe: visual logic and rhythm of the material, dosage, communication style [4].

The fundamental position of the new philosophy is the installation on the individual in the relationship "man-man", on the value perception of the individual and the world. Innovative activity in the educational sphere is all the more complex and responsible, which is associated with the high importance of the human factor. In pedagogy, as you know, the main contradiction arises in the field of personality development. Innovations in education begin with respect for the individuality of the student and the transformation of the traditional model of teacher-student relations into a person-person model, which imposes a kind of taboo on the idea of a child as a vessel to be filled, as a “set of mental processes” that to be developed.

The purpose of innovative activity is a qualitative change in the student’s personality compared to the traditional system. This becomes possible due to the introduction of didactic and educational programs not known to practice in professional activities, involving the removal of the pedagogical crisis. The development of the ability to motivate actions, to navigate independently in the information received, the formation of creative unconventional thinking, the development of children through the maximum disclosure of their natural abilities, using the latest achievements of science and practice, are the main goals of innovation. Innovative activity in education as a socially significant practice aimed at the moral self-improvement of a person is important in that it is capable of transforming all existing types of practices in society.

Given the transition to a global informative society and the formation of knowledge, it is possible to speak about the adequacy of education to the socio-economic needs of the present and the future only if its modernization will be based not only and not so much on organizational innovations, but on changes in essence - in the content and training technologies and research preparation. As a social institution that reproduces the intellectual potential of a country, education should have the ability to accelerate development, meet the interests of society, a specific individual and potential employer.

The scientific basis of teaching is the very foundation without which it is impossible to imagine modern education. It is this kind of education that enhances the personal, and in the future, professional self-esteem of the graduate, transfers him a significant part of the cultural and social standards of society. The results of a quality higher education are not just literacy, close to one or another profession. This is a combination of education and behavioral culture, the formation of the ability to think independently and competently, and in the future to work, study and relearn independently. It is from this that modern ideas about the fundamental nature of education are now proceeding.

As follows from the above, innovation is a direct path to the integration of education, science and production, adequate to the knowledge economy. At the same time, innovations in all aspects: organizational, methodological and applied, are the main tools for improving the quality of education.

References

1. Based on materials from the Specialized Educational Portal Innovations in Education http://sinncom.ru
2. Internet magazine "Eidos"// http://www.eidos.ru/journal
3. Zagvozdkin V.K. Child psychology // http://www.childpsy.ru
4. Suvorina V.G. Networked learning communities// http://www.openclass.ru
5. Gorbacheva V.G. Fundamentals of innovative processes in educational activities http://www.ibl.ru/
6. **Innovative Learning Strategies For Modern Pedagogy** *https://www.teachthought.com/the-future-of-learning/10-innovative-learning-strategies-for-modern-pedagogy/*

ინოვაციური ტექნოლოგიები – განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად

ყურაშვილი გუგული
სტუ, ასოცირებული პროფესორი

ბერიძე თამარი
სტუ, პროფესორი

ჭელიძე მედეა
სტუ, ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ინოვაციური ტექნოლოგიები უმთვრესი ინსტრუმენტებია სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან კონკურენციისას. თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არამარტო შინაარსით, არამედ სწავლების ფორმითა და ტექნოლოგიებითაც აუცილებელია ახალგაზრდებისათვის განათლებისადმი პოზიტიურად განწყობისათვის. სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიებია პირდაპირი გზა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინტეგრაციისაკენ. ეს არის ძირითადი ინსტრუმენტი სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საკვანძო სიტყვები: *ინოვაციური ტექნოლოგიები, განათლება, განვითარება*

სოციალური მეწარმეობის კვლევის მეთოდოლოგია და გავლენა საქართველოს სოციალური ამოცანების გადაწყვეტაზე

შენგელია თემურ
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის პროფესორი,
„საერთაშორისო ბიზნესის“ კათედრის ხელმძღვანელი

სოციალური მეწარმეობა დღეისათვის წარმოადგენს ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას. მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე მისი მიზანი არა მხოლოდ მოგების მიღება, არამედ სოციალური სიკეთეების შექმნაა [1; 2, გვ. 335].

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში" ხაზგასმულია სოციალური მეწარმეობის განვითარების მნიშვნელობა ქვეყანაში არსებული უმწვავესი სოციალური პრობლემების გადაჭრის საქმეში. სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულება სოციალურად სენსიტიური ჯგუფების მხარდაჭერა, მათთვის სამუშაო ადგილების შექმნაა, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას სოცილური მეწარმეობის განვითარების გზით.

ამასთან, ქვეყანაში დღესაც არ არის მკაფიო წარმოდგენა სოციალური მეწარმეობის როლსა და ფუნქციებზე, უფრო მეტიც, არ არსებობს ამ თვალსაზრისით ღრმად გააზრებული, სისტემური პოლიტიკა. სამეცნიერო წრეებში ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული „‡"', ›†' მეწარმეობისნ სწორი და ერთგვაროვანი გაგება. ხშირად სოციალურ მეწარმეობა გაიგივებულია მეცენატობასთან, ამ სფეროში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობასთან, რაც, თავის მხრივ, ართულებს სწორი სოციალური პოლიტიკის შემუშავებას.

ნაშრომში განხილულია სოცილური მეწარმეობის არაერთგვაროვანი გაგების, მეთოდოლოგიური გაზომვის საზღვარგარეთის გამოცდილება და მისი შესაძლებლობების რეალიზაცია საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: სოცილური მეწარმეობა, კვლევის მეთოდოლოგია, განსხვავებული მიდგომები, მნიშვნელობა საქართველოში.

სოციალური მეწარმეობა, როგორც ბიზნესის ფენომენი

ზოგადად ცნობილია სოციალური მეწარმეობის რამდენიმე შემადგენელი. ესენია: უშუალოდ მეწარმეობა, რომლის მიზანია რისკზე დაფუძნებული მოგების მიღება და სახელმწიფოს სოციალური საქმიანობა, რომლის მიზანია სოციალური ამოცანების გადაწყვეტა. ამ ძირითადი შემადგენლებიდან გამომდინარე განსხვავებულია სოციალური მეწარმეობის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ასპექტები.

ცხადია, რომ მეწარმეობის ძირითადი ფუნქცია იმ ახალი შესაძლებლობების შექმნაა, რომელიც ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას. ის მოიცავს იმ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლის მიზანი კონკურენტუნარიანი ბიზნესის შექმნა, მოგების მიღებაა [1, გვ. 47]. მეწარმე არის ინდივიდი, რომელიც უპირველეს ყოვლისა საქმიანობს საკუთარი თავისთვის, თუმცა მისი მოგება, ა. სმიტის მიხედვით, ტრანსფორმირდება საზოგადოებრივ (სოციალურ) სიკეთეებში[4].

ფრანგი განმანათლებელი ჟან ბატისტ სეი მიიჩნევდა, რომ „მეწარმე ახდენს ეკონომიკური რესურსების ტრანსფორმაციას“, ხოლო ჯონ დისი სწორად მიუთითებს, „რომ მეწარმეები ქმნიან ღირებულებას“, რომელიც შემდეგ განიცდის ტრანსფორმაციას სოციალურ სიკეთეებში. ის წერდა „მეწარმეები ჯ.შუმპეტერის მიხედვით, არიან ეკონომიკის რეფორმატორები, რომლებიც ხელს უწყობენ მის განვითარებას.“ [5. გვ. 39–40.]

პიტერ დრუკერს არ მიაჩნია რომ მეწარმეები ქმნიან ცვლილებებს, ის თვლის, რომ ისინი იყენებენ ცვლილებათა შედეგებს (ტექნოლოგიურს, სოციალურს და სხვა)[6, გვ.67-68]. ჰარვარდის ბიზნესის სკოლის პროფესორი ჰ.სტივენსონი ასკვნის, რომ მეწარმეები არა მხოლოდ ეძებენ შესაძლებლობებს, არამედ ქმნიან მათი რეალიზაციის გზებს, ახდენენ სხვისი რესურსების მობილიზებას საკუთარი ამოცანების გადასაწყვეტად [7, გვ. 62].

კომერციული მეწარმეობა არის ორიენტირებული საბაზრო მექანიზმებზე და მისი ძირითადი მიზანი მოგების მიღებაა. მაშინ, როდესაც სოციალური მეწარმეობის მიზანი არის სოციალური

ამოცანების გადაწყვეტა. მეწარმეობა არ ეწინააღმდეგება ამ ამოცანებს, ის სავსებით თავსებადია სოციალურ ეკონომიკასთან, რომლის რეალიზაციის ერთ-ერთ ფორმად გვევლინება. სოციალური საწარმოს მიერ შექმნილი ღირებულება მოიხმარება უშუალოდ საზოგადოების მიერ, ემსახურება მისი ინტერესების დაკმაყოფილებას და ახლავს ისეთი პოზიტიური შედეგები, როგორიცაა: სამუშაო ადგილების შექმნა, სენსიტიური ჯგუფების დასაქმება და სხვა.

სოციალური საწარმოო ქმნის სოციალურ ღირებულებას, ის იძლევა სოციალური პრობლემების გადაჭრის გზებს, რომლებიც განსხვავებულია ფილანტროპიისგან. სოციალური მეწარმეობა გვთავაზობს სოციალური ამოცანების გადაწყვეტის სრულიად ახალ მექანიზმს, რომელიც სცდება ფილანტროპიის მიზნებს და სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკას.

ნავარის უნივერსიტეტის კვლევაში [8] ასახულია სოციალური მეწარმეობის მოტივაცია:

- სოციალურ მეწარმეებს ამოძრავებთ საზოგადოებრივი ცვლილებებისაკენ სწრაფვა;
- სოციალურ მეწარმეებს შეუძლიათ გამოიყენონ, როგორც კომერციული, ასევე სოციალური შესაძლებლობები;
- სოციალური მეწარმეები ორიენტირებულები არიან სოციალური ღირებულების შექმნაზე.

გრეგორი დისმა სოციალური მეწარმე განმარტა, როგორც სოციალური აგენტი, რომლის მიზანია საზოგადოების გარდაქმნა, ახალი სოციალური ღირებულებების შექმნა [9], ხოლო ჰარვარდის ბიზნესის სკოლის პროფესორების რ. მარტინისა და ს. ოსბერგის აზრით, სოციალური აქტივისტებისაგან განსხვავებით, სოციალური მეწარმეები ქმნიან პროდუქტს ან მომსახურებას [10].

„სოციალური მეწარმეობის“ თეორიული საფუძვლები

სოციალური მეწარმეობის ერთ-ერთ პირველ დამფუძნებლად მიიჩნევა ბრიტანელი მოწყალების და ფ. ნაიტინგეილი, რომელიც იბრძოდა სამხედრო ჰოსპიტალებში პირობების გასაუმჯობესებლად, რის შედეგად იქ 20-ჯერ შემცირდა სიკვდილიანობა. ამავე მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რ. ზაფარმა, რომელიც ცდილობდა ქალების ეკონომიკური უფლებების გაუმჯობესებას პაკისტანში, რისთვისაც მან გახსნა ათასი მიკროსაკრედიტო ორგანიზაცია [11, გვ. 51–53.].

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მეწარმეობის პრაქტიკა არ არის ახალი, მისი კვლევა რამდენიმე ათეული წლის წინ დაიწყო. დღეისათვის არ არსებობს სოციალური მეწარმეობის, როგორც ტერმინის ერთიანი პარადიგმა [12,გვ. 373]. უფრო მეტიც, განსხვავებულია ის მეთოდები (რაოდენობრივი და ხარისხობრივი), რომლებიც გამოიყენება სოციალური მეწარმეობის კვლევის პროცესში. სოციალური მეწარმეობის პრობლემის მიმართ დიდი ინტერესის მიუხედავად, სამეცნიერო კვლევები ამ დარგში ერთობ მოკრძალებულია. მცირეა იმ სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა, რომლებიც ეხება სოციალურ სფეროში სამეწარმეო აქტივობის პრობლემატიკას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი კვლევა ავსებს ამ დანაკლისს [13].

დღეისათვის არსებული რაოდენობრივი კვლევები არ იძლევა სოციალური მეწარმეობის ემპირიული შესწავლის ზუსტ შედეგებს. აქ თავს იყრის რამდენიმე მეთოდოლოგიური პრობლემა, რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესია სოციალური მეწარმეობის გაზომვის საკითხი, რომლის გადასაწყვეტად აუცილებელია სხვადასხვა ქვეყანაში ერთიანი მეთოდოლოგიური კონსენსუსის მიღწევა.

სოციალური მეწარმეობის გაზომვის გლობალური ინსტრუმენტის მიღწევა პრობლემურია რამდენიმე მიზეზის გამო:

- სხვადასხვა ქვეყნებში არსებობს სოციალური მეწარმეობის განსხვავებული გაგება.
- ზოგადად, ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის განმარტებები ერთგვაროვანია, მაგრამ არსებობს მათი განსხვავებული ინტერპრეტაცია.
- განსხვავებულია სოციალური მეწარმეობის მიზნები და ამოცანები.
- ამ საკითხების ფუნდამენტური კვლევა წარმოდგენილია ნაშრომში [14].

სოციალური მეწარმეობა სუსტად ინსტიტუციონალიზებულია, პრაქტიკოს-სპეციალისტების მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მის იმ ასპექტს, რომელიც ეხება სოციალური მეწარმეობის დარგში ცალკეულ ქვეყნებში დაგროვილ გამოცდილების შესწავლას.

სამეცნიერო გამოკვლევაში [15] ყურადსაღებია ნაშრომები (152 სტატია და წიგნი) გამოქვეყნებული დიდ ბრიტანეთში სოციალური მეწარმეობის პრობლემაზე. უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში ამ პრობლემას აანალიზებს მეცნიერული სტატიები სხვადასხვა მიმართულების ჟურნალებში: მენეჯმენტში - 26%, პოლიტოლოგიაში - 10%, ეკონომიკაში - 9%, მარკეტინგში - 6%, სოციოლოგიაში - 5%. ავტორები აკეთებენ ზოგად დასკვნას იმის შესახებ, რომ სოციალური მეწარმეობის დარგში კვლევები დისციპლინათშორისი ხასიათისაა [15, გვ 104]. სამეცნიერო სტატიებში ძირითადად გამოიყენება აღწერილობითი, პროგნოსტიკული და ანალიტიკური კვლევის მეთოდები.

აღწერილობით კვლევებში წარმოდგენილია სოციალური მეწარმეობის სფეროში არსებული მდგომარეობა, ანალიტიკური ადგენს იმ ურთიერთკავშირს, რომელიც არსებობს სოციალურ

მეწარმეობასა და სხვა სოციალურ სფეროებს (მაგალითად ეკონომიკას) შორის, პროგნოზტიკულში წარმოდგენილია სოციალური მეწარმეობის განვითარების მოსალოდნელი შედეგები.

ამდენად, სოციალური მეწარმეობის ხარისხობრივი კვლევის მეთოდების დროს გამოიყენება დასაბუთებული თეორიები, ინტერპრეტაცია, ხოლო რაოდენობრივი კვლების დროს: კორელაცია, აღწერითი სტატისტიკა, რეგრესია, რანჟირება, T-test, კლასტერული ანალიზი.

ნაშრომის [16] ავტორები ამტკიცებენ, რომ თავიანთი არსებობის პირველ ათწლეულში სოციალური მეწარმეობის ხასიათის ნაშრომები იყო აღწერილობითი და არა პროგნოსტიკული ხასიათის. ამ საფუძველზე ისინი აკეთებენ ზოგად დასკვნას, რომ ამის გამო, სოციალური მეწარმეობის კვლევა დაწყებით სტადიაზე იმყოფება, რასაც არ შეაქვს სიცხადე სოციალური მეწარმეობის ფენომენის კვლევაში. ამავე კვლევაში აღინიშნება, რომ რაოდენობრივი კვლევების სიმცირე განპირობებულია ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობით.

ცალკეულ კვლევებში სტატისტიკური მონაცემები მიიღება ინტერვიურების ან გამოკითხვის და არა სტატისტიკური დაკვირვების გზით. სოციალური მეწარმეობის კვლევის პროცესში ვერ მივიღებთ ზუსტ მონაცემებს მანამ, სანამ თეორიული მიგნებები არ გახდება ნათელი და ერთგვაროვანი, ხოლო ჰიპოტეზების აგება და შემოწმება რაოდენობრივი მეთოდების საფუძველზე შესაძლებელი.

მომავლის კვლევებში უნდა გაფართოვდეს სოციალური მეწარმეობის კონცეფციის საზღვრები. მაგალითად, პერედო და კრისმანი [17, გვ. 216-217] აფართოებენ სოციალური მეწარმეობის ჩარჩოებს და სწავლობენ მის თავისებურებებს სოციალურ თემებში, რითაც თეორიულ მიგნებებს უკავშირებენ კომერციულ მეწარმეობას, ანტროპოლოგიას, სოციალურობის თეორიას. ისინი ავლებენ იმ ზღვარს, რომელიც არსებობს სტანდარტულ და თემებში არსებულ მეწარმეობას შორის. მათ მოდელში ეკონომიკური ფაქტორები ინტეგრირებულია სოციალურ კაპიტალთან, რაც კარგად ვლინდება თემების კვლევის პროცესში.

სოციალური მეწარმეობის განვითარების პრობლემები საქართველოში

საქართველოში მზარდი პოპულარობით სარგებლობს სოციალური მეწარმეობა, თუმცა, აღნიშნულ ბიზნესმოდელს პრაქტიკულად მხოლოდ არასამთავრობო სექტორი იყენებს.

სოციალურ მეწარმეობას, საქართველოში აქვს თავისებურებანი და ის აღიქმება, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმების საშუალება, მაშინ, როდესაც სოციალური მეწარმეობის აქტივობის სპექტრი ძალიან ფართოა.

საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს სოციალური მეწარმეობის განმსაზღვრელი ოფიციალური იურიდიული ტერმინი და მისი მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა ან მექანიზმები. შესაბამისად, ნებისმიერ ორგანიზაცია ან კომპანია სტატუსს „სოციალური საწარმო“, იყენებს ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად, ხოლო საკანონმდებლო ბაზის სისუსტის პირობებში დონორი ორგანიზაციები ან ფიზიკური პირები, რომელთაც სურთ სოციალური პროექტის განხორციელებაში წვლილის შეტანა, ვერ ახერხებენ იმის დადგენას რეალურად სოციალურ საწარმოსთან, თუ მეწარმეობის სხვა ფორმასთან აქვთ შეხება. ამისათვის დონორები ქმნიან საკუთარ სტანდარტებს და კრიტერიუმებს.

საქართველოში სოციალური მეწარმეობის აქტუალიზაცია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ მოხდა. მათი საგრანტო პროგრამების საშუალებით დაფუძნდა 70-მდე სოციალური საწარმო. თითქმის ყველა საწარმოს შემთხვევაში, მათი სოციალური მისია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმებაში მდგომარეობს, ეს ბუნებრივია, რადგანაც ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის ამ ფენის სოციალური ინტეგრაცია დაბალია. საქართველოს კანონმდებლობით გრანტის მიღების უფლება არ აქვთ მოგებაზე ორიენტირებულ იურიდულ პირებს (სს, შპს) თუ ის საგანმანათლებლო დაწესებულება არ არის. შედეგად, სოციალური მეწარმეობით დაკავებულნი არიან მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები.

აღსანიშნავია, რომ სოციალური საწარმოები ვერ ახერხებენ ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას. ამის მიზეზები მრავალია:

1) სამოქალაქო სექტორში ნაკლებადაა წარმოდგენილი კომერციულად მოაზროვნე ადამიანური რესურსები, მათ არ აქვთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება;

2) საქართველოში არ არსებობს სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემა, რაც ხელს შეუწობს მის განვითარებასა და შენარჩუნებას.

3) სოციალური მეწარმეობა არ არის ინტეგრირებული განათლებაში და ასევე შეზღუდულია ხელმისაწვდომობა ფინანსებზე.

ამით არის განპირობებული ის, რომ სოციალური საწარმოები საქართველოში დღემდე დონორ ორგანიზაციებსა და ფონდებზე არიან დამოკიდებულნი.

იმავე განმარტებაში მეუფე ზოსიმე აღნიშნავს, რომ: „ადამიანურ იგავებს შორის არ არის იმათზე უფრო უკეთესი, რომლებსაც ჩვენ ვკითხულობთ ბიბლიაში, ხოლო ბიბლიურ იგავთა შორის არ მოიძებნება უფრო უკეთესი, ვიდრე უფალი ჩვენი იესო ქრისტეს იგავები. ისინი მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელია ყოველი ასაკისა და მდგომარეობის ადამიანისთვის, ადვილად გასაგებია პატარა ბავშვისთვისაც კი, მაგრამ თითოეულ მათგანში ბევრი რამაა ისეთი, რაზეც შეუძლია ჩაფიქრება ყველაზე ღრმად მოაზროვნე ადამიანსაც კი. უფალი საუბრობს იგავებით იმისათვის, რათა თავისი სიტყვები გახადოს უფრო გამომხატველი, ჭეშმარიტებას შემოსოს ცოცხალი სახე, ღრმად აღბეჭდოს იგი ჩვენს აზროვნებაში, და თვალისთვისაც გახადოს დასანახი. **იგავი მარტო გონებაზე კი არ მოქმედებს, არამედ გულზეც და მსმენელის წარმოსახვაზეც, ამიტომ ჭეშმარიტება, როგორც სურათი, ადვილად ინახება მახსოვრობაში.** თუმცა ზოგჯერ მსმენელები იგავის შინაარსს ვერ ხვდებოდნენ, მაგრამ თვით იგავი მათში მაინც რჩებოდა, როგორც კეთილი თესლი, რომელიც მაშინვე ღვივდებოდა, როგორც კი გულს შეეხებოდა ყოველივეს განმაცხოველებელი მადლი სული წმიდისა" [4. გვ.1].

იესო ქრისტეს იგავები თამამად შეიძლება მივიჩნიოთ წინასახედ კონკრეტული სიტუაციების მეთოდისა (case-study), რომელიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში. პირველად ეს მეთოდი გამოიყენეს ჰარვარდის უნივერსიტეტში 1924 წელს.

„ქეისი" (შემთხვევა, საქმე, გარემოება, სამეურნეო სიტუაცია) – ეს არის მაგალითი, რომელიც აღებულია რეალური სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი საქმიანობიდან. იგავების მსგავსად, იგი გადმოცემულია ტექსტის სახით, რომლის გაცნობის შემდეგ აუდიტორიაში (ლექტორი, სტუდენტები, მსმენელები) ხდება სიტუაციის გარჩევა, დასკვნების ჩამოყალიბება და სამოქმედო გეგმის დასახვა [5. გვ.123-124].

დღეისათვის კონკრეტული სიტუაციების გარჩევა და შესაბამისი დებატები მსოფლიოს მოწინავე ეკონომიკური და ბიზნეს-ფაკულტეტების ერთ-ერთ უმთავრეს სასწავლო მეთოდს წარმოადგენს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ მეთოდს (რიგ შემთხვევებში - იგავური ინტერპრეტაციით) ჩვენ ინტენსიურად ვიყენებთ საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში 1992 წლიდან.

განვიხილოთ ჩვენი თემისათვის მნიშვნელოვანი, იესო ქრისტეს რამდენიმე იგავი.

ეკონომიკურ-მმართველობით საქმიანობაში, კერძოდ, მშენებლობაში ეკონომიკურ-ეკოლოგიური კომპეტენტურობის აუცილებლობაზე მიგვითითებს იესო ქრისტეს იგავი გონიერი და უგონო მშენებლების შესახებ. აქ მაცხოვარი გვასწავლის: „ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ, მე ვამსგავსებ გონიერ კაცს, რომელმაც კლდეზე დააშენა თავისი სახლი. და მოვიდა წვიმა, მოვარდნენ მდინარენი, დაქროლეს ქარებმა და ეკვეთნენ ამ სახლს, მაგრამ ვერ დასცეს, ვინაიდან კლდეზე იყო დაფუძნებული. და ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს, მაგრამ არ ასრულებს მათ, მე ვამსგავსებ უგუნურ კაცს, რომელმაც ქვიშაზე ააშენა თავისი სახლი. და მოვიდა წვიმა, მოვარდნენ მდინარენი, დაქროლეს ქარებმა და ეკვეთნენ ამ სახლს და დასცეს; და დიდი იყო დაცემა მისი" [3. მათ. 7, 24-27, გვ. 965].

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ამ სიბრძნის უგულვებელყოფის გამო დღეს ჩვენშიც და მთელ მსოფლიოშიც მრავალი ეკონომიკურ-მმართველობითი და ეკოლოგიური პრობლემა არის გამწვავებული. ისიც დამაფიქრებელია, რომ დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოს ეკონომიკას „ქვიშიან" (არა წარმოებაზე დაფუძნებულ) ნიადაგზე ვაშენებთ, რაც ჩვენი „სოციალურ-ეკონომიკური სახლის" გარდუვალ დაცემას გამოიწვევს.

იგავში ხორბლისა და ღვარძლის შესახებ მაცხოვარი გვასწავლის: „ცათა სასუფეველი მსგავსია კაცისა, რომელმაც დათესა კეთილი თესლი თავის ყანაში. ხოლო როდესაც ეძინა ხალხს, მოვიდა მისი მტერი, ღვარძლი ჩათესა ყანაში და წავიდა. და როდესაც აღმოცენდა ჯეჯილი და თავთავი დაისხა, მაშინ გამოჩნდა ღვარძლიც. მივიდნენ მონები ყანის პატრონთან და უთხრეს: ბატონო, შენ ხომ კეთილი თესლი დათესე ყანაში; საიდანა აქვს ღვარძლი? ხოლო მან უთხრა მათ: მტერმა ქნა ეს. მონებმა კი უთხრეს: თუ გნებავს, მივალთ და გავმარგლავთ ყანას. ხოლო მან თქვა: არა, რათა მარგვლისას ღვარძლს ჯეჯილიც არ მიაყოლოთ. აცადეთ, ერთად იზარდონ მკამდე; ხოლო მკისას ვუბრძანებ მომკალთ: თავდაპირველად შეკრიბეთ ღვარძლი, ძნებად შეკარით და ცეცხლი წაუკიდეთ, ხორბალი კი შეინახეთ ჩემს ბეღელში" [3. მათ. 13, 24-30. გვ. 971-972].

ამ იგავში გადმოცემულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სრული პროცესი; აღწერილია ხორბლის დათესვა, გარე ფაქტორების მავნე ზეგავლენა ყანის მდგომარეობაზე, ჯეჯილის მოვლა-გაფრთხილება, მოსავლის აღება-დაბინავება, ზოგადი მემეჯმენტი, ხელმძღვანელის და ხელქვეითების ურთიერთობა, ადამიანური რესურსების მართვა, თვითმენეჯმენტი.

ბიზნესის უფლისმიერ წახალისებას ასახავს იგავი ტალანტებზე [3.მათ. 25, 14-30, გვ. 985]. მასში გადმოცემულია შემდეგი კონკრეტული სიტუაცია. ერთმა კაცმა შორს გამგზავრებისას

მთელი თავისი ქონება მსახურებს ჩააბარა „და მისცა ერთს ხუთი ტალანტი, მეორეს - ორი, მესამეს - ერთი, თვითეულს მისი შეძლებისამებრ, და გაემგზავრა. ხოლო ხუთი ტალანტის მიმღები წავიდა, საქმეში დააბანდა ისინი, და ხუთი სხვა ტალანტიც მოიგო. ასევე ორი ტალანტის მიმღებმა მოიგო ორი სხვაც. ხოლო ერთი ტალანტის მიმღები წავიდა, მიწაში დაფლა ის, და დამალა თავისი პატრონის ვერცხლი“ [3. მათ. 25, 15-18, გვ. 985]. დიდი ხნის შემდეგ ქონების პატრონი დაბრუნდა და ანგარიში მოსთხოვა მსახურებს. მან შეაქო საქმიანი მსახურები და სხვა, უფრო დიდ საქმეში აღუთქვა ნდობა. შემდეგ იგი კიცხავს უკეთურ და მცონარა მსახურს და ეუბნება მას: „გმართებდა ვაჭრებისათვის მიგეცა ჩემი ვერცხლი, რათა დაბრუნებულს მიმეღო ჩემი სესხი მონაგებითურთ“ [3. მათ. 25, 27, გვ. 985]. პატრონმა დაითხოვა ეს მსახური და მისთვის მიცემული ვერცხლი გადასცა ათი ტალანტის მქონე, საქმიან მსახურს.

ამ იგავში ბიზნესის წახალისებასთან, ადამიანური რესურსების მართვასა და თვითმენეჯ-მენტთან ერთად კარგად არის გამოკვეთილი ზოგადი მენეჯმენტის ისეთი ფუნქციები, როგო-რიც არის მოტივაცია და კონტროლი.

სამეურნეო საქმიანობიდან ნამეტის მიღება უფლისმიერი კურთხევით თვით ბუნებრივ პროცესებში არის ჩადებული. მაგალითად, მთესავზე იგავში ნათქვამია, რომ: „გამოვიდა მთესავი თესვად. ხოლო თესვისას ზოგი მარცვალი გზის პირას დავარდა, და მოფრინდნენ ფრინველები და აკენკეს ისინი. ზოგიც ქვიან ადგილას დავარდა, სადაც ბლომად არ იყო მიწა, და მალე აღმოცენდა, ვინაიდან ნიადაგი არ იყო ღრმა. მაგრამ ამოვიდა თუ არა მზე, დაჭკნა, და რადგან ფესვი არ ჰქონდა, გახმა. ზოგი კიდევ ეკალ-ბარდებში ჩაცვივდა, და ამოვიდა ეკალი და ერთიანად მოაშთო ყველა. ხოლო ზოგი პოხიერ ნიადაგზე დაეცა და ნაყოფიც გამოიღო: ზოგმა ასი, ზოგმა სამოცი და ზოგმაც ოცდაათი“ [3. მათ. 13, 3-8, გვ. 971].

იგავში დათესვასა და აღმოცენებაზე მაცხოვარი გვეუბნება: „ღმრთის სასუფეველი იმასა ჰგავს, კაცი რომ თესლს ჩათესავს მიწაში, და სძინავს, და დგება დღისით თუ ღამით, და არკი იცის, როგორ აღმოცენდება და იზრდება თესლი. რადგანაც მიწას თავისთავად გამოაქვს ნაყოფი: ჯერ ღერო, შემდეგ თავთავი, ბოლოს, სავსე მარცვალი თავთავში. და როცა დამწიფდება თავთავი, მაშინვე გაგზავნის ნამგალს, ვინაიდან დამდგარა მკა“ [3. მარკ. 4, 26-29, გვ. 994].

აღსანიშნავია, აგრეთვე იგავი მდოგვის მარცვალზე, რომელშიც ნათქვამია: „ცათა სასუფეველი მსგავსია მდოგვის მარცვლისა, რომელიც აიღო კაცმა და დათესა თავის ყანაში; ეს მარცვალი ყოველნაირ თესლზე მცირეა, მაგრამ როცა ამოვა, ყველა მწვანილზე დიდი ხდება და ხედ იქცევა, ისე რომ, მოფრინავენ ცის ფრინველები და მის ტოტებზე იბუდებენ“ [3. მათ. 13, 31-32, გვ. 972].

ეკონომიკური საქმიანობის პროცესში ზოგიერთ ადამიანს დიდძალი ქონება უგროვდება. ბიბლიაში უხვად არის მაგალითები მდიდარი და ამასთან, მართალი, კეთილი, ქველმოქმედი და ღმერთისათვის სათნო ადამიანებისა. ასეთები არიან: აბრაამი, ისააკი, იაკობი, იოსები, დავითი, სოლომონი, იოსაფატი, იობი, იოსებ არიმათიელი, ზაქე და სხვ.

მაცხოვარი ჩვენი - იესო ქრისტე გვეუბნება: „ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულნი იქნებიან“ [3. მათ. 5, 7, გვ. 962].

სიმდიდრის კეთილად გამოყენებით ადამიანს შეუძლია ცათა სასუფეველს მიაღწიოს, უკეთური მდიდარი კი ჯოჯოხეთში ხვდება.

მაგალითად, იგავში მდიდარი კაცისა და ლაზარეს შესახებ მოთხრობილია თუ როგორ დაიმონა ადამიანი მოხვეჭილმა ქონებამ და ფულმა [3. ლუკ. 16, 19-31, გვ. 1033]. ამ მდიდარს არ ებრალებოდა მის ჭიშკართან მწოლიარე გლახაკი და ავადმყოფი ლაზარე. სიკვდილის შემდეგ ლაზარე ხვდება სამოთხეში, ხოლო მდიდარი - ჯოჯოხეთში. ამ იგავის მიხედვით მდიდარი ისჯება არა სიმდიდრის, არამედ ვერცხლისმოყვარეობის, სიბოროტეზე დაფუძნებული თვითმენეჯმენტის, გაუმაძღრობის, უკეთურობის და გლახაკთა შეუბრალებლობის გამო.

ზემოთ აღწერილთა გარდა, სტატიის თემატიკიდან გამომდინარე აღსანიშნავია იესო ქრისტეს შემდეგი იგავები: უმოწყალო გამსესხებელზე; ვენახის მუშებზე; ორ მოვალეზე; ბოროტ მევენახეებზე; ერთგულ სახლმმართველზე; გულმოწყალე სამარიტელზე; ფხიზელ მსახურებზე; მებაჟესა და ფარისეველზე; მდიდრის უგუნურებაზე; გზასაცდენილ შვილზე; ორგულ სახლ-მმართველზე; უსამართლო მოსამართლეზე; საუნჯეზე მინდორში; ძვირფას მარგალიტზე და სხვ.

სახარებებში გადმოცმულ იესო ქრისტეს იგავებში აღწერილია ქვეყნის სოციალურ-ეკო-ნომიკურ განვითარებასთან და ჩვენს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული ყველა მნიშ-ვნელოვანი საკითხი: ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობა; ზოგადი მენეჯმენტი და მისი ცალკეული ფუნქციები (დაგეგმვა, ორგანიზაცია, ლიდერობა, კონტროლი); ადამიანური რესურ-სების მართვა; თვითმენეჯმენტი; დროის მენეჯმენტი; ფინანსური მენეჯმენტი; მარკეტინგი; მო-გება და სხვ.

ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის კონკრეტული მაგალითების გააზრების მეშვეობით იესო ქრისტე გვიჩვენებს სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის ღვთივსულიერ საფუძვლებს და ცათა სასუფეველში ადამიანის დამკვიდრების გზებს.

მთლიანობაში, იესო ქრისტეს იგავებში, ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის კონკრეტული სიტუაციების განხილვა-გააზრების საფუძველზე ჩამოყალიბებულია სინერგიული სოციალურ-ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის ღვთივსულიერი საფუძვლები და ნაჩვენებია ზეციურ სასუფეველში მთელი ერისა და ყოველი ცალკეული ადამიანის დამკვიდრების გზები.

თეოლოგიური (ქრისტიანული) ეკონომიკა – საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სინერგიული კონცეფციის საფუძველი

ნებისმიერი საქმის წარმატება უშუალოდ არის დამოკიდებული გულმოდგინე გააზრების, დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, თვითმენეჯმენტის, სათანადო შესაძლებლობების გამოვლენისა და შესაბამისი ფინანსური სახსრებით უზრუნველყოფის სიავკარგეზე.

აქ მოვიხმოთ სახარებისეული სიბრძნე, რომლითაც გვმოძღვრავს და გვაფრთხილებს უფალი იესო ქრისტე იგავში კოშკის აშენების შესახებ: „თუ რომელიმე თქვენგანი კოშკის აგებას მოისურვებს, განა თავდაპირველად არ დაჯდება და არ გამოთვლის ხარჯს, რაც დასჭირდება მის დასრულებას? რათა, საძირკველს თუ ჩაყრის, მაგრამ ვერ შესძლებს დაასრულოს, მნახველებმა დაცინვა არ დაუწყონ მას, და არა თქვან: აი, კაცი, რომელმაც დაიწყო შენება და დასრულება კი ვერ შესძლოონ [3. ლუკ. 14, 28-30, გვ. 1031].

დღეს, ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში, ჩვენ სწორედ ასეთ საჩოთირო მდგომარეობაში აღმოვნდით, რაც მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზით არის გამოწვეული. ამ მიზეზთა შორის უპირველესად აღსანიშნავია ეკონომიკურ-მმართველობითი რეფორმების არაყოველმხრივი მეცნიერული და თეორიულ-მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა, რაც ფუნდამენტური ჭეშმარიტად ეროვნული, სინერგიული კონცეფციის არქონასა და იდეა-მოდელების უცხოთაგან კალკირებაში არის გამოხატული.

ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგად მიღებული დოვლათის განაწილება-გადანაწილებისათვის ფუძემდებლურს და სავალდებულოს უნდა წარმოადგენდეს იესო ქრისტეს სწავლება: „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა“ [3. მათ. 22, 21, გვ. 981]. მასში ასახულია ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის უმთავრესი ფუნქცია და ზნეობრივი ნორმაც. კეისრის (ხელისუფლების) მსახურება ხელს არ უნდა უშლიდეს ღმერთის ჭეშმარიტ მსახურებას და ზნეობრიობის აღსრულებას.

მთლიანად ბიბლიიდან და, კერძოდ, იესო ქრისტეს იგავებიდან ნათლად სჩანს, რომ ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობა თვით ღმერთის მიერ არის დადგენილ-წახალისებული და გვევლინება როგორც ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი. აქედან გამომდინარე, სავსებით მართებულად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თეოლოგიურ-საერო, სინერგიული გააზრების შესაძლებლობასა და აუცილებლობაზე. მით უფრო, რომ ცივილიზებულ დასავლეთში უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბდა ისეთი სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინები როგორიცაა: თეოლოგიური ეკონომიკა, თეოლოგიური სამეურნეო ეთიკა, ქრისტიანული ეკონომიკა, ქრისტიანული ბიზნესი, ქრისტიანული მართვა და სხვ.

უდიდესი ბიბლიური მცნების მიხედვით ყოველი ადამიანის და მთელი საზოგადოების ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობა ღმერთის და მოყვასის სიყვარულის უზენაეს გრძნობას უნდა ეფუძნებოდეს [3.მარკ. 12, 30-31, გვ. 1004-1005].

ჩვენი განმარტებით, თეოლოგიური (ქრისტიანული) ეკონომიკა ღვთისმეტყველურ-ეკონომიკური ხასიათის სამეცნიერო-სასწავლო დისციპლინაა. იგი შეისწავლის ეკონომიკურ-მმართველობით პროცესებში ადამიანის და საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო მატერიალური და სულიერი დოვლათის შექმნა-გამოყენების სინერგიულ გზებს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც ზეციურ სასუფეველში ადამიანის და ერის სამარადჟამო ნეტარებას უზრუნველყოფს.

ქრისტიანული ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის უმთავრესი პრინციპია - ფასეულობათა სიმართლით (ღვთივდადგენილი ზნეობით) მოპოვება და სიკეთეში გამოყენება.

თეოლოგიურ-ქრისტიანული გაგებით, ყოველმა ადამიანმა, ორგანიზაციამ, ერმა და სახელმწიფომ, მათთვის ღვთივბოძებული თავისუფალი ნებისა და გონიერების მეშვეობით უნდა ამოირჩიონ ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის ისეთი გზა, რომელიც ბიბლიური ზნეობრიობის და ჰუმანურობის საფუძველზე მოაწესრიგებს მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების ღმერთისათვის მოსაწონ ურთიერთშეხამებას, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ღვთივსულიერ, სინერგიულ, ჰარმონიულ, განვითარებას.

ქრისტიანული ეკონომიკა არის ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის თეორიულ--მეთოდოლოგიური საფუძველი, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია უზრუნველყოფს ცალკეული ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს და კაცობრიობის ღვთივსულიერ, სინერგიულ, ჰარმონიულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

სწორედ თეოლოგიურ-ქრისტიანული მიდგომების საფუძველზე უნდა შემუშავდეს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის თვისობრივად ახალი, ფუნდამენტური, ჭეშმარიტად ეროვნული, სინერგიული კონცეფცია, შესაბამისი მოდელი, სტრატეგიული გეგმა და სამთავრობო პროგრამა, რომელთა პრაქტიკული განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს რეალურ, ჰარმონიულ, ღვთივსულიერ პროგრესს.

ლიტერატურა

1. ი. ჭავჭავაძე. ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ. თხზ., ტ.4, თბილისი, 1955.
2. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს კულტურული ვითარება მეთორმეტე საუკუნეში. სახელმწიფოებრივი და სოციალური პრობლემები. მეცნიერება. მწერლობა. ხელოვნება. თხზ., ტ. 2, თბილისი, 1983.
3. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. თბილისი, 1989.
4. წილკნისა და დუშეთის მიტროპოლიტი ზოსიმე. მათეს სახარების განმარტება წმიდა მამათა სწავლების მიხედვით. *http://www.orthodoxy.ge/tserili/zosime/13_1-9.htm*
5. პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა. სახელმძღვანელო. შემდგენლები: გ. შიხაშვილი, გ. ერქომაიშვილი და სხვ. თბილისი, 2012.

SYNERGISTIC DOCTRINE OF THE BIBLE: THEMES OF ECONOMIC-MANAGEMENT ACTIVITIES, HUMAN RESOURCES MANAGEMENT AND SELF-MANAGEMENT IN THE PARABLES OF JESUS CHRIST

Shikhashvili Giorgi
Doctor of Economics

Summary

Progressive socio-economic development of Georgia is impossible without a fundamental, synergistic concept. The concept should be developed on the basis of biblical Christian and secular values. Optimal combination of such values is essential in the process of economic- managerial activities.

In the parables of Jesus Christ, the divine foundations of synergistic economic and managerial activity are laid down. They show the ways of establishing the whole nation and every individual in the heavenly kingdom

Key words: *Progressive socio-economic development. Synergistic concept. Biblical Christian and secular values. The parables of Jesus Christ. Synergistic economic and managerial activity. Establishing in the heavenly kingdom.*

შობადობის დონე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში

შონია მარიკა
თსუ-ის დოქტორანტი

ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე მოქმედ მრავალ ფაქტორთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დემოგრაფიული ფაქტორი. დემოგრაფიული პროცესები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს რიგ ეკონომიკურ მოვლენაზე, როგორიცაა საგადასახადო შემოსავლების შემცირება, რომელიც პირდაპირ აისახება სახელმწიფოს ბიუჯეტზე; პენსიებისა და ჯანდაცვის ხარჯების ზრდა, რასაც იწვევს ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობის ზრდა და ა.შ. როგორც ვიცით, დემოგრაფიულ პროცესებს მიეკუთვნება შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება, მიგრაცია. მოცემულ სტატიაში, კონკრეტულად, განხილული იქნება შობადობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

საკვანძო სიტყვები: *დემოგრაფია, შობადობა, შობადობის კოეფიციენტები, სიცოცხლიანობის კოეფიციენტი, დემოგრაფიული პოლიტიკა.*

დემოგრაფიული პროცესის მნიშვნელობა ძალიან დიდია, ვინაიდან ის გავლენას ახდენს არამხოლოდ ქვეყნის მოსახლეობის შემადგენლობაზე, არამედ პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან. ეს გამოწვეულია იმით, რომ ადამიანური კაპიტალი, რომელიც სწორედ დემოგრაფიული პროცესების შედეგად ყალიბდება, წარმოების ძირითადი ფაქტორია. სამუშაო ძალა (ადამიანური კაპიტალი) კი განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ დონეს.

დემოგრაფიული ფაქტორები ზემოქმედებს ადამიანთა აქტივობის ყველა მიმართულებაზე: ეკონომიკაზე, სოციალურ-კულტურულ თუ პოლიტიკურ სფეროებზე. დემოგრაფიას შეუძლია ითამაშოს გადამწყვეტი როლი წარსული ტრენდების გამოვლენასა და სამომავლო განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის შემუშავებაში.

თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, დემოგრაფიული პრობლემები როგორც ადრე, დღესაც არ კარგავს აქტუალობას. დემოგრაფიული პრობლემების მოგვარება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა. დღესდღეობით მსოფლიოში შეინიშნება ტენდენცია, რომ უფროსი ასაკის მოსახლეობას შვილები აღარ ჰყავს, რაც უფრო საგანგაშოა, ვიდრე რეალურად ჩანს. მსოფლიო დღეს დგას დემოგრაფიული დაბერების საფრთხის წინაშე. გაეროს კვლევების მიხედვით, 2050 წლისათვის ხანდაზმული ადამიანების რაოდენობა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ბავშვებზე ორჯერ მეტი იქნება. მცირდება ოჯახში რამდენიმე ბავშვის ყოლის სურვილი. ანალოგიურ მდგომარეობას ვხვდებით საქართველოშიც. გაეროს კვლევებისა და დემოგრაფიული სიტუაციის პროგნოზის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს დემოგ-რაფიული პოლიტიკა და სტრატეგიები არ შეიცვალა, 2050 წლისათვის მოსახლეობის რიცხვი 2015 წელთან შედარებით 23%-ით შემცირდება და 2 985 000 ადამიანი გახდება.[1]

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში შობადობის მაჩვენებლების უარყოფითი ტენდენციები არ შეინიშნება, ექსპერტთა ვარაუდით, უახლოეს პერიოდში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუარესდება. ვარაუდი გამყარებულია იმ მოსაზრებით, რომ 2017-2018 წლებიდან ქორწინებისა და რეპროდუქციულ ასაკში შევიდა 90-იან წლებში დაბადებული მოსახლეობა, როდესაც საქართველოში შობადობის დონე ძალიან დაბალი იყო.

როდესაც ვმსჯელობთ საქართველოს დემოგრაფიულ პრობლემებზე, მნიშვნელოვანია, აღნიშნული საკითხი განვიხილოთ რეგიონულ ჭრილშიც. საქართველოში რეგიონების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება მოსახლეობის სიმჭიდროვე, დასახლებების სიდიდე, ურბანული და სასოფლო დასახლებების ტიპები. დაბლობებსა და შავი ზღვის სანაპირო ზოლში მოსახლეობა დიდი რაოდენობით და მჭიდროდ არის დასახლებული, განსხვავებით მთიანი რეგიონებისგან. საქართველოში მოსახლეობის არათანაბარი გადანაწილების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ქალაქ თბილისში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის თავმოყრა (მთელი მოსახლეობის 68.5%).

მოცემულ სტატიაში განხილული იქნება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არსებული შო-ბადობა. კონკრეტულად ამ რეგიონით დაინტერესება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი ეკონომიკური პოტენციალის მქონე რეგი-ონია. მას გააჩნია სტრატეგიული მდებარეობა შავი ზღვის სანაპიროზე, რის გამოც ის წარმოად-გენს ქვეყნისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სატრანზიტო პუნქტს. ამ და სხვა ფაქტორების გათვა-ლისწინებით, რეგიონი შესაძლოა მივაკუთვნოთ განვითარებისთვის ხელსაყრელი რეგიონების

[1] United Nations, DESA / Population Division 2017

რიცხვს. აქედან გამომდინარე საკმაოდ საინტერესოა, რეგიონში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების, მოცემულ შემთხვევაში - შობადობის შესწავლა. შობადობა მოკვდაობასთან ურთიერთქმედებისას ქმნის მოსახლეობის აღწარმოებას. შობადობის ფაქტორების შემდეგი კლასიფიკაცია არსებობს: 1) შუალედური ცვლადები (მაგ., შობადობის ბიოლოგიური შესაძლებლობა, საქორწინო რეჟიმი და ა.შ.), 2) სოციალურ-ეკონომიკური ცვლადები და 3) ფსიქო-სოციოლოგიური ცვლადები (გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. სულაბერიძე, 2009:124).

შობადობის დონეს ზომავენ სხვადასხვა კოეფიციენტის, შობადობის ცხრილებისა და ინდექსების მეშვეობით.

მოცემულ სტატიაში განვიხილავთ და სტატისტიკურად შევაფასებთ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არსებულ შობადობას 2010-2018 წლებში. ანალიზისათვის მოცემული წლების არჩევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ის მოიცავს მოსახლეობის ბოლო აღწერის მონაცემებსაც. განვიხილოთ შემდეგი ცხრილი:

ცხრილი 1

მოსახლეობის რიცხოვნობა მუნიციპალიტეტების მიხედვით 2010-2018 წლებში

რეგიონი თვითმმართველი ერთეული	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სამეგრელო-ზემო სვანეთი	**4 258**	**3 862**	**3 816**	**3 821**	**5 200**	**4 998**	**4 797**	**4 436**	**3 972**
ქ. ფოთი	529	488	480	492	604	595	545	511	491
აბაშის მუნიციპალიტეტი	273	248	249	251	303	224	245	223	188
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	1 433	1 287	1 257	1 244	976	1 020	994	1 610	1 462
მარტვილის მუნიციპალიტეტი	408	372	373	374	504	478	470	454	358
მესტიის მუნიციპალიტეტი	121	109	109	107	187	188	196	176	155
სენაკის მუნიციპალიტეტი	504	460	456	460	583	625	563	516	450
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	274	249	249	250	332	327	324	276	259
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	342	308	303	301	412	381	354	324	304
ხობის მუნიციპალიტეტი	374	341	340	342	516	409	386	346	305

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოცემული ცხრილი ასახავს როგორც მთლიანად რეგიონში, ასევე მუნიციპალიტეტების მიხედვით 2010-2018 წლებში დაბადებულთა რიცხოვნობას.

დიაგრამა 1

დაბადებულთა რიცხოვნობა 2010-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც გრაფიკზე ვხედავთ, შობადობამ რეგიონში მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2014 წელს, როცა დაბადებულთა რიცხვი შეადგენდა 5200 ახალშობილს. 2014 წლის შემდეგ დონე თანდათან მცირდება. 2018 წელს 2014 წელთან შედარებით დაბადებულთა რიცხვი შემცირდა 23%-ით, 2010

წელთან შედარებით 7%-ით, ხოლო 2002 წელთან შედარებით - გაიზარდა 0.9%-ით. როგორც ვხედავთ, მდგომარეობა არასახარბიელოა.

დიაგრამა 2

დაბადებულთა რიცხოვნობა მუნიციპალიტეტების მიხედვით 2018 წელს



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოცემული დიაგრამა ასახავს დაბადებულთა რიცხვის განაწილებას მუნიციპალიტეტების მიხედვით. როგორც ვხედავთ, ამ მხრივ პირველ ადგილზეა ზუგდიდის მუნიციპალიტეტი და მასზე მოდის მთლიანად რეგიონში დაბადებულთა 36.8%, ხოლო ყველაზე მცირე წილი მოდის მესტიის მუნიციპალიტეტზე და შეადგენს 3.9%-ს. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონზე, 2018 წელს მოდის მთელ საქართველოში დაბადებულთა 7.76% და დონით ჩამოუვარდება მხოლოდ სამ რეგიონს: იმერეთს, ქვემო ქართლსა და აჭარას.

შობადობის დონის შედარებით ზუსტი ანალიზისათვის გამოიყენება შობადობის კოეფიციენტები, რომლებიც

სხვადასხვა სახისაა. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი შობადობის ყველაზე გავრცელებული მაჩვენებელია, თუმცა ის, ამავე დროს მიახლოებითი მახასიათებელია. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი წამოადგენს გარკვეულ დროში დაბადებულთა საერთო რაოდენობის შეფარდებას იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობასთან. გამოისახება პრომილებში და უჩვენებს დაბადებულთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზეა. [2]

შობადობის ზოგად კოეფიციენტზე ჩვილთა მოკვდაობის გავლენას გვიხასიათებს შობადობის რედუცირებული კოეფიციენტი, რომელიც არის იმ ბავშვთა კოეფიციენტი, რომლებმაც იცოცხლეს ერთ წლამდე. ეს კოეფიციენტი უფრო ნაკლებია, ვიდრე შობადობის ზოგადი კოეფიციენტი და ეს სხვაობა მით უფრო მცირეა, რაც უფრო ნაკლებია ჩვილთა მოკვდაობა.[3] ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს რეგიონში არსებულ შობადობის ზოგადი და რედუცირებული კოეფიციენტების მნიშვნელობას 2010-2018 წლებში:

ცხრილი 2

შობადობის ზოგადი და რედუცირებული კოეფიციენტები 2010-2018 წლებში

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
ზოგადი კოეფიციენტი	12,4	11,3	11,1	11,1	15,2	14,6	14	12,9	11,6
რედუცირებული კოეფიციენტი	12	11	11	11	15	14	13	12	11

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ვხედავთ, რეგიონში დაბადებულთა რიცხვი ყოველ 1000 კაცზე, ყველაზე მეტი იყო

[2] შობადობის კოეფიციენტები იზომება პრომილებში და აღინიშნება „‰“ სიმბოლოთი.

[3] გაანგარიშება - $n' = n * (1 - 0.001m_2)$, სადაც n - შობადობის ზოგადი კოეფიციენტია, ხოლო m_2 - ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი.

2015 წელს და შეადგენდა 15-ს, ამის შემდეგ კი იწყებს შემცირებას და ბოლო მონაცემებით შეადგენს 11 დაბადებულს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. ანალოგიურად მერყეობს რედუცირებული კოეფიციენტის მნიშვნელობა, თუმცა ვხედავთ, რომ ეს ორი მაჩვენებელი თითქმის თანაბარია და მნიშვნელოვანი ცვლილებები არ აღინიშნება, ანუ ჩვილთა მოკვდაობა შობადობის კოეფიციენტზე ძლიერ ზეგავლენას ვერ ახდენს.

სტატისტიკის პრაქტიკაში ასევე გამოიყენება ე.წ. პოკროვსკი-პირლის "‡‘"”‡‘-”“ - ‘, კოეფიციენტი, რომელიც მიიღება დაბადებულთა რიცხვის შეფარდებით გარდაცვლილთა რიცხვთან და გამოიხატება პროცენტში.

ცხრილი 3

დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობა და სიცოცხლიანობის კოეფიციენტი

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
დაბადებულთა რიცხოვნობა	4 258	3 862	3 816	3 821	5 200	4 998	4 797	4 436	3 972
გარდაცვლილთა რიცხოვნობა	6 240	5 476	5 413	5 346	5 369	5 397	5 532	5 119	4 904
სიცოცხლიანობის კოეფიციენტი	**68.2**	**70.5**	**70.5**	**71.5**	**96.9**	**92.6**	**86.7**	**86.7**	**81.0**

როგორც ცხრილიდან ვხედავთ, სოცოცხლიანობის კოეფიციენტი 2010-2013 წლებში უფრო დაბალი იყო, ვიდრე 2014-2018 წლებში, თუმცა, 2014 წლის შემდეგ, ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა თანდათან იკლებს.

შედარებით ზუსტია შობადობის სპეციალური კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება მოცემულ წელს დაბადებულთა რიცხვის შეფარდებით 15-49 წლის ქალების საშუალო რიცხვთან და გამოისახება პრომილებში. ის გვიხასიათებს დაბადებულთა რიცხვს, რომელიც მოდის 15-49 წლის ყოველ 1000 ქალზე, მოცემული წლისათვის (მ. ხმალაძე, 2009:218).

ასევე საინტერესოა, თუ როგორაა განაწილებული დაბადებულთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით.

დიაგრამა 3

დაბადებულთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით 2002-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გრაფიკი ასახავს რეგიონში დაბადებულთა თანაფარდობას სქესის მიხედვით. როგორც ვხედავთ, 2002 წლიდან 2018 წლამდე დაბადებულებში, ვაჟების რაოდენობა მუდმივად აღემატება გოგონათა რაოდენობას. 2018 წელს ვაჟების რაოდენობა გოგონებზე 6%-ით მეტია.

რაც შეეხება შობადობას ასაკის მიხედვით, მას შემდეგი სახე აქვს:

დიაგრამა 4

შობადობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ვხედავთ, შობადობის დონე ყველაზე მაღალია 25-29 წლის მოსახლეობაში და შეადგენს 1250 დაბადებულს, ხოლო ყველაზე დაბალია 45-49 წლის მოსახლეობაში 8 დაბადებულით.

როცა ვმჯელობთ შობადობის დონეზე, აქვე უნდა განვიხილოთ მკვდრადშობადობაც. მკვდრადშობადობის რიცხვი რეგიონში წინა წლებთან შედარებით შემცირებულია. მკვდრად დაბადებების რიცხვმა მაქსიმუმს მიაღწია 2014 წელს და შეადგინა 71, ხოლო ყველაზე მცირე იყო 2017 წელს და შეადგენდა 31 მკვდრად დაბადებულს, 2018 წელს კი - 43-ს.

მკვდრადშობადობის დონე რეგიონში, სხვა რეგიონებთან შედარებით საკმაოდ მაღალია. ზოგადად მკვდრადშობადობა მსოფლიოში ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მონაცემებით, მკვდრადშობადობის 97–99% საშუალო და დაბალი განვითარების ქვეყნებში აღირიცხება. მის მიზეზებად ძირითადად სხვადასხვა სახის დაავადება გვევლინება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვდრადშობადობის მაჩვენებელი ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოში. თუმცა, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მკვდრადშობადობის მაჩვენებელი კვლავ მაღალია, ხოლო მისი მიზეზების შესწავლა გამოწვევად რჩება.

სტატიაში გაკეთდა შობადობის დონის პროგნოზიც, სადაც განისაზღვრა დაბადებულთა სავარაუდო რიცხვი 2030 წლისათვის. ამ შემთხვევაში პროგნოზის ხანგრძლივობა პრაქტიკულად ემთხვევა დემოგრაფიული თაობის საშუალო ასაკს და მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიან პროგნოზთან შედარებით ნაკლებად ზუსტია, მომავალი დემოგრაფიული ტენდენციები მნიშვნელოვნად შენარჩუნებულია. პროგნოზის გაანგარიშების ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენებით დადგინდა, რომ დღევანდელი მოვლენების უცვლელად შენარჩუნების პირობებში 2030 წლისათვის რეგიონში დაბადებულთა რიცხვი იქნება 3214. 2018 წელთან შედარებით შემცირდება 19%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით- 25%-ით. პროგნოზით მიღებული მაჩვენებელი საკმაოდ საგანგაშოა და ის უნდა იყოს გამაფრთხილებელი სიგნალი პოლიტიკის შემმუშავებლებისათვის, ვინაიდან ის გვიჩვენებს თუ რა არასასურველი შედეგი შეიძლება მივიღოთ მოსახლეობის აღწარმოების[4] არსებული დონის უცვლელად შენარჩუნების პირობებში.

დასკვნა და რეკომენდაციები

როგორც კვლევამ აჩვენა, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში შობადობის დონე რეგიონში თანდათანობით იკლებს და გაკეთებული პროგნოზის საფუძველზე, ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. ამიტომ, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები. პირველ რიგში, საჭიროა, მოხდეს ფინანსური სახსრების მობილიზება და მისი მიმართვა დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებაზე, რომელშიც იგულისხმება შობადობის მომატების წამახალისებელი ღონისძიებები, საინფორმაციო მხარდაჭერა და მოსახლეობის დემოგრაფიული ცნობიერების ამაღლება. რა თქმა უნდა, აღნიშნული პოლიტიკა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან.

[4] თაობათა შეცვლის პროცესი

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო ქვეყანაში ახორციელებს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნობრივ პროგრამას, რომელიც გულისხმობს მესამე და მომდევნო შვილის გაჩენის შემთხვევაში ოჯახის ფინანსურ დახმარებას. ამ პროგრამის ფარგლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ოჯახებზე გადარიცხულმა თანხამ 2016 წელს შეადგინა 224 050 ლარი, ხოლო იმ ოჯახების რიცხვმა, რომლებსაც ჰყავთ მესამე და შემდეგი შვილი - 1 417. 2015 წელთან შედარებით გადარიცხული თანხის ოდენობა გაიზარდა 32%-ით, ხოლო ოჯახების რიცხვი კი - 31%-ით. ანუ როგორც ვხედავთ, მსგავსი პოლიტიკის გატარებას აზრი აქვს და შედეგად მოაქვს, როგორც მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ასევე დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

ლიტერატურა

6. ხმალაძე მ. დემოგრაფია. თბილისი, 2009, გვ. 218.
7. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ. - სოციალური სტატისტიკა. ლექციების კურსი. თბილისი 2013 (ელ. ვერსია).
8. წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., სულაბერიძე ა., - დემოგრაფია. თბილისი 2009, გვ. 124.
9. Principles and Recommendations for a Vital Statistics System, revision 2 – United Nations, New York, 2001.
10. https://www.gnb.ca/legis/business/committees/previous/reports-e/demog/what-e.asp
11. https://www.geostat.ge/ka
12. https://population.un.org/wpp/
13. https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/2016/Failebi/account.pdf
14. Economist.com

BIRTH RATE IN SAMEGRELO-UPPER SVANETI REGION

Shonia Marika
Doctoral student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

One of the most important factors affecting the economic and social development of the country is the demographic factor. Demographic processes have a significant impact on a number of economic events such as a reduction in tax revenues that directly impacts the state budget; The increase in pensions and healthcare costs, which leads to an increase in the number of older population, etc. As we know, demographic processes include births, deaths, marriages, divorces, migration. This article will specifically discuss the birth rate in Samegrelo-Upper Svaneti region.

Key words: *demographics, birth, birth rates, life expectancy, demographic policy.*

2019 წლის ბიუჯეტის ფისკალური რისკები

ჩიკვილაძე მიხეილ
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

სტატიაში გაანალიზებულია ,,საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები, საგადასახადო შემოსავლების ადგილობრივ, ტერიტორიული ერთეულების ,,მუნიციპალიტეტების" ბიუჯეტებზე დღგ-ს ახალი წესით განაწილების კონცეპტუალური საკითხები, ყურადღება აქვს დათმობილი სახელმწიფო ვალის, ლარის გაუფასურების, ეკონომიკური შოკის ნეგატიურ მოვლენებს, გაკეთებულია 2019 წლის ფისკალური რისკების ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო ბიუჯეტი, ფისკალური რისკები, სახელმწიფო ვალი, ეკონომიკური შოკი, ინვესტიციები, ინფრასტრუქტურული პროექტები.*

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 13, 9 მლრდ ლარს შეადგენს, საიდანაც გადასახადები 9,645 მლრდ ლარია, ყველაზე მაღალი წილი კვლავ დღგ-ს უკავია, ხოლო სხვა გადასახადების წილი სახელმწიფო ბიუჯეტში შეადგენს: დღგ 4,003,6 მლრდ ლარი, საშემოსავლო გადასახადი 3,163,3 მლრდ ლარი, აქციზი 1,462,0 მლრდ ლარი, მოგების გადასახადი 783, 0 მლნ ლარი, იმპორტის გადასახადი 83,0 მლნ ლარი, სხვა გადასახადები 117,0 მლნ ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირ გადასახადებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საშემოსავლო და მოგების გადასახადებს, რომელთაც თავისი ეკონომიკური შინაარსით ბევრი მსგავსება გააჩნია, თუმცა საშემოსავლო გადასახადით იბეგრება რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები (საოჯახო მეურნეობები), ხოლო მოგების გადასახადი წარმოადგენს იურიდიული პირების გადასახადს [3, გვ. 296] (გადასახადების კლასიფიკაციის ანალიზიდან გამომდინარე მიზანშეწონილია საქართველოში საშემოსავლო გადასახადის მოდელი ხელფასისა და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით იყოს დიფერენცირებული) [7, გვ.199]. როგორც აღინიშნა არაპირდაპირი გადასახადების სისტემაში ძირითადი ადგილი უკავია დამატებული ღირებულების გადასახადს, ნიშანდობლივია, რომ დღეს ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებელ პირობას წარმოადგენს პრეტენდენტ ქვეყნებში დღგ-ის ფუნქციონირება. [5, გვ. 15] რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მოცულობიდან გამომდინარე, ცალკეული სამინისტროების საბიუჯეტო ასიგნებებს, ყველაზე მეტ დაფინანსებას 2019 წელსაც ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები მიიღებენ, სამინისტროების საბიუჯეტო დაფინანსება 2019 წლის მიხედვით შეადგენს:

- ჯანდაცვის სამინისტრო 3.968 მლრდ. ლარი;
- ინფრასტრუქტურის სამინისტრო 2.0 მლრდ ლარი;
- განათლების სამინისტრო 1,508 მლრდ ლარი;
- თავდაცვის სამინისტრო 875,0 მლნ ლარი;
- შსს 741,0 მლნ ლარი;
- ეკონომიკის სამინისტრო 370, 0 მლნ ლარი;
- გარემოს დაცვის სამინისტრო 339,0 მლნ ლარი;
- იუსტიციის სამინისტრო 181,0 მლნ ლარი;
- საგარეო სამეთა სამინისტრო 196,0 მლნ ლარი;
- ფინანსთა სამინისტრო 91,0 მლნ ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სამინისტროს გაზრდილი აქვს დაფინანსება, წინა წლებთან შედარებით, სხვადასხვა პროცენტული ნიშნით.

2019 წლის ბიუჯეტი, ისევე, როგორც მთავრობის საშუალო ვადიანი საბიუჯეტო გეგმები წარმოადგენს თვისობრივად ტრანსფორმირებულ ფისკალურ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს:

- ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას;
- ეკონომიკური ზრდისათვის სათანადო საგადასახადო სისტემის შექმნას;
- საბიუჯეტო პროგრამების ეფექტიანობის ამაღლებას და ინვესტიციების ზრდას ინფრასტრუქტურულ პროექტებში; [11, გვ.3]

უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა ძალაში, შესაბამისად 2019 წლის ბიუჯეტს თან ახლავს ფისკალურ სექტორში დაგეგმილი სიახლეებიც, კერძოდ გათანაბრებითი ტრანსფერის გაუქმება და ,,ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" კანონში ცვლილებები, რომელიც მომზადდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ტექნიკური დახმარებით და ითვალისწინებს გათანაბრებითი ტრანსფერის სისტემის ჩანაცვლებას განაწილებული გადასახადის სისტემით, სიახლეა ისიც, რომ 2019 წლის პირველი იანვრიდან დღგ-ს 19% განაწილდება მუნიციპალიტეტებზე, რაც მეტ დამოუკიდებლობას და ფინანსების უკეთეს პროგნოზირებას უზრუნველყოფს.

მუნიციპალიტეტებისათვის დღგ-ის განაწილება ხდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის რიცხოვნობის, 6 წლამდე ბავშვთა რაოდენობის, მუნიციპალიტეტის ფართობისა და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით, კერძოდ მუნიციპალიტეტებისათვის განკუთვნილი დღგ-ს გადასახადის: ა) 60% ნაწილდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის მიხედვით 6 წლამდე ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით; ბ) 15 % ნაწილდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6 წლამდე ბავშვთა რაოდენობის მიხედვით; გ) 10 % ნაწილდება მუნიციპალიტეტებში 6 -დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობის მიხედვით; დ) 5% ნაწილდება მუნიციპალიტეტის ფართობის მიხედვით; ე) 10 % ნაწილდება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით;

- მუნიციპალიტეტებს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის მოცულობა განისაზღვრება შესაბამისი წლის ბიუჯეტის კანონით;
- დღგ- ს სახით მიღებული შემოსავლების 19 % არის ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებისათვის გადასანაწილებელი გადასახადების ჯამი, საიდანაც თითოეული მუნიციპალიტეტისათვის განაწილება ხდება ამ კოდექსით დადგენილი წესით, ეს ცვლილება ამოქმედდა 2019 წლის 1-ლი იანვრიდან;
- გათანაბრებითი ტრანსფერის სისტემიდან დღგ-ის განაწილების სისტემაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდია 2019 წლიდან 2023 წლამდე [11, გვ. 4].

მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემის ცვლილებით ყოველწლიურად მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს მათი შემოსავლები, აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან მიმდინარე ხარჯები გაზარდონ მხოლოდ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პროცენტული მაჩვენებლით. აღსანიშნავია ის, რომ დამატებითი ღირებულების გადასახადიდან 950,0 მლნ ლარამდე შემოსავალი, ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტისა მიემართება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში. საშემოსავლო გადასახადიდან 140,0 მლნ ლარი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაცვლად აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში, ხოლო, 10,0 მლნ ლარი მიემართება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში, ამასთან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში აღარ მოხდება გათანაბრებითი ტრანსფერისათვის სახსრების გათვალისწინება (760,0 მლნ ლარი).

საგულისხმოა ისიც, რომ ,,ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" კანონი სამ მნიშვნელოვან ზღვარს ადგენს [9, გვ.2-4]:

1. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მშპ-თან არ უნდა აღემატებოდეს 30 %-ს;
2. ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს;
3. სახელმწიფო ვალის შეფარდება მსპ-სთან არ უნდა აღემატებოდეს 60 %-ს.

ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ცვლილებების თანახმად, ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ზედა ზღვარი საერთოდ უქმდება, ეს ნიშნავს, რომ ე.წ. ,,მთავრობის ზომა" კანონით აღარ იქნება შეზღუდული და შესაბამისად მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში ნებისმიერ დონეზე შეიძლება გაიზარდოს, პირველ რიგში ეს არა სასურველია იმ მხრივ, რომ ზოგადად, ეკონომიკაში ,,მთავრობის ზომას" და ეკონომიკური ზრდის ტემპს შორის უარყოფითი ურთიერთკავშირია, მშპ-ს 3%-მდე ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის ნაცვლად ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი შეიზღუდება, ეს ცვლილება პოზიტიურია, რადგან ერთიანი ბიუჯეტი ნაერთ ბიუჯეტთან ერთად იმ საბიუჯეტო ორგანიზაციების ოპერაციებსაც მოიცავს, რომლებსაც უფლება აქვთ საკუთარი შემოსავლები მიიღონ (სსიპ-ები და ა(ა)იპ-ები), საგულისხმოა ისიც, რომ სახელმწიფო ვალის ნაცვლად მთავრობის ვალი შეიზღუდება მშპ-ის 60%-მდე. იცვლება მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდების ზღვრული პარამეტრი, პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 1 %-ს.

სიახლეები შეეხო მოგების გადასახადსაც, 2019 წლის პირველი იანვრიდან დაწესდა ყოველთვიური მოგების გადასახადი, მოგების ყოველთვიური გადასახადი არ ეხება კომერციულ ბანკებს, საკრედიტო კავშირს, სადაზღვევო ორგანიზაციას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას და სესხის გამცემ სუბიექტს.

ამავე დროს ყურადღებას იპყრობს სახელმწიფო ვალის ანალიზი, კერძოდ 2019 წლის ბიუჯეტის მიხედვით, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 19.7 მლრდ ლარის ოდენობით განისაზღვრა, რაც 2018 წლის დაგეგმილ მაჩვენებელს 1, 8 მლრდ ლარით (10 %) აღემატება, შესაბამისად, 2019 წლის ბოლოსთვის მოსალოდნელია, როგორც სახელმწიფო ვალის ასევე მთავრობის ვალის ტვირთის ინდიკატორის (ვალი/მშპ) 0,7 (43,7 % -მდე) და 02 (42,2 %-მდე) პუნქტით გაზრდა, როგორც ცნობილია მთავრობის ვალის შეფარდება უნდა მოხდეს ,,ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ 60 %-იან ნიშნულთან, თუმცა კანონპროექტით წარმოდგენილი ვალის ნაშთი სრულად არ ასახავს სამთავრობო სექ-

ტორში არსებულ ვალდებულებებს, კერძოდ, მასში არ არის გათვალისწინებული მუნიციპალიტეტების, სსიპ -ების და სახელმწიფო საწარმოების ვალი, ასევე კერძო და საჯარო პარტნიორების ფარგლებში არსებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება. სახელმწიფო ვალი 2018 წელს გათვალისწინებული იყო 17,931,0 მლნ ლარი, 2019 წელს კი გათვალისწინებულია 19,716,0 მლნ ლარი. [6, გვ. 10] როგორც უკვე აღინიშნა სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების მთავარი წყაროა ქვეყანაში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი, როდესაც მშპ-ის მოცულობა მცირდება ან უცვლელია, სრულიად კანონზომიერად მცირდება ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობაც. [8, გვ. 86]

საყურადღებოა, რომ წინა წლების მსგავსად, 2019 წ. წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით სახელმწიფოსა და მთავრობის ვალის მოცულობები მშპ-თან მიმართებაში ისევ გადააჭარბებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია ,,საქართველო 2020“-ით დადგენილ 40 %-იან ნიშნულს. [12, 13] საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების რეგულაციებთან დაკავშირებულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება - სახელმწიფო ვალის ნაცვლად, მთავრობის ვალი შეიზღუდება მშპ-ის 60%-მდე, ვინაიდან, მთავრობის ვალი სახელმწიფო ვალისაგან განსხვავებით ეროვნული ბანკის ვალს არ მოიცავს, ეს ცვლილება ლოგიკურია, რადგან ეროვნული ბანკის ვალს სახელმწიფო ბიუჯეტი არ ემსახურება. ასეთ პირობებში ახალი ფინანსური მექანიზმის მოქმედება გარდაუვალია, მაგრამ როდესაც ინვესტორების უდიდესი ნაწილი ისევ ეროვნული ბანკის ხელშია, მასვე ეკისრება ადექვატური პასუხისმგებლობაც ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრ მერყეობაზე[4, გვ. 155]

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სავალუტო კურსის ცვლილება მოქმედებს, როგორც სახელმწიფო ვალის ნაშთზე, ასევე საბიუჯეტო წლის განმავლობაში საგარეო ვალის მომსახურების ხარჯების სიდიდეზეც, კერძოდ, 2018 წლის ბიუჯეტის კანონის დამტკიცების შემდეგ 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით არსებული სახელმწიფო ვალის ნაშთი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ლარის კურსის გაუფასურების მიზეზით, ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს მიმდინარე წელსაც, შედეგად მიზანშეწონილია დამატებითი ყურადღება გამახვილდეს სავალუტო კურსის ცვლილებების შედეგად გამოწვეული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების მინიმალიზაციაზე, ამ პირობებში დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს ღონისძიებები, ქვეყანაში საშინაო საკრედიტო ბაზრის არსებობისათვის.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაცვლითი კურსის შოკის გავლენა საწარმოთა ფინანსურ შედეგებსა და პოზიციებზე უარყოფითია, ვინაიდან, საწარმოებს დიდი ოდენობით ვალი ერიცხებათ და მათი უდიდესი წილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში (ძირითადად დოლარსა და ევროში), ასეთ პირობებში გაცვლითი კურსის შოკის ნეგატიური ეფექტი ძალიან დიდია, ვინაიდან, ლარის გაუფასურებით სესხების მომსახურების ხარჯებიც პროცენტულად იზრდება, საგულისხმოა, რომ მთელი რიგი საწარმოები შემოსავალს იღებენ უცხოურ ვალუტაში (მაგალითად ნავთობისა და გაზის კორპორაცია), გაცვლითი კურსის გაუფასურების ნეგატიური ეფექტიც გარკვეულწილად შერბილებულია. მიზეზი კი არის ისიც, რომ გაცვლითი კურსის შოკს გავლენა აქვს საწარმოთა წმინდა მოგებაზეც, რომელიც გადასახადების შემდეგ საგრძნობლად მცირდება, ეს კი, გამოწვეულია სახელმწიფო საწარმოების სესხების უცხოურ ვალუტაში დენომინირებით, ხოლო ლარის კურსის მორიგი დაღმა სვლის ერთ-ერთ მიზეზს იმპორტის მკვეთრი მატება წარმოადგენს. [2, გვ. 82]

აღსანიშნავია ისიც, რომ საწარმოები და მათი მფლობელები (სახელმწიფო) ვალუტის გაუფასურების შოკის მიმართ დაუცველები არიან, ვიანიდან, მათზე ჯამური ვალის უმეტესი წილი უცხოურ ვალუტაში მოდის, ეს კი ნიშნავს, რომ სავალუტო კურსის რისკი ამ დროს მძიმეა, რადგან, მსხვილი მოქმედი საწარმოები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი გაცვლითი კურსის ცვლილებებზე.

ეკონომიკური შოკის გავლენა საწარმოთა ჯამურ მაჩვენებლებზე (გადასახადების შემდეგ) წმინდა მოგების შემცირებისა და ვალის ზრდის კუთხით შეადგენს მილიონობით ლარს, აღნიშნული უარყოფითი მოვლენების გამოუსწორებლობის შემთხვევაში უნდა ველოდოთ ეკონომიკურ დაღმა სვლას, რაც საბოლოოდ გამოიწვევს დიდ ნეგატიურ ეფექტებს. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ შევაჩეროთ ფასების ზრდა, სახელმწიფომ გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკის გამოყენებით შესაძლებელი უნდა გახადოს წარმოებისა და დასაქმების დონე ისე გაზარდოს, რომ ფასების დონე საწყისი წონასწორობის პირობებში არსებულ ნიშნულზე შენარჩუნდეს. ამიტომ მიზანშეწონილია ახალი ფინანსური მექანიზმის ამოქმედება, მაგრამ როდესაც ინვესტიციების უდიდესი ნაწილი ისევ ეროვნული ბანკის ხელშია, მასვე ეკისრება ადექვატური პასუხისმგებლობაც ეროვნული ვალუტის მკვეთრ მერყეობაზე. [1, გვ. 140]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ირკვევა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების მიმდინარეობა და შედეგები დღეისათვის ნაკლებადაა შესწავლილი სათანადო ორგანოების მიერ, შესაბამისად, მიზანშეწონილია, მოხდეს საკითხის ოპერატიული ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე მიღებული მაკროეკონომიკური მონაცემები გახდეს საქართველოს 2020 წლის

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის განხილვის ერთ-ერთი საფუძველი.

ლიტერატურა

1 ანანიაშვილი ი., პაპავა ვ., გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება. თბილისი: გამომცემლობა „სიახლე“, 2009, 149 გვ.

2 ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკა. თბილისი: გამომცემლობა „სიახლე”, 2012, 308 გვ.

3 ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., საგადასახადო საქმე. თბილისი, 2007, 442 გვ.

4 თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2011, 312 გვ.

5 კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ. გადასახადები და დაბეგვრა, თბილისი, 2011, 338 გვ.

6 სილაგაძე ა., ათანელაშვილი ტ., 2010 „Modern State Finances of Georgia“, თბილისი, 30 გვ.

7 ურიდია გ., საგადასახადო საქმე, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017, 473 გვ.

8 ჯიბუტი ა., კაკულია რ., ბახტაძე ლ., საჯარო ფინანსები. თბილისი, 2007, 416 გვ.

9 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები, საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

10 საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი, 2010.

11 საქართველოს მთავრობა, ძირითადი მონაცემები და მიმართულებები, 2019-2022 წწ.

12 *www.mof.ge*

13 „საქართველოს 2019 სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი“ *https:mof.ge*

14 Newsportal.ge

2019 BUDGET, FISCAL RISKS

Chikviladze Mikheil
TSU Economics and Business Faculty
Associated Professor

Summary

2019 State Budget, Fiscal Risks includes analysis of amendments to “the Law of Georgia on State Budget 2019“, discusses conceptual issues of new distribution of VAT on budgets of local, territorial units ‘’municipalities“, it also emphasizes the state debt , depreciation, negative events of economic shock, fiscal risk analysis of 2019 is also made.

Key Words: *State budget, fiscal risks, state debt, economic shocks, investments, infrastructural projects.*

ახალი დიდი დეპრესიის რისკები და ხანგრძლივი სტაგნაციის საკვანძო ფაქტორები

ჩიქობავა მალხაზ
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

სტატიაში გაანალიზებულია ხანგრძლივი სტაგნაციის საკვანძო ფაქტორები და ნაჩვენებია მისი გავლენა ეკონომიკაზე.

ხანგრძლივი ეკონომიკური სტაგნაციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში კვლევები პირველად გაჩნდა 1929-1933 წლების დიდი დეპრესიის ფონზე. ნოვატორობა ამ მხრივ ეკუთვნის კეინზიანური მიმდინარეობის ამერიკელ ეკონომისტს ელვინ ჰანსენს. მან გააანალიზა აშშ-ის ეკონომიკის არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები, ეკონომიკური ზრდის ტემპის ხანგრძლივი შეფერხების ერთ-ერთ საკვანძო მიზეზად მიიჩნია საინვესტიციო მოთხოვნის შემცირება, რომელსაც, მისი აზრით, განაპირობებდა მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ტემპის შემცირება. 1990-იან წლებში იაპონიის ეკონომიკის ხანგრძლივმა მკვეთრმა ვარდნა სამეცნიერო საზოგადოებას უბიძგა დაბრუნებოდა გრძელვადიანი სტაგნაციის განხილვას. ბოლო ათწლეულში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკების პოსტკრიზისული აღდგენის დაბალმა ტემპებმა აქტიური დისკუსია გამოიწვია გრძელვადიანი სტაგნაციის გამომწვევ მიზეზებსა და შესაძლებლობებზე, რამაც დასაბამი მისცა მსოფლიო ეკონომიკის ზრდის პერსპექტივების ხელახალ გააზრებას.

ხანგრძლივი სტაგნაციის ძირითადი მახასიათებელი ეკონომიკური ზრდის შენელებაა. მიუხედავად აშშ-ის და ევროზონის ქვეყნების ბოლო წლების მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკისა, რომელიც, ერთი შეხედვით, მოწმობს ეკონომიკური აქტივობის გამოცოცხლებასა და პოზიტიური ტრენდების არსებობას, მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკების პოსტკრიზისული აღდგენის გაჭიანურებული ეპიზოდის დასრულებასა და ხანგრძლივი სტაგნაციის სცენარის რეალიზაციის რისკების მინიმიზაციაზე მსჯელობა ძალზე ნაადრევია. თუ მხედველობაში მივიღებთ განვითარებული ქვეყნების სუვერენული და მთლიანი ვალის დინამიკას ბოლო ათი წლის განმავლობაში, ცხადი ხდება, რომ ამ ქვეყნებისათვის პერსპექტივაში გრძელვადიანი სტაგნაციის მყარი საფუძველი არსებობს.

საკვანძო ტერმინები: *ეკონომიკური სტაგნაცია, დეპრესია, ეკონომიკური ზრდის შენელება, სტაგნაციის ფაქტორები, პოტენციური გამოშვება, დემოგრაფიული ფაქტორები, ჭარბი დანაზოგები, სახელმწიფო ვალი.*

ხანგრძლივი სტაგნაციის მიზეზების მრავალრიცხოვანი კვლევების მიუხედავად, ეკონომიკურ ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს მისი ერთიანი განსაზღვრება. ზოგადად, ხანგრძლივი სტაგნაციის ფენომენის ქვეშ იგულისხმება ისეთი მდგომარეობა, როდესაც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ტემპები ნულთან მიახლოებულია (5, გვ. 54-59). სხვა კვლევებში ხანგრძლივ სტაგნაციას მიაკუთვნებენ სიტუაციას, როცა ფაქტობრივი გამოშვება პოტენციურთან შედარებით ნაკლებია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (9, გვ. 65-79; 7, გვ. 65-94), თუმცა თვით პერიოდის ხანგრძლივობაც კი არ არის განსაზღვრული.

ზემომოყვანილი დეფინიციები გულისხმობს ფაქტორთა სხვადასხვა ნაკრებს და მათ გავლენას ეკონომიკის ხანგრძლივ შეფერხებაზე. ამგვარად, პირველი განსაზღვრება მოიცავს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ფაქტორებს, ხოლო მეორე - ეკონომიკის ციკლური რყევების დეტერმინანტებს. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტორები ნაწილობრივ იკვეთებიან და მათ შეიძლება ერთდროული ზემოქმედება მოახდინონ როგორც ერთობლივ მოთხოვნაზე, ისე ერთობლივ მიწოდებაზე. ამავე დროს, პოტენციური გამოშვების მიმართ ერთობლივი მოთხოვნის ხანგრძლივმა ჩამორჩენამ შეიძლება თვით პოტენციური გამოშვების შემცირებამდე მიგვიყვანოს.

ხანგრძლივი სტაგნაციის საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრების არარსებობა განაპირობებს მისი შესწავლის აუცილებლობას როგორც გრძელვადიანი ეკონომიკური დინამიკის (რეფერენტულ წერტილად განიხილება ეკონომიკური ზრდის პოტენციური ტემპი), ისე მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ციკლური რყევების (ქვაკუთხედად გვევლინება ერთობლივი მოთხოვნა ერთობლივი მიწოდების უცვლელობის პირობებში) პოზიციებიდან. გრძელვადიანი სტაგნაცია შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე „შემოქმედებითი ნგრევის“ მექანიზმის მანეიტრალიზებელმა მოქმედებამ, ეკონომიკურმა პოლიტიკამ და მშპ-ის გაზომვის სტატისტიკური მეთოდების არა-

სრულყოფილებამ ტექნიკური ბაზის სწრაფი განახლებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების პირობებში.

თანამედროვე ეკონომიკების ხანგრძლივი შეფერხების ერთ-ერთი საკვანძო მიზეზი შეიძლება იყოს ტექნოლოგიური განვითარების ტემპების შემცირება. ზოგიერთი ავტორი ამ პროცესს უკავშირებს XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგების მასობრივი დანერგვის დასრულებას, ასევე, 1990-2000-იანი წლების ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორში რევოლუციის უფრო სუსტ გავლენას ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის დინამიკაზე ადრეულ გამოგონებებთან შედარებით.

მსპ-ის ზრდის ტემპებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წვლილის შემცირებაზე მეტყველებს სუსტი კავშირი პატენტების რაოდენობასა და შრომის მწარმოებლურობას შორის. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული, კვლევებსა და განვითარებაში (R&D) ყოველ დაბანდებულ დოლარზე ფიქსირდება პატენტების სულ უფრო მეტი რაოდენობა, რაც, როგორც ჩანს, აიხსნება მათი ხარისხის შემცირებით. განვითარებულ ქვეყნებში, R&D-ში დასაქმებული მუშაკების რაოდენობის ზრდა თანდაყოლილია მათი მწარმოებლურობის შემცირებით. ეს გამოიხატება ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ინტელექტუალური საქმიანობის პროდუქტში ერთობლივ ინვესტიციებთან თანაფარდობის შემცირებაში. მსოფლიო ფინანსური კრიზისის პერიოდში ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ უარყოფითი გავლენა მოახდინა R&D-ში დანახარჯების მოცულობაზე განვითარებულ ქვეყნებში, რაც ბოლო წლებში ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ზრდის ტემპების შენელების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა.

თეორიული პოზიციიდან გამომდინარე, ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის შემცირება, რომელიც მიახლოებით გვიჩვენებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზრდის ტემპს, ნეგატიურ გავლენას ახდენს გამოშვების ზრდის ტემპზე, რაც კარგად ჩანს ნეოკლასიკური საწარმოო ფუნქციით (Solow, 1956). გამოშვების ვარდნა ამცირებს ინვესტირებისადმი, ფიზიკური კაპიტალის დაგროვებისადმი სტიმულებს და იწვევს წარმოების მოცულობის შემდგომ შემცირებას. ეკონომიკური ზრდის მრავალ ენდოგენურ მოდელში იგულისხმება, რომ გამოშვების ზრდის ტემპი სტაციონარულ მდგომარეობაში განისაზღვრება R&D-ის სექტორის დინამიკით, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მასში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის ტემპზე ან სექტორის სხვა პარამეტრებზე. ამიტომ, R&D-ის სექტორის ზრდის ტემპის შემცირება იწვევს მშპ-ის ზრდის ტემპების შემცირებას ერთ დასაქმებულზე გაანგარიშებით.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროგრესმა (სხვა ფაქტორებთან ერთად) გააძლიერა უთანაბრობა შემოსავლებში მაღალ- და დაბალკვალიფიციურ მუშაკთა ხელფასებში მაღალი დიფერენციაციის გამო, რამაც გამოიწვია ერთობლივი სამომხმარებლო ხარჯების შემცირება. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასა და მათი წარმოების ღირებულების არსებით შემცირებაზე მიმართულმა მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა ასევე გამოიწვია საინვესტიციო საქონლის გაიაფება. რადგანაც ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორის პროდუქტების წილი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს წარმოების საშუალებებში განხორციელებულ ინვესტიციებში, მოცემული პროდუქციის ღირებულების შემცირებას თან მოჰყვა ინვესტიციების მოცულობის შემცირება, რამაც, თავის მხრივ, შეამცირა ერთობლივი მოთხოვნა. არასაკმარისი ერთობლივი მოთხოვნის არსებობამ ხანგრძლივი დროის მანძილზე განაპირობა ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება (10, გვ. 18-21).

მსგავსი დასკვნები მიღებულია ნაშრომებში, სადაც ავტორები ემყარებიან ბაუმოლის დაუბალანსებელი ზრდის მოდელს (8, გვ. 169-210). ტექნოლოგიურად დაწინაურებულ და სტაგნაციაში მყოფ სექტორებში დასაქმებულ მუშაკთა ხელფასების დონეებში განსხვავება, ტექნოლოგიურად ჩამორჩენილ სექტორებში დაბალი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის სიჭარბე იწვევს შრომის მწარმოებლურობისა და ხელფასების შემცირებას, რაც ერთობლივი მოთხოვნის ვარდნას იწვევს. გარდა ამისა, ორი სექტორის დაუბალანსებელი ზრდის ტემპები აფერხებს ძირითადი კაპიტალის დაგროვების პროცესს, შრომადამზოგველი მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის ტემპებს და ეკონომიკურ ზრდას.

XX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული მოსახლეობის დაბერება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირების ერთ-ერთი საკვანძო ფაქტორად ითვლება (11, გვ. 967-1014). ამასთან, დემოგრაფიულ ფაქტორებს შეუძლია ზემოქმედება მოახდინონ როგორც მშპ-ის ზრდის ტემპებზე, ასევე ფაქტობრივი გამოშვების პოტენციური დონისგან გადახრაზე.

განვიხილოთ დემოგრაფიული ფაქტორების ზემოქმედების მექანიზმები პოტენციური გამოშვების ზრდის ტემპებზე. პირველი, მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ტემპების შემცირება კაპიტალშეიარაღების მიღწეული დონის შესანარჩუნებლად საჭირო ინვესტიციების შემცირების მაპროვოცირებელ ფაქტორად გვევლინება, რაც იწვევს გამოშვების ზრდის ტემპების ვარდნას ეკონომიკის მდგრად მდგომარეობაში (7, გვ. 65-94). მეორე, მოსახლეობის დაბერება იწვევს შრომის

მწარმოებლურობის შემცირებას უფროსი ასაკის მუშაკთა შრომის შედარებით დაბალი მწარმოებლურობის გამო. მოცემული თეზისი საკამათოა, რადგანაც მუშაკების მიერ შრომითი სტაჟის დაგროვების კვალობაზე მათი მწარმოებლურობა იზრდება. ასევე რობოტოტექნიკისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება წინ ეღობება გრძელვადიან სტაგნაციას. მიუხედავად ამისა, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას, ავტომატიზაციასა და საწარმოო პროცესის კომპიუტერიზაციას შეუძლია შეანელოს უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მუშაკების ადაპტაცია დინამიკურად ცვალებადი პირობების მიმართ.

განვითარებულ ქვეყნებში დემოგრაფიულ ფაქტორებს შეუძლია აგრეთვე ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა ფაქტობრივი გამოშვების პოტენციურისაგან გადახრაზე. მოცემული მიდგომის ფარგლებში, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა მოსახლეობას ასტიმულირებს მეტი დაზოგოს, რაც განაპირობებს ინვესტიციების სასურველ მოცულობასთან შედარებით ძალიან მაღალ დაზოგვას (3, გვ. 18-20; 4, გვ. 12-14). ქვეყნის შიგნით ჭარბი დანაზოგების არსებობის პირობებში წონასწორობის მიღწევა დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის შესაძლებელია, თუ საპროცენტო განაკვეთის ბუნებრივი დონე, რომლის დროსაც მიიღწევა სრული დასაქმება ეკონომიკაში, ფაქტობრივ დონეზე დაბალია. ნულოვანი ნომინალური საპროცენტო განაკვეთის, აგრეთვე უკიდურესად დაბალი ინფლაციისა და ინფლაციური მოლოდინის პირობებში, ფაქტობრივი რეალური საპროცენტო განაკვეთი აღემატება თავის ბუნებრივ დონეზე. შედეგად, ეკონომიკური აგენტების მხრიდან მოთხოვნა ეცემა, რაც იწვევს არასრულ დასაქმებას და ფაქტობრივი გამოშვების ჩამორჩენას ბუნებრივი გამოშვების მიმართ. გრძელვადიან პერსპექტივაში პენსიონერების ხვედრითი წილის ზრდამ მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში შეიძლება გამოიწვიოს ერთობლივი მოთხოვნის ზრდა პენსიონერების მხრიდან სამომხმარებლო ხარჯების ზრდის კვალობაზე.

პოტენციური გამოშვების ტრაექტორიიდან ერთობლივი მოთხოვნის ხანგრძლივ ნეგატიურ გადახრაზე დემოგრაფიული ფაქტორების ზემოაღწერილი მექანიზმის გავლენის გათვალისწინებით, ეგერტსონი და მისი თანაავტორები აკრიტიკებენ ასემოგლუს (3, გვ. 18-20.). ისინი აღნიშნავენ, რომ ასემოგლუს თეორიულ მოდელებში, ზრდის ნეოკლასიკური მოდელის ანალოგიურად, გათვალისწინება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი. პირიქით, ეგერტსონი და თანაავტორები გამოდიან იქიდან, რომ რაც უფრო მაღალია უფროსი თაობის წილი, მით უფრო დაბალია განაკვეთი (თანმხვედრ თაობათა მოდელი, სამუელსონ-დაიმონდის მოდელი). საპროცენტო განაკვეთის შემცირება ასტიმულირებს ძირითადი კაპიტალის დაგროვებას, რაც პოზიტიურ გავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდის ტემპებზე. თუმცა, ბუნებრივი საპროცენტო განაკვეთის უარყოფითი მნიშვნელობებისა და ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ნულოვან ზღვართან მიახლოების დროს, რეალური საპროცენტო განაკვეთის შემდგომი შემცირება შეუძლებელია განვითარებულ ქვეყნებში დაბალი ინფლაციური მოლოდინის არსებობის გამო. ფაქტობრივი საპროცენტო განაკვეთი ბუნებრივზე მაღალი ხდება, წარმოიქმნება არასრული დასაქმების პრობლემა, რაც ადასტურებს მოსახლეობის დაბერების უარყოფით გავლენას გამოშვების დინამიკაზე.

ეს ჰიპოთეზა გადამოწმებულ იქნა იმ ქვეყნებისა და პერიოდების მიხედვით, რაც ასემოგლუსა და მისი თანაავტორების შრომებში იქნა გათვალისწინებული. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ დადებითი კავშირი ხანდაზმულ მოსალეობის წილსა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის განვითარებულ ქვეყნებში სამართლიანია მხოლოდ კრიზისამდელი პერიოდისათვის. 2008-2015 წლებში საპროცენტო განაკვეთის ბუნებრივი დონის შემცირების პირობებში ამ ცვლადებს შორის კავშირი უარყოფითი ხდება. ავტორებმა გააანალიზეს განვითარებული ქვეყნები შემდეგი დაჯგუფებით: ქვეყნები, სადაც ნომინალური საპროცენტო განაკვეთი კრიტიკულად მიუახლოვდა ნულოვან ზღვარს და ქვეყნები, სადაც ტარდებოდა შედარებით უფრო მკაცრი მონეტარული პოლიტიკა. მოცემულმა კლასიფიკაციამ საშუალება მისცა მკვლევარებს დაეჯგუფებინათ ქვეყნები ფაქტობრივი რეალური საპროცენტო განაკვეთების შემცირებისა და, შესაბამისად, ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირების შესაძლებლობების მხრივ. ქვეყნებს, სადაც მიღწეულია ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ნულოვანი ზღვარი, შეუძლიათ რეალურ საპროცენტო განაკვეთზე ზემოქმედება მხოლოდ და მხოლოდ ინფლაციური მოლოდინის მეშვეობით, რაც იოლი სულაც არაა. ქვეყნებს, რომლებსაც არ ჰქონდათ აღნიშნული პრობლემა, შეუძლიათ გავლენის მოხდენა რეალურ საპროცენტო განაკვეთზე ნომინალურის ცვლილების ხარჯზე. შედეგად გამოვლენილ იქნა, რომ ქვეყნებში, სადაც უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი იზრდება, დანაზოგები აჭარბებს ინვესტიციებს. ამ ქვეყნებში უფრო ფერხდება ეკონომიკური ზრდის ტემპები საპროცენტო განაკვეთის ნულოვან ზღვართან მიახლოების კვალობაზე, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც სამუშაო ძალა შედარებით ახალგაზრდაა.

გარდა ზემოთქმულისა, ემპირიული კვლევები გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპებზე დადებით ზემოქმედებას ახდენს ადამიან-კაპიტალის დონე (1, გვ. 184-198). მაგრამ, როცა ადამიან-კაპიტალი აღწევს გარკვეულ დონეს, ის განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების შეფერხების ერთ-ერთ ფაქტორად გვევლინება. როგორც ცნობილია, ზრდის თეორიულ მოდელებში, სადაც ადამიანური კაპიტალი წარმოების ერთ-ერთი დამოუკიდებელი ფაქტორია, მისი

დაგროვების ტემპების შენელება იწვევს ერთობლივი გამოშვების ზრდის ტემპების შემცირებას. ადამიანურ კაპიტალს შეუძლია მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ-ის ზრდის ტემპებზე გავლენის მოხდენა ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის მეშვეობით, რომელიც ახდენს R&D-ის სექტორის დინამიკის აპროკსიმაციას. ამგვარად, ადამიანური კაპიტალის ზრდის ტემპების შენელებას შეუძლია გამოიწვიოს R&D-ის სექტორის ზრდის ტემპების შემცირება. გარდა ამისა, ადამიანური კაპიტალის მაღალი დონე, როგორც წესი, თანდაყოლილია სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაღალი დონით, რომელიც ხელს უწყობს ჭარბი დანაზოგების ფორმირებას, რაც დამაქვეითებელ ზემოქმედებას ახდენს რეალური საპროცენტო განაკვეთის ბუნებრივ დონეზე, როგორც ეს ზემოთ იქნა აღწერილი.

გარდა აღნიშნული ფაქტორებისა, ზრდის ტემპებზე უარყოფით გავლენას ახდენს შემოსავლების უთანაბრობის ზრდა. თუ კაპიტალის შემოსავლიანობის ზრდის ტემპები აჭარბებს ეკონომიკური ზრდის ტემპებს, მაშინ ადგილი აქვს სიმდიდრის კონცენტრაციის ზრდას კაპიტალის მფლობელთა სასარგებლოდ. მოსახლეობის მდიდარი ნაწილის დანაზოგების ინვესტიციებში ტრანსფორმაცია შესაძლებელია არამხოლოდ მოცემული ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, რაც ამცირებს ერთობლივი მოთხოვნის გაფართოების შესაძლებლობებს. ჩენისა და მისი თანაავტორების ნაშრომში (2, გვ. 1-19) აღნიშნულია, რომ თანამედროვე ეტაპზე ერთობლივი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის კორპორაციაზე, რომელიც აფინანსებს გლობალური ინვესტიციების 2/3-ზე მეტს. ამ დროს ერთობლივ შემოსავალში ხელფასის სახით მიღებული შემოსავლების წილი ბოლო 30 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც განაპირობებს უთანაბრობის გაღრმავებას შინამეურნეობებსა და კორპორაციულ სექტორს შორის. გარდა ამისა, შემოსავლების უთანაბრობის ზრდის კვალობაზე მცირდება მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯები, რაც უარყოფითად მოქმედებს ერთობლივ მოთხოვნაზე (6, გვ. 224-245).

განვითარებულ ქვეყნებში შემოსავლების უთანაბრობის გაძლიერებაში არსებითი როლი ითამაშა ეკონომიკის გლობალიზაციამ. კერძოდ, შრომაინტენსიური წარმოების გადატანამ განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებადში განაპირობა დაბალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირება და მათი ხელფასების ვარდნა. მოსახლეობის ამ კატეგორიის მდგომარეობის გაუარესებამ კი ნეგატიური გავლენა მოახდინა ერთობლივ მოთხოვნაზე. გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობა განაპირობებს განათლების მიღების არათანაბარ შესაძლებლობას, შრომის ერთობლივი მწარმოებლურობის შემცირებას მოსახლეობის ღარიბი ფენებისათვის განათლების უფრო მაღალი საფეხურების ხელმიუწვდომლობის გამო.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2011 წლიდან საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის ტემპები მკვეთრად შემცირდა, რაც გამოწვეული იქნა მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ სუსტი ეკონომიკური აქტივობით, საერთაშორისო ვაჭრობის დელიბერალიზაციით, აგრეთვე გლობალური საწარმოო ჯაჭვის ფორმირების დასრულებით. საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის შემცირებამ შეიძლება დამაქვეითებელი გავლენა მოახდინოს რეალური მშპ-ის ზრდის ტემპებზე ტექნოლოგიების დიფუზიის არხის მეშვეობით (იმპორტული მოწყობილობების დანერგვის შემცირებითა და R&D-ის შიდა სექტორის განვითარების შენელებით). უცხოელი მწარმოებლების მხრიდან კონკურენციის შემცირება უარყოფითად აისახება ნებისმიერი ქვეყნის ადგილობრივი წარმოების ეფექტიანობაზე, შეამცირებს მის სტიმულებს ინოვაციური საქმიანობებისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისადმი.

1970-იანი წლების ბოლოდან დაწყებულმა საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ გამოიწვია მასშტაბური დეინდუსტრიალიზაცია განვითარებულ ქვეყნებში, მისი ფარგლებიდან წარმოების გატანის გამო. შედეგად შემცირდა ეკონომიკური ზრდის ტემპები, რადგანაც გაძლიერდა შემოსავლებში უთანაბრობა და შემცირდა საექსპორტო პოტენციალი. რადგანაც მსოფლიო ბაზრებზე საქონელზე საგარეო მოთხოვნა არსებითადაა დამოკიდებული მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ტემპებზე, განვითარებულ ქვეყნებში ამ უკანასკნელის შემცირება იწვევს იმპორტზე მოთხოვნის შემცირებას, რამაც განაპირობებს საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის ტემპებისა და მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ-ის შემცირება.

გარდა ზემოთქმულისა, ხანგრძლივი სტაგნაციის ცალკე ფაქტორად გამოიყოფა მაღალი სახელმწიფო ვალის დაგროვება. განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო ვალი საშუალოდ 2007-2018 წლებს შორის პერიოდში მშპ-ის 72%-დან 129%-მდე გაიზარდა. ვალის ზრდა გულისხმობს დანახარჯების ზრდას მის მომსახურებაზე. ცალკე უნდა აღინიშნოს აგრეთვე ვალის მდგრადობის პრობლემა და ვალის ზრდის რისკი საპროცენტო განაკვეთების ზრდის შემთხვევაში. თუმცა, სახელმწიფო ვალის მოცულობის შეზღუდვა განაპირობებს სახელმწიფო დანახარჯების შემცირებას განათლებაზე, ჯანდაცვასა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე), რაც ხელს შეუშლის შრომის მწარმოებლურობის ზრდას. მკვლევარები ასევე აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო ვალის პერმანენტული ზრდა თანდაყოლილია განუსაზღვრელობის ზრდითა და საინვესტიციო კლიმატის

გაუარესებით (12. გვ. 705-539), რაც ასევე ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე.

გრძელვადიანი სტაგნაციის არსებით ფაქტორად გვევლინება ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის შეფერხებასთან მჭიდროდ დაკავშირებული „შემოქმედებითი ნგრევის" მექანიზმის რღვევა. განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკების უკიდურესად რბილი მონეტარული პოლიტიკა, სასესხო საშუალებების წილის შემცირების (დელევერეჯინგი) გახანგრძლივებული პერიოდი ამუხრუჭებს პოსტკრიზისული აღდგენის ტემპებს, ვინაიდან ის უზრუნველყოფს არაეფექტიანი კომპანიებისა და ბანკების მხარდაჭერას. არაეფექტიანი ფირმები რჩებიან ბაზარზე, რაც უარყოფითად ზემოქმედებს ფაქტორთა ერთობლივ მწარმოებლურობაზე. ზრდის შუმპეტერიანული მოდელების ფარგლებში ინოვაციების არარსებობა, რომელიც უკავშირდება პრინციპულად ახალი საქონლისა და ტექნოლოგიების შექმნას, შემოქმედებითი ნგრევის პროცესის ხელოვნური შეფერხების პირობებში იწვევს ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემას).

ამრიგად, მიუხედავად აშშ-ის და ევროზონის ქვეყნების ბოლო წლების მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკისა, რომელიც, ერთი შეხედვით, ეკონომიკური აქტივობის ზრდასა და პოზიტიური ტრენდების არსებობაზე მიანიშნებს, მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკების პოსტკრიზისული აღდგენის გაჭიანურებული ეპიზოდის დასრულებასა და ხანგრძლივი სტაგნაციის სცენარის რეალიზაციის რისკების მინიმიზაციაზე მსჯელობა ძალზე ნაადრევია. თუ მხედველობაში მივიღებთ განვითარებული ქვეყნების სუვერენული და მთლიანი ვალის დინამიკას ბოლო ათი წლის განმავლობაში, ცხადი ხდება, რომ ამ ქვეყნებისათვის პერსპექტივაში გრძელვადიანი სტაგნაციის მყარი საფუძველი არსებობს.

ლიტერატურა

1 Barro R., Lee J.W. A New data set of educational attainment in the world, 1950—2010. Journal of Development Economics, Vol. 104, 2013.

2 Chen P-, Karabarbounis L., Neiman B. The Global rise of corporate saving. Journal of Monetary Economics, Vol. 89, 2017.

3 Eggertsson G. B., Lancastre M., Summers L. H. Aging, output per capita and secular stagnation. NBER Working Paper, No. 24902, 2018.

4 Eggertsson G.B., Mehrotra N.R. A Model of secular stagnation: theory and quantitative evaluation. NBER Working Paper, No. 23093. 2017.

5 Gordon R. Secular stagnation: A supply-side view. American Economic Review, Vol. 105, No. 5, 2015.

6 Jones C., Romer P. The new Kaldor facts: Ideas, institutions, population, and human capital. American Economic Journal, Vol. 2, No. 1, 2010.

7 Solow R. A contribution to the theory of economic growth. Quarterly Journal of Economics, Vol. 70, No. 1, 1956.

8 Storm S. The new normal: Demand, secular stagnation, and the vanishing middle class. International Journal of Political Economy, Vol. 46, No. 4, 2018.

9 Summers L. Us economic prospects: secular stagnation, hysteresis, and the zero lower bound. Business Economics, Vol. 49, No. 2, 2014.

10 Temin P. The vanishing middle class: the growth of a dual economy. Cambridge, MA: MIT Press, 2017.

11 Weil D. N. The economics of population aging. In: M. R. Rosenzweig, O. Stark (eds.). Handbook of population and family economics. New York: Elsevier, 1997.

12 Woo J., Kumar M. S. Public debt and growth. Economica, Vol. 82, No. 328, 2015.

THE RISKS OF THE NEXT GREAT DEPRESSION AND KEY FACTORS OF LONG-TERM STAGNATION

Chikobava Malkhaz
PhD in Economics
Associate professor of
department of macroeconomics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

Abstract: The article analyzes the key factors of long-term stagnation. In the scientific literature, studies of long-term economic stagnation have appeared for the first time since the Great Depression of 1929-1933. The innovation in this regard belongs to American Keynesian trend economist Alvin Hansen. In the 1990s the scientific community has returned to discussing long-term stagnation, observing a significant slowdown in economic growth in Japan. In the past decade, the low rate of post-crisis recovery in developed countries has again sparked an active discussion about the possibility and factors of long-term stagnation and rethinking the growth prospects of the global economy.

The main characteristic of prolonged stagnation is a slowdown in economic growth. In the past decade, the low rate of post-crisis recovery in developed countries has again sparked an active discussion about the possibility and factors of long-term stagnation and rethinking the growth prospects of the global economy.

If we pay attention to the dynamics of the sovereign and total debt of developed countries over the past ten years, it becomes obvious that there is a solid basis for long-term stagnation in the future of these countries.

Key words: *Economic stagnation, Depression, Slowing economic growth, Stagnation factors, Potential output, Demographic factors, Excess savings, State debt.*

ორი ილია შრომის შესახებ

ჩიხლაძე ნიკოლოზ
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი;
ქუთაისის უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კოღუაშვილი პაატა
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ს/მ აკადემიის ნამდვილი წევრი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შრომა, შრომითი საქმიანობა უფლის მცნებების შესრულებაა როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის მიხედვით. მაცხოვარმა ერთ-ერთ ძირითად მცნებად შრომა დაუტოვა კაცობრიობას, ჯერ როგორც შემოქმედებითი მისია, ხოლო ცოდვითი დაცემის შემდეგ, როგორც ერთგვარი რეჟიმი ცოდვის წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართველ წმინდანთა და საეკლესიო მოღვაწეთა დამოკიდებულება შრომისადმი, ბუნებრივია, მართლმადიდებლური „შრომის სახარების“ ძირითად პრინციპებს ეყრდნობა და იზიარებს. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია წმ. ილია მართლისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის შრომისადმი დამოკიდებულებას განიხილავს.

საკვანძო სიტყვები: *შრომა, პატრიარქი, ილია მართალი, წმინდა წერილი, შრომის კურთხევა, პროფესია, შრომის სახარება, დოვლათი.*

შრომა კაცობრიობის არსებობის საფუძველია. შრომისა და ლოცვის ერთიანობა მთავარი მართლმადიდებლური პრინციპია. ძველი აღთქმისეული მცნებით, შრომა სასიამოვნოა, სიყვარულით ხორცშესხმული საქმიანობაა (დაბ. 1:28), ხოლო ცოდვით დაცემის შემდეგ- არსებობისათვის აუცილებელი ქმედება (დაბ. 3:19).

წმინდანთა ცხოვრებისეული მაგალითები, მათი დამოკიდებულება შრომისადმი, ოფლისღვრით სარჩოს მოპოვებისადმი, თავგანწირვა ფიზიკური თუ ინტელექტუალური შრომისას, გვიჩვენებენ რაოდენ დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი ლოცვისა და შრომის შეთავსებას, შრომით მადლს. ამ პათოსით არის დაღდასმული დიდი ქართველი განმანათლებელის, „ერის მამის“, წმ. ილია მართლისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის შრომები და მოღვაწეობა.

„ხმლით შრომა“ წმინდა ილია მართლის ერთ-ერთი მთავარი დევიზი და მოწოდებაა: „ახლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ეს ომი შრომისაა და ვითართა შრომა პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავ-მოსაწონებელი, თავგამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამ ომში ბევრით წინ არის სისხლით ომის ვაჟკაცობაზე“ [1].

სამართლიანი და კაცთმოყვარე კაცი შრომისმოყვარეც არის. მას საკუთარი სინდისიც არ მისცემს ფუჭად დროის ფლანგვის ნებას. წმ. ილია მართალი აღნიშნავს: „თუ სამართლიანი კაცი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმიტომ, რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგანაც უქმად ყოფნის ნებას გრძნობა სამართლიანობისა არ მოგცემს ამ წუთისოფელში, საცა ოფლის წურვით უნდა ჰყიდულობდეს თითოეული თავის კერძს ცხოვრებისას, და კეთილის მოქმედიც იქნები, რადგანაც ავკაცობის ნებას არ მოგცემს გრძნობა კაცთმოყვარეობისაო. [1]

საგულისხმოა, რომ სწორედ ილია მართალმა, „ერის მამამ“ ფაქტობრივად იხსნა ერი უნიათო თავადებისაგან და ქართული მიწები გადაარჩინა ჩალის ფასად უცხო ჯურის წარმომადგენლების მიერ ხელში ჩაგდებისაგან.

ახალი ეკონომიკური ურთიერთობების და სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებებით გამოწვეული კონკურენციის და უცხო ქვეყნების ეკონომიკური ექსპანსიის მოლოდინში დიდი ილია შიშნარევად აღნიშნავს: „ხმლიანმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი... შრომით, გარჯით, ცოდნით და ხერხით მორეული, კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთბა და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან“ [2, გვ.79].

სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური გაძღოლა ილია ჭავჭავაძეს ვერ წარმოედგინა ადგილობრივ მიწათმოქმედთა მიერ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ათვისების გარეშე („დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა“, - ინოვაციური, პროდუქტიული ცოდნა-თანამედროვე მიწათმოქმედის ორგანული თვისებებია, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია

დღევანდელი ქართული სოფლისათვის). ილიას არაერთხელ შეუსყიდია ევროპიდან უახლესი მოდიფიკაციის მანქანა-იარაღები (ჰოვარდის №2 ტიპის გუთანი ილიამ ფართოდ დანერგა არამარტო საგურამოში, არამედ მიმდებარე ათეულ სოფელშიც. „ბუკკეის“ მარკის ხორბლის სამკალი-ძნისდამდგმელი მანქანა, „ლეპპა და ვალმანას“ პურის სალეწი მანქანა, ვაზის სასხურებელი მანქანა და სხვა) საკუთარ მამულში დასანერგად და მათ დემონსტრირებას დასწრებია. თუმცა, მათი გამოყენება კვალიფიციური მუშახელის არარსებობის გამო, სრულფასოვნად ვერ მოახერხა.

ასეთი „უცხო ხილი“ იყო მოწყობილობა, რომელსაც კრუხის როლი უნდა შეესრულებინა (რასაკვირველია ინკუბატორს ვგულისხმობთ). ის კარგა ხნის განმავლობაში აოცებდა ილიასთან სტუმრად მისულ საზოგადოებას თავისი შესაძლებლობებით, რომლის დემონსტრირებაც ვერ იქნა და ვერ მოხერხდა.

ილია „კარგი მეურნე გახლდათ, ხეხილის ბაღიც და ვენახიც ჩინებულად მოვლილი ჰქონდა, სადაც თავად შრომობდა ფიზიკურად. ხილ-ბოსტნეულიც და ყურძენიც მაღალი ღირსების მოსდიოდა. ამის დამადასტურებელია ორი ფაქტი-პირველი, 1879 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩატარებულ „ბოსტნეულ-ბაღჩეული პროდუქტების კავკასიის პირველ გამოფენაზე“, ილია ჭავჭავაძე დიდი ვერცხლის მედლით დაუჯილდოვებიათ. მეორე ფაქტი კი გახლავთ ილიას მეუღლის დაჯილდოება 1889 წელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე [3, გვ. 40].

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერებათა ობიექტური კვლევის შედეგად წმ.ილია მართალმა გამოკვეთა სოფლის მეურნეობის უპირატესი როლი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება-გაძლიერებისა და სულიერ-ხორციელი წინსვლის საქმეში: ,,სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულების პატრონობის წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით” [4, გვ.56].

გლობალური კონკურენტუნარიენობის გაძლიერების რეალურ საშიშროებას თითქოს გრძნობდა წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე), როცა აღნიშნავდა: „ახლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა. ქვეყანა ახლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო რა - შრომით, გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს“.

დიდმა ილიამ შექმნა მოძღვრება, მეცნიერული სისტემა საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის წარმატების გზების მსოფლიო კონტექსტში განსაზღვრის შესახებ. იგი მიუთითებდა, რომ მიწათმოქმედების, საფაბრიკო-საქარხნო წარმოების გასაძლიერებლად ჩვენ გვჭირდება დავაგროვოთ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, აუცილებელია სხვამ არ დაგვასწროს და ჩვენ თვითონ დავიკავოთ ჩვენი ნიში, ანუ „მოცლილი და დაუჭერელი ადგილი“[5, გვ.10].

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის გონივრულ გაღრმავებასთან ერთად დიდი ილია კონკურენტულ ბრძოლის უმთავრეს იარაღად შრომის ნაყოფიერების გადიდებას მიიჩნევდა. რამდენადაც „სხვიდამ მოტანილი“ მარცვლეული იაფი უჯდებოდა აქაურ მომხმარებელს, აუცილებელია სწავლა იმისა, რომ „ერთისა და იმავე შრომით და ხარჯით ახლანდელზე მეტი გამოვაღებინოთ მიწას, ვისწავლოთ სხვა უფრო ძვირფასი რამ, მოსავალი მოვიყვანოთ იმისთანა, რომლის შეძლებასაც უხვად გვაძლევს საქართველოს ჰავა და მიწა, რომელსაც ყოველთვის მუშტარი ჰყავს ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც“ [6, გვ.7].

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პატიოსან და ღვთივსათნო შრომაზე, შრომისა და შრომისმოყვარეობის საკითხზე.

უწმინდესი მიიჩნევს, რომ შრომა დედაბოძია როგორც შეძენისა (შემოსავლის, სიმდიდრის, დოვლათის, ქონების), ისე მოხმარებისა და ცოდნის მიღებისა, სახელმწიფოს ფორმირებისა. პატრიარქი კიდევ ერთხელ უარყოფს ფიზიკური შრომის, თითქოს დაკნინებულ მდგომარეობას, რომელიც პიროვნების დამამცირებელია [7, გვ.107].

ჯერ კიდევ 1980 წელს, ავადსახსენებელი განვითარებული სოციალიზმის და უღვთობის ზეობის ხანაში, პატრიარქი ამჩნევდა ერის გაქსუების, უმაქნისობისა და გადაგვარების საფრთხეს და გვაფრთხილებდა: “ბიოლოგიური კანონებიდან გამომდინარე, უნდა გვახსოვდეს, რომ შრომა თავისთავად ცოცხალი მატერიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილებაა. შრომა სჭირდება ადამიანს ნორმალური არსებობისათვის, სჭირდება ისევე, როგორც ჰაერი, საკვები, ძილი, ურთიერთობა... ზოგიერთი ადამიანი ოცნებობს: ნაკლები იმუშაოს და მეტი მიიღოს, მაგრამ დასვენებით რომ დატკბე, თავდაპირველად უნდა დაღლა იგრძნო... მუსიკოსი, მხატვარი, მღვდელი, მწერალი, მეცნიერი, ყოველი მშრომელი ადამიანი ძლიერ იტანჯება, თუ ის მოკლებულია საყვარელი საქმიანობის შესაძლებლობას. დაუშვებელია იყო დაბადებით უსაქმური და ბედნიერებას უმოქმედობაში ხედავდე” [8].

მხოლოდ მატერიალურის ძიება ადამიანს სასიკეთოს არაფერს მოუტანს. ღირს ვიფიქროთ, რომ ეს იყო „ეპოქალური საფრთხე“ მარქსისტულ-ლენინური მატერიალიზმის ეპოქაში: „ადამიანები კი უფრო ხშირად მხოლოდ მიწიერი სიბრძნით ცხოვრობენ და ამიტომაც ვერ აღწევენ ჭეშმარიტ ბედნიერებას. ისინი ეძებენ ბედნიერებას მოჩვენებითს, ფუჭს, წარმავალს, რომელსაც მუდამ თან სდევს უბედურება“[9].

გავიხსენოთ, რომ ჯანსაღი სამეწარმეო გარემოს დეგრადაციით და კვდომით შეწუხებულმა პატრიარქმა, ამ უახლოეს ეპისტოლემდე ათი წლით ადრე, საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა: “თუ დამწყები წარმოებები არ განთავისუფლდებიან მძიმე გადასახადებისაგან, ვერაფერი ვერ გაიხარებს... ჩვენ ვერ შევძლებთ უმუშევართა არმიის დასაქმებას. მე ძალიან ბევრს ვფიქრობ იმის შესახებ, თუ რა წარმოებები შეიძლება იყოს განვითარებული საქართველოში” [10].

პატრიარქი მიიჩნევს, რომ შრომითი საქმიანობის დაგეგმვას და პასუხისმგებლობას ინდივიდი ბავშვობიდანვე უნდა შეეჩვიოს. განათლება, პროფესიისა და კვალიფიკაციის მიღება გარდაუვალი აუცილებლობაა ახალი პიროვნების ფორმირებისათვის. 1996 წლის სააღდგომო ეპისტოლეში უწმინდესი აღნიშნავს: „ბავშვი უნდა შევაჩვიოთ, რომ თავისთვის სამუშაო გეგმა შეადგინოს: წლიური, თვიური და კვირეული. მან ყრმობიდანვე უნდა შეაგროვოს წიგნები და იკითხოს“.

1990-ანი წლების დასაწყისში, თავის ერთ-ერთ გამოსვლაში უწმინდესი აღნიშნავს ტაძრებთან მეურნეობების შექმნის შესახებ. იგი აქვე გვაძლევს მოკლე მონახაზს, მემენეჯმენტისა და საქმიანობის იმ მიმართულებათა თაობაზე, რაც უნდა განვითარდეს: „მე ვფიქრობ, რომ კარგი იქნება, თუ ყველა ტაძართან მეურნეობა შეიქმნება. ტაძარს უნდა ჰქონდეს საკუთარი მიწის ნაკვეთი, რომელსაც მრევლი დაამუშავებს. ასევე შესაძლებელია პირუტყვის მოშენებაც... უნდა შეიქმნას ჯგუფები, რომელშიც შესაძლებელია 7,9 ან 12 მორწმუნე გაერთიანდეს, ამ ჯგუფებმა უნდა გადაწყვიტონ კერძოდ რომელ საქმეს მოჰკიდებენ ხელს. ზოგი შეიძლება ფარდაგების ქსოვას შეუდგეს, ზოგმაც ხატწერა აირჩიოს, ზოგმაც კიდევ ხეზე ჭრა, მაგალითად, ჯვრებისა... შრომა და განსაკუთრებით ერთად შრომა მრევლში ეკლესიურობასაც აამაღლებს, ლოცვასთან ერთად ხომ შრომაც აუცილებელია“ [11, გვ.118].

შრომის საკითხს პატრიარქი კიდევ ერთხელ ეხება 1997 წლის სააღდგომო ეპისტოლეშიც: „შრომა, როგორც წერია ბიბლიაში და ჩვენი ყოფაც ნათლად მოწმობს, არის ადამიანის მიწიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. იგია კურთხევა ღვთისა, რომლის შედეგიც არის სიუხვე, სიხარული და მშვიდობა. უფალი ბრძანებს: ,,პიროფლიანი სჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე“ (დაბ. 3:19)... ბევრმა არ იცის, რაოდენ სასიამოვნოა შრომით დაღლა, თუ მისი ნაყოფი სიკეთის მომტანია და სიხარულს ანიჭებს სხვებს. ადამიანში, რომელიც არ შრომობს, ხდება ენერგიის ლპობა და გახრწნა, რაც შემდეგ იწვევს საერთო გულგრილობას, ნიჰილიზმს, სასოწარკვეთილებას, ეს კი საბოლოო ჯამში ფიზიკურ ან სულიერ დაავადებებში გამოვლინდება“.

ამავე ეპისტოლეში, პატრიარქი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ შრომითი უნარ-ჩვევები, შრომის პატივისცემა და საერთოდ, დამოკიდებულება შრომისადმი ადამიანმა ბავშვობიდანვე უნდა შეიმეცნოს: „მშობლები, რომლებიც ფიზიკური შრომისთვის ვერ იმეტებენ პატარებს, სინამდვილეში დიდ ბოროტებას ჩადიან, რადგან შვილებს, როგორც ოჯახისათვის, ისე საერთოდ ცხოვრებისათვის მოუმზადებელს ხდიან“.

საკმაოდ ორიგინალურ და დამაფიქრებელ მოსაზრებებს გვთავაზობს პატრიარქი დასაქმებისა და შრომის ახალი კულტურის დამკვიდრების კუთხით, რაც ერთგვარი შეწევნა იქნება როგორც ცალკეული ტერიტორიების დაცულობისა და განაშენიანებისათვის, ისე სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მოთავსებული პირების „სულიერი თერაპიისათვის“: „ჩვენ ადრეც შევთავაზეთ ხელისუფლებას და ახლაც შევახსენებთ, რომ იქნებ ერთ-ერთ საქმედ იქცეს აქაურ დაუსახლებელ ტერიტორიებზე მცირე დანაშაულის მქონე პატიმრებისთვის მიმაგრების ადგილებისა და სოფლების მოწყობა (თავისი მეურნეობებით), რაც დასაქმების პრობლემასაც ნაწილობრივ გადაწყვეტს და დაცულ ზონებსაც შექმნის. ბუნებრივია, აქ უნდა ასევე განვითარდეს მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, ხელსაქმე, მიწის ერთობლივი დამუშავებისათვის კი, უნდა შეიქმნას კოოპერატივები. სვანეთში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში განხორციელებული სახელმწიფო პროგრამები იმედს იძლევა, რომ ეს საკითხიც აქტუალური გახდება და მდგომარეობა გამოსწორდება“ [12].

პატიოსანი და ღვთივსათნოო შრომა უფლისაგან დალოცვილია, მაგრამ პატრიარქის აზრით, განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთი საქმიანობა, რომელიც ბუნებასთან კავშირშია; მიწის, მცენარეების, ცხოველების სიყვარულზე დაფუძვნებული ურთიერთობა ადამიანს აკეთილშობილებს და კურნავს, რადგან ღმერთმა ამ სამყაროს გვირგვინად შეგვქმნა და მასზე პასუხისმგებლობაც დაგვაკისრა. თანამედროვე ადამიანმა ეს დამოკიდებულება უხეში მომხმარებლური მიდგომით შეცვალა, რაც თუ არ გამოსწორდა, დაღუპავს კაცობრიობას“. [13]

ვფიქრობთ, უწმინდესი და უნეტარესი, კათალიკოს-პატრიარქი ილია II სულიერ ფასეულობებთან მიმართებით კონიუნქტურული ციკლების ღვთიურ გააზრებას გვთავაზობს: „ნუ შეგვაშინებს და სასოწარკვეთილებაში ნუ ჩაგვაგდებს ჩვენი დღევანდელი ყოფა, რადგან ხშირად განსაცდელი მშვიდობისა და კეთილდღეობის წინამორბედია. გავიხსენოთ, როგორ შეცვალა სიხარულმა მაცხოვრის ჯვარცმით გამოწვეული მწუხარება, დამცირება დიდების საწინდრად იქცა, სიკვდილმა უკვდავებას დაუთმო გზა“ [14].

ბოლო პერიოდის ერთ-ერთ ეპისტოლეში პატრიარქი ჩვეულ ყურადღებას ამახვილებს პატიოსან და ღვთივსათნო, ღვთისმოსაწონ შრომაზე. ღმერთი სრულყოფილია, ჩვენც გვმართებს მუდამ ვისწრაფვოდეთ სრულყოფილებისაკენ და ვცდილობდეთ იმ ნიჭის სრულად გამოვლენას, რაც უფლისაგან მოგვეცა; იქნება ეს: მიწათმოქმედება, სხვა ფიზიკური შრომის უნარი, სწავლა, მეცნიერული აზროვნება, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მუშაკობა, პედაგოგობა, ექიმობა, მშენებლობა, ქვეყნის მსახურება, ღვთის მსახურება. მოციქული ამიტომაც გვარიგებს: „ყველაფერი რასაც გააკეთებთ, გააკეთეთ როგორც ღვთისთვის, მთელი სულითა და გულით (კოლ.3,23)“ [15].

ამდენად, წმ. ილია მართლისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის შრომისადმი დამოკიდებულება მიმართულია შენებისაკენ, შექმნისაკენ, უფლისა და მოყვასის დახმარებისაკენ, შრომით მოპოვებულის უპოვართათვის გადანაწილებისაკენ. ისინი ამას ადასტურებენ არამარტო ღრმა მეცნიერული და ღვთისმეტყველური ნაშრომებით, არამედ საქმითაც - ბოლომდე იღვწიან ქვეყნის განვითარებისა და აღმშენებლობისათვის.

ლიტერატურა

1 წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) შეგონებანი - URL: *http://www.orthodoxy.ge/mamebi/ilia_shegonebani.htm* (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 2.09.2019);

2 **წმ. ილია მართალი.** შეგონებანი. თბ., 2003;

3 **კოღუაშვილი პ.,** ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალით. თბ. „მერიდიანი“, 2013. - 102 გვ.

4 **მღვდელი ბასილ ახვლედიანი, შიხაშვილი გ., ბაკაშვილი ნ.,** მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. თბ., „მერიდიანი“, 2009. – 368 გვ.

5 **ვეშაპიძე შ.,** ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ეკონომიკური კეთილდღეობის გლობალურ კონტექსტში განსაზღვრის პროირიტეტების შესახებ. დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შრომები. #2, 2016. - URL: *http://journal.eta.edu.ge/index.php/Pr17/article/view/166/121* (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 2.09.2019);

6 **ჭავჭავაძე ი.,** კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი. - URL: *https://gdi.ge/uploads/other/1/1026.pdf* (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 2.09.2019);

7 **ჩიხლაძე ნ**., შრომის გააზრების მართლმადიდებლური და ეკონომიკური საკითხები. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2015. - 136 გვ.

8 საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის საახალწლო ეპისტოლე, 1980 წელი.

9 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საახალწლო ეპისტოლე. 1987 წელი.

10 უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვა საქართველოს პარლამენტის საზეიმო სხდომაზე. 1999.

11 “საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ” (შემდგენელ-გამომცემელი **გ. შიხაშვილი**). თბ., 2004.

12 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 2011 წლის საშობაო ეპისტოლე. - URL: *https://patriarchate.ge/geo/2011-3-2/* (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 2.09.2019);

13 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 2008 წლის სააღდგომო ეპისტოლე. ჟურნ. „კარიბჭე“, N8(95), 2008;

14 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 2010 წლის საშობაო ეპისტოლე. - URL: *https://patriarchate.ge/geo/2010-2/* (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 2.09.2019);

15 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 2019 წლის სააღდგომო ეპისტოლე - URL: *https://ipress.ge/new/saqarthvelos-katholikos-patriarqis-ilia-ii-is-2019-tslis-saaghdgomo-epistole-sruli-versia/* (ხელმისაწვდომობა გადამოწმებულია 2.09.2019);

TWO ILIAS ON THE QUESTION OF WORK

Chikhladze Nikoloz
Doctor of Economic Science, Doctor of Theology, Professor of Kutaisi University,
Professor of Ak. Tsereteli State University

Koguashvili Paata
Doctor of Economic Science, Professor of Georgian Technical University,
Full Member of Georgian Academy of Agricultural Sciences

Summary

Work is performance of the commandments of the Lord, according to both the Old and New Testaments. The Savior bequeathed work to humanity as one of the main commandments, first as a creative mission, and then as a kind of regime to strike down the sin after the fall. Work attitude of Georgian saints and religious figures is, of course, based on and shares the basic principles of the Orthodox "Gospel on Work". This scientific article considers work attitude of Saint Ilia the Righteous and Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II.
Key Words: *Work, Patriarch, Holy Scripture, The Blessing of Work, Occupation, Gospel on Work, Welfare.*

საწარმოთა ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის აქტუალურისაკითხები

ჭილაძე იზოლდა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი,

კოზმანაშვილი ლია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თსუ-ის ასისტენტ პროფესორი,

სტატიის მიზანია ფულადი ნაკადების ანგარიშგების მაჩვენებლების, ფინანსური ანგარიშგების დანარჩენ კომპონენტებთან შიგა რაოდენობრივი კავშირების გამოკვლევა და ფულის ძირითადი კოეფიციენტების ტენდენციების გამოვლენა საანალიზო საწარმოების მაგალითზე.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია შეფასდეს საწარმოს აქვს თუ არა საკმარისი ფულადი რესურსები ვალდებულებების დასაფარავად. აგრეთვე, რამდენად ეფექტიანად არის გამოყენებული ფულადი სახსრები და საჭიროა თუ არა დამატებითი სახსრების მოზიდვა. ამ მიზნით გამოყენებულია ანგარიშგების სტრუქტურული, კოეფიციენტური და შედარებითი ანალიზის მეთოდები.

სტატიაში შესწავლილია ფულადი ნაკადების ანგარიშგების სტრუქტურა და ფულადი აქტივის გამოყენების ეფექტიანობის ძირითადი კოეფიციენტები საქართველოს სამი საანალიზო საწარმოს მაგალითზე და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური ანგარიშგება, ფულადი ნაკადები, ფულის კოეფიციენტები.*

შესავალი

საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა საკმარისი ფულადი სახსრების საჭირო რაოდენობით არსებობა და ეფექტიანი გამოყენება. ამასთან ეს ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო, რათა საწარმოს გარეთ არსებულმა დაინტერესებულმა პირებმა (კრედიტორები, გამსესხებლები, ინვესტორები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები) შეძლონ მათთვის საინტერესო საწარმოების ფინანსური პოზიციების შეფასება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი, რომელიც მის მომხმარებლებს ეხმარება სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში (ბასს 1. მ.9. გვ.4) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანია არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს საწარმოს შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც სასარგებლო იქნება მათთვის გადაწყვეტილებების მისაღებად (ფ.ანგ. კონცეპტუალური საფუძვლები, მ.2, გვ. 7).

ფინანსური ანგარიშგება ხუთ კომპონენტს შეიცავს. ესენია: ბუღალტრული ბალანსი (ანუ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება), მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგება, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები. წინამდებარე შრომაში განვიხილავთ მხოლოდ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის ზოგიერთ საკითხს შერჩეული საწარმოების: ნიკორას, იფქლი დიღომისა და საქართველოს რკინიგზის მაგალითზე 2017 წლის მდგომარეობით. ფულადი სახსრების გარეშე ვერცერთი ბინზესი ვერ ძლებს. ამდენად, ფულადი ნაკადების მდგომარეობის ანალიზი და შეფასება ყოვეთვის აქტუალურია. სქემა 1. საწარმოთა ანგარიშგების ანალიზის ევოლუცია

1. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების შიგა კავშირების კონტროლის მოდელები

ფინანსური ანგარიშგების განვითარება მსოფლიოში სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებასა და გლობალიზაციის პროცესებს უკავშირდება. შესაბამისად ვითარდებოდა ანგარიშგებაში ინფორმაციის წარდგენის, შეფასებისა და ანალიზის მეთოდები. ამ მიმართულებით გამოიყოფა ანგლო-ამერიკული და გერმანულ-რუსული სკოლა.

სქემა 1

საწარმოთა ანგარიშგების ანალიზის ევოლუცია



პირველ სქემაზე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების განვითარების ორივე სკოლის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. ორივე სკოლის ყურადღების ცენტრშია ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციის სისტემატიზაცია ფინანსური ანგარიშგების სახით.

ბალანსი წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკური პოზიციების კვინტენსეციას. ამიტომ თავდაპირველად მთელ ფინანსურ ანგარიშგებას ბალანსს უწოდებდნენ. აქედან მოდის გერმანულ პრაქტიკაში გავრცელებული განსაზღვრება: ბალანსმცოდნეობა. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო ფინანსური შედეგების, დანახარჯების კონტროლის, თვთღირებულების კალკულაციისა და საწარმოო სიმძლავრეების მართვაზე. ანგლო-ამერიკული სააღრიცხვო სკოლის მიდგომით ყურადღება გამახვილებულია ორივე მიმართულებით: აღრიცხვისა და ანგარიშგების განვითარებაზე, როგორც მის პროდუქტზე. ამ თვალსაზრისით, ბუღალტრული აღრიცხვა და მისი ძირითადი პროდუქტი - ანგარიშგება უნდა ეხმარებოდეს და ხელს უწყობდეს საერთოდ ბიზნეს-ურთიერთობების და კერძოდ, კაპიტალის ბაზრის ნორმალურ ფუნქციონირებას. შედეგად, აშშ-ში ფინანსური ანგარიშგება გამოიყო როგორც შიდა ინფორმაციის დამოუკიდებელი წყარო, რომლის საფუძველზე აქციონერებსა და ინვესტორებს შეეძლოთ შეექმნათ გარკვეული წარმოდგენა სამეურნეო სუბიექტის შესახებ. დასავლეთის ქვეყნებში საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების ანალიზი პრაქტიკაში განსაკუთრებით გააქტიურდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. შემდეგ, საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებამ და გლობალიზაციამ დღის წესრიგში დააყენა ბუღალტრული აღრიცხვისა და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შექმნის აუცილებლობა და გამოქვეყნება, რაც 1978 წლიდან, გაეროს ეგიდით, დაიწყო კიდეც.

საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს შორის არსებობს შიდა რაოდენობრივი კავშირები. „ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები) ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, რადგან ასახავენ ერთი და იმავე ეკონომიკური ოპერაციებისა და მოვლენების სხვადასხვა ასპექტებს. ეს კავშირები ეყრდნობა ეკონომიკაში არსებულ შინაგანი წონასწორობის კანონზომიერებას, რომელიც აღრიცხვაში ბალანსირების პრინციპითაა ცნობილი“ (ჭილაძე ი. 2018. გვ. 81).

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადების ორი მეთოდი არსებობს: პირდაპირი და არაპირდაპირი. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით საბაზისო მეთოდია პირდაპირი მეთოდი, რომელსაც ანალიზური მნიშვნელობა აქვს. არაპირდაპირი მეთოდი კი ალტერნატიული მეთოდია, რომელიც ეყრდნობა ფულადი ნაკადების, მოგების, შემოსავლების, ხარჯების, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ნაშთებს შორის არსებულ ეკონომიკურ კავში-

რებს, რომელიც შეიძლება გმოყენებულ იქნეს მაშინ, თუკი საწარმოს, რაღაც ობიექტური მიზეზ-ების გამო არ გააჩნია სრულყოფილი სააღრიცხვო ინფორმაცია ფულადი ნაკადების შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს შორის რაოდენობრივი კავშირების შემოწმების მრა-ვალი მოდელი არსებობს. აქ შევეხებით მხოლოდ ფულად ნაკადებთან დაკავშირებულ წონასწორო-ბის რამდენიმე მოდელს, როგორიცაა:

1. ფულის ნაშთის ცვლილება = ვალდებულებების ზრდა + საკუთარი კაპიტალის ზრდა - არაფულადი აქტივების ზრდა.

2. აქციების გამოშვებიდან მიღებული ფულადი თანხები, ნაჩვენები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, უნდა დაემთხვეს საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაში სააქციო და საემისო კაპიტალის ცვლილების მაჩვენებლებს და იგივე უნდა დაემთხვეს ბალანსში გადმოცემულ სააქციო კაპიტალის ცვლილების მაჩვენებლებს.

შემოსავალი რეალიზაციიდან (მოგება/ზარალის ანგარიშგებიდან) (+)

მოთხოვნა მიწოდებიდან {საწყისი ნაშთი ბალანსიდან) (-)

მოთხოვნა მიწოდებიდან {საბოლოო ნაშთი ბალანსიდან) (+)

---

3. მყიდველებიდან მიღებული ფული (ფულადი ნაკადებიდან) X
გადასახდელი პროცენტი, საწყისი ნაშთი (ბალანსიდან) (+)

დარიცხული საპროცენტო ხარჯი (მოგება/ზარალის ანგარიშგებიდან) (+)

გადასახდელი პროცენტი წლის ბოლოს (ბალანსიდან) {-)

---

4. გადახდილი პროცენტის თანხა (ფულადი ნაკადების ანგარიშგება) X

5. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული არაპირდაპირი მეთოდით უდრის:

ა. წმინდა მოგება (+)

მოგების გადასახადის ხარჯი (+)

საპროცენტო ხარჯები (+)

საპროცენტო შემოსავალი (-)

ცვეთის ხარჯი (+)

მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვლილებამდე X

ან, ამონაგები რეალიზაციიდან (+)

საოპერაციო ხარჯები ცვეთის გამოკლებით (-)

მოგება საბრუნავ საშუალებებში ვლილებამდე X

მატერიალური მარაგების ნაშთების ზრდა {-)

მიწოდებიდან მოთხოვნების ნაშთის ზრდა (-)

მოწოდებიდან ვალდებულებების ნაშთების ზრდა (+)

გასაცემი ხელფასის ნაშთების ზრდა (+)

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული X

6. საერთო წმინდა ფულადი ნაკადი = ვალდებულებების ზრდა -

- გრძელვადიანი აქტივების ზრდა + საკუთარი კაპიტალის ზრდა.

ზემოთ ჩამოთვლილი ტოლობებიდან, რამდენიმე შემოწმებულ იქნა შერჩეული საანალიზო საწარმოების მაგალითზე (იხ. ცხრილი 1). ამავე ცხრილში ნაჩვენებია რიცხვები, რომლებიც საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებაშია მოცემული და არ ემთხვევა ჩვენი გამოთვლებს შედეგებს. მაშასადამე, ზოგჯერ დაცული არაა მაჩვენებლებს შორის არსებული კავშირები. რაც გვაფიქრებინებს, რომ ადგილი ჰქონდა რიცხვებით მექანიკურ მანიპულირებას.

ცხრილი 1

ფინანსური ანგარიშგების შიგა რაოდენობრივი
წონასწორობა 2017 წლის მდგომარეობით

	მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	სს ნიკორა ტრეიდი ათ.ლ	შპს იფქლი დიღომი ლ	სს საქ. რკინიგზა ათ.ლ
1	ვალდებულებების ზრდა (+), შემცირება (-)	+ 8326	+ 67984	-9018
	საკუთარი კაპიტალის ზრდა (+)	+ 10 607	+236805	-354428
	არაფულადი აქტივების ზრდა (-)	- 10196	-1013804	+328511
	---	---	---	---
	ფულის ნაშთის ცვლილება წლის ბოლოს	+ 8737	+709015	-34935
		უნდა იყოს + 8437	უნდა იყოს - 79154	
2	შემოსავალი რეალიზაციიდან	268270	19878187	473511
	საოპერაციო ხარჯები ცვეთის გამოკლებით (-)	(241167)	(15049731)	(261660)
	---	---	---	---
	მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვლილებამდე	27103	4828456	211851*
	მატერიალური მარაგების ნაშთების ზრდა {-)	(5639)	-121168	- 3055
	მიწოდებიდან მოთხოვნების ნაშთის ზრდა (-)	(2703)	-323678	+26002
	მოწოდებიდან ვალდებულებების ნაშთების ზრდა (+)	10781	+454829	+5436
	გასაცემი ხელფასის ნაშთების ზრდა (-)	-		-
	---	---	---	---
	საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული	29542	4838439	240234
		უნდა იყოს: 15242	უნდა იყოს: 4156617	უნდა იყოს: 178917

პირველ ცხრილში ჩანს განსხვავება ანგარიშგების ფაქტობრივ და ჩვენს მიერ გაკეთებულ გამოთვლებს შორის. მაგალითად, სს საზოგადოება ნიკორა ტრეიდში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული უნდა იყოს 15242 ათასი ლარი, ნაცვლად 29542 ლარისა. მსგავსი მდგომარეობაა ყველა საანალიზო საწარმოში. მხოლოდ საქართველოს რკინიგზის ანგარიშგებაში მოცემული მაჩვენებელი - „მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვლილებამდე - 211851 ათ ლარი, დაემთხვა ჩვენს გამოთვლებს. ამასთან, ზოგიერთი საწარმო ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ამზადებს არაპირდაპირი მეთოდით, რის გამოც მისი ანალიზური მნიშვნელობა იზღუდება. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საანალიზო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლები ზოგჯერ სუბიექტურად შერჩეული რიცხვებია.

2. ფულადი ნაკადების ანგარიშგების კოეფიციენტები და მათი ანალიზის შედეგები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების (cash flow statement), ინფოფრმაციის მიზანია, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელი უზრუნველყოს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფულადი სახსრების შემოსვლისა და გასვლის შესახებ ინფორმაციით, რაც ფინანსური ანგარიშგების პაკეტში შემავალ დანარჩენ კომპონენტებთან ერთად მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ინფორმაციით დაინტერესებულ მომხმარებლებს სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. საწარმოს ფულადი ნაკადების ანგარიშგების საფუძველზე მომხმარებელს შეუძლია შეაფასოს მომავალი პერიოდისათვის ფულით საწარმოს უზრუნველყოფის ხარისხი, საიმედოობა და დროულობა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხებს არეგულირებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) 7 - „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშგების განხილვა ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებთან ერთად, მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შეაფასონ საწარმოს წმინდა აქტივებში მომხდარი ცვლილებები, მისი სტრუქტურა (ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ჩათვლით) და საწარმოს შესაძლებლობა - დროულად მოახდინოს რეაგირება ფულადი სახსრების მოცულობაში შეცვლილი ვითარებისა და პირობების შესაბამისად.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახვას ექვემდებარება საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით საწარმოში არსებული ფულადი ნაკადები, რომელიც დაჯგუფებული იქნება სამი სახის: საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან შემოსული (გასული) ფულადი ნაკადების მიხედვით.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენისთვის პრაქტიკაში, როგორც ადრე აღვნიშნეთ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორი - პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდი. ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენისას პირდაპირი მეთოდით – ანგარიშგებაში უშუალოდ აისახება ფულადი სახსრების შემოსვლისა და გასვლის ნაკადები მიზნობრიობის მიხედვით. პირდაპირი მეთოდის დროს ყველა ფულადი ოპერაცია მისი განხორციელებისთანავე უნდა მიეკუთვნოს შესაბამის მუხლს. არაპირდაპირი მეთოდის დროს კი ფულადი ნაკადები განისაზღვრება წმინდა მოგებისა და ზარალის კორექტირებით რის საფუძველზეც შესაძლებელია ფინანსური შედეგიდან (მოგება/ზარალი) წმინდა ფულადი საშუალებების მაჩვენებელზე გადასვლა.

ფულადი ნაკადების ანალიზი საშუალებას იძლევა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: რამდენად ფარავს საწარმო ძირითად ვალდებულებებს საკუთარი აქტიურობით გამომუშავებული ფულით; სჭირდება თუ არა დამატებითი სახსრების მოზიდვა და რომელი გზებით არის ეს შესაძლებელი; აქვს თუ არა ფულის დეფიციტი და თუ აქვს - რომელი მიმართულებით; როგორია ფულის ბრუნვის სიჩქარე; როგორ იფარება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.

ნორმალური ფუნქციონირების პირობებში საწარმოს არ უნდა ჰქონდეს ფულის დეფიციტი განსაკუთრებით საოპერაციო და საფინანსო საქმიანობიდან, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ საწარმოს ფულის პრობლემა არ გააჩნია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის საფეხურებია: ვერტიკალური ანალიზი, ჰორიზონტალური ანალიზი და კოეფიციენტების ფაქტორული ანალიზი.

ჩვენს მიერ, დაგეგმილი იყო საანალიზო საწარმოების ფულადი ნაკადების ანგარიშგების სტრუქტურული ანალიზი პროცენტულად, მაგრამ შპს „იფქლი დიღომს“ ფულადი ნაკადების ანგარიშგება მომზადებული აქვს არაპირდაპირი მეთოდით, სადაც ფულადი ნაკადების წარმომავლობა არ ჩანს. ხოლო სს „ნიკორა ტრეიდს“, მხოლოდ ნაერთი რიცხვები აქვს წამოდგენილი საქმიანობის ცალკეული მიმართულების მიხედვით. სს „საქართველოს რკინიგზას“ კი ფულადი ნაკადების ანგარიშგება მომზადებული აქვს საერთაშორისო სტანდარტების საბაზისო მოთხოვნებით გათვალისწინებული პირდაპირი მეთოდით. ამდენად, რადგან მაჩვენებლები არასკმარისი იყო, მეორე ცხრილში წარმოდგენილ იქნა საანალიზო საწარმოების წმინდა ფულადი ნაკადების ნაერთი შედეგები საქმიანობის სახეების მიხედვით 2017 წლის მდგომარეობით (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ზოგადი სურათი 2017 წ.

(ათ.ლ)

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	სს ნიკორა ტრეიდი	შპს იფქლი დიღომი	სს საქ. რკინიგზა
1. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი	10 601	4 197	176 232
II. საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი	(7 753)	(1 499)	(145327)
III. საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი	3 542	(2 730)	(63874)
ჯამი	6391	(32)	(32 969)
- ფულადი უსაფრთხოების ინტერვალი (დღეებში)	5	8	109
- ფულის ბრუნვის რიცხვი (ჯერებში)	88	45	2

როგორც მეორე ცხრილიდან ჩანს, საანალიზო საწარმოების სხვადასხვა საქმიანობის სფეროებიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები 2017 წლის განმავლობაში შპს იფქლი დიღომში და საქართველოს რკინიგზაში პერიოდის ბოლოს უარყოფითი სალდოთი ანუ ფულის დეფიციტით ხასიათდებოდა. რაც, რასაკვირველია ამ საწარმოებისათვის საფრთხეების შემცველია.

საანალიზო საწარმოების ფულადი უსაფრთხოების ხარისხის შეფასების მიზნით, ფულადი უსაფრთხოების ინტერვალის შესწავლით დავინტერესდით. აღმოჩნდა, რომ 2017 წლის მდგომარეობით, „ნიკორა ტრეიდს“ არსებული ფულით შეეძლო 5 დღის ხარჯის, „ნიკორას“ ათი დღის და საქართველოს რკნიგზას 109 დღის ხარჯის დაფარვა. ეს უკანასკნელი რაღაც არარეალისტურად გამოიყურება, მაშინ როდესაც, საქართველოს რკინიგზას 2017 წლის საქმიანობის შედეგად ფულის დეფიციტი ჰქონდა. როგორც ჩანს, ის მესაკუთრეების ფულადი შენატანებით დაიფარა, რაც მართებულად არ მიგვაჩნია, რადგან არ ჩანს, რომ იგი თვით საწარმოს აქტივობის შედეგია. იმავე ცხრილში წარმოვადგინეთ ფულის ბრუნვის მაჩვენებელი. „ნიკორა ტრეიდში“ ფული წელიწადში 88-ჯერ, საქართველოს რკინიგზაში კი მხოლოდ 2-ჯერ შემობრუნდა. მაშასადამე აქტივობა აქ ძალიან დაბალია. ე.ი. ფული არის და ვერ იხარჯება. ეს ფინანსურ არასტაბილურობაზეც შეიძლება მიუთითებდეს. მსგავსი მოვლენების მიზეზები მომავალი კვლევის საგანი იქნება.

დასკვნა

ამრიგად, ფულადი ნაკადების ანგარიშგება საწარმოთა მენეჯმენტისთვის მნიშვნელოვანი საინფორმაციო ბაზაა, რათა აკონტროლოს და მართოს ფულადი ნაკადები და მისი გამოყენების ეფექტიანობა.

სტატიაში შესწავლილ იქნა სამი საწარმოს: სს ნიკორა ტრეიდის, შპს იფქლი დიღომის და სს საქართველოს რკინიგზის ფულადი ნაკადების ანგარიშგების საერთო სურათი. აღმოჩნდა რომ ზოგიერთი საწარმო ფულადი ნაკადების მომზადების არაპირდაპირ მეთოდს იყენებს, რაც მის ანალიზს არასრულყოფილს ხდის. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით კი ფულადი ნაკადების მომზადების საბაზისო მეთოდი - პირდპირი მეთოდია, ვინაიდან მას აქვს რეალური მნიშვნელობა ფულადი ნაკადების ანალიზში. აგრეთვე, ზოგჯერ არ ფიქსირდება შინაგანი რაოდენობრივ-ეკონომიკური კავშირები ანგარიშგების კომპონენტებს შორის. ვთვლით, რომ აუცილებელია საანალიზო საწარმოების აღრიცხვის მუშაკებმა, მენეჯმენტთან ერთად, უზრუნველყონ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომზადება შიდა რეალურ საფინან-სო-ეკონომიკურ კავშირებზე დაყრდობით. ამასთან, საჭიროა საქმიანი აქტივობის ზრდა.

ლიტერატურა

1. ბასს 1. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, თარგმანი ინგლისურიდან, 2018
2. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, თარგამნი ინგლისურიდან, თბ. 2018 *https://www.saras.gov.ge/ka/Ifrs*
3. სრესელი ნ., ჯიქია მ., ფულადი ნაკადების ანალიზის მეთოდები და მათი თავისებურებები. 2016. ეკონომიკა Economics (7-8). pp. 129-148. ISSN 0206-2828
4. ჭილაძე ი. ფინანსური ანალიზი, სახელმძღვანელო, თბ., მწიგნობარი, 2018 *https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/finansanaliz.pdf*
5. Williams Kwasy Peprach, Isaac Anowuo, Daniel Adofo Kwakie Ameyaw (2019). The Relationship between Working Capital Management and Financial SuStainability of Selected Christian Denominations in Ghana. Journal Applied Finance and Accounting, 2019, vol 5, N 2.

ACTUAL ISSUES OF ENTERPRISE CASH FLOW REPORTING

Chiladze Izolda
economical doctor

Kozmanashvili Lia
economical doctor

Summary

The purpose of this article is to examine cash flow reporting indicators, quantitative relationships with other components of financial reporting, and identify trends in key money ratios for the example of analytical enterprises.

Based on cash flow reporting information, it is possible to assess whether an enterprise has sufficient cash resources to meet its liabilities. Structural, coefficient and the comparative analysis methods of reporting are used for this purpose.

The article examines the cash flow reporting structure and the key ratios of cash asset utilization efficiency for the three enterprises studies and makes appropriate conclusions.

The study found that some companies use an indirect method of cash flow reporting, which makes their analysis imperfect. The basic method of preparing cash flows in accordance with International Financial Reporting Standards is a direct method because it is important in the analysis of cash flows. In addition, there are sometimes no internal quantitative-economic relationships between the financial reporting components of enterprises. We believe it is necessary for accounting departments, together with management, to prepare financial reporting information based on real financial-economic relationships, without any faults.

Keywords: *financial statements, cash flows, money ratios.*

ბიზნესის სტაბილურობა და ქრისტიანული მსოფლმხედველობა

ჭილაძე იზოლდა
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

ატომის აღმოჩენის შემდეგ, მეცნიერება მივიდა რა იმ დასკვნამდე, რომ ის უმცირესი ნაწილაკი საიდანაც მატერია წარმოიშობა, იყო ატომი, მსოფლიოში გაბატონდა აზრი, რომ სამეცნიერო--ტექნიკური და განმანათლებლობის იდეების გავრცელების შედეგად რელიგია მნიშვნელობას თანდათან დაკარგავდა. დავიწყებას მიეცემოდა „წმიდისა“ და „მიღმიერის“ გაგება. მაგრამ ეს ვარაუდები არ გამართლდა. ვერც მეცნიერებამ, ვერც ფართო განმანათლებლობამ და ვერც ტოტალურმა რეპრესიებმა რელიგია ადამიანის ცნობიერებიდან ვერ განდევნა. უფრო მეტიც, უახლესი მეცნიერული კვლევები მაღალი ენერგიების ფიზიკაში, უკვე იმ „მიღმიერის“ არსებობას ადასტურებს. იგი არის მარადისობა და სამყაროს აბსოლუტური გონი. თეოლოგები წერენ: მხოლოდ ღმერთის საქმეა სამი რამ: „არაფრისგან შექმნა, მომავლის ცნობა და სინდისის მმართველობა“.

წინამდებარე სტატიაში კვლევის მიზანია ბიზნესის სტაბილურობასთან ქრისტიანული მსოფლმხედველობის კავშირის ახსნა და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: *ბიზნესის სტაბილურობა, მომგებიანობა, გადახდისუნარიანობა, უსაფრთხოება, ბიზნესის კულტურა, ქრისტიანული მსოფლმხედველობა*

შესავალი

ეკონომიკის ფუნქციონირება გულისხმობს ადამიანთა წინასწარ გააზრებულ საწარმოო მოღვაწეობას მათი მრავალმხრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მთელი ისტორია აჩვენებს, რომ ბიზნესის სტაბილურობისთვის აუცილებელია ის იყოს მომგებიანი, გადახდისუნარიანი და უსაფრთხო. ამიტომ, მათ ბიზნესის სტაბილურობის „მაგიური“ სამკუთხედი უწოდეს.

მხოლოდ ის, რომ ბიზნესი ფულს გამოიმუშავებს, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ბიზნესი სტაბილურია. ბიზნესის სტაბილურობა არის საწარმოს უნარი გაუძლოს დროებით პრობლემებს, როგორიცაა: გაყიდვების შემცირება, კაპიტალის ნაკლებობა, ძირითადი თანამშრომლის ან მომხმარებლის დაკარგვა.

ბიზნესის სტაბილურობა აუცილებელია სახელმწიფოს და თითოეული მოქალაქის არსებობისა და განვითარებისთვის. არასტაბილური ბიზნესი არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ, იწვევს სახემწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებას, ეს უკანასკნელი კი გადაედება საზოგადეობის სოციალურ ყოფას, ინფრასტრუქურას და ბოლოს, საერთო პოლიტიკურ ქაოსს იწვევს. მაშასადამე, ბიზნესის პერმანენტული არასტაბილურობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებას და სახელმწიფოს მთლიანად. აქედან გამომდინარე, საწარმოთა ეკონომიკური სტაბილურობის საკითხების მართვა და კონტროლი მუდამ აქტუალურია და ყველა მიდგომა და მიმართულება უნდა იქნეს გამოყენებული, რაც ბიზნესის სტაბილურობას ხელს უწყობს.

ამასთან, ბიზნესის საქმიანობის სტაბილურობის ზემოთ დასახელებული სამივე მიმართულება: მომგებიანობა, გადახდისუნარიანობა და უსაფრთხოება, წარმატებით შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საწარმოთა მართვისა და საქმიანობის მაღალი კულტურის გარემოში.

მეცნიერები წერენ, რომ თანამედროვე ბიზნეს-სამყაროში კულტურა არის ბიზნესის სტაბილურობის ერთადერთი უპირატესობა (George Bradt, 2018). ბიზნესის კონკურენტუნარიანობის სწორად შეფასება და მისი უსაფრთხოება მოითხოვს მაღალ კულტურას. მაღალი კულტურის ადამიანი არის სტაბილურობის გარანტი. ის კომპანიებია წარმატებული სადაც მაღალი კორპორატიული კულტურა არსებობს. დღეს კულტურა არის ბიზნესის მართვის ფუნდამენტური საფუძველი. ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესება შესაძლებელია კულტურის გზით. „გააკეთეთ ყველაფერი ყველასთვის სასიკეთოთ“ (Boris Grousberg). „ორგანიზაციებს, ისევე როგორც ინდივიდებს, პიროვნული თვისებები ახასიათებთ. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოების კულტურის დონის გაზომვა ძნელია, ის მაინც არსებობს და დაქირავებულები ზოგადად აღიარებენ მას. ამ ცვლადს **ორგანიზაციული კულტურა ეწოდება.** ორგანიზაციებსაც აქვთ კულტურა, რომელიც მისი წევრების ქცევებს მართავს„ (თ.თავდიშვილი. 2014).

ორგანიზაციული, ანუ კორპორატიული კულტურა იმ ღირებულებებს, დამოკიდებულებებს, სტანდარტებსა და რწმენებს გულისხმობს, რომლებიც ორგანიზაციას ახასიათებს და მის ბუნებას განსაზღვრავს. კულტურა ორგანიზაციის მიზნებში, სტრატეგიებში, სტრუქტურაში, თანამშრომ-

ლების, მომხმარებლებისა და ინვესტორების მიმართ დამოკიდებულებაში გამოიხატება. ინოვაციების დანერგვაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა სწორედ კულტურას ენიჭება. ჯანსაღ კორპორატიულ გარემოს თანამშრომლების პროდუქტიულობის ზრდა შეუძლია, მაშინ, როდესაც არაჯანსაღმა გარემომ შეიძლება კომპანიის ზრდა შეაჩეროს, უფრო მეტიც, ბიზნესის წარუმატებლობა გამოიწვიოს.

თავის მხრივ, კულტურის ხარისხს ადამიანების ქცევა განსაზღვრავს. ადამიანი კი შეიძლება იყოს ჰუმანური ან მოძალადე, თავაზიანი ან უხეში, საქმიანი, ნერვიული, ცნობისმოყვარე, შემოქმედებითი, ჩაკეტილი, გახსნილი (კომუნიკაბელური), პესიმისტი, ოპტიმისტი, ეგოისტი, ყველასთვის კეთილი, ამპარტავანი და ა.შ. ხოლო ადამიანის ქცევის თვისებებს აყალიბებს მისი სიახლოვე ღმერთთან. „ყოველი რელიგიური ეთიკა აუცილებლად შეიცავს საკუთარ შეხედულებებს ადამიანის ეკონომიკურ ქმედებებზე“ (ვ,ხიზანიშვილი.2018). მაგალითად, ღმერთის ეს შეგონება ახალი აღთქმიდან: „ყოველივე, რასაც აკეთებთ, გააკეთეთ სულით, როგორც ღვთისათვის და არა როგორც კაცთათვის“ (კოლასელთა. თ. 3.23) ქმნის მაღალ კულტურას ადამიანში. ეს შესაბამისად გამოვლინდება ადამიანების მიერ შექნილი პროდუქტებისა თუ მომსახურების ხარისხში.

მეცნიერ-ეკონომისტების განმარტებით, ბიზნესის კულტურა ზოგადად არის დასაქმებულთა კეთილსინდისიერი ქცევებისა და ურთერთობების ფილოსოფია, რომლის მთავარი კრედოა: აკეთეთ ყველაფერი ყველასთვის სასიკეთოთ (Geoge Bradt 2018)

პრაქტიკაში მრავალი სახის და ორგანიზების კულტურა შეიძლება მოქმედებდეს, მაგრამ არსებობს რამდენიმე ფუნდამენტური საკითხი, რომელიც ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს ჯანსაღი კორპორატიული კულტურის შესაქმნელად. ესენია **ადამიანი, ნდობა, თავისუფლება და სიახლე (**Boris Groysberg. 2012).

ზემოთ დასკვნები, ჩვენი აზრით, ადამიანის მიერ პრაქტიკული გამოცდილებისა და ღვთისაგან მიცემული სწავლების (სახარებისეული შეგონებების) საფუძველზეა გაკეთებული. როგორიცაა: „ატარეთ ერთმანეთის ტვირთი“. „კეთილი უყავ მოყვასსა შენსა“, „თქვენ თავსუფლებისათვის ხართ გაჩენილი, ოღონდ ეცადეთ ეს თავისუფება არ გამოიყენოთ ხორცის საამებლად და სულის საზიანოდ“; „ცოდნით იყოლიეთ ღმერთი“. „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. ამ და სხვა სახარებისეული შეგონებების აღსრულება ქმნის ადამიანის არსებობის უმაღლეს კულტურას და მისი ცხოვრების, მათ შორის, ბიზნესის სტაბილურობის და უსაფრთხოების გარანტიასაც.

1. საწარმოს მომგებიანობა და სახარების შეგონებები

მომგებიანობა, როგორც წესი, რესურსების რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენებას ნიშნავს, რაც აუცილებელია ბიზნესის არსებობისა და განვითარებისათვის. როგორც ცნობილია, რესურსები დედამიწაზე ამოწურვადია. ამიტომ, საწარმოთა მომგებიანობა წარმოდგენს არა მხოლოდ მისი მესაკუთრეებისა და თანამშრომლების, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესის სფეროს. ყოველივე ეს წარმოშობს საწარმოთა პასუხისმგებლობას რესურსების უდანაკარგოდ და ეფექტიანად გამოყენების მიმართულებით. საწარმოთა მენეჯმენტი ამ პასუხისმგებლობების შესაბამისად გეგმავს და აკონტროლებს საწარმოს მთელ ეკონომიკურ საქმიანობას. იგი განიხილავს და გეგმავს პროდუქციის წარმოებისა და საქმიანობის ცენტრების ხარჯებს და განსაზღვრავს ხარჯებს პროდუქტის და მომსახურების ერთეულზე. ასევე განსაზღვრავს მოგების დონეს საწარმოს ცალკეული სახის პროდუქტის ერთეულზე და გაყიდვების იმ მოცულობას, რომელიც აღარ იქნება მომგებიანი, რათა ოპერატიულად აკონტროლოს და თავიდან აიცილოს მოსალოდნელი ზარალი. სრულყოფილი გეგმები და კვალიფიციური პერსონალი მენეჯმენტს ეხმარება ოპერატიულად და სრულად აკონტროლოს რესურსების გამოყენების ეფექტიანობა ყველა მიმართულებით.

ძველ და ახალ აღთქმაში მრავალი რჩევა შეეხება, თანამედროვე ენით თუ ვიტყვით, ბიზნესის სტაბილურობის საკითხებს. როგორც ცნობილია, სახარებაში უფალი იგავებით ესაუბრება ადამიანებს. მაგალითისათვის მოვიტანთ იგავს, რომელიც მოგებას შეეხება.

„ერთი კეთილშობილი კაცი სხვა ქვეყანაში წავიდა, რათა მეფობა მიეღო. დაუძახა თავის მონებს და ერთს ათი მინა (ფულის ერთეული) მისცა, მეორეს ხუთი და მესამეს ერთი მინა. როცა მეფობა მიიღო და უკან დაბრუნდა, მოითხოვა, მისთვის მოეგვარათ ის მონები, რომლებსაც ვერცხლი მისცა, რათა გაეგო ვინ რა ივაჭრა.

მოვიდა პირველი და უთხრა: შენმა მინამ ათი მინა შეიძინაო.

კარგი, კეთილო მონავ. რაკი მცირედზე ერთგული იყავი, ათ ქალაქზე გქონდეს ხელმწიფებაო.

მოვიდა მეორე და უთხრა: ბატონო, შენმა მინამ ხუთი მინა მოიტანაო.

იმასაც უთხრა, შენც იყავ ხუთ ქალაქზეო.

მესამე მოვიდა და უთხრა: ბატონო, აჰა შენი მინა, რომელიც ხელსახოცში ჰქონდა გამოკრული. ვინაიდან შემეშინდა, რადგან სასტიკი ხარ: იღებ, რაც არ დაგიდია და იმკი, რაც არ დაგითესია.

მაშ, რაღატომ არ გაუშვი ჩემი ვერცხლი ბრუნვაში, რომ დაბრუნებულს სარგებლითურთ მიმეღოო? წაართვა მას ერთი მინა და მისცა ათი მინის მქონეს“.

„გეუბნებით თქვენ: რომ ყოველ მქონეს მიეცემა, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაცა აქვს“ ეუბნება უფალი თავის მოციქულებს (თ.19. 12-26).

ჩვენი აზრით, ამ იგავის სწავლების არსია ის, რომ რესურსები ადამიანებმა **მომგებიანად, ანუ ეფექტიანად** უნდა გამოიყენონ. ამასთან, ბიზნესმენი აქტიური და რისკიანი უნდა იყოს. მართალია, ბიზნესი ზარალის მიღების საფრთხესაც უკავშირდება, მაგრამ, ადამიანმა გამბედაობა არ უნდა დაკარგოს და გონიერება უნდა გამოიჩინოს. ამიტომ, პირველ ორ მონას მან დიდი „ინვესტიცია“ გადასცა სამართავად. მესამეს კი ისიც წართვა, რაც ჰქონდა.

საქმიანი აქტივობის გარეშე ღარიბი უფრო ღარიბდება. ისიც წაერთემვა რაც აქვს. მეორე მხრივ, ეს იგავი იმაზეც მიუთითებს, რომ ფულის გამსესხებელიც არ უნდა შეშინდეს, ვაითუ ფული უკან ვეღარ დაიბრუნოს. მოტანილ იგავში, მდიდარმა კაცმა ფული სამივეს ყოველგვარი დაეჭვების გარეშე მისცა. მაგრამ, როგორც კი გაიგო მესამე კაცის ბუნება, რომელიც ძალიან მხდალი აღმოჩნდა, მიცემული ფული უყოყმანოდ უკან გამოართვა.

ჩვენი აზრით, ამ იგავში საინტერესოა ისიც, რომ ვერცხლის გამცემმა მესამე მსესხებლისგან ჯარიმა არ მოითხოვა. რაც მისცა, იმდენივე ფული გამოართვა უკან. ამდენად, გამსესხებელი არ აუარესებს მის ფინანსურ მდგომარეობას. აქედან, ჩვენი აზრით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მსესხებლისაგან, რომელიც გადახდისუუნარო გახდება, ჯარიმა არ იქნეს აღებული.

ფაქტობრივად, ბატონმა საქმიანი ადამიანები დააჯილდოვა. მაშასადამე, მდიდარი ადამიანი მხოლოდ საკუთარ სიმდიდრეზე კი არა, მთელი საზოგადოების სიმდიდრეზეც უნდა ზრუნავდეს, საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდითაც უნდა იყოს დაინტერესებული, რასაც დღეს ბიზნესის **სოციალური პასუხსმგებლობების დაცვას უწოდებენ.** ვფიქრობთ, ამ იგავით ღმერთი მიანიშნებს, რომ სესხის და მისი სარგებლის დროულად დამბრუნებელი გამსესხებელმა ბოლოს უნდა დააჯილდოვოს.

2. საწარმოს გადახდისუნარიანობა და სახარებისეული კონცეფცია

გამომდინარე იქედან, რომ შემოსავლები და ხარჯები დარიცხვის პრინციპით აღიარდება, საწარმოს შეიძლება მოგება ჰქონდეს, მაგრამ არ ჰქონდეს საკმარისი ფული ვალდებულებების დასაფარად. ამიტომ, **გადახდისუნარიანობა** არის ბიზნესის სტაბილურობის მეორე ფუნდამენტური მიმართულება, რომელიც გულისხმობს საწარმოს უნარს დროულად დაფაროს ფინანსური ვალდებულებები კრედიტორებთან, თანამშრომლებთან, სახელმწიფოსთან და მესაკუთრეებთან. ამის მისაღწევად, საწარმოთა მენეჯმენტს ესაჭიროება არსებული ფულადი სახსრების და სხვადასხვა მოსალოდნელი უარყოფითი სცენარების გაანალიზება, რათა განსაზღვროს არის თუ არა ბიზნესი ფინანსურად სტაბილური. ამ მიზნით მენეჯმენტი გამუდმებით ზრუნავს თავიდან აიცილოს ფულის დეფიციტი და საწარმო იყოს გადახდისუნარიანი.

სახარებაში, შეიძლება ითქვას, საკმაოდ მკაცრი დამოკიდებულებაა გადმოცემული გადახდისუუნარო პირების მიმართ. იგავში: **„მოწყალე მეფე და უმოწყალე მონა“** - ერთ მონას მეფის ათი ათასი ტალანტი ემართა. რაკი არაფერი გააჩნდა, რომ გადაეხადა, ბატონმა ბრძანა გაეყიდათ იგი, მისი ცოლი, შვილები და რაც რამ ებადა და გადაეხადა მისთვის. მაშინ მონა პირქვე დაემხო, თაყვანი სცა და უთხრა: სულგრძელი იყავ ჩემს მიმართ და ყველაფერს გადაგიხდიო. ბატონს შეებრალა ეს მონა, გაუშვა და ვალიც აპატია. გამოსვლისთანავე, ამ მონამ იპოვა ერთი თავისი ამხანაგი, რომელსაც მისი ასი დინარი ემართა. დაიჭირა, ყელში სწვდა და უთხრა: გადამიხადე, რაც გმართებსო. ამხანაგი პირქვე დაემხო და შეევედრა: იყავი სულგრძელი და ყველაფერს გადაგიხდიო. მაგრამ, მან არ შეიწყნარა იგი, დაიჭირა და დილეგში ჩააგდო სანამ ვალს გადაუხდიდა. მისი ამხანაგები, ვინც ეს ნახა, შეწუხდნენ, მივიდნენ ბატონთან და მას ყველაფერი უამბეს. ბატონმა დაიბარა იგი და უთხრა: ბოროტო მონავ. რაკი მთხოვე, მე შენ მთელი ვალი გაპატიე. განა შენ არ გეკადრებოდა, შეგეწყალებინა შენი ამხანაგი მონა, როგორც მე შენ შეგიწყალე? განრისხდა ბატონი და გადასცა იგი მტანჯველებს, ვიდრე მთელ თავის ვალს გადაიხდიდა“ (თ.18. 21-34).

ამგვარად, ამ იგავის შეგონება, ერთი მხრივ, ისაა, რომ მსესხებელს შეიძლება ვალი საერთოდ აპატიო, თუკი არსებული ვითარება ამას მოითხოვს და მეორე მხრივ, ადამიანმა მოწყალებას ასევე მოწყალებით უნდა უპასუხოს. წინაღმდეგ შემთვევაში ის მკაცრ სასჯელს იღებს.

იგავში: **„ვენახის მუშაკებზე და მათ საზღაურზე“,** გადმოცემულია, რომ ერთმა სახლის პატრონმა თავის ვენახში სამუშოდ, დღიურად მუშაკები დაიქირავა და დღეში თითო დინარად მოურიგდა მათ. მესამე საათი იქნებოდა, რომ გავიდა და დაინახა სხვები, ბაზარში უქმად მდგარი. უთხრა მათ; წადით თქვენც ჩემს ვენახში და რაც გერგებათ მოგცემთ“ - ისინიც წავიდნენ. კიდევ გავიდა მეექვსე და მეცხრე საათზე და ასევე მოიქცა. გავიდა მეთერთმეტე საათზე, ნახა სხვა

უქმად-მდგომნი და უთხრა მათ: რატომ დგახართ აქ მთელი დღე უქმად? იმიტომ რომ, არავინ დაგვიქირავაო. წადით თქვენც ჩემს ვენახში და რაც გერგებათ მოგცემთო". როცა დაღამდა, ყველას თითო დინარი მისცა. პირველად მისულებმა ბუზღუნი დაიწყეს: ამ უკანასკელებმა მხოლოდ ერთი საათი წაიმუშავეს და შენ ისინი ჩვენ გაგვიტოლე, ვინც დღის სიმძიმე და სიცხე დავითმინეთო". მან მიუგო: მეგობარო, განა ერთ დინარად არ მომირიგდი? აიღე შენი გასამრჯელო და წადი. მე კი მინდა ამ უკანასკნელსაც იგივე მივცე, რაც შენ. ნუთუ არა მაქვს უფლება, რაც მე მეკუთვნის, ჩემი ნებისამებრ მოვიხმარო? იქნებ შენს თვალს შურს, კეთილი რომ ვარ?"(თ.20. 1-15).

ამ იგავით უფალი ასწავლის ადამიანებს, რომ შეთანხმება არ უნდა დაირღვეს; როგორც დამქირავებელი, ასევე დაქირავებულიც კეთილი და გულისხმიერი უნდა იყოს; სიკეთე და გულმოწყალება მდიდარსაც და ღარიბსაც მოეთხოვება; ადამიანებს ერთმანეთის შური არ უნდა ჰქონდეთ და უმუშევრების მიმართ ყველას თანაგრძნობა უნდა შეეძლოს; მდიდარი ადამიანი საზოგადოების სამოქალაქო კეთილდღეობაზე უნდა ზრუნავდეს; ინვესტიცია მან უმუშევართათვისაც უნდა გაიღოს. ეს ყოველივე საქმიანი გარემოს სტაბილურობისთვის, რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანია. ეს მაღალი ჰუმანიზმია. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ კარგი იქნებოდა, თუკი საქართველოში შეიქმნებოდა უმუშევართა კომპენსაციის ფონდი, სადაც მოგების გარკვეულ პროცენტს გადარიცხავს პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები და ყველა დასაქმებული ხელფასიდან.

3. საწარმოს უსაფრთხოება და სახარების სწავლებები

უსაფრთხოება ასევე არის ბიზნესის სტაბილურობის მაგიური სამკუთხედის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი. ბიზნესის უსაფრთხოება გულისხმობს, რომ საწარმოს საქმიანობა საშიში არაა თანამშრომლების, მესაკუთრეების, საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის. ბიზნესი სოციალურად, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად უსაფრთხო უნდა იყოს.

საინტერესოა ქრისტიანული კულტურის როლი ეკონომიკის სტაბილურობასა და განვითარებაში. ჩვენი დაკვირვებით, ბიზნესის ეტიკეტის ნორმები და ქცევები, თითქმის ყველა ქვეყანაში თანდათან უახლოვდება ერთმანეთს, ყველა ერთად კი ქრისტიანული კულტურის ფილოსოფიას, მიუხედავად იმისა, გაცნობიერებული აქვთ თუ არა ეს მათ. მაგრამ, ეს საკითხები უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს და ამჟამად მოცემული სტატიის მიზანს არ წარმოადგენს.

თითოეული საწარმო მის თანამშრომელს უნდა სთავაზობდეს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო შრომით პირობებს, ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, სასურველ შრომის ანაზღაურებას და თავისუფალ გარემოს. ნებისმიერი წარმომავლობის მუშაკი კომპანიაში როცა ხედავს რა მორალურ და მატერიალურ დაინტერესებას, აქტიურად მუშაობს ორგანიზაციის სასიკეთოდ და სიყვარულით და პატივისცემით ექცევა მომხმარებელსაც.

ამასთან, თანამედროვე ბიზნესი ციფრულ სივრცეში მოქმედებს, რაც ნიშნავს, რომ საწარმოებმა უნდა დაიცვან კრიტიკული ინფორმაცია, რაც იმავდროულად უზრუნველყოფს მომხმარებლის უსაფრთხოებასაც. აგრეთვე, საწარმო უნდა იცავდეს თანამშრომლის და მისი კლიენტების კონფიდენციალურობას კანონის ფარგლებში.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად, დღეს საწარმოები ვალდებული არიან მმართველობით ანგარიშგებაში ინფორმაცია პიროვნული თავისუფლების ხარისხის შესახებაც გამოაქვეყნონ. საწარმოში თავისუფალი აზრის გამოთქმა მუშაკისათვის საშიში არ უნდა იყოს. „აზრთა სხვადასხვაობაც უნდა იყოს თქვენში, რათა გამოჩნდეს მოსაწონი თქვენს შორის. (I კორინთელთა, თ.11.19).

ამრიგად, ბიზნესის სტაბილურობისათვის საწარმო ერთდროულად უნდა იყოს მომგებიანი, გადახდისუნარიანი და უსაფრთხო, რომლის ფუნდამენტი, ვფიქრობთ, უნდა იყოს ქრისტიანული კულტურა: „შეიყვარეთ ერთმანეთი და ატარეთ ერთმანეთის ტვირთი" (გალატელთა, თ. 6. 2-9). ჩვენ სრულად ვიზიარებთ უფლის ამ შეგონებებს და ვთვლით, რომ ბიზნესი არის მრავალი ადამიანის საქმიანი ურთიერთობების ერთობლიობა და მისი სტაბილურობისა და განვითარებისათვის აუცილებელია სულიერო საზრდო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიზნესი კარგავს „შინაგან სიცოცხლეს" და კოტრდება. თუკი ბიზნესში ადამიანების ქცევები უფლის შეგონებებს დაეფუძნება, შრომა ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში მიმზიდველი გახდება და დამკვიდრება ჰუმანიზმი ყველა თავისი სიკეთით.

დასკვნა

ამრიგად, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, რთული და ურიცხვი სახეობის საქონლის წარმოება და ბიზნესის სტაბილურობა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა არა- მხოლოდ სახელმწიფოთა შიგნით, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. ბიზნესის სტაბილურობის „მაგიური სამკუთხედის: მომგებიანობა, გადახდისუნარიანობა და უსაფრთხოება - ფუნდამენტი არის და უნდა იყოს ადამიანების მაღალი კულტურა. მილიონობით ადამიანისაგან შემდგარ საერთაშორისო ბაზარზე წარმატებული და კონკურენტუნარიანი რომ იყო, მნიშვნელოვანია ადამიანებმა შეიცნონ სულიერი განვითარების პროცესები.

დღეს, საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მილიონობით ადამიანი მონაწილეობს, რომლებიც სხვადასხვა ეროვნული და ეთნიკური წარმომავლობისა და ჩვევების არიან. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ბიზნესურთიერთობები თავისთავად აყალიბებს ბიზნესის კულტურის საერთო ღირებულებებს, რაც „თავისთავად“, მოსწონს თუ არა ეს ვინმეს ან ფიქრობს თუ არა ამაზე ვინმე, თანდათან უახლოვდება ქრისტიანულ ზნეობრივ პრინციპებს, რაც ძალიან მოკლედ გამოიხატება სახარებისეული სწავლებით: „გიყვარდეთ ერთმანეთი“; „ატარეთ ერთმანეთის ტვირთი“; „ყოველივეს, რასაც აკეთებთ, გააკეთეთ სულით, როგორც ღვთისათვის და არა როგორც კაცთათვის“.

ქრისტიანული მსოფლმხედველობის შესაბამისად, ბიზნესის რეალური სტაბილურობისა და განვითარებისათვის, სასურველია განხორციელდეს შემდეგი წინადადებები:

- ის, ვინც სესხსა და მის სარგებელს დროულად გადაიხდის, გამსესხებელმა ბოლოს იგი ფულადი პრემიით შეიძლება დააჯილდოვოს;
- მსესხებელი თუ გადახდისუუნარო გახდება, იგი აღარ დაჯარიმდეს;
- კარგი იქნებოდა, თუკი საქართველოში შეიქმნება უმუშევართა კომპენსაციის ფონდი, სადაც გარკვეულ პროცენტს პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები მოგებიდან და ყველა დასაქმებული, ხელფასიდან გადარიცხავდა.

ლიტერატურა

1 ახალი აღთქმა (1991). სტოკჰოლმი (მთრგმნელ-რედაქტორები: ზურაბ კიკნაძე, მალხაზ სონღულაშვილი).

2 თეონა თავდიშვილი, კორპორაციული კულტურა (2014). https://www.lari.ge/149-ekonomika-da-biznesi/486-korporaciuli-kultura.html

3 ვასილ ხიზანიშვილი (2018). რელიგიური ეთიკა - ეკონომიკურ ქევათა მნიშვნელოვანი მსაზღვრელი. გვ. პატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორიოს სამცნიერო კონფერენცია: ეკონომიკისა და ეკონმიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები. გვ: 149-154 http://www.pgie.tsu.ge/contentimage/konferenciebi/2018_konferenciakrebuli.pdf

4 Geoge Bradt (2018), What It Means To Have A Culture Of Stability. https://www.forbes.com/sites/georgebradt/2018/07/10/what-it-means-to-have-a-culture-of-stability-2/#248d65b15153

5 Boris Groysberg, Jeremiah Lee, Jesse Price, J.Yo Jud Cheng (2012). The Leader`s Guide to Corporate + Culture. https://hbr.org/2018/01/the-culture-factor

BUSINESS STABILITY AND CHRISTIAN OUTLOOK

Chiladze Izolda
economical doctor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

After the discovery of the atom, it was widely distributed concept in the world that as a result of the spread of scientific, technical and enlightenment ideas, religion would gradually lose its importance. The concept of "holy" and "beyond" would be forgotten. But these assumptions did not come true. Neither science nor widespread enlightenment nor total repression could separate religion from human consciousness. Moreover,

the latest scientific research in high-energy physics already confirms the existence of the "beyond". Theologians write: There are only three things that can be done for God: "Creation out of nothing, knowing the future, and governing of the conscience".
With the advent of modern complex and endless types of goods and globalization, business stability has become even more important internationally. The high kulture is the fundamental of the business stability: profitability, solvency and security. In order to be successful and competitive in an internationally man-made international market, people need to understand the processes of spiritual development.
Today, millions of people of different national and ethnic backgrounds and customs are involved in international trade and economic relations. Nevertheless, modern business relationships in themselves form the common values of the business culture that "by itself", whether it be by anyone or whether one thinks about it, is gradually approaching Christian morality: „"love each other"; "Carry each other's burdens"; „Whatever you do, work at it with all your heart, as working for the God, not for human masters“.
In line with the Christian outlook for real business stability and development, the following suggestions were developed in the article:
1. Whoever repays the loan and its benefits on time, the borrower may eventually be awarded a cash bonus;
2. If the borrower becomes insolvent, he or she will not be penalized;
3. It would be good if an unemployment compensation fund were set up in Georgia, where a certain percentage of the first and second category of enterprises would transfer from their profits and from wages all emploieds.

Key words: *business stability, profitability, solvency, safety, business culture, christian Outlook.*

ბლოკჩეინ ტექნოლოგიებისა და ციფრული კომუნიკაციების განვითარების მომავალი თანამედროვე გლობალურ ბიზნესში

ხიხაძე ლალი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინტერნეტის ქსელის გამოყენებით, არის ინფრასტრუქტურის დარგი, რომელიც ემსახურება მატერიალური და არამატერიალური წარმოების დარგებს, ამასთან ერთად უზრუნველყოფს ინფორმაციული რესურსებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესსუბიექტებს გლობალური ოპერაციების განხორციელებისა და საქმიანი ურთიერთობების წარმატებული ფუნქციონირებისათვის. გლობალური ბიზნესი, პრაქტიკულად, მთლიანად დამოკიდებული ხდება ინფორმაციულ სივრცეზე. ბლოკჩეინ ტექნოლოგიებისა და ციფრული კომუნიკაციების სისტემების განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებულად იზრდება ინტერესი სმარტ კონტრაქტის,[1] როგორც აღნიშნული ტექნოლოგიის ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტის მიმართ. სწორედ სმარტ კონტრაქტის მეშვეობით ბიზნესს შეუძლია მიიღოს ის სიკეთეები, რაც შედეგად მოყვება ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას. კვლევის მიზანია გავაანალიზოთ თუ რა სარგებელი შეუძლია მოუტანოს მისმა გამოყენებამ თანამედროვე მსოფლიოში ბიზნესის გლობალურ განვითარებას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ იცვლება სახელმწიფოსა და ბიზნესსექტორის, მომხმარებელსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის ფორმატი. თანამედროვე ბიზნესკომუნიკაციებში გავრცელებულია ისეთი ტერმინები, როგორიცაა "ბიზნესის დიგიტალიზაცია, "ბლოკჩეინ- ტექნოლოგია", „სმარტ კონტრაქტი", „ციფრული ხელმოწერა".

საკვანძო სიტყვები: *ბლოკჩეინ პლატფორმა, სმარტ კონტრაქტი, ელექტრონული ხელმოწერა, ციფრული კომუნიკაციები, საერთაშორისო სტანდარტიზაცია, გლობალური ბიზნესი.*

ბლოკჩეინ პლატფორმა და სმარტ კონტრაქტი

სმარტ კონტრაქტზე მსჯელობა აქტუალური გახდა ინტერნეტ სივრცეში ბლოკჩეინისა და კრიპტოვალუტის გამოჩენის შემდეგ, ბლოკჩეინი და სმარტ კონტრაქტი განიხილება, როგორც მონაცემთა შენახვის იურიდიულად აღიარებული მეთოდი, იმ პირობით, რომ ისინი წინააღმდეგობაში არ მოვლენ არსებულ წესებთან და კანონებთან. ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც ხორციელდება ბლოკჩეინ სისტემაში განიმარტება, როგორც იურიდიული ძალის მქონე. თუკი მხარეებმა აირჩიეს ბლოკჩეინი საკუთარ მონაცემთა შენახვის ადგილად, მაშინ ასეთი წყაროდან მიღებული მონაცემი მიიჩნევა იურიდიულად ვარგისად. არ შეიძლება ხელშეკრულება მოკლებულ იქნეს იურიდიულ ძალას ან იძულებით აღსრულებას იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების დადებისას გამოყენებულ იქნა ელექტრონული ხელმოწერა და პირობები მოცემულია სმარტ კონტარქტის ფორმით.

ბლოკჩეინ სისტემაში ელექტრონული ხელმოწერა აღიარებულია კანონმდებლობით. ხელმოწერა და ხელშეკრულება, რომელიც დაცულია ბლოკჩეინ ტექნოლოგიით ითვლება ელექტრონულად.

გლობალური ბიზნესის დონეზე მიმდინარეობს სმარტ კონტრაქტის ირგვლივ ჰარმონიზაციისა და საერთო სტანდარტების, ნორმებისა და დამახასიათებელი ნიშან-თვისებების სტანდარტიზაცია ბლოკჩეინ ტექნოლოგიების ეგიდით. საერთაშორისო ორგანიზაციის International Organization for Standardization ხელმძღვანელობით შექმნილია საერთაშორისო ტექნიკური კომიტეტი - ISO/TC307: «Blockchain and distributed ledger technologies»,[2] რომლებიც მუშაობენ კონკრეტულ სტანდარტებზე, კონკრეტულ რეესტრებში მათ შორის სმარტ კონტრაქტზე. კომიტეტის წინაშე დგას ამოცანა შეძლებს თუ არა სმარტ კონტრაქტი გაამარტივოს ან შეცვალოს სამართლებრივი მექანიზმები და საქმიანი თანამშრომლობის პირობები .

სმარტ კონტრაქტის წარმატება და საქმიანი ურთიერთობების მოწესრიგების ეფექტურობა მეტ წილად დამოკიდებულია ტექნიკური და სამართლებრივი პროგრესის სინქრონულ განვითარებეზე. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება და თანამდევი საკანონმდებლო მხარდაჭერა მისცემს მუხტს სმარტ კონტარქტის მასშტაბურ და უფრო ფართო გამოყენების შესაძლებლობას.

---

[1] ტერმინი smart contract ქართულად ჭკვიან ხელშეკრულებას ნიშნავს, ამდენად გამოყენებული იქნება საერთაშორიოს ტერმინი ქართული შრიფტით- სმარტ კონტრაქტი.

2 www.iso.org/committee/6266604.html

მომავალში შესაძლებელია სმარატ კონტრაქტი გამოყენებულ იქნეს არამარტო სავაჭრო და საფინანსო ოპერაციებში, არამედ ისეთი სოციალური შინაარსის გარიგებებში, როგორიცაა მემკვიდრეობით, შრომით და სადაზღვევო ურთიერთობებში.

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლიდან ძალაშია საქართველოს კანონი „ციფრული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ", სასურველია, დამატებით მიღებულ იქნეს ისეთი საკანონმდებლო აქტი, როგორიცაა კანონი „ციფრული ეკონომიკის შესახებ", რომლის ფარგლებში მოხდება სმარტ კონტრაქტის გავრცელებისა და ფუნქციონირების, გარიგების ავტომატურად დადებისა და შესრულების ან/და სხვა იურიდიული მნიშვნელობის საკითხების საკანონდმებლო დონეზე მოწესრიგება.

ყველაზე ცნობადი ტექნოლოგია სმარტ კონტრაქტისა არის - ბლოკჩეინი.

ბლოკჩეინი - ეს არის მონაცემთა ბაზა, რომელიც იმართება ავტონომიურად, ერთიანი ცენტრის გარეშე. ინფორმაცია ახლდება და ინახება ერთდროულად სხვადასხვა მოწყობილობებში. გარდა იმისა, რომ ბლოკჩეინი არის მონაცემთა უსაფრთხო შენახვის საშუალება, ის ასევე აწვდის სმარტ კონტრაქტს საკვანძო ინფორმაციას. ბლოკჩეინის მეშვეობით შესაძლებელია გადავჭრათ გარიგების - მხარეთა შორის ნდობის საკითხი - ერთგვაროვანი დოკუმენტის არსებობა რამდენიმე პირის ხელში უზრუნველყოფს მონაცემთა უცვლელობას და გამორიცხავს ტექნიკურ თავდასხმებს.[3]

არსებული ბლოკჩეინ პლატფორმები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, სისტემის მართვისა და მონაწილეთა შესაძლებლობების მიხედვით შეიძლება დავყოთ საჯარო და კერძო ბლოკჩეინებად (ბლოკჩეინ კონსორციუმებად). მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ უნდა გამოვიყენოთ თუ არა ბლოკჩეინ სისტემა დამოკიდებულია თითოეული პროექტის სახეობაზე. მაგალითად, მისი გამოყენება აუცილებელია, სადაც არსებობს საქმიან გარიგებებში მონაწილეთა შორის უნდობლობის აღმოფხვრის აუცილებლობა და იქ სადაც შეუძლებელია ცენტრალიზებული პლატფორმის გამოყენება.

სმარტ კონტარქტი არის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ვალდებულების შესრულებას. რომელსაც აქვს ორი ფუნქცია:

1.სმარტ კონტრაქტი უპირობოდ სრულდება;

2.ან თვალყურს ადევნებს შესრულების პირობას (დარღვევას), რომელზედაც მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმდნენ.

სმარტ კონტრაქტის მთავარი ღირებულებაა ვალდებულება გახადოს თვით შესრულებადი და მინიმუმამდე დაიყვანოს მხარეთა ნებაზე დამოკიდებული სარისკო მოვლენები და განტვირთოს საქმიანი ურთიერთობები კონტრაგენტთა განწყობისგან და დაუტოვოს მათ მცირე შანსი ვალდებულების შეუსრულებლობისა, არ დამალონ მნიშვნელოვანი ფაქტები და არ გაუშვან შესრულების ვადები.

მხარეთა ნების ამგვარი შეზღუდვა ბიზნესს აძლევს სტაბილური და საიმედო შემოსავლის მიღების, დებიტორული და კრედიტორული ვალდებულებების მართვის, ბრუნვის წინასწარი პროგნოზისა და კომერციული გარიგებასთან დაკავშირებული დავების შემცირების შესაძლებლობას.

სმარტ კონტრაქტი წარმოადგენს მატერიალური (ქაღალდის) ხელშეკრულების ანალოგს, იმ განსხვავებით, რომ ის ციფრულია და წარმოადგენს კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც ინახება ბლოკჩეინ სისტემაში. უფრო კონკრეტულად, ჭკვიანი ხელშეკრულება არის პროგრამული უზრუნველყოფის მოდელი, რომელიც ადგენს საქმიანი გარიგების პირობების თაობაზე მოლაპარაკებების წესებს, ავტომატურად ადასტურებს შესრულებასა და აღასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს.

სმარტ კონტრაქტის უპირატესობები

ქაღალდის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, სმარტ-კონტრაქტი ხასიათდება რიგი უპირატესობით. კერძოდ:

საქმიან ურთიერთობებში მესამე პირთა ჩარევის შეზღუდვა სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მიუხედავად, კლასიკური გაგებით ხელშეკრულება, როგორც ორ პირს შორის გარიგება არ წარმოადგენს ავტონომიურ მოვლენას, მის შესრულებაში უმრავლეს შემთხვევებში ერევა მესამე პირი, რომელიც ახდენს გარიგების პირობათა ფორმირებას (ადვოკატი), დაადასტურებს ხელშეკრულების პირობებს (ნოტარიუსი), ან/ და ახორციელებს საშუამავლო ფუნქციებს (კომერციული ბანკი, სახელმწიფო დაწესებულება ან სხვა სახის შუამავალი). მთელ რიგ სავაჭრო ურთიერთობებში ბიზნესი დამოკიდებულია შუამავლების აქტივობაზე, რაც ზრდის საქონლის ღირებულებას, ფინანსური ვალდებულების შესრულებას.

სმარტ კონტრაქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა გაათავისუფლოს სამოქალაქო ბრუნვა მესამე პირთა ჩარევისაგან და მონაწილეებს მისცეს საშუალება უშუალოდ დაამყარონ საქმიანი ურთიერთობები ერთმანეთთან.

3იხ. "8 ways blockchain can be an environmental game-changer", Celine Herweijer,Jahda Swanborough, Lead, Environment Initiatives, World Economic Forum. www.weforum.org

„ჭკვიანი“ კონტრაქტი, გარდა ამისა, შეუძლია განახორციელოს იგივე ქმედებები, რაც მესამე პირებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში გააზიაროს სახელშეკრულებო პირობები, დაადასტუროს შეთანხმების ფაქტები და უზრუნველყოს ფინანსური გარიგების შესრულების შემოწმება მესამე პირის გარეშე. მარტივად, რომ ვთქვათ, ჩვენ შეგვიძლია სმარტ კონტრაქტის მეშვეობით შევქმნათ ხელშეკრულების დადების, შესრულებისა და აღსრულების ელექტრონული პროგრამა.

მეორე, სმარტ კონტრაქტის უპირატესობად უნდა ჩავთვალოთ კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა, სახელშეკრულებო შეთანხმების განმუხტვა მესამე პირთა ხელმისაწვდომობისგან განაპირობებს, როგორც გარიგების ღირებულების ასევე მხარეთა შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას. რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფინანსურ გარიგებებში და იქ, სადაც ხელშეკრულების საგანია ინტელექტუალური საკურთრების ობიექტი,კეროდ, ფრანჩაიზინგის სახელშეკრულებო სისტემაში;

მესამე, სმარტ კონტრაქტი იძლევა შეთანხმებულ პირობების უცვლელობის გარანტიას. ვინაიდან სმარტ კონტრაქტის საფუძველია პროგრამული კოდი, გარიგების პირობათა ორმაგად განმარტება დაუშვებელია, შედეგად აზრს კარგავს მხარეთა დავა გარიგების ბუნდოვან პირობათა შესახებ, როგორც წესი ბლოკჩეინ სისტემებში სმარტ კონტრაქტი გაფრთხილების სახით მითითებულია „შეუძლებელია პირობათა შეცვლა“ და შესაბამისი ჩანაწერების ცვლილების შესაძლებლობა.

მეოთხე, გარიგების შესრულებაზე კონტროლი ოფისიდან გაუსვლელად. სმარტკონტრაქტი ათავისუფლებს გარიგების მხარეებს ვალდებულების შესრულების პროცესზე ტექნიკური ზედამხედველობისგან. ელექტრონული გარიგების დადების პირობებში მინიმუმამდეა დაყვანილი ადამიანური ფაქტორის ჩარევის შესაძლებლობა.

მეხუთე, პროგრამული ხელშეკრულების მეშვეობით შესაძლებელია გარიგების ბათილობის ალბათობის შემცირება ან/და გაქარწყლება. ხელშეკრულების ბათილობის გავრცელებული საფუძველია გარიგების მხარის ასაკობრივი შეუსაბამობა ან/და მენტალური ნაკლი, შეცდომა გარიგების საგანში. სმარტ კონტრაქტის პროგრამული სახით არ არსებობის შემთხვევაში მძიმე ტვირთად აწვება მომხმარებელს. ამას ემატება ისიც, რომ მესამე პირის მონაწილეობით დადებული გარიგება ყოველთვის ვერ ხდება გარანტი იმისა, რომ ხელშეკრულება შესრულდება და მოვალე პირი თავს არ აარიდებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

სმარტ კონტრაქტის წარმატებით დანერგვა შესაძლებელია საერთაშორისო ვაჭრობისა და ინტელექტუალური საკუთრების სივრცეში. ინტელექტუალური საქმიანობის უმრავლესი შედეგები თავისი ბუნებით ციფრულია, გაზომვადია და მასთან ურთიერთობა სმარტ კონტრაქტს შეუძლია დამოუკიდებლად. სმარტ კონტრაქტის მეშვეობით შესაძლებელია გამარტივდეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ბრუნვაუნარიანობა. შესაძლებელია ავტომატიზირებულ იქნას სალიცენზიო გადახდები და სხვა შემოსავლები, რომელიც უნდა გადახდილი იქნას უფლების მფლობელის პირის მიმართ, მაგალითად სალიცენზო გადასახდელების (პაუშალური, როიალტის და სხვა შემოსავლები) გადარიცხვა ლიცენზიის გაყიდვის შემდეგ.

ყველაზე თვალსაჩინო და ეფექტური სივრცე სადაც, სრულყოფილად ხდება სმარტ კონტრაქტის დანერგვა და გამოყენება არის საბანკო სექტორი. ღია სააპლიკაციო ფორმით თანამშრომლობა კლიენტებთან ბანკებს აძლევს შესაძლებლობას დანერგოს სმარტ კონტრაქტი კლიენტებთან, ბანკთან დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე. ზოგადად სმარტ კონტრაქტის მიზანია შეამციროს გარიგების დადებასთან დაკავშირებული ხარჯები. გადამხდელმა შესაძლებელია სმარტ კონტრაქტის მეშვეობით გასცეს მომსახურებაზე ბრძანება მისი კუთვნილი ანგარიშიდან თანხების ჩამოჭრისა და გადარიცხვის შესახებ. სმარტ კონტარქტის მეშვეობით ხორციელდება ბანკისათვის ბრძანებების გაგზავნის, მიღებისა და დამუშავების წესი. რომლის საფუძველზე ბანკი ახდენს კლიენტის ანგარიშებიდან თანხის ჩამოჭრასა და გადარიცხვას. ბანკები სმარტ კონტარქტის მეშვეობით ახორციელებენ კლიენტის ანგარიშიდან თანხების გადარიცხვას, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამირების ენის არჩევა დამოკიდებულია იმაზე, სმარტ კონტრაქტის შესაქმნელად რომელ ტექნოლოგიას გამოვიყენებთ. პროექტები, რომელიც ტექნლოგიურად განაწილებულ რეესტრებს შორის იქმნება, ითხოვს იმ ენის გამოყენებას რომელიც თავსებადია კონკრეტული ბლოკჩეინ პლატფორმისთვის.

სმარტკონტრაქტის ინტეგრაცია გარიგების ფორმით შესაძლებელია შემდეგი სახით:

1. მთლიანად პროგრამირების ენაზე, როდესაც გარიგება შედგენილია მთლიანად პროგრამული კოდის ენაზე, ბუნებრივი ენის ანალოგის გარეშე;

2. დუბლირებულია - როგორც ალტერნატიული საშუალება, ალგორითმს შეუძლია ხელშეკრულების დუბლირება ბუნებრივ ენაზე. პროგრამა შედგენილია პროგრამული კოდის ენაზე და აქვს ბუნებრივი ენის ანალოგი.

3. შერეული მოდელი - გარიგება შედგენილია ბუნებრივ ენაზე, თუმცა მისი ნაწილი პირობების მოცემულია პროგრამული კოდებით. ხელშეკრულება შედგენილია ბუნებრივ ენაზე, ამასთან პროგრამის ნაწილი დაფიქსირებულია პროგრამული კოდის სახით.

თანამედროვე ეტაპზე ყველაზე გავრცელებული - შერეული მოდელია, როდესაც ხელშეკრულების ნაწილი შედგენილია ბუნებრივ ენაზე, ხოლო ნაწილი მოცემულია სმარტ კონტარქტის სახით. მაგალითად ალგორითმის ნაწილში მხარეები აფიქსირებენ ფასის გადახდის წესს და გადახდის საშუალებებს. დანარჩენი ნაწილი, მათ შორის დავის გადაჭრის წესი, ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები, საქონლის აღწერილობა, ფორს-მაჟორული გარემოებები და სხვა პირობები.

ციფრული ტექნოლოგიების საერთაშორისო სტანდარტიზაცია და განვითარების თანამედროვე ტენდენციები

საერთაშორისო დონეზე, ციფრულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, იკვეთება განსხვავებული მიდგომები. მაგალითად, ევროკავშირში გავრცელებულია უპირატესად ტექნოლოგიური განვითარების იდეა, რომლის თანახმად მიიჩნევენ, რომ არ უნდა მოხდეს სმარტ კონტრაქტისა და ბლოკჩეინის რეგულირება ევროკავშირის არცერთ დონეზე, რადგანაც ნაჩქარევმა სამართლებრივმა რეგულირებამ და ამ ფორმით ჩარევამ შესაძლებელია ხელი შეუშალოს ტექნოლოგიების განვითარებას.

ციფრული ტექნოლოგიების მომხმარებელთა უფლებების დაცვის უპირატესობის იდეას აღიარებს დიდი ბრიტანეთი. სმარტ კონტრაქტთან დაკავშირებული საკითხები მკაფიოდ და ნათლად გადმოცემულია მთავრობასთან არსებული ექსპერტთა ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიშში - „Government Office for Science report“[4], რომლის თანახმად:

სმარტკონტრაქტი - ეს არის სახელშეკრულებო პირობები, რომელიც გადმოცემულია პროგრამულ ენაზე.

ამერიკის შეერთებული შტატები ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, სადაც სმარტ კონტრაქტი არის აქტიური კანონშემოქმედებითი საქმიანობის ობიექტი, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითეულ შტატში დამოუკიდებლად მიმდინარეობს მუშაობა სმარტ კონტარქტის დანერგვისა და სამართლებრივი რეგულირების მიმართულებით.

ბლოკჩეინი და სმარტკონტარქტი განიხილება, როგორც მონაცემთა შენახვის იურიდიულად აღიარებული მეთოდი, იმ პირობით, რომ ისინი წინააღმდეგობაში არ მოვლენ არსებულ წესებთან და კანონებთან. ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც ხორციელდება ბლოკჩეინ სისტემაში განიმარტება, როგორც იურიდიული ძალის მქონე. თუკი მხარეებმა აირჩიეს ბლოკჩეინი საკუთარ მონაცემთა შენახვის ადგილად, მაშინ ასეთი წყაროდან მიღებული მონაცემი მიიჩნევა იურიდიულად ვარგისად. არ შეიძლება ხელშეკრულება მოკლებულ იქნეს იურიდიულ ძალას ან იძულებით აღსრულებას იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების დადებისას გამოყენებულ იქნა ელექტრონული ხელმოწერა და პირობები მოცემულია სმარტ კონტარქტის ფორმით.

საერთაშორისო დონეზე მიმდინარეობს სმარტ კონტრაქტის ირგვლივ ჰარმონიზაციისა და საერთო სტანდარტების, ნორმებისა და დამახასიათებელი ნიშან-თვისებების სტანდარტიზაცია ბლოკჩეინ ტექნოლოგიების ეგიდით. საერთაშორისო ორგანიზაციის International Organization for Standardization ხელმძღვანელობით შექმნილია საერთაშორისო ტექნიკური კომიტეტი - ISO/TC307: «Blockchain and distributed ledger technologies»,[5] რომლებიც მუშაობენ კონკრეტულ სტანდარტებზე, კონკრეტულ რეესტრებში მათ შორის სმარტ კონტრაქტზე. კომიტეტის წინაშე დგას ამოცანა შეძლებს თუ არა სმარტ კონტრაქტი გაამარტივოს ან შეცვალოს საერთაშორისო ბიზნესში სამართლებრივი მექანიზმები.

სმარტ კონტრაქტისა და ბლოკჩეინ პლატფორმის წარმატება და საქმიანი ურთიერთობების მოწესრიგების ეფექტიანობა მეტწილად დამოკიდებულია ციფრული კომუნიკაციებისა და სამართლებრივი მექანიზმების სინქრონულ განვითარებაზე. ციფრული ტექნოლოგიების პროგრესი და თანამდევი საკანონმდებლო მხარდაჭერა მისცემს მუხტს სმარტ კონტრაქტს გლობალურ და გამოყენების ფართო შესაძლებლობებს.

4 www.gov.uk/government/organisations/council-for-science-and-technology
5www.iso.org/committee/6266604.html

ლიტერატურა

1 *www.gov.uk/government/organisations/council-for-science-and-technology*;

2 www.weforum.org, ways blockchain can be an environmental game-changer", Celine Herweijer,Jahda Swanborough, Lead, Environment Initiatives, World Economic Forum;

3 www.iso.org/committee/6266604.html.

FUTURE DEVELOPMENT OF BLOCKCHAIN TECHNOLOGY AND DIGITAL COMMUNICATIONS IN THE MODERN GLOBAL BUSINESS

Khikhadze Lali
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Tbilisi State University

Summary

The modern stage of global business practically completely depends on the information space. Along with the development of blockchein technologies and digital communications systems, especially increasing the interest to smart contract, as the most effective instrument of this technology. Through smart contract, businesses can get the benefits as a result of the development of digital technologies. The research aims is to analyze the benefits of its use in the development of modern world global business.

The success of smart contract, the blockchein platform and the efficiency of business relations are more or less dependent on the synchronized development of digital communications and legal mechanisms. Technology progress and subsequent legislation support will give a smart contract extensive and global use opportunities.

Key words: *blockchein platform, smart contract, electronic signature, digital communications, international standardization, global business.*

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა

ხმალაძე მერაბ
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის, მისი დინამიკის, მასში მომხდარი სტრუქტურული ძვრების, რეგიონების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ცოდნა საფუძვლად ედება ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის გატარებას. სტატისტიკური ინფორმაცია მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ მიიღება მხოლოდ მოსახლეობის აღწერებით. XIX საუკუნეში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად საქართველოში მოხდა მოსახლეობის აქტიური შემოდინება გარედან. შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა ქვეყნის ეროვნული შემადგენლობა და ქართველების წილი შემცირდა. მოსახლეობის შემოდინების კოლონიური პოლიტიკა გრძელდებოდა საბჭოთა იმპერიაშიც XX საუკუნის 50-იანი წლებამდე, რის შემდეგ შეიცვალა უკუპროცესით. არაქართველი მოსახლეობის გადინებამ კულმინაციას მიაღწია 1990-იანი წლებიდან. შედეგად მოსახლეობის 2014 წლის აღწერით ქართველების ხვედრი წილმა მიაღწია 84,5 %-ს.

საკვანძო სიტყვები: *საქართველოს ეროვნული შემადგენლობა, მოსახლეობის მიგრაცია, დემოგრაფიული ანექსია, ეროვნული უმცირესობები.*

არსებული სტატისტიკური წყაროები საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესწავლის საშუალებას გვაძლევს XIX საუკუნიდან დღემდე. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1990 წლების შემდგომი პერიოდი. საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა, პროფესორებმა აკაკი ანთაძემ, ვახტანგ ჯაოშვილმა, ანზორ თოთაძემ. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის აღრიცხვა ხდება მხოლოდ მოსახლეობის აღწერებით. სხვა წლებში მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მიიღება მხოლოდ მიახლოებითი გამოთვლებით და შესაბამისად ნაკლებად საიმედოა.

საკმაოდ დეტალური ანალიზი XIX საუკუნის საქართველოს შესახებ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგვცეს ზემოთ აღნიშნულმა მეცნიერებმა. პ.გუგუშვილის გაანგარიშებით 1800 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 675 ათას, რომელთაგან ქართველი იყო 89% [2, გვ.16-17]. XIX საუკუნის მიწურულს 1897, წელს ვ.ჯაოშვილის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 1919 ათას კაცს, რომელთაგან ქართველი იყო 69,4%, აფხაზი - 2,2%, ოსი - 4,2%, აზერბაიჯანელი - 4,2%, სომეხი - 10,3%, რუსი - 5,3%, დანარჩენი - 1,1% [5, გვ.116].

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ XIX საუკუნეში - „დასავლეთ საქართველოში ისტორიულად ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ. სხვა ეროვნების წარმომადგენლები აქ მეტად მცირე რაოდენობით ბინადრობდნენ... თბილისის გუბერნიაში 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით ქართველების წილი 49,1% უდრიდა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 89,9%“ [3, გვ.29]. განსაკუთრებით საინტერესოა ქალაქ თბილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. 1880 წლისთვის მისმა მოსახლეობამ შეადგინა 86,5 ათასი მცხოვრები, რომელთაგან სომეხი იყო 44,5%, ქართველი - 25,8%, რუსი - 22,9% [12, გვ.1]. ქართველებმა თბილისის მოსახლეობის ნახევარს გადააბიჯა 1959-1960 წლებში.

პ.გუგუშვილისაგან განსხვავებული გამოთვლები აქვთ კ.ანთაძეს და ვ.ჯაოშვილს. კ.ანთაძის გამოთვლებით, საქართველოს მოსახლეობა 1801-1897 წლებში 850-დან გაიზარდა 1867,4 ათასამდე, ხოლო ქართველების წილი 78,8-დან შემცირდა 70,35 %-მდე [1,გვ.88-89]. ვ.ჯაოშვილის შეფასებით, 1800-1897 წლებში საქართველოს მოსახლეობა 784,7 ათასიდან გაიზარდა 1919,4 ათასამდე, ხოლო ქართველების წილი - 79,4-დან შემცირდა 69,4 %-მდე [6, გვ.79, 112]. 1897 წელს რაოდენობით ქართველების შემდეგ მეორე ადგილზე იყვნენ სომხები. უნდა აღვნიშნოთ, რომ 1800-1897 წლებში აფხაზების წილი რუსეთის იმპერიის ანტიაფხაზური პოლიტიკის (მუხაჯირობის) შედეგად 6,6-დან 2,2 %-მდე შემცირდა [1, გვ.88-89]. აფხაზე მეცნიერებს აღნიშნული ფაქტი როგორც ჩანს, დაავიწყდათ.

ცხადია, რომ XIX საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა რიცხობრივად გაიზარდა, მაგრამ ქართველების წილი ყველა გამოთვლით შემცირდა. ამის მიზეზია შემდეგი: რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიით ქვეყანა შეუდგა მშვიდობიან ცხოვრებას, მისი მოსახლეობა იზრდებოდა, როგორც ბუნებრივი, განსაკუთრებით კი მიგრაციული მატებით. უკანასკნელზე შევრჩენებით შედარებით დეტალურად. ქვეყანა არ ითვლება საბოლოოდ ანექსირებულად, თუ ის ანექსირებული არ არის დემოგრაფიულად. დემოგრაფიული ანექსიის მიზანია მკვიდრი აბორიგენი მოსახლეობის

ხვედრი წილის მაქსიმალურად შემცირება. XIX საუკუნე იყო პერიოდი, როდესაც რუსეთი საქართველოს დემოგრაფიული ანექსიის მიზნით აქ ასახლებდა მოსახლეობას რუსეთიდან, ირანიდან და თურქეთიდან (რუსებს, სომხებს, ბერძნებს, გერმანელებს და ა.შ.). აღნიშნული დემოგრაფიული ექსპანსიის შედეგი იყო XIX საუკუნეში საქართველოს დემოეროვნული სურათის მკვეთრი შეცვლა. 1832 წლიდან ფიქსირდება საქართველოში მანამდე არ მცხოვრები ეროვნებები: რუსები - 0,05%, ბერძნები - 0,77%, გერმანელები - 0,19% [1,გვ.89].

რუსეთის იმპერია თავიდანვე მიზნად ისახავდა საქართველოში კოლონიური პოლიტიკის გატარებას, რომლის შემადგენელიც იყო დემოგრაფიული ექსპანსია. ამ გზიდან მას ერთხელაც არ გადაუხვევია და იგივე პოლიტიკა საბჭოთა იმპერიამაც არანაკლები მასშტაბით განახორციელა. აგრესიული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით რუსეთმა შეცვალა საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნოსთა რაოდენობრივი ბალანსი, შეაფერხა საქართველოს ბუნებრივ--დემოგრაფიული განვითარება მისთვის სასურველი მომავლის შედეგების გათვალისწინებით. სამართლიანად მიუთითებენ, რომ დღევანდელი საქართველოს სეპარატისტული რეჟიმები, კომპაქტური არაქართული რეგიონების უსაფუძვლო პრეტენზიები ქართული სახელმწიფოს მიმართ შედეგია იმ დემოგრაფიული პოლიტიკისა, რასაც რუსეთი ატარებდა XIX – XX საუკუნეებში, მის მიერ დაპყრობილ საქართველოში. საქართველოში ასახლებდნენ ხალხს რუსეთის იმპერიის ყველა კუთხიდან, თავისუფალ მიწებზე დასახლებაზე კი უარს მხოლოდ უმიწაწყლო ქართველ გლეხებს ეუბნებოდნენ [3, გვ.32].

XIX საუკუნის განმავლობაში ყველაზე მაღალი ზრდის ტემპებით ხასიათდებოდა სომეხი მოსახლეობა, რომელთა რიცხოვნობა 5-ჯერ გაიზარდა, მაშინ როდესაც ქართველების - 1,96-ჯერ.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში საქართველოში სომხების ჩამოსახლების პოლიტიკის სულისჩამდგმელი და მარჯვე განმახორციელებელი იყო ივანე ხატისოვი, რომელსაც ამიერკავკასიაში დიდი და გავლენიანი თანამდებობები ეკავა (1865-1875 წლებში - სახელმწიფო ქონებათა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი; 1875-1883 წლებში - კავკასიაში მეფის ნაცვალთან საგანგებო მინდობილობათა მოხელე; 1885-1893 წლებში - სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსი). ხატისოვმა წამოაყენა წინადადება - შავის ზღვისპირეთში რომ პირდაპირ რუსები დავასახლოთ, ჰავას მიუჩვეველნი ციებისგან დაიხოცებიან, ამიტომ ჯერ დავასახლოთ სომხები, რომლებიც აითვისებენ ტერიტორიას და მერე დავასახლოთ რუსები. ხატისოვის არგუმენტმა გაჭრა [1,გვ.110-111].

რუსეთის იმპერიის პოლიტიკისთვის უცხო არ იყო „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკა. ამიტომ მოსახლეობის 1897 წლის აღწერაში ქართველ მოსახლეობაში გამოყვეს: ქართლელები, იმერლები, კახელები, მეგრელები, გურულები, სვანები, რაჭველები, თუშები, ხევსურები, აჭარლები და ა.შ. რუსეთის ამგვარი მიდგომა გააგრძელა საბჭოთა იმპერიამაც. აი რას წერს საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 1959-1970 წლების აღწერების ხელმძღვანელი პ.გ.პოდიაჩიხი „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1926 წელს ცხოვრობდა 71,4 ათასი აჭარელი, 243 ათასი მეგრელი და 13,2 ათასი სვანი. 1959 წლის აღწერით აღრიცხული იყო მხოლოდ 546 აჭარელი, 11 მეგრელი და 9 სვანი. ყველა დანარჩენმა წარსულში აჭარლებმა, მეგრელებმა და სვანებმა თავს უწოდეს ქართველები. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ 1926 აღწერის შემდგომ განვლილ პერიოდში მოხდა ამ ხალხების კონსოლიდაცია ქართველებთან“ [12, გვ.112].

საქართველოს დემოგრაფიული ანექსია გრძელდებოდა XX საუკუნის პირველ ნახევარშიც, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიური იყო „ინდუსტრიალიზაციის“ პერიოდში, როგორც „დახმარება“ მის განსახორციელებლად. აღნიშნულ მოვლენას საბჭოთა დემოგრაფებმა მოუნახეს გამართლება. მოვიტანთ ტიპურ გამონათქვამს - „მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის ცვლილების ხასიათის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: პირველი ჯგუფია რესპუბლიკები, რომლებიც იზიდავდნენ მოსახლეობას გარედან; მეორეა რესპუბლიკები, რომლებიც აძლევდნენ თავისი მოსახლეობის ნაწილს ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესში. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ამიერკავკასიის და შუააზიის რესპუბლიკები, რომლებშიც მოსახლეობის მატების კოეფიციენტი მნიშვნელოვნად აღემატებოდა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს.“ [10, გვ.30].

როგორც პაატა გუგუშვილმა ერთ თავის საჯარო გამოსვლაში იკითხა, როგორ, იმ რესპუბლიკებში არ მიმდინარეობდა ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია? მათ რა, ხალხი არ სჭირდებოდათ? ჩვენი მხრივ კი დავამატებთ, რომ თუ საქართველოს მოსახლეობის მატების კოეფიციენტი მნიშვნელოვნად აღემატებოდა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს, მაშინ რა საჭირო იყო გარედან მოსახლეობის შემოყვანა? და კიდევ ერთი, ინდუსტრიული განვითარების დონით მართლა ისე იყო ჩამორჩენილი საქართველო, რომ გარედან ხალხის შემოყვანა გახდა საჭირო ამ ჩამორჩენის დასაძლევად? არა, საქმე ასე არ იყო და ამას ნათლად გვიჩვენებს ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველოს და სსრ კავშირის (რუსეთის) სამრეწველო განვითარების დონის მაჩვენებლები1913-1970 წლებში (მანეთებში) [8, გვ.114]

	რუსეთი		საბჭოთა კავშირი				
	1913	1921	1932	1937	1940	1950	1970
მრეწველობის პროდუქცია მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით							
რუსეთი, სსრკ	22,2	8,0	59,3	126,8	155,1	291,8	1548,6
საქართველო	21,2	11,4	64,4	126,6	155,8	250,3	1003,6

როგორც ჩანს, სამრეწველო განვითარებით საქართველო 1940 წლამდე არ ჩამორჩებოდა ჯერ რუსეთის, შემდეს საკავშირო მაჩვენებლებს. მეტიც, ცალკეულ წლებში იგივე რამდენადმე კიდევაც უსწრებდა რუსეთს და საბჭოთა კავშირს. სამრეწველო განვითარების დონის ნამდვილი ჩამორჩენა საქართველოში დაიწყო სწორედ ინდუსტრიალიზაციის განხორციელების შემდეგ. ასე, რომ ინდუსტრიალიზაცია საქართველოს დემოგრაფიული ანექსიის კიდევ ერთი მიზეზი და საშუალება იყო. ამის შედეგად 1926-1939 წლებში ქართველების ხვედრი წილი 67,1-დან 61,4%-დე შემცირდა. ეს არის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში. აღნიშნულის საპირისპიროდ, 1926-1939 წლებში რუსების ხვედრი წილი 3,6-დან 8,7-დე პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო 1959 წელს 10,1%-ს მიაღწია.

საქართველოში სხვა ეროვნებების შემოსვლა გრძელდებოდა 1950 წლების მეორე ნახევრამდე. ამის შემდეგ, კერძოდ 1951 წლიდან ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა და საქართველო ხასიათდება უარყოფითი მიგრაციული ბალანსით, რისი მიზეზიც არის საქართველოს სოფლის მოსახლეობის ომამდელ პერიოდთან შედარებით თითქმის ორჯერ უფრო ინტენსიური გადასვლა ქალაქებში საცხოვრებლად, რითაც საქართველოს ქალაქები კმაყოფილდებოდა მუშახელით და სხვა რესპუბლიკებიდან მათი შემოსვლა აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა [11,გვ.134]. ამას დაემატა საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემა.

ყოველივე ეს აისახა მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაზე. 1959-1989 წლებში ქართველების წილი 64,3-დან გაიზარდა 70,1 %-მდე. ასევე გაიზარდა აზერბაიჯანელების წილი - 3,8-დან 5,7 %-მდე. აფხაზების ხვედრი წილი გაიზარდა უმნიშვნელოდ, 1,6-დან 1,8 %-მდე. დანარჩენი ეროვნებების წილი შემცირდა, განსაკუთრებით რუსების - 10,1-დან 6,3 %-მდე და სომხების - 11-დან 8,1 %-მდე.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა რადიკალურად შეიცვალა. ემიგრაციაში წავიდა ქართველი და განსაკუთრებით არაქართველი მოსახლეობა (იხ.ცხრილი 2).

ცხრილი 2

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1989-2014 წლებში
[4, გ.110]; [7,გ.318-319]

	ათასი კაცი		პროცენტულად	
	1989	2014	1989	2014
სულ მოსახლეობა	5400,8	3760,7	100,0	100,0
მათ შორის:				
ქართველი	3787,4	3177,8	70,1	84,5
აზერბაიჯანელი	307,6	229,4	5,7	6.1
სომეხი	437,2	195,6	8,1	5,2
რუსი	341,2	56,4	6,3	1,5
ოსი	164,1	33,8	3,0	0,9
აფხაზი	95,9	3,8	1,8	0,1
დანარჩენი	267,4	63,9	5,0	1,7

იმის გამო, რომ საქართველო დატოვა უმეტესად არაქართველმა (ნაკლებად- აზერბაიჯანელმა) მოსახლეობამ, შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართველების წილი და მნიშვნელოვნად შემცირდა ყველა დანარჩენი ეროვნების წილი, გარდა აზერბაიჯანელებისა, რომელთა წილი გაიზარდა უმნიშვნელოდ - 0,4%-ით. ცხრილის მონაცემებს შეგვიძლია დაუმატოთ, რომ მოცემულ პერიოდში 100 ათასი ბერძენიდან დარჩა 15 ათასი; 52,4 ათასი უკრაინელიდან - 3,8 ათასი; 33,3 ათასი

ქურთების და იეზიდებისგან - 15 ათასი; 24,6 ათასი ებრაელიდან - 3,8 ათასი; 8,6 ათასი ბელორუსიდან - მხოლოდ 200 კაცი [7, გვ.318].

დასასრულს გვინდა შევეხოთ საზოგადოების ნაწილში გავრცელებულ აზრს, რომ 90-იანი წლების შემდეგ საქართველო დატოვა 1-1,5 მლნ ქართველმა. ესაა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული და ქვეყნისთვის მავნე აზრი. 1989-2014 წლებში საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 1640,1 ათასი კაცით, ხოლო ქართველების რიცხოვნობა - 609,6 ათასით, რაც საერთო შემცირების 37,2%-ს შეადგენს. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველების რიცხოვნობის შემცირებაში, ემიგრაციასთან ერთად, უარყოფითი როლი შეასრულა შობადობის და ბუნებრივი მატების შემცირებამაც. ზოგიერთ წელს ბუნებრივი მატება ნულის ტოლი იყო, კერძოდ 2000-2004 წლებში, მაშინ როდესაც 1990-1999 წლებში ბუნებრივი მატება 134 ათასს შეადგენდ (Khmaladze, 2018), ე.ი. წელიწადში 13,4 ათასს. ჩვენი გამოთვლებით, რეპროდუქციული ასაკის (15-49 წელი) ყოველ ათას ქალზე 2014 წელს მოდიოდა 27,6 დაბადებული, ხოლო 1989 წელს 64,1, ე.ი. 2014 წელთან შედარებით 2,3-ჯერ მეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ 1989-2014 წლებში საქართველოში შობადობის დონე 2-ჯერ და მეტად შემცირდა.

დასკვნები:

- 1800-იანი წლებისთვის ქართველების ხვედრი წილი მთელ მოსახლეობაში სხვადასხვა გამოკვლევით 78-89 %-ის ფარგლებში მერყეობდა. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად 1897 წელს ქართველების წილი 70 %-მდე შემცირდა, დანარჩენი ეროვნებების კი გაიზარდა;
- აღნიშნული პოლიტიკა წარმატებით გააგრძელა საბჭოთა იმპერიამაც. ინდუსტრიალიზაციის განხორციელებაში „დახმარების“ მიზნით, საქართველოში ჩამოასახლეს მრავალი უცხოტომელი, რის შედეგადაც ქართველების წილი 1939 წელს ისტორიაში ყველაზე დაბლა - 61%-მდე დაეცა, დანარჩენი ეროვნებების კი - გაიზარდა;
- მოსახლეობის შემოდინება საქართველოში გრძელდებოდა 1950-იანი წლების მეორე ნახევრამდე. მას შემდეგ დაიწყო უკუპროცესი, რის შედეგადაც ქართველების წილი 1990-იან წლებში გაიზარდა 70 %-მდე. განსაკუთრებით ინტენსიური გადინება არაქართველი მოსახლეობისა დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ქართველი მოსახლეობის წილმა მიაღწია 84,5 %-ს, დანარჩენებისა - შემცირდა (გარდა აზერბაიჯანელებისა).

ლიტერატურა

1 ანთაძე კ. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973. 311 გვ.

2 გუგუშვილი პ. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ., 1973. 218 გვ.

3 თოთაძე ა. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. თბ., 2011. 236 გვ.

4 საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. თომი I. თბ., 2003. 220 გვ.

5 ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ.,1984. 275 გვ.

6 ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996. 429 გვ.

7 წულაძე გ. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული. თბილისი. 2015. 333 გვ.

8 ხმალაძე მ. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერები და ეკონომიკური შედეგები. დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1995. 336 გვ.

9 ხმალაძე მ. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა პოსტსაბჭოთა საქართველოში. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული. თბილისი 2018. 544 გვ.

10 Гозулов А.И. Григорянц М.Г. Народонаселение СССР. Москва. 1959.

11 Джаошвили В.Ш. Урбанизация Грузии. Тбилиси. 1978

12 Подъячих П.Г. Население СССР. Москва. 1961. 189 გვ.

13 Сборник сведений о Кавказе. Тифлисъ, 1885. Том IX. 520 გვ.

NATIONAL COMPOSITION OF THE POPULATION OF GEORGIA

Khmaladze Merab
Doctor of Economics,
Associated Professor, TSU

Summary

Knowledge of the national composition of the population, its dynamics, the structural changes taking place in it and the national composition of the population of the regions is the basis for conducting the country's national policy. Statistical information on the national composition of the population shall be obtained only from the population censuses. As a result of Russia's colonial policy in the 19th century, the influx of foreigners into Georgia took place. As a result, the national composition of the country has changed significantly and the share of Georgians has declined. The colonial policy of population influx continued in the Soviet Empire too until the 1950s, after which it was reversed. The outflow of non-Georgians has peaked since the 1990s. As a result, the share of Georgians according to the 2014 census reached 84.5 percent.

Key words: *National composition of Georgia; Migration of the population; Demographic annexation; National minorities.*

პირობითი ვალდებულებების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის საკითხები

ხორავა ანჟელი
უფროსი მასწავლებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების კრიტერიუმების განსაზღვრისა და შეფასების საკითხი, ფინანსური ანგარიშგების კვალიფიციურად მომზადებისა და წარდგენის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ვალდებულებების ასახვის წესი დამოკიდებულია მისი წარმოქმნის, დაფარვის ვადებსა და შეფასების შესაძლებლობაზე. ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ხშირია ისეთი შინაარსის მოვლენა, რომელიც წარმოქმნის სავარაუდო ვალდებულებებს, ე.წ. პირობით ვალდებულებებს. მნიშვნელოვანი განსხვავება მიმდინარე ვალდებულებებს, პირობით ვალდებულებებსა და ანარიცხებს შორის განაპირობებს მათი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარება-ასახვის თავისებურებებს და განსაკუთრებული ყურადღებით განხილვას საჭიროებს. ასეთი ტიპის ვალდებულებებთან დაკავშირებული უპირველესი პრობლემაა მათი აღიარების კრიტერიუმების დადასტურება და საიმედოდ შეფასება, რაც თავის მხრივ განაპირობებს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სამართლიან წარდგენას.

კვლევა ჩატარდა ბასს 37, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების, კომენტარების და საკონსულტაციო მასალების საფუძველზე, ასევე ფინანსური ანგარიშგების მომზადების კონცეპტუალური საფუძვლების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: *იურიდიული ვალდებულება, კონსტრუქციული ვალდებულება, პირობითი ვალდებულება, ანარიცხი, პირობითი აქტივი.*

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება საშუალებას იძლევა შემცირებულ იქნეს საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების განმარტებათა, ფინანსური ანგარიშგების მუხლების აღიარებისა და შეფასების პროცედურებს შორის არსებული განსხვავებები. ამ თვალსაზრისით, ვალდებულებების შეფასებისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის წესი მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

ვალდებულება არის საწარმოს პასუხისმგებლობა, მოვალეობა, რომლის შესრულება გარკვეულ ნორმებს ექვემდებარება. ვალდებულებების შესრულება შეიძლება სამართლებრივად შევიდეს ძალაში სავალდებულო წესით შესასრულებელი ხელშეკრულების ან საკანონმდებლო მოთხოვნის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგების მომზადების კონცეპტუალური საფუძვლების თანახმად, ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოქმნილი მიმდინარე მოვალეობა,რომლის დასაფარავად მომავალში საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის გადინებაა მოსალოდნელი [1, პ.4, პ.18].

ზოგიერთი ვალდებულება წარმოქმნისთანავე აღიარდება და დგინდება ამ ვალდებულების დასაფარავად საჭირო ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ოდენობა. ზოგჯერ კი არ არის ნათელი, გააჩნია თუ არა საწარმოს მიმდინარე მოვალეობა. ასეთ შემთხვევაში, წარსული მოვლენა შეიძლება ჩაითვალოს მიმდინარე ვალდებულების წარმომქმნელად, თუ საანგარიშგებო თარიღისათვის მიმდინარე ვალდებულების არსებობის ალბათობა მაღალია. წარსული მოვლენა, რომელიც მიმდინარე ვალდებულებას წარმოქმნის, მავალდებულებელ მოვლენად ითვლება.

ბასს-37-ის განმარტებით, მავალდებულებელია მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რის შედეგად საწარმოს არა აქვს ამ ვალდებულების დაფარვის გარდა, სხვა რეალური ალტერნატივა [2, პ.10].

იურიდიული ვალდებულება არის ხელშეკრულების, კანონმდებლობის, ან კანონის სხვა მოქმედების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება. კონსტრუქციული ვალდებულება კი საწარმოში მაშინ წარმოიქმნება, როდესაც:

ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, საწარმოს პოლიტიკის ამსახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების, ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების საშუალებით საწარმომ სხვა მონაწილე მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში აღიარებს გარკვეულ ვალდებულებას; და

ბ) საწარმომ შექმნა მხარეთა წინაშე ამ ვალდებულების დაკმაყოფილების სამართლიანი მოლოდინი.

თუ ვალდებულების წარმოქმნის მომენტში ვერ დგინდება მის დასაფარავად საწარმოდან გასასვლელი ეკონომიკური სარგებლის ოდენობა და ვერც მისი დაფარვის ვადა, ეს შეიძლება პირობითი ვალდებულებების წარმოქმნის საფუძველი გახდეს.

ბასს 37-ით „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“, პირობით ვალდებულებებს მიეკუთვნება:

ა) შესაძლო ვალდებულება, რომელიც წარსული მოვლენის შედეგს წარმოადგენს და მომავალში მისი არსებობა საწარმოსგან დამოუკიდებელი, განუსაზღვრელი ერთი ან მეტი მოვლენის მოხდენით ან არმოხდენით დასტურდება;

ბ) წარსული მოვლენის შედეგად წარმოქმნილი მიმდინარე ვალდებულება, რომელიც არ არის აღიარებული, რადგან:

- მოსალოდნელი არ არის, რომ მის დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- ამ ვალდებულებების თანხის საკმარისად საიმედო შეფასება შეუძლებელია.
- ზოგიერთი ვალდებულების განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ შეფასების, მიახლოებითი გაანგარიშების გზით. ასეთი ვალდებულებებისათვის საწარმოში ანარიცხების შექმნა ხდება [2, პ.4, პ.15].

ანარიცხები განუსაზღვრელი დაფარვის ვადისა და ოდენობის ვალდებულებაა. ანარიცხის აღიარება მაშინ ხდება, როდესაც:

- საწარმოს გააჩნია წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოქმნილი მომდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულება; მოსალოდნელია, რომ ვალდებულების დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება შესაძლებელია.

ანარიცხის აღიარებისას საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ მისი ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებული ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო დანახარჯების საუკეთესო შეფასებას. მიმდინარე ვალდებულების შესასრულებელი დანახარჯების საუკეთესო შეფასებას წარმოადგენს თანხის ის ოდენობა, რომელსაც საწარმო გადაიხდიდა ვალდებულების შესასრულებლად ან სხვა მხარისათვის გადასაცემად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ანარიცხების თანხის გაანგარიშებას ახდენენ საწარმოს მენეჯმენტის გონივრული პროფესიული განსჯის საფუძველზე, ანალოგიური ოპერაციებიდან მიღებული გამოცდილების, ზოგჯერ კი დამოუკიდებელი ექსპერტების დასკვნების გათვალისწინებით.

ზოგჯერ ბუნდოვანია, არსებობს თუ არა მიმდინარე ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში სათანადო დასაბუთება უნდა გაკეთდეს, იმის შესახებ, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე ვალდებულების არსებობა უფრო მეტადაა მოსალოდნელი, ვიდრე არარსებობა [2, პ.15]. დასაბუთებები უნდა მოიცავდეს საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგ მომხდარი მოვლენებიდან მიღებულ დამატებით ინფორმაციასაც. როგორც უკვე აღინიშნა, თუ ასეთი დასაბუთებების საფუძველზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე ვალდებულების არსებობა უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არარსებობა, ანარიცხი უნდა აღიარდეს. მაშინ კი, თუ უფრო მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვლენის არარსებობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა შორეულ მომავალშია მოსალოდნელი, განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს პირობითი ვალდებულება. ტერმინი „მოსალოდნელი! სტანდარტის განმარტებით გულისხმობს იმას, რომ მოცემული მოვლენის მოხდენის ალბათობა აღემატება მისი არმოხდენის ალბათობას.

მაგალითად, თუ სასამართლოს მიერ სარჩელის განხილვისას ეჭვს იწვევს ცალკეული მოვლენის არსებობა ან ამ მოვლენის შედეგად მიმდინარე ვალდებულების წარმოქმნა, საწარმოს მიერ გაითვალისწინება ყველა დასაბუთება ექსპერტთა მოსაზრებების ჩათვლით და დგინდება არსებობს თუ არა მიმდინარე ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ამგვარი დასაბუთებების ქვეშ იგულისხმება აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგ მომხდარი მოვლენების შესახებ მიღებული დამატებითი ინფორმაცია. თუკი ასთი დასაბუთება არსებობს, მაშინ :

- საწარმო აღიარებს ანარიცხს, თუ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე ვალდებულების არსებობა უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არარსებობა (და დაკმაყოფილებულია აღიარების კრიტერიუმები) ;
- საწარმო განმარტებით შენიშვნებში ასახავს პირობით ვალდებულებას, თუ უფრო მოსალოდნელია, რომ მიმდინარე ვალდებულება არ არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა შორეულ მომავალშია მოსალოდნელი [2, პ.86].

სტანდარტით ხაზგასმულია განსხვავება ანარიცხებსა და პირობით ვალდებულებებს შორის [2, პ.13]. ანარიცხები აღიარებულია ვალდებულებებად და მოსალოდნელია მათ დასაფარავად საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა. რაც შეეხება პირობით ვალდებულებებს, ისინი არ არის აღიარებული ვალდებულებებად და წარმოადგენს პოტენციურ ვალდებულებებს, რადგან ჯერ კიდევ გასარკვევია, აქვს თუ არა საწამოს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც გამოიწვევს საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას, ან მიმდინარე ვალდებულებებს, რომელთა სა-

იმედოდ შეფასების შესაძლებლობა არ არსებობს [3, გვ.6].

საწარმოს მიერ განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს მომავალი მოვლენები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ვალდებულების დასაფარავად საჭირო თანხის ოდენობაზე და გათვალისწინებულ იქნეს ანარიცხის თანხაში, თუ არსებობს მათი მოხდენის საკმარისი ობიექტური დასაბუთება [2, პ.48]. ასევე უნდა მიეთითოს იმ აქტივის თანხის ოდენობა, რომელიც აღიარდა მოსალოდნელი ანაზღაურებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულების დასაფარავად ეკონომიკური სარგებლის გასვლა შორეულ მომავალშია მოსალოდნელი. უნდა გაკეთდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული თითოეული კლასის პირობითი ვალდებულებების არსის მოკლე აღწერა, აისახოს საუკეთესო შეფასებით განსაზღვრული მისი ფინანსური ეფექტი [2, პ.36], ეკონომიკური სარგებლის გასვლის მოცულობასა და ვადასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები და ნებისმიერი ანაზღაურების შესაძლებლობა.

ანარიცხებისა და პირობითი ვალდებულებების კლასებად ჩამოყალიბებისათვის საჭიროა მათი არსის მსგავსების გათვალისწინება, იმისათვის რომ, მათი ერთად წარდგენის შემდეგ შესრულდეს ზემოთ განსაზღვრული მოთხოვნები. ასე რომ, შესაძლებელია ერთ კლასად გაერთიანდეს სხვადასხვა პროდუქტის გარანტიებთან დაკავშირებული ანარიცხები, მაგრამ არ არის მართებული ჩვეულებრივ გარანტიებთან დაკავშირებული თანხებისა და იურიდიულ პროცედურებს დაქვემდებარებული თანხების გაერთიანება ერთ კლასში [2, პ.87]. თუ ანარიცხებისა და პირობითი ვალდებულების წარმოქმნას განაპირობებს ერთი და იგივე მოვლენები, საწარმოს განმარტებით შენიშვნებში ინფორმაცია ისე უნდა აისახოს, რომ ნათელი იყოს ანარიცხსა და პირობით ვალდებულებას შორის კავშირი. საწარმომ უნდა ასახოს საკმარისი ინფორმაცია პირობითი ვალდებულებების შესახებ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, რათა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელმა შეძლოს მათი შინაარსის, პერიოდულობისა და ოდენობის აღქმა.

შესაძლებელია პირობითი ვალდებულებები არ განვითარდეს ისეთი სახით, როგორც თავდაპირველად იყო მოსალოდნელი. ამიტომ, განუწყვეტლივ ხდება მათი შეფასება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლის ალბათობის განსაზღვრის მიზნით. თუ მოსალოდნელი იქნება, რომ პირობითი ვალდებულებების სახით ასახული ვალდებულების შესასრულებლად საჭირო გახდება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა, უნდა აღიარდეს ანარიცხი იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში როდესაც შეიცვალა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლის ალბათობა. გასათვალისწინებელია იშვიათი გამონაკლისები, როდესაც შეუძლებელია საიმედო შეფასება [2, პ 30].

იქ, სადაც საწარმოს გააჩნია მოვალეობის შესრულების სოლიდარული პასუხისმგებლობა, ვალდებულებების ის ნაწილი, რომლის დაფარვა მოსალოდნელია სხვა მხარეების მიერ, განიხილება, როგორც პირობითი ვალდებულება. ვალდებულების იმ ნაწილისათვის კი, რომელთა დასაფარავად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა, საწარმომ უნდა აღიაროს ანარიცხი, გარდა იმ იშვიათი შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია საიმედოდ შეფასება.

იმ ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც აღიარებულია ბასს 37-ის საფუძველზე, შესაბამისად დაიფარება მესამე მხარესთან დადებული სახელშეკრულებო პირობების მიხედვით [4, პ.34ბ]. ხშირ შემთხვევაში, საწარმომ პასუხი უნდა აგოს მთელ ვალდებულებებზე მესამე მხარის მიერ მოვალეობის ამა თუ იმ მიზეზის გამო, შეუსრულებლობისას. სწორედ ასეთ სიტუაციაში მოხდება მოვალეობით გათვალისწინებული მთლიანი თანხის ანარიცხების აღიარება, ხოლო მოსალოდნელი ანაზღაურების აღიარება მოხდება ცალკე აქტივად მაშინ, როდესაც ფაქტობრივად ეჭვგარეშეა ანაზღაურების მიღება მესამე მხარის მიერ არსებული მოვალეობის შესრულებისას. ზოგჯერ საწარმო არ არის ვალდებული დაფაროს მოცემული დანახარჯები,მესამე მხარის მიერ მათი გადაუხდელობის დროს. ასეთ შემთხვევაში საწარმო ანარიცხებს არ ქმნის [2, პ.57].

ბასს 37-ის შესაბამისად, წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად მომავალში ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა მიმდინარე მოვალეობის ან შესაძლო მოვალეობის დაფარვის მიზნით, რომელთა არსებობა საწარმოს კონტროლს დაუქვემდებარებელი ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მოხდენით, ან არმოხდენით დასტურდება, შესაძლებელია ასეთი სახით ჩამოვაყალიბოთ:

- თუ არსებობს მიმდინარე ვალდებულება, რომლის დასაფარავად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა - უნდა აღიარდეს ანარიცხი და აისახოს განმარტებით შენიშვნებში;
- თუ არსებობს შესაძლო ვალდებულება ან მიმდინარე ვალდებულება, რომლის დასაფარავად შესაძლოა მოხდეს, ან უფრო არ მოხდეს რესურსების გასვლა - არ ხდება ანარიცხის აღიარება და აისახება განმარტებით შენიშვნებში პირობითი ვალდებულების სახით;
- არსებობს შესაძლო ვალდებულება ან მიმდინარე ვალდებულება, როდესაც რესურსების გასვლა შორეულ მომავალშია მოსალოდნელი - არ ხდება ანარიცხის აღიარება და არ აისახება განმარტებით შენიშვნებში [5, გვ.3].

გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა ვალდებულების დაფარვა ნაკლებად სავარაუდოა,

საწარმომ პირობითი ვალდებულებების ყოველი ჯგუფისათვის უნდა ასახოს: ამ ვალდებულებათა ხასიათი საანგარიშგებო თარიღისათვის, მიეთითოს ის განუსაზღვრელობები, რომლებიც უკავშირდება დაფარვის სიდიდეს და ვადებს, რაიმე ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა.

პირობითი ვალდებულებებისა და ანარიცხების ერთ ჯგუფში გაერთიანებისას აუცილებელია დადგინდეს ამ მუხლების ერთგვაროვნების ხარისხი. თუ ერთი და იგივე გარემოების გამო ერთდროულად წარმოიქმნება ანარიცხი და პირობითი ვალდებულება, საწარმომ ინფორმაცია ისეთი სახით უნდა წარადგინოს, რომ ჩანდეს პირობითი ვალდებულებებისა და ანარიცხის ურთიერთკავშირი.

დასკვნა

- ვალდებულება წარმოადგენს წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენის შედეგად წარმოქმნილ მიმდინარე მოვალეობას, რომელიც იწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გადინებას საწარმოდან. ვალდებულება აღიარდება საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარდგენილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში;
- პირობითი ვალდებულება წარმოადგენს შესაძლო ვალდებულებას, რომელიც საწარმოსგან დამოუკიდებელი, განუსაზღვრელი მოვლენებით დასტურდება ან არ დასტურდება; ან მიმდინარე პერიოდის აუღიარებელ ვალდებულებას, რომლის აღიარება და საიმედოდ შეფასება ვერ ხერხდება.
- პირობითი ვალდებულება არ იწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გადინებას საწარმოდან მიმდინარე პერიოდში და აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში;
- ანარიცხი განუსაზღვრელი დაფარვის ვადისა და ოდენობის ვალდებულებაა. ანარიცხის ხარჯი აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თავად ანარიცხი კი აღიარდება საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარდგენილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ლიტერატურა

1. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. IFRS Foundadion 2018 https//saras.gov.-ge/ka/ifrs/pdf/80
2. ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები, პირობითი აქტივები IFRS Foundadion 2018 https//saras.gov.ge/ka/ifrs/pdf/15
3. *https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/635939/contingent_liability_approval_framework_guidance.pdf*/19
4. ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.IFRS Foundadion 2018.https// saras.gov.ge/ka/ifs/pdf/32
5. IAS 37 Provisions, Contingent Liabilities and Contingent Assets/1
6. *https://www.pkf.com/media/10033179/ias-37-provisions-contingent-liabilities-and-contingent assets-summary/5*

PRESENTATION ISSUES OF CONTINGENT LIABILITIES IN FINANCIAL STATEMENT

Khorava Anzheli
Senior Teacher

Summary

Definition of recognition criteria and valuation issue for assets, liabilities, income and expenses, is presumed to result in financial statements that achieve a fair presentation. Presentation of liabilities is based on recognition, due dates and valuation opportunities. Events, resulting recognition of contingent liabilities are frequent in modern economies. Recognition and presentation in financial statement depends on different nature of current liabilities, contingent liabilities and requires special judgment. To ensure fair presentation of financial statement, it is crucial to apply appropriate recognition criteria measurement bases.

The study was conducted based on IFRIC (International Financial Reporting Interpretations Committee) interpretations, issued after approval of IASB (International Accounting Standards Board), and Conceptual Framework for Financial Statements.

Key Words: *Legal obligation; Constructive obligation, Contingent liability, Provision, Contingent asset.*

ტურისტული დანიშნულების ადგილის სტრატეგიული დაგეგმვის სისტემური ასპექტები

ხოხობაია მერაბ
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ-ის ასისტენტ პროფესორი

ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარება დაკავშირებულია საკმაოდ რთულ ოპერაციულ ფაზებთან. რომელიც მოითხოვს, ერთი მხრივ, პოლიტიკის შემუშავებას და შესაბამისი დეტერმინანტების გაანალიზებას, ხოლო მეორე მხრივ, ლოგიკური კონცეპტუალური ჩარჩოს მომზადებას, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტული დანიშნულების ადგილის მდგრად განვითრებას. ცხადია, რომ ტურიზმის ინდუსტრიის ფრაგმენტული ბუნებიდან გამომდინარე საჭიროა ტურისტული დანიშნულების ადგილის სისტემური ანალიზი. ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული თანამედროვე ტენდენციები აქტუალურს ხდის გაანალიზდეს ტურისტული დანიშნულების ადგილის ადაპტაციის უნარი ცვალებად გარემოსთან. ცვლილებები, ფაქტობრივად, გახდა ბუნებრივი ფენომენი რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული უწყვეტობასთან. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით ტურიზმის ინდუსტრიის და ტურისტული დანიშნულების ადგილის როგორც სისტემის შეფასებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. სტატიაში გაანალიზებულია ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების პოლიტიკის კონცეპტუალური და სისტემური ასპექტები. ყურადღება გამახვილებულია დინამიკური სისტემის შესწავლის მნიშვნელობაზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს სიღრმისეულად გავაანალიზოთ ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების დეტერმინანტები და მასზე მოქმედი ფაქტორები.

საკვანძო სიტყვები: *ტურისტული დანიშნულების ადგილი, სტრატეგიული დაგეგმვა, სისტემის დინამიკურობა, ცვლილებების მართვა, კონკურენტუნარიანობა*

სამეცნიერო ლიტერატურაში ტურისტული დანიშნულების ადგილის სხვადასხვა ტიპის განმარტება არსებობს. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით ტურისტული დანიშნულების ადგილი ფიზიკური სივრცეა, რომელშიც ხდება ტურისტული სერვისების მიწოდება. მას გააჩნია ადმინისტრაციული საზღვრები და მოიცავს სხვადასხვა ტიპის ატრაქციებს. ამავე განმარტების მიხედვით ტურისტული დანიშნულების ადგილი წარმოადგენს სისტემას, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფი. მაგალითად, ადგილობრივი რეზიდენტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო და საჯარო სექტორის ორგანიზაციები და ა.შ[1] რიჩი და კრაუჩი (Ritchie and Crouch) გამოყოფს ტურისტული დანიშნულების ადგილის სხვადასხვა ტიპებს: ქვეყანა, მაკრო რეგიონი, ადმინისტრაციული ერთეული (მუნიციპალიტეტი), ქალაქი, უნიკალური მახასიათებლების ან სტატუსის მქონე ადგილი (ეროვნული პარკი, დაცული ტერიტორია) [17, გვ. 108]. როგორც განმარტებებიდან ჩანს, ტურისტული დანიშნულების ადგილი სივრცითი თვალსაზრისით, რთული სისტემაა, თუმცა, მხოლოდ გეოგრაფიული მახასიათებლების შესწავლა არ არის საკმარისი პოლიტიკის დაგეგმვისა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისათვის. მას გააჩნია საკმაოდ რთული რელიეფი სოციალური და კულტურული გარემოს თვალსაზრისითაც. გარდა ამისა, მისი დინამიკური ხასიათიდან გამომდინარე დაგეგმვის პროცესში უნდა გავითვალისწინოთ როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორები.

ტურისტული დანიშნულების ადგილის ეფექტიანი მართვისათვის აუცილებელია გარკვეული გარემოებების არსებობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ეფექტიანი გადაწყვეტილებები. პირველი, მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი ტურისტული დანიშნულების ადგილის საზღვრები [2, გვ.370]. ეს საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან ნათელი უნდა იყოს რა სივრცეში გვიწევს გადაწყვეტილებების მიღება. მეორე, მას უნდა ქონდეს გარკვეული უნიკალური მახასიათებლები, რომელიც იქნება ერთგვარი ვექტორი ტურისტებისათვის მოგზაურობის მოტივაციის თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობის კუთხითაც. მესამე, საჭიროა ეფექტიანი კომუნიკაცია სხვადასხვა სტეიქჰოლდერებს შორის, რომელიც წარმოადგენს წინაპირობას ტურისტული დანიშნულების ადგილის გრძელვადიან დინამიკაში განვითარების თვალსაზრისით [11, გვ.1].

თეორიული და პრაქტიკული კუთხით, ტურისტული დანიშნულების ადგილის პოლიტიკის ფორმულირების პროცესი მოიცავს ეტაპებს, როდესაც ხდება პოლიტიკის სტრუქტურის ფორმირება და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა [5, გვ.987]. ფორმულირების პროცესი დინამიკურია, ამიტომ მაქსიმალური ეფექტის მისაღებად საჭიროა სხვადასხვა მიდგომების და მეთოდების გამოყენება. ასევე, აუცილებელია პოლიტიკა განვიხილოთ როგორც ერთიანი სისტემის შემადგენელი

1 unwto.org

ნაწილი [3, გვ.11]. პოლიტიკის ფარგლებში უნდა მოხდეს ფილოსოფიის, ტურიზმის განვითარების ხედვების ჩამოყალიბება, ვინაიდან თითოეულ დანიშნულების ადგილის გაანია უნიკალური გენეტიკური კოდი, შესაბამისად მისი განვითარების დეტერმინანტები არის კონკრეტული და განსხვავებული. ფილოსოფია წარმოადგენს, ქცევის, შეხედულებების, რწმენის ან ტრადიციების ერთობლიობას, რომელიც გააჩნია ტურისტულ დანიშნულების ადგილს [4, გვ.335].

ფილოსოფიური მიდგომა საშუალებას გვაძლევს სიღრმისეულად შევხედოთ მიმდინარე პროცესებს, რაც მთავარია ის წარმოადგენს ერთგვარ იდეოლოგიურ და ფუნდამენტურ ბაზისს, რომლის საფუძველზე უნდა მოხდეს კონკრეტული ხედვების ჩამოყალიბება. სწორედ ამიტომ, მსოფლიოში არსებული წარმატებული მოდელების განხილვისას ან პრაქტიკაში იმპლემენტაციისას უნდა გავითვალისწინოთ ის გარემო პირობები, რომელიც არსებობს კონკრეტულ სოციუმში [7, გვ.645]. ეს აისახება სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა ფაქტორებში. თითოეული მოდელის წარმატებით დანერგვისათვის აუცილებელია აღნიშნულ ფაქტორებთან მათი ადაპტაცია, მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლოა გახდეს მოდელი წარმატებული [15, გვ.153-156]. ფილოსოფიებს აქვთ პრაქტიკული თვალსაზრისითაც გარკვეული უპირატესობები, რადგან ისინი გვთავაზობენ როგორც მოვლენების აღწერილობას, ასევე საკითხების გადაჭრის კონკრეტულ გზებს.

გოლდნერი და ბრენტ რიტჩი, (Charles R. Goeldner, J. R. Brent Ritchie) ტურიზმის პოლიტიკის ფორმულირების პროცესში გამოყოფენ შემდეგ ფაზებს: 1. დეფინიციის; 2. ანალიტიკური; 3. საოპერაციო; 4. დანერგვის ფაზა. დეფინიციის ფაზა საწყისი ეტაპია, რომლის ფარგლებში ხდება ტურისტული დანიშნულების ადგილის სისტემის განსაზღვრა, ფილოსოფიის, ხედვების, მიზნების ჩამოყალიბება და შემზღუდავი ფაქტორების გაანალიზება. ანალიტიკური ფაზის მიზანია ხედვებიდან და მიზნებიდან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და შეფასება. იგი შედგება მიწოდებაზე ორიენტირებული მუხლებისაგან: შიდა ანალიზი, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს არსებული პოლიტიკის და პროგრამების მიმოხილვა, რესურსების შეფასება და აუდიტი, სტრატეგიული გავლენის ანალიზი და მოთხოვნაზე ორიენტირებული მუხლებისგან, სადაც გამოიყოფა მიმდინარე და საბოლოო მოთხოვნის ანალიზი, როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეზე [4, გვ.339].

ანალიტიკური სამუშაოების შემდეგ, ოპერაციულ ფაზაში უნდა მოხდეს ანალიზის საფუძველზე უკვე მიღებული სტრატეგიული მიზნების იდენტიფიკაცია, მათი გამოყენება როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების კუთხით. ამავე ეტაპზე ხორციელდება პოლიტიკასთან, პროგრამებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება. ასევე, საპასუხისმგებლო და გადამწყვეტი ეტაპია იმპლემენტაციის ფაზა, რომლის ფარგლებში ხდება, ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისათვის სტრატეგიების პრაქტიკაში დანერგვა. წარმატების მისაღწევად საჭიროა უფლებების და პასუხისმგებლობების დელეგირება, რაც გაამარტივებს მმართველობითი კუთხით პროცესებს [6, გვ.14]. იმავე ეტაპზე უნდა განხორციელდეს კონკრეტული პროგრამების მხარდასაჭერად ფინანსური რესურსების მოძიება. წარმატება, ასევე დამოკიდებულია ადაპტირებული კონტროლის მექანიზმების შემუშავებაზე, რაც გულისხმობს შესაბამისი ინსტრუმენტების და მეთოდების დანერგვის აუცილებლობას, რომელიც საშუალებას მოგვცემს დროის კონკრეტულ ეტაპზე მოვახდინოთ პროცესების მონიტორინგი და კონტროლი [4, გვ.340-342].

მთლიანობაში, სტრატეგიული დაგეგმვის და განვითარების პროცესის ამოცანა კონკურენტული ტურისტული დანიშნულების ადგილის ფორმირებაა, რომელ სივრცეშიც თითოეულმა მონაწილემ უნდა მიიღოს გარკვეული სარგებელი. სტრატეგიული განვითარების პროცესი თვისებრივად ორიენტირებულია ცვლილებების განხორციელებაზე, ტრანსფორმაციაზე. რაც მოიცავს ტურისტული დანიშნულების ადგილის არსებულიდან სასურველ მდგომარეობაში გადაყვანის პროცესს [12, გვ.519]. სტრატეგიული დაგეგმვის თვისებრივი და ორგანიზაციული ხასიათიდან გამომდინარე აუცილებელია კომბინირებული მიდგომების გამოყენება. რასაც განაპირობებს სისტემის დინამიკური ხასიათი. თუ ჩვენ განვიხილავთ სტატიკურ ტურისტულ დანიშნულების ადგილს, მაშინ არ არსებობს ობიექტური აუცილებლობა გავაანალიზოთ გრძელვადიანი განვითრების შესაძლო სცენარები. რადგან სტატიკურ სისტემაში ადვილად პროგნოზირებადი გამოა, შესაბამისად ამ სისტემაში ცვლილებების განხორციელება ნაკლებად აქტუალურია. აღნიშნული მაგალითისგან განსხვავებით, ჩვენი კვლევის ობიექტი დინამიკური სისტემაა, რომელშიც ინსტიტუციებს, სუბიექტებს, ირიბად ჩართულ აქტორებს მოქმედებებისკენ სხვადასხვა ფაქტორები უბიძგებს. როგორიცაა, ბაზარზე ახალი საქონელი და მომსახურება, მოთხოვნის ცვლილება, ტექნოლოგიური ცვლილებები, საკანონმდებლო რეგულაციები და ა.შ. [16, გვ.151-152]. ტურისტული დანიშნულების ადგილის წარმატებული პოზიციების დაკავება დაკავშირებულია მათ უნარზე, რამდენად შეუძლიათ ოპერირება სწრაფად ცვალებად გარემო პირობებში. ამისათვის საჭიროა სტრატეგიების შემუშავება, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

სქემა. 1 ტურისტული დანიშნულების ადგილის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი



წყარო: Cathy A. Enz, Hospitality Strategic Management, Concepts and Cases p. 15

ტურისტული დანიშნულების ადგილის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს განსხვავებულ ოპერაციულ ფაზებს. თუმცა, საწყის ეტაპზე ტურისტული დანიშნულების ადგილის მახასიათებლების და ელემენტების მიხედვით საჭიროა გარკვეული ლოგიკური ჩარჩოს მომზადება, რომელიც დაგვეხმარება განვითარების სქემების და ოპერაციული საკითხების დაზუსტებაში **(იხ. სქემა 1).** საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია ტურისტული დანიშნულების ადგილის სისტემური შეფასება, რომელშიც იგულისხმება როგორც შიდა, ასევე, გარე ფაქტორები. ამ ნაწილში უნდა გამოვლინდეს ყველა ის ელემენტი და დეტერმინანტი, რომელიც გავლენას ახდენს ტურისტულ დანიშნულების ადგილზე. რაც შეეხება ხედვას, იგი წარმოადგენს კონკრეტულ ბაზისს, რომელსაც ეყრდნობა სხვა ელემენტები. უნდა აღინიშნოს, რომ ხედვებთან დაკავშირებული ელემენტები ცალკე კომპონენტებია. ტურისტული დანიშნულების ადგილის სპეციფიკიდან გამომდინარე იგი შეიძლება იყოს სხვადასხვა. ხედვების საფუძველზე ხდება განვითარების მიზნების ჩამოყალიბება, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს საოპერაციო ფაზას. მიზნების ეფექტიანად მიღწევისათვის შეგვიძლია შევიმუშავოთ დროის გეგმა-გრაფიკები, ასევე ინსტრუმენტები და მეთოდები, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავაკონტროლოთ და შევაფასოთ ოპერაციული ფაზები [4, გვ.337]. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ციკლის ყველა ეტაპზე აუცილებელია საზოგადოებრივი უკუკავშირების მიღება და სხვადასხვა სტეიქჰოლდერებთან ეფექტიანი კომუნიკაცია. რომელიც საშუალებას გვაძლევს სიღრმისეულად შევისწავლოთ ყველა პრობლემა და აქტიური ჩართულობით მოვახდინოთ მათი გადაჭრის გზების ძიება. რაც შეეხება პროექტებს და პროგრამებს, წინა ეტაპების გათვალისწინებით უნდა მოხდეს დაკონკრეტება თუ რა მიმართულებების განვითრება არის პერსპექტიული ტურისტული დანიშნულების ადგილის პოტენციალის გათვალისწინებით. ცხადია, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა კვლევითი სამუშაოების ჩატარება, რომელშიც უნდა ჩაერთოს სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტები [9, გვ.22]. ზემოთ მოცემული ჩარჩოს მიხედვით, ფინალურ ფაზაში უნდა მომზადდეს კონკრეტული პროექტები, რომელშიც დეტალურად უნდა გაიწეროს როგორც ფინანსური მაჩვენებლები, ასევე სავარაუდო შედეგები. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული სტრატეგიული განვითარების ჩარჩო ვერ იქნება უნივერსალური ყველა ტიპის ტურისტული დანიშნულების ადგილისათვის.

იმისათვის, რომ მივიღოთ უფრო ვრცელი სურათი სტრატეგიული განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების გათვალისწინება: 1. ტურისტული დანიშნულების ადგილის ღირებულებების ჯაჭვის გაანალიზება (Value Chain for a Destination); 2. უშუალოდ ტურიზმის ინდუსტრიის სიღრმისეული შესწავლა და იმ საკითხების იდენტიფიკაცია რომელიც გავლენას ახდენს მის განვითარებაზე. ტურისტულმა დანიშნულების ადგილმა მისი მახასიათებლების გათვალისწინებით უნდა შექმნას გარკვეული ღირებულებები. აღნიშნული ღირებულებები იქმნება ერთი მხრივ, ტურისტული დანიშნულების ადგილის უნიკალური მახასიათებლების მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, ტურისტების სამოგზაურო გამოცდილებით. ღირებულებათა ჯაჭვი მოიცავს: ***1. მოგზაურობამდე აქტივობებს (ინფორმაცია, დაჯავშნა, გამგზავრება); 2. მოგზაურობის პროცესში აქტივობებს (კვება, განთავსება, ტრანსპორტირება, გართობა, სუვენირების შეძენა).*** ამ პროცესის ფინალური ეტაპი გამგზავრებაა, რომელიც უკვე დაკავშირებულია გარკვეულ გამოც-

დილებებთან [8, გვ.185]. აქედან გამომდინარე, მოგზაურობის შემდეგ არსებული მდგომარეობის შეფასება არის ძალიან მნიშვნელოვანი. ღირებულებათა ჯაჭვის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი აკისრიათ როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორის ორგანიზაციებს. ამიტომ, ანალიზის პროცესში უნდა გავითვალისწინოთ ტურისტულ დანიშნულების ადგილზე მოქმედი აქტორების ქცევა და უნდა მოვახდინოთ არსებული სერვისების, ინფრასტრუქტურის მდგომარეობის ობიექტურად შეფასება. რაც მნიშვნელოვანი დეტერმინანტია ტურისტული დანიშნულების ადგილის კონკურენტუნარიანობის შეფასების თვალსაზრისით [11, გვ. 18].

სისტემური ანალიზისათვის აუცილებელია უშუალოდ ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ტენდენციების გაგება. ბუნებრივია, ტურისტული დანიშნულების ადგილი ტურიზმის ინდუსტრიის გარეშე არ არსებობს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოვახდინოთ იმ ძალების იდენტიფიკაცია, რაც საბოლოო ანგარიშით, განაპირობებს ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობას. ტურიზმის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა გავლენას ახდენს ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების ინდიკატორებზე (შემოსავლები, გადასახადები, სამუშაო ადგილოები და ა.შ) ამ თვალსაზრისით საინტერესოა მაიკლ პორტერის მიერ (Michael E. Porter) ჩამოყალიბებული შეხედულებები რომელიც დაკავშირებულია ინდუსტრიის სტრუქტურულ ანალიზთან, ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობებთან და პროგნოზებთან კონკურენტული სტრატეგიების შემუშავების თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ტურიზმის ინდუსტრიის და ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების კონტექსტში წარმატებით არის ადაპტირებული პორტერისეული მოსაზრებები და მოდელები. პორტერი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი ინდუსტრია ფუნქციონირებას იწყებს საწყისი სტრუქტურით **(Initial Structure),** იგი წარმოადგენს ინდუსტრიის ტექნიკური და ეკონომიკური მახასიათებლების შედეგს. ევოლუციის პროცესის მიზანია გამოკვეთოს ინდუსტრიის პოტენციური სტრუქტურა **(Potential Structure)**. თანამედროვე ტექნოლოგიების, მომხმარებლების ქცევის, პროდუქტის მახასიათებლების, ინოვაციების, მარკეტინგული ღონისძიებების გავლენით ინდუსტრიამ შესაძლებელია მიიღოს სხვადასხვა სტრუქტურული სახე. ტურიზმის ინდუსტრიის სტრუქტურაზე რამოდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელიც საინტერესოა ტურისტული დანიშნულების ადგილის კონტექსტში. ეს ფაქტორებია: გრძელვადიან დინამიკაში ზრდა, მომხმარებელთა სეგმენტის ცვლილება, მომხმარებლების ცოდნა, გამოცდილების დაგროვება, მასშტაბის ზრდა, ცვლილება ხარჯებში და ვალუტის კურსში, ინოვაციები პროდუქტსა და მარკეტინგში, ცვლილებები მომიჯნავე ინდუსტრიებში [14, გვ.164].

გრძელვადიან დინამიკაში ინდუსტრიის ზრდაზე გავლენას ახდენს **დემოგრაფიული ფაქტორები.** აღნიშნულ ფაქტორებში გამოიყოფა შემდეგი მახასიათებლები: ასაკი, სქესი, შემოსავლები, განათლება, ოჯახის სიდიდე, რელიგია და სხვა. ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრია თითოეული ფაქტორისადმი მაღალი სენსიტიურობით გამოირჩევა. ინდუსტრიული პროდუქტების მოთხოვნაზე, ასევე გავლენას ახდენს ცხოვრების შეცვლილი სტილი, გემოვნება, ფასეულობები. ინფორმაციული საზოგადოების პირობებში აღნიშნული ტენდენცია ნამდვილად შეინიშნება, მათ შორის ტურიზმის ინდუსტრიაში. დღეს ტურისტს უფრო მეტად აინტერესებს ავთენტურის ძიება, ბუნებისადმი მეტი პასუხისმგებლობით მიდგომა, კულტურული ფასეულობები, რაც შექმნა კონკრეტულმა საზოგადოებამ არსებობის მანძილზე [13, გვ.80-88]. ჯანსაღი ცხოვრების სტილი, ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტენდენციას, რაც პირდაპირ ან ირიბად აისახება თავისუფალი დროის გატარების, არდადეგების სტილისტურ მახასიათებლებზე [17, გვ.58-69].

ასევე უნდა გამოიყოს **მომხმარებელთა სეგმენტის ცვლილება.** საზოგადოება ვითარდება, მომხმარებლებს ეცვლებათ მოთხოვნები, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით. ეს ცვლილება გრძლევადიან დინამიკაში აუცილებლად მოახდენს გავლენას ტურისტული დანიშნულების ადგილის სტრუქტურაზე. ვინაიდან, ინდუსტრია ორიენტირებულია მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ცალკე უნდა გამოვყოთ, მომხმარებლების ცოდნის დონე კონკრეტულ პროდუქტებთან მიმართებით. მომხმარებელი, ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად, სწავლობს საქონლისა და მომსახურების მახასიათებლებს, რაც განაპირობებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ მაღალ კვალიფიციურობას [10, გვ.221-230]. **გამოცდილების დაგროვება** – ინდუსტრიის წარმატებაზე, ასევე პოზიტიურად მოქმედებს გამოცდილების დაგროვება. ამ კუთხით უნდა გამოვყოთ, სადისტრიბუციო არხების გაფართოება, მარკეტინგული ღონისძიებები, საქონლისა და მომსახურების წარმოება, რომლის საშუალებითაც ხდება, როგორც ტრადიციული მოთამაშეების, ასევე ინდუსტრიის წარმოების მასშტაბების გაფართოება. რაც გარკვეულწილად უბიძგებს მწარმოებლებს, ერთი მხრივ, აწარმოონ უფრო მეტი, ხოლო, მეორე მხრივ, მომხმარებლებს მოიხმარონ უფრო მეტი საქონელი და მომსახურება. **წარმოების მასშტაბის ზრდა ან შემცირება** – ზრდადი ინდუსტრიის პირობებში, დინამიკაში შესაძლებელია გაფართოვდეს მისი მთლიანი მასშტაბი. პორტერი აღნიშნავს, რომ აბსოლუტური ზრდა განპირობებულია წამყვანი ეკონომიკური სუბიექტების აქტივობით და ბაზრის წილის გაფართოებით. ინდუსტრიის და ფირმების მასშტაბის გაფართოება, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ინდუსტრიის მთლიან

სტრუქტურაზე. **ინოვაციები პროდუქტსა და მარკეტინგში** – ინოვაციები პროდუქტში ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომელიც განაპირობებს ინდუსტრიის, ფირმის წარმატებას. განსაკუთრებით, უნდა გამოვყოთ, ტექნოლოგიური ინოვაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ, როგორც წარმოების მასშტაბზე, ასევე პროდუქციის ხარისხზე და გაყიდვებზე. პორტერის აზრით ინოვაციები შესაძლოა მოდიოდეს როგორც ინდუსტრიის შიგნიდან, ასევე გარედანაც.

რაც უფრო მჭიდროა ინდუსტრიებს შორის თანამშრომლობა, მით უფრო მეტად, მაღალი სენსიტიურობით მოახდენს ნებისმიერი სტრუქტურული ცვლილება მათზე გავლენას. აღსანიშნავია, რომ ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრია დაკავშირებულია **მრავალ მომიჯნავე სექტორთან,** როგორიცაა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, განათლება და სხვა. ინდუსტრიებში სტრუქტურულმა ცვლილებებმა შესაძლოა სტიმული მისცეს სხვა ეკონომიკურ აქტივობებს და სექტორებს [14, გვ.180].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ტურისტული დანიშნულების ადგილის სისტემური ანალიზი საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ სტრატეგიული განვითარების ხედვები და მიდგომები. სისტემის დინამიკურობა განაპირობებს ცვლილებების განხორციელების აუცილებლობას. შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა აქტორის ჩართულობა და უკუკავშირების მიღება. ეფექტიანი შედეგებისათვის საჭიროა პოლიტიკის შემუშავება, რომლის ფარგლებში უნდა მოხდეს კონცეპტულაური ჩარჩოს ჩამოყალიბება. რომელიც უნდა გახდეს ერთგვარი ვექტორი ცვლილებების განხორციელების თვალსაზრისით. ბუნებრივია, თანამდეროვე ტურისტული დანიშნულების ადგილები დინამიკური სისტემებია, მათი ტრანსფორმაცია გარკვეულწილად დაკავშირებულია უწყვეტობასთან. ამიტომ, როგორც ტურიზმის ინდუსტრიის, ასევე ტურისტული დანიშნულების ადგილის სტრატეგიული განვითარებისათვის აუცილებელია სისტემური, ტრანსფორმაციაზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება.

ლიტერატურა:

1. Canthy A. Enz, Hospitality Strategic Management, Concepts and Cases, John Wiley&Sons, 2010, p.15
2. Dwyer Larry, Kim Chalwon, Destination Competitiveness: Determinants and Indicators, University of Western Sydney Australia 2010, pp.369-408
3. Edgell David, Swanson Jason R, Tourism Policy and Planning, Yesterday, Today and Tomorrow, 2nd edition, Routledge 2013, p.11
4. Goeldner Charles R, J.R Ritchie Brent, Tourism, Principles, Practices, Philosophies, John Wiley Inc, 2012, pp.335-350.
5. Khokhobaia Merab, Tourism Policy Challenges in Post-Soviet Georgia, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering Vol:9, No. 3, 2015, pp.986-989.
6. Khokhobaia Merab, From Rational Policy of Tourism Development to the Effective Policy (The Case of Georgia), California Business Review, Vol.4, 2016, pp.11-16.
7. Khokhobaia Merab, Regional Policy of Tourism Development in Georgia, International Scientific Conference, Globalization Challenges in Economics and Business, Proceedings, Tbilisi, Georgia, 2018, pp.644-649.
8. Khokhobaia Merab, The role of small and medium size enterprises in regional tourism development: the case of Georgia, Conference Proceedings, Austria, 2019, pp.178-188
9. Khokhobaia Merab, Transdisciplinary Research for Sustainable Tourism Development, Journal of International Management Studies, JIMS, Volume 18, Number 2, 2018, pp.21-26.
10. Kotler Philip, Armstrong Gary, Marketing an Introduction, Pearson Education LTD, 2005, p.221-230
11. Manual on Tourism and Poverty Alleviation – Practical Steps for Destinations, Published by the World Tourism Organization and the Netherlands Development Organization, 2010, pp.1-25
12. Merab Khokhobaia, Transdisciplinary Research Methodology for the Tourist Destination Development, International Scientific Conference, Globalization Challenges in Economics and Business, 2018, p.519
13. Midlton Victor, Ryall Alan, M. Morgan, Marketing in Travel and Tourism, Fourth Edition, Elsevier, 2009, pp.80-88.
14. Porter Michael E, Competitive Strategy, Techniques for Analyzing Industries and Competitors, New York 1980, pp.164-230
15. Ritchie Brent J.R, Crouch Geoffrey I, The Competitive Destination, A Sustainable Tourism Perspective, pp.153-156
16. Robbins Stephen and Coulter Mary, Management (11th Edition), Prentice Hall, Pearson, 2012, pp.151-152
17. Vanhove Norbert, The Economics of Tourism Destinations, Elsevier, 2005, p.108

SYSTEMATIC ASPECTS OF STRATEGIC PLANNING OF TOURIST DESTINATION

Khokhobaia Merab,
Doctor of Economics, Assistant Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

Development of a tourist destination is directly linked to the exploration of theoretical and empirical findings. There is emerging literature on destination development which focus on the strategic planning, sustainable development, marketing, considering the wide range of spectrums which determines competitiveness of the tourist destinations. The complexity of the tourism system and conceptual understanding of policy planning and development processes will be discussed in this paper. Current trends in the tourism industry make it relevant to analyze in depth the ability of a tourist destination to adapt to changing conditions. In fact, changes have become a natural phenomenon, which is closely related to continuity. Correspondingly, in this respect assessment of the tourism industry and tourism destination as a system is particularly important. The article examines the conceptual aspects of tourism destination development and provides a systematic review of studding dynamic system, which allows us to analyze in depth the determinants responsible for the destination competitiveness.

Key words: *Tourism destination, strategic planning, system dynamics, change management, competitiveness*

ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის გლობალური ტენდენციები

ჯავახაძე დიმიტრი
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებასა და IT ტექნოლოგიებში მიმდინარე ინოვაციები გავლენას ახდენს მოქალაქეების ქცევასა და მათ სასურველ ინფორმაციულ მოთხოვნებზე, რაც ფუნდამენტურად იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ მუშაობს ხალხი და კომუნიკაცია. ინ-ფორმაციული ტექნოლოგიები გამოწვევაა სოციალურ და კულტურულ, ასევე კომერციულ და ადმინისტრაციულ სტრუქტურებში, განსაკუთრებით საგანთა ინტერნეტი, რომელიც საშუალე-ბას იძლევა სხვადასხვა სახის ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა, ურთიერთქმედების შესაძ-ლებლობებისა, ასევე ხელს უწყობს ცოდნის შექმნასა და გაზიარებას, ციფრული მიმართულე-ბით ტრანსფორმაციის გაძლიერებას. ციფრული რევოლუცია ეპოქალური რეალობაა, სადაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციული მონაცემები, შესაძლებელია ნებისმიერ დროს მოთხოვნილი, გადამუშავებული, უდანაკარგოდ მიწოდებული, სხვადასხვა ზომითა და ფორმით შენახული იქნეს. ციფრული ტრანსფორმაცია, ინტერნეტქსელი და გლობალიზაცია მსოფლიოს მასშტაბით ინდივიდუალურად აკავშირებს ორგანიზაციებს და ამცირებს გეოგრა-ფიული საზღვრების მნიშვნელობას.

საკვანძო სიტყვები: *ინფორმაციული საზოგადოება, ციფრული ბიზნესი, ციფრული ტრან-სფორმაცია.*

ციფრული რევოლუციის გლობალურ პირობებში მნიშვნელოვნადაა შეცვლილი საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო სურათი, გლობალიზაცია ესაა განუწყვეტლივ მიმდინარე,ბაზრების, სუვერენული სახელმწიფოებისა და ტექნოლოგიების ინვესტიციების მყარი პროცესი.[1.გვ 18] ბიზნესის სამყაროში ციფრული ტრანსფორმაცია დიდი ხანია უკვე აქტუალური თემა გახდა, საინტერესოა რა იგულისხმება ამის მიღმა და რამდენად მასშტაბურია ის სივრცე საითაც ზოგადად სამყარო მიექანება, რამდენად შეიძლება და გარდაუვალია ბიზნესის და მთლიანად ბიზნესპროცესების ციფრულ ფორმატში გადაყ-ვანა, გამომდინარე აქედან ბუნებრივად იბადება შემდეგი კითხვები: რას ნიშნავს ციფრული ტრან-სფორმაცია, რატომ არის ციფრული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვანი, როგორ გამოიყურება ციფრუ-ლი ტრანსფორმაციის ჩარჩო, რა როლს თამაშობს კულტურა ციფრულ ტრანსფორმაციაში, რა რე-სურსების ხარჯზე ხორციელდება ციფრულ ტრანსფორმაცია და სხვა.

ციფრული ტრანსფორმაცია აუცილებელად შეეხება ყველა ტიპის ბიზნესს, იქნება ეს მცირე თუ დიდი საწარმო. ეს გზავნილი მკვეთრი და ნათელია, რადგან ბუნებრივად იბადება კითხვა თუ როგორ შეიძლება შეინარჩუნოს ბიზნესმა კონკურენტუნარიანობა და აქტუალურობა, მაშინ როცა მსოფლიო სულ უფრო ციფრული ხდება. ზოგიერთ ბიზნესადმინისტრატორს არ ესმის რას ნიშნავს ციფრული ტრანსფორმაცია. არის ეს უბრალოდ რომ ითქვას ციფრულ ღრუბელში გადასვლა, ან რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაა საჭირო ციფრული ტრანსფორმაციისთვის ჩარჩო რომ ჩამოყალიბდეს, თუ საკონსულტაციო სერვისის შესყიდვა, ბიზ-ნესის სტრატეგიის რომელი ნაწილები უნდა შეიცვალოს, ნამდვილად ღირს ამის გაკეთება? მსგავ-სი კითხვები დგას დღის წესრიგში, რაც მენეჯერებში გარკვეულ შიშს ბადებს, თუმცა ძველი სა-მოქმედო მოდელების გადასახედად, მეტი ექსპერიმენტებისთვის, უფრო სწრაფი რომ გახდე, მომ-ხმარებლებსა და კონკურენტებთან უკეთესი რეაგირებისთვის სხვა გზა უბრალოდ არ რჩება. ასევე აღსანიშნავია, რომ დღევანდელი ორგანიზაციები სხვადასხვა ადგილას ციფრული ტრანსფორმა-ციის გზას ადგანან. ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მთავარი კითხვაა, თუ როგორ უნდა შესრულდეს ტრანსფორმაციის საწყისი ხედვა. ასევე CIO-ები ფიქრობენ არ ჩამორჩნენ კონკურენ-ტი ბიზნესის კოლეგებს, მაშინაც კი, როცა ორგანიზაციები მეტნაკლებად კარგად მიდიან ციფრუ-ლი ტრანსფორმაციის გზაზე, მათაც ხვდებათ დაბრკოლებები, როგორიცაა ბიუჯეტირება, ტალან-ტების ჭიდილი, კულტურული ცვლილება და სხვა.

იმის გამო, რომ ციფრული ტრანსფორმაცია სხვადასხვა კომპანიისთვის განსხვავებულია, ძნელია ისეთი განმარტების პოვნა, რომელიც ყველას მოერგება. თუმცა, ზოგადად, ციფრულ ტრანსფორმაციაში იგულისხმება ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია ბიზნესის ყველა სფე-როსა და სეგმენტში, რის შედეგადაც ხდება ფუნდამენტური ცვლილებები, ბიზნესის ფუნქციონი-რებასა და მომხმარებელთა ჯაჭვში. გარდა ამისა, ეს კულტურული გარდაქმნაა რადგან ორგანი-ზაციები პერმანენტულად აყენებენ სტატუს-ქვოს კითხვის ნიშნის ქვეშ, ხშირად მიმართავენ რა ექსპერიმენტებს სადაც გარკვეული მარცხი გამორიცხული არაა.

ციფრული ტრანსფორმაციის სხვადასხვა განმარტებების გაცნობის შედეგად შესამჩნევი ხდე-

ბა გარკვეული დაბნეულობა თემის გარშემო. მაგალითად, ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ "ციფრული ტრანსფორმაცია ავსებს ყველა ხვრელს, რომელიც არსებობს ციფრულ მომხმარებლებსა და პროდუქტების რეალურად ციფრულად მიმწოდებელ კომპანიებს შორის“. "ციფრული ტრანსფორმაცია მოიცავს ცვლილებებს ლიდერობის, განსხვავებული აზროვნების, ინოვაციისა და ახალი ბიზნეს მოდელების წახალისების კუთხით, ასევე აქტივების გაციფრებას და ტექნოლოგიების მზრად გამოყენებას, ორგანიზაციის თანამშრომლების, მომხმარებლების, მომწოდებლების, პარტნიორებისა და დაინტერესებულ პირთა გამოცდილების გასაუმჯობესებლად. " თუმცა თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ციფრული ტრანსფორმაცია არის საზოგადოების ყველა სფეროში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული ცვლილებები", რომელიც სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.[5] მაგალითად ბიზნესს შეუძლია ციფრულ ტრანსფორმაციაზე რამდენიმე მიზეზის გამო გადავიდეს, თუმცა მთავარი საფუძველი იქნება ის რომ ეს უამრავ პრობლემას მოუგვარებს. ასევე საგულისხმოა ისიც რომ ბიზნესი თავის ინიციატივით არ წამოიწყებს ციფრულ ტრანსფორმაციას, რადგან ეს გარკვეულ წილად სარისკოა და საკმაო ხარჯებს უკავშირდება, თუ ის გარკვეული განვითარების პერსპექტივას არ დაინახავს პროცესიდან. ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მაგალითად აშშ-ის საწარმოთა ფონდის სტატისტიკური ინდექსებით კომპანიები 1958 წლიდან 2011 წლამდე პრაქტიკულად იგივე პოზიციებს ინარჩუნებდნენ, 2011 წლის შემდეგ კი ეს ინდექსები ყოველ 2 კვირაში იცვლება, ეს ცვლილებები ციფრულმა ტექნოლოგიებმა განაპირობა და კომპანიებმა, რომლებსაც სურთ წარმატებულები დარჩნენ უნდა გაიგონ თუ როგორ შეუსაბამონ ერთმანეთს ტექნოლოგია და ბიზნესსტრატეგია. თუ გადავხედავთ 2016-2019 წლის მსოფლიოსა და საქართველოს ციფრული ლანდშაფტის სტატისტიკას დავინახავთ, რომ დინამიურად იზრდება ციფრული გარემო[2][4].





წყარო: [6][7] მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილი გრაფიკები

ეს ტექნოლოგიური მესიჯი ბიზნესადმინისტრატორების გარკვეულმა ნაწილმა რეალურად გაიაზრა და შესაბამისად პრიორიტეტად დაისახა შემდგომი ტრანსფორმაცია. IDC პროგნოზირებს, რომ მსოფლიოს მასშტაბით ტექნოლოგიებსა და ელექტრონულ სერვისებში, რომელიც ციფრული ტრანსფორმაციას განაპირობებს 2022 წლისთვის$ 1.97 ტრილიონს მიაღწევს, ასევე ციფრული ტრანსფორმაციის ხარჯები სტაბილურად გაიზრდება და 2017 - 2022 წლებში ხუთწლიანი ზრდის წლიური მაჩვენებელი 16.7 პროცენტს შეადგენს. ამასთან IDC პროგნოზირებს, რომ 2020 წლისთვის, G2000-კომპანიების 30%-ი გამოყოფს 10%-ს საკუთარი ბიუჯეტიდან ციფრული სტრატეგიების დასაფინანსებლად. კაპიტალის დაფინანსების ეს ცვლილება მნიშვნელოვანია, რადგან ბიზნესადმინისტრატორები ციფრულ ტრანსფორმაციას აღიარებენ, როგორც გრძელვადიან ინვესტიციას." 2018 წლის შემდეგ დეტალური ანალიტიკა არის ნომერ პირველი ციფრული ინვესტიცია ეს მოიცავს კონკრეტულ აქცენტს მონაცემების ვიზუალიზაციასა და მანქანათმცოდნეობაზე. რა თქმა უნდა, კომპანიები სხვადასხვა დონეზე არიან ციფრულ ტრანსფორმაციის კუთხით, თუმცა სისწრაფე გახდა ყველა ბიზნესისთვის აუცილებელი. შესაბამისად IT დეველოპერები გარკვეულ ზეწოლას განიცდიან, რომ აჩვენონ ციფრული ინიციატივების მოქნილობა და სისწრაფე მთლიანად კომპანიისთვის[4].

მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ტრანსფორმაცია ფართოდ არის დამოკიდებული ორგანიზაციის კონკრეტული გამოწვევებსა და მოთხოვნებზე, არსებობს გარკვეული ჩარჩოები, რაც ყველა ბიზნეს და ტექნოლოგიურ მენეჯერმა უნდა განიხილოს, როცა ისინი ციფრულ ტრანსფორმაციას წამოიწყებენ. მაგალითად: ციფრული ტრანსფორმაციის ელემენტებად ხშირად მოიხსენიება: კლიენტის გამოცდილება, ოპერატიული სისწრაფე, კულტურა და ლიდერობა, სამუშაო ძალის გააქტიურება, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია და სხვა. ბოლო წლებში IT-ის როლი ფუნდამენტურად შეიცვალა. CEO -ები სულ უფრო ცდილობენ რომ CIO- ებმა წვლილი შეიტანონ ორგანიზაციისთვის შემოსავლების ზრდაში. 2018 წლის Harvey Nash/KPMG-ს ს კვლევის თანახმად, 4,600 CIO-ს მთავარი პრიორიტეტი "ბიზნესის პროცესის გაუმჯობესებაა". მაგრამ CIO-თა შორის "ციფრული ლიდერების" - კომპანიები, რომლებიც იდენტიფიცირებულნი არიან ყველაზე მსხვილ შემსრულებლებად - ყველაზე მთავარი პრიორიტეტია " ახალი ინოვაციური პროდუქტების შემუშავებაა." ნაცვლად ხარჯების დაზოგვაზე ფოკუსირებისა, IT გახდა ბიზნესის ინოვაციების პირველადი მამოძრავებელი. შესაბამისად აუცილებელია კომპანიაში მათი ყოველდღიური გამოცდილებიდან IT-ის როლისა და გავლენის დასადგენად [3][4].

მიუხედავად იმისა, რომ IT მნიშვნელოვან როლს ასრულებს ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგიის მართვაში, მისი განხორციელება და ადაპტირება მასობრივ ცვლილებებს იწვევს, შესაბამისად ციფრული ტრანსფორმაცია სახალხო საკითხია, რომელიც გარკვეულ მამოძრავებელ ძალას მოითხოვს და ეს უდავოდაა ტექნოლოგია. ხშირად ეს ნიშნავს მოძველებული აზროვნებისა და ტექნოლოგიების ჩანაცვლებას ახლით. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესს სურს ციფრული ცვლილების სწრაფი ტემპით განვითარება, მათ უნდა იმუშაონ ყველა სეგმენტში სადაც კი შესაძლებელია, რათა შესაძლებელი გახდეს ტექნოლოგიების ეფექტიანობის გაზრდა და ეს ბიზნესმა აქტიური და მტკიცე პრინციპად უნდა აქციოს. კომპანიები მსოფლიოს მასშტაბით იწყებენ ბიზნესის ციფრულ ტრანსფორმაციას, რადგან ეს გამოწვეულია ბიზნესის პროცესების გასაუმჯობესებლად და ახალი შესაძლებლობების და ბიზნეს მოდელების შემუშავებისთვის. გაციფრებამ შეიძლება გააფართოვოს ორგანიზაციების მიდგომა, გაუმჯობესოს მართვის გადაწყვეტილებები და დააჩქაროს ახალი პროდუქტებისა და მომსახურების განვითარება.

ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის ტენდენციებიდან რამდენიმე უნდა გამოიყოს, ესენია: **სწრაფი ადაპტაციის უნარი** რაც იმაზე მიუთითებს, რომ თანამედროვე კომპანიები წარმატებას მიაღწევენ, მაშინ როცა ინდუსტრიულ და ბაზრის ცვლილებებზე ადაპტირებას შეძლებენ და ახალ ტექნოლოგიებს ჩართვენ კომპანიის კულტურასა და რეგულარულ ოპერაციებში. გარდა ამისა **სწრაფი ინოვაცია** ერთ-ერთი საუკეთესო გზაა კონკურენტუნარიანი სამყაროს განვითარებაში, რაც უფრო სწრაფად მოხდება იდეების იმპლემენტაცია, მით უფრო გაიზრდება შანსები ბაზრისა და შიდა ბიზნესმოდელების შეცვლისა და მართვისა. აუცილებელია გაიზარდოს **დისტანციური სამუშაო ძალის** შესაძლებლობები და მიეცეთ ნიჭიერ ახალგაზრდებს სახლიდან გაუსვლერლად ან საზღვარგარეთიდან მუშაობის შესაძლებლობა. ასევე მნიშვნელოვანია **მონაცემთა ბაზის** დამუშავებისა და ანალიზის შესაძლებლობა, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით არსებობს და ღირებულ ინფორმაციას წარმოადგენს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში. ბუნებრივია, ტენდენციებში უნდა ვახსენოთ **დამატებითი(AR), ვირტუალური (VR) და შერეული(MR) რეალობები/აპლიკაციები**, როგორც უმნიშვნელოვანესი ციფრული ელემენტები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა ცოცხალი ხედვისა სმარტფონის კამერების დახმარებით და ასევე ფიზიკური პირების ტრანსფორმაციისა ვირტუალურად რეალურ სამყაროში და სხვა, ეს აპლიკაციები კარგი გამოსაფხიზლებელი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბიზნესისთვის და იქცეს შესაძლებლობად

მომავალი წარმატებისთვის. ასევე **ხელოვნური ინტელექტი(AI)** როცა მანქანები ეტაპობრივად ჩაანაცვლებენ ადამიანებს მცირე პრობლემების მოგვარებაში და მათთან თანამშრომლობით შეძლებენ უფრო კომპლექსური პრობლემების მოგვარებას. ასევე **საგანთა ინტერნეტი (IOT),** რომელიც პირდაპირ მიგვანიშნებს მომხმარებელთა აზროვნებაზე, რადგან ეჭვგარეშეა, რომ 2020 წლისთვის 50 მილიარდი IOT სენსორებით აღჭურვილი მომხმარებლები და 2030 წლისთვის 200 მილიარდი "საგანი"-ით IOT იქნება არა მარტო ტრანსფორმაციული, არამედ არსებული ბიზნეს მოდელების დამრღვევი. აქვე უნდა ვახსენოთ კომპანიებში ე.წ. silo მენტალიტეტი, რომელიც მართვის ჯგუფების მიერ ინფორმაციის, პრიორიტეტებისა და მიზნების გაუზიარებლობას გულისხმობს სხვა პირებისადმი, რომელიც უნდა მოიშალოს რადგან გარდა იმისა, რომ მოქმედებს დასაქმებულთა მორალზე ითანამშრომლოს კოლეგასთან, ასევე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ხშირ შემთხვევაში კომპანიებში აყავთ ის კადრები, იმ პოზიციებზე, რომლებიც მომავალში საჭირო აღარ იქნება, შესაბამისად ბიზნესმა რომელიც ციფრული ტრანსფორმაციის გარდაუვალ გზაზე მოძრაობს კარგად უნდა გაიაზროს რა პროფილის კადრები იქნება საჭირო გრძელვადიან პერსპექტივაში[4].

ბიზნესციფრული ტრანსფორმაციის სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემი მეტყველებს იმაზე, რომ კომპანიები და მათი ბიზნესადმინისტრატორები საერთაშორისო დონეზე გარკვეული მზარდი დაინტერესებითა და აქტიურობით გამოირჩევიან ამ მიმართულებით, მაგალითად: კომპანიების 87% ამბობს, რომ ციფრული ტრანსფორმაცია კონკურენტული საშუალებაა. 88% აცხადებს, რომ ისინი ციფრულ ტრანსფორმაციას განაგრძობენ, 96% ხედავს ციფრულ ტრანსფორმაციის კრიტიკულ და მნიშვნელოვან როლს. კომპანიებში გადაწყვეტილების მიმღები პირების 85% მიიჩნევს, რომ მათ აქვთ ორი წლიანი ვადა, რათა ციფრულ ტრანსფორმაციის განხორციელებისთვის კონკურენტების უკან რომ არ აღმოჩდნენ[4][8].

მხოლოდ 50% ადმინისტრატორებისა ფიქრობს, რომ მათ ორგანიზაციას აქვს მკაფიო და თანმიმდევრული ციფრული სტრატეგია. ციფრულ ტრანსფორმაციის ინიციატივები ამჟამად სხვადასხვა ინდივიდუალური ხელმძღვანელებზე მოდის: CMOS - 34%, CEOs - 27%, CIOs ან CTOs - 19%, CDOs - 15%, CXOs - 5%. 39% მიიჩნევს, რომ მათი ციფრული ტრანსფორმაციის მცდელობამ ხელი შეუწყო რეალურ დროში ტრანზაქციების უზრუნველსაყოფის გაადვილებას; 32% მიიჩნევს, რომ წარმატებით დაეხმარა ოპერაციების ეფექტურობის გაუმჯობესებაში; გამოკითხულთა 28% აცხადებს, რომ მათ ახალი მომხმარებლები შეიძინეს, 25% კი აცხადებს, რომ დაეხმარა პროგრესის დაჩქარებაში. 45%-ი ელოდება, რომ ციფრული ტრანსფორმაცია გაზრდის მათ შემოსავალებს, და 25%-ი მიიჩნევს, რომ შექმნის უკეთეს მომხმარებლის გამოცდილებას. 87% ბიზნესი ელოდება ციფრულ ტრანსფორმაციის დადებითად ასახვას კომპანიის თანამშრომლთა მუშაობის გამოცდილებაზე და პროდუქტიულობაზე. რაც შეეხება კომპანიებს, რომლებმაც უკვე გაიარეს ციფრული ტრანსფორმაცია, მიუთითებენ გარკვეულ ბენეფიტებზე: მათ შორის 41%-ით გაზრდილ საბაზრო წილზე, მომხმარებელთა ჩართულობის ზრდაზე ციფრულ არხებში - 37% მდე, მეტი ვებ და მობილური ჩართულობა - 32%-მდე, ხოლო მომხმარებელთა შემოსავლის ზრდა - 30% მდე. საგულისხმოა ასევე, რომ ციფრული ტრანსფორმაციის ბაზარი სავარაუდოდ 2020 წლისთვის 369.2 მლნ აშშ დოლარს მიაღწევს, სავარუდო წლიური ზრდის ტემპი 19.6% იქნება. თუმცა, მენეჯერების 44% ამბობს, რომ კონცეპტუალიზაციის უნარი და ახალი ციფრული ტექნოლოგიების გავლენა არის ყველაზე დიდი პრობლემა ტრანსფორმაციის პროცესში. კომპანიების 31% აცხადებს, რომ ისინი შემოსავლების 15% -ზე მეტს ტექნოლოგიურ ინვესტიციებში იყენებენ, რაც ბიზნესის ყველა სფეროს მოიცავს და არა მხოლოდ IT-ის და ტექნოლოგიებზე დანახარჯების 68%-ი IT- ის ფარგლებს გარეთ მოდის. უნდა აღინიშნოს, რომ გლობალურად გამოკითხულთა უმრავლესობა 5 ყველაზე დიდ ტექნოლოგიად მონაცემთა ბაზას და ანალიტიკას 58 %, პირადი ღრუბელს (cloud)-53% და საჯარო ღრუბელს 45 %, მობილური ტექნოლოგიებს 59% და აპლიკაციებს 40% ასახელებს[8][9].

ეს სტატისტიკური მონაცემები ბუნებრივად გვაჩვენებს იმას, თუ როგორ ვითარდება კომპანიები ციფრული მოდელის მიმართულებით, თუ როგორ განიხილავენ ისინი ტექნოლოგიურ სტრატეგიებს, იცვლიან ორგანიზაციულ სტრუქტურებსა და პროცესებს და ნერგავენ ინოვაციებს მომხმარებლებთან ურთიერთობის უნიკალური გამოცდილების შესაძენად. ამ ახალი ტენდენციებით, არსებობს უამრავი გზა ბიზნესისთვის მეტი მომხმარებლის მოსაზიდად და მათი დაკმაყოფილების მიზნით. ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში, ბიზნესმოდელები საკუთარ ქსელურ შესაძლებლობებს მუდმივად ავითარებენ, აქტიურად და მოქნილად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ხელს უწყობენ მომხმარებლებთან უწყვეტი ურთიერთობის მართვის განვითარებასა და მონათესავე პროდუქტებისა თუ სერვისების გამოყენებას.

ქართული სინამდვილისთვის აუცილებელია დაიხვეწოს და განახლდეს საგანმანათლებლო რესურსები IT -ის დანერგვისა და გამოყენებისთვის ბიზნესში, სასურველია მარკეტინგული კამპანიების ჩატარება ციფრული ინოვაციების შესახებ და არსებული ინდუსტრიებისთვის შესაბამისი ციფრული პლატფორმების შეთავაზება. ციფრული უნარებისა და ნიჭის, ციფრული სამეწარმეო

კულტურის მხარდაჭერა. ქართული ბიზნესს, რომელიც საერთაშორისო დონეზე საქმიანობს, ბუნებრივად უჩნდება მოთხოვნა ადეკვატური ტრანსფორმაციისა, როგორც ადამიანური კვალიფიკაციის კუთხით, ასევე ტექნიკური ინოვაციების დანერგვის მხრივ, რათა სწორად უპასუხოს იმ გამოწვევებს, რომელიც დღეს საერთაშორისო დონეზე ციფრული მიმართულებით მიმდინარეობს. აუწყო ფეხი, თანამედროვე ბიზნესის გამოწვევებს ადვილი არაა, რადგან გლობალიზაცია, ტექნოლოგიური რევოლუცია ყველა მიმართულებით და გაზრდილი მოთხოვნა ციფრულ საშუალებებზე, არც ქართული ბიზნესს დატოვებს გამოწვევების გარეშე, მაგრამ ამასთან ერთად, ფართოდ გაუხსნის გზას ახალი, მოქნილი შესაძლებლობებისაკენ, უფრო მარტივად გააუმჯობესოს, შექმნას და შეცვალოს მიდგომები არსებული ბიზნესის სასარგებლოდ.

ლიტერატურა

1. შენგელია თ. საერთაშორისო ბიზნესი, თბილისი, უნივერსალი 2011წელი. 524 გვ.
2. Why digital transformations fail: 3 exhausting reasons Peter Bendor-Samuel | August 27, 2019
3. Digital transformation strategy: 7 key pieces August 19, 2019 Carla Rudder
4. what-is-digital-transformation. Michael R. Wade . March 07, 2019 ონლაინ ჯურნალი "the enterprisers project" https://enterprisersproject.com/what-is-digital-transformation
5. What is Digital Transformation, Digitalization, and Digitization.Amancio Bouza, PhD *Mar 23, 2018* https://medium.com/api-product-management/what-is-digital-transformation-digitalization-and-digitization-c76277ffbdd6 ჯურნალი მედიუმი.
6. სიმონ კემპი. დიგიტალ-2016.2017.2018.2019. გლობალური მიმოხილვა,ინტერნეტ-ჟურნალი" we are social". 26 Mercer St, New York, NY 10013.https://wearesocial.com / we are social.
7. სტატისტიკების პორტალი statista.com. ელ-სერვისები მსოფლიოს მასშტაბით. გერმანია. 2016 წლის დეკემბერი. https://de.statista.com/outlook/261/100/eservices/weltweit#
8. Louis Columbus. ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის სტატისტიკა. Apr 22, 2018 ჯურნალი ფორბსი 2018. #566cfa1c5883.
9. Digital Transformation Statistics for 2019. ERIK QUALMAN FEBRUARY 5, 2019. *https://socialnomics.net/2019/02/05/digital-transformation-statistics-for-2019*

GLOBAL TRENDS IN THE DIGITAL TRANSFORMATION OF BUSINESS

Javakhadze Dimitri

Academic Doctor of Business Administration

Summary

Digital Business Transformation, its main purposes, to save time and financial resources, reduced administrative burden, to simplify communication with partners, to more efficiently manage self-assertion in the competitive world, without introducing of international standards digital technologies and electronic services nothing is happening. The growing demand for digital products and infrastructure, the adoption and adaptation of digital services, is a kind of epoch-making order for the parties involved in the business process, and requires from existing business models to meet the challenges of rapid and adequate digital transformation.

Key words: *digital business; Digital transformation;*

საოჯახო მეურნეობების ვალის მახასიათებლები ევროპის ქვეყნებში

ჯამაგიძე ლელა
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ-ის ასისტენტ პროფესორი

ნაშრომში წარმოდგენილია საოჯახო მეურნეობების ვალის ძირითადი ინდიკატორების შედარებითი ანალიზი ევროპის ქვეყნებში. გაანალიზებულია ვალის ეკონომიკური და ზოგიერთი სოციო-კულტურული და ქცევითი მახასიათებელი. მონაცემთა ძირითად წყაროდ გამოყენებულია ქონების კვლევის ლუქსემბურგის მონაცემთა ბაზა (Luxembourg Wealth Study dataset, LWS). ვალის მახასიათებლებში ქვეყნებს შორის გამოვლენილი მსგავსებისა და სხვადასხვაობის ასახსნელად დასახულია შემდგომი კვლევის რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *საოჯახო მეურნეობა, ვალი, კრედიტზე წვდომა, სავალო ტვირთი, ევროპის ქვეყნები*

შესავალი

საოჯახო მეურნეობების მზარდი ვალი უკანასკნელ წლებში ბევრ ქვეყანაში გახდა ყურადღების ობიექტი. სესხის აღების მიზანი ძირითადად მოხმარების შეფერხების თავიდან აცილება, უძრავი ქონების შეძენა ანდა სხვადასხვა ფინანსურ და არაფინანსურ აქტივში ინვესტიციის განხორციელებაა. ეკონომიკურ თეორიაში ვალზე მოთხოვნა ძირითადად სასიცოცხლო ციკლისა და მუდმივი შემოსავლის ჰიპოთეზებს უკავშირდება. მათ მიხედვით საოჯახო მეურნეობები ზოგავენ მაღალი შემოსავლის პირობებში და დანაზოგებს ან სესხს მიმართავენ, როცა შემოსავლის დონე ეცემა. ამავდროულად, მათ ქცევასა და გადაწყვეტილებებზე ინსტიტუციური ფაქტორები (მაგალითად საპენსიო დაზოგვის სისტემის არსებობა-არარსებობა), ასევე, ტრანსფერების მიღების შესაძლებლობა და სხვადასხვა აქტივის ფლობა ახდენს გავლენას. ამდენად, კრედიტზე მოთხოვნას განსაზღვრავს როგორც მოლოდინები მომავალში მისაღებ შემოსავლებთან დაკავშირებით, ასევე, უპირატესობის მინიჭება მიმდინარ ან მომავალი მოხმარების მიმართ და ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობის თავისებურებები.

ზოგადად, მოხმარებისა და ინვესტირების სტიმულირებით სესხი რესურსების უკეთ განაწილებას და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას უწყობს ხელს, მაგრამ, ჭარბი ვალის დაგროვება არღვევს ფინანსურ სტაბილურობას. საბალანსო ანგარიშებთან დაკავშირებული რეცესია შესაძლებელია მაკროეკონომიკურ და მსოფლიო ეკონომიკის პრობლემად გადაიქცეს, რაზეც მიანიშნებს რიჩარდ ქ. კოო (2011). ეს ნიშნავს, რომ სამომავლოდ დაბალი საპროცენტო განაკვეთების მიუხედავად, კერძო სექტორს ვალის მინიმიზაცია მოუწევს. სსფ-ს 2014 წლის „მსოფლიო ეკონომიკის მიმოხილვა“ რეცესიიდან გაჯანსაღების ეტაპზე გადასვლის გახანგრძლივებას სწორედ საოჯახო მეურნეობების დიდ სავალო ტვირთს უკავშირებს. სწორედ ამიტომ საოჯახო მეურნეობების ფინანსები, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის საკითხი, არა მხოლოდ მიკროდონეზე, არამედ მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივიდან საჭიროებს შესწავლას. შესაბამისად, საოჯახო მეურნეობების ფინანსური ქცევისა და მისი დეტერმინანტების სიღრმისეულ ანალიზს პოლიტიკის სწორი რეკომენდაციებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

საოჯახო მეურნეობების ფინანსების საერთაშორისო შედარების ჭრილით შესწავლის საჭიროება, გარდა მიკროფინანსურ საკითხებსა და გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებს შორის ურთიერთმიმართების კანონზომიერებების გამოვლენისა, შეიძლება დასაბუთდეს საოჯახო მეურნეობების აქტივებისა და ვალდებულებების, ვალის ტვირთის და სხვა ინდიკატორების შესახებ არსებული საერთაშორისო მონაცემების გაუმჯობესებით (Badarinza et al, 2016), ასევე, სხვადასხვა ქვეყანაში საოჯახო მეურნეობების ფინანსური ქცევის სხვადასხვაობის შესწავლისა და განსხვავებების გაზომვის საჭიროებით.

მონაცემები და მეთოდოლოგია

ნაშრომში წარმოდგენილია საოჯახო მეურნეობების ვალის ძირითადი ინდიკატორების შედარებითი ანალიზი ევროპის ქვეყნებში. გაანალიზებულია ვალის ეკონომიკური და ზოგიერთი სოციო-კულტურული და ქცევითი მახასიათებელი. საოჯახო მეურნეობების ვალის სოციო-ეკონომიკური დეტერმინატების შესასწავლად ვეყრდნობთ სხვადასხვა მონაცემთა ბაზას, როგორებიცაა ქონების კვლევის ლუქსემბურგის მონაცემთა ბაზა (Luxembourg Wealth Study dataset, LWS), საო-

ჯახო მეურნეობების ფინანსებისა და მოხმარების კვლევაზე (HFCS) დაყრდნობით მომზადებულ ოფიციალურ ანგარიშებს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებს. ქცევითი დეტერმინანტების ანალიზისთვის გამოყენებულია LWS მონაცემთა ბაზის საფუძველზე გაანგარიშებული მაჩვენებლები. კვლევისას ვეყრდნობით სამაგიდე კვლევას, რაოდენობრივი და სტატისტიკური ანალიზის ხერხებს. წარმოდგენილ მონაცემთა ბაზებში ქვეყნებისდა მიხედვით არსებული მონაცემთა შეუსაბამობისა და გამოტოვებული მონაცემების გამო, საანალიზოდ შევარჩიეთ ქვეყნები, რომელთათვისაც 2013-2014 წლების ურთიერთშესადარი მონაცემები არსებობს.

საოჯახო მეურნეობების ვალის სტრუქტურული მახასიათებლები

ევროპის ქვეყნებს შორის ვალის სიდიდე, გაზომილი მისი მოცულობით განკარგვადი შემოსავლის მიმართ, 2018 წლის მინაცემებით, ყველაზე მაღალია დანიაში, *ნორვეგიაში, შვეიცარიაში, შვედეთში, ფინეთში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიხედვით, ამ ქვეყნებში ის ამავე დროს, წლიდან წლამდე მზარდია. ნიდერლანდების მაჩვენებელი მაღალია, მაგრამ ის კლებად ტენდენციას ავლენს 2009 წლის შემდგომ პერიოდში, ხოლო იტალიას სტაბილური მაჩვენებელი აქვს . როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, საქართველოსთვის ეს მაჩვენებელი 54%-ს შეადგენს.*

ცხრილი 1

ზოგიერთი ქვეყნის საოჯახო მეურნეობების ვალი % განკარგვადი შემოსავლის მიმართ

	დანია	ნიდერლანდები	ნორვეგია	შვეიცარია	შვედეთი	ლუქსემბურგი	ფინეთი	საბერძნეთი	ავსტრია	იტალია	სლოვაკეთი	სლოვენია
ვალის მოცულობა % განკარგვადი შემოსავლის მიმართ	281	239	238	212	188	183	138	106	92	87	78	57

წყარო: OECD *https://data.oecd.org/hha/household-debt.htm;*

საბერძნეთი, იტალია, სლოვაკეთი და სლოვენია ევროპის ქვეყნებს შორის ვალის დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევიან. უფრო დეტალური ანალიზისთვის განვიხილავთ როგორც ვალის, ასევე, ვალის მომსახურების წილობრივ მაჩველებლებს. როგორც ცხრილში 2 ვხედავთ, მთლიანი ვალდებულებების საშუალო სიდიდე ნორვეგიასა და ფინეთში განსახილველ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალია. მიზანშეწონილია ვალის განხილვა აქტივების ჭრილში, რადგან დიდი მოცულობის აქტივების მქონე საოჯახო მეურნეობებს ვალის მართვა უფრო უმტკივნეულოდ შეუძლიათ. ცხრილიდან 2 ჩანს, რომ მთლიანი ვალის აქტიებთან თანაფარდობის მიხედვით, უფრო მაღალი რისკით ავსტრია, სლოვენია და საბერძნეთი ხასიათდებიან.

ვალის მომსახურების ტვირთის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წარმოდგენილ ქვეყნებში ის საკმაოდ დაბალია. მთლიან შემოსავალთან შედარებით უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მომსახურების წილი მაღალია ნორვეგიაში, ხოლო არაუზრუნველყოფილი სესხის მომსახურების წილი – სლოვენიაში. ვალის სიდიდე საოჯახო მეურნეობების მახასიათებლებზეა დამოკიდებული. უფრო დიდი ზომის საოჯახო მეურნეობებს დიდი მოცულობის დანახარჯები აქვთ, რაც ვალს ზრდის. საცხოვრისის ხარჯები ვალის სიდიდის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია, თუმცა ევროპის განსახილველ ქვეყნებში ამ მხრივ დიდი სხვადასხვაობა შეიმჩნევა, რაც ცხრილის 3 მონაცემებიდან ჩანს.

ცხრილი 2

საოჯახო მეურნეობების საბალანსო ანგარიშების ზოგიერთი მაჩვენებელი ევროპის ქვეყნებში

	ნორვეგია	ფინეთი	საბერძნეთი	ავსტრია	იტალია	სლოვაკეთი	სლოვენია
მთლიანი ვალდებულებები (საშუალო)	1 432 552	59178	7282	15368	7081	14414	17325
მთლიანი აქტივები (საშუალო)	239880	341833	110319	239880	259923	80452	157704
ვალის თანაფარდობა აქტივებთან (საშუალო)	5.13	1.61	7.62	23.80	0.08	0.55	9.79
ვალის მომსახურების წილი განკარგვად შემოსავალთან (საშუალო) (2013-2014)	0.62	0.01	0.05	0.04	0.08	0.001	0.103
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის მომსახურების წილი მთლიან შემოსავალთან %	6.38	0.5	3.6	2.35	0.06	3.37	3.70
არაუზრუნველყოფილი სესხის წილი მთლიან შემოსავალთან %	_	_	1.4	1.09	-	4.73	2.75

წყარო: ავტორის გაანგარიშებები Luxembourg Wealth Study dataset http://www.lisdatacenter.org

ცხრილი 3

ვალის კორელაცია საცხოვრისის ხარჯებთან

	ნორვეგია	ფინეთი	საბერძნეთი	ავსტრია	იტალია	სლოვაკეთი	სლოვენია
კორელაციის კოეფიციენტი	_	0.0571	0.6785	0.4742	0.8128	0.7108	0.7459

რაც შეეხება ვალის სტრუქტურას, დიაგრამაზე ნათლად ჩანს, რომ სესხების უდიდესი ნაწილი საცხოვრებელი ბინის შეძენასთანაა დაკავშირებული. ეს გლობალური სურათია და მნიშვნელობით მას მოსდევს სესხები სხვა უძრავი ქონებისთვის და სამომხმარებლო სესხები.



წყარო: Luxembourg Wealth Study dataset, http://www.lisdatacenter.org

ევროპის ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა შეიმჩნევა საკრედიტო ხაზებით სარგებლობის სტრუქტურაშიც. ბინით არაუზრუნველყოფილი საკრედიტო ხაზებით ფინეთში მხოლოდ 4.03% სარგებლობს, საბერძნეთში - კიდევ უფრო ნაკლები 3.92%. შედარებით მაღალია მაჩვენებელი სლოვაკეთსა და იტალიაში, სადაც 21%-მდე სარგებლობს, ხოლო სლოვენიასა და ავსტრიაში, შესაბამისად _ 71% და 89%.

საოჯახო მეურნეობების ვალის ინსტიტუციური მახასიათებლები

არსებობს საოჯახო მეურნეობების ფინანსური გადაწყვეტილებების მოტივაცია და დეტერმინატები, რომლებიც უნივერსალურია ყველა ქვეყანაში, მაგრამ მეორე მხრივ, ქვეყნების სოციო--კულტურული და ინსტიტუციური თავისებურებები ფინანსური გადაწყვეტილებების მხრივ მნიშვნელოვან სხვადასხვაობას წარმოქმნის. სოციო-კულტურული ნორმები და ღირებულებები გამოვლინდება იმით, თუ რას მიიჩნევენ ადამიანები მნიშვნელოვნად, ხოლო ეს, თავის მხრივ, მათ ფინანსურ გადაწყვეტილებებსა და ქცევას განსაზღვრავს. ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუციურ მახასიათებლებზე წარმოდგენას გვაძლევს ისეთი მონაცემები, როგორებიცაა სესხის მიღების სუბიექტური და ობიექტური შეზღუდვები, გადაუდებელი ფინანსური საჭიროების დაკმაყოფილების შესაძლებლობა და მოლოდინები, რომლებსაც საოჯახო მეურნეობა უკავშირებს ერთი მხრივ, საკუთარ ფინანსურ, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას.

ერთმანეთისგან თუ გავმიჯნავთ სუბიექტური და ობიექტური ხასიათის შეზღუდვებს კრედიტზე წვდომის მხრივ, განსახილველ ქვეყნებში ამგვარ სურათს ვიღებთ (შესადარი მონაცემების არარსებობის გამო ნორვეგია და ფინეთი ანალიზიდან გამოირიცხა) (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

კრედიტთან დაკავშირებული მოლოდინები

	საბერძნეთი	ავსტრია	იტალია	სლოვაკეთი	სლოვენია
უარის მოლოდინის გამო თავი შეიკავა კრედიტზე მიმართვისგან (%)	4.54	3.04	2.43	5.43	9.31
მიმართა და მიიღო ნაკლები ან ვერ მიიღო (%)	1.75	1.16	1.1	5.21	4.24
უარი განმეორებითი მიმართვისას (%)	90.08	91.18	_	66.36	85.53

წყარო: Luxembourg Wealth Study dataset http://www.lisdatacenter.org

როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სლოვენიასა და სლოვაკეთში უარყოფითი მოლოდინების მქონე საოჯახო მეურნეობების რაოდენობა პროცენტულად უფრო მაღალია, ისევე, როგორც იმ საოჯახო მეურნეობების რაოდენობა, რომლებმაც სასურველი ოდენობის კრედიტი ვერ მიიღეს. აღსანიშნავია, რომმოლოდინებს კრედიტთან დაკავშირებით ბიზნესის ფლობა განსაზღვრავს. უარის მოლოდინით განწყობილი საოჯახო მეურნეობების უდიდესი ნაწილი ბიზნესს არ ფლობს, ხოლო ოპტიმისტურად განწყობილთა უმრავლესობა ბიზნესის მფლობელია.

გადაუდებელ შემთხვევაში ფინანსების მიღების შესაძლებლობა ინსტიტუციურ შეზღუდვებზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა. სლოვაკეთში – 69.93% აფიქსირებს, რომ არ აქვს ამგვარი წვდომა, საბერძნეთში – 64.33%, სლოვენიის შემთხვევაში, 58.33%, ავსტრიაში – 48.48%, იტალიაში – 45,66% და ფინეთში – 39.66%.

ვალის სოციო-ეკონომიკური და ინსტიტუციური კონტექსტი ევროპის ქვეყნებში განსხვავდება სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების მდგომარეობისგან, რომელთაც უკანასკნელ წლებში საოჯახო მეურნეობების დიდი ვალდებულებები დაუგროვდათ. ამას მკვლევარები, მაგალითად, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთში, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლების სტაგნაციას და ეკონომიკური უთანაბრობის გაღრმავებას უკავშირებენ (Santos et al, 2014). სრულიად საპირისპირო ფაქტია, რომ ევროკავშირის დიდი ვალის მქონე ქვეყნები (დანია, ნორვეგია, ფინეთი) მყარი სოციალური დაცვის სისტემითა და ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალი ეკონომიკური უთანასწორობის დონით ხასიათდებიან. მსგავსი ურთიერთსაწინააღმდეგო სურათი განაპირობებს საოჯახო მეურნეობების ფინანსური გადაწყვეტილებებისა და ფინანსურ ბაზრებთან ურთიერთობის საკითხების საკვლევი დეტერმინანტების მეტად გაფართოების აუცილებლობას, მათ შორის, ქცევითი და სოციო-კულტურული დეტერმინანტების ანალიზით.

ლიტერატურა

1. Badarinza, Cristian., Campbell John Y., Ramadorai, Tarun. (2016). International Comparative Household Finance. Working Paper 22066 http://www.nber.org/papers/w22066
2. European commission. (2014). Indebtedness of Households and The Cost of Debt by Household Type and Income Group. Research Note 10/2014
3. International monetary Fund. (2014). World Economic Outlook: Legacies, Clouds, Uncertainties.
4. Koo, R. (2011). The World in Balance Sheet Recession. Ensayos Económicos, Central Bank of Argentina, Economic Research Department, vol. 1(63), pages 7-39, July - Se.
5. Luxembourg Wealth Study (LWS) Database, http://www.lisdatacenter.org (multiple countries; accessed on 3d to 12th of September, 2019). Luxembourg: LIS.
6. Santos, Ana Cordeiro., Costa, Vânia., Teles, Nuno. (2014). The Political Economy of Consumption and Household Debt: An Interdisciplinary Contribution. RCCS Annual Review. Issue no. 6

CHARACTERISTICS OF HOUSEHOLD BORROWING IN EUROPEAN COUNTRIES

Jamagidze Lela
Doctor of Economics, Assistant Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Summary

Household borrowing as an economic policy issue has attracted increasing research interest not only at micro level, but also from the world economy perspective. The present paper gives comparative analysis of debt-related indicators in selected European countries. The analysis covers economic and several socio-cultural characteristics of household debt. The main data source is Luxembourg Wealth Study Dataset. It reveals that global bias towards loans for purchasing main residence is repeated in the sample European counties. However they differ greatly in debt repayment indicators and behavioral characteristics of debt.

Key words: *household, debt, credit access, debt burden, European countries*

სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები

ჯანელიძე ნინო
თსუ-ის დოქტორანტი

სოციალური მეწარმეობა არის გლობალური მოვლენა, რომელიც, ერთი მხრივ, აქტიურად ვრცელდება მსოფლიოს ყველა რეგიონში, მეორე მხრივ კი, გააჩნია თავისი ნაციონალური ფორმები და თავისებურებები, ინსტიტუტების, ტრადიციაბისა და კულტურების განვითარების ხარისხის მიხედვით ამა თუ იმ ქვეყანაში.

სტატიაში განხილულია სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციონალიზაციის პროცესის განვითარების სპეციფიკა და თავისებურებები, გამოვლენილია სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში მონაწილე ძირითადი სტეიკჰოლდერები.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური მეწარმეობა, სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციონალიზაცია, სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი ორგანიზაციები.*

სოციალური მეწარმეობა როგორც მოვლენა, გაჩნდა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. თუმცა, სოციალური მეწარმეობის აღმოცენება, განვითარება, წარმოშობის ფორმები, საქმიანობის მასშტაბები და გავრცელების სისწრაფე იყო არათანაბარი სხვადასხვა ქვეყანაში, რაც განპირობებულია ობიექტური ინსტიტუციონალური ფაქტორებით. ამა თუ იმ ინსტიტუტის როლის დომინირება საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაჭრის საკითხში სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, სხვადასხვაგვარად აისახა განსაზღვრული ტრადიციების, ნორმებისა და ჩვეულებების ფორმირებაზე სოციალურად მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით.

ევროპის ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარებამ გააძლიერა სახელმწიფოების სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც უმეტესწილად გაჩნდა 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. სახელმწიფო ბიუჯეტების დიდ ნაწილს შეადგენდა სოციალური ხასიათის ხარჯები: განათლება, ჯანდაცვა, სოციალური შემწეობები, უმუშევართა დახმარებები და სხვა ბევრი. თუმცა, საბაზრო და სახელმწიფო კრახის ფონზე, სულ უფრო მეტად დაიწყო კერძო კაპიტალის, როგორც ამ ქვეყნების სტაბილურობისა და აყვავებისკენ მიმართულ ძირითად მამოძრავებელ ძალად განხილვა. კერძო კომპანიებმა სულ უფრო მეტად დაიწყეს ჩართვა სოციალურ ასპექტებში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით. სოციალური მეწარმეობის განვითარება, რომელიც ყველაზე ადრე დაიწყო სწორედ ევროპისა და ამერიკის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, გახდა კერძო კომპანიების პოზიციების განმტკიცების და სოციალური პრობლემების გადაჭრის ინიციატივების ლოგიკური ასახვის გზა.

სოციალური მეწარმეობის განვითარების არსისა და კანონზომიერების გასაგებად აუცილებელია მისი ინსტიტუციონალიზაციის პროცესის გაანალიზება და საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემაში მისი ადგილისა და როლის განსაზღვრა.

სოციალურ მეწარმეობის ინსტიტუციონალური სპეციფიკა განპირობებულია სოციალური სფეროების დომინანტური კონცეფციებით სხვადასხვა ქვეყანაში. იმისდა მიხედვით, თუ რა როლს ასრულებს სახელმწიფო სოციალურ სფეროში, სოციალური მეწარმეობა იკავებს განსხვავებულ ადგილებს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემაში, მხარს უჭერს სხვადასხვა ინსტიტუტი და იმყოფება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის პირისპირ. მაგალითად, სოციალური მეწარმეობა აშშ-ში ფუნქციონირებს სამოქალაქო საზოგადოებისა და კომერციული სექტორების კვეთაზე, ხოლო ევროპაში – სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფო სექტორების კვეთაზე [3, გვ. 211].

ფონდების როლი მსოფლიოში სოციალური მეწარმეობის ფორმირებასა და შემდგომ განვითარებაში უდავოა. აშშ-ში სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა კერძო საინვესტიციო ფონდების მიერ დაიწყო XX საუკუნის 80-იან წლებში. ზოგიერთი ფონდი (Kellog Foundation, Kauffman Foundation, Rockefeller Foundation) აქცენტს აკეთებდა სოციალურ მეწარმეთა ქსელის ფორმირებაზე, სხვები მხარს უჭერდნენ სოციალური მისიების მქონე სტარტაპებს (Roberts Enterprise Development Fund). ნელ-ნელა გაჩნდა საერთაშორისო ფონდები, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ სოციალური მეწარმეების კონსულტირებით, სწავლება-გადამზადებით, აგრეთვე გამოყოფდნენ

გრანტებს სოციალური მეწარმეებისთვის (Skoll Foundation, Ashoka, Schwab Foundation). აშშ-ში სოციალური მეწარმეობისთვის ხელსაყრელი პირობების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კვლევითი ცენტრები, უნივერსიტეტები (The Fuqua School of Business, Duke University, Harvard Business School, Columbia School of Business), აგრეთვე სოციალური მეწარმეობის სფეროს პრაქტიკოსების გამაერთიანებელი ასოციაციები (Social Enterprise Alliance, SeeChange, National Gathering for Social Entrepreneurship).

ფონდების ფორმირება ევროპაში საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ფარგლებში დაიწყო იმ დროს, როცა კოოპერატივები და ასოციაციები გახდა ნაციონალური ეკონომიკის ნაწილი და დაიწყეს ოპერირება, როგორც ფსევდო-საზოგადოებრივმა აგენტებმა [5, გვ. 25].

1996 წელს დაარსდა ევროპული კვლევითი ასოციაცია EMES (European Research Network), ინსტიტუციონალური გაერთიანება, რომლის შიგნითაც მოიაზრება პროფილური ცენტრები, ორგანიზაციები, უნივერსიტეტები და ბიზნეს-სკოლები ევროპის 11 ქვეყნიდან. ასოციაცია ახორციელებს კვლევებს სოციალური მეწარმეობის სფეროში, კონფერენციების და ერთობლივი სამეცნიერო პროექტების ორგანიზებას. 2004 წლიდან, გაჩნდა მთელი რიგი საერთაშორისო კონფერენციები სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინოვაციების თემებზე (მაგალითად, კონფერენცია სოციალური საწარმოების კვლევაზე (Social Enterprise Research Conference (SERC)), სოციალური მეწარმეობის კვლევის საერთაშორისო კონფერენცია (International Social Entrepreneurship Research Conference (ISERC)) [1, გვ, 15]. XXI საუკუნის დასაწყისში ასევე გაჩნდა საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალები, რომლებიც სპეციალიზდებოდა სოციალური მეწარმეობის პრობლემატიკაზე: Stanford Social Innovation Review (2004), Social Enterprise Journal (2005), Journal of Social Entrepreneurship (2010), Journal of Social Business (2011), International Journal of Social Innovation (2011) და სხვა [1, გვ. 16].

ევროპის ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოპირობების შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირის ინიციატივები, რომელიც მიმართულია სოციალური მეწარმეობის პროგრამებისა და კვლევების მხარდასაჭერად. სოციალური მეწარმეობის სფეროში კვვლევებზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ აშშ-ისგან განსხვავებით, სადაც სოციალური მეწარმეობის ფენომენის შესწავლა ხორციელდება, როგორც ბიზნეს სკოლებში, ასევე სოციოლოგიის ფაკულტეტებზე, ევროპაში სოციალური მეწარმეობის კვლევას ძირითადად ახორციელებენ სოციოლოგები, რაც ცვლის კვლევის ვექტორს ეკონომიკურიდან სოციალური სფეროსკენ.

ევროპაში, სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის შემდეგ, ევროპულმა ფონდებმა დაიწყეს სახსრების გამოყოფარ"მესამე სამყაროს" ქვეყნების მხარდასაჭერად.

თუ ვიმსჯელებთ კვლევების ინსტიტუციონალიზაციის სპეციფიკაზე აზიის რეგიონში, მაშინ უნდა გამოვყოთ წამყვანი ფონდები, (Ashoka Foundation, Schwab Foundation, Skoll Foundation,), აგრეთვე, შემოქმედებითი ლაბორატორია "Grameen", რომლებიც ახორციელებენ მთელ რიგ საგანმანათლებლო პროგრამებს სოციალური მეწარმეობის მიმართულებით, ორგანიზებას უწევენ სხვადასხვა სემინარებსა და კონფერენციებს. 2010 წელს მუჰამედ იუნუსის ინიციატივის წყალობით ქალაქ ფუკუოკში (იაპონია) ხელმოწერილი იქნა დეკლარაცია აზიაში სოციალური ბიზნეს "ჰაბ"-ის (Social Business Hub Asia) დაარსების თაობაზე. "ჰაბ"-ის ძირითადი ამოცანაა სოციალური ბიზნესის იდეების განვითარებისა და გავრცელების ხელშეწყობა აზიაში [6, გვ. 308].

ცხრილში წარმოდგენილია სოციალური მეწარმეების მხარდამჭერი ძირითადი სტეიკჰოლდერები (კვლევითი ცენტრები, ასოციაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, მკვლევარები, ჟურნალები, პუბლიკაციები, კონფერენციები და ფონდები), რომლებიც გავლენას ახდენენ მსოფლიოში სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციონალიზაციის პროცესის ფორმირებასა და განვითარებაზე.

სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციონალიზაცია

	კვლევითი ცენტრები, ასოციაციები	**ჟურნალები, პუბლიკაციები**	**კონფერენციები**	**მხარდამჭერი ორგანიზაციები**
პიონერები (1980-1990 წლები)	პროექტი სოციალური მეწარმეობის სფეროში, ჰარვარდის ბიზნეს სკოლა (1993 წ); ევროპული კვლევითი ასოციაცია EMES (1996 წ); სოციალური ინოვაციები ცენტრი, სტენფორდის უნივერსიტეტის უმაღლესი ბიზნეს სკოლა (1999 წ).	Boschee (1998); Dees (1998); Thompson et al. (2000).	კონფერენცია სოციალურ მეწარმეობაზე, ჰარვარდის ბიზნეს სკოლა (2000).	ფონდი აშოკა (1980); მდგრადი განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი (1990); ავინა (1994); ფონდი შვაბა (1998); სქოლის ფონდი (1999); ინსტიტუტი სოციალური მეწარმეებისთვის (1999).
კონსოლი-დატორები (2000 წ. +)	სოციალური მეწარმეობის განვითარების ცენტრი; ფუკუა დიუკსის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა (2002**);** სქოლის ცენტრი; ოქსფორდის უნივერსიტეტის საიდის სახელობის ბიზნეს სკოლა (2003); INSEAD-ის ბიზნეს სკოლის სოციალური ინოვაციების ცენტრი (2005).	Stanford Social Innovation Review (2004); Social Enterprise Journal (2005); Dees et al. (2001); Bornstein (2004); Mair, Marti (2006); Nicholls (2006); Perrini (2006); Light (2006).	სოციალურ საწარმოთა მკვლევარების კონფერენცია (2004); საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სოციალურ მეწარმეობაზე (2005); კოლოქვიუმი სოციალურ მეწარმეობაზე (2007).	აკიუმენი (2001); სოციალური მეწარმეობის ფონდი UNLtd (2002); სოციალური მეწარმეობის კანადის ფონდი (2004).
ახალი მოთამაშეები (2008 წ. +)	სოციალური მეწარმეობის ცენტრი. ლევისი, ბებსონი, კოლეჯი (2008).	Journal of Social Entrepreneurship (2010); Journal of Social Business (2011); სპეციალური გამოშვებები: Journal of World Business (2006); MIT Innovations (2007, 2009); Entrepreneurship Theory and Practice (2010);	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სოციალური ინოვაციების შესახებ (2009); სექციები: მესამე სექტორის მკვლევარების საერთაშორისო საზოგადოება (ევროპა) - მენეჯმენტის აკადემია.	ფონდი ადრეული სოციალური მეწარმეებისთვის (2008).

წყარო: [4, გვ. 7].

აღსანიშნავია, რომ თუ 1990-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო ბიზნეს-სწავლებაში პრაქტიკულად არ არსებობდა კურსები და სტუდენტური კვლევითი პროექტები სოციალური მეწარმეობის სფეროში, 2011 წელს უკვე სულ მცირე 148 საგანმანათლებლო დაწესებულებაში ისწავლებოდა სოციალური მეწარმეობის სხვადასხვა ასპექტები [4, გვ. 4]. საერთაშორისო ასოციაცია Net Impact-ის მონაცემებით, MBA პროგრამის მსმენელთა 88% პრიორიტეტად განიხილავს ბიზნესის

ისეთი მიმართულების შესწავლას, რომელსაც შეუძლია გადაჭრას სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები [2, გვ. 14].

საქართველოში, სოციალური მეწარმეობის სფეროში საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო პროექტების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, რომელიც ამ მიმართულებით საქმიანობას ახორციელებს 2009 წლიდან.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოში არ არსებობს სოციალური მეწარმეობის კანონმდებლობით გამყარებული განმარტება, შესაბამისად ასეთი ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების საკანონმდებლო ბაზის ჩარჩოებში.

უნდა ვივარაუდოთ, რომ სოციალური მეწარმეობის განვითარების დაბალი მაჩვენებელი საქართველოში განპირობებულია სოციალური მნიშვნელობის საკითხებში ბიზნესის ჩარევის ტრადიციის არ არსებობით და აღნიშნული როლის უპირატესად სახელმწიფოზე მიკუთვნებით, შესაბამისი ინსტიტუციონალური გარემოს არ არსებობით, აგრეთვე იმით, რომ სოციალური ინოვაციები მეწარმეთა მიერ არ განიხილება კონკურენტული უპირატესობის წყაროს რანგში.

სოციალური მეწარმეობის განვითარების პოტენციალი საქართველოში საკმაოდ დიდია, თუკი ყურადღებას მივაქცევთ, ერთი მხრივ, მზარდ სოციალურ პორბლემებს ქვეყანაში, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური პრობლემების გადაწყვეტისას ტრადიციული სახელმწიფო და საბაზრო მექანიზმების გამოყენების არაეფექტურობას. სოციალური მეწარმეობისთვის ხელსაყრელი ინსტიტუციონალური გარემოს შემდგომი ფორმირების მნიშვნელოვან პირობად მიიჩნევა სოციალური მეწარმეობის საერთო საზოგადობრივი ყურადღების ობიექტად ქცევვა, როგორც სამეცნიერო კვლევების, ასევე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების თვალსაზრისით.

ცხადია, განვითარებად ქვეყნებში შესაძლებლობათა სპექტრი სოციალური მეწარმეობის ორგანიზაციებისთვის გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო და ფონდები ასრულებენ დიდ როლს სოციალური პრობლემების მოგვარების საკითხში. ამავდროულად, სოციალური მეწარმეობის განვითარება, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სახის სამეწარმეო საქმიანობისა, განხორციელდება უფრო სწრაფად და მსუბუქად ქვეყნებში, სადაც შექმნილია ამისათვის ხელსაყრელი ინსტიტუციონალური პირობები. ამიტომაც, სოციალური მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა - კომერციული და არაკომერციული სექტორების განვითარება, სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა, დემოკრატიული პროცესები საზოგადოებაში.

არაკომერციული ორგანიზაციების სექტორის განვითარების მსოფლიო ტენდენციები, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის ტრანსფორმაცია და კომპანიების მიერ სტაბილური განვითარების გზების ძიება აქტუალურია საქართველოსთვისაც.რთუმცა, ინსტიტუციონალური გარემოს ქართული სპეციფიკა (ხშირ შემთხვევაში, ბიზნესის სოციალური პროგრამების არაეფექტურობა, არაკომერციული სექტორის განვითარების ხანმოკლე პერიოდი, სამეწარმეო აქტივობის დაბალი მაჩვენებელი) განაპირობებს საქართველოში სოციალური მეწარმეობის ე.წ. "ფრაგმენტულ" განვითარებას. სოციალური მეწარმეობის – საქართველოსათვის ამ ახალი მოვლენის ფორმირება და განვითარება, უნდა განხორციელდეს ბიზნესის, სახელმწიფოსა და საზოგადოების პროაქტიული და ურთიერთშეთანხმებული ქმედებების პირობებში.

ლიტერატურა:

1. Арай Ю. Н. Бизнес-модели в социальном предпринимательстве. 2015.
2. Business as unusual: the social & environmental impact guide to graduate programs: for students by students. – San Francisco: Net Impact, 2014.
3. Kerlin. J. A. Social enterprise: a global comparison / Medford, MA: Tufs University Press. 2009.
4. Kim. M. The field of social entrepreneurship education: from the second wave of growth to a third wave of innovation // social entrepreneurship education resource handbook. 2011.
5. Social Enterprise: New Model for Poverty Reduction and Employment Generation, EMES & UNDP report. 2008.
6. Yunus. M. Building social business models: lessons from the Grameen experience. 2010. Vol. 43. Issue 2-3.

SUPPORTING INSTITUTIONS OF SOCIAL ENTREPRENEURSHIP

Janelidze Nino
Doctoral student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

Social entrepreneurship is a global issue, which on one hand is actively spreading to all regions of the world, on the other hand it has its national forms and characteristics, depending on the degree of development of institutions, traditions and cultures in one country or another.
The article discusses the specifics and peculiarities of the process of institutionalization of social entrepreneurship and identifies key stakeholders in the process of institutionalizing social entrepreneurship.
Key words: *Institutionalization of Social Entrepreneurship; Organizations supporting social entrepreneurship.*

საქართველოს რეგიონები და მათი მახასიათებლები

ჯიბუტი მარიამ
თსუ-ის დოქტორანტი

საქართველოში მმართველობის ერთდონიანი სისტემაა ჩამოყალიბებული. რეგიონული დონე კანონით განსაზღვრული არ არის, თუმცა პოლიტიკის დაგეგმვის მიზნებისთვის გამოიყენება ისტორიული მხარეები [3]. რეგიონული პოლიტიკის მიზნებისთვის ქვეყნის ასეთი დაყოფის მიზანშეწონილობა ჯერ-ჯერობით შესწავლის საგანი არ ყოფილა. ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩამოვაყალიბეთ რეგიონების გამიჯვნის არსებული პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმების საფუძველზე შევაფასეთ მათი ეფექტიანობა ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის დასაგეგმად. კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონული პოლიტიკის ეფექტიანობის გაზრდისთვის სასურველია ჩამოყალიბდეს ფუნქციური რეგიონები.

საკვანძო სიტყვები: *დაყოფა, რეგიონები, ეკონომიკა, განვითარება*

საქართველოს ტერიტორიული მოწყობა მოიცავს 2 ავტონომიურ რესპუბლიკას და 69 მუნიციპალიტეტს. რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვის მიზნებისთვის გამოიყენება ისტორიული მხარეები: გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო--ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი. თითოეული მხარე, თავის მხრივ, მოიცავს მუნიციპალიტეტებს, რომელთა ადმინისტრაციული საზღვრებიც ავტომატურად განსაზღვრავს შესაბამისი მხარის საზღვრებს.

ზემოთ დასახელებული 9 მხარე, რომლებიც როგორც წესი რეგიონული პოლიტიკის ობიექტებად განიხილება დროთა განმავლობაში გეოგრაფიული და ისტორიული საფუძვლებით არის ჩამოყალიბებული [3]. ამასთან, ჩანს ტენდენცია, რომ არც ერთ ქვეყანაში არ შეესაბამება პოლიტიკური და ადმინისტრაციული საზღვრები ეკონომიკურს [4]. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ გამოწვევა უგულებელყოფილი უნდა იყოს რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში. სხვადასხვა მეცნიერების მიდგომების, თეორიებისა და მოდელების საფუძველზე, რეგიონების დაყოფის ეფექტიანობის შესაფასებლად შევიმუშავეთ შემდეგი კრიტერიუმები:

1. რეგიონებში ვხვდებით ცენტრალურ ადგილებს, ე.წ. „მიზიდულობის ცენტრებს“;
2. თითოეული რეგიონი მოიცავს მცირე რაოდენობით მაღალი მოთხოვნილების მქონე დასახლებებს და დიდი რაოდენობით დაბალი მოთხოვნილების მქონე დასახლებებს;
3. ადამიანური, კაპიტალური და სასაქონლო ნაკადები უფრო მეტად გადაადგილდება რეგიონის შიგნით, ვიდრე სხვა რეგიონებში;
4. რეგიონს ახასიათებთ სხვადასხვა გარე თუ შიდა ფაქტორების ზეგავლენის მსგავსი შედეგები რეგიონის ტერიტორიაზე;
5. საცხოვრებელსა და სამუშაო ადგილს შორის მოსახლეობის გადაადგილების ინტენსივობა მაღალია რეგიონის შიგნით;
6. რეგიონებს ადმინისტრაციული დატვირთვა აქვთ;
7. ბუნებრივი რესურსები, ეკოსისტემა თუ სხვა გეოგრაფიული ნიშნები მსგავსია რეგიონის შიგნით;
8. რეგიონებს ახასიათებთ ეკონომიკური ერთგვაროვნება;
9. რეგიონებს ახასიათებთ მართვადობა [2].

იმისთვის, რომ ზემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმების საფუძველზე გაგვეკეთებინა დასკვნები, შევისწავლეთ საქართველოს რეგიონების განვითარების სტრატეგიები 2014-2021 წლებისთვის, სადაც მეტწილად წარმოდგენილია რეგიონების აღწერილობითი ინფორმაცია.

რეგიონებში ვხვდებით ცენტრალურ ადგილებს, ე.წ. „მიზიდულობის ცენტრებს“ – შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კრიტერიუმს ყველა რეგიონი აკმაყოფილებს. თითოეული რეგიონი მოიცავს მუნიციპალიტეტებს, რომლებსაც, თავის მხრივ, აქვთ ადმინისტრაციული ცენტრები.

თითოეული რეგიონი მოიცავს მცირე რაოდენობით მაღალი მოთხოვნილების მქონე დასახლებებს და დიდი რაოდენობით დაბალი მოთხოვნილების მქონე დასახლებებს - მოთხოვნილების დონის განსაზღვრისთვის გამოვიყენეთ მოსახლეობის მხრიდან წარმოქმნილი მოთხოვნილება, შესაბამისად ამ კრიტერიუმის შესაფასებელ ინდიკატორად განისაზღვრა მოსახლეობის რაოდენობა და დასახლებების ზომა. თითოეულ რეგიონში ვხვდებით მცირე რაოდენობით საქალაქო ტიპის დასახლებებს (მასში გაერთიანებულია, როგორც ქალაქი, ისე დაბა) და დიდი

რაოდენობით სასოფლო ტიპის დასახლებებს. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კრიტერიუმსაც საქართველოს რეგიონები აკმაყოფილებენ.

ადამიან-კაპიტალისა და სასაქონლო ნაკადები უფრო მეტად გადაადგილდება რეგიონის შიგნით ვიდრე სხვა რეგიონებში - სტატისტიკური ინფორმაციიდან გამომდინარე, რთულია ამ კომპონენტის რაოდენობრივი მაჩვენებლებით შეფასება, თუმცა, ადამიანური ნაკადების გადაადგილების შეფასებისთვის შესაძლებელია გამოვიყენოთ 2014 წლის აღწერის მონაცემები შიდა მიგრანტების განაწილების შესახებ. ეს მონაცემები გვაჩვენებს, რომ ადამიანური ნაკადების გადაადგილება არც თუ ძლიერად არის კონცენტრირებული რეგიონის შიგნით, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მონაცემები მოიცავს დაოჯახების შედეგად საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, რაც უმეტეს შემთხვევაში მოსალოდნელია რეგიონის შიგნით.

აჭარის ა/რ-ში იმ ადამიანების წილი, რომლებმაც რეგიონის შიგნით შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი, შეადგენს 71%-ს, ქვემო ქართლის რეგიონისთვის ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია და მხოლოდ 17%-ს შეადგენს. იმისთვის, რომ გაგვეკეთებინა დასკვნა თითოეული რეგიონისთვის ადამიანთა ნაკადები უფრო მეტად გადაადგილდება რეგიონის შიგნით თუ არა, ავიღეთ საშუალო მაჩვენებელი, კერძოდ, თუ მოსახლეობის 50%-ზე მეტმა მუდმივი საცხოვრებელი შეიცვალა, თუმცა, დარჩა ისევ რეგიონში, ე.ი. ადამიანური ნაკადები უფრო მეტად გადაადგილდება რეგიონის შიგნით. ასეთი რეგიონია მხოლოდ ოთხი (აჭარა, იმერეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი), სხვა დანარჩენი ექვსი რეგიონისთვის (დედაქალაქს არ ვითვალისწინებთ) ადამიანური ნაკადები მეტად გადაადგილდება სხვა რეგიონებში.

რეგიონებში ბიზნეს ობიექტების ძირითადი ნაწილი დედაქალაქიდან ახდენს პროდუქტის დისტრიბუციას თავად, ან სადისტრიბუციო კომპანიის დახმარებით. ამრიგად, სავაჭრო ურთიერთობები განსაკუთრებით შედარებით მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებისთვის მათთან არახელსაყრელია. შესაბამისად, სასაქონლო ნაკადები უფრო მეტად გადაადგილდება რეგიონების გარეთ, დედაქალაქის მიმართულებით. განხილულ კრიტერიუმს რეგიონები ვერ აკმაყოფილებენ.

რეგიონებს ახასიათებთ სხვადასხვა გარე თუ შიდა ფაქტორების ზეგავლენის მსგავსი შედეგები რეგიონის შიგნით - რეგიონების განვითარების სტრატეგიებში წარმოდგენილ SWOT ანალიზს თუ დავეყრდნობით, მთლიანად რეგიონისთვის პოტენციური საფრთხეების ნაწილში მსგავსი ფაქტორებია გამოვლენილი. რეგიონის კონკრეტული ტერიტორიული ერთეულებისთვის გამოკვეთილად განსხვავებული საფრთხეები არ არის განხილული.

საცხოვრებელსა და სამუშაო ადგილს შორის მოსახლეობის გადაადგილების ინტენსივობა მაღალია რეგიონის შიგნით - მოსახლეობის გადაადგილება სამუშაო დანიშნულებით მეტ წილად ხდება მუნიციპალიტეტის შიგნით.

რეგიონებს ადმინისტრაციული დატვირთვა აქვთ - გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში მართვის რეგიონული დონე არ არის ჩამოყალიბებული, ისინი ადმინისტრაციულ ერთეულებს არ წარმოადგენენ.

ბუნებრივი რესურსები, ეკოსისტემა თუ სხვა გეოგრაფიული ნიშნები მსგავსია რეგიონის შიგნით - რეგიონების განვითარების სტრატეგიების და სხვა სამთავრობო დოკუმენტების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს რომ რეგიონების სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულები ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ბუნებრივი რესურსითა და გეოგრაფიული ნიშნებით.

რეგიონებს ახასიათებთ ეკონომიკური ერთგვაროვნება - რეგიონების განვითარების სტრატეგიები, თუ სხვა დოკუმენტები, რომლებიც აღწერს რეგიონების რესურსულ მახასიათებლებს, ნათლად აჩვენებს, რომ ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები და ეკონომიკის პოტენციურად წამყვანი დარგები რეგიონებში განსხვავებულია სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულებისთვის. მაგალითად, გურიის რეგიონის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ურეკის საზღვაო ზოლის არსებობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბახმაროს კურორტისაგან განსხვავებულ ეკონომიკურ შესაძლებლობებს ქმნის. იგივე შეიძლება ითქვას ზემო სვანეთისა და რეგიონის დარჩენილი ტერიტორიის ეკონომიკის მახასიათებლებზე, ისევე როგორც ყაზბეგისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებზე.

რეგიონებს ახასიათებთ მართვადობა - დღეს საქართველოში სადავოა მუნიციპალიტეტების ზომაც კი ტერიტორიის ეფექტიანად მართვისთვის. 2006 წელს, რეფორმის შედეგად საქართველოში თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის საშუალო ოდენობა 4.350-დან 68.050-მდე გაიზარდა, ის თითქმის 10-ჯერ აღემატება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს (6688 მცხოვრები), ხოლო ევროპული ქვეყნებიდან ჩამორჩება მხოლოდ დიდ ბრიტანეთს (სადაც მუნიციპალური მოწყობის განსხვავებული სისტემაა (იხილე ცხრილი).

რეგიონებისთვის დამახასიათებელი ნიშნების შეფასების შეჯამება

კრიტერიუმი	შედეგი
1. რეგიონებში ვხვდებით ცენტრალურ ადგილებს, ე.წ. „მიზიდულობის ცენტრებს“	✓
2. თითოეული რეგიონი მოიცავს მცირე რაოდენობით მაღალი მოთხოვნილების მქონე დასახლებებს და დიდი რაოდენობით დაბალი მოთხოვნილების მქონე დასახლებებს	✓
3. ადამიანთა, კაპიტალური და სასაქონლო ნაკადები უფრო მეტად გადაადგილდება რეგიონის შიგნით, ვიდრე სხვა რეგიონებში	-
4. რეგიონს ახასიათებთ სხვადასხვა გარე თუ შიდა ფაქტორების ზეგავლენის მსგავსი შედეგები რეგიონის ტერიტორიაზე	✓
5. საცხოვრებელსა და სამუშაო ადგილს შორის მოსახლეობის გადაადგილების ინტენსივობა მაღალია რეგიონის შიგნით	✓
6. ისინი ადმინისტრაციული რეგიონებია	-
7. ბუნებრივი რესურსები, ეკოსისტემა თუ სხვა გეოგრაფიული ნიშნები, მსგავსია რეგიონის შიგნით	-
8. რეგიონებს ახასიათებთ ეკონომიკური ერთგვაროვნება	-
9. რეგიონებს ახასიათებთ მართვადობა	-

ამრიგად, რომ შევაჯამოთ, განხილული 9 კრიტერიუმიდან საქართველოს რეგიონები 5-ს ვერ აკმაყოფილებენ. პოლიტიკის ეფექტიანად დაგეგმვისთვის სასურველია ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის ანალიზის საფუძველზე განისაზღვროს ფუნქციური რეგიონები.

ლიტერატურა

1. კანდელაკი კ., აბულაძე მ., ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმა: საჭიროება და მომავლის ხედვა, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი & მწვანე კავკასია, 2016. *http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/wp-content/uploads/2016/09/Concept-of-Territorial-Reform.pdf*
2. ხარაიშვილი ე., რეგიონული ეკონომიკა, თბილისი, 2003, 88 გვ.
3. ჯიბუტი მ., რეგიონების ეკონომიკური განვითარების გამოწვევები საქართველოში, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, კონფერენციის შრომათა კრებული, თბილისი, ოქტომბერი, 2018, გვ. 526-529.
4. Ray D.M., Lamarche R.H., MacLachlan I.R., Restoring the “Regional” to Regional Policy: A Regional Typology of Western Canada, Canadian Public Policy, University of Toronto Press, 2013, Volume 39, No. 3, September, pp. 411-429.

REGIONALIZATION, REGIONS IN GEORGIA AND THEIR CHARACTERISTICS

Jibuti Mariam
PhD student at TSU

Summary

